ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Economics and Business Faculty

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

The International Scientific Conference

CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS

გამომცემლობა „უნივერსალი"
Publishing House **"UNIVERSAL"**
თბილისი 2016 **Tbilisi**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, 2016

გამომცემლობა **„უნივერსალი“**, 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-884-1

სამეცნიერო კონფერენცია ეძღვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ყოფილი ხელმძღვანელის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ ერთ-ერთ ინიციატორსა და ორგანიზატორს იაშა (იაკობ) მესხიას ნათელ ხსოვნას.

The Scientific Conference is dedicated former to the memory of the Doctor of Economic Sciences, Professor, Chairman of the Department of International Business of IvaneJavakhishvili Tbilisi State University, Laureate of the State Prize of Georgia, former President of the Academy of Economic Sciences of Georgia, one of the initiators of our international scientific conference “Challenges of Globalization in Economics and Business”.

იაშა (იაკობ) მესხია

ახლახან გავიდა ორმოცი დღე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ყოფილი ხელმძღვანელის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, ერთ-ერთი ინიციატორისა და ორგანიზატორის იაშა (იაკობ) მესხიას გარდაცვალებიდან.

იაშა (იაკობ) მესხია დაიბადა 1946 წლის 29 დეკემბერს. მას, როგორც მისი თაობის დიდ ნაწილს, მძიმე ბავშვობა ჰქონდა, სიდუხჭირის სუსხი სრულად შეიგრძნო, ანუ პატარაობიდანვე ეზიარა ფიზიკურ შრომას. მიუხედავად ამისა, საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ასევე წარჩინებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობითა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. აკადემიური და სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური თანმიმდევრულად და წარმატებულად განვლო. მისი როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, დიდი როლი შეასრულეს მოსკოვის ლომონოსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ეკონომიკურ-მათემატიკურმა ინსტიტუტმა, აღიარებულმა მეცნიერებმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ლ. კანტოროვიჩმა, აკადემიკოსებმა ს. შატალინმა, ნ. ფედორენკომ, ა. აგანბეგიანმა და სხვებმა. სწორედ მათი გავლენით ჩამოყალიბდა მისი მეცნიერული კვლევის მრავალმიმართულებიანი სფერო. პროგნოზირების, სტრატეგიული განვითარების, ფინანსების, ეკონომიკური უსაფრთხოების, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი პერიოდის თანამედროვე პრობლემების კვლევაში გამოვლინდა მისი მასშტაბური აზროვნება, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ღრმა ცოდნა, ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების სიღრმეში წვდომის უნარი. მისი შრომები, რომელთა საერთო რაოდენობა 400-ს აღმატება, ნოვატორული მიდგომით, ლოგიკური არგუმენტაციით, დასკვნების პრაგმატული მნიშვნელობით და ოპტიმიზმით გამოირჩევა. ამასთან, მისი მასშტაბური მეცნიერული და სახელმწიფოებრივი აზროვნება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ასევე საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელად მუშაობისას გამოვლინდა. იაკობ მესხია იყო ღირსეული მამულიშვილის თანამედროვე პიროვნება, რომელსაც საზოგადოება ყოველთვის ენდობოდა. გვჯერა, რომ ბატონი იაშა თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით, ქართული ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში ჯეროვან ადგილს დაიმკვიდრებს.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

IASHA (IAKOB) MESKHIA

40 days have just passed since the death of Iasha (Iakob) Meskhia, the doctor of economic sciences, professor, chairman of the Department of International Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Laureate of the State Prize of Georgia, President of the Academy of Economic Sciences of Georgia, one of the initiators of our international scientific conference "Challenges of Globalization in Economics and Business".

Iasha (Iakob) Meskhia was born on 29th of December, 1946. He lived a hard childhood like most of other children of his generation. He fully felt the hardness of poverty and experienced physical work in his early years. However, he finished the school with golden medal and successfully graduated from Tbilisi State University. He was active in social life and especially inquisitive and full of social responsibility. He has successively and successfully gone through all the steps of academic and scientific career. Together with Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Lomonosov University of Moscow, Central Economic and Mathematical Institute of the Academy of Science of USSR as well as L. Kantorovich, prominent scientist and the Nobel prize laureate, academicians O. Shatalin, N. Phedorenko and others played significant role in the development of his scientific profile. His multidimensional scientific research field was formed under the influence of above scholars and institutions. His works showed in-depth knowledge of economic theory and wide-scale thinking skills in forecasting, strategic development, finance, economic security, contemporary challenges related with transition to market economy. His works (over 400 in all) are characterized with innovative approaches, logical reasoning, pragmatic conclusions and optimization. In addition, his large-scale scientific and governmental thinking revealed while being a chairman of scientific and research institutes, as well as of the Chamber of Control of Georgia.

Iakob Meskhia was a modern honorable patriot who gained public confidence. We believe that Iasha Meskhia will take a worthy place in the history of Georgian economic science.

Conference Organizing Committee

სარედაქციო კოლეგია :

- **თეიმურაზ ბერიძე** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი
- **ელგუჯა მექვაბიშვილი** - თსუ-ის პროფესორი, თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი
- **ვლადიმერ პაპავა** - თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი
- **ავთანდილ სილაგაძე** - თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი
- **რეზო გოგოხია** - თსუ-ის პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი
- **რამაზ აბესაძე** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი
- **იური ანანიაშვილი** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი
- **სიმონ გელაშვილი** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი
- **რევაზ გველესიანი** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი
- **ნუგზარ თოდუა** - თსუ-ის პროფესორი, მაკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი
- **ირაკლი კოვზანაძე** - თსუ-ის პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი
- **ქეთევან მარშავა** - თსუ-ის პროფესორი
- **დავით ნარმანია** - თსუ-ის პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი
- **დემურ სიჭინავა-** თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი
- **მირიან ტუხაშვილი** - თსუ-ის პროფესორი
- **გიორგი ღაღანიძე** - თსუ-ის პროფესორი
- **ნოდარ ხადური** - თსუ-ის პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი
- **ელენე ხარაბაძე** - თსუ-ის პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი
- **ეთერ ხარაიშვილი** - თსუ-ის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **იოსებ ხელაშვილი** - თსუ-ის პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი
- **თეიმურაზ შენგელია** - თსუ-ის პროფესორი, თსუ საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი
- **ნინო ფარესაშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
- **მარინა ჩავლეიშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
- **მანანა ლობჟანიძე** - თსუ-ის ასისტენტ-პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
- **რუსუდან მაისურაძე** - თსუ-ის დოქტორანტი
- **ირმა ტყემალაძე** - თსუ-ის დოქტორანტი

EDITORIAL BOARD:

- **Teimuraz Beridze -** TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business Faculty
- **Elguja Mekvabishvili** - TSU Professor, Head of the Department of Theoretical Economics
- **Vladimer Papava -** TSU Professor, Academician
- **Avtandil Silagadze -** TSU Professor, Academician, Head of the Department of International Economics and History of Economic Thought
- **Rezo Gogokhia** - TSU Professor, Editor of Scientific Papers
- **Ramaz Abesadze -** Doctor of Economic Sciences,Director of the Paata Gugushvili Institute of Economics of IvaneJavakhishvili Tbilisi State University
- **Iuri Ananiashvili -** TSU Professor, Head of the Department of Econometrics
- **Simon Gelashvili -** TSU Professor, Head of the Department of Economic and Social Statistics
- **Revaz Gvelesiani -** TSU Professor, Head of the Department of Economic Policy
- **Nugzar Todua -** TSU Professor, Head of the Department of Marketing
- **Irakli Kovzanadze -** TSU Professor, Head of the Department of Finance and Banking
- **Ketevan Marshava -** TSU Professor
- **Davit Narmania -** TSU Professor, Head of the Department of Management and Administration
- **Demur Sitchinava -** TSU Professor, Head of the Department of Information Technologies in Economics and Business
- **Mirian Tukhashvili** - TSU Professor
- **Giorgi Ghaghanidze -** TSU Professor
- **Nodar Khaduri -** TSU Professor, Head of the Department of Macroeconomics
- **Elene Kharabadze** - TSU Professor, Head of the Department of Accounting and Auditing
- **Eter Kharaishvili -** TSU Professor, Head of the Department of Microeconomics
- **Ioseb Khelashvili -** TSU Professor, Head of the Department of Tourism and Hospitality Management
- **Nino Paresashvili** - TSU Associate Professor
- **Marina Chavleishvili** -TSU Associate Professor
- **Manana Lobzhanidze** - TSU Assistant Professor
- **Rusudan Maisuradze** - Ph.D. Student, TSU
- **Irma Tkemaladze -** Ph.D. Student, TSU

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

- **თეიმურაზ ბერიძე** - თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე
- **ელგუჯა მექვაბიშვილი** - თსუ-ის პროფესორი, თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, თავმჯდომარის მოადგილე
- **თეიმურაზ შენგელია** - თსუ-ის პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი, თავმჯდომარის მოადგილე
- **რეზო გოგოხია** - თსუ-ის პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორი
- **თამაზ ზუბიაშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი
- **ნინო ფარესაშვილი** - თსუ-ის ასოცირებული პროფესორი
- **ლეილა ქადაგიშვილი** - თსუ-ის ასისტენტ -პროფესორი
- **აკაკი მიქაბერიძე** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი
- **გულადი ნაკაშიძე** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიის გამგე
- **ნანა მაისურაძე** - თსუ-ის დოქტორანტი
- **უჩა გოგიშვილი** - თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი
- **ტარიელ ლომია** - თსუ-ის დოქტორანტი

ORGANIZING COMMITTEE :

- **Teimuraz Beridze -** TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman
- **Elguja Mekvabishvili –** TSU Professor**,** Head of the Department of Theoretical Economics**,** Deputy Chairman
- **Teimuraz Shengelia -** TSU Professor, Head of the Department of International Business**,** Deputy Chairman
- **Rezo Gogokhia** – TSU Professor, Editor-in-Chief of the Journal Economics and Business
- **Tamaz Zubiashvili** - TSU Associate Professor,
- **Nino Paresashvili -** TSU Associate Professor
- **Leila Kadagishvili -** TSU Assistant Professor
- **Akaki Mikaberidze -** Financial Manager the Faculty of Economics and Business
- **Guladi Nakashidze** - Head of Educational Laboratory at the Faculty of Economics and Business
- **Nana Maisuradze** – Ph.D. student, TSU
- **Ucha Gogishvili -** Head of Public Relations Service at the Faculty of Economics and Business
- **Tariel Lomia –** Ph.D. student, TSU

XX და XXI საუკუნეების მიჯნას ახასიათებს ისეთი ფენომენი, როგორიცაა „გლობალიზაცია“. ეს მოვლენა არ არის ახალი ჩვენი სამყაროსთვის, მას გარკვეული ადგილი ჰქონდა მაშინაც კი, როდესაც მოხდა სამრეწველო რევოლუცია XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ ახალმა ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა კიდევ უფრო ახალი შინაარსი შესძინა ამ ფენომენს. გლობალიზაციის მთავარი კომპონენტი გახლავთ ეკონომიკური გლობალიზაცია, იმდენად რამდენადაც ეკონომიკური კავშირების განვითარების კვალობაზე ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები სულ უფრო ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ეკონომიკურ გლობალიზაციას ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგებიც. ამის მკაფიო მაგალითია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პერიოდული შეკრებები, სადაც მიდის საკმაოდ ცხარე დისკუსიები ვაჭრობის საკითხებზე. ეს დისკუსიები ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ ერთი მხარე თვლის - გლობალიზაცია არის ქვეყნის განვითარების დადებითი იმპულსი, ხოლო მეორე კი თვლის, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს განვითარებული ქვეყნების უფრო მეტად განვითარებას, ხოლო განვითარებადი ქვეყნების უფრო მეტად ჩამორჩენას. როგორც წესი, ჭეშმარიტება ყოველთვის არის შუაში - დღესდღეისობით ვერცერთი ქვეყანა ვერ გაექცევა გლობალიზაციას ეკონომიკასა და ბიზნესში.

თეიმურაზ ბერიძე – თსუ-ის პროფესორი,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

The phenomenon of “globalization” is one of the key characteristics for the **period of boundary of the 20th and 21st centuries**. This phenomenon is not new for our world; it was obvious even during the industrial revolution at the end of the 19th century; but nowadays, due to new technological inventions the phenomenon acquired new content. Core component of globalization is economic globalization, as on the background of development of economic ties, countries, regions and continents become more and more interdependent. Economic globalization has both advocates and opponents.This becomes evident at periodic World Trade Organization (WTO) meetings, where heated discussions on trade issues take place. The discussions are mainly caused by the fact that the advocates of globalization argue that globalization positively impacts development of the country, while the opponents claim that globalization contributes to further development of developed countries, while developing countries lag behind. As usually, the truth is always somewhere in the middle – nowadays, not a single country can avoid globalization in economics and business.

Teimuraz Beridze **-** TSU Professor,
Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman

შინაარსი
CONTENTS

ნინო აბესაძე, ლია მჭედლიშვილი. *სისხლის სამართლის სტატისტიკის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში*.....21
N. Abesadze, I. Mchedlishvili. *The Main Tendencies of Improvement of Methodology of Criminal Statistics in Georgia*

ნინო აბესაძე, მარინე მინდორაშვილი, ნინო ფარესაშვილი. *ტურისტული ხარჯების სტატისტიკური ინდიკატორები საქართველოში*.....26
N. Abesadze, M. Mindorashvili, N. Paresashvili. *Statistical Indicators of Tourism Expenditures in Georgia*

ოთარ აბესაძე. *საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები*.....33
O. Abesadze. *Geographical Directions of Foreign Trade*

გიორგი აბუსელიძე. *საბიუჯეტო ფედერალიზმი – ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ფაქტორი*.....39
G. Abuselidze. *Budgetary Federalism as a factor of overcoming financial-economic crisis*

მანანა ალადაშვილი. *ტურისტული ბიზნესი გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე*.....43
M. aladashvili. *Tourism Business on the Modern Stage of Globalization*

Ambroziak Łukasz. *Value Added of Exports: the Case of the Central and Eastern European Countries*..... 48

იური ანანიაშვილი. *ფასების დონე და საშუალო საგადასახადო განაკვეთი ზოგადი წონასწორობის მოდელში*.....56
I. Ananiashvili. *PPrice Level and Average Tax Rate in General Equilibrium Model*

Игорь Б. Арефьев, Теа Мунджишвили. *Метод оценки и прогнозирования финансовой устойчивости транспортного предприятия в условиях риска*..... 61
I. Arefiev, T. Munjishvili. *The method of forecasting for financial stability of the transports enterprise in the crisis conditions*

Тамила Арнания-Кепуладзе. *Гендерное неравенство на рынке труда:теоретический подход к объяснению причин*..... 66
T. Arnania-Kepuladze. *Labor Market Gender Inequality: theTheoretical Approach toward Explanation*

ნონა ახვლედიანი. *საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები*.....72
N. Akhvlediani. *Socio-economic Aspects of Georgian – European Union Relations*

ხათუნა ბარბაქაძე. *კორპორაციული დაფინანსების გადაწყვეტილების შესახებ*.....76
Kh. Barbakadze. *About the Decision of Corporate Financing*

გიორგი ბედიანაშვილი. *კულტურა როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ბიზნესის ფაქტორი გლობალიზაციის კონტექსტით* 79
G.Bedianashvili. *The culture as factor of the country's socio-economic development and business in the context of globalization*

ინგა ბენაშვილი. *შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიშის შედგენის საკითხისათვის საქართველოში*.....85
I. Benashvili. *The Issues of the Production Account of Household Sector in Georgia*

ხათუნა ბერიშვილი. *საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი* 90
Kh. Berishvili. *Liberalization and Integration of Economic Activity of Georgia as a Prerequisite of Economic Development of the Country*

გია ბერიძე. *ეკონომიკური ზრდაზე მთავრობის ზომის გავლენის ანალიზი*.....95
G. Beridze. *Analysing the Impact of the Size of Government on Economic Growth*

ელისო ბერიძე. *საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის პრიორიტეტები* 100
E. Beridze. *Priorities for Inclusive Growth of Georgian Economy*

თამარ ბერიძე. *ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება* 105
T. Beridze. *International Experience in State Regulation of Tourism*

ლაშა ბერიძე. *კონკურენციის კვლევა საბანკო სექტორში ირიბი მეთოდის მიხედვით* 109
L. Beridze. *The Research of Competition in the Banking Sector according to the Indirect Method*

აკაკი გაბელაია, ლევან გაბელაია. *საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირების პრობლემა* 115
A. Gabelaia, L. Gabelaia. *The Problem of Forecasting Consolidated Budget Revenues of Georgia*

აკაკი გაბელაია, ლევან გაბელაია. *გრაფიკული ილუსტრაციები კატასტროფების თეორიისთვის*.....121
A. Gabelaia, L. Gabelaia. *Graphic Illustrations of the Catastrophe Theory*

Marius Dan Gavriletea. *COMMUNICATION IN INSURANCE - BENEFITS FOR ROMANIAN CLIENTS. PRACTICAL POINT OF VIEW.* 129

თამარ გამსახურდია, ქეთევან მაისურაძე, იოსებ ბატიაშვილი. *ფინანსური დაგეგმარება, როგორც კომპანიების კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი*.....134
T. Gamsakhurdia, K. Maisuradze, I. Batiashvili. *Financial Planning as a Significant Factor in the Growth of the Welfare of Companies*

მადონა გელაშვილი. *გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველო* 140
M. Gelashvili. *The challenges of globalization and Georgia*

სიმონ გელაშვილი. *იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ გარემოში* 145
S. Gelashvili. *Japan's Contribution in Global Statistical Environment*

Revaz Geradze. *Sovereign Ratings and Sovereign Yield Spreads in Europe* 151

ნაზი გვარამია. *რისკის განსაზღვრა აუდიტურ საქმიანობაში* 158
N. Gvaramia. *Revealing Risk in Audit*

რევაზ გველესიანი. *ეკონომიკური წესრიგის სპეციფიკური ჩარჩო პირობების ფორმირების პრობლემა* 163
R.Gvelesiani. *Problem of Establishing the Specific Frame Conditions for the Economic Order*

ლილი გვენეტაძე. *საქართველოში საფინანსო სექტორის განვითარების თანამედროვე ასპექტები* 167
L. Gvenetadze. *The Modern Aspects of the Financial Sector Development in Georgia*

ნათია გიგინეიშვილი. *სოციალური მედია - პროგნოზირების სანდო ინდიკატორი?* 171
N. Gigineishvili. *Social Media – is it a Reliable Indicator for Prediction?*

მაია გოგოხია. *საბანკო რისკებისა და კომერციული ბანკების საიმედოობის ზოგიერთი საკითხი* 175
M. Gogokhia. *Some Issues of Bank Risks and Commercial Bank's Reliability*

ეკა გრიგალაშვილი. *მოგების გადასახადის რეფორმა და რეინვესტირების სტიმულები კომპანიებში* 180
E. Grigalashvili. *The Profit Tax Reform and Reinvestment Motivations in the Companies*

მაია გრძელიძე. *პროგრამულ - მიზნობრივი მეთოდის განხორციელების თავისებურებები სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვაში* 184
M. Grdzelidze. *Peculiarities of the Implementation of Program-target Method in Planning the State and Municipal Budget*

თინათინ გუგეშაშვილი. *გრძელვადიანი ინვესტიციების დაგეგმვის საკითხისათვის* 189
T. Gugeshashvili. *About some Aspects of Long-term Investment Planning Issues*
ნინო დამენია. *ინტელექტუალური საკუთრება საქართველოში* 195
N. Damenia. *Intellectual Property in Georgia*

მერი დაუშვილი. *საბაჟო სტატისტიკის ფორმირების ეტაპები საქართველოში* 200
M. Daushvili. *Steps of Forming Customs Statistics in Georgia*

თამარ დუდაური. *ეკონომიური წარმოების (Lean production) პროექტის არსი და მისი გავლენა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე* 204
T. Dudauri. *Lean Production of the Project and its Impact on the Competitiveness of the Company*
გულნაზ ერქომაიშვილი, ნინო ფარესაშვილი. *სოციალური მეწარმეობა საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები* 209
G. Erkomaishvili, N. Paresashvili. *Social Entrepreneurship in Georgia: Problems and Prospects*

მარიამ ვარდიაშვილი. *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 8 - საოპერაციო სეგმენტები (კონცეპტუალური საკითხები)* 214
M. Vardiashvili. *International Financial Reporting Standard 8 – Operating Segments (Conceptual Issues)*

ინეზა ვაწაძე. *სოფლის ტურიზმი - არსი და განვითარების პერსპექტივები*.....218
I. Vatsadze. *The Rural Tourism - Essence and Development Perspective*

თენგიზ ვერულავა. *ადამიანის ჯანმრთელობა - ეკონომიკური ზრდის საფუძველი (საქართველოს მაგალითზე)*.....224
T. Verulava. *Health human capital and economic growth in Georgia*

შოთა ვეშაპიძე, მარიამ დარბაიძე, თამარ ბერიძე. *ევროატლანტიკური ფასეულობები: ის, რაც ჩვენ გვაკავშირებს*.....230
S. Veshapidze, M. Darbaidze, T. Beridze. *Euro-Atlantic values: What Ties Us up*

ვაჟა ზეიკიძე, გიორგი მაისურაძე, თამარ კილაძე. *საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა საქართველოში*.....236
V. Zeikidze, G. Maisuradze, T. Kiladze. *Legislative and Legal Guaranteeing of Banking Competition in Georgia*

ნინო ზურაშვილი. *უძრავი ქონების ანალიზი (თბილისის მაგალითზე)*.....240
N. Zurashvili. *Real estate analysis (On the example of Tbilisi)*

ანნა თანდილაშვილი. *ეროვნული იდენტობა და ქვეყნის ბრენდირება გლობალურ სისტემაში* 245
A. Tandilashvili. *National Identity and Country Branding in the Global System*

ნუგზარ თოდუა, ბაბულია მღებრიშვილი, ეკატერინე უროტაძე. *საქართველოს სასურსათო ბაზარზე სამართლებრივი გარემოს ფორმირების ძირითადი ასპექტები*.....250
N. Todua, B. Mghebrishvili, E. Urotadze. *The Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market*

ლია თოთლაძე. *კომპოზიტური და დიფუზიური ინდექსების გაანგარიშების მნიშვნელოვნების შესახებ*.....257
L. Totladze. *Significance of Estimation of Composite and Diffusion Indexes*

თამილა თურმანიძე. *ქალის როლი საზოგადოებასა და ოჯახში*.....262
T.Turmanidze. *Woman's role in sociaty and family*

Лев Ильич Якобсон. *Технократическая политика? О роли экспертов в формировании экономической политики в России* 266
L. Jacobson. *Technocratic policy? On the role of experts in shaping economic policy in Russia*

ნატო კაკაშვილი. *სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობის მექანიზმი*.....272
N. Kakashvili. *The Mechanism for the Financial Stability of Insurance Companies*

ლევან კალანდაძე. *ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში*.....276
L. Kalandadze. *Virtual/Cryptographic Currency Bitcoin and Its Introduction Perspectives in Georgia*

ნანა კაციტაძე. *საქმიანი ტურიზმის აქტუალურობა და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში*.....282
N. Katsitadze. *Actuality of Business Tourism and Development Possibilities in Georgia*

ნათია კახნიაშვილი. *მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა*.....289
N. Kakhniashvili. *System of indexes of population lives level and poverty*

ნადეჟდა კვატაშიძე, ზეინაბ გოგრიჭიანი. *შემოსავლების აღიარების ახალი მოდელი - ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან*.....293
N. Kvatashidze, Z. Gogrichiani. *New Model of Revenues Recognition - IFRS 15 Revenue from Contracts with Customers*

მურმან კვარაცხელია. *ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხისათვისსაქართველოში*.....298
M. Kvaratskhelia. *Economic insecurity issues in post-soviet Georgia*
მარინე კობალავა. *ანტიკრიზისული პიარი*.....304
M. Kobalava. *Anti-crisis PR*

ელგუჯა კონჯარია. *გადასახადების ადმინისტრირების ფორმები მეწარმეობაში*.....307
E. Conjaria. *Tax Administration Forms in Enterprising*

ეკა ლეკაშვილი, ვეკო დოდაშვილი. *საქართველოში ტურიზმის ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების შესწავლის საკითხისთვის*.....312
E. Lekashvili, V. Dodashvili. *For Studying the Issues of Legal Regulation Tourism Business in Georgia*

თეონა მაისურაძე. *ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა წარმატების მიღწევაში*.....317
T. Maisuradze. *Importance of Emotional Intelligence for Achieving Success*

მარინა მაისურაძე. *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენების ზოგიერთი საკითხი*.....321
M. Maisuradze. *Regarding some Aspects of Initial Use of the IFRS*

მაისურაძე ნანა. *ტურიზმის ზეგავლენა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე*.....325
N. Maisuradze. *The Impact of Tourism on the Economies ofDeveloping Countries*

რუსუდან მაისურაძე. *მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა*.....329
R. Maisuradze. *State Support System for Small and Medium Enterprises*

Н.А.Макашева. *Логическая ошибка или провидческое предупреждение? О попытке М.Туган-Барановского соединить рациональный расчет и кантианский императив* 333
N.A.Makasheva. *Logic Error or Prophetic Warning: On M.Tugan-Baranovsky's Attempt to Unify Rational Accounting and the Kantian Imperative*

ქეთევან მარშავა, ლია ძებისაური. *საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა და ტენდენციები ემბარგოს შემდეგ* 337
K. Marshava, L. Dzebisauri. *Perspective and Tendencies of Russian Market for Georgia after Embargo*

მიხეილ მაჩიტიძე, შორენა დავითაია. *ინფორმაციული ნაკადების ოპტიმიზაცია და სრულყოფა ორგანიზაციაში სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მაგალითზე* 345
M. Machitidze, Sh.Davitaia. *Optimization and Improvement of Information Flow in the Organization (the Example of "Georgian State Elektrosystem" jsc)*

გოჩა მენაფირე. *თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება* 350
G. Menaphire. *Free Economic Zones in Georgia and the International Experience*

თამთა მესხორაძე. *საგარეო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და მისი შეფასება ტრანსფორმაციის პროცესში ჩართული ქვეყნებისთვის* 355
T . Meskhoradze. *External Debt Effect on Economic Growth and Its Assessment for Transitional Countries*

ელგუჯა მექვაბიშვილი. *მოდერნიზაციული ავტორიტარიზმის ეკონომიკური შინაარსი: საქართველოს გამოცდილება* 361
E. Mekvabishvili. *Economic Content of Modernized Authoritarianism: Georgia's Experience*

მარინე მინდორაშვილი. *გლობალიზაცია სტატისტიკის თვალთახედვით*.....368
M. Mindorashvili. *Globalization From the Point of View of Statistics*

ნინო მიქიაშვილი. *მიგრაციული პროცესების მოდელირების საკითხისთვის* 373
N. Mikiashvili. *Issues of Migration Process Modeling*

Zurab Mushkudiani, Nana Shonia. *Some Aspects of Inernational Innovative Financial Instruments* 379
Z. Mushkudiani, N. Shonia. *Some Aspects of Inernational Innovative Financial Instruments*

მურად ნარსია. *აუდიტი: ახალი გამოწვევები საჯარო შესყიდვების სფეროში* 384
M. Narsia. *Audit: New Challenges in the Field of Public Procurement*

მარინა ნაცვალაძე. *საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები გლობალური გამოწვევების ფონზე*.....388
M. Natsvaladze. *Opportunities of Development of Green Economics and Global Challenges*

ია ნაცვლიშვილი. *ევროკავშირის ქვეყნებში საოჯახო ფერმერული მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის* 393
I. Natsvlishvili. *Modern Practice of Family Farming in European Union and Its Implication for Georgia*

მაია ნიკვაშვილი. *კონსტრუქციული ქცევის სტიმულირება კონფლიქტურ სიტუაციაში*.....398
M. Nikvashvili. *Stimulation of Constructive Behavior in Conflict Situations*

Inta Ostrowska, Dmitry Olehnovich. *Smart Territorial Development Index: the Case of Latvia*

ნანული ოქრუაშვილი, მაია სეთური. *აგროსასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში და საქართველოში* 402
N. Okruashvili, M. Seturi. *Current Condition of Agro Food Market in Georgia and in the World*

ვლადიმერ პაპავა. *რეტროეკონომიკა - ნეკროეკონომიკის გლობალიზაციის წინაპირობა*..409
V. Papava. *Retroeconomy – Pre-Condition for Globalization of the Necroeconomy*

თინათინ ჟორჟოლიანი. *უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესის მაგალითზე)* 413
T. Zhorzholiani. *The effects of Foreign Direct Investment inflows on Host Country (a case of Construction Business in Ajara Autonomous Republic)*

ბადრი რამიშვილი. *ბიზნესის ვირტუალიზაციის გლობალური ტენდენცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული პრობლემები* 420
B. Ramishvili. *The Global Trend of Virtualization of Business and Organizational Issues Associated with It*

ლევან საბაური, ანჟელი ხორავა. *ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა და ფინანსური ანგარიშგების ფორმირება ფასს-ისა და ბასს-ის გათვალისწინებით* 426
L. Sabauri, A. Khorava. *Improvement of Business Accounting and Formation of Financial Accounting by Taking into Consideration IFRS and IAS*

უშანგი სამადაშვილი. *მრავალვექტორიანობა-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი*.....436
U. samadashvili. *Multivectorness - the Catalyst for the Economic Growth of Georgia*

ნინო სამჭკუაშვილი. *კლასტერების როლი და მნიშვნელობა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში* 446
Nino Samchkuashvili. *The Role and Importance of Clusters in Increasing the Competitiveness of the Company*

რუსუდან სეთურიძე. *საბაჟოს მართვის ეფექტიანობის ამაღლება რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით*.....450
R. Seturidze. *Improving Customs Control Efficiency through the Automated Risk Control System*

რუსუდან სირბილაძე. *ტურიზმის განვითარება საქართველოში გლობალიზაციის ასპექტით* 454
R. Sirbiladze. *Tourism Development in Georgia in the Aspects of Globalization*

დემურ სიჭინავა, თეიმურაზ გოგნაძე. *ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის არსი, თავისებურებანი და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში*.....459
D. Sichinava, T. Gognadze. *The Essence, Features and Application of Virtualization Technology in Georgia*

დავით სიხარულიძე. *პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)* 463
D. Sikharulidze. *The Impact or Foreign Direct Investment on Economic Growth: a Case Study of Georgia*

დალი სოლოღაშვილი. *ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება გლობალურ ბიზნესში*..466
D. SologaShvili. *Accounting and Reporting in Global Business*

ნანა სრესელი. *სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის თავისებურებები*.....469
N. Sreseli. *Features of Accounting Government Grants*

იური სუხიტაშვილი, გულნარა იმედაშვილი. *კონცესიები ტრანსპორტის სფეროში* 475
I. Sukhitashvili, G. Imedashvili. *Concessions in the Transport Sector*

მარინა ტაბატაძე. *სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში* 480
M. Tabatadze. *Political Strategy of the Country during the Unstable Economic Environment*

ირმა ტყემალაძე. *დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის პერსპექტივები საქართველოში*.....484
I. Tkemaladze. *Prospects for Introduction of Accumulative Pension System in Georgia*

რამაზ ფუტკარაძე. *ევროპული ინტეგრაციის ისტორიული ასპექტები*.....490
R. Putkaradze. *Historical Aspects of European Integration*

ლეილა ქადაგიშვილი. *ბუნებრივი რესურსები - ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორი*.....496
L. Kadagishvili. *Natural Resources as a Contributor to the Formation of Technologica lEnvironment of Business*

ნარგიზა ქარქაშაძე, ნ. კაკაურიძე. *ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთის რეგიონში* 501
N. Karkashadze, N.Kakauridze. *The Prospects of the Development of Eco-tourism in the Region*

გიული ქეშელაშვილი. *მართვის ხარისხი და მისი გავლენა საქართველოს საჯარო სექტორზე*.....505
G. Keshelashvili. *Management Quality and its Impact on Public Sector of Georgia*

რუსუდან ქინქლაძე, გულიკო ყურაშვილი. *მიგრაციული პროცესების ინფორმაციული წყაროები და მიგრაციის მაჩვენებლები*.....509
R. Kinkladze, G. Kurashvili. *Informational Sources of Migration Processes and Indicators of Migration*

რუსუდან ქუთათელაძე, ქეთევან ქუთათელაძე. *საქართველოს ინოვაციური განვითარების სტარატეგია*.....513
R. Kutateladze, K. Kutateladze. *The Strategy of Innovative Development of Georgia*

გიორგი ღაღანიძე. *საქართველოს 2015 წლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი: შესაძლებლობები და გამოწვევები*.....517
G. Gaganidze. *Analyses of the Results of the Foreign-Economic Activities of Georgia in 2015:Opportunities and Challenges*

თამარ ღუტიძე. *აგრობიზნესის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში*.....523
T. Ghutidze. *The Main Tendencies of the Functioning of Agribusiness and Financial System in Georgia*

ლარისა ყორღანაშვილი. *საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში*.....528
L. Korganashvili. *Problems of Competitiveness of Georia's Exposts in the Conditions of Globalization*

შოთა შაბურიშვილი. *ტრანსნაციონალური კორპორაციები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი*.....533
Sh. Shaburishvili. *Transnational Corporations and International Transfer of Technology*

თეიმურაზ შენგელია. *კულტურა, როგორც „ცოდნის პერცეპცია" და მისი ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესზე*.....537
T. Shengelia. *Culture, as a „Perception of Knowledge" and its Role in International Business*

გიორგი შიხაშვილი. *თვითმენეჯმენტის თეორიიდან პრაქტიკისაკენ: კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები*.....543
G. Shikhashvili. *From Self-Management Theory to Practice: Career Planning and Setting up Principles*

მარინა ჩავლეიშვილი. *ფერმერული მეურნეობების მასშტაბების ზრდის პოტენციური შესაძლებლობები საქართველოში*.....548
M. Chavleishvili. *Farming Potential Growth Opportunities in Georgia*

ლია ჩარექიშვილი. *სკოლამდელი განათლება - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხური* 554
L. Charekishvili. *Pre-school education - Zero level of the International Standard Classification of Education*

მიხეილ ჩიკვილაძე. *საქართველოს საჯარო ფინანსები და მაკროეკონომიკა*.....559
M. Chikviladze. *Public Finance of Georgia and Macroeconomics*

ქეთევან ჩიტალაძე. *საქართველოს ტურისტული პოტენციალის გამოყენების თანამედროვე ტენდენციები*.....563
K. Chitaladze. *Modern Tendencies in Applying of Tourism Potential in Georgia*

მალხაზ ჩიქობავა, ნაზირა კაკულია. *თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შესაძლებლობები უარყოფითი საპროცენტო განაკვეთებით*.....569
M. Chikobava, N. Kakulia. *The possibility of Overcoming the Current Economic Crisis through the Use of Negative Interest R ates*

ავთანდილ ჩუთლაშვილი. *საქართველოსმოსახლეობის დანაზოგების საინვესტიციო პოტენციალი*.....574
A. Chutlashvili. *Investment Potential of the Savings of Georgian Population*

დალილა ცატავა. *გასტრონომიული კულტურა როგორც სისტემა და ქვეყნის საიმიჯო რესურსი*.....579
D. Tsatava. *Gastronomic Culture as a System and the Country's image Resource*

ციცინო ძოწენიძე, გიორგი იაკობიძე. *სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა საჯარო საქონელთან მიმართებაში* 584
Ts. Dzotsenidze, I.Iakobidze. *State Economic Policy with Respect to Public Goods*

მაია ჭანია. *ეკონომიკური ზრდის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები ღია ეკონომიკის პირობებში*.....589
M. Chania. *Criteria and Indicators of the rate of Economic Growth in Open Economy*

მედეა ჭელიძე, გოგა გელიტაშვილი. *საკრედიტო რისკის მართვის შესახებ*.....595
M. Chelidze, G. Gelitashvili. *Credit Risk Management*

იზოლდა ჭილაძე. *საწარმოს გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების შეფასების სადისკუსიო საკითხები*.....599
I. Chiladze. *Discussion Aspects of Entity's Long-term Assets Impairment Loss Evaluation*

ეთერ ხარაიშვილი, ნინო საღარეიშვილი. *ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამები და მათი ეფექტიანობა* 604
E. Kharaishvili, N. Sagareishvili. *Export Promotion Programs of Georgian Agricultural Products and its Efectivness*

მედეა ხარაიშვილი. *ფინანსური კრიზისების ფორმირება და მსოფლიოს ეკონომიკაზე მისი გავლენის ზოგიერთი საკითხი* 608
M. Kharaishvili. *The Formation of Financial Crisis and some Issues about its Influence on World Economics*

ნატალია ხარაძე, ეკატერინე გულუა. *მაგისტრანტთა თვითმენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში*.....613
N. Kharadze, E.Gulua. *Self-Management Peculiarities of Masters' Students in Georgia*

მანანა ხარხელი, გიორგი მორჩილაძე. *ემოციური ინტელექტის განვითარების მნიშვნელობა ბიზნესში*.....617
M. Kharkheli, G. Morchiladze. *Importance of development emotional intelligence*

მერაბ ხმალაძე. *მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის ფორმირება* 622
M. Khmaladze. *Formation of Gender Composition of Population*

ჩარიტა ჯაში, თამარ ჯანგულაშვილი. *მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური ასპექტები (კონცეპტუალური მიმოხილვა)*.....626
Ch. Jashi, T. Jangulashvili. *Social-Ethic Aspects of Marketing (conceptual overview)*

მერაბ ჯიქია. *ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი*.....632
M. Jikia, *Cash flow analysis*

ემზარ ჯულაყიძე. *გლობალური კონკურენცია და წარმატებული სტრატეგია*.....639
E. Julakidze. *Global Competition and a Successful Strategy*

Günter Hofbauer. *The Impact of Procurement on Value Creation* 642

სისხლის სამართლის სტატისტიკის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

ნინო აბესაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია მჭედლიშვილი,
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური
განყოფილების სტატისტიკის სექტორის ხელმძღვანელი

სტატიაში აქცენტი გაკეთებულია სამართლებრივ სტატისტიკაში მაჩვენებელთა გაანგარიშების თავისებურებებზე. დახასიათებულია სისხლის სამართლის საქმეების მოძრაობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა პირველი ინსტანციის სასამართლოების მიხედვით. მოცემულია მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიის (CEPEJ) მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *დანაშაული, სასჯელი, საქმე, დამნაშავე, ანალიზი.*

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პირობას დამოუკიდებელი მართლმსაჯულება წარმოადგენს. სასამართლოების დამოუკიდებლობის განვითარების ტენდენციების შეფასებაში მნიშვნელოვანი ინდიკატორია სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები.

სამართლებრივ სტატისტიკაში მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია სპეციფიურია და დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

სამართლებრივი სტატისტიკა აერთიანებს სამ დარგს: სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა სტატისტიკას. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებთ სისხლის სამართლის სტატისტიკის მეთოდოლოგიურ საკითხებზე და დეტალურად განვიხილავთ სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეების მოძრაობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას პირველი ინსტანციის სასამართლოების მიხედვით.

სისხლის სამართლის საქმეთა მოძრაობის ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლებია: განუხილველ საქმეთა ნაშთი საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის, შემოსულ საქმეთა რაოდენობა, განხილულ საქმეთა რაოდენობა, განუხილველ საქმეთა ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. არსებული მეთოდოლოგიით ასევე გაიანგარიშება განსახილველ საქმეთა საერთო რაოდენობაც - წინა წლის საქმეთა ნაშთს ემატება საანგარიშო პერიოდში შემოსული საქმეების რაოდენობა.

სასამართლოებში განხილული საქმეები შეიძლება დამთავრდეს შემდეგი შედეგით:

- გამოტანილ იქნეს განაჩენი;
- შეწყდეს საქმის განხილვა;
- საქმე დაუბრუნდეს პროკურატურას.

სასამართლო სტატისტიკის ამოცანა სწორედ ინდიკატორების - შემოსული, განსახილველი, განხილული საქმეების, დამდგარი შედეგებისა და სხვათა მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებაში მდგომარეობს.

სამართლებრივი სტატისტიკა განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეთა რაოდენობაში აღრიცხავს სასამართლოების მიერ გამოტანილი როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობას. ამასთან, სასამართლო სტატისტიკაში საქმე აღირიცხება მასში მონაწილე მთავარი (ანუ პირველი) ბრალდებულის ძირითადი მუხლის მიხედვით.

გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში სტატისტიკურად აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო გამამართლებელ განაჩენში აღირიცხება საქმეების რაოდენობა, რომელზეც სრულად (ყველა მუხლის მიხედვით) დადგა გამამართლებელი განაჩენი. სამართლებრივ სტატისტიკაში აღირიცხება იმ საქმეების რაოდენობაც, რომელზეც დადგა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი (ზოგიერთ მუხლში გამართლდა, მაგრამ სხვა მუხლებით დადგა გამამტყუნებელი განაჩენი).

სამართლებრივი სტატისტიკა განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობაში აღრიცხავს, როგორც არსებითი განხილვით, ასევე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განხილული საქმეებისა და პირების რაოდენობას (Лунеев,В.В. Юридическая статистика. М,2010.стр.195)(არა აქვს მნიშვნელობა საპროცესო შეთანხმებით იყო საქმე შემოსული თუ არსებითი განხილვით).

ცალკე აღირიცხება მონაცემები საპროცესო შეთანხმების რაოდენობის შესახებ: კერძოდ, აღირიცხება პროკურატურიდან საპროცესო შეთანხმებით შემოსული საქმეები, არსებითი განხილვით შემოსული საქმეები, რომლებზეც სასამართლო განხილვის დროს გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და განაჩენების რაოდენობა, რომლებზეც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, არა აქვს მნიშვნელობა საპროცესო შეთანხმებით იყო საქმე შემოსული, თუ არსებითი განხილვით.

სამართლებრივ სტატისტიკაში ცალკე აღირიცხება საქმეები, რომელზეც სასამართლომ სხვადასხვა საფუძვლის გამო გამოიტანა განჩინება საქმის შეწყვეტის შესახებ და საქმეები, რომელზეც სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანა განჩინება საქმის განრიდებისათვის დაბრუნების შესახებ და საპროცესო შეთანხმებაზე უარის შემთხვევაში, საქმის პროკურატურისათვის უკან დაბრუნების თაობაზე, ასევე პროკურატურის მიერ გათხოვილი საქმეების რაოდენობაც. (Савюк Л.К. Правовая статистика. М., , 2006. Стр.377)

საქართველოს სასამართლო სისტემა მჭიდროდ თანამშრომლობს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასთან (The European Commission for the Efficiency of Justice). CEPEJ-ის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგია ნაწილობრივ არ ემთხვევა საქართველოში წარმოებული სტატისტიკის მეთოდოლოგიას.

გასაანგარიშებლად მაგალითისათვის მოვიყვანოთ საქართველოს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში შემოსული და განხილული სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკა.(მონაცემები აღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდის: ,,www.supremecourt.ge”-ს სტატისტიკის ბმულიდან)

2015 წელს საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში განსახილველად შემოვიდა 15310 სისხლის სამართლის საქმე, 1025 საქმით, ანუ 6,3%-ით ნაკლები, ვიდრე 2014 წელს. მიუხედავად შემოსული საქმეების შემცირებისა, დამთავრებული საქმეების რაოდენობა შემცირდა 9,3%-ით და 2015 წელს შეადგინა 14187 საქმე.(იხ.დიაგრამა 1)



დიაგრამა 1. საქმეთა მოძრაობა (2014 -2015 წლები)

ეს და ყველა შემდეგი დიაგრამა აგებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

CEPEJ სასამართლოების საქმიანობის შესაფასებლად გვთავაზობს ორ ძირითად ინდიკატორს. (Восточное партнерство Содействие провавой реформе в странах Восточного партнерства. Страсбург. 2014. Стр.195) ესენია: *განხილულ საქმეთა პროცენტი და საქმეთა განხილვის ვადა.*

განხილულ საქმეთა პროცენტის გამოსათვლელად საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს შეფარდებითი მაჩვენებელი, რომლის მისაღებად, საანგარიშო პერიოდში განხილულ საქმეთა რაოდენობა უნდა შევუფარდოთ იმავე პერიოდში შემოსულ საქმეთა რაოდენობას. ოფიციალური მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი 2015 წლისათვის 92,7%-ის ტოლია:

$$K = \frac{14187}{15310} * 100 = 92,7\%,$$

ხოლო 2014 წლისათვის მაჩვენებელი 95,7%-ს უტოლდებოდა:

$$K = \frac{15635}{16335} * 100 = 95,7\%$$

აღნიშნული მაჩვენებლის 100%-თან მიახლოება (მოწინავე პრაქტიკად ითვლება 103% და მეტი) ნიშნავს, რომ სასამართლო სისტემა სრულად უზრუნველყოფს საქმეთა განხილვას იმ პერიოდში, რა პე-

რიოდისთვისაც იქნა ეს მაჩვენებელი გაანგარიშებული. ეს კი ნიშნავს, რომ მცირდება პოტენციურად განუხილველ საქმეთა რაოდენობა. 100%-ზე ნაკლები (საგანგაშოდ მიიჩნევა 84% და ქვემოთ) მაჩვენებლის მიღებისას, კი ცხადია იზრდება საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის განუხილველ საქმეთა რაოდენობა. მართალია ამ მხრივ საქართველოს არა აქვს მოწინავე პრაქტიკა, მაგრამ ინარჩუნებს ნეიტრალურ დონეს და არ ითვლება საგანგაშოდ.

სასამართლოთა დატვირთვა გამოხატავს თანაფარდობას საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის განხილვას დაქვემდებარებულ საქმეთა რაოდენობასა და საერთოდ შემოსულ საქმეების რაოდენობას შორის იმავე პერიოდში. ეს მაჩვენებელი აკეთებს იმის დემონსტრირებას, თუ რამდენი საქმე გროვდება ,,მაგიდაზე“ წლიური სამუშაო დატვირთვასთან შედარებით.

სასამართლო სტატისტიკისათვის ასევე მნიშვნელოვანია *განუხილველ საქმეთა რაოდენობის განსაზღვრის* მაჩვენებელი. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია იდენტურია ამჟამად ჩვენთან სასამართლო სტატისტიკაში არსებული მეთოდოლოგიისა.

განუხილველ საქმეთა მაჩვენებელი მიიღება წლის ბოლოს განსახილველ საქმეთა რაოდენობის შეფარდებით საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებული განსახილველი საქმეების რაოდენობასთან.

2015 წლის მონაცემების მიხედვით განუხილველ საქმეთა ნაშთმა პროცენტებში შეადგინა 21,5% ($\frac{3876}{2753+15310}100$), ხოლო 2014 წლისათვის იგი 15,0%-ის დონეზე დაფიქსირდა ($\frac{2755}{2053+18388}100$). ეს ნიშნავს, რომ 2015 წელს განუხილველ საქმეთა მაჩვენებელი 6,5 პროცენტული პუნქტით მეტია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

CEPEG-ს რეკომენდაციით და ჩვენი მეთოდოლოგიითაც განისაზღვრება ასევე *დაგროვილი (განუხილველი საქმეების ნაშთი) საქმეების აბსოლიტური მაჩვენებელიც* - პერიოდის დასაწყისში განსახილველი საქმეების რაოდენობასა და იმავე პერიოდში განხილულ საქმეთა რაოდენობას შორის სხვაობა, რაც პირდაპირ ავლენს პერიოდის ბოლოს განუხილველი საქმეების რაოდენობის შემცირების (ან ზრდის) ფაქტს. (Восточное партнерство Содействие провавой реформе в странах Восточного партнерства. Страсбург. 2014. Стр.195-196) აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წლისათვის შეადგენს 3876 საქმეს,(2753+15310-14187),ხოლო 2014 წლისათვის შეადგენდა 2753 საქმეს.(2053+16335-15635)

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, როგორც აბსოლიტური, ასევე პროცენტული მაჩვენებლების ასეთი ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ პერიოდში მოსამართლეთა გარკვეულ რაოდენობას გაუვიდა უფლებამოსილების ვადა, რამაც გამოიწვია მოსამართლეთა რიცხვის შემცირება და სასამართლოები ვეღარ უმკლავდებოდნენ შემოსულ საქმეთა ნაკადს.

CEPEG-ს რეკომენდაციით მნიშვნელოვანია მეორე ინდიკატორის - *განხილულ საქმეთა ვადის გაანგარიშება (ან საქმეთა განხილვისათვის საჭირო დრო).* განხილვის ვადების განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს თუ როგორ უმკლავდება სასამართლო სისტემა საქმეთა დიდ ნაკადს, უფრო ზუსტად, საქმეთა ბრუნვის კოეფიციენტი და განხილვის ვადები წარმოადგენს თანაფარდობას საანგარიშო პერიოდში განხილულ საქმეთა რაოდენობასა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს განუხილველ საქმეთა რაოდენობასთან. კოეფიციენტები განსაზღვრავენ რამდენი დრო სჭირდება სასამართლოს ამა თუ იმ ტიპის საქმის განხილვისას. აღნიშნული თანაფარდობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნას ორი მეთოდით: პირველი ეს არის საქმეთა ბრუნვის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს თანაფარდობას საანგარიშო პერიოდში განხილულ და საანგარიშო პერიოდის ბოლოს განუხილველ საქმეებს შორის. 2015 წლისათვის ეს მაჩვენებელი (საქმეთა ბრუნვის კოეფიციენტი) მ 3,66-ის ტოლია: (აქ და შემდგომ კოეფიციენტები გაანგარიშებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე)

$$K = \frac{14187}{3876} = 3{,}66$$

2014 წელს კი - 5,7:

$$K = \frac{15633}{2755} = 5{,}70$$

მეორე მეთოდი გვაძლევს დღეთა იმ რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას, რომლის განმავლობაში საქმეები იმყოფება განხილვის პროცესში, ან რჩება განუხილველი სასამართლოში. *განხილვის ვადის გაანგარიშებითი მაჩვენებელის* გამოსათვლელად საჭიროა ჯერ გაანგარიშებულ იქნას საქმეთა ბრუნვის კოეფიციენტი, რომელსაც შეეფარდება კალენდარულ დღეთა რაოდენობა.

განხილვის ვადის გაანგარიშებითი მაჩვენებელი 2015 წლისათვის გაუტოლდა 99,7-ს,

$$\frac{365}{K} = \frac{365}{3,66} = 99,7,$$

ხოლო 2014 წლისათვის - 64-ს უტოლდება $\frac{365}{K} = \frac{365}{5,70} = 64$

აღნიშნული მოქმედება, რომელიც საჭიროა საქმეთა ბრუნვის კოეფიციენტის დღეებში გადასაყვანად, ჩვენი აზრით, უფრო მარტივად აღქმადი და რეალური სურათის მომცემია. მაგალითად: სასამართლო დროის გაჭიანურება 2014 წლის 64 დღიდან 2015 წლის 99 დღემდე უფრო მარტივად აღსაქმელია, ვიდრე საქმეთა განხილვის კოეფიციენტის ცვლილება 5,7-დან 3,6-მდე. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს კოეფიციენტიც არ იძლევა საშუალებას ზუსტად შევაფასოთ თითოეული საქმის განხილვისათვის საჭირო საშუალო დროის რაოდენობა. გარდა ამისა, აღნიშნული კოეფიციენტი არ იძლევა საშუალებას გაანალიზებულ იქნებს საქმეთა შემადგენლობა, მივიღოთ ინფორმაცია თავმოყრასა და დასაბუთებულობის შესახებ. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, ზემოაღნიშნული *განხილვის ვადის გაანგარიშებითი მაჩვენებელი* მაინც ყველაზე მეტად უახლოვდება რეალობას.

არსებობს ასევე განხილვის ვადების გაანგარიშებითი მაჩვენებლის გამოთვლის შედარებით გამარტივებული ვერსიაც, რომლის მიხედვით განუხილველ საქმეთა ნაშთი პერიოდის ბოლოს უნდა გაიყოს განხილულ საქმეებთან და შედეგი გამრავლდეს 365 დღეზე. აღნიშნული მეთოდოლოგიით 2015 წლისათვის ვღებულობთ:

$$K = \frac{3876}{14187} * 365 = 99,7,$$

ხოლო 2014 წლისათვის: $K = \frac{2755}{15633} * 365 = 64$

ამ კოეფიციენტის გამოყენების უპირატესობაა ის, რომ შესაძლებელი ხდება განისაზღვოს თუ რა დრო სჭირდება თითოეული საქმის განხილვას. ეს კი თავისთავად ქმნის წინაპირობას სასამართლო საქმიანობის სწორი მენეჯმენტისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში სისხლის სამართლის სტატისტიკა საქმეთა განხილვის საშუალო ვადას ანგარიშობს კალენდარული დღეებიდან თითოეულ განხილულ საქმეზე დახარჯული დროის საშუალო არითმეტიკულით, რომელიც იწონება საქმეთა რაოდენობის მიხედვით (ანუ ვითვლით თითოეული საქმის განხილვას რა დრო დაჭირდა და შემდეგ იანგარიშება მათი საშუალო, რომელიც შეწონილია საქმეთა რაოდენობაზე)

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს მონაცემების მიხედვით საქმეთა განხილვის საშუალო ვადებს, სულ განხილული საქმეების მიხედვით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო ვადა 2015 წელს შეადგენდა 61 დღეს, ხოლო მხოლოდ არსებითად განხილული საქმეების მიხედვით განხილვის საშუალო ვადა შეადგენს 99 დღეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საშუალო ვადის მიხედვით ყველა სასამართლო აკმაყოფილებს კანონით დადგენილ 6 - თვიან ვადას.

მაშ რამ განაპირობა მაჩვენებლებში ასეთი განსხვავება? საქმე ისაა, რომ მაღალია საპროცესო შეთანხმებით განხილილ საქმეთა რაოდენობა, ისინი ხშირ შემთხვევაში იხილება ერთ დღეში, რის გამოც მცირდება განხილვის ვადის საშუალო მაჩვენებელი. აღნიშნულის გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტიურად ჩვენს მიერ გამოთვლილი ვადის საშუალო ხანგძლივობის მაჩვენებელი ემთხვევა CEPEJ-ის (The European Commission for the Efficiency of Justice) მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით გამოთვლილ მაჩვენებელს.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად საქმეთა განხილვის საშუალო ვადებთან დაკავშირებით განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომისა, ვადების რეალური მონაცემები არ ცდება ერთმანეთს. თუმცა მისაღებია მათი გათვალისწინება სამართლებრივ სტატისტიკაში ევროკავშირის საერთო მოთხოვნებთან ჰარმონიზების მიზნით.

საინტერესოა შემოსული საქმეების რაოდენობის ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლები. 2015 წელს მოსახლეობის 10 000 კაცზე გაანგარიშებით შემოსული სისხლის სამართლის საქმეების რაო-

დენობამ შეადგინა 41, ნაცვლად 2014 წლის 36 საქმისა, ხოლო განხილული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 38, ნაცვლად 2014 წლის 35 საქმისა. თუმცა აქვე უნდა აღნიშნიშნოს რომ ეს ცვლილება ძირითადად გამოწვეულია არა სასამართლოებში შემოსული საქმეების გაზრდით, არამედ საქართველოს მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი შემცირებით. საქსტატის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა 4490,5 ათას კაცს, ხოლო 2015 წლისათვის 3713,7 ათასი კაცი დაფიქსირდა.

გაზრდილია ასევე მოსახლეობის 10 000 კაცზე გაანგარიშებით საქმეების რაოდენობის ცვლილების მაჩვენებელი - ჯაჭვური მეთოდით გაანგარიშებული ზრდის კოეფიციენტი, რომელმაც 2015 წელს შემოსული საქმეების მიხედვით 113,9%, ხოლო განხილული საქმეების მიხედვით 108,6% შეადგინა.



დიაგრამა 2. შემოსული და განხილული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა მოსახლეობის 10 000 კაცზე გაანგარიშებით.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიის (The European Commission for the Efficiency of Justice) მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები ნელ-ნელა ინერგება საქართველოს სამართლებრივი სტატიტიკის პრაქტიკაში. მათი სრული გათვალისწინება უზრუნველყოს სამართლებრივ სტატისტიკის ევროკავშირის საერთო მოთხოვნებთან ჰარმონიზება

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გლოველი ე.სისხლის სამართლის დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება საქართველოში. დისერტაცია.თბ.,2014.
2. მარშავა,ქ. მინდორაშვილი მ.-იურიდიული სტატისტიკა. პრაქტიკა, ანალიზი/ სახელმძღვანელო, თბილისი, „უნივერსალი“, 2011.
3. Восточное партнерство Содействие провавой реформе в странах Восточного партнерства. Страсбург. 2014.
4. Саврюк Л.К. Правовая статистика: Учебник. – М., Юристь, 2006.
5. Лунеев,В.В. Юридическая статистика (Институт государства и права РАН, Академический правовой институт. -3-е изд., перераб. и доп. -М. :Норма :Инфра-М,2010.
6. Судебная(Правовая)статистикаю Новополоцк,2014. http://www.psu.by/images/stories/uf/kriminalist/umo/sudstat.pdf
7. Хартли А. Статистика. Первая книга. Учебно – методическое пособие. Пер. с англ. Москва, 2004.
8. www.supremecourt.ge
9. **www.geostat.ge**

The Main Tendencies of Improvement of Methodology of Criminal Statistics in Georgia

N. Abesadze, I. Mchedlishvili

Summery

The article focuses on the of calculation of indicators of legal statistics. Also it is characterized the indicators of the movement of criminal cases in courts of the first instance. In this article are considered questions of the recommendation of methodology of calculation of indicators of legal statistics which was offered by the European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ).

Keywords: crime, dealing, guilty, indicators, analysis.

ტურისტული ხარჯების სტატისტიკური ინდიკატორები საქართველოში

ნინო აბესაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

მარინე მინდორაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ნინო ფარესაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურისტულ ხარჯებს ტურიზმის სტატისტიკურ ინდიკატორთა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. განსაკუთრებით დიდია მათი როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში. მსხვილ აეროპორტებში ჩატარებული კვლევა უცხოელი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების შესახებ ამ პრობლემის გადაწყვეტისთვის კიდევ ერთ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, კვლევამ შედეგი გამოიღო და დაგვანახა რეალური სურათი. რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხებზე, წარედგინება საქსტატს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, კვლევა, ვიზიტორი, ხარჯი, ანალიზი.*

დღეისათვის საქართველოში ტურიზმის სტატისტიკა ტრანსფორმირებისა და სრულყოფის ეტაპზეა. ფაქტობრივად, ძირითადი პრობლემები ინფორმაციის მოპოვების სირთულესა და არასრულ აღრიცხვიანობას უკავშირდება: ერთი მხრივ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორში ტურიზმი, როგორც საქმიანობის სახე, ცალკე არ არის გამოყოფილი. ამიტომ ის ინფორმაცია, რომელიც გარკვეული დოზით მოიცავს ტურისტულ მოვლენებს, ჩაშლილია მომსახურების სხვადასხვა დარგსა და ეკონომიკის სექტორში. მეორე მხრივ, მომსახურების დარგებითაც სრულად არ ხდება მომსახურების ობიექტების მოცვა, სადაც ტურიზმია წარმოდგენილი.(ნ.აბესაძე. რ.ქინქლაძე, ქ.ჩიტალაძე, 2015.გვ.84) ამის გამო, დღეისათვის საქართველოში ჯერ კიდევ რეალურად ვერ ანგარიშობენ ტურიზმის ინდიკატორებს და შესაბამისად, ვერც მათი რაოდენობრივი ანალიზი ხერხდება. აქედან გამომდინარე, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთი ცდაა გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას და შემდგომი ბიძგი მისცეს უფრო მაღალი დონის კვლევებს ტურისტული ხარჯების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლის საქმეში.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა უცხოელ ვიზიტორთა კვლევამ მოიცვა 2016 წლის მაის-აგვისტოში საქართველოში საჰაერო ტრანსპორტით ჩამოსული უცხოელი ვიზიტორები. ამიტომ, გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს უმსხვილეს აეროპორტებში. შერჩევის პოპულაციამ 2167 ადამიანი შეადგინა, რაც ჩვენი გაანგარიშებისა და საპილოტე კვლევიდან დადგინდა ქვეყნიდან წამსვლელ უცხოელ ვიზიტორთა რეპრეზენტატული პოპულაციიის საფუძველზე.

ანკეტა შედგენილი იყო 16 კითხვისგან და მოიცავდა საკითხებს რესპონდენტთა სქესის, ასაკის, სამუშაო სტატუსის, მოქალაქეობის, საქართველოში ვიზიტებისა და გატარებული ღამეების რაოდენობის, განთავსების საშუალებების ტიპის, ჩამოსვლის მიზნის, სატრანსპორტი საშუალების სახეობის, მონახულებული ადგილების, ტურისტული პაკეტის სახეობის, ფასის, გაწეული ხარჯების და ა.შ. შესახებ. (Methodological manual for tourism statistics. Version 3.1 Eurostat. Manuals and guidelines. 2014 edition pp.111-156.)

შსს-ს ოფიციალური მონაცემებით საქართველოდან გამსვლელ უცხოელ მოგზაურთა რაოდენობის მიხედვით უპირობო ლიდერი თბილისის აეროპორტია, რომლის წილი საჰაერო ტრანსპორტით მოსარგებლე უცხოელ მგზავრთა რაოდენობაში 81,9%-ია. ქუთაისის აეროპორტის - 10.1%, ხოლო ბათუმის - 8.0%-ია. რესპონდენტების, გადანაწილება აეროპორტების მიხედვით მოხდა საერთაშორისო აეროპორტებში ჩამოსული ვიზიტორების რიცხოვნობისა (მოქალაქეობის ქვეყნის შესაბამისად) და გასამგზავრებლად გაყიდული ბილეთების რაოდენობის პროპორციულად. შედეგად, აეროპორტების მიხედვით რესპონდენტებისათვის განისაზღვრა შემდეგი კვოტები: 1775 - თბილისი, 174 - ქუთაისი და 218 - ბათუმი.

კვლევის პროცესში შერჩევის ხერხებიდან გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდი, რომელიც გულისხმობს საკუთრივ-შემთხვევითი და პროპორციული შერჩევის წესებს, რადგან საკუთრივ-შემთხვევითი მეთოდი ყველაზე მიუკერძოებელ შედეგებს უზრუნველყოფს, ხოლო პროპორციული - ყველაზე ხელმისაწვდომია არსებული რესურსების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა მამაკაცია - 52,8%. გამოკითხულთა 58,3% დაქირავებული მომუშავეა, 18,9 - თვითდასაქმებული, 4,7% პენსიონერია, 2,5% უმუშევარი, ხოლო 5,4% - დიასახლისი. რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი - 33,5%, 20-30 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, 32,2% 31-40 წლისაა, ხოლო 41-50 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა მათი 16,5%, გაცილებით ნაკლები იყო 61 და ზევით ასაკის ჩამომსვლელთა წილი (5,5%).



დიაგრამა 1. ტურისტების განაწილება ასაკის მიხედვით
წყარო: ეს და სხვა ყველა დიაგრამა აგებულია ჩვენი გაანგარიშების საფუძველზე.

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტად საქართველოს სტუმრობს უკრაინის (21,4%), რუსეთის ფედერაციის (18,3%), შუა აზიის (9,3%), სომხეთის (8,6%), ირანის (5,3%), აზერბაიჯანის (4,6%) და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები (7,9%).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტურისტული ნაკადების ზრდა რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მომგებიანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურისტულ ხარჯებში მკვეთრად სჭარბობს ამ ქვეყნების მოქალაქეების წვლილი.

როგორც კვლევამ აჩვენა, ტურისტებს შორის, რომლებიც პირველად ეწვივნენ საქართველოს, სჭარბობს ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა. პირველად ჩამოსული ვიზიტორების საერთო რაოდენობაში ძალიან მაღალია 20-40 წლის ტურისტების წილი (71%), ხოლო განმეორებით ჩამოსულებში - 31 და ზევით ასაკის მოსახლეობა შეადგენს 74%-ს, რაც სხვა თანაბარ პირობებში მათი ხელმეორედ ჩამოსვლის მოლოდინს აძლიერებს.



დიაგრამა 2. ტურისტების განაწილება მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით

საერთო ჯამში, 1295 რესპონდენტი, ანუ 59,8% საქართველოში პირველად იმყოფებოდა. ყველაზე მეტმა- 13,6%-მა, საქართველოში გაათია 6 ღამე, 11,7%-მა - 7 ღამე, ხოლო 8,8%-მა - 1 ღამე.

ჩვენი გაანგარიშებით, უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოში გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა 8,5-ია. ვიზიტორთა 39,6% ქვეყანაში მოგზაურობდა ნათესავებთან ერთად, მეგობრებთან - 26,5%, 21,4% - მარტო, ხოლო 4,4% - ტურისტულ ჯგუფთან ერთად. ამასთან მოგზაურთა 34,8%-ს თან ახლდა 2 პიროვნება, 22,4%-ს ერთი, 17,4% -ს სამი, ხოლო 11,2%-ს ოთხი.



დიაგრამა 3. ტურისტების ასაკი და საქართველოში ვიზიტების რიგითობა

გამოკითხულთა უმრავლესობამ (59,6%) მიმართა სასტუმროს, როგორც განთავსების ყველაზე პოპულარულ საშუალებას, 10,8%-მა - გესტჰაუსს, 9.9%-მა ბინა დაიქირავა, ხოლო კერძო სახლი - 9,2%-მა, გაცილებით ნაკლები (5%) ვიზიტორი კი მეგობრის სახლში ცხოვრობდა.

რესპონდენტთა 67,8%-ისათვის საქართველოში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დასვენება, 14,4% ქვეყანას ეწვია ახლობლების მონახულების, ხოლო 13,7% პროფესიული მიზნით.



დიაგრამა 4. ჩამოსვლის მიზანი
წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე

როგორც კვლევამ აჩვენა, დასვენებასთან ერთად ტურისტებს პროფესიული ბიზნეს-ინტერესებიც ამოძრავებთ. ამ მხრივ სჭარბობენ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან (რუსეთი, უკრაინა, შუა აზია - ყაზახეთი და უზბეკეთი) ჩამოსული ვიზიტორები. რესპონდენტთა უმრავლესობამ (85,7%) საქართველოში ჩამოსასვლელად ისარგებლა უცხოური ავიახაზების მომსახურებით.



დიაგრამა 5. ჩამოსვლის მიზანი მოქალაქეობის მიხედვით

როგორც მოსალოდნელი იყო, სეზონური ფაქტორიდან გამომდინარე, ძირითად მონახულებად ადგილებს მიეკუთვნება თბილისი და ბათუმი. გამოკითულთა 71,9% ესტუმრა თბილისს, 52% ბათუმს, 15,7% მცხეთას, 15,2% ბორჯომს, 13,8% ქუთაისს, 11,7% სიღნაღს და გორს, 10,5% ყაზბეგს, 6,7% მესტიასა და უშგულს, 5,5% თელავს, 5% რუსთავს, 4,2% ზუგდიდს, 3,8% გუდაურს, 3,2% ბაკურიანს და ყვარელს, 2,7% დმანისს, 2,8% მარნეულს, 3,4% ურეკს და ა.შ.

საინტერესო სურათი გამოვლინდა ტურისტული ადგილების მონახულების ანალიზის შედეგად ტურისტების რეზიდენტობის გათვალისწინებით. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ანაკლიას ესტუმრა მხოლოდ ბელორუსიიდან და ისრაელიდან ჩამოსული 12 ვიზიტორი. ბაკურიანს 55, მათ შორის, ყველაზე მეტი 31% რუსეთიდან, 27%- აზერბაიჯანიდან და 20% ირანიდან ჩამოსული ვიზიტორი იყო. ბათუმი მოინახულა 1079 ვიზიტორმა, მათ შორის ყველაზე მეტი - 29,7%, იყო უკრაინელი, 16,8% რუსი, ხოლო 9,9% ისრაელის მოქალაქე. ბორჯომში იმყოფებოდა 314 ვიზიტორი, რომელთა შორის ყველაზე მაღალი წილით - 27,7%-ით შუა აზიისა (უზბეკეთისა და ყაზახეთის) და 23,6% რუსეთის მოქალაქეები იყვნენ წარმოდგენილი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა 80,2%-ს ტურიტული პაკეტი არ შეუძენია და თვითონ დაგეგმა ტური საქართველოში. დანარჩენი რესპონდენტებიდან (19,8%) 2,4%-მა ქართველი ტუროპერატორებისგან შეიძინა ტურისტული პაკეტი, ხოლო 17,4% კი - უცხოელი ტუროპერატორებისგან. პაკეტების შეძენისას ყველაზე მეტია ის პაკეტები, რომელთა ღირებულება 601-1000 დოლარამდეა, ხოლო 26,5%-მა შეიძინა 401- 500 დოლარამდე ღირებულების პაკეტი.

აღსანიშნავია პაკეტის შეძენის გარეშე ტურისტების მიერ გაწეული ხარჯების სტატისტიკა. დამოუკიდებლად დაგეგმილი ტურების შემთხვევაში რესპონდენტთა 34.3% -ის ხარჯი ბინის დაქირავებაზე - 101-300 დოლარამდე მერყეობს, 31,7%-ისათვის - 301-700 დოლარამდე, ხოლო 1000 დოლარამდე კი დახარჯა გამოკითხულთა 18,9%-მა.

რეკრეაციაზე ვიზიტორთა 31,3%-მა 101-200 დოლარი დახარჯა, 24,2%-მა 51-100 დოლარამდე, 4,8%-მა 501 და მეტი დოლარი, მაგრამ ყველაზე მეტმა (38,7%) რეკრეაციაზე მხოლოდ 50 დოლარი დახარჯა. ამ მხრივ გამოირჩევა ისევ რუსეთის, უკრაინის, ისრაელის და ევროკავშირის ქვეყნების რეზიდენტები.

სხვადასხვა საქონლის შეძენაზე (წვრილ საყიდლებზე) რესპონდენტთა 28,2%-ის ხარჯი 51-100 დოლარამდე მერყეობდა. 21,9%-მა 101-200 დოლარამდე დახარჯა, 15,3%-მა - 201-500 დოლარამდე, 4,6%-მა - 501-1000-მდე, 2,8%-მა - 1001-ზე მეტი და მხოლოდ 50 დოლარამდე - რეპონდენტთა 27,2%-მა. აქაც აქტიურობდნენ რუსეთის, უკრაინისა და შუა აზიის მოქალაქეები. ვიზიტორთა 82,5%-მა განახორციელა 500 დოლარამდე კომერციული ხასიათის შესყიდვა, ხოლო 8,8%-მა - 1000 დოლარამდე. კომერციული შენაძენებს ძირითადად ახორციელებდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან და ისრაელიდან ჩამოსული ტურისტები.

რესპონდენტთა 22,4%-მა კვებაზე დახარჯა 50-დოლარამდე, 51-100 დოლარამდე ხარჯი დააფიქსირა გამოკითხულთა 23,1%-მა, 17,1%-მა 201-300 დოლარის ხარჯი მიუთითა, 11,5%-მა - 301-500 დოლარამდე, ხოლო 1001ზე მეტი დოლარი კვებაზე დახარჯა გამოკითხულთა 2%-მა.



დიაგრამა 6. მოქალაქეობა და კვებაზე გაწეული ხარჯები

კვებაზე გაწეული ხარჯების მიხედვითაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, შუა აზია. ამასთან, კვებაზე ყველაზე მეტს ხარჯავენ ძირითადად დასვენების მიზნითა და საქმიანი ვიზიტით ჩამოსული რესპონდენტები.(იხ.ცხრილი).

ცხრილი 1. კვებაზე გაწეული ხარჯები და მოგზაურობის მიზანი

ჩამოსცლის მიზანი		გაწეული ხარჯი(დოლარი)					
		50-დე	51-100	101-200	201-300	301-500	501-1000
	დასვენება	282	283	342	252	228	47
	მონახულება	35	48	51	31	21	0
	განათლება	18	23	50	6	0	0
	მკურნალობა	0	17	0	0	0	0
	რელიგია	0	11	0	0	0	0
	შოპინგი	20	44	17	21	0	0
	პროფესიული	130	75	55	60	0	0
სულ		485	501	515	370	249	47

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუზველზე

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველა გამოკითხულმა რესპონდენტმა ისარგებლა ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებებით, რაზეც 64,5%-მა დახარჯა 50 დოლარამდე, 21,4% მა - 50-100 დალარამდე, 10,6%-მა- 101-300 დოლარამდე, ხოლო 300 დოლარზე მეტი -3,5%-მა. 192 ადამიანმა შეიძინა გრძელვადიანი მოხმარების საგნები. მათ შორის, 100-200 დოლარამდე დახარჯა 33%-მა, 54,7%-მა - 201-500 დოლარამდე, ხოლო 12%-მა - 5001-ზე მეტი. ძვირფასეულობა შეიძინა მხოლოდ 17 ადამიანმა, რაც მთელი რესპონდენტების 0,8%-ია და აქ ძირითადად გამოიკვეთა ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორების დაინტერესება ძვირფასეულობით. უძრავი ქონება შეიძინა კი 1%-მა, ანუ 21 ადამიანმა.

თითოეული სახის დანახარჯების მიხედვით მიღებული ინტერვალური მაჩვენებლების დისკრეტულზე დაყვანამ საშუალება მოგვცა გაგვეანგარიშებინა გაწეული ხარჯების საშუალო მაჩვენებლები.

კვლევის შედეგების მიხედვით, რეკრეაციაზე საშუალოდ ერთმა ვიზიტორმა დახარჯა 98.50 დოლარი, წვრილ შესყიდვებზე- 98.50 დოლარი, კომერციულ შესყიდვებზე -521,40 დოლარი, ადგილობრივ ტრანსპორტზე - 62,13 დოლარი, გრძელვადიანი მოხმარების საგნებზე - 319.2708 დოლარი, ძვირფასეულობის შეძენაზე 250 დოლარი, უძრავ ქონებაზე- 5000 დოლარი, საკვებზე - 189.55 დოლარი და სხვა ხარჯებზე (აქ ძირითადად მიუთითეს სამგზავრო ხარჯები) - 602.8139 დოლარი. სულ რესპონდენტთა მიერ გაწეული ხარჯი სხვა ხარჯების გამოკლებით შეადგენდა 892575 დოლარს. მათ შორის ინდივიდუალურად ხარჯი გაწია 1309 ვიზიტორმა, რამაც 535545 დოლარი შეადგინა. საშუალოდ ერთი ვიზიტორის მიერ ინდივიდუალურად გაწეული ხარჯი, ჩვენი გაანგარიშებით, გაუტოლდა 409.13 დოლარს, ხოლო კოლექტიური ხარჯი (ნათესავებთან/ოჯახის წევრებთან ერთად) გაწია 858 რესპონდენტმა 3281 ადამიანზე, რამაც შეადგინა 357030 დოლარი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ერთ ნათესაურ ჯგუფში საშუალოდ იყო 3.8 ანუ 4 ადამიანი. ჩვენი გაანგარიშებით, ნათესაურ ჯგუფში ერთ ადამიანზე გაწეული ხარჯი 108,81 დოლარს გაუტოლდა. შესაბამისად, საშუალოდ ერთი ვიზიტორის მიერ ამ შემთხვევაში გაწეულ იქნა 413.5 დოლარის ხარჯი.

გამოიკვეთა, რომ ყველაზე მაღალი წილი - 69%, პირველად ჩამომსვლელთა შორის საქართველოში ჩამოდის მეგობრებსა და ნათესავებთან ერთად, ხოლო განმეორებით ჩამომსვლელთათვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მარტო (27%) და ნათესავებთან ერთად (38,9%) ჩამოსულ ვიზიტორებზე. აღსანიშნავია, რომ განმეორებით ჩამომსვლელთა წილი შეადგენდა ვიზიტორების 40%-ს, ანუ ყოველი მეოთხე ფაქტობრივად, საქართველოში ჩამოდის ხელახლა.

საინტერესო ტრენდი გამოვლინდა პირველად და განმეორებით ჩამომსვლელთა ხარჯვის სტრუქტურაში. რეკრეაციაზე პირველად ჩამოსული ტურისტები თითქმის 1,5-ჯერ მეტს ხარჯავენ, ვიდრე მომდევნო ვიზიტის დროს. მათ წვრილ საყიდლებზე 1,3-ჯერ მეტი, ადგილობრივ ტრანსპორტზე-1,6-ჯერ, კვებაზე1,4-ჯერ მეტი დახარჯეს განმეორებით ჩამომსვლელებთან შედარებით. რაც შეეხება გრძელვადიანი მოხმარების საგნების შეძენას, აქ, პირიქით, განმეორებითმა ვიზიტორებმა 1.4-ჯერ მეტი თანხა დახარჯეს, ვიდრე პირველად ჩამოსულებმა.

ემპირიული მონაცემების დამუშავების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები, რაც ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია:

- სახეზეა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რუსეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.;
- ტურისტებს შორის სჭარბობს ახალგაზრდობა;
- რეკრეაციაზე გაწეულ ხარჯებში საგრძნობლად მაღალია რუსეთის, უკრაინის, ისრაელის და ევროკავშირის ქვეყნების რეზიდენტების ხვედრითი წილი;
- სხვადასხვა საქონლის შეძენაზე ყველაზე მეტი ხარჯი გასწიეს რუსეთის, უკრაინის, შუა აზიის მოქალაქეებმა;
- კვებაზე გაწეული ხარჯების მიხედვითაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რუსეთი, უკრაინა, ევროკავშირი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ცენტრალური აზია;
- კვებაზე ყველაზე მეტს ხარჯავენ ძირითადად დამსვენებლები და საქმიანი ვიზიტით ჩამოსული რესპონდენტები;
- კომერციულ შენაძენებს ძირითადად ახორციელებდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან და ისრაელიდან ჩამოსული ტურისტები. გამოიკვეთა ისრაელიდან ჩამოსული ვიზიტორების დაინტერესება ძვირფასეულობით;
- მართალია გაიზარდა ტურისტული ინფრასტრუქტურითა და მომსახურების ხარისხით კმაყოფილების დონე, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს მომსახურების ხარისხისა და ფასების შეუსაბამობის პრობლემა;
- რესპონდენტებმა, რომლებსაც შეძენილი ჰქონდათ ტურისტული პაკეტი (მიუხედავად ტუროპერატორის რეზიდენტობისა), ხარჯებში მიუთითეს მხოლოდ კვებაზე გაწეული ხარჯები (საშუალოდ 189,55 დოლარი);
- განმეორებით ჩამომსვლელთა წილი ვიზიტორების 40%-ს შეადგენდა, ანუ ყოველი მეოთხე ფაქტობრივად, ხელახლა ჩამოდის საქართველოში;
- ქალაქების მონახულების ტრენდი თითქმის ერთნაირია, თუმცა აღსანიშნავია შუა აზიის ქვეყნებისა და ისრაელის წამომადგენელთა განსაკუთრებული დაინტერესება კურორტ ბორჯომითა და წყალტუბოთი;
- ვიზიტორების განაწილებაზე ქალაქების მიხედვით გავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ-კულტურული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებიც. კერძოდ, როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანელი ვიზიტორების უმრავლესობის ლოკაცია არის ბათუმი, ხოლო სომხების - ქობულეთი;
- ტრადიციულად, საქართველოში პირველად ჩამოსული ტურისტები უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე განმეორებითი ვიზიტის დროს.

ვფიქრობთ, მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, კვლევამ შედეგი გამოიღო და დაგვანახა რეალური სურათი. ამჟამად მუშავდება რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის საკითხებზე, რომელიც წარედგინება საქსტატს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ნ. აბესაძე, რ.ქინქლაძე. ქ.ჩიტალაძე. სტატისტიკა ტურიზმისათვის. თბ.,2014.**
2. Alternative methodologies for studying the tourism experience.
3. http://www.goodfellowpublishers.com/free_files/Chapter%2010-afe06955ded846d9978f7a4bfe466367.pdf
4. Basic questionnaire proposed by WTO to estimate visitor expenditure associated to inbound tourism.http://www.sesrtcic.org/imgs/news/Image/Basic%20questionnaire.visitor%20expenditure.pdf
5. Methodological manual for tourism statistics. Version 3.1 Eurostat. Manuals and guidelines. 2014 edition.
6. Methodology in tourism research. http://www.journals.elsevier.com/annals-of-tourism-research
7. Lorraine Brown, Research methods in tourism. Bournemouth University. 2009
8. Larry Dwyer, Recent Advances in Tourism Economics.
9. https://elgarblog.com/2013/09/27/recent-advances-in-tourism-economics-by-larry-dwyer/
10. **Research Methods in Tourism: Quantitative and Qualitative Approaches.**
11. https://elgarblog.com/2012/09/07/research-methods-in-tourism-quantitative-and-qualitative- approaches-by-larry-dwyer/

12. Research on International Experiences in Measuring Visitor Expenditure Associated with Inbound Tourism. https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2002/02-38.pdf
13. http://www.e-unwto.org/doi/abs/10.18111/9789284406173.2
14. www.geostat.ge

Statistical Indicators of Tourism Expenditures in Georgia

N. Abesadze; M. Mindorashvili; N. Paresashvili

Summery

Tourism expenditures are very important part of tourism statistical indicators. Especially great is their role in the country's economic growth. Survey carried out in major airports of Georgia on tourism expenditures of foreign visitors is another step forward for solution to these problems. Despite the limited budget, the survey achieved main goals and showed us the real picture. Recommendations for improvement of tourism statistics accounting issues will be submitted to National Statistics Office, the National Tourism Administration of Tourism and other interested organizations.

Keywords: tourism, research, visitors, expense analysis.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები

ოთარ აბესაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებები. გამოკვეთილია საექსპორტო და საიმპორტო ურთიერთობების ძირითადი ტენდენციები და საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა. შიმოცემულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მახასიათებლების დინამიკა და გამოკვეთილია მოსალოდნელი პერსპექტივები დსთ-ს, სუამის, ევროკავშირის და სხვ ქვეყნების მიხედვით, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, იმპორტი, ტენდენცია, სტრუქტურა, ბრუნვა.*

მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ფონზე, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების სტრატეგიის არჩევისას, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საგარეო სექტორის სწორი სტატისტიკური შეფასებებია. უდავოა, რომ ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესაფასებლად, ტენდენციების გამოვლენისა და სტატისტიკური კანონზომიერებების დასადგენად, აუცილებელია ობიექტური ინფორმაცია, რაც საგარეო სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგიის სრულყოფილ ადაპტაციას უნდა ეფუძნებოდეს.

დღეს, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ აღრიცხვისას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეყრდნობა, 2012 წელს დანერგილ და დღემდე მოქმედ სეს სნ 2012-ს (საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა).ტექნიკური უზრუნველყოფისათვის 2003 წლიდან საგარეო ვაჭრობის ბაზების დამუშავებისთვის გამოიყენებოდა Microsoft Office Access, რომელმაც შესაძლებელი გახდა დეკლარაციების დეტალური მონიტორინგი და ინფორმაციის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა ნაკლოვანებებისგან არც ეს პროგრამა იყო თავისუფალი. სამუშაოების დიდი ნაწილი მექანიკურად სრულდებოდა, რაც ცალკეულ ეტაპებზე შეცდომების დაშვების ალბათობას არ გამორიცხავდა. ყოველივე ამის გამო, 2014 წელს დაიწყო მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, რომელსაც, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ექნებოდა უპირატესობა შეცდომების თავიდან ასაცილებლად. სწორედ ამ პროგრამით 2016 წლიდან დაიწყო მონაცემთა სრულყოფილად დამუშავება, რამაც შესაძლებელი გახადა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დეტალური მონაცემების გავრცელების ვადების შემცირება.

საგარეო ვაჭრობის დღეს არსებული ინფორმაციული ბაზის ანალიზი მეტად საინტერესო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავების საფუძველს იძლევა, როგორც საერთოდ საგარეო ვაჭრობის, ისე მისი გეოგრაფიული სტრუქტურის ჭრილით.

ფაქტია, რომ ექსპორტის შემთხვევაში, საქართველოს ტვირთების საბოლოო დანიშნულების ობიექტი, პირველ რიგში, არის აზია, რომლის მიმართულებითაც ექსპორტის მოცულობამ 2015 წელს 1035.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 47%-ია, შემდგომ კი ევროპაა, რომლის მიმართულებითაც იმავე წელს 933.4 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, რაც მთლიანი ექსპორტის 42.3%-ია. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2006 წლამდე საქართველოს ძირითად საექსპორტო მიმართულებას წარმოადგენდა ევროპა. 2006 წლიდან კი აზია (დიაგრამა 1). ამავდროულად, 2006 წლიდან გააქტიურდა ექსპორტი ამერიკის კონტინენტზეც და 2012 წელს 386,1 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი ექსპორტის 16.2 % შეადგინა. (ო.აბესაძე, საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგგრაციის სტატისტიკური ანალიზი.. თბ.,2015. გვ.107)



დიაგრამა 1. საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიული მიმართულებები 2000-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი) აქ და შემდგომ ყველა დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

1. რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს (დიაგრამა 2), 2010-2014 წლებში ის ძირითადად აზიიდან ხორციელდებოდა და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 49%-ს შეადგენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2009 წლებში ევროპიდან შემოსული იმპორტი ყველაზე მაღალი წილით გამოირჩეოდა დანარჩენ კონტინენტებს შორის და მთლიანი იმპორტის საშუალოდ 48.4% შეადგინა. 2010-2014 წლებში კი იგივე მაჩვენებელი 44.6% იყო. ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება დინამიკაში ამერიკის კონტინენტიდან იმპორტის მოცულობა, თუმცა, 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, საიმპორტო ნაკადები ამ მიმართულებით 8,5%-ით გაიზარდა და 450,4 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი იმპორტის 5,2% შეადგინა. (ო.აბესაძე. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგგრაციის სტატისტიკური ანალიზი. თბ.,2015. გვ.108)



დიაგრამა2. საქართველოს იმპორტის გეოგრაფიული მიმართულებები 2000-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა და 9931.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13,3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. მათ შორის ექსპორტი შემცირდა 23,0 %-ით და 2203,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ასევე შემცირდა იმპორტი 10,1%-ით და 7728,0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უარყოფითი იყო სავაჭრო ბალანსი (5524,4 მლნ აშშ დოლარი), რაც სავაჭრო ბრუნვის 55,6% გაუტოლდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმართულებას, ჯერ კიდევ დსთ-ის წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ. (Abesadze,O. The main trends of transformation of foreign trade in Georgia.. 2nd International Scientific – Practical Conference “Business Administration and Corporate Social Responsibility.” Baky, 2014. pp.354) განსაკუთრებით მაღალია მათი წილი საექსპორტო ნაკადებში, რომელიც 2000-2015 წლებში 36,2-დან 55,7%-მდე მერყეობს, მაშინ როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილი იმავე წლების განმავლობაში 29,3%-ზე მაღალი ნიშნულით არ დაფიქსირებულა.

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წელს 2808.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2014 წელთან შედარებით ის 21.8 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული). აქედან ექსპორტი 839,5 მლნ აშშ დოლარი, (2014 წელთან შედარებით 42,7 პროცენტული პუნქტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968,6 მლნ აშშ დოლარი (2014 წელთან შედარებით 7,3 პროცენტული პუნქტით ნაკლები) დაფიქსირდა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის წილი 2015 წელს 28,3%-ით განისაზღვრა, მათ შორის ექსპორტში 38,1%და იმპორტში 25,5% (2014 წელს, შესაბამისად, 31,3%, 51,2% და 24,7%) დაფიქსირდა. 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20,4% (2014 წელს კი 11,5%).

დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტის მაღალი მაჩვენებლის პარალელურად გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები. 2015 წელს ექსპორტმა 646,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მართალია, ეს დსთ-ს მაჩვენებელზე 29,9%-ით დაბალია, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 16- წლიანი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება საიმპორტო ნაკადებს, ქვეყნების ჯგუფების ჭრილით, ექსპორტისაგან განსხვავებული მდგომარეობაა. მხოლოდ 2015 წელს, ევროკავშირთან იმპორტმა 2518,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ეს მთლიანი იმპორტის 32,6%-ია და 27,9%-ით მეტია დსთ-ის მაჩვენებელზე (2015 წელს დსთ-ს იმპორტი 1968,6 მლნ დოლარი იყო და მთლიან იმპორტში 25,5 % შეადგინა)

საინტრესოა სუამის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) მაჩვენებლების განხილვა. აღნიშნულ ჯგუფში საქართველოდან ექსპორტის საკმაოდ მაღალი წილი ფიქსირდება და 2012 წელს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (33,9%) დაფიქსირდა ბოლო 16 წლის განმავლობაში. თუ 2012 წელს აღნიშნულ 3 ქვეყანაში იყო კონცენტრირებული საქართველოს ექსპორტის მესამედი ნაწილი, 2015 წლისათვის სუამის ქვეყნებზე მოდიოდა საქართველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 13,9 %. რაც შეეხება იმპორტს, იმქვე წელს სუამის ქვეყნებში განხორციელებული იმპორტის წილი მთლიან იმპორტის 13 %-ს შეადგენდა.

როგორც კონტინენტების და ქვეყანათა ჯგუფების ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითად ობიექტს ტერიტორიულად მეზობელი ქვეყნები წარმოადგენენ. მისი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები 2008 წლიდან დღემდე არიან თურქეთი (1966 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1182 მლნ აშშ დოლარი) და რუსეთი (853 მლნ აშშ დოლარი). აღსანიშნავია, რომ 2000-2001 წლებში, საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ათეული, სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, თურქეთით იწყებოდა, 2002-2005 წლებში კი, რუსეთით. 2014 წელს მაღალი მაჩვენებლი ჰქონდა ჩინეთსაც. იმავე წელს წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68% შეადგინა. (Abesadze,O. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area.Viena, 2015.pp.11-14). 2015 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ათეულის წილი მთლიან ექსპორტში 66,3%-ს შეადგენს. მათ შორის გვხვდება დსთ-ის 4 ქვეყანა, რომელთა წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 30,9%-ს და ევროკავშირის 3 ქვეყანა -შესაბამისად 16,5%-ის წილით (დიაგრამა 3).



დიაგრამა 3. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2015 წელს (%)

2015 წელს 2014 წელთან შედარებით, საექსპორტო ათეულის პირველ ორ ქვეყანასთან - აზერბაიჯანსა და სომხეთთან, ექსპორტის მოცულობა შემცირდა. სამაგიეროდ, ზრდა დაფიქსირდა ბულგარეთისა და ჩინეთის მიმართულებით ექსპორტის მოცულობაში. ეს ტენდენცია კარგად ჩანს დიაგრამაზე 4 .



დიაგრამა 4. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ათეული 2014-2015 წლებში

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყანას და მათი წილი მთლიან ექსპორტში 2015 წლის მონაცემებით, 34,9%-ს წარმოადგენს. რაც იმის მანიშნებელია, რომ საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქცია ჯერ კიდევ ნაკლები პოპულარობით სარგებლობს.

მსხვილ საექსპორტო ქვეყნების ხუთეულში შედის რუსეთი, რომლის წილი 2014 წელს მთლიან ექსპორტში 9,6%-ს, ხოლო მისი მოცულობა 274,9 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. თუ გადავხედავთ მონაცემებს დინამიკაში, მისი წილი ექსპორტში საკმაოდ მაღალი იყო 2000 წელს, როდესაც მაჩვენებელი 20,7%-ს გაუტოლდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს საექსპორტო პროდუქციის მე-

ხუთედი რუსეთის ბაზარზე გადიოდა. 2001-2005 წლებში, რუსეთი ათეულის ლიდერი იყო და ამ პერიოდში საქართველოს მთლიან ექსპორტში მისი წილი საშუალოდ 18,6%-ს შეადგენდა. ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა: ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები, თხილი, შაქარი, მანგანუმის მადნები, საფრენი აპარატები, ჩაი და რკინიგზის ლოკომოტივები. სიტუაცია შეიცვალა 2006 წლიდან. ამ დროს მისი მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით 51%-ით შემცირდა და 2010 წლამდე სიტემატური შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამის მიზეზი იყო ემბარგო, რომელიც რუსეთმა, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების გამო, ქართული წარმოების პროდუქციაზე დააწესა. ამის გამო რუსეთში ექსპორტის წილმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 8,1% შეადგინა. ეს მაჩვენებელი შემდგომ წლებში კიდევ შემცირდა და 2011 წელს 4,7% შეადგინა და რუსეთი პოზიციურად მე-12 ადგილზე აღმოჩნდა. რადიკალურად იცვლება სიტუაცია 2012 წლის შემდეგ. მარტო 2013 წელს რუსეთთან ექსპორტში 307,4% მატება დაფიქსირდა, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 44,1%-იანი მატებაა და რუსეთის წილმა საქართველოს ექსპორტში 9,6%-ს მიაღწია. (ო.აბესაძე. 2015. გვ.130-131.) თუმცა, 2015 წლის მაჩვენებლები, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია. რუსეთში ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს: ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, არადენატურირებული 80 % -ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები, ფეროშენადნობები და სხვა.

საერთოდ, საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო საქონელს წარმოადგენს: სპილენძის მადნები და კონცენტრატები(მთელი ექსპორტის 15%), ფეროშენადნობები (9%), მსუბუქი ავტომობილები(8%), თხილი(7%), ღვინო(5%) და სხვა. უმსხვილესი საიმპორტო საქონელს წარმოადგენს: სამკურნალო საშუალებები (მთელი იმპორტის 31%), ნავთობპროდუქტები(6%), მსუბუქი ავტომობილები (5%),ნავთობის აირები (3%) სპილენძის მადნები (3%) და სხვა.



დიაგრამა 5. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2015 წელს(%)

2015 წელს საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო ათეულს სათავეში უდგას აზერბაიჯანი-240,4 მლნ აშშ დოლარით, რომელიც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 55,8%-ით და მისი წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 10,9%-ს. აზერბაიჯანის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2000-2015 წლებში საშუალოდ 12,5%-ს შეადგენდა. ძირითად საექსპორტო პროდუქციას აზერბაიჯანში წარმოადგენს: მსუბუქი ავტომობილები (63,6 მლნ დოლარი), რომლის ექსპორტი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 77%-ით; სამკურნალო საშუალებები (26,3 მლნ დოლარი), რომლის ექსპორტი შემცირდა 5,4%-ით. საქართველოს მეორე უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყანა არის ბულგარეთი 214,2 მლნ აშშ დოლარით. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 28,2%-ით. 2015 წლის მონაცემებით საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორ ქვეყნებს შორის მე-3, მე-4 და მე-5 ადგილებს იკავებენ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები, შესაბამისად, თურქეთი 8,4%-ით, სომხეთი 8,25-ით და რუსეთი 7,4%-ით. 2016 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით საექსპორტო პარტნიორი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება:თურქეთი (11%), ჩინეთი(10%), რუსეთი(9%), ხომხეთი (8%),ბულგარეთი (7%).

2015 წელს საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ათეულის წილი მთლიან იმპორტში შეადგენდა 66%-ს.

2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, საიმპორტო ათეულის პირველ ორ ქვეყანასთან, თურქეთსა და ჩინეთთან, იმპორტის მოცულობა შემცირდა. სამაგიეროდ, ზრდა შეინიშნებოდა და ათეულის მეორე ადგილზე გადმოინაცვლა რუსეთმა. ეს ტენდენცია კარგად ჩანს დიაგრამა 6-ზე. რუსეთიდან საქართვე-

ლოში შემოდის ხორბალი, მისი მოცულობა 2013 წელთან შედარებით მართალია მცირედ (1%-ით), მაგრამ მაინც გაიზარდა. გაიზარდა აგრეთვე, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადების იმპორტი 32%-ით, 46%-ით შემცირდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი, 2013 წელთან შედარებით, 39%-ით გაიზარდა რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი, შოკოლადისა და კაკაოს შემცველი დანარჩენი მზა კვების პროდუქტების შემოტანა ქვეყანაში კი გაიზარდა 3%-ით.



დიაგრამა 6. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების ათეული 2014-2015 წლებში

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 3 უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ქვეყანას და მათი წილი მთლიან იმპორტში 2015 წლის მონაცემებით, 32,3%-ს შეადგენს. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2014 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 918,4 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 10.7% შეადგინა. მეორე ადგილზე იყო მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 715,1 მლნ. დოლარით, რაც იმპორტის 8.3%-ია. მესამე ადგილზე - ნავთობის აირებისა და აირისებრი ნახშირწყალბადების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 368,5 მლნ დოლარით, რაც მთლიანი იმპორტის 4.3% იყო.(www.geostat.ge)

2016 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით უმსხილესი საიმპორტო ქვეყნების სტრუქტურა შეცვლილია და ხუთეული ასე გამოიყურება:კანადა(23%), თურქეთი(14%), რუსეთი (7%), ჩინეთი (6%), ირლანდია (6%).

დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ როგორც კონტინენტების, ასევე ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, 2015 წლამდე საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებს ტერიტორიულად უახლოესი მეზობელი ქვეყნები წარმოადგენდენ. 2016 წლის პირველ ნახევარში კი, საქართველოს საგარეო სავაჭრო სივრცეში მოწინავე პოზიციაზე ახალი ქვეყნები გამოჩნდნენ, რომლებმაც შეცვალეს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა. მიუხედავად საექსპორტო და საიმპორტო ურთიერთობების ინტენსივობის ზრდისა, ჯერ კიდევ არ მოხდა ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტის ზრდა. თუმცა, ამავე პერიოდში გაფართოვდა ვაჭრობის გეოგრაფია და გაიზარდა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობა, 2013 წელთან შედარებით, 40-დან 43-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს, მაგრამ, ამასთან, 94-დან 102-მდე გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვიც, ვისთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. საგარეო ვაჭრობის ზრდა ძირითადად იმპორტის წინმსწრები ზრდის ტემპითაა განპირობებული. ბოლო მონაცემებით, იმპორტი 3-ჯერ აღემატება ექსპორტს, ევროკავშირის ქვეყნებთან კი თითქმის 4-ჯერ მეტი მაჩვენებელი დაფიქსირდა. მართალია, დინამიკაში იზრდება ექსპორტის კვოტის მაჩვენებელი, რაც საგარეო ბაზარზე ეროვნული საქონლის კონკურენტუნარიანობის მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს, მაგრამ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება იმპორტის კვოტა, რაც შიგა ბაზრის იმპორტირებული საქონლით გაჯერებას ნიშნავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ო. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. მონოგრაფია. თბ.,2015.
2. ძებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბ., 2012.
3. ღაღანიძე გ. საერთაშორისო ვაჭრობის მენეჯმენტი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების კონკრეტული მიმართულებები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", №5. თბ., 2011.

4. Abesadze O. The main trends of transformation of foreign trade in Georgia.. 2nd International Scientific –Practical Conference “Business Administration and Corporate Social Responsibility.” Baky, 2014.
5. Abesadze O. The dynamics of trade relations with the EU in the background of deep and comprehensive Free Trade Area.Viena, 2015.
6. Korganashvili L.Prospects of development of foreign economic relations of Georgia in the circumstances of globalization and regional integration. IV International Congress “Caucasus and Central Asia in Globalization Process”. Baku, 2014.
7. Силагадзе А. Атанелишвили Т. - Некоторые сравнительные показатели экономического развития новых ассоцированных постсоветских стран ЕС. Журн. Социалная Экономика.. №4. Тбилиси, 2014.

Geographical Directions of Foreign Trade

O. Abesadze

Summary

Annotation The article analyzes geographical directions of foreign trade. Outlines the relationship between the export and import trends and commodity structure of foreign trade. It also states the foreign trade statistics characteristic dynamic and highlights the prospects of the CIS, GUAM, the EU and others, in accordance to the other countries ., Also the corresponding conclusions have been made

Keywords: *export, import, trend, structure, turnover*.

საბიუჯეტო ფედერალიზმი – ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ფაქტორი

გიორგი აბუსელიძე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ეტაპზე ცივილიზებულ სამყაროში სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქცია არის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნება და რეგიონებისათვის საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება, რასაც საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნის ხელისუფლება თავის თავზე უნდა იღებდეს ვალდებულებას ტერიტორიული ერთეულებისათვის გარკვეული საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობას.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალური ტრასფორმაციის პროცესი, ახალი ეკონომიკური სისტემის შექმნა და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფა მოითხოვს კოლოსალური ფინანსური რესურსების მობილიზაციას, რაც შეუძლებელია ფინანსური მექანიზმის გამართული ფუნქციონირების გარეშე. ეს კი, თავის მხრივ საჭიროებს სათანადო საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას სტატიაში სწორედ აღნიშნული საკითხების შესწავლაზე მახვილდება ყურადღება

საკვანძო სიტყვები: საფინანსო პოლიტიკა, საბიუჯეტო ფედერალიზმი, ეკონომიკური კრიზისი.

საქართველო უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანაა, რომელსაც ორიათასწლოვანი დამწერლობა და ლიტერატურა, სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალსაუკუნოვანი ძეგლები გააჩნია. კულტურული განვითარების ბაზისი ქვეყნის პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური სიძლიერე იყო მუდამ.

ილია წერდა: ”საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელი ებრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა ... ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხს, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრას? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო – და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

... ამის პასუხი ჩვენს საფინანსო-ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახთა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში, აი, საგანი, ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალწინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელ მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწყმოსაც და მომავალსაც, გზას გაუნათებდა...” [2, გვ. 175-176]. ამ ვრცელ ამონარიდში სრულყოფილად აისახა ფინანსებისა და ეკონომიკის როლი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ფორმირებისა და განვითარების საქმეში.

ეს სიტყვები და აზრები ისე არასოდეს ესადაგებოდა და ესაჭიროებოდა საქართველოს, მის ხალხს, როგორც დღეს ... უმძიმესი ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისის პერიოდში.

დღეს საქართველო თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს ეტაპზე იმყოფება. საქართველოს აღმშენებლობის პროცესი რთულად და წინააღმდეგობრივად ვითარდება, მაშინ როდესაც ის თავისი ბუნებრივი რესურსებით, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობით და სხვა უამრავი შესაძლებლობით, ერთ-ერთი მოწინავე უნდა იყოს მსოფლიოში. XXI საუკუნეს საქართველო როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციური აღიარებით, ეკონომიკის ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით, მეურნეობრიობის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით შეხვდა. ამასთანავე, თვალშისაცემია საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, კრიმინალური და არალეგალური ეკონომიკა, კორუფცია, კონკურენტული ბაზრების არსებობა, ყოველწლიური ბიუჯეტის დეფიციტი, არამყარი ეკონომიკური ზრდა, მასშტაბური საგარეო ვალი და მოსახლეობის სიღატაკე.

ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში პროგრესული გარდაქმნების სოციალური საზღაური ძალიან მაღალი აღმოჩნდა: დამოუკიდებლობის მოპოვება, საბაზრო ურთიერთო-

ბებზე გადასვლა საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის დიდი ნაწილისა და მოსახლეობის მასობრივი გაღატაკების, უღარიბესი ქვეყნების ჯგუფში გადაადგილების სანაცვლოდ მოხდა. მართალია, ბოლო ხანებში პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა, მაგრამ "ტაძრამდე" ჯერ კიდევ ძალზე გრძელი გზაა გასასვლელი...

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანა ამოვიდეს არსებული მდგომარეობიდან?.. რით უნდა დავიწყოთ?...

მდგომარეობიდან გამოსვლის არა ერთი გზა და საშუალება არსებობს, მაგრამ მთავარი გზა ხსნისა, მაინც ეკონომიკაა, მისი შექმნა და გამართული ფუნქციონირებაა, რაც წარმოადგენს ყველა მატერიალური, სულიერი და სხვა გადაუწყვეტელი პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, ერის მატერიალური და სულიერი აღორძინების ქვაკუთხედს. დიდი ილია, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მისი ცივილიზებული გზით განვითარების მთავარ როლს, სწორედ ეკონომიკას აკუთვნებდა, ის წერდა: "დღეს თვითოეული ჩვენთაგანი გრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულ ეკონომიკურ მხარეს ჩვენი ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის, რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენი გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯოთ და ვიამაგოთ." [3] და რომ ამისათვის მთავარია ქვეყანას სათანადო "ეკონომიკური კლიმატი" გააჩნდეს.

"ეკონომიკური კლიმატი", უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი პოლიტიკით. თუ ის სასწრაფოდ არ განახორციელებს საფინანსო-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისა და მძლავრი ეროვნული ეკონომიკის შექმნის გონივრულ სვლებს, მაშინ მას დამოუკიდებლობის "ბალავარი" დაერღვევა და, თავისი გეოსტრატეგიული ადგილისა და მნიშვნელობის მიუხედავად, "ბანანის" რესპუბლიკას დაემსგავსება. უკეთეს შემთხვევაში კი იქნება მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების სათამაშო "პაიკი" მხოლოდ.

ქვეყნის ვერც ერთ სერიოზულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პრობლემას ვერ გადავჭრით ისე, თუ ვერ მოვახერხეთ მთელი ერის კონსოლიდაცია, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მთელი ერის ერთ მუშტად შეკვრა და მისი დიდი მიზნების მისაღწევად წარმართვა.

ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ტემპების დასაჩქარებლად საჭიროა (და, ალბათ, სხვა გზა არც არსებობს) მაქსიმალურად ავამოქმედოთ ეროვნული ეკონომიკის მთელი პოტენციალი, რამეთუ მძლავრი და მაღალეფექტიანი ეკონომიკის შექმნა მოითხოვს კოლოსალური ფინანსური რესურსების მობილიზაციასა და ხარჯვას, რისთვისაც აუცილებელია სათანადო საბიუჯეტო სისტემის ამოქმედება.

ცივილიზებულ ქვეყნებში ფინანსური სახსრების მობილიზაცია და ხარჯვა მიმდინარეობს პრინციპით: მობილიზებული იქნეს იმდენი ფინანსური რესურსი, რამდენიც საჭიროა, დაიხარჯოს იმდენი, რამდენიც აუცილებელია. კაცობრიობამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნა ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის ქმედითუნარიანი სისტემა, რომელიც დღეისათვის ცნობილია საფინანსი-საბიუჯეტო ფედერალიზმის სახელწოდებით. იგი გულისხმობს ფინანსური სახსრების მობილიზაციასა და ხარჯვის უფლება-მოვალეობების განაწილებას ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის. საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმი მოქმედებს როგორც ფედერალურ, ისე უნიტარულ ქვეყნებში [4, გვ. 98-99].

საქართველოს სახელმწიფოებრივი ფედერალიზმის, მათ შორის, საფინანსო-საბიუჯეტო ფედერალიზმის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. "ქართლის ცხოვრების" ცნობით, ერთიანი საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ქ. შობამდე IV-III სს.) უკეთ მართვისათვის, ქვეყანა დაჰყო 8 სამთავროდ, გაუნაწილა მათ სახელმწიფოებრივი მართვის უფლებები და მოვალეობები და შეიმოიღო ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და ხარჯვის ცენტრალური და ადგილობრივი დონეები – დღევანდელი ტერმინოლოგიით, საბიუჯეტო ფედერალიზმი. ასევე იყო XI-XIII საუკუნეების ეპოქაში [1, გვ. 79], როდესაც "ხიხათა ერისთავები", ერისთავთ-ერისთავები – აბუსერისძეები ეწეოდნენ საქმიანობას რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის. მშენებლობების (სამონასტრო, ხიდების, გზების და ა.შ.) წარმოებისათვის ახდენდნენ საგადასახადო რესურსების მობილიზაციას, საიდანაც კარგად ჩანს, რომ აღნიშნულ კუთხეს ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში გააჩნდა მნიშვნელოვანი ფინანსური დამოუკიდებლობა თავის ტერიტორიაზე ფინანსური რესურსების მობილიზაციასა, განკარგვასა და გამოყენებაში.

მიუხედავად ძნელბედობისა, საქართველომ ბოლო დრომდე შეინარჩუნა ქვეყნის საბიუჯეტო ფედერალიზმის კონტურები, რასაც საფუძვლად ედო და უდევს ქვეყნის გეოგრაფიულ-ეკონომიკურ-ეთნიკური მახასიათებლები.

ფინანსისტებისათვის აფორიზმად ქცეული გამოთქმა - "თუ წარმატებები არ იქნა მიღწეული საფინანსო პოლიტიკაში, სხვა ყველა რეფორმა განწირულია კრახისათვის" – არც ერთ ქვეყანას ისე

არ მიესადაგება, როგორც დღევანდელ საქართველოს, მასში მიმდინარე რეფორმებს, მათ ფინანსურ ადეკვატებს, რადგან წარმატებები არ მიღწეულა ქვეყნის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო, საგადასახადო, საბაჟო და სხვა უწყებებში მიმდინარე რეფორმებში.

საქართველოს ფინანსური და, შესაბამისად, ეკონომიკური პროფილის სხვა კრიზისიდან გამოსვლის მრავალი გზა არსებობს, მათ შორის მთავარი – საბიუჯეტო ფედერალიზმია, რომლის პირველი კონტურები გამოკვეთილია, კერძოდ საქართველო დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად (მხარედ).

თანამედროვე საქართველოს ფინანსური ძლიერების ვექტორი საბიუჯეტო ფედერალიზმზე გადის [5, გვ. 194-199]. როგორი ოპერატიულობითა და კომპეტენტურობითაც მოხდება მასზე გადასვლა, ისეთივე იქნება საქართველოს მომავალი, მისი ეკონომიკა, კულტურა, სოციალური და პოლიტიკური ყოფა.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ საქართველოს გააჩნია ყველა უმნიშვნელოვანესი რესურსი, რათა დროულად მოახდინოს აუცილებელი გარდაქმნები, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული რეფორმა, დაძლიოს არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ჩამორჩენილობა. უსაფუძვლოა მტკიცება იმისა, თითქოსდა არ გვაქვს წარმოების განვითარებისათვის შესაბამისი რესურსები, მაშინ როდესაც განვითარების მთავარი რესურსი ხალხის ინტელექტია, რომ არაფერი ვთქვათ, სხვადასხვა მატერიალურ რესურსზე.

ჩვენი ხალხის შეგნებაში "დასავლეთი" და "ევროპა", იმთავითვე დაწინაურებულის, მოწინავის, განვითარებულის ცნებათა გამომხატველი იყო. ამის საპირისპიროდ "აღმოსავლეთი" ქართველების წინსვლის დამხშობისა და შემაფერხებლის გამომხატველი. ასეა დღესაც, მსოფლიო ურთიერთობათა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ღერძს – "ჩრდილოეთი-დასავლეთი". ამ სისტემაში საქართველოს გეოსტრატეგიული მიმართულებას გააჩნია ორი შესაძლო ვარიანტი:

პ ი რ ვ ე ლ ი, დააფიქსიროს და მიიღოს ნახევრად პერიფერიული ქვეყნის სტატუსი, დაამკვიდროს ზუსტად ის მსოფლმეურნეობრივი და პოლიტიკური ურთიერთობების ნიშა, სადაც ჩვენ ქვეყანას არ ექნება იმაზე მეტი პოტენციალის პრეტენზია, ვიდრე მას გააჩნია; აქედან გამომდინარე, მან უნდა მიიღოს ის შედეგი და მიეცეს ის უპირატესობა, რომელიც გააჩნია საშუამავლო მდგომარეობას ცენტრსა და პერიფერიას შორის. ეს არის რეალური ტენდენცია და მას გააჩნია რეალური საფრთხეც.

მ ე ო რ ე, საქართველოს გადაქცევა ერთ-ერთ ეკონომიკურად აყვავებულ ქვეყნად, ისეთი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ეკონომიკა, ადამიანთა მაღალი ცხოვრების დონის პირობები, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებული სისტემა და დემოკრატიული ინსტიტუტები.

"დასავლეთი", თუ "ჩრდილოეთი"? რომლისგან უნდა მივიღოთ საქმიანი წინადადებები და რეკომენდაციები – აი, ის, რაც ყველა ქართველის წინაშე დგას და რომელიც მოელის დროულ, კვალიფიციურ პასუხს, გადაწყვეტას, ხორცშესხმას.

1996 წლის ივნისში საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა გერმანიის იმდროინდელმა პრეზიდენტმა რომან ჰერცოგმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა: "ქართველებს ისეთი დიდი ისტორიული მემკვიდრეობა გაქვთ, რომ სხვისი ჭკუის სასწავლი არაფერი გჭირთ – თქვენთან რომ სახელმწიფო სამართლის კანონებს ადგენდნენ, ევროპაში მაშინ ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ..." [1, გვ. 82].

ამასვე ეხმიანება ილიას სიტყვები "წარსული-მკვიდრი საძირკველია აწყმოსი, როგორც აწყმო მომავალისა."

დიახ, უწინდელი მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ძლიერებაში ლომის წილი საქართველოს ეკუთვნოდა; ის იყო კარიბჭე ძლიერებისა, რადგან მასზე გადიოდა იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ყველა გზა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოზე გაივლის დიდი აბრეშუმის, ნავთობის, ბუნებრივი აირის გზა, რითაც ერთხელ კიდევ დასტურდება ჩვენი წინაპრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა მართებულობა, რომ გზები იყო, არის და იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი ფაქტორი.

იმისათვის, რომ საქართველო გამოვიდეს უმწვავესი საფინანსო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისიდან, შეიქმნას მძლავრი ეროვნული ეკონომიკა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა უმოკლეს დროში გაუმჯობესდეს, საჭიროა როგორც მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების გათვალისწინება, ასევე, ქვეყნის სპეცი-

ფიკის, მისი ტრადიციებისა და მენტალიტეტის უცილობელი გათვალისწინება. სწორედ ეს არის გზა ერთიანი, ძლიერი და აყვავებული საქართველოს მშენებლობისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბუსელიძე, გიორგი. ტბელ აბუსერისძის ეპოქის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ეკონომიკური მდგომარეობა), თბ., 2004
2. ჭავჭავაძე, ილია. ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, თხზ. ტ.IV.
3. ჭავჭავაძე, ილია. ჩვენი ეკონომიკური საჭიროებანი და გზების საკითხი, გაზეთი ივერია, 1886.
4. Abuselidze, George. "Fiscal Federalism and Its Role in Optimization of the Financial System Country." *International Journal of Management and Sustainability* 2.4 (2013): 97-106.
5. Abuselidze, George. "Areas of Improvement of Finance Policy in the Process of Advancing of Upgrading the Territorial Economic Activity and Financial Capacity." *International Business Research* 6.5 (2013).

Budgetary Federalism as a factor of overcoming financial-economic crisis

G. Abuselidze

Summary

The main function of the state in nowadays civilized world is to maintain macro-economic proportions throughout the country's area and avoid financial-economic crises for regions that has priority role in formation of new economic system in Georgia. The government should take responsibility of supporting financial-economic independence for territorial units.

Current economic and political system's radical transformation process, creation of new economic system and ensuring its efficiency, requires mobilization on huge financial resources, which is impossible without proper functioning of the financial mechanism. This in turn requires implementation of sufficient financial and economic policy.

This article highlights above mentioned issues and proposes some peculiarities of formation and use of financial policy for maintenance of macroeconomic proportion.

Key words: Financial policy, budgetary federalism, economic crisis.

ტურისტული ბიზნესი გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე

მანანა ალადაშვილი,
ბიზნეს-ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
თსუ-ის ტურიზმის კვლევითი ცენტრი.

გლობალიზაცია გვევლინება კაცობრიობის განვითარების ძირითად ტენდენციად, ხოლო ტურიზმი თანამედროვეობის გლობალურ მოვლენად, გლობალიზაციის ახალმა შესაძლებლობებმა ხელი შეუწყო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას, კერძოდ იგი შეეხო საკომუნიკაციო, სატრანსპორტო და განთავსების საშუალებებს. მსოფლიოში მომსახურების მოწოდება კომპიუტერული ინფორმაციით და დაჯავშნის სისტემებით, გახდა უფრო მოქნილი და ეფექტიანი. შემცირდა ხარჯები საჰაერო მოგზაურობაზე. მომხმარებლის მოთხოვნა გახდა ორიენტირებული ახალ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე.

დანიშნულების ადგილის მარკეტინგში ინტერნეტის გამოყენება ტურისტულ ბაზრებზე პირდაპირი გაყიდვების და შეკვეთების მიცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც წარმოშობს ელექტრონულ - ტურისტულ ბაზრებს, სადაც ხდება ტურისტული პროდუქტის შეძენა გაცილებით დაბალ ფასად.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, საერთაშორისო ტურიზმი,ბიზნესი.*

გლობალიზაცია გვევლინება კაცობრიობის განვითარების ძირითად ტენდენციად, ხოლო ტურიზმი თანამედროვეობის გლობალურ მოვლენად, რომელიც ხასიათდება გამოხატული წინააღმდეგობრივი ტენდენციებით, ინტეგრაციით, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურათაშორისი დამოკიდებულებით. [1,გვ.2] საერთაშორისო ტურიზმისგანვითარება ხელსუწყობს ცალკეული რეგიონისა და ქვეყნის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მეორემხრივ, ის ქმნის კულტურათა ურთიერთ გამდიდრების შესაძლებლობებს, აყალიბებს ახალგლობალურ სივრცეში მათი ადგილის განმსაზღვრელ მამოძრავებელ ძალებს, ტურისტულ რეგიონებში ნერგავს მოწინავე ქვეყნების მიერ მიღწეულ სიახლეებს და ხელს უწყობს საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესის განვითარებას. ტურიზმის ბიზნესის განვითარების პრობლემა კი გლობალიზაციის ეპოქაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც მოითხოვს ევოლუციას, როგორც მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების აუცილებლობას.

აღსანიშნავია ტურიზმის სოციო-კულტურული ასპექტებისა და გლობალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება. გლობალიზაციის პროცესების თანახმად, ადამიანები ამდიდირებენ რა ეროვნულ მახასიათებლებს, მსოფლიო მოქალაქეს სტატუსსაც იძენენ, რაშიც დიდ როლს ასრულებს ტურისტული ბიზნესი.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში ტურიზმი არის ლაკმუსის ტესტი, რომელშიც აისახება საერთაშორისო და და საერთო ლოკალური ტენდენციები, ხოლო თანამედროვე ტურისტი - გლობალური სამყაროს მკვიდრი, „პატარა ადამიანი“ დიდი შესაძლებლობებით.

გლობალურ საზოგადოებაში სოციალური და კულტურული ცვლილებები ა.ნაზაჩუკის აზრით, განმსაზღვრელი ტენდენციაა. [7, გვ.21]

საერთაშორისო ტურიზმი გვევლინება კულტურული გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად და წარმოადგენს გლობალური კულტურის გაცვლის სამომხმარებლო არხს: „ტურიზმი გლობალიზაციის ერთ-ერთი სიმბოლოა, სადაც კულტურა არ იღებს საქონლის სახეს, რომელიც უკვე დაავიწყდათ“. მკვლევარ ნ.პოკროვსკის აზრით: „ტურიზმი ორიენტირებულია რა მიიღოს ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური“ კმაყოფილება, გახდა თანამედროვე მატრიცა მსოფლიო კულტურაში.[8,გვ.16]საერთაშორისო ტურიზმში ჩართვის საშუალება არამარტო დასვენების, გართობისა და კულტურულითვითმყოფადობის შენარჩუნების უფლებაა, ის იმავდროულად ბევრად უფრო სამართლიანი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის დამყარებისა და გადაადგილება-მოგზაურობის საშუალებაა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ხელს უწყობს ახალი ტიპის სივრცობრივი კავშირების დამყარებას, რომელიც ამცირებს ახალი ომების, რეგიონული კონფლიქტების წარმოქმნის, ან გაყინული კონფლიქტის გაღვივების რისკს. სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ფასეულობების და ტექნოლოგიური მიღწევების ურთიერთგაზიარების ხარჯზე, ხელს უწყობს მათი კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრებას და განახლებას.

მოგზაურობის სოციალური პრაქტიკა ცვლის მსოფლიოს განვითარების სურათს, სადაც უმეტეს ფრაგმენტებში ყალიბდება ახალი გეოგრაფიული სფეროები, ინგრევა ქვეყნის სტერეოტიპები, მდიდრდება ტრადიციები და ჩვეულებები.

ტურიზმის გლობალიზაციის ეპოქაში ინტენსიურად გაძლიერდა კულტურული ნიმუშების ფართომასშტაბიანი გაცვლის პროცესი, სადაც მრავალფეროვან მსოფლიოში ადამიანები თავს გრძნობენ, არა მხოლოდ თავისი ქვეყნის საზოგადოების ნაწილად, არამედ მთელი კაცობრიობის. [5]

გლობალური ტენდენციები გამოიხატება ტექნოლოგიზაციაში, ინფორმატიზაციასა და ტურისტულ მომსახურებაში. უახლეს ტენდენციებს ტურიზმის განვითარებაში წარმოადგენს ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება (პერსონიფიკაცია), მდგრადი ტურიზმის განვითარება, პოლიტიკური, სოციალური და ეკოლოგიური რისკების შემცირება მასპინძელ დანიშნულების ადგილებში, ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების დაახლოება და კულტურათა გაცვლა. [6,გვ.45]

როგორც აღვნიშნეთ, გლობალიზაციის ახალმა შესაძლებლობებმა ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარებას. იგი განსაკუთრებით შეეხო ელექტრონულ ტექნიკას, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ტექნოლოგიებს. მსოფლიოში მომსახურების მოწოდება კომპიუტერული ინფორმაციით და დაჯავშნის სისტემებით, გახდა უფრო მოქნილი და ეფექტიანი. შემცირდა ხარჯები საჰაერო მოგზაურობაზე და ადვილი ხელმისაწვდომი გახდა საჰაერო მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა მიმართულებით, ტურიზმის ინდუსტრიაში გაუმჯობესდა ინფორმაციის სწრფი გავრცელების ტექნოლოგია, დაჯავშნის ონლაინ-სისტემების მომსახურების მაღალი ხარისხი, დანიშნულების ადგილის მარკეტინგში ინტერნეტის გამოყენება ტურისტულ ბაზრებზე პირდაპირი გაყიდვების და შეკვეთების მიცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც წარმოშობს ელექტრონულ - ტურისტულ ბაზრებს. ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია ტურისტული პროდუქტი გაცილებით დაბალ ფასად გლობალურად შეძენა.

აქედან გამომდინარე, მომხმარებლის მოთხოვნა გახდა ორიენტირებული ახალ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე. ფაქტია, რომ ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია დაიჯავშნოს სასტუმრო ოთახი, ბილეთები, ინფორმაცია გასართობი ცენტრების შესახებ, რამაც შეამცირა მგზავრობის შუამავლების ფუნქცია.

ტურიზმის გლობალიზაციას მიღებული აქვს მრავალი ფორმა. მაგ. გლობალიზაციის პროცესს ავიაკომპანიის სექტორში ხელს უწყობს ლიბერალიზაცია საჰაერო ტრანსპორტზე, რომელსაც გააჩნია რიგი დადებითი მხარე: გამომუშავდება ევროკავშირის ქვეყნების საჰაერო ტრანსპორტის მომსახურების ერთიანი სტანდარტები, მნიშვნელოვნად მცირდება ხარჯები და, რაც მთავარია, წარმოიქმნება უფრო შორეული და მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის გარემოება: შეიქმნება ევროპის ერთიანი გადამზიდველი, რომელსაც ექნება უნარი წინ აღუდგეს აშშ-ის და აზიური-წყნარი ოკეანის რეგიონების მეგაგადამზიდველების ექსპანსიას ევროპულ ბაზარზე [2, გვ. 40].

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებამ გლობალიზაციის ეპოქაში ხელი შეუწყო ავიაკომპანიების სტრატეგიული ალიანსების შექმნას. სარეკლამო ფლაერებმა და სხვა მარკეტინგულმა მექანიზმებმა გააძლიერეს ალიანსების შექმნის გლობალური ტენდენციის ჩამოყალიბება.

გლობალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ტრანსპორტის განვითარებას. დღევანდელი სატრანსპორტო სექტორი გამოირჩევა განვითარების მაღალი ტემპებით, რაც საშუალებას აძლევს სატრანსპორტო სფეროში მოქმედ კომპანიებს ეფექტიანად განახორციელონ ტრანსპორტირების ოპერაციები მსოფლიოს მასშტაბით დანიშნულების ნებისმიერ ადგილზე. ამავე დროს, ეფექტიანი სატრანსპორტო სფერო ასევე ნიშნავს, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილზე მიმდინარე რეალური კაპიტალდაბანდებები უფრო ადვილად შეიძლება განხორციელდეს, რადგან ამგვარი სამუშაოებისთვის აუცილებელი მასალები და აღჭურვილობა უფრო ადვილად მოძრაობს დანიშნულების ერთი ადგილიდან მეორემდე.

აღსანიშნავია, მსხვილი სატრანსპორტო კვანძების გაჩენა, რაც აადვილებს მოგზაურობას. ეს განსაკუთრებით შეეხება კომბინირებული ტურების მოყვარულებს, სადაც მოგზაურს შეუძლია ერთი სახეობის ტრანსპორტის მეორით შეცვლა, რაც გამოიწვევს მსხვილი გადამზიდავი ჯგუფების გაჩენას, რომლებიც სხვადასხვა ტრანსპორტით სერვისს უზრუნველყოფენ. დღეს ლოგისტიკური კომპანიები აერთიანებენ სხვადასხვა სატრანსპორტო მომსახურებას, რაც საშუალებას აძლევს მოგზაურს, ერთი კომპანიის ფარგლებში მიიღოს სხვადასხვა სახეობის გადაზიდვის სერვისი[2,გვ. 56].

გლობალიზაციის განთავსების სექტორში არ შედის სასტუმროში თანამშრომლობის და ჯაჭვის შექმნა, ერთობლივი საწარმოების, ფრანჩაიზინგის და კონსორციუმის დამოუკიდებელი საწარმოები.

გლობალიზაციამ და ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სამყარომ ცვლილებები შემოიტანა ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების პარამეტრებში, შეცვალა ტურისტის პროფილი. გაჩნდა „ექსპერიმენტული“ ტურისტი, რომელიც დაინტერესებულია არა ფიზიკური დასვენების სურვილით, არამედ სიახლეებით და თვითრეალიზაციით. კერძოდ:

- თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს პოტენციურ მომხმარებელს ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ, რომელსაც შეუძლია თავად დაგეგმოს მოგზაურობა, წინასწარ შეუკვეთოს სხვადასხვა სერვისი, გააკეთოს არჩევანი და სხვ.;

- სპეციალური მიზნებით მოგზაური მომხმარებელი - თანამედროვე მოგზაურები გამოირჩევიან მოთხოვნების მრავალფეროვნებით. დღეს საერთაშორისო სამოგზაურო ბაზარზე ფორმირებულია მრავალფეროვანი მოთხოვნების მრავალი ვიწრო სეგმენტი, იქნება ეს მომლოცველობა, ნათესავების მონახულება, დღესასწაულებზე დასწრება, ფრინველებზე დაკვირვება, „შავი“ ტურიზმი და ა.შ. მოგზაურები არჩევენ ტრანსპორტირების სხვადასხვა სახეობას - ველოსიპედით, მოტოციკლეტით, ავტომობილით, რკინიგზით მოგზაურობა და ა.შ.;
- „ეთიკური“ და პასუხისმგებლიანი მოგზაური, რომელიც კულტურას და გარემოს სცემს პატივს - თანამედროვე მოგზაურები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ მდგრადობის პრინციპებს. დღევანდელი ტურისტი წარმოადგენს მოგზაურს, რომელიც პატივს სცემს ტურისტული დანიშნულების ადგილის კულტურულ ღირებულებებს და ცდილობს, თავისი მოქმედებებით არ დააზიანოს იგი. ამავე დროს, თანამედროვე მოგზაური ასევე ცდილობს, საკუთარი მოგზაურობის პროცესში ზიანი არ მიადგეს ტურისტული დანიშნულების ადგილის გარემო პირობებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე მიწოდების სფერო გლობალური ცვლილებების პირობებში შემდეგი ტენდენციებით ხასიათდება:

ახალი და მიმზიდველი ტურისტული მარშრუტების შეთავაზების შესაძლებლობა - თანამედროვე სამეწარმეო სექტორი ცდილობს რა მოიპოვოს მომხმარებელი თანამედროვე მწვავე კონკურენტულ სამოგზაურო ბაზარზე, გამუდმებით სთავაზობს მომხმარებელს ახალ და უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებას, ცდილობს რა სრულყოფილად დააკმაყოფილოს მოგზაურთა მრავალფეროვანი მოთხოვნილება;

ბაზარზე სპეციფიკური ნიშების დაკმაყოფილებაზე მომუშავე ტურისტული ოპერატორები - იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე სამოგზაურო ბაზარი დაყოფილია ვიწრო ნიშებად, ტურიზმის ინდუსტრია პასუხობს რა თანამედროვე ბაზრის გამოწვევებს, ასევე იყოფა ვიწრო ნიშებზე მომუშავე კომპანიებად. ამგვარი სპეციალიზაცია საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო ღრმად შეისწავლონ საკუთარი ბაზარი და მომხმარებელი, გამუდმებით აამაღლონ სერვისის სტანდარტები და მიაღწიონ საწარმოო ოპერაციების მეტ ეფექტიანობას მთლიანობაში.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ფონზე, საქართველოს ეძლევა საშუალება წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები სხვადასხვა სფეროში, გაზარდოს ინტერესი ქვეყნისადმი და მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაპირობა იქნება.

სწორედ, გლობალიზაციის პროცესი აისახა ტურიზმის ბიზნესში - „აბრეშუმის გზის“ სახით, „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო ტურებმა გაზარდა საქართველოს ცნობიერება.„აბრეშუმის გზის“ მარშრუტი ასეთია - ჩინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, იტალია. ეს არის მასშტაბური ეკონომიკურ-კულტურული ექსპედიცია, რომლის მიზანია „აბრეშუმის გზის“ ქვეყნების ეკონომიკური, საინვესტიციო, ტურისტული, კულტურული და ისტორიული მდგომარეობის გაცნობა. „აბრეშუმის გზის“ ტურისტული მარშრუტი ტურისტებს საშუალებას აძლევს ისტორიული გზის გასწვრივ იმოგზაურონ. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ იმიტირებული პროგრამა 31 ქვეყანას მოიცავს, მათ შორის საქართველოსაც. „აბრეშუმის გზის“ ინიციატივასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამი მიმართულებით: მარკეტინგი, პოპულარიზაცია და ფასილიტაცია. ტურისტულ ბაზრებზე გაჩნდა მოთხოვნა ისეთი ტიპის ტურისტულ პროდუქტზე, რომელიც არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, არამედ ისტორიული მიმართულების ქვეყნებში ერთდროულად მოგზაურობის საშუალებას იძლევა. [4]

„აბრეშუმის გზის“ ფარგლებში საქართველოს ტურისტული პოტენციალი კიდევ უფრო მოიმატებს. ინფრასტრუქტურულად მოეწყობა „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ არსებული ტერიტორიები. თუმცა, ამ ყველაფერში მთავარიამოხდეს ინვესტირება.

„აბრეშუმის გზის“ აღდგენა საქართველოს მისცემს იმის შესაძლებლობას,რომ დაამყაროს ახალი კავშირები ახლო აღმოსავლეთსა და ევროპასთან, განავითაროს ეკონომიკა და ვაჭრობა, გააუმჯობესოს ქვეყნის საინვესტიციო გარემო და მიიღოს ამით მაქსიმალური სარგებელი.

გლობალიზაციის პროცესის დამახასიათებელი მოვლენაა მდგრადი ტურიზმის განვითარება, რომელიც გულისხმობს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადობას. ტურიზმის ეკოლოგიური მდგრადობა ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების და ფაუნის, ზღვის, ეკოსისტემების, ეროვნულიპარკების, ტყეებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ და ფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და გადატვირთვისაგან. ტურიზმის ეკონომიკური მდგრადობა გულისხმობს მისი და მომიჯნავე დარგებიდან ეკონომიკური შემოსავლების მიღებას, ხოლო სოციალური მდგარდობა გამოიხატება დასაქმების,

ხალხთა შორის კულტურათაგაცვლის, საერთაშორისო ტურიზმის განვითარების, რეკრეაციული შესაძლებლობის უზრუნველყოფის და სხვა ფუნქციით.

გლობალიზაციის პროცესი შეეხო დეპრესიული რეგიონების განვითარებასაც. თანამშრომლობის განვითარებისაკენ მიმართული საერთაშორისო პროექტების ტიმულირებას უწევენ ტურისტულ დივერსიფიცირებულ პროდუქტს, ქმნიან მასშტაბების ეფექტს ეკონომიკაში, პოპულარიზაციას უკეთებენ კონკრეტულ რეგიონს მათი ტურისტულ ადგილად აღიარების გზით. [3, გვ.15]

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- გლობალიზაციამ შეცვალა რა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების პირობები მსოფლიო მასშტაბით, მოიტანა ახალი რეალობები ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში სახელმწიფოპოლიტიკის განმახორციელებელებისათვის. გაჩნდა ტურიზმის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველი და შესაძლებლობა. საერთაშორისო ტურიზმი მრავალი ქვეყნისათვის ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა;
- თანამედროვე მოთხოვნა საერთაშორისო სამოგზაურო ბაზარზე ხასიათდება ინფორმირებული და გათვითცნობიერებული მომხმარებლით, რომელიც მოგზაურობის დროს იყენებს სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებს, მოგზაურობს სხვადასხვა ტიპის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, გარდა ამისა, აცნობიერებს გარემოსდაცვით ღირებულებებს და პატივს სცემს ადგილობრივ კულტურას;
- ამავე დროს, საერთაშორისო სამოგზაურო ბაზარზე თანამედროვე პირობებში მიწოდების მხრიდან გამოდიან მდგრადობის პრინციპით მომუშავე მეწარმეები, რომლებიც ცდილობენ შემოიტანონ თავიანთ საწარმოო ოპერაციებში გარემოსდაცვითი პრაქტიკა და ჩართონ წარმოების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა, გაითვალისწინონ წარმოების სოციალური და კულტურული პირობები;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ბაზარზე მოქმედ კომპანიებს, გააფართოვონ ბაზრის გეოგრაფიული არეალი, მოძებნონ მომხმარებელი სხვადასხვა სოციალურ სეგმენტში და განახორციელონ ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია და ა.შ.;
- თანამედროვე ტრანსპორტის განვითარება ახალ რეალიებს ქმნის საერთაშორისო ტურისტული ბაზრებისათვის, იქმნება ერთიანი გადამზიდავი სისტემები, რომლებიც აწესებენ სატარიფო პოლიტიკას;
- იზრდება მთავრობის როლი საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე. მთავრობა ადგენს ერთიან სტანდარტებს და მოგზაურობის უსაფრთხოების ნორმებს, ხელს უწყობს ტურიზმის მდგრად და დეპრესიული რეგიონების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ., გლობალიზაცია და თანამედროვე ბიზნესის გარემო საქართველოში - ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „გლობალიზაცია საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ თბ., 2012.
2. კანდელაკი ზ., საჰაერო ტრანსპორტის კომერციული ექსპლუატაცია, თბ., 2009
3. Iris Mihailovic - University od Dubrovnik, Department of Economics and Business Economics, Croatia – European scientific Journal, August 2014.
4. UNWTO Touriam Higlights 2015 edition .
5. WTTC Travel and Tourism. World economic impact 2015
6. Петрасов И. Концепция устойчивого развития применительно к мировому туризму (www.geopub.narod.ru).
7. Назачук А. В. Этика глобализирующегося общества (www.ihtik.lib.ru).
8. Покровский Я. Е. Транзит российских ценностей: нереализованная альтернатива, аномия, глобализация. 2000 (www.i-u.ru/biblio/archive/novikova_soc/soc_nov22.aspx).

Tourism Business on the Modern Stage of Globalization

M. aladashvili

Summary

The global transformation acquiredactive characteristics making the results unpredictable. The number of scientists consider globalization as unity of political, economic, cultural, social processes that changes degree of the historical processes, provides them with new forces and direction. Nowadays, transport and communication corporations, media, global networks or various entities of international tourism are supposed to be "agents" of cultural globalization. According to the existing reality, question arises naturally - What is the role of globalization in international tourism development? Here comes two important approaches following the process - on the one hand, international tourism development can contribute to the preservation of the cultural identity in certain country and region, on the other hand, it creates opportunities for cultural enrichment, establishes its defining driving forces in a new global space, implements advanced innovations achieved in leading country.

Keywords: International, tourism, globalization, business.

VALUE ADDED OF EXPORTS: THE CASE OF THE CENTRAL AND EASTERN EUROPEAN COUNTRIES

Ambroziak Łukasz (PhD), Warsaw School of Economics
Warsaw School of Economics, Al. Niepodległości 162, 02-554 Warszawa

The aim of the paper is to present changes in Polish foreign trade (in goods and services) in 1995–2011 using trade statistics in value added terms. They allow to determine the origin of the value added content of exports of the CEECs and to establish the countries whose exports contained value added previously exported by specific CEECs. This study was carried out with the use of the World Input-Output Database (WIOD), containing world input-output tables for the years 1995–2011.

Acknowledgement

This article is a result of the research project financed by the National Science Centre, decision number: DEC-2014/13/D/HS4/01426.

Introduction

The engagement of countries in the production fragmentation processes increasing since the 1980s has contributed to strong internationalisation of production. At present, there is virtually no processed product fully manufactured in a single country. The manufacture of processed goods involves producers from various countries, importing raw materials, materials and semi-finished products, carrying out their further processing and exporting them as products, frequently used in other countries as components and semi-finished products for downstream producers (OECD, 2013). Before it is intended for final consumption the end product has repeatedly crossed the borders of a number of countries and contains value added by many manufacturers. This phenomenon challenged the usefulness of traditional calculations of the value of international trade flows in gross terms, i.e. measuring the value of final goods crossing the borders of specific customs areas, since it led to overstatements of the trade value (Kaliszuk 2013). The result is the development of world input-output tables, serving to generate trade statistics in value added terms which take account of the contribution of particular countries to the creation of value added and eliminate the multiple calculation in trade of components, first separately (as intermediate goods) and then as parts of final goods (UNCTAD 2013).

The aim of the paper is to present changes in Polish foreign trade (in goods and services) in 1995–2011 using trade statistics in value added terms. They allow to determine the origin of the value added content of exports of the CEECs and to establish the countries whose exports contained value added previously exported by specific CEECs.

The application of input-output tables in the measurement of value added in trade

An input-output table contains a statistical description of production activities in a particular industry of the economy concerned over a specified period (usually one year). In other words, such a table provides information on the creation and distribution of the product in the economy, with a special focus on the relationships between production industries at intermediate stages of manufacturing (Leontief 1986). Initially, input-output tables were designed as models of the whole economies, but as early as the mid-1950s such tables began to include linkages between a number of countries and regions. One example can be the GTAP (*Global Trade Analysis Project*) launched in the early 1990s. This project (still in progress) aims to build a quantitative general equilibrium model for the analysis of the world economy processes.

The development of international input-output tables is difficult and time-consuming as it requires the 'alignment' of national input-output tables with data on bilateral trade of specific countries. It is also necessary to properly assign foreign value added to the initial countries of origin, which is a complex task due to the high degree of the fragmentation of production networks and the difficult separation of value added (Wiedmann et al. 2011). For example, intermediate goods shipped by a country abroad may return to it as re-imports of goods processed to a specific extent. In addition, some of the imports from the last supplier country may originate in third countries.

A simplified schema of an international input-output table (for three countries and one economic sector), presented in fig. 1, reflects the essence of such a table. Specific rows of the table provide information on the directions of export of goods and services produced in a country. At the same time, specific columns allow to determine the origin of goods and services absorbed in the production of a country (intermediate consumption) as well as for consumption (final demand). For example, the row for *Country 1* shows the share of the output of intermediates absorbed in the country and that exported to *Countries 2* and *3* as well as the share of the output of final goods consumed in the country and that exported to *Countries 2*

and *3*. In addition, the table contains information on imports of intermediates/final goods from *Countries 2* and *3* absorbed in production/consumed in *Country 1*.

		Intermediate use			Final demand			Gross output
		Country 1	Country 2	Country 3	Country 1	Country 2	Country 3	
		Industry	Industry	Industry	Industry	Industry	Industry	
Country 1	Industry	intermediate use of domestic output	intermediate use by 2 of exports from 1	intermediate use by 3 of exports from 1	final use of domestic output	final use by 2 of exports from 1	final use by 3 of exports from 1	X_1
Country 2	Industry	intermediate use by 1 of exports from 2	intermediate use of domestic output	intermediate use by 3 of exports from 2	final use by 1 of exports from 2	final use of domestic output	final use by 3 of exports from 2	X_2
Country 3	Industry	intermediate use by 1 of exports from 3	intermediate use by 2 of exports from 3	intermediate use of domestic output	final use by 1 of exports from 3	final use by 2 of exports from 3	final use of domestic output	X_3
Value added		V_1	V_2	V_3				
Gross output		X_1	X_2	X_3				

Fig. 1. International input-output table schema
Source: Own study.

Two databases containing comprehensive world input-output tables were made available in 2012–2013. In May 2012 the implementation of the WIOD (*World Input-Output Database*) project was completed, resulting in the creation of a database containing, *inter alia*, a set of world input-output tables by industry of the economy (Timmer et al. 2015). The WIOD covers 40 countries, including 27 EU Member States and 13 other major economies such as: the USA, Canada, Brazil, Mexico, China, India, Japan, South Korea, Australia, Taiwan, Turkey, Indonesia and Russia. The database contains data for 1995–2011 (17 years) for 35 industries by 35 industries (Timmer et al. 2012). In January 2013 the Organisation for Economic Co-operation and Development together with the World Trade Organisation presented another database, *Trade in Value Added* – TiVA. Its undoubted merit is that it contains computed indicators of the share of value added in trade flows for 61 selected countries (as updated in 2015) and for 34 industries. However, such data merely concern five years (1995, 2000, 2005, 2008, 2009, 2010, 2011) – OECD 2016.

In addition to the two above-mentioned databases, international input-output tables are also contained in databases such as the Global Trade Analysis Project (GTAP), the Eora multi-region input-output tables (MRIO), the multi-regional input-output tables of the Asian Development Bank (ADB-MRIO) and the Asian International Input-Output Tables of the IDE-JETRO (AIIOTs).

The research method

This study was carried out with the use of data from the *World Input-Output Database* (WIOD), containing world input-output tables for the years 1995–2011. On the basis of the above-mentioned tables, using the input-output (IO) model, appropriate calculations were made. The basic equation is as follows:

$$\mathbf{x} = \mathbf{Ax} + \mathbf{f} = \mathbf{Lf} \quad [1],$$

where:

- **x** denotes the vector of gross output,
- **A** denotes the matrix of technical input-output coefficients (costs),
- **f** denotes the vector of final output,
- **L** = $(\mathbf{I} - \mathbf{A})^{-1}$ denotes the matrix of material-intensity (or additional demand) coefficients, also referred to as the Leontief inverse (and **I** is a unit matrix).

For the sake of a clear presentation of the essence of the calculations, the international input-output table only concerns 3 countries and one sector. The matrix notation of the equation **x = Ax + f = Lf** is as follows:

$$\begin{pmatrix} x^1 \\ x^2 \\ x^3 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} A^{11} & A^{12} & A^{13} \\ A^{21} & A^{22} & A^{23} \\ A^{31} & A^{32} & A^{33} \end{pmatrix} \begin{pmatrix} x^1 \\ x^2 \\ x^3 \end{pmatrix} + \begin{pmatrix} f^1 \\ f^2 \\ f^3 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} L^{11} & L^{12} & L^{13} \\ L^{21} & L^{22} & L^{23} \\ L^{31} & L^{32} & L^{33} \end{pmatrix} \begin{pmatrix} f^{11} + f^{12} + f^{13} \\ f^{21} + f^{22} + f^{23} \\ f^{31} + f^{32} + f^{33} \end{pmatrix} \quad [2].$$

In order to decompose exports of a country by origin of value added, the value added trade flow matrix **T** was used, in the following form (Stehrer 2012, 13; Stehrer and Foster 2012):

$$\mathbf{T} = \mathbf{vLe}, \text{ [3]}$$

where:

v denotes the vector of value added coefficients of individual countries,

e denotes the vector of total exports of individual countries.

The matrix notation of equation [3] will be as follows:

$$T = \begin{pmatrix} v^1 & v^2 & v^3 \end{pmatrix} \begin{pmatrix} L^{11} & L^{12} & L^{13} \\ L^{21} & L^{22} & L^{23} \\ L^{31} & L^{32} & L^{33} \end{pmatrix} \begin{pmatrix} e^{1*} \\ e^{2*} \\ e^{3*} \end{pmatrix}, \text{ [4]}$$

and the diagonalisation of vectors **v** and **e** results in the following exposition:

$$T = \begin{pmatrix} v^1 & 0 & 0 \\ 0 & v^2 & 0 \\ 0 & 0 & v^3 \end{pmatrix} \begin{pmatrix} L^{11} & L^{12} & L^{13} \\ L^{21} & L^{22} & L^{23} \\ L^{31} & L^{32} & L^{33} \end{pmatrix} \begin{pmatrix} e^{1*} & 0 & 0 \\ 0 & e^{2*} & 0 \\ 0 & 0 & e^{3*} \end{pmatrix}, \text{ [5]}$$

and, finally, the matrix of value added flows between two countries is as follows:

$$T = \begin{pmatrix} v^1 L^{11} e^{1*} & v^1 L^{12} e^{2*} & v^1 L^{13} e^{3*} \\ v^2 L^{21} e^{1*} & v^2 L^{22} e^{2*} & v^2 L^{23} e^{3*} \\ v^3 L^{31} e^{1*} & v^3 L^{32} e^{2*} & v^3 L^{33} e^{3*} \end{pmatrix} . \text{ [6]}$$

This matrix allows to assess both the origin of the value added contained in exports of each country (and industry) and the distribution of the value added across countries. In order to determine the composition of exports by country of the origin of value added, we need to look at the columns of the above matrix, whereas the directions of the distribution of value added in exports of countries of destination are shown in the rows. Exports are composed of domestic value added and foreign value added.

The first column of matrix **T** includes elements describing the country of origin of the value added content of exports of country 1. For example, $v^1L^{11}e^{1*}$ denotes the value added created in country 1, subsequently exported by that country to foreign markets. In turn, $v^2L^{21}e^{1*}$ is the value added created in country 2 and contained in exports of country 1. A similar interpretation concerns $v^3L^{31}e^{1*}$ The value of domestic content in exports of individual countries can be seen on the diagonal of matrix **T** ($v^1L^{11}e^{1*}$, $v^2L^{22}e^{2*}$, $v^3L^{33}e^{3*}$). The sum of elements of each column is equal to gross exports of specific countries.

The first row of matrix **T** (with the exception of $v^1L^{11}e^{1*}$) shows which part of the value added exported by country 1 is re-exported by country 2 ($v^1L^{12}e^{2*}$) and country 3 ($v^1L^{13}e^{3*}$). In the literature it is referred to as indirect value added exports (Koopman et al. 2010). On a global scale, the sum of foreign content of exports of particular countries must be equal to the sum of the value added of particular countries in third countries' exports (i.e. to the sum of indirect value added exports).

Research results

Between 1995 and 2011 the value of exports of goods and services of the Central and Eastern European countries nearly increased by a factor of 6.2, to USD 714.5 billion. The high growth rate of exports of the CEECs was largely connected with a rise in foreign value added (the foreign value added content of exports). In 1995–2011 it showed more than ninefold increase, whereas domestic value added went up by a factor of slightly over five. The most buoyant growth in the foreign value added content of exports was recorded in the Central European countries which had been active participants in the global production and trade system since the early 1990s.

Decomposition of exports

In 1995–2011 the majority of the CEECs experienced a rise in the share of the foreign value added content of their exports. It meant that the value of exports of those countries increasingly included that of

goods and services supplied from abroad and absorbed in export-oriented production. The steepest growth in the share of the foreign value added content of exports was observed in Poland and Hungary (by 17.1 pps), in the Czech Republic (by 16.6 pps) and in Slovakia (by 10.5 pps). In 2011 value added created abroad accounted for as much as 46% of the value of Czech and Hungarian exports and for 42% of Slovakian exports. In Poland the respective share was slightly lower (34%). Therefore, with the exception of Poland, the greatest participation in global value chains characterised countries with relatively smaller economies. Exports of those countries were dominated by goods (accounting for over 80% in the Czech Republic and Slovakia). Their production processes are more likely to be fragmented into specific stages than the provision of services. In addition, from the 1990s the Central European countries (the Czech Republic, Poland, Slovakia and Hungary) had become destinations for FDI, primarily aimed at improving efficiency by minimising production costs (efficiency-seeking investment). It was primarily greenfield investment (rather than brownfield investment aimed at restructuring), mostly made by the EU Member States, consisting in the building 'from scratch' of a production plant in the host country (Ambroziak 2012)[1]. The main destinations for foreign investment in the Central European countries were primarily labour-intensive manufacturing industries, e.g. the manufacture of transport equipment and of certain mechanical and electric machinery and equipment. The above-mentioned industries are characterised by a high share of the foreign value added content of exports, which translates into the overall share of value added in exports of those countries. Poland was also actively involved in the process of production fragmentation, but due to its larger economy (in comparison with the other countries in the region), thus a greater internal market and lesser importance of foreign trade to the economy, the significance of the foreign value added content of exports was lower than in the other Central European countries.

In 1995–2011 the share of the foreign value added content of exports also went up, even though to a limited degree, in Slovenia and Bulgaria (by 3 pps and 2 pps respectively), Romania and Lithuania (by ca. 1 pp). A fall in that proportion was observed in Estonia (by 5 pps) and Latvia (by 1 pp). In 2011 the foreign value added content was the least important in Latvia and Romania. As little as ca. one-fourth of the value of exports of those countries was generated abroad. As regards the other two Baltic States, i.e. Estonia and Lithuania, as well as Slovenia and Bulgaria, the share of the foreign value added content of exports was higher and ranged from 33% to 37%.

With the exception of Poland and the Czech Republic, in 2011 the share of the foreign value added content of exports was lower than in 2008, i.e. before the global financial and economic crisis. One symptom of the crisis was a collapse in international trade in 2009, to a greater extent caused by a fall in the value of the foreign value added content of exports than by a decline in the value of the domestic content. Foreign value added is more susceptible to business cycle fluctuations than the domestic value added content. During economic upswing the foreign value added content of exports is characterised by higher growth rates than the domestic value added content of exports. The opposite is the case during a slowdown – the dynamics of the foreign value added content of exports are lower. The more abrupt fall in the foreign value added content of exports at the time of the financial and economic crisis stemmed from the fact that industries characterised by a high degree of the internationalisation of production processes (e.g. the manufacture of transport equipment, of machinery and equipment) were hit the hardest as a consequence of the economic crisis, resulting in a marked decline in the flows of trade in intermediates and final goods produced in those industries. In addition, during the crisis businesses could start the process of production defragmentation and of replacing foreign suppliers with domestic ones, which contributed to a relatively higher growth rate of domestic value added than that of foreign value added (Stehrer, Stöllinger 2013). In 2010–2011 most of the countries experienced an economic recovery and the foreign value added content of exports increased faster than the domestic value added content. Nevertheless, only two of the above-mentioned countries, i.e. Poland and the Czech Republic, managed to reach the 2011 share of the foreign value added content of exports at a level higher than before the crisis.

[1] The factors shaping FDI inflow to the CECs countries include a rather good level of transport and communications infrastructure, the availability of relatively cheap (in comparison with the EU-15 countries) and skilled workforce, the proximity to suppliers and outlets, economic cooperation with the EU Member States intensified in the 1990s as well as prospects of future EU membership of those countries.



Fig. 1. Decomposition of the CEECs' exports by value added
Source: Own calculations based on the WIOD database.

Despite an increased importance of the foreign value added content of most CEECs' exports, the value added generated in those countries continued to dominate. Trade statistics based on the world input-output tables allow to decompose domestic value added into value added contained in final goods, consumed or absorbed in the countries of destination and into value added contained in intermediates and services absorbed by other countries in output intended for export. The share of the latter category in gross exports of the CEECs reflects the strength of the links of those countries with foreign customers absorbing goods and services originating in the CEECs in their export-oriented production.

In 1995–2011 all the countries under analysis again saw an increase in the share of the domestic value added content of third countries' exports in the value of gross exports. The most robust growth was recorded in non-Central European countries, i.e. in Bulgaria, Romania, Slovenia and the Baltic States. In the Central European countries the role of the domestic value added content of third countries' exports went up to a limited degree. In 2011 the strongest linkages with foreign recipients of intermediate goods and services characterised Romania, Slovakia, Latvia and Estonia. The domestic value added content of other countries' exports accounted for around one-fourth of the value of gross exports of those CEECs. In Hungary and Lithuania that share slightly exceeded 19%, whereas in other countries it ranged from 20% to 25%.

At the same time, the most domestic value added consumed or absorbed in the countries of destination characterised Romanian and Latvian exports (more than half of the value of their exports) and Lithuanian exports (46%), whereas the lowest shares were recorded in three CECs, i.e. the Czech Republic, Slovakia and Hungary (below 35%). As regards other CEECs, the respective proportion was around 40%. Therefore, the lesser the importance of the domestic value added content of exports consumed or absorbed in the countries of destination the higher the share of the CEECs' exports represented by intermediate goods. Thus, it reflected greater involvement of the countries in the processes of production fragmentation and their participation in global value chains.

FVA by country

The geographical composition of the foreign value added content of exports of the CEECs was largely determined by the level of bilateral trade and investment cooperation between specific countries. In the majority of the CEECs, the greatest contribution to the creation of the foreign value added content of exports characterised the EU-15, mainly Germany. With the exception of Slovakia, in 1995–2011 there was a fall in the share of those countries in the foreign value added content of the CEECs' exports. Nevertheless, in 2011 the EU-15 accounted for nearly half of the foreign value added content of Slovenian and Romanian exports and for ca. 45% of exports of the Czech Republic and Hungary. At the same time, the EU-15 as a supplier of intermediates and services for export-oriented production played the least significant role in Lithuania and Bulgaria (20% and nearly 30% respectively in 2011). The countries concerned were characterised by major

contributions of Russian intermediate goods and services to the foreign value added content of exports. In general, in 1995–2011 Russia's share in the foreign value added content of exports of the CEECs showed a decrease. The only exception was Lithuania, with Russia's position as a supplier of intermediates and services strengthened in the period in question. In 2011 nearly half of the foreign value added content of Lithuanian exports originated in Russia. In the period covered, the foreign value added content of exports of the CEECs (except for Slovakia) increasingly originated in those countries. It resulted from greater trade and investment cooperation between the countries in question as a consequence of their joining the European Union (in 2004 and 2007). A lower share of the CEECs in the creation of the foreign value added content of Slovakian exports mainly stemmed from decreased importance of the Czech Republic to the Slovakian economy, considering the rather strong linkages in the mid-1990s (i.e. immediately after the dissolution of Czechoslovakia). In addition, in the CECs (and Estonia) there was an increase in the share of East Asian countries in the foreign value added content of exports. A number of Asian corporations made direct investments (mostly export-platform FDI) in those countries in plants manufacturing durable goods, mainly exported to the EU markets[2]. The share of the United States in the foreign value added content of exports was relatively minor. It was only higher for Hungary (slightly over 7% in 2011), as a result of US FDI, mostly in the automotive sector (General Motors and Ford).



Fig. 2. Foreign value added in the CEECs by country of origin
Source: Own calculations based on the WITS database.

DVX by country

The vast majority of domestic value added originating in the CEECs and re-exported by other countries was exported by the EU-15. With the exception of the Baltic States, the most important role was played by Germany and in the case of Slovenia also by Italy and Austria. In 1995–2011 the EU-15 reduced their exports of value added created in the CEECs. Nevertheless, in 2011 ca. 60% of Czech, Hungarian, Estonian, Polish and Slovenian value added content of other countries' exports was found in the EU-15 exports. A relatively large share of value added generated in specific CEECs was exported by other CEECs. In the period covered, the majority of the countries under examination experienced the intensification of such relationships. The CEECs were particularly important as exporters of value added created in Slovakia and in the Czech Republic. It mostly resulted from strong economic linkages between those countries. At the same time, non-EU countries played a significantly lesser role as exporters of value added generated in the CEECs than as suppliers of intermediates and services for export-oriented production in the countries concerned.

[2] Examples of such FDI include the investment of Japanese Suzuki in the manufacture of motor vehicles in Hungary, that of Korean LG in the manufacture of consumer electronics in Poland, that of Korean Hyundai in a car factory in the Czech Republic. The launch in late 2006 of a plant producing Kia and Hyundai cars by Korean Kia in the Slovak city of Žilina boosted imports of parts and components from South Korea, thus leading to a rise in the Korean foreign value added content of Slovakian exports of vehicles.



Fig. 3. Exporters of value added originating in the CEECs
Source: Own calculations based on the WITS database.

FVA by industry

The share of the foreign value added content of exports varied between industries (table 1). In 2011 the contribution of foreign value added was the highest in labour-intensive industries (e.g. the transport equipment industry, the manufacture of electronic and optical equipment) and in manufacturing industries based on foreign supplies of raw materials (such as the manufacture of refined petroleum products, the chemical industry). A low share of domestic value added in services resulted from the fact that, in contrast to goods, services are subject to fragmentation to a limited extent. Relatively little importance of the foreign value added content of exports also characterised agriculture, forestry and fisheries, mining and quarrying as well as material-intensive industries based on national supplies of raw materials for manufacturing (e.g. the food industry, the manufacture of wood and wood products, the manufacture of paper and paperboard).

Table 1. FVA by industry

Country	Agriculture, Hunting, Forestry and Fishing	Mining and Quarrying	Food, Beverages and Tobacco	Textiles and Textile Products	Leather, Leather Products and Footwear	Wood and Products of Wood and Cork	Pulp, Paper, Paper Products , Printing and Publishing	Coke, Refined Petroleum and Nuclear Fuel	Chemicals and Chemical Products	Rubber and Plastics	Other Non-Metallic Mineral	Basic Metals and Fabricated Metal	Machinery, Nec	Electrical and Optical Equipment	Transport Equipment	Services
Bulgaria	23.9	21.0	32.6	26.5	36.7	35.7	41.0	68.3	46.5	51.4	35.3	41.4	38.0	42.0	37.5	24.4
Czech Rep.	28.1	22.9	26.9	40.1	43.3	28.6	33.9	54.1	44.7	46.9	29.4	47.0	47.9	68.8	53.1	20.9
Estonia	27.7	22.8	32.3	36.5	33.4	31.4	30.8	25.2	41.0	45.0	28.7	43.1	37.4	45.8	31.2	26.0
Hungary	28.1	35.8	33.0	45.8	52.8	40.1	39.1	55.2	46.5	51.3	40.5	55.0	39.9	66.1	56.3	25.2

Lithuania	26.1	16.7	28.5	37.3	28.5	25.8	24.7	77.7	61.0	44.5	35.3	37.3	29.4	33.2	29.4	14.3
Latvia	26.1	21.5	27.0	36.3	18.4	24.8	26.9	n.a.	38.4	42.5	31.7	51.6	34.2	31.5	33.7	16.6
Poland	19.9	18.6	24.3	33.6	32.5	27.1	28.6	53.9	40.5	38.7	29.5	40.8	34.3	43.8	46.5	19.8
Romania	16.0	26.2	15.7	32.1	26.3	17.5	20.2	35.5	34.8	30.4	24.2	33.9	29.8	31.4	27.9	14.9
Slovakia	19.3	16.4	27.1	39.9	49.4	20.3	32.1	71.6	41.1	41.1	27.0	37.0	43.9	55.4	56.1	18.8
Slovenia	21.0	22.4	27.3	45.2	42.1	34.5	35.6	31.2	35.5	40.0	29.6	40.8	40.3	42.2	50.8	21.5

n.a. – not available.

Source: Own calculations based on the WIOD database.

Conclusions

The decomposition of gross exports of the CEECs into domestic and foreign value added by using the world input-output tables allowed to better explain developments in the foreign trade of the countries in question over roughly two decades. It follows from the analysis conducted that the CEECs were engaged in the production fragmentation processes to a varying degree, thus the structure of exports of those countries evolved in different directions. The greatest changes in the composition of exports by origin of value added were observed in the Central European countries. Since the 1990s they had been destinations for foreign direct investment, mostly in labour-intensive manufacturing industries. As a result, there was a marked increase in the share of the foreign value added content of exports of those countries, mainly supplied by Germany – the largest investor in the Central European countries – at the expense of domestic value added. Despite of a limited rise, a relatively insignificant role in the countries concerned (with the exception of Poland) was played by domestic value added re-exported by other countries.

In 1995–2011 the share of the foreign value added content of Slovenian, Bulgarian, Lithuanian and Romanian exports went up only slightly. In Estonia and Latvia the respective proportion declined. In 2011 the lowest content of foreign goods and services was found in Latvian and Romanian exports. In addition to Estonia, Slovakia and Poland, the above-mentioned countries were characterised by a relatively high share of the domestic value added content of exports of other countries.

The financial and economic crisis considerably affected the value and composition of the trade of the CEECs. In 2009 there was a marked decrease in the share of the foreign value added content of the CEECs' exports (against the 2008 figure). Although in the following years the value of the foreign value added content of exports grew at a higher rate than that of the domestic value added content, in 2011 only two countries, i.e. Poland and the Czech Republic, managed to exceed the share of the foreign value added content of exports noted before the crisis.

References

Ambroziak Ł. (2012), *FDI and Intra-Industry Trade: Theory and Empirical Evidence from the Visegrad Countries,* „The International Journal of Economics and Business Research", vol. 4, pp.180-198.

Kaliszuk E. (ed.) (2013), *Mierzenie wartości dodanej w handlu zagranicznym. Nowe koncepcje, metody i wyzwania [Measuring value added in foreign trade. New concepts, methods and challenges]*, IBRKK, Warsaw.

Koopman R. et al. (2010), *Give credit to where credit is due: tracing value added in global production chains*, NBER Working Papers Series, no 16426.

Leontief W. (1986), *Input-Output Economics*, Oxford University Press, New York.

OECD (2013), *Interconnected Economies: Benefiting from Global Value Chains*, OECD Publishing.

OECD (2016), Trade in Value Added Database.

Stehrer R. (2012), *Trade in Value Added and the Value Added in Trade*, wiiw Working Paper, no 81.

Stehrer R. (2013), *Accounting Relations in Bilateral Value Added Trade,* WIIW Working Papers, no 101.

Stehrer R., Foster N., de Vries G. (2012), *Value added and Factors in Trade: A comprehensive approach*, wiiw Working Paper, no 80.

Stehrer R., Stöllinger R., 2013, *Positioning Austria in the Global Economy: Value Added Trade, International Production Sharing and Global Linkages*, FIW-Research Reports, no. 02.

Timmer M. P., Dietzenbacher E., Los B., Stehrer R. and de Vries G. J. (2015), *An Illustrated User Guide to the World Input–Output Database: the Case of Global Automotive Production*, "Review of International Economics, vol. 23, pp. 575–605.

UNCTAD (2013), *World Investment Report*, New York and Geneva.

Wiedmann T., Wilting H.C., Lenzen M., Lutter S., Palm V. (2011), *Quo Vadis MRIO? Methodological, Data and Institutional Requirements for Multi-Region Input-Output Analysis*, "Ecological Economics", vol. 70, Issue 11, pp.. 1937-1945.

ფასების დონე და საშუალო საგადასახადო განაკვეთი ზოგადი წონასწორობის მოდელში

იური ანანიაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის LKS მოდელი. მოდელის შემადგენელ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებში ამხსნელ ცვლადებად ჩართულია ფასების დონე და საშუალო საგადასახადო განაკვეთი. ასეთი მიდგომა ერთი ზოგადი მოდელის ფარგლებში ორი კერძო ვარიანტის, LKST-სა და LKSP-ის გაანალიზების საშუალებას იძლევა. LKST მოდელში ენდოგენური ცვლადებია მთლიანი გამოშვება და საშუალო საგადასახადო განაკვეთი, LKSP-ში კი - მთლიანი გამოშვება და ფასების დონე. გამოკვლეულია ორივე მოდელის თვისებები. ნაჩვენებია, რომ ლაფერ-კეინზიანურ სინთეზის პრობებში არსებობს გარკვეული კორელაცია ფასების დონესა საშუალო საგადასახადო განაკვეთს შორის.

საკვანძო სიტყვები: *ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია, ერთობლივი მიწოდების ფუნქცია, ლაფერ-კეინზიანურ სინთეზი, საშუალო საგადასახადო განაკვეთი, ფასების დონე, LKS მოდელი.*

ეკონომიკური კანონზომიერებების გამოსავლენად და ეკონომიკაში გასატრებელი ღონისძიებების განსაზღვრისათვის თანამედროვე ეტაპზე მრავალი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი გამოიყენება. ამ მოდელებში, როგორც წესი, ასახვას პოულობს სხვადასხვა ასპექტი, იმის მიხედვით, თუ რა მიზნითა და რა დონის ობიეტების შესასწავლადაა ისინი შექმნილი. ქვემოთ გაანალიზებული მოდელი ზოგადი მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელების ჯგუფს მიეკუთვნება. მისი თავისებურება ისაა, რომ ფასების დონესთან ერთად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საგადასახადო ტვირთზე და იმ როლზე, რომელსაც ეს ტვირთი ასრულებს მაკროეკონომიკური წონასწორობის ფორმირების პროცესში.

მაკროეკონომიკური წონასწორობის ცნება უშუალოდ ერთობლივ მოთხოვნას და ერთობლივ მიწოდებას უკავშირდება. ეს ცნებები ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევას ორი სხვადასხვა მხრიდან განიხილავს. კერძოდ, ერთობლივი მოთხოვნა გამოსახავს დანახარჯების ერთობლიობას, რომელიც გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, წლის განმავლობაში, გასწიეს შინამეურნეობებმა, ფირმებმა, სახელმწიფომ და სხვა ქვეყნების ეკონომიკურმა სუბიექტებმა ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების შესაძენად. ერთობლივი მიწოდება კი ახასიათებს პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებელთა ქცევას და მოცემულ პერიოდში მათ მიერ ქვეყნის შიგნით წარმოებულ საბოლოო პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობას. როცა დაგეგმილი ერთობლივი დანახარჯები ემთხვევა ერთობლივი მიწოდების სიდიდეს, ადგილი აქვს მაკროეკონომიკურ წონასწორობას. წონასწორობის ამ ორი მდგენელის ფორმირების პროცესში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს. ისინი პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: კერძო ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის ან მხოლოდ ერთობლივი მიწოდების სიდიდეს და საერთო (ზოგადი) ფაქტორები, რომლებზეც დამოკიდებულია წონასწორობის, როგორც ერთი, ასევე მეორე მდგენელი. ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების საერთო ფაქტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ფასების დონე და საშუალო საგადასახადო განაკვეთი (ამოღებული მთლიანი გადასახადების წილი მთლიან შიგა პროდუქტში). ამ ფაქტორებიდან, ტრადიციულად, განსაკუთრებული ყურადღება ფასების დონეს ექცევა, რის გამოც მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელში ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონეზე დამოკიდებულ ფუნქციებად განიხილება. სხვანაირად, წონასწორობის ტრადიციულ მოდელში ენდოგენურ ცვლადებს წარმოადგენს გამოშვების მოცულობა და ფასების დონე.

მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის აგების განსხვავებული მიდგომა შემოთავაზებულია [1]-ში, სადაც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებში ფასების დონის ნაცვლად არგუმენტად და, შესაბამისად, ენდოგენურ ცვლადად, განიხილება საშუალო საგადასახადო განაკვეთი, ხოლო ფასების დონე, სხვა მრავალ მახასიათებელთან ერთად, ეგზოგენურ ცვლადს წარმოადგენს. მოდელის ამ ვარიანტს საფუძვლად უდევს ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული იდეა გულისხმობს ერთობლივი მოთხოვნის გამოსახვას კეინზიანური მოდელის საშუალებით, ერთობლივი მიწოდების მოდელის აგებისათვის კი არტურ ლაფერის კონცეფციის განზოგადებული ვარიანტის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც საშუალო საგადასახადო განაკვეთი

ერთობლივი გამოშვების მოცულობაზე დაახლოებით ისეთივე ფორმით ზემოქმედებს, როგორც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სიდიდეზე.

[1]-ში შემოთავაზებული ზოგადი წონასწორობის მოდელი შემდეგი სახისაა:

$$Y^S = Y_{pot}e^{t^{\delta}\delta(-lnt)}, \quad (1)$$

$$Y^D = \frac{A(P)}{1-(1-t)b-tg+\xi}, \quad (2)$$

$$Y^S = Y^D = Y_E. \quad (3)$$

ამ სისტემაში Y^S საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ერთობლივი მიწოდების ფუნქციაა, Y^D კი ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციაა. (3) წონასწორობის განტოლებაა და Y_E აღნიშნავს წონასწორული გამოშვების მოცულობას. გარდა ამისა, (1)-(3) სისტემაში შემავალ ცვლადებსა და პარამეტრებს შემდეგი შინაარსი შეესაბამება: Y_{pot} - პოტენციური გამოშვების მოცულობა (გამოშვების მოცულობა არსებული ტექნოლოგიის პირობებში ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების დროს); t - საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა (განისაზღვრება მთლიანი გადასახადების მთლიან გამოშვებასთან შეფარდებით). განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ $0 \le t \le 1$; δ - შესაფასებელი პარამეტრია და რიცხობრივად ე.წ. ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის ლოგარითმის უარყოფითი მნიშვნელობის შებრუნებულის ტოლია. თავის მხივ, ოპტიმალურს მიეკუთვნება საგადასახადო განაკვეთი, რომლისთვისაც ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვებები ერთმანეთს ემთხვევა; $A(P)$- კომბინირებული სიდიდეა, $A(P) - A_0 + \left(\psi(M)/P\right)$, და ტრადიციული ავტონომიური დანახარჯების, A_0-ის, გარდა შეიცავს $\left(\psi(M)/P\right)$ ელემენტს , რომელიც ფულის რეალური ნაშთით $\left(M/P\right)$ განისაზღვრება. ჩანაწერი $A(P)$- მიუთითებს იმაზე, რომ A მახასიათებლის ერთ-ერთ განმსაზღვრელს, რამდენიმე ეგზოგენურ სიდიდესთან ერთად, ფასების დონე, P , წარმოადგენს, ამასთან, იგულისხმება, რომ $A(P)$ P -ს მიმართ კლებადია; b - შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება; g -სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება; e ნატურალური ლოგარითმის ფუძეა; ξ - გარკვეული შინაარსის მქონე დადებითი პარამეტრი, რომელიც ინვესტიციებისა და ფულის ბაზრის განტოლებებში შემავალი შესაფასებელი კოეფიციენტების საფუძველზე გაიანგარიშება.

მოყვანილი მოდელის უბრალო ვიზუალური ანალიზი ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე მიგვანიშნებს: როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ასევე ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად ცხადი სახით წარმოდგენილია საშუალო საგადასახადო განაკვეთი t , მაშინ როცა ფასების დონეს, P -ს, ცხადი სახით მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს (1)-(3) მოდელის გარკვეული ნაკლია, და საჭიროა მისი ფორმალური მხარის შემდგომი სრულყოფა ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში ფასების დონის ჩართვის გზით. თუ ამას გავაკეთებთ და პარალელურად შევინარჩუნებთ (1)-(3)-ში ასახულ ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მიდგომას, მაშინ საშუალება მოგვეცემა მაკროეკონომიკური წონასწორობის ერთი და იმავე მოდელის ფარგლებში წონასწორული მთლიანი გამოშვების მოცულობა დავაკავშიროთ, როგორც ფასების დონესთან, ასევე საშუალო საგადასახადო განაკვეთთან.

(1)-(3) მოდელში წონასწორობის დარღვევისა და აღდგენის ვარიანტების ანალიზმა გვიჩვენა [2], რომ ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში ფასების დონის გასათვალისწინებლად მიზანშწონილია (1) შემდეგი სახით გარდავქმნათ

$$Y^S = Y_{pot}e^{\delta(P)\delta(P)(-lnt)}, \quad (4)$$

სადაც $\delta(P)$ ფასების დონეზე დამოკიდებული დადებითად განსაზღვრული რაიმე კლებადი ფუნქციაა: $\delta(P) > 0$ და $\partial\delta(P)/\partial P < 0$. $\delta(P)$-ს კონკრტული სახის შეფასება ცალკე ეკონომეტრიკული პრობლემაა და აქ მასზე არ შევჩერდებით.

დავუშვათ, რომ მოცემულია აღნიშნული თვისების მქონე $\delta(P)$ ფუნქცია. მაშინ (2)-(4) სისტემას შეიძლება ვუწოდოთ ლაფერ-კეინზიანურ სინთეზზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური წონასწორობის ზოგადი მოდელი ან, შემოკლებით, LKS მოდელი. კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად შეიძლება განვიხილოთ LKS მოდელის ორი ვარიანტი: LKST და LKSP. მოკლედ გავაანალიზოთ თითოეული მათგანი.

LKST მოდელი. ამ შემთხვევაში (2)-(4)-ის ენდოგენური ცვლადებია გამოშვების მოცულობა Y და საშუალო საგადასახადო განაკვეთი, t . დანარჩენი მახასიათებლები, მათ შორის ფასების დონე, ეგზოგენური სიდიდეებია. ეს ნიშნავს, რომ LKST მოდელის ანალიზი უნდა განხორციელდეს მთლიანი გამოშვებისა და საშუალო საგადასახადო განაკვეთის შესაბამისი საკოორდინატო ღერძებით შექმნილ სიბრტყეზე. ამ სიბრტყეზე (2)-ით განსაზღვრული ერთობლივი მოთხოვნის მრუდი შეიძლება იყოს როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი და ეს დამოკიდებულია b და g პარამეტრების თანაფარდობაზე [ამის შესახებ იხ. 1 ან 2]. რაც შეეხება (4)-ით განსაზღვრულ ერთობლივი მიწოდების მრუდს, ის ხასიათდება ლაფერის საწარმოო მრუდის [3] ყველა თვისებით [2]: ზრდადია $[0,t^*)$ შუალედში, კლებადია $(t^*,1]$ შუალედში და მაქსიმუმს აღწევს t^* წერტილში. ამასთან, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ LKST მოდელისთვის

$$t^* = \exp\left(-1/g(P)\right) \text{ და } maxY(t) = Y(t^*) = Y_{pot}. \quad (5)$$

შემდეგში t^*-ს, რომლის პირობებში ერთობლივი მიწოდება პოტენციურ დონეზე იმყოფება, ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთს ვუწოდებთ.

LKST მოდელი, სხვა მახასიათებლების მოცემულობისას, საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ წონასწორული გამოშვების მოცულობა $Y_E(t)$ და მისი შესაბამისი წონასწორული საგადასახადო განაკვეთი t_E (t -ს მნიშვნელობა, რომლისთვისაც (2) და (4) ფუნქციები აკმაყოფილებენ (3)-ს). როგორც წესი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, წონასწორული გამოშვება განხვავდება პოტენციური გამოშვებისგან ანუ Y_{pot}-საგან, ხოლო წონასწორული საგადასახადო განაკვეთი - t^*-საგან. ცხადია, წონასწორობის (t_E, $Y_E(t)$) წერტილი (2) და (4) მრუდების გადაკვეთით მიიღება და შეიძლება შეიცვალოს, თუ ამ მრუდებიდან რომელიმე მაინც გადაადგილდება. აღინიშნავია, რომ LKST მოდელის ფარგლებში (2) და (4) მრუდების გადაადგილების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ფასების დონის ცვლილება წარმოადგენს. მაგალითად, ფასების დონის ზრდა (2)-ის მრიცხველში ამცირებს კომბინირებულ $A(P)$ ელემენტს და Y^D მრუდს გადაადგილებს ქვემოთ; ერთობლივი მიწოდების (4) მრუდის მდებარეობაზე ფასების ზემოქმედების განსხვავებული მექანიზმი მუშაობს. როგორც (5)-დან გამომდინარეობს, LKST მოდელში ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი, t^* , რომელიც ერთობლივი მიწოდების მრუდის მდებარეობას განსაზღვრავს, დამოკიდებულია ფასების დონეზე. თუ გავითვალისწინებთ $g(P)$ ფუნქციის ზემოთ აღნიშნულ თვისებას, შევნიშნავთ, რომ t^* არის P -ს მიმართ კლებადი. ამიტომ, როდესაც სხვა თანაბარ პირობებში ფასების დონე იზრდება, t^* მცირდება და, მაშასადამე, (4)-ის შესაბამისი მრუდი გადაადგილდება მარცხნივ. ცხადია, P -ს შემცირება გამოიწვევს (4)-ის შესაბამისი მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას. ამ პროცესის საილუსტრაციოდ, ნახ. 1-ზე მოყვანილია პირობითი მონაცემებით აგებული (4)-ის შესაბამისი მრუდები ფასების დონის სამი ვარიანტისათვის: $P_1 = 1,2$, $P_2 = 1,5$. $P_3 = 0,9$. მრუდების აგებისას $g(P)$-ს როლში განვიხილეთ მარტივი ფუნქცია: $g(P) = \frac{1,4}{P}$. გარდა ამისა, დავუშვით, რომ $Y_{pot} = 100$. ამ პირობებში t^*-ს მნიშვნელობამ P_1-სათვის შეადგინა 0,424, P_2-სათვის - 0,343, ხოლო P_3-სათვის - 0,526. როგორც ვხედავთ, LKST მოდელში ერთობლივი მიწოდების მრუდის მდებარეობა დამოკიდებულია ფასების დონეზე და ამ უკანასკნელის ცვლილებისას მრუდი მკაცრად განსაზღვრული მიმართულებით გადაადგილდება.



ნახ. 1.ერთობლივი მიწოდების მრუდები LKST მოდელში

LKSP მოდელი. (2)-(4) სისტემის ამ ვარიანტში მთლიანი გამოშვების მოცულობასთან ერთად ენდოგენური ცვლადია ფასების დონე. დანარჩენი მახასიათებლები, მათ შორის, საშუალო საგადასახადო განაკვეთი, ეგზოგენური სიდიდეებია. მიუხედავად იმისა, რომ ცვლადების ანალოგიური სტრუქტურა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ტრადიციულ მოდელსაც გააჩნია, ამ უკანასკნელისაგან LKSP თვისებებით რამდენადმე განსხვავდება, რასაც ძირითადად ერთობლივი მიწოდების (4) მრუდის ფორმა განაპირობებს. თუ LKSP მოდელში შემავალ (4) დამოკიდებულებას გავაანალიზებთ, როგორც P ფუნქციას, შეიძლება ვაჩვენოთ, რომ მას გააჩნია მაქსიმუმი და ზრდადობისა და კლებადობის შუალედები. ამასთან, მაქსიმუმის მნიშვნელობა ემთხვევა Y_{pot}-ს, ხო ლო მისი შესაბამისი P , რომელსაც P^* -ით აღვნიშნავთ, შემდეგი განტოლებით განისაზღვრება:

$$\delta(P) = -1/_{tax}. \qquad (6)$$

მაგალითად, $\delta(P)$ ფუნქციის მარტივი ვარიანტის, $\delta(P) = a/_P$, შემთხვევაში, სადაც a რაიმე დადებითი რიცხვია, მივიღებთ:

$$P^* = ain\,t.$$

ამ სიტუაციაში Y^S-ის ზრდადობის შუალედია $0 < P \leq -ain\,t$, კლებადობის შუალედს კი შეესაბამება $-ain\,t \leq P < \infty$. ნახ.2-ზე წარმოდგენილია პირობითი მონაცემებით აგებული (4)-ის შესაბამისი მრუდები საგადასახადო განაკვეთის სამი ვარიანტისთვის: $t_1 = 0,3$, $t_2 = 0,4$. $t_3 = 0,5$. მრუდების აგებისას კვლავ დავუშვით, რომ $\delta(P) = \frac{1,4}{P}$ და $Y_{pot} = 100$. ამ პირობებში P^*-ის მნიშვნელობამ t_1-სათვის შეადგინა 1,685, t_2-სათვის - 1,283, ხოლო t_3-სათვის - 0,971. მაშასადამე, LKSP მოდელის მიხედვით, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, სხვა თანაბარ პირობებში, მით მცირეა ერთობლივი მიწოდების ზრდადობის შუალედი. მაგალითად, 0,3-ის ტოლი საგადასახადო განაკვეთის შემთხვევაში ასეთი შუალედია (0, 1,685), მაშინ როცა $t = 0,5$ -სათვის ეს შუალედი თითქმის ორჯერ მცირდება და შეადგენს (0, 0,971)-ს.



ნახ. 2. ერთობლივი მიწოდების მრუდები LKSP მოდელში

Y^S-ის ზრდადობის შუალედის არსებობა თავისთავად ნორმალური მოვლენაა და სრულ შესაბამისობაშია ფასების დონის მიმართ განსაზღვრულ ერთობლივი მიწოდების ტრადიციულ მოდელთან. ამ ანალიზში რამდენადმე უცნაურად ის გარემოება გამოიყურება, რომ გარკვეული მნიშვნელობის შემდეგ ფასების დონის ზრდა უარყოფითად აისახება Y^S-ის სიდიდეზე. LKSP მოდელის ფარგლებში ერთობლივი მიწოდების ამ თავისებურების დასაბუთებას საფუძვლად შეიძლება დავუდოთ ლოგიკა, რომელიც შრომის ბაზრის ფუნქციონირების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და ნომინალური ხელფასის სიხისტეს გულისხმობს. ცნობილია, რომ ერთობლივი მიწოდების სიდიდეს განსაზღვრავს დასაქმების დონე. როდესაც ეს კანასკნელი შრომის ბაზრის წონასწორობას შეესაბამება (ანუ ადგილი აქვს სრულ დასაქმებას), მაშინ Y^S პოტენციური გამოშვების ტოლია. სხვა შემთხვევაში, LKSP მოდელის თანახმად, ფაქტობრივი მიწოდება ჩამოუვარდება პოტენციურს და შრომის ბაზარზე არსებობს ან მაღალი რეალური ხელფასით გამოწვეული არასრული დასაქმება, ან კიდევ დაბალი რეალური ხელფასით განპირობებული ჭარბი მოთხოვნა (შრომის დეფიციტი). პირველ შემთხვევაში, ნომინალური ხელფასის სიხისტის გამო, ფასების დონის ზრდა ამცირებს რეალურ ხელფასს და ხელს უწყობს დასაქმებისა და ერთობლივი

მიწოდების ზრდას. ზემოთ განხილულ პირობით მაგალითში ამ პროცესს შეესაბამება სწორედ P -ს ცვლილება $0 < P < -aint$ შუალედში. მეორე შემთხვევაში, ფასების დონის ზრდა და, შესაბამისად, რეალური ხელფასის შემცირება კიდევ უფრო ამწვავებს შრომის დეფიციტის პრობლემას, რაც, თავის მხრივ, დასაქმებისა და ერთობლივი მიწოდების შემცირებაში აისახება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ანანიაშვილი ი., პაპავა ვ.** გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, საგამომცემლო ფირმა "სიახლე", 2009.
2. **Ananiashvili I., Papava V**. Laffer-Keynesian Synthesis and Macroeconomic Equilibrium. New York, Nova Science Publishers, 2014.
3. **Балцкий Е. В.** Оценка влияния фискальных инструментов на экономический рост. Проблемы прогнозирования, 2004, №4

PPrice Level and Average Tax Rate in General Equilibrium Model

I. Ananiashvili

Summary

In this article, there is discussed aggregate demand and aggregate supply equilibrium LSK model, which is based on Laffer-Keynesian synthesis. Price level and average tax rate are simultaneously included as explanatory variables in both – aggregate demand and aggregate supply functions. This approach enables us to analyze two partial-LKST and LKSP-variants in one general LKS model framework. In LKST model endogenous variables are aggregate output and average tax rate, in LKSP model they are aggregate output and price level. Characteristics of both models are examined. We have shown that, when Laffer-Keynesian synthesis conditions are met there is a certain correlation between price level and average tax rate.

Keywords*: aggregate demand function, aggregate supply function, Laffer-Keynesian synthesis, average tax rate, price level, LKS model*.

МЕТОД ОЦЕНКИ И ПРОГНОЗИРОВАНИЯ ФИНАНСОВОЙ УСТОЙЧИВОСТИ ТРАНСПОРТНОГО ПРЕДПРИЯТИЯ В УСЛОВИЯХ РИСКА

Игорь Б. Арефьев,
profesor zw. dr hab. Inż.,
Akademia Morska Szczecin Poland,

Теа Мунджишвили,
Tbilisi State University,
Assocciate Professor

Авторы предлагают метод оценки и прогнозирования финансового состояния транспортного предприятия на основе логико-вероятностной модели. Для оценки и оптимизации нормативных (эталонных) значений показателей используется модель, построенная на базе метода «золотого сечения». В настоящее время описанная экономико-математическая модель реализована в виде симулятивной модели. С помощью программного комплекса TS.1 по разным гипотезам осуществляется симуляция процесса, формируется многовариантные планы. С использованием интегрального и логико-вероятностного методов из множества планов автоматически выбирается оптимальный вариант плана. Результаты симуляции предоставляется в виде графиков и таблиц.

Ключевые слова: *метод, риск, прогноз, финансовая устойчивость, транспортное предприятие, кризис, программнный комплекс TS.1. Экономический тренажор.*

В условиях растущей конкуренции организаций-перевозчиков груза в Единой Европе особую актуальность приобретает задача оценки и прогнозирования финансовой устойчивости транспортного предприятия. Эта задача стала особенно важной при современном мировом финансовом кризисе. В основе решения задачи лежит комплексный финансовый анализ предприятия, технология прогнозирования и оценки финансовой устойчивости с целью минимизировать или исключить риск падения производственной деятельности или банкротства.

Аналитическая обработка данных баланса позволяет:

- выявить причины, влияющие на финансовую устойчивость;
- разработать комплекс мероприятий для их ликвидации;
- в условиях сохранения тенденции финансового развития осуществить прогноз финансовой устойчивости;
- на основе моделирования выявить пути и средства повышения устойчивости.

Классическим подходом в оценке состояния экономической системы и финансового анализа является комплекс экономико-математических моделей, базирующихся на методах структурного, маржинального и факторного анализа, определения стандартных отклонений.

Важно заметить, что финансовая устойчивость является гарантом кредитоспособности. При этом можно рассматривать различные наборы экономических показателей и их оценок. В практике работы предприятий традиционно используют принцип сравнения фактических значений выбранных показателей с нормативными (эталонными). В зависимости от конкретных целей и задач прогнозирования такой подход дает приемлемые результаты. Для этих целей в настоящее время достаточно успешно применяется ряд экономико-математических моделей [3]. В основе таких моделей лежат статистические методы обработки данных. Однако, в большинстве случаев, именно для транспортных предприятий с их спецификой ведения финансовой деятельности, они является малоэффективными, особенно при прогнозировании. Дело в том, что здесь не учитывается закономерность развития и динамика транспортного предприятия, вероятностный аспект экономических процессов при организации логистических процедур [1,2].

В последнее время появились интересные работы по применению математических методов логико-вероятностного моделирования и теории нечетких множеств. Они позволяют осуществить оценку финансового состояния предприятия - заемщика при недостатке и даже отсутствии статистических данных.

В настоящей работе показан метод оценки состояния и прогнозирования финансовой устойчивости предприятия на основе логико-вероятностного моделирования, а для оценки нормативных (эталонных) значений показателей, используется экономико-математическая модель на базе принципа « золотого сечения».

Финансовое состояние транспортного предприятия достаточно полно описывается набором показателей, приведенных в Таблице 1 [4]. При этом доказано, что предприятие является финансово устойчивым, если значение этих показателей находится в заданном диапазоне (min-max нормативное значение) [1].

Задача состоит в нахождении вероятности устойчивости финансового состояния и возможного риска при выбранных показателях. Необходимо определить оптимальное значение вероятности финансового риска, когда выбранные нормативные значения показателей так же оптимальны. Авторы считают, что оптимальность значения показателя может быть достигнута при использовании принципа золотого сечения [5]. Отсюда и алгоритм решения задачи:

1. На базе принципа золотого сечения из диапазона нормативных значений определить оптимальное значение конкретного коэффициента;
2. Разработать логико-вероятную модель финансового состояния предприятия-заемщика
3. По результатам моделирования определить вероятность риска финансовой устойчивости.

Определение финансовой устойчивости транспортного предприятия с помощью логико-вероятностной модели позволяет при отсутствии конкретных (полных) статистических данных получить следующие решения:

1. Проверить выдвинутые гипотезы по структуре и содержанию показателя интегрированной оценки финансового состояния предприятия, т.е. выбирать и определять возможность оценки финансового состояния предприятия с помощью принятого набора показателей;
2. Учитывая логические связи в принятом наборе показателей найти вероятность надежности (ненадежности) как отдельных показателей, так и групп показателей;
3. Расчитать удельный вес влияния каждого показателя и групп показателей на ожидаемое финансовое состояние транспортного предприятия;
4. Вычислить риск финансовой неустойчивости транспортного предприятия и обосновать пути их ликвидации;
5. На основе моделирования найти оптимальный вариант тенденции развития финансового состояния предприятия и использовать его при мониторинге финансовой неустойчивости.

Приведём пример реализации такого решения.

Финансовое состояние заемщика допустимо рассматривать как открытую систему, состоящую из 10 финансовых показателей. В связи с воздействием на систему эндогенных и экзогенных факторов каждый показатель может принимать различные дискретные значения. Величина любого показателя равна определена по методу золотого сечения. Допустим вероятность надежности значении каждого показателя одинакова: $P(R_{li})=0.62$. Вероятность ненадежности соответственно будет $P(Q_{li})=0.38$.

Предложенная система показателей состоит из 10 элементов (n=10). Она может находиться в N=3628800 состояниях, из которых N-1=3628799 содержит хотя бы один "плохой" фактор. Любой показатель может принимать два значениия :

- 1, когда величина показателя соотвествует расчётной по методу золотого сечения,
- 0 – в противном случае.

Если значение n компоненты равняется допустимому тогда она надежная (приемлемая) и обозначается как R, в противном случае значение n ненадежно и соответственно неприемлемо. Этот факт отметим через Q.

Если принять за m_i число удовлетворительных состояний, а за $k_i=n-m_i$ – число не удовлетворительных состояний, то общее число состояний системы будет:

$C_n^m=n!/(m_i!k_i!)$, i=1,2,…,n.

Результаты расчётов приведены в Таблица 2.

Вероятность того, что величина всех 10 коэффициентов будет меньше их значения, очень мала:

$P_t\{A(m=0, k=10\}= 0.000102434$

Вероятность равенства этих показателей набору приемлемых значений будет:

$P_t\{A(m=10, k=0\}=0.008392994$;

Вероятность, когда из 10 коэффициентов значение хотя бы одного коэффициента является «плохим» найдём как

$P_t\{A(m=9, k=1\}=0.005144093$ и т.д.

Вероятность общего риска надежности системы окажется $\sum P_t\{Y(0\le m<10, 0<k\le 10)\}=0.28$ т.е. 0,28 или 28%.

Допустим, из 10 финансовых показателей только три (автономии, рентабельности и рентабельности оборачиваемости оборотных средств) имеют нормативное значение коэффициентов по методу «золотого сечения».В этом случае изменятся вероятности и других показателей (Таблица 3).

Результаты моделирования показывают, что вероятность общего риска в надежности системы будет 0,321, т.е. 32,1%.

$$\sum P_t\{Y(0 \le m < 10, 0 < k \le 10)\} = 0.321$$

В настоящее время описанная экономико-математическая модель реализована в виде симулятивной модели. С помощью программного комплекса **TS.1** по разным гипотезам осуществляется симуляция процесса, формируется многовариантные планы и с использованием интегрального и логико-вероятностного методов из множества планов автоматически выбирается оптимальный вариант плана.

Результаты симуляции предоставляется в виде графиков, таблиц. Симуляцию можно использовать во время тренингов специалистов занятых планированием и управлением транспортных перевозок и на этапе функционирования для принятия решения.

Заключение

Резюмируя изложенное выше, можно сделать следующие выводы:

- На основе метода логико-вероятностного моделирования построена модель планирования финансовой устойчивости предприятия с учетом вероятностного характера экономических процессов, которая позволяет при отсутствии (недостатке) статистических данных определить оптимальный (минимальный) риск неустойчивости финансовой системы транспортного предприятия;
- Исходными данными модели являются логические связи принятых показателей, описывающие финансовое состояние предприятия и их нормативные (эталонные) значения;
- Определение вероятностного минимального риска финансовой неустойчивости предприятия достигается в случае определения нормативных значений показателей методом «золотого сечения»;
- Результаты моделирования показывают, что если значение всех показателей определены методом «золотого сечения», то вероятность риска попадания в неустойчивое состояние минимизируется.

Полученные в настоящей работе результаты были опробованы при оценке финансовой деятельности грузового предприятия, входящего в комплексный транспортный узел, как элемент системы управления при подготовке и принятия решения. Это означает, что руководитель предприятия на основе фактических значений экономических показателей в любой момент времени может прогнозировать риск и финансовую устойчивость организации, заранее принимать соответствующие решения по управлению.

Таблица 1

Наименование показателя	Нормативное значение	
	Max	Min
Коэффициент автономии	0,5	0,7
Коэффициент маневренности	0,05	0,1
Коэффициент покрытия запасов	0,1	0,15
Коэффициент текущей ликвидности	0,1	0,15
Коэффициент абсолютной ликвидности	1,0	2,0
Коэффициент срочной ликвидности	0,1	0,2
Коэффициент соотношения дебиторской и кредиторской задолженности	0,1	1,0
Коэффициент обеспеченности материальных запасов собственными оборотными средствами	0,6	0,8
Коэффициент рентабельности	0,05	0,15
Коэффициент рентабельности оборачиваемости оборотных средств	0,5	0,15

Таблица 2

Наименование финансовых коэффициентов	Значение коэффициентов по методу золотого сечения	$P(R_i)$ Вероятность надежности финансовых коэффициентов	$P(Q_i)$ Вероятность ненадежности финансовых коэффициентов	Вероятность системы с учетом вероятностей отдельных показателей $P_t(Y_i)$
Коэффициент автономии	0.65	0.62	0.38	0.008392994
Коэффициент маневренности	0.4	0.62	0.38	0.005144093
Коэффициент покрытия запасов	0.38	0.62	0.38	0.003152831
Коэффициент текущей ликвидности	0.38	0.62	0.38	0.00193238
Коэффициент абсолютной ликвидности	1.65	0.62	0.38	0.001184362
Коэффициент срочной ликвидности	0.165	0.62	0.38	0.000725899
Коэффициент соотношения дебиторской и кредиторской задолженности	0.65	0.62	0.38	0.000444906
Коэффициент обеспеченности материальных запасов собственными оборотными средствами	0.72	0.62	0.38	0.000272684
Коэффициент рентабельности	0.6	0.62	0.38	0.000167129
Коэффициент рентабельности оборачиваемости оборотных средств	0.6	0.62	0.38	0.000102434

Таблица 3

Наименование финансовых коэффициентов	Значение коэффициентов	$P(R_i)$ Вероятность надежности финансовых коэффициентов	$P(Q_i)$ Вероятность ненадежности финансовых коэффициентов
Коэффициент автономии	0.62	0.62	0.38
Коэффициент маневренности	0.05	0.72	0.28
Коэффициент покрытия запасов	0.1	0.72	0.28
Коэффициент текущей ликвидности	0.1	0.8	0.2
Коэффициент абсолютной ликвидности	1	0.9	0.1
Коэффициент срочной ликвидности	0.1	0.62	0.38
Коэффициент соотношения дебиторской и кредиторской задолженности	0.1	0.9	0.1
Коэффициент обеспеченности материальных запасов собственными оборотными средствами	0.6	0.85	0.15
Коэффициент рентабельности	0.6	0.62	0.38
Коэффициент рентабельности оборачиваемости оборотных средств	0.6	0.62	0.38

Литература:

1. Ariefiew I. Analityczno-statystyczne metody oceny ryzyka w logistyce transportowej. „Wspólczesne systemy transportowe". Pol. Śląska. Gliwice, 2009. s.107-115.
2. Arefyev. W. Pasewicz. Zastosowanie statistycznych funkcij decyzyjnych w polityce przedsiębiorstwa transportowego. „Dostępmność transportowa. Aspekty teoretyczne i praktyczne" U.Szcz. Szczecin. 2008. s. 9-11.
3. Брейли Р., Майерс С. Принципы корпоративных финансов. М.: ЗАО «Олимп-бизнес» 2008. - 1008с.: ил.

4. Мунджишвили Т., Логико-вероятностная модель оценки финансового состояния предприятия, Труды Тбилисского Университета, прикладная математика и компьютерные науки, #364 (24), стр. 216 -2 29, Тб., 2005.
5. TSAACA G. AT THE TURN OF SIENCES: RATIO OF THE " GOLDEN SECTION" IN THE NATURE. ART, ARCHITECTURE, CONSTRUCTION, BUSINESS, FINANCIAL AND BANK MANAGMENT...T.: "SIAXLE", 2006. - 28 S.
6. . Арефьев И.Б; Мунджишвили Т., Метод оценки и прогнозирования финансовой устойчивости транспортного предприятия в условиях риска,- www.russika.ru, 2010

The method of forecasting for financial stability of the transports enterprise in the crisis conditions

I. Arefiev
T. Munjishvili

Summary

In the offered report on the basis of a method of LP- modelling creat economic-mathematical model of planning for financial stability of the transports enterprise taking into account probability character of economic processes which allows in the absence of the statistical data, to define optimum minimum risk of stability of a financial system. In the offered report us the approach of an estimation of a financial condition and forecasting of financial stability of the enterprise on the basis of a method of LP-modelling, and for an estimation of standard indicators (reference) value used in the model – a Golden Section method is offered. Now the described economic-mathematical model is realized in the form of colorable model. By means of the program TS.1 complex on different hypotheses process simulation is performed, created multiple plans and with use of integrated and logic-probabilistic methods the optimal variant of the plan automatically gets out of a set of plans.

Results of simulation it is provided in a schedule type, tables. Simulation can be used during the trainings of the specialists occupied with planning and management of transportations and at a functioning stage for decision making.

Key words: method, risk, prognosis, transports enterprise, financial stability, crisis. The program TS.1.

ГЕНДЕРНОЕ НЕРАВЕНСТВО НА РЫНКЕ ТРУДА: ТЕОРЕТИЧЕСКИЙ ПОДХОД К ОБЪЯСНЕНИЮ ПРИЧИН

Тамила Арнания-Кепуладзе,
доктор экономики, доктор философии, профессор,
Государственный Университет им. Акакия Церетели

Гендерное неравенство рынка труда является проблемой, которая сегодня рассматривается в контексте глобального гендерного порядка. В научной литературе нет единого мнения по поводу причин существования этой проблемы, и многие ученые склоняются к мнению о многофакторности потенциальных причин гендерного неравенства на рынке труда.

В данной работе гендерная диспропорция рынка труда (GD) рассматривается как функция от потенциальных причин неравенства (E): GD = F (E) или GD = F (D, H, P, S, M, C, ...), где потенциальные причины (E) включают в себя дискриминацию (D), различия в человеческом капитале (H), в предпочтениях (P), в социализации (S), в мотивации (M), в конкурентоспособности (C) и т.д. Указано, что каждая их этих причин должна быть рассмотрена под влиянием различных внешних факторов (ε) т.е. среды или контекста исследования.

Введение

В условиях глобализации и интеграции социально-экономической, политической и других сфер жизни с особой остротой встает проблема равноправия, равенства и справедливости.

Как отмечено во Всеобщей Декларации Прав Человека, принятой 10 декабря 1948 года, «Все люди рождаются свободными и равными в своем достоинстве и правах». С тех пор было принято не одно подобное постановление. И тем не менее одной из наиболее насущных проблем на сегодняшний день все еще остается проблема равенства населения по признаку расы, национальности, возраста, пола, семейного положения и т.д.

На решение проблем равенства и справедливости наряду с необходимостью повышения благосостояния направлены сегодня основные усилия как политиков, так и ученых.

Частным случаем достижения этих целей может быть рассмотрен рынок труда.

Являясь по-сути основным источником получения дохода для значительной части населения, рынок труда может быть рассмотрен в качестве потенциальной основы для достижения экономического равенства, материальной независимости, справедливости и повышения благосостояния. С такой точки зрения особенно значимым является достижение экономического и социального равенства двух наиболее крупных групп общества – мужчин и женщин. Процесс глобализации оказывает значительное влияние на политический, экономический и правовой статусы мужчин и женщин и в значительной степени предопределяет их общественное положение и социальную роль.

Будучи крупнейшей демографической группой, женщины в современном обществе играют важную роль в социальной, экономической и политической жизни, и эта роль неуклонно возрастает. Тем не менее женщины по-прежнему продолжают занимать невыгодное положение и зарабатывать меньше, чем мужчины. И такое положение наблюдается на рынках труда во всем мире.

В условиях глобализации системы гендерных отношений достижение гендерного равенства становится важным не только с позиции социальной справедливости, но и с точки зрения экономической целесообразности (выгоды). Именно поэтому в центре внимания международных законодательных органов и принятых нормативных актов, краткосрочных и долгосрочных глобальных гендерных стратегий по достижению гендерного равенства “в мире труда”, а также научных исследований находятся женщины. Это означает расширение и углубление международных стратегий гендерного равенства и формирование национальных политик гендерного равноправия.

Несмотря на многолетние попытки международных и национальных правительственных и неправительственных организаций по достижению гендерного равенства и принятие множества законов, юридических актов и деклараций, рынок труда по-прежнему остается гендерно сегрегированным.

В таких условиях особую остроту приобретает более глубокое понимание причин устойчивости гендерой диспропорции рынка труда и разработка подходов к изучению этой проблемы.

Гендерная сегрегация рынка труда: причины

Гендерная сегрегация рынка труда, как вертикальная, так и горизонтальная, **-** широко распространенная макроэкономическая проблема, с которой в большей или меньшей степени

сталкиваются все страны мира. В последние десятиления эта проблема рассматривается в контексте глобального гендерного порядка и, таким образом, она получила глобальный характер. Несмотря на то, что на рубеже второго и третьего тысячелетий вопрос глобального гендерного равенства стал широко дискутируемым не только в политическом мире, но и в научном сообществе, в научной литературе до сих пор нет единого мнения по поводу причин существования различий в женской и мужской занятости. После десятилетних попыток изучения этой проблемы, большинство исследователей пришли к выводу о многофакторности объяснений существования гендерного неравенства на рынке труда и о наличии множества потенциальных причин такого неравенства. Среди основных причин гендерного неравенства на рынке труда учеными выделяются следующие:

1. *Дискриминация* [11, 17, 28, 29 и др.] является наиболее распространенным, наиболее дискутируемым и неоднозначным объяснением гендерных различий во всех областях жизни и в первую очередь на рынке труда. Дискриминация означает любые различия в нормах оплаты труда и продвижения по служебной лестнице при наличии одинаковых личных характеристик, когда «люди могут быть вовлечены или отвергнуты от трудового процесса, даже при их стремлении работать, по причине их расы, пола или религии» [28, стр.18]. Дискриминация по признаку пола рассматривается как продукт культуры и преобладающей гендерной идеологии. Гендерная дискриминация имеет место, когда по отношению к человеку или группе лиц в процессе работы проявляется несправедливое отношение по причине ее/его пола. Несправедливое отношение может касаться уровня заработной платы, когда женщина получает меньше, чем мужчина, обладающий эквивалентным качеством рабочей силы [11, стр.3], когда она не может достичь того же должностного продвижения, что и мужчины, в независимости от ее профессиональных возможностей и стремлений (т.н. «стеклянный потолок», когда создаются невидимые барьеры для карьерного роста, что считается причиной вертикальной гендерной сегрегации рынка труда), когда для женщин ограничен доступ к определенным сферам занятости (т.н. «стеклянные стены», являющиеся причиной существования горизонтальной гендерной сегрегации рынка труда).

2. *Биологическое различие* женщин и мужчин [15, 16 и др.] основывается на теории биологического детерминизма, согласно которой генетика и анатомияи человека, его природа и биология предопределяет различия мужчин и женщин во всех видах деятельности и во всех сферах жизни, в том числе на рынке труда. Биодетерминизм или "форма редукционизма, которая объясняет индивидуальное поведение и характеристики людей с точки зрения их биологических функций" [15, стр.141], исходит из убеждения, что существенные различия между мужчинами и женщинами включают в себя не только физиологию и репродуктивную функции человека, но различия в структуре мозга мужчин и женщин, их стилях обучения, поведения, мотивации, интересов и т.д. Теория биодетерминизма основывается на мнении, что биология и генетика человека, рассмотренные в терминах генов, ДНК, гормонов и т.д., являются существенной причиной различий между мужчинами и женщинами во всех областях жизни, в том числе в сфере занятости, и строго предписывает различные социальные роли для мужчин и женщин.

3. *Различия в человеческом капитале и возможностях* [4,5,8,9,17,21 и др.]. Согласно теории человеческого капитала, более производительные работники должны получать более высокую заработную плату. Теория человеческого капитала предполагает, что, чем выше человеческий капитал индивида, тем выше производительность труда и, стало быть, тем выше должна быть зарплата. Основываясь на таких взглядах, профессиональные и отраслевые гендерные различия, а также различия в заработной плате мужчин и женщин объясняются тем, что женщины имеют более низкий уровень формального образования, профессиональной подготовки, опыта работы и квалификации и, следовательно, имеют более низкий человеческий капитал [21]. Исходя из такого понимания, для мужчин и женщин должны быть предусмотрены различные виды деятельности и, следовательно, занятость в различных секторах экономики и на различных профессиональных уровнях.

4. *Различия культурно-исторического развития и социального воздействия* [3,10, 25, 26 и др.]. Согласно этим взглядам, различия между мужчинами и женщинами в решающей степени формируются под воздействием социальных, культурных и исторических аспектов. Такой подход к гендерным различиям определяет, как социальные, культурные и исторические изменения влияют на образ жизни мужчин и женщин.

5. *Различия в социализации* [3, 11, 20, 25 и др.]. Социализация представляет собой процесс, в котором посредством общественного восприятия через семейное воспитание, средства массовой информации, литературу, образование и т.д., новые поколения адаптируют социальные нормы, законы, обычаи, манеру поведения, принятые в определенном окружении, в определенной

социальной, культурной, исторической среде [3]. В процессе социализации происходит усвоение социальных норм, социальных ролей, восприятия статусов, социальной идентичности и идеологии, в том числе гендерной идентичности и гендерно-стереотипного понимания общественно-личностных ролей мужчин и женщин. Люди воспринимают существующую реальность как абсолютную данность и пассивно принимают и усваивают эту реальность посредством социализации, но сами не производят ее.

6. *Различия в предпочтениях относительно сферы и продолжительности занятости* [4, 5, 6, 20, 21, 23 и др.]. Исходя из принципа рациональности, Г.Беккер утверждал, что поведение семьи следует рассматривать как максимизирующее полезность [5, стр.10]. Имея различный человеческий капитал и исходя из биологических различий между мужчинами и женщинами, когда женщина имеет "врожденные способности рожать и воспитывать детей" [5, стр. 12], супружеская пара может получить значительную выгоду от разделения труда в семье [5, стр. 13]. Предполагается, что женщины выбирают профессии и сектора экономики, которые потенциально являются «дружелюбно настроенными» к семье. Женщины отдают предпочтение общественному и некоммерческому секторам экономики для своей занятости, как наиболее дружелюбным и способствующим людям, имеющим детей [22]. С другой стороны, "дружелюбно настроенные» области занятости означают для женщин возможность иметь неполный рабочий день и совмещать работу и уход за семьей [20], т.е. работать меньше, чем мужчины, и, следовательно, иметь меньше возможности продвигаться по карьерной лестнице и меньше зарабатывать.

7. *Различия в трудовой мотивации* [1, 18, 20 и др.]. Считается, что мужчины и женщины имеют различную трудовую мотивацию, что вызвано различиями их жизненных целей. Мотивация экономического поведения мужчин основывается на том, что мужчины ориентированы на получение высокого дохода, автономность работы, продвижение по службе, признание, успех и обучение. В свою очередь, мотивационное поведение женщин ориентировано на сотрудничество, хорошие условия труда, стабильность занятости, время для личной жизни, дополнительные льготы и т.д.

8. *Различия в конкурентоспособности* [2, 7,13, 22 и др.]. Некоторые авторы видят прямую взаимосвязь между гендерной сегрегацией рынка труда и гендерными различиями в конкурентоспособности. Согласно этим взглядам, мужчины с большим стремлением вступают в конкурентные отношения, чем женщины, и чувствуют себя в условиях конкуренции более уверенно. Конкурентная среда рассматривается, как область с преимущественно мужской активностью, тогда как женщины избегают конкуренции по той простой причине, что конкурентная среда является для них непривлекательной. Указывается, что гендерные особенности вступления в конкуренцию и успешность деятельности индивида в конкурентной среде могут в значительной степени повлиять на профессиональные достижения мужчин и женщин, а также на уровень их заработной платы и должностные позиции [13, 22]. Сравнительная успешность мужчин на рынке труда объясняется тем, что женщины избегают конкурентного поведения и не вступают в конкурентную борьбу за получение более выгодных трудовых позиций, довольствуясь «малым», тогда как мужчины конкурируют «часто, много и ожесточенно» и, как следствие, имеют более выгодные должгостные статусы и более высокие доходы по сравнению с женщинами [22].

Сегодня большинство ученых склоняются к мнению, что не существует какого-либо однозначного и однопорядкового объяснения гендерного неравенства на рынке труда. Многие потенциальные причины гендерного неравенства в сочетании друг с другом или каждая по отдельности могут повлиять на поведенческие особенности акторов сферы занятости и на рынок труда в целом. В различных культурных, исторических, социальных, политических, экономических, институциональных и прочих условиях значение и степень влияния каждого отдельного или группы потенциальных факторов может значительно варьироваться.

Гендерная сегрегация рынка труда: подход к исследованию

Исходя из вышесказанного, гендерное неравенство (диспропорция) рынка труда (GD) может быть представлено как функциональная зависимость от каждого потенциального объяснения (E) причин гендерного неравенства рынка труда, т.е. GD = F (E), где потенциальное объяснение (E) включает в себя дискриминацию (D), различия в человеческом капитале (H), различия в предпочтениях (P), различия в процессе социализации (S), различия в мотивации (M), различия в конкурентоспособности (C) и т.д., или E = (D, H, P, M, C, ...). Таким образом, гендерная диспропорция рынка труда (GD) может быть представлена в виде следующего функционального отношения:

$$GD = f(D, H, P, S, M, C, \ldots) \quad (1)$$

Для наиболее всестороннего и глубокого исследования гендерного неравенства рынка труда (GD) влияние каждого отдельно взятого потенциального источника ($GD_D == f(D)$; $GD_H = f(H)$; $GD_S = f$

(*S*); GD_P= *f* (*P*); GD_C= *f* (*C*) т.д.) должно быть проанализировано отдельно, т.е. следует рассмотреть, как тот или иной потенциальный фактор воздействует на формирование и поддержание гендерной диспропорции рынка труда, где

GD_D= *f* (*D*) – гендерная диспропорция, вызванная дискриминацией;

GD_H= *f*(*H*) – гендерная диспропорция, вызванная различиями в человеческом капитале;

GD_P= *f* (*P*) – гендерная диспропорция как результат различий в предпочтениях;

GD_S= *f* (*S*) – гендерная диспропорция как результат различий в социализации;

GD_C=*f*(*C*) – гендерная диспропорция, вызванная различиями конкурентоспособности;

GD_M= *f* (*M*) – гендерная диспропорция как результат различий в мотивации и т.д.

При этом каждое из возможных объяснений (Е) гендерных диспропорций рынка труда в той или иной степени подвержены воздействию различных внешних факторов (т.е. могут быть рассмотрены в определенном контексте), таких, как культурная среда или межстрановые различия, институциональная (формальная и неформальная) среда, включающая гендерные и прочие стереотипы, и т.д. Таким образом, исследование может быть расширено введением дополнительного элемента (ε), выражающего влияние того или иного внешнего фактора (контекста исследования). Суммируя вышесказанное, потенциальное объяснение причин гендерного неравенства рынка труда при рассмотрении каждой отдельно взятой потенциальной причины неравенства с учетом влияния внешних факторов (ε) формула (1) может быть модифицирована в формулу (2):

$$GD\varepsilon = f(\varepsilon D, \varepsilon H, \varepsilon P, \varepsilon S, \varepsilon M, \varepsilon C, \varepsilon M \ldots), \quad (2)$$

где ε – показатель влияния внешнего фактора (среды или контекста исследования).

При этом надо отметить, что влияние одной и той же среды (т.е. внешнего фактора или контекста исследования ε) на каждую из потенциальных причин гендерной диспропорции рынка труда может быть различным и проявляться в различных формах. Поэтому сначала следует провести анализ воздействия какого-либо внешнего фактора (ε) на каждую из потенциальных причин гендерного неравенства рынка труда ($GD_{D/\varepsilon}$ = *f* (ε*D*); $GD_{H/\varepsilon}$ = *f* (ε*H*), $GD_{P/\varepsilon}$ = *f* (ε*P*); $GD_{C/\varepsilon}$ = *f* (ε*C*) т.д.), а на следующем этапе исследования надо осуществить синтез полученных результатов. Таким образом, общая схема исследования приобретает системный вид:

$$GD\varepsilon = \begin{cases} GD_{D/\varepsilon} = f(\varepsilon D), \\ GD_{H/\varepsilon} = f(\varepsilon H), \\ GD_{P/\varepsilon} = f(\varepsilon P), \\ GD_{C/\varepsilon} = f(\varepsilon C), \\ GD_{M/\varepsilon} = f(\varepsilon M) \\ \ldots. \end{cases}$$

Этот этап исследования предполагает обобщение результатов анализа отдельных элементов потенциальных причин гендерной диспропорции рынка труда, данных в различных контекстуальных средах.

Помимо того, сам контекст исследования, т.е. воздействие внешних факторов, может быть разным (ε, где $\varepsilon=\{\varepsilon_1, \varepsilon_2, \varepsilon_3 \ldots \varepsilon_n\}$), и поэтому каждая из потенциальных причин гендерного неравенства рынка труда (Е) в разных контекстах (ε) может проявляться по-разному.

Заключение

Таким образом, гендерное неравенство рынка труда – это сложная и многоаспектная проблема, основанная на глобализации системы гендерных отношений, и которая для своего решения требует комплексного и системного подхода, основанного на принятии во внимание всего многообразия потенциальных причин, вызывающих нарушение гендерного равновесия рынка труда и получении обобщающих выводов с целью формирования более совершенного глобальнго гендерного порядка.

Список использованной литературы:

1. Arnania-Kepuladze Tamila, 2010a, Gender stereotypes and gender feature of job motivation: differences or similarity? *Problems and Perspectives in Management*, 8, no. 2: 84-93.

2. Arnania-Kepuladze Tamila, 2010b, Gender stereotypes and gender behaviour features in the different competitive conditions: theoretical context. Scientific conference with international participation “Teamwork Management in Small and Medium Business”. Poprad, 2010.
3. Basow, A. Susan. 1992. Gender stereotypes and roles, 3rd ed. Pacific Grove, CA: Brooks/Cole Publishing Company.
4. Bekcer, G.S., A Treatise on the Family. Cambridge: Harvard University Press, 1981.
5. Bekcer, G. S., Human Capital, Effort, and the Sexual Division of Labor, *Journal of Labor Economics*, No1985, 3, 33-38.
6. Bigoness William J. 1988. Sex differences in job attribute preferences. *Journal of Organizational Behavior*, 9, no.2:139–47.
7. Booth Alison and Patrick Nolen, 2008, Gender Differences In Competition: The Role of Single-Sex Education.
8. Dequech David. 2002. The Demarcation between the “Old” and the “New”. *Journal of Economic Issues.* 36, no.2: 565-72.
9. Diamont M., 2002, Sex and Gender are different: Sexual Indetity and Gender Identity are Different. *Clinical Child Psychology & Psychiatry*.
10. Dubinsky, Alan J., Marvin A. Jolson, Ronald E. Michaels, Masaaki Kotabe and Chae Un Lim. 1993. Perceptions of motivational components: salesmen and saleswomen revisited. *The Journal of Personal Selling and Sales Managemen*t, 13, no 4: p. 25-37.
11. Eaye J. R., Margaret S. S., 2007, Understanding Sex Discrimination. In: *Sex Discrimination in the Workplace: multidisciplinary perspectives* / edited by Faye J. Crosby, et. al., Blackwell Publishing LTD, ISBN-13: 978-1-4051-3449-1.
12. Glick, Peter and Susan T. Fiske. 2007. Sex Discrimination: The Psychological Approach. In *Sex Discrimination in the Workplace: multidisciplinary perspectives,* ed. Faye J. Crosby, Margaret S. Stockdale, S. Ann Ropp, Blackwell Publishing LTD: 155-88.
13. Gneezy Uri, Leonard Kenneth L, List John A. 2006. Gender Differences in Competition: The Role of Socialization.
14. Gneezy Uri, Leonard Kenneth L, List John A. 2008. Gender Differences in Competition: Evidence from sa matrilineal and a patriarchal society. Working Paper no. 13727.
15. Hubbard R., The Political Nature of "Human Nature", in “*THEORIES OF WOMEN'S SUBORDINATION*", pp. 140-149.
16. Hyde1 J.S. Half the Human Experience: *The Psychology of Women*. Lexington, 1991, MA: D.C. Helth and Company.
17. Jaffee Sara, Hyde S. Janet. 2000. Gender differences in moral orientation: a meta-analysis. *Psychological Bulletin*. no.126, 703–26.
18. Meece L.Judith, Glienke Beverly Bower, Burg Samantha. 2006. Gender and motivation. *Journal of School Psychology*, no. 44, 351-73.
19. Malykhina-Pykh, I.G., Gender Therapy, *Eksmo* 2006, ISBN 5-699-14636-9.
20. Marjaana Gunkel, Ecward J. Lukc, Birgitta Wolff, Fang Li, Gender-specific Effects at Work: An Empirical Study of Four Countries. *Gender, Work & Organization*, 2007, 14 (1), 56–79.
21. Narcy Mathieu, Lanfranchi Joseph, Meurs Dominique. 2008. Do women choose to work in the public and nonprofit sectors? Empirical evidence from a French national survey. *Unpublished*. Paper no. 14372, MPRA.
22. Niederle M., Segal C.,V. Lise. How Costly is Diversity? Affirmative Action in Light of Gender Differences in Competitiveness. November 2008.
23. Nielsen H. S., Simonsen, M., Verner, M., Does the Gap in Family-Friendly Policies Drive the Family Gap?, *Scandinavian Journal of Economics*, 2004, 106, pp.721—744.
24. Pearson, A.L. Cecil, Chatterjee R. Samir. 2002. Gender variations in work goal priorities: a survey of Chinese managers. *International Journal of Management*, 19, no. 4: 535–43.
25. Peplau A., Vebiedas,C., Taylor, L. Sheri, DeBro,C., 1999,Sociocultural Perspectives on the Lives of Women and Men. In *Gender, culture and ethnicity* (pp.23-37). Mountain View, CA: Mayfield Publishing.
26. Price, Joseph. 2008. Gender Differences in the Response to Competition. *Industrial & Labor Relations Review.* 61, no. 3: 319-33.
27. Segal S. Edwin. 2004. Cultural Constructions of Gender. in *Encyclopedia of sex and gender: men and women in the world’s cultures*, ed. Carol R. Ember and Melvin Ember.Kjuwer Academic/Plenum Publishers.

28. Spence J.T., 1993, Gender-Related Traits and Gender ideology: Evidence for a Multifactorial Theory. *Journal of Personality and social Psychology*, V.64 (4), ISSN: 0022-3514, ISSN: 1939-1293, p.624-35.
29. Wetchler D., 2007, Avoiding Sex Discrimination Litigation and Defending Sex Discrimination Suits, in the *Sex Discrimination in the Workplace: multidisciplinary perspectives* / ed. by Faye C., et. al., ISBN: 978-1-4051-3449-1; Blackwell Publishing LTD.

შრომის ბაზრის გენდერული უთანასწორობა: თეორიული მიდგომა პრობლემის ახსნისადმი

თ. არნანია-კეპულაძე

ანოტაცია

შრომის ბაზრის გენდერული უთანასწორობა არის პრობლემა, რომელიც დღეს გლობალური გენდერული წესრიგის კონტექსტში განიხილება. ეს უთანასწორობა მრავალი მიზეზით აიხსნება. მოცემულ ნაშრომში შრომის ბაზრის გენდერული დისპროპორცია (GD) განხილულია, როგორს მისი შესაძლო გამომწვევი მზეზების (E) ფუნქცია: GD=f(E) ანუ GD=f(D,H,P,S,M,C, …), სადაც პოტენციური მიზეზები (E) მოიცავს დისკრიმინაციას (D), განსხვავებებს ადამიანურ კაპიტალში (H), პრეფერენციებში (P), სოციალიზაციაში (S), მოტივაციაში (M), კონკურენტუნარიანობაში (C) და ა.შ. აღნიშნულია, რომ თითოეული ამ მიზეზებიდან უნდა იყოს შესწავლილი გარე ფაქტორების (ε) ანუ გარემოს გათვალისწინებით.

Labor Market Gender Inequality: theTheoretical Approach toward Explanation

T. Arnania-Kepuladze

Summary

Labor market gender inequality is a problem that is considered in the context of global gender order.

There is no single-factor explanation for the labor market gender inequality and many potential reasons of gender disproportion could influence the labor market gender inequality. This article considers labor market gender disparity (GD) as a function from every potential reasons (E) of labor market gender inequality GD=f(E) or GD=f(D,H,P,S,M,C,…), where the potential explanation (E) includes discrimination (D), differences in human capital (H), differences in preferences (P), differences in socialization (S), differences in motivation (M), differences in competitiveness (C) etc. It is indicated that each of these potential explanation should be considered under the influence of a different external factors (e) such as environment or context of the study.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობათა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ნონა ახვლედიანი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობით გამოწვეული მისდამი არსებულმა პერმანენტულმა დაინტერესებამ გამოიწვია ქვეყნის დასავლურ ცივილიზაციასთან თავისი კულტურული თუ მორალური იდეალების დაახლოების პროცესი, რაც საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა, რის საფუძველზეც ვღებულობთ: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მშპ-ის ზრდას და ა.შ. საბოლოოდ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება და განხორციელება გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და აამაღლებს სანდოობას მსოფლიო ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, იმპორტი, ეკონომიკური ზრდა, ევროკავშირი, მთლიანი შიდა პროდუქტი.*

საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდია. ქვეყანა, რომელიც ოდითგანვე ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა დიდი იმპერიებისთვის. ისინი გამუდმებით ცდილობდნენ თავიანთი ჰეგემონიის დამყარებას, რადგან ასეთ სტრატეგიულ ობიექტზე კონტროლის დაწესება მეტწილად განაპირობებდა მათ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიძლიერეს. საქართველო არის ადგილი, სადაც იკვეთება ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკური თუ კულტურული არეალები. მოცემული გარემოება კი კიდევ უფრო ზრდის ჩვენი რეგიონის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულმა მდებარეობამ და მისდამი არსებულმა პერმანენტულმა დაინტერესებამ იგი ორი კულტურის კერად აქცია. ქართული სოციალური გარემო ეს ევრაზიული საწყისების ალტერნატიული გამოვლინებაა. აქ დასავლურ ფასეულობებს აღმოსავლური კულტურის ნიშნები შეესისხლხორცა. საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის ნაწილს. იგი დიდი ევროპული ოჯახის ნაწილია. თავისი კულტურული თუ მორალური იდეალებით სწორედ რომ ევროპულ საწყისებს იმეორებს. „ისტორია და წარმატება-მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისა თვის მებრძოლის კუთვნილი. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი, და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერებისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგია ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკიდან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმის და მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავე უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარმანსავით ყაფის მთას მხრებზეც დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს.“ ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ნათლად გვპასუხობს კითხვაზე - რატომ ევროპა? ილია არ გახლდათ პირველი პროევროპულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, თუმცა მისი იდეოლოგია, მოცემული საკითხის შესახებ, ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი უდიდესი და გამბედავია მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური ფონის კვალობაზე. ჩვენ, როგორც ილიას შთამომავლებმა, უნდა გავითავისოთ საკუთარი სტატუსი მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკურ ასპარეზზე და ვესწრაფოთ გავხდეთ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი, რადგან სწორედ ევროპაა ჩვენი ისტორიული სამშობლო, ადგილი სადაც ჩაისახა ისეთი მორალურ-ეთიკური საწყისები როგორებიცაა: თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატია, თანასწორობა, სოლიდარობა. ევროპის მოწინავე ქვეყნები ხომ სწორედ ზოგად საკაცობრიო იდეებს ქადაგებენ და მსოფლიოს უკეთესი მომავლისკენ უბიძგებენ. ის არის გარანტი იმ პრობლემების გადაჭრისა, რომელთა წინაშე ჩვენი ქვეყანა უკვე დიდი ხანია დგას. საქართველოს ეროვნული ამოცანა ჩვენი ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ერის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკური განვითარება და საქართველოს მოქალაქეებისათვის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის საჭირო სამართლიანი, ჯანსაღი და ხელშემწყობი გარემოს შექმნაა. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის წინაპირობაა. ეს არის ჩვენი საზოგადოების

გამოკვეთილი მყარი არჩევანი და მისი განხორციელებაც ჩვენი ვალდებულებაა. უნდა ითქვას, რომ საქართველო ასე ახლოს მიზანთან არასდროს ყოფილა. აღნიშნული პროცესი ჩვენს ყოფაზე, ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაზე პოზიტიურად უკვე ისახება. ამიტომ მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკურ რეფორმებზე, მოსალოდნელ სირთულეებსა და შედეგებზე. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეძლოს გააზრება, თუ რა პროცესი მიმდინარეობს და როგორ უნდა შევუწყოთ ხელი არჩეული კურსის სწორად განვითარებას. მთავარია, ეს პროცესი გახდეს საყოველთაო და ამისთვის აუცილებელია საზოგადოების გაერთიანება ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია და გაწევრიანება ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებს, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სტაბილურობას. ევროინტეგრაცია მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ მის შედეგად ქვეყანაში ბევრი სასარგებლო ცვლილება მოხდება, არამედ იმიტომ, რომ იგი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სწორ გზაზე უფრო მტკიცედ დააყენებს. ეს ყველაფერი კი, დროთა განმავლობაში, პირდაპირ აისახება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე. რა თქმა უნდა, განვითარების გზაზე იქნება ხელშემშლელი ფაქტორები და მოვლენები. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გარემოება ევროკავშირის შესახებ არსებული მცდარი წარმოდგენები ან თუნდაც ჭორები, რაც, რომლებიც მიზანმიმართულად ვრცელდება საქართველოს ევროპული იდეის დაკნინების და ევროპასთან ასოცირებისათვის ხელის შეშლის მიზნით. დღესდღეობით საქართველო ევროკავშირის ქვეყნების საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში ექსპორტს უჭირავს 24% (მთლიან ექსპორტში); იმპორტს 27% (მთლიან იმპორტში) შეუძლებელია ვერ დაინახო ის მხარეები და ღირსებები რომელსაც ევროატლანტიკური კავშირი იძლევა. სწორედ აღნიშნულის მოპოვებისათვის ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის” შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებსა და ადმინისტრირების მექანიზმებთან. საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას; სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მშპ-ის ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო იმპორტის 4,4%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.[2.გვ:7-22] DC FTA ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებში: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა .აღნიშნულ სფეროებში (კერძოდ, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები) დაახლოვების შედეგად საქართველოში შეიქმნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვება და განხორციელება გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს და აამაღლებს სანდოობას მსოფლიო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს ექსპორტის გაზრდას (იხ. დიაგრამა 2)

დიაგრამა: 1 [4]



დიაგრამა:2 [4]



„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობები; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგოეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგორესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და სხვა. ასოცირების შესახებ შეთანხმება“ არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. რაც ქვეყნისათვის ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ იქნა ანგარიში საქართველოში სიღარიბესთან დაკავშირებით ანგარიში გამოაქვეყნა. კვლევა 2010-2014 წლების მონაკვეთს ეხება და მისი მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 32% უკიდურესად ღარიბია, 37% კი საშუალოდ ღარიბი. შესაბამისად, უკიდურესი და საშუალო სიღარიბის საერთო მაჩვენებელი 69%-ია. ბანკის მონაცემებით, სიღარიბესთან ახლოს მოსახლეობის 24% იმყოფება. ბანკის კლასიფიკაციით ქვეყანაში საშუალო ფენა, ანუ იმ ადამიანთა ჯგუფი, ვისაც საკუთარ თავზე დღეში $10 დოლარის ან მეტის დახარჯვა შეუძლია, მხოლოდ 7%-ს შეადგენს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2010-2014 წლების მანძილზე, იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც საკუთარ თავზე დღეში $2.5 მეტის დახარჯვა არ შეუძლია (უკიდურესად ღარიბები) 15%-ით შემცირდა. ბანკის კლასიფიკაციით, საშუალო სიღარიბედ ითვლება მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს საკუთარ თავზე 5$ დოლარზე მეტის დახარჯვა არ შეუძლიათ. ასეთი ქვეყანაში მოსახლეობის 37%-ია.

სიღარიბის და სოციალურად დაუცველი ჯგუფების მაჩვენებლები %(2010-2014წ.)

დიაგრამა:3



ამასთანავე, 2010-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 6.6%-ს შეადგენდა, 2013-2014 წლებში კი - 4% იყო. მაღალმა ეკონომიკრუმა ზრდამ 2010-2012 წლებში სიღარიბის შემცირებას ხელი შეუწყო, 2013-2014 წლებში კი სიღარიბის შემცირების ფაქტორები გაზრდილი სოციალური ხარჯები, ამასთანავე გაზრდილი სოფლის მეურნეობის ხარჯები გახდა. სიღარიბის შემცირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოეთიდან საქართველოში გამოგზავნილი ფულადი გზავნილებია. აღსანიშნავია, რომ უკიდურესი სიღარიბის 15%-ით შემცირებამ 500 ათასი ადამიანის უკიდურესი სიღარიბიდან გათავისუფლება გამოიწვია. ეს რიცხვი შესაძლოა რეალური მონაცემისგან შორს იდგეს, რაც ქვეყნის მოსახლეობის რიცხვოვნობას უკავშირდება. მსოფლიო ბანკი სიღარიბის ანგარიშის შედგენისას მოსახლეობის შესახებ მოძველებულ ინფორმაციას დაყრდნო, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა 4.4 მლნ-ია. საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით კი საქართველოს მოსახლეობა 3.7 მლნ-ია. შესაბამისად, უკიდურესი სიღარიბის შემცირებამ მოიცვა დაახლოებით 420 ათას კაცი. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სიღარიბე ძირითადად რეგიონულ მოვლენას წარმოადგენს. რეგიონებში უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 42%-ს შეადგენს. ანგარიშის მიხედვით, თბილისში მოქალაქის საშუალო, თვიური შემოსავალი 2014 წელს 300 ლარს შეადგენდა, მაცხოვრებელთა შემოსავალი ამაზე 30%-ით ნაკლები იყო და ის 214 ლარს შეადგენდა. საქართველო ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქვეყანაა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ.გაბიძაშვილი, ნ. კუხიანიძე–ახვლედიანი “ეკონომიკურ–სტატისტიკური კვლევები ბიზნესსა და მენეჯმენტში”ა.წ.ს.უ. გამომც. 2009წ.
2. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“გზამკვლევი(ხშირად დასმული კითხვები) 2014წ.
3. ელგუჯა მექვაბიშვილი. გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. “გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, 2012 წელი. გამომცემლობა „უნივერსალი“
4. www.Geostat.ge

Socio-economic Aspects of Georgian – European Union Relations

N. Akhvlediani

Summary

The geopolitical location of Georgia and existing permanent interest caused the merger of the country with their cultural and ethical ideals with the civilization of the West, which is a Prerequisite necessary condition for a deep and comprehensive free trade zone between Georgia and the EU. On this basis, we obtain the formation of the trading system is compatible with the requirements of the EU market; Georgia's investment attractiveness, and therefore, the growth of foreign investment; The creation of new enterprises and export products; In the short-term economic growth and stimulate economic development: gross domestic product (GDP) by 1.7% and in the long term - 4.3%, etc. approximation and convergence towards the European standards will improve the quality of Georgian products, and enhance the credibility of the global market.

Keywords: *Export, Imports, Economic Growth, The European Union, Gross domestic product.*

კორპორაციული დაფინანსების გადაწყვეტილების შესახებ

ხათუნა ბარბაქაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომპანიის ხელმძღვანელების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დაფინანსების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის საკითხები, რომელშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის პრობლემა. მენეჯერებს გაცნობიერებული აქვთ ოპერაციული დანახარჯების შემცირების აუცილებლობა, როგორც კომპანიის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა.

კომპანიის დაფინანსების სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს საქმიანი ოპერაციების რისკის ჩამოყალიბებულ დონეს და უზრუნველყოფდეს კორპორაციული გეგმების რეალიზაციისათვის აუცილებელ ფონდებს და ამავე დროს უნდა ითვალისწინებდეს, კომპანიის ფინანსურ მიზნებსა და ფინანსური რესურსების მოთხოვნილებებს. კომპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს, ასევე, მნიშვნელოვანია გამოვყოთ მოგების განაწილება - დივიდენდური პოლიტიკა და კაპიტალის სტრუქტურის ფორმირება. ეს გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ კომპანიის სტრატეგიას და, როგორც წესი, ის შედის მისი უმაღლესი ხელმძღვანელების კომპეტენციაში.

დაფინანსების სტრატეგია იწყება კომპანიის მიერ საქმიანი სტრატეგიის არჩევიდან, რაც მიმართულია მისი საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციაზე. დაფინანსების სტრატეგიამ უნდა გადაჭრას ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა - კომპანიის ღირებულების გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა. დაფინანსების ოპტიმალური სტრუქტურა და საკუთარი კაპიტალისა და ვალის დასაბუთებული თანაფარდობა ახდენს კომპანიის კაპიტალის ერთობლივი ღირებულების მინიმიზირებას, საშუალებას აძლევს რა მას მოიზიდოს საჭირო ფინანსური რესურსები და შეინარჩუნოს ფინანსურ გადაწყვეტილებების მიღების მოქნილობა. დაფინანსების სტრატეგიის აუცილებელი ნაწილია აქციების გამოსყიდვისა და დივიდენდების გადახდის პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება აქციონერთა ინტერესებს.

საკვანძო სიტყვები: *კორპორაციული დაფინანსების სტრატეგია, კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, საკუთარი კაპიტალი, ნასესხები კაპიტალი, დივიდენდების გადახდის პოლიტიკა.*

კომპანიის ხელმძღვანელების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დაფინანსების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის საკითხები, რომელშიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის პრობლემა. მენეჯერებს გაცნობიერებული აქვთ ოპერაციული დანახარჯების შემცირების აუცილებლობა, როგორც კომპანიის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობა.

დაფინანსების სტრატეგიის განხილვა გულისხმობს მკვეთრად გამოხატული მიზნის არსებობას. კორპორაციული ფინანსების თანამედროვე თეორიის დებულებების შესაბამისად, ღირებულების მართვის კონცეფციის საფუძველია ორი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ითვალისწინებს: *პირველი,* კომპანიის ფინანსური მართვის მიზანს, რომელიც დასაბუთებულია საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციით და *მეორე,* კომპანიის ღირებულების განსაზღვრას ფულადი ნაკადებით, რომელიც დისკონტირებულია ყველა აქტივის რისკების შემოსავლიანობის განაკვეთით.

კომპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს მნიშვნელოვანია გამოვყოთ მოგების განაწილება - სადივიდენდო პოლიტიკა და კაპიტალის სტრუქტურის ფორმირება, რაც განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას და, როგორც წესი, ის შედის უმაღლესი ხელმძღვანელების კომპეტენციაში.

თანამედროვე კორპორაციული ფინანსების კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს მოდილიან-მილერის (M&M) თეორია, რომლის არსი შემდეგია: გადაწყვეტილებები გადასახადებისა და კაპიტალის ბრუნვის დანახარჯების შესახებ ზეგავლენას არ ახდენს კაპიტალის სტრუქტურის შერჩევასა და სადივიდენდო პოლიტიკაზე. ამიტომ, გადაწყვეტილებების მიღებას დაფინანსებაზე შეუძლია ზეგავლენის მოხდენა როგორც კომპანიის სტრატეგიაზე, ასევე ფინანსური რესურსების ღირებულებასა და აქციონერთა კეთილდღეობაზე.

კომპანიის კონკურენტული პოზიცია პირდაპირ კავშირშია მისი კაპიტალის სტრუქტურაზე. კომპანიები, ეკონომიკური მოგების მიღების მიზნით, მიისწრაფვიან კონკურენტული უპირატესობების შექმნისაკენ, რადგან შემოსავლიანობის მაღალი ნორმა იზიდავს კონკურენტებს. ახალი მოთამაშეების გა-

დაწყვეტილება დარგში შესვლის შესახებ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა კომპანიის სტრატეგია უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსებით.

ინვესტორებთან ნდობამ და მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს კორპორაციული სტრატეგიის წარმატებულ რეალიზაციაში, თუ შედეგად იქმნება დაფინანსების ხელსაყრელი პირობები კომპანიის მიმზიდველი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. კაპიტალის რეალური ბაზარი ყოველთვის არ არის ეფექტიანი, რადგან კომპანიები იხდიან გადასახადებს და აქვთ სერიოზული დანაკარგები, რის გამოც შეიძლება რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

მოდილიან-მილერის (M&M) თანამედროვე თეორიის ძირითადი დასკვნაა, რომ თუ ადგილი აქვს საპროცენტო გადასახდელების საგადასახადო დაცვას, კომპანიებმა მაქსიმალურად უნდა გაზარდონ ნასესხები კაპიტალის ოდენობა, რადგან გაიზრდება აქციონერების კეთილდღეობა ვალის მომსახურების ღირებულების გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლების ხარჯზე.

როდესაც კომპანია რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია, აქციონერებიც და კრედიტორებიც, როგორც წესი, უნდა ისწრაფოდნენ დაფარონ ვალი და თავიდან აიცილონ გაკოტრება. თუმცა, პრაქტიკაში მათი ინტერესები ხშირად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. აქციონერთა ინტერესებიდან გამომდინარე, მენეჯერების პოზიცია კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაციის ამოცანასთან მიმართებით მნიშვნელოვანწილად პროფესიულ-ეთიკური სტანდარტების საკითხია, რადგან აქციონერები არიან კომპანიის მესაკუთრეები, ხოლო მენეჯერები - მათი აგენტები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მართონ კომპანია.

აქციონერებმა ყოველთვის არ იციან მმართველობითი გადაწყვეტილებების „საიდუმლო“, ხოლო მუდმივი და განსაკუთრებული კონტროლი მოითხოვს როგორც ძალისხმევას, ასევე დროის მნიშვნელოვან დანახარჯებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა - დასაშვები რისკის განსხვავებული შეფასება. რისკისადმი განსხვავებული დამოკიდებულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან რთულია მისი იდენტიფიცირება და წინასწარ განჭვრეტა, ხოლო მისი არსებობის ფაქტი, როგორც წესი, ვლინდება უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებში.

კომპანიის ვალდებულებებზე აქციონერების პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათი წილით კომპანიის კაპიტალში. აღნიშნული გარემოება საინვესტიციო სტრატეგიის საფუძველია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სააქციო კაპიტალის დიდი ფინანსური დანაკარგები, ხოლო წარმატების შემთხვევაში - მაღალი შემოსავლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი დანახარჯები, რაც გავლენას ახდენს და ძირითადად დაკავშირებულნია როგორც საინვესტიციო, ასევე სამეურნეო გადაწყვეტილებებზე. კრედიტორის შეზღუდვები წმინდა მიმდინარე ღირებულებით, ამცირებს საინვესტიციო შესაძლებლობების დიაპაზონს და შეიძლება გამოიწვიოს სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების შეფერხებები. გარდა ამისა, კრედიტორებს უწევთ კონტროლთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაღება და მათ კომპენსაციას უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების ხარჯზე ახდენენ. საბოლოო ანგარიშით, ასეთი კონტროლის განხორციელების ხარჯებს გასწევენ აქციონერები, რაც ნეგატიურად აისახება კომპანიის პროდუქციის საბაზრო ღირებულებაზე.

კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრისათვის ზუსტი ფორმულა არ არსებობს. კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაცია - ეს კონკურენციის, საგადასახადო კანონმდებლობისა და ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებებისადმი ადაპტაციის უწყვეტი პროცესია. გადაწყვეტილება კაპიტალის სტრუქტურის არჩევის შესახებ, არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად. ის უნდა იყოს დაფინანსების დასაბუთებული სტრატეგიის ნაწილი, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება, როგორც კომპანიის საბაზრო პოზიცია და მომავალი საინვესტიციო შესაძლებლობები, ასევე, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, სადივიდენდო პოლიტიკა და დაფინანსების მოთხოვნა.

სესხების მოზიდვის პერსპექტიულ გეგმებს თან უნდა ახლდეს რისკის, მოსალოდნელი მოგებისა და ბალანსის ხარისხის პროგნოზული შეფასებები. ამავე დროს უნდა გავაანალიზოთ რისკის წარმოქმნის შესაძლებლობები და სიტუაციიდან გამოსვლის გზები, როდესაც მოქმედი აქტივებით გენერირებული ფულადი სახსრები არ არის საკმარისი ვალის დაფარვისა და მომსახურებისთვის.

დაფინანსების სტრატეგია იწყება კომპანიის მიერ საქმიანი სტრატეგიის არჩევიდან, რაც მიმართულია მისი საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაციაზე. დაფინანსების სტრატეგიამ უნდა გადაჭრას ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანა – კომპანიის ღირებულების გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა. საჭირო შედეგი შეიძლება მოგვცეს მოქმედებებმა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ინვესტორების ნეგატიური რეაქცია კორპორაციული ფინანსების კანონების მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, დივიდენდების გადახდის შემცირება და მასზე სრული უარი ან აქციების გამოსყიდვა საბაზრო ფასისადმი მნიშვნელოვანი პრემიით.

დაფინანსების სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს აქციონერების კეთილდღეობის ზრდა. დაფინან-

სების ოპტიმალური სტრუქტურა და საკუთარი კაპიტალისა და ვალის დასაბუთებული თანაფარდობა ახდენს კომპანიის კაპიტალის ერთობლივი ღირებულების მინიმიზებას, საშუალებას აძლევს რა მას მოიზიდოს საჭირო ფინანსური რესურსები და შეინარჩუნოს ფინანსურ გადაწყვეტილებების მიღების მოქნილობა. დაფინანსების სტრატეგიის აუცილებელი ნაწილია აქციების გამოსყიდვისა და დივიდენდების გადახდის პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება აქციონერთა ინტერესებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის მოზიდვაზე დანახარჯების შემცირების დროს კომპანიის ღირებულება იზრდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფინანსური ბერკეტის ცვლილება ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენს ოპერაციულ ფულად ნაკადზე. თუ ახალი ვალის შეთავაზების შედეგს წარმოადგენს რისკის დასაშვები დონის შემცირება და ეს იწვევს ოპერაციული ფულადი ნაკადების შემდგომ კლებას, კომპანიის ღირებულება შეიძლება შემცირდეს კაპიტალის ღირებულების შემცირების დროსაც კი. ასეთ სიტუაციაში უნდა გვახსოვდეს, რომ ფინანსური მართვის მიზანია კომპანიის ღირებულების მაქსიმიზაცია და არა კაპიტალზე დანახარჯების მინიმიზაცია და სწორედ ამ პოზიციიდან უნდა მივუახლოვდეთ კაპიტალის სტრუქტურის ფორმირებას.

დაფინანსების სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელია კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის, ტაქტიკური და სტრატეგიული გეგმების შესახებ ინფორმაციის მომზადებისა და ინვესტორებამდე მისი ადეკვატური დაყვანის პრობლემა, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საკრედიტო რეიტინგსა და მის საბაზრო ღირებულებაზე. ხშირად, დაფინანსების გარე წყაროებზე უარის თქმა ბიზნესის ზრდის ტემპების გაუმართლებელი შეზღუდვის მიზეზი ხდება. ეს ნიშნავს, რომ დაფინანსების კორპორაციული სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს საქმიანი ოპერაციების რისკის ჩამოყალიბებულ დონეს და უზრუნველყოფდეს კორპორაციული გეგმების რეალიზაციისათვის აუცილებელ ფონდებს და ამავე დროს უნდა ითვალისწინებდეს, როგორც კომპანიის ფინანსურ მიზნებსა და ფინანსური რესურსების მოთხოვნილებებს, ასევე, დივიდენდურ პოლიტიკას და კონკურენტულ პოზიციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაზვიაშვილი ნ. „კორპორაციული მენეჯმენტი“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2013;
2. Corporate Valuation: A guide for managers and investors – P. Daves, m. Ehrhardt and R. Shrieves - 2012;
3. ჯეიმს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009;
4. Brigham E. F. and. Ehrhardt M. C. Financial Management - Theory and Practice – 11-th edition, 2010;
5. Брейли Р. Майерс С. Принципы корпоративных Финансов. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2009.

About the Decision of Corporate Financing

Kh. Barbakadze

Summary

Special attention of company management is required while realization and implementation issues of financing strategy, where the problem of optimal structure of capital plays crucial role. Managers have realized necessity of operational expenses reduction, which is the important issue for the growth of the company.

Financing strategy of the company should be in compliance with business risk level and should provide mandatory funds for realization of corporate plans and at the same time should consider financial goals and requirement of financial resources of the company. While making decision regarding financing the company it is very important to outline profit distribution- dividend policy and formation of capital structure. These decisions determine strategy of the company and as a rule it is included in competences of high level management.

Financing strategy starts with the choosing of business strategy, which is focused on maximization of market value. Financing strategy should solve most important task of the financial management – maintenance of long-term growth of the company value. Optimal structure of financing and interrelation of own capital and debt minimizes total value of company capital, gives possibility to attract financial resources and maintain flexibility of decision making. Main part of financial strategy is redemption of shares and dividend payment policy which is consistent with the interests of shareholders.

Key words: *corporate financing strategy, optimal capital structure, the expected cash flows, equity, borrowed capital, dividend payment policy*.

კულტურა როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ბიზნესის ფაქტორი გლობალიზაციის კონტექსტით

გიორგი ბედიანაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი

განხილულია გლობალიზაციის პირობებში კულტურის როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომკური განვითარების და ბიზნესის ფაქტორის მნიშვნელობა. კულტურის სხვადასხვა მოდელის განზოგადების საფუძველზე წარმოდგენილია კულტურის სისტემურ-კონცეფტუალური მოდელი. კულტურის ჰოფსტედესეული რაოდენობრივი მახასიათებლების გამოყენებით გამოკვლეულია საქართველოსთვის ამ მაჩვენებლების თანაფარდობა მსოფლიოს სხვასასხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. გამოყოფილია საქართველოსთვის კულტურულ ფასეულობათა გარდაქმნის მიმართულებები გრძელვადიან პერსპექტივაში.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, გლობალური ბიზნესგარემო, კულტურა როგორც ფაქტორი, კულტურულ ფასეულობათა გარდაქმნა.*

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვნად გვესახება ქვეყნისათვის მოქმედების შესაბამისი სტრატეგიის ფორმირება. ერთის მხრივ, ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაცია აქტუალურს ხდის ევროკავშირის ბიზნესგარემოს სისტემურ ანალიზს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი პოტენციალის სრული გამოყენებისა და ევროსტრუქტურებში მისი ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე ძალიან აქტუალურია ჩვენთვის გლობალური ბიზნესგარემოს ადეკვატური სისტემური აღქმაც და მისი შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება, უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში სავარაუდოდ მოსალოდნელი გამოწვევების იდენტიფიცირება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება [1;2].

გლობალური ბიზნესგარემო რთული სტრუქტურის მქონეა [3]. მის შემადგენლობაში სისტემური მიდგომის პოზიციებიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს ბიზნესზე არსებითად მოქმედი რამოდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, სოციალურ-კულტურული, სოციალურ-დემოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები, ასევე თვით სოციალური პრობლემები და ფაქტორები.

საქართველოს ეფექტიანი და კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემურ-კონცეფტუალური პოზიციებიდან გამომდინარე, ლოგიკურია განხილულ იქნეს ბიზნესგარემო გლობალური და ევროკავშირის კონტექსტებით, მათ შორის არსებითი განსხვავებების გათვალისწინებით. მხედველობაშია მისაღები, რომ გლობალიზაცია და ევროინტეგრაციული პროცესები არა თუ არ გამორიცხავს ლოკალურ და სხვა მეზორეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებს, არამედ შესაძლოა უფრო აქტუალურს ხდის მათ კრიტიკულ ანალიზს, ხოლო მიზანშეწონილობის შემთხვევაში, საქართველოს ამა თუ იმ ზომით ჩართვას აღნიშნულ პროცესებში (სახელმწიფოს მიერ ბიზნესსტრუქტურების საერთაშორისო კომუნიკაციების სტიმულირებით და ხელშეწყობით, ასევე საჭიროების შემთხვევაში სათანდო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირებით და ამოქმედებით).

ზოგადად ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და კონკრეტულად ბიზნესის ფუნქციონირების პროცესებში განსაკუთრებით დიდია სოციოკულტურული ფაქტორების მნიშვნელობა და როლი (კულტურის ფენომენის კვლევის შესახებ იხ., მაგალითად, ნაშრომები [2;3;4;5;6;7;8;9;10;11;12;13;14;15;16;17;18;19;20;21;22;23;24;25]). ჩვენი აზრით, გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში უშუალოდ კულტურული პოტენციალის, როგორც ფაქტორის, სწორი განვითარება და ეფექტიანი გამოყენებაა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა. მართლაც, უკვე კარგად ცნობილი გამოთქმა: „კულტურას აქვს მნიშვნელობა“ ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის [9], უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს. ასევე ცნობილია, რომ მნიშნელოვანი როლი აქვს კულტურას საერთაშორისო ბიზნესშიც [25;26].

კულტურის თეორიების განხილვის ფორმატით საინტერესოდ მიგვაჩნია გამოვყოთ ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ჯორჯ მერდოკის მიდგომა [20]. დისციპლინათშორისი გამოკვლევების საფუძველზე ავტორმა შემოგვთავაზა კულტურის შვიდი ფუნდამენტური მახასიათებელი. ცხადია, რომ ფუნდამენტური, უნივერსალური მახასიათებლების როლი და მნიშვნელობა დიდია კულტურის არსის

ადეკვატურ გაგებაში და სხვადასხვა კროს-კულტურული პრობლემების გადაჭრაში. ეს მახასიათებლებია: 1. კულტურა გადაეცემა სწავლების საშუალებით (რაც ნიშნავს იმას, რომ კულტურა არ მიეცემა ადამიანს დაბადებით, არ გადაეცემა ადამიანს ბიოლოგიურად, თუმცა სწავლების პრინციპები ძირითადში მსგავსია სხვადასხვა კულტურაში); 2. კულტურა შეითვისება აღზრდით; 3. კულტურა არის სოციალური; 4. კულტურა არის იდეაციონური (კულტურის შემადგენელი ჯგუფური ჩვეულებები, უდიდეს ნაწილში წარმოდგენილია როგორც იდეალური ნორმები ან პატერნები - ნიმუშები); 5. კულტურა უზრუნველყოფს დაკმაყოფილებას (კულტურა აუცილებლობით უზრუნველყოფს ბაზისური ბიოლოგიური და მათ საფუძველზე აღმოცენებული მეორადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას); 6. კულტურა არის ადაპტური (იგი განიცდის ადაპტაციას გარემოს მიმართ, ამასთან ჯ. მერდოკი გამოყოფს ადაპტაციის გეოგრაფიულ, სოციო-კულტურულ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ გარემოს); 7. კულტურა არის ინტეგრაციული (ყოველი კულტურის ელემენტებს აქვს ტენდენცია შექმნას ურთიერთშეთანხმებული ინტეგრირებული მთლიანობა, რაც გამოკვეთილად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ კულტურა არ არის მკაცრად გაწონასწორებული და ინტეგრირებული სისტემა).

საინტერესოდ მიგვაჩნია ასევე გამოვყოთ რამდენიმე ცნობილი მოსაზრება კულტურის ცნების შესახებ. მაგალითად, ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი გირტ ჰოფსტედე განმარტავს კულტურას, როგორც ტვინის კოლექტიურ მენტალურ დაპროგრამირებულებას, ჩვენ მიერ სამყაროს აღქმის წინასწარ განსაზღვრულობის ნაწილს, რაც საერთოა ჩვენი ერის, რეგიონის ან ჯგუფის სხვა წარმომადგენლებთან [23]. არსობრივად კულტურა ავტორის მიერ განიხილება ფასეულობების და ნორმების პრიზმით მათი ერთობლიობის სახით ასევე ცნობილი მკვლევარის შალომ შვარცის აზრით, კულტურა საზოგადოებაში ადამიანების დომინირებული რწმენების, წესების, ჩვეულებების, სიმბოლოების, ნორმების და ფასეულობების საფუძველია. როგორც იგი აღნიშნავს, კულტურა არის ლატენტური, ჰიპოთეტური ცვლადი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ მხოლოდ მისი კონკრეტული გამოვლენის საშუალებით და ამ თვალსაზრისით (აზუსტებს ავტორი), კულტურა არაა ლოკალიზებული ცალკეული ადამიანების გონებასა და მოქმედებებში. იგი (კულტურა), უფრო მეტად, ინდივიდის გარეთაა და დაკავშირებულია იმ წნეხთან, რომელსაც განიცდის ეს ინდივიდი, იმის გამო, რომ ცხოვრობს გარკვეულ სოციალურ სისტემაში [6].

უშუალოდ კულტურის და ფასეულობების მოდელირების და რაოდენობრივ გაზომვასთან მიმართებით ერთ-ერთი პირველი და მსოფლიოში აღიარებულია მიდგომა, შემუშავებული გირტ ჰოფსტედეს მიერ. ჰოფსტედესეულ მოდელში გამოყოფილია კულტურის რაოდენობრივად გაზომვადი ცალკეული ბლოკები, რომლებიც ერთიანობაში სისტემურად წარმოდგენენ საზოგადოების ფასეულობებს. ამ მოდელის ბოლო ვარიანტში წარმოდგენილია შემდეგი ექვსი ბლოკი და შესაბამისი ინდექსი: ძალაუფლებრივი დისტანცია - Power distance (PDI) ასახავს ადამიანთა მზაობას მიიღოს საზოგადოებასა და ინსტიტუტებში ძალაუფლების იერარქიული სტრუქტურა და მისი უთანაბრო განაწილება; ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმის საპირისპიროდ - Individualism vs. Collectivism (IDV), წარმოგვიდგენს ადამიანების (საზოგადოების უპირატეს დამახასიათებელ მიდრეკილებებს) არჩევანს დამოუკიდებლობისა და ურთიერთ დამოკიდებულების (შესაბამისი ჯგუფების ინტერესების პრიორიტეტით) ფორმატში საქმიანობას შორის; გაურკვევლობის მიუღებლობა (აცილება, გაურკვევლობისაგან თავისდაღწევა - Uncertainty avoidance (UAI), გვიჩვენებს ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების მოთმინების (ტოლერანტობის) დონეს გაურკვეველი (განუსაზღვრელი) სიტუაციების მიმართ; მასკულინობა (ფემინურობა) - Masculinity vs. Femininity (MAS), არის ადამიანების და მთლიანად საზოგადოების შეფასება ისეთი თვისებების მიხედვით, როგორიცაა მიზანმიმართულება, საქმის ინტერესების წინ დაყენება, სიმკაცრე და წარმატებაზე ყურადღების კონცენტრაცია; გრძელვადიანი ორიენტაცია (მოკლევადიანი ორიენტაცია) - Long-term orientation vs. Short-term orientation (LTO), იმის მაჩვენებელია თუ რამდენად ორიენტირებული არიან ადამიანები და საზოგადოება გრძელვადიან, სტრატეგიულ პრაგმატულ მომავალზე, საპირისპიროდ ტრადიციული მოკლევადიანი (ოპერატიული) ორიენტაციისა; ინდულგენცია - Indulgence (IND), რომელიც აღნიშნავს თავშეკავებულობისა და მიმტევებლობის დონეს. რაც უფრო დაბალია ეს ინდექსი, მით უფრო დიდია საზოგადოებაზე, ადამიანების ქცევაზე ტრადიციებისა და ნორმების შემზღუდველი ზემოქმედება და პირიქით, ამ ინდიკატორის დიდი მნიშვნელობა მიუთითებს პიროვნული იმპულსური ქცევის შედარებით მაღალ დონეზე).

კულტურულ ფასეულობათა არაერთგვაროვნება არა მარტო მსოფლიოს მასშტაბით, არამედ თვით ევროპისა და ევროკავშირის ფარგლებში წარმოშობს ბუნებრივ კითხვას, როგორია კულტურული ფასეულობები საქართველოში და როგორია მათი პარამეტრების სასურველი მდგომარეობა მომავალში ევროინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით. ავიღოთ განვითარებული ქვეყნები, გამოკვეთილად განსხვავებული საქმიანი კულტურებით მსოფლიოს სხადასხვა რეგიონიდან (აშშ, გერმანია და იაპონია) და საქართველო (ნახ. 1), წარმოდგენილი გ. ჰოფსტედეს მიერ შემოთავაზებულ

კულტურულ განზომილებათა ბოლო წლების ვარიანტის მოდელის [23] ბაზაზე (საქართველოსთვის პარამეტრები შეფასებულია ექსპერტულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის მოდულის „ევროკავშირის ბიზნესგარემო“ და „კროსკულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ დისციპლინების ლექცია-სემინარების ფარგლებში დამამთავრებელი მეოთხე კურსის სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე). აღმონდა, რომ მიმდინარე მდგომარეობით (“As is”) საქართველოში საკმაოდ დაბალია (გერმანიასთან და იაპონიასთან შედარებით) გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატულობის) მაჩვენებელი, შესამჩნევად დაბალია ასევე ინდივიდუალიზმის დონეც (თუმცა ახლოსაა ამ პარამეტრით იაპონიასთან). ხოლო ძალაუფლებრივი დისტანციით, არის რა იაპონიის მაჩვენებელისაგან მცირედ, შეუმჩნევლად განსხვავებული, საქართველო მნიშვნელონადაა დაცილებული (საგრძნობლად მეტია) გერმანიის და აშშ-ს დონისგან.

რაც შეეხება საქართველოსთვის სასურველ მდგომარეობას (“As should be”), იგივე ექსპერტული შეფასებებით გომოიკვეთა ის ცვლილებები, რომლებიც საჭიროა განხორციელდეს კულტურულ ფასეულობათა ტრანსფორმაციისთვის. ესაა ჩვენი ქვეყნისთვის მართლაც აქტუალური პრაგმატიზმის გაძლიერება, ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება და ინდივიდუალიზმის თვისებების განვითარება. ევროპის ქვეყნების კულტურულ ფასეულობებთან მიმართებით შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საქართველოსთვის სასურველი მდგომარეობა საკმაოდ ახლოსაა შვეიცარიის ანალოგიურ მაჩვენებლებთან (ნახ.1).

ცნობილია, რომ კულტურის თვისებრივი მაჩვენებლები და თვით ფასეულობები დროის განმავლობაში იცვლება ნელა, ზოგჯერ თაობების შეცვლის თანაზომად პერიოდში, რაც ანიჭებს მას გრძელვადიან ხასიათს [17].

კულტურა თავისი არსით არის არაფორმალური ინსტიტუტი [17] და ბუნებრივია მისი (კულტურის) გრძელვადიან პერიოდში გარდაქმნის მექანიზმი განხილულ იქნეს ინსტიტუციონალიზაციის პროცესთან ერთად. თავის მხრივ, ინსტიტუციონალიზაციის პრობლემატიკაში ფრიად მნიშვნელოვანად გვესახება ინსტიტუციური სტრუქტურის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და დინამიკის კომპლექსურობის მთავარი სტრუქტურული კომპონენტის [28] განვითარებაში ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების თანაფარდობის სისტემურობის უზუნველყოფა.

მართლაც, გამოკვლევები ადასტურებს არაფორმალური ინსტიტუტების დიდ როლს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაში. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ფორმალური ინსტიტუტების განვითარების მაღალი დონე არაფორმალური ინსტიტუტების დაბალ დონესთან ერთად შეესაბამება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) შემცირებას, მაშინ როდესაც ქვეყნებში, სადაც მაღალია არაფორმალური ინსტიტუტების განვითარების დონე და დაბალია ფორმალური ინსტიტუტების დონე - უფრო მეტია მოსახლეობის ერთ სულზე მშპ სიდიდე [29]. ამ გამოკვლევაში გამოყენებულ არაფორმალური ინსტიტუტების ინდიკატორებს შორის აღსანიშნავია ნდობა და პატივისცემა, რაც ასახულია, მაგალითად, ფასეულობათა მსოფლიო კვლევების (The World Values Survey - WVS) პროექტის მასალებში [3].



ნახ. 1. კულტურულ ფასეულობათა განლაგება: შვეიცარია და საქართველო (მიმდინარე არსებული და სასურველი მდგომარეობების შეფასება)

როგორც ცნობილია, ამ პროექტის ფუძემდებელი და პირველი ხელმძღვანელია რონალდ ინგლხარტი. პროექტში ხდება კულტურის შესწავლა ორი კატეგორიის ჭრილით: 1) ტრადიციული (Traditional)/სეკულარულ რაციონალური (Secular-Rational) ფასეულობები (Values) და 2) გადარჩენის (Servival)/თვითგამოხატვის (Expression) ფასეულობები (Values) [3]. სამუშაოები ხორციელდება ხუთწლიანი პერიოდულობით. მათში გამოკვლეულია ქვეყნების ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებასა და საზოგადოებათა ფასეულოებებსა და მოტივაციებს შორის ურთიერთკავშირი. დღემდე ჩატარებულია სამუშაოთა შვიდი ციკლი (ტალღა). მათში ასახულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები (ნახ. 2).

აღსანიშნავია, რომ ბოლო მეშვიდე ციკლის კვლევების შესაბამისად საქართველოსთვის „თვითგადარჩენის“ ფასეულობებმა განიცადა გარკვეული გაუმჯობესება და შესამჩნევად გადაინაცვლეს „თვითგამოხატვის“ ფასეულობების მიმართულებით (თუმცა მათი მნიშვნელობები დარჩა შუალედში -1 და -0.5, ანუ ჯერ კიდევ „თვითგადარჩენის“ ფასეულობების ზონაში, როგორც ყველა სხვა პოსტკომუნისტური ქვეყანა). ამავე დროს, უნდა შევნიშნოთ, რომ „რაციონალური“ ფასეულობების მიმართულებით საქართველოში მოძრაობა (ცვლილება) არ მომხდარა, პირიქით გაძლიერდა მცირე ზომით „ტრადიციული“ ფასეულობების მნიშვნელობა.

თუ ვიმსჯელებთ გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ- ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობი პირობებით უზრუნველყოფაზე ფასეულობების გარდაქმნის ჭრილში, უნდა მივიღოთ მხედველობაში ემპირიული დაკვირვებების შედეგად გამოვლენილი ფაქტი, რომ მაღალი განვითარების ტემპებს შესაბამის ქვეყნებში წინ უსწრებს,



ნახ. 2. მსოფლიოს კულტურული რუკა რ. ინგლხარტის განზომილებით 2015 წ. [30].

პირველ რიგში, კულტურის მაჩვენებლების ისეთი ცვლილებები, როგორიცაა ძალაუფლებრივი დისტანციის შემცირება, ინდივიდუალიზმის დონის გაზრდა და გრძელვადიანი ორიენტაციის (პრაგმატიზმის) გაძლიერება [11;13]. აქ მნიშვნელოვანია ასევე ზემოთ აღნიშნული რაციონალური და თვითგამოხატვის ფასეულობების თანდათანობითი გაძლიერება.

ვფიქრობთ, სხვასთან ერთად ამ მიმართულებითაცაა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები მართვის სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკების და მომავალი ბიზნესმენეჯერების მომზადების, მათი საქმიანი კულტურის ფორმირების პროცესის სრულყოფა. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება არა მარტო

უმაღლესი განათლების სისტემა, არამედ ადამიანის კულტურის ფორმირების მთლიანის ციკლის მომცველი კომპლექსი - ოჯახი, სკოლამდელი აღზრდა და უშუალოდ სკოლაც. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შესაბამისი დროის პერიოდი თაობების შეცვლის თანაზომადია. ცხადია, კულტურულ ფასეულობათა მიზანმიმართული სისტემური ცვლილებების ღონისძიებები უნდა აისახოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბედიანაშვილი, გ. ევროკავშირის ბიზნესგარემო და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური ფაქტორები: მაკროსისტემური ასპექტი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრ. კრებული. ტომი 12, თბილისი, 2015.
2. ბედიანაშვილი, გ. გლობალური ბიზნესგარემო, ევროპული ინტეგრაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კულტურული პოტენციალი. ჟურნალი: „გლობალიზაცია და ბიზნესი“. თბილისი: ევროპის უნივერსიტეტი, 2016, ტ. I.
3. Harrison, A. Business Environment in a Global Context. Oxford University Press, 2014.
4. Hofstede, G. Culture's Consequences: International Differences in Work-Related Values. - Beverly Hills, CA: Sage Publications, 1980.
5. Triandis, H. Culture and Social Behavior. - N.Y.: McGraw-Hill, 1994.
6. Шварц, Ш. Культурные ценностные ориентации: природа и следствия национальных различий. Психология. Журнал Высшей школы экономики, 2008. Т. 5, №2.
7. Инглхарт, Р. Вельцель, К. Модернизация, культурные изменения и демократия. Последовательность человеческого развития. М.:Новое, издательство, 2011.
8. Культура имеет значение. Каким образом ценности способствуют общественному прогрессу. Под редакции Л. Харрисона и С. Хантингтона. М. 2002.
9. Hall, E., Hall, M. Understanding Cultural Differences.- Yarmouth ME: Intercultural press, 1990.
10. Тромпенаарс, Ф., Хампден-Тернер Ч.Национально-культурные различия в контексте глобального бизнеса. Минск, 2004.
11. Ball R., Individualizm, Collectivism and Economic Development // Annals of the American Academy of Political and Social Science. 2001. Vol. 573.
12. Ясин, Е. Исследование культурных ценностей - общее дело социальных наук. Психология. Журнал Высшей школы экономики. 2008. Т. 5, №2.
13. Аузан, А. и др. Культурные факторы модернизации. М., Санкт-Петербург, 2011.
14. ჯამაგიძე, ლ., პაპაჩაშვილი, ნ., შაბურიშვილი, შ., სიხარულიძე, დ. საერთაშორისო ბიზნესის სოციო-კულტურული გარემო საქართველოში. თბილისი, 2011.
15. სუმბაძე, ნ. თაობები და ღირებულებები. თბილისი, 2012.
16. ვეშაპიძე, შ. კაცობრიული ღირებულებები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები. თბილისი, 2012.
17. ბედიანაშვილი, გ. კულტურა როგორც ინსტიტუტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ბიზნესის კონტექსტში. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №6, თბილისი, 2014.
18. ბარათაშვილი, ე., ზარანდია, ჯ., მარიდაშვილი, მ., ჩეჩელაშვილი, მ., მახარაშვილი, ი., ღამბაშიძე, თ. შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია. თბილისი, 2016.
19. Тамбовцев, В. Экономическая теория неформальных институтов. М.:РГ-Пресс. 2014.
20. North, D.C. Economic Performance through Time //American Economic Review. 1994. Vol. 84. No. 3.
21. Gladwin, T. N. and Terpstra V. Introduction In Cultural environment of international business / Ed. by V. Terpstra, Cincinnati: Southwestern, 1978. P. XIV.
22. Murdock G. P. Culture and Society. University of Pittsburgh Press. 1965.
23. Hofstede, G. & Hofstede, G.J. Cultures and Organizations. Software of the Mind (2nd edn). New York: McGraw-Hill. 2005.
24. საერთაშორისო ბიზნესის სოციოკულტურული გარემო. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი, 2011.
25. Barry J. Tomalin B. Cross-Cultural Communication: Theory and Practice. 2013.

26. Luthans F., Jonathan P. International Management: Culture, Strategy and Behavior. 2012.
27. http://geert-hofstede.com.
28. Bedianashvili G. State, Power Stucture and Socio-Economoc Reforming of Society. P. Gugushvili Institute of Economics of the Georgian Academy of Sciences. Tbilisi: Metsniereba, 1995.
29. Williamson C. R. Informal institutions rule: institutional arrangements and economic performance // Public Choice, 2009. Vol. 139.
30. http://www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp

The culture as factor of the country's socio-economic development and business in the context of globalization

G.Bedianashvili

Summary

In the respect of globalization it is discussed the importance of culture as factor of social - economic development and business of Georgia. On the basis of generalization of various cultural models it is proposed a systemic-conceptual model of culture. Through the Hofstede's quantitative cultural rates Georgia's rates are explored relatively to those of other countries'. Various long-term directions for adjustments of Georgia's cultural Dimension are allotted.

Key word: *globalization, global business environment, culture as factor, transformation of cultural values*.

შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიშის შედგენის საკითხისათვის საქართველოში

ინგა ბენაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

*შინამეურნეობების სექტორი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკაში. არაფინანსური კორპორაციების შემდეგ მთლიანი გამოშვებისა და დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (დაახლოებით **14.0 % 2015** წელს) მოდის აღნიშნულ სექტორზე.*

*იმავე წელს, შინამეურნეობების სექტორის დამატებული ღირებულების სტრუქტურაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი **(53.2 %)** უკავია სოფლის მეურნეობას, შემდეგ საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობით რენტას **(20.5 %)**, პროდუქციის გადამუშავებას შინამეურნეობებში **(16.3 %)** და ვაჭრობას **(4.9 %)**.*

საკვანძო სიტყვები: *შინამეურნეობების სექტორი, წარმოების ანგარიში, გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული ღირებულება.*

საქართველოში ეკონომიკის სექტორული გაანალიზება დღეისათვის პრიორიტეტულია. საქსტატში მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები ამ მიმართულებით. თუმცა რიგი ობიექტური მიზეზის გამო სექტორული ანგარიშების შედგენა არ ხორციელდება. 1996 წლიდან დაწყებული დღემდე სექტორული ანგარიშები არ შედგენილა. 2010 და 2014 წლებში ჩემ მიერ შედგენილია ზოგიერთი სექტორული ანგარიში (წარმოების, შემოსავლების ფორმირებისა და პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშები მთლიანად ეკონომიკისა და სექტორების მიხედვით 2010 წელს; არაფინანსური კორპორაციების სექტორის წარმოების ანგარიში 2014 წელს). წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი გაგრძელებაა ჩემ მიერ სექტორული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით და შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიშით შემოიფარგლება.

შინამეურნეობების სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. შინამეურნეობები წარმოგვიდგებიან როგორც მწარმოებლები, როგორც შემოსავლების მიმღებნი და როგორც მომხმარებლები. ამჯერად ჩემი ყურადღება წარმოებაზე შეჩერდება.

შინამეურნეობების სექტორი, არაფინანსური კორპორაციების სექტორის შემდეგ, ყველაზე დიდი მწარმოებელია ქვეყნის ეკონომიკაში. აღნიშნული სექტორის გამოშვების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 15-20 %-ის ფარგლებში მერყეობს წლიდან წლამდე. 2009 წლის წინასწარი მონაცემების საფუძველზე შინამეურნეობების სექტორის გამოშვების წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში 20.1 %-ს შეადგენდა, შუალედური მოხმარების წილი ქვეყნის შუალედურ მოხმარებაში - 21.8 %-ს, ხოლო დამატებული ღირებულების წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 19.0 %-ს. 2015 წლისთვის შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლები მცირედ განსხვავებულია, რასაც ვნახავთ ქვემოთ, მას შემდეგ რაც შევადგენთ წარმოების ანგარიშს.

იმდენად, რამდენადაც წარმოების ანგარიში საწყისი ანგარიშია ანგარიშთა საერთო თანმიმდევრობაში, შინამეურნეობების სექტორის ანგარიშების შედგენაც წარმოების ანგარიშით დავიწყეთ. ძირითად ინფორმაციულ წყაროებს განეკუთვნება საქსტატის ეროვნული ანგარიშების, შინამეურნეობების კვლევის, ასევე სოფლის მეურნეობისა და ბიზნეს სტატისტიკის მონაცემები. გაანგარიშებები გაკეთებულია 2015 წლის კვარტალური და წლიური პერიოდულობით. აქვე შევნიშნავ, რომ მონაცემები წინასწარია.

წარმოების ანგარიშის რესურსების მხარეს გვაქვს მთლიანი გამოშვება, ხოლო გამოყენების მხარეს - შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება. 2015 წელს შინამეურნეობების სექტორის აღნიშნული ანგარიშის შემადგენელი სამივე კომპონენტი დეტალურადაა განხილული სტატიაში.

შინამეურნეობების სექტორზე მოდის ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმოების 90 %-ზე მეტი. თვით სექტორის შიგნითაც აღნიშნული საქმიანობის გამოშვებას 2015 წელს 47.9 % უკავია სექტორის მთლიან გამშვებაში. გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა, შინამეურნეობებში ხდება მათი გადამუშავება, რასაც ასევე დიდი წილი (დაახლოებით 30 % 2015 წელს) უკავია სექტორის მთლიან გამოშვებაში. შინამეურნეობები ახორციელებენ ასევე სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობას, როგორიცაა ვაჭრობა, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურება, მშენებლობა, განათლების სფეროში საქმიანობა (რეპეტიტორობა) და ა. შ.

შინამეურნეობების სექტორის მთლიანი გამოშვების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ ბიზნეს სტატისტიკის მონაცემთა ბაზა, შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზა და სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მონაცემები. შესაბამისი საქმიანობების სახეებისთვის ერთი ან რამდენიმე ბაზაა გამოყენებული საჭიროებისამებრ. გათვალისწინებულია ასევე დაუკვირვებადი გამოშვება.

შინამეურნეობების სექტორის მთლიანი გამოშვების დეტალური სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ნაჩვენებია 1 ცხრილში.

ცხრილი 1. შინამეურნეობების სექტორის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2015 I კვ.	**2015 II კვ.**	**2015 III კვ.**	**2015 IV კვ.**	**2015 წელი**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	811.7	920.9	950.7	899.4	**3582.7**
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	396.7	477.7	674.7	676.9	**2226**
სამთომოპოვებითი მრეწველობა	2.0	3.4	2.5	2.6	**10.5**
დამამუშავებელი მრეწველობა	43.3	33.1	38.5	40.2	**155.1**
მშენებლობა	4.6	4.2	10.7	5.2	**24.7**
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	56.2	64.0	72.3	76.5	**269.0**
სასტუმროები და რესტორნები	24.9	22.1	30.0	21.4	**98.4**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	6.1	12.0	14.0	15.7	**47.8**
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	10.2	10.5	11.0	10.4	**42.1**
განათლება	0.7	0.9	0.4	1.2	**3.2**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2.3	2.4	2.0	1.9	**8.6**
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	5.2	5.9	3.2	3.3	**17.6**
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	232.3	246.4	230.1	247	**955.8**
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	9.1	6.8	7.9	9.3	**33.1**
შინამეურნეობების გამოშვება, სულ	1605.3	1810.3	2048.0	2011.0	**7474.6**

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელს შინამეურნეობების სექტორის მთლიანი გამოშვების შემადგენლობაში დიდი წილი უკავია შემდეგი საქმიანობების გამოშვებას: სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა - 47.9 %, პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობებში - 29.8 %, საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა - 12.8 %, ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი - 3.6 %, დამამუშავებელი მრეწველობა - 2.1 %. მხოლოდ 3.8 % მოდის სხვა დანარჩენი საქმიანობების (მშენებლობა, ტრანსპორტი, ოპერაციები უძრავი ქონებით, განათლება, ჯანდაცვა და სხვა) წილად.

შუალედური მოხმარების გასაანგარიშებლად გამოვიყენეთ შუალედური მოხმარების წილი გამოშვებაში საქმიანობის სახეების მიხედვით. შინამეურნეობების სექტორის შუალედური მოხმარების სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ნაჩვენებია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2. შინამეურნეობების სექტორის შუალედური მოხმარება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2015 I კვ.	2015 II კვ.	2015 III კვ.	2015 IV კვ.	2015 წელი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	284.1	322.3	332.7	314.8	**1253.9**
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	273.7	320.1	458.8	460.3	**1512.9**
სამთომოპოვებითი მრეწველობა	0.8	1.4	1.0	1.0	**4.2**
დამამუშავებელი მრეწველობა	27.3	20.9	24.3	25.3	**97.7**
მშენებლობა	2.8	2.5	6.4	3.1	**14.8**
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	11.2	12.8	14.5	15.3	**53.8**
სასტუმროები და რესტორნები	13.4	11.9	16.2	11.6	**53.1**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2.1	4.2	4.9	5.5	**16.7**
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	3.7	3.8	4.0	3.7	**15.2**
განათლება	0.1	0.2	0.1	0.2	**0.6**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	0.5	0.6	0.5	0.4	**2.0**
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	2.3	2.7	1.4	1.5	**7.9**
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	10.6	16.5	15.4	16.5	**59.0**
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	0.8	0.6	0.7	0.8	**2.8**
შინამეურნეობების სექტორის შუალედური მოხმარება, სულ	633.5	720.3	880.8	860.1	**3094.7**

როგორც ცხრილიდან ჩანს, შუალედური მოხმარების პროცენტული სტრუქტურაც დაახლოებით გამოშვების სტრუქტურის მსგავსია. აქაც ყველაზე დიდი წოლი მოდის პროდუქციის გადამუშავებაზე შინამეურნეობებში - 48.9 % და სოფლის მეურნეობაზე - 40.5 %.

დამატებული ღირებულება, როგორც წარმოების ანგარიშის დამაბალანსებელი მუხლი, გავიანგარიშეთ გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობით. შინამეურნეობების სექტორის მთლიანი დამატებული ღირებულების სტრუქტურა ნაჩვენებია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3. შინამეურნეობების სექტორის დამატებული ღირებულება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2015 I კვ.	2015 II კვ.	2015 III კვ.	2015 IV კვ.	2015 წელი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	527.6	598.6	618.0	584.6	**2328.8**
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	123.0	157.7	215.9	216.6	**713.1**
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1.2	2.0	1.5	1.6	**6.3**
დამამუშავებელი მრეწველობა	16.0	12.2	14.2	14.9	**57.4**
მშენებლობა	1.8	1.7	4.3	2.1	**9.9**

ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	45.0	51.2	57.8	61.2	**215.2**
სასტუმროები და რესტორნები	11.5	10.2	13.8	9.8	**45.3**
ტრანსპორტი და კავშირგბმულობა	4.0	7.8	9.1	10.2	**31.1**
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	6.5	6.7	7.0	6.7	**26.9**
განათლება	0.6	0.7	0.3	1.0	**2.6**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	1.8	1.8	1.5	1.5	**6.6**
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	2.9	3.2	1.8	1.8	**9.7**
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	221.6	229.9	214.8	230.5	**896.8**
შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისთვის	8.4	6.2	7.3	8.5	**30.3**
შინამეურნეობების სექტორის დამატებული ღირებულება, სულ	971.8	1090.1	1167.4	1150.9	**4379.9**

როგორც შედეგებიდან ჩანს, შინამეურნეობების სექტორის გამოშვების წილი საქართველოს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში 14.3 %-ია, შუალედური მოხმარების წილი ქვეყნის შუალედურ მოხმარებაში - 15.0 %, ხოლო დამატებული ღირებულების წილი მშპ-ში - 13.8 %.

შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიშის რესურსებისა და გამოყენების მხარის შემადგენელი კომპონენტების (გამოშვების, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების) დეტალური განხილვის შემდეგ შევადგინეთ წარმოების ანგარიში აგრეგატული ფორმით.

წარმოების ანგარიში 2015 წლისათვის მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4. შინამეურნეობების სექტორის წარმოების ანგარიში
(მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

	2015 I კვ.	**2015 II კვ.**	**2015 III კვ.**	**2015 IV კვ.**	**2015 წელი**
რესურსები					
გამოშვება	1605.3	1810.3	2048.0	2011.0	7474.6
სულ	**1605.3**	**1810.3**	**2048.0**	**2011.0**	**7474.6**
გამოყენება					
შუალედური მოხმარება	633.5	720.3	880.8	860.1	3094.7
დამატებული ღირებულება	971.8	1090.1	1167.4	1150.9	4379.9
სულ	**1605.3**	**1810.3**	**2048.0**	**2011.0**	**7474.6**

ამდენად, შინამეურნეობების სექტორი მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკაში. არაფინანსური კორპორაციების შემდეგ მთლიანი გამოშვებისა და დამატებული ღირებულების უდიდესი წილი (დაახლოებით 14.0 %) მოდის აღნიშნულ სექტორზე. მნიშვნელოვანია ასევე დამატებული ღირებულების სტრუქტურა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. ყველაზე დიდი წილი (53.2 %) მოდის სოფლის მეურნეობაზე, შემდეგ საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობით რენტაზე (20.5 %), პროდუქციის გადამუშავებაზე შინამეურნეობებში (16.3 %) და ვაჭრობაზე (4.9 %).

წინამდებარე სტატია კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სექტორული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით. ის დიდ დახმარებას გაუწევს თეორეტიკოს და პრაქტიკოს სტატისტიკოსებს შესაბამის საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. System of National Accounts 2008, European Commission, International Monetary Fund, Organization for economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009, p. 662
2. Handbook of National Accounting: Household Accounting Experience in Concepts and Compilation, Vol.1; Household Sector Accounts, United Nations, New York, 2000, p. 327

The Issues of the Production Account of Household Sector in Georgia

I. Benashvili

Summary

Household sector (after non-financial corporations sector) is the significant in the total economy of a country. It comes about 14 % of output and value added from the total output and Gross Domestic Product (GDP) of Georgia in 2015.

In the same year, the highest share in the total value added of household sector comes to agriculture (53.2 %). Then comes imputed rent of own occupied dwellings (20.5 %), processing of products by households (16.3 %) and trade (4.9 %).

Key words: *the household sector, the production of the report, output, intermediate consumption, value added.*

საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია და ინტეგრაცია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი

ხათუნა ბერიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაცია და საგარეო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების საწინდარს წარმოადგენს. გლობალიზაციის თანამედროვე დონემ ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის საკითხები წინა პლანზე წამოსწია, მაგრამ ამ პროცესის ეკონომიკური შედეგები არაერთმნიშვნელოვანია. ლოგიკურია ისიც რომ აქტუალობას არ კარგავს დღევანდელი ეკონომიკური ტურბულენტობის პირობებში ოპტიმალური ინტეგრაციული პროცესების დადგენის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური ინტეგრაციული პროცესები, საერთაშორისო ვაჭრობა, ლიბერალიზაცია, პროტექციონიზმი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია.*

პრობლემის აქტუალურობის დასადგენად აუცილებელია მივცეთ ზოგადი თეორიული შეფასება გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებს და მის ზეგავლენას საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციაზე. დღეისათვის ვაჭრობის სრული ან ნაწილობრივი ლიბერალიზაციის პირობებში, მსოფლიო ეკონომიკის მოდელირების საკითხზე მრავალი გამოკვლევა არსებობს. უფრო ხშირად, ათვლის ერთ-ერთ წერტილად (ბაზური სცენარი) ირჩევენ მვო - ს (მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის) მოლაპარაკებების დოჰას რაუნდის ძირითადი იდეების რეალიზაციას, რომლებიც ორიენტირებული იყო ეკონომიკების ღიაობის პრინციპზე, რაც დღემდე არ არის მიღწეული [12]. განსხვავებული სცენარების მათემატიკური მოდელების გამოყენების (რომლებიც ეფუძნება არა სტატისტიკურ მასალებს, არამედ საექსპერტო შეფასებებს) ძირითადი მიზანია ქვეყნებსა და ცალკეულ რეგიონზე, მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის გავლენის მასშტაბების დადგენა. ამ მოდელების არსებითი მეთოდოლოგიური სხვაობის მიუხედავად, მათში წარმოდგენილი მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებისადმი ზოგადი მიდგომა ერთიანია, რაც ლიბერალიზაციის, როგორც განვითარების ყველაზე მიმზიდველი და უსათუოდ საჭირო ვარიანტისადმი მეცნიერული მიდგომების ერთიანობაზე მეტყველებს [3, გვ. 61].

მეცნიერული კვლევების უმრავლესობა მოწმობს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაში ლიბერალიზაციის დადებით წვლილზე. ა. ბოუნტის მონაცემებით, სრული ლიბერალიზაცია, ტარიფების, შიგა სუბსიდიებისა და დოტაციების გაუქმება გამოიწვევს მსოფლიო კეთილდღეობის (საერთო შემოსავლის) 100 მლრდ დოლარით, ანუ მსოფლიო მშპ-ის 0,33%-ით ზრდას. ამასთანავე, მსოფლიო შემოსავლის 73,7% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, 24,1% - განვითარებად ქვეყნებზე და 2,2% - სუსტად განვითარებული ქვეყნების კატეგორიაზე (Least Developing Countries) [2, გვ. 53]. მვო-ს ყოფილი ხელმძღვანელის, პასკალ ლამის მონაცემებით, ზოგადი პოზიტიური ეფექტი გაუტოლდება 130 მლრდ დოლარს [9]. არსებობს უფრო ოპტიმისტური კვლევებიც, რომლებშიც მოყვანილია მაღალი სანდოობის მონაცემები ქვეყნებს შორის საბოლოო შემოსავლების გაყოფის სრულიად სხვა პროპორციებით (განვითარებადი და სუსტად განვითარებადი ქვეყნების უფრო მაღალი წილით). საბოლოო ანგარიშით მეცნიერები მიდიან დასკვნამდე, რომ მსოფლიოსთვის ლიბერალიზაციის ზოგადი ეფექტი შესაძლებელია იყოს არაარსებითი, მაგრამ დადებითი, თუმცა ყოველთვის არსებობს პირობითი დაშვებები. ცხადია, რომ ლიბერალიზაციას არ მოაქვს სარგებელი საზოგადოების აბსოლუტურად ყველა წევრისათვის. ლიბერალიზაციის შედეგად ცალკეულმა მეწარმეებმა საწარმოო ფუნქციებისა და მოგების ახალი ნაკადების გადანაწილების პროცესში, შეიძლება განიცადონ დანაკარგები. ეს პრინციპი აღიარებულია საერთაშორისო ბიზნესის შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევებში, რომლებიც მთლიანობაში მხარს უჭერენ ლიბერალიზაციის პოლიტიკას. ამასთან, ცხადია ისიც, რომ მაშინ, როდესაც ერები ღებულობენ მოგებას საერთაშორისო ვაჭრობისაგან (ლიბერალიზაციის პირობებში), შესაძლებელია ისიც, რომ საერთაშორისო ვაჭრობამ ზარალი მიაყენოს ერების შიგნით ცალკეულ ჯგუფებს " [6, გვ. 204].

რ. დრისკილის ნაშრომში, დასაბუთებულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ფართოდ გამოყენებულ ბაზურ მოდელებშიც კი, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ თავისუფალ ვაჭრობას (დ. რიკარდო, ჰეკშერ-ოლინი), არსებობს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები [5]. პოტენციური ეფექტების განაწილების საკითხები დამოკიდებულია ქვეყნის სპეციალიზაციასა და მის კონკურენტულ უპირატესობებზე, ხოლო მოგების განაწილება ერის შიგნით, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება წარმოების ფაქტორებზე სა-

კუთრების უფლებების განაწილებით. ქვეყნების ერთი ჯგუფის მოგება ხშირად მიიღწევა მხოლოდ სხვების ზარალის ხარჯზე. გამარჯვებულების მიერ წაგებულთა დანაკარგების ნაწილობრივი კომპენსაციის შესაძლებლობები, რომლებიც პარეტოს მიხედვით აუცილებელია ოპტიმუმის შესანარჩუნებლად, რეალურ ცხოვრებაში არარეალიზებადია. შესაბამისად, ზოგადი კეთილდღეობის ფაქტიური ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს დადებითად მაშინ, როდესაც მოსახლეობის ფართო მასების ინტერესები ილახება, რაც, თავის მხრივ, იწვევს სოციალური დაძაბულობის ზრდას, არასტაბილურობას საზოგადოებაში, რაც, ფაქტობრივად, არ გაითვალისწინება თავისუფალი ვაჭრობის შედეგების კვლევების დროს [5, გვ.91].

მთლიანობაში, ლიბერალიზაციის გავლენა ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე, და ამის შედეგად ქვეყანაში სიღარიბის შემცირებაზე, ეჭვის ქვეშაა დაყენებული ფ.როდრიგესისა და დ.როდრიკის ნაშრომში, სადაც განიხილება დაბალი და მაღალი სავაჭრო ბარიერების მქონე ქვეყნების ეკონომიკური ზრდის თავისებურებები. ეფუძნებიან რა ვრცელ ემპირიულ მონაცემებს, მეცნიერები ავლენენ რამდენიმე ზოგად ტენდენციას. თავისუფალი ვაჭრობის შედეგად ეკონომიკური ზრდის უცვლელი სტიმულირების თეზისი მეცნიერთა მიერ არ არის გაზიარებული. ემხრობიან რა ლიბერალიზაციას, როგორც პერსპექტიულ მიმართულებას, ავტორები მიუთითებენ სხვადასხვა პირობის არსებობაზე, რამაც პროტექციონისტული მიდგომები შეიძლება აქციოს ეფექტიანად [9,გვ.204].

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის შედეგად ჩვენ მივდივართ დასკვნამდე ეროვნულ ეკონომიკაზე ვაჭრობის ლიბერალიზაციის გავლენის შეფასებათა არაერთმნიშვნელოვნებისა და ეროვნული ეკონომიკის ლიბერალიზაციის საკითხისადმი გაწონასწორებული მიდგომის აუცილებლობის შესახებ .

საქართველოს შესვლა მვო-ში უსათუოდ სერიოზული ნაბიჯია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის გზაზე, მაგრამ სწორი არ იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ეროვნული ეკონომიკები მვო-ს პირობებში მოქმედებენ პროტექციონიზმისაგან თავისუფალი რეჟიმით და ვაჭრობა სრულიად ღიაა. დღეს ეროვნული ეკონომიკების მხარდასაჭერად მვო-ში შემავალი ყველა ქვეყანა იყენებს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო შეზღუდვების ფართო სპექტრს . უფრო მეტიც, თუ შევხედავთ, მთლიანობაში, დღევანდელ ეკონომიკურ სიტუაციასა და მსოფლიო ვაჭრობის ტენდენციებს, მაშინ შეიძლება შევნიშნოთ დამცავი ზომების ზრდის ტენდენცია. ამ კონტექსტით აუცილებლად მიგვაჩნია შესწავლილ იქნეს მვო-ს წევრი - ქვეყნების მუშაობის გამოცდილება მისი შემდგომი ადაპტაციისა და საქართველოსთვის ახალ ეკონომიკურ პირობებში ეფექტიანი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შესამუშავებლად.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში პროტექციონისტული ზომების მაგალითია ე.წ. აღდგენისა და რეინვესტირების ამერიკული აქტი, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წლის დასაწყისში აშშ-ის კონგრესის მიერ. ამ აქტის თანახმად, აკრძალულია ეკონომიკის რეანიმაციაზე გამოყოფილი საშუალებების გამოყენება სამშენებლო და სარემონტო პროექტებში, მეტალურგიასა და სხვა სფეროებში, თუ პროექტში ჩაბმული რესურსები არ არის აშშ-ი წარმოებული. ლაკონური ფრაზა – „იყიდე ამერიკული," თვალნათლივ ასახავს დოკუმენტის ძირითად პრინციპებს [3, გვ 42].

პროტექციონიზმი ჩნდება განვითარებადი ქვეყნების რიგ მცირე ეკონომიკებშიც. განსაკუთრებულ სირთულეებს განიცდიან სახელმწიფოები, რომლებიც ძლიერ არიან დამოკიდებულები აშშ-ის დოლარსა და საერთაშორისო ბაზრებზე. მაგალითად, ეკვადორმა 2009 წლის ივლისში მიიღო მვო-ს ოფიციალური ნებართვა ტარიფებისა და კვოტების ზრდაზე. იმავე წელს ეკვადორმა გამოაცხადა რიგი ახალი საიმპორტო შეზღუდვა 630 სასაქონლო პოზიციაზე. ეს, შეეხო ქვეყნის საბაჟო სატარიფო სივრცის დაახლოებით 8%–ი და იმპორტის 23%–ს. გაზრდილ იქნა საბაჟო გადასახადები 350-ზე მეტ საქონლზე და შემოღებულ იქნა საკვოტო შეზღუდვები 270 სხვა საქონელზე ერთი წლით [8, გვ. 94].

2008 წლის ეკონომიკური კრიზისის დროს წარმოიშვა დაძაბულობის ახალი ტალღა საერთაშორისო ვაჭრობის ორ წამყვან მოთამაშეს - აშშ-სა და ჩინეთს შორის. აშშ-ის ფოლადსასხმელი კავშირის ზეწოლით ამერიკაში დაიწყო ანტიდემპინგური გამოძიება ფოლადის იმპორტირებადი ჩინური მილების თაობაზე. 2006 წლიდან 2008 წლამდე მისი მიწოდებების მოცულობა გაიზარდა 4 – ჯერ და მიაღწია 2,6 მლრდ დოლარს. ფოლადის ლობის გავლენით, აშშ-მა შემოიღო ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადები ჩინურ პროდუქციაზე, რამაც შეაჩერა ახალი მიწოდებები, რაზეც ჩინეთმა მაშინვე მოახდინა რეაგირება. მან მიიჩნია რომ აშშ-ი პროტექციონიზმს ბოროტად იყენებს. ეს მხოლოდ 2009 წლის სექტემბრიდან დაწყებული ურთიერთბრალდებათა მთელი სერიის გაგრძელებაა, აშშ-ის მიერ ჩინეთის საავტომობილო საბურავებზე 35% საბაჟო გადასახადის შემოღების შემდეგ, პრობლემები ორმხრივ ურთიერთობებში გაძლიერდა ფოლადსასხმელ, საქაღალდე, საავტომობილო, ქიმიურ, კვების მრეწველობაში და ის ნარჩუნდება დღემდე [1, გვ 108].

შესაძლებელია, სწორედ ასეთი ნაბიჯების ერთობლიობამ, რაც ქმნის დაბრკოლებებს საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე, განაპირობა იმის ალბათობის მკვეთრი ზრდა, რომ კრიზისი წავა W ტრაექტორიით, რაზეც დღეს სულ უფრო ხშირად მსჯელობენ. მვო-ს სტატისტიკის თანახმად, ანტიდემპინგური საჩივრების რაოდენობა უკვე 2009 წელს გაიზარდა 16%-ით, და მისი ზრდა განსაზღვრულად გაგრძელდება [8]. IFPRI (სასურსათო პოლიტიკის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის) გაანგარიშებებით, ტარიფების საშიშმა ზრდამ განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის 7%-ით შემცირება [4, გვ. 34].

ამრიგად, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროტექციონიზმის ზრდა ჩამოყალიბებული და მდგრადი ტენდენციაა, რომელიც დომინირებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში. პროტექციონისტული ზომების შემოღება მოკლევადიან პერსპექტივაში ხელსაყრელი იქნება ზოგიერთი ქვეყნისთვის და მოახდენს სხვა ქვეყნების მსგავს პოლიტიკაზე გადასვლის პროვოცირებას. ყველაფერი ეს ნეგატიურად აისახება საერთაშორისო ვაჭრობაზე და უკუაგდებს ეროვნული ეკონომიკების ლიბერალიზაციის პროცესს. ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით იმის თაობაზე, რომ ლიბერალიზაცია, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს აბსოლუტურ და უდავო კეთილდღეობას, დასაბუთებულად გამოიყურება რეკომენდაციები მთავრობისთვის გამოყენებული დამცავი ზომების პროგრესირებადი ცვლილებისთვის მხარდაჭერის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ. მნიშვნელოვანია პროტექციონიზმსა და ეკონომიკურ ინტეგრაციას შორის ოპტიმალური ბალანსის დადგენა, რაც წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკების განვითარების არსებით ინსტრუმენტს.

საქართველოს შემდგომი ინტეგრაცია, მვო-თან ქვეყნის მიერთება და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის (სატარიფო შეზღუდვების შემცირების) ლიბერალიზაცია, საჭიროებს სამამულო ბაზრის დაცვის მეთოდების ადეკვატურ ადაპტაციას. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ საქართველოსათვის ისეთი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი დარგი, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ეს, აგრეთვე, ის სფეროა, სადაც ვლინდება პროტექციონისტული ზომების ფართო სპექტრი. ყველაზე აქტიური დებატები მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების შემდგომი განვითარების განხილვისას, კერძოდ, მოლაპარაკებების დოჰას რაუნდზე მიეძღვნა სოფლის მეურნეობის პროტექციონისტულ ტენდენციებს. სოფლის მეურნეობაზე მსჯელობისას უნდა გამოვყოთ ევროკავშირის ზომების სისტემა. ერთიანი ევროპა ხარჯავს დაახლოებით 50 მლრდ ევროს წელიწადში თავისი სოფლის მეურნეობის დახმარებისათვის [5, გვ. 206]. მვოს ნორმები ამ დროს არ ირღვევა, მეტწილად იმ სასოფლო - სამეურნეო ტერიტორიების განვითარების კარგად მოფიქრებული ინსტრუმენტების წყალობით, რომლებიც ეყრდნობა მულტიფუნქციონალობის კონცეფციას [7, გვ. 209], მაგრამ, მთლიანობაში ორიენტირებულია სასოფლო - სამეურნეო წარმოების მხარდაჭერაზე. აშშ, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის ერთგულების მიუხედავად, ცნობილია თავისი აგროსექტორის მხარდაჭერის ძლიერი პროგრამით, ყველაფერი ეს მოწმობს თვით განვითარებული ქვეყნების მიერ დამცავი მექანიზმების აქტიური გამოყენების შესახებ, რაც ყოველთვის არ ემხრობა ვაჭრობის თავისუფლებას. ასეთი გამოცდილების შესწავლა დაგვეხმარება ახალი პირობებისადმი ადაპტირებასა და გლობალური შეჯიბრიანობის ჩარჩოებში საქართველოს კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ბაზრის დახმარების მეთოდებს, რაც გამოიყენება დღეს საქართველოში, ხშირად სუსტი ეფექტი აქვთ, ამიტომ საჭიროა ეროვნული მწარმოებლების დაცვის ახალი ინსტრუმენტების ძებნა. ეროვნული წარმოებისთვის დახმარების გაწევის მოქმედი ზომების შესწავლის შედეგად, ახლო მომავალში მოგვიხდება დღეს დადგენილი იმპორტის მოცულობების გაზრდა, შევასრულებთ რა საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს მვო-ს ჩარჩოებში. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის, რომ ნებისმიერ შემზღუდველ პოლიტიკას პირდაპირი აკრძალვების, მკაცრი კვოტირების ან მაღალი ტარიფების სახით, მივყავართ შიგა მომხმარებლებისთვის ფასების ზრდამდე. შედეგად, ეს გამოიწვევს ყველა სატარიფო ზომის პირდაპირ ასახვას საქონლის საბოლოო ფასში. შეიძლება თამამად აღვნიშნოთ ის, რომ სახელმწიფოს მრავალი ცდა – უზრუნველყოს უფრო ხელსაყრელი პირობები ეროვნული მწარმოებლებისთვის კლასიკური სატარიფო პოლიტიკის ხარჯზე, ანაზღაურდება მოსახლეობის მიერ. შესაბამისად, ვაჭრობაზე სახელმწიფო შეზღუდვების შემოღებისას, ზარალდებიან, უპირველეს ყოვლისა, მყიდველები, რომლებიც იძულებულები არიან გადაიხადონ იმპორტირებული საქონლისთვის, მაშინ, როდესაც მწარმოებლები რისკავენ შიგა ბაზარზე ბალანსის დაკარგვით, საბაზრო წონასწორობის თეორიების თანახმად აწარმოებენ რა საჭიროზე უფრო მეტს . ნებისმიერ შემთხვევაში მიღწეულ დისბალანსი იწვევს ეკონომიკის ზოგად დანაკარგებს, მომხმარებელთა მსხვილი დანაკარგების ხარჯზე, რაც გადაწონის მწარმოებელთა სარგებელს და სახელმწიფოს პოტენციურ შემოსავალს. მაგალითად, ტარიფის შემოღებიდან მიღებული ბიუჯეტის შემოსავლები, რაც წარმოადგენს მის უპირატესობას კვოტების წინაშე, მაგრამ მიუხედავად ამისა, არააქტიურად გამოიყენება საქართველოში. კვოტების ან სუბსიდიების განხილვისას, აგრეთვე, უნდა

აღინიშნოს მეურნე სუბიექტების დანახარჯები ფინანსური დახმარების ან საკვოტო რენტის (კვოტის ფარგლებში ხელსაყრელ ფასში საქონლის დათქმული რაოდენობის გაყიდვის ნებართვის) მიღების უფლებაზე, რაც ხშირად იწვევს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ვვარაუდობთ რა უფრო ეფექტიანი სავაჭრო რეჟიმებისა და ზომათა ოპტიმალური კომპლექსის არსებობას, რომლებიც იძლევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობისგან მიღებული სარგებლის მაქსიმიზაციის საშუალებას, მათი დანერგვა მიგვაჩნია ნაკლებად შესაძლებლად დაინტერესებული ლობისტების სერიოზული გავლენის გამო. თუ განვიხილავთ შიგა ბაზრის ასეთი დახმარების განხორციელების შესაძლებლობებს, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ყოველთვის მოიძებნება დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ თავიანთი ინტერესების წინ წაწევას და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენას. შესაბამისად, იდეალური პოლიტიკური სისტემის არარსებობის ფაქტის გაგებას მივყავართ იდეამდე იმის შესახებ, რომ თავისუფალი ვაჭრობა, როგორც მარეგულირებელი ზომების სრული არარსებობის ვარიანტი მიგვიყვანს ყველა მოთამაშისთვის უფრო სამართლიან და თანაბარ პირობებამდე.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ხშირად გამოიყენება ძალზე მკაცრი შემზღუდველი ზომები. მაგალითის სახით შეიძლება გავიხსენოთ შეზღუდვები თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების იმპორტზე 2010 წელს. ასეთი ზომები ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. აკრძალვის ძირითადი გამოცხადებული მიზანი - არ იქნეს დაშვებული შიგა ფასების ზრდა - არ მიიღწევა, მაგრამ, მწარმოებლები აწყდებიან რა ასეთ მკვეთრ ჩარევას, კარგავენ ყოველგვარ ინტერესს დარგში გრძელვადიანი ინვესტიციებისადმი. ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება მოხდეს მხოლოდ ეკონომიკური სისტემების მასშტაბური ცვლილებების, ეკონომიკის ახლებურად ორიენტაციის შედეგად. ასეთი ცვლილებები შეიძლება მიღწეულ იქნეს ნაწილობრივი ლიბერალიზაციისა და კონკურენციის გაძლიერების ხარჯზე. აქ შიგა რესურსების აქტივაციის ერთ-ერთ მექანიზმად გამოდის სწორედ ღია ეკონომიკა. მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობა, როგორც ლიბერალიზაციის პროცესის შედეგი, ქმნის წინაპირობებს გაძლიერებისა და კონსოლიდაციისთვის, რაც საშუალებას იძლევა უფრო პროდუქტიულად იქნეს გამოყენებული მასშტაბის ეფექტი. გარდა ამისა, ის ახდენს ინოვაციებისა და ახალი იდეებისთვის ღია ახალი კონკურენტული გარემოს გენერირებას, უშვებს უცხოური ორგანიზაციების მხრიდან ზეწოლის ზრდას და აძლიერებს კონკურენტუნარიანობის ზრდაში მოთხოვნილებას. ამავე დროს, ჩნდება საზღვარგარეთის გამოცდილების გაზიარებისა და სწავლის შესაძლებლობები და აუცილებლობა, მაგრამ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, საჭიროა განვითარების ასეთი ინსტრუმენტების ძალზე ფრთხილად გამოყენება.

დასასრულ, გვსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ მასშტაბური ლიბერალიზაციის პროცესის თავისებურებების არსებობისა და ეროვნულ ეკონომიკასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე მისი გავლენის წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ. იმ პირობებში, როდესაც მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესები შეიძლება დაზარალდეს, მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის საკითხები გადადის ეკონომიკური სიბრტყიდან სოციალურ - პოლიტიკურ სიბრტყეში. მოცემული თეზისი დღეს ნათლად ჩანს მრავალი ქვეყნის ქმედებებში, რომლებიც მსოფლიო ბაზრებზე, კრიზისისა და ტურბულენტობის პირობებში, ეძებენ ეროვნულ მწარმოებელთა დაცვის ვარიანტებს და ზრდიან პროტექციონიზმის მასშტაბებს. ეს იწვევს ეროვნულ ეკონომიკურ სისტემათა ფუნქციონირების ახალი ინსტიტუციური პირობების ფორმირებას. ამიტომ, თანდათანობითი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში და პოსტსაბჭოური ქვეყნების მვო-ში ფრთხილი შესვლა წარმოადგენს დასაბუთებულ და სწორ სტრატეგიას. ინტეგრაციული პროცესების ეტაპობრივი გაღრმავება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია შეთავსებულ უნდა იქნეს შიგა ბაზრის დახმარების ზომების ადაპტაციასთან და სახელმწიფო დახმარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სტიმულირების ახალი ინსტრუმენტების ფორმირებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Back A. China – U.S. Trade Row Escalates. The Wall Street Journal. 09.11.2015
2. Bount A. 2016 The Expected Benefits of Trade liberalization for world Income and development, Opening the „Bleck Box“ of Global Trade Modeling. Food Policy Review, 8, IFPRI, Washington.
3. Charnovitz S. 2016 Resist az Protectionism: The Top Trade Priority for the G20 Rebuilding Global Trade. Collected Articles Jointly Published by International Centre for Sustainable Development.
4. Dadush U. 2012 Resurgent Protectionizm: Risk and Possible Remedies Collected Articles Jointly Published by International Centre for Sustainable Development.
5. Driskill R. 2015 Deconstructingthe Argument For Free Trade. Washington.
6. Haniotis T. 2014. European Commission: DG for Agriculture and Rural Development. Issues of the post 2013 debate. Prezentacion. 2 Organic Congress, Brussels.

7. Krugman P. and Obsveld M., 2006 International Economics. Addison-Westley Boston.
8. Lynn J. 2012 Doha Deal Could Boost World JDP $ 300-700 billion: Study. Reuters.
9. OECED 2016 Multifunctionality in Agriculture : Evaluating the Degree Jointness, Policy Implications.
10. Rodrigues F. Rodric D. 2015 Trade Policy and Economic Growth. University of mariland.

Liberalization and Integration of Economic Activity of Georgia as a Prerequisite of Economic Development of the Country

Kh. Berishvili

Summary

Existence of peculiarities in the process of large-scale liberalization and contradictory character of their influence on the national economy and prosperity of the population is clear. In conditions, when the interests of the wide layers of the population can be damaged, the issues of integration into the world economy pass from the economic to the socio-political plane. The present thesis is clearly seen today in the activities of numerous states, which in conditions of crisis and turbulence are in search of variants to secure national producers at the world markets and increase the scales of protectionism. This leads to formation of new institutional terms of functioning of the national economic systems. That's why gradual integration into the world economy and cautious joining of the WTO by the post-Soviet countries is correct and substantiated strategy. Stage by stage deepening of the integration processes and liberalization of trade should be compatible with adaptation of the measures of internal markets assistance and with formation of new instruments of stimulation of competitiveness of the national economy.

Key words: *global integration processes, international trade, liberalization, protectionism, the World Trade Organization.*

ეკონომიკური ზრდაზე მთავრობის ზომის გავლენის ანალიზი

გია ბერიძე,
თსუ-ის დოქტორანტი

*წინამდებარე სტატია მთავრობის ზომის სიდიდესა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის ანალიზსა და საქართველოს ეკონომიკური ზრდის და მთავრობის ზომის ურთიერთმიმართებას ეძღვნება. სტატიაში განხილულია ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა, ეკონომიკურ ზრდაზე მთავრობის ზომის გავლენის თეორიული ანალიზი, მიმოხილულია შესაბამისი ლიტერატურა და კვლევები, გაანალიზებულია საქართველოში მთავრობის ზომისა და ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულება, მოცემულია საქართველოს ეკონომიკური ზრდის ჰიპოთეტური მაჩვენებლები, იმ დაშვებით, რომ სახელმწიფო ზომის **1 %**-ით შემცირება სხვა თანაბარ პირობებში ზრდის მთლიან შიდა პროდუქტს **0,16 %**-ით, ხოლო სახელმწიფოს ოპტიმალური ზომა - საქართველოსთვის, მთლიანი შიდა პროდუქტის **17,3 %**-ს **(+/-3 %)** შეადგენს, სტატიის ბოლოს კი შესაბამისი შეჯამებულია მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი.*

საკვანძო სიტყვები: *მთავრობის ზომა, ეკონომიკური ზრდა, საქართველოს ეკონომიკა, მცირე ზომის მთავრობა.*

ეკონომიკური ანალიზის დროს ქვეყნის განვითარების დონის წარმოსაჩენად, განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, მეთოდთა შორის, ეკონომიკური ზრდა ყველაზე ნათლად გამოხატავს ქვეყნის განვითარების მაჩვენებელს.

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სიდიდეებით შეგვიძლია დავაკვირდეთ მდიდარი და ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ამდენად მშპ კეთილდღეობის მაჩვენებელიცაა. თუმცა, არსებობს საპირისპირო აზრიც იმის შესახებ, რომ მშპ ვერ ზომავს ყველაფერს. მაგალითად, დასვენებისა და სუფთა გარემოს ღირებულებას, მკვლევარ ჯოსეფ სტიგლიცის აზრით, მშპ, არ არის ეკონომიკური აქტიურობის, ასევე ადამიანთა კეთილდღეობის ამსახველი კარგი საზომი. [Stiglitz, 2016] თუმცა, მშპ-ს ზრდის ინდიკატორზე უკეთესი საზომი ეკონომიკური მდგომარეობის გასაზომად, დღეს არ არსებობს.

მთავრობის ზომა იზრდებოდა XX საუკუნეში და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში საშუალოდ მისი წილი მშპ-ში 41%-ს აჭარბებდა, ინდუსტრიულ ქვეყნებში 1990 წლისთვის მან - 44,8 %-ს მიაღწია, ხოლო 1994 წლისთვის - 47,2 %-ს [Tanzi, 1996] მთავრობა, მშპ-ში თავისი წილის ზრდისას, უფრო მეტ რესურს ხარჯავს პოლიტიკური მიზნებისთვის, ვიდრე ეკონომიკური აქტივობის გასაზრდელად.

ამასთან, ეკონომისტთა ნაწილის აზრით, (ქეინზიანელები) დიდი ზომის მთავრობა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფით და საბაზრო ჩავარდნების აღმოფხვრით. ქეინზიანელების მიხედვით, მთავრობის მოხმარების ზრდა ხელს უწყობს ინვესტიციცების ზრდას, და უმუშევრობის შემცირებას, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის გზით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მთავრობის სიდიდის გასაზომად არსებული მეთოდები დაფუძნებულია მთავრობის შემოსავლებისა და ხარჯების სიდიდეებზე.

სამთავრობო დანახარჯები სახელმწიფო სექტორში არსებულ ყველა სახის ხარჯს მოიცავს, მათ შორის, რეგიონულ, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებულ ყველა დანახარჯს და მიიჩნევა სახელმწიფო ხარჯების ყოვლისმომცველ საზომად. სახელმწიფო შემოსავლები მოიცავს საგადასახადო (პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები) და არასაგადასახადო სამთავრობო სესხები, შემოსავლები პრივატიზაციიდან, მოსაკრებლები და სხვა) შემოსავლებს.

მთავრობის სიდიდის გასაზომად არსებულ ერთერთ მეთოდს წარმოადგენს ასევე ქვეყნის მოსახლეობაში სულ დასაქმებულთა წილის განსაზღვრა. მკვლევარების მიერ ჩატარდა თეორიული და ემპირიული კვლევები მთავრობის ზომის ოპტიმალური სიდიდის დასადგენად, მათ მიერ შემუშავებული იქნა მრუდი რომელსაც ეწოდა „U“. მრუდის მიხედვით, როცა მთავრობა ზრდის სახელმწიფო დანახარჯებს გარკვეულ ზღვრულ წერტილამდე, ამით ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო როცა მთავრობა სცდება ამ წერტილს - ზრდის თავის წილს ეკონომიკაში და ეკონომიკური ზრდის ტემპი კლებულობს [Barro, 1989; Armey, 1995; Rahn,1996; Scully, 1998, 2003].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, რეალური მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე და მთავრობის ზომას შორის დამოკიდებულება 1960-იანი წლებიდან შესწავლილია მკვლევარების მიერ. ამ კავშირის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნები დიდი ზომის სამთავრობო ხარჯებით საშუალოდ იზრდებოდნენ უფრო ნელა, ვიდრე სახელმწიფოები მცირე სამთავრობო ხარჯებით. (იხ. დანართი N1) [Heitger, 2001; Bassanini, 2001]

1971-1999 წლების მონაცემების მიხედვით, 19 განვითარებულ ქვეყანაზე (მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) ორგანიზაციის წევრი ქვეყნები) ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ პროდუქტიულობის და კაპიტალის ზრდა, მცირეა იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობის ზომა, შედარებით დიდია. [Dar, 2002]

ამასთან, მკვლევართა მცირე ნაწილმა ეკონომიკურ ზრდასა და სახელმწიფო ხარჯებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ვერ დაინახეს [მაგალითად, Gordon and Wang, 2004; Nelson and Singh, 1998; Agell and others, 1997], მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად უარყოფითი კორელაცია დაადგინა მეცნიერთა სხვა ჯგუფმა [Knack and Keefer, 1995; Barro 1997, 1998; Gwartney 1998], ბაროუს [1977] კვლევის მიხედვით, რომელიც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს მოიცავდა, გამოიკვეთა მნიშვნელოვნად უარყოფითი კორელაციაა მთლიან სამთავრობო ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მათ შორის განათლების ხარჯებიც.

ქვეყნებში, სადაც, დიდი ზომის სახელმწიფო ბიუჯეტია, ეკონომიკური ზრდის ტემპი ნელია, ამტკიცებს კიდევ ერთი კვლევა, რომელიც 1998 წელს ჩატარდა [Gwartney and others, 1998].

ბიქერთმა 95 ქვეყნის მაგალითზე 1980-1997 წლებში დაადგინა მცირე უარყოფითი დამოკიდებულება სამთავრობო ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. ის ხაზს უსვამს ჩრდილოვანი ბაზრის არსებობას, სასამართლო ხელისუფლების ეფექტიანობას, ინსტიტუტების ხარისხს, კორუფციას, და ბიუროკრატიის დონეს, როგორც ეკონომიკური ზრდაზე მოქმედ ფაქტორებს [Bekaert, 2005].

,,Journal of Macroeconomics-ის“ მიხედვით, მთავრობის ზომის 1 %-ით ზრდა 0,143 %-ით ამცირებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლს“ [Guseh, 1997, pp. 175–192].

„Public Finance Review“ - ის ანგარიშის მიხედვით, დიდი ზომის სამთავრობო დანახარჯები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი დაფინასების წყარო, ასოცირდება, დაბალ ეკონომიკურ ზრდასთან [Skinner, 1999].

,,European Economic Review-ის“ კვლევის მიხედვით, მშპ-ში სამთავრობო ხარჯების ზრდა, 10 % - ით , გამოიწვევს 0,7-0,8 %-ით ნაკლებ ეკონომიკურ ზრდას. [Fölster, Henrekson, 2001, pp. 1501–1520.]

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს მიხედვით, ერთი პროცენტით სამთავრო ხარჯების შემცირება იწვევს 0,16 % - ით მშპ-ს ზრდას [Skinner, 1999].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევით, საშუალო ეკონომიკური ზრდა მაღალი იყო ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც ჰყავდათ მცირე ზომის მთავრობა. უმუშევრობის დონის, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის, რეგისტრირებული პატენტების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე ზომის მთავრობას აქვს მეტი ეფექტიანობა სახელმწიფო რეგულირების სფეროში, უფრო კარგად რეგულირებული ფუნქციონირებადი შრომის ბაზარი, მცირე ჩრდილოვანი ეკონომიკა და ინოვაციური, ტექნოლოგიურად განვითარებული ეკონომიკის სექტორები [Shuknecht, 2005].

,,Economic Inquiry-ის“ ანგარიშის მიხედვით, ოპტიმალური მთავრობის ზომა, რომელიც ეკონომიკურ ზრდას ხელს შეუწყობს არის 23 %-იანი [+/-2 %] სამთავრობო ხარჯების წილით, მშპ-ში. ეს რიცხვი, შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა ქვეყნისთვის ან რეგიონისთვის, მაგალითად, OECD-ის წევრი ქვეყნებისთვის საშუალოდ 14 % [+/-4 პროცენტი], ხოლო 16 პროცენტი [+/-6 %] ჩრდილოეთ ამერიკაში[Karras, 1996].

1990-2001 წლის მონაცემების საფუძველზე 20 გარდამავალი ქვეყნის მაგალითზე ოპტიმალური მთავრობის ზომად, საშუალო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისთვის, მიჩნეულია 17,3 %-იანი [+ / -3 %] სახელმწიფოს წილი, მშპ-ში [Dincer 2005].

კვლევები, მთავრობის ზომასა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართებას შორის, დაფუძნებულია მათემატიკურ მოდელებზე. Scully-ის მოდელით იანგარიშება მთავრობის ზომის და საგადასაახდო შემოსავლების ოტიმალური ზომა, მშპ-ში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. აღნიშნულ მოდელში, საწარმოო ფუქნქცია ფორმულირებულია კობ დუგლასის ფუნქციაში.

ცალკეული კვლევები დაფუძნებულია კვადრატულ განტოლებებსა [მაგალითად: Davies, 2008; chobarow, 2009; Pevcin, 2004; Vedder 1998; Vedder, 1998] და პანელურ კვლევებზე, ეს უკანასკენელი მრავალმხრივ ანალიზს აკეთებს, რადგან ერთობლივად ხდება ყველა იმ ცვლადის სიდიდის გავლენის შეფასება, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ტემპზე ახდენს გავლენას.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტემპი, პირობითად რამოდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1990 - 1994, როცა საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ შემცირდა - 23,4 %-ით; 1995 - 2003 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6 %-ით იზრდებოდა; 2004 - 2007 წლებში მშპ - ს, საშუალო წლიური ზრდა 9 % - ს აჭარბებდა, 2007-2012 წლებში კი ზრდა საშუალოდ 5,2 %-ს შეადგენდა, ხოლო 2012-2015 წლებში - 4,3 %-ს შეადგენდა. იხილეთ ნახაზი 1. [19]



საქართველოში 1996-2003 წლებში საგადასახადო ტვირთი საშუალოდ მშპ-ის 8.4%-12% - ის ინტერვალში მერყეობდა, 2004-2009 წლებში საგადასახადო შემოსავლების წილმა მშპ-სთან საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით გატარებული ღონისძიებების გავლენით, 25%-ს მიაღწია. 2009 წლიდან საგადასახადო ტვირთი სტაბილურ ტენდენციას ავლენს, რასაც ასევე ხელი შეუწყო ე.წ. ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიღებამაც, რომლის მიხედვით განისაზღვრა შეზღუდვა საგადასახადო განაკვეთების ზრდაზე [პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2016] .

მთავრობის წილი მშპ-ში და საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 2000 – 2015 წლებში.



ჩვენ გამოვთვალეთ მშპ-ის ზრდის ტემპის ჰიპოთეტური, საპროგნოზო მაჩვენებელი 2016-2020 წლებისთვის. მაჩვენებლები აღებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საპროგნოზო მაჩვენებლების საფუძველზე, იმ დაშვებით, რომ სხვა თანაბარ პირობებში მთავრობის ზომის 1% - ით შემცირება მთლიან შიდა პროდუქტში, იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის 0,16 % - ით ზრდას [Skinner, 1999]. ხოლო ოპტიმალური მთავრობის ზომად აღებულია Gunalp და Dincer- ის გარდამავალი ქვეყნებისთვის დადგენილი ოპტიმალური მთავრობის ზომა 17,3 % [+/- 3%]. (იხ.ცხრილი).

მშპს-ს ზრდის საპროგნოზო ჰიპოთეტური მაჩვენებლები შემცირებული მთავრობის ზომის საფუძველზე (%)

ცხრილი 1.

საპროგნოზო წელი	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**
რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი)	**3,01**	**4,52**	**5,03**	**4,98**	**4,99**
მშპ-ის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი , 14,3%-იანი სამთავრობო დანახარჯებით მშპ-ში	5,69	7,14	7,64	7,57	7,59
მშპ-ს ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 17,3%-იანი სამთავრობო დანახარჯებით მშპ-ში	5,21	6,66	7,16	7,09	7,11
მშპ-ს ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 20,3%-იანი სამთავრობო დანხარჯებით მშპ-ში	4,73	6,18	6,68	6,61	6,63
სამთავრობო დანახარჯების წილი მშპ-ში (საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზი)	**31**	**30,69**	**30,585**	**30,475**	**30,56**

გაანგარიშების საფუძველზე, სხვა თანაბარ პირობებში, სახელმწიფო ზომის შემცირება მშპ - ში, გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

ამრიგად, სახელმწიფოს ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის შესახებ ჩატარებული კვლევების უმრავლესობით, მიუხედავად, სხვადასხვა მეთოდოლოგიისა, სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების საფუძველზე, დადგენილია უარყოფითი კავშირი მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

ინსტიტუციები, საკუთრების უფლების დაცვა, კორუფციის დაბალი დონე, კანონის მმართველობა (Rule of low), ეკონომიკური ღიაობა არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდისთვის, რისი მიღწევა შესაძლებელია მცირე ზომის მთავრობის წილით, მშპ-ში. დიდი ზომის სახელმწიფო ხარჯები, მოითხოვს გადასახადების ზრდას, რაც ამახინჯებს მოთხოვნ-მიწოდებას ბაზარს, სამთავრობო ხარჯების ზრდა, დევნის კერძო ინვესტიციებს. მთავრობის ზომის ზრდა ამცირებს მწარმოებლურობას, რადგან სახელმწიფო სექტორში, კერძო სექტორიდან კადრების გადინება ხდება, რეალური ხელფასების ზრდის გამო. გაზრდილი სახელმწიფო ხარჯების პირობებში იზრდება რენტის მაძიებელთა რიცხვი.

საქართველოში, მშპ-ში სახელმწიფო ზომის წილის შემცირება იმ დაშვებით, რომ სხვა თანაბარ პირობებში, მთავრობის ზომის 1% - ით შემცირება მშპ-ში, იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის 0,16 % - ით ზრდას, ხოლო ოპტიმალური მთავრობის ზომად ავიღებთ Gunalp და Dincer- ის გარდამავალი ქვეყნებისთვის დადგენილი ოპტიმალური მთავრობის ზომას [17,3 %; +/- 3%] აჩვენებს რომ საქართველოს მშპ - ის ზრდის ტემპი, შესაძლოა, გაიზარდოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის საპროგნოზო მაჩვენებელზე 40%-ით მეტად.

მთავრობის ზომის შემცირება, უნდა მოხდეს არაპროდუქტიული საბიუჯეტო ხარჯების ხარჯზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი ისე უნდა გადანაწილდეს, რომ მან ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალისა და ფიზიკური კაპიტალის განვითარებას, რათა ეკონომიკურ ზრდა დაჩქარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Acemogly D., [2009]. Introdurction to Modern Economic growth. Prinecton an Oxford : Prinecton University Press.
2. Barro R. J., [1991]. Economic Growth in a Cross Section of Countries, The Quarterly Journal of Economics, Vol. 106, No. 2 viewed 10 July 2016,< http://www.econ.nyu.edu/user/debraj/Courses/Readings/BarroGrowth.pdf, 407-443.
3. Bekaert G. R., [2005]. Does Financial Liberalization Spur Growth? Journal of Financial Economics 77 [1]:. 3–55.
4. Benhua, Y. [2008]. A Varying Relationship Across Regions and Over Time. Applied Economics Letters 15 [. FDI and Growth:, 2]: 105–8
5. Blanchard O. J., [2008]. *The New Palgrave Dictionary of Economics, 2nd Edition. Abstract.*
6. Dong Fu, L. L. [2003]. “Fiscal Policy and Growth,. *” Federal Reserve Bank of Dallas Working Paper 0301, January 2003, p. 10.*, 10-11. viewed 10 July 2016,< https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEwjgsqPn7enNAhWJNhoKHc-4BL8QFggeMAA&url=http%3A%2F%2Fwww.dallasfed.org%2Fassets%2Fdocuments%2Fresearch%2Fpapers%2F2003%2Fwp0301.pdf&usg=AFQjCNEJmjwcO5MSah46QoP6woqwT19pOw&cad=rja
7. Ehrlich I. a. ,[1999]. Bureaucratic Corruption and Endogenous Economic Growth. . *Journal of Political Economy 107 [6]: S270–S293.* viewed 10 July 2016 < http://siteresources.worldbank.org/INTEASTASIAPACIFIC/Resources/226262-1253782457445/6449316-1261623644460/bureaucratic-corruption-and-endogenous-economic-growth.pdf
8. EuropeanCommission [2003]. , “Public Finances in EMU, 2003,” Euro- pean Economy, . *No. 3, 2003, at* viewed 10 July 2016 *europa.eu.int/comm/economy_finance/publications/european_economy/2003/ee303en.pdf [Febru- ary 2, 2005].*
9. Gunalp B., and Dincer, O. [2005]. “The Optimal Government Size in Transition Countries,” *Department of Economics, Hacettepe University Beytepe, Ankara and Department of Commerce, Massey University, Auckland* viewed 10 July 2016 *https://www.researchgate.net/publication/228289915_The_Optimal_Government_Size_in_Transition_Countries*
10. Gwartney J., [2014]. *Economic freedom of the world* viewed 10 July 2016 *http://www.freetheworld.com/2014/EFW2014-POST.pdf*.

11. Henrekson S. F., [1999]. *“Growth and the Public Sector: A Critique of the Critics,”[June 1999], pp. 337–358.* European Journal of Politi- cal Economy, Vol. 15, No. 2 . viewed 10 July 2016 http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0176268099000105
12. James Gwartney, R. L., [2005]. The Size and Functions of Government and Economic Growth, Economic Committee, U.S. Congress, April 1998, p. 20, viewed 10 July 2016 at www.house.gov/jec/growth/function/function.pdf.
13. Marlow M., [1986]. Private Sector Shrinkage and the Growth of Industrialized Economies. Public Choice 49 [2]: 143–54. viewed 10 July 2016 at https://www.jstor.org/stable/30024935
14. Stiglitz J., [2016]. Beyond GDP – is it time to rethink the way we measure growth? viewed 10 July 2016 *https://www.weforum.org/agenda/2016/04/beyond-gdp-is-it-time-to-rethink-the-way-we-measure-growth*
15. Tanzi and Shuknecht [1996], *Reforming Government in Industrial Countries.* viewed 10 July 2016 https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1996/09/pdf/tanzi.pdf.
16. Tullock J. M., [1980]. the Rent-Seeking Society. Texas A&M University Press.
17. Zee V. T.,[1997]. “Fiscal Policy and Long-Run Growth,”. *International Monetary Fund Staff Papers,* , Vol. 44, No. 2 [June 1997], p. 5.]
18. ბლანშარი ო., [2010]. *მაკროეკონომიკა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
20. პაპავა ვ., [2014]. *მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა, ტომი 2 N1 .* თბილისი: ეკონომიკა და საბანკო საქმე. viewed 10 July 2016 https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2014/statia3.pdf

Analysing the Impact of the Size of Government on Economic Growth

G. Beridze

Summary

In this paper, the size, and the size of the link between economic growth and the analysis of the relationship between economic growth and the size of government is dedicated. This paper discusses the significance of economic growth, economic growth in the size of the influence of the theoretical analysis, a review of the relevant literature and studies, analyzes in Georgia, government size and economic growth perspective, given the economic growth of a hypothetical figures, the assumption that the size of a 1% reduction in other equal conditions the growth of the gross domestic product to 0.16%, and the optimal size of the state of Georgia - for 17.3% of gross domestic product (exceed +/- 3%) of the total, at the end of the article summarizes the size of government and economic growth in the Union.

Key Words: *Size of Government, Economic growth, the economy of Georgie, Small size of government.*

საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის პრიორიტეტები

ელისო ბერიძე,
თსუ-ის დოქტორანტი

ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ისეთ ეკონომიკურ განვითარებას, რომელსაც ფართო საზოგადოებისთვის მოაქვს სარგებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურია, როდესაც ეკონომიკურ განვითარებას თან ახლავს სიღარიბის შემცირება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური ზრდა არ ნიშნავს უბრალოდ შემოსავლების გადანაწილებას მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ინკლუზიური ზრდის შედეგად ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს სარგებელი ეკონომიკური ზრდისგან, რაც გულისხმობს მეტ დასაქმებას, მეტ შემოსავლებს და მეტ შესაძლებლობებს. ინკლუზიური ზრდა უნდა უზრუნველყოფდეს მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას ეკონომიკურ პროცესებში. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისგან არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ეფექტიც უნდა მივიღოთ. უფრო მეტიც, ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისთვის ინკლუზიუროობა აუცილებელი პირობაა.

საკვანძო სიტყვები: *ინკლუზიური ზრდა, მდგრადი განვითარება, სტრუქტურული ტრანსფორმაცია, ადამიან-კაპიტალი.*

ინკლუზიური ზრდის ერთიანი განმარტება არ არსებობს, თუმცა, მიზნები ყველგან საერთოა. ინკლუზიური ზრდის არსის გაგება მნიშვნელოვანია, ვინაიდან უფრო ადვილი იქნება მიზნების დასახვა და მისი შემდგომი განხორციელება. ზოგადი მიდგომა ასეთია: ინკლუზიურმა ზრდამ უნდა შეამციროს სიღარიბე და უთანასწოროობა, უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა და მაქსიმალური ჩართულობა.თუმცა, მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ინკლუზიური ზრდის საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრი ინკლუზიურ ზრდას განსხვავებულად განიხილავენ. მსოფლიო ბანკი შეფასებით, ზრდა ინკლუზიურია, თუ ის უზრუნველყოფს ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას და მათ აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ აქტივობებში(1, გვ.7).

სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა ინსტიტუტები ინკლუზიური ზრდის აუცილებლობაზე ფართოდ მსჯელობენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, 2014 წლის სამუშაო პროგრამაში, მთავარ მიზნად ინკლუზიური ზრდის უზრუნველყოფა დაასახელა(1, გვ.15). უფრო მეტიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების განყოფილების ერთ-ერთ მიზანს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის და სტაბილური სამუშაოს უზრუნველყოფას წარმოადგენს (1, გვ.13). სსფ სახელმწიფოებს უფრო მეტი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისკენ მოუწოდებს, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში არათანაბრად გადანაწილებული შემოსავლების საკითხი კვლავ პრობლემად რჩება (2, გვ.25) ფონდის რეკომენდაციებით სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ მასტიმულირებელი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას.

ინკლუზიური ზრდის მიღწევა მოიცავს შენდეგ საკითხებს:

- ინვესტიციებს ადამიან-კაპიტალში;
- სამუშაო ადგილების შექმნას;
- სტრუქტურული ტრანსფორმაციასა და ფართო ეკონომიკურ ზრდას;
- პროგრესულ საგადასახადო პოლიტიკას;
- სოციალურ დაცვას;
- არადისკრიმინაციულ მიდგომას, სოციალურ ჩართულობასა და მონაწილეობას;
- ძლიერ ინსტიტუტებს.

ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში ინკლუზიური ზრდის მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. კერძოდ, ინვესტირება ჯანდაცვასა და განათლებაში დაკავშირებულია უკეთეს ეკონომიკურ განვითარებასთან (3, გვ.34). იქედან გამომდინარე, რომ სამუშაო ადამიანების ძირითადი აქტივია, კარგი განათლებით და გამართული ჯანდაცვის სისტემით, მოსახლეობის ღარიბი ნაწილი ეკონომიკური ზრდიდან მეტ სარგებელს მიიღებს. ახალი სამუშაო ადგილების შემქნა და სახელფასო განაკვეთის გაზრდა სიღარიბედან გამოსვლის საშუალებაა. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სიღარიბის შემცირებაში ყველაზე დიდი წვლილი ანაზღაურებაში განხორციელებულ ცვლილებებს შეაქვს. უფრო მეტიც, მსოფლიო ბანკის შეფასებით, ზოგიერთი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეს სამუშაო ადგილების შექმნის სტრატეგია. იმისათვის, რომ უკეთესი სამუშაო გარემო შეიქმნას, აუცილებელია გა-

მოყენებულ იქნეს გარკვეული ინსტრუმენტების. მაგალითად, ძირითადი უნარების გაუმჯობესება, შრომის ინსტიტუტების გაძლიერება და დაცვა, მიზნობრივი სექტორების ხელშეწყობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნებისათვის, ინკლუზიური ზრდის მისაღწევად პროდუქტიული ეკონომიკური აქტივობების განხორციელებაა საჭირო (სტრუქტურული ტრანსფორმაცია). ეს ამცირებს რომელიმე კონკრეტული სექტორის მიმართ დამოკიდებულების არსებობას და ზრდის სტაბილურობას. აუცილებელია განხორციელდეს ეკონომიკის ყველა სექტორის გააქტიურება იმისათვის, რომ შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და ადგილი ჰქონდეს სტაბილურობას. ეკონომიკური ტრანსფორმაციის გარეშე, ღარიბი მოსახლეობა დარჩება ღარიბ მოსახლეობად და ნებისმიერი პროგრესი იქნება არასტაბილური. არავინ არ დავობს იმაზე, რომ სტრუქტურული ტრანსფორმაცია აუცილებელია, საკამათოა ის თუ როგორ უნდა განხორციელდეს და როგორ უნდა მოუტანოს მაქსიმალური სარგებელი ღარიბ მოსახლეობას. საგადასახადო პოლიტიკას პირდაპირი კავშირი აქვს შემოსავლების გადანაწილებასთან, შესაბამისად მნიშვნელოვანია, თუ როგორ არის აგებული საგადასახადო სისტემა. სოციალური დაცვა ინკლუზიური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. სწორად განხორციელებული სოციალური დაცვა ღარიბი ადამიანებისთვის შემოსავლების გაზრდას უზრუნველყოფს. სოციალურად დაცული მოსახლეობა უფრო ადვილად ხვდება ეკონომიკურ შოკებს. სისტემური დისკრიმინაცია გარკვეული ჯგუფების მიმართ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და შედეგებზე, ასევე სიღარიბის აღმოფხვრაზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე. სოციალური ინტეგრაციის გაუთვალისწინებლობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბის აღმოფხვრას. ინკლუზიური ეკონომიკა მოითხოვს ინკლუზიურ საზოგადოებას, რომელსაც გააჩნია ინსტიტუტები, სტრუქტურები და შესაბამისი პროცესები, რომელიც მთავრობას ანგარიშვალდებულს ხდის. ასევე მოითხოვს საზოგადოების ყველა ჯგუფის ჩართულობას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მისაღებად. თუ ეკონომიკურმა ზრდამ სარგებელი უნდა მოუტანოს ყველას, მაშინ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის უფლებების დაცვა და მათი შესაძლებლობების გაფართოება. სახელმწიფომ ასევე უნდა შეძლოს ყველა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი მომსახურების დაფინანსება და მიწოდება. უნდა მოახერხოს ბრძოლა კორუფციასთან, რომელის საინვესტიციო გარემოს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიაღწიოს ინკლუზიურ ზრდას, მან უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ზემოთხსენებულ საკითხებს. მთავრობა უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ზრდის სტრატეგიის შექმნა, შესრულება და მონიტორინგი პერიოდულად.

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა
საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; ინოვაცია და ტექნოლოგიები; ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება.
ადამიანური კაპიტალის განვითარება
შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვა.
ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
საინვესტიციო რესურსების მობილიზება; ფინანსური შუამავლობის განვითარება.

ინკლუზიური ზრდის თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში - „საქართველო 2020“. ამ დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მიუხედავად წინა წლებში ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალი ტემპებისა, მას შედეგად არ მოყოლია უთანასწორობის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობა. განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დღეისათვის სამ ძირითად პრინციპს ემყარება: პირველი, სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, რაც განაპირობებს ქვე-

ყანაში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპი კი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას მოიცავს, რაც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში და საზოგადოების კეთილდღეობას, სოციალურ თანასწორობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე კი, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებაა. წარმოადგენს.

ინკლუზიური ზრდის მისაღწევად სხვადასხვა მაჩვენებლის დაკმაყოფილებაა საჭირო. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ (4, გვ.17) ინკლუზიური ზრდის მისაღწევად შემდეგი კატეგორიები გამოიყო:

- განათლებისა და უნარების განვითარება;
- დასაქმება;
- აქტივების ზრდა და კერძო საკუთრება;
- კორუფცია და რენტა;
- საბაზისო სერვისები და ინფრასტრუქტურა;
- რეალურ ეკონომიკაში ინვესტირებისათვის ფინანსური შუამავლობა;
- საბიუჯეტო ტრანსფერები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში - „საქართველო 2020“, შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები განისაზღვრა:

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ეკონომიკური რეფორმების ორი ტალღა მოჰყვა. რეფორმები, რითაც ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციური საფუძველი შეიქმნა, 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ განხორციელდა. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე განაპირობა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა. 2004 წელს დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა მიმართული იყო ბაზრის ლიბერალიზაციისკენ, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, გადასახადების, ნებართვებისა და ლიცენზიების რაოდენობის შემცირებით გამოიხატა. წინა წლებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები წარმოადგენდა, რომელთა დიდი ნაწილი მიმართული იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. ამასთან, სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი იყო და საშუალოდ 1.6%-იანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობის (ეკონომიკური ზრდის ნაწილი, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება) საშუალოწლიური ზრდის ტემპი კი 2.8%-ს შეადგენდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის ხელი უნდა შეეწყო, თუმცა, შემოსული ფინანსების დიდი ნაწილი კაპიტალტევად დარგებში იყო მიმართული, სადაც დასაქმების მოცულობა მცირე იყო. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2009 წელს დაფიქსირდა, როდესაც უმუშევრობის დონემ 16.9%-ს მიაღწია. თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში კლების ტენდენციას ჰქონდა ადგილი და 2015 წლის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობის დონე 12%-ზე დაფიქსირდა (იხ.ნახ.1) [8]



საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიღებული ეკონომიკური ზრდით სიღარიბის დონის შემცირებას ადგილი არ ჰქონია. რეფორმების მეორე ეტაპის დროს სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა. ამასთანავე, საქართველო რეგიონული უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა.

მშპ-ის შედარება სიღარიბის მაჩვენებელთან [8]



ჯინის კოეფიციენტი [8]



ეკონომიკური ზრდის მაღალს ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი უზრუნველყოფს. საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში (2004-2012 წლებში) საშუალოდ 6%-ით გაიზარდა. ამ ტემპის მიღწევა შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმებით. ამასთან, ეს რეფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა მწარმოებლურობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შესაქმნელად. „საქართველო 2020“-ის ერთ-ერთი მთავარი ბლოკი სწორედ მეწარმეობის განვითარებას ეთმობა. მწარმოებლურობის ზრდა ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, მეტად გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, მცირეა მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკისა და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია. სწორედ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირის შიგა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის რეგულაციებსა და სისტემებთან. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს საქართველოს საქონლისა მომსახურების ევროკავშირის ბაზარზე გატანა, რაც გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას და ინვესტიციების მოზიდვის ახალ შესაძლებლობებს. სწორედ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. დღევანდელ სამყაროში კი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვაა საჭირო. ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველო მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. მსოფლიო ბანკის ბიზნესწარმოების ანგარიშის მიხედვით

(Doing Business 2016) საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 189 ქვეყანას შორის 24-ე ადგილი უკავია(7, გვ.23).

საქართველოს პოზიცია 2006-2016 წლებში [2]



2016 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი სამ კომპონენტშია გაუმჯობესებული (ელექტროენერგიით მომარაგება, კონტრაქტების აღსრულება, გადახდისუუნაროობის საქმის წარმოება). მთლიანობაში კი საქართველოს პოზიცია 24 ადგილამდე ჩამოვიდა, რაც ძირითადად გამოწვეულია მსოფლიო ბანკის მიერ მეთოდოლოგიის ცვლილებით.

ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანაა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი პრობლემების იდენტიფიცირება და შემდგომ მისი აღმოფხვრის გზების მოძიებაა. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ პრობლემათა შორის დასახელდა: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიან-კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრას ისახავს მიზნად „საქართველო 2020“ და მასში განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომელთა გადაჭრა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევადაა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მდგრადი განვითარების მიზნები. მდგრადი განვითარების განყოფილება, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. https://sustainabledevelopment.un.org/focussdgs.html http://www.bnn.ca
2. World Bank (2009) “What is Inclusive Growth?” World Bank, Washington DC.http://siteresources.worldbank.org
3. Ravallion (2004) “Pro-poor growth-a primer, World Bank”. Washington DC
4. World Bank (2013) “World Development Report 2013: Jobs”. World Bank, Washington DC http://siteresources.worldbank.org
5. საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში, 2016 იანვარი-აგვისტო. http://www.geostat.ge
6. The Inclusive Growth and Development Report 2015, World Economic Forum.http://www3.weforum.org
7. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიში, 2016 http://www.doingbusiness.org
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

Priorities for Inclusive Growth of Georgian Economy

E. Beridze

Summary

Inclusive growth is an economic development, which brings benefit to the public. In other words, economic growth is inclusive, when economic growth is accompanied by a reduction in poverty. However, it should be noted that inclusive growth is not just distribution of income between rich and poor people. By inclusive growth everyone should be able to receive benefits of economic growth, which means more jobs, more income and more opportunities. Inclusive growth must ensure active involvement of the population in economic processes. Inclusive growth must deliver not only quantitative but also qualitative effects. Moreover, inclusive growth is essential for maintaining the economic growth.

Keywords: *Inclusive growth, sustainable development, structural transformation, human capital.*

ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება

თამარ ბერიძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მასწავლებელი,
ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურიზმის ინდუსტრია მომსახურების სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მსოფლიო ქვეყნების უმეტესობაში ტურიზმის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს მისი ეკონომიკური მომგებიანობა. მაღალპროფესიული მიდგომის გარეშე ტურიზმის განვითარებამ შეიძლება მოულოდნელი და არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე, რის გამოც დარგი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის შესაქმნელად, რათა წარმატებით განვითარდეს ტურისტული ბიზნესი, მოხდეს ბიზნესსა და სახელმწიფოს, მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის ურთიერთქმედების სტიმულირება.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, სახელმწიფო რეგულირება, საბაზრო თვითორგანიზაციის მოდელი, აქტიური ზემოქმედების მოდელი, შერჩევითი მონაწილეობის მოდელი.*

ტურიზმის ინდუსტრია მომსახურების სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და სწრაფად მზარდია მთელ მსოფლიოში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემების მიხედვით, 2014 წელს ამ დარგის პირდაპირმა წილმა მსოფლიოს მშპ-ის 3,1% შეადგინა. ამავე წელს მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორმა 105,5 მლნ სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყო ხელი. მისი პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, WTTC-ს შეფასებით, აღნიშნული სექტორის წვლილი 2025 წლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ში - 3,3%, 131 მლნ სამუშაო ადგილი, ანუ მთლიანი დასაქმების 3,9% (1, გვ.17)

მსოფლიო ქვეყნების უმეტესობაში ტურიზმის განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენს მისი ეკონომიკური მომგებიანობა. მაღალპროფესიული მიდგომის გარეშე ტურიზმის განვითარებამ შეიძლება მოახდინოს მოულოდნელი და არასასურველი ზეგავლენა ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე, რის გამოც დარგი ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს.

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, თავის დროზე სახელმწიფო ჩაერია ტურისტული სისტემის დახვეწასა თუ გარკვეული რეგულაციების ფორმირებაში, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა ტურიზმის ინდუსტრიის დონე და დღეს ეს ქვეყნები ტურიზმიდან, როგორც ეკონომიკის ერთერთი დარგიდან, საკმაო შემოსავალს ღებულობს. ამგვარად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩარევა ტურიზმის სფეროში, ეს იქნება გარკვეული სახის რეგულაციები თუ საკანონმდებლო ბაზა (3, გვ.543-571).

საერთაშორისო შემოსვლითი ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოდის აშშ-ზე (177 მლრდ დოლარი), მეორე ადგილზეა ესპანეთი (65,2მლრდ დოლარი), ხოლო მესამეზე - ჩინეთი (56,9 მლრდ დოლარი), მათ მოყვება საფრანგეთი, მაკაო, იტალია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ტაილანდი და ჰონკონგი (2, გვ.21).

ეს არის ტოპ ათეული ქვეყნებისა, რომლებმაც შეაფასეს ტურიზმის უპირატესობა და უთმობენ სერიოზულ ყურადღებას ტურიზმის ბიზნესის მხარდაჭერისა და რეგულირების საკითხებს, ეროვნული ტურისტული პროდუქტის, ინფრასტრუქტურის განვითარებას. იღებენ კიდეც შესაბამისად დიდ შემოსავალს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამჯერად ეს ქვეყნები უკვე მრავალი წელია ზედიზედ შედიან ქვეყნების პირველ ათეულში, როგორც ვიზიტორთა, ასევე სავალუტო შემოსულობების თვალსაზრისით.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ხელსაყრელი ეკონომიკური კლიმატის შესაქმნელად, რათა წარმატებით განვითარდეს ტურისტული ბიზნესი, მოხდეს ურთიერთქმედების სტიმულირება ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის, მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც ტურიზმს თვლიან ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დარგად, არსებობს ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციების სახელმწიფო რეგულირების რამდენიმე მოდელი, მათ შორის აღსანიშნავია საბაზრო თვითორგანიზაციის მოდელი, აქტიური ზემოქმედების მოდელი და შერჩევითი მონაწილეობის მოდელი.

თვითორგანიზაციის მოდელი გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც ტურისტული ბაზრის სუბიექტები საკმაოდ სიცოცხლისუნარიანები არიან. მაგალითად, აშშ-ში ტურისტული მომსახურების ბაზრის რეგულირება ხორციელდება ცალკეული სუბიექტების დონეზე, მას აქვს საკმაოდ მყარი საერთაშორისო პოზიცია ტურიზმში, რომელიც მიმზიდველია მოგზაურობის განხორციელებისთვის. პირველი ეროვნული

კანონი საერთაშორისო ტურიზმის შესახებ ამერიკაში მიღებული იქნა 1961 წელს, 1981 წელს იქნა მიღებული კანონი ,,ტურიზმის სფეროს ეროვნული პოლიტიკის შესახებ, 1992 წელს ,,ტურიზმის სფეროში პოლიტიკისა და ექსპორტის შესახებ“ კანონი.

აშშ-ში ტურიზმის დარგის სტატისტიკის წარმოება, სტიმულირება, ტურისტული ბაზრის კონიუქტურის კვლევა, ტურიზმის განვითარების პროგრამების ხელმძღვანელობა და ა.შ ხორციელდება მოგზაურობებისა და ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ. თითოეულ შტატში არსებობს შესაბამისი სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ტურიზმის განვითარებაზე. როგორც წესი, ეს არის ვაჭრობის, კომერციისა და ტურიზმის სააგენტო, რომლის ამოცანებს შეადგენს სარეკლამო საინფორმაციო ღონისძიებების გატარება შიგა და შემოსვლითი ტურიზმის განვითრებისთვის, ანალიზი და პერსპექტივების კვლევა. ქალაქებში მოქმედებს ტურიზმის სპეციალური ბიუროები, რომლებიც მუშაობს ტურისტების მოსაზიდად. ამ ბიუროში შედიან საქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები, სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები, სასტუმროები, რესტორნები, გასართობი და სხვა დაწესებულებები (5, გვ.280).

ამ უდიდესი ტურისტული ქვეყნის ხელისუფლებაც კი, ტურიზმის დინამიკური ხასიათიდან გამომდინარე, შექმნილი ვითარების შესაბამისად, საჭიროდ თვლის გარკვეული ცვლილებების შეტანას მის სახელმწიფო ადმინისტრირებაში.

აქტიური ზემოქმედების მოდელი გულისხმობს ავტორიტარული სახელმწიფო ორგანოს არსებობას, რომელიც ახორციელებს ქვეყანაში მოქმედი ამ სფეროს ორგანიზაციების კონტროლსა და მხარდაჭერას. ასეთი მოდელი დამახასიათებელია ჩინეთის, მაროკოს, თურქეთის, ტუნისის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნებისთვის. სახელმწიფო მხარდაჭერა თავის ასახვას პოულობს აქტიურ მარკეტინგულ და სარეკლამო საქმიანობაში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ინვესტირებაში და ა.შ.

თურქეთში 1982 წლიდან მოქმედებს კანონი ტურიზმის მხარდაჭერის შესახებ, რომელიც მოიცავს რიგ ღონისძიებას, კერძოდ, განისაზღვრება უძრავი ქონების გამოყენების წესი ტურისტული მიზნებისთვის, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი და სახელმწიფო ინვესტიციები. ყოველწლიურად ქვეყანა ტურიზმიდან იღებს 1 012 მლრდ დოლარს (6, გვ.65).

2007 წელს იქნა მიღებული ტურიზმის განვითრების სტრატეგია 2023 წლამდე, მასში ასახულია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მარკეტინგის სტრატეგია, განათლების სტრატეგია და ა.შ.

მესამე, შერჩევითი მოდელი დამახასიათებელია განვითარებული ევროპული სახელმწიფოებისთვის - საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, ავსტრიის, ჩეხეთისა და შვეიცარიისთვის.

მოცემული მოდელით სახელმწიფო იღებს შერჩევით მონაწილეობას ტურისტული მომსახურების ბაზრის განვითარებაში. იგი ხორციელდება 2 ძირითადი მიმართულებით: პირველი - სახელმწიფო რეგულირება, რომელშიც შედის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა სფეროს კოორდინაცია, საერთაშორისო თანამშრომლობა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და ა.შ. მეორე - მარკეტინგული საქმიანობა, რომელიც მოიცავს უცხოეთში ტურისტული წარმომადგენლობის მართვას, სარეკლამო აქციებში მონაწილეობის კოორდინირებას, ტურისტულ სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობას.

ყველა განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოში არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმის განვითარების პროგრამებს, რაც გამოიხატება საგადასახადო შეღავათებით, საბაჟო და სასაზღვრო რეჟიმის გამარტივებით, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვით, საერთაშორისო ბაზარზე რეკლამირებით, კადრების მომზადებით, და ა.შ.

დიდ ბრიტანეთში ამ ფუნქციებს ახორციელებს-British Tourist Authority, ესპანეთში-TurEspana, იტალიაში-ENIT, ირლანდიაში-IrishBoard, ნორვეგიაში-NORTRA და ა.შ. ქვეყნების უმრავლესობას აქვს თავისი ეროვნული ტურისტული ორგანიზაციები, რომელთა მხრიდან ზოგიერთი, მაგალითად, საფრანგეთში და ესპანეთში შედიან მთავრობის შემადგენლობაში, სხვები კი ქმნიან მთავრობისგან დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, მაგრამ ინარჩუნებენ მათთან ცენტრალიზებულ ფინანსურ შერწყმულ ურთიერთობებს. ეს სქემა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც ის საშუალებას იძლევა მოზიდული იქნას ფინანსური რესურსები კერძო სექტორიდან აქტუალური ამოცანების განხორციელებისთვის, ამავე დროს ხელს უწყობს კონსტრუქციულ თანამშრომლობას ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, რის შედეგადაც ტურისტული საქმიანობის რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე (6, გვ.145).

საბერძნეთის მთავრობა ინვესტორებს სთავაზობს დახმარებას კრედიტის მიღებაში სასურველი საპროცენტო განაკვეთით, სხვადასხვა შეღავათებს გადასახადების გადახდაში. ყოველწლიურად საბერძნეთის ტურიზმის სამინისტრო აცხადებს ტურიზმის დარგის ინვესტორებისთვის დახმარების საერთო

თანხას. განსაზღვრულია ტურიზმში ინვესტირების პრიორიტეტული მიმართულებები, უპირველეს ყოვლის, ეს არის მშენებლობა, მაღალი კლასის სასტუმროებისა და ტურისტული კომპლექსების მოდერნიზაცია და გაფართოება. ამასთან, თუ ინვესტიციების მოცულობა აღწევს 21 მლნ დოლარს, მაშინ დამატებითი შეღავათები ეძლევა მას. საინტერესოა, რომ რეკონსტრუირებულ სასტუმროებს და სხვა ტურისტულ ობიექტებს აქვს უფლება სახელმწიფო დახმარების მიღებისა, ეს იქნება სუბსიდიის თუ საგადასახადო შეღავათების სახით. იმისთვის, რომ გაგრძელდეს ტურისტული სეზონი, საბერძნეთის მთავრობა ადგენს შემოდგომის დასაწყისში შეღავათიან საგადასახადო დაბეგვრას იმ სასტუმროებისთვის. კომუნალური გადასახადების შემცირებისას სასტუმროების მფლობელებს ეძლევათ საშუალება, რომ შეამცირონ ფასები და მოიზიდონ ტურისტების დამატებითი ნაკადები.

დიდ ბრიტანეთში ტურიზმის დარგის რეგულირებით დაკავებული არის კულტურის, სანახაობებისა და სპორტის სამინისტრო, რომელსაც ექვემდებარება - BritishTouristAuthority-BTA, რომლის მისიაა ის, რომ გააძლიეროს ბრიტანული ტურიზმის ბიზნესი მსოფლიო ბაზარზე. ხოლო მიზანია ეკონომიკური უკუგების გაზრდა საერთაშორისო შემოსვლითი ტურიზმიდან, არაპიკურ პერიოდებში ტურიზმის წახალისება, ტურისტების მოთხოვნილებების შესწავლა და სერვისის გაუმჯობესება და ა.შ. ბრიტანული ტურისტული ადმინისტრაცია ახორციელებს შემდეგ ძირითად საქმიანობას: ატარებს სარეკლამო ღონისძიებებს, როგორც საკუთარი ოფისებისა და აგენტების საშუალებით, ასევე თვითონ მონაწილეობს სარეკლამო აქციებსა და ღონისძიებებში, რომელსაც ტუროპერატორები ატარებენ. ორგანიზებას უკეთებს კონფერენციებს უცხოეთის სპეციალისტების მონაწილეობით, ატარებს გაცნობით ექსკურსიებს უცხოელი ჟურნალისტებისთვის, დაკავებულია კვლევებით და თავისი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებით.

ავსტრალიაშიც ხორციელდება ტურიზმში მცირე ბიზნესის მხარდაჭერა, რაც ითვალისწინებს ადგილობრივ ტუროპერატორებისთვის მხარდაჭერას. შემუშავებულია მხარდაჭერა ეკონომიკური განვითარებისთვის და საზოგადოების დასაქმებისთვის, გათვალისწინებულია და გამოყოფილია გრანტები 1 მლნ დოლარამდე. პროგრამას მართავს ბუნებრივი რესურსების, ენერგეტიკის და ტურიზმის სამინისტრო.

კანადაში 2013 წელს ტურიზმიდან შემოსავალმა შეადგინა 73 მლრდ დოლარი, რაც მშპ-ის დაახლოებით 2%-ია. ფედერალური მთავრობა მეტად აქტიურ როლს თამაშობს ტურიზმის სექტორის მხარდაჭერისთვის, ამის პარალელურად არსებობს 15 ფედერალური დეპარტამენტი და სააგენტო, რომლებიც ორიენტირებულია კანადაში ტურისტების მოზიდვაზე.

ტურიზმის დარგის განვითარებაში სახელმწიფო მხარდაჭერის ძალიან კარგი ფორმაა წარმოდგენილი ჩეხეთში. მონაცემების მიხედვით, რომელსაც აქვეყნებს ჩეხეთის სტატისტიკის ბიურო და გამოქვეყნებულია მის ვებგვერდზე, ჩეხეთს 2013 წელს ეწვია 6,3 მლნ ტურისტი, ხოლო ტურიზმიდან შემოსავალმა შეადგინა 127,4 მლრდ კრონი, 2010 წელს სახელმწიფომ გამოყო 80 მლნ ჩეხური კრონი ტურიზმის განვითარებისთვის, დიდი წილი საბიუჯეტო სახსრებისა - 50 მლნ კრონა იყო დახარჯული პრაღის სარეკლამო კამპანიაზე, სხვადასხვა სარეკლამო რგოლებზე, რაც გადიოდა საერთაშორისო არხებზე. სახსრების ნაწილი დახარჯული იქნა სპორტული კომპლექსებისა და დასვენების ბაზების მშენებლობაზე. ქვეყნის მთავრობა ასრულებს ძალიან აქტიურ როლს ეროვნული ტურისტული პროდუქტის მსოფლიო ბაზარზე წარმოჩენისთვის (7, გვ.125-128).

შვეიცარიაში შემოსვლითი ტურიზმის საკითხებით დაკავებულია ტურიზმის ცენტრალური უწყება. იგი არის უმსხვილესი ნაციონალური სარეკლამო სააგენტო, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მოზიდვა და ტურისტული მოთხოვნის გაზრდა ქვეყნის შიგნით. ტურიზმის ცენტრალური უწყება შვეიცარიაში ფლობს 20 წარმომადგენლობას 4 კონტინენტზე. ტურიზმის ცენტრალური უწყების ძირითადი ამოცანები არის მარკეტინგული კვლევები, ნაციონალური პროგრამების შემუშავება, საინფორმაციო მომსახურება, შვეიცარიაში ტურიზმზე მოთხოვნის სტიმულირება და ა.შ. შვეიცარიაში ტურიზმის დარგის ორგანიზაციების კავშირი აქტიურად არის მხარდაჭერილი სამთავრობო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ (8, გვ.576).

ტურიზმის მხარდაჭერის განსხვავებულ მაგალითად გვევლინება ანდორა, რომელიც ევროპის ერთ-ერთი ჯუჯა სახელმწიფოა, მისი ფართობი 480 კვკმ-ია, მოსახლეობა შეადგენს 90 ათას ადამიანს, ანდორა იღებს 12 მლნ ტურისტს წელიწადში. ამ პატარა სახელმწიფოს ყველა მცხოვრები დასაქმებულია ტურიზმში. სტატისტიკის მიხედვით, ანდორის მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო გამომუშავება უფრო მეტია, ვიდრე მთლიანად დასავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელი. ტურიზმის დარგი უზრუნველყოფს მშპ-ის 80%-ს, ტურისტების მოზიდვისთვის ქვეყანაში ტარდება სხვადასხვა ფესტივალია, ეწყობა გამოფენები. ამ ქვეყანაში მოგზაურობის დამატებით სტიმულს ტურისტებისთვის წარმოადგენს ე.წ. შოპინგი, იმის გამო, რომ ანდორაში არ ხორციელდება სავაჭრო დაბეგვრა.

სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარებულ ქვეყნებში მიმართულია ბიზნესის განხორციელების სასურველი ეკონომიკური კლიმატის შესაქმნელად, ბიზნესსა და სახელმწიფოს, მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის სასურველი ურთიერთობის დასამყარებლად. სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მეთოდებია: სპეციალური ეროვნული პროგრამები, დარგის პირდაპირი დოტაციური დაფინანსება, ღონისძიებები, რაც ასტიმულირებს შემოსვლით ტურიზმს, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის მიღება, რაც ამცირებს ფინანსურ წნეხს ტურიზმის ორგანიზაციებისთვის და ა.შ.

ტურიზმის დარგის რეგულირების ხერხების მიხედვით საქართველოსთვის უფრო ყველაზე მეტად მისაღებად მიგვაჩნია მართვის ევროპული მეთოდი, რომელიც გამოიყენება საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, სადაც ტურიზმის დარგის განვითარების საკითხები მრავალდარგობრივი სამინისტროების გამგებლობაშია, რომლებიც მართავენ უცხოეთის ქვეყნებში ტურისტულ წარმომადგენლობას, ამუშავებენ ტურიზმის სამართლებრივ ბაზას აგროვებენ სტატისტიკურ ინფორმაციას და გადაამუშავებენ მას, აორგანიზებენ რეკლამას და სხვადასხვა გამოფენაში მონაწილეობას, მუშაობენ უცხოელ ჟურნალისტებთან, ეწევიან მარკეტინგულ საქმიანობას და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Travel & Tourism Economic Impact 2015 WORLD
2. UNWTO Tourism Highlights, 2015 Edition
3. Ansell, C. Gash A. Tourism Governance and Regulation: Emmanuel AkwasiAdu-Ampong, 'Collaborative Governance in Theory and Practice', Journal of Public Administration Research and Theory 2008
4. Александрова, А.Ю. Международный туризм : учеб. пособие / А.Ю. Александрова. - М. : Кнорусь, 2016. - 470 с.
5. Косолапое, А.Б. Технология и организация туроператорской и турагентской деятельности / А.Б. Косолапов. - Москва, 2011. - 280 с.
6. Чудновский А. Д.; Королев Н.В.; Е.А.Гаврилова М. А.; Жукова, Н. А.; Зайцева Менеджмент Туризма, М.2014
7. Тайгибова, Т. Т. Влияние индустрии туризма на экономику страны и социально-культурную сферу. Уфа, 2011.
8. Биржаков, М.Б. Введение в туризм / М.Б. Биржаков.- Санкт- Петербург, 2008.

International Experience in State Regulation of Tourism

T. Beridze

Summary

Nowadays tourism is rapidly developing sector with high-income level. In developed countries there are variety of models for tourism state regulation. Model of market's self-organization, model of active mitigation and model of selective participation are most widespread. We consider European management model suitable for Georgia that means issues of tourism field development will be provided by multi ministries.

Keywords: *Tourism, State Regulation, model of market's self-organization, model of active mitigation, model of selective participation.*

კონკურენციის კვლევა საბანკო სექტორში ირიბი მეთოდის მიხედვით

ლაშა ბერიძე
დოქტორანტი, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში საბანკო სექტორში კონკურენცია გამოკვლეულია არასტრუქტურული მეთოდების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს უმსხვილესი კომერციული ბანკების წილების გამოთვლას (CR3, CR5), ასევე, გამოყენებულია თანამედროვე კვლევებში ყველაზე აქტუალური N-statistic-ის მეთოდი და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საბანკო სექტორში კონკურენციაზე ზედამხედველობის საკითხი, რაც დღემდე იწვევს გაურკვევლობას.

საკვანძო სიტყვები: *კონცენტრაცია, კონკურენცია, დომინანტური მდგომარეობა, N-statistic, ეკონომიკური აგენტი.*

საბანკო სისტემაში კონკურენციის განვითარებისა და ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, საკმაოდ მწვავე პრობლემაა. საქართველოში მიმდინარე ბოლო დროინდელმა მოვლენებმა აღნიშნული საკითხი უფრო მეტად აქტუალური გახადა, იგულისხმება სს ,,თიბისი ბანკი“-ის მიერ სს ,,ბანკი რესპუბლიკა“-სა და სს ,,პროგრესს ბანკი“-ს აქტივების შეძენა. კონკურენციის კვლევა საქართველოს საბანკო სექტორში თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან ქართულ რეალობაში არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი როგორ უნდა შეფასდეს საბანკო სექტორში კონკურენციული ატმოსფერო. შესაბამისად, ამ ასპექტით, მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება. მით უფრო, რომ საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასების თეორიული და მეთოდოლოგიური ნაწილი, საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი უცხოელ მეცნიერთა ნაშრომში. საბანკო სექტორში კონკურენციის შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი (იხ. სქემა).

საბანკო ბაზარზე კონკურენციის ირიბი შეფასება ხორციელდება სტრუქტურული და არასტრუქტურული შეფასების მეთოდებით. სტრუქტურული მეთოდი დაკავშირებულია საკმაოდ ცნობილ მეისონის პარადიგმასთან - ,,სტრუქტურა-ქმედება-შედეგი“. მოცემული პარადიგმა ნიშნავს, რომ საბაზრო სტრუქტურა განსაზღვრავს ბაზრის აგენტების მოქმედებას, ხოლო უკვე მათი მოქმედება ზეგავლენას ახდენს ბაზრის საბოლოო შედეგზე. ამასთანავე, არსებობს ჰიპოთეზა, რომ დარგის მოგების ან რენტაბელობის საშუალო ნორმა იზრდება კონცენტრაციის ამაღლების დროს [2].



სტრუქტურული მეთოდის გამოყენებისას გამოითვლება კონცენტრაციის სხვადასხვა მაჩვენებელი. კონცენტრაციის ინდექსი ითვლება კონკურენციის შეფასების ყველაზე გავრცელებულ მეთოდად, რომლითაც შეგვიძლია განისაზღვროს რამდენიმე მსხვილი ბანკის წილი ბაზარზე:

$$CR_k = \sum_{j=1}^{k} q$$

სადაც, CR_k - კონცენტრაციის ინდექსია, q - რეგიონში ბანკის წილი [3].

ინდექსი გამოითვლება სამი ან ოთხი უმსხვილესი ბანკის მონაწილეობით, რომელზე დამოკიდებულებით ინდექსი იქნება სამწილოვანი ან ოთხწილოვანი. სამწილოვანი მაჩვენებლისას, თუ მისი ინდექსი 45%-ზე ნაკლებია, ბაზარი ითვლება არაკონცენტრირებულად, 45%-დან 70%-მდე - კონცენტრირებულად, 70%-ზე მაღალი მაჩვენებლის დროს მაღალკონცენტრირებულად.

ოთხწილოვანი ინდექსის მნიშვნელობის შესახებ მეცნიერთა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი. მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარი მხედველობაში იღებს შემდეგ საზღვრებს:

- ინდექსი 40%-მდე - მონოპოლიური კონკურენცია;
- 40%-დან 60%-მდე - სუსტი ოლიგოპოლია;
- 60%-ის ზევით - მჭიდრო ოლიგოპოლია.

მნიშვნელოვანია, აღნიშნული მიდგომის საფუძველზე, გამოვთვალოთ საქართველოში არსებული ბანკების საბაზრო წილი. კვლევას საფუძვლად უდევს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი მონაცემები (2016 წლის II კვარტლის მიხედვით)[4] (იხ. ცხრილი 1):

ცხრილი N1

კომერციული ბანკების საბაზრო წილი წმინდა საპროცენტო შემოსავლებისა და მთლიანი აქტივების მიხედვით

კომერციული ბანკები	წმინდა საპროცენტო შემოსავალი		მთლიანი აქტივები	
დასახელება	CR	ლარებში	CR	ლარებში
ბანკი რესპუბლიკა	7%	46 302 895	7%	1 670 424 267
თიბისი ბანკი	27%	187 467 727	26%	6 541 346 463
საქართველოს ბანკი	33%	226 766 666	33%	8 468 927 088
ლიბერთი ბანკი	8%	58 242 557	6%	1 586 547 518
ბაზის ბანკი	3%	18 686 709	3%	727 055 544
ვითიბი ბანკი ჯორჯია	4%	27 385 556	5%	133 6482 720
ბანკი ქართუ	4%	30 287 058	5%	1 261 424 694
პროკრედიტ ბანკი	5%	31 939 003	5%	1 223 182 824
სილკ როუდ ბანკი	0%	1 255 551	0%	52 168 569
კაპიტალ ბანკი	0%	2 258 779	1%	183 137 989
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	0%	3 271 551	0%	115 419 687
ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	0%	1 529 561	0%	88 240 276
კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო	0%	593 517	0%	34 936 074
თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი	1%	3 885 076	1%	227 989 771
პროგრესს ბანკი	0%	2 630 625	1%	235 990 643
ტერაბანკი	2%	11 460 676	3%	673 298 254

ხალიკ ბანკი საქართველო	1%	8 753 209	1%	306 539 892
პაშა ბანკი საქართველო	1%	7 718 708	1%	291 222 860
ფინკა ბანკი საქართველო	3%	18 302 430	1%	250 041 049
ჯამი		**688 737 854**		**25 274 376 182**

ცხრილის მონაცემების თანახმად, წმინდა საპროცენტო შემოსავლის მიხედვით CR3 და CR4 (კონცენტრაციის მაჩვენებლი 3 და 4 ბანკისათვის) იქნება (სს ,,თიბისი ბანკის", ,,პროგრესს ბანკისა" და ,,ბანკ რესპუბლიკას" მონაცემები გაერთიანებულია):

1. CR3=75% (თიბისი ბანკი - 34%, საქართველოს ბანკი - 33%, ლიბერთი ბანკი - 8%);
2. CR4= 80% (თიბისი ბანკი - 34%, საქართველოს ბანკი - 33%, ლიბერთი ბანკი - 8%, პროკრედიტ ბანკი - 5%).

ხოლო, მთლიანი აქტივების მიხედვით მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

1. CR3=73% (თიბისი ბანკი - 34%, საქართველოს ბანკი - 33%, ლიბერთი ბანკი -6%);
2. CR4= 78% (თიბისი ბანკი - 34%, საქართველოს ბანკი - 33%, ლიბერთი ბანკი - 6%, ბანკი ქართუ - 5%).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობა განმარტებულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარების მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მათი წილი არ აღემატება 40%-ს. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

1. არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არის არანაკლებ 15%-ისა.
2. არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80%-ს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არის არანაკლებ 15% (მუხლი 3) [5].

შესაბამისად, საინტერესოა თუ რატომ არ ხდება არც ეროვნული ბანკის (2015 წლის სექტემბრიდან - საფინანსო ზედამხედველობის ორგანო) და არც კონკურენციის სააგენტოს მხრიდან ეფექტიანი მონიტორინგი, ასევე კონკურენციის კვლევა, მაშინ როდესაც ელემენტარული დაკვირვებიდანაც ჩანს, რომ საბანკო ბაზარი აშკარად არის კონცენტრირებული და, ფაქტობრივად (3 ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში) არღვევს კონკურენციული კანონმდებლობის დანაწესებს. ყოველივე აღნიშნული უნდა იყოს საგანგაშო სიგნალი სააგენტოებისათვის (როგორც საფინანსო ზედამხედველობის, ასევე კონკურენციის) დაიწყონ კომერციული ბანკების ბაზრის კვლევა.

მნიშვნელოვანია ასევე იმის განსაზღვრა, თუ რომელმა ორგანომ უნდა გაუწიოს ზედამხედველობა საბანკო სექტორში კონკურენციის წესების დაცვას. სს ,,თიბისი ბანკი"-ის მიერ სხვა ბანკების შეძენა, ეროვნული ბანკის ოფიციალური განცხადებით შეფასდა როგორც თავსებადი კონკურენციის პირობებთან და დამახასიათებელი ბაზრის მცირე ზომისათვის [6]. ამის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ ბანკს კონკურენციის შეფასების რაიმე მეთოდი არ გამოუყენებია. ასევე უნდა აღინიშნოს საქართველოს კანონის კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ 22-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, საბანკო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს სააგენტო, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს [7]. რაც შეეხება ასეთი კრიტერიუმების განსაზღვრას სააგენტოს მხრიდან, არ არსებობს, რაც გვიბიძგებს იქითკენ, რომ დავეყრდნოთ კონკურენციის შესახებ კანონს, რომლის განაწესები და მიდგომები ზემოთ იქნა განხილული.

მნიშვნელოვანია, ასევე, უცხოური, განსაკუთრებით ევროკავშირის პრაქტიკის გაზიარება. ევროპის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად აფასებს ევროკავშირის ქყვენების საბანკო სექტორის კონკურენციასა და კონცენტრაციას ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით და CR3, CR5 მაჩვენებლებით. ეს არის ყველაზე ადვილი ხერხი კონცენტრაციის შეფასებისათვის, რომელიც შეიძლება გამოიყენოს საქართვე-

ლოს ერვონულმა ბანკმა (საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ) და შედეგები ასახოს ყოველწლიურ ანგარიშში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეისთვის უფრო პოპულარულია კვლევა არასტრუქტურული მოდელებით, რაც საშუალებას იძლევა კონკურენცია გაანალიზდეს ბაზრის მონაწილეების მიერ მომსახურებაზე ფასის წარმოქმნის მეშვეობით. ამ მოდელების უმრავლესობა ეფუძნება მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომლის ცნება შემოღებულ იქნა ა. ლერნერის მიერ 1934 წელს [9, გვ. 157-158]. არასტრუქტურული მოდელები ძირითადად ეყრდნობა წონასწორობითი ბაზრის სტატიკურ თეორიას, სადაც ფირმების მიერ ფასის დადგენა ხდება ხარჯების საფუძველზე (mark-up pricing). ემპირიულ ანალიზში ფართო გავრცელება ჰპოვა ჯ. პანზარისა დ ჯ. როსის მოდელმა, რომელიც შემუშავდა 1987 წელს და ეწოდება H-statistic [10].

პანზარ-როსის H-statistic მიდგომით, შესაძლებელი ხდება გაზომილ იქნეს ფაქტორული ფასების ცვლილების ასახვის დონე ბანკის შემოსავლის ცვლილებაზე. ამისათვის, თავდაპირველად ხდება ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ელასტიკურობის ეკონომეტრიკული შეფასება შემდეგი სამი ფაქტორის მიხედვით: მოზიდული სახსრების ღირებულება (AFR – Average Funding Rate), შრომითი რესურსების ღირებულება (PPE – Price of Personnel Expence) და სხვა ხარჯების ღირებულება (PONILE – Price of Other Non Interest and Labor Expence). შემდეგ ხდება შეფასებული ელასტიკურობების დაჯამება და შედეგად მიიღება H-statistic მაჩვენებელი, აღნიშნული კი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$H_{stat} = \beta_{AFR} + \beta_{PONILE} + \beta_{PPE} = \begin{cases} \leq 0 & \text{მონოპოლია} \\ \in (0,1) & \text{მონოპოლიური კონკურენცია} \\ = 1 & \text{სრულყოფილი კონკურენცია} \end{cases}$$

პანზარ-როსის თანახმად, რაც უფრო მაღალია შემოსავლების ელასტიკურობა, მით უფრო მეტად არის ბაზარი კონკურენტუნარიანი. შესაბამისად, მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ბაზრისათვის H-statistic არის უარყოფითი H<=0, მონოპოლიური კონკურენციის არსებობისას ეს მაჩვენებელი ვარირებს ნულიდან ერთამდე დიაპაზონში - 0<H>1, ხოლო სრულყოფილი კონკურენციის დროს მაჩვენებელი ერთის ტოლი უნდა იყოს - H=1. მონოპოლიური ბაზრის პირობებში H-statistic იღებს უარყოფით ან ნულოვან მნიშვნელობას იმის გამო, რომ მონოპოლისტის შემოსავალი საწინააღმდეგო მიმართულებით რეაგირებს წარმოების ფაქტორების ღირებულების ცვლილებებზე. H-statistic აგრეთვე შეიძლება იყოს უარყოფითი, როდესაც ბაზარზე არსებობს მოკლევადიანი ოლიგოპოლია.

H-statistic ტოლია ერთის, როდესაც საბაზრო სტრუქტურა ფასდება, როგორც სრულფასოვანი კონკურენცია. კონკურენტუნარიან ბაზარზე წარმოების ყველა ფაქტორის ღირებულების ცვლილება პროპორციულად იწვევს როგორც ზღვრული, ასევე საშუალო ხარჯების ზრდას, რაც უცვლელად ტოვებს გაწეული მომსახურების მოცულობას წარმოების ფაქტორების ღირებულების ცვლილების პირობებში. ბანკმა რომ გაუძლოს გამკაცრებულ საბაზრო პირობებს, უნდა გაზარდოს ფასები თავის მომსახურებაზე, სანამ არ გადაიფარება გაზრდილი ხარჯები. ფასის ადაპტაციის პირობებში არაეფექტიანი ბანკები უნდა გახდნენ უფრო მეტად ეფექტიანები ან გავიდნენ ბაზრიდან. ბანკების შემცირება ზრდის მოთხოვნას ბაზარზე დარჩენილი ბანკების მომსახურებაზე, რაც იწვევს მათ მომსახურებაზე ფასების ზრდას.

როდესაც H-statistic მდებარეობს ნულსა და ერთს შორის, ასეთი ბაზარი ხასიათდება როგორც მონოპოლიური კონკურენცია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ბანკს ჰყავს მუდმივი კლიენტი და რეაგირებს სხვა ბანკების საპროცენტო პოლიტიკისა და მომსახურების ცვლილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბანკები მოქმედებენ როგორც მონოპოლისტები, დაბალი აუნაზღაურებელი ხარჯები და არაკონკურენტუნარიანი მომსახურება, უბიძგებს ბანკებს დააწესონ ისეთი ფასი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს მათ მოგებას. ამ დროს ბანკის შემოსავლები იცვლება არაპროპორციულად წარმოების ფაქტორების ცვლილებასთან მიმართებით.

H-statistic მოდელი აქტიურად გამოიყენება ემპირიულ კვლევებში, რადგან მას აქვს რიგი უპირატესობა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზისთვის არ არის საჭირო ნაკლებად ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობა სექტორში არსებული ყველა ბანკის მომსახურების ღირებულებაზე. აგრეთვე არ არის საჭირო სტრუქტურული გამრავლებები, რაც ახასიათებს ბანკის საწარმოო ფუნქციას. H-statistic მოდელი ასევე საშუალებას იძლევა შევაფასოთ კონკურენცია ბანკების სახეობებს შორის, მაგალითად: კომერციული და დაგროვებითი, ადგილობრივი და უცხოური და სხვ.

N-statistic მაჩვენებლების კვლევაში გამოყენების, უკეთ გაგებისა და დაზუსტების მიზნით მისი შემადგენელი ნაწილები შეიძლება წარმოვიდგინოთ და უფრო დაწვრილებით განვმარტოთ შემდეგნაირად:

$$H_{stat} = \beta_{AFR} + \beta_{PONILE} + \beta_{BBE} = h_1 + h_2 + h_3 = \begin{cases} 0 \text{ მონოპოლია} \\ \in (0,1) \text{მონოპოლიურიკონკურენცია} \\ = 1 \text{ სრულყოფილიკონკურენცია} \end{cases}$$

β_{AFR} აღვნიშნოთ, როგორც h_1, β_{PONILE} - h_2, ხოლო β_{BBE} - h_3,

h_1 განვმარტოთ, როგორც დამოკიდებულება საპროცენტო ხარჯების პასივებისა (მიღებულ კრედიტებზე, დეპოზიტებზე, ემიტირებულ ფასიან ქაღალდებზე) შიდა მოზიდულ რესურსებთან (სხვაობა საკუთარ კაპიტალსა და აქტივებს შორის)

h_2 - დამოკიდებულება პერსონალის ხარჯისა ბანკის კაპიტალთან,

h_3 - არასაპროცენტო შემოსავლებისა და გასავლების სალდოს დამოკიდებულება (პერსონალის ხარჯის გამორიცხვით) საკუთარ კაპიტალთან.

ხშირად აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე წარმაოდგენს საკმაოდ რთულ საკითხს, მაგრამ საქართველოში აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება შეგვიძლია კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ბანკისათვის წარდგენილი ფინანსური მაჩვენებლებების მიხედვით. შესაბამისად, მოცემული მაჩვენებლების დამუშავების შედეგად მივიღებთ ასეთ შედეგს[4] (იხ. ცხრილი N2):

ცხრილი N2

კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების, შრომითი რესურსების და სხვა ხარჯების ღირებულების განსაზღვრა

კომერციული ბანკები				
დასახელება	**h_1**	**h_2**	**h_3**	**N-statistic**
ბანკი რესპუბლიკა	-0,0249	0,1021	0,0571	0,1343
თიბისი ბანკი	-0,0292	0,0961	0,0469	0,1138
საქართველოს ბანკი	-0,0316	0,1057	0,0632	0,1373
ლიბერთი ბანკი	-0,0619	0,2538	-0,0095	0,1824
ბაზის ბანკი	-0,0237	0,0449	0,0128	0,034
ვითიბი ბანკი ჯორჯია	-0,0295	0,2057	0,0822	0,2580
ბანკი ქართუ	-0,0252	0,0255	0,0223	0,0226
პროკრედიტ ბანკი	-0,0245	0,1086	0,006	0,0901
სილკ როუდ ბანკი	-0,0436	0,0902	-0,0939	-0,0473
კაპიტალ ბანკი	-0,0171	0,7403	-0,3114	0,4118
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო	-0,0475	0,0082	0,1328	0,0935
ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	-0,0054	0,0584	0,0503	0,1033
კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო	-0,0213	0,0419	- 0,0005	0,0201
იშ ბანკი საქართველო	-0,0139	0,0674	-0,0068	0,0467
პროგრესს ბანკი	-0,0159	0,1517	-0,0574	-0,0733
კორ სტანდარტ ბანკი	-0,0417	0,0666	-0,0207	0,0042
ხალიკ ბანკი საქართველო	-0,0245	0,0682	-0,0198	0,0239
პაშა ბანკი საქართველო	-0,0188	0,0279	-0,0322	-0,0231
ფინკა ბანკი საქართველო	-0,0507	0,3209	-0,2300	0,0402
საშუალო	**-0,0289**	**0,136**	**-0,0244**	**0,0827**

მოცემული ცხრილის საშუალო მაჩვენებლების მიხედვით:

$$N_{stat} = h_1 + h_2 + h_3 = -0{,}02889 + 0{,}136 - 0{,}0244 = 0{,}0827$$

შესაბამისად, მიღებული შედეგის მიხედვით, N-statistic შეადგენს 0,0827, ასეთი ბაზარი ხასიათდება როგორც მონოპოლიური კონკურენცია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ბანკს ჰყავს მუდმივი კლიენტი და რეაგირებს სხვა ბანკების საპროცენტო პოლიტიკისა და მომსახურების ცვლილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბანკები მოქმედებენ როგორც მონოპოლისტები, დაბალი აუნაზღაურებელი ხარჯები და არაკონკურენტუნარიანი მომსახურება უბიძგებს ბანკებს დააწესონ ისეთი ფასი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს მათ მოგებას. ამ დროს ბანკის შემოსავლები იცვლება არაპროპორციულად წარმოების ფაქტორების ცვლილებასთან შედარებით. მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოცემულ შემთხვევაში N-statistic უფრო მეტად მიახლოებულია 0-თან, რაც გვაძლევს იმის ვარაუდს, რომ საქართველოს საბანკო სექტორი ყალიბდება მონოპოლიურ (დუოპოლიურ) ბაზრად, რაც საჭიროებს დროულ და ეფექტურ მონიტორინგს შესაბამისი ორგანოებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мамонов М.Е. Конкуренция в российской банковской системе и ее влияние на устойчивость банков // дис. канд. экон. наук: 08.00.13. – Москва, 2014, გვ. 425
2. Парадигма «структура-поведение-результат». Statist Market. Статистика рынка товаров и услуг. //ელექტრონული წყარო, ხელმისაწვდომი: 25.12.2015: http://statistmarket.ru/metodologija-statisticheskogo-analiza-otraslevogo/paradigma-struktura-povedenie-rezultat/252-vozrastaet-s-povysheniem.html
3. Рожкова О.А. Методы оценки банковской конкуренции, ელექტრონული წყარო, ხელმისაწვდომი: 25.12.2015: http://www.rusnauka.com/16_ADEN_2011/Economics/1_88190.doc.htm
4. კომერციული ბანკების ფინანსური მონაცემები, ხელმისაწვდომი: 29.09.2016 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404
5. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, ხელმისაწვდომი :29.09.2016, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450
6. კომერციული ბანკების შერწყმასთან დაკავშირებული ეროვნული ბანკის ოფიციალური განცხადება, ხელმისაწვდომი: 29.09.2016 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2933
7. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, ხელმისაწვდომი: 29.09.2016, https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962
8. ევროპი ცენტრალური ბანკის 2015 წლის ანგარიში, გვ. 25-27, ხელმისაწვდომი: 29.09.2016 https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/reportonfinancialstructures201510.en.pdf
9. Lerner, Abba P., The Concept of Monopoly and the Measurement of Monopoly, *Review of Economic Studies*, N1, 1934, pp. 380
10. Rosse J., Panzaar j., Chamberlin vs Robinson: an empirical study for monopoly rents, Bell Laboratories Economic Discussion Paper, 1977, pp. 460
11. Моисеев С. Р., РЕАЛИИ МОНОПОЛИСТИЧЕСКОЙ КОНКУРЕНЦИИ В РОССИЙСКОМ БАНКОВСКОМ СЕКТОРЕ, გვ. 95-98 ხელმისაწვდომი: 20. 04.2016, http://cyberleninka.ru/article/n/realii-monopolisticheskoy-konkurentsii-v-rossiyskom-bankovskom-sektore

The Research of Competition in the Banking Sector according to the Indirect Method

L. Beridze

Summary

Defining the level of competition in the Banking market still stays the methodology and methodic problem. Modern scientists during their researches with more popularity use non-structural models which gives the possibility to analyze competitiveness of market members via creating price at services by market members. The majority of such models are based on monopolistic powers the perception of which was introduced in 1934 by A. Lerner. Making analysis of the level of competition in the Banking market it is necessary to use non-structural methods of competition assessment together with structural methods. In our research we used CR3, CR5 and N-statistic models, which are indirect methods of the banking competition research. According to the results, It is also worth mentioning that in the given case N-statistic is near to 0 and accordingly it gives us the possibility to suppose that in case if in the future market focus will be stregthened and increase of assets and loan portfolio of the big banks will continue we will definetily receive monopolistic (duopolic) market. This requires effective monitoring by the relevant authorities.

Keywords: *Concentration, competition, dominant position, N-statistic, economic agent.*

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირების პრობლემა

აკაკი გაბელაია,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლევან გაბელაია,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჩატარებულია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების დინამიკის ანალიზი 2002-20015 წლებისათვის. მიღებულია შესაბამისი საბაზო მოდელები და ამ მოდელების ბაზაზე ნაპოვნია ამ მაჩვენებელთა პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის. შეფასებულია ე.წ. ესტონური მოდელის დანერგვის გავლენა აღნიშნულ მაჩვენებლებზე.

საკვანძო სიტყვები: *ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, საბაზო მოდელები, პროგნოზული შეფასებები.*

როგორც ცნობილია, საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალურად რეალურად დაგეგმვა მეტად აქტუალური პრობლემაა. ასე, მაგ., საქართველოს სინამდვილეში, კერძოდ, 1997-2003 წლებში, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სახელმწიფო ბიუჯეტის (კანონის!) ქრონიკულად ქცეული შეუსრულებლობა იყო. მართლაც, ამ წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავლების ნაწილში) საბოლოო (ე.ი. კორექტივების შეტანის შემდეგ მიღებული) გეგმის შესრულების მაჩვენებელი 70.5-დან 94.1 %-ის ფარგლებში მერყეობდა, შემდეგ პერიოდში კი, დამკვიდრდა ბიუჯეტის შემოსავლების გეგმების კორექტირების პრაქტიკა უკვე მათი ზრდის მიმართულებით.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების თანამედროვე მეთოდებისა და მოდელების შექმნასა და გამოყენებას.

შეიძლება შევნიშნოთ, რომ ჩვენს სინამდვილეში, ამ მიმართულებით გარკვეული წვლილი ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს შეტანილი აქვს ჯერ კიდევ 2001-2002 წლებში. კერძოდ, მის მიერ ჩამოყალიბებული იყო საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდიკა და ამის ბაზაზე შემუშავებული იყო საბიუჯეტო შემოსავლების „პირველადი პროგნოზული შეფასებების“ მოდელი [1-2]. გარდა ამისა (კომპიუტერული პროგრამა EViews-4-ის ბაზაზე), შემუშავებული იყო საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საბაზო მოდელი 18 ენდოგენური და 3 ეგზოგენური ცვლადით და ბიუჯეტის შემოსავლების „ახალი საბაზო მოდელი“, რომელიც შეიცავდა 9 ენდოგენურ და 1 ეგზოგენურ ცვლადს. ყოველივე ამის ბაზაზე კი მიღებული იყო საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზული შეფასებები 2006-2008 წლებისათვის [3].

შევადგინოთ ახლა, ზემოთ აღნიშნული მოდელების ბაზაზე, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლების (ე.ი. მთლიანი შემოსავლების, გრანტების გარეშე) მოდელი და მის ბაზაზე ვიპოვოთ ამ მაჩვენებლის პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის. ჩვენ ამ ამოცანის გადაწყვეტას შევუდგებით ზემოთ უკვე ნახსენები კომპიუტერული პროგრამის შედარებით ახალი (ჩვენთვის ხელმისაწვდომი) EViews-6-ს ბაზაზე.

დავიწყოთ ამ მაჩვენებლის დინამიკის ანალიზით. მისი დინამიკა 2002-2015 წლებში ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი)
შემოსავლების დინამიკა 2002-2015 წლებში

როგორც ვხედავთ, ეს მაჩვენებელი ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა 2003-2007 წლებში. ზრდის ეს ტემპი, ცხადია შენელდა 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო. შედეგად, 2009 წელს ადგილი ჰქონდა ამ მაჩვენელის დაცემას, რასაც შემდგომ წლებში ისევ მოჰყვა ზრდის ტენდენცია.

რაც შეეხება ამ მაჩვენებლის დინამიკას მშპ-ის მიმართ, იგი ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.



ნახ. 2. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლების დინამიკა მშპ-ის მიმართ 2002-2015 წლებში

როგორც ვხედავთ, ამ მაჩვენებლის ფარდობას მშპ-ის მიმართ 2003-2007 წლებში ახასიათებდა საკმაოდ მაღალი ტემპებით ზრდის ტენდენცია, რასაც, 2013 წლის კატასტროფული ვარდნის შემდეგ, მოჰყვა მისი დაბრუნება 2011 წელს მიღწეულ ნიშნულზე (დაახლოებით მშპ-ის 25 %).

შევეცადოთ ახლა ამ მაჩვენებლის პროგნოზული შეფასებების პოვნას 2016-2018 წლებისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა. გავაანალიზოთ ამ მაჩვენებლის დამოკიდებულება მშპ-ის მოცულობა-ზე, 2002-20015 წლების მონაცემებიდან გამომდინარე. როგორც შესაბამისი გათვლები აჩვენებს, ამ სი-დიდეებს შორის კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია 0,38-ის რიგისაა, ამიტომ შევეცადოთ ავა-გოთ მისი ტრენდული მოდელი [3].

აღნიშნულ მოდელს აქვს სახე:

NSSH = -3404.9956044 + 572.248351648*@TREND, (1)

სადაც NSSH-საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების მოცულობას აღნიშნავს (მლნ ლარებში), ხოლო @TREND კი - დროის ხელოვნურ ცვლადს.

როგორც ამ განტოლების პარამეტრთა სტატისტიკური მახასიათებლების გაანგარიშება გვიჩვე-ნებს, იგი მაღალი სიზუსტით გამოირჩევა: მოდელის დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,98-ის ტოლია, კოე-ფიციენტთა t-სტატისტიკები საკმაოდ მაღალია, F-სტატისტიკა 625-ის ტოლია და მხოლოდ დარბინ-უოტსონის სტატისტიკაა ოდნავ დაბალი 1,7-ის რიგის.

აღნიშნული მოდელის სიზუსტეზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი ცდომილების დიაგრამაც (იხ. ნახ. 3).



ნახ. 3. (1) მოდელის ცდომილების დიაგრამა

რაც შეეხება (1) მოდელიდან მიღებულ პროგნოზულ შეფასებებს 2016-2018 წლებისათვის, ის მოცემულია ცხრილში 1, ხოლო ჩვენთვის საინტერესო მაჩვენებლის დინამიკა ამ პროგნოზულ შეფასებათა გათვალისწინებით, ნაჩვენებია ნახ. 4-ზე.

.ცხრილი 1. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლებისა და მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზული შეფასებები

წლები	2016	2017	2018
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლების პროგნოზული შეფასებები (მლნ ლარებში)	8612.22	9184.47	9756.72
ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“ პროგნოზული შეფასებები (მლნ ლარებში)	1261.42	1439.6	1341.1

როგორც ვხედავთ, ამ პროგნოზული შეფასებებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის განუხრელი მატება საპროგნოზო პერიოდისათვის. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლიდან, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, უნდა დაინერგოს მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი, 2017-2018 წლებში მოსალოდნელია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლების შესაბამისი კლება, რასაც მომდევნო წლებში (ეკონომიკური ზრდის კვალობაზე) მისი მნიშვნელოვანი ამაღლება უნდა მოჰყვეს.



ნახ. 4. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი (საკუთარი) შემოსავლების დინამიკა და პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის

ვიპოვოთ ახლა (ბოლო პერიოდში მისი აქტუალურობის გამო!) ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლის ერთ-ერთი მდგენელის, საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების პროგნოზული შეფასებები იგივე პერიოდისათვის.

უპირველეს ყოვლისა, შევნიშნოთ, რომ ნაერთი ბიუჯეტის თანამედროვე კლასიფიკაციაში ამ მაჩვენებლის ნაცვლად გვხვდება მუხლი, რომლის სახელწოდებაა „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“ და დავიწყოთ ამ მაჩვენებლის დინამიკის ანალიზით.

მისი დინამიკა 2002-2015 წლებში ნაჩვენებია ნახ. 5-ზე.



ნახ. 5. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“, დინამიკა 2002-2015 წლებში

როგორც ვხედავთ, ეს მაჩვენებელი ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა 2005-2008 წლებში, რასაც მოჰყვა მისი მნიშვნელოვანი დაცემა 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, რასაც შემდგომ წლებში ისევ მოჰყვა ზრდის ტენდენცია, გარკვეული რყევებით.

რაც შეეხება ამ მაჩვენებლის დინამიკას მშპ-ის მიმართ, იგი ნაჩვენებია ნახ. 6-ზე. როგორც ვხედავთ, ამ მაჩვენებლის ფარდობას მშპ-ის მიმართ 2002-2007 წლებში ახასიათებდა ზრდის ტენდენცია. რაც შეეხება ბოლო წლებს, 2012 წლის კატასტროფული ვარდნის შემდეგ, 2013 წელს მან ისევ მიაღწია მშპ-ის 3 %-ის დონეს, ხოლო 2015 წლის შეფასებებით, 3.2-%-ის დონეზე იყო.

შევეცადოთ ახლა ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“ პროგნოზული შეფასებების პოვნას 2016-2018 წლებისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, გავაანალიზოთ ამ მაჩვენებლის დამოკიდებულება მშპ-ის მოცულობაზე 2002-2015 წლების მონაცემებიდან გამომდინარე.

ნახ. 6. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“, დინამიკა მშპ-ის მიმართ 2002-2015 წლებში

როგორც შესაბამისი გათვლები აჩვენებს, ამ სიდიდეებს შორის კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია 0.4-ის რიგისაა, ამიტომ, შევეცადოთ ავაგოთ მოცემული მაჩვენებლის ტრენდული მოდელი.

შესაბამის ლოგარითმულ ტრენდულ მოდელს [4], ავტორეგრესიული წევრით, აქვს სახე:

LOG(NMOG) = -0.0012805080266*NMOG(-3) - 2.34119748017 + (2) 3.45338877271*LOG(@TREND),

სადაც NMOG აღნიშნავს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის- „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“ მოცულობას, NMOG(-3) ამ მაჩვენებლის მოცულობას 3 წლის წინ,

GDP- მშპ-ს მოცულობას, LOG ნატურალურ ლოგარითმს, ხოლო LOG(@TREND) კი-დროის ხელოვნური ცვლადის ლოგარითმს.

როგორც ამ განტოლების პარამეტრთა სტატისტიკური მახასიათებლების გაანგარიშებიდან ჩანს, იგი საკმაოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა:

მართლაც, მიღებული მოდელის დეტერინაციის კოეფიციენტი 0,97-ის ტოლია, კოეფიციენტთა t-სტატისტიკები საკმაოდ მაღალია, F-სტატისტიკის მნიშვნელობა კი 186-ის ტოლია და მხოლოდ დარბინ-უოტსონის სტატისტიკაა ოდნავ დაბალი 1.7-ის რიგის.

აღნიშნული მოდელის სიზუსტეზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მისი ცდომილების დიაგრამაც (იხ. ნახ. 7).

რაც შეეხება (2) მოდელიდან მიღებულ პროგნოზულ შეფასებებს 2016-2018 წლებისათვის, ის მოცემულია ცხრილში 1, ხოლო ჩვენთვის საინტერესო მაჩვენებლის დინამიკა ამ პროგნოზული შეფასებების გათვალისწინებით, ნაჩვენებია ნახ. 8-ზე.



ნახ.7. (2) მოდელის ცდომილების დიაგრამა



ნახ. 8. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მაჩვენებლის - „გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ნაზრდზე“, დინამიკა და პროგნოზული შეფასებები 2016-2018 წლებისათვის

როგორც ვხედავთ, ამ პროგნოზული შეფასებებიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო ამ მაჩვენებლის გარკვეული კლება 2018 წლისათვის, ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ 2017 წლიდან, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, მოგების გადასახადზე უნდა დაინერგოს ე.წ. ესტონური მოდელი, 2017 წლიდან მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის მოცულობის მნიშვნელოვანი (ესტონურმი გამოცდილებიდან გამომდინარე, პირველ ორ წელიწადში დაახლოებით 50 %-ის ფარგლებში), კლება რასაც მომდევნო წლებში მისი მნიშვნელოვანი ამაღლება უნდა მოჰყვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბელაია ა. საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდიკის შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში – "გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში" თბილისი, 2002, (ტომი VI), გვ. 178-193.
2. გაბელაია ა. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები: გეგმები და შესრულება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში – "გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში" თბილისი, 2005, (ტომი VIII), გვ. 205-213.
3. გაბელაია ა. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საბაზო მოდელი და პროგნოზირების პრობლემა. თეუსუ-ს ჟურნალი "კომერსანტი", თბილისი, 2007, #2, გვ. 47-55.
4. V. Su. Economic Fluctuations and Forecasting. HarperCollins College. PubliShers. 1996, 594 p.

The Problem of Forecasting Consolidated Budget Revenues of Georgia

A. Gabelaia
L. Gabelaia

Summary

The analysis of dynamics of consolidated budget own revenues of Georgia for 2002-2015 is carried out. The corresponding basic models are received and on the basis of these models projections of these indicators for 2016-2018 are found. Influence of introduction of Estonian model on these indicators is estimated.

Key words: *Budget own revenues, basic models, forecast estimations.*

გრაფიკული ილუსტრაციები კატასტროფების თეორიისთვის

აკაკი გაბელაია,
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლევან გაბელაია,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

როგორც ცნობილია, ეკონომიკაში, კერძოდ ფინანსების სფეროში, საკმაოდ ხშირად გვხვდება კრიზისული მოვლენები, როცა გარკვეული (ე.წ. მმართველი) ცვლადების (პარამეტრების) მცირე რაოდენობრივმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ჩვენთვის საინტერესო მაჩვენებელთა ქცევის მოულოდნელი, ნახტომისებური ცვლილებები. სწორედ ასეთი ცვლილებები აღიწერება მათემატიკურად ე.წ. კატასტროფების თეორიით.

*მოცემული ნაშრომი შეიცავს, ჩვენ მიერ აგებულ, კატასტროფის ტიპის დამოკიდებულებათა გრაფიკული ილუსტრაციების პირველ ნაწილს, ცნობილი კომპიუტერული სისტემის **Matlab**-ის („მატრიცული ლაბორატორიის“) ბაზაზე, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:*

საკვანძო სიტყვები: *კატასტროფის პოტენციალური ზედაპირი, კატასტროფის მრუდი, კრიტიკული წერტილები, მმართველი პარამეტრები.*

1.„ნაკეცის“ ტიპის კატასტროფის პოტენციალური ზედაპირის აგება

ავაგოთ „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფის პოტენციალური ზედაპირის (იხ. [1,2]), ე.ი.

$$V_a(x)=(1/3)x^3+a*x$$

ფუნქციის გრაფიკი. გვექნება (იხ. ნახ.1):

```
>> [a,x]=meshgrid(-10:0.5:10);
>> v=0.3333*x.^3+a.*x;
>> surf(a,x,v);
>> hold on;
>> xlabel('a');
>> ylabel('x');
>> zlabel('v');
>> hold off
```

2. „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფის მრუდის აგება

ავიღოთ ამოსავალი (პოტენციალური)

$$V_a(x)=(1/3)x^3+a*x$$

(იხ. მაგ. [1]) ფუნქცია და მასში ჩავსვათ,

$$\frac{dV_a}{dx} = x^2 + a = 0$$



ნახ. 1. პოტენციალური ზედაპირი „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფისთვის

განტოლებიდან ნაპოვნი a-ს მნიშვნელობა $a=-x^2$.

ასე რომ, კატასტროფის წირის ასაგებად გვჭირდება $(a,x)=(-x^2,x)$ ფუნქციის გრაფიკი. გვექნება (იხ. ნახ. 2):

```
>> x=-10:0.5:10;
>> a=-x.^2;
>> plot(a,x);
>> hold on;
>> xlabel('a');
>> ylabel('x');
>> hold off
```



ნახ. 2. კატასტროფის მრუდი „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფისთვის

3. პოტენციური ფუნქციის მნიშვნელობების დამოკიდებულების გრაფიკის აგება კრიტიკული წერტილების მნიშვნელობებისგან, „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფის შემთხვევაში

ავიღოთ ამოსავალი (პოტენციალური) ფუნქცია

$$V_a(x)=(1/3)x^3+ax,$$

და მასში ჩავსვათ,

$$\frac{dV_{ab}}{dx} = x^2 + a = 0,$$

განტოლებიდან ნაპოვნი a-ს მნიშვნელობა $a=-x^2$. გვექნება

$$W(x)= (1/3)x^3-x^3=-(2/3)x^3,$$

სადაც x უკვე კრიტიკული წერტილების კოორდინატებია, W(x) კი ამოსავალი (პოტენციალური) ფუნქციის შესაბამისი მნიშვნელობები.

ავაგოთ ამ ფუნქციის გრაფიკი Matlab-ის ბაზაზე. გვექნება (იხ. ნახ.3):

```
>> x=-10:0.5:10;
>> w=-(0.6667)*x.^3;
>> plot(x,w);
>> hold on;
>> xlabel('x');
>> ylabel('w');
>> hold off
```



ნახ. 3. პოტენციური ფუნქციის მნიშვნელობების დამოკიდებულების გრაფიკი მმართველი პარამეტრისა და შესაბამისი კრიტიკული წერტილების მნიშვნელობებისგან, „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფის შემთხვევაში

4. პოტენციური ზედაპირის გრაფიკის აგება ორპარამეტრიანი ფუნქციების იზოლირებული („ნაკეცის“ ტიპის) განსაკუთრებული წერტილის მახლობლობაში

ავაგოთ პოტენციალური ზედაპირი ორპარამეტრიანი ფუნქციების იზოლირებული („ნაკეცის“ ტიპის) განსაკუთრებული წერტილის მახლობლობაში (იხ. [1]).

ე.ი. ავაგოთ:

$$f=u^3+ t_2u^2+ t_1 u$$

ფუნქციის გრაფიკი (იხ. ნახ. 4):

```
>> [t1,t2]=meshgrid(-10:0.5:10);
>> u=rand(size(t1));
>> f=u.^3+t2.*u^2+t1.*u;
>> surf(t1,t2,f);
>> hold on;
>> xlabel('t1');
>> ylabel('t2');
>> zlabel('f');
>> hold off
```



ნახ. 4. პოტენციური ზედაპირი ორპარამეტრიანი ფუნქციების იზოლირებული („ნაკეცის“ ტიპის) განსაკუთრებული წერტილის მახლობლობაში

5. (p,q,r) წერტილების u და t_2 პარამეტრებისგან დამოკიდებულების გრაფიკის აგება „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფისთვის

ე.ი. ავაგოთ (p,q,r)=($6u^2+t_2$, 4u, 1) წერტილების გრაფიკი u და t_2 პარამეტრების ცვლილებისას (იხ. [1], გვ. 149). გვექნება (იხ. ნახ. 5):

```
>> [u,t2]=meshgrid(-10:0.5:10);
>> r=ones(size(u));
>> p=6.*u.^2+t2;
>> q=4.*u;
>> surf(p,q,r)
>> hold on;
>> xlabel('p');
>> ylabel('q');
>> zlabel('r');
>> hold off
```



ნახ. 5. (p,q,r) წერტილების u და t_2 პარამეტრებისგან დამოკიდებულების გრაფიკი „ნაკეცის“ ტიპის კატასტროფისთვის

6. „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფის ზედაპირის აგება

როგორც ცნობილია (იხ მაგ. [1]), „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფის პოტენციური ფუნქცია მოიცემა:

$$V_{ab}(x)=0.25x^4+0.5x^2+bx$$

ფორმულით, ხოლო მისი „კატასტროფის ზედაპირი“ აღიწერება განტოლებით:

$$\frac{dV_{ab}}{dx} = x^3 + ax + b = 0.$$

(საიდანაც, ცხადია, $b=-x^3-ax$).

ავაგოთ ამ ზედაპირის გრაფიკი Matlab-ის ბაზაზე. გვექნება (იხ. ნახ. 6):

```
>> [a,x]=meshgrid(-10:0.5:10);
>> b=-x.^3-a.*x;
>> surf(b,a,x);
>> hold on;
>> xlabel('b');
>> ylabel('a');
>> zlabel('x');
>> hold off
```



ნახ. 6. „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფის ზედაპირი

7. “ხაზოვანი ზედაპირის” აგება „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფისთვის

ავაგოთ, ახლა, ე.წ. “ხაზოვანი ზედაპირი” (წირების ბაზაზე აგებული ზედაპირი (იხ. [1]), „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფისთვის. გვექნება (იხ. ნახ. 7):

```
>> for x=-10:0.5:10;
>> for a=-100:100;
>> b=-x.^3-a.*x;
>> plot(b,a)
>> hold on
>> end
>> end
>> hold on;
>> xlabel('b');
>> ylabel('a');
>> hold off
```

8. პოტენციური ზედაპირის აგება „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფისთვის

ავაგოთ:

$$V_{ab}(x)=0.25x^4+0.5x^2+bx$$

ფუნქციის გრაფიკი. გვექნება (იხ. ნახ. 8):

```
>> [a,b]=meshgrid(-10:0.5:10);
>> x=rand(size(a));
>> v=0.25*x.^4+0.5*a.*x.^2+b.*x;
>> surf(a,b,v);
>> hold on;
>> xlabel('a');
>> ylabel('b');
>> zlabel('v');
>> hold off
```



ნახ. 7. “ხაზოვანი ზედაპირი” „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფისთვის



ნახ. 8. პოტენციური ზედაპირი „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფისთვის

9. „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფების პოტენციალური ზედაპირის აგება b=0 შემთხვევაში (სტრუქტურული არამდგრადობის შემთხვევა)

ავაგოთ:

$$W_{ab}(x)=0.25x^4+0.5ax^2$$

ფუნქციის გრაფიკი (იხ. ნახ. 9):

```
>> [a,x]=meshgrid(-10:0.5:10);
>> w=0.25*x.^4+0.5*a.*x.*2;
>> surf(a,x,w);
>> hold on;
>> xlabel('a');
>> ylabel('x');
>> zlabel('w');
>> hold off
```



ნახ. 9. პოტენციური ზედაპირი „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფისთვის b=0 შემთხვევაში (სტრუქტურული არამდგრადობის შემთხვევა)

10. პოტენციური ფუნქციის მნიშვნელობების დამოკიდებულების გრაფიკის აგება მმართველი პარამეტრისა და შესაბამისი კრიტიკული წერტილების მნიშვნელობებისგან, „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფების შემთხვევაში

ავაგოთ პოტენციური ფუნქციის მნიშვნელობების დამოკიდებულების გრაფიკი მმართველი a პარამეტრისა და შესაბამისი კრიტიკული წერტილების x(a) მნიშვნელობებისგან, „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფის შემთხვევაში.

ავიღოთ ამოსავალი (პოტენციალური) ფუნქცია:

$$V_{ab}(x)=0.25x^4+0.5x^2+bx,$$

და მასში ჩავსვათ,

$$\frac{dV_{ab}}{dx} = x^3 + ax + b = 0\,,$$

განტოლებიდან ნაპოვნი b-ს მნიშვნელობა $b=-x^3-ax$. გვექნება

$$W_a(x)= 0.25x^4+0.5x^2-(x^3+ax)x=-0,75x^4-0.5ax^2,$$

სადაც x უკვე კრიტიკული წერტილების კოორდინატებია, $W_a(x)$ კი ამოსავალი (პოტენციური) ფუნქციის შესაბამისი მნიშვნელობები.

ავაგოთ ამ ფუნქციის გრაფიკი Matlab-ის ბაზაზე. გვექნება (იხ. ნახ. 10):

```
>> [a,x]=meshgrid(-10:0.5:10);
>> w=-0.75*x.^4-0.5*a.*x.*2;
>> surf(a,x,w);
>> hold on;
>> xlabel('a');
>> ylabel('x');
>> zlabel('w');
>> hold off
```



ნახ. 10. პოტენციური ფუნქციის მნიშვნელობების დამოკიდებულების გრაფიკი მმართველი a პარამეტრისა და შესაბამისი კრიტიკული წერტილების x(a) მნიშვნელობებისგან, „ნაოჭის“ ტიპის კატასტროფის შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Тим Постон, Иен Стюарт.Теория катастроф и ее приложения. Изд. «Мир», Москва, 1980, 607 с.
2. Joel.W. Robbin. Thom's Catastrophe Theoty and Zeeman's model of the Stock Market. Chaos and complexity Seminar, Febr. 19, 2013, 45 p.

Graphic Illustrations of the Catastrophe Theory

A. Gabelaia
L. Gabelaia

Summary

It is known that in economy, in particular in finance, the crisis phenomena, when small changes certain (control) variable (parameters) can cause sudden, spasmodic changes in behavior of indicators interesting to us, rather often meet. Such changes are described by the catastrophe theory.

This work contains the first part of the graphic illustrations of catastrophe type dependences, constructed by authors on the basis of use of known computer system Matlab.

Key words: *Potential surface of catastrophe, catastrophe curve, critical points, control parameters.*

COMMUNICATION IN INSURANCE - BENEFITS FOR ROMANIAN CLIENTS. PRACTICAL POINT OF VIEW.

Marius Dan Gavriletea,
Assoc. Prof., Ph.D Babes-Bolyai University,
Business Faculty, ClujNapoca, Romania

ABSTRACT:
Communication in insurance became a very important managerial tool available to the insurance companies. Communication existed all the time in insurance industry, but nowadays the modality has been changed, there is an increasing importance of the online communication and also for personal/individual meetings. During this paper we will emphasize different issues that both Romanian insurance companies and clients are facing with. Following practical examples we will reach conclusions and make recommendation that need to be followed by interested parts from the insurance market in Romania and not only.

Keywords:Communication, Insurance, Selling Process, Online

1. INTRODUCTION

Insurance market in Romania is a very dynamic one, in the last years there has been important changes in all areas. We need to mention the spectacular bankruptcy of former leader of the market –Romanian Insurer ASTRA and also CARPATICA. Because of this, Romanian Financial Supervisory Authority took different measures in order to increase the level of protection for insurance companies' clients. There is one interesting thing to mention, both these two insurance companies had a very detailed structure of branches and subsidiaries in Romania and they had Romanian capital/majority ownership.

This may be judged in two different ways:

- Errors in management, middle term wrong strategies because of managerial incompetence that wanted a higher market share using low prices policies (finally because of huge number of claims insurance companies were not able to pay for them). Or,

- The interests of European large insurers to have a Romanian insurance market without Romanian actors, this way they can impose their "globalization" strategies

Among these measures imposed by Financial Supervisory Authority we mention the fact that insurance companies need to inform potential clients about many things before signing a contract. Of course, communication is mandatory also for ongoing contracts, in order clients to know about their existing situation.

2. COMMUNICATION IN INSURANCE: REASONS AND STRATEGIES

Analyzing the communication used by insurance companies, we may conclude that there is a need for a continuous communication. The first and most important is the communication used through different marketing strategies in order to inform the clients about the existing products, existing offers.
Once the clients realized the risks they are exposed to, they will be aware of the option of being protected against them by buying insurance coverages. Then it follows initial contact with insurance agents.

2.1 Role of Insurance Agents in Communication with clients

Insurance agents have a very important role in communication process, as most of the times they provide the information clients need. Information provided need to be correctly and orientated for the client. Unfortunately not all the time this principle is strictly followed.

We will provide an example of intentional unfair informing of the client. A client has a vehicle and would like to have a facultative motor own damages insurance. He get in touch by phone with an insurance agent – agent that has been recommended by a friend. Insurance agent find out the risks that the client is exposed to and make an offer for full coverage for an insurance premium of Euro 1,280. In that moment, the client think that the price is quite high, especially because of the commission that insurance agent will receive it, and is included in the offer.

Following this judgement, the client decide to go at insurance company office, where to ask for an offer – assuming that there the insurance product will be free of commission. There is wrong, because no matter where an insurance product is sold the person/agent will receive the same level of commission. Here, the client does not make any comments about the fact that he already received an offer. The second insurance agent, introduce in insurance company' electronic offering system the details related to the vehicle. In this moment, the system notify the agent that there has already been generated an offer. In this moment the insurance agent check in the system the existing offer and is informed about the price of Euro 1,280.

Having access to the price and the conditions of the previous offer, the judgment of the second insurance agent is very simple: offering the same as the first agent, there is a risk that the client to choose the initial. Second agent, offered a lower coverage – discounted 10% because he did not add a special clause (reparation of the vehicle only in official garage of the dealer). In this case any loss to the vehicle will be repaired within partners' garages.

Then client bought the contract with the second agent because it was cheaper. There we need to mention two aspects:

- Unethical behavior of the second insurance agent, deciding to offer less coverage for the insurance without communication this fact to the client

- The biggest mistake belonged to the client. Once he had the second offer, he should have compared both of them and to see were the difference are coming from

Indeed, the client suffered a negative experience once he had a damage to the car. Once loss occurred, he did not agree that the vehicle to be repaired at partners instead of official dealer. He mentioned that he was not informed by insurance agent, but once he signed the contract it is assumed that he did acknowledge all the terms.

Following this study case we can see the importance of fair and ethic communication during insurance selling process. In order to avoid delicate situations we strongly recommend that clients to have the buying decisions in more steps, after consulting carefully contractual terms (especially in case of life insurance contracts that are for a long period). In this way, even if the insurance agent omit or do not want to offer whole information, the client may come up with comments related to the offer. And once asked, the insurance agent will inform.

Being a commissionable service, insurances are sold by different types of intermediaries and as known human behavior is quite complicated especially when is about money. All insurance agents need to follow courses and pass official exams help by Insurance Management Institute. Within the courses they learn about the ethical aspects needed in the market, but later in the market they follow other principles. And this fact is not good for insurance companies they are representing. Anyway, they will not have a success in the market (but for a very short time) because of their attitude.

The successful insurance agents will be the ones that provide all type of details to the client and follow a professional way of communication/behavior.

2.2 Role of Management in Communication with clients

Management of insurance companies need to pay a special attention to the communication process. All actions need to be driven for the client and its satisfaction. Following correct attitude in communication, the return from these actions will be favorable for both increasing of incomes and also for the clients' satisfaction as they will recommend the insurance companies for professionalism.

Insurance companies invest a lot in their representatives in the market – insurance agents and insurance brokers – by offering periodic trainings with specialists in communication. This way agents and brokers will have continuous access to the last trends and techniques/strategies.

Insurance companies are aware of the fact that not all insurance agents are of high quality and moral values and they try to avoid unethical behaviors in communication. They follow some distinct strategies:

- They are sending “false” potential clients at different meetings with insurance agents. They are testing insurance agents in order to see how they represent insurance companies interests by offering qualitative information, honest details and how the communicate during these meetings – starting with body language communication, dress code communication and ending with insurance specific terms of the potential insurance contract

- They are calling randomly different clients to see how their experience with insurance agents was or is. There are questions related to the quality of the agent, if his behavior is professional, if the agent has strong knowledges about insurance products, if the client received details for eventually supplementary coverings.

- In life insurance industry the communication process is totally different as we talk about long term period. In the moment of contracting such an insurance, insurance company use a period up to 30 days to subscribe the contract. Before this, right after the client signed the request form and after payment of the first installment, the request is analyzed by insurance company. Meantime, an externalized company always call the client in order to see: if indeed all his details are as mentioned in the form, if he is aware of the insurance product that is buying, if the insurance agent explained all details/risks insured and others. This way insurance agent communication is doubled by the communication of this second person.

Sometimes clients are not enjoying these phone calls tests because in that moment they are becoming suspicious that the agent could have made a mistake/fraud. The communication from this level with clients must be explained them as a quality necessity in order to see the satisfaction of the client.

Another aspect related to communication refers to the way that management of insurance companies decide to inform insured clients about deadlines for their insurance installments and also in case of ending a contract.

In the printed contract, at general terms there is a mention very important for the way communication between parts – insurance companies is not responsible to remind the clients about their due payments and their terms (as they are written on the main page of the insurance contract) , the entire responsibility id on client behalf.

Even if these are mentioned in the contract, insurance companies are using different strategies to communicate their clients the due dates for instalments and expiring dates:

- Communication by regular mail –insurance companies are sending periodically mailing of the invoices related to the future instalments – in this way they inform the deadline for payment, in order to coverage for the insured risks to be maintained

- Communication by sms – clients receive the details for the next payment: amount, due date and a reference number for identification. In this way, the client is notified and from that moment on he is aware of the payment

- Communication by email – clients receive the electronic invoice – with similar details as printed version send by regular mail

- Meantime, insurance agents call them in order to inform about the deadline of the contractual installment

The reasons insurance companies are communicating and notifying the clients are very simple:

- This is how the insurance industry works and how is supposed to work

- Clients may forget about the installments, and if they do not pay the coverage from insurance

- companies are stopped, and in case of loss there will be no reimbursement

- Insurance companies will maintain their expect incomes as a part of cash-flow

- Insurance agents are paid with commission only when the clients pay

Moreover, communication is very important in the moment when the existing insurance contract is about to expire. Clients may not know exactly or may forget the day when an insurance contract ends. In this way they need to be informed about the ending of the contract, and asked about continuation of the contract offering the new price.

As already stated in case of installments, the reasons of communication with the clients are the same in case of renewal of the contract too.

2.3 Role of Loss/Claims Department in Communication with clients

As it is worldwide assumed, an insurance contract is a promise made by insurance company that if the client pays an insurance premium for a specific coverage, insurance company will pay losses occurred from insured risks. And, unfortunately risks occurs and losses need to be compensated by insurance companies.

In this way, we identify new way of communication in insurance – related to loss procedures. Clients need to be informed about theirs option to inform the insurance companies about the occurrence of an insured risks.

Insurance companies developed different ways of communication for the clients in case of an insured event. They set up call centers that receive initial complain of a client related to the loss. Later, based on this loss agents are contacting the client in order to complete the process of a loss file. The call center operators need have very good communication skills as they always deal with clients that suffered a prejudice and in that moment they are waiting for insurance companies to solve their problem for what they have been insured for.

Also, insurance companies offer to the client the option to communicate online in order to inform about the occurrence of a prejudice. In this way, clients need to access online the loss compensation e-platform of the insurance company – here they provide the same information as provided in case of a phone call to a call center. Once details about losses are included, the procedure is similar – they will be contacted by loss department agents.

Loss department agents need to cooperate close with clients and communicate with them in order to offer a fast and correct compensation for the loss. Sometimes, this communication has different limits and there are cases of malfunctioning of the process. In this case, clients have the option to make official complains to insurance companies, and in case of no or negative reply, clients may contact Romanian Financial Supervisory Authority with an official complain. Later this authority contact the insurance companies and the loss files will be solved. Of course, not all complains made by clients are reasonable or fair.

Romanian Financial Supervisory Authority imposed insurance companies to include on their official websites, in the very first moment of opening – a situation of existing petitions received by the insurance company in the last three months, from the beginning of the year and from the last year. These petitions are split in petitions favorable solved for the client and for the insurance company.

In this way, communicated these official facts, clients of an existing insurance company or potential clients will be informed about the quality of loss compensation process. They will have an idea of how the insurance company may treat them during a compensation file for an insured loss.

3. CONCLUSION

Communication is very important nowadays in entire insurance industry. And is changing all the time for the client needs. Insurance companies that will invest in communication process and will increase its quality will be the successful ones.

Also, even with all trainings, help and efforts of the insurance companies, insurance agents and insurance brokers need to have their own communication skills developed by themselves. The agents that will follow all recommended steps, together with their own experience related to quality of communication will be the ones that will stay in the market and will increase their revenues by insurance selling process.

REFERENCES:

BenteCorneliu, A.B.F. Maria - Valuation and Reserving Tehnique in the General Insurance, Contemporary Legal and Economic Issues III, 2011

Danuletiu Dan C., Danuletiu Adina E. – Asigurarisireasigurari, Ed. Aeternitas, Alba Iulia, 2010

Dionne, G. (2013). Handbook of Insurance, 2nd edition. New York. Springer

DorfmannS.M.,Cather D. (2013). Introduction to Risk Management and Insurance. 10th. USA. Pearson

Flitner. A, Trupin J. – Commercial Insurance – 1st Edition, American Institute for Chartered Property Casualty Underwriters, USA, 2004

Gupta P. (2009). Principles and practice of non life insurance (Rev. ed.). Mumbai, India. Himalaya Pub. House

Phillips, J., & Chippendale, S. (2002). Who pays for car accidents?: The fault versus no-fault insurance debate. Washington. D.C.: Georgetown University Press

Rausand M., (2011) - Risk Assessment – Theory, Methods and Applications. N.J. J. Wiley & Sons

Richaudeau, D. (1999): .Automobile insurance contracts and risk of accident: An Empirical Test Using French Individual Data., The Geneva Papers on Risk and Insurance Theory, 24, 97-114

Williams C.A., Richard M. Heins, Risk Management and Insurance, McGraw-Hill Book Company, Fifth Edition, 1985

http://www.asfromania.ro/en/

http://unsar.ro/en

http://consumerprotection.ro/wp-content/uploads/2015/03/11%20ASF%20-%20PrezBun-CalinRANGU.pdf

www.csa-isc.ro/en

www.unsar.ro/en

http://www.mediafax.ro/social/allianz-astra-city-insurance-euroins-si-generali-au-redus-tarifele-rca-pentru-soferii-sub-25-ani-13884163

ფინანსური დაგეგმარება, როგორც კომპანიების კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი

თამარ გამსახურდია,
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,

ქეთევან მაისურაძე,
ასისტენტ პროფესორი,

იოსებ ბატიაშვილი,
დოქტორანტი,
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა ჩამოგვეყალიბებინა ჩვენს კორპორატიულ ბაზარზე ფინანსურ დაგეგმვის საკითხებში არსებული ძირითადი ნაკლოვანებები: ყოველდღიური პრობლემების მოგვარებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე გრძელვადიანი განვითარების გეგმის შედგენას; ფინანსური გეგმის შედგენაში მონაწილეობს მხოლოდ მაღალი რგოლის მენეჯერები; ეკონომიკური დოკუმენტების უმეტესობა გამოუდეგარია ანალიზისთვის; ეკონომიკური გეგმა არ აისხება ფინანსურ გეგმაში, შედეგად არ ხდება გამოთვლა, თუ რამდენი რესურსი სჭირდება კომპანიას.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური დაგეგმვა და პროგნოზირება, კომპანიის ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგება, კომპანიის რესურსები.*

მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსურ დაგეგმარებას, რომელიც შეიძლება განხილული იქნეს როგორც მიღებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული მმართველობითი გადაწყვეტილების მოსამზადებელი პროცესი. დაგეგმარება მოიცავს მიზნების არჩევას და ამ მიზნების მიღწევის ალტერნატიულ გზებს,რაც უნდა ითვალისწინებდეს სოციალურ-ეკონომიკურ, მეთოდოლოგიურ და შიგა ფაქტორებს. ვიწრო გაგებით, ფინანსური დაგეგმარება ეს არის ფინანსური გეგმები, რომელიც მოიცავს საწარმოს საინვესტიციო და ფინანსურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საწარმოს ფინანსური რესურსების სწორი გამოყენებისა და მისი მიზნების მიღწევისკენ.

პერიოდის მიხედვით, გამოყოფენ მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ დაგეგმარებას, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ურთიერთს. მათი შედგენა ხდება გარე და შიგა გარემოს ანალიზის საფუძველზე., ხოლო პროგნოზირება გამოიყენება უმეტესწილად გრძელვადიანი დაგეგმარების დროს.ასეთ კლასიფიკაციას გააჩნია შეზღუდვა: მოკლევადიანი პრობლემები შეიძლება შეიძინონ სტრატეგიული მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, მიმდინარე ვალდებულებებთან დაკავშირებულ პრობლემებს შეიძლება ჰქონდეს ფუნდამენტალური მნიშვნელობა, რადგან შეუძლია დააყენოს საკითხი საწარმოს არსებობის თაობაზე.

მოკლევადიანი დაგეგმარების მთავარ მიზანს წარმოადგენს საწარმოს ლიკვიდობის შენარჩუნება, ანუ მასზე დაკისრებული ფინანსური მოვალეობების დროულად შესრულების უნარის შენარჩუნება [6].

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებასბალანსსა და სხვა ფინანსური ანგარიშგების ფორმებზე დაყრდნობით. შესაძლებელია შიგა და გარე ანალიზის განხორციელება. ამასთან, შიგა ხორციელდება საწარმოს თანამშრომლების მიერ, გარე კი მოწვეული აუდიტის დახმარებით. ეს ანალიზი უმეტესწილად ემსახურება შემოდინებული და გადინებული ფულადი რესურსების შესაფასებას, რაც მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის განსაზრვრის უცილობელი პირობაა [5].

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ბლოკები

ნახაზი 1

მოკლევადიანი ფინანსური დაგეგმარება, განსხვავებით გრძელვადიანი პოლიტიკისგან, არ მოიცავს საწარმოს მთლიან სასიცოცხლო ციკლს, არამედ მოიცავს მოკლე პერიოდს, ის ასევე შეიძლება ჩაითვალოს გრძელვადიანი დაგეგმარების ნაწილად. ის გამოიყენება საწარმოს მიმდინარე საქმიანობის დასაგეგმად და მიმდინარე რესურსების გამოსაყენებლად, ძირითადად ეყრდნობა ბალანსის უწყისს და მართავს მხოლოდ საოპერაციო ფულად ნაკადებს, ანუ იმ ნაკადებს, რომელიც მიღებულია სამეწარმეო საქმიანობიდან.

მიმდინარე კრიზისების ფონზე გრძელვადიანმა დაგეგმარებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა განსაკუთრებით კი აშშ-ის კორპორაციის “Enron” - ის გაკოტრების შემდეგ, რომლის ერთ - ერთი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ არ ხდებოდა გრძელვადიანი დაგეგმარება და ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ მოკლევადიან გეგმებს [4].

გრძელვადიანი დაგეგმარების პროცესის დაწყებამდე გასავლელია შემდეგი ეტაპები: ეკონომიკური პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმარება. სტრატეგიული გეგმა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მასშია ასახული საწარმოს გრძელვადიანი მიზანი. ამ მიზნის შესრულების ვადები კი დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობის სფეროზე [3].

გრძელვადიანი ფინანსური გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილებია: საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ფინანსური ანგარიშგებების შესწავლის საფუძველზე; რეალიზაციის მოცულობის განსაზღვრა; ფულადი რესურსების ბიუჯეტი; საინვესტიციო პოლიტიკა; ფინანსური ანგარიშგების საპროგნოზო ვარიანტების შედგენა; გარე დაფინანსების გეგმა [1].

გრძელვადიანი ფინანსური გეგმის შედგენა განსხვავებულია დიდი კორპორაციებისა და მცირე საწარმოებისთვის, აშშ-ში დიდი კორპორაციები ძირითადად ადგენენ გეგმას ფისკალური წლის ბოლოს და იშვიათად ცვლიან მას, მცირე საწარმოები კი, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება, ცვლიან მას მთელი წლის განმავლობაში, შეცდომის დაშვების შიშით. აშშ-ში გრძელვადიან გეგმას ხშირად აიგივებენ ბიუჯეტირებასთან, ფინანსური დაგეგმარების ერთ - ერთ მეთოდთან.

არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიები დიდ დროს უთმობენ გრძელვადიანი გეგმის შედგენას და მაჩვენებლების პროგნოზირებას, ქვემოთ მოყვანილი დიაგრამაშინაჩვენებია რამდენ დროს ხარჯავენ ამერიკული კომპანიები ფინანსური გეგმის შედგენაზე [2].

რამდენი დრო სჭირდება კომპანიას ფინანსური გეგმის შედგენისთვის

დიაგრამა 1



ამ დიაგრამიდან ჩანს, რომ ფინანსური დაგეგმარების პროცესი არის რთული და დიდ დროს მოითხოვს. კომპანიების 50% - ზე მეტს სჭირდება 2 - დან 4 თვემდე ფინანსური გეგმის შედგენისთვის და მხოლოდ 18% - ს ორ თვეზე ნაკლები.

ფინანსური გეგმის რამდენი პროცენტიარეალური

დიაგრამა 2



დიაგრამა 2-ის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ცოტა ფინანსური გეგმაა რეალური. შემდეგ დიაგრამაში (3) ასახულია ის მიზეზები, რითაც ეს არის გამოწვეული.

ფინანსური გეგმის არარეალურობაზე მოქმედი ფაქტორები

დიაგრამა 3



დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ კომპანიების წარუმატებლობა ფინანსური გეგმების შედგენაში გამოწვეულია გარე ფაქტორებით და სწრაფად ცვლებადი გარემოთი, ამიტომ, საჭიროა ფინანსური დაგეგმარების მეთოდების დახვეწა და მოდერნიზაცია. აუცილებელია ნაკლები ყურადღების მიქცევა პროგნოზირებისთვის და მეტი დროის დათმობა გარე ინფორმაციის მოსაპოვებისთვის იმისათვის, რომ მიღებული იქნეს რეალური და ზუსტი ინფორმაცია და რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს მოპოვებული ახალი ინფორმაცია.

საქართველოს კორპორატიული ბაზრის ანალიზისათვის ჩატარებული იქნა კვლევა შემდეგ კომპანიებში: სს „ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯია“; სს „საქართველოს რკინიგზა“; სს „ელიტ ელექტრონიქსი“; სს“სილქნეტი“; შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანია“; შპს „ყაზტრანსგაზ თბილისი“; სს „გუდვილი“;სს „საქართველოს ბანკი“; შპს „საქართველოს საპატრიარქო ტელევიზია ერთსულოვნება“; შპს „მაგთიკომი“.

ფინანსური დაგეგმარების რა ინსტრუმენტი გააჩნია თქვენ კომპანიას?

დიაგრამა4



ზევით წარმოდგენილი დიაგრამიდან ჩანს, რომ ყველა კომპანია იყენებს ფინანსური დაგეგმარების ინსტრუმენტებს, ყველაზე დიდი რაოდენობა - 45% იყენებს მხოლოდ ბიუჯეტირებას. აღსანიშნავია, რომ მარტო ბიუჯეტირება არ იძლევა კომპანიებისთვის საშუალებას მიაღწიონ თავის ფინანსურ მიზნებს.

დროის რა პერიოდზეა გათვლილი ფინანსური გეგმა და ბიუჯეტი

დიაგრამა 5



მე-5 დიაგრამიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანიების უმეტესობა, კერძოდ კი 46% - გეგმას და ბიუჯეტს ადგენს ერთი წლით, ანუ მათ აქვთ მხოლოდ მოკლევადიანი გეგმა, რაც არ მოიცავს კომპანიის განვითარების სტრატეგიას და მის გრძელვადიან გეგმებს.

რამდენად იყენებთ წინა წლების ანალიზს მომავალი პროგნოზებისთვის

დიაგრამა 6



ეს დიაგრამა კი მოწმობს, რომ კომპანიების 70% იყენებს წინა წლების მონაცემებს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, ანუ კომპანიების უმეტესობა აღიარებს პროგნოზირების მნიშვნელობას და მისთვის წინა წლების ანალიზის როლს.

რამდენად ხშირად ცვლით ბიუჯეტს/ფინანსურ გეგმას წლის განმავლობაში

დიაგრამა 7



დიაგრამიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული კომპანიების 63% არასდროს არ ცვლის თავის ფინანსურ გეგმასა თუ ბიუჯეტს, ეს ცუდი მაჩვენებელია, რადგან თანამედროვე პირობებში საკმაოდ სწრაფად იცვლება და საჭიროა კორექტივების შეტანა.

როდის ხდება ბიუჯეტი გამოუყენებელი თქვენი კომპანიისთვის

დიაგრამა 8



დიაგრამიდან ნათელია, რომ კომპანიების 33%-სმიაჩნია, რომ მათი ფინანსური გეგმა და ბიუჯეტი გამოსადეგია, თუმცა, კომპანიების უმეტესობისთვის ის ხდება გამოუსადეგარი ფისკალური წლის დამთავრებამდე და როგორც წინა დიაგრამაზე ჩანს, უმეტესობა არ ცვლის თავის ფინანსურ გეგმას, შედეგად, მას არ მოაქვს არანაირი სარგებელი მათთვის.

მმართველობის რომელი დონე მონაწილეობს ფინანსური გეგმის/ბიუჯეტის შედგენაში

დიაგრამა 9



კომპანიების უმეტესობაში მაღალი დონის მენეჯერები ადგენენ ფინანსურ გეგმასა და ბიუჯეტს, რაც ერთი მხრივ კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, არ უწყობს ხელს დელეგირებას და უფრო დაბალი რგოლის მენეჯერები არ არიან ჩახედული კომპანიის ფინანსურ გეგმასა თუ ბიუჯეტში.

საშუალოდ რამდენი თანამშრომელია ჩართული ფინანსური გეგმის/ბიუჯეტის შედგენაში

დიაგრამა 10



ამ დიაგრამიდან ჩანს, რომ კომპანიების უმეტესობაში ფინანსური გეგმისა და ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობს ერთიდან - ხუთამდე თანამშრომელი, რაც არ არის სწორი, რადგან გათვალისწინებულ უნდა იქნეს უფრო ბევრი კომპეტენტური თანამშრომლის აზრი, რომლებიც მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობაში.

საშუალოდ რამდენ თანამშრომელს აცნობთ თქვენ გეგმას

დიაგრამა 11



დიგრამა აჩვენებს, რომ შედგენილ ფინანსურ გეგმას და 57% იცნობს მხოლოდ ერთიდან - ათ თანამშრომელს, რაც საკმაოდ ცუდი შედეგია, რადგან იმისთვის, რომ მიზნები მიღწეული იყოს, ფინანსურ გეგმაში ჩახედული უნდა იყოს კომპანიის თანამშრომელბის უმეტესობა.

საშუალოდ რამდენი დრო სჭირდება კომპანიას ფინანსური გეგმის/ბიუჯეტის შედგენას

დიაგრამა 12



მე-12 დიაგრამის მიხედვით ფინანსური გეგმისა და ბიუჯეტის შედგენისთვის, კომპანიების უმეტესობასსჭირდება 1 თვე, რაც ძალიან მცირე პერიოდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო პრაქტიკით საჭიროა 2 - დან 6 თვემდე, ანუ ქართულ კომპანიებს არ აქვთ გაკეთებული ხარისხიანად ბიუჯეტი.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებლობა გვაქვს ჩამოვაყალიბოთ საქართველოს კორპორატიულ ბაზარზე ფინანსური დაგეგმვის საკითხებშიარსებული ძირითადი ნაკლოვანებები:კომპანიებმა არ იციან ბიუჯეტის და ფინანსური გეგმის სწორად შემუშავება; ყოველდღიური პრობლემების მოგვარებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე გრძელვადიანი განვითარების გეგმის შედგენას; ფინანსური გეგმის შედგენაში მონაწილეობენ მხოლოდ მაღალი რგოლის მენეჯერები დაარ ხდება უფლება-მოვალეობების დელეგირება; ფინანსური გეგმას მოკლე პერიოდში ადგენენ; ეკონომიკური დოკუმენტების უმეტესობა არახელსაყრელია ფინანსური ანალიზისთვის; დაგეგმარების პროცესი ტრადიციულად იწყება წარმოებიდან და არა კონკრეტულ პროდუქტზე მოთხოვნიდან ბაზარზე; დაგეგმარების დროს უფრო ხშირად ხდება ხარჯებიდან გამომდინარე ფასწარმოქმნა და არა ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან; არ ხდება ნულოვანი მოგების წერტილის გამოანგარიშება; ეკონომიკური გეგმა არ აისახება ფინანსურ გეგმაში, შედეგად არ ხდება გამოთვლა, თუ რამდენი რესურსი სჭირდება კომპანიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bodie, Z Kane, A. and Marcus, J. (2004): Essential of Investments. 5th Edition. New York, Irwin
2. Financial planning: Realizing the value of budgeting and forecasting (2014). PWC research “CFO Publishing LLC”
3. Fabozzi, F. J. and Markowitz, H. M. (2006): The Theory and Practice of Investment. London: Wiley
4. From Enron to the Financial Crisis, With Alan Greenspan in Between (2008) Robert Bryce. http://www.usnews.com/opinion/articles/2008/09/24/from-enron-to-the-financial-crisis-with-alan-greenspan-in-between
5. Graham, J.R., Harvey, C.R., and Rajgopal S. (2005), “The economic implications of corporate financial reporting”, Journal of Accounting and Economics, Vol. 40 (1-3)
6. Ross, S. WesterField, R. and Jordan, B. (2012): Fundamental of Corporate Finance. New York: Pearson – Patience

Financial Planning as a Significant Factor in the Growth of the Welfare of Companies

T. Gamsakhurdia
K. Maisuradze
I. Batiashvili

Summary

The financial planning is crucial for sustainable economic development. The study made it possible to build major disadvantages in the financial planning on the corporate market: To solve problems of daily life much more responsive than the long-term development plan; Only the high-level managers take part to prepare the financial plan; Most of the documents are enable for using for economic analysis; The economic plan is not reflected in the financial plan, the result is that impossible to calculate amount of reassures that the company needs.

Keywords: *financial planning and forecasting, Company budget, Financial statements, Company resources.*

გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველო

მადონა გელაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაცია, როგორც ზეეროვნული საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი, დადებით ტენდენციებთან ერთად ნეგატიურსაც შეიცავს. თუმცა გამოსავალი, როგორც ყველგან, აქაც არსებობს - გავხადოთ გლობალიზაცია ჰუმანური. ის არ უნდა იყოს დამანგრეველი ძალა განვითარებადი ქვეყნებისათვის. გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების ბუნებრივი, თანმხლები პროცესია. ყველა პროგნოზით, მომავალში ის კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება. ამიტომ, უგუნურება იქნება, წინ აღვუდგეთ ამ ყოვლისმომცველ პროცესს. თუ ძლიერია ჩვენი კულტურა, მისადმი გააზრებული დამოკიდებულება, გლობალიზაცია მისთვის უფრო სიკეთის მომტანი უნდა გავხადოთ, ვიდრე საფრთხის.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, სავაჭრო ურთიერთობები, ექსპორტი, იმპორტი, საინვესტიციო პოლიტიკა.*

როცა ვმსჯელობთ გლობალიზაციის პროცესში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა არც თუ ისე დიდია, თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე საკმაოდ დაბალია, ნათელი ხდება, რომ ისედაც შეზღუდული ტევადობის ბაზარი კიდევ უფრო მცირდება, ვიწროვდება. ბაზარი შეიძლება გავაფართოვოთ მრავალი საშუალებით, მაგრამ თუ მას გავაფართოვებთ მხოლოდ შიგა ბაზრის დახმარებით, შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იქნება. გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიგა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს საქონლის გასაღების ბაზარი. თუკი საქართველოს ბაზარი გაფართოვდება გლობალიზაციის შედეგად, ეს მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ საქართველოს შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოსაც არა აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოებისა თუ მომსახურების სფეროში, გლობალიზაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. თუ განვიხილავთ საქართველოში უცხოური ინვესტიციების სტრუქტურას, ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში იზრდება იმ ქვეყნების ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ლიდერის მდგომარეობას განსაზღვრავს.

ამასთან, არსებობს სერიოზული საშიშროებაც, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებით, ჩვენ ეტაპობრივად უნდა შევამციროთ საბაჟო გადასახადი. ე.ი. გავაუქმოთ სავაჭრო ბარიერები, ამის შედეგად უცხოური საქონელი გაავსებს საქართველოს ბაზარს და ჩაახშობს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არიან აღჭურვილი უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება, აქედან გამომდინარე დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას. გლობალიზაციის უარყოფითი შედეგია ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესში მონაწილეობენ არა მარტო პროგრესული ეკონომიკური ძალები, არამედ რეაქციული, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციებიც. მაფიოზური ქსელი ვრცელდება მთელ მსოფლიოზე და მისი გავლენისაგან არც საქართველოა დაზღვეული. [3, გვ. 21]

შესაძლებელია კიდევ ვიმსჯელოთ გლობალიზაციის ბევრ სხვა უარყოფით მხარეზე, მაგალითად ისეთებზე, როგორიცაა: მდიდარი და ღარიბი ქვეყნების განვითარების დონეებს შორის განსხვავების ზრდა, კონფლიქტი სხვადასხვა კულტურას შორის, დიდი სახელმწიფოების (იმპერიების) დაცემა და სხვ.,

მაგრამ მთავარია ის, რომ გლობალიზაციის პროცესი ახდენს არა მხოლოდ აბსოლუტურად დადებით, არამედ უარყოფით ზემოქმედებასაც კაცობრიობის განვითარებაზე მთლიანობაში და ინდივიდუალურად თითოეული ქვეყნისათვის. სახელმწიფოთა ალტერნატივად გვევლინება ქვეყნების აქტიური მონაწილეობა ეკონომიკურ გლობალიზაციაში. ის, თუ რამდენად მომგებიანი ან წამგებიანი იქნება თითოეული ქვეყნისათვის მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრიანება, დიდწილად დამოკიდებულია მის პოლიტიკაზე. მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონივრული, აწონდაწონილი, წინასწარ ღრმად გააზრებული პოლიტიკა დაეხმარება ამა თუ იმ ქვეყანას დიდი წარმატებების მიღწევაში.

მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება საქართველოს დარი პატარა ქვეყანა, სადაც ბუნებრივ - კლიმატური პირობებისა და რესურსების ასეთი დიდი მრავალფეროვნებაა. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს უქმნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგს, პირველ რიგში კი, სოფლის მეურნეობას. საქართველოს ბუნებრივ რესურსებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინერალურ რესურსს, რომლის მარაგი ნედლეულის ძირითადი ტიპების მიხედვით, შეფასებულია 90 მლრდ დოლარად. ამ რესურსების გამოყენების ხარჯზე საქართველოში წლიურად შესაძლებელია 30 მლრდ აშშ დოლარზე მეტი პროდუქციის წარმოება. მაღალი ეკონომიკურობით გამოირჩევა ჰიდროენერგორესურსები (30.3 მლრდ დოლარი), აგრეთვე მინერალური და მიწისქვეშა თერმული წყლები (19.8 მლრდ დოლარი). საქართველოში ნახშირის პროგნოზული მარაგი აღემატება 700 მლნ ტონას, ხოლო ჰიდორენერგეტიკული რესურსების სრული პოტენციალი წლიურად 159.4 მლრდ კილოვატსაათია. მტკნარი მიწისქვეშა წყლების ჯამური ბუნებრივი დებეტი ასევე საკმაოდ მაღალია (560 კუბ. მეტრი წამში) და შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოსული ნალექების 20%-ს. დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა მინერალური წყლები, რომელთა რაციონალური გამოყენება საქართველოში სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს. [2, გვ. 67]

საქართველოს კონკურენტული უპირატესობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია მისი უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყნის გლობალურ პროექტებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

ნებისმიერი ქვეყნის მონაწილეობა გლობალიზაციაში, ეროვნული და ინტერნაციონალური ასპექტების ურთიერთმიმართების დიალექტიკასთან ერთად, მთელ რიგ აქტუალურ და სადისკუსიო საკითხების გარკვევასაც მოითხოვს. კერძოდ, არის თუ არა ქვეყანა მზად გლობალიზაციაში მონაწილეობის სანაცვლოდ ეროვნული სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დასათმობად? როგორია თანაფარდობა სუვერენიტეტის ამ დათმობილ ნაწილსა და გლობალიზაციიდან მიღებულ სარგებელს შორის? რა გზებით შეიძლება უფრო ეფექტიანად ჩაერთოს ქვეყანა გლობალიზაციაში - დამოუკიდებლად თუ რომელიმე რეგიონალურ გაერთიანებაში მონაწილეობის გზით? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ბოლო შეკითხვიდან დავიწყოთ. სავარაუდოდ, უფრო ეფექტიანია საქართველოს გლობალიზაციაში ჩართვა რომელიმე მსხვილ სტრუქტურაში მონაწილეობის გზით. წლების მანძილზე საქართველო იყო ისეთი რეგიონული გაერთიანებების წევრი, როგორიცაა: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ე.წ. „BSEC“) და „სუამი”. ცნობილი მიზეზების გამო, საქართველომ გამოაცხადა დსთ-დან გამოსვლის შესახებ, დანარჩენი ორი ორგანიზაციის საქმიანობა კი, არ არის ეფექტიანი და არ იძლევა გლობალიზაციაში ჩვენი ქვეყნის აქტიური ჩართვის შესაძლებლობას.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მოწინავე პოზიციები ბოლო პერიოდში სტაბილურად სამ ქვეყანას - თურქეთს, უკრაინასა და აზერბაიჯანს უკავია. სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, XX საუკუნის 90-იან წლებში დაამყარა საქართველოსა რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (ქ. თბილისი, 30.07.92). შემდგომ პერიოდში ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა 120-ზე მეტ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, რომელთაც ხელი შეუწყეს მეზობელ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.[1, გვ. 16] დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკურ თანამშრომლობას უკრაინასა და აზერბაიჯანთან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღნიშნულ ქვეყნებთან ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების რანგში ხორციელდებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოების რანგში დამყარდა.

ბოლო წლების განმავლობაში თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში პირველ-სამ ადგილს ინაწილებდა, გამონაკლისი იყო გასული 2015 წელი, როდესაც უკრაინაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო მკვეთრად შეირყა ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მდგომარეობა. 2015 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართვე-

ლოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 64% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1517 მლნ დოლარი), რუსეთი (789 მლნ დოლარი) და აზერბაიჯანი (783 მლნ დოლარი)[4, გვ.19].

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები მთელი რიგი პრობლემებითა და თავისებურებით ხასიათდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ვიდრე განვითარების იგივე დონის ქვეყნებთან. ამას უპირატესად განაპირობებს ქვეყნის მზარდი ტექნოლოგიური დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდის და მათი მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს; საქართველოს ექსპორტის სტიმულირებას და საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდოს შემცირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. უდავოა რომ, უნდა გაიზარდოს განვითარებული ქვეყნების წილი საქართველოს ექსპორტში, რაც გაზრდის საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო თანამშრომლობის გაზრდა არის არა მარტო ადგილობრივი წარმოების განვითარების სტიმული, არამედ ინვესტიციების მოზიდვის საფუძველია. საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ევროკავშირის ქვეყნებთან და რაც მთავარია, საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების პერსპექტივა რეალობად უნდა იქცეს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას მსოფლიო თანამეგობრობასთან და გლობალიზაციის პირობებში ხელს შეუწყობს, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ვაჭრობაში.[2, გვ. 377]

საქართველოს ხელისუფლებისათვის ექსპორტი მომავალი ეკონომიკური ზრდის წყაროა. საქართველოს მცირე საექსპორტო ბაზის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმატებული რეფორმები უფრო ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნას შეუწყობს ხელს, ვიდრე არსებულის გაფართოებას. ეს ვარაუდი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც არსებული საექსპორტო კალათა თითქმის არანაირ გადამუშავებელ პროდუქტს არ შეიცავს. ჯერჯერობით საქართველოს მრეწველობის რამდენიმე სექტორი შრომის საერთაშორისო დანაწილების მიღმაა. საექსპორტო პოტენციალი კვლავ გამოუყენებელია. რეალური ეკონომიკური ზრდის არსებითი მატება, სავარაუდოდ, საქართველოს საექსპორტო კალათის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს დაემთხვა. ამიტომ, ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის მიზანი იმავე პროდუქტის მოცულობის გაზრდა კი არ უნდა იყოს, არამედ იმ ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა და გამოყენება, რომელთა კონკურენტული წარმოება შესაძლებელია შედარებით დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებით.

საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაზრდას ევროკავშირთან. ეს ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, მასზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 20%. საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდეცია ახასიათებს, მაგრამ იმპორტის მოცულობასთან შედარებით უმნიშვნელოა, რაც მკვეთრად გამოხატული უაროფითი ბალანსით ხასიათდება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდას. მით უფრო, როცა საქართველოს სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესში შედის ევროკავშირის წევრობისკენ სვლა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში, ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნა. აღნიშნულს აქვს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ პერსპექტივაში, გრძელვადიან პერიოდში საქართველო აუცილებლად მოიგებს. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებლობას ცალკეულ ბაზარზე. ევროკავშირის დიდ ბაზარზე საქართველოს ექსპორტის უმნიშვნელო მოცულობის გათვალისწინებითაქართული პროდუქციის იმპორტი არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის ევროკავშირის შიგა ბაზარს. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში კი, ხელს შეუწყობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის რიგი დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყანაში საშუალო ფენის გაძლიერებას, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმების დამკვიდრებას, სტანდარტებთან და სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას, რაც თავის მხრივ, გაზრდის სავაჭრო თანამშრომლობას განვითარებულ ქვეყნებთან.

2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3165 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6 %-ით მეტია. აქედან ექსპორტი 646 მლნ დოლარი იყო (4 %-ით მეტი), ხოლო იმპორტი 2518 მლნ დოლარი (6 %-ით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32 % შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29 % და იმპორტში 33 % (2014 წელს შესაბამისად 26, 22 და 28 %). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 34 % (2014 წელს 30 %).[4, გვ. 23]

ევროკავშირთან ბაზრების ორმხრივ დონეზე გახსნას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველო აუცილებლად მოიგებს. იგი ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას ცალკეულ ბაზრებზე, მით უმეტეს, რომ ქართული პროდუქციის იმპორტი არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის ევროკავშირის შიგა ბაზარს. თვით საქართველოსთვის ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ჩართვა მსოფლიო ბაზარზე სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის გაზრდის წინაპირობაა. ქვეყნის ექსპორტის გაზრდის მიზნით საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა. კერძოდ, უნდა ჩამოყალიბდეს საექსპორტო წარმოების, საექსპორტო ოპერაციების დაზღვევისა და დაკრედიტების სისტემა. ამასთან, დასავლეთის ბაზარზე დამკვიდრებისათვის, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის, საექსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს. ასევე, აუცილებელია ასევეთი ღონისძიებების განხორციელება, რაც წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების, მანქანა-დანადგარების დანერგვაზე იქნება მიმართული. საქართველოში შემოდის ბევრი ასევეთი პროდუქცია, რომელთა წარმოება საქართველოსაც შეუძლია. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, როგორც ექსპორტის ხელშეწყობის მნიშვნელოვან ბერკეტს. [2, გვ. 252]

საქართველო ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქვეყანაა და ევროპისაკენ სწრაფვის ისტორია, ჯერ კიდევ, შუა საუკუნეებიდან იწყება. ყველაზე პროგრესულად ითვლება ის გზა, რომელიც ევროკავშირში შეგვიყვანს და განვითარებული ეკონომიკისა და ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის მტკიცე გარანტი იქნება. იმავდროულად ეს არის ხანგრძლივი და ძნელად გასავლელი გზა, ვინაიდან ევროკავშირში პოსტკომუნისტური ქვეყნების გაერთიანება გულისხმობს მათ საფუძვლიან მომზადებას, საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში სათანადო პირობების შექმნას და მათზე დაყრდნობით სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში გარღვევის განხორციელებას.

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლების პრიორიტეტულ სტრატეგიული ამოცანა უნდა იყოს. აუცილებელია ამგვარი ინტეგრაციისათვის შესაბამისი თეორიული ბაზის მომზადება, რომელიც შეიძლება შემდეგ ასპექტებს მოიცავდეს: ეკონომიკა, პოლიტიკა (სახელმწიფო, სამართალი, საზოგადოება), სოციალური სფერო, კულტურა, რელიგია და ეკლესია, ეროვნული საკითხი, ავტონომიები.საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სისტემური რეფორმების გატარებით საქართველომ უნდა მოახერხოს რეგიონული ლიდერის ადგილის დაკავება და გამყარება.

ამრიგად, ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა. კერძოდ, ესაა ის მიზანთა მიზანი, რომლისკენაცაა მიმართული ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს ეკონომიკური მექანიზმები. გლობალიზაციის თემა კი სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ქართველი საზოგადოებისთვის. დღეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სახელმწიფოს ის პოლიტიკა წარმოადგენს, რომელიც გლობაზიცაციის პირობების გათვალისწინებით შემუშავდება, და რომელიც გულისხმობს წარმოების მოცულობის გადიდებას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის დინამიკაზე ზემოქმედებას. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი ღონისძიებები არსებითად კლასიფიცირდება, როგორც სავაჭრო პოლიტიკისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების ღონისძიებები. საინვესტიციო პროცესების აქტივიზაცია, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებით, რომელიც მიმართული იქნება დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნისაკენ, ფირმათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შესაბამისად, საინვესტიციო რესურსების ზრდისაკენ.

ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფოს ძირითად მიზნებს წარმოადგენს: ეკონომიკური ზრდა; დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფა; ინფლაციის შეზღუდვა; საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოს მიღწევა. საქართველოს წინაშე მდგარი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად მიგვაჩნია არსებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებასა და განვითარებაზე ორიენტირება, ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე პრიორიტეტების განსაზღვრა. მაგრამ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის არსებობა ეროვნული იდეოლოგიისა და პრიორიტეტების გარეშე წარ-

მოუდგენელია. ყოველი ქართველი ვალდებული ვართ ვეცადოთ, არ გავქრეთ მსოფლიო რუკიდან და ჩვენი ქვეყნის სამი ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობა არ გაიწიროს, არ გადაიყოლიოს ე.წ. ვესტერნი-ზაციის ძლიერმა ტალღამ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლამაზიშვილი ნ., საგარეო ვაჭრობა, თბ., 2003;
2. გელაშვილი მ., მაკროეკონომიკა, თბ., 2009;
3. Michael P. Todaro, Stephen C. Smith, Economic Development, 2008;
4. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo.

The challenges of globalization and Georgia

M. Gelashvili

Summary

At current stage, deepening of the trade & economic relations with the developed countries is of greater significance than with the countries at the same development level. This is mostly caused by the increasing technological dependence on the developed countries. For the developing and transition economies it is of critical significance to attract foreign investments providing the basis for economic development, exports growth and integration into the world trade and economics.

To evaluate the directions of the foreign trade relations of Georgia, the work offers discussion of the foreign trade turnover, export & import, largest trade partner countries, largest groups of import and export goods and other indicators. Georgian government supports the idea of export-oriented policies. Reduction of import tariffs and liberal local policies of recent years are best suitable for such approach. Export-oriented policies imply entry to the foreign markets and improvement of situation, with respect of production and costs in domestic export sector. Both of these aspects are subject of trade agreements, determining the conditions for opening markets for one another by the trade partners. And such negotiations deal not only with the tariff and non-tariff barriers but legislation regulating and forming the markets in general, as well.

Trade policies of a country comprise significant part of the economic politics, as exports promotion is associated with economic growth, especially, where the trade partner, e.g., such as EU, implements the policies oriented towards foreign markets.

Key words: *Globalization, Trade, Export, Import, Investment policy.*

იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ გარემოში

სიმონ გელაშვილი,
ეკონონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ოფიციალური სტატისტიკის ევოლუცია მსოფლიოს ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის – იაპონიის მაგალითზე და ნაჩვენებია მისი მნიშვნელობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. აქვე მოცემულია იაპონიის აქტივობა რეგიონული და გლობალური მასშტაბის ორგანიზაციების (გაერო, ეთგო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვ.) სტატისტიკურ საქმიანობაში; იაპონიაში დაარსებული აზია-წყნარი ოკეანის სტატისტიკური ინსტიტუტი არის გაერო-ს ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკოსების კვალიფიკაციის ამაღლებას, რითაც დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიო მასშტაბით სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: *სტატისტიკა, მონაცემთა ბანკი, პრეფექტურა, სტატისტიკური კვლევა, პროგნოზირება.*

იაპონიაში ოფიციალური სტატისტიკის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1869 წელს, როდესაც შეიქმნა საბიუჯეტო და საგადასახადო სამინისტრო, რომელსაც 1870 წელს ეწოდა ფინანსთა სამინისტრო. მის მიერ იქნა მომზადებული პირველი ოფიციალური სტატისტიკური პუბლიკაცია – „სასაქონლო ცხრილი თითოეული პრეფექტურისათვის“, რაც იძლეოდა სტატისტიკურ ინფორმაციას სასოფლო, სატყეო, საზღვაო და სამრეწველო პროდუქტების წარმოების შესახებ. 1877 წელს მას დაერქვა „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები“-ს ცხრილი, რომელიც დღევანდელი სტატისტიკური პუბლიკაციების თავდაპირველი სახეა.

1871 წელს იაპონიის ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის სამსახური – ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იყო საგადასახადო სტატისტიკასა და ოჯახების რეგისტრაციაზე. იმავე წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო [8], რომელიც სხვადასხვა სახის ინფორმაციას ამუშავებდა და ამზადებდა მას ფართო საზოგადოებისათვის წარსადგენად.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის მთავრობამ მკვეთრად შეამცირა სტატისტიკის დაფინანსება, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა მის განვითარებას. გაუარესდა სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და საიმედოობა, რის გამოც ის დიდი სიფრთხილით გამოიყენებოდა სამხედრო მიზნებისათვის. სხვადასხვა ორგანიზაცია იყენებდა სტატისტიკურ მიმოხილვებს საკუთარი მიზნებისათვის, თანმიმდევრულობისა და ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ასევე, ფარულად აგროვებდნენ იმ მონაცემებს, რომლებიც მათ სჭირდებოდათ და ამ ყველაფრის შედეგად, ოფიციალურმა სტატისტი–კურმა ინფორმაციამ დაკარგა ნდობა საზოგადოების თვალში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებულ იაპონიას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია, მათ შორის ოფიციალურ სტატისტიკურ სისტემასაც და, შესაბამისად, ეს პროცესი სწრაფად განვითარდა [6]. 1946 წლის მაისში იაპონიის მინისტრთა კაბინე-ტის ფარგლებში შეიქმნა **სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი**. ეს ინსტიტუტი ხელმძღვანელობდა თეორიულ სწავლებას, რათა ჩამოყალიბებულიყო სრულყოფილი ოფიციალური სტატისტიკა და გაუმჯობესებულიყო მისი ორგანიზაციული სისტემა. ინსტიტუტი მიზნად ისახავდა და ისახავს სტატისტიკური ცოდნის განვითარებასა და გავრცელებას, ასევე იაპონიისა და გლობალურ დონეზე სტატისტიკური სისტემების განვითარებაში წვლილის შეტანას.

2001 წელს მიმდინარე ადმინისტრაციული რეფორმების პროცესში, როდესაც დაარსდა შინაგან საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტრო **(MIC),** ინსტიტუტი გარდაიქმნა **სტატისტიკური კვლევებისა და ტრენინგების ინსტიტუტად**. ეს განხორციელდა იმისათვის, რომ დაემყარებინათ უფრო სისტემური კავშირი კვლევებსა და ტრენინგებს შორის. 2003 წლის აპრილში იაპონიის მთავრობამ სტატისტიკური კვლევებისა და ტრენინგების ინსტიტუტი დაამტკიცა MIC-ის დამოუკიდებელ საგანმანათლებლო ინსტიტუციად.

ინსტიტუტს აქვს ოთხი მთავარი ფუნქცია:

1. სტატისტიკური კვლევები;
2. სტატისტიკური ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით;

3. მსოფლიოს მასშტაბით გამოცემული სტატისტიკური წელიწდეულებისა და სხვა სტატისტიკური პუბლიკაციების შეგროვება და სისტემატიზაცია;
4. სტატისტიკის ბიბლიოთეკის (მონაცემთა ბანკის) სერვისები.

სტატისტიკური კვლევებისა და ტრენინგების ინსტიტუტი უზრუნველყოფს სხვადასხვაგვარ სტატისტიკურ ტრენინგ კურსებს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების პერსონალისთვის იმ მიზნით, რომ შესძინონ სტატისტიკური ცოდნა და უნარები ისეთი მოვალეობების შესასრულებლად, როგორიცაა: სტატისტიკის კომპილაცია, სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება, სტატისტიკური მონაცემების გამოყენება. სტატისტიკური პროგნოზირებისას ფართოდ იყენებენ თანამედროვე, კომბინირებულ მიდგომას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს მიღებული პროგნოზების სიზუსტეს [3, გვ. 185].

აღნიშნულ ინსტიტუტში სტატისტიკური ტრენინგ-კურსები ტარდება სამი მიმარ-თულებით [2, გვ. 333]:

- **სრული კურსი;** იგი მიზნად ისახავს სტატისტიკაში ექსტენსიური და სრული ცოდნის, თეორიებისა და ანალიტიკური უნარ-ჩვევების უზრუნველყოფას, რაც მოთხოვნადია სხვადასხვა ადმინისტრაციულ სფეროში.
- **თემატური კურსები;** მისი ძირითადი მიზანია სტატისტიკაში ცოდნის, თეორიებისა და ანალიტიკური უნარების უზრუნველყოფა სრული კურსის შემადგენელი კონკრეტული საგნების მეშვეობით, როგორიცაა, მაგალითად, "სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა," "მოსახლეობის შეფასება" და "ეროვნული და პრეფექტურის ანგარიშები."
- **სპეციალიზებული კურსები** ტარდება კონკრეტული სტატისტიკური სფეროების მიხედვით, როგორიცაა მოსახლეობის სტატისტიკა, ეროვნული ანგარიშები, ბიზნეს სტატისტიკა, რეგიონული სტატისტიკა და სხვა.

1946 წელს შეიქმნა **„სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესების კომიტეტი"**. იმავე წელს კომიტეტმა პრემიერ-მინისტრთან წარადგინა „სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები" და მიუთითა სტატისტიკური სისტემის სრულყოფის და რეორგანიზაციის აუცილებლობაზე. ეს დოკუმენტი მოიცავდა მრავალ სხვადასხვა საკითხს, როგორიცაა სრულყოფილი სტატისტიკური ორგანიზაციის შექმნა, სტატისტიკური კომისიის შექმნა, სტატისტიკის სფეროში დასაქმებულთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სტატისტიკური კანონის ამოქმედება. ამ რეკომენდაციების მომზადებისას „სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესების კომიტეტმა" შეისწავლა სტატისტიკის მდგომარეობა განვითარებულ ქვეყნებში და დაასკვნა, რომ იაპონიის სტატისტიკური სისტემისთვის ყველაზე მეტად მისაღებია სპეციალური სტატისტიკური ბიუროს და ცალკეულ სამინისტროთა სამმართველოების ჩამოყალიბება. ამის შესაბამისად, 1946 წელს შეიქმნა სტატისტიკური კომისია, რომელმაც წამოიწყო სხვადასხვა საქმიანობა, რომ განევითარებინა სტატისტიკური სისტემა იაპონიაში. 1952 წელს ამ კომისიის ბაზაზე შეიქმნა სტატისტიკური სტანდარტების დეპარტამენტი ადმინისტრაციული ფუნქციებით, იმისათვის რომ დაეგეგმა მთავარი საკითხები და კოორდინაცია გაეწია

სტატისტიკური საქმიანობისათვის. 1957 წელს სტატისტიკური სტანდარტების დეპარტამენტი გარდაიქმნა სტატისტიკური სტანდარტების ბიუროდ, ხოლო 1984 წელს შეიქმნა სტატისტიკის ბიუროს სტატისტიკური სტანდარტების სამმართველო.

იაპონიის ცენტრალური მთავრობის რეფორმირების პერიოდში, ანუ 2001 წელს სტატისტიკის ბიუროს სტატისტიკური სტანდარტების სამმართველოს გადაერქვა სახელი და ახლა ეწოდება სტატისტიკური სტანდარტების სამმართველო, რომელიც ში-ნაგან საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტროს სისტემაშია მოქცეული.

თანამედროვე იაპონიის შესახებ ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებელი მოცე-მულია ცხრილში:

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2007-2015 წლებში, ანუ 8 წლის მანძილზე დაახლოებით 608 ათასით მოიმატა, მაგრამ 2015 წელს, 2010 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა (1,1 მლნ-ით, რაც წელიწადში საშუალოდ 220 ათასია).

ტრადიციულად, იაპონიაში მიღებულია ოფიციალური სტატისტიკის დეცენტრალიზებული ორგანიზაცია, რომლის მიხედვითაც თითოეულ სამინისტროს აქვს სტატისტიკის ცენტრალური ბიურო, რომელიც აგროვებს, ამუშავებს და ამზადებს სტატისტიკურ ინფორმაციას საკუთარი და სხვა სამინისტროებისთვის [5]. იაპონიის მთავრობას მიაჩნია, რომ დიდი ზომის სახელმწიფო სტატისტიკის ადმინისტრაციის ნაცვლად, უფრო ეფექტიანია სტატისტიკის ინდივიდუალური ადმინისტრაციული დაყოფა, ვიდრე ჰქონდეს ერთი ცენტრალური ორგანიზაცია. მეორე მხრივ, დეცენტრალიზებული სტატისტიკის ორგანიზაცია მოითხოვს კოორდინაციას, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა და თავიდან აიცილოს დუბლირება. ამიტომ, იაპონიაში სწორედ სტატისტიკური სტანდარტების გენერა-

ლური დირექტორი არის პასუხისმგებელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციას შორის სტატისტიკის სფეროშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით.

იაპონიის ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2007	2010	2015
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი):	126 335	128 058	126 943
	მათ შორის:			
2.	ქალები	64 484	65 730	65 196
3.	მამაკაცები	61 751	62 328	61 747
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მლნ დოლარი)	4 356,3	5 488,4	5709,5
5.	მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე (დოლარი)	34 489	42 845	44 983
6.	უმუშევრობის დონე, %	3,8	5,0	6,4

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ იაპონიის სტატისტიკის ბიუროს ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

იაპონიის მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს სტატისტიკური კვლევების დაგეგმვაზე, კვლევების დირექტივებისა და კვლევის წესების ჩამოყალიბებაზე, კითხვარების დიზაინზე, კვლევების სახელმძღვანელოების (ინსტრუქციების) შექმნაზე. ადგილობრივი ხელისუფლება კი ახორციელებს ისეთ კვლევით სამუშაოებს, რაც მოიცავს კვლევის ობიექტების შერჩევას, ნუმერატორების (რეგისტრატორების) დატრენინგებას, კვლევის სფეროების განსაზღვრას, კითხვარების გავრცელებას და შეგროვებას, მიღებული ინფორმაციის პირველად დამუშავებას და განზოგადებას. იაპონიაში ყველა პრეფექტურას აქვს სპეციალური სტატისტიკური სამმართველო, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია სტატისტიკის წარმოებაზე. გარდა ამისა, სტატისტიკას ამზადებენ და იყენებენ სხვა ორგანიზაციებიც, როგორიცაა გუბერნატორის ადმინისტრაცია. პრეფექტურების სტატისტიკური სამსახურები ახორციელებენ ისეთი ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას, რომელიც უკავშირდება იმ ძირითად კვლევებს, რასაც ატარებენ სხვადასხვა სამინისტროები. ამ კვლევების ღირებულებას იხდიან შესაბამისი სამინისტროები. გარდა ამისა, სტატისტიკური სამმართველოები, ადმინისტრაციული სამუშაოს გარდა, ახორციელებენ დამოუკიდებელ საქმიანობებს თითოეულ პრეფექტურაში, კერძოდ:

1. ატარებენ სტატისტიკურ კვლევებს;
2. ახდენენ პრეფექტურის მოსახლეობის რაოდენობრივ შეფასებას, მოქალაქეების შემოსავლების შეფასებას, პრეფექტურის ეკონომიკის პროგნოზირებას და სხვ.;
3. აქვეყნებენ სტატისტიკურ მონაცემებსა და მიმოხილვებს სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა წელიწდეული, სტატისტიკური კვლევების შედეგები და სხვ. გარდა ამისა, ისინი ატრენინგებენ დაქირავებულ თანამშრომლებს;
4. სტატისტიკის დღეს (ყოველი წლის 18 ოქტომბერი), რომელიც დააწესა იაპონიის მთავრობამ 1973 წელს, აწყობენ სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებას, დაჯილდოებით ცერემონიებს და სხვა აქტივობებს მოსახლეობაში სტატისტიკის პოპულარიზაციის მიზნით.

იაპონიაში ოფიციალური სტატისტიკის წარმოება მკაცრად დიფერენცირებულია ცენტრალური სამთავრობო დაწესებულებების, რეგიონებისა და პრეფექტურების მიხედვით. სტატისტიკური სტანდარტების სამმართველოს გენერალური დირექტორი ახორციელებს გამოკვლევის გეგმების წინასწარ კონტროლს, რათა თავიდან აიცილოს დუბლირება, უზრუნველყოს სტატისტიკური სისტემის განვითარება, შეამციროს რესპოდენტების პასუხისმგებლობა კვლევის პროცესში.

პრეფექტურებში ტარდება შემდეგი ძირითადი სტატისტიკური კვლევები [2, გვ. 353]:

ინტენსივობა (პერიოდულობა)	სტატისტიკური კვლევის დასახელება
ყოველთვიურად	სამუშაო ძალის, საცალო ფასების, ოჯახების შემოსავლებისა და ხარჯების, პროდუქციის გამოშვების, საცალო ვაჭრობის, შრომის ბაზრის კვლევა
ყოველკვარტალურად	საწარმოთა გამოკვლევა
ყოველწლიურად	სკოლების, სკოლისა და ჯანდაცვის სერვისის, მომსახურების საწარმოთა შერჩევითი კვლევა
ყოველ მე-5 წელს	თავისუფალი დროის გამოყენებისა და დასვენების კვლევა

მუნიციპალური (რეგიონული) მთავრობები ატარებენ შედარებით უფრო დიდი მასშტაბის შემდეგ სტატისტიკურ კვლევებს (მათ შორის სამინისტროების შეკვეთით):

პასუხისმგებელი ორგანიზაციები	სტატისტიკური კვლევის დასახელება
შინაგან საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტრო (MIC)	მოსახლეობის აღწერა, ბიზნესის წამოწყების კვლევა, ბიზნესსაქმიანობის ეკონომიკური აღწერა, შინამეურნეობების და მიწების კვლევა, დასაქმებისა და უმუშევრის სტატუსის მქონეთა კვლევა, ფასების კვლევა, ოჯახების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა
განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო (MEXT)	სკოლების კვლევა
სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის სამინისტრო (MAFF)	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის აღწერა
ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო (METI)	წარმოების აღწერა, გაყიდვებისა და სავაჭრო საწარ-მოთა აღწერა

სტატისტიკური საქმიანობა ცენტრალური მთავრობის დაწესებულებებში

კვლევის ჩამტარებელი (ფილიალი)	სტატისტიკური კვლევის დასახელება
რეგიონული საგადასახადო ბიურო	კერძო სექტორში ხელფასის სტატუსის კვლევა
სოფლის მეურნეობის რეგიონული ადმინისტრაციული ოფისი	საზღვაო თევზჭერის კვლევა, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის აღწერა, ფერმერული მეურნეობების სტატისტიკური კვლევა, მარცვლეულის წარმოების კვლევა
ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის რეგიონული ბიურო	წარმოების კვლევა, სარეზერვო წიაღისეულის სტატისტიკური კვლევა, გაზის წარმოების სტატისტიკური კვლევა, ენერგიის მოხმარების სტატისტიკური კვლევა
ფინანსების ადგილობრივი ბიურო	სამრეწველო კორპორაციების კვლევა
სატრანსპორტო ბიურო	გემთმშენებელთა და საინჟინრო სტატისტიკური კვლევა, მეზღვაურების შრომის პირობების კვლევა
პრეფექტურების შრომის ბიურო	სახელფასო სტრუქტურის კვლევა

1956 წელს იაპონია გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), ხოლო 1964 წელს - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი. აქედან მოყოლებული, იაპონია ინტენსიურად ავითარებს საერთაშორისო თანამშრომლობას ყველა მიმართულებით

და, მათ შორის სტატისტიკაში, განსაკუთრებით კი გაერო-ს სტატისტიკის სამმართველოსთან, OECD-ის სტატისტიკურ სამსახურთან, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და ა. შ.

1962 წელს იაპონია გახდა გაერო-ს **სტატისტიკის მუდმივმოქმედი კომისიის** წევრი და დიდი წვლილი შეიტანა და დღესაც შეაქვს საერთაშორისო სტატისტიკის განვითარებაში [4]. ასევე, იაპონიის სტატისტიკის ბიუროს დირექტორი თანამდებობრივად არის საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის წევრი, რაც იაპონიის ოფიციალური სტატისტიკის დიდი აღიარებაა (ეს ინსტიტუტი შეიქმნა 1885 წელს და მისი მთავარი ოფისი მდებარეობს ჰააგაში). ამ ინსტიტუტის წევრები უმეტესად არიან სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლები და ასევე მეცნიერები სტატისტიკის სფეროდან. იაპონიის სტატისტიკის სამსახური მონაწილეობს საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის 2-წლიანი მსოფლიო კონგრესების (სესიების) ციკლში 1899 წლიდან და უკვე მასპინძლობდა სამ კონგრესს: 1930 წელს მე-19-ე სესიას, ასევე 1960 და 1987 წლებში [1, გვ. 106].

1970 წელს იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით ტოკიოში ჩამოყალიბდა **აზია-წყნარი ოკეანის სტატისტიკური ინსტიტუტი (SIAP)** [7]. ამჟამად იგი მდებარეობს ტოკიოსთან ახლოს, ქალაქ ჩიბაში. აზია-წყნარი ოკეანის სტატისტიკური ინსტიტუტი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც გვთავაზობს სტატისტიკურ სწავლებას (კვალიფიკაციის ამაღლებას), რაც მიზნად ისახავს სტატისტიკოსების მოწვევას სხვადასხვა ქვეყნიდან და რეგიონიდან. არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში (ანუ 1970–2015 წლებში), ამ ინსტიტუტში სწავლება და სტაჟირება უკვე გაიარა 12 ათასზე მეტმა სტატისტიკოსმა 129 ქვეყნიდან [7], რომელთა შორის ასევე იყო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რამდენიმე თანამშრომელიც. ამ ინსტიტუტში სტაჟირებაგავლილი სპეციალისტ-სტატისტიკოსები აქტიურად მუშაობენ წამყვან პოზიციებზე თავიანთი ქვეყნების ეროვნული სტატისტიკის სამსახურებში. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კვლევით ინსტიტუციებს იაპონიის მთავრობა სთავაზობს მრავალფეროვან და მაღალი ხარისხის სტატისტიკურ მონაცემებს და ინფორმაციას მათი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, სათანადო ვალდებულებების ფარგლებში სთავაზობს მონაცემებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამმართველოს, ESCAD-ს, OECD-ს, საერთაშორისო სავალუტო ფონდს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. მთავრობა აგროვებს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციას და ავრცე-ლებს მას საზოგადოებაში ფართოდ გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით იაპონიას აქვს სტატისტიკურ მონაცემთა საერთაშორისო შედარებების პროგრამა, რომლის მიხედვითაც ახდენს სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებლების ურთიერთშედარებას.

იაპონიის მთავრობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ასევე გაერო-ს მსოფლიო გლობალურ პროგრამებში პირველივე რაუნდიდან, ანუ 1980 წლიდან. იაპონია შეესაბამება „სპეციალურ მონაცემთა სტანდარტებს", რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1996 წელს, რათა უზრუნველყოს ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის მონაცემების დროული გავრცელება. 1997 წელს იაპონიის მთავრობამ შექმნა ეროვნული განზოგადებული ვებგვერდი, რომელიც წარმოადგენს და ავრცელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მრავალფეროვან უახლეს ინფორმაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი", თბ., 2010.
2. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. გამომც. „მერიდიანი", თბ., 2016.
3. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. მონოგრაფია. გამომც. „მერიდიანი", თბ., 2012.
4. International Cooperation in Statistics (www.stat.go.jp/english).
5. Organization Chart of Statistical System in Japan (www.stat.go.jp).
6. Reconstruction of the Statistical System in the Post-World War II Period (www.stat.go.jp/english).
7. Statistical Institute for Asia and the Pacific (www.unsiap.or.jp).
8. Start of Modern Statistical Survey System (www.stat.go.jp/english).

Japan's Contribution in Global Statistical Environment

S. Gelashvili

Summary

Modern Japan has one of the most highly developed statistical systems in the world which was founded yet in 1869, and already in 1871, the Ministry of Finance set up Statistics Division in its system. Despite the fact that traditionally in Japan official statistics institutionally are decentralized, the Main Department of Statistical Standards, which is the main coordinating body in the field of statistics, is functioning in the whole country.

In 1970, with the support of the Japanese government there was established the **Statistical Institute for Asia and the Pacific (SIAP)**, which is the only international institution of the UN and which provides advanced trainings for statisticians from different countries, and thus, makes a significant contribution to the development of the theory and practice of statistics worldwide. Since its foundation to date, that is, until the beginning of 2016, statisticians from almost 130 countries studied and trained in this institute; they have taken leading positions in their countries' statistical offices.

Key words: *Statistics, Data Bank, Prefecture, Statistical research.*

SOVEREIGN RATINGS AND SOVEREIGN YIELD SPREADS IN EUROPE

Revaz Geradze,
Master of Science, Master of Arts, PhD student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

In the current global financial system, ratings and rating agencies play a very important and often controversial role. For a very long time, credit rating agencies have sold their products that basically are opinions on the creditworthiness of debt issuers and their financial obligations. The reliance on these opinions has increased over time, in line with the expansions of capital markets and the spectrum of facilities containing credit risk.

After the financial crisis of 2008-2009 a lot of debate was around the role of credit rating agencies in the risk management process. The aim of this research is to identify the role of credit rating actions of the top three credit rating agencies in determining sovereign spreads during the financial crisis.

To understand the role of the sovereign rating actions in determining sovereign spreads, country fixed effect panel regression analysis will be performed. Effect of the sovereign rating upgrades and downgrades will be separated from the effect of the rating announcements.Country fixed effect regression analysis which was just presented controls for the country specific time invariant factors and gives unbiased results. However, by introducing time dummy variables, regression can also control for the time variant factors.

To find out if spillover effects took place during the crisis, sovereign spreads of non-event countries (where no rating change took place) is regressed on the lag of the sovereign yield spread and additionally on the dummy variable of event country (where rating change happened). The coefficient of this variable will indicate spillover effect from the country where rating change took place to the non-event country.

For the above mentioned analysis paper uses monthly data of sovereign bond yields from the following ten Euro area countries: Austria, Belgium, Finland, France, Greece, Ireland, Italy, the Netherlands, Portugal and Spain. Additionally, Germany is taken into account as a benchmark country.

Paper found significant influence of rating actions on sovereign yield spreads. Rating downgrades and negative outlooks from the CRAs had significant effect for most of the specifications, while rating upgrade was significant only for the regression where Fitch rating action was taken into consideration and positive outlook was unimportant variable for the whole sample.

Healthy systems of stable countries also were infected. Paper found significant spillover effect across counties (from Greece and Spain). While, there is no evidence of any contagion effect from Portugal and Ireland. Moreover, Italy had negative Spillover effect.

1. Introduction

After late 2009,when Greece admitted 13% budged deficit ofthe Gross Domestic Product (GDP),Euro zonecountries appeared in front of the horrible truth, that several major member countries could not repay their government debts. This fact had a huge impact on the euro area sovereign bond market. Sovereign bond yield spreads in European Union (EU) countries started rising evidently, compared to German sovereign bond yields.Such situationsbefore were only seen on emergingmarkets. As a consequence risk aversion of the market players for European sovereign bonds has increased and started process of outflow of the investments from the “risky” to the “safe” countries.

Naturally evolves a question: what was the effect of these considerable rating actions on the European sovereign yield spreads?

Actually, this question motivated the topic of the research. This work will discuss the effect of the three main credit rating agencies (CRAs): Standard &Poor’s (S&P), Fitch Ratings (Fitch) and Moody’s on the sovereign yield spreads in the 10 European countries (Austria, Belgium, Finland, France, Greece, Ireland, Italy, Netherlands, Portugal and Spain). Moreover, following questions will be addressed: What were the effects of the rating changes for the different group of countries? Was there evidence of the spillover effects between the sample countries?

2 Stylized Facts

Currently, there is a big debate about the role of the CRAs during the current European sovereign debt crisis, however this discussion takes its origin from 1996-1998 East Asian financial crisis followed by 1998 crisis in Russia and then in Brazil in 1999. The main point of discussion always was the role of the CRAs in amplifying the crisis; while after announcing rating downgrades CRAs even raised global risk sensitivity of the investors.

A lot of rating changes happened especially for the 2009-2011 time intervals. The pattern of the rating actions can be split into the three phase: in 90’s upgrading of the sovereign ratings till the early 2000’s, then long period without significant changes in the sovereign ratings up to the year 2009 and lastly massive downgrading during the current financial crisis.

Before the downgrading took place, Greece, Ireland, Portugal, Spain and Italy had upward trends in ratings and reached their rating peaks. Namely, after joining to the Euro zone in 1999 Ireland, Spain and Portugal and later in 2001 Greece got upgrading of ratings.Except Greece all other three countries got rating of AAA/Aaa. Greece reached to the grade A+/A1 in 2002. Sovereign spreads started to respond to the top ratings and achieved their minimum for Greece in 2006 and for other three countries a little bit earlier. Despitea "good performance" from Ireland, Spain, Portugal and Greece a lot of economists constantly mentioned that these improvements of the sovereign ratings wererather friendlier act from the agencies then really based on economic fundamentals of these countries. Actually, this critics and doubts appeared to be correct later, because mentioned countries could not resist to the first phase of the crisis and fell into the deep recession with increased debts, high budget deficit, very low public savings and unusually high unemployment.

The most problematic was Greek case. As mentioned already country at the beginning of the 2000's was developing impressively, however because of weak macroeconomic fundamentals and cycle dependent tourism sector, which was the main source of economic prosperity country was heavily hit by the downside cycle. Effort from the government to keep economy on its legs lad increased government debts respectively. In 2010 S&P downgraded Greece to the BB+ that caused fears from the investors, thatEuro area would have more complex problems, this on the other hand could cause crisis for the whole system. Euro currency starteddepreciating; this was followed with increase in sovereign spreads compared to German bonds.

Figure 1: 10-year sovereign yield spreads compared to German 10-year bonds



Data source: Eurostat

From the figure 1can be seen, that spreads increased drastically in 2011-2012, simultaneously downgrades for a lot of countries have happened already; according to the figure above massive downgrade started in 2009 and achieved its pick in 2011.

Situation in Portugal, Ireland, Spain and Italy was different from above discussed Greek case. Interestingly enough, despite the several upgrades of the sovereign ratings of Portugal from the CRAs, market still had doubts about this country. This was reflected to the sovereign spreads and regardless of the EU sovereign spread reduction they were increasing in Portugal.

Ireland and Spain had high budged deficit similar to Greece. Furthermore, these countries had unstable financial sectors and trust from investors was also low. Quite different was case of Italy, which is country with strong fundamentals compared to other four already discussed countries.Even though, budget deficit in Italy was second largest after Greece in Euro area. However, country cut public expenditure and started to support main banks. Government is targeting budget deficit of only 1.5% which is very low compared to deficit in the period when crisis started.

3. Data Description

research uses monthly data of sovereign bond yields from the following ten Euro area countries: Austria, Belgium, Finland, France, Greece, Ireland, Italy, the Netherlands, Portugal and Spain. Additionally, Germany is taken into account as a benchmark country.

For all countries data covers 2000 –2013 time intervals. Monthly data for the sovereign yields is taken from the Webstat database, relying on the banque-france official data base and covers 1575 observations. This particular time interval for the observations is taken,because it consists pre and post crisis periods. This fact will be used in later analysis to distinguish effect of rating changes on the sovereign yield spreads before and after the crisis. Introduced time interval is also interesting,because it consists as upgrading of the

sovereign ratings of the sample countries as well massive downgrading.

The dependent variable is sovereign yield spread, which is defined as a difference between 10 year sovereign bond yield of sample countries vis-à-vis 10 years German sovereign bond yields. For defining the dependent variable term structure and time to maturity of the sovereign bonds is important to be taken into consideration. In other words, bonds from all sample countries must be with maturity10 years, otherwise term structure will be violated and wewill get wrong spreads.

4. Panel Regression

To understand the role of the sovereign rating actions in determining sovereign spreads, country fixed effect panel regression analysis will be performed. Effect of the sovereign rating upgrades and downgrades will be separated from the effect of the rating announcements. Below you can see the basic model, which will be later modified to test further hypotheses and to answer other questions of interest.

$$Spread_{i,t} = \alpha_{i,t} + \beta Spread_{i,t-1} + \gamma D_{i,t} + \varepsilon_{i,t} \qquad (1)$$

Where $Spread_{i,t}$ is dependent variable and as already was explained represents the difference between the 10 year sovereign bond yield in the sample countries and German 10 year sovereign bond yield. $\alpha_{i,t}$ is constant and represents country specific fixed effect, $Spread_{i,t-1}$ is explanatory variable and corresponds to the one period lag of the dependent variable, $D_{i,t}$ is dummy variable and stands for the rating changes or rating announcements.Four basic specification of this regression model will be introduced according to the four rating actions: rating upgrade, rating downgrade, positive outlook and negative outlook.Namely, for type of regressions will be run for the different dummy variables. For example, if dummy variable in regression corresponds to the rating upgrade, it will become 1 if there was any rating upgrade or stays 0 otherwise. The same applies for the other specifications. $\varepsilon_{i,t}$ is normally distributed error term.

In the table 1 below are reported results of the main regression for the different specifications.Namely,in the first row of the table you can see the results of the regression for the data used from all the CRAs. There are four specifications according to the four dummy variables used; as already was mentioned there are different regressions for the rating upgrades and downgrades and for the negative and positive outlooks.

In the second column is given names of the variables, in another, estimated coefficients of those variables and in the brackets t-values of coefficients are reported. Each regression result has also reported overall R-squared. _cons variable represents intercept of the regression line.

Table 1: Regression results for the main specifications

	Rating Upgrade		Rating Downgrade		Outlook Positive		Outlook Negative	
Agency	**Variable**	**Coefficient(t-value)**	**Variable**	**Coefficient (t-value)**	**Variable**	**Coefficient (t-value)**	**Variable**	**Coefficient (t-value)**
All	_cons	.0300236 (2.29)	_cons	.0235279 (1.80)	_cons	.0295703 (2.26)	_cons	.0235035 (1.79)
	Lagspread	.9858192 (218.61)	Lagspread	.9819212 (213.75)	Lagspread	.9859036 (218.78)	Lagspread	.9844806 (217.74)
	DUpgrade	-.0748928 (-0.57)	*DDowngrade*	.2667602 (3.98)	*DPosO*	-.0588451 (-0.34)	*DNegO*	.1778202 (2.83)
	R-squared	0.9730	R-squared	0.9732	R-squared	0.9730	R-squared	0.9731
S&P	_cons	.0293771 (2.25)	_cons	.021969 (1.69)	_cons	.0293502 (2.25)	_cons	.025137 (1.92)
	Lagspread	.9859426 (218.92)	Lagspread	.983319 (219.53)	Lagspread	.9859485 (218.93)	Lagspread	.9851417 (218.88)
	DUpgradeSP	-.0573467 (-0.24)	*DDowngradeSP*	.5055368 (5.74)	*DPosOSP*	-.0491444 (-0.20)	*DNegOSP*	.2419105 (2.79)
	R-squared	0.9730	R-squared	0.9735	R-squared	0.9730	R-squared	0.9731
Moody's	_cons	.0294451 (2.26)	_cons	.0292972 (2.24)	_cons	.029324 (2.25)	_cons	.0257169 (1.98)
	Lagspread	.9859272 (218.92)	Lagspread	.9860844 (215.22)	Lagspread	.9859519 (218.94)	Lagspread	.9837317 (217.98)
	DUpgradeM	-.1038799 (-0.37)	*DDowngradeM*	-.0132955 (-0.13)	*DPosOM*	-.0535835 (-0.19)	*DNegOM*	.4334706 (4.04)
	R-squared	0.9730	R-squared	0.9730	R-squared	0.9730	R-squared	0.9732
	_cons	.0338108	_cons	.0252822	_cons	.0294399	_cons	.029316

		(2.64)		(1.95)		(2.26)		(2.24)
Fitch	Lagspread	.987765 (222.95)	Lagspread	.9817855 (216.26)	Lagspread	.9858922 (218.73)	Lagspread	.9859995 (218.54)
	DUpgradeF	-1.269129 (-7.47)	*DDowngradeF*	.4972244 (5.10)	*DPosOF*	-.1234796 (-0.36)	*DNegOF*	-.0097801 (-0.10)
	R-squared	0.9738	R-squared	0.9734	R-squared	0.9730	R-squared	0.9730

At first sight from the first row of the table,it can be seen,that explanatory power of the regressions (overall R-squared) is really impressive and similar for the all specifications.For all cases *Lagspread* variable is highly significant with slope coefficient close to one. That means: one unit increase in the spreads one month period earliercauses almost one unit increase in spreads one period after. Dummy variables for rating upgrade and positive outlook (*DUpgrade*and*DPosO)* have expected negative sign, however are insignificant for most specifications,so not distinguishable from zero. This can be explained with the fact that presented data set coincides with the Global financial crisis period and in general, increasing trend in sovereign yield spreads was sustained despite some upgrading from the CRAs. In contrast,dummy variables for the rating downgrades and negative outlooks (*DDowngrade* and *DNegO)* are significant with positive sign, which importantly indicates that rating downgrade or negative outlook (so switching of the dummy variable from 0 to 1) leads on average to the 0.27 and 0.18units (in our case 0.27 and 0.18 percent) increase in sovereign spreads[3]. This result is very logical and in line with the findings of the most related papers.

In the next three rows of the table are reported the regression results for the separate CRAs. There are some differences when separate regressions are done. Chiefly, upgrades from the S&P and Moody's do not significantly decrease spreads, while the same rating action from the Fitch has significant negative effect on the spreads. As we have mentioned above in the aggregate regression for all CRAs (first row in the table) *DUpgrade*was also highly unimportant variable.So, Fitch is the only CRA in the sample from which rating upgrade caused reduction of the sovereign yield spreads on average by 1.27 percent.

Quite the opposite, outlook in both directions (positive and negative) from Fitch does not have any important effect, while negative outlook from both CRAs: S&P and Moody's are significant and increase the sovereign yield spreadson average by 0.24percentin case of positive announcement from S&P and 0.43percentin case of Moody's. Dummy variables for rating downgrades:*DDowngradeSP*and*DDowngradeF* are significant variables with expected positive signand both causeon average around 0.50unitincrease in sovereign yield spreads. Contrary, dummy variable for rating downgrade from Moody's (*DDowngradeM*)is insignificant in determining sovereign yield spreads.

Above reported regression analysis is basic investigation of the paper, for the following sections different modifications of the basic study will be done to learn more about the topic studied.

Country fixed effect regression analysis which was just presented controls for the country specific time invariant factors and gives unbiased results. However, by introducing time dummy variables, regression can also control for the time variant factors. This technique is also known as time detrending of the regression line and is used when there is a problem of spurious regression. In our case it can be one common factor that causes as change in rating action as well effects on the sovereign spreads, in this way regression will report, that rating action significantly explains the sovereign spreads, because of spurious regression, despite whether rating actions are really important in explaining the sovereign spreads or not.

To capture time effect in addition to the country fixed effect regression technique, there is estimated separate regression with year dummies. Time trend is added to the regression and in this way analysis captures time fixed effect. Regression below represents two-way (country and time fixed effect) fixed effect model.

$$Spread_{i,t} = \alpha_{i,t} + \beta Spread_{i,t-1} + \gamma D_{i,t} + \sum_{n=2000}^{2012} \delta D_n + \varepsilon_{i,t} \quad (2)$$

Where D2000, D200, D2002 … D2012 represents year dummy variables. The idea is very simple D2000 becomes one if year is 2000 and the same for all thirteen variables.Period till March 2013is taken as a basic year. Other variables of regression 2 are the same as in the basic regression 1.

This estimation result will give us an opportunity to check if the increase in sovereign spreads was due to time factor or because of rating changes. After detrending regression lineif dummy variables of the rating actions that were significant in the basic regression become insignificant that will show, that year dummies are taking explanatory power from them. Table 8 below shows the result of this specification, good news is that adding year dummy variables doesn't change that much in the regression results.Lagspread variable stays highly significant, also dummy variables for rating downgrade and negative outlook show significant

[3]*Econometrically this means that when there is a rating action (dummy variable becomes 1), the estimated line shifts up or down depending on the sign of the coefficient of the dummy variable. The coefficient of the dummy variable cannot be interpreted as a slope, while it causes a change in the intercept not in the slope.*

results, while rating upgrade and positive outlook stay insignificant exactly as the results shown by the basic regression.

From time dummy variables only D2011 and D2012 are significant variables, however as already was mentioned they could not reduce significance of other important of the analysis variables. This fact confirms goodness of the initial regression analysis and its independence from the time trend.

5. Spillover Effects

The aim of this section is to show if there was contagion effect of the rating changes in heavily suffered countries on the sovereign spreads of the other countries. This issue is important, because the paper relies on the data of the countries from the EMU with the same currency and monetary policy. So, crisis started in one of the member country, always carries risks of spreading it on the other members. Using regression 3presented below, it is possible to check this hypothesis.

$$Spread_{i,t} = \alpha_{i,t} + \beta Spread_{i,t-1} + \gamma D_{i,t}^{PIIGS} + \varepsilon_{i,t} \quad (3)$$

Claeysi and Vašíček (2012) study contagion effect on bond markets separately for the EU countries. Their conclusion is that there are common factors driving the sovereign spreads in the same direction, but very important is also linkages between economies for these countries. Relying on the current data they employ forecast-error variance decomposition model and find that there was spillover effect, especially these effects were strong after 2007[4].

In this paper is done similar analysis, but using dummy variable technique (see regression 3). Sovereign spreads of non-event countries (where no rating change took place) is regressed on the lag of the sovereign yield spread and additionally on the dummy variable of event country (where rating change happened). The coefficient of this variable will indicate spillover effect from the country where rating change took place to the non-event country. In other words, when dummy variable of event country becomes one (so there was rating change in event country) the coefficient will show its spillover effect on the sovereign spreads of non-event country. On the right hand side of the regression equation you can see $D_{i,t}^{PIIGS}$ which represents dummy variables for separate countries from the PIIGS group.

Analysis show that Spillover effects are stronger in case of downgrades and negative outlooks.The contagion effect of the upgrade of the ratings is not distinguishable from zero. You can see some omitted results on the table, this is because of no upgrades and positive announcement took place in Portugal also no positive announcement happened in Italy during the studied period.

Rating downgrade in Spain and Greece has significant spillover effect on most of the countries on at least 10% significance level. This means that when rating downgrade took place in these countries it caused not only increase in sovereign spreads in Spain and Greece, but effect was transfused on the other countries of interest.

Spillover effect from Greece is known as a “Greek contagion”. This effect was particularly strong for the most Euro zone countries, because after massive downgrade of Greece, concerns rose not about only this country, but in the direction of the whole euro area. Contrary,rating downgrades and negative announcements in Italy have negative spillover effect on the other countries. Despite the fact, that rating downgrade increased sovereign spreads in the event country (Italy) it decreased sovereign spreads in the other countries of interest. Thecoefficient of dummy variable is significant at 5% significance level for Belgium and at 10% significance level for Austria and France.For the other specifications it is not significant.Paper tries to find theoretical explanation of this fact in the “interpreting the results” section.

6. Interpreting the Results

The main reason of all troubles in Euro zone was the fact, that CRAs closed eyes on the weak macroeconomic fundamentals of the countries, which appeared later to fall in critical situations. This was rather friendly act from the CRAs then the behavior based on the different economical or financial indicators and stability of the financial systems of these countries. Even can be said, that either these countries lied very skillfully or euro governments closed eyes on some problems when admitted them in a one monetary union.

Already in 2000s when Greece was accepted as the 12th member of the European Monetary Union, it had budget deficit problems (4.6% of GDP instead of announced 1.7% in 2003).Also there was problem of reliability of the statistical data from this country.Almost all countries had very high debt to GDP ratios already in early 2000s (see table 13) which exceeded to the normative(60%) proved by the convergence criteria. Even large economies could not meet this requirement.

[4] *See Claeysi/Vašíček (2012), p.12-19.*

CRAs became hostages of their policy -giving artificially high ratings to the countries whichlater had troubles.So,CRAswere forced to reduce already artificially raised ratings of problematic countries. This caused big concerns among financial market players, who were always questioned pre crisis upgrading of the later problematic countries.In sum, it gave a reason of increase in sovereign yield spreads.This paper finds one common factor, such as rating action of the CRAs as a driver factor of the sovereign yield spreads. If one carefully looks in the data, it can be seen that sovereign spreads started to increase after considerable downgrading took place.

From above analysis follows explanation of the fact that importance of the rating upgrade and downgrade dummy variables change depended on it happened before or after the crisis. Explanation of this fact can be multi-faceted, but one way to interpret results is risk attitude of the investors and market players. As already was mentioned; risk aversion of the market players has increased after the crisis emerged. They just did not trust the market; consequently no upgrading after the crisis would have had any significant effect (reduction direction) on the sovereign spreads. Quite the reverse was happening before the crisis, because trust to the EU countries was very high and downgrading from the CRAs have not had any significant effect (increase direction) on the sovereign spreads.

Interpretation of the fact that despite the similar results of respective regressions sovereign yield spreads have raised much more in PIIGS countries then in the other group can be weak fundamentals of PIIGS countries. Past delicate economic situation and very high sovereign debts of the countries from this group always caused concerns between economists. Despite the fact, that Italy ranks high in the list of European economies it started going down after the crisis emerged and its debt to GDP ratio became 115% in 2012. Similar situation was in another country- Spain, with large economy. Although, Spain had the lowest Debt to GDP ratio in PIIGS countries (71% in 2012) it had other problems such as very high unemployment rate (26.7% in 2013). Situation is even worse in other three countries of the group. Not surprisingly rise in sovereign spreads was much higher in these countries.

The fact, that analysis shows strong spillover effect from weak economies to the others is not surprising at all, because our sample consists to the countries corresponding one monetary union and therefore have very high economical integration level. Generally, the significance of contagion depends on how strong arelinkages of financial markets and on what level is economic integration of the countries. So, it would be unexpected if regression showed different results. However, no evidence of spillover effect from Ireland was found. That should be because of very high economic integration of Ireland rather with Britain then with other Euro zone countries.Arezki, Candelon, and Sy in their paper study 2007-2010 time interval and show that there was spillover effect across European Union (EU) countries and financial markets. They give an example of Austria where spreads increased because of rating downgrading that took place in Iceland and Baltic countries. Authors explain this with the fact that there are a lot of Austrian financial organizations operating in Iceland and Baltic states.[5]

Very interesting case was negative contagion from Italy, because generally we expected not negative but positive infection. Negative effect of Italian rating downgrade and negative announcement on sovereign spreads of non-event countries can be explained with “fly to safety” argument. This means, that money just flow from Italy to the neighbor countries, because France and Austria were considered safer for investors.

Financial markets are always overreacting the market, so it was not big surprise that paper found overshooting of the sovereign spreads in response to the rating downgrades and negative outlooks. Collectively coming bad news overcame the effect of the real fundamentals and overshooting of sovereign spreads took place. Market became a place of spreading unpleasant news and short run “panic equilibrium” started to form. People created negative expectations about the future of the Euro zone as a whole.

7. Concluding Remarks

In the paper separate dummy variable regression analyses were done for the rating actions and for the outlook changes. This gave the chance to check significance not only for the rating action but also rating announcement. Paper found significant influence of rating actions on sovereign yield spreads. Rating downgrades and negative outlooks from the CRAs had significant effect for most of the specifications, while rating upgrade was significant only for the regression where Fitch rating action was taken into consideration and positive outlook was unimportant variable for the whole sample, however was important before the crisis analysis.

Moreover, Two-way fixed effect model was employed to capture for the time invariant country fixed effect and time fixed effects simultaneously. Analysis showed that initial (basic) model was giving unbiased results.

Before the crisis period rating downgrades had weak effect on sovereign spreads, because of high trust from investors. But risk aversion of market players has drastically changed after the crisis. Because of

[5] *See Arezki/Candelon/Sy (2011), p.15.*

huge downgrading actions from the CRAs, investors just did not trust to the market and downgrading actions from the CRAs had huge effect on sovereign yield spreads.

Paper founds also that, financial markets over reacted to the rating actions. There was big jump in sovereign spreads, because people lost trust to the market.

Healthy systems of stable countries also were infected. Paper found significant spillover effect across counties (from Greece and Spain). While, there is no evidence of any contagion effect from Portugal and Ireland.Moreover, Italy had negative Spillovereffect.

To sum up, Main troubles came from the high debt to GDP ratios and weak fundamentals of the some Euro zone countries. Generous behavior of the CRAs to the direction of the countries with weak fundamentals later caused obligatory, massive rating downgrading and consequent jump in the sovereign yield spreads of not only troubled, but for all the sample countries of discussion.

Bibliography

1. Attinasi, M. G.; Checherita C.; Nickel C., What Explains the Surge in Euro Area Sovereign Spreads During the Financial Crisis of 2007-09?, European Central Bank working paper series, Frankfurt am Main, Germany, 2009, N 1131, pp. 12-35.
2. Banque De France, Government Benchmark Bonds, http://webstat.banque-france.fr/en/browse.do?node=5384356, 24.06.2013.
3. Barbosa, L.; Costa, S.,Determinants of sovereign Bond Yield Spreads in the Euro Area in the Context of the Economic and Financial Crisis, Bank of Portugalworking paper series, Lissabon, Portugal, 2010, N 22, pp. 131-150.
4. Bheenick, E. B.; BrooksR.; Angela Yip A., Determinants of Sovereign Ratings: A Comparison of Case-Based Reasoning and Ordered Probit Approaches, Monash University working paper series, Australia, 2005, N 9/05, pp. 5-22.
5. Eurostat, Debt to GDP Ratio Data,
6. http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&plugin=0&language=en&pcode=teina225, 27.07.2013
7. Fitch Rating, Sovereign Rating Data,
8. http://www.fitchratings.com/gws/en/sector/overview/sovereigns. 20.06.2013.
9. Jaramillo, L.; Tejada, C. M., Sovereign Credit Ratings and Spreads in Emerging Markets: Does Investment Grade Matter?, International Monetary Fund working paper series, Washington, D.C., 2011, N WP/11/44, pp.7-14.
10. Moody's, Sovereign Rating Data,
11. http://www.moodys.com/researchandratings/research-type/issuer-research/ratings-news/003004005/4294966708%204294966288%204294967119/4294967230/0/0/-/0/-/-/-/-/-/-/-/en/global/pdf/-/rra, 20.06.2013.
12. Poghosyan T., Long-Run and Short-Run Determinants of Sovereign Bond Yields in Advanced Economies, International Monetary Fundworking paper series, Washington, D.C., 2012, N WP/12/271, pp. 3-14.
13. Standard &Poors (2013): Sovereign Rating Data,
14. http://www.standardandpoors.com/ratings/sovereigns/ratings-list/en/us/?sectorName=Governments&subSectorCode=39&subSectorName=Sovereigns 20.06.2013

რისკის განსაზღვრა აუდიტურ საქმიანობაში

ნაზი გვარამია,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია თანამედროვე ეტაპზერისკების გამოვლენისა და შეფასების საკითხებიაუდიტორულ საქმიანობაში. წარმოდგენილია ზოგადი განმარტებები რისკების შესახებ და განხილულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა. გაანალიზებულია რისკის შეფასება და აუდიტი, როგორც რისკების შეცნობის ის სისტემური გზა, რომელსაც კომპანიები აწყდებიან თავიანთ საქმიანობაში. მოცემულია რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდა ფუნქციის უპირატესობა, რომელიც კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებული შეფასებაა. ნაშრომში გაანალიზებულია რისკის აუდიტის ოთხი სტადია. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკის შეფასების სტრუქტურა.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტი, სტანდარტები, რისკები, შეფასება, მართვა.*

თანამედროვე ეტაპზე დიდ ინტერესს იწვევს კომპანიებში რისკების შეფასებისა და აუდიტის საკითხები. თეორიულ დისციპლინებში, რომლებიც ორგანიზაციის მართვის საკითხებს ეხება, რისკს ზოგადად განკერძოებულად განიხილავენ, თუმცა, ამავე დროს ხორციელდება კვლევები იმ მიმართულებით, თუ როგორ უკავშირდება რისკი ორგანიზაციის შიგა საქმიანობას. აქედან გამომდინარე, რისკის მართვა შიგა კონტროლის მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო შიგა კონტროლი, თავის მხრივ, კორპორაციული მართვის - ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ ჩვენ მხოლოდ სინანულით, უმოქმედოდ ვაკვირდებით წარსულში მომხდარ მოვლენებს და არაფერს ვცვლით, შიგა კონტროლის სისტემამ შეიძლება ვერ შეძლოს რისკების სათანადოდ გაკონტროლება. ამიტომ, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციამ შეიცნოს და რაოდენობრივად შეაფასოს ის რისკები, რასაც აწყდება თავის საქმიანობაში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღებას დავუთმობთ სწორედ რისკების შეფასების ძირითად ასპექტებს.

როგორც ცნობილია, არსებობს ზოგადი წარმოდგენა რისკის შესახებ და შესაბამისად, საზოგადოებაც შემოიფარგლება გარკვეული ცოდნით აღნიშნული საკითხის გარშემო. კერძოდ, რისკის ერთ-ერთი ქმედითი და პრაქტიკული განმარტება შემდეგია: "რისკი არის არარეალიზებული სამომავლო ზარალი, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პერიოდის რომელიმე ქმედებიდან ან უმოქმედობიდან." საშუალოდ, უკუგება (მოგება) არის რისკის ფუნქცია. "რისკის წილი" ფულადი საშუალებები ის საშუალებებია, რასაც დიდი რაოდენობის შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს [2. გვ. 10-12], მაგრამ ყველაზე დიდი უკუგების მიღების შესაძლებლობა უნდა იყოს საუკეთესო სცენარი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება გათამაშდეს (მაგალითად, ინვესტიციის დაბანდება კომპანიებში). რისკი აუდიტის მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი ორ კატეგორიად იყოფა:

- კონკრეტული დავალების რისკი (ე.წ. აუდიტორული რისკი);
- ბიზნესის (კომპანიის) რისკი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დამკვეთთან და შეიძლება თანდაყოლილი რისკის ნაწილი იყოს, აქედან გამომდინარე, კი გავლენას იქონიებს აუდიტზე.

რისკი აუდიტორულ საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. აუდიტის ჩატარების ყველაზე მეტად გავრცელებული მიდგომა გულისხმობს ამ რისკების შეცნობას.

უდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ასს 300) "ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა" – აღნიშნულია: "აუდიტორის მიზანია იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ იგი რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს." აღნიშნული სტანდარტი ეხება ორ დოკუმენტს: აუდიტის საერთო სტრატეგიას და აუდიტის გეგმას. აუდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტში ზოგადაა ჩამოყალიბებული, თუ როგორ ჩატარდება აუდიტი. შესაბამისად, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

გარიგების (დავალების) სპეციფიკა;

- მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, აუდიტის ვადები და საჭირო ინფორმირების ხასიათი;

- მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარიგების გაფორმებამდე ჩასატარებელი წინასწარი სამუშაოების შედეგები და მოცემული დამკვეთისათვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება;
- მოცემული გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსების ხასიათი, მოცულობა და მათი გამოყენების დროის განსაზღვრა.

აუდიტის გეგმაში დეტალიზებულია კონკრეტული პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აუდიტის ჩასატარებლად. შედარებით მცირე მასშტაბის კომპანიებში, სავარაუდოდ, აუდიტის სტრატეგია წარმოდგენილი იქნება მოკლე ჩანაწერების სახით, ხოლო აუდიტის გეგმა – აუდიტის რამდენიმე სტანდარტული ადაპტირებული პროგრამით. უდიტის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტში აღწერილი იქნება აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება მტკიცებულებების შესაკრებად. ერთ-ერთ ძირითად ასპექტს ამ მიმართულებით წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული აუდიტი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს აუდიტის ჩატარების ისეთი მეთოდიკის შემუშავებას, რომელიც განკუთვნილია აუდიტში რისკის ფაქტორებზე რეაგირებისათვის. ამ შემთხვევაში აუდიტორები პროფესიულად განსჯით დაადგენენ, თუ რა დონის რისკი უკავშირდება დამკვეთის სისტემის სხვადასხვა სფეროს, რის საფუძველზეც გეგმავენ შესაბამის აუდიტორულ ტესტებს.

ზემოთ აღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ აუდიტორების განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ფინანსური ანგარიშგების ისეთ სფეროებზე, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი უზუსტობების არსებობა, რაც, ცხადია, შეცდომების გამოვლენის ალბათობას ზრდის და ამავე დროს ამცირებს ზედმეტი დროის ხარჯვას “უსაფრთხო” სფეროების ტესტირებაზე. რისკზე დაფუძნებული აუდიტის ტექნიკის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი:

- სამეწარმეო გარემოს მნიშვნელოვანი და მუდმივად მზარდი ტენდენცია, თავის მხრივ, ზრდის თაღლითობისა და უზუსტობების წარმოქმნის შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კომპიუტერული სისტემების ფართოდ გამოყენება და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ზრდა;
- აუდიტის დამკვეთების ზეწოლის გაძლიერება აუდიტორებზე, რაც გულისხმობს პროფესიული მომსახურებისათვის ანაზღაურების დაბალ ტარიფებს, ხოლო მომსახურების ხარისხის მაღალ დონეს.

შიგა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც აპროექტებს და ნერგავს კომპანიის ზედა რგოლების ხელმძღვანელი პერსონალი, რომლებიც სწორედ იმ მიზნით არიან დანიშნულნი, რომ ეფექტიანად მართონ კომპანია. დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად, მენეჯერებმა უნდა წარმოადგინონ იმის გარანტია, რომ კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მართვის მკაცრი პრინციპები და მათ აქვთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია მუშაობს შეთანხმებული სტრატეგიის, ანუ დასახული მიზნების შესაბამისად. მაგალითად, კორპორაციული მართვის პრინციპების ერთ-ერთი მოთხოვნაა კომპანიის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ:

- კომპანიაში არსებობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საიმედო პროცესი, რაც ეფექტიანად მუშაობს;
- მიღწეული იქნება მომსახურების დასახული დონეები;
- ყველა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნა შესრულდება.

შიგა კონტროლის დანიშნულებაა მინიმუმადე დაიყვანოს რისკები, რომელსაც კომპანია ექვემდებარება და თუ რისკები მაინც წარმოიქმნება, ეს ხელს ვერ შეუშლის კომპანიას სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ასს 315) - “არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით” – აღნიშნულია: “აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ასევე მტკიცების დონეზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიგა კონტროლის შესწავლის გზით, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის.” ამ მიზნის მისაღწევად აუდიტორს მოეთხოვება რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ხელმძღვანელობის გამოკითხვას;
- ანალიზურ პროცედურებს;
- დაკვირვებასა და დათვალიერებას.

შიგა კონტროლი მოიცავს კონტროლის ყველა სფეროს და მოითხოვს აუდიტორს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს სამეურნეო სუბიექტის შიგა კონტროლის გარემოს შესახებ. სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანახმად, შიგა კონტროლი ხუთი ელემენტისგან შედგება:

- კონტროლის გარემო;
- სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკის შესაფასებელი პროცესი;
- საინფორმაციო სისტემა, მათ შორის მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი ბიზნეს – პროცესები და ინფორმირება;
- მაკონტროლებელი საქმიანობა;
- კონტოლის პროცედურების მონიტორინგი.

სამეურნეო სუბიექტის შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუდიტორმა უნდა შეისწავლოს, ერთი მხრივ, შიგა კონტროლის სტრუქტურა, რათა გაიგოს, რომ ის ეფექტურია არსებითი უზუსტობის თავიდან აცილების და/ან გამოვლენის თვალსაზრისით; მეორე მხრივ, ხორციელდება თუ რა პრაქტიკულად მაკონტროლებელი საქმიანობა, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული პერიოდის მანძილზე სათანადოდ მუშაობდა კონტროლის სისტემა.

რისკის შეფასება და აუდიტი არის იმ რისკების შეცნობის სისტემური გზა, რომელსაც კომპანია აწყდება თავისი საქმიანობის პერიოდში. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობის და მრავალი ტიპის რისკები არსებობს, ლოგიკურია რისკის შეფასება და მისი აუდიტი რთული და კომპლექსური პროცესი იყოს. ფინანსური აუდიტისგან განსხვავებით, რისკის აუდიტის ჩატარება კომპანიებისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ მაღალ დონეზე რეგულირებად სექტორებში (მაგალითად, როგორიცაა საბანკო საქმე და საფინანსო მომსახურება), ბევრ ქვეყანაში გარკვეული ფორმით, რისკის შეფასება და აუდიტი სავალდებულოა. ზოგიერთი კომპანია იწვევს შიგა რისკების სპეციალისტებს რისკის "შიგა" აუდიტის ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში ამ ფუნქციას გარე კონსულტანტები ასრულებენ. ცხადია, ორივე მიდგომას გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიგა ფუნქციის უპირატესობა არის ის, რომ აუდიტორები საკარაუდოდ კარგად იცნობენ აღნიშნულ კომპანიას, მის სისტემებს, პროცედურებს, მარეგულირებელ გარემოსა და კულტურას, რაც გულისხმობს კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებულ შეფასებას. ნაკლოვანება კი გამოიხატება ისეთი საფრთხეების წარმოქმნაში, როგორიცაა: დამოუკიდებლობის შელახვა და ზედმეტი ინფორმირებულობით განპირობებული თავდაჯერებულობა. ამ მიზეზით კომპანიები ამჯობინებენ რისკის შეფასება და აუდიტი გარე მხარეებს მიანდონ.

რისკის ნებისმიერი ტიპის აუდიტს (შიგას თუ გარეს) აქვს ოთხი სტადია:

- რისკის დადგენა;
- შეფასება;
- მიმოხილვა;
- ანგარიშის მომზადება.

რისკის აუდიტის პირველი ეტაპია რისკების დადგენა. რისკების წარმოშობასა და არსებობას განაპირობებს კომპანიების საქმიანობის ცვალებადი ბუნება, ასევე იმ გარემოს მუდმივი ცვალებადობა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ახალი რისკები ჩნდება და ძველი ქრება, ამიტომ, ცხადია, რისკების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიებისათვის, რომლებიც ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში ფუნქციონირებენ.

შემდეგი ეტაპი რისკის შეფასებაა. ნებისმიერი გამოვლენილი რისკი უნდა შეფასდეს ორ ცვლადთან მიმართებით: რისკის რეალიზების (მატერიალიზების) ალბათობა და რისკის გავლენა, ანუ რა შედეგი ან საფრთხე მოჰყვება, თუ რისკი რეალიზდება. ეს არის ორი საინტერესო კოორდინატთა ღერძი, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ალბათობის/გავლენის წერტილების კოორდინატების დასადგენად და ინდივიდუალური რისკის ქცევის შესახებ თეორიული წარმოდგენის შესაქმნელად. "თეორიული", რადგან ზოგჯერ შეუძლებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება რისკის შესახებ, რათა მისი გავლენის და/ან ალბათობის ზუსტი სურათი მივიღოთ. რისკის შეფასების ასეთი სტრატეგია გამოიყენება მრავალ სიტუაციაში - აქციების პორტფელის მართვით დაწყებული, ინტერნაციონალურ სტრატეგიულ კურსზე რისკების გავლენის შესაცნობად. რისკის აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი განიხილავს ყველა ღონისძიებას, რომელიც კომპანიამ გაატარა თითოეულ გამოვლენილ და შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

მიმოხილვის სტადიაზე აუდიტორი აანალიზებს კონტროლის იმ საშუალებებს, რაც კომპანიას აქვს იმ შემთხვევისათვის, თუ რისკი მატერიალიზდება. მაგალითად, როდესაც აუცილებელია, აუდიტორმა შე-

იძლება შეამოწმოს დაზღვევა და მისი პირობები, თუ რა დონეზეა რისკის პორტფელი დივერსიფიცირებული და ნებისმიერი სხვა კონტროლის საშუალება, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. რისკებისათვის, რომელიც კომპანიას თავის თავზე აქვს აღებული, აუდიტორი ამოწმებს იმ ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანობას (როგორიცაა მაგალითად, ევაკუაცია, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და ა.შ.), რომლებიც მაშინ გატარდება, როდესაც რისკი მატერიალიზდება. მიმოხილვა უნდა იყოს არსებითი ამოცანა, რადგან თითოეულ შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის გატარებული ღონისძიება მიმოხილვის ნაწილია და შეიძლება პრაქტიკაში ბევრი რისკი იყოს განსახილველი.

ფინალურ ეტაპზე მიმოხილვის შედგების მიხედვით დაიწერება ანგარიში და გადაეცემა დამკვეთს, რომელიც ხშირად წარმოადგენს ხოლმე თავად იმ კომპანიის საბჭოს, რომლის აუდიტიც ტარდება. ხელმძღვანელობას სჭირდება ინფორმაცია, ძირითადი რისკების დონის შესახებ (კერძოდ: რისკები, რომელთაც წარმოშობის დიდი ალბათობა გააჩნიათ; რისკები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ და განსაკუთრებით ისეთი რისკები, რომელთაც გააჩნია დიდი ალბათობაც და გავლენაც), რისკების შეფასება და სახეზე არსებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობა. ნათელია, რომ ნებისმიერი არაეფექტური კონტროლის საშუალება ანგარიშის ძირითადი კომპონენტი იქნება და მათ დაუყონებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება ხელმძღვანელობამ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში შევეცადეთ გადმოგვეცა რისკების შეფასების და აუდიტის ზოგადი მიმოხილვა, საკვანძო საკითხები და წარმოგვედგინა წინადადებები, თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკების შეფასების სტრუქტურა მათი საქმიანობის შესაბამისად. ჩვენი აზრით, გონივრული იქნება სეგმენტირება კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე. აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, კერძოდ, რისკების შეფასების და აუდიტის სფეროში დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესის სფეროში კომპანიების საქმიანობის სწორად დაგეგმვას, რისკების სწორად შეფასებას, შიგა კონტროლის სისტემის დახვეწას, რაც, ცხადია, იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. გვარამია, ნ. ძიმცეიშვილი. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის ზოგიერთი ასპექტი. ევროპის სამეცნიერო ფონდის ინოვაციის ინსტიტუტი, XII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და ეკონომიკა", პირველი პოლონურ-უკრაინული ფორუმი. ორგანიზატორები - პოლონეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო, კუიავო-პომორსკის ვოევოდსტვოს, ევროპული ინტეგრაციის რეგიონული ცენტრი და ქ. ვლოცლავეკის მერია. 21-24 მაისი, ვლოცლავეკ-კანიევო, პოლონეთი, 2015.წ. გვ. 291-295
2. ACCA წიგნი P7. აუდიტი და მარწმნებელი მომსახურება (საერთაშორისო პროგრამა, უმაღლესი დონე). სახელძღვანელო, თარგმნილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ, 2010 წ.
3. ნ. გვარამია. აუდიტის მსოფლიო კონცეფციები და განვითარების ტენდენციები საქართველოს საბანკო სექტორში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, თბილისი, 2012 წ.
4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ჟ. ბუღალტრული აღრიცხვა, #11, თბილისი, 2010 წ.
5. საქართველოს კანონი შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ. 2010 წ. 26 მარტი, თბილისი.
6. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. ქუთაისი, 8 ივნისი 2016 წ. N5386-IIს
7. А. Кушнареев. Журнал «Аудит»; №2-3, 2011 г.

Revealing Risk in Audit

N. Gvaramia

Summary

The scientific work highlights the role and importance of tourism as one of the priority directions in the 21st century. It as the quite profitable field of world economy has become an important factor of successful development of the national economy and business of our country. Development of tourism is directly connected to social, cultural, educational and economic spheres, and at the same time it greatly stipulates economic relation between states. Hence, the sphere mentioned in the studies is characterized as an interfiled complex which simultaneously fulfils double (both entrepreneurial and non-entrepreneurial) function in a country's economy. High multiplicative effect is characteristic to tourism. It can equalize the levels of development of economy in different regions. Somehow, development of tourism plays a role of stimulator (a catalyst). That is why this field, in comparison with other fields of economy, can bring more important positive social-economic effect.

The work gives us the analysis of the mechanisms of effective functioning of travel agencies from the view of registry, risk evaluation and audit; in particular, the elements of internal control, the requirements of international standards of audit are presented and the advantage of audit of risks as of internal performance of a company is given, correspondingly, this means the evaluation carried out considering company's expectations and norms, following legislative requirements, using a proper technical language. Four stages are characteristic to any type of audit (internal or external) of risk. According to the above mentioned, in our opinion, the issues of risk evaluation and audit in travel agencies attract great interest which is highlighted in the presented scientific work. The studies are about the existed general approaches to risks and one of the practical explanations is analyzed, accordingly, returnas the description of the function of risks and the best scene of possibilities of its making is presented.

As the world politics show, with the purpose of enhancement of a country's social-economic development as well as providing effective performance of separate economic subjects, the stability of a country's economic system is of great importance. One of the prerequisites of this is the creation of the system of risk evaluation and audit. Without this system it is impossible to develop economy. Hence, we think the application of the above mentioned system in travel agencies in Georgia will guarantee their effective performance.

Key words: *audit, standards, risk, assessment, and management.*

ეკონომიკური წესრიგის სპეციფიკური ჩარჩო პირობების ფორმირების პრობლემა

რევაზ გველესიანი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთო ეკონომიკური განვითარების შეფასებისას ხაზგასმა ყოველთვის ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების მნიშვნელობაზე კეთდება. ინვესტორთა მოლოდინი, კონკურენციის პირობებში გაწეული რისკების დაზღვევის შესახებ, მხოლოდ მაშინ არის დასაბუთებული, როდესაც ჩარჩო პირობები კარგი და საიმედოა, ე.ი. როდესაც ბაზრები ღიაა და მათი რეგულირება შემოთავაზებული ღონისძიებებით შემოიფარგლება. თანამედროვე ინფრასტრუქტურის არსებობის პირობებში სახელმწიფო დისკრიმინაციულ ინტერვენციულ ჩარევაზე უარს ამბობს. ასეთივე მნიშვნელობისაა, აგრეთვე, ინვესტირების მიკროეკონომიკური პირობები (ვიწრო გაგებით საგადასახადო და ხარჯების პოლიტიკის, სატარიფო ხელშეკრულების პარტნიორების მიერ ხელფასებისა და სახელფასო სტრუქტურის ფიქსირების, ფულადი პოლიტიკის, საპროცენტო განაკვეთებისა და ა.შ. სახით).

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური წესრიგი, ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა, ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობები, ინტერესთა ჯგუფები, ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები.*

საბაზრო-ეკონომიკური სისტემების მართვის შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულია, რაც განპირობებულია ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებული მიზეზებით. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მართვის იმ მცდელობებს, რომლებიც ორიენტირებული არიან საბაზრო პროცესის კონკრეტულ შედეგებზე, რასაც ადასტურებს, როგორც სტაბილიზაციის პოლიტიკის, ისე განაწილების პოლიტიკის შემთხვევები. მართვის შესაძლებლობათა საზღვრებს თვითონ საბაზრო-ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა ადგენს. როგორც ვიცით, საბაზრო სისტემის სტრუქტურა არის კომპლექსური და ევოლუტორული (ღია). იგი ემყარება თვითკოორდინაციას - საბაზრო მოქმედებების მეშვეობით, ხოლო თვითკონტროლს კონკურენციის საფუძველზე. საბაზრო-ეკონომიკური სისტემა, როგორც ,,დაუგეგმავი წესრიგი,'' წარმოადგენს კოორდინირების შედეგს; საქმე ეხება ისეთ კოორდინირებას, რომელიც შრომის დანაწილებაზე აგებულ ეკონომიკაში იმ მეწარმეებსა და ინდივიდებს შორის მყარდება, საკუთარი, კერძო მიზნების განხორციელებას რომ ესწრაფვიან. მაგრამ სხვადასხვა სახის წესრიგი, როგორც ასეთი, ემსახურება ზოგად და არა კონკრეტულ (კერძო) მიზნებს.

კოორდინაციის მეთოდების თვალსაზრისით რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა თავისებური დუალიზმით ხასიათდება. ძირითადი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის საქმეში, პასუხისმგებლობის გადანაწილების მხრივ, ის კერძო სექტორზეა ორიენტირებული. მეორე მხრივ, კი იგი წარმოადგენს ეკონომიკის კონკრეტულ ტიპს, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს წმინდა საბაზრო ეკონომიკასა და ცენტრალიზებულად მართვად ეკონომიკას შორის. აქედან გამომდინარე, მასში სახელმწიფო სექტორი მნიშვნელოვნად გამოირჩევა. ასე, რომ გლობალური საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფის კოორდინაცია ცენტრალიზებულად რეგულირდება. საბაზრო ბერკეტებითა და ცენტრალიზებულად რეგულირებული სექტორები ერთმანეთთან კავშირში იმყოფებიან მართვის სხვადასხვა ღონისძიებათა საფუძველზე, რაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზანდასახულობით ხორციელდება. დუალისტური ხასიათის მქონე სისტემის ფუნქციონირების შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად კოორდინირებულად მუშაობს ორივე სექტორი და რა ზეგავლენას ახდენს საბაზრო კოორდინაციის სექტორის ფუნქციონირებაზე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები.

წმინდა საბაზრო ეკონომიკური ტიპის წესრიგიდან რეგულირებად საბაზრო ეკონომიკის ტიპად გარდაქმნის მცდელობა იმას ნიშნავს, რომ ,,დაუგეგმავი წესრიგი'' ჩამოაყალიბო ეკონომიკურ–პოლიტიკურად განსაზღვრული მიზნებით. აქედან გამომდინარეობს ორი ძირითადი პრობლემა:

- როცა საბაზრო კოორდინაციის პროცესს და მის შედეგებს მართვის ღონისძიებათა საფუძველზე ვესწრაფვით, ეს არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა ,,დაუგეგმავი წესრიგისათვის'' გარკვეული მიზნების წინასწარ დასახვა. ამგვარი მიზნები არ შეესაბამება მოცემული წესრიგის ხასიათს; ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ისინი საბაზრო სისტემის მხრიდან ისეთ რეაქციებს გამოიწვევენ, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და გათვალისწინება შეუძლებელია.

- მართვის ღონისძიებათა მიზანმიმართული განხორციელებისათვის აუცილებელი იქნებოდა მოსალოდნელი შედეგების წინასწარი ცოდნა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ევოლუტორული საბაზრო მოვლენები, მათი კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, არ დაიყვანება დამაჯერებელ და სანდო კანონზომიერებებზე, რაც შესაძლებელია ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. იგივე უნდა ითქვას მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზეც, რასაც უნდა დაემყაროს მართვის ღონისძიებები [1, გვ.219].

იმ პირობებიდან, რომლებსაც ეკონომიკური წესრიგის თეორია აყენებს, მართვის უამრავი მცდელობის მიმართ დასაბუთებული ეჭვი ჩნდება. ამიტომაც მნიშვნელოვანია:

- მართვის მცდელობების ლოგიკური სტრუქტურების დამუშავება და მათი ელემენტების განსაზღვრა;
- ისეთი პირობების თუ შეზღუდვების გაანალიზება, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს განსხვავებული ინტერვენციის კატეგორიებს და
- იმ მეთოდებისა და კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც მართვის მცდელობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში გამოიყენება [1, გვ.220].

წესრიგის პოლიტიკა მოითხოვს უფრო მეტ დიფერენცირებას, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური საზოგადოების კერძო ჯგუფებად დაყოფას, მის სტრუქტურას (კერძო საოჯახო მეურნეობები, დარგები, ინტერესთა წარმომადგენლობები, სოციალური დაწესებულებები და ა.შ.) და ასევე სახელმწიფო ინსტიტუციებს, იმისათვის, რომ ჩარჩო პირობების სპეციფიკური მნიშვნელობის გაგება შევძლოთ [2, გვ.18].

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა მიისწრაფის მიაღწიოს შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობების ფორმირებას შორის [3, გვ.33]. ამიტომაა, რომ მას ხშირად თვისებრივი ცვლილებების განმსაზღვრელ პოლიტიკასაც უწოდებენ [1, გვ.26-30; 49-53]. ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით წესრიგის პოლიტიკაში სიტუაციის ანალიზი უფრო ძნელია. ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა, მაგალითად, შრომის ბაზრის პოლიტიკაში დასაქმებულთა რაოდენობა და უმუშევართა წილი, ან ფულად პოლიტიკაში ფულის რაოდენობა ან საპროცენტო განაკვეთი, აქ არ არსებობს. თუმცა ასეთი ინდიკატორი ჩარჩო პირობებთან მიმართებაში შეიძლება საზოგადოების კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში სხვა გზას ირჩევენ. კერძოდ, პირველ რიგში, ეკონომიკური წესრიგის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტებს აანალიზებენ. მეორე – სახელმწიფოსა და კერძო სფეროებს შორის „საზღვრების გადაწევის" საკითხს განსაზღვრავენ. მესამე, კიდევ ერთხელ განიხილავენ საზოგადოებრივი საქონლის სპეციფიკურობას და ბოლოს, შესაძლებელი ხდება არსებული ჩარჩო პირობებიდან გამომდინარე ეფექტიანი ან არაეფექტიანი ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მოქმედების შედეგების გამოვლენა [3, გვ.34].

წესრიგის პოლიტიკაში განსაკუთრებული პრობლემები იქმნება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ადგილი აქვს მიზანთა დაქსაქსულობას. საბაზრო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში წინა პლანზე რესურსების ოპტიმალური ალოკაცია გამოდის. მაგრამ მხოლოდ მასზე საზოგადოებრივ განვითარებას ვერ ააგებ. თუკი იგი (საბაზრო ეკონომიკური წესრიგი) შეესაბამება უსაფრთხოებისა და სამართლიანობის მიზნებს, მაშინ სახელმწიფომ განაწილებისა და გადანაწილების პოლიტიკა ცალკე არ უნდა გამოყოს. და თუ ეს მაინც ხდება, მაშინ მიზანთა კონფლიქტების გადაჭრა ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ წესრიგის პოლიტიკის კონცეფციაზე, არამედ კვლავინდებურად ინტერესთა პოლიტიკური გავლენითა და ძალაუფლების შენარჩუნების პოლიტიკით მოხდება [3, გვ.56] ამიტომ საჭირო ხდება გრძელვადიანი პერიოდისათვის ეკონომიკური (კონკურენციული) წესრიგის მრავალმხრივი ჩარჩო პირობების შემუშავება [4, გვ.58-64; 86-103].

ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ ღონისძიებათა ძიების პროცესში, რომლებმაც თავიდან უნდა აგვაშოროს დასახული მიზნისგან გადახვევა, აუცილებელია შემოწმდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი შედეგი უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დამოკიდებულებაში. მიზნის მიმართ კონფორმულად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიესადაგება ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრას [1, გვ.307].

რაციონალური ეკონომიკურ–პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია გავაანალიზოთ მათი მიზნის, კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობა. ეს უნდა განხორციელდეს მიზანთა მთელ სისტემასთან დამოკიდებულებაში, იმ მიზნების ჩათვლით, რომლებიც ძირითად ღირებულებებად არიან აღიარებული. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესამცირებლად საჭიროა ისეთი კრიტერიუმი, რომელიც შეფასებას გააადვილებს. უნდა გამოვიკვლიოთ აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის რომე-

ლი საშუალების გამოყენებაა დასაშვები. ასეთი პროგრამა არის ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია. იგი გვაწვდის საკმარის და ერთმნიშვნელოვან ინფორმაციას არსებითი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კონსენსუსის თაობაზე. საქმე ეხება იმ კონსენსუსს, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივ მიზანთა უფრო მომცველი სისტემის შემადგენელ სფეროს, დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს. ეს მდგომარეობა განსაზღვრავს მის ღირებულებას. ამ გარემოების გათვალისწინება გვიადვილებს დავადგინოთ მიზანი სისტემის მიმართ კონფორმულობით ხასიათდება თუ არა.

სისტემის მიმართ კონფორმულობა სწორედ ის კრიტერიუმია, რომლითაც იზომება რაც მთავარია მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციაში. ძირითად ღერძს წარმოადენს კოორდინაციის ის მეთოდები, რომლებიც ეკონომიკას ახასიათებს, როგორც დაქვემდებარებულ სფეროს (ქვესისტემას). მნიშვნელოვანია სწორედ ამ საყრდენი ღერძის ამორჩევა, ვინაიდან ეკონომიკის, როგორც ქვესისტემის არსებობა კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული.

სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმი საბაზრო ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა სიზუსტე შესაძლებელია საბაზრო კოორდინაციის ასპექტით შეფასდეს. კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირების გაუმჯობესება ან გაუარესება იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთმა მიზანმა, რომელსაც კონკრეტული დუალისტური სისტემის საფუძველზე ვესწრაფვით, დადებითი ზემოქმედება განიცადა, ზოგმაც - უარყოფითი. შეფასების პრობლემის წარმოშობა სწორედ ამას უკავშირდება. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტულ ტიპთან დამოკიდებულებაში გასარკვევია თუ რა შედეგი მოაქვს გააზრებულ ღონისძიებას. განაწილების მიზნებიდან გამომდინარე საქმე იმის გარკვევას ეხება ხომ არ ,,დაზიანდა'' საბაზრო კოორდინაცია და ხომ არ შემცირდა განაწილების სიზუსტე.

მიზნის, კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმის გამოყენებამ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავიდან უნდა აგვაცილოს დეზორიენტირებული ინტერვენციონიზმი. ასეთ ინტერვენციონიზმს, უპირველეს ყოვლისა, ორი ფაქტორი განაპირობებს:

- ჯერ ერთი, იმ ადამიანების თვალსაწიერის შეზღუდულობა, რომლებიც ეკონომიკის ცალკეული სფეროების სპეციფიკურ პრობლემათა ანალიზით არიან დაკავებული. ამავე დროს, პირდაპირ ზეგავლენას განიცდიან ან როგორც უშუალოდ პოლიტიკური თანამდებობის პირი (მინისტრი ან შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის წევრი) ან როგორც ინტერესთა ჯგუფის დამცველი (რომელიმე გაერთიანების ფუნქციონერი);
- მეორეც, პოლიტიკური მოღვაწე მუდამ წარმატების მიღწევის წნეხის ქვეშაა, ვინაიდან ცდილობს მოკლე საპარლამენტო პერიოდში ისეთი ღონისძიებები გაატაროს, რომელიც მაქსიმალურ უკუგებას მოუტანს. იგი გათვლას მიზნის მოკლევადიან ზემოქმედებებზე აკეთებს და გრძელვადიან პერსპექტივას არ ითვალისწინებს [2, გვ.150].

ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა სისტემის მიმართ კონფორმულობის შემოწმებისას მიზანშეწონილია იმ ინსტიტუტებს დავეყრდნოთ, რომლებიც საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგს აყალიბებენ. ისინი უნივერსალური თვისებებით ხასიათდებიან და აკმაყოფილებენ საყოველთაობის, ღიაობისა და განსაზღვრულობის კრიტერიუმებს. რაც შეეხება ინტერვენციებს, მათ არც ღიაობა ახასიათებთ და არც საყოველთაობა. პირიქით, ამ შემთხვევაში კონკრეტულ ეკონომიკურ შედეგებს ხშირად მხოლოდ გარკვეულ ინტერესთა ჯგუფები იმკიან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა რეალიზება მით უფრო ძნელია და იგი უფრო დიდ ზიანს აყენებს თვითრეგულირებადი ბაზრის ფუნქციონირებას, რაც უფრო მეტად შორდება შესაბამისი წესები უნივერსალურობის თვისებას.

ბოლო ხუთი ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურ–პოლიტიკური დისკუსიები უფრო ინტენსიური გახდა. ისინი სულ უფრო მეტად ეკონომიკურ თეორიაში არსებულ და მიღებულ ცოდნას ემყარება. ამან პოლიტიკოსების, ხელისუფლების წარმომადგენელთა, მეწარმეებისა და ინდივიდების ემპირიულ-მეცნიერულ დონეზე გათვითცნობიერებას შეუწყო ხელი. „თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკა სხვა მეცნიერებათა ხვედრს იზიარებს, მასაც საშუალებად იყენებენ იმ ინტერესთა ბრძოლაში, რომლის მიზანიც ძალაუფლების მოპოვება და მისი განხორციელებაა“ [5, გვ.17]. ერთი მხრივ, ეს ვითარება ნეგატიურ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ მეორე მხრივ, ეკონომიკური ცოდნა საუკეთესო თავდაცვითი საშუალებაა, რომელიც პოლიტიკოსს და საერთოდ ეკონომიკურ პოლიტიკას ექსპერტთა ტყვეობაში მოხვედრისაგან იცავს. ამასთან, იგი საშუალებას გვაძლევს კრიტიკულად განვიხილოთ ეკონომიკური მეცნიერების მიერ დეკლარირებული დებულებები [6, გვ.61-65].

ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც მოძღვრების გრძელვადიანი შედეგი ისაა, რომ მეცნიერულად დეტერმინირებული პოლიტიკის არსებობა შეუძლებელია. ხელსაყრელ შემთხვევაში მეცნიერებაზე დაყრდნობით შესაძლებელია მხოლოდ ის, რომ ხარჯებსა და სარგებელს შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდეს. ეკონომიკური პოლიტიკის უპირატესობა უცვლელია იმ ასპექტით, რომ მხოლოდ მას ძალუძს

კომპლექსურ ემპირიულ-მეცნიერულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ისეთი გადაწყვეტილებები შეიმუშავოს, რომლებიც კონფორმული იქნება მიზნის, კონცეფციისა და სისტემის მიმართ და შეიძლება მივიღოთ, როგორც „საერთო ნების“ გამოხატულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart.
2. რ. გველესიანი, ი.გოგორიშვილი, (2012), ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ–პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი, ,,უნივერსალი.''
3. KOCH W. A, CZOGALLA Ch, (2004), Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart.
4. DONGES J. B., FREYTAG A, (2004), Allgemeine Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart.
5. SCHILLER, K. (1956), Der Oekonom und die Gesellschaft. Hamburger Jahrbuch fuer Wirstchafts- und Gesellschaftspolitik 1.
6. SCHILLER, K. (1968), Konjunkturpolitik auf dem Wege zu einer Affluent Society; in R. SCHWEBLER und W. FOEHRENBACH (Hrsg.): Jahre der wende (Festgabe fuer Alex Moeller), Karlsruhe.

Problem of Establishing the Specific Frame Conditions for the Economic Order

R.Gvelesiani

Summary

The possibilities of regulation of the market economy systems is rather limited mainly due to the factors related to economic order. Economy Order Policies requires more differentiation that shall be equivalent to: the separation of economic society into concert groups, its structure (private households, branches, lobbyists, social institutions and etc.) also to the state institutions for understanding the essence of basic conditions.

For taking the rational economic-policy decision, it's essential to analyze their aim, conception and conformity toward the system. The disorganized intervention in regulated market economy can be avoided by using the criteria of conformity degree toward the existing system of the aim and conception.

The priority of economic policies is unchanged to the aspect that only through using its complex scientific empirical information can be drafted the decisions that will be in accordance to the aims, conceptions and toward to the existing system. Ultimately, such an approach can be reckoned as the expression of the "Common Will".

Key Words: *Economy Order, Economy Order Policy, Frame Conditions for the Economic Order, Interest Groups, Rational Economic-Policy Decisions.*

საქართველოში საფინანსო სექტორის განვითარების თანამედროვე ასპექტები

ლილი გვენეტაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გლობალიზაცია - თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარ ტენდენციას წარმოადგენს. ფიანსურმა გლობალიზაციამ, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, შეცვალა ფინანსური ინდუსტრია. საფინანსო სექტორმა ტრანსფორმაცია განიცადა. ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს საფინანსო სექტორი. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დღემდე ვერ განხორციელდა საქართველოს საფინანსო სექტორის ეფექტური ტრანსფომაცია. საფინანსო სექტორში საბანკო სეგმენტს მონოპოლიური ადგილი უკავია. ბანკებს შორის კონკურენცია სუსტია. საფონდო ბაზარი განუვითარებელია. შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის მხარჯველი სუბიექტები ვერ იყენებენ ფინანსური რესურსების მოზიდვის პირდაპირი დაფინანსების ეფექტურ შესაძლებლობებს, დამზოგველ სუბიექტებს კი ფინანსური რესურსების განთავსების ალტენატიული შესაძლებლობები არ გააჩნიათ. რაც თავის მხრივ აფერხებს ინვესტიციებში დაბანდებას და ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსვლას.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური გლობალიზაცია, საფინანსო სექტორი, ფინანსური ინდუსტრია, პირდაპირი დაფინანსება, არაპირდაპირი დაფინანასება, დაკრედიტება, დოლარიზაცია.*

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა თავისი განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე იმყოფება. გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას წარმოადგენს. ის აისახება ნაციონალური ეკონომიკის ინტეგრაციაში, საერთაშორისო კოოპერაციის ზრდაში, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციაში. ფინანსური გლობალიზაციის პროცესში, საერთაშორისო სივრცეში, იზრდება კაპიტალის მობილობა, ძლიერდება საერთაშორისო ფინანსური ბაზრების (სავალუტო, საკრედიტო, საფონდო) როლი, საერთაშორისო კაპიტალი იძენს მნიშვნელოვან და დამოუკიდებელ ღირებულებას.

აღნიშნულმა პროცესებმა წამყვანი ქვეყნების ფინანსური ინდუსტრიის ჩვეული სახე შეცვალეს და უდიდეს ზემოქმედება მოახდინეს ამ ქვეყნების უმსხვილესი ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და სხვა საფინანაო ინსტიტუტების საქმიანობაზე, რამაც თავის მხრივ, საფინანსო სიტემის ტრანსფორმაცია გამოიწვია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წამყვანი ქვეყნების ტენდენციები დანარჩენ ქვეყნებშიც და მათ შორის განვითარებად და პოსტსაბჭოური ქვეყნებშიც ვრცელდება. **ზოგადად პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გლობალიზაციის პრინციპების თითქმის გაუთვალისწინებლად განხორციელდა, რამაც ამ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში წარმოების სტაგნაცია გამოიწვია.** მათ უწევთ საერთაშორისო კონკურენციის შენარჩუნების, ამაღლების ან თუნდაც გადარჩენის მიზნით თავისი ფინანსური სექტორის გარდაქმნა. **ასეთ პირობებში საქართველოში ფინანსური სექტორის განვითარების თანამედროვე ასპექტების შესწავლა, აქტუალურია და თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს.**

გლობალიზაციის პროცესში, ქვეყნის ეკონომიკის რეალურ სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის საფუძველს საფინანსო სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოადგენს. ფინანსური სექტორი ხომ ურთიეთდაკავშირებული საფინანსო ინსტიტუტების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს საფინანსო რესურსების მოძრაობას და გადანაწილებას, ეკონომიკის, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ დაფინანებას. მას მიეკუთვნება ფინანსური შუამავლები, საფონდო ბირჟა და სხვა საფინანსო სერვისცენტრები.

ფინანსური შუმავლობა, საფინანსო შუამავლების მეშვეობით, ეკონომიკური სუბიექტების არაპირდაპირო დაფინანსებაა. საფინანსო შუამავლების სამი კატეგორია არსებობს: **ა) სადეპოზიტო დაწესებულებები; ბ) სახელშეკრულებო შემნახველი ორგანიზაციები** და **გ) საინვესტიციო შუამავლები** [11].

საქართველოს საფინანსო სექტორში სადეპოზიტო დაწესებულებები კომერციული ბანკებით და საკრედიტო კავშირებით არის წარმოდგენილი. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ქვეყნის საფინანსო სექტორში საბანკო სექტორი დომინირებს და მას მონოპოლიური ადგილი უკავია. კერძოდ საფინანსო სექტორის აქტივების 90 %-ზე მეტი საბანკო სეტორზე მოდის. შესაბამისად კომერციულ ბანკებს ქვეყნის საფინანსო სექტორში კონკურენტი ფაქტობრივად არ ყავთ, ბანკებს შორის კონკურენციაც სუსტია [9]. ზოგადად, აქტივების თვალსაზრისით, ბანკები, ყველაზე მსხვილი და უძველესი ფინანსური შუამავლე-

ბია, ვისთანაც ადამიანი ყველაზე ხშირად ურთიერთობს [10]. 2015 წლის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სისტემა 19 კომერციულ ბანკს აერთიანებდა, საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები კი მშპ-ის 79%-ს შეადგენდა [14]. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირების ტენდენცია აღინიშნება, ის მოსახლეობის რიცხოვნობასა და ეკონომიკის მასშტაბებთან დამოკიდებულებით შემდგომ ოპტიმიზაციას საჭიროებს.**

ყუადღებას იმსახურებს ქვეყნის საბანკო სექტორში უცხოური კაპიტალის უშუალო მონაწილეობის ზრდის ტენდენცია, ასე, მაგალითად, 2005 წელს უცხური კაპიტალის მონაწილეობით, კომერციული ბანკების 63% ფუნქციონირებდა, 2015 წელს კი - 95%. 2015 წელს არარეზიდენტი მესაკუთეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში საბოლოო მფლობელობის მიხედვით 85%-ს, ხოლო სააქციო კაპიტალში 82%-ს შეადგენდა[2]. მთლიანი აქტივების, სააქციო კპიტალისა და გაუნაწილებელი მოგების ზრდასთან ერთად, საბანკო სექტორის შემოსავლიანობაც სტაბილურად იზრდება. ასე, მაგალითად, 2015 წელს 2010 წელთან შედარებით, მთლიან აქტივებზე შემოსავლიანობა გაიზარდა 0,7 პროცენტული პუნქტით და 2,1% შეადგინა, საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობა კი გაიზარდა 6,5 პროცენტული პუნქტით და 15,2% შეადგინა [11]. რაც თავის მხრივ, გვიჩვენებს იმას, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებში დაბანდება უცხოური ინვესტორებისათვის მიმზიდველია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბანკო სექტორი სკმაოდ ძლიერი სტრატეგიული ინვესტორებითაა წარმოდეგნილი, მათ შორისაა მსხვილი ევროპული და რეგიონული საბანკო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიუტები, რომელთაც საჭიროების შემვევაში დამატებით კაპიტალის ლიკვიდობის უნარი შესწევთ.

ქვეყნის საბანკო სექტორში 2010-2015 წლებში კომერციული ბანკების სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც დანაზოგების ზრდისა და მისი ინვესტიციებში ტრანსფორმაციის პროცესის გააქტიურების მაჩვენებელია. შეიცვალა საქარველოს საბანკო სექტორის მიერ ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურაც. ასე, მაგალითად, 2015 წელს 2010 წელთან შედარებით, რეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა 2,5-ჯერ გაიზარდა. ამასთან, 2010 წელს გაცემული მთლიანი სესხის 31,4% ვაჭრობის სექტორზე მოდიოდა, ხოლო სოფლის მეურნეობასა, მრეწვლობაზე და მშენებლობაზე, შესაბამისად, 0,8; 13 და 6,5%. 2015 წელს 2010 წელთან შედარებით, ვაჭრობის სექტორზე გაცემული სესხები 11%-ით გაიზარდა, ამასთან ამ სესხების ხვედრითი წონა მთლიან სესხებში შემცირდა და 14% შეადგინა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობას, ის დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა და მასზე მთლიანი სესხების მოცულობის 2% მოდის. მრეწველობასა და მშენებლობაზე გაცემული სესხების მოცულობა 2010 წელთან შედარებით, მრთალია, გაიზარდა, მაგრამ მისი ხვდრითი წონა მთლიანი სესხების მოცულობაში შემცირდა და შესაბამისად 12 და 3,7% შეადგინა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ 2015 წელს, 2010 წელთან შედარებით, შინამეურნეობაზე გაცემული სესხები 3,3-ჯერ გაიზარდა და მთლიანი სესების 50% შეადგინა [14]. **მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება, წარმოების სტაგნაციიდან გამოსვლა ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურის შემდგომ გაჯანსაღებას მოითხოვს.**

საქართველოს საბანკო სექტორში მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ფინანსური დოლარიზაციის მაღალი დონე. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხებისა და დეპოზიტების მოცულობა იზრდება, ხოლო ფინანური დოლარიზაციის დონე ჯერ კიდევ მაღალია. ასე, მაგალითად, 2015 წელს, 2010 წელთან შედარებით, სესხის დოლარიზაციის დონე საშუალოდ შემცირდა 9 პროცენტული პუნქტით და 2015 წელს 64% გახდა. დეპოზიტების დოლარიზაციის დონეს კი სტაბილურად მაღალი დინამიკა გააჩნია. 2015 წელს, 2010 წელთან შედარებით, დეპოზიტების დოლარიზციის დონე საშუალოდ 7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 88% გახდა [14]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დოლარიზაციის დონე განსხვავებულია მოკლე და გრძელვადიან პერიოდში, შესაბამისად მისი საშუალო დონე რეალურ მდგომარეობას ზუსტად ვერ ასახავს. მიუხედავად ამისა, ფინანსური ნაკადების დოლარიზაციის დონეზე დაკვირვება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ფინანსური დოლარიზაციის დაბალი დონე საბანკო სექტორის სისტემურ რისკს ამცირებს და ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის უფრო ეფექტიან მოქმედებას. იმავდროულად, აღნიშნული მაჩვენებელი ეკონომიკური აგენტების კურსის ცვლილებისა და ეროვნული ვალუტის ნდობის მოლოდინს უკავშირდება.

რაც შეეხება ისეთ არასაბანკო სადეპოზიტო ინსტიტუტს, როგორიცაა საკრედიტო კავშირი, მისი როლი საქართველოს ეკონომიკის დაფინანსებაში უმნიშვნელოა. ქვეყანაში 2010 წელს სულ 18, ხოლო 2015 წლის მონაცემებით 15 საკრედიტო კავშირი იყო. ამ პერიოდში მათი მთლიანი აქტივები დაახლოებით 3,3-ჯერ გაიზარდა და 9 448 536 ლარი შეადგინა.

საფინანსო შუამავლების სფეროში მნიშვნელოვანს როლს ასრულებს სახელშეკრულებო შემნახველი დაწესებულებები - სადაზვევო კომპანიები და საპენსიო ფონდები, რომელთაც აქტივებს ეფექტიანი

გარდაქმნა შეუძლიათ. სადაზღვევო კომპანიები სადაზღვევო პრემიების ინვესტიციებიდან მიღებულ შემოსავალს სადაზღვევო მომსახურების მიზნით იყენებენ. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 2015 წელს 14 კომპანია მოქმედებდა. აღსანიშნავია ის, რომ სადაზღვევო ინდუსტრიის მიერ მოზიდული პრემია რამდენიმე ასეულ მლნ ლარს შეადგენს და ბოლო წლების განმავლობაში იზრდება. ასე, მაგალითად, სადაზღვევო პრემია 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 52 მლნ ლარით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით კი 58 მლნ ლარით. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის პოტენციალი დღეს სრულად არ გამოიყენება. ასე მაგალითად, მსოფლიოს სადაზღვევო ინდუსტრიის წილი მსოფლიო მშპ-ში 6,17 %-ია; განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელია 8,15 %, ხოლო განვითარებადის – 2,71 %. საქართველოს მაჩვენებელია 0,83 % -ს შეადგენს [8].

რაც შეეხება საპენსიო ფონდს, ის აქტივების ტრანსფორმაციაში ფიანასური შუამავლის ფუნქციას ასრულებს და იმავდროულად მოსახლობას, პენსიაზე გასვლის შემდეგ, შემოსავლით უზრუნველყოფს. შესაბამისად, საპენსიო ფონდის როლი იზრდება. საქართველოში საპენსიო ფონდის დამფუძნებლები ძირითადად სადაზღვევო კომპანიებია. 2015 წლის მონაცემებით, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე რეგისტრირებული სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფუძნებულია 5 საპენსიო სქემა, საიდანაც მხოლოდ ორი ანხორციელებს აქტიურ საპენსიო დაზღვევას, რაც ქვეყნის მასშტაბით უმნიშვნელოა. ყველა სტაბილურად დასაქმებულ პირის საპენსიო დაზღვევაში ჩართვა, გრძელვადიან პერსპექტივაში, არა მარტო დამატებით ასეულობით მლნ ლარი ინვესტიციების განახორციელებას შეძლებს, არამედ ქვეყანში იმავდროულად დაზღვეულთა სოციალური და ფინანსური დაცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ ლიბერალურმა საზედამხედველო გარემომ საქართველოში მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებას შეუწყო ხელი. საქართველოში 2015 წელს, 2010 წელთან შედარებით, გაიზარდა: საფინანსო სექტორში მონაწილე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა დაახლოებით 1,4-ჯერ; მთლიანი აქტივების ოდენობა 6,1-ჯერ (1,6 მლნ ლარი შეადგინა); წმინდა სესხების მოცულობა 5,2-ჯერ (1 171 მლნ ლარი შეადგინა). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ არარეზიდენტი საფინანსო ინსტიტუტების დინტერესება სულ უფრო იზრდება. დაურეგულირებელი საფინანსო შუამავლობის ზრდამ კი ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგრადობას მომავალში შეიძლება გარკვეული საფრთხე შეუქმნას.

იმის გათვალისწინებით, რომ გარდამავალი ეკონომკის ქვეყნებში ადგილობრივი ფინანსური რესურსების დეფიციტია, გარდაუვალია უცხოური კაპიტალის შემოსვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში აქამდე უცხორი კაპიტალი ძირითადად საფინანსო სექტორის, მომგებიან, საბანკო სეგმენტში შემოდიოდა, რაც ეკონომიკურ სუბიექტების არაპირდაპირი დაფინანსებას უწყობს ხელს. ეკონმიკური სუბიექტების პირდაპირ დაფინანსება მოითხოვს საფონდო ბაზარის განვითარებას. შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის, ადილობრივი საფონდო ბირჟის ეფექტიანი ფუნციონირება უცხოური კაპიტალის შემოსვლის ალტერნატივას წარმოადგენს. დღეს საქართველოში საბანკო სექტორი საფონდო ინდუსტრიის განვითარებისა და შესაბამისად, პირდაპირი დაფინანსების ერთ-ერთი შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. საქართველოს საფონდო ბირჟის აქციათა 56% ქართული კომერციული ბანკების საკუთრებაშია. შესაბამისად, საფონდო ბირჟის განვითარება არ შეიძლება მათ ინტერესს არ წარმოადგენს. 2009 წლიდან დღემდე, ფინანსური სექტორის ამ ორივე სეგმენტს საქართველოს ეროვნული ბანკი არეგულირებს. საქართველოში საფონდო ბაზარი ვერ ასრულებს აქციებზე ფასწარმოქმნის ფუნქციას. ქვეყანაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა მოტივირებული არ არის. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომკის სუბიექტები ვერ იყენებენ ფინანსური რესურსების მოზიდვის პირდაპირი დაფინანსების ეფექტიან შესაძლებლობებს, დამზოგველ ეკონომიკურ სუბიექტებს კი ფინანსური რესურსების განთავსების ალტენატიული შესაძლებლობები არ გააჩნიათ, რაც თავის მხრივ აფერხებს ინვესტიციების დაბანდებას და ეკონომიკის სტაგნაციიდან გამოსვლას. სიტუაციის გაჯანსაღება მოითხოვს ფინანსური სექტორის სეგმენტებს შორის კონკურენციის განვითარების მიმართულებით შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“საქართველოს ორგანული კანონი თბ 2009;
2. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში., 2010-2015 წწ.
3. საქართველოს ეროვნულ ბანკი „მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტინი“ 2010-2015წწ. .
4. საქართველოს ეროვნულიბანკი, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში 2006-2010წწ.
5. საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტატეგია - საქართველო 2020
6. დ. ასლანიშვილი., საფონდო ბაზარი საქართველოში: ღ ღVVI VI. www.tsu.ge.science

7. ი. გურული ., საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების შედეგები., 2014 **Error! Hyperlink reference not valid.**.
8. გ. გიგოლაშვილი., საქართველოს სადაზღვევო ბაზარი 2015: ფაქტები და შესაძლებლობები.,http://forbes.ge/news/1003/saqarTvelos-sadazRvevo-bazari-2015)
9. საით მიჰყავს საქართველო საბანკო სისტემას. **www.commersant.ge**
10. Зви Боди, Роберт Мертон., Финансы.,Вильямс. 2007
11. Фредерик С. Мишкин., Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков.,Москва • Санкт-Петербург • Киев 2006
12. Андреас Биллмайер и Шуанг Динг., Финансирование экономического роста в Грузии, Экономический вестни, 2007.
13. Фейгин. Г. Ф.., Закономерности глобализации и развитие национальных экономик., disserCat http://www.dissercat.com
14. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკა ., **https://www.nbg.gov.ge/index.php?m**
15. http://forbes.ge/news/1003/saqarTvelos-sadazRvevo-bazari-2015)

The Modern Aspects of the Financial Sector Development in Georgia

L. Gvenetadze

Summary

Globalization – remains as one of the main tendency of the modern global economy. In the leading countries the financial globalization substituted the financial industry. The financial sector has been transformed. This tendency is observed in the developed as well as in the transition countries.

The thesis analyses and reviews the financial sector in Georgia. The analysis revealed that even up to date was not implemented the effective transformation of the financial sector. The banking sector holds the monopolistic position inside of the financial sector. The competition among the banks is week. The capital market is not developed. Thus, the spending entities lack opportunity to have effective access to the finance resources; the saving entities lack opportunity to allocate their finances in alternative way. This in its turn impedes spending in the investments and keeps the economy in stagnation.

Key words: *financial globalization, financial sector, the financial industry, direct funding, indirect funding, lending, dollarization.*

სოციალური მედია - პროგნოზირების სანდო ინდიკატორი?

ნათია გიგინეიშვილი,
თსუ-ის დოქტორანტი,
ციფრული მედიის მენეჯერი,
Saatchi & Saatchi Tbilisi

ახლა, როცა ქვეყნებს შორის საზღვრები კომპიუტერიზაციამ და ინტერნეტმა უმნიშვნელო გახადა, ინფორმაციის მიმოცვლას წინ ველარაფერი აღუდგება. ამიტომაც ციფრულმა მედიამ უსწრაფესად მოიკიდა ფეხი თანამედროვე ეკონომიკაში და ერთ-ერთ ლიდერ ინდუსტრიადაც იქცა. მილიონობით დოლარი იხარჯება ყოველთვიურად, რათა სოციალურ მედიაში პოზიციები არ დათმონ ბიზნესსუბიექტებმა, თუ კორპორაციებმა. რა სარგებელს ხედავენ ბაზრის სუბიექტები ამ ვირტუალურ სივრცეში და რის შესაძლებლობას იძლევა ის, განხილულია ჩემს სტატიაში პოლიტიკური პარტიების მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური მედია, ინტერნეტი, საარჩევნო კამპანია, პროგნოზირება.*

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში, 1,566.2 ადამიანია ინტერნეტის მომხმარებელი[1], რაც ქვეყნის მოსახლეობის 42%-ია. ამასთანავე, Facebook-ის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე 1,800.0 ადამიანს აქვს ამ სოციალური ქსელის ანგარიში, რაც მოსახლეობის 48%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის თითქმის ნახევარი არის ინტერნეტში. მიუხდავად იმისა, რომ განახლებული ინფორმაცია არ მოიძებნება, 2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2016 წელშიც ინტერნეტის მომხმრებელთა 46% ყოველდღიურად მოიხმარს ინტერნეტს. ძირითადი აქტივობები კი, რითიც ინტერნეტის მოხმარებლები არიან დაკავებული არის: სოციალურ ქსელებში სიახლეების შემოწმება, ინფორმაციის მოპოვება საძიებო სისტემებში და ელ-ფოსტით სარგებლობა [2].

თუ სოციალურ მედიაში არ ჩანხართ, ჩათვალეთ, რომ თქვენ თანამედროვე სამყაროს ჩამორჩით და არ არსებობთ, როგორც ინდივიდი. იგივე შეგვიძლია ვთქვათ როგორც ბიზნესერთეულებზე, ასევე პოლიტიკოსებზე, ჟურნალისტებსა და ზოგადად მათზე, ვისაც სურს საზოგადოებასთან ურთიერთობა. დღითი დღე იზრდება სოციალურ მედიაში დარეგისტრირებულ ბიზნესთა რაოდენობა - ეს ხომ მომხმარებელთან უშუალო ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე იაფი და ეფექტიანი გზაა. ამიტომაც, მოგებაზე ორიენტირებული კომპანიების მაგალითი პოლიტიკოსებმაც აიღეს და დაიწყეს საზოგადოებასთან ურთიერთობა სატელევიზიო, რადიო და ბეჭდური რეკლამების მიღმა ონლაინ სივრცეში სოციალური მედიით.

რატომ არის სოციალური მედია აუცილებელი ყველა პოლიტიკოსისათვის? მე, როგორც სარეკლამო სააგენტოს სოციალური მედიის მენეჯერი, ყველა კლიენტს ვურჩევ, რომ აუცილებლად ჰქონდეს ერთი გამართული და ინფორმატიული ანგარიში რომელიმე ქსელში, კომპანიის საქმიანობისა და მიზნებიდან გამომდინარე. თუ ხართ Facebook-სა, ან Twitter-ში აქტიური, ესე იგი, თქვენ ხართ რეალური, შეგიძლიათ იყოთ იმავე სივრცეში, სადაც რიგითი მომხმარებლები, ანუ ამომრჩევლები არიან და მათთვის გასაგებ და საინტერესო ენაზე გაუბათ დიალოგი. წარმოიდგინეთ, რომ დაწერეთ სტატუსი რომელიღაც კანონში ცვლილებასთან დაკავშირებით და რამდენიმე წუთში იღებთ შეტყობინებას მობილურ ტელეფონზე, რომ თქვენს სტატუსზე დააკომენტარა პარლამენტარმა, რომელიც სწორედ ამ კანონში ცვლილების ინიციატორი და მთავარი ლობისტია. თქვენ, რა თქმა უნდა, შეხვალთ პოლემიკაში მასთან და დაიცავთ თქვენს მოსაზრებას ბოლომდე და ამავდროულად აუცილებლად იფიქრებთ იმაზეც, რომ ციფრული მედია რომ არა, სხვა პირობებში, ეს მაღალჩინოსანი სრულიად მიუწვდომელი იქნებოდა თქვენთვის და არც რიგითი მოქალაქის კომენტარების მოსმენა მოუწევდა მას. ასე რომ, სოციალური მედია ერთ სივრცეში აქცევს ეკონომიკურ სუბიექტებს დანახარჯების გარეშე, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანია - მომხმარებელი/ამომრჩეველი ხედავს, რომ პოლიტიკოსიც ადამიანია, პოლიტიკოსს კი აქვს შესაძლებლობა, მოიპოვოს ამომრჩევლების ლოალობა უშუალო ურთიერთობების ხარჯზე. საზოგადოება პასიური მაყურებლიდან აქტორად იქცევა.

თქვენ, ვინც ონლაინ სივრცეში აქტიური ხართ, შეამჩნევდით, რომ საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, პოლიტიკოსები ისე მასობრივად აქტიურობენ ინტერნეტში, როგორც არასდროს. 10 რეკლამიდან 1 მაინც პოლიტიკური პარტიის დაპირებებს გვაცნობს და თქვენს ხმას თუ ვერ მიიღებენ, სახეს, სახელსა და ძირითად მესიჯს მაინც დაგამახსოვრებინებენ. სულ ახლახანს ჩემს თავზე გამოვცადე სოციალურ მედიაში რეკლამის ეფექტი, როდესაც წინასაარჩევნო გამოკითხვაში ძა-

ლაუნებურად ჩამოვთვალე ერთ-ერთი პარტიის დაპირებები, იმისდა მიუხედავად, რომ არასდროს დავინტერესებულვარ მათი საქმიანობით.

როგორც წესი, ახალი ტენდენციები იშვიათად თუ ინერგება საქართველოში დროულად. არც ციფრული, კერძოდ კი სოციალური მედიის გამოყენების დადებითი მხარეების გააზრება მოხდა განვითარებულ მსოფლიოსთან ფეხდაფეხ. 2008 წელს აშშ-ის არჩევნებში ბარაკ ობამას წინასაარჩევნო ინტერნეტ და სოციალური მედიის კამპანიამ ცხადჰყო, რომ წარმატების მიღწევაში მხოლოდ ტრადიციული სარეკლამო არხების გარდა, სხვა გზაც აუცილებელია, რადგან XXI საუკუნეში საზოგადოების აქტიურობამ რეალურიდან ციფრულ სამყაროში გადაინაცვლა.

თუ მიმდინარე პერიოდში გადავხედავთ Google Trends-ს [3], თვალში გვეცემა 3 ტიპის ახალი ამბავი: Oktoberfest, არჩევნები და ამერიკული ფეხბურთის ტურნირი. Google trends ზომავს ინტერნეტში მიმდინარე პროცესებს და მოსახლეობამდე მოაქვს მთავარი ტრენდები. როგორც ვხედავთ, მეორე აქტუალური თემაა წინასაარჩევნო ციებ-ცხელება. ნამდვილად საინტერესო იქნებოდა იმავე მექანიკით გაგვეზომა საქართველოში ინტერნეტში აქტუალური პროცესები, თუმცა ჯერჯერობით ჩვენ ამ საძიებო სისტემისთვის არ ვართ იმდენად მნიშვნელოვანი, რომ რესურსები ჩვენზე დახარჯოს.

საქართველოში სოციალური მედიის არხებიდან ყველაზე პოპულარულია Facebook, Instagram, Youtube, ამ სამიდან პოლიტიკოსებისათვის მიზანშეწონილი Facebook გვერდების შექმნა და მართვაა, ამიტომ მხოლოდ Facebook-ის მიმოხილვაც საკმარისია, რათა ვნახოთ, როგორი მდგომარეობაა.

პირველ რიგში, თვალში საცემია მაჟორიტარი კანდიდატების გვერდების სიმრავლე, იქნება ეს რეგიონების, თუ დედაქალაქის მიხედვით. რესურსების სიმცირის გამო, ამ ნაშრომისათვის, მიმოვიხილავ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც აქტიურობენ Facebook-ზე. აქვე დავძენ, რომ მივესალმები ამ ტენდენციას და მახარებს, რომ პოლიტიკოსები არ უშინდებიან ამომრჩეველთან პირდაპირ ურთიერთობას.

წინასაარჩევნო პერიოდში, 19 პოლიტიკური პარტიდან სოციალურ მედიაში, ამ შემთხვევაში კი Facebook-ზე 5 ლიდერი გამოიკვეთა [4], ესენია:

″ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო″, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ″მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის″, ″უსუფაშვილი – რესპუბლიკელები″ და "ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები". კატეგორიის უპირობო ლიდერია ქართული ოცნება. თუმცაღა პაატა ბურჭულაძის პარტია დღის განმავლობაში უფრო მეტ განცხადებას აკეთებდა, ვიდრე სხვა დანარჩენი პოლიტიკური პარტია (ნახ.1), მომხმარებლების ჩართულობით ქართული ოცნება ლიდერობდა (ნახ.2). მხოლოდ ამ პარტიამ შეძლო გვერდის მომხმარებლების 32%-ს მისწვდომოდა და ჩაერთო დისკუსიაში. როგორც წესი, როდესაც გვერდს ბევრი გამომწერი ჰყავს, რთულია ჩართულობის დონის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნება [5], ქართულმა ოცნებამ ეს მოახერხა - 95 000 მომხმარებლის პირობებში დაახლოებით 30 569 მათგანი აქტიურია და რამე სახით (მოწონება, ემოციები, კომენტარი, გაზიარება) აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას. ემოციებს რაც შეეხება (ნახ.3), სწორედ მათზე დაკვირვებაა არსებითი ინფორმაციის მომცემი. ენმ-ის მიმდევრები გამოირჩევიან „გულების“ სიუხვით, მათ მიერ დაწერილი ემოციების 75% გულია. თუმცა გაბრაზებული ემოციებითაც ენმ-ის მიმდევრები ლიდერობენ. ქვემოთ მოტანილი 3 ნახაზიდან დასკვნა ასეთია: Facebook-ზე აქტიური საზოგადოება მხარს უჭერს ქართულ ოცნებას. მეორე ადგილზე კი ენმ არის.



ნახ.1



ნახ.2



ნახ.3

2008 წელს ბარაკ ობამას წარმატებულ ინტერნეტ კამპანიას რეალური წარმატება მოჰყვა არჩევნებში. 2008 წელს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად მეორედ არჩევასაც აქტიური სოც. მედია კამპანია უსწრებდა წინ. დღეს აშშ-ში დღე არ გავა, რომ ჰილარი კლინტონისა და დოლანდ ტრამპის გვერდებიდან

1 სტატუსს მაინც არ ჰქონდეს ათასობით გაზიარება. XXI საუკუნეში შეუძლებელია უგულებელვყოთ ინტერნეტი და მისი მნიშვნელობა თუნდაც მომავალი შედეგების პროგნოზირებაში.



ნახ.4

სანამ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების პროგნოზს გავაკეთებდე, განვმართავ, თუ რა მაჩვენებლები შევარჩიე ანალიზისათვის. ეს დაგვეხმარება ცდომილების მიზეზების გამოვლენაში იმ შემთხვევაში, თუ პროგნოზი არ გამართლდება, ხოლო თუ ჩემი პროგნოზი გამართლდება, საჭირო იქნება ინდიკატორების დახვეწა და პროგნოზირების პროცესის გართულება დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებით.

პირველი ინდიკატრი, რომელიც მნიშვნელოვანია, არის ფანების რაოდენობის, პოლიტიკური პარტიის გვერდის მიერ გამოქვეყნებული განცხადებებისა და აქტივაციის დონის კორელაცია მოცემულ პერიოდში (28 აგვისტო - 28 სექტემბერი).

ნახაზი 4-დან ჩანს, რომ ქართული ოცნება საუკეთესო პოზიციაზე იმყოფებოდა - მას ქონდა ფანების ყველაზე დიდი რიცხვი, 1 თვის პერიოდში გამოქვეყნებული განცხადებების ოპტიმალური რაოდენობა და აქტივაციის ყველაზე მაღალი დონე. ენმ მცირედით ჩამორჩებოდა ყველა მაჩვენებელში.

პირველი დასკვნა, რაც ამ მაჩვენებლის მიხედვით გავაკეთე არის, რომ რესპუბლიკურ პარტიას გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად პარლამენტში შესვლა. თუმცაღა საზოგადოება აქტიურობდა მათ გამოქვეყნებულ სიახლეებზე, მათი მხარდამჭერების რაოდენობა თითქმის 10-ჯერ ჩამოუვარდებოდა ქართული ოცნების მხარდამჭერების რაოდენობას. პირველი დასკვნა გამართლდა, რესპუბლიკურმა პარტიამ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა.

ირაკლი ალასანიას პარტიაზეც შეიძლებოდა თქმა, რომ პარლამენტში შესვლა გაუძნელდებოდა იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში პარტიამ დაკარგა ნდობა. ეს დასკვნა გავაკეთე 1 თვის პერიოდში მომხმარებელთა ჩართულობის შემცირების ხარჯზე.
დასკნა ირაკლი ალასანიას პარტიაზე, რომ ის ვერ შევიდოდა პარლამენტში, გამართლდა.



ნახ.5

ასევე, ჩართულობის ტრენდმაც ქართული ოცნების ლიდერობა გვანახა. მოცემული პერიოდის განმავლობაში (28 აგვისტო - 28 სექტემბერი) ქართული ოცნება სტაბილურად ინარჩუნებდა მომხმარებლების ინტერესს.

ფანების დუბლირების ცხრილის მიხედვით (ნახ.6), სხვა პარტიებისგან განსხვავებით, პაატა ბურჭულაძის პარტიის მომხმარებლებს სხვა პოლიტიკური პარტიებიც მოსწონდათ, რაც ჩავთვალე არჩევნებში წარმატების შანსის შემამცირებელ ფაქტორად.

დასკვნა ბურჭულაძის პარტიის შესახებ გამართლდა, მან ვერ გადალახა 5%-იანი ბარიერი.

საბოლოო ჯამში, ჩემი პროგნოზი იყო, რომ პარლამენტში უპირობოდ შევიდოდა ქართული ოცნება და სწორედ ეს პარტია იქნებოდა უმრავლესობაში. მეორე ადგილზე ხმების მიხედვით გავიდოდა ენმ. რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანიას პარტია ვერ მიიღებდნენ ბევრ ხმას ისევე, როგორც პაატა ბურჭულაძის პარტია.



ნახ. 6

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ გამოდგა მოულოდნელი, ვინაიდან ჩემი პროგნოზები ახდა, ერთი გამონაკლისის გარდა. სოციალურ მედიაში აქტიურობის მხრივ პატრიოტთა ალიანსი არ გამოირჩეოდა, არ ლიდერობდა არც ერთი მაჩვენებლით და ამიტომ, 5%-იანი ბარიერის გადალახვის კანდიდატად არ განვიხილე, რამაც მიმიყვანა მცდარ დასკვნამდე. ეს შემთხვევა იმის დასტურია, რომ მოვლენების პროგნოზირება მხოლოდ ერთ სივრცეში განხილვით რეალობის რეპრეზენტატულ სურათს არ იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.euromonitor.com/georgia/country-factfile 18.09.16
2. https://idfi.ge/public/migrated/uploadedFiles/files/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf
3. www.google.com/trends/
4. www.mysocialtools.net
5. The Facebook Post ER formula takes into account Likes, Comments and Shares of the post to the total number of fans at the time it has been posted. Then it gets multiplied by 100

Social Media – is it a Reliable Indicator for Prediction?

N. Gigineishvili

Summary

The aricle addresses the importance of digital media in 21st century to reach society effeiciently without much expenditure.

Now that in the century of globalization the borders between countries have become insignificant, it's vital to reach the TA by all means. Therefore, digital media quickly settled down in the modern economy, and has become one of the leading industries. Millions of dollars are being spent every month in order to sustain their position in the social media by business entities, or corporations. The importance of social media in achieving goals is discussed in the article, on the example of political parties in Georgia, as the topic is the most relevant currently, when I write this article, 1 week prior to the elections.

Key words: *social media, internet, elections, forecasting.*

საბანკო რისკებისა და კომერციული ბანკების საიმედოობის ზოგიერთი საკითხი

მაია გოგოხია,
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია სხვადასხვა სახეობის ეკონომიკური რისკების პირობებში ფუნქციონირებადი კომერციული ბანკების საიმედოობის საკითხები. აქცენტია გაკეთებული ბანკის ლიკვიდობის დაკარგვის, საკრედიტო და რეპუტაციის რისკებზე, შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის მნიშვნელობაზე ბანკის გამართული ფუნქციონირებისათვის. ხაზგასმულია დოლარიზაციის პრობლემა და მოცემულია ზოგიერთ რეკომენდაცია, როგორიცაა ქართულ ბანკებში განთავსებული ანაბრების დაცვის მიზნით შესაბამისი სისტემის შემუშავება და საბანკო კოდექსის დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: *რისკი, ლიკვიდობა, სარეპუტაციო კაპიტალი, საბანკო კოდექსი, დოლარიზაცია.*

ეკონომიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელმა რისკებმა შეიძლება სრულებით განსხვავებული ფორმები მიიღოს. ზოგიერთი მათგანი მოიცავს მთელ ქვეყანას ან მთელ მსოფლიოსაც კი - ომები და რევოლუციები, ცალკეული ქვეყნებისათვის შედარებითი უპირატესობების ცვლილება, მთავრობის სხვა ფისკალურ და ფულად პოლიტიკაზე გადასვლა, შეფერხებები ნავთობითა და სხვა მნიშვნელოვანი რესურსებით უზრუნველყოფაში, აგრეთვე, ამ რესურსებზე ფასების ზრდა. ზოგიერთი მოვლენა შეეხება მხოლოდ ცალკეული ფირმის ოპერაციებს და მათ მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიებს, მსჯელობაა, მაგალითად, მენეჯერების კომპეტენციის დონესა და მათი ქმედებების შეთანხმებულობაზე, ახალი პროდუქციის ხარისხსა ან ამინდზე მოცემულ რეგიონში [1, გვ. 69]. ჩვენი განხილვის საგანია საბანკო რისკები და ისეთი ფინანსური შუმავლების საიმედოობა, როგორიცაა კომერციული ბანკები.

ლიკვიდობა საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი ცნებაა. საფინანსო და საბანკო სისტემების განვითარებამ და მუდმივმა გართულებამ შეცვალა თავად მისი არსი. ბანკის ლიკვიდობა მჭიდრო კავშირშია იმ ბაზრის ლიკვიდობასთან, რომელზეც ის მუშაობს. რაც უფრო მდგრადი, მრავალფეროვანი, ტევადი და კონკურენტუნარიანია ბაზარი, მით უფრო ფართო ხდება ცნება - „ბანკის ლიკვიდობა“. ძირითად ნიშნებს, რომელიც ახასიათებს ლიკვიდობას, მიეკუთვნება დრო, ლიკვიდობის წყარო, საგადასახდელო საშუალებების ტიპი და ბანკის ხარჯების სიდიდე მისი ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის.

ქართული ეკონომიკის მდგომარეობა არ აძლევს ბანკებს შესაძლებლობას, ჰქონდეთ გრძელვადიანი სარესურსო ბაზა, მაშინ როცა მოთხოვნილება გრძელვადიან დაბანდებებზე ძალიან მაღალია. ლიკვიდობის შეფასების საკითხი ძალზე პრობლემატურია, რადგან ის დაკავშირებულია რისკის შეფასებასთან, როგორც ბანკის აქტიური, ასევე პასიური ოპერაციების მიხედვით. აქტიურ და პასიურ ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის პროგნოზირება შეიძლება განხორციელდეს სტატისტიკური და ფაქტორული ანალიზის განსხვავებული მეთოდების საფუძველზე.

ეკონომიკის საბაზრო მოდელი გულისხმობს, რომ მომგებიანობა ბანკების მუშაობის უმნიშვნელოვანესი სტიმულია. თუმცა, საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის დაკავშირებულია სხვადასხვა ეკონომიკური პარამეტრის არასტაბილურობასთან, რაც შესაბამისად აღმოაცენებს საბანკო რისკების სერიას. მუდმივად იცვლება მოთხოვნა და მიწოდება, გარიგებათა დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ, კონკრეტული გარიგების დადებისას. კომერციული ბანკი ვერასოდეს იქნება დარწმუნებული ბოლომდე მის შედეგში, სხვა სიტყვებით, ის ატარებს გარიგების ფინანსური შედეგის რისკს.

ბანკის მიერ თავისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული ლიკვიდური აქტივების სახეობის გათვალისწინებით განასხვავებენ ლიკვიდობას, დაგროვილს ბანკის მიერ (ნაღდი ფული, მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები) და ახლადშეძენილს (მოზიდული ბანკთაშორისი კრედიტები, საბანკო თამასუქების, სადეპოზიტო და შემნახველი სერტიფიკატების გამოშვება) [2, გვ.261].

ლიკვიდობის დაკარგვის რისკს აქვს ორი შემადგენელი: რაოდენობრივი და ფასობრივი. რაოდენობრივი რისკი ბალანსის აქტივზე აისახება - აქვს თუ არა ბანკს ფაქტობრივად აქტივები, რომელთა რეალიზებაც შესაძლებელია (ფული და მასთან გათანაბრებული სახსრები, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ბუნებრივი ძვირფასი ქვები, ბანკის ქონება და კაპიტალური დაბანდებები). ხოლო ბანკის პასივში - არსებობს თუ არა აუცილებელი მოცულობით სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა. რაც შეეხება ფასობრივ რისკს, ის პასივში აისახება, როგორც: საპროცენტო განაკვეთების გაზრდა, რომლითაც

შესაძლოა მოზიდულ იქნეს პასივები; ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს გაზრდა; ბანკთაშორისი კრედიტის პროცენტის ზრდა დაკრედიტების კონკრეტული პირობებისა და კრედიტორისათვის გაზრდილი რისკის გამო; აუცილებლობა გავზარდოთ პროცენტი, გადახდილი სახსრების მოზიდვისას ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, სახსრების უფრო აქტიური მოდინების სტიმულირებისათვის. აქტივში კი ფასობრივი რისკი ნიშნავს იმ ფასის უარყოფითი ცვლილების რისკს, რომლითაც შეიძლება გაიყიდოს აქტივები (აქტივების გაყიდვის შეუძლებლობა ნომინალით ან ფასდაკლების გარეშე, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება აქტივების ყიდვის პერიოდის მიმართ). აქტივების მართვის რისკი არის დანაკარგების აღმოცენების ალბათობა აქტივების რეალიზაციისას შემცირებული ფასით ან გასაყიდი აქტივების არარსებობა. პასივების მართვის რისკი კი - პოტენციური რისკი სახსრების შეძენისა ძალზედ მაღალ ფასად ან მათი მიუწვდომლობა.

ბანკის აქტივებისა და პასივების თანაფარდობა, აგრეთვე, მისი პირობითი ვალდებულებები გარკვეული პერიოდისათვის განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდური პოზიციის თანაფარდობას. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ლიკვიდური პოზიცია შეიძლება აღმოჩნდეს არარეალური დეპოზიტების ვადამდელი ამოღებისა და კრედიტების დაბრუნების ვადების დარღვევისას. ბოლო წლებში ბანკების მიერ სხვადასხვა ვალუტით ოპერაციების განვითარებისას, აღმოცენდა სავალუტო ლიკვიდობოს უზრუნველყოფის პრობლემა. სავალუტო ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიშვას, თუ განსაზღვრული ვალუტით აქტივების და პასივების დაუბალანსებლობისას ბანკი განიცდის სირთულეებს ამ ვალუტით აქტივების ყიდვის ან გაყიდვისას.

საგარეო და საშინაო გარემო, რომელშიც ფუნქციონირებს ბანკი, საკმაოდ არასტაბილურია, ამიტომ მისი მენეჯმენტი მზად უნდა იყოს ამ გარემოს ცვლილებებზე რეაგირებისათვის. საგარეო პარამეტრებს, რომლებიც განსაზღვრავს ლიკვიდობაზე მოთხოვნას, მიეკუთვნება:

- ✓ეკონომიკური ციკლის ფაზა (დაცემა ან აღმავლობა);
- ✓საპროცენტო განაკვეთების ცვლილების დინამიკა და ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორის ფასობრივი მაჩვენებლების თანაფარდობა;
- ✓ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დონე;
- ✓ ეროვნულ ბანკში კრედიტების რეფინანსირების შესაძლებლობა;
- ✓ რეგიონული ეკონომიკის თავისებურებები, მისი დარგობრივი სტრუქტურა.

რისკები საბანკო საქმიანობაში აღმოცენდება ფაქტობრივი მონაცემების გადახრის შედეგად იმ ფორმალური შეფასებიდან, რომელიც კეთდებოდა დღევანდელი მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესახებ, ეს გადახრები შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური.

<u>მაკროდონის რისკები</u> განისაზღვრება მაკროეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი პირობებით, ის შეძლებისდაგვარად წინასწარ უნდა განვჭვრიტოთ და ადაპტაცია მოვახდინოთ. <u>მიკროდონის რისკები</u> - ეს არის ლიკვიდობის დაკარგვისა და კაპიტალის ღირებულების შემცირების რისკები. ის მოიცავს როგორც შიგა, ასევე გარე რისკების ელემენტებს. ბავრი რამ არის დამოკიდებული ბანკის მენეჯმენტის ხარისხსა და კომპეტენტურობაზე, ამავდროულად საშინაო და საზღვარგარეთის ბაზრებზე მოქმედებს ბევრი ფაქტორი, რომელიც აღმოაცენებს ბანკისადმი საგარეო რისკებს. რისკის სახეობებია: საკრედიტო, ქვეყნის, საბაზრო, საოპერაციო, საპროცენტო, ლიკვიდობის დაკარგვის, სამართლებრივი, რეპუტაციის დაკარგვის. ცალკე შეიძლება გამოვყოთ ინდივიდუალური დონის (თანამშრომლის დონე) რისკები, რაც არა იმდენად ბანკის თანამშრომლის პროფესიონალიზმზე, არამედ მათ წესიერებაზეა დამოკიდებული (ისეთი გარიგებებისა და ოპერაციების განხორციელება, რომელსაც ზარალი მოაქვს ბანკისათვის, ამ ოპერაციათა შედეგების დაფარვა, ბანკის ჩათრევა კომერციულ ურთიერთობებში ჩრდილოვან ეკონომიკასთან).

საბანკო რისკების კომპლექსური მართვის სისტემების ორგანიზების ბევრი პრობლემა იჩენს თავს. მაგალითად, აუცილებელია მივიღოთ ერთდროულად რამდენიმე გადაწყვეტილება: როგორ ავირჩიოთ ფინანსური რესურსების წყაროები, ოპერატიულად ვმართოთ ბანკი, მისი საკორესპონდენტო ანგარიშები, როგორ ვმართოთ რესტრუქტურირებული ბანკის სპეციფიკური რისკები - საგადასახადო, საგარანტიო და სხვ.

ერთ-ერთი უმთავრესი რისკი საბანკო საქმიანობაში საკრედიტო რისკია, ვინაიდან დაკრედიტება წარმოადგენს აქტიური ოპერაციების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, ხოლო საკრედიტო პორტფელი ჩვეულებრივ ბანკის მთლიანი აქტივების მესამედიდან ნახევრამდეა წარმოდგენილი [3, გვ. 106]. მაღალი მოგების მისაღებად ბანკებმა უნდა გასცენ კრედიტები, რომლებიც სრულად იქნება დაბრუნებული (დაბალი საკრედიტო რისკისას). ამისათვის მათ უნდა დაძლიონ მცდარი არჩევანისა და მორალური რისკის პრობლემები, რაც ამცირებს მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულების ალბათობას. აღნიშნული

მიზნით გამოიყენება საკრედიტო რისკის მართვის ისეთი პრინციპები, როგორიცაა: სკრინინგი და მონიტორინგი, კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება, საკრედიტო ხაზების გახსნა, მოთხოვნები გირაოსადმი და საკომპენსაციო ნაშთისადმი, აგრეთვე კრედიტების ნორმირება (რაციონირება). სესხების ბაზარზე არსებობს ინფორმაციის ასიმეტრიულობა, რამდენადაც კრედიტორები არასაკმარისად არიან გათვითცნობიერებული მსესხებლების საინვესტიციო შესაძლებლობასა და საქმიანობაზე. ამ სიტუაციას მოსდევს ბანკების მხრიდან ქმედებები, დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებასთან. ასე, მაგალითად, უოლტერ რისტონი, Citicorp-ის, აშშ-ის უმსხვილესი საბანკო კორპორაციის ყოფილი მმართველი, ხშირად ამბობდა, რომ საბანკო ბიზნესი-ეს ინფორმაციის წარმოებაა [4, გვ. 277].

საბანკო რისკების მართვის სისტემის შექმნის პროცესის წარმატება მიიღწევა ბანკის პერსონალის მიერ შიდა კონტროლის და შიდა აუდიტის იმ სტანდარტების, გულდასმით შემუშავებული მეთოდიკების და პროცედურების შეგნებული გამოყენებით, რომელიც ბანკის ყველა ქვედანაყოფისთვის არის დადგენილი. თუ შიდა კონტროლი მიმართულია საბანკო რისკების რეგულირების და შეფასების სისტემის შექმნისკენ, იმ დანაკარგების მინიმიზაციის მიზნით, რომლებიც აღმოცენდება ბანკის საქმიანობის პროცესში და ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, მაშინ შიდა აუდიტი - კონტროლის სისტემის პერიოდული და დამოუკიდებელი შეფასებაა.

მთელი საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელია რისკი, დაკავშირებული რეპუტაციის დაკარგვის შესაძლებლობასთან. რეპუტაციის რისკი - ეს არის რისკი შემოსავლებისათვის ან კაპიტალისათვის, რომელიც აღმოცენდება ნეგატიური საზოგადოებრივი აზრის გამო. კარგი რეპუტაცია - ეს არა მხოლოდ ახალი კლიენტების მოდინება, არამედ აგრეთვე ბანკის აქციების ღირებულების გაზრდაა, როგორც ბიზნესის ღირებულების ზრდის შედეგი.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა საგრძნობი ევოლუცია საქონლისა და მომსახურების არჩევისადმი მიდგომაში. 1930-იან წლებში მთავარი კრიტერიუმი იყო ფასი. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში პირველ ადგილზეა ბრენდისა და მწარმოებელი კომპანიის რეპუტაცია. კონსალტინგის სფეროში ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერის, კომპანია „ერნსტ და იანგის“ მონაცემებით, კომპანიის წარმატების 30-50 % მის რეპუტაციაზეა დამოკიდებული.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში სხვადასხვა ბანკი სთავაზობს მომსახურებათა დაახლოებით ერთნაირ პაკეტს, თითქმის ერთიდაიმავე ფასად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს არაფასობრივი ფაქტორები, ბანკის რეპუტაცია, სერვისი, რეკლამა და ა.შ. მათგან სპეციალისტების უმეტესობა პირველ ადგილს რეპუტაციას ანიჭებს. ადამიანმა შეიძლება იყიდოს იმ მწარმოებლის საქონელი, რომლის შესახებაც მისთვის არაფერია ცნობილი, მაგრამ ის არასოდეს მიიტანს ფულს ბანკში, რომლის შესახებაც მან არაფერი იცის.

განვსაზღვროთ სარეპუტაციო კაპიტალი (როგორც კაპიტალის ერთ-ერთი სახეობა) - ნიშნავს ამომწურავად გავაანალიზოთ ბანკის რეპუტაციის ფინანსური ღირებულება. პირდაპირ ამის გაკეთება ძალზე ძნელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მცდელობამ, განეზოგადებინათ არსებული მონაცემები, სპეციალისტები მიიყვანა აზრამდე, რომ რეპურაციის ღირებულება აღწევს კომპანიის ან ბანკის საბაზრო ღირებულების 85%-ს, საშუალოდ შეადგენს რა 20-25%-ს. არაპირდაპირ სარეპუტაციო კაპიტალის განსაზღვრა შეიძლება, მაგალითად, გამოვიკვლევთ რა საბაზრო ღირებულების დაცემის დინამიკას, გამოწვეულს კრიზისით.

საბანკო სექტორის რეპუტაციის გაუმჯობესებას ბევრად უწყობს ხელს საბანკო კოდექსები. ასეთი კოდექსები მიღებულ იქნა რიგ ქვეყნებში 1990-იანი წლების დასაწყისიდან. კოდექსები ხდება ეტალონი, რომლითაც ფასდება საბანკო მომსახურების ხარისხის ძირითადი ასპექტები. საკრედიტო ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული მომსახურების ხარისხის თაობაზე მზარდი კრიტიკის საპასუხოდ, საქართველოშიც ძლიერდება ზეწოლა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზომების დანერგვის მიმართულებით.

ბანკის მეანბრეებისა და კლიენტებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ანაბრების დაცვის და ინვესტორთა დანაკარგების კომპენსაციის სისტემას. საბანკო ზედამხედველობის მაღალგანვითარებული სისტემის პირობებშიც კი, ზოგიერთ საფინანსო ორგანიზაციას შეიძლება შეექმნას სერიოზული პრობლემები. ამასთან, რისკების ზედმეტად რეგულირებას (ან, პირიქით, მათგან გულმოდგინედ თავის არიდებას) არ შეუძლია უზრუნველყოს საბანკო სისტემის ასპროცენტიანი საიმედოობა. ორივე შემთხვევაში ბანკები მაინც ვერ შეასრულებენ უნაკლოდ თავის ძირითად ფუნქციას, აიღონ საკუთარ თავზე რისკები და შესთავაზონ კლიენტებს გრძელვადიანი დაფინანსების ეკონომიკური სქემები.

ევროკავშირის ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში ბოლო დროს ჩამოყალიბებული თვალსაზრისის შესაბამისად, ანაბრების დაცვის სქემების ძირითადი მიზანია მცირე და საშუალო კლიენტების დაცვა მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დანაზოგებისა და ინვესტიციების დაკარგვის რისკისაგან. ანაბრე-

ბის გარანტირების შესახებ კანონი მოწოდებულია აამაღლოს არა ერთი რომელიმე კონკრეტული ბანკის, არამედ მთლიანად საბანკო სისტემის რეპუტაცია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა მხოლოდ 1970-2007 წწ პერიოდისათვის დათვალეს 124 სისტემური საბანკო, 208 სავალუტო და 63 სავალო კრიზისი, რომელსაც ახლდა დეფოლტები სუვერენული ვალების მიხედვით და ქვეყანათა დიდ რიცხვს შეეხო [5, გვ.76].

უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტოების მონაცემებით, საბანკო სისტემის რისკები ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალთაგანია მსოფლიოში, რაც სხვა მიზეზებთან ერთად აიხსნება ბანკების სასესხო დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდით და საკრედიტო პორტფელის დაბალი ხარისხით. „Fitch Ratings"-ის ანგარიშის შესაბამისად [6], ამ კუთხით ყველაზე წინ წაწეულ ქვეყნებს, როგორიცაა ყაზახეთი, აზერბაიჯანი და საქართველო - აქვთ დაბალი მაკროპრუდენციალური ინდიკატორები.

განსახილველ თემასთან კავშირშია დოლარიზაციის პრობლემაც ქართულ ბანკებში. დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში 60-65%-ის ფარგლებშია, უფრო დეტალური ანალიზით, უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 80% აშშ დოლარზე მოდის, 17% - ევროზე, 2% - ფუნტ სტერლინგზე, ხოლო 1% - დანარჩენ ვალუტაზე [7, გვ. 166].

ეროვნული ეკონომიკების დოლარიზაციიც დონის სწრაფი ზრდის მიზეზებს შორის სახელდება: აქტივების დივერსიფიკაცია, ფინანსური ბაზრების განუვითარებლობა, მაკროეკონომიკური გარემოს არასტაბილურობა (უწინარეს ყოვლისა, ხანგრძლივი ინფლაცია და სავალუტო კურსის არამდგრადი დინამიკა). ევროპის ცენტრალური ბანკის შექმნამ 2000 წელს გააძლიერა ყურადღება იმისადმი, თუ ინსტიტუტები და მათი ფორმალური სტრუქტურა როგორ მოქმედებს პოლიტიკის შედეგებზე [8, გვ.317]. როგორც ეცბ-ის მიერ გამიქვეყნებულ ევროს საერთაშორისო როლის მიმოხილვაშია აღნიშნული, ევროკავშირის ეკონომიკის ზრდის და ევროს სწრაფი გამყარების ფაქტორმაც კი [9, გვ.12, 47] არ მისცა ევროს შეძლებლობა 2007 წელს, თუნდაც ახლოს მისულიყო მთავარ მსოფლიო სარეზერვო ვალუტასთან - დოლართან. მსოფლიო ბანკის მოსაზრების თანახმად კი ცენტრალური აზიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნები სხვა რეგიონებზე მეტად დაზარალდნენ კრიზისისგან, რომელიც 2007 წელს აშშ-ში დაიწყო.

დასასრულს შევნიშნავთ, რონ მიუხედავად იმისა, რომ საბანკო საქმიანობა მრავალრიცხოვან რისკთანაა დაკავშირებული, ბანკები მოწოდებული არიან, განასახიერებდნენ საიმედოობასა და უსაფრთხოებას. რისკის მართვა კი სტრატეგიული მართვის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფუნქციაა.

ჩვენი აზრით, აუცილებილია, ჯერ ერთი, ქართულ ბანკებში განთავსებული ანაბრების დაცვის მიზნით შესაბამისი სისტემის შემუშავება. მსგავსი სქემების კონკრეტული ორგანიზება ვარიირებს ქვეყნების მიხედვით - მათი დაფინანსება სულ უფრო ხშირად ხდება კერძო სექტორის ხარჯზე, ხოლო მონაწილეობა სავალდებულო ხასიათს ატარებს. დაფინანსება შეიძლება ყოველწლიური შენატანების ან მოთხოვნისას გადახდების განხორციელების ვალდებულების ან ამ ორი მეთოდის შეხამების გზით; და, მეორე, საბანკო საქმე ყოველთვის იქნება საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში და ფაქტი, რომ საბანკო სექტორი ნერგავს თვითრეგულირების გარკვეულ ელემენტებს, ამაღლებს მის ავტორიტეტს პოლიტიკოსებისა და მთლიანად საზოგადოების თვალში. ქართულ ბანკებში საბანკო კოდექსების დანერგვა იმის გარანტიაა, რომ ბაზრის მონაწილეები არ ჩამორჩნენ დროს და რეაგირება მოახდინონ საბაზრო პირობების მუდმივ ცვლილებასა და მზარდ კონკურენციაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Тобин Дж., Финансовые посредники, в книге Финансы, под. ред. Дж. Итуэлла, М. Милгейта, П. Ньюмена, пер. с анг. М., изд. ГУ ВШЭ, 2008, с. 57-90.
2. Банковское дело, под. ред. Лаврушина О.И., М.: Кнорус, 2009. – 768с.
3. Банковское дело, стратегическое руководство, под. ред. В. Платонова, М. Хиггинса, М.: Изд. ,,Консалтбанкир", 2001. – 432с.
4. Фредерик С. Мишкин, Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, пер. с анг.,Москва-Санкт-Петербуг-Киев, ,,И.Д. Вильямс", 2006. – 880с.
5. Исмайлов Э., Валюты стран центральной евразии в контексте финансовой глобализации, CA&CC Press ® Стокгольм, 2009. – 132с.
6. Bank Systemic Risk Report: April 2008, Fitch; Bank Systemic Risk Report: September 2007, Fitch [http://www.fitchrating.com].
7. kovzanaZe ir., kontriZe g., Tanamedrove sabanko saqme: Teoria da praqtika, Tb., 2014, 548 gv.

8. Уолш Карл. Монетарная теория и монетарная политика, пер. с анг, М.: Изд. дом ,,Дело", 2014. – 632с.
9. The International Role of the Euro. Frankfurt am Main: European Central Bank, July 2008.

Some Issues of Bank Risks and Commercial Bank's Reliability

M. Gogokhia

Summary

The questions of reliability of commercial banks functioning in conditions of variety of economic risks are discussed in the article. Special attention is paid to the risk of loss of liquidity, credit risk and reputation risk, importance of internal control and internal audit for the due functioning of bank. It is underlined the problem of dollarization and given some recommendations, such is working out of suitable system for the purpose of defence of deposits allocated at Georgian banks and implementation of bank code of practice.

Key Words: *Risk, Liquidity, Banking Code, Dollarization.*

მოგების გადასახადის რეფორმა და რეინვესტირების სტიმულები კომპანიებში

ეკა გრიგალაშვილი,
ფინანსების დოქტორი,
აუდიტორული კომპანია შპს
„ფინანსური მართვის ჯგუფის“ დირექტორი

მოგების გადასახადის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი ინვესტიციების სტიმულირებაა. მართალია, ინვესტიციების მოზიდვისთვის არასაკმარისია მხოლოდ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მაგრამ სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში. მოგების გადასახადის რეფორმა გულისხმობს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას. დაბეგვრისგან უნდა გათავისუფლდეს მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებას კომპანია მოახდენს. თუ მოგება განაწილდება დივიდენდების სახით, მაშინ მასზე არ იმოქმედებს აღნიშნული რეგულაცია და მოგებაც და განაწილებული დივიდენდებიც დაიბეგრება. ახალი სისტემა შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს გააფართოვონ წარმოება, დაასაქმონ მეტი ადამიანი, შექმნან მეტი დოვლათი, რაც საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველს გახდის ქვეყანას, რადგან საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია წაახალისებს ინვესტორებს. მოგების გადასახადის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი ინვესტიციების სტიმულირებაა. მართალია, ინვესტიციების მოზიდვისთვის არასაკმარისია მხოლოდ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მაგრამ სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში.

საკვანძო სიტყვები: *მოგება, გადასახადი, რეფორმა, საგადასახადო ტვირთი.*

მოგების გადასახადის რეფორმა, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნესსექტორისთვის, რადგანაც მისთვის მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის შემცირება. აღნიშნული რეფორმის შედეგად გაიზრდება მისი ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, რეფორმის შედეგად შემცირებული საგადასახადო ტვირთი საშუალებას მისცემს გააფართოვოს ან ტექნოლოგიურად დახვეწოს საქმიანობა მასში რეინვესტირების გაზრდის გზით.

მოგების გადასახადის სიდიდეზე მრავალი მოსაზრება არსებობს. ნაწილი ფიქრობს, რომ უმჯობესია მოგების გადასახადის ეტაპობრივი გაუქმება, მაშინ როცა მეორე ნაწილი მხარს უჭერს მის გაზრდას, რადგან გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტი. აღსანიშნავია ის, რომ მცირე ქვეყნებში მოგების გადასახადის ლიბერალიზაცია ასტიმულირებს წარმოებას. საქართველოში დღეს მოქმედებს მოგების გადასახადის კლასიკური – ორეტაპიანი დაბეგვრის სისტემა. პირველ ეტაპზე, გადასახადი (15%) გადაიხდება საწარმოს მოგების წარმოშობისას. შემდგომ, თუ დამფუძნებელი რეზიდენტი საწარმოა, მისთვის დივიდენდის გადაცემა არ იბეგრება. მეორე ეტაპზე დაბეგვრა (5%) ხდება მხოლოდ დივიდენდის საბოლოო განაწილებისას ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტისთვის. რეფორმის შედეგად, გადასახადის განაკვეთები იგივე დარჩება, პრაქტიკულად არ შეიცვლება დაბეგვრის ობიექტიც, თუმცა მაქსიმალურად გადავადდება მოგების პირველ ეტაპზე დაბეგვრის დრო – ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის მიერ დივიდენდის გატანის მომენტამდე[1]. საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში, მოგების მაქსიმიზაცია საწარმოების მთავარი მიზანია. ამ მიზნის მიღწევაში სახელმწიფოს შეუძლია მათი ხელშეწყობა, რადგან მასზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

მოგების გადასახადი სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მისი წილი ბიუჯეტში, სხვა გადასახადებთან შედარებით ნაკლებია, ის გავრცელებულია ყველა ქვეყანაში და მისი სწორად რეგულირება გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას სტიმული მივცეთ კომპანიებს მოახდინონ მოგების რეინვესტირება.

კანონპროექტით დაგეგმილი საგადასახადო ცვლილებები სამ ეტაპად ამოქმედდება: პირველ ეტაპზე ეს შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს - ძირითადი საშუალებების იმპორტის დროს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა საჭირო აღარ იქნება, რაც გულისხმობს ასევე ადმინისტრირების გამარტივებას. აღნიშნული ცვლილება კანონპროექტის მიღებისთანავე ამოქმედდება. მეორე ეტაპზე მოგების გადასახადი ჩანაცვლდება განაწილებული მოგების გადასახადით, რომელიც 2017 წლის პირველ იანვარს ამოქმედდება. მესამე ეტაპი შეეხება საფინანსო სექტორს, რომელზეც კანონპროექტი 2019 წლის პირველი იანვრიდან გავრცელდება. რეფორმა ასევე ითვალისწინებს მთელი რიგი საგადასახა-

დო ადმინისტრირების პროცედურათა გამარტივებას. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საგადასახადო ცვლილებების პროექტი დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება [2].

კანონპროექტი ითვალისწინებს საგადასახადო დავალიანებების ჩამოწერას: კერძოდ, ჩამოიწერება 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ გადამხდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; ასევე 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება.

კანონპროექტთან დაკავშირებით, როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, „წინასწარი გაანგარიშებებით 2011 წლამდე წარმოშობილი 69700 გადასახადის გადამხდელის 1 410 407 433,2 ლარის დავალიანება ჩამოიწერება და 2013 წლამდე წარმოშობილი დავალიანებიდან ძირითადი გადასახადის 339 513 617 ლარი გადახდის შემთხვევაში, 27 380 გადასახადის გადამხდელს ჩამოეწერება სანქციები 623 570 423 ლარის ოდენობით“. ამასთან, „კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ 400 მლნ ლარით შეამცირებს 2016 წლის საბიუჯეტო შემოსავლებს“ [3].

საგადასახადო ლიბერალიზაციით ვერ ისარგებლებენ სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები. ასევე შეღავათებით ვერ ისარგებლებენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც კანონმდებლობით ეკრძალებათ მოგების განაწილება. დაბეგვრის რეჟიმი არ ეცვლებათ იმ პირებსაც, რომლებიც მოგებას იღებენ "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით 1998 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებით და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირებს.

2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლებს წამყვანი როლი აკისრია. საგადასახადო შემოსავლების 45 % მოდის დამატებული ღირებულების გადასახადზე, 27% - საშემოსავლო გადასახადზე, 13% - მოგების გადასახადზე. ეს უკანასკნელი თანხობრივად 1.0 მლრდ ლარზე მეტს შეადგენს [4].

მოგების გადასახადის ლიბერალიზაციის ესტონური მოდელის ძირითადი მიზანი, ეკონომიკის სტიმულირებაა. ლიბერალური საგადასახადო გარემო მიმზიდველს გახდის მას როგორც შიგა, ასევე უცხოური რესურსების მობილიზების კუთხით, რადგან მეწარმეებს გაუჩნდებათ სტიმული მიღებული მოგება მოახმარონ ბიზნესის აღმავლობას, გაფართოებულ კვლავწარმოებას.

მოგების გადასახადის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეფექტი ინვესტიციების სტიმულირებაა. მართალია, ინვესტიციების მოზიდვისთვის არასაკმარისია მხოლოდ საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, მაგრამ სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიგა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და ხელს უწყობს მის შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში. გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი რეფორმა სასარგებლოა როგორც ბიზნესისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო შეღავათების გარდა ესტონეთში არსებობდა მთელი რიგი ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ აღმავლობას ამ ქვეყანაში. ამ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია კორუფციის დაბალი დონე, სტაბილური პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო, საერთაშორისო მხარდაჭერა და ა.შ.

მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ბიზნეს სექტორის და ექსპერტების ნაწილი მას მიიჩნევს ინვესტიციების სტიმულირების ეფექტიან მექანიზმად და გრძელვადიან პერიოდში საგადასახადო შემოსავლების გაზრდის საშუალებად.

რეფორმა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს შეუქმნის იურდიულ პირებს, რადგან მოგება საწარმოს განკარგულებაში რჩება მის საბოლოო განაწილებამდე ან ქვეყნიდან გატანის მომენტამდე, რაც ზრდის მათ წვდომას ფულად სახსრებზე.

რეფორმა სტიმულს მისცემს კომპანიებს შეამცირონ დამოკიდებულება მოზიდულ ფინანსურ რესურსებზე.

პირველი ორი წლის განმავლობაში, მოგების გადასახადის რეფორმა მოახდენს განსხვავებულ ეფექტებს ეკონომიკურ ფაქტორებზე. შემცირდება მოხმარება, ასევე შემცირდება ეკონომიკური ზრდა და მშპ, გაიზრდება საპროცენტო განაკვეთი, თუმცა ეს დადებითად აისახება ინფლაციაზე და მისი მაჩვენებელი დაიწევს, რადგან გაჩნდება მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე, ქვეყანაში კი ის ჭარბ მიმოქცევაში აღარ იქნება, რაც საბოლოო ანგარიშით, გაამყარებს ლარს. ასევე დადებითი ეფექტს მოახდენს საგადამხდელო ბალანსზე.

საშუალოვადიან პერსპექტივაში, რეფორმა უკვე თითქმის ყველა ეკონომიკურ ფაქტორზე დადებითად იმოქმედებს. გაიზრდება მოხმარება, რაც გაზრდის შემოსავლებს. ეკონომიკის ზრდის ტემპი ხელს შეუწყობს მშპ-ის ზრდას. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები შემცირდება, რაც აისახება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე. შემოსავლების მიღება გადაუვადდება ქვეყნის ბიუჯეტსაც. USAID-ის მხარდაჭერით მომზადებული კვლევის მიხედვით, საბიუჯეტო შემოსავლები 3%-ით შემცირდება, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით კი 2017 წლის საბიუჯეტო შემოსავლები 500-900 მლნ ლარით შემცირდება [5].

გრძელვადიან პერსპექტივაში, სავარაუდოდ, მოხდება ყველა იმ უარყოფითი ეფექტის კომპენსირება, რასაც გამოიწვევს მოკლევადიანი რყევები.

საქართველოში საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელის დანერგვას, ამ მიმართულებით რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი (RIA), USAID-ის პროექტის - „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში მომზადდა. ანგარიშის მიხედვით, მოგების გადასახადის რეფორმა ამოქმედებიდან 1,5 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე შემდეგი მიმართულებებით მოახდენს გავლენას:

- გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, 3,23%-ით გაიზრდება კაპიტალის მოცულობა;
- რეფორმის დადებითი ეფექტი მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელში 1,44 %-ით აისახება. მოსალოდნელია მოხმარების ხარჯების 0.85 %-იანი ზრდა;
- რეფორმის შედეგად წლიური საბიუჯეტო დეფიციტის 3%-მდე გაზრდაა მოსალოდნელი. ანგარიშის მიხედვით, მთავრობას შეუძლია აღმოფხვრას ეს დისბალანსი, თუ საშემოსავლო გადასახადს 1 პროცენტული პუნქტით ან დღგ-ს 1,25 პროცენტული პუნქტით გაზრდის. თუმცა, მოგების გადასახადის კლებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგების ასანაზღაურებლად გაცილებით ოპტიმალური და რეკომენდებული გზა საბიუჯეტო ხარჯების შემცირებაა[6].

რეფორმის მთავარი უარყობითი შედეგია ის, რომ მოკლევადიან პერიოდში ის იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, რაც გამოიხატებაა შემცირებული ბიუჯეტით. შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მოუწევს გადახედოს ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს, რომ მიზნობრივად შეამციროს სახელმწიფო ხარჯები.

მოდელში გათვალისწინებული არ არის გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო, უცხოური ინვესტიციების ზრდა, გაუმჯობესებული საგადასახადო ადმინისტრირება და ა.შ. რეფორმის მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების 15%-მდე უჭირავს საგადასახადო შემოსავლებს (2015 წელს ეს მაჩენებელი 13% იყო), ხოლო 1999 წელს იგივე მაჩვენებელი ესტონეთში 6% იყო. შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტი უფრო მეტადაა დამოკიდებული საგადასახადო შემოსავლებზე და მოკლევადიან პერიოდში ამ შემოსავლების შემცირების შედეგები, შესაძლოა, უფრო მძიმე იყოს საქართველოსთვის, ვიდრე ეს თავის დროზე იყო ესტონეთისთვის. თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდა შესაძლებელია საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით ან საგადასახადო განაკვეთების ზრდით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კილასონია, შ., „მოგების გადასახადის რეფორმა. მითები და სინამდვილე“, 2016, http://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdvile
2. გურული, ი., საგადასახადო რეფორმა და ესტონური მოდელი, 2016, http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1342&lang=geo
3. ფუტკარაძე, ს., პაპასქუა, ი., მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელი: (კითხვები, მოსაზრებები და წინადადებები განსჯისთვის), 2016, http://iverioni.com.ge/print:page,1,15987-ekonomikis-ganvitharebis-realuri-perspeqtiva-thu-mizans-acdenili-transformacia.html
4. ქისტაური, ლ., მოგების გადასახადის რეფორმა და მოსალოდნელი შედეგები, 2016, http://www.interpressnews.ge/ge/thvalsazrisi/366949-mogebis-gadasakhadis-reforma-da-mosalodneli-shedegebi.html
5. კილასონია, შ., „მოგების გადასახადის რეფორმა. მიტები და სინამდვილე“, 2016, http://forbes.ge/news/1388/mogebis-gadasaxadis-reforma.-miTebi-da-sinamdvile
6. USAID, Governing for Growth (G4G) in Georgia Regulatory Impact Assesment on Estonian CIT Mdel Implementation in Georgia, Tbilisi, 2016

The Profit Tax Reform and Reinvestment Motivations in the Companies

E. Grigalashvili

Summary

Stimulation of the investments attraction is one of the most important effects of the reform of the profit tax. Liberalization of the tax system is not enough for investments attraction, the stable and business-oriented tax system will play an important role in domestic and foreign investments attraction. Reform of the profit tax means liberalization of the tax system. The part of the income, possible for the company's reinvestment, should be freed from taxation. The noted regulation is into in force if income is distributed in the form and the income and distributed dividends are imposed. A new system gives the companies possibility to widen the industry, to emply more people, to create more income, which makes the country attractive for the investments, because liberalization of the tax system will stimulate the investors. Stimulation of the investments is one of the most important effects of the reform of the profit tax. Liberalization of the tax system is not enough for investments attraction, the stable and business-oriented tax system will play an important role in domestic and foreign investments attraction.

Key words: *profit, tax reform, the tax burden.*

პროგრამულ - მიზნობრივი მეთოდის განხორციელების თავისებურებები სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვაში

მაია გრძელიძე,
სტუ-ის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია პროგნოზირებისა და დაგეგმვის არსი და მიზანი, რაც საშუალებას იძლევა გამოვლენილი იქნეს ყველაზე ეფექტიანი მაკროეკონომიკური მეთოდები. განხილულია ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდების თავისებურებები, გამოვლენილია მათი ნაკლოვანებები. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის დანერგვის თავისებურებებზე საზღვარგარეთის ქვეყნებში. გაანალიზებულია პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის ტრადიციების განხორციელების თვალსაზრისით, ფინანსური მართვის ორი ძირითადი მოდელი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ეფექტიანი იყოს სხვადასხვა ქვეყნაში.

საკვანძო სიტყვები: *პროგნოზირება და დაგეგმვა, ბიუჯეტირება, ფორსირებული სტრატეგია, აქტიური ტრასფორმაციის სტრატეგია, ფინანსების მართვის მოდელები.*

სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებისა და გეგმების შედგენა, საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, რაც მოითხოვს ადეკვატურ მაჩვენებლებს სხვადასხვა დონეზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაგეგმვისა და პროგნოზირების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება.

დაგეგმვისა და პროგნოზირების მეთოდოლოგია - მეთოდების, მითითებების და პრინციპების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება ბიუჯეტის წინასწარი დაგეგმვის კვლევისა და ანალიზის განხორციელების დროს ბიუჯეტირების მმართველობის ყველა დონეზე, რაც ეფუძნება ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს მოცემულ ეტაპზე.

დაგეგმვა არის გრძელვადიან პერსპექტივაში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. დაგეგმვა, როგორც გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი წარმატებით გამოიყენება ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში, მაგრამ ყველაზე მეტად ის გამოიყენება ეკონომიკაში, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ბიუჯეტის პროგნოზირება (ინგლისურად budgetary forecasting) ვარაუდობს ბიუჯეტის განვითარების მიმართულებას, რომელიც მოიცავს მომავალში შესაძლო შემოსავლებსა და ხარჯებს, როდის და რა გზით უნდა მივაღწიოთ ამა თუ იმ მდგომარეობას. ეს არის საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილი და ბიუჯეტის დაგეგმვის საფუძველი.

ბიუჯეტის პროგნოზირება ორიენტირებულია ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტის გზებზე აირჩიოს ყველა შესაძლო ვარიანტიდან საუკეთესო. ბიუჯეტის პროგნოზირების პროცესში განიხილება სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტი, ბიუჯეტის განვითარების სხვადასხვა კონცეფცია აღრიცხავს დიდძალ სოციალურ და ეკონომიკურ ამოცანებს, როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ფაქტორებს, მოქმედებს სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. ამავე დროს, ბიუჯეტის პროგნოზირების უწყვეტობა უზრუნველყოფს ბიუჯეტის მაჩვენებლების სისტემატურ დახვეწას, როგორც ახალი მონაცემების ფორმირების საზომი.

პროგნოზირების სისტემა, დაგეგმვისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამები ქვეყნის და მისი რეგიონების მნიშვნელოვანი კომპონენტია სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საერთო სისტემაში და განხორციელების ეფექტიანი ფინანსური და ეკონომიკური ინსტრუმენტი პოლიტიკაში. იგი ეფუძნება სახელმწიფოს ეკონომიკურ ბრუნვაში მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნების მაქსიმალური ეფექტიანობა შეზღუდული რესურსების პირობებში. პროგნოზის სისტემა შედგება ინდიკატური გეგმებისა და პროგრამებისგან, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეს.

ბიუჯეტის დაგეგმვისა და პროგნოზირების ყველაზე გავრცელებულ მეთოდებად გამოიყენება: ***ტრადიციული (ნორმატიული) მეთოდი, საბალანსო მეთოდი, სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ინდექსის მეთოდი, ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, ექსპერტული შეფასების მეთოდი, შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მეთოდი, პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი.***

ტრადიციული* (ნორმატიული) *მეთოდით ბიუჯეტის დაგეგმვა და პროგნოზირება არის ხარჯვის (ნორმატიული) ბიუჯეტი, როდესაც დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად უწყებები დეტალურად ამართლებს ხარჯვას. ამ მეთოდის გამოყენებისას, ძირითადად ყურადღება გამახვილებულია დანახარჯების ანალიზსა და სახსრების მიზნობრივად გამოყენებაზე. ბიუჯეტმიმღებები შეიცავს მათი დაგეგმილი ხარჯთაღრიცხვების ხარჯებს, რომლებიც გაანალიზებული და შესწორებულია საბიუჯეტო სახსრების განმკარგველების მიერ, რის შემდეგაც შესათანხმებლად გადაეცემა მთავრობას. იმ შემთხვევაში, თუ ხარჯთაღრიცხვების განაცხადის საერთო თანხები აღემატება დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეს, გამოვლინდება პრიორიტეტული ხარჯები, ხოლო დანარჩენზე განხორციელდება ხარჯების შეკვეცა.

ტ.მ. კოვალევა გამოყოფს ამ მეთოდის ისეთ მნიშვნელოვან უპირატესობას, როგორიცაა დაგეგმვის პროცესში მკვეთრი დამოკიდებულების დადგენა დასახარჯ რესურსებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის [1,გვ.78], რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო დაგეგმვაში. ნორმატიული მეთოდით ხარჯების დაგეგმვა და გადახდა ძირითადად გამოიყენება დაგეგმილი საბიუჯეტო სახსრებიდან ღონისძიებების დასაფინანსებლად და ხარჯთაღრიცხვების მოსამზადებლად საბიუჯეტო დაწესებულებებში. ნორმები დადგენილია საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტებით. ბიუჯეტის ნორმატიული მეთოდის ნაკლოვანებად განხილულია, ის, რომ არ არის გაანალიზებული ეფექტიანობა.

საბალანსო მეთოდის არსია გეგმის ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებლებს შორის ბალანსის მიღწევა, მათი შეთანხმებისა და შეხამების უზრუნველყოფა [1,გვ.78]. გ.პ. პოლიაკი და ვ.ვ. კარჩევსკი იძლევიან დაზუსტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მაჩვენებლების ურთიერთკავშირის რომელი ფორმა უნდა იყოს უზრუნველყოფილი: ყოველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რგოლის ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის ტოლობა, ხელისუფლების ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის პროპორციულობა [3, გვ. 125-126].

სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდი დაგეგმვაში დაფუძნებულია ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილებად დაყოფასა და დანაწევრებაზე, მათში პერსპექტიული განვითარების მთავარი პრობლემების განსაზღვრაზე, სისტემის ამა თუ იმ შემადგენელ ნაწილში დადებითი და ნეგატიური ფაქტორების გავლენასა და გათვალისწინებაზე [1, გვ.79].

ინდექსის მეთოდის საფუძველია სხვადასხვა მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც ასახავს ფასების დინამიკას, ცხოვრების სტანდარტების დინამიკას, მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს საგეგმო მაჩვენებელთა შესრულების ხარისხი გასული პერიოდისათვის ფაქტობრივ მონაცემებთან მათი შედარების გზით. ამასთან, აქცენტი კეთდება შემოსავლების ზრდის რეზერვების გამოვლენაზე, ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა განსაზღვრაზე, გეგმის მოსალოდნელი შესრულების გაანგარიშებაზე.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების არსია ფინანსური მოდელების აგება თეორიული დებულებებისა და რეალური ეკონომიკური პროცესების ცალკეული ელემენტების თანაფარდობის რაოდენობრივი განსაზღვრის საფუძველზე, დასაგეგმი პერიოდის განმავლობაში [1, გვ.79].

ექსპერტული შეფასების მეთოდი ემყარება შემოსავლების მოცემული კონკრეტული წყაროების კარგად მცოდნე სპეციალისტის მიერ ნაკარნახევ საშემოსავლო შემოსულობათა სიდიდეებს. საექსპერტო შეფასების საფუძველზე პროგნოზირების ძირითადი იდეა გულისხმობს ინტუიციურ და ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად, რაოდენობრივი მეთოდების შეფასების და დამუშავების შედეგებს.

შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების მეთოდი ესაა საბიუჯეტო პროცესის და სახელმწიფო (მუნიციპალური) მართვის ორგანიზაციული სისტემა, რომელშიც ხარჯები იგეგმება მიღწეულ შედეგებთან მჭიდრო კავშირით. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისას, საბიუჯეტო პროცესი ორიენტირებულია გაზომვადი შედეგების მიღწევაზე და არა პროგრამის/უწყებისათვის გამოყოფილი რესურსების ოდენობასა და მათ კონტროლზე.

პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება უზრუნველყოფს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის შეზღუდული რესურსების ეფექტიან განაწილებას მათი პრიორიტეტულობის მიხედვით და საბიუჯეტო ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო კონტროლის განხორციელებას. თუ ტრადიციული ორგანიზაციული სტრუტურის მქონე საბიუჯეტო პროცესში ჯერ ხდება ასიგნებების გამოყოფა მხარჯავი დაწესებულებებისათვის, ხოლო შემდგომში - მათი გადანაწილება კატეგორიების მიხედვით (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ), პროგრამული ბიუჯეტირების დროს აქცენტი იცვლება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვიდან ამ რესურსების გამოყენებით მიღწეული შედეგებისაკენ.

შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისას, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე შესრულების ეტაპზე, საზოგადოება იღებს ინფორმაციას დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც განსა-

კუთრებულ მნიშვნელობას ატარებს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის არსია მეურნეობისა და მისი ცალკეული რგოლების განვითარების მიზნის ფორმირებაში, რესურსების განაწილებასთან მათი შემდგომი შეთანხმებით, რათა უზრუნველყოს საჭირო ვადებში უფრო მეტი ეფექტის მიღწევა [2,გვ.38]. პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვა ამოდის საბიუჯეტო საშუალებათა ადმინისტრირების საქმიანობის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან და, როგორც წესი, რაოდენობრივად გაზომვად შედეგებზე საბიუჯეტო რესურსების მიმართვის აუცილებლობიდან, დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე იმავდროული მონიტორინგითა და კონტროლით, საბიუჯეტო დაგეგმვისა და ფინანსური მენეჯმენტის შიდაუწყებრივი პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფით [1, გვ.80].

პროგრამულ-მიზნობრივი ხარჯების მეთოდი, პირველ რიგში, ხელს უწყობს ერთიანი მიდგომის შენარჩუნებას რაციონალურად გამოიყენოს სახსრები ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანებზე, და, მეორე, არის ცალკეულ ტერიტორიაზე ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრების ინსტრუმენტი. პროგრამულ - მიზნობრივი მეთოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნორმატიული, ბალანსის და ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებთან.

გარდა ზემოთ განხილული საბიუჯეტო დაგეგმვის მეთოდებისა, ტ.მ. კოვალევა, საბიუჯეტო დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების მიზნით, გვთავაზობს ***პერმანენტული, ვარიანტული და რეზერვირების*** მეთოდების გამოყენებას [1, გვ.79].

პერმანენტული მეთოდი ვარაუდობს საშუალოვადიან საბიუჯეტო დაგეგმვასა და ბიუჯეტის ურთიერთკავშირს დროში შემოსავლებისა და ხარჯების მაჩვენებლების მიხედვით. პერმანენტულობა საბიუჯეტო დაგეგმვაში საბიუჯეტო სტაბილურობის გარანტიაა.

ვარიანტული მეთოდი გულისხმობს ნებისმიერი დონის ბიუჯეტის ორ ვარიანტად შედგენას. ეს აუცილებელია სამამულო საექსპორტო საქონელზე მსოფლიო ფასების ცვლილებებისა და ქვეყნის შიგნით ეკონომიკაში ცვლილებებისაგან ბიუჯეტების დაცვისათვის.

რეზერვირების მეთოდის არსია საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო რეზერვების შექმნაში სახელმწიფოს ამოცანების მაქსიმალური რეალიზაცია, ქვეყანაში ნეგატიური შედეგების გამორიცხვის უზრუნველსაყოფს. საბიუჯეტო რეზერვები უზრუნველყოფენ საბიუჯეტო საშუალებების გარანტირებულ მიღებას, თუმცა, მინიმალური მოცულობით და ნაწილობრივ იცავს საგადასახადო დატვირთვის ზრდისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამულ-მიზნობრივი ბიუჯეტირების ერთიანი საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. ეს აიხსნება მოცემული ცნების კომპლექსურობით, სირთულითა და „გახსნილობით“. ზოგადი სახით, პროგრამულ-მიზნობრივი ბიუჯეტირება შეიძლება განისაზღვროს როგორც საბიუჯეტო დაგეგმვის სისტემა, რომელიც გაწეულ ხარჯებს აკავშირებს ამ ხარჯებისგან მოსალოდნელ უკუგებასთან, მათს სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტიანობასთან. ამ განსაზღვრებაში მსჯელობაა პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის, როგორც საბიუჯეტო დაგეგმვის სისტემის შესახებ, თუმცა, ამ მეთოდის თავისებურებები მხოლოდ დაგეგმვით არ შემოიფარგლება. პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა გავლენას ახდენს საბიუჯეტო პროცესის ყველა სტადიაზე. ამის შედეგად, პროგრამულ-მიზნობრივ ხასიათს ღებულობს ბიუჯეტის აღსრულებაცა და მის აღსრულებაზე კონტროლიც.

ბიუჯეტირება, საბოლოო შედეგზე ორიენტირების ელემენტებით, ხელისუფლების ორგანოებში გაჩნდა XX საუკუნეში და აქედან მოყოლებული, მან ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის თვით ცნება ევოლუციურად ვითარდება და, შესაბამისად, საერთაშორისო პრაქტიკა ხასიათდება მისი გამოყენების მრავალგვარი ფორმით.

პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის დანერგვასთან დაკავშირებული გარდაქმნების განხორციელების ვადების მიხედვით, ქვეყნები პირობითად დაყოფილია ორ ჯგუფად: *პირველ ჯგუფშია* - ქვეყნები, პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის მეთოდის დანერგვის ფორსირებული სტრატეგიით (ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია); *მეორე ჯგუფში* - სახელმწიფოები, რომლებიც იყენებენ ფართომასშტაბიანი საბიუჯეტო რეფორმის განხორციელებაზე მიმართულ აქტიური ტრანსფორმაციის სტრატეგიას, მაგრამ მისი რეალიზაციის ტემპებით საგრძნობლად ჩამორჩება ფორსირებულს. მოცემულ სტრატეგიას საფუძვლად უდევს ბიუჯეტირების, საბიუჯეტო აღრიცხვისა და სახელმწიფო აუდიტის წესის ნაბიჯ-ნაბიჯ რეფორმირებაზე, პილოტური პროექტების დანერგვაზე დამყარებული თანდათანობითი ტრანსფორმაცია (აშშ, კანადა, დანია).

შეიძლება ითქვას, რომ გზამკვლევებს პროგრამულ-მიზნობრივი ბიუჯეტირების სფეროში მიეკუთვნებიან აშშ, ახალი ზელანდია, ავსტრალია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი და შვედეთი. ყველაზე

გვიან პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის მოდელზე გადავიდნენ საფრანგეთი და გერმანია.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, საბოლოო პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის ელემენტების ინტეგრირება საბიუჯეტო პროცესში მიმდინარეობდა შემდეგ პირობებში:

- სახელმწიფო სექტორის სიღრმისეული რეფორმების შემადგენლობაში (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია);
- სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის ნაწილობრივი მოდერნიზაციის მიხედვით განხორციელებული ცალკეული პროგრამების ფარგლებში, მართვის სისტემის ფუნდამენტალური საფუძვლების ხელშეუხებლად (კანადა, აშშ, ნიდერლანდები, შვედეთი);
- სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფის მიხედვით შეზღუდული ინიციატივების ფარგლებში (გერმანია, ნორვეგია, შვეიცარია).

პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვის დანერგვის ტრადიციების თვალსაზრისით, გამოიყოფა ფინანსების მართვის ორი ძირითადი მოდელი. პირველი მოდელი პირობითად წოდებულია *კონტრაქტულად*: აქ დაფინანსების სისტემა აგებულია საკონტრაქტო ურთიერთობებზე. მაგალითად, სამინისტრო აფინანსებს საქვეუწყებო სააგენტოს მომსახურების გაწევის შესახებ კონტრაქტის საფუძველზე. ამგვარ მოდელში მომსახურებათა ძირითადი ნაწილის წარდგენა ხდება კონკურსის საფუძველზე შერჩეული სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ; ასეთ პირობებში სახელმწიფო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ განსაკუთრებული უპირატესობა კერძო სექტორთან შედარებით და კონკურირებენ მათთან საზოგადოებრივი მომსახურების წარდგენის პროცესში (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა და შვეცია). მეორე მოდელი პირობითად ატარებს *ადმინისტრაციულის* სახელწოდებას: აქ ზემდგომი დონე აფინანსებს ქვემდგომს სპეციფიკური მიზნობრივი მაჩვენებლებისა და საბიუჯეტო დავალებების საფუძველზე (მაგალითად, საფრანგეთი და აშშ).

არ შეიძლება იმის თქმა, რომ თითქოს საკონტრაქტო მოდელის ელემენტები არ გამოიყენება იმ ქვეყნებში, სადაც სჭარბობს ადმინისტრაციული მოდელი. მაგრამ, ასეთ ქვეყნებში საკონტრაქტო პრინციპი პრაქტიკულად არ ვრცელდება დეპარტამენტებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის ურთიერთობებზე, მხოლოდ ეხება რიგ მომსახურებათა შესყიდვას, მათ შორის ორგანიზაციებიდან, რომლებიც დასაქმებულია საჯარო სექტორში და სპეციალიზებულია მათ წარდგენაზე.

პროგრამულ - მიზნობრივი დაგეგმვის დანერგვას, აუცილებლად თან ახლავს მმართველობითი მოქნილობის ზრდა და სახელმწიფო ორგანიზაციების დამოუკიდებლობა.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის პრინციპის გამომყენებელ ქვეყნებში ასიგნებათა შემცირება, საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცის აუცილებლობისას, შეიძლება განხორციელდეს პროგრამათა რანჟირების მექანიზმის გამოყენების ხარჯზე. ამ შემთხვევაში შეკვეცას ექვემდებარება საზოგადოებრივი თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანი პროგრამები ან შედარებით დაბალი ეფექტიანობისა და შედეგიანობის მქონე პროგრამები. საბიუჯეტო ხარჯების შემცირების ან გადიდების მიმართულებათა განსაზღვრისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მონიტორინგის მონაცემებიც.

საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობის მონიტორინგი შესაძლებლობას მოგვცემს ერთმანეთს შევუდაროთ დანახარჯები და შედეგები, შევარჩიოთ საბიუჯეტო საშუალებათა ხარჯვის ყველაზე ეფექტიანი გზები, თავისდროულად შევაფასოთ დაგეგმილი შედეგების მიღწევის დონე და მათი ხარისხი.

გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ხელისუფლების ფინანსური მოქნილობის გაზრდის კიდევ ერთ ელემენტს, რომელიც გამოიყენება ბევრ ქვეყანაში - ესაა ბიუჯეტის ასიგნებების გადატანა მიმდინარე ფისკალური წლის შემდეგ, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ გარკვეული პროცენტია ასიგნებების საერთო რაოდენობის (გამოიყენება Carry-Over მექანიზმი).

პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის დანერგვისა და სრულყოფის სფეროში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილების განზოგადებით გამოყოფილია ამ მიდგომის რიგი ღირსება, რაც შეიძლება ფასეული აღმოჩნდეს საქართველოსთვისაც.

ჯერ-ერთი, პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვა - ეს არის სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება იმ პირობებში, როდესაც ეროვნული შემოსავლის უმეტესი ნაწილი გადანაწილდება სახელმწიფოს მიერ. საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს იმაზე, რომ სახელმწიფო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლება მხოლოდ მმართველობითი ტექნოლოგიის (performance management) სრულყოფის ხარჯზე, საბიუჯეტო პროცესზე ხელშეუხებლად, შეუძლებელია.

მეორე, პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის გამომყენებელი ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იყო დაგეგმვის გამოყენება შედარებით უფრო ადვილია ფინანსური

სირთულეების პერიოდში, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზომები ღებულობს დამღუპველ მასშტაბებს.

მესამე, პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის ყველა ძირითადი ხერხი დაფუძნებულია კერძო ბიზნესის მმართველობით პრინციპებზე (მისიისა და სტრატეგიის ფორმულირება, სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის ინდიკატორების გამოყენება და სხვ.).

მეოთხე, კერძო ბიზნესის ინსტრუმენტების დანერგვა სახელმწიფოს საქმიანობაში, მათ შორის, საბიუჯეტო პროცესში, გადახლართულია დიდ სიძნელეებთან. ეს სირთულეები დაკავშირებულია იმასთან, რომ, ჯერ-ერთი, სახელმწიფოს სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის მასშტაბები შესადარისი არ არის ყველაზე მსხვილი ფირმის საქმიანობის მასშტაბებთანაც კი; მეორე, ჩინოვნიკების მოტივაცია განსხვავდება კერძო კომპანიათა მენეჯერების მოტივაციისაგან; და მესამე, სახელმწიფო დაწესებულებები მოკლებულნი არიან მუშაობის შედეგების უნივერსალურ ინდიკატორს, რაც გააჩნიათ კერძო ფირმებს.

დაბოლოს, იმ ქვეყნებში, სადაც თანმიმდევრულად რეალიზდება პროგრამულ-მიზნობრივი საბიუჯეტო დაგეგმვის პრინციპები, მთავრობა, კანონმდებლები და საზოგადოება ღებულობენ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისათვის გასაწევი მომსახურების სახეობების მიხედვით რესურსების განაწილების ეფექტიან ინსტრუმენტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ковалёва Т.М. Бюджетная политика н бюджетное планирование в Россиской Федерации: Учеб. пособие. М.: КНОРУС, 2009- 128 с
2. Государственные финансы: Учеб. пособие / Г.К. Мультан, П.Ф. Киреева, О.Л. Пузанкевич и др.; Под ред. Г.К. Мультана. Минск: БГЭУ, 2005 -166 с
3. Финансово-бюджетное планирование: Учебник /Под ред. проф. Г.Б. Поляка. М.: Вузовский учебник, 2007 -554 с.
4. Владимирова Л.П. Прогнозирование и планирование в условиях рынка. – М.: Издательский дом «Дашков и К°», 2001. – 308 с

Peculiarities of the Implementation of Program-target Method in in Planning the State and Municipal Budget

M. Grdzelidze

Summary

The article discusses the essence and purpose of Forecasting and Planning, accordingly this gives the opportunity to explore most effective Macroeconomic methods. The article also considers peculiarities of Budget Planning methods, it discovers their drawbacks. The article underlines peculiarities of Program-target methods implementation in Foreign States. It analyzes traditions of two basic Financial management models of Program-target Planning and there is a possibility that the usage of them could be effective in various States.

Key words: *Forecasting and Planning, Budgeting, Speed up Strategy, Dynamic Transformation Strategy, Financial Management Models.*

გრძელვადიანი ინვესტიციების დაგეგმვის საკითხისათვის

თინათინ გუგეშაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხშირად, ფინანსურ გაანგარიშებებში ჩვენთვის აუცილებელია ვიცოდეთ მიმდინარე ღირებულების მხოლოდ მიახლოებითი მნიშვნელობა. მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისას 5%-იანი ცთომილება სავსებით დასაშვებია. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არა აქვს მნიშვნელობა ფულადი სახსრების ნაკადი მუდმივად მოედინება, თუ ჩნდება წლის ბოლოს. თუმცა, სხვა შემთხვევებში გაანგარიშებების სიზუსტე ძალიან მნიშვნელოვანია და მაშინ აუცილებლად ზუსტად გვჭირდება იმის ცოდნა, რა სიხშირით, დროის რა პერიოდში ჩნდება ფულადი სახსრების ნაკადები.

საკვანძო სიტყვები: *გრძელვადიანი ინვესტიციები, ფულადი სახსრების ნაკადები, ფულის სამომავლო ღირებულება, საპროცენტო განაკვეთი.*

ძალიან ხშირად, გრძელვადიანი ინვესტიციების დაგეგმვისას უფრო ხელსაყრელია დავუშვათ, რომ ფულადი სახსრების ნაკადები მოდის ყოველი წლის ბოლოს, და, შესაბამისად, ხდება მისი დისკონტირება რთული პროცენტის წლიური განაკვეთის მიხედვით. თუმცა, ზოგჯერ უფრო სწორი იქნებოდა დაშვება, რომ ფულადი სახსრები შემოდის თანაბრად წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ უწყვეტი დარიცხვის პრინციპი.

დისკონტირება შესაძლებელია მოხდეს რთული პროცენტის ბაზაზე. ეს ნიშნავს, რომ უნდა განისაზღვროს თანხა, რომლის ინვესტირებასაც ვაპირებთ დღეს და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ინვესტიციაზე ირიცხება რთული პროცენტი r, რათა მივიღოთ ფულადი სახსრების ნაკადები C_1, C_2 ... და ა.შ.

როდესაც ვინმე გვთავაზობს სესხს წლიური საპროცენტო განაკვეთ r-ით, ყოველთვის უნდა შევამოწმოთ, რა სიხშირით დაერიცხება პროცენტები.თუ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოხდება პროცენტის დარიცხვა, იზომება წლებით, ვალდებულები ვართ გადავიხადოთ $(1+r)^t$ დოლარი მეორე მხრივ, თუ დოლარის დარიცხვა წარმოებს მუდმივად, ვალდებული ვიქნებით გადავიხადოთ $2,718^{rt}$ (ან, როგორც ეს ჩვეულებრივ აღინიშნება - e^{rt}) დოლარი.

მიმდინარეღირებულების გაანგარიშების ცხრილები დიდწილად გვიმსუბუქებს ამ გამოთვლების პროცესს. ცნობილია ცხრილები, რომლებიც გვიჩვენებს:

1. 1 დოლარის ახლანდელ ღირებულებას, რომელიც მიღებულია t წლის ბოლოს;
2. 1 დოლარის მომავალ ღირებულებას t წლის ბოლოს;
3. 1 დოლარის სამომავლო ღიებულებას, რომელიც ინვესტირებულია რთული პროცენტის უწყვეტად დარიცხვის პირობებში;
4. 1 დოლარის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მიიღება უწყვეტად t წლის განმავლობაში და როდესაც სრული პროცენტის წლიური განაკვეთი ტოლია r-is.

სტატიაში წინა პლანზე წამოვწიეთ შემდეგი მნიშვნელოვანი იდეა: პირველი ის, რომ ახლანდელი ღიებულებების შეკრება შესაძლებელია. თუ ახლანდელი ღირებულებების ფორმულა A+B იძლევა განსხვავებულ შედეგს, ვიდრე A-ს მიმდინარე ღირებულებას დამატებული B-ს მიმდინარე ღირებულება, ეს ნიშნავს, რომ დაშვებულია შეცდომა.

დიდი განსხავავება არსებობს მარტივ და რთულ პროცენტებს შორის. როდესაც ინვესტირება ხდება რთული პროცენტების დარიცხვით, პროცენტების გადახდა რეინვესტირდება უფრო მაღალი პროცენტული შემოსავლის მიღების მიზნით მომდევნო პერიოდებში. ამისგან განსხვავებით, ის ინვესტიციები, რომლებსაც დაერიცხება მხოლოდ მარტივი პროცენტი, არ იძლევა პროცენტიდან პროცენტის მიღების საშუალებას.

ცხრილში ერთამნეთთან შედარებულია 100 დოლარის ინვესტიციების ზრდა რთული და მარტივი პროცენტების დარიცხვის პირობებში. აღვნიშნავთ,რომ მარტივი პროცენტის დარიცხვის შემთხვევაში, პროცენტი გადაიხდება მხოლოდ დაწყებით 100-დოლარიანი ინვესტიციიდან. შესაბამისად, ჩვენი სიმდიდრე გაიზრდება მხოლოდ 10%-ით წელიწადში. რთული პროცენტის დარიცხვის დროს კი ვიღებთ 10%-ს დაწყებითი ინვესტიციიდან პირველ წელს და პირველი წლის ბოლოს გვაქვს 100 x 1,10 = 110

დოლ. შემდეგ მეორე წელს ვიღებთ 10%-ს ამ 110 დოლარიდან, რომელიც მეორე წლის ბოლოს გვძლევს 100 x $1,10^2$ = $121

100 დოლარის ინვესტიციის ღირებულება მარტივი და რთული
10-პროცენტიანი განაკვეთით

მარტივი პროცენტი						რთული პროცენტი				
წელი	საწყი-სი სალდო	+	%	=	საბო-ლოო სალდო	საწყისი სალდო	+	საბოლოო %	=	საბოლოო სალ-დო
1	100	+	10	=	110	100	+	10	=	110
2	110	+	10	=	120	110	+	11	=	121
3	120	+	10	=	130	121	+	12.1	=	133.1
4	130	+	10	=	140	133.1	+	13.3	=	146.4
10	190	+	10	=	200	236	+	24	=	259
20	290	+	10	=	300	612	+	61	=	673
50	590	+	10	=	600	10,672	+	1,067	=	11,739
100	1,090	+	10	=	1,100	1,252,783	+	125,278	=	1,378,061
200	2,090	+	10	=	2,100	17,264,116,042	+	1,726,411,604	=	18,990,527,646
226	2,350	+	10	=	2,360	205,756,782,755	+	20,575,678,275	=	226,332,461,030

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მარტივ და რთულ პროცენტს შორის სხვაობა პირველ საინვესტიციო პერიოდში ნულის ტოლია, უმნიშვნელოა მეორე პერიოდში და ძალიან დიდია ოცწლიანი და მეტი პერიოდისათვის. თანხა 100 დოლარის ოდენობით ინვესტირებული ამერიკის რევოლუციის დროს და რომელსაც დაერიცხებოდა რთული პროცენტი წელიწადში 10%-იანი განაკვეთით, დღეს მოგვცემდა 49 მლრდ დოლარს.

ნახ 1-ზე ზედა ორი მრუდი გვიჩვენებს 100 დოლარის ღირებულების ინვესტიციების ზრდას მარტივი და რთული პროცენტების დარიცხვის შემთხვევებში. რაც უფრო დიდი ხნის ვადით ხდება სახსრების ინვესტირება, უფრო თვალნათლივ ჩანს რთული პროცენტის უპირატესობები.

ქვედა ხაზის მიხედვით, იმისათვის რომ მივიღოთ 100 დოლარი 10 წლის შემდეგ, საჭიროა ახალი 38,55 დოლარის ინვესტირება. და პირიქით, იმ 100 დოლარის ახლანდელი ღირებულება, რომელიც უნდა მივიღოთ 10 წლის შემდეგ, ტოლია 38,55 დოლარის.

რთული პროცენტი მარტივ პროცენტთან მიმართებით

ნახ. 1



1-ელ ნახაზზე, ორი ზედა მრუდის მიხედვით, შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ 100 - დოლარიანი ინვესტიციის შედეგები 10-პროცენტიანი მარტივი და რთული განაკვეთის გამოყენებით. ისე ჩანს, თითქოს მარტივი პროცენტის გამოყენებისას ზრდის ტემპები მუდმივია და რთული განაკვეთის დროს კი - დაჩქარებული. ეს მხოლოდ ოპტიკური ცთომილებაა. ცნობილია, რომ რთული პროცენტის დროს ჩვენი სიმდიდრე იზრდება მუდმივი ტემპით, რომელიც 10%-ის ტოლია. ნახაზი 2 უფრო ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ამის შესახებ.

ნახ. 2-ზე იგივე სიტუაცია გვაქვს იმ განსხვავებით, რომ ვერტიკალური ღერძი ლოგარითმულია. მუდმივი რთული ზრდის ტემპები გვაძლევს პირდაპირ მზარდ ხაზს. ეს გრაფიკი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ინვესტიციების ღირებულების ზრდის ტემპები, რომელზეც ერიცხება მარტივი პროცენტი, ფაქტობრივად, დროთა განმავლობაში მცირდება.

ფინანსური პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია უფრო რთულ პროცენტთან, ვიდრე მარტივთან. ამიტომ, სპეციალისტები ყოველთვის თვლიან, რომ საქმე აქვთ რთულ პროცენტთან, თუ სხვა ვარიანტი არ არის სპეციალურად აღნიშნული. დისკონტირება წარმოადგენს რთული პროცენტის გამოყენების პროცესს. ზოგიერთი კითხვის ნაცვლად: „როგორია 100 დოლარის მიმდინარე ღირებულება, რომელსაც მივიღებ 10 წლის შემდეგ, თუ ალტერნატიული დანახარჯები ტოლია 10%-ის?“ სვამენ შემდეგ კითხვას: „რამდენი უნდა დავაბანდო დღეს, რომ მივიღო 100 დოლარი 10 წლის შემდეგ 10 %-იანი განაკვეთის პირობებში?“ პირველ კითხვაზე პასუხია:

$$PV = \frac{100}{(1,10)^{10}} = \$38,55$$

მეორე კითახვა ზე პასუხი კი ასეთია:

$$\text{ინვესტიცია} \times (1,10)^{10} = \$100$$

$$\text{ინვესტიცია} = \frac{100}{(1,10)^{10}} = \$38,55$$

1 და 2 ნახაზების ქვედა ხაზები გვიჩვენებს საწყისი ინვესტიციის $38,55-ი ზრდას მის საბოლოო ღირებულებამდე - 100 დოლარამდე. დისკონტირება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოძრაობა უკან ქვედა ხაზზე სამომავლო ღირებულებიდან ახლანდელ ღირებულებამდე.

რთული პროცენტი რთულ პროცენტთან მიმართებით

ნახ.2



ამ მომენტამდე ვგულისხმობდით, რომ ფულადი სახსრების ნაკადი მთლიანად მოდიოდა წლის ბოლოზე. ზოგჯერ ასეც ხდება. მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში კორპორაციების უმრავლესობა პროცენტებს თავიანთ ობლიგაციებზე იხდიან წელიწადში ერთხელ. მაგრამ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში კორპორაციები პროცენტებს არიცხავენ წელიწადში ორჯერ, ანუ ყოველ ნახევარ წელიწადში. ამ ქვეყნებში ინვესტორებს დამატებითი პროცენტის თანხის მიღება შეუძლიათ პირველი შენატანიდან 6 თვეში, ისე რომ 100 დოლარის დაბანდებით ობლიგაციებში, რომლებზეც გადაიხდება 10% წლიური პროცენტი ორჯერ წელიწადში. 6 თვის შემდეგ პროცენტის თანხა ტოლია 105 დოლარის და წლის ბოლოს 1,052 x100 = 110,25 დოლ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 10% წელიწადში ორჯერ დარიცხვით, ეკვივალენტურია 10,25%-ის წლიური საპროცენტო განაკვეთის. რომ განვაზოგადოთ, მივიღებთ: 1 დოლარის ინვესტიცია წლიური r განაკვეთით , წელიწადში m-ჯერ დარიცხვით, წლის ბოლოსთვის შეადგენს:

$\left[1+\left(\frac{r}{m}\right)\right]^{m}$ და ექვივალენტური რთული წლიური პროცენტი ტოლი იქნება:

$$\left[1+\left(\frac{r}{m}\right)\right]^{m} - 1$$

შემნახველი და საკრედიტო კომპანიები ითვალისწინებენ ინვესტორებისთვის ხშირი გადახდის მიმზიდველობას. მათ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი ტრადიციულად ცხადდებოდა როგორც რთული პროცენტის წლიური განაკვეთი. მთავრობა, როგორც წესი, აცხადებს მროცენტის მაქსიმალურ წლიურ განაკვეთს, მაგრამ არ უთითებს იმ პერიოდს, როდესაც ხდება პროცენტების დარიცხვა. როდესაც საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობები იწყებენ შეზღუდვას, შემნახველი და საკრედიტო კომპანიები იწყებენ ჯერ ნახევარწლიურ, ხოლო შემდეგ ყოველთვიურად პროცენტების დარიცხვას. ეს ეკვივალენტურია რთული პროცენტის შემდეგი წლიური განაკვეთის: ჯერ $\left[1+\left(\frac{r}{2}\right)\right]^{2}$ – 1 და შემდეგ $\left[1+\left(\frac{r}{12}\right)\right]^{12}$ – 1

საბოლოოდ ერთმა კომპანიამ გამოაცხადა რთული პროცენტის უწყვეტად დარიცხვა ისე, რომ გადახდები წარმოებდა თანაბრად და უწყვეტად წლის განმავლობაში. ჩვენს ფორმულასთან მიმართებით ეს ნიშნავს, რომ m მიისწრაფვის უსასრულობისაკენ.

როდესაც ვმსჯელობთ გადახდების უწყვეტობაზე, ვგულისხმობთ, რომ ფული ქმნის მუდმივ ნაკადს, მსგავსად წყლისა, რომელიც მოედინება ონკანიდან. სინამდვლეში კი ეს ასე არ ხდება. მაგალითად 10000 დოლარის გადახდის ნაცვლად ყოველწლიურად ჩვენს მეცენატს შეუძლია გადაიხადოს 100 დოლარი ყოველ 8 საათში, ან 1 დოლარი ყოველ 5 და წუთში, ან 1 ცენტი ყოველ 3 და წამში. მაგრამ მას არ შეუძლია გააკეთოს ეს მუდმივად. ფინანსურ მენეჯერებს თავს წარმოაჩენენ ისე, თითქოს, პროცენტების გაცემა ხდებოდეს უწყვეტად და არა საათში, დღეში ან კვირაში. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეს ამარტივებს გაანგარიშებას და მეორეც, ეს მეთოდი იძლევა ძალიან ზუსტი მიახლოების გზას კერძო გადახდების წმინდა ახლანდელი ღირებულებისკენ [1, გვ. 56].

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს ნიშნავს გამოთვლების უზარმაზარ მოცულობას შემნახველი და საკრედიტო კომპანიებისთვის. საბედნიეროდ, ვისაც კიდევ ახსოვდა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ალგებრის კურსი, აღნიშნა, რომ თუ m მიისწრაფვის უსასრულობისკენ, მაშინ გამოსახულება $\left[1+\left(\frac{r}{m}\right)\right]^{m}$ დაახლოებით უტოლდება $(2,718)^{r}$-ს. რიცხვი 2,712, ანუ როგორც მას აღნიშნავენ e-თი, არის ნატურალური ლოგარითმის საფუძველი.

თანხა, 1 დოლარის ოდენობით, რომელიც ინვესტირდება უწყვეტად დარიცხვად საპროცენტო განაკვეთით r-ით, და შესაბამისად გაიზრდება $e^{r} = (2,718)^{r}$ პირველი წლის ბოლოს, t წლის შემდეგ გაიზრდება $e^{rt} = (2,718)^{rt}$ -ით .

მაგალითი 1. დავუშვათ, ვახდენთ ინვესტირებას 1 დოლარით, წლიური განაკვეთით 10%, უწყვეტი დარიცხვით. (r = 0,10) და (t = 1). ღირებულება წლის ბოლოს შეადგენს უბრალოდ $e^{0,10}$, რაც, შეადგენს 1,105 დოლარს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტირება 10 პროცენტიანი წლიური განაკვეთით რთული პროცენტის უწყვეტი დარიცხვით წლის განმავლობაში ტოლფასია ინვესტირების წლიური დარიცხვით 10,5%.

მაგალითი 2. ახლა დავუშვათ, რომ ვაბანდებთ 1 დოლარს 11% რთულ პროცენტით, უწყვეტი დარიცხვით ერთი წლის განმავლობასი (r = 0,11) და (t = 1). შესაბამისად, ინვესტიციის ღირებულება წლის ბოლოს შეადგენს $e^{0,11}$ რაც, **შეადგენს 1,116** დოლარს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტირება 11 პროცენტიანი წლიური განაკვეთით რთული პროცენტის უწყვეტი დარიცხვით წლის განმავლობაში ტოლფასია ინვესტირების, რომელსაც დაერიცხება რთული პროცენტი 11,6 %-იანი განაკვეთით წელიწადში ერთხელ.

მაგალითი 3. დაბოლოს, დავუშვათ, რომ ვაბანდებთ 1 დოლარს, 11% რთულ პროცენტით უწყვეტი დარიცხვით ორი წლის განმავლობაში. (r = 0,11) და (t = 2). ინვესტიციის საბოლოო ღირებულება იქნება: $e^{rt} = e^{22} . e^{22}$ = $1,246.

რთული პროცენტის უწყვეტად დარიცხვის პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი დაბანდებების დაგეგმვისას, სადაც უფრო მიზანშეწონილად ითვლება, რომ ფულადი სახსრების ნაკადი მოედინებოდეს გეგმაზომიერად წლის განმავლობაში და არა წლის ბოლოს. ამის გასაგებად ვისარგებლოთ წინა ფორმულებით. მაგალითად, დავუშვათ, გვინდა გამოვთვალოთ C დოლარის წელიწადში უვადო რენტის ახლანდელი ღირებულება. უკვე ვიცით, რომ თუ გადახდა წარმოებს წლის ბოლოს, ვყოფთ მის სიდიდეს რთული პროცენტის წლიურ განაკვეთ r-ზე, რომელიც დაერიცხება ერთხელ წელიწადში [2, გვ.22]

$$PV = \frac{C}{r}$$

თუკი იგივე გადახდებს ადგილი ექნება თანდათან წლის განმავლობაში, ვიყენებთ იგივე ფორმულას, ოღონდ ჩავანაცვლებთ უწყვეტი დარიცხვის რთული პროცენტის განაკვეთს.

ზემოთ გამოვიყენეთ რთული პროცენტის წლიური განაკვეთი 10%-ის ოდენობით, რომელიც ერიცხებოდა წელიწადში ერთხელ. ახლა უნდა გამოვიყენოთ რთული პროცენტის წლიური განაკვეთი უწყვეტი დარიცხვით r = 9,53% ($e^{0,0953}$ = 1,10).

ამ ხარჯების დასაფარავად უნდა გვქონდეს შემდეგი ნაღდი თანხა:

ანუიტეტი წარმოადგენს უბრალოდ სხვაობას, დღეს მიღებულ უვადო რენტასა და იმ უვადო რენტას შორის, რომელიც მიღებული იქნება t დროში. ფულის მუდმივი წლიური ნაკადის ღირებულება C უვადო რენტის მიხედვით ტოლია $\frac{C}{r}$,სადაც r არის უწყვეტი დარიცხვის რთული პროცენტის განაკვეთი. ამრიგად, ჩვენი ანუიტეტის ღირებულება ტოლი იქნება:

PV = $\frac{C}{r} - \frac{C}{r}$ იმ სიდიდის ახლანდელი ღირებულება, რომელიც მიღებულია t წელიწადში. რადგან r არის უწყვეტი დარიცხვის რთული პროცენტის განაკვეთი, დღევანდელი ღირებულება $\frac{C}{r}$ მიღებული t წლის განმავლობასი, ტოლია $\frac{C}{r} \times \left(\frac{1}{e^{rt}}\right)$, მაშინ ჩვენი ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს:

$$PV = \frac{C}{r} - \frac{C}{r} \times \frac{1}{e^{rt}}$$

მას ზოგჯერ ასეც წერენ:

$$\frac{C}{r}\left(1 - e^{-rt}\right)$$

მაშასადამე:

$$PV = C\left(\frac{1}{r} - \frac{1}{r} \times \frac{1}{e^{rt}}\right) = 100000\left(\frac{1}{0,0953} - \frac{1}{0,0953} \times \frac{1}{6,727}\right) =$$
$$= 100\,000 \times 8,932 = \$893200$$

თუ დავუბრუნდებით ანუიტეტის წინა განხილვას, შეამჩნევთ, რომ 100000-ის მიმდინარე ღირებულება, რომელიც გადაიხდება ყოველი წლის ბოლოს 20 წლის განმავლობაში, ტოლია 851 406 დოლარის. შესაბამისად, გადახდების მუდმივი ნაკადის უზრუნველყოფა დაგვიჯდება 41800 დოლარით ანუ 5 %-ით ძვირი.

ხშირად, ფინანსურ გაანგარიშებებში აუცილებელია ვიცოდეთ მიმდინარე ღირებულების მხოლოდ მიახლოებითი მნიშვნელობა. მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისას 5%-იანი ცთომილება სავსებით დასაშვები მოვლენაა. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არა აქვს მნიშვნელობა ფულადი სახსრების ნაკადი მუდმივად მოედინება თუ ჩნდება წლის ბოლოს. თუმცა, სხვა შემთხვევებში გაანგარიშებების სიზუსტე

ძალიან მნიშვნელოვანია და მაშინ აუცილებლად ზუსტად გვჭირდება იმის ცოდნა, რა სიხშირით, დროის რა პერიოდში ჩნდება ფულადი სახსრების ნაკადები [3, გვ.37].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. E. F. Fama and M. H. Miller: The Theory of Finance, Holt, Rinehart and Winston. NewYork, 1972.
2. M. C. Jensen and W. H. Meckling: “Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs,and Ownership Structure,” Journal of Financial Economics, 3:305–360 (October 1976).
3. E. F. Fama: “Agency Problems and the Theory of the Firm,” Journal of Political Economy, 88:288–307 (April 1980).

About some Aspects of Long-term Investment Planning Issues

T. Gugeshashvili

Summary

The discount rate is determined by rates of return prevailing in capital markets. If the future cash flow is absolutely safe, then the discount rate is the interest rate on safe securities such as United States government debt. If the size of the future cash flow is uncertain, then the expected cash flow should be discounted at the expected rate of return offered by equivalent-risk securities. Cash flows are discounted for two simple reasons: first, because a dollar today is worth more than a dollar tomorrow, and second, because a safe dollar is worth more than a risky one.

The capital market is the market where safe and risky future cash flows are traded. That is why we look to rates of return prevailing in the capital markets to determine how much to discount for time and risk.

Key words: *Discount rate, risk, capital markets, cash flow.*

ინტელექტუალური საკუთრება საქართველოში

ნინო დამენია,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთასთან დაკავშირებული ღონისძიებები; საქართველოში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასა და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი "საქართველოს საპატენტო კანონი".

შეფასებული და გაანალიზებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების პატენტები, მშპ-ის მიმართ ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნიკაზე საერთო დანახარჯების ხვედრითი წილით მსოფლიოსა და საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *ინტელექტუალური საკუთრება, პატენტი, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.*

ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს. რამდენადაც თავისი არსით ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც გამოხატულია იდეის ან ფორმის სახით, შეუძლებელია მათ გამოყენებაზე უშუალო კონტროლის დაწესება და განხორციელება საკუთრების მატერიალური ფორმებისათვის მისაღები სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. ამიტომ, მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში (პირველი აქტები მე-15 საუკუნეში ვენეციაში მიიღეს), საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.

საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობის უმრავლესობა არ იძლევა ,,ინტელექტუალური საკუთრების“ რაიმე ფორმალიზებულ დეფინიციას. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, რომელიც მიიღეს სტოკჰოლმში 1967 წლის 17 ივლისს, ,,ინტელექტუალური საკუთრება“ მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება: ლიტერატურას, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაწარმოებებს; მსახიობ-შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებს და საერთო მაუწყებლობის პროგრამებს; გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში; მეცნიერულ აღმოჩენებს; სამრეწველო ნიმუშებს; სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს; არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომელიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების სფეროებში.

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს, კერძოდ: სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვას.

მეცნიერული აღმოჩენები ინტელექტუალური საკუთრების ამ ორი სფეროდან არცერთს არ მიეკუთვნება. არსებობს აზრი, რომ მეცნიერული აღმოჩენები საერთოდ არ უნდა ფიგურირებდეს ინტელექტუალური საკუთრების ფორმათა შორის, ვინაიდან არცერთი ეროვნული კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება არ ანიჭებს მეცნიერულ აღმოჩენებზე საკუთრების უფლებას, თუმცა, რა თქმა უნდა, საყოველთაოდაა მიჩნეული, რომ მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) განმარტებით, არის ბუნების იმ მოვლენების, თვისებების ან კანონების შეცნობა და აღიარება, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი, წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტს, რომლის საფუძველზეც ხდება მეცნიერების შემდგომი განვითარება და პიონერული გამოგონებების შექმნა [4].

ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტი შეიძლება იყოს კერძო, კოლექტიური ან სახელმწიფო საკუთრება. მათ შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი კერძო ინტელექტუალურ საკუთრებაზე მოდის, რამდენადაც მნიშვნელოვანწილად მის ავტორებად, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ინდივიდები (კერძო ფიზიკური პირები) გვევლინებიან. ხვედრთი წილის მიხედვით მეორე ადგილზეა კოლექტიური ინტელექ-

ტუალური საკუთრება, რომელიც ავტორთა კოლექტივის ერთობლივი გონებრივი შრომის ნაყოფს წარმოადგენს. ყველაზე მცირე ხვედრითი წილით სახელმწიფო ინტელექტუალური საკუთრება წარმოგვიდგება (ისიც ძირითადად ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაზე აგებულ სახელმწიფოებში), რამდენადაც საკუთრების ასეთი ფორმის ობიექტები (მაგალითად, საბრძოლო ოპერაციებთან დაკავშირებული ინოვაციები და სხვა) შედარებით მოკრძალებულად იწარმოება.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალში დომინირებს მოსაზრება მისი საავტორო სამართლად და სამრეწველო საკუთრების სამართლად დაყოფის თაობაზე. ასეთი დაყოფის კრიტერიუმად აღებულია თითოეული მათგანის სამართლებრივი დაცვის საგნად მიჩნეული ობიექტები.

საავტორო სამართალი ემყარება ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის (1886 წ.) კონვენციას, რომლის მონაწილე ქვეყნების რიცხვი დღეისათვის 130 აღემატება (საქართველო ბერნის კონვენციის პარიზის რედაქციას 1995 წლის მაისში მიუერთდა).

სამრეწველო საკუთრების პარიზის კონვენცია მიღებულ იქნა 1883 წლის 20 მარტს. დასაწყისში მისი მონაწილე იყო 11 ქვეყანა (ბელგია, ბრაზილია, გვატემალა, ესპანეთი, იტალია, ჰოლანდია, პორტუგალია, სალვადორი, საფრანგეთი, სერბია და შვეიცარია). საქართველო პარიზის კონვენციას შეუერთდა 1994 წლის 14 იანვარს.

პარიზის კონვენციის თანახმად, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტებია: პატენტები, სასარგებლო მოდელები, სამრეწველო ნიმუშები, საფირმო სახელწოდებები, სასაქონლო ნიშნები, მომსახურების ნიშნები, საფირმო სახელწოდებები, წარმოშობის აღნიშვნა ან წარმოშობის ადგილის დასახელება და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა [1, გვ. 86].

სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირში შემავალი ქვეყნების კანონმდებლობები აღიარებს სამრეწველო პატენტების ისეთ სახეობებს, როგორიცაა: შემოტანილი პატენტი, პატენტი გაუმჯობესებაზე, დამატებითი პატენტი, აგრეთვე, მოწმობა და სხვა.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვითუნარიან ობიექტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას. იგულისხმება ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც მიმართულია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების (ანუ, როგორც იტყვიან, თამაშის წესების) დარღვევით კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვებისაკენ. პარიზის კონვენცია ასეთ ქმედებებს შორის გამოყოფს ისეთს, რომელიც იწვევს კონკურენტთა საქონლისა და კომერციული საქმიანობის აღრევას; შეიცავს მოტყუებითი ხასიათის ისეთ ცრუ განცხადებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ კონკურენტის სახელისა და საქმიანობის დისკრედიტაცია, ჩირქი მოსცხონ მისი საქონლის თვისებრივ მხარეებსა და რეპუტაციას; შეიცავს კონკურენტთა საქონლის თაობაზე მომხმარებლების შეცდომაში შემყვან განცხადებებს. იგი შეიძლება ეხებოდეს საქონლის წარმოების ტექნოლოგიას, ხარისხს, ქიმიურ შემადგენლობას, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებებს და ა.შ.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთა და თავისუფალი კონკურენციისთვის შესაბამისი გარემო პირობების შექმნა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა [1, გვ. 95 - 96].

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები შემოქმედს ან პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ამ უფლებათა ძირითადი პრინციპები მოცემულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ინფორმაციის თანახმად, თანამედროვე წამლების თითქმის ორი მესამედი არ შეიქმნებოდა საპატენტო დაცვის გარანტიის გარეშე, რამაც შესაძლებელი გახადა შემოსავლის მიღება კვლევების დასაფინანსებლად; მრავალი მილიარდი დოლარის ღირებულების ფილმები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, მრავალფეროვანი პუბლიკაციები, კომპიუტერული პროგრამები და სხვ., რაც სიამოვნებას ანიჭებს მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში, არ იარსებებდა მათი საავტორო უფლებით დაცვის გარეშე; მომხმარებელს არ ექნებოდა საშუალება გაბედულად ეყიდა ნაწარმი ან მიეღო მისთვის სასურველი მომსახურება სასაქონლო ნიშანზე უფლებების საიმედო დაცვისა და ამ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფის გარეშე, რაც კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების შექმნის საფუძველია.

საქართველოში გამოგონებაზე ან სასარგებლო მოდელზე პატენტის მისაღებად საჭიროა განაცხადის საქპატენტში წარდგენა, სადაც ტარდება კანონით გათვალისწინებული ექსპერტიზა, რომლის საფუძველზეც პატენტი გაიცემა ან არ გაიცემა.

საქართველოში გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის შექმნასთან, გამოყენებასა და სამარ-

თლებრივ დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს "საქართველოს საპატენტო კანონი". აღნიშნულ კანონთან ერთად, საიდუმლო გამოგონებასა და სასარგებლო მოდელთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება "საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაცვისა და გამოყენების შესახებ", ხოლო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N182 დადგენილებით დამტკიცებულია საქპატენტში ინტელექტუალურ საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის საფასურები.

გარდა ამისა, გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვის საფუძველს წარმოადგენს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (საქართველო წევრია 1991 წლიდან), საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება PCT (საქართველო წევრია 1991 წლიდან), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება "ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ" (TRIPS) შეთანხმება (საქართველო მონაწილეა 2000 წლიდან).

რაც შეეხება საპატენტო უფლებების განხორციელებასა და დარღვევებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ისინი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, ხოლო პატენტთან დაკავშირებული დანაშაული ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლით [4].

ცხრილი 1-ში საშუალებით წარმოდგენილია ზოგიერთი ქვეყნის მიხედვით 2000 წლიდან 2013 წლამდე რეგისტრირებული პატენტის რაოდენობები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით (WIPO) [5].

ცხრილი 1

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
სომხეთი	127	155	207	157	6	208	193	140	230	127	142	140	141	131
აზერბაი	213	241	264	277	287	259	295	233	281	271	205	144	156	
თურქეთ	3433	3212	1838	837	917	1146	1232	2021	2397	2732	3357	4113	4666	4661
საფრანგ	17353	17104	16908	16850	17290	17275	17249	17109	16419	15693	16580	16754	16632	16886
გერმანია	62142	60475	58187	58481	59234	60222	60585	60992	62417	59583	59245	59444	61340	63167
იტალია	9273	9487	9500	9401	9247	9331	10903	10125	9449	9717	9723	9721	9310	9212
რუსეთი	32337	34090	33308	34870	30190	32253	37691	39439	41849	38564	42500	41414	44211	44914
აშშ	335644	366451	374452	380500	395903	430915	468251	496768	499416	494537	526003	539290	579210	607734
საბერძნე	340	434	412	420	407	482	562	595	658	720	744	741	656	717
საქართვ	418	475	398	366	457	475	535	564	463	474	362	398	372	333

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით დღეისათვის მსოფლიოში გაცემულია დაახლოებით 42 მილიონი პატენტი, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის საპატენტო უწყებებს ყოველწლიურად საშუალოდ ერთი მილიონი განაცხადი მიეწოდება. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრი დაცვა აუცილებელია და ეს გამოკლვევებითაც დასტურდება. მაგალითად, ამერიკელ სპეციალისტთა შეფასებით, თუ საწარმოთა კუთვნილი საიდუმლო ინფორმაციის დაახლოებით 20% გამჟღანდა, ასეთი საწარმოების 60%-ის გაკოტრება გარდაუვალია.

წარმოდგენილი გვაქვს ხარჯები საზღვარგარეთ პატენტის განაცხადის შეტანისას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ ჩვენ გადავწყვეტთ რამის დაპატენტებას იგივეს გადავიხდით. საერთო ღირებულება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის სამართლებრივი ფაქტორზე, დროის ხანგრძლივობასა და პატენტის განაცხადსა და პრეტენზიებზე. აშშ -$5,000 - $6,000+; ევროპის საპატენტო განაცხადი - $6,000 - $8,000+; კანადა - $1,000 - $2,000+; მეხიკო- $3,000 - $5,000+; იაპონია - $8,000 - $12,000+; ავსტრალია $3,000 - $4,000+; სამხრეთ კორეა - $6,000 - $8,000+; ინდოეთი - $3500-$5000+; ტაივანი - $4,000 - $6,000+; ჩინეთი -$5,000 - $7,000+; გერმენია -$5,000 - $7,000+ ; ახალი ზელანდია - $3,000 - $5,000+ [5].

გამომდინარე იქედან რომ ინოვაცია დაკავშირებულია სიახლეებთან და მეცნიერულ აღმოჩენებთან ამ მხრივ: მეცნიერულ კვლევებსა და ტექნიკურ დამუშავებაზე გაწეული დანახარჯები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის შეადგენდა (აშშ დოლარებში): აშშ - 690, იაპონიაში - 586, საფრანგეთში - 434, დიდ ბრიტანეთში - 350, გერმანიაშ - 643, ჩინეთში - 40.2, ხოლო რუსეთში - 73.

ინოვაციურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი ქვეყნის მშპ-ში: შვედეთი- 4.8%, ფინეთი-3.4%, იაპონია-3.08%, სამხრეთ კორეა-2.92%, აშშ-2.8%, გერმანია-2.25%, ბრაზილია-2.2%, იტალია-2.02%, დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან: ინდოეთი- 0.8%, ჩინეთი-1.2%, რუსეთი- 1.25% [5].

მშპ-ის მიმართ ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნიკაზე საერთო დანახარჯების ხვედრითი წილით მსოფლიოში პირველ ადგილზეა შვედეთი - 7.7%, მეორეზე აშშ -7.3%, მესამეზეა შვეიცარია - 7%. მათ საგრძნობლად ჩამორჩებიან გერმანია - 5.3%, იტალია და ესპანეთი - 6.1%. ხოლო ეს მაჩვენეველი საქართველოში შეადგენს : 0.01 %.

ცხრილი 2

% მშპ ქვეყანა\თარიღი	2008	2009	2010	2011	2020 მიზანი
ევროკავშირი (27ქვეყანა)	1.92	2.01	2	2.03	3
ბელგია	1.97	2.03	2.01	2.04	3
ბულგარეთი	0.47	0.53	0.6	0.57	1.5
ჩეხეთი	1.41	1.47	1.56	1.85	:
დანია	2.85	3.16	3.07	3.09	3
გერმანია	2.69	2.82	2.8	2.84	3
ესტონეთი	1.28	1.43	1.63	2.38	3
ირლანდია	1.46	1.76	1.71	1.72	:
ესპანეთი	1.35	1.39	1.39	1.33	3
საფრანგეთი	2.12	2.27	2.24	2.24	3
ხორვატია	0.9	0.85	0.75	0.76	:
იტალია	1.21	1.26	1.26	1.25	1.53
კვიპროსი	0.43	0.49	0.5	0.48	0.5
ლატვია	0.62	0.46	0.6	0.7	1.5
ლიტვა	0.8	0.84	0.8	0.92	1.9
ლუქსემბურგი	1.66	1.72	1.48	1.43	2.3
უნგრეთი	1	1.17	1.17	1.21	1.8
მალტა	0.55	0.53	0.66	0.72	0.67
ჰოლანდია	1.77	1.82	1.85	2.04	2.5
ავსტრია	2.67	2.71	2.79	2.75	3.76
პოლონეთი	0.6	0.67	0.74	0.76	1.7
პორტუგალია	1.5	1.64	1.59	1.49	2.7
რუმინეთი	0.58	0.47	0.46	0.5	2
სლოვენია	1.66	1.85	2.09	2.47	3
სლოვაკეთი	0.47	0.48	0.63	0.68	1
ფინეთი	3.7	3.94	3.9	3.78	4
შვედეთი	3.7	3.6	3.39	3.37	4
გაერთიანებული სამეფო	1.75	1.82	1.77	1.75	:
ნორვეგია	1.58	1.76	1.68	1.64	:
თურქეთი	0.73	0.85	0.84	0.86	:
რუსეთი	1.04	1.24	1.11	:	:
აშშ	2.82	2.87	:	:	:
იაპონია	3.47	3.36	:	:	:
სამხრეთ კორეა	3.36	3.57	4	:	:

საქართველოში მეცნიერებას არა აქვს სტაბილური დაფინანსება. მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას აქვთ კანონმდებლობით გარანტირებული სრული ავტონომია და სახელმწიფო დაფინანსება.

სახელმწიფოს მხრიდან განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით გაღებული თანხები წარმოდგენილია ცხრილი 3-ის სახით [3].

ცხრილი 3



ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში (GII 2013) საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, ხოლო 2012 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) 131 ქვეყანას შორის 44-ე ადგილი უკავია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს: ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი; კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი.

დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს: უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი; ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი.

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა [7].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეო ჩიქავა - ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი 2006;
2. საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ (თავი 2, მუხლი 18; თავი 3, მუხლი 2);
3. საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (http://www.mof.ge/4889)
4. http://www.sakpatenti.org.ge/
5. http://www.wipo.int/ipstats/en/wipi/
6. http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/europe_2020_indicators/headline_indicators
7. https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

Intellectual Property in Georgia

N. Damenia

Summary

The paper deals with intellectual property rights and the activities against unfair competition. Patent Law of Georgia regulating relations associated with the creation, use and legal protection of an invention and a utility model is discussed. Intellectual property patents registered according to the indicators of World Intellectual Property Organization (WIPO) are evaluated and analyzed. The share of total expenditures on information and communication technologies in GDP in Georgia and globally is discussed.

Keywords: *intellectual property, patents, World Intellectual Property Organization.*

საბაჟო სტატისტიკის ფორმირების ეტაპები საქართველოში

მერი დაუშვილი,
თსუ-ის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია საბაჟოს ინსტიტუციური მოწყობის ეტაპები, დახასიათებულია საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბების ეტაპები და ამის შესაბამისად საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული მოწყობის საკითხები, გამოვლენილია ამ ცვლილებების ფონზე მიმდინარე საბაჟო სტატისტიკის ტრასფორმირების ძირითადი მიმართულებები. დასახულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფის მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: *საბაჟო, კანონმდებლობა, გამშვები პუნქტი, სტატისტიკა, ფორმირება.*

საბაჟო ურთიერთობა ეკონომიკური ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა გაცვლით გაპირობებული განაწილების პროცესში გაცვლის მონაწილეებსა და განაწილების უფლების მქონე სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის. (ე.ჯგერენაია. საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. თბ.,2002.გვ.109) საქართველოს საბაჟო სამსახური, როგორც ასეთი, არ არსებობდა, სანამ ქვეყანამ სახელმწიფო დამოუკიდებლობა არ მოიპოვა. ამიტომ საბაჟოს ისტორია და საბაჟო სტატისტიკის განვითარება პრაქტიკულად სწორედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო.

ამით განსხვავდებოდა საქართველო, სხვა პოსტრევოლუციური ქვეყნებისაგან, (მაგალითად პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ა.შ.) რომლებსაც თავისი საბაჟო და გამართული სტატისტიკა ჰქონდათ. სწორედ გამოცდილების არარსებობის გამო შეინიშნებოდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, პირველად (XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი) საბაჟო გადასახადები, შეიძლება ითქვას, არ იკრიფებოდა. ეს იყო ქვეყნისათვის უმძიმესი პერიოდი, როდესაც მძვინვარებდა სასურსათო კრიზი. მოშლილი იყო სავაჭრო ურთიერთობები, ქვეყანა ძირითადად იმპორტის ხარჯზე არსებობდა ამის გამო გადასახადი იმპორტზე იყო დაბალი (2%), ხოლო ექსპორტზე - შედარებით მაღალი (8%). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა არ ასტიმულირებდა თავის წარმოებას, აქედან გამომდინარე - ექსპორტსაც.

თუმცა აღსანიშნავია, რომ იმავე 90-იანი წლების დასაწყისში ვაჭრობაში ამოქმედდა ბევრი აკრძალვა, კვოტირებისა და ლიცენზირების მექანიზმი. აქედან გამომდინარე, საბაჟოს წინაშე დადგა გამოწვევა: არა მარტო გაეკონტროლებინა რამდენად იყო შემოტანილი საქონელი კვოტირებული, არამედ დაედგინა შემომტანს ჰქონდა თუ არა ლიცენზია. შემდეგ მალევე, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისთანავე თანდათან გაუქმდა კვოტირება, ლიცენზირება და აკრძალვებიც დავიდა მინიმუმამდე, მაგრამ პროცესი აღმოჩნდა რთული, და თითქმის 3 წელი გაჭიანურდა

ბუნებრივია, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ გამოიწვია საბაჟო საქმიანობის მნიშვნელოვნად გამარტივება. ამ პროცესებზე უდავოდ დიდი გავლენა იქონია ერთიანი საიმპორტო გადასახადის შემოღებამ, 12%-ის ოდენობით, აგრეთვე, ექსპორტის გათავისუფლებამ გადასახადების (დღგ-ის და აქციზის) გადახდისაგან.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, საქართველომ დაიწყო რა საბაჟო სამსახურის შექმნა, შესაბამისად ყალიბდებოდა საბაჟო კანონმდებლობაც,რაც რამოდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ:

პირველი ეტაპი მოიცავს 1990-1991 წლებს. ამ ეტაპზე შეიქმნა საქართველოს საბაჟო სამსახური, 1991 წელს მიღებულ იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი - კანონი საქართველოს საბაჟოს შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რითაც განისაზღვრა საბაჟო საქმის ძირითადი მიმართულებები და პრობლემები, საბაჟოების ფუნქციები და ამოცანები.

მეორე ეტაპი მოიცავს 1992-1996 წლებს. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია საბაჟო კანონმდებლობის შექმნა და მისი სრულყოფა. ის დაკავშირებულია საქართველოს პირველი საბაჟო კოდექსის, საბაჟო ტარიფის შესახებ დეკრეტის, საქართველოს კანონის -„საბაჟო გადასახადის'' შესახებ, დებულებების, ინსტრუქციების მიღებასთან. მთავარი მიღწევა მაინც 1992 წელს მიღებული პირველი საბაჟო კოდექსი იყო.

მესამე ეტაპი მოიცავს 1997 წლიდან 2007 წლამდე პერიოდს. 1997 წელს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საბაჟო კოდექსი, ე.ი. 1998 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა რიგით მეორე საბაჟო კოდექსი; იმავე წელს მიღებულ იქნა ასევე საქართველოს კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადის, მოსაკრებლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტები და დოკუმენტები. (გ. იმედაშვილი. საბაჟო საქმე. თბ., 2009. გვ.8)

მეოთხე ეტაპი იწყება 2007 წელს, როდესაც მიღებულ იქნა რიგით მესამე საბაჟო კოდექსი და ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რითაც დაიწყო საბაჟო სფეროს შემდგომი სრულყოფის პროცესი და გრძელდება დღესაც.

საბაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებასთან ერთად, საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული მოწყობა რამდენჯერმე შეიცვალა. ამ ცვლილებების ფონზე ტრასფორმირებას განიცდიდა საბაჟო სტატისტიკაც.

საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც 1992 წლიდან 1996 წლამდე დამოუკიდებლად არსებობდა, ვერ ჩამოყალიბდა გამართულ ინსტიტუტად. 1996 წლიდან იწყება საბაჟოში შემოსავლების ზრდა და გარკვეული ინტიტუციონალური ცვლილებები. დასაწყისში სისტემის სტრუქტურაში რეგიონული საბაჟოები დიდი ქალაქების ნიშნით არსებობდა, ხოლო საბაჟო-გამშვები პუნქტების კოორდინაცია დეპარტამენტის ცენტრალური აპარატიდან, საბაჟო-გამშვები პუნქტების კოორდინაციის სამმართველოდან ხორციელდებოდა. საბაჟო სტატისტიკის წარმოება ძირითადად საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას გულისხმობდა, რომლის ისტორია საქართველოში 1995 წლიდან დაიწყო. ის ეფუძნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ 1993 წლის საერთაშორისო მეთოდოლოგიას „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“. 2010 წელს კი შემუშავდა ახალი რეკომენდაციები, რომელიც მიმართული იყო როგორც საგარეო ვაჭრობის უფრო დეტალური სტატისტიკის წარმოებისკენ, ასევე საგადასახდელო ბალანსის ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესებისკენ.

საბაჟო საზღვარზე საქონლის დეკლარირებისათვის გამოიყენებოდა 1995 წლის საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა, რომელიც ეყრდნობოდა საქონლის აღრიცხვისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემას.

დღეს, საბაჟო სამსახურებში სტატისტიკის წარმოება ემყარება სეს სნ-ს (საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა), რომლის 2002 წლის ვერსია დაინერგა 2006 წელს, რომელშიც საქონლის დეტალიზაციის დონე განისაზღვრებოდა 11 ნიშნა კოდებით (წინა ვერსია 9 ნიშნა დონეზე იყო დეტალიზებული). 2007 წლამდე საბაჟო ფუნქციონირებდა ჯერ საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის, ხოლო შემდეგ ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის სახით. ამიტომ საბაჟო სტატისტიკაც ორმაგ დაქვემდებარებაში იყო, ერთი მხრივ, თავად საბაჟო დეპარტამენტისა და მეორე მხრივ, ფინანსთა სამინისტროს წინაშე. ამ პერიოდში, განხორციელებული რეფორმების შედეგად გამარტივდა საბაჟო საქმიანობის ადმინისტრირება, რასაც მოჰყვა საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, აგრეთვე ბიზნესმენების მხრიდან კანონმდებლობის არცოდნით გამოწვეულ ჯარიმებთან დაკავშირებული დამატებითი დროისა და ხარჯების შემცირება.

ამ პერიოდში საბაჟოს სტატისტიკის წარმოებისას, საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულების აღრიცხვისათვის და საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფისათვის, გამოიყენებოდა მსოფლიო ქვეყნების კლასიფიკატორი. რაც შეეხება, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების ტექნიკურ დამუშავებას, 1995 წლიდან 2003 წლამდე დამუშავება ხორციელდებოდა ევროსტატის მიერ საქართველოსთვის უსასყიდლოდ გადაცემული პროგრამული უზრუნველყოფის „ EUROTRACE” საშუალებით, რომელსაც მომსახურებას უწევდა თავად ევროსტატის ტექნიკური პერსონალი. აღნიშნულ პროგრამას გააჩნდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, არ იყო შესაძლებელი დეკლარაციების აღწერილობის ნახვა და მონაცემებში გარკვეული კორექტივების შეტანა, რაც მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, 2003 წლიდან, საგარეო ვაჭრობის ბაზების დამუშავებისთვის გამოყენებული იქნა Microsoft Office Access. შესაძლებელი გახდა დეკლარაციების დეტალური მონიტორინგი და ინფორმაციის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა არც ეს პროგრამა იყო უნაკლო. 2007 წლის გაზაფხულიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები გაერთიანდა ერთ სამსახურად, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით.

საბაჟო საქმის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 2007 წელს ამოქმედებულ საბაჟო კანონმდებლობას. კერძოდ, როგორც აღინიშნა, 2007 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნებთან იყო ჰარმონიზებული და მასთან ერთად ამოქმედდა ასევე, ორმოცამდე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებშიც თავიდან გაიწერა საბაჟო ორგანოების სტრუქტურა, მათი ამოცანები (შესრულების მექანიზმებთან ერთად), საბაჟო რეჟიმები და საბაჟო კონტროლის პროცედურები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნული საბაჟო კოდექსით შემოღებულ იქნა საბაჟო სამართალდარღვევის ცნება და ამ კოდექ-

სითვე განისაზღვრა პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომები თითოეული საბაჟო სამართალდარღვევისათვის. შედეგად, ბიზნესმენები მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტით ღებულობდნენ ინფორმაციას თუ რა ითვლება საბაჟო სამართალდარღვევად და რა არა. შედეგად, ბიზნესმენთათვის კიდევ უფრო მარტივი გახდა საბაჟო კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიება.

2009 წელს, ევროკავშირის მოთხოვნით, მოქმედებაში შევიდა სეს სნ-ის 2007 წლის ვერსია, 2012 წელს კი დაინერგა სეს სნ 2012, რომელიც მოქმედებს დღემდე. 2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოში მოეწყო და ექსპლუატაციაში შევიდა ხუთი გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ), სადაც, ბიზნესმენის სურვილის შემთხვევაში, საბაჟო დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი. ამასთან, ამოქმედდა მთელი რიგი პროცედურა, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დრო და ხარჯები საერთაშორისო ვაჭრობით დაკავებული ბიზნესმენებისთვის. 2007-2011 წლებში, საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფისა და საბაჟო გაფორმებისათვის საჭირო დროისა და ხარჯების კიდევ უფრო შემცირების მიზნით განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები (ძალაში შევიდა ცვლილების 200-ზე მეტი ნორმატიული აქტი).

2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსები. ამასთან, ყველა ზემოხსენებული კანონქვემდებარე აქტიც გაერთიანდა ერთ ნორმატიულ აქტად.

საბაჟო სფეროში განხორციელებული ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები და საგარეო ვაჭრობის სფეროში გატარებული პოლიტიკა მიმართულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისაკენ მსოფლიო ნორმებთან. (General Agreement on Tariffs and Trade (GATT) 1994.(International Convention on the simplification and harmonization of Customs procedures (Kyoto Convention) Entered into force on 25 September 1974; Customs Co-operation Council (World Customs Organization) Rue du Marché 30 B-1210 Brussels)

თანამედროვე საბაჟო გამშვები პუნქტების ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც უკანასკნელი წლებში ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაუმჯობესების მიმართულებით გატარებული სამუშაოების შედეგი იყო. სისტემა აღჭურვილია თანამედროვე სპეცაპარატურით, რაც მნიშვნელოვნად აჩქარებს, აადვილებს და ეფექტურს ხდის საბაჟო პროცედურების განხორციელებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა რეფორმირებისას იყო სასაზღვრო კონტროლის პროცედურების გამარტივება,რაც მიღწეულ იქნა **ASYCUDA WORD** -ის ახალი საინფორმაციო სისტემის დანერგვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2003 წლიდან საგარეო ვაჭრობის ბაზების დამუშავებისთვის გამოყენებული იქნა Microsoft Office Access. შესაძლებელი გახდა დეკლარაციების დეტალური მონიტორინგი და ინფორმაციის ხარისხიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა არც ეს პროგრამა იყო უნაკლო. სამუშაოების დიდი ნაწილი მექანიკურად სრულდებოდა, რაც ცალკეულ ეტაპებზე შეცდომების დაშვების ალბათობას არ გამორიცხავდა. ყოველივე ამის გამო, 2014 წელს დაიწყო მუშაობა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე, რომელსაც, მისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ექნებოდა უპირატესობა და დაცვა შეცდომების თავიდან ასაცილებლად. ამ პროგრამით 2016 წლიდან დაიწყო მონაცემთა სრულყოფილად დამუშავება, რამაც შესაძლებელი გახადა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის დეტალური მონაცემების გავრცელების ვადების შემცირება 21-დან მე-19 დღემდე.

აღსანიშნავია, რომ ახალმა რეგულაციებმა უზრუნველყო იმ საბაჟო პროცედურების განმარტებების დაზუსტება, რომელიც შეეხებოდა საქონლის საზღვრის გადაკვეთასა და საქონლის გაშვებას, ასევე, საბაჟო პროცედურების აღსრულებასთან დაკავშირებული დებულებების შემოღებას (საბაჟო ტარიფთან დაკავშირებული განმარტებების, საქონლის კლასიფიკაციის, წარმოშობის ქვეყნისა და საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შესახებ), ამან უზრუნველყო საბაჟო დებულებების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მსოფლიოში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკასთან და სტატისტიკური აღრიცხვის სრულყოფას. აქედან გამომდინარე, საბაჟოს, ბაჟის აკრეფის, გადასახადის ფუნქციისა და პროტექციონიზმის ფუნქციის გარდა, დაემატა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ხელშეწყობის ფუნქცია.

ცხადია, საბაჟო სფეროში განხორციელებული ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებები და საგარეო ვაჭრობის სფეროში გამოვლენილი ტენდენციები პირდაპირ აისახება მაჩვენებლების რაოდენობრივ ზომაზე, რაც საბოლოო ანგარიშით, საბაჟო სტატისტიკის ცვლილებისა და სრულყოფის წინაპირობა ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუხიანიძე-ხვლედიანი ნ., საბაჟო სტატისტიკა.ქუთაისი 2014
2. ახვლედიანი. ა. საბაჟო საქმის ისტორია : [საქართველოს საბაჟო საქმიანობა ისტორიული წყაროების მიხედვით: საბაჟო სამსახურის ფორმირება საბაჟო განვითარების ახალ ეტაპზე] მაკრო მიკრო ეკონომიკა. - თბილისი, 2000.
3. იმედაშვილი გ. საბაჟო საქმე.თბ., 2009;
4. მესხია, ი. საბაჟო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორი : მაკრო მიკრო ეკონომიკა. - თბილისი, 2005.
5. ტერაშვილი ნ.საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, თბილისი, 2006
6. ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო საქმის თეორია..გამომცემლობა ,,პოლიგრაფი" თბილისი, 2009
7. ჯგერენაია Eე, საბაჟო საქმის ტენოლოგიის საფუძვლები. თბ.,2002.
8. General Agreement on Tariffs and Trade (GATT) 1994.
9. International Convention on the simplification and harmonization of Customs procedures (Kyoto Convention) Entered into force on 25 September 1974; Customs Co-operation Council (World Customs Organization) Rue du Marché 30 B-1210 Brussels
10. www. geostat.ge

Steps of Forming Customs Statistics in Georgia

M. Daushvili

Summary

The article reviews the steps of institutional organization of customs, defines the steps of forming customs legislation and, accordingly, the issues of structural organization of the Customs Department, reveals the main trends of transforming customs statistics, ongoing in light of these changes. It sets the directions of improving the statistical calculation of foreign trade.

Keywords: *custom, law, checkpoint, statistics, analysis.*

ეკონომიური წარმოების (Lean production) პროექტის არსი და მისი გავლენა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე

თამარ დუდაური,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამამულო მწარმოებელი კომპანიების უმეტესობა ერთეული პროდუქციის წარმოებაზე ხარჯავს გაცილებით მეტ რესურსს, ვიდრე ეს საჭიროა სინამდვილეში. ასეთი გაუმართლებელი ხარჯები დიდად აჭარბებს აუცილებელს. XXI-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც აქტუალური გახდა სერიოზული გარდაქმნების აუცილებლობა გაეზარდათ წარმოების ეფექტიანობა და შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, არა წარმოების კომპონენტებისა და შრომის გაიაფების, არამედ წარმოების ზრდის ხარჯზე, კომპანია ლიდერებმა მიმართეს ეკონომიური წარმოების ტექნოლოგიებს ანუ უბრალოდ Lean ინსტრუმენტებს.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიური წარმოება, ეკონომიური წარმოების დანერგვის ეტაპები, ბრიუს-ტაკმანის მოდელი, კონკურენტუნარიანობა.*

ეკონომიური წარმოება (Lean production / Lean manufacturing) მენეჯმენტის ეფექტური კონცეფციაა, რომლის მიზანია კლიენტის ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე მაქსიმალურად ორიენტაციისა და ყოველი მუშაკის მოტივაციის გათვალისწინებით, ბიზნესპროცესების ოპტიმიზაცია. ეკონომიური წარმოების შესახებ წიგნის ავტორებმა ვუმეკმა და ჯონსმა ჩამოაყალიბეს ამ მიდგომის არსი საქმიანობის ხუთი მიმართულების სახით[1]:

1. კონკრეტული პროდუქტის ფასეულობის განსაზღვრა;
2. ამ პროდუქტისათვის ფასეულობის შექმნის ნაკადის განსაზღვრა;
3. პროდუქციის ფასეულობის შექმნის უწყვეტი ნაკადის უზრუნველყოფა;
4. სამომხმარებლო პროდუქტის „გაჭიმვა“ (წარმოების დონე განისაზღვრება შემკვეთის მოთხოვნით);
5. კაიძენი (უწყვეტი გაუმჯობესება).

ეკონომიური წარმოების მეთოდოლოგიის მიზანია მდგომარეობს წარმოების ისე აწყობა, რომელსაც უნარი შესწევს სწრაფად უპასუხოს მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს და მოიტანოს მოგება ბაზრის ნებისმიერი ცვლილების პირობებში, მათ შორის მოთხოვნის შემცირებისას; ასევე, თანამედროვე საწარმოო სისტემის შექმნაში, რომელიც შეკვეთის მიღებისას მომენტალურად მოახდენს მოთხოვნილი პროდუქციის მიწოდებას და ამასთან არ მოხდება შუალედური მარაგების დაგროვება. ეკონომიური წარმოება წარმოადგენს იაპონური მენეჯმენტის სისტემის კაიძენის (უწყვეტი გაუმჯობესება) ერთ-ერთ ფუნდამენტალურ კომპონენტს. ამ შემთხვევაში თავისებურ საყრდენ წერტილს წარმოადგენს ცენტრალიზებული, ვერტიკალურიდან ჰორიზონტალურ მართვით სისტემაზე გადასვლა, რომელიც დაფუძნებულია პროცესში ყველა მუშაკის ჩართვაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიური წარმოების ქვაკუთხედი გუნდური მუშაობაა.

მაგრამ, ეკონომიური წარმოების დანერგვისას მხოლოდ ინსტრუმენტალური მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია მარტო დანაკარგების აღმოფხვრაზე, შრომატევადობის შემცირებასა და პერსონალზე - შედეგს იძლევა მხოლოდ პირველ ეტაპზე. პირველ რიგში, ამის მიზეზია კომუნიკაციური ბარიერები. შედეგად საბოლოო შემსრულებლებს - კომპანიის თანამშრომლებს, დირექტიულად მიეწოდებათ ახალი წესები, ასევე უდგენენ პროექტებს, ვადებსა და ა.შ. თანამშრომლები კი, არსებული მმართველობითი კულტურის ჩარჩოში, ემორჩილებიან ამ დირექტივებს. ამასთან, ბუნდოვნად ან საერთოდ არ ესმით მიმდინარე პროცესების არსი და დანიშნულება. აქედან გამომდინარე კომპანია იღებს პრაქტიკულად ნულოვან შედეგს[2].

პრაქტიკაში ეკონომიური წარმოების მეთოდოლოგია საკმაოდ მარტივია, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი დანერგვის პროცესში კონკრეტულ კომპანიაში აწყდებიან სერიოზულ სიძნელეებს. პირველ რიგში, დაკავშირებულია იმასთან, რომ როგორც ყველა სიახლე, ეკონომიური წარმოების მეთოდოლოგიის დანერგვა იწვევს კოლექტივში განსაზღვრულ წინააღმდეგობას. დანერგვის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია გარკვეული დრო და ძალისხმევა დაეთმოს იმას, რომ კოლექტივის ყველა წევრმა აითვისოს და გაითავისოს ეკონომიური წარმოების პრინციპები.

სწავლების პროცესში აუცილებელია ჩართული იყოს მთელი კოლექტივი, ვინაიდან ეკონომიური წარმოების წარმატება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ყველა უშუალო შემსრულებელი დაინტერესებულია დანაკარგების შემცირებით და არა მხოლოდ თავისი მწარმოებლურობის, არამედ მთლიანად ღირებულების წარმოების მთელი პროცესის მწარმოებლურობის ამაღლებით. კომპანიის უმაღლესი ეშელონის მენეჯერების ამოცანას წარმოადგენს, არა მხოლოდ ამა თუ იმ ღირებულების წარმოებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებების განსაზღვრა, არამედ მათი თავისდროულად დაყვანა უშუალოდ შემსრულებლებამდე. კომპანიის მენეჯერებმა, პერსონალის სწავლებასთან ერთად, დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ შრომის ანაზღაურების სისტემის ორგანიზაციასაც, რომელიც უნდა იყოს იმდაგვარად აგებული, რომ კომპანიაში ეკონომიური წარმოების მეთოდის დანერგვის შემდეგ, საწარმოო პერსონალის შრომის ანაზღაურება არ შემცირდეს, არამედ გაიზარდოს კიდეც.

თანამედროვე მსოფლიოში, წამყვანი კომპანიების მართვის სხვადასხვა დონეზე, სულ უფრო ხშირია მოწოდება აამაღლონ შრომის მწარმოებურობა და საწარმოო პროცესების ეფექტიანობა ეკონომიური წარმოების დანერგვის გზით. კვლევებმა, რომელიც ჩაატარა ჟურნალმა Industry Week-მა 2007 წელს აჩვენა, რომ აშშ-ის კომპანიების, რომლებმაც დანერგეს ეკონომიური წარმოების პროგრამა, მხოლოდ 2%-მა მიაღწია წარმატებას სასურველი შედეგების მიღებით [3]. შეგვიძლია მოვიყვანოთ Lean პროექტების წარმატების ასეთი დაბალი პროცენტის რამდენიმე ძირითადი მიზეზი:

1. კომპანიების უმაღლესი ხელმძღვანელობა არ არის ჩართული გარდაქმნების პროცესში და არ ესმით მისი რეალური მნიშვნელობა;
2. ტოპ-მენეჯერებს არ ესმით (ან არ უნდათ გაიგონ) ეკონომიური წარმოების პროგრამის სტრატეგია;
3. კომპანიის პერსონალს გათავისებული არა აქვს და არ უჭერს მხარს გარდაქმნებს;
4. ეკონომიური წარმოების სისტემის აგებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება გენერალური დირექტორის ერთ-ერთ მოადგილეს ან (რაც უფრო მიუღებელია) ერთ-ერთი განყოფილების უფროს;
5. კომპანიის დაბალი საწარმოო კულტურა, როდესაც იგი ვერ აღწევს დაგეგმილ მიზნებს;
6. პერსონალის მოტივირების სისტემის არ არსებობა და იმის ვერ აღქმა, რომ საჭიროა მისი ორგანიზაცია;
7. შრომითი პერსონალის დასჯა, როგორც მართვის ინსტრუმენტის არსებობა.
8. კომპანიაში მკაფიო მიზნებისა და სტრატეგიის არ არსებობა;
9. ეკონომიური წარმოების სისტემის პროექტის აგების რეალიზაციისათვის ბიუჯეტისა და რესურსების არ ქონა.

დაბოლოს, სისტემის წარუმატებლობის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ პრობლემას წარმოადგენს ეკონომიური წარმოების სისტემისადმი, როგორც რაღაც ინსტრუმენტების ნაკრებისადმი მიდგომა, რომელიც ხელმძღვანელობის აზრით საშუალებას მისცემს კომპანიას სწრაფად მიაღწიოს სასურველ ეფექტს.

ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პერსონალის მართვის პროცესებში ფართომასშტაბიანი ჩართვის სისტემის ჩამოყალიბება, რის გარეშეც ნებისმიერი ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვის პროექტი განწირულია წარუმატებლობისათვის.

მსოფლიოში არსებობს შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რამდენიმე ხერხი და ყველა მათგანი ეფუძნება ინოვაციურ საქმიანობას, ნებისმიერი კომპანია, რომელიც არ ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას განწირულია კონკურენტუნარიანობის შემცირებაზე და როგორც შედეგი - ბაზრის წილის დაკარგვასა და გაკოტრებაზე.

მრავალი კომპანიის ხელმძღვანელს, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციურ პროექტებს, ავიწყდებათ ჰენრი ფორდის აფორიზმი: „სამუშაოების კარგი ორგანიზაცია - ძველი დანადგარების პირობებში, ყოველთვის უკეთესია ვიდრე ახალი დანადგარების დროს შრომის ცუდი ორგანიზაცია“. ამიტომაც, კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის თანამედროვე მსოფლიოში დიდ ყურადღებას უთმობენ ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვას, ვინაიდან მისი დანერგვის ეტაპები უშუალოდ დაკავშირებულია კომპანიის კონკურენტუნარიანობის თანდათანობით ამაღლებასთან.

კომპანიაში ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს კომპანიის სრულფასოვანი დიაგნოსტიკა. პროცესების ანალიზმა შესაძლოა გამოავლინოს ბიზნესის ვიწრო ადგილები, პრობლემური ზონები. ამასთან დიაგნოსტიკამ უნდა მოიცვას კომპანიის ბიზნესის ყველა მიმართულება;

მეორე ეტაპზე უნდა განისაზღვროს კომპანიის მიზნები, სტრატეგია და მათი რეალიზაციის ტაქტიკა. ამასთან ისინი უნდა შეიმუშაოს ტოპ-მენეჯერთა გუნდმა გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იყოს კონსესუსით, ხოლო საქმიანობის მიმართულებების განხილვისას იყენებენ მონაცემებსა და დასკვნებს, რომლებიც მიღებულია პირველ ეტაპზე დიაგნოსტიკის შედეგად.

კომპანიებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, მაგრამ სტრატეგიულ მიზნად ისახავენ „ეკონომიური წარმოების დანერგვას“, უშვებენ საკმაოდ გავრცელებულ შეცდომას. ეკონომიური წარმოების დანერგვა არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ სწორედ მისი დახმარებით უნდა მიაღწიოს კომპანიამ დასახულ მიზნებს.;

მ**ესამე ეტაპზე,** როდესაც უკვე განსაზღვრულია კომპანიის მიზნები და სტრატეგია,იწყებენ ეკონომიური წარმოების სისტემის პროექტის დანერგვას. დასაწყისში ახდენენ პროექტის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციას, რაც მოიცავს: პროგრამის ლიდერის შერჩევას, მართვის კომიტეტის შექმნას, საწყისი სწავლებისათვის ჯგუფების ჩამოყალიბებას, სამუშაო ჯგუფების შექმნას ქვეგანყოფილებების მიხედვით, პროექტის საკომუნიკაციო სისტემის შემუშავებას;

მეოთხე ეტაპზე, ჯგუფებში სწავლება მიმდინარეობს სამ დონეზე: ლიდერები (უმაღლესი ხელმძღვანელობა), ექსპერტები (მართვის საშუალო დონე) და ნოვატორები (ხაზობრივი მენეჯერები და ოპერატორები) (ნახ.1.).

სწავლების აღნიშნული პრინციპის უგულვებელყოფა გამოიწვევს კომპანიის მენეჯმენტისა და პერსონალის მხრიდან პროგრამისადმი მხარდაჭერის არ არსებობას. თუ კომპანიის ტოპ - მენეჯმენტს არ შეასწავლიან ეკონომიური წარმოების პრინციპებს, მაშინ იგი ვერ გაიგებს და მხარს არ დაუჭერს ცვლილებებს კომპანიაში, ანალოგიური ეხება კომპანიის პერსონალის ნებისმიერ დონეს.



ნახ.1. ეკონომიური წარმოების სწავლების დონეები

სწავლების პროგრამა განისაზღვრება კომპანიის მიზნებითა და სტრატეგიით. სწავლების პროცესში შენარჩუნებულია პრინციპი - 20/80. სააუდიტორიო მეცადინეობა იკავებს დროის 20%-ს, დანარჩენი დრო ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობებს მოქმედ პროცესებზე. ამით აღწევენ ორ მიზანს: პირველი - ადამიანები იძენენ ცოდნას, რაც ეხმარება მათ მსოფლმხედველობის შეცვლაში, მეორე - სწავლების პროცესში ხდება რეალური პროცესების ანალიზი და გადაწყვეტილების შემუშავება მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად;

მეხუთე ეტაპზე ხდება პროექტის მართვის სისტემის ორგანიზაცია, რომელშიც უნდა შედიოდეს: მართველობითი კომიტეტი, საპროექტო ოფისი, ასევე ამ მიზნისათვის ორგანიზებული კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები - საწარმოო სისტემის განლაგებისათვის სამუშაოების შესასრულებლად დეპარტამენტებსა და ქვეგანყოფილებებში;

მეექვსე ეტაპზე, როდესაც უკვე განსაზღვრულია კომპანიის მიზნები და სტრატეგია, შემუშავებულია მისი მიღწევის ტაქტიკა, შექმნილია ეკონომიური წარმოების საწარმოო სისტემის ინფრასტრუქტურა, იწყება პრაქტიკული სამუშაოები პროექტის განსახორციელებლად. როგორც წესი, სტარტისათვის გეგმავენ: საპილოტე ქვეგანყოფილებებს, სადაც ხდება ეკონომიური წარმოების ინსტრუმენტების შემოწმება; მონიტორინგისა და მართვის, მოტივაციის მეთოდების აპრობაცია; სტანდარტების, ინსტრუქციების, საქმიანობის მარეგლამენტირებელი დებულებების შემუშავება და კორექტივების შეტანა.

კითხვაზე - რა დროა საჭირო ეკონომიური წარმოების საწარმოო სისტემის შექმნისა და განთავსებისათვის? - პასუხს გარკვეულწილად იძლევა ბრიუს ტაკმანის მოდელი (ნახ.2)[4], სადაც მოყვანილია საწარმოო სისტემის განვითარების ლოგიკა.

ნახ.2. ბრიუს ტაკმანის მოდელი. საწარმოო სისტემის განვითარების ფაზები

ამასთან, არავინ არ ამბობს, რომ ეკონომიური წარმოების პროგრამის რეალიზაციის შედეგებს უნდა ვუცადოთ 5 წელი, პირველ შედეგებს კომპანია იღებს უკვე 6 თვის შემდეგ.

არავისათვის არის საიდუმლო, რომ კომპანიის ნებისმიერ განვითარებას უზრუნველყოფს მოტივირებული პერსონალი, და თუ არ იქნებიან ადამიანები ჩართულნი ფართო, სრულმასშტაბიან ცვლილებებში, მაშინ კომპანია ვერასოდეს ვერ მიაღწევს დაგეგმილ მიზნებს.

მეშვიდე ეტაპზე ხდება ეკონომიური წარმოების მეთოდიკის გავრცელება კომპანიის ყველა ქვეგანყოფილებაზე. ამის შემდეგ იწყება ხანგრძლივი, გულმოდგინე მუშაობა ეკონომიური წარმოების საწარმოო სისტემის განვითარებისათვის.

ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვის ყოველ ეტაპი განაპირობებს კომპანიისა და მის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მუდმივ და თანდათანობით გაუმჯობესებას: ეკონომიური წარმოების სისტემის გამოყენებისას ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს არ არის ერთჯერადი ღონისძიება, არამედ არის მთელი საწარმოო სისტემის მუდმივი გაუმჯობესების კონცეფცია. კომპანია, რომელიც ახორციელებს ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვას, უნდა ახდენდეს დანაკარგების ძიებასა და აღმოფხვრას მთელი მისი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის მუდმივი და განუხრელი ზრდა.

ეკონომიური წარმოების სისტემის დანერგვის ყოველ ეტაპზე კონკურენტუნარიანობა თვისებრივად იცვლება და ძლიერდება. მისი სერიოზული ზრდა საწყის ეტაპებზე შესაძლებელია მხოლოდ მასშტაბური გარდაქმნების გატარების შემდეგ. მაგრამ კომპანიის პროდუქციის უმეტესი ნაწილის წარმოებაში დიდი რაოდენობით ინსტრუმენტების დანერგვის შემდეგ, კონკურენტუნარიანობის ზრდა შესაძლოა საგრძნობლად შენელდეს. ამ შემთხვევაში, ეკონომიური წარმოების მხარდამჭერი ღონისძიებები და ინსტრუმენტები, როგორიცაა: განუხრელი ზრდა კაიძენი, ეფექტიანი სამუშაო ადგილის შექმნის ტექნოლოგია 5S, დანადგარების სწრაფი გადარეგულირება, მათი ერთობლივი მოვლა პერსონალის მიერ [1] - საშუალებას მისცემს კომპანიას შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობის არსებული დონე.

დასასრულ, საქართველოს კომპანიებმა Lean Production სისტემის დანერგვისას, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინონ ის, რომ საქმე ეხება კონცეფციას, რომელიც თავის თავში შეიცავს სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიას და იგი შეიმუშავეს ადამიანებმა, რომელთაც აქვთ ქართველებისაგან განსხვავებული მენტალიტეტი. აღნიშნული საწარმოო სისტემის გამოყენების პროცესში ყველა მზად უნდა იყოს სიძნელეებისა და წინააღმდეგობების დაძლევისათვის. მთლიანი კონცეფციის და მისი ფილოსოფიის გულდასმით შესწავლისა და გააზრების შემდეგ, დადებითი შედეგი სწრაფად დადგება. ასეთი ოპტიმისტური პროგნოზი ემყარება უცხოური კომპანიების საქმიანობას, რომლებიც აქტიურად და წარმატებით იყენებენ ეკონომიური წარმოების სისტემას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Джеймс Вумек, Дэниел Джонс. Бережливое производство. Как избавиться от потерь и добиться процветания вашей компании. Пер. с английского. М. 2013. http://mreadz.com/read-241907 -471с.
2. Ротер М., Шук Д. Учитесь видеть бизнес-процессы. Практика построения карт потоков создания ценности / Пер. с англ., 2-е изд. – М.: АльпинаБизнес Букс: CBSD, Центр развития деловых навыков, 2006.-144с.
3. The 2007 IndustryWeek U.S. 500. http://www.industryweek.com/resources/us500/2007.

4. Tuckman's Team & Group Development Model: What You Need To Know To Get Your New Team Performing Beautifully! https://www.thecoachingtoolscompany.com/get-your-team-performing-beautifully-with-this-powerful-group-development-model/

Lean Production of the Project and its Impact on the Competitiveness of the Company

T. Dudauri

Summary

The paper analyzes issues of impact of the system of lean production on reducing the latent potential of enterprises and enhancement of their competitive capacity. It is devoted to the analysis of information on the state of the features and attempting to implement the concept of "lean production" The features of the application and features of the introduction of the concept of "lean production". It also presents the growth dynamics of competitive capacity by stages implementation of lean production measures. The results can be use in the development and implementation of operational business strategy.

Key words: *Economic progress, Economical production implementation stages, Bruce takmanis-model, Competitiveness.*

სოციალური მეწარმეობა საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები

გულნაზ ერქომაიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

ნინო ფარესაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია საქართველოში სოციალური მეწარმეობის არსებული მდგომარეობა, მისი განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა სოციალურ საწარმოთა დაფუძნება, რომელიც შრომის ბაზარზე ნაკლებ კონკურენტუნარიანი მოსახლეობის (შეზღუდული შესაძლებლობის პირები, იძულებით გადაადგილებულები, პრობაციონერები, სოციალურად დაუცველები) დასაქმების და სოციალური მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს. სოციალური საწარმო შეიძლება დაფუძნდეს ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმით. საქართველოში ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული ფორმა იქნება სოციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა. დასახულია სოციალური მეწარმეობის განვითარების გზები.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმო, სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი პოლიტიკა.*

ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ სათავეს მე-XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს, თუმცა სოციალური მეწარმეები უფრო ადრეც არსებობდნენ. სოციალური მეწარმეობის აქტიური განვითარება მე-XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება.

აშშ-ში სოციალური საწარმო ჩამოყალიბდა როგორც მომგებიანი ბიზნესი, რომელსაც გარკვეული სოციალური მიზნები გააჩნია. მისი გამომწვევი მიზეზი იყო სოციალური ტიპის პრობლემები, რომელიც არსებობდა სოციალური დაცვის სახელმწიფო მოდელში. თუმცა არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა მიმართულია კონკრეტული სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

ევროპაში სოციალური მეწარმეობის უფრო გვიანი განვითარების მიზეზი იყო შედარებით მოწესრიგებული სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უფრო დაბალი დონე. ევროპაში პირველი სოციალური საწარმო იტალიის კოოპერატიული მოძრაობიდან იღებს სათავეს. 1991 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელმაც შემოიტანა კოოპერატივების ახალი, სპეციალური ფორმა „სოციალური კოოპერატივი“. სოციალურ მეწარმეობას ევროპაში დღესაც დიდი მხარდაჭერა აქვს ხელისუფლების მხრიდან. სოციალური საწარმოები მრავლადაა ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში. ესპანეთში სოციალურ საწარმოებზე მთლიანი შიგა პროდუქტის 7% მოდის.

მსოფლიოში სულ უფრო მეტმა ორგანიზაციამ დაიწყო სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა (შშპ) და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. სოციალური მეწარმეობის განვითარება გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით.

სოციალური საწარმოს ერთიანი განმარტება არ არსებობს, ძირითადად გამოიყენება დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის მიერ შემოღებული დეფინიცია, რომლის მიხედვითაც „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და რომელიც ახდენს რეინვესტირებას თემში ან ბიზნესში სოციალური მიზნების მისაღწევად. ბიზნესისაგან განსხვავებით, მისი მამოძრავებელი არ არის მოგების გაზრდა მეწილეებისთვის და მფლობელებისთვის“ [6].

აღსანიშნავია, რომ სოციალური საწარმოების ინვესტორი კომპანია არ იღებს მოგებას, მოგების მიღების შემთხვევაში კი ხდება მისი საწარმოში რეინვესტირება. თუმცა, ამავე დროს, სოციალური საწარმო არ გამორიცხავს მოგების მცირე ნაწილის გადანაწილებასაც, რომელიც არ გულისხმობს პირადი მოგების ზრდისკენ სწრაფვას. სოციალური მეწარმე ჩვეულებრივი მეწარმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სამეწარმეო რისკს იღებს მისი ორგანიზაციის ბენეფიციარების სასარ-

გებლოდ, მაშინ როდესაც მეწარმეები რისკს იღებენ საკუთარი ან ბიზნესის მფლობელების სასარგებლოდ [2, გვ. 13].

განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ მეწარმეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სოციალური საწარმოები ძირითადად კოოპერატივის (საფრანგეთი, პორტუგალია, ესპანეთი, საბერძნეთი) სახით ყალიბდებიან. საქართველოში მათ განსაკუთრებული იურიდიული ფორმა არ გააჩნიათ. სოციალური მეწარმეობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა იურიდიული ფორმით. საქართველოს კანონმდებლობით „სოციალური მეწარმეობა“, როგორც ტერმინი განმარტებული არ არის, შესაბამისად, იურიდიული საკითხების განხილვისას გამოიყენება ტერმინი მეწარმეობა.

სოციალური მეწარმეობა – ბიზნესი სოციალური მისიით, საქართველოშიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ბოლო პერიოდში შეინიშნება გააქტიურება სოციალური მეწარმეობის მიმართულებით. სოციალური მეწარმეები ინოვაციური მიდგომებით და ბიზნეს სტრატეგიებით აგვარებენ საზოგადოების წინაშე არსებულ სოციალურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს.

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით 2009 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა სოციალური მეწარმეობის ცენტრი, რომლის მიზანია სოციალური მეწარმეობის ცნების დამკვიდრება და პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა საქართველოში [4].

საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციის მიზნით 2016 წელს ევროკავშირმა დააფინანსა სამწლიანი პროექტი „სოციალური მეწარმეობა – ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისათვის“. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომლის მიზანია აღნიშნული სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა და მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერება. პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სფეროში დაფინანსდება 14 ახალი სოციალური საწარმო (თითო საწარმო მაქსიმუმ 8 ათასი ევროთი).

არსებული სოციალური საწარმოების გამართულად ფუნქციონირების, დამწყებთა მოტივირებისა და ზოგადად, ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თანამშრომლობის გაღრმავება სახელმწიფო სტრუქტურებთან სოციალურ საწარმოთა ხელშეწყობის მექანიზმების განვითარებასა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების თაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამშრომლობას ბიზნესსექტორთან, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სოციალური საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი და მდგრადი დაფინანსება.

სოციალური საწარმო შეიძლება დაფუძნდეს ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმით. ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული ფორმა იქნება სოციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნა. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 700 000 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია. ერთი ფერმის საშუალო ფართობია 2.3 ჰა. ასეთი მცირე მასშტაბები მნიშვნელოვნად აძვირებს საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ართულებს ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას ბაზარზე. სწორედ ამიტომ ეკონომიკური ექსპერტების და ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაც საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარებაა. ამ მიზანს ემსახურება 2013 წლის 12 ივლისს მიღებული კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც კოოპერატივების მიღების წესსა და მისთვის დაწესებულ შეღავათებს ითვალისწინებს.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ინტენსიური პროცესი უკვე დაიწყო. დღეისათვის 1600 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი. ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობაშია თვითდასაქმებული, ამ სფეროს მოდერნიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე სოციალური საწარმოს დაფუძნებას რიგი უპირატესობა ექნება, კერძოდ, ასეთი საწარმო სარგებლობს უპირატესობით მიიღოს გრანტი; განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლა-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები; იგი ითვლება კრედიტუნარიანად და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია; არ იბეგრება ქონების გადასახადით; მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს; ისინი სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისათვის მაღალმთიან რეგიონში წევრთა რაოდენობა 3-ზე, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს [5]. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმო-

ება, გადამუშავება, დაფასოება, შეფუთვა და რეალიზაცია. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს: მარცვლეული კულტურების წარმოების, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, რძის გადამუშავების, სოკოს წარმოების, თხილის კულტურის მოშენების, პროდუქციის შესანახი სასაწყობე მეურნეობების მოწყობის, რეალიზაციისათვის საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტების სადისტრიბუციო ქსელის შექმნის კოოპერატივები. უცხოური გამოცდილების მიხედვით, თუ ასეთ კოოპერატივში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 30% იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან სოციალურად დაუცველები, ის შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად.

სოციალური მეწარმეობის ცენტრის მონაცემებით, 2016 წლის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 33 სოციალური საწარმო.

აღსანიშნავია ის, რომ სოციალური დაცვის მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ 1990 წელს დაფუძნდა „სოციალური თერაპიის სახლი“ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. იგი ხელს უწყობს განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ინდივიდუალურ განვითარებასა და სოციალურ ინტეგრაციას მათი ჩართვით შრომით, მხატვრულ და კულტურულ აქტივობებში. აღნიშნული საწარმო მომხმარებელს სთავაზობს სანთლის, ხის, თექის და ქაღალდის სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ დეკორატიულ ნივთებს, ტექსტის აკრეფა-დიზაინ-დაკაბადონებას, ფლაერებისა და კატალოგების ბეჭდვას.

საქართველოში მეორე სოციალური საწარმო დაფუძნდა 10 წლის შემდეგ - 2000 წელს, შემდეგი სამი წლის შემდეგ - 2004 წელს, 2007 და 2009 წელს კიდევ თითო-თითო, 2010 წელს - 3, 2011 წელს - 7, 2012 წელს - 5, 2013 წელს - 5, 2014 წელს - 2, ხოლო 2015 წელს – 6 სოციალური საწარმო. აქედან თბილისშია ნახევარზე მეტი – 17, ქუთაისში - 3, გორში, კასპსა და სიღნაღში - 2-2, რუსთავში, ოზურგეთში, დუშეთში, ყაზბეგში, თელავში, ლაგოდეხსა და თეთრიწყაროში 1-1.

სოციალური საწარმოების საქმიანობის სფეროები მრავალგვარია და მათი სოციალური მისია სხვადასხვა სფეროს მოიცავს. მაგრამ სოციალური საწარმოების უმთავრესი ფუნქცია მაინც შრომით ბაზარზე განსაკუთრებით ნაკლებკონკურენტუნარიანი მოსახლეობის დასაქმებაა.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა 30%-ზე მეტი ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების წარმოებაზე, კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა, სხვადასხვა სახეობების ბიოპროდუქტების წარმოება, სვანური მარილი „ზესხო“, ჩაი სახელწოდებით „სამეფო“, ნატურალური თაფლი, ჩურჩხელები, მურაბები, ვაშლის წვენი, ვაშლის ძმარი, ნამცხვრები, სალათები, ჯანსაღი კვების პროდუქტები (ლანჩ მენიუ, ტკბილეული, სასმელი და სხვ.) და სხვ.

სოციალურ საწარმოთა 15%-ში მზადდება: უვნებელი, ანტიალერგიული, ეკოლოგიური საღებავებითა და ზეთებით დამუშავებული და შეფერილი ხის სხვადასხვა ტიპის სათამაშო, ნატურალური ხის პროდუქცია, ხალხური რეწვის ნიმუშები, მინანქრის სამკაულები, სამუზეუმო ექსპონატების მოტივებსა და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამკაულების მოტივებზე შექმნილი აქსესუარები, თექის, ტექსტილის, კერამიკის ნაწარმი.

სამიზნე ჯგუფებისათვის ფუნქციონირებს ინვალიდების ეტლების დამამზადებელი ერთადერთი სოციალური საწარმო, რომელიც აშშ განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით შეიქმნა. საწარმო თვეში 80 ეტლს აწარმოებს. მასში 5 ადამიანია დასაქმებული და ხუთივე ეტლის მომხმარებელია. აღსანიშნავია, რომ ეტლები საქართველოში არასოდეს იწარმოებოდა. იგი ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა და დიდი რიგები იყო მასზე. ამჟამად, ეტლების წარმოება ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად, საწარმოს შემოსავალიც იზრდება. 2009-2012 წლებში დამზადდა 1500-ზე მეტი აქტიური ტიპის ეტლი, 20-ზე მეტი მობილური პანდუსი, ეტლში სწორად ჯდომისათვის 180-მდე სხვადასხვა ტიპის საკორექციო საშუალება.

მსუბუქი ელექტროეტლი სიახლეს წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. ამერიკაში ანალოგიური ეტლის ღირებულება 12 ათასი დოლარია. საქართველოში აწყობილი ეტლის ღირებულება 4 ათასი ლარია და თავის ანალოგთან შედარებით 3-ჯერ უფრო მსუბუქია. ამასთან თანხაში შედის მომსახურების სრული პაკეტი, რაც გულისხმობს ეტლის ინდივიდუალურ მორგებას.

საქართველოში სოციალური საწარმოთა 36% სხვადასხვა ტიპის მომსახურებასაც ეწევიან, კერძოდ, ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი, სოციალური ტაქსი, რომელიც ეტლით მოსარგებლე და სხვა შეზღუდული შესაძლებლობების პირებს ემსახურებიან, სატრენინგო მომსახურება, ხანდაზმულთა უზრუნველყოფა საბაზისო საცხოვრებელი პირობებით და სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, უსინათლოთათვის ინფორმაციასა და სხვადასხვა ტიპის ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობა (აუდიო წიგნი, CD და DVD დისკების სახით) და სხვ.

საქართველოში სოციალურ საწარმოთა ნაწილი მიმართულია როგორც პროდუქციის წარმოებაზე, ასევე მომსახურებაზე.

სოციალური მეწარმეობის ცენტრის მონაცემებით, წარმატებული სოციალური საწარმოებია: ავტოსერვისცენტრი „ავტოლაიფი“ (ავტომობილების შეკეთების ფართო სერვისი), „არბო“ (ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო სათამაშოების წარმოება), სათემო ორგანიზაცია „ლელი“ (ნატურალური თაფლის წარმოება), „იკორთა“ (ხალხური რეწვის ნიმუშების წარმოება), „რეას ციყვები“ (ჯანსაღი კვების პროდუქტების წარმოება). ეს საწარმოები ახერხებენ დაფარონ საკუთარი ხარჯები და მიიღონ მოგება [3].

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები [1, გვ.265]:

- სოციალური მეწარმეობის შესაძლებლობისა და მნიშვნელობის შესახებ მწირი ინფორმაცია;
- საქართველოსა და უცხოეთში არსებული სოციალური საწარმოების მუშაობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- სოციალური საწარმოების ამუშავების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობა;
- სოციალური საწარმოს სამართლებრივი სტატუსის არარსებობა;
- ხშირ შემთხვევაში დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირების დასაქმებაზე ორიენტირება, რაც შედეგად კომპანიის პროდუქციის ხარისხზეც აისახება;
- სოციალური საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების არარსებობა;
- სოციალური საწარმოების ამოქმედებისა და განვითარებისათვის ფინანსური წყაროების ნაკლებობა;
- სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოებები;
- ეკონომიკური საქმიანობისათვის გრანტების გაცემის დაბეგვრის საკითხი.

სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელია:

- სოციალური საწარმოების ფუნქციონირების არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, პრობლემების შესწავლა და მათი გამოსწორების გზების დასახვა;
- სოციალური საწარმოს სტატუსის გამოკვეთა, მაგალითად, სოციალური კოოპერატივი, სოციალური შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და ა.შ.
- სოციალური მეწარმეობის უცხოური გამოცდილების შესწავლა და მათი გაცნობის მიმართულებით ტრენინგების ჩატარება;
- სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
- სოციალური მეწარმეობის კუთხით იდეების განხორციელების მოტივაციის ამაღლება, რაშიც თავისი წვლილი სახელმწიფომაც უნდა შეიტანოს საკანონმდებლო ბაზის არსებობით;
- საგადასახადო შეღავათების დაწესება (საგადასახადო განაკვეთის შემცირება და საგადასახადო კრედიტი ანუ გადასახადის თანხის შემცირება);
- სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ინოვაციების წახალისება;
- წარმატებული სოციალური მეწარმეების დაჯილდოება;
- სოციალური მეწარმეობის ინიციატივებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- კარგი იქნება, თუ სახელმწიფო უწყებები და სხვა ორგანიზაციებიც დაინტერესდებიან და სოციალურ საწარმოთა შემკვეთები გახდებიან, საერთაშორისო ორგანიზაციები ამის კარგ მაგალითს იძლევიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო გამოწვევების წინაშე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია `ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში~. თსუPპაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი (1-2 ივლისი), 2016.
2. შ. მურღულია, ზ. მოდებაძე, ე. დათუაშვილი, სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი, 2013
3. სოციალური მეწარმეობა – საერთაშორისო გამოცდილება ათი ქვეყნის მაგალითზე. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბილისი, 2010.
4. www. csrdg.ge – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
5. ENPARD - სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა, 2016წ.
6. www. UnreasonableInstitute.org – Social Entrepreneur Definition

Social Entrepreneurship in Georgia:
Problems and Prospects

G. Erkomaishvili
N. Paresashvili

Summery

Georgia recently became active in social entrepreneurship (The establishment of social enterprises). It is less competitive in the labor market (The disabled,The IDPs, Probationers, Vulnerable) employment and social goals of the important conditions. Social enterprises may be established in any organizational form. Georgia will be one of the most exciting and successful form of social agricultural cooperative. The article deals with the current situation in Georgia, social entrepreneurship, the factors hindering its development, seeks ways for further development of social entrepreneurship.

Keywords: *Social Entrepreneurship, Social Enterprise, Social policies to promote entrepreneurship.*

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 8 - საოპერაციო სეგმენტები (კონცეპტუალური საკითხები)

მარიამ ვარდიაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საოპერაციო სეგმენტები ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საწარმოს კომპონენტების ჭრილით გამჟღავნებული ინფორმაცია, ბიზნესის ცალკეული მიმართულების მიხედვით, ფინანსური მდგომარეობისა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალპროფილიანი საწარმოსათვის.

სტატიაში განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი(ფასს) 8 „საოპერაციო სეგმენტების“ ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვით, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლებს შეძლებლობას მისცემს შეაფასონ ცალკეული სეგმენტის სამეწარმეო საქმიანობის ხასიათი, ფინანსური შედეგები და ის ეკონომიკური გარემო, რომელშიც საწარმო ეწევა საქმიანობას.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია საოპერაციო სეგმენტების შესახებ, რომელიც ეფუძნება შიგა მართვის ანგარიშებს, სრულყოფს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს, რაც ამ ინფორმაციის მომხმარებელთა ძირითად ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს ის რისკები და ხელსაყრელი შესაძლებლობები, რომლებიც მნიშვნელოვანია საწარმოსთვის.

საკვანძო სიტყვები: *საოპერაციო სეგმენტი, საანგარიშგებო სეგმენტი, რაოდენობრივი ზღვრები, განმარტებითი შენიშვნები, შეფასება, საწარმოს დონის ინფორმაცია.*

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 8 - „საოპერაციო სეგმენტები“ ადგენს მოთხოვნებს განმარტებითი ინფორმაციისათვის საწარმოს საოპერაციო სეგმენტების მოგების ან ზარალის, აქტივების, ვალდებულებების, პროდუქციისა და მომსახურების, აგრეთვე იმ გეოგრაფიული რეგიონების შესახებ, სადაც ის ეწევა საქმიანობას და საწარმოს მთავარი მომხმარებლების თაობაზე.

აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება კომპანიებსა და კონსოლიდირებულ ჯგუფებზე, რომელთა აქციები კოტირებულია საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ან წარდგენის პროცესშია. სტანდარტის შემუშავების მიზანია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მისცეს საშუალება განსაზღვრონ ბიზნესის სხვადასხვა სეგმენტის რისკის ფაქტორები, გაანალიზონ მომგებიანობა, ზრდის შესაძლებლობები და მიიღოს გადაწყვეტილება განახორციელოს ინვესტიცია ამ საწარმოში თუ გაყიდოს მისი აქციები. კომპანიების ხელმძღვანელობას და მის მფლობელებს სტანდარტი შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ რამდენად რენტაბელურია ბიზნესის ესა თუ ის მიმართულება.

საოპერაციო და საანგარიშგებო სეგმენტების განსაზღვრა, საწარმოს შიგა ორგანიზაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით, აუმჯობესებესებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. იგი იძლევა საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ცოდნის საშუალებას, რაც აშკარას ხდის იმ რისკებსა და ხელსაყრელ შესაძლებლობებს, რომლებიც, ხელმძღვანელების აზრით, მნიშვნელოვანია საწარმოსათვის. საოპერაციო სეგმენტი არის ყველაზე დაბალი დონე, რომელზედაც ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას და აჯამებს შედეგებს.

ფასს-ის მიხედვით, საოპერაციო სეგმენტი საწარმოს კომპონენტია - ბიზნესის ისეთი ნაწილია, სადაც ეწევა ხარჯებს და შესაძლებელია ამონაგების მიღება, რომლის შესახებაც არსებობს ცალკე ინფორმაცია, რომელსაც რეგულარულად იხილავს საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი, სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შედეგების შეფასების დროს. (1) ამრიგად, სეგმენტების იდენტიფიკაციის საფუძველია საწარმოს შიდა ანგარიშები, რომელთაც რეგულარულად იხილავს საწარმოს საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი.

საოპერაციო სეგმენტი შეიძლება ბიზნესის ისეთი ნაწილი იყოს, საიდანაც საწარმოს ჯერ არ მიუღია ამონაგები, მაგალითად, ახლად ამოქმედებული ქვედანაყოფი ამონაგების მიღებამდე, შეიძლება იყოს საოპერაციო სეგმენტი. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელი არ არის, რომ საწარმოს ყველა შემადგენელი ნაწილი საოპერაციო სეგმენტი ან საოპერაციო სეგმენტის ნაწილი იყოს. შეიძ-

ლება ქვედანაყოფი ქმნიდეს ისეთი სახის ამონაგებს, რომლესაც შემთხვევითი ხასიათი გააჩნია და საწარმოს საქმიანობის თანმდევია. ამ შემთხვევაში იგი არ წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტს.

ტერმინები „საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი“ და „სეგმენტის მენეჯერი“ განსაზღვრავენ ფუნქციას და არა მაინცდამაინც სპეციალური უფლებამოსილების მქონე მენეჯერს. ეს ფუნქცია განკუთვნილია საწარმოს საოპერაციო სეგმენტებზე რესურსების განაწილებისა და მათი საქმიანობის შედეგების შეფასებისათვის. ერთი პიროვნება შეიძლება იყოს ერთზე მეტი სეგმენტის მენეჯერი. ზოგჯერ ფასს-ით განსაზღვრული მახასიათებლები მიეყენება საწარმოს კომპონენტების ერთზე მეტ სხვადასხვანაირ ნაკრებს, რომელზეც სეგმენტის მენეჯერებს აქვთ დაკისრებული პასუხისმგებელობა. ამგვარ სტრუქტურას ორგანიზაციის მატრიცულ ფორმას უწოდებენ. ორგანიზაციული სტრუქტურის მატრიცული ფორმა ძირითადად, მსხვილ, რთული სტრუქტურის მქონე, საწარმოებში გამოიყენება. მაგალითად, ზოგიერთ საწარმოში, ზოგი მენეჯერი მსოფლიო მასშტაბით არის პასუხისმგებელი პროდუქციისა და მომსახურების სხვადასხვა ასორტიმენტზე, ხოლო ზოგი - მხოლოდ გარკვეული რეგიონის ფარგლებში. საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი რეგულარულად იხილავს კომპონენტების ორივე ნაკრების საოპერაციო შედეგებს და ფინანსური ინფორმაციაც ორივეს შესახებ არსებობს. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ სტანდარტის ძირითადი პრინციპის მიხედვით უნდა განსაზღვროს, კომპონენტების რომელი ნაკრები წარმოადგენს საწარმოსათვის საოპერაციო სეგმენტს.

ფასს 8 მოითხოვს ფინანსურ და აღწერილობით ინფორმაციას საანგარიშგებო სეგმენტების შესახებ. ცალკეული ან აგრეგირებული საოპერაციო სეგმენტი - საანგარიშგებოა თუ ის შემდეგი რაოდენობრივი ზღვრებიდან რომელიმეს აკმაყოფილებს:

- მისი საანგარიშგებო ამონაგები შეადგენს ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული ამონაგების 10 %-ს ან მეტს. გაერთიანებული ამონაგები მოიცავს, როგორც გარე მომხმარებელზე რეალიზაციას, ასევე სეგმენტთაშორის რეალიზაციას ან ტრანსფერს;
- მისი საანგარიშგებო მოგების ან ზარალის აბსოლუტური თანხა შეადგენს, შემდეგი ორი აბსოლუტური სიდიდიდან უდიდესის 10 %-ს ან მეტს:
  - ყველა ისეთი საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული საანგარიშგებო მოგება, რომელსაც ზარალი არ წარუდგენია, და
  - ყველა ისეთი საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული საანგარიშგებო ზარალი, რომელსაც ზარალი აქვს წარდგენილი;
- მისი აქტივები შეადგენს ყველა საოპერაციო სეგმენტის გაერთიანებული აქტივების 10 %-ს ან მეტს (1) .

საოპერაციო სეგმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს რაოდენობრივი ზღვარის კრიტერიუმებს, შეიძლება მიჩნეული იყოს საანგარიშგებო სეგმენტად, თუ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ინფორმაცია ამ სეგმენტის შესახებ, სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

როდესაც საოპერაციო სეგმენტების მიხედვით წარდგენილი მთლიანი გარე ამონაგები საწარმოს ამონაგების 75 %-ზე ნაკლებია, მაშინ საწარმო ახდენს დარჩენილი სეგმენტების აგრეგირებას კატეგორიაში „ყველა სხვა სეგმენტები“ და ანგარიშგებაში უნდა აღიწეროს მასში შესული ამონაგების წყაროები.

სტანდარტით არ არის დადგენილი საანგარიშგებო სეგმენტების რაოდენობის ზუსტი ზღვარი, მაგრამ მოცემულია რეკომენდაცია, რომ თუ საანგარიშგებო სეგმენტების რაოდენობა ათზე მეტი ხდება, საწარმომ უნდა განიხილოს, ხომ არ მიაღწია პრაქტიკულ ზღვარს, რომლის მიღმაც სეგმენტური ინფორმაცია შეიძლება ძალიან დეტალური გახდეს.

განმარტებით შენიშვნებში საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს მისი სამეწარმეო საქმიანობის ხასიათის, ფინანსური შედეგებისა და იმ ეკონომიკური გარემოს შეფასება, რომელშიც ის ეწევა საქმიანობას.

ამ პრინციპის შესაბამისად საწარმომ განმარტებით შენიშვნებში თითოეული პერიოდისათვის, უნდა ასახოს შემდეგი:

- ზოგადი ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს საანგარიშგებო სეგმენტის ფორმირების საფუძველს, აგრეგირების გამოყენებულ კრიტერიუმებს, პროდუქციისა და მომსახურების ტიპებს, საიდანაც თითოეული საანგარიშგებო სეგმენტი იღებს ამონაგებს;
- ინფორმაცია მოგების ან ზარალის, აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ, საწარმომ, თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის, იმ შემთხვევაში უნდა წარადგინოს, თუ ეს თანხები რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს.

გარდა ამისა, საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის ასევე უნდა გააშუქოს ინფორმაცია, გარე მომხმარებლიდან და იმავე საწარმოს სხვა საოპერაციო სეგმენტებთან შესრულებული ოპერაციებიდან მიღებული ამონაგების, პროცენტის სახით მიღებული ამონაგების და ხარჯის, ცვეთისა და ამორტიზაციის და ყველა იმ მაჩვენებლის შესახებ, რომელიც გაითვალისწინება სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებლის ანალიზში, ან ეს ინფორმაცია რაიმე სხვა მიზნით რეგულარულად მიეწოდება გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს, თუნდაც ისინი გათვალისწინებული არ იყოს სეგმენტის მოგების ან ზარალის მაჩვენებელში.

ფასს-ის მიხედვით აგრეთვე წარდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობაში ჩადებული ინვესტიციების, ფინანსური ინსტრუმენტების, გადავადებული საგადასახადო და სხვა გრძელვადიანი აქტივების მატების შესახებ, შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების აქტივებისა და სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი უფლებების გარდა.

შეფასება. საანგარიშგებო სეგმენტის თითოეული პოზიცია შეფასებული უნდა იქნას იმავე მაჩვენებლებში, რომელიც გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ პირს წარედგინება ამ სეგმენტზე რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად და სეგმენტის შედეგების შესაფასებლად. მაგრამ თუ ეს მაჩვენებელი ერთზე მეტია, მაშინ სეგმენტის ინფორმაციაში წარდგენილი უნდა იყოს ის მაჩვენებლები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პრინციპებს. საანგარიშგებო სეგმენტის მუხლების ამგვარად შეფასება უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ფინანსურ ანგარიშგებასთან და დამატებთ კორექტირებებს აღარ მოითხოვს.

საწარმომ თითოეული საანგარიშგებო სეგმენტისათვის შენიშვნებში უნდა განმარტოს სეგმენტის მოგების ან ზარალის, სეგმენტის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებები. აგრეთვე უნდა აჩვენოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) საანგარიშგებო სეგმენტებს შორის შესრულებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი;

ბ) საანგარიშგებო სეგმენტების მოგების ან ზარალის და მოგების გადასახადის ხარჯამდე არსებული საწარმოს მოგების ან /ზარალის შეფასებებში არსებული განსხვავებების ხასიათი;

გ) საანგარიშგებო სეგმენტების აქტივებისა და ვალდებულებების და საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებებში არსებული განსხვავებების ხასიათი;

ე) საანგარიშგებო სეგმენტის მოგების ან ზარალის განსაზღვრისათვის გამოყენებულ მეთოდებში წინა პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებების დახასიათება და სეგმენტის მოგების ან ზარალის შეფასებაზე ამ ცვლილებების გავლენის აღწერა;

ვ) ხარჯების ასიმეტრიული განაწილების დახასიათება და მათი გავლენა საანგარიშგებო სეგმენტებზე (1). მაგალითად, საწარმომ შეიძლება ცვეთის ხარჯი რომელიმე სეგმენტს მიაკუთვნოს, მაგრამ შესაბამისი ცვეთადი აქტივები ამ სეგმენტს არ მიაკუთვნოს.

შემაჯერებელი მონაცემები. სტანდარტის მიხედვით სეგმენტების ინფორმაციაში ნაჩვენები თითოეული არსებითი მუხლისა და სეგმენტების მთლიანი თანხების ჯამი შეჯერებული უნდა იქნეს საწარმოს მიერ ფასს-ის შესაბამისად აღიარებულ მთლიანი საწარმოო მონაცემებთან.

საწარმოს დონის ინფორმაცია. საწარმომ ანგარიშში უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია პროდუქციისა და მომსახურების, გეოგრაფიული რეგიონების და მთავარი მომხმარებლების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ფასს-ით მოთხოვნილ სეგმენტის ანგარიშგებაში მოცემული არ არის.

ზოგიერთ საწარმოს საანგარიშგებო სეგმენტებში წარმოდგენილი ამონაგები შეიძლება მიღებული იყოს ფართო სპექტრის არსებითად განსხვავებული პროდუქციისა და მომსახურებიდან, ან მისი ერთზე მეტი საანგარიშგებო სეგმენტი შეიძლება წარმოაჩენდეს არსებითად ერთსა და იმავე პროდუქციასა და მომსახურებას. ანალოგიურად, საწარმოს საანგარიშგებო სეგმენტები შეიძლება აქტივებს ფლობდეს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში. შესაბამისად, აჩვენებდეს სხვადასხვა გეოგრაფიული რეგიონის მომხმარებლებიდან მიღებულ ამონაგებს, ან შეიძლება ერთზე მეტი საანგარიშგებო სეგმენტი ეწეოდეს საქმიანობას ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონში.

ანგარიშგებაში ნაჩვენები ამონაგების თანხები უნდა ეყრდნობოდეს იმავე ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყო გამოყენებული.

ამონაგებისა და აქტივების შესახებ ინფორმაციის განმჟღავნება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევს დაადგინონ ეკონომიკური პირობების უარყოფითი ცვლილებებით გამოწვეული რისკების კონცენტრაცია და დადებითი ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეული ზრდის პერსპექტივა.

საწარმომ უნდა გააშუქოს ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენად ეყრდნობა მთავარ მომხმარებლებს, ვინაიდან იგი გვიჩვენებს მნიშვნელოვანი რისკის ადგილმდებარეობას.

ამრიგად, საწარმოს შიგა ორგანიზაციული სტრუქტურებით განსაზღვრული საოპერაციო სეგმენტებით ყალიბდება ძალიან სასარგებლო ინფორმაცია, თუ სეგმენტისთვის შესაძლებელი იქნება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების საიმედოდ და დროულად მომზადება.

ცალკეული საანგარიშგებო სეგმენტის დონეზე წარმოდგენილი მონაცემები ეფექტურად იძლევა ორ სრულყოფილ ანგარიშს სეგმენტის შესახებ: ერთი - შესაბამისობაში იქნება საწარმოს შიდა მაჩვენებლებთან და მეორე - ფასს-თან, რაც გამოიხატება იმით რომ, საწარმოები წარმოადგენენ:

- ხელმძღვანელობის შიგა ანგარიშების ადეკვატურ სეგმენტების ანგარიშგებას;
- სეგმენტის შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ყველაზე მეტად არის შესაბამისობაში მათი წლიური ფინანსური ანგარიშების სხვა ნაწილებთან.

საწარმოს შიგა ორგანიზაციულ სტრუქტურაზე დაყრდნობით განსაზღვრული, სეგმენტებს მიხედვით წარმოდგენილი ანგარიში, არა მხოლოდ აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს, არამედ ინვესტორებს საშუალებას აძლევს საწარმო დაინახოს „ხელმძღვანელობის თვალით“, ზრდის მომხმარებლის უნარს, გაანალიზოს ხელმძღვანელობის ქმედებების ან ღონისძიებების გავლენა საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების პერსპექტივაზე, შეაფასოს ის რისკები და ხელსაყრელი შესაძლებლობები, რაც, ხელმძღვენელობის აზრით, მნიშვნელოვანია საწარმოსთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **fass 8 `saoperacio segmentebi“, 2014, ბასსს.**
2. **Louise Crawford Heather Extance Christine Helliar David Power,** Operating segments: The usefulness of IFRS 8, https://www.icas.com/__data/assets/pdf_file/0003/7617/8-Operating-Segments-the-usefulness-of-IFRS-8-ICAS.pdf.
3. **Peter Kajüter, Martin Nienhaus,** The Impact of IFRS 8 Adoption on the Usefulness of Segment Reports, http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2377229
4. Asset Management, A practical guide to IFRS 8for real estate entities,January 2010, https://www.pwc.com/jp/ja/assurance/research-insights-eport/assets/pdf/imre_18_ifrs-8-real-estate-entities.pdf
5. **Edith leung, Arnt Verriest,** The Impact of IFRS 8 on Geographical Segment Information, Journal of Business Finance &Accouting, **20 February 2015, http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/jbfa.12103/**

International Financial Reporting Standard 8 – Operating Segments (Conceptual Issues)

M. Vardiashvili

Summary

According to the Standard, an entity is required to disclose in its financial statements the information regarding the entity’s components on which separate information exists. Such the information should be reviewed on a regular basis by the person responsible for making the operating decisions, at the periods of deciding on distribution of resources to particular segments and assessment of their results

The data on separate levels of the segments, are effective instrument for providing reliable data regarding the profit-and-loss, assets, liabilities, production, services, geographical regions and customers. The report should correspond to the internal indicators of an entity on one hand, and to the IFRS, on the other hand, that is expressed in following. The entity shall submit :

- Internal reports of the entity management regarding the accountability of each segment;
- The information which corresponds better than others with various parts of the annual report

The report submitted regarding the segments based of the organizational structure of an entity, not only improves a quality of financial reporting, but provides the investors with the opportunity to check-up the entity “by eyes of a leader”, increases the possibilities of the customers in analyzing influence of actions and measures of the entity management on future cash flows, and, assessing the risks and opportunities which may be important for the entity by view of its managers.

Key words: *Operating segments, Reportable segments, Quantitative thresholds, Disclosure, Measurement, Entity-wide disclosures.*

სოფლის ტურიზმი - არსი და განვითარების პერსპექტივები

ინეზა ვაწაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

სოფლის ტურიზმი შედარებით ახალი მოვლენაა ტურიზმის ინდუსტრიაში, მიუხედავად ამისა ასეთი ფორმით დასვენება სხვადასხვა უცხოურ ქვეყანაში დიდი ხანია ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით ქალაქის მაცხოვრებლებს შორის. სტატიაში მოცემულია სოფლის ტურიზმის გავრცელებული განმარტებების კრიტიკული ანალიზი, იდენტიფიცირებულია სოფლის ტურიზმის ძირითადი პრინციპები და ჩამოყალიბებულია სოფლის ტურიზმის ორიგინალური განმარტება, რომელიც ავტორის რწმენით, შეესაბამება იმ ძირითად თავისებურებას, რომელიც სოფლის ტურიზმს გამოარჩევს ტურიზმის სხვა მიმართულებებისგან და ადეკვატურად ასახავს სოფლის ტურიზმის არსს.

საკვანძო სიტყვები: *სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი, ფერმის ტურიზმი, ადგილობრივი განვითარება, დასაქმება.*

სოფლის ტურიზმი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1950-1960-იან წლებში, დღეისათვის სწრაფი ტემპით ვითარდება და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს ტურისტული ინდუსტრიის დამოუკიდებელ მიმართულებას [4]. ევროპაში იგი იძლევა ტურისტული ინდუსტრიის საერთო შემოსავლის 20/30%-ს. საფრანგეთში, დიდ ბრიტანეტში, ჰოლანდიაში, ირლანდიაში, გერმანიასა და ესპანეთში სოფლის ტურიზმი წახალისებულია ეროვნულ დონეზე და მიჩნეულია სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების განუყოფელ ნაწილად [10]. სოფლის ტურიზმის სწრაფი ტემპით გავრცელებას ევროპის ქვეყნებში უკავშირებენ ქალაქის მცხოვრებთა მისწრაფებას - დროებით მოწყდნენ მსხვილი მეგაპოლისისათვის დამახასიათებელ მეტისმეტად მაღალემოციურ და ეკოლოგიურად დატვირთულ გარემოს და ეზიარონ სოფლის პასტორალურ სიკეთესა და სიწყნარეს [15, გვ.47-48]. სოფლის ტურიზმისადმი დიდ ინტერესს ავლენს ევროპის მოსახლეობის 35% [1]. მსოფლიო მასშტაბით დაგროვილ გამოცდილებაზე მრავალრიცხოვანი დაკვირვება ადასტურებს, რომ სოფლად სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ რეალურ პერსპექტიულ გზას წარმოადგენს სოფლის ტურიზმის განვითარება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება მთელ რიგ შემთხვევაში განიხილება, როგორც ჩამორჩენილი სოფლების ეკონომიკური განვითარების სტიმულირების რეგიონული პილიტიკის ელემენტი [5, გვ. 406]. დადგენილია, რომ სოფლის ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს სოფლის ეკონომიკის აღმავლობას, სოფლის სამეურნეო სრტუქტურის სრულყოფას, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას და მთელი სოფლის ეკონომიკის ამაღლებას, რომელიც ადრე დეპრესიულ მდგომარეობაში იყო და უპერსპექტივოდ ითვლებოდა სხვა საქმიანობის წარმოებისათვის [14].

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (WTO) შეფასებით, სოფლის ტურიზმი შედის 2020 წლამდე მსოფლიოში ტურიზმის განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების ხუთეულში [1].

მაშინ, როდესაც სოფლის ტურიზმი დღეისათვის პოპულარულობის პიკზეა ევროპაში [9] და წარმატებით ვითარდება მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში [12], იგი ჩანასახოვან მდგომარეობაშია პოსტსაბჭოურ სივრცეში, მათ შორის საქართველოში. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ძირითად ოფიციალურ დოკუმენტში - საქართველოს კანონში ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს ტურიზმსა და საკურორტო საქმიანობის სფეროში, განსაზღვრავს ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას და ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების პრინციპებს, სადაც მოცემულია ტურიზმთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და განმარტებები, არც ტერმინი ,,სოფლის ტურიზმი“ და არც სპეციალურ ლიტერატურაში გამოყენებული მისი შემცვლელები, მაგალითად ,,ფერმერული ტურიზმი“, ,,მწვანე ტურიზმი“ და სხვ. ნახსენები არ არის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლის ტურიზმის ფენომენი სპეციალისტთა ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ვებსაიტების გაცნობით ირკვევა, რომ სოფლის ტურიზმის თემატიკით დაინტერესებული არიან როგორც პრაქტიკოსი მუშაკები, ასევე აკადემიური წრეები საქართველოში [24;27].

მიიჩნევენ, რომ სოფლის ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის მრავალი ფაქტორი, რომელთაგან საკვანძო მნიშვნელობისაა მოცემულ სფეროში რიგი კონცეპტუალური დებულების არასაკმარისი დამუშავება. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება სოფლის ტურიზმის ფენომენის არსისადმი, მისი სხვადასხვა მიმართულებებისადმი და მათ შორის ურთიერთკავშირისადმი მიდგომებს [16]. მკვლევარები ერთხმად ადას-

ტურებენ მოცემულ სფეროში ცნებათა აღრევის და აქედან გამომდინარე ნეგატიური შედეგების აშკარა ფაქტს.

სოფლის ტურიზმი დიდი პოპულარობის გამო სპეციალური ლიტერატურის აქტუალურ თემად იქცა უკანასკნელ ათწლეულში, რომელსაც მრავალრიცხოვანი გამოკვლევა მიეძღვნა. მიუხედავად ამისა, ამ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ფუნდამენტური საკითხებისადმი მიდგომები ჯერ კიდევ ვერ პოულობს საყოველთაო აღიარებას. ეს ეხება სოფლის ტურიზმის ფენომენის არსსაც. სოფლის ტურიზმის საყოველთაოდ აღიარებულ პრობლემას წარმოადგენს სოფლის ტურიზმის განმარტების ზუსტი ჩამოყალიბება [22]. სოფლის ტურიზმის არსში ორიენტირებას განსაკუთრებით უშლის ხელს ის გარემოება, რომ ხშირად ერთმანეთში ურევენ ,,სოფლის ტურიზმს“ და ,,აგროტურიზმს“, ,,ეკოტურიზმს“ და ,,სოფლის ტურიზმს“, მიიჩნევენ რა ამ უკანასკნელს წინას ნაწილად და ა. შ. სწორად მიუთითებს მ. ოპერმანი (1996), რომ არ არსებობს საერთოდაღიარებული სოფლის ტურიზმის განმარტება. თვით ეს ავტორი ასეთ განმარტებას გვაწვდის: სოფლის ტურიზმი არის ფერმის ტურიზმი და სოფლის არეალის არასასოფლო-სამეურნეო ტურიზმი, რომელიც არ მოიცავს გარე აქტივობებს ხვადასხვა რეკრეაციულ ადგილებში, როგორიცაა ნაციონალური პარკები, ტყიანი და უდაბური ადგილები [23]. სოფლის ტურიზმის არაერთგვაროვანი განმარტების შესახებ იგივე აზრი აქვს გამოთქმული გ. დენს [18]. არსებული ვითარება, როგორც სწორად შენიშნავს ჯ. ნოუდი, ართულებს სოფლის ტურიზმის ინდუსტრიის აღწერას [22]. ამ ავტორის დაკვირვებით სოფლის ტურიზმის განმარტებებში ყველაზე ხშირად ასახულია ის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომლის გაცნობა შეიძლება საინტერესო იყოს ტურისტებისათვის. მაგალითად, ხშირად სოფლის ტურიზმის განმარტებაში აქცენტირებულია ღვინის წარმოება (,,ღვინის ტურიზმი“).

ქვემოთ მოცემულია სოფლის ტურიზმის გავრცელებული განმარტებები.
სოფლის ტურიზმის დეფინიციები ლიტერატურული წყაროების მიხედვით

№	წ ყ ა რ ო	ც ნ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა
1.	[19]	სოფლის ტურიზმი არის მოქმედების და მომსახურების ერთიანობა, რასაც ადგილობრივი ფერმერები დს გლეხები სთავაზობენ ტურისტებს იმისათვის, რომ მიიზიდონ ისინი თავიანთ სამყოფელში და მიიღონ ამ საქმიანობით დამატებითი შემოსავალი.
2.	[10]	სოფლის ტურიზმი არის ფერმის ტურიზმი და სოფლის არეალის არასასოფლო სამეურნეო ტურიზმი, რომელიც არ მოიცავს გარე აქტივობებს სხვადასხვა რეკრეაციულ ადგილებში, როგორიცაა ნაციონალური პარკები, ტყიანი და უდაბური ადგილები.
3.	[17]	სოფლის ტურიზმი არის ტურიზმის კომპლექსური სახე, რომელიც აერთიანებს სასოფლო ადგილებში ტურისტთა დასვენების ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ფორმებს სოფლის ბუნებასთან ზიარების, სოფლური ცხოვრების წესის და პროფესიულ დონეზე ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით.
4.	[24]	სოფლის ტურიზმი არის ტურისტული ინდუსტრიის სექტორი, რომელიც კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შექმნისათვის ორიენტირებულია სასოფლო ადგილების ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების და თავისებურებების გამოყენებაზე, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ტურისტების განთავსების საშუალებები, როგორც წესი, არის ინდივიდუალური, სპეციალიზირებული და მდებარეობენ სოფლად ან პატარა ქალაქებში, სადაც არ არის სამრეწველო ნაგებობები.
5.	[3]	სოფლის ტურიზმი არის ეკოლოგიური ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ხორციელდება სოფლად, განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, დაფუძნებულია ტერიტორიის ბუნებრივ თავისებურებებზე, მის კულტურულ და ისტორიულ პოტენციალზე, აუცილებლად ითვალისწინებს ტურისტების განთავსების საშუალებების მოწყობას სოფლად და ტურის-

		ტულ საქმიანობაში სოფლის ადგილობრივი მოსახლეობის ჩაბმას.
6.	[11]	სოფლის ტურიზმი არის ტურიზმის განსაკუთრებული კომპლექსური სახე, რომელიც აერთიანებს ტურისტების ორგანიზებული და არაორგანიზებული ფორმების დასვენებას სასოფლო ადგილებში სოფლის ბუნებასთან ზიარების, ცხოვრების სოფლური წესის და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ბუნებათსარგებლობის სპეციფიკის პროფესიულ, ან არაპროფესიულ დონეზე გაცნობის მიზნით.
7.	[6]	სოფლის ტურიზმი არის ,,სასოფლო ტერიტორიების“ათვისება და ეფექტიანი გამოყენება ადამიანის სასარგებლოდ, ანუ ,,მცირე ეკონომიის“დარგების და სფეროების განვითარება, ახალი ეკოლოგიური ადგილების წარმოქმნა, ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივი წარმონაქმნების, წყლის და მისი წყაროების გამოყენება აქტიური დასვენებისათვის, ე. ი. ტერიტორიების, რეგიონების და ქვეყნის საკეთილდღეოდ აქტიური გამოყენებისათვის.
8.	[20]	სოფლის ტურიზმი არის ცნება, რომელიც მოიცავს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილ და მართულ ტურისტულ საქმიანობას, რომელიც ეფუძნება ბუნებრივ და ანთროპოგენურ გარემოსთან მჭიდრო კავშირს.
9.	[22]	სოფლის ტურიზმი არის ტურიზმის სახეობა, რომელიც გულისხმობს ტურისტთა დროებით ყოფნას სოფლად დასვენების ან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობის მიზნით. იგი არის ტურისტული დარგის სექტორი, რომელიც ორიენტირებულია კომპლექსური პროდუქტის შექმნისათვის სოფლის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული ან სხვა რესურსების და მისი სპეციფიკის გამოყენებაზე.
10.	[2]	სოფლის ტურიზმი არის ტურისტული ინდუსტრიის სექტორი, რომელიც ტურისტული პროდუქციის შექმნისათვის ორიენტირებულია სასოფლო ტერიტორიის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების და თავისებურებების გამოყენებაზე. ტურიზმის ამ სახეობის არსი მდგომარეობს სასოფლო ადგილებში დასვენებაზე, სადაც ტურისტთა ცხოვრების ყოველგვარ ორგანიზებულ უზრუნველყოფას, მათ შორის კვებას და გართობას და სხვ. კისრულობს მიმღები ოჯახი.
11.	[8]	სოფლის ტურიზმი არის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სასოფლო ადგილებში და რომლის დროსაც იქმნება და მიეწოდება სტუმრებს კომპლექსური მომსახურება, რაც მოიცავს განთავსებას, კვებას, საექსკურსიო მომსახურებას, დასვენებისა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციას, ტურიზმის აქტიური სახეობებით თავშექცევას, თევზაობისა და ნადირობის ორგანიზაციას, ცოდნისა და ჩვევების შეძენას. ტურიზმის ეს სახეობა კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შექმნისათვის ორიენტირებულია სოფლის სასოფლო-სამეურნეო, ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების და მისი სპეციფიკის გამოყენებაზე.
12.	[9]	სოფლის ტურიზმი არის საქმიანობის სახეობა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო ადგილებში მიზანმიმართული მოგზაურობის ორგანიზაციასთან, გულისხმობს კომპლექსური ტურისტული პროდუქტის (დაბინავება, კვება, საექსკურსიო მომსახურება, თავისუფალი დროის ორგანიზაცია) ფორმირებას და ტურისტებისათვის მიწოდებას და ასახავს და იცავს რეგიონის ნაციონალურ თვითმყოფადობას, უზრუნველყოფს მასპინძელი მოსახლეობის ეკონომიკურ სარგებელს სამუშაო ადგილების შექმნიდსა და შემოსავლების მიღების საშუალებით.
13.	[7]	სოფლის ტურიზმი არის შიგა და შემომყვანი ტურიზმის გამოცალკავებული სა-

		ხესხვაობა, რომელიც ხორციელდება სოფლად.
14.	[4]	სოფლის ტურიზმის არსი გამოიხატება სოფლად დასვენებაში, სადაც ტურისტთა ყოფნის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას (მათ შორის კვებას, გართობას, მომსახურებას და სხვ.) თავის თავზე იღებს მასპინძლის ოჯახი.
15.	[21]	სოფლის ტურიზმის ცნება მოიცავს ყოველგვარ ტურისტულ საქმიანობას, რაც ხორციელდება სოფლის გარემოში.
16,	[13]	სოფლის ტურიზმი არის სოფლად საკარმიდამო ნაკვეთზე საკუთარ საცხოვრებელ ბინაში ოჯახის მიერ მოწყობილ სასტუმრო სახლში დასვენება.

ადვილი შესამჩნევია წარმოდგენილი განმარტებების არაერთგვაროვნება. მიუხედავად ამისა, ყველა განმარტებაში დაფიქსირებულია სოფლის ტურიზმის ერთი ზოგადი ნიშანთვისება, ის გარემოება, რომ სოფლის ტურიზმი არის საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სოფლად. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ამ განსაზღვრების ტავტოლოგიურმა ფორმამ. იმის აღნიშვნა, რომ სოფლის ტურიზმი სოფლად განხორციელებული ტურისტული აქტივობაა, თითქოს განსაკუთრებულს არაფერს გვაუწყებს. სინამდვილეში ამ განსაზღვრებით დაფიქსირებულია პრაქტიკით დადასტურებული გამოცდილება: ტურისტული აქტივობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სოფლად, შეიძლება განხორციელდეს სხვაგანაც - არასასოფლო გარემოში, მაგრამ ისინი არ შეიძლება მივაკუთვნოთ სოფლის ტურიზმის კატეგორიას, რადგანაც მათ განხორციელებაში არ მონაწილეობს სოფლის მცხოვრები - გლეხი (ფერმერი). ამას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, როგორც მსოფლიო გამოცდილებით დასტურდება, სოფლის ტურიზმის უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციაა - დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის გზით სოფლის მკვიდრთათვის დამატებითი შემოსავლის მიღება და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის მცხოვრები მონაწილეობს სოფლის ტურიზმის პროდუქტის შექმნაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ იქნება სოფლის ტურიზმი. მეორეც, როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, სოფლის ტურიზმის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ტურისტისათვის სოფლის ცხოვრების, სოფლის ადათ-წესების, კულტურის, ჩვევების გაცნობა. ამისათვის კი ყველაზე რაციონალური საშუალებაა ტურისტისა და სოფლის მცხოვრების ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მოხმარების პროცესში.

ზემოთ მოყვანილი განმარტებების უმრავლესობა, განსაკუთრებით მე-4, მე-6, მე-9 და მე-11, აფიქსირებს სოფლის ტურიზმის მეორე ფუნდამენტურ ნიშანთვისებას: სოფლის ტურიზმი ორიენტირებულია ადგილობრივი რესურსების გამოყენებაზე. ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება კი უზრუნველყოფს სოფლის ეკონომიკის განვითრებას. სოფლის ეკონომიკური განვითარება მთელს მსოფლიოში აღიარებულია სოფლის ტურიზმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

რესურსებთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ მათი მრავალფეროვნება და უნიკალურობა განაპირობებს სოფლის ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებას (აგროტურიზმი, ღვინის ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი და სხვ.). აქედან გამომდინარე, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ,,სოფლის ტურიზმი“ არის ზოგადი ცნება, რომელიც მოიცავს ტურიზმის სხვადასხვა სახეობებს[16].

ადგილობრივი რესურსებით სარგებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკური მაჩვენებელია გლეხის (ფერმერის) სახლის გამოყენება ტურისტთა განთავსების საშუალებად, რაც ასახულია მე-10, მე-11, მე-14 და განსაკუთრებით მე-16-ე განმარტებაში. გლეხის (ფერმერის) სახლში ცხოვრებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოფლის ტურიზმის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბებისათვის. გლეხის (ფერმერის) სახლში ცხოვრებით შესაძლებელია სოფლის ტურიზმის სამი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა:

- ტურისტის დასვენება მშვიდ, იდილიურ, ურბანული გარემოდან იზოლირებულ პირობებში, რაც როგორც მსოფლიო გამოცდილებით დასტურდება, სოფლის ტურიზმით დაინტერესების პრიორიტეტული მოტივია.
- გლეხის (ფერმერის) სახლში ცხოვრების დროს ტურისტს ექმნება სოფლად ცხოვრების გაცნობის საუკეთესო შესაძლებლობა.
- განთავსების საშუალებით სარგებლობისათვის ტურისტის მიერ გადახდილი საფასური წარმოადგენს სოფლის ტურიზმის ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვან კომპონენტს.

სქემაში მოყვანილი განმარტებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მოვახდინოთ ორი ძირითადი პრინციპის იდენტიფიკაცია, რაც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ტურისტული საქმიანობა ჩაითვალოს ტურიზმის ინდუსტრიის განსაკუთრებულ მიმართულებად - სოფლის ტურიზმად. ეს პრინციპები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- სოფლის ტურიზმი არის ყოველგვარი ტურისტული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სოფლად;
- სოფლის ტურიზმის განხორციელებას საფუძვლად უდევს ადგილობრივი რესურსების გამოყენება.

ამ პრინციპებზე დაყრდნობით სოფლის ტურიზმს ჩვენ ასე განვმარტავთ:

- სოფლის ტურიზმის სფეროს მიეკუთვნება ყოველგვარი ტურისტული აქტივობა, რომელიც ხორციელდება სოფლად ადგილობრივი რესურსების გამოყენებით.

ამ განმარტებაში არ არის დაფიქსირებული ისეთი ნიშანთვისებები, როგორიცაა ,,კომპლექსურობა“ (მე-3, მე-4, მე-6, მე-9, მე-11 და მე-12 განმარტებები), ,,მოქმედებისა და მომსახურების ერთიანობა“(პირველი განმარტება), ,,დასვენების ორგანიზებული და არაორგანიზებული ფორმები“ (მე-3 განმარტება) და ა. შ., რაც შეიძლება ახასიათებდეს ყოველგვარ ტურიზმს და არ არის სპეციფიკური სოფლის ტურიზმისათვის. ამიტომ, მათგან აბსტრაგირება უზრუნველყოფს განმარტების ლაკონურობას ისე, რომ ზიანი არ ადგება მის ადეკვატურობას. განსაზღვრება შეესაბამება იმ ძირითად თავისებურებას, რომელიც სოფლის ტურიზმს გამოარჩევს ტურიზმის სხვა მიმართულებებისგან, რაც იმით ვლინდება, რომ ტერმინ ,,ტურიზმთან“ ასოცირებული მოგზაურობის სურვილის აღმძვრელი ყველა სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხორციელდება სოფელთან ასოცირებულ წყნარ გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ваканова А. А. Формирование и реализация системы развития сельского туризма в регионе (на примере Ленинградской области), Автореферат дис. На соиск. Уч. Ст.к. ек. Наук. Санкт-Петербург -2005.
2. Башмачникова Е. Б. Сельский туризм – одно из направлении сельских территории России. https://www.mtk.filajankohtaista/uutisen/uutiset/ fi Bashmachnikova.doc.
3. Власюк Т. Б. Становление и развитие малого предпринимательство в сфере сельского туризма Автореферат дис.на поиск. уч. ст. к. эк. Наук.Ижевск, 2007
4. Волков С.К. Сельский туризм в РФ; тенденции и перспективи развития // Экономика предпринимательствои право,2012, №6,(17).
5. Воскресенский В.Ю. Международный туризм: учеб. Пособие для вузов, 2 –еизд. Перерав. И доп. – М.:ЮНИТИ-ДАНА.2013.- 463 с.
6. Еров Д.Н.Эффективность сельского туризма и его на влияниена развитие аграрного сектора АПК. Автореферат дис.на поиск. уч. ст. к. эк. наук. Душамве. 2009
7. Закон РФ от 03.05.2012 №47- РЗ о внесение изменении в РЗ щб основах туристской деятельности в РФ.ელექტრონული რესურსი: http://www.torgloem.an.com/folders/zakony/documents/zakon-rf-of-03-dot-05-2012-47-fz
8. Зоричная А.А.Европейский опыт развития сельского туризма //Экономика Крыма. -2011.-№4 (37)
9. Козьмина Э. Б. Развитие услуг сельского туризма в Росиийских регионах. Автореферат дис.на поиск. уч. ст. к. эк. наук. -М.: 2012
10. Международный форум ,,Сельский туризм“. Сборник материалов / под общей ред. Щутинина М.П.-Барнаул: ФЗБУКА, 2013./
11. Рутинский М.И., Зинко Ю.В. Сельский туризм: науч. Пособ. –К.: Знание, 2006. 271с.
12. Сельскийи и экологический туризм как фактор устойчивого развития территории. Методические рекомендации. Екатеринобург,2011.-/-с. www.mkso.ru
13. Сельский туризм на Алтае. ელექტრონული რესურსი: URL:http://www.selo 22.ru
14. Сельскийи и экологический туризм как фактор устойчивого развития территории. Методические рекомендации. Екатеринобург,2011.- 32с.
15. Трофимова С. М. Территориальная организация сельского туризма в Баикальском регионе. Автореферат дис.на поиск. уч. ст. к. эк. наук. Улан-Уде, 2007.
16. Тухачев А.В. Проблемы классификации сельского туризма //Сервис в Р оссии и за рубежом 15 декабря, 2014.//
17. Щимова О. С. Основы устоичивого туризма.- Минск: БГЭУ,209 с.

18. Dann G. 1999. Theoretical Iissires for Tourism's Future Development Identifyinng the Agenda, in Pearce. D. G. and Butler. R.W. 1999. Contemporary issues in Tourism Development. Routiendge.London.
19. European Commission, (1955). Marketing Quality Rural Tourism Leader TechnicalDossier, March 1995
20. Europe in figures, Eurostat Yearbook. 2010 //URL:http://eurostat.ec.europa.eu
21. Kloeze J.W. Rural Tourism impact, Challenges and Opportunities,//Zenith Unternational Journal of Bussiness Economics &Management Research. Vol.2 Ussue 2, February 2012. Online available at http://zenithres-earch.org.in/
22. Knoud J. Rural Tourism: Panacea and Paradox. This abridged version produced for Geography Teachers Curriculum Workshop hosted by the University of Western Sydney, July 2001.
23. Opperman M. Rural Tourism in S outhem Germany. Annalis of Tourism Research. Vol 23, num1. Pergamon Press. USA.
24. www elkana.org.ge/
25. www.icct.ge
26. GNTA statistics www.gnta.ge
27. http://primetimenews.ge/tirizmi.axaPi/

The Rural Tourism - Essence and Development Perspective

I. Vatsadze

Summary

Rural Tourism is relatively new phenomenon in the tourism and hospitality industry, Although there has been an increasing interest in different countries in rural tourism and it's very popular direction especially for city residents. The article gives a critical analysis of the common definition of rural tourism, which are still poorly represented and not well understood. In the paper the author researched the basic principles of rural tourism and identified new original definition, Which corresponds essential futures and distinguishes the rural tourism from other areas and adequately reflects the essence of rural tourism.

Keywords: *Rural Tourism, Agritourism, Farm Tourism, Local Development, Employment.*

ადამიანის ჯანმრთელობა - ეკონომიკური ზრდის საფუძველი (საქართველოს მაგალითზე)

თენგიზ ვერულავა,
მედიცინის დოქტორი, პროფესორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიან-კაპიტალის ფორმირებაში მნიშვნელოვანია ინვესტიციები ჯანმრთელობაში. საქართველოში ბოლო 25 წლის პერიოდში გაიზარდა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები, შემცირდა ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები და ამბულატორიული მიმართვიანობა ჩამორჩება ევროპის რეგიონის მაჩვენებელს. მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება.

საკვანძო სიტყვები: *ჯანმრთელობის კაპიტალი, ადამიან-კაპიტალი, ეკონომიკური ზრდა.*

ადამიან-კაპიტალი ადამიანის მიერ ინვესტიციების შედეგად დაგროვილი ფიზიკური ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და მოტივაციების გარკვეული მარაგია, რომელიც გამოიყენება შრომის ამა თუ იმ სფეროში მოხმარებისათვის და მოაქვს შემოსავლები როგორც დასაქმებულისათვის, ასევე დამსაქმებლისათვის [1].

ადამიან-კაპიტალის კონცეფცია შემუშავებულ იქნა XX საუკუნის 60-იან წლებში. ეკონომისტმა ტ. შულცმა პირველად გამოიყენა ტერმინი „ადამიან-კაპიტალი“, რომელშიც გულისხმობდა ადამიანში ინვესტიციების ერთობლიობას, რაც ამაღლებს მის შრომისუნარიანობას [2]. შულცის იდეები განავითარეს ე.წ. "ჩიკაგოს სკოლის" წარმომადგენლებმა (გ. ბეკერი, პ. ბოვენი, ე. ჰანსენი), რომლებმაც ჩამოაყალიბეს ადამიან-კაპიტალის კონცეფციის ძირითადი დებულებები. ნობელის პრემიის ლაურეატის გ. ბეკერის მიხედვით, „ადამიან-კაპიტალი წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილი შესაძლებლობების, შეძენილი უნარების, ცოდნის და მოტივაციების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის და წარმოადგენს ადამიანისა და საზოგადოების შემოსავლის წყაროს“ [3].

თავდაპირველად, ადამიან-კაპიტალის ფორმირებაში უმთავრეს ფაქტორად განიხილებოდა განათლება. 1970-იან წლებში მ. გროსმანმა ადამიან-კაპიტალის თეორიაზე დაყრდნობით, წარმოადგინა ჯანმრთელობის კაპიტალის როლი, რომლის მიხედვით, ადამიანი დაინტერესებულია განათლებასა და ჯანმრთელობაში ჩადებული ინვესტიციებით მომავალში გაზარდოს საკუთარი შემოსავლები [3]. შესაბამისად, იზრდება ადამიანის მწარმოებლურობა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას [4].

ჯანმრთელობის კაპიტალი გულისხმობს ადამიანში ისეთ ინვესტიციებს, რაც საჭიროა მისი ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ადამიანის კეთილდღეობაზე. იგი როგორც სამოხმარებლო, ასევე ინვესტიციური საქონელია. ჯანმრთელობა, როგორც მოხმარების საქონელი, გულისხმობს, რომ ჯანმრთელობა ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს, შესაბამისად, ჯანმრთელობაზე, როგორც სამომხმარებლო საქონელზე არის მოთხოვნა. ჯანმრთელობა როგორც საინვესტიციო სიკეთე, გულისხმობს, რომ იგი მას მუშაობის და შესაბამისად, შემოსავლების გამომუშავების საშუალებას აძლევს. ჯანმრთელობის საინვესტიციო სიკეთე განისაზღვრება მოცემული სიკეთის მეშვეობით მიღებული სარგებლის ღირებულებით. მაგალითად, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ნიშნავს შრომითი საქმიანობის დამატებით წლებს, რომლის განმავლობაში ადამიანი ღებულობს შემოსავლებს და ახდენს ინვესტირებას საკუთრ კაპიტალში. შეზღუდული შესაძლებლობა, ავადობა, სიკვდილიანობა განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დანაკარგები, რაც იწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს. ცხადია, ინვესტიციები ჯანმრთელობის კაპიტალში ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის ზრდას, ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას, რაც დადებითად ზემოქმედებს ადამიან- კაპიტალზე.

ჯანმრთელობა განსაზღვრავს ადამიანს რამდენი დროის დახარჯვა შეუძლია თავის შრომით საქმიანობაში. ჯანმრთელმა ადამიანმა, ნაკლებად სავარაუდოა, გააცდინოს სამუშაო, შესაბამისად, იგი უფრო პროდუქტიულია. ჯანმრთელობა ამცირებს ავადმყოფობის დღეთა რაოდენობას და ზრდის შრომისუნარიანი დღეთა რაოდენობას. ამგვარად, ჯანმრთელობის წარმოება გავლენას ახდენს ადამიანის სარგებლიანობაზე. იზრდება არამარტო ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობით ადამიანის კმაყოფილება,

არამედ მუშაობისათვის ჯანმრთელი დღეების რაოდენობა, ანუ შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც, აისახება შემოსავლების ზრდაში.

ამ კონტექსტით, ჯანმრთელობის სტატუსი ადამიან-კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილია. ადამიანს მემკვიდრეობით აქვს მიღებული ჯანმრთელობის თავდაპირველი მარაგი, მაგრამ, როგორც ფიზიკური კაპიტალი, განიცდის ამორტიზაციას, ჯანმრთელობის კაპიტალი შეიძლება გაუფასურდეს დროთა განმავლობაში. ამიტომ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადამიანები ახდენენ მასში ინვესტირებას. შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელობის კაპიტალს აქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რადგანაც ჯანმრთელობას სარგებელი აქვს როგორც ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. გროსმანის აზრით, ჯანმრთელობის კაპიტალს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე თანამედროვე დროს მოხმარებულ სხვა საქონელს და მომსახურებას [5].

სამუელ პრესტონმა პირველმა შეისწავლა ჯანმრთელობის მდგომარეობის კავშირი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებთან [6]. მის მიხედვით, ეროვნული შემოსავლის დონესა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის არსებობს დადებითი კავშირი. იგივე შედეგები იქნა ასახული მსოფლიო ბანკის ანგარიშებში [7]. თავდაპირველად აქცენტი კეთდებოდა ჯანმრთელობის როლზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებში. ჯანმრთელობა განიხილებოდა როგორც სიღარიბისგან თავის დაღწევის საშუალება [8]. შემდგომ პერიოდში, ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის განსხვავების ანალიზისას ყურადღება გამახვილდა ჯანმრთელობის როლზე ეკონომიკის ზრდაში. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკურ ზრდაში ჯანმრთელობის მდგომარეობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე განათლების დონე [9, 10].

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება დადებითად აისახება ეკონომიკურ მწარმოებლურობაზე. ამ მხრივ გამოიყოფა 5 მთავარი მექანიზმი [11]:

მწარმოებლურობა, ეფექტიანობა. ჯანმრთელობა და განათლება, არის ინდივიდის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის განმაპირობებელი ფაქტორი. არსებობს ემპირიული მტკიცებულებები, რომლის მიხედვით, შედარებით ჯანმრთელ მუშაკებს გააჩნიათ უფრო მეტი ფიზიკური და ფსიქიკური ენერგია, გამოირჩევიან საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით და პროდუქტიულობით [12, 13]. ჯანმრთელობა ასევე გავლენას ახდენს შრომის მიწოდებაზე, რადგან ჯანმრთელობის პრობლემა განაპირობებს სამუშაოზე გამოუცხადებლობის ბევრ შემთხვევას [14]. ასევე, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი შეიძლება გამოცხადდეს სამუშაოზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობა შესაძლოა ნაკლებად პროდუქტიული აღმოჩნდეს [15].

სიცოცხლის ხანგრძლივობა. ჯანმრთელობის გაუმჯობესება ხელს უწყობს სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლებას. თავის მხრივ, რადგან ადამიანები მოელიან ხანგრძლივ სიცოცხლეს, ინვესტიციები განათლებაში უფრო მიმზიდველი ხდება და ამავე დროს, ჩნდება საპენსიო ასაკში მეტი დანაზოგების გაკეთების მოტივაცია [16]. შედეგად, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა ხელს უწყობს განათლების კვალიფიკაციის და დანაზოგების დონის ამაღლებას.

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ამაღლება განაპირობებს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის პროპორციულ ზრდას. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, შობადობის მაჩვენებლის შემცირების ფონზე, მოსალოდნელია საპირისპირო ეფექტი. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შობადობის მაჩვენებლის შემცირება განაპირობებს შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირებას.

სწავლის უნარი. კვლევები ადასტურებს, რომ ჯანმრთელობის გაუმჯობესება ხელს უწყობს უკეთესი კოგნიტიური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას, დადებითი საგანმანათლებლო შედეგების მიღწევას [17, 18]. რაც უფრო ჯანმრთელია ადამიანი, მით უფრო მაღალია კოგნიტიური უნარები, მით ნაკლებია სკოლაში ან სამსახურში გამოუცხადებლობა, უფრო მეტად შეუძლიათ აითვისონ და დააგროვონ ცოდნა.

შემოქმედებითობა, კრეატიულობა. კარგი ჯანმრთელობით მიღწეული უკეთესი საგანმანათლებლო შედეგები დადებითად ზემოქმედებს შემოქმედებით და ინოვაციურ საქმიანობაზე. განათლებული ადამიანები არიან კარგი ნოვატორები და უფრო მოქნილნი ტექნოლოგიურ ცვლილებებთან მიმართებით. შესაბამისად, განათლების ამაღლება აჩქარებს ტექნოლოგიურ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელი და განათლებული მუშაკები უფრო ადვილად რეაგირებენ ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ინოვაციურ პროცესებზე, რაც ცვლილების წარმატებით განხორციელების განმსაზღვრელი ფაქტორია.

უთანასწორობა. ადამიან-კაპიტალში ჩადებული ინვესტიციების სხვადასხვაობა განაპირობებს განსხვავებულ შემოსავლებს. ამ კონტექსტით, ჯანმრთელობის გაუმჯობესება შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემოსავლების უთანასწორობის შემცირების საშუალება. რაც უფრო შემცირდება ადამიანების

შემოსავლებს შორის უთანასწორობა, მით უფრო მეტ ადამიანს ექნება საკუთარი განათლების და ჯანმრთელობის საჭიროებების დაფინანსების შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას [19]. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობა და შემოსავლები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, ადამიანების შემოსავლებს შორის უთანასწორობის შემცირება იწვევს ჯანმრთელობის უთანასწორობის შემცირებას. ამრიგად, ჯანდაცვის სექტორში ინვესტირება შეამცირებს შემოსავლებს შორის უთანასწორობას, გაზრდის შრომის პროდუქტიულობას და, შესაბამისად ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის კაპიტალის ფორმირებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: მოსახლეობის ავადობა, შეზღუდული შესაძლებლობა, სიკვდილიანობა, მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჯანდაცვაზე დანახარჯები და ამბულატორიულ მიმართვიანობათა რაოდენობა (იხ.ცხრილი).

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, მშპ ერთ სულზე 1995-2015 წლების პერიოდში 6.7-ჯერ გაიზარდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებელია. დროის მოცემულ პერიოდში 12.2%-ით გაიზარდა ადამიანური განვითარების ინდექსი (ყოველწლიური საშუალო ზრდა 0.83%) და 2015 წლისათვის 0.754 შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო 76-ე ადგილზეა 188 ქვეყანას შორს [24].

ჯანმრთელობის კაპიტალზე მოქმედი ფაქტორები, საქართველო (1990-2015 წწ)

	1990	1995	2000	2005	2010	2015
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მიმდინარე ფასები), აშშ დოლარი	1614.6	569	692	1530.1	2964.5	3796
ადამიანური განვითარების ინდექსი	-	-	0.672	0.711	0.735	0.754
მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა	71	70	71.8	73.9	73.9	74.4
საერთო ავადობის მაჩვენებელი (პრევალენტობა) 100000 სულზე	-	-	27006.5	35823.3	49553.9	101154.1
პირველადი ავადობის მაჩვენებელი (ინციდენტობა)100000 სულზე	22498.2	9077.5	10623.8	15902.6	26076.6	59677.3
სიკვდილიანობა 1000 სულზე	9.6	7.8	10.7	9.3	10.6	13.2
1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა	22	29	21.2	18.1	12	8.2
5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა	47	34	27.2	19.4	13.4	11.9
დედათა სიკვდილიანობა 100000 ცოცხალშობილზე	40.9	55	60	23.4	19.4	27.1
შობადობა	14	11	10	10.7	10.7	15.9
ამბულატორული მიმართვიანობა მოსახლეობის ერთ სულზე	-	1.1	1.5	2.1	2.1	3.6
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები	-	31	61.7	194	414.8	656.2
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე მთლიან დანახარჯებში	-	4.9	16.7	19.5	23.1	29.8
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში	-	0.9	1.2	1.7	2	2.24
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები (მლნ ლარი)	-	31	61.7	194	414.8	656.2

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად იმოქმედა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდამ, დედათა სიკვდილიანობის, 1 წლამდე და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებამ, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ.

მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1990-2015 წლების პერიოდში 3.4 წლით გაიზარდა (მერყეობს 71-დან 74.4-მდე) და მხოლოდ 3.6 წლით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნების სიცოცხლის საშუალო საშუალო ხანგრძლივობას (78 წელი). თუმცა, ზოგი მკვლევარის აზრით, ეს მაჩვენებელი ბოლო ათწლეულში ერთგვარ სტაგნაციას განიცდის [22].

1 წლამდე და 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველი ერთ-ერთი მგრძნობიარე მაჩვენებლია. 0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანო-

ბის მაჩვენებელი 1990-2015 წლების პერიოდში 11-ჯერ შემცირდა (22-დან 8.2-მდე), ხოლო 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი - 4-ჯერ (მერყეობს 47-დან 11.9-მდე). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებლები საქართველოში ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს მცირედით აღემატება. შედარებისათვის, 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი ევროპის რეგიონში შეადგენს 11.3-ს.

დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ცოცხალშობილზე 1990-2015 წლების პერიოდში 41-დან 27.1-მდე შემცირდა. შედარებისათვის, აღნიშნული მაჩვენებელი ევროპის რეგიონში შეადგენს 16-ს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები 21-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბოლო 3 წელიწადში თითქმის გაორმაგდა, რაც ცხადია, დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მაჩვენებლებზე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო დაფინანსების წილი, იგი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება არამარტო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით მოწოდებულ ზღვარს, არამედ ბევრი დაბალშემოსავლიანი, ღარიბი ქვეყნის მაჩვენებლებსაც [23]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯებში უნდა შეადგენდეს 15 %-ს მაინც [21]. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი მატების მიუხედავად, მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ დაბალია და შეადგენს 6.9%-ს. აღნიშნული თითქმის ორჯერ მცირეა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ მაჩვენებელთან შედარებით. განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად 15.8%-ს, 19.4%-ს, 20%-ს, 20.7%-ს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები უნდა შეადგენდეს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების 40%-ზე მეტს. ქვეყნებში, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია, სახელმწიფოს შეზღუდული პასუხისმგებლობა გააჩნია ჯანდაცვის სექტორში მდგარი პრობლემების გადასაჭრელად. საქართველოში ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები შეადგენს 29.8%-ს, შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსების წილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით გათვალისწინებულ ზღვარს. საქართველოსთან შედარებით ზღვარი გადალახეს სომხეთმა (41.7%), ყაზახეთმა (53.1%), უკრაინამ (54.5%), ყირგიზეთმა (59%), ხოლო ჩინეთში, ლიტვაში, თურქეთში, გერმანიაში, იაპონიაში, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს შესაბამისად - 55.8%, 66.6%, 77.4%, 76.8%, 82.1%-ს. ყოველივე აღნიშნულის გამო, საქართველოში ჯანდაცვაზე მნიშვნელოვანი ხარჯების (დაახლოებით 65-70%) გაღება უშუალოდ მოსახლეობას უწევს.

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ზრდის შედეგად, 1995-2015 წლებში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა ამბულატორიული მიმართვიანობის მოსახლეობის ერთ სულზე (1.1-დან 3.6-მდე), რაც დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. თუმცა, იგი თითქმის ორჯერ ჩამორჩება ევროპის რეგიონის ქვეყნების მაჩვენებელს (7.5), რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პაციენტებს ნაკლები მოტივაცია აქვთ პროფილაქტიკური მიზნით, მეთვალყურეობისათვის მიმართონ პირველადი ჯანდაცვის ექიმს და მხოლოდ დაავადების გამწვავების დროს ცდილობენ ჩაიტარონ სამედიცინო მომსახურება. პაციენტები უპირატესობას ანიჭებენ ჰოსპიტალურ მომსახურებას. კვლევის მიხედვით, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ჯანდაცვის სისტემასთან პირველი კონტაქტის ადგილის სახით აირჩია იმ პირთა ნახევარმა (50.9%), რომელმაც საკუთარი სამედიცინო პრობლემის გამო მიმართა სამედიცინო დაწესებულებას [19]. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ვერ ასრულებს ე.წ. „მეკარიბჭის“ როლს; ოჯახის ექიმის ინსტიტუტი და საერთოდ პირველადი ჯანდაცვა ჩვენს ქვეყანაში ვერ განვითარდა იმ სტანდარტებით, რაც უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია არსებობს ბევრ ქვეყნებში [20]. საყურადღებოა, რომ შეინიშნება ავადობის მატების ტენდენცია, როგორც საერთო ავადობის (პრევალენტობა), ასევე პირველადი ავადობის (ინციდენტობა), გაიზარდა საერთო სიკვდილიანობის მაჩვენებელიც (იხ. ცხრილი 1).

ამრიგად, ბოლო 25 წლის მანძილზე გაიზარდა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემცირდა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, გაიზარდა ჯანდაცვაზე დანახარჯები და ამბულატორიული მიმართვიანობა, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, ჯანდაცვის სახელმწიფო დანახარჯები ჯერ კიდევ ჩამორჩება სტანდარტს, ხოლო ამბულატორიული მიმართვიანობა ორჯერ ჩამორჩება ევროპის რეგიონის მაჩვენებელს. რადგან ჯანმრთელობის კაპიტალი მნიშნელოვან როლს თამაშობს გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, მიზანშეწონილია პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების

ხელშეწყობა, ხოლო ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯებთან მიმართებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, Sean M. Flynn. Economics: Principles, Problems, and Policies. McGraw-Hill Education. 19th edition. 2011
2. Schultz, T. (1961). Investment in Human Capital, The American Economic Review, 51 (1), 1-17.
3. Becker G (1964) Human Capital, 2nd edn. Columbia University Press, New York, 1975 and 3rd 1994
4. Becker, G.S. Human capital: a theoretical and empirical analysis with special reference to education, 2nd ed. New York, National Bureau of Economic Research, 1975
5. Grossman, M. The demand for health: a theoretical and empirical investigation. New York, Columbia University Press, 1972
6. Preston, S. (1975). The Changing Relation between Mortality and the Level of Economic Development, Population S udies, 29 (2), 231–48
7. World Bank (1993). World Development Report 1993: Investing in Health, Washington, D.C.
8. Sala-i-Martin, X. (2005). On the Health Poverty-Trap, in López-Casasnovas, G., Rivera, B., & Currais, L. (Eds.). Health and Economic Growth: Findings and Policy Implications. Cambridge: The MIT Press, 95-114.
9. Barro, R. (1996). Health and Economic Growth, Mimeograph. Pan American Health Organization (PAHO).
10. Knowles, S., & Owen, P. (1997). Education and Health in an Effective-Labour Empirical Growth Model, The Economic Record, 73 (223), 314-328.
11. Howitt, P. (2005). Health, Human Capital and Economic Growth: A Schumpeterian Perspective, in López-Casasnovas, G., Rivera, B., & Currais, L. (Eds.). Health and Economic Growth: Findings and Policy Implications. Cambridge: The MIT Press, 19-40.
12. Shultz, T. (2005). Productive Effects of Health, in López-Casasnovas, G., Rivera, B., Currais, L. (Eds.). Health and Economic Growth: Findings and Policy Implications. Cambridge: The MIT Press, 287-311.
13. Cai, L., & Kalb, G. (2006). Health Status and Labour Force Participation: Evidence from Australia, Health Economics, 15 (3), 241-261.
14. Bloom, D., & Canning, D. (2008). Population Health and Economic Growth, Commission on Development and Growth, World Bank Working Paper, 24.
15. Productivity Commission (2006). Potential Benefits of the National Re o m Agenda, Report to the Council of Australian Governments, Canberra.
16. Kalemli-Ozcan, S., Ryder, H., & Weil, D. (2000). Mortality Decline, Human Capital Investment and Economic Growth, Journal of Development Economics, 62 (1), 1-23.
17. Miguel, E. (2005). Health, Education and Economic Development. Health and Economic Growth: Findings and Policy Implications. Cambridge: The MIT Press, 143-168
18. Case, A., Fertig, A., & Paxson, C. (2005). The Lasting Impact of Childhood and Circumstance, Journal of Health Economics, 24 (3), 365-389.
19. ჯანდაცვის ეფექტურობის შეფასება (2013). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი
20. ვერულავა, თ. (2015). პირველადი ჯანდაცვის რეფორმისთვის გასატარებელი პოლიტიკის პირველი ნაბიჯები. სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020. თბილისი. 2015. https://idfi.ge/ge/georgia-2020s-blogpost-on-healthcare-reform
21. Organisation of African Unity, 2001. African Summit on HIV/AIDS, tuberculosis and other related infectious diseases. *Abuja Declaration on HIV/AIDS,Tuberculosis and Other Related Infectious Diseases*.
22. მაღლაფერიძე, ნ., ჩოდრიშვილი, მ. (2014). მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილების ანალიზი საქართველოში. საჯარო პოლიტიკის კვლევისა და ტრენინგების ცენტრის პოლიტიკის ანგარიში. გამოცემა III. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
23. ვერულავა, თენგიზ (2015) ჯანდაცვის დანახარჯები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით და საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსება. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).
24. Human Development Report 2015. United Nations Development Programme.

Health human capital and economic growth in Georgia

T. Verulava

Summery

The main scope of this study is to analyze the role of health on economic growth assuming that health status is a component of human capital. In particular, the major empirical finding is that the good health status of population is strongly positively related to their per capita income. Despite important achievements made on health status, there are still several issues to analyze in what concerns the health performance of the Georgia. The policy implications of these results indicate the need to redirect resources to the development of public health.

Keywords: *Health Capital, Human capital, Economic Growth.*

ევროატლანტიკური ფასეულობები: ის, რაც ჩვენ გვაკავშირებს

შოთა ვეშაპიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ დარბაიძე,
ბიოლოგიის დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

თამარ ბერიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, საქართველოში აღიარებულ იქნა ის ფუნდამენტური ფასეულობები, რომლებიც ზოგადად, ევროპის ბევრ ქვეყანაშია მიღებული. ეს არის დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და უმცირესობათა დაცვა.

ქართველი ხალხმა აირჩია ევროატლანტიკური ინტეგრაცია, როგორც ერთადერთი საგარეო პოლიტიკური ხედვა, რომელსაც სრულად შეესაბამება ჩვენი ფასეულობები და მისწრაფებები უსაფრთხოების, დემოკრატიის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის მიმავალ გზაზე.. საქართველოსთვის ევროპული ფასეულობები ბუნებრივია. ევროპას აქვს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შეუძლია პატარა ქვეყანას გადარჩეს და შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა თავის ტერიტორიაზე. კვლევამ აჩვენა, რომ რიგითი მოქალაქისათვის ევროპა არის კავშირი მდიდარი ქვეყნებისა, სადაც სხვადასხვა ფასეულობებია მიღებული, სანამ ისინი გახდებიან საშიში საზოგადოებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უწყებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და მედია საშუალებებმა უნდა გაწიონ სამუშაო, რათა უზრუნველყონ შესაბამისი განათლება და საინფორმაციო საშუალებები.

საკვანძო სიტყვები: *ევროატლანტიკური ფასეულობები, უსაფრთხოება, მშვიდობა, კეთილდღეობა, კანონის უზენაესობა, ადამიანური ღირსება, დემოკრატია.*

> *ძალიან მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომელიც საქართველომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში განიცადა.საქართველომ შეითვისა ის ფუნდამენტური ფასეულობები, რომლებიც ბევრ ქვეყანას აკავშირებს ევროპაში. ეს გახლავთ დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, მასმედიის თავისუფლება, სასამართლო სისტემის თავისუფლება და უმცირესობების დაცვა. ეს გახლავთ ის ფასეულობები, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს."*
>
> ***/იენს სტოლტენბერგი/***

ფასეულობები ჩვენი ცხოვრების მარადიული გზამკვლევი და მისი გასრულყოფილების სათავეა. ამიტომ მათზე ორიენტირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია, გვებადება კითხვები: რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ეროვნული ეკონომიკისთვის უცხოურ ფასეულობათა განხორციელებას? შესაძლებელია თუ არა მისი სხვა ქვეყნებში დანერგვა, მაგალითად, საქართველოში? ეს კითხვები დღენიადაგ აინტერესებდათ საქართველოს დიდ მეფეებს, ფარნავაზიანთა და ბაგრატიონთა სახელოვანი დინასტიების წარმომადგენლებს, „პირველ ევროპიელს" სოლომონ დოდაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ნიკო ნიკოლაძეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოძღვრებანი ეროვნული ეკონომიკური ფასეულობების შესახებ. ამ პრობლემას საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს პროფესორებმა რ. ასათიანმა, ა. გრიშიკაშვილმა, მ. გველესიანმა, დ. იაკობიძემ, გ. მალაშხიამ, გ. მჭედლიშვილმა, ზ. მარშანიამ, ვ.შუბითიძემ, ლ. ღოღობერიძემ, ყოფილმა ომბუდსმენმა ნ. დევდარიანმა და სხვებმა.

ყველაზე მარტივად თუ ვიტყვით, "ღირებულებაა ის, რაც შეესაბამება ადამიანის ადგილს სამყაროში" ის ისეთი რამაა, რომელსაც დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია (იდეალურია) და ყოველი რეალურის განმსაზღვრელია. ფასეულობები არის ის იდეალური, რომლისკენაც მუდმივად უნდა ვისწრაფვოდეთ, რომელიც საზოგადოებას რაც უნდა, ის კი არ არის, არამედ ისაა, რაც საზოგადოებას უნდა უნდოდეს, რომელსაც ვერასოდეს მივაღწევთ, რადგან ფასეულობებისკენ სწრაფვა სრულყოფილებისკენ მუდმივ სწრაფვას ნიშნავს, იმას ნიშნავს, რომ არსებული გარემო არ უნდა გვაკმაყოფილებდეს, მუდამ უნდა გვინდოდეს უკეთესი, უკეთესის მარადიული წადილი უნდა გვამოძრავებდეს, რასაც მუდმივად უნდა განვიცდიდეთ, მუდმივად უნდა ვგრძნობდეთ, რისკენაც მუდმივად უნდა მივილტვოდეთ. შესანიშნავად აქვს უმბერტო ეკოს ნათქვამი: მე ვწერ არა იმას, რაც ხალხს უნდა, ვწერ იმას, რაც მინდა, რომ ხალხს უნდოდესო. [2, გვ.8-9]

"ფასეულობა" შეიძლება ორი მხრივ წარმოვიდგინოთ. მის ერთ ნაწილს, რაც მისაღებია, რამაც გაიარა გამოცდა თავის განხორციელების პროცესში და ადასტურებს, რომ სწორი გზით მივდივართ თუ არასწორი ორიენტირი აგვირჩევია, ანუ რასაც უკვე მივაღწიეთ და განვახორციელეთ, რაც უკვე გამოცდილია, ძველია და აპრობირებული, ზოგჯერ კონსერვატიულს უწოდებენ. XVIII საუკუნის ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე ედმუნდ ბურკე იმ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რომელიც კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში დააგროვა, "კაცობრიობის "გონს" უწოდებდა [8, გვ. 3-4], რაც ის არის, რაც უნდა გვინდოდეს. ამასთან ერთად, ფასეულობას მეორე მხარეც აქვს – ახალი, ცვალებადი, არააპრობირებული, გამოუცდელი, განუხორციელებელი ნაწილი, ანუ ის, რაც აგრეთვე უნდა გვინდოდეს. ფასეულობები ისაა, რომელსაც ადეკვატურად, იდეალურად ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაღწევთ. ფასეულობები ერთ წერტილში გაჩერებული არაა. ასე რომ იყოს, დაიძვრებოდი მისკენ და ოდესღაც მიაღწევდი კიდევაც, მაგრამ დღეს რაც გვინდა, ანუ რისკენაც მივდივართ, ვიდრე მას განვახორციელებდეთ, მისი "კოორდინატები" უკვე შეცვლილია და ამიტომაც, ჩვენ უკვე ეს შეცვლილი უნდა გვინდოდეს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წმინდა სახით რაიმე ფასეულობები არ არსებობს, მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის ღირებულებებში არის რაღაც ისეთი მარადიული, ტრადიციული, რომლის გამოც მათ უწოდებენ "ევროპულ", "ევროატლანტიკურ", "აზიურ", "რუსულ", "ქართულ" და ა.შ. ღირებულებებს.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ფასეულობები, როგორიცაა: პიროვნული სინდისი, თავისუფლება, ერთობა, თანასწორობა, სამართლიანობა. სწორედ ამ ფასეულობებით ვაცნობიერებთ ჩვენ, თუ რა არის ჩვენთვის ევროპა. ევროპული ფასეულობები უნივერსალური ხასიათისაა და ყველა ეპოქას, საზოგადოებასა თუ სახელმწიფოს მეტნაკლები ზომით ერთნაირად მიესადაგება, ისეთ მარადიულ ფასეულობათა უნივერსალურობიდან გამომდინარე, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, ადამიანური ღირსება, კანონის უზენაესობა, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობა და ა.შ.

„კაცი-სახელმწიფო", როგორც მას უწოდებენ, ნიკო ნიკოლაძე, ევროპული ფასეულობებიდან, რომელთა განხორციელებითაც ევროპელები დაწინაურდნენ, უპირველესთა შორის ასახელებდა ქვეყნისათვის მსახურებას, ყოველთვის ერის ინტერესების წინა პლანზე წამოწევას, ჩვენთვის უცხო პრაგმატულობასა და რეალიზმს, განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას და, ამასთან ერთად უცხოური დადებითი გამოცდილების უეჭველ გათვალისწინებას.

ფასეულობათა სისტემა, რომელმაც ახალი საზოგადოების შექმნას უნდა შეუწყოს ხელი, საქართველოში სრულყოფილად ჩამოყალიბებული ფორმით ჯერ კიდევ არ არსებობს. ევროპულმა ქვეყნებმა, გაიარეს რა საკმაოდ ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ქრისტიანობაზე დაფუძნებული ფასეულობათა სისტემის დასამკვიდრებლად, შეძლეს მისი მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბება. ამით მათ შეძლეს შედარებით უმტკივნეულოდ გაეძლოთ ყველა სირთულისათვის და XXI საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც მოწინავე პოზიციებზე პირველები და ყველაზე ადრე დამკვიდრდნენ. ეს მათ, უპირველეს ყოვლისა, ღირებულებათა მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებამ მოუტანა. ვინაიდან ამ ქვეყნებმა ყველაზე უფრო ადრე შეძლეს ღირებულებათა ყველაზე ღირსეული, ჰუმანური და სამართლიანი სისტემის დამკვიდრება, ამ ღირებულებებს შეიძლება ევროპული ან ევროატლანტიკური ფასეულობები ვუწოდოთ. სწორედ საერთო ფასეულობებს ეფუძნება მსოფლიოს ყველაზე უნიკალური ინტეგრაციული გაერთიანება – ევროპული კავშირი, სწორედ საერთო ღირბულებებმა ჩაუყარა საფუძველი ერთიან ევროპას, რაც 1952 წლის 25 მარტს რომის დეკლარაციით გაფორმდა. ევროპული ფასეულობები ნაკლებადაა დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან (მცირედითაც არ უგულებელყოფს, არ ხელყოფს მათ) და ცხოვრებისა და შრომის ყველაზე ეფექტიან მოდელად გვევლინება, უპირველესი, უმთავრესი ევროპული ფასეულობები კი უსაფრთხოება, კეთილდღეობა, მშვიდობა, დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო და სიტყვის თავისუფლებაა.

ევროპული ფასეულობების შესახებ საინტერესო აზრები მოგვაწოდა გაზ. "24 საათის" მმართველმა რედაქტორი პაატა ვეშაპიძემ [3, გვ.2] იგი ეხება ფონდი "ცაიტი და ჰერდ ბუცერიუსის" და ნორვეგიის სიტყვის თავისუფლების ფონდის მიერ აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო გაზეთებისა და ჟურნალისტების გამოსავლენად ჩატარებული კონკურსის შედეგებს. მაშინ ჟიურიმ გამარჯვებულად ცნო "24 საათი" და მასთან ერთად კიდევ ოთხი გაზეთი, რომელთაც წამახალისებელი პრემიები (30000 ევრო) ერგოთ. სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ მთავარი ევროპული ფასეულობებია თავისუფალი პრესა და ძლიერი ხელისუფლება. აქ უმთავრესი პრიორიტეტი ლიბერალური ფასეულობებისადმი ერთგულებას ენიჭება. სტატიაში ვკითხულობთ: "19 მაისს, გაზეთ "ცაიტის" დამფუძნებლისა და ფონდის დამაარსებლის, ჰერდ ბუცერიუსის დაბადების დღეს, ჰამბურგის რატუშაში, სწორედ ამ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

"რომელი სჯობს – ხელისუფლება თავისუფალი პრესის გარეშე, თუ თავისუფალი პრესა ხელისუფლების გარეშე? ასეთი ალტერნატივის არსებობაც კი დაუშვებელია ნორმალური ქვეყნისათვის, რადგან ხელისუფლების არარსებობა ანარქიაა, თავისუფალი პრესის არარსებობა კი – ტირანია. ამიტომაცაა თავისუფალი პრესა და ძლიერი ხელისუფლება მთავარი ევროპული ფასეულობები" – წარმოთქვა გიუნტერ ფერჰოიგენმა და ამით ხაზგასმით ერთ სიმაღლეზე დააყენა პრესისა და ხელისუფლების მნიშვნელობა სახელმწიფოს განვითარებისთვის".

სისტემური სახით, სრულყოფილად ჩამოყალიბებული ფასეულობებისგან საქართველო ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა. გარკვეული გაგებით შეიძლება დავსვათ ასეთი კითხვა: ევროპამ ქრისტიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა დაამკვიდრა, განა საქართველოც ამ ღირებულებებს არ ეფუძნება? მაშ, რაშია საქმე? რით განსხვავდება ღირებულებათა ქართული სისტემა ევროპულისგან, რომლისკენაც ჩვენ ნიადაგ მივისწრაფვით? ეს დაკავშირებულია ღირებულებათა სისტემის განხორციელებასთან, მასთან მიახლოების სიმწიფესთან, მისი სისრულის მიღწევასთან, თანამედროვე სტანდარტებამდე ამაღლებასთან, რასაც საქართველოში წინ მრავალი გარემოება ეღობება. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ეს ხელისშემშლელი გარემოებები დავძლიოთ.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. ამ მიზნის მიღწევის მთავარ ორიენტირებად უნდა დავისახოთ ისეთი უპირველესი ამოცანების გადაჭრა, როგორიცაა: ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებისგან თავის დაღწევა; საჭიროა განვავითაროთ დემოკრატიული ინსტიტუტიები, დავამკვიდროთ სამართლიანობა და კანონის უზენაესობა; ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს.

XXI საუკუნემდე საქართველომ ურთულესი გზა გაიარა. ქვეყანა ბევრჯერ სასწაულებრივად გადარჩა. ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში ერმა თავისი გადარჩენის მარადიული ღირებულებანი ჩამოაყალიბა. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი სწორი გზა, როგორც ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით დასტურდება, არის ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების გაძლიერება. ამასთანავე, გლობალური ფაქტორის გათვალისწინებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. გარე სამყაროსთან სრულფასოვანი ინტეგრირება ჩვენი და საერთოდ ყველას განვითარების აუცილებელ პირობად იქცა. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ღირებულებათა ზომიერი ცვლილება. ეს კი, ერთი მხრივ, შეუძლებელია სათანადო ეროვნულ ფუნდამენტზე დაფუძნების გარეშე, მეორე მხრივ კი, ფუნდამენტი გლობალიზაციით განპირობებული აუცილებელი ცვლილების გარეშე ყოველთვის მყარად ვერ იქნება. ჩვენ გვჭირდება ეროვნულ ფასეულობათა ჰომოგენიზაცია. სოციალური პოლიტიკის დოქტორი, გიორგი შაქარიშვილი, ჟენევიდან გამოგზავნილ წერილში სამართლიანად აღნიშნავდა: "საქართველოს ისტორიის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის დასანახავად, თუ რაოდენ მრავალფეროვანია სხვადასხვა იდეოლოგიების, ცივილიზაციების და კულტურების ზეგავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ბიზანტიური წიაღიდან აღმოცენებული მართლმადიდებლური ქრისტიანული ბაზისი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა არაბულ და მონგოლურ, შემდგომ ისლამურ ზეგავლენას, რასაც მოჰყვა ცარისტული რუსეთის საშუალებით ევროპულ კულტურასთან ზიარება, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ისტორიული თვალსაზრისით ხანმოკლე, მაგრამ ძლიერად თავსმოხვეული საბჭოთა იდეოლოგიით. ბუნებრივია, ზეგავლენათა ამგვარ დინამიზმს არ შეეძლო არ გამოეწვია საზოგადოებრივ ფასეულობათა ჰეტეროგენიზაცია, რის შედეგადაც დღევანდელი რიგითი ქართველი, თავისი კულტურული, ტრადიციული თუ ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით, არის ერთგვარი ჰიბრიდი, რომელშიც ტრადიციული ქართული ზნებუნებრივი თვისებები სხვადასხვა დოზით არის შეზავებული აღმოსავლური კონსერვატიზმით, ევროპული ლიბერალიზმით და საბჭო-

თა ვერტიკალიზმით. ყოველ ამ ფასეულობას შესაბამისი საზოგადოებრივი ქცევითი გამოხატულება ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ფასეულობათა სხვადასხვა ტიპები ერთმანეთთან უკუქმედებით დამოკიდებულებაში იმყოფება, რაც საზოგადოებრივ ქცევით გამოსავალს არაპროგნოზირებად და რთულად საინტერესოს ხდის. ყოველივე ამის ფონზე, ალბათ, სასურველია ამ ფასეულობათა მეტ-ნაკლები ჰარმონიზაცია, რომლის ერთადერთი სწორი გზა ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების გაძლიერება იქნებოდა. ამავე დროს, წარმოვადგენთ რა დღევანდელი თანამედროვე სამყაროს განუყოფელ ნაწილს, ალბათ, ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენს ტრადიციულ საზოგადოებრივ ფასეულობაში არსებული რომანტიკულ-ემოციური დომინანტის ზომიერი დაბალანსება თანამედროვე გლობალისტურ-პრაგმატული კომპონენტითაც, რაც დაგვეხმარება გარესამყაროსთან სრულფასოვან ინტეგრირებაში და თანამშრომლობაში, ეს კი ქვეყნის განვითარების და წარმატების ერთერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს [7, გვ.4].

იმისათვის, რომ აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გავართვათ თავი, ჩვენ გვჭირდება როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე ინდივიდებსა და საზოგადოებას და საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორიცაა სოლიდარობა, ტოლერანტობა, ნდობა, ურთიერთგატანა, თანამშრომლობა, ანუ ჩვენ გვჭირდება სოციალური კაპიტალის განვითარება, რაც, უპირველეს, ყოვლისა საგანმანათლებლო სისტემის პრეროგატივაა. ამასთან, უნდა დავძლიოთ ერთგვარი "ფიქრის დეფიციტი", უნდა დავძლითო სპონტანურობა, ემოციურობა, ახლომხედველობა საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას და დავამკვიდროთ ანალიზი და შორსმჭვრეტელობა. მყისიერი ეფექტის ნაცვლად ხანგრძლივ შედეგებზე ორიენტირებულნი უნდა გავხდეთ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვეყნის ჭეშმარიტ დემოკრატიულობას, რომელიც განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად თავისუფალია პროტესტის გამოხატვის საშუალება, არამედ იმით, თუ რამდენად აქტიურია მმართველობის პროცესში მოსახლეობის თანამონაწილეობა. ჩვენ გვჭირდება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

შვეიცარიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე გიორგი კავკასიძე აღნიშნავს, რომ დიდი განსხვავება არსებობს დასავლურ და ჩვენს ფასეულობათა სისტემასა და აზროვნებაში. განსხვავება ის არის, რომ დასავლეთში ყოველი მოქმედება არის შედეგზე ორიენტირებული, ჩვენთან კი პრინციპზე. ჩვენთან შედარებით დასავლელები უფრო პირდაპირები და გულახდილები არიან; ჩვენში კანონის უპატივცემულობა და უდისციპლინობაა, დასავლეთში კი კანონისადმი ღრმა მოწიწება და მორჩილება. ვინაიდან ამის ძირითადი მიზეზი არის განსხვავება ფასეულობებში, უნდა მოხდეს დასავლური ფასეულობების სინთეზირება ჩვენს კულტურასთან, ყოფასთან, ცხოვრების წესთან.

საქართველო ევროატლანტიკურ ფასეულობებზე ორიენტირებული ქვეყანაა. ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთხმად ეთანხმება ქვეყნის დასავლურ კურსს. ამიტომ, ამასთან ერთად, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა: ხომ არ დავკარგავთ ამით ჩვენს ფასეულობებს? როგორც ია ანთაძე აღნიშნავს: "საზოგადოების ცნობიერებაში ყველაზე ხშირად ეჭვები ეროვნულ თვითმყოფადობასთან დაკავშირებით ჩნდება: ხომ არ ემუქრება საფრთხე ქართულ ტრადიციებს? ხომ არ კნინდება მრავალი თაობის მიერ აღიარებული ფასეულობები? განსაკუთრებით ხშირად ისმის პროტესტი ტელეპროდუქციასთან დაკავშირებით: "ამდენი სისხლის ჩვენება შეუძლებელია!", "სერიალების მორალი ღუპავს ახალგაზრდებს!", "ჰოლივუდის ფილმები ძალადობის კულტს ამკვიდრებს!" [1, გვ.5].

ამ კითხვებზე გონივრული პასუხი ის არის, რომ "თუ საქართველოში ფასეულობები იცვლება, აგრესიის დონე იზრდება, ან ტრადიციები იკარგება, ამის მიზეზი საკუთარ ოჯახებსა და გარემოში უნდა მოვიძიოთ; თუ კულტურის როლი დაკნინებულია ან მეცნიერები თავს ზედმეტად გრძნობენ, პასუხი ჩვენსავე საზოგადოებას და ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ. ევროპული ინტეგრაცია ქვეყნის თვითმყოფადობას საფრთხეს არ უქმნის, ამას ევროკავშირის ძველი თუ ახალი წევრი – სახელმწიფოების გამოცდილება ადასტურებს. ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს თუ რამე საფუძველი აქვს, ეს საფუძველი საკუთარ თავშია საძიებელი და არა ევროპაში" [1, გვ.5].

ეს სამართლიანი მინიშნება მოითხოვს იმას, რომ თუ გაქვს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ამბიციები, უნდა შეიძინო სათანადო ამუნიციებიც, ანუ შეცვალო შენი ფასეულობები, ისე, როგორც ევროკავშირის ქვეყნებმა შეცვალეს. ისინი ისე ამაღლდნენ საერთო ევროპულ ფასეულობებამდე, ისე მოახდინეს ერთმანეთთან ინტეგრაცია, რომ თავიანთი თვითმყოფადობა, მარადიული ღირებულებანი და ტრადიციები კი არ დაუკარგავთ, არამედ სწორედ ამ ინტეგრაციის საფუძველზე შეინარჩუნეს და განამტკიცეს კიდევაც ისინი. ხოლო იმისათვის, რომ ევროპული ფასეულობები გავითავისოთ, გავხდეთ მისი ორგანული ნაწილი, ევროკავშირსა ან ნატოში მხოლოდ იურიდიულად მიღებით ამას ვერ მივაღწევთ, ვერ გავხდებით მისი რეალური ნაწილი. როგორც იტყვიან: "ყოფითი კულტურით დაწყებული – რაც სულ მცირე, საკუთარი ნაგვის მოვლაში უნდა გამოიხატოს და პო-

ლიტიკური კულტურით დამთავრებული – რაც ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლის თუნდაც ერთი პრეცედენტით უნდა დადასტურდეს - ევროპამდე, ჩანს, შორი და რთული გზა გვაქვს გასავლელი...” [1, გვ.5].

ამიტომ, უმთავრესი ამოცანაა ის, რომ რაც შეიძლება სწრაფად შევუსაბამოთ ჩვენი ყოფითი და პოლიტიკური კულტურა და, საერთოდ, მისი ყველა ასპექტი, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის უმთავრესი ამოცანა თანამედროვე გლობალიზაციის ეტაპზე. საჭიროა ჩვენს ქვეყანაში ღირებულებათა სწორი სისტემა ჩამოყალიბდეს. ამისათვის კი ზუსტად უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები, რა არის მნიშვნელოვანი, რა გზით უნდა წავიდეთ, დაიგეგმოს მიზანმიმართული აქტივობები. ამ მხრივ კი მთავარი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს.

ქართული კულტურის ისტორია, მისი თუნდაც ზედაპირული მიმოხილვაც კი მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დასავლური ფასეულობანი მათ შორის ფუნდამენტური - ადამიანის უფლება, არ იყო უცხო ქართული სამყაროსთვის და ამ მხრივ მათ შორის კონფლიქტი არასდროს არსებობდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად აღნიშნა 2016 წლის 7-8 სექტემბერს საქართველოში მყოფმა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, რაც ეპიგრაფის სახით წარმოვადგინეთ და რამაც ჩვენი მოხსენების მომზადებას დაუდო სათავე. მთავარია, რომ ჩვენი იდენტობა არ დავკარგოთ და ისე ავმაღლდეთ ევრო-ატლანტიკურ ფუნდამენტურ ფასეულობათა სრანდარტებამდე, რაც ჩვენ გვაკავშირებს.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენმა ქვეყანამ განუხრელად უნდა იზრუნოს დემოკრატიული მმართველობის ტრადიციის დამკვიდრებისთვის, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის. განსაკუთრებულ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ეკონომიკურ წინსვლაზე, თითოეული ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნაზე, საქართველოს დემოკრატიულ და მშვიდობიან განვითარებაზე, ყველა მოქალაქისთვის კეთილდღეობის, ეთნიკური, კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტიებზე, დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე მათ საკუთარ სახლებში, მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფასა და უფლებათა დაცვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ი. რა მანძილია ევროპამდე? “24 საათი”, 123 (1567), 2007.
2. ვეშაპიძე შ. კაცობრიული ფასეულობები და ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები. ელექტრონული, nplg.ge, ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი, 2012.
3. ვეშაპიძე პ. თავისუფალი პრესის არარსებობა ტირანიაა, “24 საათი”, 121 (670), 24 მაისი, 2004.
4. ივანიშვილი ბ. საქართველოს პრემიერ მინისტრობის კანდიდატის საპროგრამო სიტყვა. “საქართველოს რესპუბლიკა”, 206 (7082), პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012.
5. კავკასიძე გ. რა უნდა შეიცვალოს საქართველოში? „24 საათი“, 2009 წლის 15 აპრილი, 83 (2121).
6. ფანასკერტელ-ციციშვილი ო. ლიბერალიზმი – სამყაროს გადამრჩენი, თუ – პირიქით. “საქართველოს რესპუბლიკა”, 130, 13 ივლისი, 2010.
7. ღოღობერიძე ლ. 800 მილიონი ევროპელის ევროპა „24 საათი“, 97, 2005 წლის 29 აპრილი.
8. შაქარიშვილი გ. საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა: მასმედიის როლი ეროვნულ მშენებლობაში “24 საათი”, 12 თებერვალი, 2008 წ., 31.
9. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საინაუგურაციო სიტყვა, 17.11.2013.
10. ვეშაპიძე შ., ბაბუაძე ნ., ბერიძე თ. European values and choice of Georgia (human dignity, lawful, sovereignty, democracy and wellbeing), აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 2015.

Euro-Atlantic values: What Ties Us up

S. Veshapidze,
M. Darbaidze
T. Beridze

Summary

For the last thirty years, Georgia accepted fundamental values which are general in many countries of Europe. It is democracy, freedom of expression, freedom of media, independence of judicial system and protection of minorities.

Georgian people chose Euro-Atlantic integration as the one and only foreign political orientation that completely corresponds to our values and aspirations on the path leading to safety, democracy, peace and welfare. For Georgia European values are natural. Our country just returns to these values. Our sociological study shows how Georgian society estimates European choice. For great majority of respondents, attractiveness of Europe is related to human rights, sovereignty of law and democracy. They like the fact that in Europe family, individual, citizen and society are protected. State's main goal is to create honorable life conditions. Europe enables us to take advantage of non-reversible processes of globalization.

Europe has concrete examples how small nations can survive and maintain their identity in its area. Study shows that for ordinary citizen, Europe is an alliance of rich countries, where different values are accepted, until they become dangerous for society. To reach this goal, state agencies, civil organizations, educational institutions and media must work to provide corresponding education and informational facilities.

Keywords: *Euro-Atlantic values, Safety, peace, welfare, sovereignty of law, human dignity, democracy.*

საბანკო კონკურენციის საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა საქართველოში

ვაჟა ზეიკიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

გიორგი მაისურაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თამარ კილაძე,
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ბანკების მიერ გატარებული პოლიტიკა, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება მომსახურების და ვაჭრობის წახალისებაზე, ხოლო რაც შეეხება წარმოებას, ინდუსტრიას და მრეწველობას, ეს დარგები, პრაქტიკულად ფინანსური რესურსების გარეშეა დარჩენილი. საბანკო სისტემის რეფორმირების ამოცანები პირდაპირ უკავშირდება მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეფექტიანობის გაზრდას. საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა მნიშვნელოვნად უკავშირდება კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწას.

საკვანძო სიტყვები: *ბანკი, კონკურენცია, ფინანსები, ანალიზი, კანონმდებლობა*

საბანკო სისტემის რეფორმირების ამოცანები პირდაპირ უკავშირდება მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეფექტიანობის გაზრდას. საბანკო სექტორში კონკურენტული სივრცის შექმნა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კონკურენციის შესახებ საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის დახვეწა. სამწუხაროდ ზოგადად პოლიტიკურ სისტემა ზემოქმედებს კონკურენციაზე და ხშირად, ამ სახის სისტემები, ნებისმიერ ინიციატივის წინააღმდეგნი არიან და ადამ სმიტის „უხილავი ხელისაგან“ განსხვავებით, სწორედ სახელისუფლო ვერტიკალი არის ერთდროულად უხილავი და ხილული ხელი, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე მონაწილეთა ქცევის წესს, მათ რაოდენობას, ფასს და მოგების მარჟასაც კი. პირობითად ეს არის მართვადი კონკურენცია, თავისი მონოპოლიებით და კარტელური შეთანხმებებით.

ხელისუფლების მთავარი გამოწვევა სწორედ ისაა, რომ დაიხვეწოს საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც ზემოქმედებას ახდენენ საბანკო სფეროს კონკურენციის რეგულირებაზე. დღეისათვის გარკვეული პრობლემებია კორპორაციულ კლიენტებთან ურთიერთობაშიც და კომერციული ბანკების კორპორაციული ქცევის კოდექსის გათვალისწინებით, ბანკები ჯერ კიდევ საჭიროებენ კორპორაციული კულტურის დახვეწას, კლიენტურის საჭიროებების და მოთხოვნების უკეთ გასაცნობად, რათა კლიენტურა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს ბანკთან ერთად.

თუ გადავხედავთ ბანკების მიერ გატარებულ პოლიტიკას, ძირითადი აქცენტი კეთდება მომსახურების და ვაჭრობის წახალისებაზე, რაც შეეხება წარმოებას, ეს დარგები, პრაქტიკულად, ფინანსური რესურსების გარეშეა დარჩენილი. შესაბამისად, ჩვენ დღეს სახეზე გვაქვს საბანკო სისტემაზე ჩამოკიდებული ეკონომიკა, რომელიც მოქმედებს მოკლევადიანი ხედვებით. შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სისტემა დღეს ორიენტირებულია ეკონომიკიდან ფულის ამოღებაზე, სამწუხაროდ ეკონომიკა კი ვერ ქმნის ისეთ დოვლათს, რომ ერთი მხრივ, საბანკო მომსახურების ღირებულება გადაიხადოს და მეორე მხრივ, ქვეყანა გამოკვებოს.

ქვეყანაში დღეს არსებული ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო ბაზა მთლიანად მორგებულია ამ ბაზრის ერთი მონაწილის ინტერესებზე და მეორე მხარე სრულად არის იგნორირებული. არა და ბანკებს საკუთარი საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისას, აქვს ელემენტარული ვალდებულება, რომ ერთმანეთისგან განასხვაოს ორი მარტივი ეკონომიკური ტერმინი – მოთხოვნა და მოთხოვნილება. ბანკები სარგებლობენ ეკონომიკაში არსებული ფინანსური შიმშილით, ანუ მოთხოვნილებით და გასცემენ მაღალრისკიან კრედიტებს. ამ სესხების დიდი ნაწილი პრობლემად იქცევა, თუმცა საბოლოო ანგარიშით, ბანკები ამ კრედიტებს მაინც იღებენ. მათ რეალურად გაცემული კრედიტის ამოღების პრობლემა არა აქვთ

ვინაიდან, როგორც სამართლებრივად, ასევე კვალიფიკაციის კუთხით, ისინი კლიენტებთან შედარებით გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან.

ამ ფონზე, ვფიქრობთ, ეროვნულმა ბანკმა უნდა შეძლოს ისეთი რეგულაციების შემოტანა, რომ სამომხმარებლო კრედიტების რისკების დონე შემცირდეს[1]. რეალურად, სამომხმარებლო სესხებს რეალური ეფექტი ეკონომიკის განვითარებაში არა აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ კრედიტებით ფინანსდება იმპორტი, ეს ფული ქვეყნიდან გადის და ჩვენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წარმოების წახალისებას ხმარდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი დღემდე ახორციელებს რისკორიენტირებულ ზედამხედველობას, რომელიც მოიცავს ზედამხედველობის ფაქტობრივად ყველა კომპონენტს, მათ შორის, ანგარიშების ანალიზს, საფრთხის შემცველი მოვლენების ადრეულ გამოვლენას, ბანკების კვალიფიკაციას ფინანსური მდგრადობის ხარისხის მიხედვით, ანუ ე.წ. სარეიტინგო სისტემებს, საბანკო სექტორის სისტემურ მდგრადობას.

საქართველოს საბანკო სექტორში კონკურენციის გაზრდის მიზნით, საკანონმდებლო ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას ამ მიმართულებით. როგორც პრაქტიკა მოწმობს, კომერციული ბანკების მდგრადობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, საბანკო საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და მეორე მხრივ, მიღებული კანონების უმოქმედობა. ეს ეხება როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე კანონს გაკოტრების შესახებ, ანტიმონოპოლიურ და სხვა საკანონმდებლო აქტებს. საყოველთაოდა აღიარებულია, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი (ბანკი), რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) ფინასურ მომსახურებას მომხმარებლისთვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების არად ჩაგდებისა და მათი გვერდის ავლისა.[2]

ეკონომიკურ კონკურენციაში „არბიტრის“ ფუნქციას თავისი არჩევანით, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს. მაგრამ საბაზრო სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ასევე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ საბაზრო „თამაშის წესებს“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ, პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობებით და კონკურენციის სფეროს ექსპერტთა შეფასებით ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს საქმიანი ბრუნვის,წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;
- მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს - კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ამდენად, ისინი ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნაში, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდეს დროთა განმავლობაში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტიანია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა შეიძლება იქნეს განხილული „არაკეთილსინდისიერის“- და როგორი „კეთილსინდისიერის“ რანგში.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძალულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს კონკურენციული კანონმდებლობა. ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი

პუნქტით იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იყო მისი გამოვლინების სახეები.[3]

დროულად უნდა გადამუშავდეს არსებული კანონი „კონკურენციის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება მოდელური კანონის სახით და მაქსიმალურად დაუახლოვდეს იგი ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობას და ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს კონკურენციის სფეროში. ამასთან ერთად, საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ შესატანია ცვლილება - მას უნდა დაემატოს ერთი თავი, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ბანკს გარკვეულად ვალდებულს გახდის დაარეგულიროს და ხელი შეუწყოს საბანკო სექტორში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას.

ბანკების ეფექტიან ფუნქციონირებას ხელს უშლის, ასევე, ისეთი ნორმატიული აქტების არარსებობა როგორიცაა - იპოთეკის მარეგულირებელი კანონი. საბანკო საქმიანობაში იპოთეკის გამოყენებას კი ჩვენი აზრით, ხელს უშლის უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის კანონის არარსებობა, აღსანიშნავია ასევე დეპოზიტების დაზღვევის კანონმდებლობის და საბანკო სფეროში ანტიმონოპოლიური საქმიანობის კანონმდებლობის არარსებობა. ამიტომ, აუცილებელია ამ კანონების დამუშავებისა და პარლამენტის მიერ მათი მიღების პროცესის დაჩქარება.[4]

ამასთან, საკანონმდებლო აქტების ნაკლოვანებებზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს სხვადასხვა აქტებში არსებული ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიც. ეს უმეტესწილად ეხება სააღდასახადო კანონმდებლობას. გარდა ამისა, მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში განზოგადებული არ არის გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხები, რაც საგადასახადო სამსახურს საშუალებას აძლევს, ეს გაურკვევლობა თავის სასარგებლოდ, გადასახადის გადამხდელის ინტერესების საზიანოდ გამოიყენოს, რაც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა აფერხებს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკისათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემას. რაც შეეხება ფინანსურ მხარდაჭერას, ის ძირითადად, მოკლევადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული და ამიტომ რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტის მიღება მისგან ეკონომიკის აღმავლობის თვალსაზრისით შეუძლებელია.

კომერციულ ბანკებს არ შეუძლიათ რეალური სექტორის დაკრედიტების გაფართოება, თუ იგი სახელმწიფო სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოქმნისას მათი ინტერესების დაცვას არ უზრუნველყოფს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ სახელმწიფო კრედიტორთა უფლებების დაცვის ინსტიტუტებს არ შექმნის, რეალური სექტორის დაკრედიტების სტიმულირებისაკენ მიმართულ არანაირ სპეციალურ ღონისძიებებს სათანადო ეფექტი არ ექნება.

საბანკო საქმიანობის პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ კომერციული ბანკები თავს იკავებენ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისაგან, მასთან დაკავშირებული მაღალი რისკის გამო, ამასთან არსებული სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია, თუ სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება შესაბამისი მხარდაჭერა და რეალური გარანტიები.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი, ჩვენი აზრით, უნდა ვეძებოთ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას. კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დააზღვევა მნიშვნელოვან წილად ხელს შეუწყობს საბანკო რისკების ოპტიმალურ მართვას, რაც საბოლოო ანგარიშით ბანკებს გაკოტრებისაგან და საბანკო სისტემას კრიზისისაგან დაიცავს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ანაბრების დაცვის მთავარ მექანიზმს წარმოადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესი, რომელიც ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, მეანაბრეების თანხების გასტუმრებას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, აღნიშნული მოთხოვნების შესრულება, ფაქტობრივად, გართულებულია, ვინაიდან მეანაბრეებმა, ვერ დაიბრუნეს თავიანთი სახსრები, რაც საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობას კიდევ უფრო აქვეითებს, ამიტომ მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების პირობებში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის, რომ მოსახლეობის ანაბრების (დანაზოგების) დაცვის უზრუნველყოფა, ბანკების გაკოტრებისას წარმოქმნილი პრობლემების დარეგულირება შეუძლებელია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის გარეშე. ამიტომ, საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება, მისი ამოქმედება სტრატეგიულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა მარტო კომერციული ბანკებისა და მთლიანად საბანკო სისტემისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევისა და განვითარებისათვის.

საბანკო დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანმა სისტემამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ბანკთა გაკოტრების შესაძლებლობა და ამასთანავე გადაწყვიტოს მასთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთი სისტემის შექმნა გულისხმობს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას: 1.საბანკო დეპოზიტების სა-

დაზღვევო სისტემისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას; 2.საბანკო საქმიანობისა და სტრუქტურის ანალიზს; 3.სადაზღვევო სისტემის ადმინისტრაციული რეგულირების ორგანიზაციას; 4.დამოუკიდებელი სახელმწიფო მმართველობის ორგანოს შექმნას და 5.სადაზღვევო სისტემის ფინანსურ და საკრედიტო უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებლად მიგვაჩნია დამუშავდეს საქართველოს კანონი კომერციულ ბანკებში დეპოზიტების დაზღვევის შესახებ და მისი ამოქმედების მექანიზმები (რომლის მეშვეობითაც ჩამოყალიბდება დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, განსაკუთრებული საგარანტიო ინსტიტუტი, რომელიც, როგორც წესი, მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სახელმწიფოსთან და კრედიტორების ნდობით ისარგებლებს) საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებთან და ბანკების ასოციაციის სპეციალისტებთან ერთად, განხილვის შედეგად შეირჩეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების საფუძველზე, საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, მისაღები ვარიანტი და მიეცეს მსვლელობა მისი პრაქტიკულად ამოქმედების დაჩქარების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე. თანამედროვე საბანკო საქმე თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2014, 548გვ.
2. ლ.ელიავა, საბანკო კრიზისების პროგნოზირება. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2013. გვ.402.
3. www. nbg gov ge.
4. www. competitionandconsumer. ge

Legislative and Legal Guaranteeing of Banking Competition in Georgia

V. Zeikidze
G. Maisuradze
T. Kiladze

Summary

In the article there is discussed the policy of banks, where the main accent is made on the encouragement of service and commerce. Branches, such as producing, manufacturing and industry are actually left without financial resources. Consequently nowadays there is economics hanged on banking system, that works with short-term attitudes. The reforming problem of banking system is directly associated with its competitive rise effectiveness increase. Creating competitive space in a bank sector is connected to the improvement of the legislative-normative base about the competition. In order to increase the competition in the country's banking sector the legislative authority should make effective steps. Particularly, the law of Georgia in commercial banks about deposit insurance and making it operative should be worked out.

Keywords: *bank, competition, finance, analysis, legislation.*

უძრავი ქონების ანალიზი (თბილისის მაგალითზე)

ნინო ზურაშვილი,
თსუ-ის დოქტორანტი

მშენებლობის დარგი საკმაოდ აქტიურია საქართველოში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა საცხოვრებელ და საოფისე ფართებზე საქართველოს დედაქალაქ თბილისში. სტატიაში განხილულია, მშენებლობის ინდუსტრიის როლი ქვეყნის ეკონომიკაში. ნაჩვენებია, წლების მიხედვით მშენებლობის დინამიკის ტენდენციები. აღწერილია, თბილისში აშენებული გასაყიდი და გასაქირავებელი საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე ფართების ზრდის ტენდენცია წლების მიხედვით. გაანალიზებულია, ახლადაშენებული ფართის მიწოდების ტენდენცია თბილისში უბნების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *მშენებლობა, უძრავი ქონება, კომერციული ფართი, ეკონომიკური ზრდა, თბილისი.*

ზოგადად, ეკონომიკური ზრდა თითოეული ქვეყნის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული მიზანია, კერძოდ კი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამშენებლო ბიზნესი. ქვეყნის ეკონომიკური ვითარება კარგად აისახება სამშენებლო ბიზნესზე, მაშინ როდესაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ნელდება, სამშენებლო პროცესიც მიდის დაკნინებისკენ.

მშენებლობის ზრდა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, ის ასტიმულირებს მომიჯნავე დარგებს, ვინაიდან მშენებლობისთვის აუცილებელია საქონელი და მომსახურება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მშნებლობის ზრდა და სტიმულირება მთავრობის მხრიდან, ხელს უწყობს სხვა ინდუსტრიების განვითარებასაც, რაც არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარი გრძელვადიან პერიოდში[4, გვ. 21].

განვითარებად ქვეყნებში სამშენებლო ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს არამხოლოდ მომიჯნავე ინდუსტრიების განვითარებას, არამედ დადებითად მოქმედებს ზოგადად ქვეყნის აგროკულტურაზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე და ა.შ. ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეაქვთ თავისი წვლილი ეროვნულ GDP-ში, რაც პირდაპირ მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე.

სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას თან სდევს სამუშაო ადგილების ზრდა. სამშენებლო ინდუსტრია არის ბიზნესი, სადაც თითოეული პროექტის განხორციელებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხება განვითარებად ქვეყნებს, ისეთს როგორიც არის საქართველო. თითოეული მასშტაბური სამშენებლო პროექტის განხორციელება ქმნის სამუშაო ადგილებს.

საქართველოსთვის მშენებლობის დარგი წარმოადგენს საკმაოდ აქტიურ ბიზნეს- სექტორს, რომლის წილიც მშპ-ში 11%-ია.

საქართველოს მშპ-ს სტრუქტურა[5]



მშენებლობის ბუმი საქართველოში დაიწყო 2011 წლიდან, რომელმაც პიკს მიაღწია 2013 წელს. „საქსტატის“ მონაცემების მიხედვით, 2013 წელს აშენდა წინა 10 წელზე მეტი - 2 278 680 $მ^2$ ფართი. დასრულდა 3163 ობიექტი. მათ შორის ყველაზე დიდი ფართობი - 1 588 300 $მ^2$ მშენებლობა განხორციელდა თბილისში, 2013 წელს დასრულდა 1431 ობიექტის მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ თუ მშენებლობის ბიზნესში 2013 წლამდე არის აღმავალი ტენდენცია და მშენებლობათა ფართობი და დასრულებული ობიექტების რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა, 2013 წლის შემდეგ შეიმჩნევა მშენებლობის შემცირების ტენდენცია. ყველაზე მეტი ობიექტი აშენდა თბილისში. 2014 წლიდან ეროვნულმა ვალუტამ დაიწყო გაუფასურება, რასაც მოჰყვა ფართებზე ფასების ზრდა, რამაც შეამცირა მოთხოვნა.

ობიექტების რაოდენობა და საერთო ფართობი საქართველოში [5]



მშენებლობის დარგში დასაქმებულთა რაოდენობა განიცდის კლების ტენდენციას. მშენებლობაზე დასაქმებულთა პიკმა მიაღწია 2012 წელს, როდესაც სულ დასაქმებული იყო 69 946 კაცი.

მშენებლობაში დასაქმებული მუშა-ხელი[5]



მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ბუმმა საქართველოში პიკს მიაღწია 2013 წელს, მშენებლობის დარგში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება მაქსიმალური 947,4 ლარი იყო 2014 წელს, როდესაც ლარმა განიცადა ინფლაცია, გაძვირდა პროდუქტი და მომსახურება. ამან განაპირობა ხელფასების ზრდის აუცილებლობა.

მშენებლობის დარგში დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება[5]



უძრავი ქონების ბაზარი საქართველოს მასშტაბით ყველაზე აქტიურია თბილისში. თბილისი წარმოადგენს საქართველოს კულტურულ, სოციალურ და ინდუსტრიულ ცენტრს. თბილისი გაშენებულია 490.6 ათას კვადრატულ მეტრზე. ჩვენი დედაქალაქი არის იმ იშვიათ ადგილთაგანი, სადაც მეჩეთი და სინაგოგა გვერდიგვერდ არის აშენებული [2, გვ. 7].

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უძრავი ქონების მიწოდება საქართველოს მასშტაბით გაიზარდა 28%-ით, რაც წარმოადგენს 292 000 კვ.მ-ს. უძრავი ქონების ბაზრის ზრდის დიდი წილი მოდის სწორედ თბილისზე.

თბილისში მიმდინარეობს საცხოვრებელი კორპუსების გაცხოველებული მშენებლობა, რაც მოიცავს 2.9 მლნ კვ.მ-ს. მიმდინარე და შემდეგ ორ წელში მიწოდება გაიზრდება 360 000 საცხოვრებელი ერთეულით. ბოლო ორ წელიწადში გაზრდილმა მოთხოვნამ საცხოვრებელ ბინებზე სტიმული მისცა დეველოპერულ კომპანიებს განეახლებინათ შეფერხებული მშენებლობები.

სავაჭრო ტრანზაქციების დადებითი ტრენდია თბილისში. უკანასკნელ სამ წელიწადში ტრანზაქციების საშუალო ზრდის 8% მოდის თბილისზე. 2013 წელს დარეგისტრირდა 829 მლნ დოლარის ღირებულების ტრანზაქცია. 2014 წელს გაიზარდა ეს მაჩვენებელი 6%-ით, დარეგისტრირდა 882 მლნ დოლარის ტრანზაქცია[2, გვ. 10].

2010-2011 წელს გაიზარდა გირავნობის რიცხვი 39%-ით და შეადგინა 314 მლნ დოლარი, 2012 წელს კი, შემცირდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 34%, ხოლო 2013 წელს ბანკების მიერ გაცემული სესხებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემული ფულადი სახსრების მეშვეობით გირავნობაში გადახდილმა საერთო თანხამ შეადგინა 416 მლნ დოლარი. 2014 წელს გირავნობის საერთო ფასმა შეადგინა 541 მლნ დოლარი.

თბილისში ახლადაშენებულ კორპუსებში 1 კვ.მ.-ის საშუალო ფასი არის 830 დოლარი [3, გვ. 26]

სამშენებლო ობიექტების განლაგება

#	დეველოპერი	პროექტი/ადგილმდებარეობა	რაიონი	მშენებლობის ფართობი	დასრულების თარიღი
1	Dirsi/AS Georgia	ჩოლოყაშვილის ქუჩა	ისანი	236,603	2015/2016
2	Hualing Special Economic Zone	ვარკეთილი	სამგორი	144,122	2015
3	Axis	სპორტის სასახლე	საბურთალო	114,218	2015
4	MaQro Construction	მწვანე ბუდაპეშტი	საბურთალო	48,832	2016
5	GDG	აბაშიძის 70	ვაკე	40,708	2015
6	Domus Development	თამარაშვილის 13	საბურთალო	37,633	2016
7	Metra Development	მეტრა პარკი ბაგები	ვაკე	37,558	2015
8	Archi Group	Archi Towers	ვაკე	35,456	2016

თბილისში კომერციულ და საცხოვრებელ ფართებზე ყველაზე დიდი მოთხოვნა არის ქალაქის პრესტიჟულ უბნებში, საბურთალოსა და ვაკეში. შესაბამისად, დეველოპერული კომპანიები ახორციელებენ მშენებლობებს აღნიშნულ რაიონებში.

თბილისში ახლადაშენებული გასაყიდი ბინების საერთო ფართი შეადგენს 887.280 კვ.მ-ს. ბოლო 4-5 წლის განმავლობაში სავაჭრო ცენტრების მიწოდება მკვეთრად გაიზარდა საცალო ვაჭრობის ბაზარზე. 2010 წელს, თუ სავაჭრო ცენტრების მიწოდება წარმოადგენდა მხოლოდ 16%-ს, 2014 წელს 29%-მდე გაიზარდა. 2015 წლისთვის სავაჭრო ცენტრების მიწოდებამ 41%-ს გადააჭარბა.

ბევრი სავაჭრო ცენტრი თბილისში აშენებულია ისეთი კონსტრუქციით, რომ არის 3 სართულზე მეტი, თუმცა ყველა სართული არ არის ათვისებული კომერციული ორგანიზაციების მიერ. თბილისში განთავსებული სავაჭრო ცენტრების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ დეველოპერული კომპანიები ყიდიან სავაჭრო ცენტრში არსებულ კომერციულ ფართებს, გაქირავების ნაცვლად, რაც ამცირებს საინვესტიციო მიმზიდველობას.

ყველაზე პრესტიჟული ადგილი თბილისში არის ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რაიონები. სწორედ ამ რაიონებშია უმაღლესი ქირა 55-60 დოლარი ერთ კვ.მ-ზე. როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის მაღაზია ინტენსიურადაა განთავსებულია პეკინის, რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე. ასევე, სავაჭრო ასპექტში აქტიურობით გამოირჩევა მარჯანიშვილისა და აღმაშენებლის გამზირები.

საცალო ვაჭრობის ფართის მიწოდება თბილისში [2, გვ. 37]



თბილისი ონლაინ შოპინგის მომხმარებელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

თბილისში სავაჭრო ფართის მხოლოდ 31%-ზეა განთავსებული ბრენდირებული მაღაზიები, დანარჩენი ფართი უჭირავს ე.წ. ბაზარსა და არაბრენდირებულ მაღაზიებს. საქართველოში 60-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდია წარმოადგენილი. ასევე არის ელექტრონიკის ქართული ბრენდის მაღაზიები და თანამედროვე სუპერმარკეტებისა და მარკეტების ბრენდირებული მაღაზიები.

კომერციულ ფართს ყველაზე მაღალი ქირა აქვს რუსთაველისა და პეკინის გამზირზე განთავსებულ ფართებს - კვ.მ. ღირს 55-60 დოლარი. ჭავჭავაძის, აღმაშენებლისა და მარჯანიშვილის გამზირებზე კვ.მ ღირს 35-40 დოლარი.

საქართველოში კომერციული ფართებით ვაჭრობა და მიწოდება ხორციელდება ტრადიციული ფორმით. 2012 წელს გაიხსნა პირველი დიდი მოლი - თბილისი მოლი, სადაც განთავსებულია კომერციული ფართების დიდი რაოდენობა, 2015 წელს დასრულდა მეორე დიდი სავაჭრო ცენტრის - ისთ ფოინთის მშენებლობა, რომელიც გადაჭიმულია 72 000 კვ.მ ფართობზე [6]. ასევე, ფართოვდება, თანამედროვე სუპერმარკეტების ქსელები, როგორიცაა: კარფური, სპარი, სმარტი და ა.შ. ზემოთ აღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ინტენსიურად ვითარდება უძრავი ქონების სხვადასხვა მიმართულება [6].

თბილისში უძრავი ქონების ბაზარზე, საოფისე ფართის მიწოდების ზრდა დაიწყო 2008 წლიდან. A კლასის ბიზნესცენტრები გაქირავებული ფართის მხოლოდ 7%-ია (35.935 კვ.მ.) A-, B+ და B კლასის ფართი კი 7%, 23% და 1%, ხოლო C და D კლასის ტიპის ოფისებს უჭირავს ყველაზე დიდი ადგილი (42% 200.000 კვ.მ).

აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებთან შედარებით, თბილისში განთავსებულია საოფისე ფართის ძალზე მცირე ოდენობა - 4.6-ჯერ ნაკლები საოფისე ფართი.

საოფისე ფართის მიწოდება [2, გვ. 31]



თანამედროვე საოფისე ფართი დაქირავებული აქვთ უმეტესად საერთაშორისო და ადგილობრივ ფინანსურად ძლიერ კორპორაციებს. მაღალი კლასის ოფისებზე უფრო მცირე მოთხოვნაა, ვიდრე დაბალი კლასის საოფისე ფართზე. ადგილობრივი ქართული კომპანიების უმეტესობის მოთხოვნა ვრცელდება დაბალი კლასის ოფისებსა და აპარტამენტებზე.

მშენებლობა არის ინდუსტრია, რომელიც როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში წარმოადგენს ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს, ის მოიცავს დაგეგმარების, დიზიანის, მშენებლობის და ა.შ. პროცესების ერთობლიობას. მშენებლობას იქნება ეს საჯარო სექტორის, თუ კერძო კომპანიების, განახორციელებენ რეზიდენტები ან არარეზიდენტები და ის წარმოადგენს ინდუსტრიას, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური “უძრავი ქონების სტატისტიკური გამოკვლევა”, თბილისი, 2014, 11 გვ.
2. Colliers International “Tbilisi Real Estate Market Report 2014 “, Tbilisi, 2015, 63 p.
3. Ofori George, “THE CONSTRUCTION INDUSTRIES OF DEVELOPING COUNTRIES : THE APPLICABILITY OF EXISTING THEORIES AND STRATEGIES FOR THEIR IMPROVEMENT AND LESSONS FOR THE FUTURE”, London, 1980, 577 p.
4. Wiegelmann Thomas Wolfgang, “Risk Management in the Real Estate Development Industry”, Australia, 2012, 302 p.
5. www.geostat.ge
6. www.economy.ge

Real estate analysis (On the example of Tbilisi)

N. Zurashvili

Summary

The construction sector is very active in Georgia in the last 10-15 years. Especially great demand is for residential and office spaces in Georgian capital Tbilisi. This paper deals with the construction industry's role in the economy. In the paper is shown growth and decline of the construction industry trends by the years. The paper describes in the sale and rental of residential buildings, commercial and office space in the upward trend by years. There is analyzed, the supply trend the newly built area by the districts of Tbilisi.

Key words: *Construction, real estate, commercial real estate, economic growth, Tbilisi.*

ეროვნული იდენტობა და ქვეყნის ბრენდირება გლობალურ სისტემაში

ანნა თანდილაშვილი,
სტუ-ის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია გლობალურ გარემოში ქვეყნების იმიჯის ფორმირების თავისებურებები, ბრენდინგის გავლენა მათ რეპუტაციაზე, ბრენდის როლი მსოფლიო ბაზრებზე ქვეყნის პოზიციონირებაში, ასევე ადგილის ბრენდინგის თეორიული კონცეფციები, წარმოდგენილია ეროვნული ბრენდის ძირითადი ელემენტები, ფუნქციები და ეკონომიკური შედეგები, გაანალიზებულია ეროვნული ბრენდის ინდექსი, ქვეყნის იმიჯის საიდენტიფიკაციო ფუნქციები, ქვეყნის ავთენტურობის კრიტერიუმები და პოზიტიური იმიჯის გავლენა ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებზე.

საკვანძო სიტყვები: *ქვეყნის იმიჯი, ადგილის იდენტობა, ტერიტორიის კონკურენტული უპირატესობა, ქვეყნის ბრენდის კონცეფცია, ეროვნული ბრენდი, "ანჰოლტის ექვსკუთხედი".*

გაძლიერებული კონკურენტული გარემო ქვეყნებს აიძულებს მოახდინონ საკუთარი უპირატესობების გამოვლენა, შესწავლა, დიფერენცირება და მსოფლიო ბაზრებისათვის შეთავაზება, საკუთარი აქტუალურობისა და უპირატესობის დამტკიცება. ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავისი ფასეულობები განსაკუთრებული გეოგრაფიული განლაგებით, ინდივიდუალური ეკონომიკური სისტემით, საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური პროცესებით, ეთნიკური და კულტურული თავისებურებებით, ისტორიული ტრადიციებით, ადათ-წესებით, ყოველივე ეს აისახება ხალხის ცნობიერებასა და ქვეყნის იმიჯში ვლენდება.

მთავრობის ეფექტურობას არსებითად განაპირობებს მისი მცდელობა საკუთარ ქვეყანაზე დადებითი შეხედულებები შეუქმნას დანარჩენ მსოფლიოს. ქვეყნის რეპუტაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაზე. გლობალური წარმოდგენების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორად განსაზღვრული სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტია, რითაც შესაძლებელი ხდება ტერიტორიისათვის მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. ადგილის შესახებ საზოგადოების შეხედულება, როგორც წესი, შექმნილია სტერეოტიპებზე დაყრდნობით და განსაზღვრავს ამ ქვეყნის თუ ხალხის აღქმადობას, ასეთ აღქმაზეა დამოკიდებული ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და დიპლომატიური წარმატებები. ბრენდ-კონცეფციის მექანიზმი ქვეყნის იდენტობა და იმიჯია, რომლის სრულყოფა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და შესაბამისად, საერთაშორისო ასპარეზზე მის უკეთ პოზიციონირებაზეა ორიენტირებული.

გლობალურ სამყაროში ინდივიდუალიზმის დასამკვიდრებლად, სახელმწიფოებს აუცილებლად სჭირდებათ პოზიტიური ბრენდი, ქვეყნები ბრენდინგს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიად განიხილავენ და მასში მნიშვნელოვან ინვესტირებას ახდენენ. ძველი, ტრადიციული დიპლომატია ადგილს ბრენდ-სტრატეგიის ხელოვნებასა და იმიჯის მართვას უთმობს. გლობალიზაციის პროცესში, როდესაც სუსტდება ეროვნული საზღვრები, ბრენდ-სახელმწიფოები ისეთ პოლიტიკურ მოთამაშეებად იქცევიან, რომლებიც აგრესიული მეთოდებით ზრუნავენ თვითგანვითარებაზე, დადებითი იმიჯის შექნაზე, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება მათ, იყვნენ საერთაშორისო მასშტაბით ბრენდირებული.

ქვეყნის ბრენდინგის ამოცანაა მისი ძლიერი მხარეების გამოკვეთა, პოზიციონირება და გაძლიერება, რამაც უნდა უზრუნველყოს რეგიონის ძირითადი ღირებულებების, მისი მიზნების და მისიის ეფექტური რეალიზება. კარგად ორგანიზებული ბრენდინგი გრძელვადიანი პერსპექტივისათვის წარმატების საფუძველია. ქვეყნის ბრენდის კონცეფცია წარმოადგენს ძირითად შემოქმედებით იდეას, რომელიც აგებულია რეგიონის ძირითადი ფასეულობებების სიმბოლიზაციაზე.

ადგილის ბრენდინგი განიხილება როგორც საზოგადოების საბოლოო წარმოდგენებზე მოქმედი ყველა ცვლადის იდენტიფიკაციის, ორგანიზაციის და კოორდინაციის პროცესი. ადგილის იმიჯი მრავალგანზომილებიანი სისტემაა სხვადასხვა, ერთმანეთის განმაპირობებელი ელემენტებით: დემოკრატიის სახე, ხელისუფლების რეპუტაცია, ეკონომიკური, საგარეო- პოლიტიკური, საინფორმაციო იმიჯი, კულტურულ-ისტორიული ფაქტორი და ა.შ., ქვეყნის იმიჯი განსაზღვრავს სხვა ქვეყნებთან მისი ურთიერთობის ფორმას, სადაც, წინა პლანზე აუცილებლად, საკუთარი ინტერესები გამოდის, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს გლობალური საერთაშორისო ტენდენციებიც.

ბრენდინგი მსოფლიო ბაზრებზე ქვეყნის პოზიციონირების გაუმჯობესებას ემსახურება, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ძირითად ფაქტორად იმიჯის ამაღლება, რეპუტაციის სრულყოფა და ბრენ-

დინგის პროცესის სწორად ორგანიზება განიხილება. სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, თავისებურებები, მისი საბაზრო პოზიციონერების შედარებით სტაბილურობა, კონსერვატიულობა და პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელოვანი გავლენა, ქვეყნის მიმართ, გარკვეულწილად, ცვლის საქონლის ბრენდინგის სტანდარტულ პროცესს, შეაქვს მასში სპეციფიკური ნიშნები და ინდივიდუალური თავისებურებები. პროფ. ბ. რამიშვილის მოსაზრებით, ,,იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არსებობენ და მათ მიმართ მსოფლიოში ფორმირებულია შეხედულებები, უნდა იქნას გამოყენებული რებრენდინგის მეთოდოლოგია, მაგრამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გაჩნდა რამდენიმე ათეული ახალი სახელმწიფო, რომელთა საერთაშორისო ცნობადობა მინიმალური იყო. მათმა წარმოქმნამ ჩამოაყალიბა ქვეყნის ბრენდიგისადმი სისტემური მიდგომა 90-იანი წლების შუა ხანებში“ **[2. გვ248].**

ბრენდი ქვეყნის კონკურენტული იდენტობის მახასიათებელია, იგი ახდენს მისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული შესაძლებლობების დემონსტრირებას და ამ მიზნით აქცენტს აკეთებს ტერიტორიულ იდენტობაზე, რისთვისაც იყენებს ბრენდის ელემენტებს: პოლიტიკა, ბიზნესი და ინოვაციები, საექსპორტო ბრენდები, ტურიზმი, კულტურა, ადამიანები. „ბრენდის გარეშე შეუძლებელია უპირატესობების ბაზარზე დომინირება, ინვესტიციებისა თუ ტურისტული ნაკადებისთვისათვის ბრძოლაში წარმატების მოპოვება. ბრენდი იდეოლოგიური ფუნქციასაც ასრულებს, რამდენადაც ადგილობრივი მოსახლეობის მენტალობასა და ტრადიციებს ასახავს.“ **[1.გვ.83] .**

დადებითი იმიჯის ფორმირებას კარგად გათვლილი და დროში გაწერილი ბრენდინგი სჭირდება, სწორედ იმიჯის შესაქმნელად ხდება აქტუალური ქვეყნების ბრენდირება. ამ საკითხის მეცნიერული კვლევები გასული საუკუნის ბოლოდან იწყება. 1993 წელს გამოვიდა **ფილიპ კოტლერის** წიგნი „ტერიტორიების მარკეტინგი: ქალაქებში, შტატებსა და ქვეყნებში ტურიზმისა და ინვესტიციების მოზიდვა“[7], რომელმაც ფაქტობრივად პირველმა ჩამოაყალიბა მარკეტინგის როლი ქვეყნის წინწაწევაში. 1996 წელს **საიმონ ანჰოლტმა** პირველმა გამოიყენა ტერმინი „ადგილის ბრენდინგი“[6], მანვე შეიმუშავა ტერიტორიების ბრენდინგის დივერსიფიცირებული, კომპლექსური მიდგომა კონკურეტული იდენტობის საკუთარი კონცეფციის საფუძველზე.

ქვეყნის ბრენდინგის მეცნიერული გაგება, ვიზუალურ და ვერბალურ მახასიათებლებთან ერთად, (სახელი, ლოგო, ფონტი), მის ფილოსოფიურ არსს უკავშირდება (იდენტობა, ისტორია, კულტურა, სულიერი ფასეულობები). შესაბამისად, ქვეყნის ბრენდი განიხილება, ერთი მხრივ, როგორც არსებული იმიჯი და წარმოდგენა (რეპუტაცია) და, მეორე მხრივ, როგორც უნიკალური და რელევანტური ღირებულება. ბრენდი არის მრავალგანზომილებიანი ერთობა ფუნქციონალური, ემოციური, რელატიური და სტრატეგიული ელემენტების, რაც უნიკალურ წარმოდგენებს (აღქმებს) აყალიბებს ხალხის ცნობიერებაში. ეროვნული ბრენდის ძირითადი ელემენტები, ფუნქციები და შედეგები გამოსახულია სქემაზე: /ნახ.1/.

ქვეყნის ბრენდი საერთაშორისო საზოგადოების წარმოდგენაა მოცემული ქვეყნის შესახებ, ქვეყნის იმიჯი აღქმის პროცესის შედეგად ყალიბდება ადამიანის მეხსიერებაში. პლატონი ''იმიჯს'' კედელზე ჩრდილის გამოსახულებას ადარებდა, ვოლტერი კი საზოგადოებრივ აზრს ანუ იმიჯს ''საკუთარ თავში გამოსახულ სურათებს'' ადარებდა. **[3. გვ. 657-681].** დღეს იმიჯი და რეპუტაცია სახელმწიფოს სტრატეგიული კაპიტალის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტი გახდა, აქ მნიშვნელოვანია იდენტობის მახასიათებლების სწორად განსაზღვრა და დიდი ინფორმაციის ლაკონურად გადმოცემა, უცხოელი აუდიტორიისთვის მისი სწორად აღქმის პროცესის გამარტივების მიზნით.

ქვეყნის იმიჯის გამოყენება და ეროვნული საერთაშორისო ბრენდის შექმნა თანამედროვე მარკეტინგულ სტრატეგიად არის მიჩნეული, ეროვნული ბრენდინგი უზრუნველყოფს საზოგადოებაში იმ უნიკალური ფასეულობების და უპირატესობების მკაფიო წარმოდგენის შექმნას, რითაც ქვეყანა გამოირჩევა დანარჩენი სამყაროსაგან, რაც ამაღლებს და აძლიერებს მის კონკურენტულ უპირატესობებს. პროდუქციის ბრენდინგის მსგავსად, ქვეყნის იმიჯსაც სჭირდება საერთაშორისო ბაზარზე ინტერნაციონალიზაცია. ''ეროვნული ბრენდინგი, გუგლის საძიებო სისტემის მიხედვით, არის თეორიული დისციპლინა და მისი პრაქტიკული დანიშნულების მიზანია ქვეყნის რეპუტაციის გაზომვა, შექმნა და მართვა'' **[www.wikipedia.org].**

ბრენდი წარმატებულ იდეას უკავშირდება, რაც ხალხის ნდობას განაპირობებს. ტერიტორიის ბრენდინგის კონცეპტუალური მიდგომაა ის, რომ ქვეყნები უნდა განიხილებოდეს, როგორც კარგად „გაყიდვადი“პროდუქტი, ისინი ბაზარს საკუთარ თავს სთავაზობენ, როგორც ტურიზმისათვის, ინვესტირებისა და ბიზნესისათვის საინტერესო ადგილს, როგორც ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებელს და ა.შ. ამ მიზნით ქყვეყანას უნდა ჰქონდეს დადებითი, ორიგინალური იმიჯი, მასობრივი ცნობადობა, ანუ ყოველივე ის, რაც აყალიბებს ბრენდს. ეფექტური ბრენდინგი აუცილებლად მოითხოვს საკუთარი თავის პრომოუშენს, რეკლამირებას, ამ პოზიციიდან, ბრენდი არის გზა მომავლისაკენ. სახელმწიფოს განვითა-

რებისაკენ, რამდენადაც იგი ემსახურება საერთაშორისო საზოგადოებაში ნდობის გაძლიერებას, სამეწარმეო ეფექტის ზრდას, სიმდიდრის შექმნას და კეთილდღეობის ამაღლებას, იგი ხელს უწყობს ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, ექსპორტის ზრდას და ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს შექმნას. სწორედ ბრენდის ეს ასპექტები განაპირობებს ქვეყნის ცნობადობის ზრდას და დიპლომატიური ურთიერთობების სტაბილურობას.

ეროვნული ბრენდის ელემენტები ნახ.1.



სახელმწიფო-ბრენდის შექმნის პიონერად XX ს-ის 50-იან წლებში რეკლამის ცნობილი სპეციალისტი **დევიდ ოგილეი** ითვლება, პირველად ცნება ''ქვეყანა-ბრენდი'' კი სამეცნიერო ლიტერატურაში 1996 წელს **საიმონ ანჰოლტმა** შემოიტანა, მან ქვეყნის ბრენდინგის კვლევების საკუთარი მეთოდიკა შეიმუშავა, შემდეგი პარამეტრებით: ექსპორტი, მთავრობა, კულტურა და მემკვიდრეობა, მოსახლეობა და მიგრაცია, ტურიზმი, ინვესტიციები,-ე.წ. **"ანჰოლტის ექვსკუთხედი"[6].**

ადგილის ბრენდინგის შექმნის თეორიულ საკითხებზე ასევე მუშაობდა საერთაშორისო კომპანია **FutureBrand,** რომელმაც ჩამოაყალიბა ძლიერი ქვეყანა-ბრენდის შექმნის ძირითადი პრინციპები: ხელისუფლების და ეკონომიკის თანამშრომლობა, ინვესტიციების და ცოდნის მოზიდვა, ეკონომიკური ფასეულობების შექმნის ფაქტორების გააქტიურება, სიახლეების და ნოვაციების ხელშეწყობა, სტერეოტიპების კორექტირება, უნიკალური იდეის ფორმირება, გლობალური კონკურენტული უპირატესობის მოპოვება, ქვეყნის სლოგანის შექმნა. ამ კომპანიას უკავშირდება უაღრესად მნიშვნელოვანი ანალიტიკური პროდუქტი-ქვეყნების ბრენდის რანჟირების კრიტერიუმები: აუთენტურობა (თვითმყოფადობა), ისტორია, ხელოვნება და კულტურა, ტერიტორიული თავისებურებები, უსაფრთხოება, დასვენება, ბუნებრივი გარემოს მიმზიდველობა, სანაპირო ზოლები, ღამის ცხოვრება, შოპინგის შესაძლებლობები, კარგი ეროვნული სამზარეულო, სპორტული აქტივობები, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა, ოჯახური ტურიზმის შესაძლებლობები, ცხოვრების სტანდარტები, ბიზნეს-გარემო, საქმიანი შეხვედრის შესაძლებლობები.

2006 წლიდან კონკურენტული იდენტურობის კონცეფციის საფუძველზე **საიმონ ანჰოლტი** იკვლევს ტერიტორიული ერთეულების ბრენდინგს, ამ კვლევის შედეგები ყოველწლიურად აისახება ინტერნეტ-სივრცეში **(www.simonanholt.com).** მსოფლიოს 200-მდე ქვეყნიდან ს.ანჰოლტის კვლევის შედეგების მიხედვით, 113 ბრენდი-ქყვეყანა არსებობს , მათ შორის არ ფიგურირებს საქართველო, თუმცა, ბოლო პერიოდში საქართველოს რებრენდინგზე ზრუნვა მნიშვნელოვნად გააქტიურდა, 2005 წელს ჟურნალმა MARK (ამსტერდამის არქიტექტურული ჟურნალი) დაბეჭდა სტატია **„ახალი ბრენდი-საქართველო" [4.**

№37]. განხორციელდა **თბილისის რებრენდინგი.** მისი ავტორი იყო ბრენდინგის სპეციალისტი, **„ოთხგანზომილებიანი ბრენდინგის“** ავტორი, **თომას გედი,** მან შექმნა თბილისის ახალი ლოგო და სლოგანი **-„ქალაქი, რომელსაც უყვარხარ“.** თომას გედმა თბილისი პოზიციონირება მოახდინა, როგორც ახალი ურთიერთობების, ბიზნესის დაწყებისათვის საუკეთესო ადგილი, დედაქალაქი, რომელიც აერთაინებს კულტურას, ისტორიას და თანამედროვეობას.

არსებული მარკეტინგული ტექნოლოგიების საფუძველზე დღეისათვის ვლინდება საუკეთესო ქვეყნები შემდეგ ნომინაციებში: პოლიტიკური თავისუფლება, საქმიანი მოგზაურობის პირობები, პროდუქციის და მომსახურების მაღალი ხარისხი, ქვეყნის გარეთ ემიგრაციის და ქვეყანაში დაბრუნების სურვილი, თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები და სხვა, სარეიტინგო შეფასების გზით დგინდება ე.წ. **„ეროვნული ბრენდის ინდექსი“**, რომლის მიხედვითაც ამჟამად გამოვლენილია ქვეყნების შემდეგი ტოპათეული:

1. აშშ 6. კანადა
2. გერმანია 7. იტალია
3. ინგლისი 8. ავსტრალია
4. საფრანგეთი 9. შვეიცარია
5. იაპონია 10. შვედეთი

ყველა ქვეყანას აქვს საშუალება აქცენტი გააკეთოს მისთვის პრიორიტეტულ ფაქტორზე და საერთაშორისო იმიჯის ფორმირების პროცესში მასზე გააკეთოს აპელირება, თანამედროვე მსოფლიოში წინა პლანზე სულ უფრო მეტად მეცნიერება და ინტელექტუალური მოღვაწეობა გამოდის, ეს ფაქტორი ძალიან მნიშნელოვანია საქართველოსათვის, ისევე, როგორც ჩვენი კულტურა, რაც კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს ცნობადობას საერთაშორისო საზოგადოებაში.

სახელმწიფოს იმიჯზე აქტიურ გავლენას ახდენს ქვეყანაში წარმატებული, საყოველთაოდ აღიარებული დარგების არსებობა. მაგ: **გერმანიის** ბიზნეს-იმიჯი ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა **Mersedes, Volkswagen. Simens** და სხვა ბრენდირებული ფირმების მიერ, ამასთან, თვით გერმანიის არსებული რეპუტაცია ხელს უწყობს ახალი პროდუქტის პოპულარიზაციას და მისი დადებითი იმიჯის შექმნას. **იაპონია** თავად არის ბრენდი ელექტრონული პროდუქციის ბაზარზე, პროდუქციისა და ქვეყნის ერთიანი უნიკალური ბრენდის მაგალითია **ფრანგული** სუნამო და ღვინო, **იტალიური** სამზარეულო, **ინგლისური** მატყლის ქსოვილი, **შვეიცარიის** იმიჯი საფინანსო და ტურიზმის სფეროში, საათების წარმოებაში, **ბელგიური** შოკოლადი, **ჰოლანდიის** და **ისრაელის** წარმატებული იმიჯი სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის ბრენდს სასაქონლო ნიშანთან ერთად, ხშირად მისი კულტურული ფასეულობებიც აყალიბებს. მაგალითად **აშშ-ის** იმიჯი უაღრესად განვითარებული მეცნიერებით და განათლებით, სრულყოფილი დემოკრატიული სისტემით ჩამოყალიბდა, **ფინეთის** საერთაშორისო იმიჯს **Nokia**-სთან ერთად, ე.წ. **„ფინური აბანოც“** განსაზღვრავს, **ირლანდიის** საერთაშორისო ცნობადობა ლუდთან ერთად, არსებითად, **RiverDance** განსაზღვრა, **ხორვატიის** იმიჯზე დადებითი გავლენა იქონია ეროვნული ნაკრების წარმატებამ ფეხბურთში და ა. შ.

ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის შესასწავლად **მ.პორტერმა** დეტერმინანტების სისტემა შექმნა -**„კონკურენტული რომბის’’** სახით, რომელმაც კონკურენტუნარიანობის განვითარების ოთხი მხარე გამოყო: ფაქტორების, ინვეტიციების, ინოვაციების და სიმდიდრის მართვა **[5. გვ.5].**

კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებისათვის ქვეყნები საზოგადოების მიერ აღქმული უნდა იყვნენ როგორც არსებული რეალობიდან, ისე შესაძლო პერსპექტივებიდან გამომდინარე, ქვეყნის ბრენდის იდენტურობის, მისი სწორი იმიჯის და რეპუტაციის შექმნისათვის აუცილებელია ამ პროცესების კოორდინირება და ეროვნულ სტრატეგიაზე დაფუძნება, ქვეყნის ეკონომიკის, მისი პოლიტიკური და კომერციული ინტერესების წინწაწევის სტრატეგიის გატარება, რაც დაემყარება ინტეგრირებისა და სისტემატიზებული თანამშრომლობის პრინციპებს.

ქვეყნის უნიკალური იმიჯი მას დანარჩენი სამყაროსაგან განასხვავებს და სახელმწიფოების დიფერენცირებას ედება საფუძვლად, იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის მომავალზე, რამდენადაც წარმატებული იმიჯი დიდად უწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, ამისათვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ორიგინალური, ცნობადი, პოზიტიური იმიჯი, - ის რაც მის ბრენდს აყალიბებს. იმიჯის სრულყოფას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში სასაქონლო ბრენდების არსებობაც, გლობალური მომხმარებლის აზროვნებაში ბრენდები და სახელმწიფოები ერთმანეთს ერწყმიან და ქვეყნის სავიზიტო ბარათს ქმნიან, ამ თვალსაზრისით ბრენდ-სახელმწიფი თანდათან ასუსტებს ვიწრო ნაციონალიზმს და გლობალურ სისტემაში საკუთარი თავის პოზიციონირებას ახდენს ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნიკური და ეკონომიკური მოტივების გამოყენებით.

ქვეყნის პოზიტიურ იმიჯს დიდი კონკურენტული უპირატესობა აქვს, იგი სახელმწიფო ინტერესების დაცვის, საერთაშორისო კავშირების გაფართოების და ახალი ურთიერთობების დამყარების მნიშვნელოვანი მექანიზმია. ძლიერ იმიჯს შეუძლია გადამწყვეტი როლის შესრულება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ მდგრადობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გრძელიშვილი ნ., გრძელიშვილი რ.** ბრენდინგის როლი რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ფორმირებაში , ჟურ. „მოამბე“ N20, 2014
2. **რამიშვილი ბ.**, „ბრენდინგი“ -ქვეყნების გლობალურ-ეკონომიკურ სივრცეში პოზიციონირების საშუალება, თბ.2011
3. **შუბითიძე ვ., ბუცხრიკიძე ქ**. იმიჯოლოგია, თბილისი-ქუთაისი, 2009
4. **New Brand Georgia**, MARK, Amsterdam, 2012,N37
5. **Williams John**, Make Over Your Business Image (onlain), 2005
6. Anholit S. (2006). Special report on Europe’s international image, N2, 2006, on the statue of Brand Denmark, Place branding, 2. 9(3).
7. Kotler p. Gentner D. Country as Brand Product, and Leyond A. Ploce Marketing and rand Management Perspective
8. **www.wikipedia.org**
9. **www simonanholt**

National Identity and Country Branding in the Global System

A. Tandilashvili

Summary

The article discuses country image formation features in the global environment, impact of branding on their reputation, role of branding in the worldwide market in the positioning of the country. The article presents theoretical concepts of place branding, represented key elements of national brand, functions and economic results, analyzed national brand index, the country image identification functions, the authenticity criteria of the country and the impact of positive image on the country's competitive advantages.

Key words: *The country's image, The identity of the place, The competitive advantage, The concept of the brand, National brand, "Anholtis hexagon".*

საქართველოს სასურსათო ბაზარზე სამართლებრივი გარემოს ფორმირების ძირითადი ასპექტები

ნუგზარ თოდუა,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბაბულია მღებრიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე უროტაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საქართველოში სასურსათო ბაზრის რეგულირების სფეროში ევროპული სტანდარტების დანერგვის მნიშვნელოვანი შედეგები: დახასიათებულია სურსათის კანონმდებლობაში შემავალი კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტების შექმნისა და ამოქმედების პროცესი; გაანალიზებულია ძირითადი სამართლებრივი აქტების შინაარსი; განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მარკირებისა და მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფის საკითხებზე. დასკვნის სახით ნათქვამია, რომ ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაო, თუმცა, სურსათის ეროვნული კანონმდებლობა ხასიათდება გარკვეული ხარვეზებით, რომელთა აღმოფხვრის მიზნით ნაშრომში შემუშავებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *სასურსათო ბაზარი, სამართლებრივი გარემო, მომხმარებელთა ქცევა.*

სურსათის რეგულირების ძირითადი ამოცანაა მომხმარებელთა დაცვა ჯანმრთელობისთვის, ზოგჯერ სიცოცხლისთვისაც კი, საშიში პროდუქტებისგან. სასურსათო პროდუქტების შეძენისა და მოხმარების პროცესში მომხმარებელთა დაცვის მიზნით ევროკავშირის დონეზე მოქმედებს შესაბამისი კანონმდებლობა. ბოლო პერიოდში, სამართლებრივი თვალსაზრისით, სურსათის უვნებლობის, მარკირებისა და მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოშიც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია [1, 2].

ცხადია, სურსათის რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ევროპული სტრანდარტების შემოღება საქართველოსთვის არ არის ადვილი. მაგრამ ეს პრობლემა არც ევროკავშირს მოუგვარებია მარტივად. თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებს სურსათის ძირითადი კანონის მისაღებად. სურსათის კანონმდებლობის შექმნის პროცესი საქართველოში, ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობის გაანალიზებისა და გათვალისწინების საფუძველზე, აქტიურად მიმდინარეობს.

ევროკავშირში სურსათთან დაკავშირებული კანონმდებლობა მოიცავს შემდეგ ძირითად ნორმატიულ აქტებს [3]:

- სურსათის ძირითადი კანონი-Regulation (EC) №178/2002.
- სურსათის ეტიკეტირების წესები - Regulation (EC) №1169/2011, რომელმაც ჩაანაცვლა Directive 2000/13/EC.
- სურსათის ჰიგიენის საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც შედის:
  - სასურსათო პროდუქტების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები- Regulation (EC) №852/2004;
  - სურსათის სახელმწიფო კონტროლის წესები- Regulation (EC) №882/2004;
  - ჰიგიენის სპეციალური მოთხოვნები ცხოველური წარმოშობის სურსათისთვის- Regulation (EC) №853/2004;
  - კონტროლის სპეციალური წესები ცხოველური წარმოშობის სურსათისთვის- Regulation (EC) №854/2004;
- სურსათის მიკრობიოლოგიური ნორმები- Regulation (EC) №2073/2005.
- დაშვებული დანამატები სურსათზე, არომატიზატორები და მათი ნორმები:
  - Regulation (EC) №1333/2008;

- Regulation (EC) №1334/2008.

სურსათის ევროპული კანონმდებლობის შესწავლაში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა. საფუძვლიანად გაანალიზდა სურსათის ევროპული კანონმდებლობა ამ ცენტრის მიერ მომზადებულ შრომებში (სურსათის ძირითადი კანონი, სურსათის ეტიკეტირების წესები, სურსათის ჰიგიენა, სურსათის (არასაკვები) დანამატები [4, 5, 6, 7].

სურსათის ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში საქართველოში დღეს მოქმედ ძირითად საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენს:

- საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი (საქართველოს პრეზიდენტი, თბილისი, 2012 წლის 8 მაისი);
- საქართველოს კანონი სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ (საქართველოს პრეზიდენტი, ქუთაისი, 2014 წლის 11 დეკემბერი);
- ტექნიკური რეგლამენტი სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №441, თბილისი, 2013 წლის 31 დეკემბერი);
- ტექნიკური რეგლამენტი მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე (საქართველოს მთავრობის დადგენილება №301, თბილისი, 2016 წლის 1 ივლისი).

აღნიშნული კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტების გარდა საქართველოს მთავრობამ, ბოლო სამი წლის განმავლობაში, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოამზადა და დაამტკიცა კიდევ ბევრი ნორმატიული აქტი, რომელთა რეგულირების სფეროს წარმოადგენს სურსათთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: სურსათის ჰიგიენა, სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, ცალკეული სახის სურსათის ეტიკეტირება და ა.შ. ეს ნორმატიული აქტებია: ტექნიკური რეგლამენტი-ცხოველთა ხორცის დადამღვის წესის დამტკიცების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №9, 03.01.2014); ტექნიკური რეგლამენტი-საცალო ვაჭრობაში დაუფასოებელი პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის ჰიგიენური პირობებისა და წესების დამტკიცების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №10, 03.01.2014); ტექნიკური რეგლამენტი-სურსათთან დაკავშირებული ტარის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №73, 15.01.2014); ტექნიკური რეგლამენტი რძისა და რძის ნაწარმის შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №152, 03.04.2015); ტექნიკური რეგლამენტი-სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №581, 10.11.2015); ტექნიკური რეგლამენტი-საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №118, 09.03.2016) და ა.შ.

ამასთან, 2015 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის №534 დადგენილებით, შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №173 დადგენილებაში-სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოს/დისტრიბუტორის ჰიგიენის ზოგადი წესისა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ. ცვლილებების შესაბამისად დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტები-სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის ზოგადი წესის შესახებ და სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესის შესახებ.

საქართველოში მიღებულ და დღეს მოქმედ სურსათის კანონმდებლობაში შემავალი ნორმატიული აქტები სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის თითქმის ყველა საკითხს მოიცავს. ზოგადი მიდგომები პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსშია ჩამოყალიბებული, შემდეგ კი ისინი დაწვრილებით არის გაწერილი შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში [8] აღნიშნულია, რომ „კოდექსის მიზანია ა)ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვა; ბ)უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება. . .“ [8,მუხლი 1]. კოდექსი განმარტავს, თუ რა არის უსაფრთხო ან სახიფათო პროდუქტი. კოდექსის მიხედვით, უსაფრთხოდ ითვლება „პროდუქტი, რომელიც დანიშნულებისამებრ, გონივრული გამოყენებისას და ვარგისობის ვადის დაცვისას არ შეიცავს რისკს, ან შეიცავს მხოლოდ ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გათვალისწინებით დასაშვებად მიჩნეულ მინიმალურ რისკს“ [8,მუხლი 4, პუნქტი 2].

კოდექსის მეორე თავი, მიზნად ისახავს რა მომხმარებლების დაცვას, განსაზღვრავს მწარმოებლის პასუხისმგებლობის საკითხებს წუნდებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისთვის. მესამე თავში ბა-

ზარზე განთავსებული პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მწარმოებლისა და დისტრიბუტორის ვალდებულებები, პროდუქტის უსაფრთხოების შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები, პროდუქტის მოხმარებისას მოსალოდნელი რისკების შესახებ მწარმოებლისა და დისტრიბუტორის მოვალეობები არის ჩამოყალიბებული. აქვე ყურადღებაა გამახვილებული პროდუქტის შესახებ მწარმოებლის/დისტრიბუტორის მიერ მომხმარებლის ინფორმირებაზე. აღნიშნულია, რომ „მწარმოებელი/ დისტრიბუტორი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია, რაც მას სწორი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს“ [8, მუხლი 12, პუნქტი1]. კოდექსი მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სახეებსაც განსაზღვრავს, ზოგად ჭრილში, ყველა სახის პროდუქტზე [8, მუხლი 12, პუნქტი 2]. კოდექსის შესაბამისად, სასურსათო პროდუქტებზე მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სახეები დაკონკრეტებულია ტექნიკურ რეგლამენტში-სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ და ტექნიკურ რეგლამენტში-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ყურადღებას ამახვილებს პროდუქტის ნიშანდებაზეც (მარკირებაზე), რადგან ის ეხმარება მომხმარებლებს პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით არჩევანის სწორად გაკეთებაში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ნიშანდების საკითხები ზოგად ჭრილშია წარმოდგენილი-ის ყველა სახის პროდუქტს ეხება. კოდექსში ნიშანდების შესახებ შემდეგია ნათქვამი: „პროდუქტის ნიშანდება არის პასუხისმგებელი პირის მიერ იმის დეკლარირება, რომ: ა)პროდუქტი შეესაბამება ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებს და საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; ბ)პროდუქტს გავლილი აქვს შესაბამისობის შეფასების პროცედურები“ [8, მუხლი 94, პუნქტი 1].

პროდუქტის ნიშანდების საკითხები დაწვრილებით არის განხილული ტექნიკურ რეგლამენტში-სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ [9], რომელშიც ტერმინები - ნიშანდება და მარკირება არ არის ნახსენები. ამ ნორმატიულ აქტში საუბარია მხოლოდ ეტიკეტსა და ეტიკეტირებაზე. თუმცა, ეს ნორმატიული აქტი ეტიკეტსა და ეტიკეტირებას არ განმარტავს. ტერმინოლოგიური შეუსაბამობა სასურსათო კანონმდებლობაში სპეციალისტებსაც კი სირთულეებს უქმნის, რიგით მომხმარებლებზე რომ არაფერი ითქვას. მარკირება, ნიშანდება, ეტიკეტირება, დადამღვა, ეტიკეტი, იარლიყი, ბირკა, შტამპი, ნიშანი - ის ტერმინებია, რომელთაც ბიზნესში პროდუქციის მარკირების პროცესში იყენებენ, ამიტომ ნორმატიულ აქტებში ისინი განმარტებული უნდა იყოს. მართალია, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა, ტექნიკურმა რეგლამენტმა-მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ეტიკეტი და ეტიკეტირება განმარტა, მაგრამ არ ახსნა ეტიკეტირების კავშირი მარკირებასა და ნიშანდებასთან. ჩვენი აზრით, ტერმინოლოგია უნდა დაზუსტდეს, მათ შორის კავშირი უნდა დადგინდეს და არჩევანი უნდა გაკეთდეს მსგავსი შინაარსის ტერმინებს შორის.

ტექნიკურ რეგლამენტში-სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ - ვრცლად არის წარმოდგენილი ის მოთხოვნები, რომელთაც ეტიკეტი უნდა აკმაყოფილებდეს. კონკრეტულად, მოცემული ნორმატიული აქტი მომხმარებელზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის ეტიკეტს უყენებს შემდეგ მოთხოვნებს: სურსათის ეტიკეტი შეფუთულ ერთეულზე უნდა მიემაგროს ან განთავსდეს ისე, რომ ადვილად არ სცილდებოდეს; ეტიკეტზე განთავსებული სავალდებულო ინფორმაცია მომხმარებლისთვის უნდა იყოს სრული, გასაგები, შესამჩნევი, ადვილად წასაკითხი; დასაშვებია ეტიკეტზე წერილობითი, ბეჭდური ან გრაფიკული გამოსახულებების განთავსება; ეტიკეტზე სურსათის დასახელება და შემადგენლობა განთავსებული უნდა იქნეს გამოსაჩენ ადგილას, ხედვის ერთ არეალში; სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების ჩამონათვალი მოცემული უნდა იქნეს სათაურით-„შემადგენლობა“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სურსათი შეიცავს მხოლოდ ერთ ინგრედიენტს; სურსათის ეტიკეტზე ინფორმაცია უნდა განთავსდეს ქართულ ენაზე; სურსათის მცირე ზომის დაფასოებული ერთეულისთვის, რომლის ზედაპირის ფართობი 10 სმ^2-ზე ნაკლებია, არ არის სავალდებულო ეტიკეტზე პარტიის, ინგრედიენტების ჩამონათვალის, შენახვის ვადისა და გამოყენების ინსტრუქციის შესახებ ინფორმაციის განთავსება [9, მუხლი 3, ქვეპუნქტები 1-7].

ბუნებრივია, მომხმარებლისთვის ეტიკეტის მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა მნიშვნელოვანია და, მოცემული ნორმატიული აქტის შესაბამისად, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, დაიცვან ეს მოთხოვნები. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მე-2, მე-4 და მე-6 პუნქტები. მათი მეშვეობით მომხმარებელი სწორად ახდენს პროდუქტის იდენტიფიკაციას, რაც უადვილებს ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. ბიზნესოპერატორების მხრიდან ეტიკეტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაცვა არსებითად ზრდის მის როლს მომხმარებლის მიერ სურსათის შერჩევის პროცესში.

როგორც უკვე აღინიშნა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-

12 მუხლში ჩამოთვლილია ინფორმაციის სახეობები, რაც უნდა მიეწოდოს მომხმარებელს პროდუქტთან დაკავშირებით. სასურსათო პროდუქტთან მიმართებით მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სახეობები შემდეგ გაიწერა ტექნიკურ რეგლამენტში-სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ. აღნიშნულ ნორმატიულ აქტში დაკონკრეტებულია ის აუცილებელი ელემენტები, რომლებსაც უნდა მოიცავდეს სურსათის ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია: სურსათის დასახელება, ინგრედიენტების ჩამონათვალი, ეტიკეტზე სურსათის რაოდენობრივი წარდგენის წესი [9, მუხლი 4]. ჩამოთვლილია ის მოთხოვნებიც, რომლებსაც ეტიკეტის აღნიშნული ელემენტები უნდა აკმაყოფილებდეს. ტექნიკურ რეგლამენტში-სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ - ყურადღებაა გამახვილებული იმ მოთხოვნებზეც, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს კვებითი ღირებულების შესახებ მომხმარებლისთვის ეტიკეტის მეშვეობით მიწოდებულმა ინფორმაციამ [9,მუხლი 6]. ცალკე მუხლშია ჩამოყალიბებული გენეტიკურად მოდიფიცირებული სურსათის ეტიკეტირების საკითხები [9, მუხლი 9], რომლებიც შემდგომ დაწვრილებით გაიწერა ამ მიმართულებით მიღებულ კანონში-სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ [10]. ამ კანონის მე-7 მუხლი განსაზღვრავს ეტიკეტირების შემდეგ წესებს: 1.სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და გენმოდიფიცირებული პროდუქტი ეტიკეტირებული უნდა იქნეს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და დგენილი წესით, თუ მათ შემადგენლობაში არსებული გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები საერთო მასის 0,9%-ზე მეტია. 2.გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში განთავსებული უნდა იყოს წარწერა „გმო“, ხოლო გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში – წარწერა „გმ“. აღნიშნული წარწერები იმდენად თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი და მკვეთრად გამოსახული უნდა იყოს, რომ მომხმარებელმა ადვილად შეძლოს მათი იდენტიფიცირება. 3.გენმოდიფიცირებული ინგრედიენტის/ინგრედიენტების შემცველი პროდუქტის ეტიკეტირებისას ამ პროდუქტზე აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს გენმოდიფიცირებული ინგრედიენტის/ინგრედიენტების სახელი/სახელები. 4.სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესებთან შესაბამისობა დგინდება სახელმწიფო კონტროლისა და საბაჟო კონტროლის დროს.

ეს კანონი ხაზს უსვამს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, რომ მათ ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება და სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობითა და სხვა საერთაშორისო აქტებით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებისა და ჰარმონიზაციისთვის ხელშეწყობის საკითხებს [10, მუხლი 1].

უკვე ითქვა, რომ სურსათის ეტიკეტზე განსათავსებელი ინფორმაციის სახეობები, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად, მოცემულია ტექნიკურ რეგლამენტში-სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ, უფრო დაწვრილებით კი ის გაიწერა ტექნიკურ რეგლამენტში-მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე [11], რომელიც 2018 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება. ეს ნორმატიული აქტი „ადგენს სურსათის ეტიკეტზე განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს, მოთხოვნებს და ინფორმაციის წარდგენის პროცედურებს [11, მუხლი1, პუნქტი 2] და „ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათზე, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის. . .[11, მუხლი 1, პუნქტი 3]. ტექნიკური რეგლამენტი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის ხასიათზე. რეგლამენტის მიხედვით „სურსათის შესახებ ინფორმაცია არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი“ [10, მუხლი 6, პუნქტი1]. ამასთან, „ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, მკაფიო და მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები“ [11, მუხლი 6, პუნქტი 2]. მოცემული ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მიხედვით, მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ მიწოდებულ ინფორმაციაში უნდა შედიოდეს: სურსათის დასახელება; ინგრედიენტების ჩამონათვალი (ალერგიის გამომწვევი ან მომატებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების მითითებით); გამოყენებული ინგრედიენტების ან ინგრედიენტების კატეგორიების რაოდენობა; სურსათის ნეტო (სუფთა) წონა; ვარგისიანობისა და გამოყენების ვადები; შენახვის ან გამოყენების ნებისმიერი განსაკუთრებული პირობები; პასუხისმგებელი ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი; სურსათის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი; სურსათის გამოყენების ინსტრუქცია, თუ ინსტრუქციის გარეშე ვერ ხდება სურსათის შესაბამისად გამოყენება; სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაცია სასმელისთვის, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა აღემატება 1,2%-ს; ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს აგრეთვე სავალდებულო მონაცემების წარდგენის წესს [11, მუხლი12] და ინფორმაციის თითოეული სახის შინაარსს და ეტიკეტზე განთავსების წესს ცალ-ცალკე მუხლებში [11, მუხლები 16-28].

უკვე აღინიშნა, რომ ტექნიკურმა რეგლამენტმა მომხმარებლისათვის სურსათის მიწოდების თაობაზე, მთელ რიგ ტერმინებთან ერთად (საკვები ფერმენტი, არომატიზატორი, ინგრედიენტი...), ეტიკეტი და ეტიკეტირება და მასთან დაკავშირებული რიგი ტერმინებიც განმარტა. ტექნიკურ რეგლამენტში ეტიკეტის არსი ასეა ჩამოყალიბებული: „ეტიკეტი-სურსათის შეფუთვაზე ან ტარაზე (კონტეინერზე) ან თანდართულ დოკუმენტში წერილობითი, ბეჭდური, შაბლონის, აღნიშნული ან ამოტვიფრული სახით განთავსებული იარლიყი (ბირკა), სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), სავაჭრო ნიშანი (მარკა), გრაფიკული ან სხვა აღწერილობითი გამოსახულება“ [11, მუხლი 2, ო]. რაც შეეხება ეტიკეტირებას, იგი ასეა განმარტებული: „ეტიკეტირება-ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში“ [11, მუხლი2, პ)]. ჩვენი აზრით, ეტიკეტისა და ეტიკეტირების ცნებები სათანადოდ არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული და საჭიროებს დაზუსტებას.

როგორც მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შინაარსიდან ირკვევა, მისი ამოქმედების შემდეგ მომხმარებლის ინფორმირების საკითხები სურსათზე რამდენადმე გაუმჯობესდება. ასეთ პირობებში მომხმარებლის ინტერესების დაცვისა და მის მიერ სურსათის ყიდვისას სწორი არჩევანის გაკეთების ალბათობა, ბუნებრივია, ამაღლდება.

ყველა სახის სურსათზე ორიენტირებულ ნორმატიულ აქტებთან ერთად, საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა ცალკეული სახის სურსათის მიხედვით (ვერტიკალური კანონმდებლობა) ნორმატიული აქტების დამუშავებისა და დამტკიცების მიმართულებითაც. მათ შორისაა ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული ტექნიკური რეგლამენტები რძისა და რძის ნაწარმის და საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ.

რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში [12] დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცვლელი პროდუქტების ეტიკეტირების წესები [12, მუხლი 5]. განხილულია ჰიგიენის საკიხებიც. რეგლამენტში, ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობის შესაბამისად, ბიზნესოპერატორს ევალება „დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა“ [12, მუხლი 8, პუნქტი 1]. შემდეგ ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს რძის წარმოების ადგილი და ამ დროს გამოყენებული აღჭურვილობები. ასე, მაგალითად, რძის შესანახად გამოყენებულ ადგილთან დაკავშირებით, რეგლამენტში ნათქვამია, რომ ის უნდა იყოს: „მავნებლებისგან დაცული; ცხოველის სადგომისგან გამოცალკევებული; აღჭურვილი შესაბამისი რძის გასაცივებელი საშუალებებით“ [12, მუხლი 8, პუნქტი 2, ქვეპუნქტია]. რეგლამენტი ადგენს რძისა და რძის ნაწარმის იდენტიფიცირების (საიდენტიფიკაციო ნიშნის) მინიჭების წესსაც [12, მუხლი 9].

ტექნიკური რეგლამენტის-საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი [13] მიზანი ასეა განსაზღვრული: „ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა და საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე ეტიკეტირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა “ [13, მუხლი 2, პუნქტი 1]. აღნიშნულის შესაბამისად, რეგლამენტში ცალცალკეა ჩამოყალიბებული ეტიკეტირების მიმართ წაყენებული მოთხოვნები ხორცის [13, მუხლი 5], გატარებული ხორცის [13, მუხლი 7], ხორცის ანაჭერის [13, მუხლი 8], დაჭრილი შეფუთული ხორცის [13, მუხლი 9] და შეუფუთავი ხორცის [13, მუხლი 10] მიხედვით. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ გაიზრდება მომხმარებელთა ინფორმირების ხარისხი საქონლის ხორცსა და საქონლის ხორცის პროდუქტებზე, რაც მას სწორი არჩევანის გაკეთებას და საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვას გაუადვილებს.

საქართველოს სასურსათო ბაზარზე მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

1. სურსათის ეროვნული კანონმდებლობის შექმნის მიმართულებით საქართველოში ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობის შესწავლის საფუძველზე.
2. სურსათის კანონმდებლობა საქართველოში თანდათანობით იხვეწება და სულ უფრო სრულყოფილი ხდება.

3. პროდუქტის ეტიკეტირების (ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინს-მარკირება) შესახებ საქართველოში არ არსებობს ერთიანი კანონი, რომელშიც ცალ-ცალკე იქნება ჩამოყალიბებული მოთხოვნები სასურსათო და არასასურსათო პროდუქტების ეტიკეტირების მიმართ.
4. ეტიკეტირებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი (ნიშანდება, მარკირება, ეტიკეტირება). ჩვენი აზრით, ეტიკეტირების შესახებ კანონმა უნდა განსაზღვროს ეტიკეტირების პროცესში გამოსაყენებელი ტერმინოლოგია, თითოეული ტერმინის შინაარსი და უნდა დაადგინოს მათ შორის ურთიერთკავშირი.
5. პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ კანონში აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს სანქციები ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ბიზნესოპერატორების ტიპების მიხედვით.
6. ეტიკეტირების შესახებ კანონში ცალკე მუხლად უნდა გამოიყოს დიეტური სასურსათო პროდუქტების ეტიკეტირების წესი.
7. ეტიკეტირების შესახებ ერთი დამოუკიდებელი კანონის ამოქმედებით მომხმარებელს გაუადვილდება ეტიკეტირების საკითხებში გარკვევა და ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად.
8. მომხმარებელთა უფლებების დასაცავად არ არის საკმარისი სურსათის კანონმდებლობის შექმნა. აუცილებელია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის დროულად ამოქმედება. ამ კანონმა უნდა მიუთითოს მომხმარებელს იმ გზებზე, რომელთა მიხედვითაც, ეტიკეტირების წესის დარღვევის შემთხვევაში, უნდა იმოქმედოს მან საკუთარი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Todua N., Gogitidze T., Phutkaradze J. Georgian Consumer Attitudes Towards Genetically Modified Products. International Journal of Management and Economics. Vol. 46/2015,Issue 1. pp. 120-133.
2. Mghebrishvili B., Urotadze E. (2016). Characteristics of Food Products Labeling in Georgia. Proceedings of International Scientific Symposium „Economics, Business & Finance“ . Jurmala, Latvia, pp. 135-138.
3. ევროკავშირის კანონმდებლობა სურსათზე (2013) http://www.momxmarebeli.ge/?menu=26&rec=3258
4. თოდუა ლ. (2013). სურსთის რეგულირება ევროკავშირში. სურსათის ძირითადი კანონი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი http://momxmarebeli.ge/images/file_246141.pdf
5. თოდუა ლ. (2013). სურსთის რეგულირება ევროკავშირში. სურსათის ეტიკეტირების წესები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი http://momxmarebeli.ge/images/file_409388.pdf
6. თოდუა ლ., (2013). სურსთის რეგულირება ევროკავშირში. სურსათის ჰიგიენა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი http://www.momxmarebeli.ge/images/file_336458.pdf
7. თოდუა ლ. (2014). სურსათის რეგულირება ევროკავშირში. სურსათის (არასაკვები) დანამატები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი http://www.momxmarebeli.ge/images/file_677746.pdf
8. საქართველოს კანონი (2012) პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/1659419
9. ტექნიკური რეგლამენტი (2013) სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187143
10. საქართველოს კანონი (2014) სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2634028
11. ტექნიკური რეგლამენტი (2016) მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/3328780
12. ტექნიკური რეგლამენტი (2015) რძისა და რძის ნაწარმის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2803085
13. ტექნიკური რეგლამენტი (2016) საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესის შესახებ http://nfa.gov.ge/uploads/other/5/5024.pdf

The Main aspects of formation of legal environment on the Georgian food market

N. Todua
B. Mghebrishvili
E. Urotadze

Summary

Some important result ofimplementing European standards in the field of food regulation have been discussed. The process of creation and enforcing of the laws of food legislation and technical regulations have been analyzed. The contents of main legal acts have been studied. Labeling and providing customers with information have been emphasized. It is concluded that a work of particular significance has been done, though national food legislation bears certain faults. A number of recommendations have been introduced to improve the situation.

Key words: *Food Market, Legal Environment, Consumer Behavior*

კომპოზიტური და დიფუზიური ინდექსების გაანგარიშების მნიშვნელოვნების შესახებ

ლია თოთლაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის ციკლური ბუნება უბიძგებს მეცნიერ-მკვლევარ და პრაქტიკოს ეკონომისტებს ეძიონ ადრეული სიგნალები, რომლებიც მოასწავებს ეკონომიკის აღმავლობას თუ დაცემას. ამგვარი პრობლემების გადასაჭრელად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს წინმსწრებ ინდიკატორთა საფუძველზე გაანგარიშებული ინდექსების გამოყენება. ამ მეთოდის რეალიზაციისას ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ინდიკატორთა სწორად შერჩევა, ანუ განსაზღვრა იმისა, თუ რომელ ინდიკატორს აქვს მეტი წონა და მნიშვნელოვნება ეკონომიკის განვითარების წინასწარ განსაზღვრის თვალსაზრისით. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის (მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველო) ცვალებადი და არამდგრადი ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ზუსტი მაჩვენებლების განსაზღვრა. სტატიაში განხილულია წინმსწრები ინდიკატორების შერჩევის, მათი თვისებების ანალიზისა და საქართველოსათვის დიფუზიური ინდიკატორის გაანგარების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *წინმსწრები ინდიკატორები, დიფუზიური ინდექსი, კომპოზიტური ინდექსი, დროითი მწკრივები.*

მრავალი წლის განმავლობაში წინმსწრებ ეკონომიკურ ინდიკატორთა სისტემა, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (NBER) მიერ, ფართოდ გამოიყენებოდა აშშ-ში ბიზნეს-ციკლების შეფასებისათვის. რამდენიმე წელია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) აქტიურად იყენებს ამ ტიპის ანალიზს თანამონაწილე ქვეყნებისათვის.

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. ტრანსფორმირებადი ეკონომიკის არამდგრადი ბუნებიდან გამომდინარე, ბიზნეს და სახელმწიფო სექტორებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჰქონდეთ წინასწარი ინფორმაცია ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ინდიკატორების ზუსტი მნიშვნელობების შესახებ. იმ დროს როდესაც განვითარებულ ქვეყნებში გავლებულია მსგავსი ინდიკატორების გაანგარიშებას, განვითარებად და ტრანსფორმირებად ქვეყნებში მათ არ ენიჭებათ სათანადო ყურადღება. ნაშრომში ნაჩვენებია ეკონომეტრიკული მიდგომა წინმსწრებ ინდიკატორთა დიფუზიური ინდექსის აგებისა მცირე ღია ეკონომიკისათვის. შედეგები გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ყოველთვიური დაკვირვებების შეზღუდული რიცხვისა, სავსებით შესაძლებელია შევაფასოთ ეკონომიკურად და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ამსახველ ინდიკატორებსა და ეკონომიკური აქტივობის მიმდინარე და მომავალ მიმართულებს შორის. უმთავრესი პრობლემები კი რა თქმა უნდა დაკავშირებულია დროითი მწკრივების ხანგრძლივობასა და არასტაბულურობასთან, რომელიც თან ახლავს ეკონომიკის ტრანსფორმირების პროცესს. უნდა აღინიშნოს რომ, წინმსწრები ინდიკატორების ინდექსის მეშვეობით შესაძლებელი გახდა 50 წლის განმავლობაში ყველა 7 ოფიციალური რეცესიის პროგნოზირება ამერიკის ეკონომიკაში, თუმცა იყო 5 შემთხვევაც, როდესაც ინდექსმა იწინასწარმეტყველა რეცესია, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ მოხდა.

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს NBER მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდა იმ ეკონომიკური ცვლადების მონიტორინგს, რომლებიც მეტად მგრძნობიერენი იყვნენ ეკონომიკის ციკლური ცვლილებებისადმი 1930-იან წლებში. NBER-ის მკვლევართა გუნდი ბერნსისა და მიტჩელის ხელმძღვანელობით იკვლევდა ეკონომიკურ ცვლადების ჯგუფებს, რათა დაენახათ მათი ფლუქტუაციები იყო წინმსწრები, თანამდევი თუ ლაგური აშშ ბიზნეს-ციკლებითან მიმართებაში.

მურმა და მიშკინმა 1967 წელს პირველად შეიმუშავეს და გამოიყენეს ეკონომიკური ცვლადების შეწონვის ფორმალური სქემა, ციკლურობისა და ბიზნეს ციკლებთან დამოკიდებულების მათი როგორც ეკონომიკური მნიშვნელოვნების, ასევე სტატისტიკური მნიშვნელოვნების მიხედვით. მათ მიერ შემუშავებული ეკონომიკური ცვლადების შერჩევა და მათი შეწონვა რა თქმა უნდა გარკვეულწილად სუბიექტური იყო და არ მოიცავდა ფორმალურ ეკონომეტრიკულ ანალიზს. [2]

OECD ორგანიზაცია 1987 წლიდან დაიწყო წინმსწრები ინდიკატორების გამოქვეყნება და ეხლაც რეგულარულად აქვეყნებს ინდიკატორების და ინდექსების ყოველთვიურ მნიშვნელობებს წევრი ქვეყნებისათვის, გაიანგარიშება აგრეთვე აგრეგირებული მაჩვენებლები გეოგრაფიული ზონების მიხედვითაც.

შეიძლება ითქვას, რომ NBER და OECD მეთოდები წინმსწრებ ინდიკატორთა საფუძველზე ინდექსების გაანგარიშებისა მსგავსია. ორივე მეთოდი ეყრდნობა ექსპანსიის (ე.წ. პიკების) და რეცესიის (ე.წ. ფსკერის) ანალიზს. რა თქმა უნდა არსებობს მცირე განსხვავება ამ ორ მეთოდოლოგიას მაგრამ ისინი არაა არსებითი.

ვიდრე უშუალოდ ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიას შევეხებით განვსაზღვროთ თავად ინდიკატორთა არსიც. წინმსწრებ ინდიკატორებს შეიძლება მივაკუთვნოთ მაკრომაჩვენებლები, რომლებიც იცვლება იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც იცვლება მთლიანად ეკონომიკა, მაგრამ გარკვეული პერიოდით ადრე (ეს პერიოდი შესაძლოა მერყეობდეს 3-დან 9 თვემდე). ეს დეფინიცია გვიჩვენებს წინმსწრები ინდიკატორების რამოდენიმე მნიშვნელოვან ატრიბუტს. ყველაზე მნიშვნელოვანი რა თქმა უნდა მათი საპროგნოზოდ გამოყენების შესაძლებლობაა.[4]

NBER-ის მეთოდოლოგიის თანახმად განსაზღვრულია 10 წინმსწრები ინდიკატორი აშშ-ისათვის. ინდიკატორები, რომლებიც განისაზღვრება OECD მეთოდოლოგიით განსხვავდება აშშ-ისთვის შერჩეული ინდიკატორებისაგან. ინდიკატორთა შერჩევა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეკონომიკის თავისებურებებზე, მის ადგილზე მსოფლიო ეკონომიკაში. მაგალითად, ბელგიისათვის განსაზღვრული ინდიკატორებია: ახლი სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია (მანქანების), უმუშევრობის ტრენდი, ექსპორტი; ერთობლივი მოთხოვნა, პროდუქციის გამოშვების მოცულობა, მომხმარებელთა ნდობის ინდექსი. განსხვავებულია ინდიკატორთა ნაკრები პოლონეთისათვის, რომელთა შემადგენლობაში შედის ქვანახშირზე ფასები, ხოლო ნიდერლანდებისათვის განსაზღვრული 5 ინდიკატორიდან 4 ნდობის ინდიკატორია. ხშირ შემთხვევაში მაჩვენებლები ეყრდნობა კვლევებს (მაგალითად მომხმარებელთა ნდობის ინდექსი). ზოგიერთი ქვეყნისათვის განსაზღვრულ ინდიკატორთა ნაკრებში განიხილება არა მხოლოდ ეკონომიკური შინაარსის მაჩვენებლები, არამედ ფსიქოლოგიურიც, რომლებიც აღწერენ მომხმარებელთა ქცევას, მოლოდინებს და ა.შ.

წინმსწრებ ინდიკატორთა საფუძველზე გაიანგარიშება სხვადასხვა ტიპის ინდექსები როგორიცაა კომპოზიტური ინდექსი, დიფუზიური ინდექსი. კომპოზიტური ინდექსი ზომავს მთლიანად ბიზნესის აქტიურობას და ემყარება შერჩეულ ინდიკატორთა პროცენტული ცვლილებების გაანგარიშებას. თუ ინდიკატორთა მნიშვნელობები უმჯობესდება (იზრდება) 50%-ზე მეტად ეს მიანიშნებს ეკონომიკის გაფართოებას, ხოლო თუ მისი მნიშვნელობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში 50%-ზე ნაკლებია ეს მოასწავებს ეკონომიკის შემცირებას. კომპოზიტურ ინდექსის გამოყენება მიზანშეწონილია ბიზნეს აქტივობის ცვლილების მოცულობის იდენტიფიკაციისათვის, მეორე მხრივ დიფუზიური ინდექსის გამოყენება კი საშუალებას აძლევს მკვლევარებს განისაზღვროს გარდატეხის წერტილები ეკონომიკისათვის. შესაბამისად მისი ინტერპრეტირება შესაძლებელია შემდეგნაირად: მისი მნიშვნელობის 50%-ზე მეტობის შემთხვევაში ეკონომიკა ფართოვდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მცირდება. ამ ინდიკატორთა საფუძველზე თავად ინდექსი გაიანგარიშება როგორც ზემოთაღნიშნული კომპონენტების საშუალოშეწონილი სიდიდე:

$$LEI = \sum_{i=1}^{n} W_i \cdot L_i ,$$

სადაც W_i - წონითი კოეფიციენტია, ხოლო L_i -ერთ-ერთი ინდიკატორი.

რას შეეხება წონითი კოეფიციენტებს - იგი სხვადასხვანაირად განისაზღვრება, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩატარებული გააანგარიშებების შედეგად მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თანაბარი წონების შემთხვევაშიც ინდიკატორი მუშობს არანაკლებ კარგად, ვიდრე უფრო რთული ვარიანტების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინდექის იდეა ემყარება მისაზრებას, რომ ეკონომიკის მთვარი მოტივატორი არის სამომავლო შემოსავლების მიღების მოლოდინი. შემოსავლების ზრდის მოლოდინით კომპანიები აფართოებენ წარმოებასისა და მომსახურების მოცულობას, ინვესტიციებს. ამიტომაც ინდექსი იმგვარადაა ფორმირებული რომ მოიცავს საქმიანი აქტივობის ძირითად სფეროებსა და მაჩვენებლებს. [1]

დიფუზიური ინდექსი ზომავს პროპორციებს ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს შორის. მისი გაანგარიშება კი ხორციელდება ეტაპობრივად. თანდაპირველად შეირჩევა შესაბამის მაჩვენებელთა დროითი მწკრივები (ცხადია დროითი მწკრივების დონეების რაოდენობის ზრდა გაზრდის ინდექსის საპროგნოზო თვისებებსაც).

პირველ ეტაპზე ანალიზდება მაჩვენებელი გაიზარდა, შემცირდა, თუ საერთოდ არ განიცადა ცვლილება. შემდეგ ეტაპზე მაჩვენებლებს ენიჭებათ მნიშვნელობები. ინდექსს რომელიც გაიზარდა 0,05%-ზე მეტად ენიჭება მნიშვნელობა 1, ინდექსს რომელიც შეიცვალა 0,05%-ზე ნაკლებად მნიშვნელობა 0,5, ხოლო მაჩვენებელს რომელიც შემცირდა 0,05%-ზე მეტად - მნიშვნელობა 0. შემდგომ ეტაპზე

ჯამდება დროითი მწკრივის შესაბამისი კომპონენტები და იყოფა მათ საერთო რაოდენობაზე, ბოლოს კი მრავლდება 100-ზე. მიღებული მაჩვენებელი წარმოადგენს დიფუზიურ ინდექსს, რომლის ცვალებადობაც შეგვიძლია გამოვიყენთ ეკონომიკური აქტივობის ზრდისა თუ კლების შესაფასებლად.

როგორც აღვნიშნეთ კომპოზიტური და დიფუზიური ინდექსის გაანგარიშებისას ერთ-ერთ რთულ საკითხს წარმოადგენს სწორედ წინმსწრები ცვლადების შერჩევა. ამ მეთოდოლოგიის პიონერების ბერნსისა და მიტჩელის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევის შემდეგ ეკონომიკურ მაჩვენებელთა შერჩევა მთავარი საკითხია, რომელსაც უდიდესი ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკურ ლიტერატურაში (მაგ. ზარნოვიცი და ბოსკანი).

მურისა და შიშკინის (1967) მიერ ფორმალიზებულ იქნა მაჩვენებელთა შეფასების ფართოდ გავრცელებული სისტემა, რომლის მიხედვითაც კრიტერიუმებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: (i) იცვლებიან დროში სისტემატურად (სისტემატური განსაზღვრა პიკებისა); (ii) აქვთ კარგი საპროგნოზო თვისებები არა მხოლოდ პიკების და ფსკერის განსაზღვრისას; (iii) ეკონომიკური მნიშვნელოვნება (აღიარებული ეკონომიკური თეორიაშიც შესაძლო როგორც ბიზნეს-ციკლის მიზეზი ან უფრო მეტად მნიშვნელოვანი); (iv) მონაცემთა შეგროვების სტატისტიკური რეალურობა, რაც ითვალისწინებს მათ სიზუსტეს; (v) შესაძლებელია მათი გამოყენება მნიშვნელოვანი ცვლილების (შესწორების და ა.შ.) გარეშე; (vi) ახასიათებთ ყოველთვიური გლუვი ცვლილებები. [1]

აშშ-თვის შერჩეულ ინდიკატორთა პირდაპირი გადმოტანა შეუძლებელია არა მხოლოდ კოპირების არასასურველობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოსათვის შეუძლებელია სრულყოფილი და საომედო ინფორმაციის მოძიება, ხოლო ზოგ შემთხვევაში ასეთი სტატისტიკა არც არსებობს. ბერნსისა და მიტჩელის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს კომპოზიტური და დიფუზიური ინდექსების გაანგარიშებას აღნიშნული მეთოდით, ჩვენ შევარჩიეთ ინდიკატორები საქართველოსათვის. შერჩევისას დავეყრდენით მათ ეკონომიკურ მნიშვნელოვნებასა და კავშირს მშპ-ს დინამიკასთან. ამ კრიტერიუმების მიხედვით ჩვენ შევარჩიეთ ექვსი ინდიკატორი: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მონეტარული აგრეგატი (M1), საპროცენტო განაკვეთის სპრედი, წინმსწრები კომპოზიტური ინდექსი OECD ქვეყნებისათვის, ტრანზაქციები უძრავ ქონების შეძენაზე, სამომხმარებლო ნდობის ინდექსი. მონაცემები შეზღუდული იყო და მოიცავდა დროით მწკრივებს 01.012012 -დან 01.04.2015-მდე (40 დაკვირვების წერტილი). საფუძველს გაანგარიშებებისა წარმოადგენდა აღნიშნულ მაჩვენებელთა დროითი მწკრივები, წყაროს კი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები, რომელთაც რეგულარულად აქვეყნებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ბანკი. ეს მონაცემები წარმოადგენენს ინფორმაციას ბიზნეს-ციკლების შესახებ და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დიფუზიური ინდექსის კომპონენტებად. ამავდროულად ეს დროითი მწკრივები მოიცავს ინფორმაციას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის შესახებ (როგორიცაა ფინანსური და რეალური სექტორები).

რაც შეეხება ამ მაჩვენებელებს:

<u>სამომხმარებლო ფასების ინდექსი CPI -</u> სამომხმარებლო ფასების ინდექსი იძლევა ქვეყანაში ფასების დონის ცვლილების სურათს და მნიშვნელოვანი ინდიკატორია მონეტარული ტრენდის შეფასებისათვის. მონაცემები ამ ეკონომიკური ცვლადისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ვებგვერდზე. [7]

<u>მონეტარული აგრეგატი M1</u> –მოიცავს ინფორმაციას მონეტარული პოლიტიკის შესახებ. ესაა ფულის ყველაზე უფრო ლიკვიდური ფორმა და მჭიდრო კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებელთან, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი. ფულზე მოთხოვნის ზრდა ან კლება ზემოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე სხვადასხვა გზით. აგრეგატის შესახებ მონაცემების მოპოვება შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. [8]

<u>საპროცენტო განაკვეთის სპრედი</u> – წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტების შემოსავლიანობის მნიშვნელოვან დეტერმინანტს. ფინანსური სექტორის როლი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის კი საყოველთაოდაა აღიარებული. მონაცემები საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე. [8]

<u>წინმსწრები კომპოზიტური ინდექსი გაანგარიშებული OECD ქვეყნებისათვის</u> – საქართველო მცირე ღია ეკონომიკის ქვეყანაა და დამოკიდებულია იმპორტზე. ამ დამოკიდებულების დიფუზიურ ინდექსზე ასახვისათვის ჩვენ ჩავრთეთ ეს ინდიკატორი დიფუზიური ინდექსის გაანგარიშებაში (მონაცემები OECD სტატისტიკა.) [5]

<u>ტრანზაქციები უძრავი ქონების შეძენაზე (საცხოვრებელი)</u>– ეს მაჩვენებელი ასევე გამოხატავს ეკონომიკური აქტივობის დონეს და ამავდროულად მომხმარებელთა დამოკიდებულებას მომავალთან დაკავშირებით. უძრავი ქონების შეძენის ზრდა ორგვარად მოქმედებს ეკონომიკურ აქტივობაზე. პირველი - იგი გვიჩვენებს ინვესტიციებს უძრავ ქონებაში, მეორეც იგი leads შენამეურნეობებს გასწიონ დანა-

ხარჯები სახლების გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციაზე. უძრავი ქონების ბაზარი (ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ან შეძენა) საუკეთესო ინდიკატორია ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის. მონაცემები აღნიშნული ტრანზაქციების შესახებ მიღებულია "Colliers International Georgia"-ის კვლევებზე.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი - მომხმარებელთა ნდობის კვლევას საქართველოში ახორციელებს ISET ევროკავშირის სტანდარტული მეთოდოლოგიის მიხედვით: ხორციელდება შემთხვევითად შერჩეული 300-350 ინდივიდის ყოველთვიური გამოკითხვა. კითხვარი მოიცავს ინფორმაციას როგორც გამოკითხულთა ოჯახების, ასევე ქვეყნის წარსული, მიმდინარე და მომავალი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მომხმარებელთა ნდობა წარმოადგენს მომხმარებელთა ოპტიმიზმის ხარისხის საზომს მთელი ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის, ასევე მათი პერსონალური ფინანსური მდგომარეობის შესახებ. რამდენადაც მაღალია ხალხის განცდა ქვეყანაში სტაბილურობასთან ან პირად ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ცხადია ინდექსის მნიშვნელობა იზრდება. ცხადია, თუ მომხმარებელთა ნდობა მაღალია, ისინი მეტს დახარჯავენ და შესაბამისად ეკონომიკა გაიზრდება. მეორე მხრივ კი, თუ მომხმარებელთა ნდობა დაბალია, ისინი ნაკლებს დახარჯავენ და მეტს დაზოგავენ, რაც არც თუ დადებითად აისახება ეკონომიკაზე. მონაცემები ხელმისაწვდომია ISET ვებგვერდზე. [6]

დიფუზიური ინდექსის აგების ზემოთაღწერილი მეთოდოლოგია ემყარება NBER -ის მიერ შემუშავებულ წინმსწრებ ინდიკატორთა სისტემის გამოყენებას. ჩვენ გავიანგარიშეთ დიფუზიური ინდექსი სწორედ ზემოთაღწერილ ინდიკატორთა საფუძველზე. შედეგები გრაფიკული სახით წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილ გრაფიკზე:



სტატიაში ჩვენ განვიხილეთ კომპოზიტური და დიფუზიური ინდექსების აგების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტები. წინმსწრებ ინდიკატორთა საფუძველზე გაანგარიშებული ინდექსები იძლევა საინტერესო ინფორმაციას ეკონომიკური აქტივობის მიმდინარე და მომავალი მდგომარეობის შესახებ. იგი გვიჩვენებს ეკონომიკური განვითარების ასპექტებსაც. აღნიშნული მიდგომა, ვფიქრობთ გამოყენებული იქნეს პროგნოზირებისათვის მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისა, როგორიცაა საქართველო. მისი რეგლარული გაანგარიშება და გამოქვეყნება საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს არა მარტო მკვლევართათვის, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთათვისაც.

ნაშრომში ჩატარებული გაანგარიშებები, ცხადია, ატარებს ექსპერიმეტულ ხასიათს. ამ გაანგარიშებების რეალისტურობა და საპროგნოზო თვისებების ვერიფიკაცია მოითხოვს კვლევის გაგრძელებას და გრძელვადიან სამუშაოებს ამ მიმართულებით. მეთოდის რეალიზაცია შესაძლებელია წარმატებით იქნეს გამოყენებული პროგნოზირებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Marcellino M. (2005), Leading Indicators. IEP-Bocconi University, IGIER and CEPR;
2. Sorensen P. B. & Whitta-Jacobsen H. J. (2013), Introducing Advanced Macroeconomics: Growth and Business Cycles, 2th edition, Mc Graw-Hill.
3. Composite Leading Indicators for Major OECD Non-Member Economies and Recently New OECD Member Countries. Short-term Economic Statistics Division Statistics Directorate OECD, 2006. Available at http://www.oecd.org/std/leading-indicators/36414874.pdf ;

4. The Conference Board Leading Economic Index (LEI) for the United States and Related Composite Economic Indexes for July 2014. Available at https://www.conference-board.org/press/pressdetail.cfm?pressid=5265
5. OECD Statistics Note, “Changes to the OECD’s Composite Leading Indicator”. Available at: http://stats.oecd.org/Index.aspx?DatasetCode=MEI_CLI ;
6. http://www.iset-pi.ge/index.php/en/consumer-confidence-index/1040-may-2015-cci-rising-consumer-expectations-point-to-a-somewhat-brighter-future
7. www.Geostat.ge
8. www.nbg.gov.ge

Significance of Estimation of Composite and Diffusion Indexes

L. Totladze

Summary

Cyclical feature of economies in a violent environment is forcing researchers to search for early signals of turning points. The most appropriate tools to solve this problem are the leading indicators and indexes based on leading indicators. It is difficult to rank which types of indicators have most weight in foretelling the course of the economy, and subsequently, its impact on currency market. Given the volatile nature of transformed economy, there is a need an accurate leading indicator of economic performance (In particular for Georgia). In this paper we try collect leading economic indicators, study their features and engage diffusion index for Georgia.

Keywords: *Leading Indicators, Diffusion Index, Composite Index, Time Series.*

ქალის როლი საზოგადოებასა და ოჯახში

თამილა თურმანიძე,
დოქტორანტი, ასისტენტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული თანასწორობის იდეის მიხედვით ქალისა და მამაკაცის ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული,ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. იმის გასარკვევად თუ რას ფიქრობს საზოგადოება ამ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა უმრავლესობა ემხრობა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, როგორც ოჯახში ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა რესპოდენტთა პასუხები გარკვეულად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: *გენდერი, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები, გენდერული უთანასწორობა, ქალის როლი.*

დღეს საქართველოში აქტუალურია თემა ქალის გენდერული როლის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი არ არის ცალსახა. ერთი მხრივ, არსებობს ტენდენცია, რომ ქალის უმთავრესი და ხშირად ერთადერთი როლი ოჯახის შექმნა, დიასახლისობა და დედობაა, ხოლო მეორე მხრივ, არა ერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქმულა მსგავსი მიდგომის საპირისპიროდ და დღესაც ადამიანი იმაღლებს ხმას ამ საკითხის მიმართ არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ და თვლის, რომ ქალი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროში [1, გვ 7].

ქართული ტრადიციული აღქმები და ჩვეულებები ქართველ ქალს ხატავს როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისსა და დედას. საზოგადოებაში ძლიერია ორმაგი მორალი. ის, რაც ეპატიება კაცს, არ ეპატიება ქალს. ქალის ქცევა კონტროლდება კაცის და ზოგადად მთელი საზოგადოების მხრიდან მეტად, ვიდრე კაცის [2].

იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა რეალურად, როგორია ქალის გავრცელებული როლები და შეიცვალა თუ არა ქალის აღქმა მხოლოდ, როგორც „დიასახლისისა“, ჩავატარეთ კვლევა, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შესწავლას გენდერულ თანასწორობაზე. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

- როგორ ესმის ქართველ საზოგადოებას გენდერული თანასწორობა;
- რა ბარიერები არსებობს ქალისათვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით;
- არსებობს თუ არა მხარდაჭერა ქალების ჩართულობაზე ოჯახის, მშობლების, საზოგადოების მხრიდან;
- როგორ აფასებს საზოგადოება და რამდენად მისაღებია მისთვის ქალის მიერ მაღალი თანამდებობის დაკავება.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 228 რესპოდენტი. გამოკითხულთა 78% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 22 % მამრობითის. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამოკითხულთა პროცენტული წილი ასე ნაწილდება: რესპოდენტთა 75% 20-29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში შედის, 18 % - 30 დან 39 წლამდე ასაკისაა, 4% - 40 დან 40 წლამდე, ხოლო 3% - 50 წლის და მეტი. კვლევა მიმდინარეობდა 2016 წლის მარტიდან - მაისამდე.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ წარმოდგენები ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით ნაწილობრივ ტრადიციულია. ქართველ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე სტერეოტიპულ, ტრადიციულ და, ხშირ შემთხვევაში, პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება.

საინტერესოა, რომ დამოკიდებულებების დონეზე გამოკითხულთა 73%-ს მიაჩნია, რომ ქალი და კაცი თანაბარ დროს უნდა უთმობდნენ შვილების აღზრდას, რესპონდენტთა 27 % თვლის, რომ ქალმა უნდა დაუთმოს უფრო მეტი დრო ბავშვების აღზრდას.

ერთ-ერთი წარმოდგენა, რომელიც ფუნდამენტურად შეიძლება მოვიაზროთ ქართული ოჯახისთვის, ეხება კაცის, როგორც ძირითადი შემომტანის, მარჩენალის როლს. მიიჩნევა, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის თავი და მან უნდა აიღოს საკუთარ თავზე ოჯახის კეთილდღეობისთვის ზრუნვა ფინანსური თვალსაზრისით. იმაზე, რომ ქართულ ოჯახში მასკულინური დომინაცია მიიჩნევა პრიორიტეტულად,

მეტყველებს ის ფაქტი, რომ არც ერთი რესპონდენტი არ თვლის, რომ ეს ფუნქცია ქალმა უნდა შეითავსოს. 25 % თვლის, რომ ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 75% მიიჩნევს, რომ მამაკაცსა და ქალს თანაბრად უნდა შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენაში.

გამოკითხულთა 13 % თვლის, რომ მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირი ოჯახში კაცი უნდა იყოს. რესპონდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა იყოს მიღებული ოჯახში (86%). გამოკითხულებიდან მხოლოდ 1 რესპოდენტი მიიჩნევს, რომ ქალმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები ოჯახში.

კითხვაზე - თუ ვინ უნდა განკარგოს ოჯახის ბიუჯეტი, გამოკითხულთა 87 % თვლის, რომ ქალი და მამაკაცი თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ ბიუჯეტის განკარგვაში. მხოლოდ 7% თვლის, რომ ოჯახის ბიუჯეტი მამაკაცმა უნდა განკარგოს, 6% კი - ქალმა.

იმდენად, რამდენადაც კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის იდენტიფიცირება, თუ რა სახის ბარიერები არსებობს ქალების დასაქმებისა და მათი ბიზნეს-აქტივობის თვალსაზრისითაც, საინტერესოა ოჯახში, ქალის, როგორც დიასახლისის როლის და მისი საქმიანი იმიჯის დაპირისპირების კვლევა საზოგადოებაში.

მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (93%) თვლის, რომ დასაქმების დროს უპირატესობა არც ერთ სქესს არ უნდა მიენიჭოს. მხოლოდ 6% თვლის, რომ მამაკაცს უნდა მიენიჭოს დასაქმების დროს უპირატესობა.

ტრადიციული წყობა ადეკვატურობას კარგავს თანამედროვეობაში, რადგან თანამედროვე რეალობაში კაცისა და ქალის ფუნქციები ასე მკაცრად არ არის გადანაწილებული - ქალთა ემანსიპაციის შედეგად, ქალმა საკუთარ თავზე აიღო საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ფუნქცია და დაიწყო მუშაობა. ამავე დროს, ქალისა და კაცის სურვილებიც აღარ შეესაბამება ასეთ სტერეოტიპებს თანამედროვე რეალობაში - ქალს უნდა ოჯახის გარეთაც იყოს დასაქმებული და თავს არ ხედავს მხოლოდ ოჯახში.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეალობა აღარ არის ტრადიციული „წყობის“ შესაბამისი, რომელიც არეგულირებდა საზოგადოებაში კაცისა და ქალის ფუნქციებს, ქართული საზოგადოებრივი აზროვნება დიდ წილად მაინც ტრადიციულ პოლუსზე რჩება და საზოგადოებრივი მორალი, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა არის მისაღები და მიუღებელი, ტრადიციული ჭრილით აფასებს რეალობას.

მიიჩნევა, რომ მამაკაცს უფრო მეტად აქვს უნარი მიაღწიოს წარმატებას კარიერაში, მას ეს უკეთ გამოსდის. კითხვაზე ვინ უფრო უკეთესი ბიზნეს ლიდერია რესპონდენტთა 22 % თვლის, რომ კაცია, ხოლო 70 % მიიჩნევს, რომ ორივე თანაბრად კარგი ბიზნეს ლიდერია, მხოლოდ 8% თვლის, რომ ქალს უკეთესად გამოსდის ლიდეროზა.

შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად კომფორტულია ქალი უფროსის ყოლა, გამოკითხულთა 65 %-თვის სავსებით მისაღებია თუ მას ქალი უფროსი ეყოლება, 7% არაკომფორტულად იგრძნობს თავს, ხოლო 28%-ს უჭირს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 77% მიიჩნევს, რომ ქალისა და მამაკაცის ხელმძღვანელობის სტილი ერთმანეთისაგან განსხვავდება. 88 % თვლის, რომ ქალი უნდა იყოს მაღალ თანამდებობაზე, 10 % ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას.

გამოკითხულთა 85% თვლის, რომ ქალებს, ისევე როგორც მამაკაცებს აინტერესებთ საპასუხისმგებლო პოზიციები და აქვთ სურვილი კარიერული წინსვლის. მხოლოდ 7% თვლის, რომ ქალს უფრო მეტად სურს კარიერული წინსვლა ვიდრე მამაკაცს.

ზოგადად ცნობილია, რომ პოლიტიკა მამაკაცების აქტიურობის სფეროდ განიხილება, თუმცა გამოკითხულთა 70 % თვლის, რომ ქალი და მამაკაცი ერთნაირად კარგი პოლიტიკოსები არიან, რესპონდენტთა 10 % მიიჩნევს, რომ ქალი უკეთესი ლიდერია, ხოლო 20 % თვლის, რომ მამაკაცი უკეთესი პოლიტიკოსია.

მართალია, საზოგადოება არანაირად არ არის ქალების პოლიტიკიდან ჩამოშორების მომხრე, მაგრამ პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში ჩართვა არ განიხილება მიზანშეწონილად ქალებისთვის [5]. ამავე დროს, მამაკაცების შემთხვევაში ანალოგიური მოსაზრება არ ფიქსირდება - კაცის შემთხვევაში არ არსებობს პოლიტიკის სფერო, სადაც ქალთან შედარებით ნაკლებად წარმატებული შეიძლება იყოს. შესაბამისად, პოლიტიკური საქმიანობის სფერო ქალებისთვის შეზღუდულია-მამაკაცს პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში აქვს წარმატების მიღწევის პოტენციალი, ხოლო ქალს მხოლოდ გარკვეულ სფეროებში. ეს სფეროები კი მაღალ პოლიტიკურ პოზიციებს ნაკლებად მოიცავს[4]. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად უფრო მეტად კაცი წარმოუდგენიათ (39%) ვიდრე ქალი, გამოკითხულთა

მხოლოდ 5% უჭერს ქალ პრეზიდენტობის კანდიდატს მხარს, დანარჩენი 57% თვლის, რომ მათთვის ორივე თანაბრად მისაღები პრეზიდენტობის კანდიდატია.

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, საკუთარი პირადი ცხოვრების დაგეგმვაში, საკუთარი მომავლის განსაზღვრასა და პროფესიის არჩევაში, კაცი უფრო თავისუფალია (55%), ვიდრე ქალი (15%), რესპონდენტთა 30 % -ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

შეკითხვაზე - „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ საქართველოში ქალებისა და კაცების უფლებები არ არის თანაბრად დაცული?"- რესპონდენტთა 50 % ეთანხმება ამ ფორმულირებას, 38 % - ნაწილობრივ ეთანხმება იმას, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები თანაბრად არ არის დაცული. მხოლოდ 14 % მიიჩნევს, რომ ქალისა და მამაკაცის უფლებები თანაბრადაა დაცული.

ვაჟიშვილისთვის ქონების დატოვება ქართული ტრადიციაა, რომელიც ეფუძნება იმ აზრს, რომ ოჯახის ქონება უნდა ერგოს მამაკაცს, ხოლო ქალისთვის კომპენსაციას მზითევი წარმოადგენს. ამავე დროს, ქალი, გათხოვების შემთხვევაში ხდება მეუღლის ქონების „თანამესაკუთრე", რომელიც მამაკაცს მშობლებისგან დარჩა ადათის თანახმად. თუმცა, ეს „მესაკუთრეობა" უფრო მეტად ქონების მოხმარების უფლებად მოიაზრება (სახლში ცხოვრება, ნივთების გამოყენება) და ნაკლებად გულისხმობს მის განკარგვას განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევაში.

შეკითხვაზე - მშობლების ქონების გაყოფის დროს ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა ქალსა თუ ვაჟს, გამოკითხულთა 24 % თვლის, რომ ვაჟს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. არც ერთი რესპონდენტი არ თვლის, რომ ქალს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ხოლო 76% თვლის, რომ ორივე სქესის მემკვიდრეები თანაბრად უფლებაუნარიანია.

ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია განათლება, კვლევის შედეგებმაც დაადასტურა, რომ საზოგადოებამ გააცნობიერა განათლების განსაკუთრებული როლი. გამოკითხულთა 96% თვლის, რომ ორივე სქესისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების მიღება, მხოლოდ 2% თვლის, რომ მამაკაცისთვის უფრო მნიშვნელოვანია განათლების მიღება, ვიდრე ქალისთვის.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს რომ ქალების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოჯახის, მშობლების და მეუღლის მხრიდან აქვს მხარდაჭერა (65%), გამოკითხულთა 27% მიიჩნევს, რომ ქალს არ აქვს მხარდაჭერა, 9% უჭირს პასუხის გაცემა.

კითხვაზე, უნდა იყოს თუ არა ქალი მაღალ თანამდებობაზე წარმოდგენილი, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: (რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის ერთდროულად დაფიქსირება) 69 % თვლის, რომ ეს არის ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლება, 56 % - ქალები ისეთივე კვალიფიკაციის არიან როგორც მამაკაცები, 27 % თვლის, რომ თუ ქალი იქნება მაღალ თანამდებობაზე, სხვა ქალებს მისცემს მოტივაციას კარიერული წინსვლისთვის, 22% მიიჩნევს, რომ ქალს რისკების მართვა შეუძლია უკეთესად, 6% ფიქრობს, რომ ქალი არის კომპანიის ეკონომიკური წარმატების გარანტია, 5%-ს მიაჩნია, რომ ქალებს კომპანია უკეთესი გზით მიჰყავთ. მხოლოდ 4% არ თვლის, რომ ქალი უნდა იყოს მაღალ თანამდებობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ ქალი უნდა იყოს მაღალ თანამდებობაზე და ამისთვის ქალს აქვს იგივე შესაძლებლობა (განათლება, კვალიფიკაცია, სურვილი), მეორე მხრივ, ფიქრობენ, რომ ბიზნეს საზოგადოებაში დომინირებს მამაკაცი, რადგან ნაკლებად ენდობიან ქალებს (47%). 41 % არ ემხრობა ამ მოსაზრებას, 12 %-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

კერძო/საჯარო სექტორში ქალის მაღალ თანამდებობაზე დაწინაურების დამაბრკოლებელ ფაქტორებად მიიჩნევენ: ოჯახს (57%), სტერეოტიპებს- (44%), მოუქნელ სამუშაო გრაფიკს (30%), განათლების, კვალიფიკაციის სიმცირე (17%), 2 % ფიქრობს, რომ ქალს უწევს უარის თქმა პირად ცხოვრებაზე. გამოკითხულთა 58 % ფიქრობს საოჯახო საქმეების შესრულება ქალს ხელს უშლის კარიერის გაკეთებაში, (რესპონდენტს შეეძლო რამდენიმე პასუხის გაცემა).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობა ქალებში 6%, ხოლო მამაკაცებში 11%-ია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს რომ ქალი უფრო მეტად არის დასაქმებული ვიდრე მამაკაცი, ეს ფაქტი იმით აიხსნება რომ ეკონომიკურად აქტიურ ქალთა რაოდენობა უფრო ნაკლებია (57%), ვიდრე მამაკაცთა (77 %) [3გვ.43]. კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 66 % თვლის, რომ ქალის დაუსაქმებლობის მიზეზია საოჯახო საქმის სამსახურთან შეთავსება, ამიტომ ურჩევნია არ იმუშაოს, რესპონდენტთა 47%-მა უპასუხა, რომ მეუღლეს არ უნდა რომ ცოლი მუშაობდეს, 32 % ქალის დაუსაქმებლობის მიზეზად ასახელებს იმას, რომ ის ვერ პოულობს სამსახურს, ხოლო 12% თვლის, რომ თვითონ ქალს არ სურს მუშაობა. 5%-მა დაასახელა შემდეგი მიზეზები :

- ბავშვები;

- ადრეულ ასაკში გათხოვების შედეგად ვერ ღებულობენ განათლებას და შესაბამისად დასაქმების ნაკლები შანსი აქვთ,

- სტერეოტიპი, რომ ქალი უნდა იყოს სამზარეულოში და არ შეიძლება მისი დასაქმება სახლს გარეთ, რაც იწვევს თავიდანვე განათლების მიღების მოტივაციის დაკარგვას, შემდგომ კვალიფიკაციის უქონლობას და საბოლოოდ უმუშევრობას.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა ეთანხმება გენდერულ თანასწორობას, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს ესმის ამ თანასწორობის რეალური შინაარსი. მართალია, რესპონდენტთა დიდი ნაწილი ეთანხმება იმას, რომ ქალი უნდა იყოს მაღალ თანამდებობაზე, ისეთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე, როგორიც პრეზიდენტია, ქალებს დიდად არ მიესალმებიან. რესპოდენტები ფიქრობენ, რომ განათლება ორივე სქესისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ოჯახის მარჩენალი და ბიუჯეტის განმკარგავი მაინც კაცი მიაჩნიათ. მათი დიდი ნაწილი მაინც გენდერული როლების ტრადიციული განაწილების მომხრეა.

სხვა ადრე ჩატარებული კვლევებისაგან განსხვავებით, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა შეცვლილ მოსაზრებებს აფიქსირებს, გამოკითხულთა უმრავლესობა ემხრობა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რესპოდენტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქალი უნდა იყოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ქალი და მამაკაცი თანაბრად უნდა იყვნენ ოჯახის მარჩენალი, თუმცა რეალური სურათი სულ სხვაა, საქართველოში და არა მარტო საქართველოში, ჯერ კიდევ არსებობს ქალისა და მამაკაცის დასაქმების სფერო, ქალისა და მამაკაცის როლური მოდელები, რომლის მიხედვითაც მამაკაცი ითვლება ოჯახში შემოსავლის მთავარ წყაროდ, ხოლო ქალის საქმიანობა ბავშვებზე ზრუნვაა, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ ემხრობა უთანასწორობას. ეს შეიძლება იმით აიხსნას რომ რესპოდენტთა 75 % 20-დან 29 წლამდე ასაკისაა, და მათთვის უფრო ახლოსაა რეალური გენდერული თანასწორობის იდეა. რადგან გამოკითხვა ძირითადად ჩატარდა ინტერნეტის გამოყენებით (სოციალური ქსელების მეშვეობით), აქტიური სწორედ ეს ასაკობრივი ჯგუფი აღმოჩნდა, მათ აქვთ უფრო მეტად წვდომა ინტერნეტ სივრცესთან, ვიდრე უფროს თაობას, რომელთა შეხედულებებიც ჯერ კიდევ რჩება ძირითადად ტრადიციული, პატრიარქალური ხასიათის.

ცხადია, საინტერესოა საზოგადოებრივი შეხედულებების ტრანსფორმაცია, რადგან სწორედ საზოგადოებრივი აზრი, პროგრესული იქნება ის თუ მოძველებული და პატრიარქალური, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ქალის ქცევას არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუდაშვილი გ., ახვლედიანი მ., გოლიაძე ნ., გოგიშვილი ნ., ქართველიშვილი თ., მაცაბერიძე ს., შულაია ა. ქალის გენდერული როლი საზოგადოებაში, თბილისი 2015.
2. „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“. კვლევის ანგარიში, მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში. თბილისი 2013
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ქალი და კაცი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. 2015
4. ”Women’s Economic Independence In Times Of Austerity “ The European Women’s Lobby. 2015
5. “Woman In Business And Management” International Labour Organization. 2015

Woman's role in sociaty and family

T.Turmanidze

Summary

Unlike other previous studies our study gives a different picture, the majority of respondents are in favor the equality of men and women, as well as in family or social life. But real picture is quite different, there are still men and women employment field, men and women role models. While the big part of the respondents do not favor inequality. This can be explained by the fact that older generation were less involved in the survey , who are in favor of traditions.

Key words: *gender, social attitudes, gender inequality, the role of women.*

ТЕХНОКРАТИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА? О РОЛИ ЭКСПЕРТОВ В ФОРМИРОВАНИИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ В РОССИИ [6]

Лев Ильич Якобсон,
д.э.н., профессор, первый проректор
Национальный исследовательский университет
«Высшая школа экономики»
Москва, Россия

Для России характернопозиционирование экономической политики как преимущественно технократической. Это предполагает значительную роль экспертов в выработке решений. В последние годы в стране создан ряд институтов, которые, в принципе, могли бы способствовать выполнению данной роли, однако эффективность их функционирования невысока. Объяснение ситуации дается на основе эмпирического исследования российского экспертного сообщества.

В довольно богатой литературе о взаимосвязях экономической науки и экономической политики заметное место занимает вопрос о том, возможно ли вполне беспристрастное экономическое исследование (см. напр. [Ананьин, ред. 2008, гл. 1]). Типичная научная рекомендация внешне выглядит как реплика в диалоге технократа-профессора и технократа-политика, одинаково свободных от предрассудков, привязанностей и партикулярных интересов. Анализ текстов неизменно обнаруживает, что видимость обманчива. Однако при этом, как правило, не учитывается, что лица, принимающие решения,редко читают научные тексты. Необходимыми посредниками между наукой и политикой являются эксперты, роль которых в еще большей степени, чем роль ученых, предполагает акцентированную технократическую беспристрастность [там же, гл. 5].

Роли исследователя и эксперта нередко совмещаются одним человеком, но существенно различны по сути. Высокая компетентность ученого далеко не всегда сочетается со склонностью к экспертной деятельности и ее успешностью; обратное тоже верно. С учетом сказанного внимания заслуживает воздействие, которое экономическая политика испытывает со стороны не только и, быть может, не столько науки, как таковой, сколько экспертной деятельности, причем анализировать следует не только тексты, но и логику поведения людей, вовлеченных в такую деятельность.

Особенно интересно, с этой точки зрения, обратиться к опыту стран, где сама экономическая политика позиционируется как преимущественно технократическая, в частности, опыту России. Никакая иная группа участников подготовки и осуществления решений не способна более экспертов репрезентировать и отстаивать чистоту технократического подхода. Соответственно, анализ того, насколько последовательно они его придерживаются, в определенном смысле тестирует соотношение риторики и практики выбора экономических решений.

В России, когда речь идет об экономической политике, как правило, преобладает технократический дискурс в противоположность явному сопоставлению идеологических позиций и интересов различных социальных групп. Ключевые суждения сфокусированы на темпах роста экономики, избавлении от нефтяной зависимости, техническом прогрессе и т.п. Подчеркнуто технократическими, дистанцированными от идеологий и интересов выглядят, например, формулировки широко известныхпроектов стратегических программ «Стратегия-2020» (http://2020strategy.ru/) и «Экономика роста» (http://stolypinsky.club/economica-rosta/). Однако, внимательно вглядевшись в контент первой из них, легко заметить тяготение к либеральному полюсу, а во втором документе – лоббирование интересов предпринимателей, в первую очередь промышленников, ориентированных на внутренний рынок.[7]Технократические мотивы доминируют в экономических разделах программбольшинствополитических партий, а также в том, как излагаются установки руководства страны по экономическим вопросам.Едва ли не в большинстве выступлений парламентариев по экономическим вопросам преобладает экспертная, а не собственно политическая аргументация. Чтобы не перегружать доклад цитатами, ограничусь упоминанием о том, что многочисленные иллюстрации сказанного представлены на официальных интернет сайтах Президента, Правительства, Федерального Собрания и политических партий.

[6] Доклад базируется на результатах работы, выполненной в рамках программы фундаментальных исследований Национального исследовательского университета «Высшая школа экономики»

[7] Формат доклада, к сожалению, не позволяет привести примеры, иллюстрирующие данное утверждение.

Оставляя в стороне объяснение такой ситуации, отмечу ее парадоксальность. Сама природа политики такова, что она имеет дело с конфликтами, которые «не допускают чисто «рационального» их разрешения… и добровольного принятия открывающейся таким образом «истины»… В этом состоит различие между научными проблемами и политическими» [Капустин 2011, с. 40]. Как бы то ни было, коль скоро формирование экономической политики позиционируется как едва ли не преимущественно экспертная задача, роль экспертов в этом процессе заслуживает пристального внимания.

Вообще говоря, возросшее участие экспертов в выработке политических решений, особенно в отношении экономической политики, - весьма распространенное явление. Ему посвящено немало исследований, ключевое место в которых занимает вопрос о том, в какой мере и при каких обстоятельствах эксперты выполняют функцию «честного брокера», стоящего над политической схваткой[Pielke, Jr. 2007]. Показано, что, с одной стороны, эксперты, не говоря уже о других участниках политического сообщества, почти всегда в некоторой мере отклоняются от роли чистых технократов, а с другой – придание политическим противостояниям видимости всего лишь несовпадения экспертных позиций подчас облегчает принятие компромиссных решений и поддержание баланса интересов[Puetter 2007].

В условиях России последнее обстоятельство может иметь немалое позитивное значение. Российское общество крайне неоднородно в экономическом, социальном, этническом, конфессиональном и идеологическом плане. В результате неизбежны глубокие расхождения в отношении предпочитаемой экономической политики. Их иллюстрацией служат, в частности, приведенные в таблице 1 данные репрезентативного опроса населения, который был проведен НИУ ВШЭ.

Расхождения в особой мере чреваты конфликтами, когда интересы основных групп общества довольно слабо институционализированы, а политическая культура менее всего ориентирована на поиск компромиссов, что в настоящее время имеет место в России [см. Якобсон 2016]. В подобных обстоятельствах влияние экспертного сообщества может быть исключительно плодотворным, если его члены совмещают высокую профессиональную компетентность, добросовестность и способность улавливать и сбалансировано репрезентировать разнообразные интересы.

Таблица 1. Ответы на вопрос, с какими из следующих суждений согласен респондент (в процентах к числу опрошенных).

	Всенаселение	Беднейшие	Малообеспеченные	Средний класс
России нужно создать привлекательные для бизнеса условия работы: низкие налоги, справедливые суды, отсутствие бюрократических барьеров	36	29	37	47
Россия – богатая страна, и бизнес будет работать здесь в любом случае	22	21	23	23
России надо заботиться не о хорошем деловом климате, а о том, чтобы бизнес приносил пользу обществу	17	16	17	17
России не нужны иностранные инвестиции и присутствие в стране иностранных компаний	9	10	10	6

Временно оставив в стороне вопрос о том, насколько названные качества свойственны большинству российских экспертов, имеет смысл указать, что в последние годы в стране создано немало институциональных ниш, в которых эти свойства могли бы проявиться. Эксперты представлены в многочисленных консультативных органах при Президенте, Правительстве, Федеральном Собрании,в министерствах и аналогичных органах в регионах. В2012 году сформирован Экспертный совет при Правительстве, организация работы которого составляет основную функцию одного из министров. Однако, судя по имеющимся данным, влияние большинства из этих органов на экономическую политику невелико, причем дело не только в недостаточном внимании к их рекомендациям, но и в поведении самих экспертных структур.[8] Следовательно,

[8] Вывод основан на исследовании автора, проведенном на материале бюджетной политики. Его результаты были представлены в марте 2016 г. на ежегодной конференции Британской ассоциации

каналы, по которым эксперты могли бы способствовать повышению качества экономической политики, используются далеко не в полной мере.

Приблизиться к объяснению ситуации позволяют данные опроса 304 активно работающих экспертов из 24 городов России. Он был проведен зимой и весной 2016 г. по анкете, разработанной автором при участии И.В.Мерсияновой и А.В.Кинсбургского. К участию в опросе были приглашены члены Экспертного совета при Правительстве и авторитетного Совета по внешней и оборонной политике, а также другие эксперты, известные по выступлениям в СМИ с широкой аудиторией. Внимание было уделено в том числе вовлечению в опрос экспертов оппозиционных партий. Последнее было сделано, чтобы соблюсти политический баланс позиций с точками зрения членов Экспертного совета при Правительстве, хотя и они, судя по публичным выступлениям, проявляют отнюдь не сервильное отношение к властям. Размеры доклада позволяют привести лишь небольшую часть полученных результатов (более полную информацию см. https://grans.hse.ru/14_06_2016).

От эксперта-технократа, вообще говоря, ожидается дистанцирование от идеологических пристрастий и партикулярных интересов. Если же идеал недостижим, желательно, чтобы эксперты более или менее сбалансированно представляли интересы разных социальных групп. В реальности, как свидетельствуют данные таблицы 2, члены экспертного сообщества, выступавшие в роли респондентов, видят в суждениях своих коллег нечто совсем иное. Следует подчеркнуть, что опрошены были лишь весьма опытные и активные эксперты, хорошо знакомые с реалиями.

Таблица 2. Ответы на вопрос: «Как часто, с точки зрения респондента, встречаются экспертные суждения, которые отражают интересы….» (в процентах к числу опрошенных)

	Очень часто	Довольно часто	Довольно редко	Совсем не встречаются	Нет ответа или затруднились ответить
…общества в целом, как их понимает эксперт, свободный от идеологических пристрастий?	6	45	43	0	6
…общества в целом, как их понимает эксперт в контексте своих идеологических пристрастий?	15	61	19	0	4
…крупного бизнеса?	17	51	24	1	8
…малого и среднего бизнеса?	4	29	55	4	8
…работников образования, здравоохранения, науки, культуры и т.п.?	4	35	49	7	5
… рабочих?	2	9	47	32	10
…гражданских государственных служащих?	4	21	43	20	11
…военнослужащих?	6	38	38	7	11
…пенсионеров?	8	31	45	9	8

Коль скоро типичный российский эксперт не является «дистиллированным» технократом, имеет смысл попытаться оценить природу их отличий от такой гипотетической фигуры.

Респондентам задавался среди других вопрос, считают ли они, что некоторые эксперты с целью навязать свое представление или обеспечить поддержку тем или иным силам преднамеренно, осознанно пренебрегают полнотой картины или затушевывают различия между твердо установленными фактами и лишь частично подтвержденными гипотезами. Лишь 14% опрошенных ответили отрицательно. Тем, кто ответил положительно, задавался вопрос, что чаще всего побуждает экспертов поступать таким образом. 49% назвали желание действовать в интересах конкретного заказчика, 39% - стремление обеспечить поддержку отдельным политическим силам, 29% - желание навязать аудитории свою «картину мира», 28% - стремление преувеличить меру своей

славянских и восточноевропейских исследований (BASEES) и в настоящее время готовятся к публикации.

компетентности, 27% - желание наиболее ярко и доступно выразить свою мысль, 19% - стремление улучшить свое материальное положение.

Следующий шаг можно сделать, сопоставив качества экспертов и ученых, специализирующихся в области общественных наук, но не выступающих в роли экспертов (таблица 3). По оценке членов сообщества, для экспертов характерны оперативность в работе, знание фактов, общественный темперамент, интуиция, высокая работоспособность. Однако к числу наиболее типичных для них качеств не относятся принципиальность, стремление к поиску объективной истины, самостоятельность, независимость в оценках, скрупулезность и добросовестность в анализе и изложении его результатов. Наиболее же ярко выражена такая особенность экспертов, как умение понимать конкретные интересы заказчика и готовность их учитывать. Именно последнее качество большинство респондентов называли, отвечая также на вопрос о том, что в наибольшей степени способствует сотрудничеству экспертов с лицами, принимающими решения.

Таблица 3. Ответы на вопрос: «Для кого более характерны следующие качества и способности – для экспертов или для тех ученых-обществоведов, которые не участвуют в экспертной деятельности?» (в процентах от числа опрошенных)

	Для экспертов	Для ученых-обществоведов
Умение понимать конкретные интересы заказчика и готовность их учитывать	61	11
Оперативность в работе	59	7
Знание фактов/информированность	55	9
Способность быстро осваивать новые проблемы, еще неизученные вопросы	48	17
Общественный темперамент	47	15
Умение доступно и ярко излагать свою позицию	45	17
Интуиция	38	13
Высокая работоспособность	32	9
Широта интересов/кругозор	27	21
Высокий интеллектуальный уровень, ярко выраженные аналитические способности	23	17
Принципиальность	22	32
Терпимость к чужим точкам зрения, мнениям	20	19
Стремление к поиску объективной истины, самостоятельность, независимость в оценках	18	33
Скрупулезность и добросовестность в анализе и изложении его результатов	17	41
Знание современной литературы в своей профессиональной области	16	42
Склонность подчинять свою жизненную позицию идеалам	9	35

Итак, люди, принадлежащие к экспертной среде, довольно скептически оценивают независимость своих коллег и надежность их оценок. Ситуация в немалой степени объясняется сочетанием двух факторов: спецификой предлагаемых экспертам экономических стимулови несформированностью сообщества, этос которого противостоял бы их давлению. В этом можно убедиться с помощью данных, представленных в таблицах 4 и 5. Как видно из первой из них, существующая структура источников финансирования экспертной деятельности, по мнению респондентов, принципиально отличается от той, которая в наибольшей степени соответствовала бы природе экспертной деятельности.

Упомянутое выше создание государством многочисленных экспертных структур и наделение некоторых их них полномочиями, не сводящимися к праву давать советы, свидетельствует о заинтересованности властей получать независимые суждения (что не предполагает обязательства во всем им следовать). Однако сильнейшая зависимость экспертов от финансирования из источников, контролируемых властью, мешает реализации запроса. Оценки, высказываемые экспертами, в ходе

их работы, разумеется, не отражаются прямо на финансировании. Однако неизбежно своего рода смещение взгляда, порождаемое инерцией отношений с традиционными заказчиками, первое место среди которых занимают государственные органы, а второе - структуры крупного бизнеса.

Таблица 4. Какие из перечисленных источников финансирования экспертной деятельности в нашей стране играют/должны играть наиболее важную роль для ее успешного развития? (% от числа опрошенных, не более трех вариантов ответа по столбцу)

	Играют	Должны играть
Заказы государственных и муниципальных органов власти	58	34
Бюджетное финансирование НИИ, вузов и т.д.	50	47
Заказы частного бизнеса	35	26
Финансирование из средств отечественных фондов и других НКО, тесно связанных со структурами власти	32	26
Средства СМИ	17	12
Финансирование из средств отечественных фондов и других НКО, тесно связанных с частным бизнесом	16	26
Финансирование из средств отечественных фондов и других НКО, тесно связанных с неполитическими структурами гражданского общества (профессиональными, этническими, культурными и др.)	16	42
Финансирование из средств отечественных фондов и других НКО, тесно связанных с политическими партиями	12	14
Финансирование из средств международных организаций, зарубежных правительственных агентств и других зарубежных НКО	10	13

Смещениям, порождаемым солидарностью с заказчиками, мог бы противостоять этос самого экспертного сообщества и забота о репутации в глазах коллег. Однако, как видно из таблицы 5, способность добиваться успеха у аудитории ценится в экспертной среде гораздо больше, чем обоснованность оценок и, тем более, искренность.

Таблица 5. В какой мере определенные нормы, существующие в экспертной среде, побуждают экспертов в целом … (% от числа опрошенных)

	%
… стремиться к убедительности своих оценок для аудитории?	
В существенной мере	69
В несущественной мере	27
Вовсе не побуждают	2
… быть в курсе новейших достижений в соответствующей области науки?	
В существенной мере	57
В несущественной мере	29
Вовсе не побуждают	9
… быть в курсе того, что делают другие эксперты?	
В существенной мере	40
В несущественной мере	40
Вовсе не побуждают	11
… заботиться о научной обоснованности своих оценок?	

В существенной мере	37
В несущественной мере	43
Вовсе не побуждают	16
… избегать неискренности в оценках?	
В существенной мере	27
В несущественной мере	30
Вовсе не побуждают	29

Приведенные данные побуждают сформулировать гипотезу, которая требует проверки не только на материале России. Склонность акцентировать технократический подход к экономической политике может быть обусловлена не слабостью партикулярных интересов, а их недостаточной проясненностью и стремлением предотвратить их открытые конфликты. Результат может оказаться двояким: с одной стороны, чрезмерные надежды возлагаются на предположительно политически нейтральные сообщества и структуры, а с другой - эти сообщества и структуры оказываются инструментами недостаточно прозрачного и несбалансированного представительства интересов. При прочих равных условиях, это увеличивает риски непоследовательности и нерациональности принимаемых решений.

ЛИТЕРАТУРА:

1. О.И.Ананьин, Экономика как искусство: Методологические вопросы применения экономической теории в прикладных социально-экономических исследованиях. Москва: Наука, 2008. - 225 с.
2. Капустин Б.Г. Тезисы о политической философии // Политическая концептология, г. Ростов-на – Дону, 2011, №2, с. 40.
3. Pielke, Jr. R. A. The Honest Broker: Making Sense of Science in Policy and Politics. Cambridge University Press, 2007.
4. Puetter U. Providing Venues for Contestation: The Role of Expert Committees and Informal Dialogue among Ministers in European Economic Policy Coordination // Comparative European Politics, 2007, № 5, pp.18-35.
5. Якобсон Л.И. Социальная политика ювенального общества // Общественные науки и современность, Москва, 2016, №1, с. 90-102.

Technocratic policy? On the role of experts in shaping economic policy in Russia

L. Jacobson,

Summary

Russia is characterized by the positioning of its economic policy as primarily technocratic. This suggests a significant role of experts in decision-making. In recent years the country has created a number of institutions which, in principle, could contribute to fulfilling this role, but their efficiency is low. The explanation of the situation is provided on the basis of empirical research of the Russian expert community.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობის მექანიზმი

ნატო კაკაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაზღვევა წარმოადგენს ფინანსების შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის გარანტს. დაზღვევა ფულადი საშუალებების მობილიზებას ანხორციელებს სადაზღვევო რეზერვების სახით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რადგან საშუალებას იძლევა გადაწყვეტილ იქნას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებად მიგვაჩნია: მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა და უნდობლობა გრძელვადიან სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევისადმი, ქვეყანაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების გამო;დაზღვევის ზოგიერთი სახეობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა;მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა. სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი, რომლის შემცირება რისკების მაღალი ხარისხის გამო შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: *სადაზღვევო კომპანიების ლიკვიდობის კოეფიციენტები, გადახდისუნარიანობის მარჟა, მომგებიანობის კოეფიციენტები: ROI და ROE სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ერთიანი შეფასების მეთოდიკა Solvency.*

დაზღვევა წარმოადგენს ფინანსების შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის გარანტს. დაზღვევა ფულადი საშუალებების მობილიზებას ანხორციელებს სადაზღვევო რეზერვების სახით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის საგანს,რადგან საშუალებას იძლევა გადაწყვეტილ იქნეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.საქართველოს სადაზღვევო სექტორის საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და განსაზღვრისთვის გამოყენებულია ფინანსური -კოეფიციენტური ანალიზი სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლების, საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისების საფუძველზე. კოეფიციენტების ორი სახე არსებობს:საბალანსო (ბალანსური) კოეფიციენტი-ინფორმაცია ფინანსურ მდგომარეობაზე დროის განსაზღვრულ მომენტში ბალანსის შედგენის დროს და შემოსავლის/ბალანსის ანგარიშგების კოეფიციენტი-ინფორმაცია სადაზღვევო სისტემის საქმიანობის რომელიმე სახეობაზე. კოეფიციენტების საშუალებით შესაძლებელია ჩატარდეს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

ლიკვიდობის კოეფიციენტები:მიმდინარე კოეფიციენტი - ასახავს ვალების დაფარვის შესაძლებლობას აქტივებით; სააქციო კაპიტალთან ვალის დამოკიდებულების კოეფიციენტი - ასახავს ვალით და საკუთარი კაპიტალით დაფინანსების დამოკიდებულებას; ვალის და მთლიანი აქტივების დამოკიდებულების კოეფიციენტი - ასახავს ნასესხები კაპიტალის გამოყენებას. აქტიურობის კოეფიციენტები:დებიტორული მოთხოვნების ბრუნვა (RT) - ასახავს რამდენჯერ მოხდა ვალდებულებების ბრუნვა (ნაღდი ფულით) წლის განმავლობაში,რაც იძლევა ინფორმაციას ვალდებულებების ხარისხზე;დებიტორული მოთხოვნების ბრუნვა დღეებში (RTD) - ასახავს მოთხოვნის ამოღების დღეების საშუალო რაოდენობას. მომგებიანობის კოეფიციენტები:მოგება ინვესტიციაზე ROI - ასახავს არსებული აქტივებით მოგების მიღების მთლიან ეფექტურობას; მოგება საკუთარ კაპიტალზე ROE - ასახავს გამომუშავების სიმძლავრეს აქციონერების ნარჩენი ღირებულების ინვესტიციაზე.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისათვის დაწესებულია გადახდისუნარიანობის მარჟა, განისაზღვრება საზედამხედველო კაპიტალი, რომელიც განმტკიცებულია როგორც კანონქვემდებარე, ასევე საკანონმდებლო აქტებით. 2016 წლიდან სადაზღვევო შუამავლები (ბროკერები) ვალდებული არიან დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს წარუდგინონ პერიოდული ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ, გაფართოვდა მათი რეგისტრაციისთვის აუცილებელი მოთხოვნები.გადახდისუნარიანობის პრინციპის თანახმად, სადაზღვევო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, გადახდისუუნარობის რისკი იყოს კონტროლირებადი. 1980-იან წლებში ჯერ ფინეთში და შემდგომ დიდ ბრიტანეთში შეიქმნა „Finnish Solvency Working Party“ და „British Solvency Working Party“, რომელთა მიზანი იყო სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შესწავლა. ამ ჯგუფების ამოცანა იყო სადაზღვევო

პროცესის მოდელების შექმნა და ამ მოდელების მეთოდიკის შესწავლა. სწორედ ამ დირექტივების საფუძველზე შემდგომში შეიქმნა თანამედროვე ევროპული კანონმდებლობა, შემუშავდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ახალი სტანდარტები –„Finnish Solvency Working Party“, „British Solvency Working Party“-ის საფუძველზე.რისკების უფრო სრულად გათვალისწინების აუცილებლობა გადახდისუნარიანობის მარჟის გათვლის ევროპულ მეთოდიკაში ადრეც იყო გააზრებული, მაგრამ მხოლოდ 2001 წელს დაიწყო ევროკომისიამ პროექტის Solvency II-ის განხორციელება, სადაზღვევო კომპანიებზე ზედამხედველობის ევროპული სისტემის გადახედვის მიზნით. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და შემცირდეს კომპანიების ადმინისტრაციული დატვირთვა, Solvency II უნდა შეესაბამებოდეს შეფასების და ანგარიშგების სტანდარტებით IASB-ის მოთხოვნებს (IASB - ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო); ამასთან, იგი უნდა შეესაბამებოდეს AIAISის (სადაზღვევო ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაცია) და IAA-ის (საერთაშორისო აქტუარული ასოციაცია) მოთხოვნებს. საერთოდ, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება, საბაზრო პრინციპების საფუძველზე, არის Solvency II-ის ძირითადი სიახლე, რომელიც არსებით გავლენას ახდენს გათვლების შედეგებზე გადახდისუნარიანობის შეფასებისას. Solvency II საბოლოოდ ათვისებული იქნება 2010 წლისათვის. რიგი ევროპული ქვეყნის საზედამხედველო ორგანოები, Solvency II-ის დანერგვამდე ცდილობენ პარალელურად შეიმუშაონ სისტემა, რომელიც ემყარება აქტივების და პასივების ვალდებულებების საბაზრო შეფასებას, ყველა ძირითადი რისკის რაოდენობრივ გამოხატვას და შიგა მოდელების გამოყენებას. ასეთი პროექტები გამოიყენება დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში და ჰოლანდიაში. გადახდისუნარიანობის წესი არის ევროპული რეგლამენტაციით ყველაზე მახასიათებელი გამოხატულება, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ევროკავშირის ყველა სადაზღვევო კომპანია. მზღვეველის გადახდისუნარიანობის დონე განისაზღვრება მისი აქტივების შედარებით მოცემული მომენტისათვის არსებულ ვალდებულებებთან. ამასთან გაითვლება ფაქტიურად თავისუფალი აქტივების სიდიდე. სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა მიიღწევა მაშინ, როცა საკუთარი სახსრების ფაქტიური სიდიდე შეესაბამება ნორმატიულს. საკუთარი სახსრების გადახდისუნარიანობის ნორმატიული სიდიდე განისაზღვრება სამი მაჩვენებლით: გადახდისუნარიანობის მარჟა; გარანტირებული ფონდი - 1/3 გადახდისუნარიანობის მარჟა; მინიმალური გარანტირებული ფონდი.ევროპის ქვეყნებში მიღებულია სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ერთიანი შეფასების მეთოდიკა Solvency. Solvency ის პირველი მოდელი არ აღმოჩნდა სრულყოფილი და შექმნილი ვითარების ფონზე ევროკავშირის ქვეყნებმა შექმნეს და განავითარეს ახალი, უფრო გაუმჯობესებული მოდელი Solvency II.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიები გრძელვადიან დაფინანსებას, ძირითადად, კაპიტალის ბაზრის მეშვეობით უზრუნველყოფს. ცხადია, რომ ქართულ სადაზღვევო სექტორს შედარებით მცირე წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაში. საქართველოში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო ფონდები არ არის მიმართული საფონდო ბაზარსა და იმ საინვესტიციო პროგრამებზე, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის ინვესტირებას.

თუ გავაანალიზებთ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ მონაცემებს, ვნახავთ, რომ მოზიდული პრემიის მიხედვით, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციამ (5 წამყვანი სადაზღვევო კომპანია) 2015 წლისათვის 74% (20%;20%;17%;9%;8%) შეადგინა, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი 2014 წლისათვის 81%-ს შეადგენდა. შესაბამისად, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი 7%-ით შემცირდა.სადაზღვევო კომპანიების მიერ 2015 წლის მანძილზე მოზიდულმა პრემიამ 359 798 773 ლარი შეადგინა,2014 წელს 302 640 671 ლარი, რაც 2015 წლის მაჩვენებელს 19.9%–ით ჩამორჩება. 2015 წლის ოფიციალური შემაჯამებელი მონაცემებით სახელმწიფო პროგრამების გარეშე მოზიდული პრემიის მიხედვით სადაზღვევო კომპანიები შემდეგი მონაცემებითხასიათდებიან(ლარებში): [3.გვ.4]

1. სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" 72 921 987 (ბაზრის 20 %);
2. სს “სადაზღვევო კომპანია ალდაგი" 70 765 708 (ბაზრის 20%);
3. ს.ს. „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ 62 804 788 (ბაზრის 17%);
4. შპს სადაზღვევო კომპანია "უნისონი" 31 430 005 (ბაზრის 9%);
5. შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია "ირაო" 29 007 102 (ბაზრის 8%).

2014-2015წლებში სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო ზარალის შემცირება განაპირობა სოციალური პროექტების კერძო სექტორისთვის ჩამოშორებამ.სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო შემოსავალი (გამომუშავებული სადაზღვევო პრემია) 2015 წელს 245 603 035 ლარს შეადგენდა, ხოლო ამავე პერიოდის ნეტო სადაზღვევო ზარალი 171 787 962 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად 2015 წლის ზარალიანობის კოეფიციენტი შეადგენს 69.9%-ს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (75.2%) 5.3%-ით ნაკლებია.[3.გვ.,3] 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ზარალიანობის კოეფიციენტი ზრდის ტენდენციით

ხასიათდება, თუმცა 2014 წლიდან მოცემული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა.2015 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემიის დაახლოებით 42,76% სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, მეორე ადგილზეა ქონების დაზღვევა –19,27%-ით, ხოლო შემდგომ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა –15,65%-ით.[3.გვ.4]სადაზღვევო კომპანიების ჯამურნა კაპიტალმა 2015 წლის ბოლოს 100 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2014 წლის იგივე მაჩვენებელმა 95 მლნ ლარი. [3.გვ.5],ხოლო 2015 წელს მზღვეველების ჯამურმა აქტივებმა 520 მლნ ლარი შეადგინა, 2014 წლისათვის კი - 492 მლნ ლარი.[4.გვ.,7].

დაზღვევისთვის დამახასიათებელია რამდენიმე არსებითი თავისებურება, რაც განპირობებულია დაზღვევის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკურობით. ეს თავისებურებებია:

- დაზღვევისას წარმოქმნილი ფულადი გადანაწილებითი ურთიერთობები, რომელიც განპირობებულია სადაზღვევო რისკის არსებობით;
- დაზღვევისას წარმოქმნილი ჩაკეტილი გადანაწილებითი ურთიერთობები მონაწილეებს შორის, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე მეურნეობაში მომხდარი ზარალის სოლიდურ გადანაწილებასთან დაზღვევაში ჩართულ ყველა მეურნეობაზე;
- დაზღვევით განპირობებული ზარალის გადანაწილება, როგორც ტერიტორიულ ერთეულებს, ასევე დროითი ჭრილით. სადაზღვევო ფონდის ეფექტიანი ტერიტორიული გადანაწილებისათვის დაზღვეულ მეურნეებს შორის საჭიროა ვრცელი ტერიტორიისა და მრავალი მეურნე ობიექტების არსებობა.

ზარალის დროითი გადანაწილება საგანგებო მოვლენის შემთხვევითი ხასიათთან დავაკშირებით სცდება ერთი სამეურნეო წლის ფარგლებს, საგანგებო მოვლენა შეიძლება წლების განმავლობაში არ მოხდეს და არცაა ცნობილი როდისაა მოსალოდნელი.აღნიშნული გარემოება ქმნის სადაზღვევო პრემიის გარკვეული ნაწილის რეზერვირების აუცილებლობას სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად, რათა გამოყენებულ იქნეს როგორც საგანგებო ზარალის ანაზღაურების წყარო, საჭიროების შემთხვევაში.

დაზღვევისთვის დამახასიათებელია მობილიზებული სადაზღვევო გადასახდელების დაბრუნებითობა. გადასახდელები განისაზღვრება სადაზღვევო ტარიფების საფუძველზე, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: ნეტო გადასახადისგან და ზედნადები ხარჯებისაგან. ნეტო გადასახადების დანიშნულებაა სავარაუდო ზარალის ანაზღაურება, ხოლო ზედნადებ ხარჯების - სადაზღვევო კომპანიის შენახვა.

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების ტემპი საშუალებას იძლევა,დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების დონის სადაზღვევო პროდუქტის ბაზარი, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის და პროფესიული დონის ზრდა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაზღვევის გარკვეული სახეობისათვის კონკრეტული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, როგორიცაა აგროდაზღვევა. სადაზღვევო პროდუქტის საიმედოობის მაღალ დონეს განაპირობებს ეფექტიანად განხორციელებული გადაზღვევის პოლიტიკა, რაც სადაზღვევო პორტფელის დაბალანსების პრაქტიკის გამოყენებით საშუალებას იძლევა ოპერატიულად დაიფაროს ზარალები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პარტნიორი გადამზღვეველი კომპანიები, რეიტინგული მონაცემებით, მაღალი კლასის გადამზღვეველ კომპანიებს განეკუთვნება.

მნიშვნელოვანი პრობლემებია ჯანმრთელობის ინდივიდუალური დაზღვევის მიმართულებით. საქართველოში ინდივიდუალური დაზღვევის პირველი პოლისი ხუთი წლის წინ გამოჩნდა. თუმცა, დაზღვევის აღნიშნული მიმართულება ძალზე ნელი ტემპით ვითარდება და მთლიანი პოლისების მხოლოდ 10%–ია. ამ მიზნით მიზანშეწონილიაინდივიდუალური დაზღვევის განვითარებისთვის სადაზღვევო კომპანიებისერთობლივი სარეკლამო-საინფორმაციო კამპანიის დაწყება; ასევე მნიშვნელოვან პრობლემაა კერძო სადაზღვევო კომპანიების ფინანსური დავალიანებები სავადმყოფოების მიმართ. სადაზღვევო კომპანიების ჩართვამ ჰოსპიტალურ სექტორში დაზღვევის სფეროს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებად მიგვაჩნია:

- ✓ მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა და უნდობლობა გრძელვადიან სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევისადმი, ქვეყანაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების გამო;
- ✓ დაზღვევის ზოგიერთი სახეობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა;
- ✓ მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა;
- ✓ სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი, რომლის შემცირება რისკების მაღალი ხარისხის გამო, შეუძლებელია.

არსებული პრობლემების დაძლევა შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირებით, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებით, სადაზღვევო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებით,სახელმწიფოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგისადმი მხარდაჭერით, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ თბ.,1997
2. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ.,2012
3. http://insurance.gov.ge
4. http://heconomic.wordpress.com/2013/09/08/national-bank-georgia/

The Mechanism for the Financial Stability of Insurance Companies

N. Kakashvili

Summary

Insurance is as an integral part of the financial system, as well an important factor of country's Financial System Stability.

Insurance funds are allocatedthrough the insurance reserves, which is the subject of particular interestalso,it is important for solving the country's social and economic problems.

In our opinion, the a major obstacle to the insurance market efficiency, financial stability and development are: low-income of population and trust towards a long life and pension insurance; the rapidly changing political and economic risks due to absent an appropriate legislative framework for some type of insurance; the lack of insurance culture of population. The insurance company established by the high tariff rates, which impossible to reduce because of high quality of the risks.

Key words: *Insurance companies' liquidity ratios, Solvency margin, Profitability ratios: ROI and ROE insurance companies to pay the assessment methodology for Solvency.*

ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

ლევან კალანდაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

კრიპტოგრაფიული ვალუტა - ბიტკოინის გაჩენამ და მისი პოპულარობის ზრდამ, ცენტრალურ ბანკებს საკითხის ახლებურად გააზრებისაკენ უბიძგა. ბიტკოინი თავისი შესაძლებლობებით ინტერნეტს გავს, რადგან ინტერნეტი იგივე მნიშვნელობას წარმოადგენს ინფორმაციისათვის რა მნიშვნელობისაცაა ბიტკოინი გადახდის წარმოებისათვის. კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი საქართველოსათვის ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნულ ვალუტასთან დაკავშირებული რიგი საკითხის გამოყოფა, რისთვისაც ყურადღების გამახვილება აუცილებელია როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მოსახლეობისათვის.

აუცილებელია ითქვას, რომ ბიტკოინ ტექნოლოგიები ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. გლობალიზაციის ტრენდი და ინტერნეტგაყიდვები, სავარაუდოდ, მოიტანს ადაპტაციას და ბიტკოინი სწორად და სწრაფად გავრცელდება საქართველოში. ბიტკოინს ექსპერტები ახალ ინტერნეტ ვალუტას უწოდებენ. თავის დროზე ბევრი აღიარებდა ინტერნეტის ინოვაციურობას, მაგრამ ერთეულებს თუ შეეძლოთ მისი რეალური პოტენციალის შეფასება. დღეისათვის მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ბიტკოინის გამოყენება ცხოვრებაში და ბიზნესში დროსთან ერთად სულ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი გახდება. ამასთან, როგორც ყველა ცვლილება, ბევრ ადამიანში ბიტკოინიც გამოიწვევს შიშს და მიუღებლობას, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ის ასეთი ადამიანების ყოველდღიურობაშიც ისევე იქნება ინტეგრირებული, როგორც ყველა დანარჩენის ცხოვრებაში. ზუსტად ისე როგორც ინტერნეტი ინტეგრირდა ყველა ადამიანის ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: *ბიტკოინი, ბლოკჩეინი, მაინინგი, ინტერნეტ გაყიდვები, ტრანზაქციები.*

კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინის გაჩენამ და მისი პოპულარობის ზრდამ, ცენტრალურ ბანკებს საკითხის ახლებურად გააზრებისაკენ უბიძგა. ევროპის ცენტრალური ბანკის კლასიფიკაციით, [1, გვ. 42] ,,ვირტუალური ვალუტა არის არარეგულირებადი ციფრული ფულის ტიპი, რომლის გამოშვება და ჩვეულებრივ კონტროლიც ხორციელდება მისი შემქმნელების მიერ და გამოიყენება სპეციფიკური ვირტუალური საზოგადოების წევრების მიერ“.

თავის მხრივ, გამოიყოფა ვირტუალური ვალუტის სამი ძირითადი სქემა. პირველია დახურული ვირტუალური ვალუტა, სადაც ვალუტას არ აქვს კავშირი რეალურ ეკონომიკასთან. ასეთი ვალუტები ძირითადად ონლაინ თამაშებისათვის გამოიყენება; მეორეა, ცალმხრივი ვირტუალური ვალუტის სქემა. სადაც ვირტუალური ვალუტის შეძენა შესაძლებელია რეალური ვალუტის სანაცვლოდ, თუმცა, უკუგადაცვლა ნებადართული არ არის. ამასთან, გადაცვლის პირობებსა და კურსს ადგენს ვალუტის შემქმნელი.

კლასიფიკაციის მესამე სქემაა ორმხრივი ვირტუალური ვალუტა, რომლის ყიდვა–გაყიდვა შესაძლებელია რეალური ვალუტის სანაცვლოდ, ასევე, როგორც წესი, შეზღუდვის გარეშე შესაძლებელია რეალური საქონლისა და მომსახურების შეძენა.

ბიტკოინის განსაკუთრებულობას წარმოადგენს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორმაგი გადახდის თავიდან აცილებას სანდო მესამე მხარის გარეშე, როგორც უშუალოდ ტრანზაქციის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგაც.

აღსანიშნავია, რომ ბიტკოინის მისაღებად და ტრანზაქციების განსახორციელებლად მომხმარებელმა უნდა გადმოწეროს და საკუთარ კომპიუტერზე დააყენოს მიმდინარე ბიტკოინის კლიენტი პროგრამა, რის შემდეგაც იგი ქმნის კრიპტოგრაფიული გასაღებების წყვილს – ღია და დახურულ გასაღებებს.

ამასთან, ბიტკოინის ქსელს არ გააჩნია ცენტრალური სანდო პირი, რომელიც აწარმოებდა ცენტრალიზებულ აღრიცხვას. ამის გამო საჭიროა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ტრანზაქციების დადასტურებას და თავიდან აიცილებს გადამხდელის მიერ იმავე ბიტკოინით სხვა ტრანზაქციის განხორციელებას. საერთო ბუღალტერიის წამოება დამოკიდებულია იმ მომხმარებლებზე (მათ ხშირად ,,მომპოვებლებს” - ,,miner” უწოდებენ), რომლებსაც თავიანთი კომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრეების ნაწილი დათმობილი აქვთ ბიტკოინის ქსელისათვის, რათა მოხდეს განხორციელებული ტრანზაქციების რეკონსილაცია და შენახვა ბლოკების ჯაჭვში.

შესაბამისად, საერთო ბუღალტერიის წარმოება შეგვიძლია დავყოთ სამ ეტაპად: პირველი – ახალი, ჯერ კიდევ დაუდასტურებული ტრანზაქციების გამოქვეყნება. მეორე – გამოქვეყნებული ტრანზაქციების დადასტურება რთული მათემატიკური ამოცანების გადაჭრის გზით და მესამე – ახალი ბლოკების გამოქვეყნება და უმრავლესობის მიერ დადასტურებული ბლოკის არჩევა ჯაჭვის შემდეგ ბლოკად.

კრიპტოგრაფიულ ვალუტა ბიტკოინს გააჩნია მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები და უპირატესობა სახელმწიფოს მიერ მართვად ვალუტებთან შედარებით. ერთ-ერთ ასეთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს აღნიშნული ვალუტის დეცენტრალიზებულობა. ბიტკოინი მსოფლიოში პირველი სრულიად დეცენტრალიზებული ციფრული ვალუტაა. ბიტკოინის ქსელი არ კონტროლდება არცერთი ცენტრალური ინსტიტუტის მიერ. ბიტკოინის ქსელი არ იმართება ცენტრალური სერვერით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბიტკოინის ქსელში ჩართვა განსაკუთრებულად მარტივია, მაშინ როცა კომერციული ბანკების მხრიდან, ყველაზე მარტივი ოპერაციის შესრულებასაც კი საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურა სჭირდება. ბიტკოინის მომხმარებლის ანონიმურობა დაცულია, ვინაიდან ერთ მომხმარებელს შეუძლია ფლობდეს ბიტკოინის რამდენიმე მისამართს. ამასთან, ეს მისამართები არ არის სახელებზე, ფიზიკური ან იურიდიული პირების მისამართებზე ან სხვა პირად მონაცემებზე მიბმული. აუცილებელია ითქვას, რომ აღნიშნული ვალუტა კიდევ ერთი ძლიერი ინსტრუმენტია დემოკრატიზაციის პროცესის მხარდამჭერთათვის, ვინაიდან ბიტკოინი ამარტივებს არადემოკრატიულ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის მუშაობას.

უნდა ითქვას, რომ ბიტკოინის კომპიუტერული სისტემა აბსოლუტურად გამჭვირვალეა. თავად ბიტკოინის ქსელი თითოეული ტრანზაქციის შესაბამის ჩანაწერს ინახავს მონაცემთა საერთო ბაზაში, რომელსაც ბლოკჩეინი ეწოდება. აღსანიშნავია რომ ბიტკოინებით ტრანზაქციის საკომისიო მინიმალურია. საერთაშორისო ფულად გზავნილებზე ბანკები დიდ საკომისიოებს აწესებენ, ხოლო ბიტკოინით ტრანზაქციის შემთხვევაში საკომისიო თავად მომხმარებლის მიერ წესდება. ამასთან, ბიტკოინით ტრანზაქცია სწრაფი და მოქნილია. მსოფლიოს ნებისმიერი ერთი ადგილიდან მსოფლიოს ნებისმიერ მეორე წერტილამდე ბიტკოინების გადაგზავნა მხოლოდ რამდენიმე წუთის საკითხია. ფულადი გზავნილების სფეროსათვის ბიტკოინის უდიდეს პერსპექტივაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ისეთი მსხვილი საგადასახდო სისტემები, როგორიც ,,Western Union"-ი და ,,MoneyGram"-ი არიან გადარიცხვის საკომისიოდ საკმაოდ დიდ თანხებს იტოვებენ (განსაკუთრებით თვალშისაცემია საკომისიო თანხების პროცენტული ოდენობა მცირე თანხების გადარიცხვების შემთხვევაში).

აღნიშნული საშუალება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რადგან ჩვენი თანამემამულეების არცთუ ისე მცირე რაოდენობა, ჯერ კიდევ ქვეყნის საზღვრებს გარეთაა და ფულადი გზავნილების საშუალებით ცდილობს საკუთარი ოჯახის წევრებისა და ახლობლების დახმარებას. ბიტკოინის მიმზიდველობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ეკონომიკური კრიზისების ფონზე. აღსანიშნავია, რომ არსებობს არაერთი ადამიანი რომელიც ბიტკოინებს უბრალოდ აგროვებს, როგორც ქონებას, იმ იმედით, რომ მომავალში მათი ღირებულება მკვეთრად გაიზრდება.

ამასთან, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში, ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის ბიტკოინები დამატებითი შემოსავლის წყაროდ გვევლინება, ვინაიდან ინტერნეტში არსებობს ბიტკოინების მოსაგროვებელი უამრავი საიტი.

ნებისმიერი კომპლექსური სიტემის მსგავსად, ბიტკოინსაც გააჩნია რიგი სუსტი მხარეებისა, რომლებიც აუცილებელია აღინიშნოს ბიტკოინზე მსჯელობისას. ბიტკოინის დეცენტრალიზებულობის მიუხედავად, მისი მომხმარებლები მაინც ღია პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობენ. ამასთან, მომხმარებლების მიერ ბიტკოინების ფლობა დასტურდება დახურული გასაღებით, ხოლო მისი დაკარგვის და მოპარვის შემთხვევაში უპირობოდ იკარგება შესაბამისი ბიტკოინები. აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 5 ოქტომბერს დაიწყო ბიტკოინით ვაჭრობა სხვა ვალუტების მიმართ და მისი თავდაპირველი ღირებულება შემდეგი კურსით განისაზღვრა: US$1 = 1309.03 BTC. ბიტკოინის ეს ღირებულება ეფუძნებოდა ელექტრობის ხარჯებს, რომელსაც მოიხმარდა ბიტკოინების გენერირებისთვის გამოყენებული კომპიუტერი.

რამდენადაც ბიტკოინი არ არის დაკავშირებული რეალურ აქტივებთან და რეალური ვალუტებისაგან განსხვავებით მის უკან არც რეალური ეკონომიკა დგას, მისი გაცვლითი კურსი არამარტო მოკლევადიან, არამედ საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივითაც მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არანაირი საფუძველი რეგულირებად ვალუტებთან გრძელვადიანი წონასწორობის შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, მის კურსზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს ნეგატიური პრესა, ასევე ცალკეულ ქვეყნებში ზედამხედველების გადაწყვეტილებები ბიტკოინის გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიტკოინის კურსი ძალიან ცვალებადია და შესაძლოა დღეში რამდენჯერმე, რამდენიმე ათეული დოლარით შეიცვალოს, თუმცა ნებისმიერ მომხმარებელს საშუალება აქვს ეს ცვლილება სათავისოდ გამოიყენოს და მის ხარჯზე მოგება მიიღოს. ბიტკოინის კურსის მკვეთრი ცვალებადობა ხშირად გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი ,,Bloomberg"-ის ვერსიით 175 ვალუტას შორის ყველაზე ცუდ ვალუტად დასახელდა. ,,Bloombergview"-ის მიმომხილველი მარკ გილბერტი მიიჩნევს, რომ 2014 წელს ბიტკოინმა ნამდვილი კატასტროფა განიცადა. იგი მიჩნევს, რომ ბიტკოინი აღმოჩნდა ინტერნეტ მომხმარებელთა შორის ყველაზე დიდი იმედგაცრუება ოქროს შემდეგ. ისინი თვლიან, რომ რაც უფრო მეტი მომხმარებელი ეყოლება ვირტუალურ ვალუტას, მით უფრო მყარი და კონკურენტული გახდება ის გლობალურ ბაზარზე.

კრიპტოგრაფიული ვალუტა მსოფლიოს მასშტაბითაც კი სიახლეს წარმოადგენს და აღნიშნული კუთხით პროცესების გააქტიურებას საქართველოში ეკონომისტების ნაწილი სკეპტიკურად უყურებს. ისინი თვლიან, რომ კრიპტოგრაფიული ვალუტა სრულიად უკონტროლოა და მისი მეშვეობით საკმაოდ მარტივია არალეგალური ოპერაციების წარმოება. ეკონომისტ დემურ გიორხელიძის აზრით **[2, გვ. 1]**, ბიტკოინი არის რისკის შემცველი ვალუტა, რომლითაც შესაძლებელია ფულის გათეთრება, ვინაიდან სისტემა არის აბსოლუტურად უკონტროლო.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ აშშ-ის ბიტკოინის რეგულაციების საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მარკო სანტოროს პოზიცია – ბიტკოინი სინამდვილეში ძალიან მკაცრად რეგულირდება. ვინაიდან, როცა ბიტკოინით დოლარის ან სხვა ვალუტის შესყიდვა ხდება, ეს ოპერაცია საბანკო რეგულაციებით კონტროლირდება.

ბიტკოინი განსაკუთრებით საინტერესო გახდა ინტერნეტის ე.წ. ,,შავი ბაზრის" მომხმარებლისათვის. ამასთან, მსოფლიოში ტერორიზმის საფრთხის განუხრელ ზრდასთან ერთად, საგულისხმოა ჰაკერების ჯგუფ ,,Ghost Security Group"-ის მიერ მოპოვებული მტკიცებულება, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ ტერორისტული დაჯგუფება ,,ისლამური სახელმწიფო" ფულადი გზავნილებისა და საფინანსო ოპერაციებისათვის ვირტუალურ ვალუტას – ბიტკოინს იყენებს.

ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიტკოინის ,,წყალობით", ბოლო პერიოდში, კიბერდანაშაულის ტალღა განვითარდა. მას შემდეგ, რაც დამნაშავეებს კომპანიებისა თუ ორგანიზაციების კომპიუტერული სისტემები მწყობრიდან გამოჰყავთ, გამოსასყიდის სახით ითხოვენ თანხის ვირტუალური ვალუტით – ბიტკოინით გადახდას.

ბიტკოინის მიმოქცევა ხორციელდება ე.წ. ,,ბიტკოინ-მეშახტეების" მიერ, რომლებიც ადასტურებენ ბიტკოინის მიმოქცევას და შეაქვთ შესრულებული ოპერაცია ტრანზაქციების დეცენტრალიზებულ ჟურნალში. თუმცა აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბიტკოინ-მაინინგი ხანგრძლივი და ძვირი საქმიანობაა და ამავდროულად ყოველი შემდგომი მაინინგი კიდევ უფრო რთულია ვიდრე წინამორბედი, რადგან იგი მეტ კალკულაციას და დროს მოითხოვს.

ბიტკოინ-მაინინგზე მსჯელობისას აუცილებელია ბლოკჩეინის არსის გაგება. ბლოკჩეინი ეს არის მონაცემების უზარმაზარი რეესტრი, რომელიც ვრცელდება ათასობით კომპიუტერზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამასთან, იმ კომპიუტერის მფლობელმა, რომელზეც განთავსებულია აღნიშნული ინფორმაციის ნაწილი, თავადაც არ იცის რა ტიპის ინფორმაციაა ეს.

ბიტკოინის ბუღალტერიის წარმოებისას ბლოკების ჯაჭვის ახალი დადასტურებული ბლოკის პოვნისათვის შესაბამისი მონაწილე იღებს ბიტკოინების ფიქსირებულ ოდენობას. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული გადასაწყვეტი მათემატიკური ამოცანის სირთულე პროგრამის მიერ ავტომატურად რეგულირდება და ახალი ბლოკი ნაპოვნია საშუალოდ ყოველ 10 წუთში. ამ წესის საშუალებით ერთდროულად ორი პრობლემის გადაჭრა ხდება. ერთ მხრივ, მომხმარებლებს აქვთ მოტივაცია თავიანთი გამოთვლითი სიმძლავრეების მეტი ნაწილი გამოიყენონ ბიტკოინის ქსელისათვის, რადგანაც რაც მეტია გამოთვლითი სიმძლავრე, მით მეტია ალბათობა, რომ ნაპოვნი იქნეს ახალი დადასტურებული ბლოკი და მიღებულ იქნეს ჯილდოდ ახალი ბიტკოინები. ხოლო მეორე მხრივ, ჯაჭვის ახალი დადასტურებული ბლოკის პოვნისთვის მისაღები ბიტკოინების ფიქსირებული ოდენობა ყოველ ოთხ წელიწადში ნახევრდება. ასე მაგალითად, 2009 წლიდან ყოველი ახალი ბლოკისათვის ჯილდო იყო 50 ბიტკოინი, ხოლო 2013 წლიდან 25 ბიტკოინი, 2017 წლიდან იქნება 12,5 ბიტკოინი და ა.შ. შედეგად ეგზოგენურად არის განსაზღვრული მოცემულ მომენტში გამოშვებული/მოპოვებული ბიტკოინების რაოდენობა და იგი 2040 წლისათვის მიაღწევს მაქსიმალურ რაოდენობას – დაახლოებით 21 მილიონ ბიტკოინს). ნავარაუდებია, რომ ამ მომენტიდან ახალი ბლოკის პოვნისათვის ჯილდო იქნება არა ახალი ბიტკოინების გამოშვება, არამედ ნაპოვნ ბლოკში გაერთიანებული ტრანზაქციების თანხიდან მიღებული საკომისიო.

საქართველოში, კერძოდ ქალაქ გორში, კრიპტოვალუტა ბიტკოინ-მაინინგის ბაზრის წამყვანმა კომპანია ,,BitFury"-მ 2014 წლის ზაფხულში დატა-ცენტრი გახსნა. ,,BitFury" მოწინავე კომპანიას წარმოადგენს ბიტკოინის ბლოკჩეინ ინფრასტრუქტურის (დატა ცენტრები, სერვერები, ჩიპები) მიმწოდებლებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს ბიტკოინ ტრანზაქციების ეფექტურ პროცესინგს. თანაინვესტირების ფონდის თანადაფინანსებით ამოქმედებულ, იმ დროისათვის მსოფლიოში უდიდეს საპროცესინგო დატა-ცენტრში დასაქმდა 20-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე. ამასთან, აღნიშნული პროექტი შეფასდა როგორც კომერციულად მიმზიდველი, ინვაციურ ტექნოლოგიებსა და ,,Know-How"-ზე დაფუძნებული.

კომპანია ,,BitFury"-ის წარმომადგენლები ერთი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ თუ როგორ განვითარდებოდა პროცესები გორის დატა-ცენტრში. კომპანიის წარმომადგენლები კმაყოფილები დარჩნენ და შედეგად, კიდევ ერთი დატა-ცენტრი თბილისში, კერძოდ, გლდანში დაფუძნდა. აღსანიშნავია, რომ ცენტრი, კომპანიის რამდენიმე ათეულმილიონიანი ინვესტიციის შემდეგ მოეწყო 18.5 ჰა ფართობის ტერიტორიაზე ტექნოლოგიური პარკთან ერთად. აღსანიშნავია, რომ გორში არსებული ცენტრის სიმძლავრე 20 მეგავატია, მაშინ როცა გლდანის დატა-ცენტრს 40 მეგავატის სიმძლავრე გააჩნია.

საქართველოში ბიტკოინ-მაინინგის მზარდ პერსპექტივაზე მიუთითებს ის, რომ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ელექტროენერგიის საფასური ძალიან კონკურენტულია. გარდა ამისა საქართველოში განახლებადი ელექტროენერგიის, ანუ ჰიდროენერგეტიკის წილი უფრო იზრდება და ეს მიმართულება ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური გუნდისგანაც სრულად მხარდაჭერილია.

როგორც ,,BitFury"-ის წარმომადგენელი განმარტავს, დატა-ცენტრების განსათავსებლად საქართველო შეირჩა შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ინვესტორებისთვის მისაღები საინვესტიციო გარემო, ბიზნესის კეთების სიმარტივე, ხელმისაწვდომი და კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, დაბალი გადასახადები და მიმზიდველი ფასი ელექტროენერგიაზე. ამასთან, ,,BitFury"-ის დამფუძნებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ბიზნესის ეფექტიანობის თვალსაზრისით პირველი ადგილი უკავია ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით, სადაც ,,BitFury" ოპერაციებს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საპროცესინგო ცენტრების ამოქმედების შემდეგ ფიქსირდება მზარდი ინტერესი ჩვენს ქვეყანაში მსგავსი ტიპის დატა-ცენტრების განთავსების კუთხით. ახალი ტექნოლოგიების მსგავსად, ვირტუალური ფულის გამოჩენამაც წარმოშვა ახალი გამოწვევები ფინანსური ინსტიტუტების ზედამხედველობისათვის. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ იგი სრულყოფილად არ ჯდება ვალუტის, ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტიტუტის მიღებულ განსაზღვრებაში. მას გააჩნია, როგორც ვალუტის, ასევე საცალო საგადასახდო სისტემის და აქტივების თვისებები.

ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ ვირტუალურ ვალუტას დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან და მათ განვითარებაზე მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ რეგულატორების მიდგომები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და რაც საინტერესოა, თვით ევროკავშირის ქვეყნებს შორისაც კი. თუმცა, მთავარი გამოწვევა, რაც უმეტესი მარეგულირებლის წინაშე დგას, ბალანსის შენარჩუნებაა. ერთის მხრივ, ფინანსური სერვისების სფეროში ინოვაციების ხელშეწყობისა და, მეორე მხრივ, არალეგალური მიზნებისათვის ამ ინოვაციების გამოყენებისაგან დაცვას, ასევე, ინოვაციების მომხმარებლების უფლებების დაცვას შორის. თუმცა საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული ბიზნესი მარეგულირებლების მიერ საერთოდ აიკრძალა.

სახელმწიფოების დონეზე ვირტუალურ ვალუტა ბიტკოინთან დაკავშირებით საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი, რიგი ქვეყნების სამთავრობო წრეებში, ისე როგორც საქართველოში, ამ სფეროზე საუბარი არც დაწყებულა. მაგალითისთვის, ჩვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემა არანაირ ჩანაწერს არ შეიცავს იმ პირების შესახებ, რომლებიც კრიპტოვალუტას მოიპოვებენ.

აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურად იზრდება ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ჩვეულებრივ ვალუტასთან ერთად გადახდის საშუალებად ბიტკოინებსაც იღებენ. აღნიშნული ორგანიზაციების ოდენობამ 100 000-ს გადააჭარბა. მათ შორის ვხვდებით ისეთ მსხვილ კომპანიებსა და ვებ გვერდებს როგორიცაა ,,victoriassecret.com", ,,wikipedia.org", ,,ebay.com'', ,,virgingalactic.com" და ა.შ. მსოფლიოში უკვე ძალიან ბევრი კაფე, რესტორანი თუ მაღაზია იღებს ბიტკოინით ანგარიშსწორებას. ონლაინ ვაჭრობისას ბიტკოინის პოპულარობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი ისიც არის, რომ ტრანზაქციის მოსაკრებელი გაცილებით დაბალია, ვიდრე ,,Visa" ან ,,MasterCard"-ით სარგებლობისას.

ამასთან, ბიტკოინების გამოყენება შესაძლებელია, როგორც საერთაშორისო ასევე ქართულ ტოტალიზატორებსა და კაზინოებში. ბიტკოინების მეშვეობით ასევე შესაძლებელია ელექტრონული ბილეთების შეძენა საქართველოს კინოთეატრებში და ა.შ. ბიტკოინმა ქართველ მომხმარებელს მისცა ახალი შესაძლებლობა ონლაინ ვაჭრობაში, რადგან ქართველ მომხმარებელს მომსახურებისა და პროდუქციის შე-

საძენად ყოველთვის არ შეეძლო კუთვნილი საერთაშორისო ბარათების გამოყენება, ხოლო ბიტკოინებით გადახდის შემთხვევაში აღნიშნული შეზღუდვა აღარ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ბიტკოინის ბანკომატების დადგმა, რაც მომხმრებელს საშუალებას აძლევს გადაცვალონ ნაღდი ფული ბიტკოინებად. საქართველოში ბიტკოინების შეძენა შესაძლებელია ლიბერთი ბანკის, ,,NOVA"-ს და ,,TBCPAY"-ს სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით. ამასთან, თუ მომხმარებელს არ აქვს ელექტრონული საფულე ,,eMoney", მისი გახსნა ლიბერთი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან ბიტკოინის ყიდვის დროს ავტომატურად მოხდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოღვაწე ,,BitFury Group"-ში ფიქრობენ, რომ ახლო მომავალში, ჩვენს ქვეყანაში ბიტკოინის შეძენა შესაძლებელი გახდება ბიტკოინ-ბანკომატებიდანაც.

კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი საქართველოსათვის ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნულ ვალუტასთან დაკავშირებული რიგი საკითხის გამოყოფა, რისთვისაც ყურადღების მიქცევა აუცილებელია როგორც ქვეყნის მთავრობის, ასევე მოსახლეობისათვის, კერძოდ:

- მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, შეიმუშაოს საკუთარი ხედვა და მიდგომა კრიპტოგრაფიულ ვალუტა ბიტკოინსა და სხვა მსგავს ვალუტებთან მიმართებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკფაქტორები, რაც ვირტუალურ ვალუტებთან არის დაკავშირებული;
- ბიტკოინის გამოყენება ფულადი გზავნილებისათვის ახალ, განსაკუთრებულ შესაძლებლობას ქმნის საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის, რადგანაც უცხო ქვეყნიდან ოჯახის წევრებისათვის და ახლობლებისთვის სხვადასხვა მეთოდით თანხის გამოგზავნა, როგორც ფინანსურ, ასევე დროით დანახარჯთან არის დაკავშირებული, როგორც გამომგზავნისათვის, ასევე მიმღებისათვის;
- ბიტკოინი შესაძლებლობას აძლევს ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, სრულყოფილად ჩაერთოს საერთაშორისო ონლაინ-ვაჭრობაში, ვინაიდან რიგი უცხოური კომპანია, საქონლითა და მომსახურეობით ვაჭრობას, ვირტუალური ვალუტის გამოჩენამდე, მხოლოდ გარკვეული ტიპის პლასტიკური ბარათების გამოყენებით ახორციელებდა;
- აუცილებელია ხაზი გაესვას ბიტკოინ-მაინინგის უდიდეს პოტენციალს საქართველოსათვის, როგორც დიდი დატა-ცენტრების დაფუძნების, ასევე მოსახლეობის მიერ მომცრო ზომის ცენტრების მოწყობის კუთხით. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება საქართველოს იმ რეგიონებს, სადაც ჰაერის ტემპერატურა შედარებით დაბალია და ამასთან, შესაძლებელია ელექტროენერგიის მინიმალური დანახარჯით მიღება (მინი ჰესების მოწყობის გზით).

უნდა აღინიშნოს, რომ ბიტკოინ-ტექნოლოგიები ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება. გლობალიზაციის ტრენდი და ინტერნეტ-გაყიდვები, სავარაუდოდ, მოიტანს ადაპტაციას და ბიტკოინი სწორად და სწრაფად გავრცელდება საქართველოში. ბიტკოინს ექსპერტები ახალ ინტერნეტ ვალუტას უწოდებენ. ასე მაგალითად, აშშ-ს გააჩნია დოლარი, ევროპის ქვეყნებს – ევრო, იაპონიას – იენი, ხოლო ინტერნეტს კი საკუთარი კრიპტოგრაფიული ვალუტა ბიტკოინი. თავის დროზე ბევრი აღიარებდა ინტერნეტის ინოვაციურობას, მაგრამ ერთეულებს თუ შეეძლოთ მისი რეალური პოტენციალის შეფასება. დღეისათვის მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ის ვინც დაფიქრდება როგორ გამოიყენოს ბიტკოინები ცხოვრებაში და ბიზნესში, მოგებული დარჩება, რადგან ეს მოძრაობა, დიდი ალბათობით, დროსთან ერთად სულ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი გახდება. ამასთან, როგორც ყველა ცვლილება, ბევრ ადამიანში ბიტკოინიც გამოიწვევს შიშს და მიუღებლობას, მაგრამ რამდენიმე წელიწადში ის ასეთი ადამიანების ყოველდღიურობაშიც ისევე, იქნება ინტეგრირებული, როგორც ყველა დანარჩენის ცხოვრებაში. ზუსტად ისე, როგორც ინტერნეტი ინტეგრირდა ყველა ადამიანის ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ., ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები ვირტუალური ვალუტების რეგულირება (bitcoin-ის მაგალითზე). ჟურნალი ,,ეკონომიკა და საბანკო საქმე'', 2014.
2. http://commersant.ge/?m=5&news_id=17781&cat_id=8

Virtual/Cryptographic Currency Bitcoin and Its Introduction Perspectives in Georgia

L. Kalandadze

Summary

The creation and popularization of the cryptographic currency Bitcoin has stimulated to the central banks to think of an issue in a new manner. Bitcoin looks like Internet with its possibilities, as Internet has the same meaning for Information as Bitcoin for payment. The cryptographic currency Bitcoin is just the news for Georgia. It is necessary to bring up issues related to the mentioned currency, which is essential for the Government of Georgia and Population.

It should be noted, that Bitcoin Technologies is just at the primary stage of development. The Globalization Trend and Internet Sales will supposedly bring an adaptation and Bitcoin will be popularized in Georgia in a short time. The experts call Bitcoin a new Internet Currency. Many people have recognized an innovation of Internet in its time, but some could evaluate its real potential. At present to live without it is incredible. To use Bitcoin in life and business will be stronger and important over a period of time. Herewith, as any changes, Bitcoin will cause fear and unacceptability in most people, but in a few years it will be as integrated in everyday life of such people as in the life of others. Just so Internet is integrated in all human life.

key words: *Bitcoin, Blockchain, Mining, Internet Sales, Transactions.*

საქმიანი ტურიზმის აქტუალურობა და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

ნანა კაციტაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტი

საქმიანი ტურიზმი წარმოადგენს მაღალშემოსავლიან და დინამიკურად განვითარებად ტურიზმის მიმართულებას. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ნაციონალური ეკონომიკის განვითარებაში და აქტიურად ზემოქმედებს მსოფლიო ბაზართან მის ინტეგრირებაზე. აღნიშნული დარგი ახალია ჩვენი ქვეყნისათვის და ბუნებრივია მასთან დაკავშირებული პრაქტიკული გამოცდილება და მით უფრო სამეცნიერო კვლევები ძალიან მწირია. ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველოსთვის საქმიანი ტურიზმის აქტუალურობის შესწავლა და მისი განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა.

სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია საქმიანი ტურიზმის აპარატის კონცეპტუალური განმარტება და MICE ტურიზმის შემადგენლები, შესწავლილია ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე მისი განვითარების ტენდენციები და თავისებურებანი. გამოვლენილია საქართველოს ეკონომიკისთვის საქმიანი ტურიზმის დადებითი ეფექტები და დღეს იქ არსებული პრობლემები. გამოკვეთილია საქმიანი ტურიზმის ხელშემწყობი ფაქტორები და პოტენციური ბაზრები, მითითებულია სამიზნე ბაზრებზე დივერსიფიცირების სცენარები.

საკვანძო სიტყვები: *საქმიანი ტურიზმი, MICE ტურიზმი, კონგრეს ტურიზმი, შეხვედრებისა და ღონისძიებების ინდუსტრია, დანიშნულების ადგილი.*

თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია საქმიანი კომუნიკაციების, ახალი ინფორმაციებისა და ტექნოლოგიების გაცვლის, პარტნიორების, ინვესტიციებისა და ახალი ბაზრების ძიების გარეშე. მსოფლიო ეკონომკის გლობალიზაცია, როგორც ბიზნეს საქმიანობის, სამეცნიერო და კულტურული კავშირების ინტესიფიკაციის შედეგი, უბიძგებს ადამიანებს უფრო ინტენსიურად იმოგზაურონ საქმიანი მიზნებით, რაც სტიმულს აძლევს სხვადასხვა დონის ღონისძიების - შეხვედრების, კონფერენციების, კონგრესების და გამოფენების ჩატარებას. მსოფლიო ბაზარზე კონკურირების აუცილებლობა კომპანიებს აიძულებს დააფინანსონ საქმიანი მოგზაურობა. დღეს მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ათეული მილიონობით ადამიანიდან ყოველი მეოთხე სამსახურებრივი აუცილებლობით მიდის სამოგზაუროდ და მოგზაურების ამ უზარმაზარ სეგმენტს ემსახურება ტურიზმის ერთ-ერთ სწრაფად მზარდი მიმართულება - საქმიანი ტურიზმი. რომლის ზრდის ტემპი უფრო მღალია (საშუალოდ 5%), ვიდრე მთლიანად ტურიზმის სექტორისა (საშუალოდ 4%) მსოფლიოში[5]. ამასთან, საქმიანი ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTC) შეფასებით საშუალოდ მსოფლიოს ტურინდუსტრიის 60% საქმიან ტურიზმზე მოდის, მაშინ როდესაც ბიზნეს ტურისტები საერთაშორისო ტურისტული ნაკადების მხოლოდ 25%-ს შეადგენენ, რაც ნათლად აჩვენებს ამ ბაზრის მიმზიდველობას.

ინგლისურენოვან სამეცნიერო და პოპულარულ ლიტერატურაში ტერმინები - საქმიანი ტურიზმი, ბიზნეს მოგზაურობა (business travel) და ბიზნეს ტურიზმის (Business tourism) გაიგება, როგორც სინონიმები. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიებს შორის ბევრია საერთო, შინაარსობრივად მაინც არის სხვაობა. ბიზნეს მოგზაურობა (Business tourism) ტურიზმის ტერმინთა უცხოენოვან ლექსიკონებში განიმარტება, როგორც მოგზაურობა კომერციული, სახელმწიფო დავალების ან საგანმანათლებლო მიზნებით [1;2;3]. ასეთი განმარტება მიუთითებს, რომ მოგზაურობის მთავარი მიზანი საქმიანობაა, ხოლო დასვენება, კულტურული სანახაობა, რეკრეაცია და სხვა განიხილება, როგორც მეორადი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, სპეციალისტები ბოლო პერიოდში მას დანიშნულების ადგილის შერჩევასას განიხილავენ არა მეორადად, არამედ მნიშვნელოვნ ფაქტორად.

ტერმინი „ბიზნეს ტურიზმი“ არ არის განმარტებული არც საქართველოს კანონში „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ და არც „ საქართველოს საკანონმდებლო ლექსიკონში“. ამ შემთხვევაში ვეყრდნობით იქ მოცემულ განმარტებებს ტურიზმისა და ტურისტის შესახებ - „ტურისტი არის ფიზიკური პირი, რომელიც ნებაყოფლობით მოგზაურობს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, გაჯანსაღების, **საქმიანი** ან სხვა მიზნით, ...“[9]. რომლის მიხედვითაც მოგზაურობის ერთ-ერთ მოტივად მითითებულია სიტყვა **საქმიანი**, რომელის შესაბამისად ტურიზმის ინდუსტრიის საერთაშორისო

პრაქტიკაში ყალიბდება ტურიზმის მიმართულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორი ქართული ანალოგი იქნება არა ბიზნეს ტურიზმი არამედ „საქმიანი ტურიზმი“, რომელიც ბიზნეს მოგზაურობებთან ერთად მოიცავს არაკომერციული მიზნით განხორციელებულ საქმიან მოგზაურობებს. საქმიან ტურიზმს მიაკუთვნებენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში წარმოშობილი განსაკუთრებული სეგმენტი - საკონვენციო ტურიზმი, რომელიც მსოფლი ტურიზმის ინდუსტრიაში ცნობილია ინგლისური აბრევიატურით MICE (Moicavs) და მოიცავს: (Meetings) შეხვედრებს (სტრატეგიული თათბირები, მოლაპარაკებები, პრეზენტაციები); (Incentive) წამახალისებელი მოგზაურობების (სამოტივაციო პროგრამები, პარტნიორებისა და თანამშრომლების ლოიალობის სტიმულირება); (Conferences/Congresses) კონფერენციებს, ფორუმებს, კონგრესებს; (Exhibitions/Events) გამოფენებს (შემეცნებით, კულტურულ, მუსიკალურ, სპორტულ და ა.შ. ღონისძიებებზე დასწრება, კორპორატიული ღონისძიებები). MICE ინდუსტრია ფორმირდება მასპინძლობისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის ბაზაზე. ინდუსტრიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დარგობრივი და დარგთაშორისი თანამშრომლობა ქალაქის, რეგიონის, რეგიონთაშორის და საერთაშორისო დონეზე. ამავე დროს ეს ინდუსტრია მოიცავს ორგანიზაციასთან, ინფორმაციის გავრცელებასთან, გასართობ პროგრამების მომზადებასთან და მის ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობებს[4].

MICE ინდუსტრიის შემადგენელია: მომსახურე (სატრანსპორტო კომპანიები, სასტუმროები, ტურკომპანიები, კვების საწარმოები, საკონგრესო-საგამოფენო კომპლექსები დარბაზები), ინდივიდუალური კონსულტანტები და კომპანიები, რომლებიც ახდენენ შეხვედრების შინაარსის დამუშავებას. აღნიშნული **ინდუსტრიის მსოფლიო** ბაზარზე მუშაობენ ისეთი პროფესიონალური ორგანიზატორი კომპანიები, როგორებიც არიან: კონგრესის პროფესიონალური ორგანიზაციები (PCO), შეხვედრების გამავრცელებლები, შეხვედრების დამგეგმავები, შეხვედრების და მოვლენების ორგანიზატორი კომპანიები (DMC) და საკონგრესო ბიუროები (CVB), შეხვედრების ადგილის ორგანიზატორები, ექსპერტები[4]. საერთაშორისო კონგრესისა და კონვენციის ასოციაციის (ICCA) სტატისტიკაზე დაყრდნობით მსოფლიოში ყოველწლიურად 400,000 კონფერენცია და გამოფენა იმართება, უმსხვილესი გამოფენებზე IMEX (The Worldwide Exhibition for incentive Travel, Meetings & Events (ფრანქფურტი)); EIBTM- european incentive & business travel & meetings exhibition (ესპანეთი, ბარსელონა) ყოველწლიურად სამი ათასზე მეტი მონაწილე 100-ზე მეტი ქვეყვიდან იკრიბება.

საქმიანი ტურიზმის განვითარების ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ საქმიან ტურიზმს დღეს მიეცა განვითარების მაღალი იმპულსი, ის მაინც არ წარმოადგენს თანამედროვე ფენომენს. ადამიანები სხვადასხვა საქმიანობასთან, უპირველესად ვაჭრობასთან დაკავშირებით, უძველესი დროიდან მოგზაურობდნენ. შუა საუკუნეებში ბაზრობების წარმოშობამ განსაკუთრებით აბრეშუმის გზის აყვავების, მათ შორის საქართველოშიც, უკვე იმ პერიოდისთვის ხელი შეუწყო „მომსახურების სისტემების“ შექმნას ქარვასლების სახით, სადაც უკვე კომპლექსურად თავაზობდნენ განთავსებას, კვებას, გიდ-გამცილებლის და ტრანსპორტით (ცხენებით და აქლემებით) მომსახურეობას.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ჩღდილოეთ ამერიკასა და ევროპაში პროფკავშირების, სამეცნიერო კავშირებისა და პოლიტიკური პარტიების მასშტაბურმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო საქმიანი ტურიზმის სწრაფ განვითარებას. ამავე პერიოდს უკავშირდება აშშ-ში საკონფერენციო ბიზნესის წარმოშობა, რამაც დასაბამი მისცა საკონგრესო ტურიზმის განვითარებას [3].

დღეს, მოგზაურობის ამ სპეციპიკურ პროდუქტზე მზარდი მოთხოვნა გამოიწვია ისეთმა პროცესებმა, როგორიცაა: ეკონომიკური ზრდა და თავისუფალი სავაჭრო ზონების გაფართოვება; ტრანსნაციონალური კომპანიების აუცილებელმა მოთხოვნებმა იმუშაონ მსოფლიო ბაზრებზე; საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ, თანამშრომელთა განათლების აუცილებლობით განპირობებულმა ტრენინგებსა და სემინარებზე გაზრდილმა მოთხოვნამ, პერსონალის სტიმულირებისა და წახალისების პოპულარული თეორიის ტალღაზე ინსენტივ ტურების წარმოქმნამ; განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის (მოსწაავლეების, სტუდენტების და ლექტორ-მასწავლებლების ინტენსიურმა გაცვლამ) და ამ სფეროშო სხვადასხვა დონის შეხვედრების აუცილებლობის ზრდამ და სხვა.

საქმიან ტურიზმს აქტიურად ანვითარებს მსოფლიოს 115-ზე მეტი ქვეყანა. 2013 წელს საქმიანი ტურიზმის მსოფლიო ბაზრის მოცულობა 1,1 ტრლ დოლარს შეადგენდა, 2014 წელს - 1,17ტრლ დოლ., ხოლო 2015 წელს 5%-იანი ზრდის შედეგად შეადგინა 1,234 ტრლ დოლ. სპეციალისტთა პროგნოზით 2020 წლისათვის ის მიაღწევს 1,6 ტრლ. დოლარს [5]. ამ მიმართულებით ლიდერობს აშშ. და 2015 წლისთვის საქმიან ტურიზმზე დანახარჯები ამ ქვეყანაში შეადგენდა 282 მლრ დოლ-ს. მას მოსდევს ჩინეთი 111,2 მლრდ. დოლარით და აჩვენებს ძალიან მაღალ ზრდის ტემპს. ექსპერტების აზრით, 2026 წლისათვის მან შეიძლება გადაუსწროს აშშ-ს. აღნიშნულის მიუხედავად დღეისათვის მსოფლიოს საქმიანი ტურიზმის

უმსხვილეს ბაზარს დასავლეთი ევროპა წარმოადგენს 40%-იანი წილით, რომელთაც აქვთ ასეთი ტიპის ღონისძიებების ჩატარების მდიდარი გამოცდილება, ჰყავთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრები და გააჩნიათ კარგი ინფრასტრუქტურა. აშშ-სა და ჩინეთს მოსდევს დიდი ბრიტანეთი (98,7მლრდ.აშშ.დოლ.) და გერმანია (70,9 მლრდ დოლ). მე-5 ადგილზეა იაპონია (68,5 მლრ დოლ). საყურადღებოა საქმიანი ტურიზმის აქტიურად განვითარების ტენდენცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში - ტაივანში, სინგაპურსა და ჰონგ-კონგში, განსაკუთრებით კი ინდოეთში, რომელიც 2015 წელს საქმიანი ტურიზმის 11% -იანი ზრდით მსოფლიო მოწინავე ათეულში შევიდა და შეადგინს 18,7 მლრდ დოლარს.

თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია საქმიან ტურიზმს საქართველოსთვის. მსოფლიოში საქმიანი ტურიზმის განვითარების პრაქტიკამ აჩვენა, საქმიანი ტურიზმის მრავალმხრივი დადებითი ეფექტი, როგორიცაა:

- სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების და საგარეო ეკონომიკურ კავშირებში ჩართვისა და განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტი;
- ის არის დამოუკიდებელი ბიზნეს სექტორი, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის სხვა სექტორების განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებას;
- შეხვედრების ინდუსტრია ხელს უწყობს განათლების გავრცელებას და პროფესიულ განვითარებას, ამასთან, მსგავსი ღონისძიებების დამსწრე პირები, როგორც წესი, არიან ლიდერები თავიანთ სფეროში, რაც ქმნის დანიშნულების ადგილისათვის ცოდნის გაზიარების შესაძლებლობებს და ზრდის კოოპერაციაას გლობალურ დონეზე;
- ასტიმულირებს ტურიზმისთვის მაღალი დონის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ტურიზმის სხვა მიმართულებების განვითარებას;
- ნაკლებად კონცენტრირდება უქმე დღეებსა და სეზონის პერიოდებზე, რითაც ხელს უწყობს სეზონურობის პრობლემის შერბილებას და სასტუმროების, კვების ობიექტების, სატრანსპორტო საშუალებებსა და სანახაობის ადგილებში ტურისტთა ნაკადების მართვას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს მკვეთრად გამოხატული სეზონურობის მქონე კურორტების პრობლემების დაძლევაში;
- საქმიან ტურიზმში მიმდინარე ისეთი ტენდენციები, როგორიცაა: „სტანდარტულ“ ღონისძიებების ნაცვლად შინაარსიან მივლინებებზე ორიენტირებული მომხმარებელი და ღონისძიებების რიცხვის ზრდა, ხელს უწყობს ბაზრის დიფერენცირებას, რაც ქმნის საქმიანი ტურიზმის ახალ ბაზრებზე საქართველოსთვის დივერსიფიკავციის შესაძლებლობებს;
- ღონისძიებების მასშტაბების შემცირება, რაც ასევე შეიძლება კარგად იქნეს გამოყენებული საქართველოს რეგიონებში არსებული სასტუმროების მომსახურების შეთავაზების თვალსაზრისით;
- ზრდის ქვეყნის იმიჯს, რაც ბუმერანგის ეფექტით იწვევს ისევ ბიზნესის სხვა სექტორების და ტურიზმის სხვა მიმართულებების განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას.
- MICE ტურისტები ხარჯავენ უფრო მეტს, ვიდრე „ჩვეულებრივი“ ტურისტები დროის იმავე მონაკვეთში, იყენებენ უფრო ძვირადღირებულ მომსახურებას და ხშირად ახანგრძლივებენ თავიანთ სტუმრობას ღონისძიების შემდეგ, ან მის დაწყებამდე. მაშასადამე, ისინი „გადაიქცევიან“ დამსვენებელ ტურისტებად, ან ბრუნდებიან მეგობრებთან და/ან ოჯახთან ერთად. ასევე აღსანიშნავია, რომ ტურიზმის სხვა სექტორებთან შედარებით, MICE ინდუსტრია ყველაზე ნაკლებად იწვევს გარემოს დანაგვიანებას.

ზემოთ აღნიშნული დადებითი ასპექტები სასოცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის რომელსაც ტურიზმი გამოცხადებული აქვს თავისი ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად. ქვეყანა ბოლო 10-12 წელია აქტიურად და საკმაოდ წარმატებითაც ავითარებს ტურიზმს და დღეისათვის ის ქვეყნის სერვისის ექსპორტის 61,4%-ს, ხოლო მშპ-ში 6,7%-ს შეადგენს. საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დინამიკა UNWTO World Tourism Barometer-ის მიხედვით, აღიარებულ იქნა ევროპაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლად (2009 წელი – 1,500,049 ვიზიტორი; 2012 წელი – 4,428,221, 2013წელი– 5,392,303;, 2015წელს 5,901,094 ვიზიტორი შემოვიდა საქართველოში[10], ეს ციფრები საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას. ქვეყანა მიისწრაფის ტურიზმიდან მიიღოს მეტი შემოსავალი, რაც აუცილებლად დღის წესრიგში აყენებს ტურიზმის მდგრადი განვითრების პრინციპებით განვითარების აუცილებლობას. ამის მანიშნებელია ის გარემოება, რომ ტურისტთა ნაკადების ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება შემოსავლების ზრდის ტემპებს [6]. ეს კიდევ ერთი სიგნალია იმისა, რომ დროა ვიფიქროთ ტურიზმის ისეთი მიმართულებების განვითარებაზე, რომ-

ლებიც მდგრადი ტურიზმის განვითარებას უწყობენ ხელს, ამსთან დაკავშირებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ **საქმიანი ტურიზმი საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარების საუკეთესო შესაძლებლობაა.**

აღნიშნული სეგმენტი საქართველოში არ არის წარმოდგენილი ტურისტული საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად. ზემოთ აღნიშნული გარემოებები ფრიად საყურადღებოა, რათა მოხდეს სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით უფრო მიმზიდველი ტურიზმის სფეროს განვითარება, რომელიც მეტ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ყველა ის გარე და შიდა ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმიანი ტურიზმის განვითარებას. ჩვენი თვალსაზრისით საქართველოს საქმიანი ტურიზმის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე უნდა დაემყაროს ისეთ ფაქტორს, როგორიცაა: გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა და საქმიანი ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები, რომლის ეფექტურად გამოყენების შესძლებლობას იძლევა საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება და უკვე არსებული ინფრასტრუქტურა, რაშიც უპირველესად ვგულისხმობთ მაღალი კლასისი სასტუმროების არსებობას.

საქართველო, როგორც დიდი აბრეშუმის გზის შემადგენელი რგოლოს ქვეყანა, შუა საუკუნეებიდან იყო ჩართული ევრაზიის კონტინენტის სავაჭრო ურთირთობებში. დღეს ის კიდევ უფერო ხელმისაწვდომია ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან ტურისტთა ნაკადებისათვის (ევროპის ქვეყნებიდან საშუალოდ 2-3 სთ, ხოლო აზიის ყველაზე დაშორებული ქვეყნებიდან 5-6 სთ. საჰაერო ფრენის დრო)[12]. მიუხედავად ამისა, საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი 87,8% (5,180010) ჯერ კიდევ მეზობელ ქვეყნებზე მოდის[10] და ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ბაზრების დაინტერესება საქმიანი ტურიზმით. საქართველოს ცენტრალური მდებარეობა და საერთაშორისო რეპუტაციის არსებობა, საქართველოს და მის დედაქალაქს აძლევს საშუალებას, რომ პოლიტიკური, ბიზნეს, სამეცნიერო, კულტურული და სხვა ტიპის საერთაშორისო შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები, არსებული რესურსების გამოყენებით გაიმართოს საქართველოში. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე ბაზარი, საერთაშორისო შემოსვლების ზრდას ამ მიმართულებიდან საქართველოში ისევ ხელს უშლის ისეთი პრობლემები როგორიცაა: საქართველოსა და ევროპის და განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირდაპირი საჰაერო ფრენების სიმცირე და არაკომფორტული დრო ან/და ზოგიერთი ქვეყნის მიმართულებით მისი არ არსებობა, მაშინ, როდესაც საქმიანი ტურიზმის ევროპელი მომხმარებლის 70% უპირატესობას ანიჭებს დანიშნულების ადგილამდე მოგზაურობისთვის საჭირო დროს. ამასთან, პრობლემად ისევ რჩება მომსახურების, ხარისხისა და ფასისი შეუსაბამისობა და ზოგადად სასტუმროების მაღალი ფასები, რომელიც ექსპერტთა აზრით, მასშტაბური ღონისძიებების ჩატარების ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს [11].

საქმიანი ტურიზმის განვითარების ტენდენციებისა და ბაზრების გამოკვეთის თვალსაზრისით, გაანალიზებული იქნა იმ ქვეყნებში ტურიზმის ზრდის ტენდენცია და ტურისტთა ქცევა, საიდანაც ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა ტურისტების ნაკადების ზრდა საქართველოში. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე პერსპექტიული და მიმზიდველი ბაზარი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის ტურისტული ბაზრის ზრდის ტენდენცია. 2015 წლის მონაცემებით, რუსეთიდან შემოსვლების ზრდამ შეადგინა 811 728, რომელიც 14,5 %-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მიუხედაცად იმისა, რომ არ არსებობს სტატისტიკა ჩამოსული ტურისტების რა წილი მოდის საქმიანი ტურისტების სეგმენტზე, ამ ბაზრის მომხმარებელთა ქცევის ანალიზის შედეგად გამოვლენილმა ისეთმა მიდრეკილებებმა როგორიცაა: თბილი ქვეყნებისთვის უპირატესობის მინიჭება; იმ ახალგაზრდა ბიზნესმენთა რიცხვის ზრდა, რომლებიც სიამოვნებით ათავსებენ საქმიან მოგზაურობასა და დასვენებას ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად; ვიზიტის ძირითად მიზანთან ერთად კულინარიისა და ღვინის ტურებისადმი მათი ინტერესი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ MICE პროდუქტებს დიდი მომავალი აქვს რუსეთის ბაზარზე [10].

საქართველოს საერთაშორისო ბაზრის განვითარების დინამიკის ანალიზით გამოიკვეთა ისეთი ახალი პერსპექტიული და მიმზიდველი ბაზარები, როგორიცაა გალფის ქვეყნები (საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ქუვეითი, ომანი და კატარი). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გალფის ქვეყნებიდან საერთაშორისო ტურიზმში ბიზნესვიზიტებს დიდი წილი უჭირავს და შედგენს 18%-ს. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით გალფის ქვეყნები მე-17 ადგილზეა (11,852 ტურისტი) 54%-იანი ზრდით. ამავე მონაცემებით საუდის არაბეთიდან 45%-ით, ქუვეითიდან - 61%-ით და არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან +65%-ით ზრდა ფიქსირდება. 2015 წელს მოგზაურთა რაოდენობის რეკორდული 678%-იანი ზრდა დაფიქსირდა არაბთა გაერთიანებული

საემიროებიდან - 17,230 შეადგინა. ეს ქვეყნები ასევე საინტერესოა ტურიზმში თავისი მაღალმხარჯველიანობით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2014 წლის მონაცემებით საუდის არაბეთი გამყვანი ტურიზმის დანახარჯების მიხედვით მე-11 ადგილზეა, არაბთა გაერთიანებული საემიროები 21-ე, ხოლო ქუვეითი - 27-ე ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია მოგზაურობისას ხანგრძლივი პერიოდით დარჩენა, საშუალოდ 13 ღამე. ხანმოკლე ვიზიტები შეადგენს მხოლოდ 23%-ს, ხოლო 4 დღეზე მეტი პერიოდით მოგზაურობა - 77%-ს (DTZ 2014), რაც საქართველოს აძლევს შანსს ამ სეგმენტზე გაყიდოს საქმიანი ტურიზმის პაკეტთან ერთად ტურიზმის სხვა პროდუქტები და შესთავაზოს ხანგრძლივი ტურები [10]. ეს არის ბაზარი, რომელიც საინტერესო ხდება მრავალი ტურისტული ქვეყნისათვის.

საქმიანი ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს შიგა ბაზარიც, რომელიც დიდ როლს ასრულებს ინფრასტრუქტურის სტიმულირებაში და ხელს უწყობს გამოცდილების დაგროვებას. დამაიმედებელი ნიშნები უკვე შეიმჩნევა საქართველოს ტურიზმის შიგა ბაზარზე. ბოლო პერიოდში გაიზარდა სხვადასხვა დარგობრივი და სამეცნიერო კონფერენციის რიცხვი არა მხოლოდ ბათუმსა და ქობულეთში არამედ კახეთში, ბორჯომში, გუდაურში, ჩაქვში, რაც ამ ადგილებში მაღალი კლასის სასტუმროების გახსნას უკავშირდება.

უცხოელი ექსპერტების აზრით, ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გარდა, საქმიანი ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია თბილისსა და ბათუმში საერთაშორიუსო დონის მაღალი კლასის სასტუმროების (Radisson, Marriott, Sheraton, Holiday Inn, Citadine, Cron Palace, Best Western, Mercure , Hotels and Preference Hualing, Hilton) ფუნქციონირება, რომლებთაც გააჩნიათ შესაბამისი სტანდარტის საკონფერენციო ინფრასტრუქტურაც. საქართველოში, 2015 წლისათვის, განთავსების საშუალო რაოდენობა შეადგენდა 1,474 ერთეულს, საწოლი ადგილების - 51,404-ს. განთავსებისა და საწოლი ადგილების რაოდენობით ლიდერობს თბილისი - 13,218 (25.7%), მას მოსდევს აჭარის რეგიონი - 11,293 (22%) [4]. მცირე მასშტაბის კონფერენციების ჩატარების შესაძლებელობას იძლევა თბილისის და ბათუმის გარეთ არსებული მაღალი კლასის სასტუმროები, ისეთები როგორიცაა ბორჯომში -Crowne Plaza, გუდაურში -Sheraton gudaur, ჩაქვში -Oasis და ა.შ. ამგვარი ღონისძიებების გადატანა რეგიონებში ხელს უწყობს ახალი ტურისტული ადგილების ცნობადობისა და სხვა ტურისტული პროდუქტების (ღვინის ტურიზმის, რეკრეაციული ტურიზმის და სხვა) გაყიდვების ზრდას, როგორც შიგა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე [12].

საქმიანი ტურიზმის განვითარების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ქვეყნებს რომლებსაც სურთ განავითარონ ტურიზმი, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის სპეციფიკური მოთხოვნები, როგორიცაა მსხვილი დამკვეთების არსებობა. მაგალითად ეს შეიძლება იყოს მთავრობა, სამინისტრო ან მსხვილი კორპორაცია. მთავრობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს აქვს მეტი მიმზიდველობა და მაშასადამე განთავსების საშუალებების დატვირთვის მეტი კოეფიციენტი, ამისათვის კონგრეს ორგანიზატორები ცდილობენ მოიპოვონ მთავრობის მხარდაჭერა სხვადასხვა ტიპის შეხვედრის ჩასატარებლად თავიანთ ტერიტორიებზე.

აღნიშნულის გარდა, საქმიანი ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ძირითადი მაკოორდინირებელი და მხარდამჭერი ორგანიზაციის არსებობა, რომელიც შეასრულებს მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტულ ორგანიზაციებს შორის. ამ თვალსაზრისით საქართველოში 2015 წელს დაარსდა საკონვენციო ბიურო და ქვეყანა გახდა საერთაშორისო კონგრესებისა და შეკრებების ასოციაციის ICCA-ს წევრი. [10]. მტო-ს ექსპერტების აზრით, საკონფერენციო და ვიზიტორთა ბიუროების 90 %-მდე ექვემდებარება ტურიზმის ეროვნულ ორგანოს ან სამინისტროს, რაც ზრდის ბიუროკრატიული პროცესების რაოდენობას და აფერხებს გადაწყვეტილებების მიღებას, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში საქმიანი ტურიზმის განვითარების საწყის ეტაპზე კავშირების ჩამოყალიბებისა და კორდონაციის თვალსაზრისით. ამასთან, აუცილებელია ღონისძიებების სფეროში არსებულ საერთაშორისო ასოციაციებთან (UIA, ICCA) აქტიური თანამშრომლობა და მათ რეიტინგებში მონაწილეობა. ასე, მაგალითად, ქვეყანას გაუკეთდეს საიმიჯო რეკლამა ისეთი საერთაშორისო რეიტინგებით, როგორებიცაა: „ბლუმბერგის გლობალური ინოვაციის ინდექსი“ (საქართველო 73-ე ადგილზეა 2015 წ. მონაცემებით)[7], მსოფლიო ბანკის რეიტინგი „ბიზნესის კეთების სიმარტივე“ (საქართველო 2015 წ. მონაცემებით მე-15 პოზიციას იკავებს); „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“[8], სადაც ბოლო მონაცემებით საქართველო 69-ე პოზიციას იკავებს. ამასთან, კომპანიებს, რომლებსაც სურთ ჩართულები იყვნენ საქმიანი ტურიზმის მსოფლიო ბაზართან, აუცილებელია აქტიური მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მთავარ გამოფენებში IMEX, EIBTM და სხვა.

პასუხი იმ კითხვებთან დაკავშირებით რამდენად აქტუალურია ტურიზმის ეს მიმართულება, ან აქვს თუ არა რეალურად საქართველოს იმის შესაძლებლობა, რომ უმასპინძლოს დიდ კონფერენციებს და განავითაროს საქმიანი ტურიზმი, პასუხი შემდეგია: 2015 წლისათვის ტურიზმის წილმა ქვეყნის მშპ-ში შეადგენა 6,7%, აქედან საქმიან ტურიზმზე მოდის ქვეყნის მშპ-ის 2,7%. ამასთან საქართველო მოხვდა მსოფლიოს იმ ქვეყნების ათეულში, სადაც დანახარჯები საქმიან ტურიზმზე ყველაზე სწრაფად იზრდება და 2015 წლისათვის შეადგინა 17,4%-ს[6]. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ საქმიანმა ტურიზმმა საქართველოში თავისი განვითარების სტარტი აიღო, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს უამრავი პრობლემა, როგორც ორგანიზაციული, ასევე ინფრასტრუქტურული (არასაკმარისი ფართისა და აღჭურვილობის მქონე საკონფერენციო დარბაზიან ცენტრი რომლებიც 1500-2000 კაცს დაიტევს, საქმიან ტურიზმზე სპეციალიზირებული ტურისტული ორგანიზაციების ძალიან ვიწრო წრე, ამ სფეროს კვალიფიციური კადრის სიმცირე და სხვა) თვალსაზრისით. მაგრამ, ფაქტია, რომ საქართველომ უკვე წარმატებით უმასპინძლა საკმაოდ მასშტაბურ რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებას, 2017-2018 წლებში იგეგმება რამდენიმე დიდი საერთაშორისო დონის სასტუმროს მშენებლობის დამთავრება, ამასთან, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, როგორც ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ქვეყანას უქმნის პერსპექტივას კიდევ უფრო მეტად ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო სოციალურ, თუ ბიზნესპროექტებში, რაც სტიმულს მისცემს სხვადასხვა დონის შეხვედრისა და ღონისძიების ჩატარებას საქართველოს ტერიტორიაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანამ უკვე არსებულ პირობებში არა, თუ თავი უნდა შეიკავოს საქმიანი ტურიზმის განვითარებისთვის ძალისხმევაზე, არამედ პირიქით, მეტი აქცენტები უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თავისი დადებითი ეფექტებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ძალიან მიმზიდველ ტურიზმის მიმართულებას.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ფაქტორები-გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქმიანი ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციები, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები და მაღალი კლასისი სასტუმროების საჭირო რაოდენობით არსებობა, შესაძლებლობას იძლევა საქართველო უკვე იყოს კონკურენტული საქმიანი ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე, იპოვოს თავისი ნიშა და განახორციელოს დივერსიფიკაცია ახალ ბაზრებზე, რისთვისაც საწყის ეტაპზე მეზობელ და შედარებით გეოგრაფიულად ახლომდებარე ქვეყნებზე საჭიროებს ყურადღების გამახვილებას, ხოლო შემდეგ განახორციელოს გენერირება სხვა უფრო შორს მდებარე სამიზნე ბაზარზე. ქვეყანამ უნდა აირჩიოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა გამოყენებით ის მოახდენს საქართველოს, როგორც საქმიანი ტურიზმის ქვეყნის პოზიციონირებას მსოფლიო ბაზარზე.

დღეს ტურიზმმა კაცობრიობისთვის შეიძინა სასიცოცხლოდ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია, ვიდრე უბრალოდ მოგზაურობაა, რამდენადაც ის ითავსებს, როგორც სოციალური ხასიათის (გამაჯანსარებელი, სულიერი), ასევე პროფესიულ-საქმიანი (შეთანხმებების დადების, შეკრებების ჩატარებისა და აზრთა გაცვლის და კომპანიის სხვა სტრატეგიული ამოცანის შესრულების) ფუნქციების ერთდროულად რეალიზებას. მსოფლიოში საქმიანი ტურიზმის კანონზომიერებებისა და განვითარების ტენდენციების შესწავლამ და საქართველოში მისი განვითარების განმსაზრვრელი წინაპირობების და ფაქტორების გამოვლენამ, დაადასტურა ტურიზმის ამ მიართულების აქტუალურობა და განვითარების შესაძლებლობები ჩვენს ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Lennon J.,Tourism Statistics: International Perspectives and Current Issues, 2003. p. 106;
2. Robinson P., Tourism: The Key Concepts, 2012, PP. 18-22;
3. Swarbrooke J, Horner S., Business Travel and Tourism, 2001, Butterworth-Heinemann, PP. 3-13;
4. Бизнес-туризм в РК: как развивается индустрия деловых встреч, Abacus Central Asia. Forbes, 17.08. 2015, http://forbes.kz/process/;
5. UNWTO Global Report on the Meetings Industry 2015 p.12;
6. UNWTC Trevel & Tourizm Legue Table Summary 2016. http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/2016-documents/newleaguetablesummary156.pdf
7. http://economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2015
8. http://economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/GCI_2014-2015
9. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/turizmi/turizmis_kanoni.pdf (29.09.2016);
10. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2015. http://gnta.ge/ge/ (29.09.2016);

11. Georgia's MICE tourism valove chain action plan,USAIDE. 2012 .
WWW.georgia.travelhttp://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnadz458.pdf;
12. **Meetings** & Events Tourism Catalogue საქართველოს ეროვნული ადმინისტრაცია, http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/MeetingsEvents-Eng-June-2015.pdf

Actuality of Business Tourism and Development Possibilities in Georgia

N. Katsitadze

Summary

Business tourism represents a profitable and dynamically developing tourism sector. It plays an important role in the development of national economy of any country and actively determines its integration in the world market. This sector is relatively new for our country and business travel related practical experience and scientific study is very poor. Therefore, the presented paper aims to show the importance of the study of business tourism for Georgia and reveal possibilities for its development.

The scientific study provides concept of business tourism and discusses components of MICE tourism; international tourism market and its development trends and peculiarities are studied. Positive impact of business tourism on the economy of Georgia and contemporary problems in this sector are showed. The factors contributing to the development of business tourism and potential markets are identified. Diversification scenarios for target markets are revealed.

Keywords: *business tourism, MICE tourism, congress tourism, meetings and events tourism, destinations.*

მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა

ნათია კახნიაშვილი,
სტუ-ის დოქტორანტი

*საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის თითქმის **70%** გაჭირვებით ცხოვრობს, ხოლო **30%** სიღარიბის ზღვარს მიღმაა, არამედ ყველა სხვა ქვეყნებისთვის, მ. შ. მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის, რომლებსაც აგრეთვე ყავთ ღარიბები (აშშ-ს მოსახლეობის **40%** ღარიბად ითვლება). განსხვავება მხოლოდ ესაა, რომ ჩვენი ქვეყნის ღარიბები შიმშილობენ აშშ-ის ღარიბების საარსებო მინიმუმი კი თვეში **902,5** დოლარია. ცხადია, ეს პრობლემა გაცილებით მწვავე და აქტუალურია ჩვენთან, თუნდაც იმიტომ, რომ ქართველი ხალხისთვის სიღარიბე შედარებით ახალი ფენომენია, რადგან საბჭოთა პერიოდში საქართველოში აშკარა ღარიბები პრაქტიკულად არ არსებობდა.*

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, სიღარიბის ზღვარი, ცხოვრების დონე, მოდალური შემოსავალი, მედიანური შემოსავალი.*

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლების ანალიზზე, უნდა განვიხილოთ ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებლების სისტემა.

უპირველესად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ "მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი მაჩვენებლების სისტემა სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანთა ცხოვრების, შრომის და ყოფით პირობათა ერთობლიობას და ახასიათებს მოსახლეობის ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხს". [1, გვ. 173].

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ცხოვრების დონის სხვანაირი განმარტებებიც:

- "ცხოვრების დონე გამოხატავს მოსახლეობის კეთილდღეობის რაოდენობრივ მხარეს და ასახავს საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონეს და ხარისხს" [2, გვ. 452];
- "ცხოვრების დონე, პირველ რიგში, ხასიათდება მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლების მოცულობით, მოხმარების დონით და სტრუქტურით, სამუშაო დღის ხანგრძლივობით, განათლების დონით, სამედიცინო მომსახურების ხარისხით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, დასაქმებით, ფისკალური სისტემით, დაბეგვრით და ა. შ. იგი გამოხატავს ქვეყნის ფუნქციონირების ყველა მხარეს" [3, გვ. 31];
- "ცხოვრების დონე ადამიანთა (მოსახლეობის) კეთილდღეობის ეკონომიკური შემადგენელი მაჩვენებელია. ის იზომება მოსახლეობის ერთი სულის მიერ მოხმარებული დოვლათის სიდიდით (მოცულობით), ან მოხმარების გადაანგარიშებით მოზრდილი მოსახლეობის ერთ სულზე" [4, გვ. 244].

"ცხოვრების დონე უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა და ახასიათებს ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონეს... ცხოვრების დონის კატეგორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოთხოვნილების დინამიკა და სტრუქტურა, რომელიც სწრაფად იცვლება საზოგადოებრივი პროგრესის ზეგავლენით" [5, გვ. 14].

ცხოვრების დონე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ცალკეულ ადამიანთა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე. რაც უფრო მაღალია ის, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე და პირიქით.

მოსახლეობის ცხოვრების დონე, ანუ ის, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, დამოკიდებულია არა ერთ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობა. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და ხარისხი, მით უფრო მაღალია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

"ეკონომიკურ ლიტერატურაში, - ქართველი მეცნიერები - ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცნებებს - "ცხოვრების დონე" და "ცხოვრების ხარისხი". მართალია, ამ ორ ცნებას შორის განსხვავების საპოვნელად გარკვეული ლოგიკა არსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. ცხოვრების დონეც და ცხოვრების ხარისხიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მხარეებს, ვინაიდან, თუ ხარისხობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძ-

ლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ დონეზე და, პირიქით, თუ რაოდენობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ ხარისხზე. საერთოდ ცხოვრების პირობების შესაფასებლად უფრო მისაღებია ვიხმაროთ ტერმინი "ცხოვრების დონე" და ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები" [6, გვ. 210].

ცხოვრების დონის მიხედვით მეცნიერები ერთმანეთისაგან ანსხვავებენ არა მარტო კონტინენტებს და სახელმწიფოებს, არამედ მოსახლეობის ფენებსაც. ცხოვრების დონე უდიდეს გავლენას ახდენს ცხოვრების წესზე. საკმარისია წარმოვიდგინოთ ცხოვრების დონით განსხვავებული ეპოქები, ქვეყნები და ადამიანები და დავინახავთ, თუ როგორ იცვლება ერთი და იმავე ერის ცხოვრების წესი ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, თუ როგორ განსხვავდება სხვადასხვა ცხოვრების დონის მქონე ქვეყნების ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან, თუ როგორ განსხვავდება ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთმანეთისაგან მდიდარი და ღარიბი ფენების ცხოვრების წესი. მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოსაანგარიშებლად არ არსებობს ერთი უნიფიცირებული მაჩვენებელი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ცხოვრების დონის მაჩვენებლად მიიჩნევს საშუალო შემოსავალს ერთ სულზე, სხვები - მშპ-ს, მთლიან ეროვნულ პროდუქტს, რეალურ შემოსავალს, განათლების დონეს, მოხმარების დონეს და ა. შ. გაეროს მიერ 1978 წელს შემუშავებული მეთოდიკით, ამ მაჩვენებელთა რიცხვშია: მშპ, მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები, საბინაო პირობები, სასურსათო საქონლის მოხმარება, განათლება და კულტურა, ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, შრომისა და დასაქმების პირობები, ცხოვრების ღირებულება და ფასები, დასვენების ორგანიზაცია, სოციალური უზრუნველყოფა, ადამიანის თავისუფლება.

ცხოვრების დონე პირდაპირ კავშირშია მოთხოვნასთან, ვინაიდან მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება. ცხოვრების დონე კი, სწორედ, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მთელი საზოგადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო ცალკეული ადამიანის ცხოვრების დონე - ინდივიდუალურ მოთხოვნაზე. მოთხოვნა კი თავისთავად დამოკიდებულია შემოსავლებსა და დანაზოგებზე. მართალია, დანაზოგები ზოგჯერ ამცირებს მიმდინარე მოხმარებას და, მაშასადამე, ცხოვრების დონესაც, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ზრდის მოხმარებას მომავალში და, შესაბამისად, ცხოვრების დონესაც.

ბუნებრივია, პირდაპირი კავშირი არსებობს მოთხოვნილებასა და ცხოვრების დონეს შორის, რაც უფრო დიდია მოთხოვნილების განვითარების ხარისხი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე. მოთხოვნილების განვითარების ხარისხი კი თავისთავად დამოკიდებულია თვისებრივ ცვლილებებთან წარმოებაში - საქონლისა და მომსახურების ახალი სახეობების წარმოებასთან, რაც თავისთავად პირდაპირ კავშირშია ინოვაციებთან ეკონომიკაში. მაგრამ თანამედროვე პირობებში ინფორმაციის საშუალებები იმდენად განვითარებულია, რომ ახალი მოთხოვნილებები წარმოიშობა არა მხოლოდ მდიდარ, არამედ ღარიბ ფენებშიც. თუმცა, შესაძლებლობა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა მნიშვნელოვნად განსხვავებულია. სწორედ ეს განაპირობებს ცხოვრების დონის განსხვავებულობას და გარკვეულ დაპირისპირებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის. ამ მხრივ ყველაზე ნეიტრალურია მოსახლეობის საშუალო ფენა.

1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საზოგადოებას შესთავაზა ცხოვრების დონის ზოგადი მაჩვენებელი - "ჰუმანური განვითარების ინდექსი", იგი ადამიანთა ცხოვრების დონის 3 ძირითად მაჩვენებელს მოიცავს:

1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა;
2. განათლების დონის მაჩვენებლი;
3. მოსახლეობის მშპ-ის მოცულობა დოლარებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აგრეთვე დაადგინა თითოეული ამ მაჩვენებლის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა. მაგალითად, ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალური მაჩვენებელია 25 წელი, მაქსიმალური კი - 85 წელი. მოსახლეობის მშპ-ის მინიმალური დონეა 100 დოლარი თვეში, ხოლო მაქსიმალური - 5448 აშშ დოლარი. განათლებულობის დონისთვის დადგენილია წილები: 15 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის 2/3, ხოლო 16-24 წლის ასაკის ახალგაზრდობისთვის - 1/3.

უშუალოდ „საქსტატი" მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად იყენებს მოსახლეობის შემოსავლების და გასავლების მაჩვენებლებს, დანაზოგებს, დაგროვილი ქონებისა და ბინებით უზრუნველყოფის, სოციალურ-დემოგრაფიულ, სიღარიბის დონისა და საზღვრების მაჩვენებლებს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველ მაჩვენებელთა ეს ჩამონათვალი ისეთი მრავალფეროვანია, რომ მკვლევარმა რომც შეძლოს ყველა მათი გამოანგარიშება, საბოლოოდ იგი ვერ მოახერხებს მათ

შეჯამებას, რადგან ზოგიერთი მაჩვენებელი ლარით იქნება გამოსახული (მაგალითად, შემოსავალ-გასავალი), ზოგიერთი კი - ნატურალური გამოსახულებით (მაგალითად, სურსათის მოხმარება - კგ-ით, ბინით უზრუნველყოფა - კვ. მეტრებით და ა. შ.).

ამ ზოგადი ჩამონათვალიდანაც, მოცემულ სფეროში მომუშავე მეცნიერ-მკვლევარები ცხოვრების დონის საანგარიშოდ მაჩვენებლებს სპონტანურად ირჩევენ. ამის მიუხედავად თითქმის ყველგან ხვდება სულადობრივი შემოსავლები და გასავლები და მშპ მოსახლეობის ერთ სულზე.

მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დაყოფის დასახასიათებლად გამოიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

1. **მოდალური შემოსავალი**, ანუ შემოსავალი, რომელიც ხშირად გვხვდება მოსახლეობაში;
2. **მედიანური შემოსავალი,** ანუ შემოსავლის მაჩვენებელი, რომელიც იმყოფება განაწილების რანჟირებული რიგის შუაში (ეს არის მედიანურზე დაბალი და მედიანურზე მაღალი შემოსავლების წყალგამყოფი - ნ. კ.);
3. **მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი** (ეს კოეფიციენტი ახასიათებს რამდენჯერ აღემატება მდიდარი მოსახლეობის 10%-ის მინიმალური შემოსავალი ღარიბი მოსახლეობის 10%-ის მაქსიმალურ შემოსავალს);
4. **ფონდების კოეფიციენტი** (გვიჩვენებს დამოკიდებულებას ორი ჯგუფის მოსახლეობის შემოსავლებს შორის. როგორც წესი ერთმანეთს უდარდება მინიმალური შემოსავლების მქონე მოსახლეობის 10% მაქსიმალური შემოსავლების მქონე 10%-ს);
5. **შემოსავლების კონცენტრაციის ჯინის კოეფიციენტი** (გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მისი თანაბარი განაწილების ხაზიდან, იგი იანგარიშება 0-დან 1-მდე ინტერვალში. რაც უფრო ახლოსაა ეს კოეფიციენტი ერთთან, მით მაღალია შემოსავლების უთანაბრობის დონე).

ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოსახლეობის **ხარჯები**, ანუ **მოხმარება**. ხარჯები ასახავს მოხმარებას. მოხმარება გამოიხატება **აბსოლუტური მოცულობით** და **შეფარდებითი მაჩვენებლით**, ანუ ხარჯების დონეში. პირველი, მთელი მოსახლეობის დანახარჯებია, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური, მეორე კი მოსახლეობის ერთ სულზე მოსული ხარჯები (სულადობრივი მოხმარება).

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში „საქსტატი“ აღარც სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის მაჩვენებელს აქვეყნებს და არც ინფორმაციას მის საანგარიშოდ. არც ცხადდება 10 დეცილური ჯგუფის შემოსავლები და ხარჯებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება სიღარიბის რეალური მდგომარეობის დასაფარავად. ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს შემოსავლების განაწილების უთანაბრობას მოსახლეობაში საქართველოში 2006-2014 წლებში 0,45-დან 0,41-მდეა შემცირებული. ეს დინამიკა ამ დიფერენციაციის გაუმჯობესებაზე მიგვითითებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიშვილი მ., გიგუაშვილი მ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013;
2. ეკონომიკური თეორია, თბ., 1998;
3. ხიზანიშვილი ნ., ცხოვრების დონე - საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი, ჟ. ”ეკონომიკა”, 2009, №7;
4. ყუფუნია გ. საქარტველოს ეკონომიკა, თბ., 2010;
5. მესხია ი., გაბელაშვილი კ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, თბ., 2004;
6. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11, თბ., 2013;
7. Доклад о развитии человека 2008/2009. Изд , “ Вес Мир “. 2014

System of indexes of population lives level and poverty

N. Kakhniashvili

Summary

This question is actual not only for Georgia, where 70% of population are poor, and 30% are out of poverty limits, but for all other countries, among them for highly developed countries, which also have poor (40% of population of the USA is considered to be poor). The difference is only in the fact that poor people of our country are starving, and minimal benefits received by poor people in the USA makes up 902.5 USD. Certainly, this problem is much more acute and actual by us, even because poverty for Georgian people is comparatively new phenomenon, because during Soviet Union there were no poor people in Georgia.

Research purpose is investigation of poverty and life level of Georgian population, and tasks are discovering of reserves and their activation for overcoming of poverty.

From many indexes, reflecting life-level of population, examined in the article, we shall mention life-level of Georgian population, which is analyzed by incomes, expenses (consumption), whole internal product, education and medical service of population.

By correct analysis and estimation of these indexes we can show in detail their sizes (volume), dynamics, structure and factors affecting them. And also, in needed time and needed circumstances they shall be compared with analogous indexes of other countries.

Key words: *Poverty, Poverty line, Living standards, Modal income, Median income.*

შემოსავლების აღიარების ახალი მოდელი - ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან

ნადეჟდა კვატაშიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

ზეინაბ გოგრიჭიანი,
უფროსი მასწავლებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო საბჭომ და აშშ ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ ერთობლივად შეიმუშავეს ფასს 15 „ამონაგები კონტრაქტებიდან“. სტანდარტი გამოიყენება საქონლისა და მომსახურების მიწოდების კონტრაქტების მიმართ, გარდა იჯარის, დაზღვევის, ფინანსური ინსტრუმენტების, გარანტიების (გარდა საქონლისა და მომსახურების), არამონეტარული აქტივების გაცვლისა. სტანდარტი ამოქმედდება 2017 წლიდან და ჩაანაცვლებს ბასს-ებს: 18 „ამონაგები“, 11 „სამშენებლო კონტრაქტები“ და ინტერპრეტაციებს – 13 „კლიენტების ლოიალობის პროგრამები“, 15 „შეთანხმება უძრავი ქონების მშენებლობაზე“, 18 „კლიენტებისაგან გადაცემული აქტივები“ და 31 „ამონაგები – საბარტერო ოპერაციები სარეკლამო მომსახურების ჩათვლით“.

ფასს 15 სრულად უახლოვდება აშშ-ის ანალოგიურ სტანდარტებს, მოიცავს მოთხოვნებს, რომელიც არსებულ სტანდარტებთან შედარებით უფრო ზუსტია და თანმიმდევრული. ახალი სტანდარტი შეცვლის მრავალი სფეროს ამონაგების აღიარების ვადებსა და მეთოდებს, კერძოდ, მშენებლობის, ტელეკომუნიკაციების (მობილური ქსელები, საკაბელო), ლიცენზირების (მედია სექტორი, მეცნიერება, ფრანზაიზინგი), უძრავი ქონების, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *ამონაგების აღიარება, ხელშეკრულების იდენტიფიცირება, სახელშეკრულებო ვალდებულებები, გარიგების ღირებულება, კონტრაქტის ღირებულება, კონტრაქტის კომპონენტები.*

ფასს 15 - „ამონაგები კონტრაქტებიდან“ **მიზანია** იმ პრინციპების დადგენა, რომელიც გამოყენებულ იქნება საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ამონაგების ხასიათის, მოცულობის, დროში განაწილების, განუსაზღვრელობებისა და ფულადი ნაკადების შესახებ სასარგებლო ინფორმაციის წარდგენის დროს, რაც განპირობებულია კლიენტებთან დადებული კონტრაქტებით.

საქონლისა და მომსახურების მიწოდების აღრიცხვის წესები, კლიენტებთან დადებული კონტარქტების იურიდიული ფორმის მიუხედავად, იქნება ერთნაირი და დამოკიდებული გარიგების კომერციულ შინაარსზე.

სტანდარტი ეხება საქონლის, სამშენებლო სამუშაოების მიწოდებისა და მომსახურების გაწევიდან ამონაგების აღიარებას და შეფასებას. **ამონაგები აღიარდება იმ თანხით**, რომლის მიღება მოსალოდნელია კლიენტისათვის მიწოდებული/გადაცემული საქონლის, გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოების ნაცვლად. ფასს-ი **ამონაგების აღიარებისათვის** მოითხოვს შემდეგი 5 ნაბიჯის განსაზღვრას [1, გვ.10-11]:

1) კლიენტთან დადებული კონტრაქტების იდენტიფიცირება;
2) საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიცირება;
3) გარიგების ფასის განსაზღვრა;
4) კონტრაქტის ფასის განაწილება საკონტრაქტო ვალდებულებებზე;
5) ამონაგების აღიარება ვალდებულებების შესრულებისას.

სტანდარტი ითვალისწინებს ამონაგების აღიარების შემდეგ ეტაპებს:

ნაბიჯი 1. კლიენტთან დადებული კონტარქტის იდენტიფიცირება.

ამონაგების ასაღიარებლად საჭიროა კლიენტთან დადებული კონტრაქტის არსებობა, უზრუნველყოფილი სამართლებრივი ნორმების დაცვით. სტანდარტით „კონტრაქტი“ არსებობს მხოლოდ შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- მხარეების მიერ დამტკიცებულია კონტრაქტი (წერილობითი, ზეპირი ან სხვა მიღებული წესებით) და მათ მყარად აქვთ განსაზღვრული თავიანთი შესასრულებელი ვალდებულებები;
- საწარმოს შეუძლია განსაზღვროს მხარეთა უფლებები გადასაცემი საქონლის/მომსახურების მიმართ;
- საწარმოს შეუძლია განსაზღვროს გადასაცემი საქონლის/მომსახურების ანაზღაურების პირობები;

- კონტრაქტს აქვს კომერციული შინაარსი – კონტრაქტის დადების შედეგად იცვლება მოსალოდნელი რისკები, ვადები და მომავალი ფულადი ნაკადების თანხები; და
- საწარმოს მიერ მისაღები ანაზღაურების ალბათობა მაღალია, რომლის მიღების უფლება წარმოიქმნება კლიენტისათვის საქონლის/მომსახურების გადაცემისას.

სტანდარტის თანახმად უნდა დადგინდეს აკმაყოფილებს თუ არა კონტრაგენტი „კლიენტის“ ცნებას (არის თუ არა კონტრაგენტი „კლიენტი“). **კლიენტი** არის კონტრაგენტი, რომელსაც აქვს დადებული კონტრაქტი საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში წარმოებული საქონლის /მომსახურების შეძენაზე ანაზღაურების სანაცვლოდ.

კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც ყველა შემთხვევაში გაწეულ იქნებოდა იმის მიუხედავად დაიდებოდა თუ არა კონტრაქტი, მიეკუთვნება მათი წარმოქმნის პერიოდის ხარჯებს. კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული **დამატებითი ხარჯები** ისეთი ხარჯებია, რომელსაც საწარმო არ გასწევდა, რომ არა კონტრაქტის დადება, მაგალითად, ვაჭრობის საკომისიო, რომელიც ექვემდებარება გადახდას გაყიდვების განხორციელების შემთხვევაში, ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები [2, გვ.12].

კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, თუ მათი აღრიცხვა არ მიეკუთვნება სხვა სტანდარტების გამოყენების სფეროს, მაგალითად, მარაგებს, ძირითად საშუალებებს და არამატერიალურ აქტივებს, საწარმო აღიარებს მათ აქტივად, მხოლოდ მაშინ როდესაც ეს ხარჯები შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს:

- დაკავშირებულია უშუალოდ კონტრაქტთან;
- აყალიბებენ ან აუმჯობესებენ საწარმოს რესურსებს, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალში საკონტრაქტო ვალდებულებების შესასრულებლად; და
- მოსალოდნელია მათი ანაზღაურება. როდესაც ამ დანახარჯების ამორტიზაციის პერიოდი არ აღემატება ერთ წელს, საწარმო მათ წარმოქმნისთანავე აღიარებს ხარჯად.

ნაბიჯი 2. საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიცირება

მეხუთე ნაბიჯი მოითხოვს ამონაგების აღიარებას ვალდებულების ან შესრულების დასრულების ან შესრულების პერიოდში. ამდენად, მნიშვნელოვანია კონტრაქტში შემსრულებლის „ვალდებულების“ განსაზღვრა/იდენტიფიცირება.

საწარმომ უნდა მოახდინოს კონტრაქტით გათვალისწინებული ყოველი საქონლის ან მომსახურების მიწოდების „დანაპირების“ იდენტიფიცირება. დანაპირება განიხილება შესასრულებელ ვალდებულებად, თუ მისაწოდებელი საქონელი ან მომსახურება არის განსხვავებული ერთმანეთისაგან, ანუ განცალკევებადი.

ვალდებულების განცალკევებადი კომპონენტებია – საქონელი/მომსახურება. ერთი კონტრაქტი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე საქონლის ან მომსახურების გაწევის ერთობლიობას. ასევე შესაძლებელია, რომ ამ საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დრო ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამიტომ ფასს 15-ს შემოაქვს კრიტერიუმი „**კონტრაქტის დაყოფა ცალკეულ საკონტრაქტო ვალდებულებებად“. საკონტრაქტო ვალდებულება ხდება ამონაგების ერთეული**.

კონტრაქტის ვალდებულებებად დაყოფის კრიტერიუმებია საქონელის/მომსახურების განცალკევებადობა. მისაწოდებელი ცალკეული საქონელი ან მომსახურება აღიარდება ცალკე ვალდებულებებად, როდესაც საქონელი ან მომსახურება არის განსხვავებული [3, გვ.18].

კონტრაქტით გათვალისწინებული განცალკევებადი ვალდებულებებია საქონელი ან მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს ორივე კრიტერიუმს:

1. მყიდველს შეუძლია სარგებლის მიღება უშუალოდ ამ საქონლის/მომსახურების განცალკევებულად (ცალ-ცალკე) გამოყენებით ან მისთვის ხელმისაწვდომ სხვა რესურსებთან ერთად (ანუ თავად საქონელი/მომსახურება განცალკევებადია); და
2. ვალდებულებები ერთმანეთისაგან განცალკევებადია კონტრაქტის კონტექსტში – ანუ საწარმოს ვალდებულებები საქონლის ან მომსახურების მიწოდებაზე შეიძლება განცალკევდეს კონტრაქტის სხვა ვალდებულებებისაგან.

მაგრამ, როდესაც განსხვავებული საქონლისა ან მომსახურების მიმართ გამოიყენება მყიდველებისათვის მათზე კონტროლის გადაცემის ერთიდაიგივე მოდელი, საწარმოს შეუძლია განსხვავებული საქონლისა ან მომსახურების აღიარება ისე, როგორც მოხდებოდა მათი მიწოდება ერთი კონტრაქტის შესრულებისას.

ტიპიური მუხლები, რომელთა აღრიცხვა შესაძლებელია ცალ-ცალკე არის [4, გვ.33]:

- მომავალ გაყიდვებზე გასაცემი ფასდაკლება;
- გარანტიები;
- სერვისული მომსახურების კონტრაქტები.

მომავალ გაყიდვებზე გასაცემი ფასდაკლებები.

მყიდველებზე შესაძლებელია ვაუჩერების/ბარათების გაცემა, რომელიც აძლევს მათ მომავალში გარკვეულ პერიოდში განსაზღვრული სახეობის საქონლის შეძენაზე ფასდაკლების მიღების უფლებას. ეს მოიცავს ასევე კლიენტთა ლოიალობის პროგრამის ფარგლებში დაგროვილი ქულებით მომავალში უფასოდ ან ნაწილობრივი გადახდით საქონლის შეძენის უფლებას. ასეთი გაყიდვებით მიღებული ანაზღაურების ნაწილი უნდა მიეკუთვნოს ვაუჩერს და გადადებულ იქნეს მომავალი პერიოდებისათვის. ვაუჩერს მიკუთვნებული ამონაგები აღიარდება შემდგომ პერიოდებში, როდესაც იქნება გაწეული შესაბამისი მომსახურება, ან ამოიწურება გამოუყენებელი ვაუჩერის მოქმედების ვადა.

გარანტიები. ზოგიერთი საქონელი იყიდება იმის გარანტიით, რომ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამართულად იმუშავებს/იფუნქციონირებს. გაცემული გარანტიების აღრიცხვა დამოკიდებულია მათ ხასიათზე, კერძოდ:

- შესაძლებელია თუ არა გარანტიის ცალკე შეძენა;
- არის თუ არა გარანტია გაყიდული საქონლის პაკეტის შემადგენელი ნაწილი.

როდესაც მყიდველს აქვს გარანტიის შეძენის არჩევანის შესაძლებლობა, ის აღირიცხება ცალკე. როდესაც გარანტია არის საერთო პაკეტის ნაწილი და ის იძლევა საქონლის შეთანხმებული მახასიათებლების დაცვის გარანტიას, ანუ ადასტურებს იმას რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება შეთანხმებულ ტექნიკურ მახასიათებლებს, ის არ აღირიცხება ცალკე. მაგრამ, როდესაც გარანტია სცდება შეთანხმებული მახასიათებლების დაცვის ფარგლებს და გარანტია იძლევა დამატებით მომსახურებას, ის აღირიცხება ცალკე, იმის მიუხედავად განსაზღვრულია თუ არა გარანტია ყიდვა-გაყიდვის გარიგების ცალკე კომპონენტად.

სერვისული მომსახურების კონტრაქტები.

ზოგიერთი სახის გაყიდული საქონელი ითვალისწინებს პერიოდულად ტექნიკურ მომსახურებას. საზოგადოდ, გავრცელებულია საქონელთან ერთად დროის განსაზღვრულ პერიოდში მისი ტექნიკური მომსახურების უფლების გაყიდვის პრაქტიკა. კონტრაქტის ამონაგები უნდა განაწილდეს ორ კომპონენტზე. სერვისულ მომსახურების თანხა მიეკუთვნება მომავალ პერიოდებს და აღიარდება მომსახურების გაწევის მიხედვით.

ფასს 15 ასევე მოითხოვს ორი ან მეტი კონტრაქტის გაერთიანებას ერთ კონტრაქტად, ერთი ან მეტი შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- კონტრაქტები იდება ერთიანი პაკეტის ფარგლებში საერთო კომერციული მიზნისათვის;
- ერთი კონტრაქტიდან მისაღები ანაზღაურების თანხა დამოკიდებულია სხვა კონტრაქტის ფასსა ან შესრულებაზე;
- კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი ან მომსხურება (ან ზოგიერთი მათგანი) წარმოადგენენ ერთიან შესასრულებელ ვალდებულებას.

ნაბიჯი 3. კონტრაქტის ფასის განსაზღვრა.

კონტრაქტის ფასი არის ანაზღაურება, რომელიც საწარმოს ეკუთვნის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლად. კონტრაქტით გათვალისწინებული ანაზღაურება შეიძლება იყოს ფიქსირებული ან მოიცავდეს ცვლად კომპონენტებს, ასევე ფულის დროში ცვლილებების ეფექტს. **ანაზღაურების ცვლადი კომპენენტებია:** ბონუსები, ჯარიმები, ფასდაკლებები, უფლებები საქონლის უკან დაბრუნებაზე, კლიენტებისათვის გადასახდელი თანხები ან გასაყიდი ფასის შემცირება საქონლის რეკლამირებისა და თვალსაჩინო ადგილას განთავსებისათვის და სხვა.

სტანდარტით ცვლადი კომპონენტი განისაზღვრება „მოსალოდნელი ღირებულების/ანაზღაურების" მეთოდით ან „ყველაზე სავარაუდო სიდიდის" მიდგომით. სხვაგვარად, საწარმომ უნდა განსაზღვროს გარიგების ფასი შეწონილი ალბათობის მიდგომის (ფასის მათემატიკური მოლოდინის), ან ერთი, ყველაზე მაღალი ალბათობით „მისაღები თანხის განსაზღვრის" მიდგომით, იმის მიხედვით, თუ რომელ მიდგომას თვლის საწარმო უფრო ზუსტს. სტანდარტი ზღუდავს კონტრაქტის ფასის ცვლადი კომპონენტის თანხის აღიარებას და მოითხოვს ამონაგების რივერსირების (შემცირების) რისკის გათვალისწინებას. ცვლადი ანაზღაურება ჩაირთვება კონტრაქტის ფასში იმ ოდენობით, რომ მომავალში მოსახდენი ცვლილებების შედეგად არ მოხდეს ამონაგების არსებითი კორექტირება [4, გვ.11].

კონტარქტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს კლიენტებისაგან **დაფინანსებას** – ფულადი სახსრების მიღებას ამონაგების აღიარებამდე. დაფინანსებასთან დაკავშირებით სტანდარტს აქვს შემდეგი მიდგომა:

- **ავანსად მიღებული თანხები** განიხილება კლიენტებისაგან ნასესხებ ფულად სახსრებად, რაც წარმოქმნის საფინანსო ხარჯს და ზრდის გადავადებული ამონაგების თანხას;
- **დაგვიანებით მიღებული თანხები** განიხილება კლიენტებისათვის ნასესხებ ფულად სახრებად, რაც წარმოქმნის საფინანსო შემოსავალს და ამცირებს ამონაგების თანხას.

თუ დაფინანსების შემადგენელი არის მნიშვნელოვანი (**დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი**), სტანდარტი მოითხოვს ანაზღაურების მოსალოდნელი სიდიდის კორექტირებას ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით. კორექტირება არ მოითხოვება როდესაც საქონლის ან მომსახურების მიწოდების და კლიენტებისაგან მისაღები თანხების პერიოდი ერთ წელზე ნაკლებია. კორექტირების მიზანია ამონაგების იმ ღირებულებით შეფასება, რომლის გადახდა მოუწევდა მყიდველს აქტივებზე კონტროლის მიღების მომენტში. დისკონტირებისათვის გამოიყენება ის განაკვეთი, რომელიც იქნებოდა გამოყენებული მყიდველსა და გამყიდველს შორის დაფინანსების დამოუკიდებელი ხელშეკრულების დადების დროს.

საწარმომ შესაბამისი ინდიკატორებით უნდა შეაფასოს გადახდები არის თუ არა დაფინანსების მნიშვნელოვანი შემადგენელი და გაყოს ორ კომპონენტად: პირველი – საქონლის ან მომსახურების მიწოდებად და მეორე – დაფინანსების შეთანხმებად [4, გვ.12].

არაფულადი ანაზღაურება ფასდება რეალური/სამართლიანი ღირებულებით, თუ შესაძლებელია მისი ადეკვატურად შეფასება. ასეთი ფასის არარსებობის შემთხვევაში, საწარმო გამოიყენებს ფასს, რომლითაც ეს საქონელი/მომსახურება იყიდება როგორც დამოუკიდებელი ობიექტი.

ნაბიჯი 4. კონტრაქტის ფასის გადანაწილება საკონტრაქტო ვალდებულებებზე.

როდესაც კონტრაქტი მოიცავს რამდენიმე განცალკევებად ვალდებულებას, კონტრაქტის ფასი უნდა გადანაწილდეს საკონტრაქტო ვალდებულებებზე, რადგან ყოველივე მათგანს აქვს თავისი შესრულების პირობები და ვადები.

კონტრაქტის ფასის განაწილებას/მიკუთვნებას ვალდებულებებზე საფუძვლად ედება ყოველი საქონლის ან მომსახურების დაკვირვებადი ფასები – ფაქტიური ინდივიდუალური ფასი, რომლითაც საწარმო ცალკე ყიდის აღნიშნულ საქონელს/მომსახურებას ანალოგიურ ვითარებაში ანალოგიურ მყიდველზე. როდესაც საქონლის ან მომსახურების ფასები, როგორც დამოუკიდებელი ობიექტისა, არ არის დაკვირვებადი, ის უნდა იქნეს შეფასებული შემდეგი გათვლებით:

- საბაზრო შეფასების კორექტირებით – იმ თანხის განსაზღვრა, რომელსაც გადაიხდიდა ამ საქონელში/მომსახურებაში მყიდველი;
- მოსალოდნელი დანახარჯების პროგნოზი პლიუს მოგების ნორმა;
- იშვიათ შემთხვევაში ნარჩენი მეთოდის გამოყენებით – საკონტრაქტო ფასს გამოკლებული შეფასება დაკვირვებადი ფასებით. [5, გვ.5]

ნაბიჯი 5. ამონაგების აღიარება საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულებისას.

ისმება კითხვა: როდის უნდა აღიარდეს ამონაგები? ერთდროულად, თუ თანდათანობით პერიოდის მანძილზე? რომელ პერიოდს მიეკუთვნება ამონაგები?

ფასს 15 ითვალისწინებს ამონაგების აღიარების ერთიან მოდელს ყველა სახის საქონლის და მომსახურების მიწოდებისათვის. ამ მოდელის თანახმად ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც შესრულებულია საკონტრაქტო ვალდებულებები, ხოლო საკონტრაქტო ვალდებულებები შესრულებულია მაშინ, როდესაც დამკვეთს გადაეცემა კონტროლი შესაბამის **აქტივზე.**

ფასს 15-ით კონტროლის ქვეშ ნაგულისხმებია "აქტივის გამოყენების და მისგან პრაქტიკულად ყველა სარგებლის მიღების უნარი". კონტროლი ასევე მოიცავს სხვა საწარმოებისათვის აქტივის გამოყენების და სარგებლის მიღების წინააღმდეგობების გაწევის უნარს [1, გვ.33]. სარგებელი აქტივის გამოყენებით არის პოტენციური ფულადი ნაკადები.

ამდენად, ამონაგების ასაღიარებლად მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ როდის გადაეცემა მყიდველს კონტროლის უფლება. დამკვეთს კონტროლის უფლება აქტივებზე გადაეცემა **კონტრაქტის შესრულების პერიოდში**, თუ კმაყოფილდება სამიდან თუნდაც ერთ-ერთი კრიტერიუმი:

1. დამკვეთი აქტივისაგან ღებულობს და მოიხმარს სარგებელს საწარმოს მიერ სამუშაოების (**საკონტრაქტო ვალდებულებების)** თანდათანობით/უწყვეტად **შესრულების პერიოდში**; ან
2. საწარმო აწარმოებს ან სრულყოფს დამკვეთის მიერ კონტროლირებად აქტივს მის გამოყენების/მუშაობის პერიოდში (მაგალითად, მშენებლობა); ან
3. შექმნილ აქტივს **არ აქვს რაიმენაირი ალტერნატიული გამოყენება** (ვერ იქნება გამოყენებული სხვა მიზნებისათვის) და საწარმოს აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების **ანაზღაურება კონკრეტული ვალდებულების შესრულებისათვის კონკრეტული თარიღისათვის** [4, გვ.15].

ერთ-ერთი ნებისმიერი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამონაგები აღიარდება კონტრაქტის შესრულების პერიოდში. როდესაც არც ერთი კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, ამონაგები აღიარდება ერთიანად ვალდებულების შესრულებისა და დამკვეთის მიერ აქტივზე კონტროლის უფლების მიღების მომენტში.

დამკვეთისათვის **აქტივზე კონტროლის გადაცემის მომენტის ინდიკატორებია** [4, გვ.17]:

- საწარმოს აქვს აქტივის ღირებულების ანაზღაურების მიღების უფლება;
- დამკვეთს აქვს აქტივის ფლობის იურიდიული უფლება;
- დამკვეთისათვის გადაცემულია აქტივის ფიზიკური ფლობის უფლება;
- დამკვეთისათვის გადაცემულია აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- დამკვეთმა მიიღო აქტივი [6, გვ.15].

დასკვნა:

იმის შესაფასებლად, თუ როგორ უნდა აღიარდეს ამონაგები – დროის პერიოდის განმავლობაში თუ დროის გარკვეული მომენტისათვის, საჭიროა საკონტრაქტო პირობების დეტალური ანალიზი და პროფესიული განსჯა.

საქონლის ან მომსახურების უწყვეტად მიწოდებისას **ამონაგები (**შესრულებული ვალდებულებები) **აღიარდება დროის პერიოდის განმავლობაში და ფასდება შემდეგი მეთოდებით:**

- მიღწეული შედეგების შეფასების (შესრულებული სამუშაოების) მეთოდები, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოებული ან მიწოდებული პროდუქციის ერთეულები, შუალედური ეტაპები, შესრულებული სამუშაოების მოცულობა და სხვა;
- დანახარჯების შეფასების მეთოდები, რომელსაც საფუძვლად უდევს გარკვეული მომენტისათვის გაწეული დანახარჯები;
- მეთოდები, დაფუძნებული დროის პერიოდზე, მაგალითად გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაბარზომიერად გასაწევი მომსახურების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. IFRS 15. Revenue from Contracts with Customers. 2016. IFRS Foundation. ttp://eifrs.ifrs.org/eifrs/bnstandards/en/2016/ifrs15.pdf
2. IFRS in practice . Revenue from Contracts with Customers. BDO. 2015. file:///C:/Users/www.QucoShop.com/Downloads/IFRS-in-Practice-IFRS15_print.pdf
3. Revenue from contracts with customers. PWC. Global edition. 2016. http://www.pwc.com/us/en/cfodirect/assets/pdf/accounting-guides/pwc-revenue-recognition-global-guide-2016.pdf
4. IFRS 15 Revenue Recognition for buildingand construction companies. KPM .2014. http://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications
5. IASB issues new Standard on revenue recognition. Deloitte. http://www.iasplus.com/en/publications/global/ifrs-in-focus/2014/ifrs-15
6. First impressions: Revenue from Contracts with Customers. KPMG 2014 june. http://www.kpmg.com/Global/en/IssuesAndInsights/ArticlesPublications/first-impressions/Documents/First-Impression-Revenue-2014.pdf

New Model of Revenues Recognition - IFRS 15 Revenue from Contracts with Customers

N. Kvatashidze
Z. Gogrichiani

Summary

International Accounting Standards Board (IASB) and Financial Accounting Standards Board (FASB) of the USA have jointly developed IFRS 15 “Revenue from Contracts with Customers. This standard is used toward contracts on delivery of services and goods, except of lease, insurance, financial tools, warranties (except of goods and services), exchange of non-monetary assets. The standard will take an effect from 2017 and will replace IFRS 18 “Revenue”, 11. “Constructional Contracts” and interpretations-13 “Clients Loyalty Programs”, 15. Agreements for the Construction of Real Estate, 18. Transfers of Assets from the customers, and 31. Revenue – Barter Transactions Involving Advertising Services.

IASB 15 fully approaches analogous standards of the USA, it includes requirements which in comparison to existed standards are more specific and subsequent. New standard will replace terms and methods of recognition of revenue of many spheres, particularly, construction, telecommunication (mobile networks, cabel), lycensing (media sector, science, franchising), real estate, software etc.

Keywords: recognition of revenue, identification of contracts, contractual obligation, deal cost, contract cost, contract division.

ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხისათვის საქართველოში

მურმან კვარაცხელია,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკი

სტატიაში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხის შესწავლის მიზნით, ყურადღება გამახვილებულია გლობალიზაციის მოთხოვნებთან როგორ უნდა მოხდეს ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ადაპტირება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი ბევრ ქვეყნაში მტკივნეულად ვითარდება. მით უმეტეს, როცა იგი განიხილება სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ღონისძიებათა შემუშავების კონტექსტით. სწორედ ამ პროცესებმა დააჩქარა საქართველოს ეკონომიკის გადასვლა უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ზოგიერთი პარამეტრის მიხედვით, ქვეყანაში სამწუხაროდ საგანგაშო მდგომარეობაშია. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია იმ მიზეზებზე, რომელმაც ეს გამოიწვია. ესენია: დასავლეთის დემოკრატიული ფასეულობების ყალბი გაგება, საბაზრო მექანიზმების გაფეტიშება, შრომის და ცოდნის უგულებელყოფა, ეროვნული დოვლათისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის დაქვეითება, სახელმწიფოს ხარჯზე ყოფნის მენტალიტეტი და სხვა.

სტატიაში ნაჩვენებია თუ საით მიდის პროცესების განვითარების ვექტორი ქვეყნის ეროვნული უსაფრთოხების მდგომარეობის შეფასების თვალსაზრისით და შემუშავებულია ღონისძიებები ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება, გლობალიზაცია, ფასეულობები.*

საქართველოში საბაზრო ეკონომიკური რეფორმების გატარების დაწყებიდან მეოთხედი საუკუნე გავიდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დასრულდა. იმავდროულად ისიც აშკარაა, რომ რეალურად შექმნილი საბაზრო ეკონომიკა, სამწუხაროდ, შორსაა დასავლური და, კერძოდ, ევროპული სტანდარტებისაგან. და, თუ აღმოსავლეთ ევროპისა თუ ბალტიის ქვეყნებმა იმდენად წარმატებით ჩაატარეს ეკონომიკური რეფორმები, რომ დღეს ევროკავშირის წევრები არიან, საქართველო, სამწუხაროდ, შედის იმ „აუტსაიდერ“ პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯგუფში, რომელთაც ევროპული ტიპის კაპიტალიზმის ნაცვლად ე.წ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი შექმნეს(2;3;4).

ნიშანდობლივია ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე უშუალოდ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ამ ასპექტით მთავარია მაკრო-ეკონომიკური უსაფრთხოების ადეკვატური მშპ-ს აბსოლუტური მოცულობა და მისი ზრდის ტემპი. ამ მხრივ საინტერესოა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და დიაგრამა, სადაც მოცემულია მშპ-ს დინამიკა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

მშპ-ს დინამიკა მსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2006-2014 წწ-ში
ცხრილი 1 [9].

2006 წ.	**2007 წ.**	**2008 წ.**	**2009 წ.**	**2010 წ.**	**2011 წ.**	**2012 წ.**	**2013 წ.**	**2014 წ.**	**2015 წ. (10 თვე)**
9,40%	12,60%	2,40%	-3,70%	6,20%	7,20%	6,40%	3,40%	4,60%	2,80%
1763,5	2314,6	2921,1	2455,2	2623	3230,7	3523,4	3599,6	3676,2	-

დიაგრამა 1 [9]



ცხრილიდან და დიაგრამიდან ჩანს, რომ ქვეყნის მშპ-ს ზრდის ტემპი 2006-2015 წლებში არათანაბარზომიერებით ხასიათდებოდა. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა 2007 წელს-12,6%. 2008 წელს შეადგინა 2,4 %, რაც გამოწვეული იყო რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტით. 2009 წელს კი მინუს 3,7% იყო. მაგრამ 2010 წელს უკვე ზრდამ შეადგინა 6,2%. ეს გამოწვეული იყო უცხოეთიდან ინვესტიციების შემოსვლით, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 4,5 მლრდ დოლარი. 2012-2013 წლებში უკვე კლების ტენდენცია დაფიქსირდა, ხოლო 2014 წელს უმნიშვნელო ზრდა იყო -1,2 პროცენტული პუნქტით. 2015 წლის 10 თვის მონაცემებით ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად დაეცა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 2,8%.

საინტერესო მონაცემებით ხასიათდება მშპ-ს დინამიკა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ასე, მგალითად, 2010 წელს 2006 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 148%-ით, 2014 წელს კი-208%-ით და შეადგინა 3676,2 დოლარი. მიუხედავად ამ მაკროეკონომიკური მაჩვენებლის გარკვეული ზრდისა იგი საკმაოდ ჩამორჩებოდა აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ასე, მაგალითად, ლატვიაში მშპ-ს ზრდამ 2006 წელს, წინა წელთან შედარებით, შეადგინა 111,9 %. ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე -112,5 %. 2007 წელს კი შესაბამისად - 111,2% და 111,8%, ხოლო 2011 წელს-105,5% (22). თუ ავიღებთ 2009 და 2010 წლების მშპ-ის მონაცემებს მოსახლეობის ერთ სულზე, ვნახავთ, რომ ლატვიაში მან შეადგინა 5802 და 5688 აშშ დოლარი(იგივე წყაროს მონაცემებით). ეს საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატებოდა შესაბამისად 2,36- 2,16 ჯერ.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა მეტად აქტუალურია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის. იგი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია უამრავ გარე ფაქტორზე. ამიტომ, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს მეცნირულად გათვლილ კონცეფციებს. ეს არის პიროვნების, საზოგადობისა და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ შეხედულებათა მთლიანი სისტემა.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობის, მდგრადი განვითარების, საშინაო და საგარეო მუქარების პრევენციის თავიდან აცილების ან მინიმიზების უნარს უნდა გამოხატავდეს, რისი უზრუნველყოფაც სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრინციპები უამრავ მოთხოვნას ითვალისწინებს. ესენია: განვითარების ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების გათვალისწინება, გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებისა და ინტერესების განსაზღვრა, ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან თავსებადობა და სხვ.

ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. მისი ეროვნული ინტერესები თავისთავად გულისხმობს ეკონომიკასაც, რაზეც უშუალოდაა დამოკიდებული მოსახლეობის კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება, გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმით ეკონომიკის ფუნქციონირების უნარი, ერთიანი ეკონომიკური სივრცის შენარჩუნება, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის მიღწევა, ქვეყნის კონკურენტუნარიონობის უზრუნველყოფა, საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკის აქტიურ სუბიექტად გადაქცევა და ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლა.

ყველა ქვეყანას გააჩნია თავისი სტრატეგიული მიზანი, რომელიც მოიცავს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. გარდა ამისა ასევე მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისა და ერის თვითგანვითარების უზრუნველყოფა ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის საფუძველზე.

გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა ახლადჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ქვეყნები ისტორიული გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ შემთხვევაში მთავარია გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება, რისი საშიშროებაც რეალურად არსებობს. საქართველო განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც რეალურად იწყებს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას, თუმცაღა, აშკარად სახეზეა შინაგანი და გარეგანი საფრთხე. მათ შორის შინაგანი საფრთხიდან აღსანიშნავია ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და ინოვაციური პოტენციალის ჩამორჩენილობა, მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება და სიღარიბის მაღალი დონე, ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის არამდგრადობა, დაბალი ინოვაციური და ინვესტიციური აქტივობა, ფინანსური უსაფრთხოების დაბალი დონე, დიდი საგარეო ვალი, ეროვნული ვალუტის სისუსტე და დაუცველობა კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი ეკონომიკის უქონლობის შედეგად, ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე და მისი გამოთანაბრების ტენდენციის უქონლობა და მრავალი სხვა.

უფრო მნიშვნელოვანია გარეგანი საფრთხეები,რასაც განეკუთვნება ქვეყნის სუსტი მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში, თვით ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე, სამუშაო ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია, კაპიტალის გადინება, ტექნოლოგიური, მენეჯმენტური და ინსტიტუციური შეუთავსებლობა საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოს შიგა ბაზრის ათვისება საზღვარგარეთული ფირმების მიერ ფართო მოხმარების მრავალი სახეობის პროდუქციის მიხედვით, რომელიც ბევრად ჩამორჩება ჯანმრთელობისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვეყანა ძლიერადაა დამოკიდებული სურსათისა და ენერგიის იმპორტზე, როდესაც ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია საინვესტიციო პოლიტიკის არსებითად გაუმჯობესების გზით.

ამ საფრთხეების პრევენცია ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული საქმეა როგორც მიმდინარე, ასევე გრძელვადიან პერიოდში. მაკროეკონომიკური სიტუაციები ნათლად გვიჩვენებს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა სახეზეა. შექმნილია დაძაბულობისა და დისპროპორციების წყაროები, გააქტიურებულია კრიზისის შემქმნელი ფაქტორები, რაც ეკონომიკური განვითარების მდგრადობის იმუნიტეტს ამცირებს. ქვეყნის უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი საფრთხეების მრავალფეროვანი სპექტრი უკვე ჩამოყალიბებულია. ცნობილია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების კომპლექსური მართვა ემყარება მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც ერთდროულად ეკონომიკის ფუნქციონალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ ინდიკატორებსაც ითვალისწინებს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები განსაზღვრავს ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლის აუცილებლობას. ის რაოდენობრივად გამოხატავს ეკონომიკური უსაფრთხოების საფრთხეებს, რაც მისი ხარისხის გამწვავების პირობებში გადაიქცევა სერიოზულ მუქარად სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანების კეთილდღეობისათვის. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პრევენციული ღონისძებების გატარება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორი მრავალფეროვანია. ამიტომ, ვფიქრობთ, ზოგიერთი მათგანის ანალიზის ჩატარება სრულ სურათს მოგვცემს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მთლიანად.

ამ მხრივ, ჩვენი აზრით, საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო გავნითარების ამოცანის გადაწყვეტის ფუძემდებლური პირობებიდან, უმნიშვნელოვანესია ინტელექტუალური უსაფრთხოება. აქ უპირატესობა ენიჭება ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას, ეკონომიკის თვითგანვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის განსაზღვრას. ინოვაციური განვითარების სტრატეგიების დანერგვა მოითხოვს საერთო ბალანსის - ცოდნის, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ბალანსის უზოგადესი და უმთავრესი შედეგების დაფიქსირებას. ეკონომიკური ბალანსის შედეგებიდან მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციების განმსაზღვრელი მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომლის დონესაც განსაზღვრავს მისი ინტეგრაციის ხარისხი.

საქართველოს წინაშეა სისტემური ხედვის კონცეპტუალური ინოვაციის ისტორიული ამოცანა, რაც გამოიხატება მისი სივრცობრივი გაფართოების უზრუნველყოფაში საკუთარი იდენტურობის შენარჩუნებისათვის, გლობალიზაციის გამოწვევებისადმი პასუხისათვის.

საქართველოს პროგრესი და წინსვლა გლობალური ეკონომიკის კონცეპტუალური ინოვაციის შემუშავებასა და განხორციელებაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ ტრადიციული ეკონომიკის პირობებში მთავარი იყო საქონლის წარმოება საქონლით, ძირითადი კაპიტალის მეშვეობით, გლობალური ეკონომიკის პირობებში კი მთავარია ცოდნის წარმოება ადამიან-კაპიტალის გამოყენებით, ადამიანის წარმოებითა და გაფართოებული კვლავწარმოებით. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უმთავრესი სტრატეგიული პრიორიტეტებია შემდეგი: ინტელექტუალური უსაფრთხოების მიღწევა, უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური ინოვაციების რეალიზაცია, უახლოეს ათწლეულებში განათლებისა და მეცნიერების მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელი ზღვრული სიდიდეების მიღწევა, ცოდნის ეკონომიკის დამკვიდრება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებიდან ერთ-ერთი უმთავრესია საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება. ბოლო ათწლეულებში ეს პროცესი მკვეთრად გაუარესდა. სახეზეა მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის და ზრდის ტემპების შემცირება. ამავე დროს ეცემა მისი წილი სამხრეთ კავკასიასა და მსოფლიო მოსახლეობაში.(იხ. ცხრილი 2).

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობა 2006 წელს შეადგენდა 4,4 მლნ კაცს. მისი დინამიკა ზრდის ტენდენციით არ გამოირჩევა. თუ შევადარებთ, 1975 წელს, იგი შეადგენდა 4,9 მლნ კაცს, ხოლო 2015 წლის აღწერით შეადგინა 3,7 მლნ კაცი, ანუ 40 წლის განმავლობაში ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა 1,2 მლნ-ით, რაც მაღალი საფრთხის შემცველია მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 1975-2000 წლებში სომხეთის მოსახლეობა 2,8 მლნ-დან 3,8 მლნ-მდე, ანუ 36%-ით გაიზარდა. აზერბაიჯანის მოსახლეობა კი - 5,7 მლნ-დან 8,7 მლნ-დე, ანუ 52,6%-ით გაიზარდა(14). საპროგნოზო მონაცემების მიხედვით, ცენტრალური კავკასიის ორივე ქვეყანაში მოსახლეობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, საქართველოში კი - კლებით. აქედან ცხადია, რომ ქართველობა რეგიონში უმცირესობაში აღმოჩნდა.

დემოგრაფიული ვითარების ასეთი მკვეთრი გაუარესება საქართველოს არსებობას უდიდეს საფრთხეს უქმნის. საჭიროა სახელმწიფომ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ამ ფუნდამენტური საფრთხის პრევენციისათვის.

ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესაბამისად, დემოგრაფიული უსაფრთხოების ზღვრულ დონედ მიჩნეულია ქვეყნის მოსახლეობის წილი რეგიონში, ანუ ცენტრალურ კავკასიაში, რომელიც შეადგენს 31%-ს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ს სივრცეში - 1,33%-ს, განვითარებული ქვეყნების ჯგუფში - 0,47%-ს (14). ამის დაძლევისთვის საჭიროა საქართველოს მოსახლეობის ზრდის საშუალოწლიური ტემპი 0,7%-ის ოდენობით, რაც მოითხოვს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას, კერძოდ, ცხოვრების დონისა და შემოსავლების ამაღლების დაჩქარებას.

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა [9]

ძირითადი დემოგრაფიული მავენებლები										
	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 729.5
მათ შორის:										
ქალაქად (ათასი კაცი)	2 310.4	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 410.8	2 140.4
სოფლად (ათასი კაცი)	2 090.9	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2073.0	2 078.8	1 589.1
ცოცხალდ დაბადებულთა რიცხოვნობა	47 795	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	57 878	60 635	
გარდაცვლილთ რიცხოვნობა	42 255	41 178	43 011	46 625	47 864	49 818	49 348	48 553	49 087	
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას	74.3	75.1	74.2	73.6	74.4	74.5	74.7	75.2	72.9	
შობადობა (ათას კაცზე)	10.9	11.2	12.9	14.4	14.1	12.9	12.7	12.9	16.3	
მოკვდაობა (ათას კაცზე)	9.6	9.4	9.8	10.6	10.7	11.1	11.0	10.8	13.2	
ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	1.3	1.8	3.1	3.8	3.3	1.8	1.7	2.1	3.1	

პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს, ასევე სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს, რაც ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მაჩვენებელიცაა. სიღარიბე თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. მასთან ბრძოლა კაცობრიობის უმთავრესი ამოცანაცაა. მსოფლიოში მცხოვრები 7 მლრდ ადამიანიდან 2,8 მლრდ დღეში 2 დოლარზე უფრო ნაკლებს ხარჯავს თავისი არსებობისათვის, ხოლო 1,2 მლრდ - 1 დოლარზე უფრო მცირეს. 1000 მცირეწლოვანი ბავშვიდან 6 ერთ წლამდე ვერ აღწევს, ხოლო 8 - ხუთ წლამდე, მათგან 9 ვაჟი და 14 გოგონა ვერ იწყებს სწავლას დაწყებით სკოლაში [5], სიღარიბის დონე განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, ამ მხრივ, არც საქართველოში გვაქვს წინსვლა (იხ.ცხრილი 3).

ცხრილი 3
სიღარიბის დონე საქართველოში [11]

ცხოვრების დონე	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) (%)	6.4	8.4	9.9	9.7	9.2	9.7	9.7	11.6

ცხრილიდან ჩანს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დინამიკა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თუ ეს მაჩვენებელი 2007 წელს შეადგენდა 6,2%-ს, 2010 წელს- 9,7%-ს, 2014 წლისათვის მიაღწია 11,6%-ს, ანუ გაიზარდა 2,4 პროცენტული პუნქტით. ასეთი ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობას.

ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მტკივნეულ გამოწვევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სავალუტო უსაფრთხოების პრობლემა. ეროვნული ვალუტის - ლარის გაუფასურების პროცესი 2014 წლის მეორე ნახევრიდან იწყება ქვეყანაში. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს დოლარის გამყარება. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონის გამო, ეს პროცესი, მეტ-ნაკლები სიმწვავით, აისახა განვითარებადი ბაზრების (emergind markets) მქონე ქვეყნებზეც [6]. ბუნებრივია, რომ გამონაკლისი ვერც საქართველო იქნებოდა. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი წყაროა საერთაშორისო რეზერვების ხარჯვა. მაგრამ უფრო ძლიერი ფაქტორებიც არის. ესენია: ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მისი საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა. ამათ გარეშე რეზერვები ამოუწურავი არაა და პრობლემები საბოლოოდ ამით არ დამთავრდება.

პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა სწორედ ეკონომიკის განვითარებაზე გადის. საქართველოში ეროვნული ვალუტა სწორედ აშშ-ს დოლარზეა მიბმული. 2014 წლის ბოლომდე კურსის შენარჩუნების პროცესი არსებითი რყევების გარეშე მიმდინარეობდა, ხოლო 2015 წელს და უკვე 2016 წლის დასაწყისში, ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ასე, მაგალითად, 2015 წლის მაისის მონაცემებით, ერთი აშშ დოლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა 2,330 ლარი შეადგინა, ხოლო 2016 წლის 15 იანვარს კი - 2,4454 ლარი, ანუ რვა თვის განმავლობაში ლარი დოლართან მიმართებით 4%-ით გაუფასურდა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს უკვე გახდა ტენდენციური და შეუქცევადი. ეს კურსი ბოლო 18 წლის განმავლობაში (1998 წლიდან მოყოლებული) ისტორიული მაქსიმუმია. თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში ეროვნულ ვალუტას გავლილი აქვს როგორც გამყარების, ასევე გაუფასურების მრავალი პერიოდი. პირველი მკვეთრი გაუფასურება ლარმა 1998 წელს რუსეთის ეკონომიკაში დეფოლტით გაჩენილი სირთულეების გამო განიცადა. 2003 წლიდან 2008 წლის ზაფხულამდე კი, ეროვნული ვალუტის სტაბილური გამყარება შეიმჩნეოდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო უცხოური ინვესტიციების, საგარეო ვალების, ფულადი გზავნილებისა და საერთაშორისო გრანტების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდით. ეს ფაქტორები დოლარის შემოდინებას უწყობდა ხელს, შედეგად კი - ლარის კურსი გამყარდა[1].

ეროვნული ვალუტის ასეთ დევალვაციაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას. ესენია: ადგილობრივი, საერთაშორისო და სუბიექტური ფაქტორები. სწორედ ამ ფაქტორთა გავლენის შედეგად მოხდა ლარის დევალვაციის მაქსიმიზაცია, ხოლო დღეს არ ჩანს მისი გამყარების ტენდენციის პერსპექტივა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ეროვნული ვალუტის ასეთი დევალვაციისა, სავალუტო კრიზისი არ ყოფილა საქართველოში. იგი ყოველ სამ თვეში 17-18%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო კრი-

ზისი იწყება მაშინ, როდესაც ერთი კვარტლის განმავლობაში ვალუტა უფასურდება 25%-ით და მეტით და ამას თან ერთვის სავალუტო რეზერვების მნიშვნელოვანი შემცირება[7].

მიუხედავად არაკრიზისული მდგომარეობისა, ეროვნული ვალუტის უსაფრთხოების პრობლემა აქტუალურია დღესაც. შეიძლება ითქვას, რომ იგი იმყოფება კრიტიკულ ზღვართან ახლოს. ამიტომ, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს ეროვნული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობას და ეკონომიკის რეალური სექტორის გააქტიურებას, რაც გამოიწვევს ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდას და შეამცირებს მგრძნობელობას გარე შოკების მიმართ.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების გაუმჯობესება მოითხოვს ქმედითი ღონისძიებების გატარებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას ხანგრძლივი პერიოდისათვის. მის საფუძველზე კი უნდა შედგეს სახელმწიფო პროგრამები, რომლის რეალიზაციაც მკვეთრად შეცვლის უსაფრთხოების რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანგურიძე ო., ჭარაია ვ., დოღონაძე ი. (2015) საქართველოს ეროვნული ვალუტის
1. უსაფრთხოების პრობლემა და თანამედროვე გამოწვევები. თბილისი.
2. პაპავა ვ. (2002) პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი.
3. Papava V. (2005). Necroeconomics: The political economy of post-communist capitalism (lesoosns from Georgia). New-york, Universe.
4. Papava V., Beridze T. (2005). Очерки политической экономии посткоммунистического капитализма(опыт Грузии) Москва, “Дело и Сервис“.
5. ჭითანავა ნ. (2003) ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია - ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ეკონომიკური იდეოლოგიის ფორმირების საფუძველი. წიგნში: საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი VII, თბილისი.
6. Roubini N (2015) The Dollar joins the currency wars. project syndicate, 05.01.
7. Frankel J. and Rose A., (1996) Currency Crashes in Emerging Markets: An Empirical Treatment. Journal of International Ecomomics, vol. 41, N3/4.
8. Paita Karnite freecity.Lv
9. WWW.Geostat.ge
a. 10.WWW.Stop.lv
10. http://ssa.gov.ge/

Economic insecurity issues in post-soviet Georgia

M. Kvaratskhelia

Summary

Special aspects of Formation of the post- Communist State and economic security in Georgia is the topic of our research. The aim of the present work is spotlighting the main defining factor of the process of formation of the independent states – its economic security. Our country, which was deprived of its statehood during more than two centuries, needed a strong basis for its formation, for shifting to the market relations and leading the social-economic processes by the road of progress. For fulfilling the above mentioned aim, the peculiarities of Georgia, as a post-communist state are studied and analyzed. The lack of experience and invalid socialist system caused the development of the quasi market relations. All this placed on the agenda the problem of radical reform and the coordinative part was to be played by the state, without any historical experience. The high political and economic cognition was of a paramount importance. Georgia did not appear ready for this and the process of reformation took a spontaneous form.

Key words: *Economic security, Sustainable development, Globalization, Values.*

ანტიკრიზისული პიარი

მარინე კობალავა,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კრიზისი, როგორც მოვლენა, მოიაზრებს უბედურ შემთხვევებს, ბუნებრივ კატასტროფებს, ავადმყოფობის პანდემიებს და ტერორისტული თავდასხმების არსებობას და მოითხოვს პრევენციულ ძალისხმევას კომპანიებისაგან. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული კრიზისი არამდგრადობის მაღალი ხარისხის მატარებელია და ამიტომ, კომპანიები იღებენ ვალდებულებას შექმნილ კრიზისულ ვითარებაში ფეთქებადი სიტუაციების რეაბილიტაცია მოახდინონ. სტატიაში წარმოდგენილია ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავების მართვის მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: *კრიზისი, კონფლიქტი, კონფლიქტების მართვა,„მხრჩოლავი“ სიტუაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობის, პრესრელიზები.*

კრიზისული სიტუაცია წარმოადგენს ექსტრემალურ და მოულოდნელ შემთხვევას, რომელიც აზიანებს კომპანიის, ორგანიზაციის, დარგის რეპუტაციას. კრიზისის მრავალი განმარტებიდან საინტერესოა კეტლინ ფეარნ-ბენკსის ვარიანტი: „კრიზისი ის მნიშვნელოვანი შემთხვევაა, რომელსაც შეუძლია ნეგატიური მოვლენა მოახდინოს როგორც ორგანიზაციაზე, კომპანიასა ან ინდუსტრიაზე, ასევე საზოგადოებაზე, პროდუქტზე, მომსახურებაზე ან კარგ სახელზე [1, გვ. 261].“ ეს განმარტება კრიზისის სრულყოფილ სურათს იძლევა და ამავდროულად, უნდა ითქვას, რომ თავად ექსტრემალური სიტუაცია, რომელსაც იწვევს კრიზისი, შედარებით იშვიათია და ორგანიზაციების უმეტესობა ასეთ მოვლენებს, შესაძლოა არც წააწყდეს. აღსანიშნავია, რომ კრიზისული სიტუაცია შეიძლება განიხილებოდეს ბევრად უფრო ფართოდ, ვიდრე განსაკუთრებული შემთხვევა. ასეთი გაფართოებული გაგების საფუძველია კონფლიქტის ცნების თანამედროვე ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით კონფლიქტი განისაზღვრება, როგორც სოციალური ურთიერთობების დინამიკური სახეობა, რომელიც წარმოიშვება სუბიექტების შესაძლო პრიორიტეტების, ინტერესების ან ღირებულებების ნიადაგზე, რომელიც მუდმივად არსებობს და აღმოფხვრას არ ექვემდებარება. კონფლიქტის ეს განმარტება შეიცავს ძალიან მნიშვნელოვან მითითებებს: პირველი, ამ განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სიცოცხლის მანძილზე არსებობს არა მხოლოდ საზოგადოების ცხოვრების ზოგიერთი ფეთქებადი სფეროები, არამედ „მხრჩოლავი“

სიტუაციები; მეორე, გარეგნულად არაკონფლიქტური პირობები გვაიძულებს ვიფიქროთ შესაძლებელია თუ არა მხარეებს შორის დაძაბულობა და კონფლიქტი მომავალში. სავარაუდოდ, რა გახდება მათი მიზეზი, როგორ გავანეიტრალოთ, როგორ ვიმოქმედოთ თუ განეიტრალება ვერ შევძელით; მესამე, კონფლიქტის ეს ცნება გვაგებინებს, რომ კრიზისები და კონფლიქტები, პრინციპში, როგორც ცნებები და პროცესები, გარდაუვალია და, შესაბამისად, მთავარია არა იმდენად მათი აღმოფხვრა ან თავიდან აცილება (იმდენად რამდენადაც მისგან დაცულობა რთულია), არამედ მათი მართვა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივედით საქმიანობის კიდევ ერთ საკმაოდ ტექნოლოგიურ დარგამდე, რომელიც ტერმინოლოგიურად განისაზღვრება, როგორც კონფლიქტების მართვა (conflict management) და კონფლიქტების მოგვარება (conflict resolution) ჩვეულებრივ ამ ცნებებს იყენებენ კონფლიქტოლოგიაში, თუმცა, მსგავსი ტერმინი - პრობლემების მართვა (issues management) არსებობს "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სფეროშიც. პრობლემების მართვის ფუნქციებს განეკუთვნება კვლევა და ანალიზი კრიზისული შედეგების თვალსაზრისით არა მხოლოდ ნეგატიური სოციალური ტენდენციებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნის კომპანიის რეპუტაციას და მოგებას (მაგალითად, მომხმარებლების მიერ პროდუქტის ნეგატიური აღქმა), არამედ ნეიტრალური ტენდენციებისაც (ვთქვათ, ინოვაციები პროდუქტის შეფუთვის პროცესში).

აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რომ მიუხედავად ნებისმიერი კომპანიის მზაობისა, მოახდინოს პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინება კომპანიისათვის, ყველა კრიზისული სიტუაციის აღმოფხვრა თითქმის შეუძლებელია.

კრიზისული სიტუაციებისათვის მზადება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პოზიციებსა და სტრატეგიებს: კომპანიის შეთანხმებულ პოლიტიკას; შემოწმებულ და სანდო კომუნიკაციის საშუალებებსა და შესაბამის აღჭურვილობას; პასუხისმგებელი ადმინისტრაციული გუნდის არსებობას, რომელიც საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, მედიაში იმსჯელებს კომპანიის სახელით და/ან უპასუხებს სატელეფონო ზარებს.

ანტიკრიზისული სტრატეგიის შესამუშავებლად უმნიშვნელოვანესია შემდეგი ბლოკების მომზადება:

ა. მასალები, რომლებიც ადასტურებს მთლიანად კომპანიისა და მისი ინსაიდერების მაღალ ეკონომიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას, რისი მიწოდებაც შესაძლებელია საინფორმაციო საშუალებებისა და შესაბამისი ჟურნალისტებისათვის;

ბ. სპიკერები, ანუ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარები, რათა გააკეთონ დაუყოვნებლივი კომენტარი კრიზისულ სიტუაციებში;

გ. მოდულები, ანუ ზეპირი და წერილობითი განცხადებები. აქ გათვითცნობიერებულია ის რეალობა, რომ შეუძლებელია ყველა კრიზისული შემთხვევის პროგნოზირება, მაგრამ შესაძლებელია ისეთი პრეს-რელიზების მომზადება, რომელსიც დადებითად იმოქმედებს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, რაც, თავის მხრივ, შესრულებადი ამოცანაა ინსაიდერების მხრიდან;

დ. კომუნიკაციები, რომლის მეშვეობით შესაძლებელია პრიორიტეტული და მისაწვდომი არხების დადგენა, რათა ოპერატიულად გავრცელდეს საჭირო ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს კრიზისული სიტუაციის ეფექტიან ნეიტრალიზაციას. კომუნიკაციები ფართო ცნებაა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება ანტიკრიზისული მოქმედებების იდეათა გენერირება, მთავარი საინფორმაციო ცენტრის შექმნა, სამახსოვრო ჩანაწერების უზრუნველყოფა, კრიზისის შემთხვევის ინსტრუქტურირება, მედიასათვის შესაბამისი განცხადებების პროექტების შემუშავება და ექსტრემალური პირობებისათვის ვალიდური მზაობის პრერეკვიზიტულობა.

აქვე საინტერესოა უ. ტიმოთი კუმბისის პოსტულატი[1, გვ. 263], სადაც ის იძლევა ანტიკრიზუსული რეაგირების სტრატეგიის ჩამონათვალს, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ კომპანიებს:

- თავდასხმა ბრალმდებელზე - მხარეს, რომელიც აცხადებს, რომ არსებობს კრიზისი, უპირისპირდებიან, განაქიქებენ მის ლოგოკას და უარყოფენ მის მიერ მოყვანილ ფაქტებს;
- უარყოფა - როცა ორგანიზაცია აცხადებს, რომ კრიზისი არ არსებობს;
- გამართლება - ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად ამცირებს თავის წილ პასუხიმგებლობას შექმნილ კრიზისულ ვითარებაში. ამბობს, რომ ვერ გააკონტროლა მოვლენა, რომელმაც კრიზისი გამოიწვია. ეს სტრატეგია ხშირია ბუნებრივი კატასტროფების დროს და მალფუჭებადი პროდუქტების შემთხვევაში;
- რეაბილიტაცია - კრიზისი მცირდება განცხადების შედეგად, რომელშიც ნათქვამია, რომ სერიოზული ზიანი არავის არ მიადგა;
- დაშოშმინება -ტარდება ღონისძიებები მომხმარებელთა დასაშოშმინებლად;
- გამოსწორება - ამ ეტაპზე იდგმევა ნაბიჯები მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და კრიზისის განმეორებითი პრევენციისათვის;
- ათასი ბოდიში - დაბოლოს, ორგანიზაცია იღებს თავისთავზე პასიხიმგებლობას და ითხოვს პატიებას, რასაც ხშირად ერთვის ფულადი კომპენსაციები ან ფულადი დახმარებები.

ანტიკრიზისული მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი მიზნობრივი აუდიტორისათვის. ანტიკრიზისული ინფორმაციის საზოგადოების ცნობიერებამდე მიტანა მკაფიოდ კონკრეტული და შეასაბამისად, მტკიცე პრეს-რელიზებით იმპროვიზებული უნდა იყოს. ასე მაგალითად, მიზნობრივი აუდიტორიისათვის უნდა შემუშავდეს შემდეგი რელიზების მიწოდების ვალიდურობა:

- მსხვერპლთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა ანტიკრიზისული კომიტეტი და/ან სხვა უწყება;
- მიღებულია საჭირო გადაწყვეტილებები, რომლის აღსრულებასა და გამჭვირვალობაზე მკაცრი მონიტორინგი დაწესდება;
- შემოთავაზებულია გაუმჯობესებული პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები; ამასთან დაკავშირებით ორგანიზებულია სპეციალური საზოგადოებრივი ღონისძიებები;
- გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა გამოხატეს კომპანიის მხარდაჭერა (მათი გვარების მითითებით);
- ასევე, კომპანიის მხარდაჭერა გამოხატეს რიგითმა მოქალაქეებმა და საზოგადოების ფართო ფენის წარმომადგენლებმა;
- არსებობს ანალიტიკური მოსაზრებები, რაც პროცესის ნორმალიზებაზე მიუთითებენ;
- კომპანიის შესაძლებლობათა ანალიზით, მიღებულია კრიზისიდან გამოსვლის რეაგირების შესაბამისი მექანიზმები ;
- კომპანიის მიერ დათვლილია ზარალი და ამოქმედებულია დაზარალებულთა დახმარების პროგრამები.

ასეთ სტრატეგიას და ტაქტიკას შეუძლია შეამციროს ბევრი ე. წ. „მხრჩოლავი“ რეაქცია კომპანიის მიმართ. კრიზისის ხელსაყრელი პრევენციის შედეგად შესაძლებელია კომპანიის შესუსტებული იმიჯის გადარჩენაცა და კომპანიის რეპუტაციის მაქსიმალურად გაძლიერება საზოგადოებრივი მხარდაჭერის შესანარჩუნებლად.

დაბოლოს, "როგორ გადავრჩეთ?" - ეს არ არის უმთავრესი საკითხი, რომელიც უნდა დაისვას კრიზისულ ვითარებაში. „როგორ ვიცხოვროთ და განვვითარდეთ?“ - ჟღერს ბევრად უფრო ოპტიმისტურად. ამგვარი განვითარება წარმატებული რომ იყოს, უნდა ჩატარდეს კომპანიის კრიზისის შემდგომი პერიოდის გზავნილების კორექცია საკუთარი სამიზნე აუდიტორიისათვის. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთმა ადრე არსებულმა გზავნილმა აღარ იმუშაოს და პირიქით, ადრე არააქტუალურმა აქცენტებმა იმუშაოს თვისებრივად სხვა დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უილკოქსი, დ.ლ., კამერონი, გლენ.ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა; სტრატეგია და ტაქტიკა. პირველი გამოცემა; თბილისი, დიოგენე, 2011;
2. კოტლერი, ფ., არმსტრონგი, გ. მარკეტინგის საფუძვლები; მე-14 გამოცემა; თბილისი, სულაკაურის გამომც. 2015;
3. Crisis Communication (practical PR strategies for reputation management and company survival. Edited by Peter Anthonissen, 2008;
4. Crisis, Issues and Reputation Management; A Handbook for PR and Communications Professionals (PR in Practice) Kogan Page, 2014;
5. Regester, M., Larkin, J. Risk Issues and Crisis Management in Public Relations: A casebook of best Practice (PR in Practice) 4th edition; Kogan Page, 2008;
6. Public Relations Issues and Crisis management; Cengage learning Australia, 2005;
7. Eramo, E. Crisis Communication and management: Surviving a Public Relations Crisis, Park University, 2009.

Anti-crisis PR

M. Kobalava

Summary

Article has been done showing the organizational crisis and the communication strategies accessible to organization in crisis and the aspects that influence their efficiency on organizations, societies, etc. Explains how crisis management can prevent or reduce the risks of crisis.

The paper Shows PR Vital role in crisis situations. Public Relations specialists are responsible for maintaining and improving their organizations' relationship by effectively communicating with their target audiences.

The article focuses on Mass media that plays essential role in providing information and making people aware of the situation during crisis situations.

Keywords: *Crisis, The conflict, Conflict Management, "Smoke" situations, Public relations, Press releases.*

გადასახადების ადმინისტრირების ფორმები მეწარმეობაში

ელგუჯა კონჯარია,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
შპს გრიგოლ ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი

საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარებების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესატყვისი საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. გადასახადების ოდენობის,მისი სახეების განსზაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ - ყოფითი პირობების, სამართლიანობისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო დაბეგვრა, საგადასახადო პოლიტიკა, დაბეგვრის ობიექტი, საგადასახადო პერიოდი, გადასახადის გადამხდელი.*

ნებისმიერი ქვეყნის მიზანია ჰქონდეს ისეთი მოქნილი და მიზანდასახული საგადასახადო სისტემა, რომელიც ადვილად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას და დროის კონკრეტულ მომენტში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინება შეეძლება.

როგორც წესი, საგადასახადო სისტემას მრავალმიზნობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ერთი მხრივ, მისი მეშვეობით უნდა განხორციელედეს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილის ფორმირება, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემა სტიმული უნდა იყოს სამეწარმეო აქტივობისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, წარმოების გაფართოება- განვითარებისა და შესაბამისად. ზოგადად რომ ვთქვათ, საგადასახადო სისტემა, ეკონომიკის განვითარება- სტიმულირების ხელშემწყობ მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს.

სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი საგადასახადო- საბიუჯეტო პოლიტიკა ქვეყნის არსებობისა და განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბიუჯეტის ფორმირება დამოკიდებულია სახელმწიფოში მოქმედ საგადასახადო სისტემის თეორიულ- მეთოდოლოგიურ ბაზისზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის განხორციელების საფუძველს.[1.გვ.132]

გადასახადების ადმინისტრირება წარმოუდგენელია საგადასახადო სისტემის არსებობის გარეშე, რომელიც წარმოადგენს გადასახადების გადახდეინების საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის - გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას და საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს.[3.გვ.67]

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსით დეტალურად გაწერილია გადასახადის გადამხდელი სუბიექტები, გადასახადით დაბეგვრის ობიექტები, გადასახადის განაკვეთები, დეკლარირების გადახდის ვადები და სხვა.

საქართველოში გადასახადების ადმინისტრირების პროცესს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - შემოსავლების სამსახური, მის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

შემოსავლების სამსახური სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით ახორციელებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) დაწესებული გადასახადების ადმინისტრირების ერთიან პროცესს. საქართველოში მოქმედი გადასახადების სტრუქტურა შედგება საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებისაგან. (იხ. სქემა)

საქართველოში მოქმედი გადასახადების სტრუქტურა



გადასახადების სახეების მიხედვით მათი გაანგარიშების მეთოდიკა და ადმინისტრირების ფორმები განსხვავებულია. თუ კი საერთო- სახელმწიფოებრივი გადასახადების გადახდა სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ადგილობრივ გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულში. მიუხედავად გადასახადების სახეებისა, წარმოქმნილი საგდასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში იყენებს იძულებით ღონისძიებათა ერთიან სისტემას. საგადსახადო ორგანოების მიერ აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება მიზნად ისახავს პირის მიერ საგადასახადო ვალდებულების სათანადოდ შესრულებას, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი წესების შემთხვევაში არასასურველი შედეგების თავიდან აცილებას ან შემცირებას.

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, დადგენილი გადასახადის გადახდა ბიუჯეტში ხორციელდება მხოლოდ ფულადი ფორმით, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი.რაც შეეხება საგასასახადო ადმინისტრირებით გადასახადის გადამხდელის ფულადი რესურსების სახლემწიფო ბიუჯეტში მობილიზების პროცესს, იგი მოიცავს შემდეგი სამართლებრივი ელემენტების ერთობლიობას:

1. გადასახდის გადამხდელი ეს არის პირი (ფიზიკური, იურიდიული და სხვა წარმონაქმნი), რომელსაც აქვს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება, ამასთანავე იურიდიულად პასუხისმგებელია გადასახადის გადაუხდელობაზე;

2. დაბეგვრის ობიექტი - საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში წარმოადგენს მატერიალურ/ არამატერიალურ სიკეთეს და სამართლებრივ საფუძველს, რომელიც წარმოშობს პირის საგადასახადო ვალდებულებას;

3. გადასახადის განაკვეთი- საქართველოში მოქმედი გადასახადების განაკვეთები დიფერენცირებულია დასაბეგრი ობიექტებიდან გამომდინარე;

4. გადასახადისგან გათავისუფლება გადასახადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკონომიკაზე ზემოქმედებაა. საგადასახადო შეღავათი გულისხმობს სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით ცალკეული კატეგორიის მეწარმისათვის მინიჭებულ უპირატესობას;

5. საგადასახადო პერიოდი- წარმოადგენს დროის მონაკვეთს, რომლითაც განისაზღვრება პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მეშვეობით;

6. დეკლარირების ვადა/ გადასახადის გადახდის ვადა- საგადასახადო კანონმდებლობა, გადასახადის, აგრეთვე გადასახადის მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვადას ადგენს თითოეული გადასახადის მიხედვით;

7. საგადასახადო დეკლარაცია- წარმოადგენს „ დოკუმენტს“ რომლის საფუძველზე გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოში დეკლარირების ვადის გათვალისწინებით ახორციელებს ანგარიშებს მის მიერ გადასახდელ გადახდასთან დაკავშირებით;

8. გადასახადის გადახდა- პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას.

9. საბანკო დაწესებულებები- გადასახადების ადმინისტრირების პროცესში გადამხდელის სახსრების მიმღებისათვის (სახელმწიფო ბიუჯეტი) გადაცემისას მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბანკო დაწესებულებები;

10. სახელმწიფო ბიუჯეტი - საგადასახადო ადმინისტრირებით გადასახადის გადამხდელის ფულადი რესურსების მობილიზების ბოლო ეტაპია, რომელშიც თანხის აკუმელირება ხორციელდება საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდების შესაბამისად.

მიუხედავად გადასახადებს შორის არსებული რიგი განსხვავებისა, აღსანიშნავია საშემოსავლო და მოგების გადასახადებს შორის მსგავსება ბიუჯეტში გადასახდელი თანხის გამოანგარიშებისა და ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებით. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ კანონმდებლობის მიერ ისინი საგადასახადო კოდექსის ერთ კარშია განხილული. საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად გვევლინებიან რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები. მნიშვნელოვანია ნორმა, რომელიც განსაზღვრავს რეზიდენტობის საკითხს. კოდექსის რეგულაციით საქართველოს რეზიდენტად მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში.

მოგების გადასახადი. საწარმოსათვის დასაბეგრი მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი საშემოსავლო და მოგების გადასახადებს შორის არის ის, რომ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია ფიზიკური პირი, ხოლო მოგების გადასახადის გადამხდელად გვევლინება საწარმო. საქართველოში არსებული მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

იმპორტის გადასახადი (საბაჟო გადასახადი) მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადს და ამასთანავე წარმოადგენს გადასახადის ერთ-ერთ უძველეს სახეს. საქართველოში დღეს არსებული რეგულაციით, იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს (გარდა ექსპორტისა), გადასახადის დაბეგვრის ობიექტად განიხილება ამ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც განისაზღვრება, როგორც საქართველოს საბაჟო საზღვრამდე გაწეული ყველა ხარჯი.

დასაბეგრი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოში მოქმედებს იმპორტის გადასახადის 12%- იანი და 5%-იანი განაკვეთები. რც შეეხება 3 % -იან განაკვეთს, ის გამოიყენება დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის მიმართ და იანგარიშება იმპორტის გადასახადის იმ მოცულობიდან, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტის მოქცევისას.

აქციზი დაბეგვრის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა და ყოველი კონკრეტული საქონლისათვის ინდივიდუალურია. იგი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის წყარო, ფართოდ გამოიყენებოდა

და გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. დღეისათვის აქციზის გადასახადი პრაქტიკულად გამოიყენება საქონლის და მომსახურეების განსაზღვრულ სახეობათა მიმართ და ასრულებს ორ ფუნქციას: 1.წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლის წყაროს და 2. აქციზური საქონლის მოხმარების შეზღუდვისა და საქონლის მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობის რეგულირების საშუალებაა.

აქციზის გადასახადი საქართველოს საგადასახადო შემოსავლების ფორმირებაში მერყეობს 10-12%-ის ფარგლებში. ამ გადასახადით შეიძლება დაიბეგროს ნებისმიერი საქონელი, თუმცა პრაქტიკაში გამოიკვეთა შედარებით ვიწრო ჩამონათვალი იმ საქონლებისა, რომლებიც ძირითადად ექვემდებარება ამ გადასახადით დაბეგვრას. აქციზით დასაბეგრ ობიექტს ძირითადად წარმოადგენენ:

- ფუფუნების საგნები;

- საქონელი, რომლის წარმოება და მიწოდება სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია;

- საქონელი, რომელთა მოხმარება უარყოფით შედეგებს იწვევს საზოგადოებაში, მავნებელია ჯანმრთელობისათვის.

საგადასახადო განაკვეთები ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია აქციზურ გადასახადებში. განაკვეთის დაწესებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის ფაქტორი, რომელიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მასზე.

დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) თანამედროვე გადასახადების სისტემებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი არის საქონლის მომსახურების წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე შექმნილი დღგ-ის ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმა და წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომლის ძირითადი ფუნქცია ფისკალურია. საქართველოში დღგ, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი გადასახადი, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი წყაროა და ბოლო 6 წლის განმავლობაში მერყეობს საგადასახადო შემოსავლების 45-48% -ს შორის.[2.გვ.7] საქართველოში დღგ შემოღებულია 1993 წლის 4 დეკემბრის „ დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის შესახებ კანონით. მან შეცვალა ბრუნვის გადასახადი, რომელიც იანგარიშებოდა /საქონლის / მომსახურების ღირებულების საფუძველზე და დამოკიდებული იყო წარმოებისა და რეალიზაციის სტადიების რაოდენობაზე. დღგ-ს მიზნებისათვის საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს იმ გადამხდელებს, ვისაც ეკისრება აღნიშნული გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია თუ: ის ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100000 ლარს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა:

ის შეიქმნა რეორგანიზაციის შედეგად და რომლის ერთ-ერთი მხარე არის დღგ-ს გადამხდელი. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის გადამხდელი ვალდებულია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

ქონების, ანუ ადგილობრივი გადასახადი წარმოადგენს საქართველოში საგადასახადო შემოსავლების ერთიერთ წყაროს, რა დროსაც საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადის შემოღების უფლებამოსილება დელეგირებული აქვს ადგილობრივ თვითმმართველობებს.

ქონების გადასახადის დაწესებას და შემოღებას პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია და იგი საქართველოში წარმოადგენს ერთადერთ გადასახადს, რომელიც მიმართულია ხელისუფლების დეცენტრალიზაციისაკენ. ამასთანავე, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ბოლო წლებში შეინიშნება ქონების გადასახადის მოცულობის მკვეთრი შემცირება რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც იგი მნიშვნელოვნად გამოხატავს ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების ღირებულების შემცირების შედეგს.

საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 %-ის ოდენობით, რა დროსაც დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება. როგორც ვხედავთ, საქართველოში გადასახადების ადმინისტრირების ფორმები და საგადასახადო სისტემის სტრუქტურა წარმოადგენს საკმაოდ მრავალფეროვან ურთიერთობათა ჯაჭვს. იგი ეფუძნება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველი დაწესებულებების, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთობას. თითოეული მათგანის ეფექტიანი მუშაობა პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მზარდი ბიუჯეტის არსებობასთან. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის

განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნეს ამ პროცესში ჩართული თითოეული მონაწილის როლი და მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესხია ი. ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო კვლევითი „ინსტიტუტი“, 2000. გვ. 132-133.
2. ტერაშვილი ნ. დამატებული ღირებულების გადასახადი. თბილისი „ დარბეგი“, 2013 გვ. 7-8
3. ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე მ. საგადასახდო საქმე. თბილისი „ ვერჟე“, 2007, 67გვ;

Tax Administration Forms in Enterprising

E. Conjaria

Summary

Items related with tax administration need perfection constantly and simultaneously with social economical and political changes. Accordingly this item’s searching must conduct uninterruptedly . psychological aspect and society’s consciousness roles are very important in business tax administration . and sll these make attractive interesting and necessary studying and a new way of understanding of business tax administration.

Key Words: *Tax, tax policy, the object of taxation, tax period, the taxpayer.*

საქართველოში ტურიზმის ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების შესწავლის საკითხისთვის

ეკა ლეკაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ტურიზმის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ვეკო დოდაშვილი,
საერთაშორისო სამართლის მაგისტრი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში სისტემატიზირებულია და გაანალიზებულია ტურისტული ბიზნესის რეგულირებისათვის საქართველოში არსებული სამართლებრივი ბაზის, ძირითადი კანონებისა და ნორმატიული დოკუმენტები, შეფასებულია საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სამართლებრივი გარემო და გამოვლენილია პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან დარგის განვითარების მასტიმულირებელი, ხელშემწყობი სამართლებრივი გარემოს ფორმირებას.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმის ბიზნესი, სამართლებრივი რეგულირება, ტურისტული საწარმო.*

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა საქართველოში, რაზეც მრავალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი მეტყველებს. საქართველოს ტურიზმის სფეროში მრავალმხრივი თანამშრომლობის ორგანიზაციებში მონაწილეობის გარდა, გაფორმებული აქვს ორმხრივი საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ხელშეკრულებები, რომლებიც ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას განამტკიცებს. დღეისათვის საქართველოს ტურიზმის სფეროში თანამშრომლობაზე ორმხრივი ხელშეკრულება მოწერილი აქვს 18 ქვეყანასთან.

საქართველოს კანონით - „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ [1] ტურიზმი განიმარტება, როგორც „ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების ან/და სხვა მიზნით“, ხოლო ტურისტული საქმიანობა ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით წარმოადგენს სუბიექტის მიერ ტურისტთა განთავსების, კვების, ტურ-ოპერატორული, ტრანსპორტირების, საექსკურსიო, გამაჯანსაღებელი, რეაბილიტაციის, სარეკლამო-საინფორმაციო, კულტურული, სპორტული, საყოფაცხოვრებო, გასართობი და ა.შ. მიზნით გაწეულ მომსახურებას, რომელიც მიმართულია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება ტურისტული საქმიანობის რეგულირების თავისებურებებს, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს სამოქალქო კოდექსით [2] განსაზღვრული ტურისტული მომსახურების ასპექტები. კერძოდ, ტურისტული მომსახურების მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა რეგულირდება დოკუმენტით, რომელსაც მოგზაური (ტურისტი) აფორმებს მოგზაურობის მომწყობთან (ტურისტულ საწარმოსთან), ანუ „ტურიზმის ხელშეკრულებით“. ტურისტული საწარმო მოვალეა გაუწიოს ტურისტს შეთანხმებული მომსახურება, ხოლო ტურისტი მოვალეა მოგზაურობის მომწყობს გადაუხადოს შეპირებული ანაზღაურება გაწეული მომსახურებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მითითება არ არის იმ საკითხზე, თუ რა ფორმით უნდა დაიდოს ხელშეკრულება. დამკვიდრებული პრაქტიკით, ტურიზმის ხელშეკრულება წერილობითი ფორმის უნდა იყოს, რათა დავის წარმოშობის შემთხვევაში, ზედმეტი სირთულეები თავიდან იქნეს არიდებული.

მნიშვნელოვანია, რომ ტურისტული მომსახურების პაკეტი, რომელიც ტურისტული მომსახურების ორ ან ორზე მეტ კომპონენტს მოიცავს (კვება, ღამისთევა, სატრანსპორტო მომსახურება და სხვა) არ უნდა შეიცავდეს ყალბ, არასათანადო და შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ამასთან, ტურისტს აღნიშნულ პაკეტთან დაკავშირებით, ხელშეკრულების დადებამდე, წერილობით ან ტურისტისთვის მისაღები სხვა ფორმით, უნდა მიეწოდოს დაწვრილებითი ინფორმაცია პაკეტის ღირებულების, მისი გადახდის მეთოდებისა და განრიგის შესახებ, დანიშნულების ადგილისა და მიზნების, გამოსაყენებელი სტრანსპორტო საშუალებებისა და მათი დახასიათების შესახებ, განთავსების ტიპის, მდებარეობის, კატეგორიის, მომსახურების ხარისხის, მისი კლასიფიკაციისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების შესახებ, ისევე როგორც კვების, პასპორტთან და ვიზასთან, ექსკურსიების საკითხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვა-

ნია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოგზაურობის მომწყობისათვის სავალდებულო ხასიათისაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 თავით განმარტებულია ხელშეკრულების თავდაპირველი ფასის შეცვლისა და კალკულაციის წესები და მოგზაურობის მომწყობის ვალდებულებები. მაგალითად, გამგზავრების დღემდე, ოცი დღის განმავლობაში, პაკეტის ღირებულება გაზრდას არ ექვემდებარება, თუმცა, თუ მოგზაურობის მომწყობი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იძულებულია გამგზავრებამდე მნიშვნელოვნად შეცვალოს ხელშეკრულების არსებითი პირობები, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ტურისტს, რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტისა ან შეცვლილი პირობებით მისი მიღების თაობაზე. ამავე თავის მიხედვით, მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტს შეუძლია მოითხოვოს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობა, თუმცა თუ მესამე პირი არ აკმაყოფილებს მოგზაურობისათვის აუცილებელ პირობებს, აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა უარყოფილ იქნეს. აქვე მოცემულია მოგზაურობის ხარვეზებთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა, ან ღირებულების შემცირება, ისევე როგორც ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ ხარვეზები არ იქნება აღმოფხვრილი მოგზაურობის მომწყობის მიერ ტურისტის მიერ დადგენილ ვადაში.

ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს და იგი იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო. რაც შეეხება უარს ხელშეკრულებაზე მოგზაურობის დაწყებამდე, ტურისტის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოგზაურობის მომწყობი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების უფლებას.

შემდეგი საკითხი, რომელიც განსახილველად მნიშვნელოვანია ტურისტულ ბიზნესში ტურისტული საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას ეხება, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით რეგულირდება. ტურისტული საწარმო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის [3] 26^1-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდებას (გამოსყიდვის უფლებით ან უიმისოდ) და ამ ქონების შემძენთან გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების (მათ შორის, იჯარის, სარგებლობის უფლების, საკუთრების მინდობის, საშუამავლო ან/და სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პირობით) საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენებას. პირს ტურისტული საწარმოს სტატუსს ანიჭებს შემოსავლების სამსახური, ხოლო სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესი დადგენილია საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით[4]. ამ დადგენილების მიხედვით, სტატუსის მინიჭება ხორციელდება საგადასახადო ორგანოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო სტატუსის გაუქმება ხდება შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, ტურისტული საწარმოს მხრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26^1-ე მუხლით და აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ან ტურისტული საწარმოს ინიციატივით, განცხადების საგადასახადო ორგანოში წარდგენის საფუძველზე.

თუ საწარმო ოპერირებს ტურიზმის სფეროში საქართველოში, ის გადაიხდის მოგების გადასახადს; დაქირავებულ პირთა მიმართ წარმოეშობა საგადასახადო აგენტის ვალდებულება და გადახდილი ხელფასები უნდა დაუკავოს წყაროსთან და გადაიხადოს ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი; ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით (საგ. კოდექს. 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი); ქონების გადასახადს (ადგილობრივი გადასახადი) კომპანია გადაიხდის თუ გააჩნია ძირითადი საშუალებები. ასევე, თუ ფლობს მიწის ნაკვეთს - კურორტების გამოყენებაზე გადასახადი, საკურორტო გადასახადი, სასტუმრო გადასახადის გადახდა არ უწევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპანია ლიცენზიის აღებას არ საჭიროებს ტურისტული მომსახურების გასაწევად.

მნიშვნელოვანია საგადასახადო შეღავათების საკითხიც, რომელიც არამხოლოდ ტუროპერატორებს, არამედ ტურისტულ საწარმოებსა და მაღალმთიან რეგიონებს ეხებათ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „შ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება ტურისტული საწარმოს მიერ სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული სარგებელი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჩ“ ქვეპუნქტის, 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჯ“ ქვეპუნქტისა და 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ყ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს ნომრის მესაკუთრესთვის კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს 60 (სამოცი) დღის ვადით მომსახურების უსასყიდლოდ გაწევისთვის:

- მოგების გადასახადისგან თავისუფლდება ამ პერიოდის მანძილზე სასტუმროში ცხოვრების შედეგად სასტუმროს ნომრის მესაკუთრის მიერ მიღებული სარგებელი და ტურისტული საწარმოს მიერ უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი;
- საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება სასტუმრო ნომრის მესაკუთრის მიერ ამ პერიოდში სასტუმროში ცხოვრების შედეგად მიღებული სარგებელი;
- დღგ-სგან თავისუფლდება ტურისტული საწარმო, რომელიც მოცემულ პერიოდში სასტუმროს ნომრის მესაკუთრეს უსასყიდლოდ აწვდის მომსახურებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 133[11] მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შესაბამისად, ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ანაზღაურება იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 %-ანი განაკვეთით. ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც დაიბეგრება გადახდის წყაროსთან, არ ჩაითვლება მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ არ დაიბეგრება.

როგორც აღვნიშნეთ, 2016 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო შეღავათები შეეხო მაღალმთიან რეგიონებსაც, რომლის მიხედვითაც:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ[3]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა;
- საქართველოს საგასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადის დაბეგვრისგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით, შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მოგება;
- საქართველო საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ და „ჰ[6]“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი; ასევე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში [4.29].

მნიშვნელოვანი შეღავათებით სარგებლობენ ინვესტორები, რომლებიც ტურიზმის ბიზნესში ახდენენ თანხების ინვესტირებას. კერძო საკუთრების ხელმისაწვდომობა პრივატიზაციის საშუალებით, პრივატიზებული ქონების შესყიდვა პირდაპირი შესყიდვების საშუალებით, მნიშვნელოვანი ფასდაკლებები პრივატიზებულ ქონებაზე და ხელსაყრელი პირობები თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში პრივატიზებისთვის - ეს ის შეღავათებია, რომლებიც სასტუმროში ინვესტირების შემთხვევაში ენიჭება ინვესტორს. მათი სარგებლობით უფლება ინვესტორს შეუძლია შესაბამისი პროექტის ეკონომიკური საბჭოს წინაშე წარდგენისა და მის მიერ შეფასების შემდეგ.

აღნიშნულის გარდა, სასტუმროს ბიზნესის წასახალისებლად შეიქმნა თავისუფალი ტურისტული ზონები ქობულეთში, ანაკლიასა და განმუხურში. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“[6], რომლის მიზანი საქართველოში ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობაა, რისთვისაც ზემოაღნიშნული კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე, საგადასახადო და სხვა შეღავათებს. ამ კანონით განმარტებულია ინვესტორის უფლება-მოვალეობები და მისი საშეღავათო პირობები, სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, ისევე როგორც ინვესტორისათვის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის წესი და პასუხისმგებლობები.

ამასთან, ინვესტორები, რომლებიც განახორციელებენ სასტუმროს მშენებლობაში ერთ მილიონ ლარზე მეტ ინვესტიციას, მიიღებენ მთელ რიგ შეღავათებს.

MNISVNELOVANIA, ROM MIMDINARE სამთავრობო პროგრამას - ,,აწარმოე საქართველოში“, ახალი კომპონენტი - სასტუმროების მშენებლობისა და გაფართოების მხარდაჭერა დაემატება, რომლის თანახმად, მეწარმე, რომელსაც სურს რეგიონში ახალი სასტუმროს აშენება ან უკვე არსებულის გაფართოება, ბანკში სესხის დამტკიცების შემთხვევაში, ისარგებლებს სახელმწიფო თანადაფინანსების სქემითა და გირაოს უზრუნველყოფაში თანამონაწილეობით. პროგრამა 2016 წლის აგვისტოდან ამოქმედდება. პროგრამაში მონაწილეობა შეეძლება ნებისმიერ მეწარმეს, რომელიც, გარდა თბილისის და ბათუმისა, საქართველოს რეგიონებში ააშენებს ახალ სასტუმროს ან გააფართოებს არსებულს. ასევე, თუ მეწარმე გადაწყვეტს, რომ საერთაშორისო ოპერატორი შემოიყვანოს საქართველოში, სახელმწიფო მზად არის პირველი ორი წელი ბრენდის ოპერირების ხარჯის თანამონაწილეობაში შევიდეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტურიზმის სტრატეგიაში 2015-2025 [6] განსაზღვრულია ტურიზმის დარგის განვითარებისთვის სამართლებრივი ნორმების დახვეწა ბიზნესს და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე, საერთაშორისო ტურიზმის ბაზართან ეფექტიანი ინტეგრირების მიზნით. კერძოდ, განსაზღვრულია სამართლებრივი ნორმების დანერგვის ხელშეწყობა შეღავათების დაწესების თვალსაზრისით და ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწებზე სახელმწიფოსა და კერძო კომპანიებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარების მიზნით; დაგეგმილია ტურიზმის სექტორთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის განახლება; საინვესტიციო ბარიერების აღმოსაფხვრელად მუშაობის გაგრძელება და ტურიზმის სფეროში ინვესტორების ნდობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; სატრანსპორტო სექტორის, ახალი განთავსების საშუალებების, საკონვენციო ცენტრების, საკონცერტო დარბაზებისა და სხვა საზოგადოებრივი შენობების ასაშენებლად შეღავათების შემოღება; ვიზასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემცირება [7. 22] და სხვა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოხდეს ეროვნული საკანონმდებლო ბაზის გაანალიზება და შევსება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში კანონების ეფექტიანი ჰარმონიზაციის მიზნით. ასოცირების შეთანხმების 328-331-ე მუხლები ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას ეხება [8]. კერძოდ, ,,მხარეები ითანამშრომლებენ ტურიზმის სფეროში კონკურენტული და მდგრადი ტურიზმის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და გაძლიერების, დასაქმებისა და საერთაშორისო გაცვლების ხელშემწყობი ინდუსტრიის განვითარების მიზნით“ [8.444].

ამრიგად, ტურიზმის ბიზნესის რეგულირებისთვის განკუთვნილი სამართლებრივი ბაზის შესწავლა ცხადყოფს, რომ რიგი საკითხი რჩება სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს მიღმა. კერძოდ, ტურისტული ობიექტების სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და ლიცენზირების რეგულაციები, რაცარ არის შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან; ტურიზმის სფეროში ინვესტორების ნდობის ამაღლების უზრუნველსაყოფად საჭიროა სამართლებრივი ბარიერების შემცირება და საკუთრების უფლების დაცვის უკეთესი უზრუნველყოფა. ამასთან, მნიშვნელოვანია მოხდეს ეროვნული საკანონმდებლო ბაზის გაანალიზება და შევსება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში კანონების ეფექტიანი ჰარმონიზაციის მიზნით, ისევე როგორც სამართლებრივ საკითხებზე ტრენინგებისა და კონსულტაციების გაწევა სამართლებრივი განათლების დონის ამაღლების და მისი პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1997 წლის 6 მარტის საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“;
2. 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ ;
3. 2010 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“;
4. 2015 წლის 23 ივნისის N279 საქართველოს მთავრობის დადგენილება “პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ”;
5. სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად. პირველი გამოცემა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015;
6. 2010 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“;
7. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2015-2025, პირველი გამოცემა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015;
8. ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალის სავაჭრო სივრცის შესახებ

For Studying the Issues of Legal Regulation Tourism Business in Georgia

E. Lekashvili
V. Dodashvili

Summary

The paper deals with local and international legal documents regulating the tourism business in Georgia. The study of the legal basises of tourism business regulation in Georgia shows that a number of issues remain beyond the legal framework for regulation. In particular, the regulations of standardization, certification and licensing of tourism agents, which are not in conformity with international standards; The tourism industry in order to ensure investors' confidence needs reducing of legal barriers and ensuring better protection of property rights. In addition, it is important to analyze the national legislation and to fill it with the EU Association Agreement and effective harmonization of the laws, as well as training and consulting on legal issues for riseng the quality of legal education and the its effective use in practice.

Key words: *business tourism, legal regulation, the tourist enterprise.*

ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა წარმატების მიღწევაში

თეონა მაისურაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

დღევანდელ კონკურენტულ-მუდმივი და სწრაფი ცვლილებების გარემოში, ადამიანებისათვის საკმაოდ რთულია კარგი სამსახურის პოვნა, მისი შენარჩუნება, პიროვნული, კარიერული ზრდა და სრული თვითრეალიზაცია. მაინც რა თვისებები უნდა ჰქონდეს დასაქმებულს, რათა მიაღწიოს ამ ყოველივეს? მეორე მხრივ, ადამიანური რესურსების და შერჩევის მენეჯერების მხრიდან, მაღალია კადრების დენადობა და რთულია შესაბამისი კანდიდატის პოვნა. აქტუალურია კითხვა, თუ რის მიხედვით უნდა მოახდინოს ადამიანური რესურების მენეჯერმა კადრების შერჩევა. საინტერესოა რა არის ძირითადი კრიტერიუმი, რაც განსაზღვრავს დასაქმებულის მუშაობის ხარისხს, გუნდურობას, მოქნილობას და სხვა იმ თვისებებს, რის გამოც მისი დასაქმება ორგანიზაციისათვის ნაყოფიერი იქნება. გაამართლებს კანდიდატი მენეჯმენტის მოლოდინს? შეინარჩუნებს იმ თვისებებს რაც გასაუბრებისას აღმოაჩნდა? სტატია განხილვითი ხასიათისაა, რომელშიც ვეცდებით სხვადასხვა კვლევებზე და მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით პასუხი გავცე ამ კითხვებს.

საკვანძო სიტყვები: *ემოციური ინტელექტი, წარმატება, ორგანიზაციული წარმატება, პოტენციალის შეფასება.*

დღეს, სწრაფად მზარდ, კონკურენტულ გარემოში, ორგანიზაციები აცნობიერებენ, რომ მათი გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია დასაქმებულებზე. მაშინ, როდესაც ტექნოლოგიები ვითარდება, ადამიან-კაპიტალი უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ადამიანური რესურების მენეჯმენტი ტალანტების მენეჯმენტმა შეცვალა. ადამიანური რესურების მართვის მენეჯერები კი ახალი გამოწვევის წინაშე დადგნენ – მოიზიდონ, დაასაქმონ, შეინარჩუნონ ,,ტალანტები'' და გამოიყენონ ისინი ორგანიზაციის წარმატებისთვის. შესაბამისად, დასაქმებული, მისი სურვილები, კეთილდღეობა და მენტალური მდგომარეობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. და მაინც, როგორ უნდა განვჭვრიტოთ პოტენციური დასაქმებულის და შესაბამისად ორგანიზაციის მომავალი წარმატება?

ბოლო წლებში, კადრების შერჩევისას IQ ტესტებზე მეტი მნიშვნელობა ემოციური ინტელექტის შეფასებას მიენიჭა. ამ უკანასკნელის მნიშვნელობას, მრავალი კვლევა და სტატია მიეძღვნა. ადამიანებს მაღალი ემოციური ინტელექტით აქვთ უნარი მოისმინონ, იურთიერთონ, გავლენა მოახდინონ და მიიღონ ცვლილებები იმ ადამიანებზე უკეთ, ვისაც დაბალი ემოციური ინტელექტი აქვთ.მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე მენეჯერებს ნაკლები ალბათობაა შეექმნათ ურთიერთობისპრობლემებიუფროსებთან, დაქვემდებარებულებთან და კლიენტებთან [10].

ემოციური ინტელექტის ტერმინის დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფსიქოლოგ დანიელ გოლმანს.ემოციური ინტელექტი განისაზღვრება, როგორც უნარი, თუ რამდენად აკურატულად აღიქვამს, აფასებს, გამოხატავს და მართავს ემოციებს და გრძნობებს ადამიანი.ემოციების გაზომვა რთულია. მიუხედავად ამისა, გოლმენი და თანამოაზრეები მიანიშნებენ, რომ არსებობს ეი–ს 5 კომპონენტი: თვით–რეგულაცია, მოტივაცია, ემპათია, თვითშეგნება და სოციალური უნარები [5, გვ. 11].

თვითშეგნება – უნარი გაიგო შენი ხასიათი და ემოციები;

თვითრეგულაცია – უნარი იფიქრო მოქმედებამდე და გააკონტროლო ცუდი იმპულსები;

მოტივაცია – უნარი იმუშაო ბეჯითად;

ემპათია – უნარი, გაიგო სხვების ემოციები;

სოციალური უნარები – დაამყარო კავშირი სხვებთან და შეინარჩუნო კარგი ურთიერთობა [11, გვ. 17].

დანიელ გოლმანი, თავის ბლოგში, მსჯელობს ემოციური ინტელექტის ტერმინის მნიშვნელობაზე ბიზნესსამყაროში. The Harvard Business Review ემოციურ ინტელექტს მოიხსენიებს, როგორც ,,მიწის შემძვრელ, პარადიგმებთან მებრძოლ'', ბიზნესზე ერთ–ერთი ყველაზე დიდი გავლენის მქონე იდეას.

გლობალურიკონტექსტით ემოციური ინტელექტის მნიშვნლობა საკმაოდ დიდია. როგორც ალამ ტაბატაბეის უნივერსიტეტის მკვლევარი წერს, ის აუცილებლობას წარმოადგენს თანამშრომლებისათვის გლობალიზაციის მისაღებად. მან კვლევა ჩაატარა და გამოკითხა ევროპაში, სერვისის სფეროში დასაქმებული 55 გლობალური მენეჯერი. შედეგად გამოვლინდა, რომ ემოციური ინტელექტი აუცილებელია თანამშრომელთა წარმატებისთვის გლობალურიკონტექსტით. შესაბამისად, გლობალურმა მენეჯერებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ემოციური ინტელექტის დონე და გააუმჯობესონ ის თავი-

ანთ თანამშრომლებში. ის არ არის IQ–ს მსგავსად ფიქსირებული და ტრენინგების შედეგად გაუმჯობესებას ექვემდებარება [3, გვ. 4].

დასაქმების კომპანია გლასდორის ვიცე–პრეზიდენტი მარია დელონი მსჯელობს ემოციური ინტელექტის მნიშვნელობაზე, როგორც წარმატების აუცილებელ პირობაზე. ის აფიქსირებს, რომ 2100 დამსაქმებელი კლიენტი ჰყავს და სამუშაოს მაძიებელთა 1800 კონტაქტი აქვს გლასდორს. მისი აზრით, ამას განაპირობებს ორივე მხარის მიერ იმის გაცნობიერება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გახსნილობას, გამჭვირვალობას და ზოგადად, ემოციურ ინტელექტს [4].

ემოციური ინტელექტის კვლევაში დიდ როლს ასრულებს რატგერსის უნივერსიტეში არსებული-კონსორციუმი. ის კონკრეტულად იკვლევს ემოციურ ინტელექტს ორგანიზაციებში და კატალიზატორის როლს ასრულებს სამეცნიერო სფეროში, ვინაიდან თანამშრომლობს ფედერალური მთავრობის პერსონალის მენეჯმენტის ოფისიდან დაწყებული აშშ-ის ექსპრესთან [6].

ჯონსონმა და ჯონსონმა განაცხადა, რომ მის ყველა განყოფილებაში იმ თანამშრომლებს, რომელთაც ლიდერობის დიდი პოტენციალი აქვთ, უფრო მაღალი ემოციური ინტელექტით ხასიათდებიან სხვა თანამშრომლებთან შედარებით[6].

ფსიქოლოგმა კაროლ დეკმამთელი კარიერა სამუშაოს შესრულებისდა მისი ემოციურ ინტელექტთან დამოკიდებულების სწავლას მიუძღვნა. მისი ბოლო კვლევა აჩვენებს, რომ დამოკიდებულება, IQ – ზე უკეთესი წინასწარმეტყველია თქვენი მომავალი წამარტებისა [1]. მისი აზრით, არსებობენ ორგვარი ტიპის ადამიანები: ფიქსირებული აზროვნებით და მზარდი აზროვნებით. ფიქსირებული აზროვნების ადამიანები ყველაფერს იღებენ, როგორც მოცემულობას და მცირე შეუსაბამობებიც კი დეპრესიისკენ უბიძგებთ. ხოლო მზარდი ტიპის აზროვნების ადამიანები, ყველა ცვლილებას იღებენ, როგორც გამოწვევას, რის შედეგადაც იზრდებიან და ვითარდებიან. ისინი აღწევენ პირველ კატეგორიაზე უკეთეს შედეგებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათზე დაბალი IQ ჰქონდათ.

დასაქმების ბრიტანული კომპანია ჰანტი (ტომ ვიში)მსჯელობს ემოციური ინტელექტის მნიშვნელობაზე 2016 წლის სტატიაში და მაგალითად მოყჰავს შემდეგი კვლევები [12]: 2013 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, გაყიდვების აგენტებმა მაღალი ემოციური ინტელექტით მიაღწიეს 50%–ით მეტ შედეგებს; ცარენგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის 2012 წლის კვლევის მიხედვით,ფინანსური წარმატების 85% დამოკიდებულია უფრო მეტად ემოციურ უნარებზე, ვიდრე ტექნიკურზე; ამერიკის კომპანიების 1999 წლის კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე თანამშრომლებით დაკომპლექტებულ კომპანიებს 63%–ით დაბალი დენადობა ჰქონდათ.

დასაქმების ამერიკულმა კომპანია კარიერბილდერმა 2011 წელს გამოაქვეყნა 2600 რეკრუტინგის მენეჯერის ონლაინ კვლევის შედეგები, რომელთაგან 71% აცხადებდა, რომ ემოციური ინტელექტს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე IQ–ს.უფრო მეტიც, ემოციური ინტელექტი სამუშაოს მიღების და წარმატებული კარიერის მისაღწევად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. გამოკითხულ მენეჯერთა 59%–მა განაცხადა, რომ არ მიიღებს სამსახურში ადამიანს, რომელსაც მაღალი IQ და დაბალი ემოციური ინტელექტი აქვს. რაც შეეხება დაწინაურებას, ასეთ დასაქმებულთა 75%-ს მაღალი ემოციური ინტელექტის თანამშრომლები შეადგენდნენ [2].

ემოციური ინტელექტი დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და რამდენიმე კვლევის თანახმად, მასთან დადებით კორელაციაშია. კერძოდ, იაომ 2009 წელს ჩაატარა კვლევა განყოფილების მენეჯერებს და მათ დასაქმებულებზე ჩანგშაში, ჟუჟუში და შენჟენში, ანუ ჩინეთის მთავარ ნაწილში. შედეგებმა აჩვენა, რომ დასაქმებულების ემოციური ინტელექტი დადებით კორელაციაშია სამუშაოს შესრულებასთან, დავალების შესრულებასთან და შინაარსობრივ შესრულებასთან [8, გვ. 92].

ჯამშიდიტის მიერ კომპანია ბანდარ აბას 400 თანამშრომლის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ემოციური ინტელექტი დადებით დამოკიდებულებაშია სამუშაოს შესრულებასთან. ეს იმას ნიშნავს რომ ემოციური ინტელექტის გაზრდით უმჯობესდება შესრულების ხარისხი [8, გვ. 93].

როგორც ზემოთ ვნახეთ, დღეს, როდესაც ვმუშაობთ ბრტყელ სტრუქტურებში, გვიწევს სწრაფად მივიღოთ ცვლილებები, სწრაფად დავამყაროთ ურთიერთობები გუნდის წევრებთან, მომხმარებლებთან, მენეჯმენტთან, სხვა თანამშრომლებთან. გარემო უფრო მეტად ცვალებადია, მეტი სტრესის ქვეშ გვიწევს მუშაობა. ამ პირობებში ემოციური ინტელექტი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება დასაქმებულებისა და მენეჯერებისათვის.

ემოციური ინტელექტის მეცნიერული გაგება საჭიროა, (1) განსაკუთრებული მიზნის მისაღწევად, (2) ნორმისაგან გადახრების აღსაქმელად, (3) ჯგუფური განსხვავებების შესაფასებლად, (4) პროცესების შინაარსისღრმად გასაშიფრად და (5) ყველა იმ მითის ამოსაცნობად, რაც დაკავშირებულია ამ ტერმინის პოპულარიზაციასთან[13, გვ. 33].

ლორი ჯ. და მულინსიგთავაზობენ რჩევებს, თუ როგორ განვივითაროთ ემოციური ინტელექტი:

- იცოდე რას გრძნობ;
- იცოდე რატომ გრძნობ;
- გააცნობიერო ემოცია და იცოდე როგორ მართო ის;
- იცოდე, როგორ მოახდინო საკუთარი თავის მოტივაცია და სხვებს თავი უკეთ აგრძნობინო;
- ამოიცნო სხვა ადამიანების ემოცია და გქონდეს ემპათიის უნარი;
- გამოხატო გრძნობები შესაბამისად და მართო ურთიერთობები [9, გვ. 145].

კარიერბილდერის 2011 წლის კვლევის თანახმად, ემოციური ინტელექტი IQ-ზე მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები მაღალი ემოციური ინტელექტით: მეტად მშვიდნი არიან სტრესულ სიტუაციებში, უკეთ ახერხებენ კონფლიქტის გადაჭრას, მიჰყვებიან კარგ მაგალითებს და იღებენ ჭკვიანურ ბიზნესგადაწყვეტილებებს. ადამიანური რესურსების და რეკრუტინგის მენეჯერები დასაქმებულთა ემოციურ ინტელექტს აფასებენ სხვადასხვაგვარ ქცევასა და ხარისხზე დაყრდნობით. კვლევის დროს გამოვლინდა შემდეგი ტოპ პასუხები: ისინი იღებენ და სწავლობენ თავიანთი შეცდომებისგან, აკონტროლებენ ემოციებს და ახდენენ რთული საკითხების გააზრებულ გახილვას, უსმენენ უფრო მეტს, ვიდრე საუბრობენ, იღებენ კრიტიკას და წნეხის დროსაც კი ავლენენ მდგრადობას [2].

ფინდლეის უნივერსიტეტის მკვლევარებმა (2014) შეისწავლეს ემოციური ინტელექტის კომპონენტები და აღმოაჩინეს, რომ რაც მათ საერთო აქვთ ეს არის კომუნიკაციის უნარი, რომელიც ლიდერის ეფექტიანობას განსაზღვრავს. ემოციური ინტელექტი ეხმარება ადამიანებს კომუნიკაციაში და გლობალური კომუნიკაციის უნარების უკეთეს გაგებაში [7, გვ. 82]. ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თუ ადამიანს არ ესმის მეორე ადამიანის ენა, მეტყველება, კულტურა, სხეულის ენა და ა.შ. ისინი მაინც შეძლებენ ურთიერთობას ემოციური ინტელექტის მეშვეობით [7, გვ. 87].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ემოციური ინტელექტის გაგება, გათავისება, გაუმჯობესება წარმატებით დასაქმების, განვითარებისა და ზოგადად, უკეთესი ცხოვრების ხელშემწყობი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bradberry T., Why Attitude Is More Important Than IQ, 2016 http://www.forbes.com/sites/travisbradberry/2016/01/19/why-attitude-is-more-important-than-iq/#1175b1d02f57
2. Careerbulider Survey, Seventy-One Percent of Employers Say They Value Emotional Intelligence over IQ, According to CareerBuilder Survey, Press Room, 2011 http://www.careerbuilder.com/share/aboutus/pressreleasesdetail.aspx?id=pr652&sd=8/18/2011&ed=08/18/2011
3. Dadehbeigi M., Staff Emotional Intelligence: A Necessity to Welcome Globalization (A Field Research in Global Service Providing Companies in Europe), AllamehTabatabaei University, 2007 http://www.ufhrd.co.uk/wordpress/wp-content/uploads/2008/05/dade-66-wp.pdf
4. Deleon M., The Importance of Emotional Intelligence at Work, 2015 https://www.entrepreneur.com/article/245755
5. Gibson L.J.,Ivansevich J.M.,Donelly J.H., Donnelly J.H., Knopaske R.,Organizations Behavior, Structure, Porcesses,4th edition, McGraw-Hill,NY,2012 – pg. 618.
6. Goleman D.,EmotionalInteligence, http://www.danielgoleman.info/topics/emotional-intelligence/
7. Jadhev T., Gupta S.K., Global Communication Skills and Its Relationship with Emotional Intelligence, 84 American Journal of Management vol. 14(4) 2014, pgs. 82-88
8. Kahtani A.A., Employee Emotional Intelligence and Employee Performance in the Higher Education Institutions in Saudi Arabia: A Proposed Theoretical Framework, International Journal of Business and Social Science, Vol. 4 No. 9; August 2013, Pgs. 80-95
9. Mullins J. L., Management and Organizational Behavior, 9th edition, Lombardia, Rotolito, 2010
10. Perks, Emotional Intelligence: One of the hottest words in Corporate America, 2009 http://www.perksconsulting.com/2009/02/emotional-intelligence-one-of-the-hottest-words-in-corporate-america/
11. Uhl-Bien M., Schermerhorn J.R., Osborn J.R.N., Organizational Behavior, USA, Wilyplus,13th edition, 2013. – pg. 608
12. Wish T, Why Recruiters Need a High EQ, 2016

https://www.hunted.com/blog/why-recruiters-need-a-high-eq/
13. ZeidnerM., Matthews G., Roberts R.D., WHAT WE KNOW ABOUT EMOTIONAL INTELLIGENCE, Branford Book, The MIT Press, London, England, 2009, 34 Pgs. https://mitpress.mit.edu/sites/default/files/titles/content/9780262012607_sch_0001.pdf

Importance of Emotional Intelligence for Achieving Success

T. Maisuradze

Summary

Today's competitive world is full of challenges as it changes too fast. It's too hard to find appropriate job, keep it, develop carrier and achieve self-actualization. When the environment and workplace is full of the sources of stress it's too hard to stay stable. It's a big challenge for hiring and HR managers to find employees, who will stay stable and realize organization's aims. By this way both organization and employee will be successful. What is the main predictor? What skills and abilities should applicants have? What is the one of the best predictor of carrier success?

The answer is Emotional Intelligence, which is the ability to perceive emotions, to access and generate emotions so as to assist thought, to understand emotions and emotional knowledge, and to reflectively regulate emotions so as to promote emotional and intellectual growth. The main 5 components of it are: Self-awareness, Self-Regulation, Motivation, Empathy, and Social Skills. First, emotional intelligence was used only in psychology, but after fast spread in Business. Many researchers were studying its importance for organizations. It was found that employees with high emotional intelligence achieve better results in different jobs. They can better work in teams, communicate, resolve conflicts, make wiser decisions, stay calm under pressure, discuss deeper and take critic. The good thing is that emotional intelligence can be improved. For this one must understand his and others' emotions, and have empathy skill. Managers should give trainings regarding this. As a result, people will be more successful, have high paid and perspective job, accordingly better carrier and life.

Key Words: *Emotional Intelligence, Success, Organizational Success, Potentialevaluation.*

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენების ზოგიერთი საკითხი

მარინა მაისურაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკის სწრაფი განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ინვესტიციების თავისუფალი განხორციელება. ამ პროცესების სწორი მართვა გარკვეულწილად დამოკიდებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო წესების დანერგვაზე. საქართველო, როგორც ამ პროცესების აქტიური მონაწილე ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. სწორედ ამ პროცესთან დაკავშირებული აქტუალური საკითხებია განხილული სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ანგარიშგება,სააღრიცხვო პოლიტიკა,სააღრიცხვო შეფასებები.*

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) პირველადი გამოყენების ძირითადი მიზანია, საწარმოს მიერ მომზადებული ფასსების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც:

– გამჭვირვალე იქნება მომხმარებლისათვის და შესადარისი ყველა წარდგენილი პერიოდის;

– უზრუნველყოფს შესაფერის ამოსავალ ბაზას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით აღრიცხვის საწარმოებლად;

– შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი დანახარჯებით, რომელიც არ აღემატება მომხმარებელთათვის მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს.

საწარმოს მიერ მომზადებული ფასსების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება მაშინ არის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც საწარმო ფასსებს იყენებს, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში მის მიერ გაკეთებულია აშკარა და უპირობო განაცხადი ფასსთან შესაბამისობის შესახებ. [2,138].

ფასს 1-ის თანახმად, ფასსებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ფასსების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებად მიიჩნევა, თუ, საწარმომ:

ა) წინა პერიოდების ყველაზე ბოლო ფინანსური ანგარიშგება წარადგინა:

– ეროვნული მოთხოვნების თანახმად, რაც არ შეესაბამება ფასსებს ყველა ასპექტით;

– ფასს-ების შესაბამისად ყველა საკითხში, გარდა იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდა უპირობო განაცხადს ფასსთან შესაბამისობის შესახებ;

– ფასსთან შეუსაბამო ეროვნული მოთხოვნების თანახმად, გამოიყენა ზოგიერთი ფასს ისეთი მუხლების აღსარიცხად, რომლებისთვისაც ეროვნული მოთხოვნები არ არსებობდა;

ბ) ფასსების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მხოლოდ შიგა მოხმარებისათვის და ხელმისაწვდომი არ გახადა საწარმოს მესაკუთრეთა ან სხვა გარე მომხმარებელთათვის;

გ) ანგარიშგების პაკეტი ფასსების მიხედვით მოამზადა კონსოლიდაციის მიზნით.

დ) არ წარუდგენია წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებები.

საწარმომ, რომელმაც პირველად გამოიყენა ფასსები წინა საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ მისი წინა პერიოდების უკანასკნელი წლიური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს აშკარა და უპირობო განაცხადს ფასსებთან შესაბამისობის შესახებ, უნდა გამოიყენოს ან ფასს 1, ან ფასსები გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის – "სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" – შესაბამისად იმგვარად, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ფასსების გამოყენება. [2,139]

საწარმომ ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ფასსების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ამასთან, ეს სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა ემორჩილებოდეს ყველა იმ ფასს-ს, რომელიც ძალაშია ფასსების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს.

მაგალითად, საწარმოსათვის ფასსების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო თარიღი 2015 წლის 31 დეკემბერია. საწარმომ გადაწყვიტა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისი ინფორმაციის წარდგენა მხოლოდ ერთი წლისათვის. ამგვარად, მისი ფასსებზე გადასვლის თარიღია საქმიანობის დაწყება 2014 წლის 1 იანვარს (ან, რაც იგივეა, საქმიანობის დამთავრე-

ბა 2013 წლის 31 დეკემბერს). საწარმო ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას ყოველწლიურად წარადგენდა 31 დეკემბრისათვის, მათ შორის 2014 წლის 31 დეკემბერს.

როგორ გამოიყენოს საწარმომ ასეთ შემთხვევაში სტანდარტები?

საწარმოს მოეთხოვება იმ ფასს-ის გამოყენება, რომლებიც ძალაშია 2015 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისათვის:

ა) ფასს-ების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოსამზადებლად 2014 წლის 1 იანვრისათვის;

ბ) 2015 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, 2015 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის სრული შემოსავლი ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, ასევე განმარტებითი შენიშვნების (2014 წლის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით) მოსამზადებლად და წარსადგენად.

თუ რომელიმე ახალი ფასს ჯერ კიდევ არაა სავალდებულო, მაგრამ დასაშვებია მისი ვადაზე ადრე გამოყენება, ასეთ შემთხვევაში საწარმოს უფლება ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება ამ ფასს-ის გამოყენება თავის პირველ ფასს-ების შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმომ ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ა) უნდა აღიაროს ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა აღიარება მოთხოვნილია ფასს-ებით;

ბ) არ უნდა აღიაროს მუხლები აქტივებად და ვალდებულებებად, თუ ფასს-ებით არ დაიშვება ასეთი აღიარება;

გ) ხელახლა უნდა მოახდინოს ისეთი მუხლების კლასიფიცირება, რომელსაც ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით აღიარებდა, როგორც ერთი სახის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს, მაგრამ წარმოადგენს განსხვავებული სახეობის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს ფასს-ების თანახმად;

დ) უნდა გამოიყენოს ფასს ყველა აღიარებული აქტივისა და ვალდებულების შესაფასებლად.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საწარმო იყენებს ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც ის იმავე თარიღისათვის იყენებდა, ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება შესწორებები ფასს-ებზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან და ოპერაციებიდან. საწარმომ ეს შესწორებები უნდა აღიაროს პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში.

საწარმოს მიერ ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის, ფასს-ების თანახმად განსაზღვრული შეფასებები შესადარისი უნდა იყოს ამავე თარიღისათვის ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით გამოთვლილი შეფასებების, თუ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ის შეფასებები მცდარი იყო.

ამავე დროს, საწარმომ ფასს-ებზე გადასვლის თარიღის შემდეგ შეიძლება მიიღოს ინფორმაცია იმ შეფასებებზე, რომელიც განსაზღვრა ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების მიხედვით. საწარმო უნდა მიუდგეს ამ ინფორმაციის მიღებას, როგორც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს ბასს 10-ის – „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები'' – თანახმად.

მაგალითად, დავუშვათ საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღი 2014 წლის 1 იანვარია, ხოლო 2014 წლის 15 ივლისის ახალი ინფორმაცია მოითხოვს 2013 წლის 31 დეკემბერს ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით განსაზღვრული შეფასებების გადახედვას. საწარმომ ახალი ინფორმაცია არ უნდა ასახოს ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საწარმომ ეს ახალი ინფორმაცია უნდა ასახოს 2014 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მოგებაში ან ზარალში.

საწარმოს მიერ მომზადებული ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

ა) ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით მომზადებული საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის შეჯერებას ფასს-ებით წარმოდგენილ საკუთარ კაპიტალთან, ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის; და უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის, რომელიც წარმოდგენილია საწარმოს ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში;

ბ) საწარმოს ყველაზე ბოლოდროინდელ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი, ფასს-ების შესაბამისად გამოთვლილი უკანასკნელი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავლის შეჯერებას. ამ შეჯერების ამოსავალი ბაზა უნდა იყოს იმავე პერიოდის, ადრინდელი საყოველთაოდ მი-

ღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი მთლიანი სრული შემოსავალი, თუ საწარმო არ წარადგენს ამგვარ ჯამურ თანხას, მაშინ მან უნდა წარადგინოს ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიით გამოთვლილი მოგება ან ზარალი;

გ) განმარტებებს, თუ საწარმო აღიარებს ან პირიქით აუქმებს გაუფასურების ზარალს ფასსების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში – რომლებიც მოთხოვნილი იქნებოდა ბასს 36-ით – „აქტივების გაუფასურება'', თუკი საწარმოს აღიარებული ან ანულირებული ექნებოდა გაუფასურების ეს ზარალი ფასსებზე გადასვლის თარიღით დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდში.

საწარმომ უნდა განმარტოს რა გავლენა იქონია ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებიდან ფასს-ებზე გადასვლამ მის საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

თუ საწარმო ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების ან არამატერიალური აქტივების მუხლებისათვის, რეალურ ღირებულებას იყენებს, როგორც პირობით საწყის ღირებულებას**,** მაშინ განმარტებული უნდა იყოს ფასს-ების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თითოეული მუხლისათვის:

ა) ამ რეალური ღირებულებების აგრეგირებული სიდიდე;

ბ) ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი საანგარიშგებო საბალანსო ღირებულებების მთლიანი შესწორების თანხა.

თუ საწარმო პირობით საწყის ღირებულებას იყენებს ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შვილობილი, ერთობლივი ან მეკავშირე საწარმოებისთვის, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმოს ფასს-ების შესაბამის საწყის ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) პირობითი საწყისი ღირებულების აგრეგირებული თანხა იმ ინვესტიციებისთვის, რომლისთვისაც პირობითი საწყისი ღირებულება არის ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით გამოთვლილი საბალანსო ღირებულება;

ბ) პირობითი საწყისი ღირებულების აგრეგირებული თანხა იმ ინვესტიციებისთვის, რომლისთვისაც პირობითი საწყისი ღირებულება არის რეალური ღირებულება;

გ) ადრინდელი საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებით წარდგენილი საბალანსო ღირებულებების კორექტირების აგრეგირებული თანხა.

საწარმოს შეუძლია ფასს-ებზე გადასვლის თარიღის შესაბამისი, ძირითადი საშუალების მუხლის რეალური ღირებულების გამოყენება მის პირობით საწყის ღირებულებად.

დანახარჯი, შეძენის თარიღისათვის რეალური ღირებულების ტოლია. ამის გამო, რეალური ღირებულების, როგორც აქტივის პირობითი საწყისი ღირებულების გამოყენება ნიშნავს, რომ საწარმო ანგარიშგებაში წარადგენს იმავე ღირებულებით მონაცემებს, როგორიც ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის შეძენილ, მომსახურების იმავე პოტენციალის მქონე აქტივს ექნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფასს ზღუდავს რეალური ღირებულების, როგორც პირობითი საწყისი ღირებულების გამოყენებას ისეთი აქტივებისათვის, რომელთათვის გადანგარიშების დანახარჯები, სავარაუდოდ, მომხმარებლებისათვის მცირე სარგებლის მომტანი იქნება, ესენია: ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს შეზღუდვის კრიტერიუმებს.

საწარმოს ფასს-ების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების დანიშნულებაა უზრუნველყოს ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ, რომელსაც გამოიყენებენ მომხმარებელთა ფართო წრეები ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

საწარმოს მიერ მომზადებული ფასს-ების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება არის საბუღალტრო საქმიანობის დასაწყისი ფასსებით, რომელიც:

ა) უნდა მოიცავდეს ყველა აქტივსა და ვალდებულებას, რომელთა აღიარება მოთხოვნილია ფასს-ებით,

ბ) არ უნდა წარმოადგენდეს მუხლებს აქტივებად და ვალდებულებებად, თუ ფასს-ების თანახმად ისინი არ ექვემდებარება აღიარებას.

ყველა აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულებით შეფასება ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის არ არის მიზანშეწონილი. საწარმოს შეუძლია ზოგიერთი მუხლისათვის გამოიყენოს ხარჯებზე დაფუძნებული შეფასება.

ფასს-ების პირველად გამომყენებელმა საწარმომ ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა შეაფასოს ფასს-ების მოთხოვნის საფუძველზე. ეს საჭიროა, რათა საწარმოს ფასს-ების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს საიმედო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ,24.06.2016.
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1.2014 გვ.131-242
3. Bellandi, F. (2012) The Handbook to IFRS Transition and to IFRS US GAAP Dual Reporting, Chichester: John Wiley & Sons.
4. Peng, S. and van der Laan Smith, J. (2010) Chinese GAAP and IFRS: an analysis of the convergence process, Journal of International Accounting, Auditing and Taxation, 19, pp. 16–34
5. http://www.ippnou.ru/article.php?idarticle=001956
6. http://finotchet.ru/articles/80/

Regarding some Aspects of Initial Use of the IFRS

M. Maisuradze

Summary

Therefore, the requirements for recognition and measurement of the initial reporting of financial state of the entities, relevant to IFRS, should be determined as formulated in the structural bases for preparation and presentation of the financial reports. A purpose of the financial reporting is to provide the information regarding financial state of an entity, results of its activity and changes in its financial state, which can be used by a wine circle of users for making the economic decision. All this is ensured by the International Financial Reporting Standards.

Key words: *financial reporting, accounting policies, accounting estimates.*

ტურიზმის ზეგავლენა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე

ნანა მაისურაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

გლობალიზაციამ ახალი შესაძლებლობები გაუხსნა ტურიზმის განვითარებას. შედეგად, დღეისათვის, ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბური ეკონომიკური აქტივობის სექტორია, ზოგიერთი ქვეყნისათვის კი - ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი დასაყრდენი. ნაშრომში, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესწავლილია ტურიზმის გავლენა ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფის ეკონომიკაზე. გაანალიზებულია ტურიზმის კონტრიბუცია სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. დასაბუთებულია ტურიზმის მნიშვნელობა განვითრებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ტურიზმი, განვითარებადი ქვეყნები, ტურიზმის კონტრიბუცია ეკონომიკაში.*

თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო და ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო მოიცვა. მის დადებით და უარყოფით მხარეებზე მკვლევარები ბევრს კამათობენ. უდავო მხოლოდ ერთია - გლობალიზაცია არაა არჩევანი, ის გარდაუვალი მოცემულობაა და პროგრესული, განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნისათვის ამ პროცესისაგან თავის არიდება შეუძლებელია.

გლობალიზაციამ ახალი შესაძლებლობები გაუხსნამრავალი ინდუსტრიის, მათ შორის ტურიზმის (განსაკუთრებით კი, საერთაშორისო ტურიზმის) განვითარებას. მან ხელი შეუწყო ტურიზმის ზრდას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სატრანსპორტო დარგების განვითარებით. დღეისათვის,ტურიზმი მსოფლიოს დიდი ნაწილის ყველაზე მასშტაბური ეკონომიკური აქტივობის მატარებელია. ქვეყნების უმრავლესობისათვის ის შედის ხუთ უმსხვილეს საექსპორტო სექტორში. ტურიზმი მოიცავს ადამიანთა, საქონლისა და მომსახურების ყველაზე მასშტაბურ გადაადგილებას და შესაბამისად, ის გლობალიზაციის ყველაზე უფრო ხილული გამოვლინებაა [1, გვ. 8].

ზოგადად, მიიჩნევა, რომ ტურიზმის სამი ძირითადი სახეობის ზეგავლენიდან (ეკონომიკური, სოციო-კულტურული, ეკოლოგიური) ეკონომიკური ზეგავლენა პრაქტიკულად ყოველთვის დადებითია, ხოლო დანაჩენი ორი - უმეტესწილად უარყოფითი. ტურიზმიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი ვლინდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, უცხოური კაპიტალის შემოდინებაში, ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარებაში და სხვა.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ტურიზმმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები XX საუკუნის ბოლო პერიოდში მიიღო (1950 წელს საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რიცხვმა 25 მლნ შეადგინა, ხოლო 1995 წელს - ნახევარ მლრდ-ს გადააჭარბა)[2, გვ. 18]. საერთაშორისო ტურისტული ჩასვლები სტაბილურად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და 2015 წელს მათმა რიცხვმა 1,2 მლრდ-ს მიაღწია[3]. უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის ასეთი მაღალი ტემპები დიდწილად სწორედ განვითრებად ქვეყნებში ტურიზმის სწრაფი ზრდითაა განპირობებული. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, 2012 წელს, განვითრებად ქვეყნებში საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების საშუალოწლიურმა ზრდამ 5,6%-ს მიაღწია, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი მაჩვენებელი 1,8%-ს არ აღემატებოდა. განვითრებადი ქვეყნების მიერ საერთაშორისო ტურისტებისგან მიღებულმა შემოსავალმა 386 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ამ ქვეყნების მიერ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან განვითრების მიზნით მიღებული დახმარების ოდენობას ხუთჯერ აღემატება[4, გვ. 16]. შესაბამისად, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმი გლობალური პროცესია და ის ზეგავლენას ახდენს ტურისტული დანიშნულების ადგილებზეპრაქტიკულად მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შეუძლებელია იმის თქმა, რომ მისგან ყველა ქვეყანა თანაბარ სარგებელს იღებს. პირიქით, ტურიზმის კონტრიბუცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში ძალზე განსხვავებულია. მაგალითისათვის, მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2014 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი სხვადასხვა ქვეყნების მთლიან ექსპორტში 0%-დან (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ბევრი სხვა ქვეყანა) 80%-მდე (პალაუ) მერყეობს[8].

ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს ტურიზმის, როგორც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი როლის განხილვა. მრავალი მკვლევარის აზრით, ტურიზმს განსაკუთრებული სარგებლის მოტანა შეუძლია განვითრებადი ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან მდიდა-

რი ბუნებრივი რესურსებით (როგორიცაა ნავთობი, გაზი, სხვა) და არ გააჩნიათ კარგად განვითარებული მძიმე და საშუალო მრეწველობა, მაღალტექნოლოგიური და ეკონომიკის სხვა დარგები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ქვეყნების ეკონომიკურ სიძლიერეს და მათ სტაბილურ განვითარებას. განვითარებადი და ნაკლებადგანვითრებული ქვეყნების ეკონომიკაში ტურიზმის განსაკუთრებულ კონტრიბუციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ტურიზმზე მსოფლიო მომსახურების ექსპორტის 29% მოდის, ხოლო ყველაზე ნაკლებადგანვითარებული ქვეყნების შემთხვევაში, შესაბამისი მაჩვენებელი 52%-ს აღწევს. ბოლო წლებში ტურიზმის, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, შედეგმა ბევრგან იჩინა თავი. მაგალითად, სწორედ ტურიზმის ინდუსტრია დაეხმარა ბოტსვანას, მალდივის კუნძულებს და კაბო-ვერდეს თავი დაეღწიათ ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სტატუსისათვის[4, გვ. 16].

სწორედ გლობალიზაციამ, რომელმაც განაპირობა ბარიერების მოშლა ინვესტიციებისა და ადამიანების გადაადგილებისთვის, უნიკალური ბუნებრივი რესურსებით გამორჩეული ადგილები (როგორიცაა, მაგალითად, კუნძულოვანი „ლაჟვარდოვანი“ სანაპიროები) პოპულარულ ტურისტული დანიშნულების ადგილებად, ხოლო ტურიზმი რიგ ქვეყნებშისიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედად აქცია.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო ტურიზმის კონტრიბუციას ქვეყნის ეკონომიკაში რამდენიმე ინდიკატორის მიხედვით აფასებს. ასეთ ინდიკატორებს მიეკუთვნება მოგზაურობისა და ტურიზმის (როგორც პირდაპირი, ასევე მთლიანი) კონტირბუცია ქვეყნის მშპ-ში, დასაქმებაში, ექსპორტში, ინვესტიციებში და სხვა. რასაკვირველია, ტურისტული ჩასვლებით და შესაბამისად, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით (აბსოლუტურ მაჩვენებელში) ტრადიციული,განვითარებული ტურისტული ბაზრები გამოირჩევა, რომელთა უმრავლესობაც განვითარებული ქვეყნებითაა წარმოდგენილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობისათვის ტურიზმის მთლიანი (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი) კონტრიბუცია მშპ-სა და დასაქმებაში10-12%-ის ფარგლებში მერყეობს (გამონაკლისს ესპანეთი წარმოადგენს, რომლისთვისაც აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 16,0% და 16,2%-ია(აქედან გამომდინარე, ესპანეთის ეკონომიკა, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებს შორის, ყველაზე მეტადაა დამოკიდებული ტურიზმზე) (იხ. ცხრილი 1). მეორე მხრივ, არსებობს ქვეყნებისა და ადმინისტრაციული რეგიონების მეორე ჯგუფი (ძირითადად პატარა, კუნძულოვანი სახელმწიფოებით წარმოდგენილი), რომელთა ეკონომიკისათვის ტურიზმს პრაქტიკულად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ინდუსტრიის მთლიანი კონტრიბუცია მათ მშპ-სა და დასაქმებაში 40-დან 96 %-მდე მერყეობს (იხ. ცხრილი 2)[5].

ცხრილი1

მოგზაურობისა და ტურიზმის კონტრიბუცია საერთაშორისო ტურისტული ჩასვლებით მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში 2015 წელს[3, 6].

	ქვეყანა	**საერთაშორისო ტურისტული ჩასვლების რაოდენობა (მლნ)**	**მთლიანი კონტრიბუცია მშპ-ში (%)**	**მთლიანი კონტრიბუცია დასაქმებაში (%)**
1	საფრანგეთი	84,5	9,1	10,1
2	აშშ	77,5	8,2	9,6
3	ესპანეთი	68,2	16,0	16,2
4	ჩინეთი	56,9	7,9	8,4
5	იტალია	50,7	10,2	11,6
6	თურქეთი	39,5	12,9	8,3
7	გერმანია	35,0	8,9	12,2
8	დიდი ბრიტანეთი	34,4	11,2	12,7
9	მექსიკა	32,1	15,1	15,9
10	რუსეთი	31,1	5,7	5,2
	მსოფლიო (საშუალო)	-	*9,8*	*9,6*

ცხრილი 2

ქვეყნები მოგზაურობისა და ტურიზმის ყველაზე მაღალი კონტრიბუციით ეკონომიკაში 2015 წელს[3, 5].

	ქვეყანა	**საერთაშ. ტურისტული ჩასვლების რაოდენობა (მლნ)**	**მთლიანი კონტრიბუცია მშპ-ში (%)**	**მთლიანი კონტრიბუცია დასაქმებაში (%)**
1	მალდივის კუნძულები	1,234	96,5	60,4
2	არუბა	1,225	90,7	92,8
3	ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები	0,393	90,4	95,6
4	მაკაო	14,308	71,2	61,9
5	სეიშელის კუნძულები	0,276	62,1	61,9
6	ანტიგუა და ბარბუდა	0,250	57,1	51,6
7	ანგვილა	0,073	56,3	58,5
8	ვანუატუ	0,090	47,3	40,4%
9	ბაჰამის კუნძულები	1,472	46,9	55,4
	მსოფლიო (საშუალო)	**-**	***9,8***	***9,5***

მე-2 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ნათლად ადასტურებს ტურიზმის მნიშვნელობას ცალკეული ქვეყნებისა თუ ტურისტული დანიშნულების ადგილების ეკონომიკისათვის. ტურიზმზე ეკონომიკის დამოკიდებულების ასეთი მაღალი დონე, ერთი მხრივ, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ჩამორჩენილობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, სწორედ ტურიზმი უზრუნველყოფს ამ ადგილებში ეკონომიკური შემოსავლების ისეთ დონეს, რაც საშუალებას აძლევს ზოგიერთ მათგანს წამყვანი პოზიციები დაიკავოს ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით. მაგალითად, მაკაო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 120 890 ათასი დოლარით მეორე ადგილზეა კატარის შემდეგ; ცხრილი 2-შიმოცემული ათეულიდან საკმაოდ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ასევე ბაჰამის კუნძულები (22 930 დოლარი) და ანტიგუა და ბარბუდა(22 220 დოლარი), რომლებსაც შესაბამისად 74-ე და 76-ე ადგილები უკავიათ[9].

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ქვეყნების ეკონომიკაში ტურიზმის კონტრიბუციის მაღალი მაჩვენებლები გარკვეული საერთო ბუნებრივი, გეოგრაფიული თუ ეკონომიკური მახასიათებლებითაა განპირობებული, თუმცა, მათი განხილვა მოცემული კვლევის ფარგლებს სცილდება. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მონაცემები ადასტურებს, რომ რიგ შემთხვევებში, ტურიზმს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია როგორც ქვეყნების, ასევე ცალკეული რეგიონების ეკონომიკის განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის ტურიზმზე დამოკიდებულების მაღალი დონე გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა მძიმე ეკონომიკური შედეგების მომტანი აღმოჩნდეს, რადგანაც ტურიზმი სხვა ინდუსტრიებთან შედარებით გაცილებით სწრაფად და მძლავრად რეაგირებს ისეთ გარემო ფაქტორებზე, როგორიცაა: ბუნებრივი კატაკლიზმები, არასტაბილური პოლიტიკური გარემო, ტერაქტები, ომები და ა.შ.

ტურიზმი სტაბილურად მზარდი მაჩვენებლებით ხასიათდება საქართველოშიც. 2015 წელს, მოგზაურობისა და ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ ქვეყნის ეკონომიკაში მშპ-ის 7,1%, ხოლო მთლიანმა კონტრიბუციამ - მშპ-ის 23,5% შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, მოხვდა იმ ქვეყნების ათეულში (მე-5 ადგილი), რომელთა მშპ-ში მოგზაურობისა და ტურიზმის მთლიანი კონტრიბუცია 2015 წელს ყველაზე მეტად - 19,4%-ით გაიზარდა[7].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზით, მომდევნო წლებში საერთაშორისო ტურისტული ჩასვლები კიდევ უფრო მასშტაბური გახდება, წლიურად საშუალოდ 3,3%-ით გაიზრდება და 2030 წლისათვის 1,8 მილიარდს მიაღწევს [3]. შესაბამისად, გაიზრდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. სავარაუდოდ, განვითრებად ქვეყნებში ზრდის ტემპი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, კვლავაც გაცილებით მაღალი შენარჩუნდება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შემოსავლების გადანაწილებას მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან მოსახლეობას/ქვეყნებს/რეგიონებს შორის.

ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის საფუძველზეშეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტურიზმის ინდუსტრიას რეალურად აქვს იმის პოტენციალი, რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს განვითრებადი

ქვეყნების (მათ შორის საქართველოს), ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში, სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.რასაკვირველია, ამის განხორციელება მხოლოდსათანადო სახელმწიფო სტრატეგიის,შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების, სწორი საინფორმაციო კამპანიისა და სახელმწიფო თუ კერძო სექტორის მხრიდან სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების პირობებშია შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Reisinger Y,International Tourism: Cultures and Behavior, Amsterdam,*Elsevier Butterworth Heinemann,* 2011, 420 გვ.
2. Chuck Y. Gee, Eduardo Fayos Solá, INTERNATIONAL TOURISM: A GLOBAL PERSPECTIVE, Madrid,World Tourism Organization, 1997, 406 გვ.
3. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიში, ტურიზმის მნიშვნელოვანი ასპექტები, 2016 http://www.e-unwto.org/doi/pdf/10.18111/9789284418145
4. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიში, მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის, 2013 http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/docpdf/devcoengfinal_0.pdf
5. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო, ქვეყნების შემაჯამებელი ანგარიში, 2016 http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/2016-documents/newleaguetablesummary156.pdf
6. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს ანგარიში, აშშ, 2016 http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2016/unitedstates2016.pdf
7. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს ანგარიში, საქართველო, 2016 http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic-impact-research/countries-2016/georgia2016.pdf
8. მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის წილი ექსპორტშიhttp://data.worldbank.org/indicator/ST.INT.RCPT.XP.ZS
9. მსოფლიო ბანკი, მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე http://databank.worldbank.org/data/download/GNIPC.pdf

The Impact of Tourism on the Economies ofDeveloping Countries

N. Maisuradze

Summary

Globalization opened new opportunities for the development of tourism. As a result, nowadays tourism is the one of the most large-scale economic activity around the world and the main drive for economic growth and development in some countries. Based on the statistical information provided by severalinternational organizations, thepresented paper studies the impact of tourism on the economy of countries of different groups. Contribution of tourism to the economy is analyzed according to various macroeconomic indicators. Arguments proving the importance of tourism for developing countries, including Georgia, are provided.

Keywords: *tourism, developing countries, contribution of tourism to economy.*

მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა

რუსუდან მაისურაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

საბაზრო ურთიერთობათა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის ფორსირებული განვითარებითაა შესაძლებელი ქვეყანაში მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირება და ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარება. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განვითარებული ქვეყნების მშპ-ის მოცულობაში მცირე ბიზნესზე მოდის 50-დან 60%-მდე, მაშინ როდესაც საქართველში ეს მაჩვენებელი 3-4-ჯერ ნაკლებია. ეს გარემოება მკაფიოდ მიუთითებს ბიზნესის ამ ფორმის მნიშვნელოვან ჩამორჩენაზე, მის სათანადო დონეზე განუვითარებლობაზე, რაც თავის მხრივ, განაპირობებს უმუშევრობის მაღალ და ცხოვრების დაბალ დონეს მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. ნაშრომში გაანალიზებული და შეფასებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის თანამედროვე მდგომარეობა, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში განხორციელებულ პროგრამები და პროექტები.

საკვანძო სიტყვები: *მეწარმეობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა, პროგრამები, პროექტები.*

მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებას, მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას და, აქედან გამომდინარე, მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ დროთა განმავლობაში მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში არ კლებულობს და მის რაოდენობრივ ზრდას საერთაშორისო მასშტაბით, მყარი ტენდენციები აქვს. განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის), მცირე და საშუალო საწარმოებს, მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენს და საშუალოდ ქმნის მშპ-ის 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტია თუმცა, მათი წილი მშპ-ში საერთოდ საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები[1].

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ ლარს. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს [2]. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მცირე საწარმო (ანუ მცირე ბიზნესზე ორიენტირებული სამეურნეო ერთეული) შეიძლება შეიქმნას და ფუნქციონირებდეს მეურნეობის ნებისმიერ სფეროში, საწარმოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში, არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო, მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, საიდანაც მის მიერ მისაღები ერთობლივი ჯამური შემოსავალი, კალენდარული წლის განმავლობაში, არ აღემატება 30 000 ლარს [3]. აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით.

ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2016 წლის პირველი ივლისისათვის, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში რეგისტრირებული იყო 638 555 ორგანიზაცია. მათგან 606 444 წარმოადგენდა სამეწარმეო/კომერციული სახის იურდიულ და მეწარმე ფიზიკურ პირებს. მათ შორის, 191 223 კომერციული იურდიული პირია (31,1%). 415 221 სუბიექტი (68%) ინდივიდუალური მეწარმეა. აქტიურად საქმიანობდა მხოლოდ 165 157 (დარეგისტრირებულების 39%). ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2015 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 13,8%-ით გაიზარდა და 57,0 მლრდ ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც.

2015 წელს მისი მოცულობა 30,0 მლრდ ლარით განისაზღვრა, რაც 15,1%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. 2015 წელს მთლიანი ბრუნვის 82,5% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 8,4% - საშუალო, ხოლო 9,1% - მცირე ბიზნესზე ნაწილდება. ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 80,4%, საშუალოზე - 9,7%, ხოლო მცირე ბიზნესზე - 9,9%. 2015 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში 46,9% მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა - 11,7%-იანი წილით. შემდეგ მოდის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 10,4%-იანი წილით და მშენებლობა - 9,3%-იანი წილით, ხოლო დარჩენილი 21,7% - სხვა დარგებზე ნაწილდება. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ 626,7 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 5,8%-ით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 56,9% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 16,1% - საშუალო, ხოლო დარჩენილი 27,0% - მცირე ბიზნესზე. 2015 წელს საშუალოთვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 896,8 ლარს გაუტოლდა (წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 96,3 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალოთვიური ხელფასი შემდეგნაირია: მსხვილი ბიზნესი – 1130.8 ლარი, საშუალო ბიზნესი – 650,3 ლარი, მცირე ბიზნესი – 443.3 ლარი. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება სადღეისოდ დაბალ დონეზეა და მათი წილი ეკონომიკაში ძალიან მცირეა. კერძოდ, როგორც ანალიზიდან ჩანს, მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა და დამატებული ღირებულება მთლიანი ბიზნესის მაჩვენებლებში 18,4%-ს არ აღემატება (იხ.დიაგრამა1). ევროკავშირის ქვეყნებში კი მცირე მეწარმეობას ძალიან დიდი ნაწილი უჭირავს, იქაა დასაქმებული მოსახლეობის 90% და ქმნის დამატებული ღირებულების 40%-ს. 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, მსხვილი ბიზნესი ლიდერობს (82,6%), მას მოჰყვება მცირე ბიზნესი (10,7%) და საშუალო ბიზნესი (6,7%) (იხ.დიაგრამა 2). ასეთ პირობებში, 2015 წელს მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიანად ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა 33,1% (207 437 ადამიანი) [2,4]. ზემოაღნიშნული მაჩვენებლები ცხადყოფს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალ ეფექტიანობას, რაც გავლენას ახდენს საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე.

დიაგრამა 1



საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია. დღეს ევროკავშირი აღიარებს იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებს მცირე და საშუალო ბიზნესი ევროპულ ეკონომიკაში. „2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის განუყოფელი ნაწილია DCFTA, რომელიც წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში ევროპული ნორმების დანერგვას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას და მათ ჩაბმას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში“ [1].

დიაგრამა2



მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ამ სფეროსადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. გამომდინარე აქედან, საქართველოს მთავრობა ცდილობს ბიზნესისადმი მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და პრაქტიკაში დანერგვას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისადმი პირდაპირი მხარდაჭერის კუთხით:

- 2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას და ხელს უწყობს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მათ შორის, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტით. DCFTA-ის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სტრატეგიის, რომელიც ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First) პრინციპს, მთავარი მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. სტრატეგიაში დასახული მიზნები (საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების და კვლევების განვითარების ხელშეწყობა) უნდა განხორციელდეს 2020 წლისთვის. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი 15%-ით უნდა გაიზარდოს, მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით უნდა მოხდეს, მცირე და საშუალო საწარმოების პროდუქციის საშუალო წლიური 10% უნდა იყოს [1,4].
- ბიზნეს ინკუბატორი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის საკვანძო ელემენტია. სხვადასხვა სახეობის ინკუბატორების გაერთიანებები გვხვდება ტექნოლოგიური პარკებისა და სამეცნიერო პარკების სახით. დღეს ისინი წარმატებით გამოიყენება ეკონომიკის ყველა სექტორში [5;6] და მცირე და საშუალო საწარმოების მიერაა შექმნილი. თუმცა, დამატებული ღირებულება მცირეა, რისი ერთერთი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე და ინოვაციების ნაკლებობაა. 2014 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შეიქმნა მეწარმეობის მხარდაჭერისა და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და თბილისთან ახლოს, ოქროყანაში გაიხსნა უდიდესი ინფრასტრუქტურული ობიექტი – ტექნოლოგიური პარკი, სადაც თითოეულ ადამიანს შესაძლებლობა ექნება საკუთარი გამოგონებიდან კომერციული სარგებელი მიიღოს.
- 2013 წლის აგვისტოში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა "საქართველოს სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების სტრატეგია _ საქართველო-2020", რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბიზნესსექტორის მხარდაჭერა. როგორც სტრატეგიაშია აღნიშნული, სახელმწიფო შეიმუშავებს ეფექტიან მექანიზმებს ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯების შემცირებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით [7].

- მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით, 2014 წლის ივნისიდან დაიწყო ახალი სამთავრობო პროგრამის - "აწარმოე საქართველოში", განხორციელება. ამ პროგრამის მიზანია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, ახალი საწარმოების შექმნის სტიმულირება, არსებული საწარმოების გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და საექსპორტო პოტენციალის ზრდა. "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში 372 მლნ ლარის ინვესტიცია იქნება მოზიდული ბენეფიციარების მიერ, 7000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება და ასეთი ნაბიჯების გადადგმით საქართველო მიაღწევს მეტ წარმატებას [8].

ბიზნესსექტორი დიდი ინტერესით შეხვდა დამწყებ მეწარმეებზე სახელმწიფო ქონების 1 ლარად გადაცემას, აგრეთვე, მიკრო და მცირე მეწარმეების მხარდამჭერი პროექტის (20 მლნ ლარი) ამოქმედებას, რომელიც რეგიონებში სოფლად განხორციელებად პროექტებზე 5 ათასი ლარის ოდენობის გრანტის გადაცემას ითვალისწინებს. სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების კუთხით საინტერესო კომპონენტად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე "შეღავათიანი აგროკრედიტის" და "სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების" პროექტები [9].

ამრიგად, ზემოაღნიშნული პროგრამები და პროექტები გვიჩვენებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას საქართველოს ეკონომიკაში, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისადმი მხარდაჭერის კუთხით. ჩვენი აზრით სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა-განვითარებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
4. საქართველოს ეკონომისა და მდგრადი განვითარების სტრატეგია http://www.economy.ge/ge/dcfta
5. შ. მაჭავარიანი, ო. შატბერაშვილი, ს. თავართქილაძე, გ. ღაღანიძე, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი პირობები, თბ. 2015
6. IVჩIღI Iძშlშ Xშჭlშ ღღ „შთღთ შღთV“ http://gita.gov.ge/ge/home/inovaciuri-biznesis-xelshewyobis-programa-startap-saqartvelo-iwyeba.page
7. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020 https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
8. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. www.economy.ge
9. ი. მესხია, საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები: ანალიზი, გამოწვევები, პროგნოზები, "ეკონომიკა და ბიზნესი", ჟურნ. #2. თსუ. 2015.

State Support System for Small and Medium Enterprises

R. Maisuradze

Summary

The paper analyzes and evaluates the current state of small and medium enterprises. The work also discusses international experience insupportingsmall and medium business and the programs and projects implemented in Georgia. It is concluded that active support by the state will promote development,growth and increase of competitivenessof small and medium enterprises, which is important for the growth of employment and creation of new jobs, as well as for finding a place on local and international markets.

Keywords: *entrepreneurship, small and medium enterprises, programs, projects.*

ЛОГИЧЕСКАЯ ОШИБКА ИЛИ ПРОВИДЧЕСКОЕ ПРЕДУПРЕЖДЕНИЕ? О ПОПЫТКЕ М.ТУГАН-БАРАНОВСКОГО СОЕДИНИТЬ РАЦИОНАЛЬНЫЙ РАСЧЕТ И КАНТИАНСКИЙ ИМПЕРАТИВ

Н.А.Макашева,
д.э.н., зав. отделом
Института научной информации
по общественным наукам Российской

В своем стремлении найти этическую основу политической экономии М.И. Туган-Барановский обращался к кантианскому нравственному императиву как единственно приемлемому в цивилизованном обществе. Он предложил «модель» плановой экономики, которая обеспечивала оптимальное распределение ресурсов и соблюдение кантианского императива. С рационалистической точки зрения стремление объединить этический принцип и рациональный расчет обречено на неудачу. Однако сегодня в нем можно увидеть предупреждение против чрезмерного энтузиазма относительно возможностей формального анализа.

На рубеже XIX и XX вв. на Западе в экономической науке утверждался новый методологический канон, связанный с маржиналистской революцией. Он отражал рационалистический подход в науке и предполагал строгое разграничение между чистой (позитивной) теорией и областью нормативного, принцип методологического индивидуализма, субъективную теорию ценности использование аппарата предельных величин.

В России в этот период большинство экономистов относились к подобным новациям с подозрением, если не сказать, с открытой неприязнью. Это было связанно с целым рядом обстоятельств: особой озабоченностью социальными проблемами, доминированием марксизма, недостаточным знакомством с новыми западными направлениями, наконец, с тем, что экономическая наука в России по существу еще не стала самостоятельной и зрелой научной дисциплиной [2].

Один из очень немногих русских экономистов, оценивших значение новых направлений в экономической науке, так характеризовал сложившуюся ситуацию: «Все развитие теории политической экономии за последние 20-30 лет прошло незамеченным для нас, потому что не укладывалось в раз принятую схему Маркса; учения Книса, Менгера, Бем-Баверка, Джевонса, Маршалла и многих других оставались до сих пор китайской грамотой для огромнейшей части нашей образованной публики, и если имена эти упоминаются в нашей журнальной литературе, то только для того, чтобы послать по их адресу резкие упреки в «отсталости» и буржуазности» [6, стр. II].

Упрек Франка, можно сказать, был услышан, и очень немногие русские экономисты оценили значение новых тенденций. Можно, например, вспомнить В.Дмитриева, который решал задачу синтеза субъективной теории ценности и трудовой теории [1].

Однако совершенно особое место среди попыток уйти от схемы Маркса и воспринять новые идеи занимают работы М.И. Туган-Барановского. Практически все его творчество несет на себе печать драматической эпохи, в которую он жил, и отражает напряженные интеллектуальные поиски, характерные для русской интеллигенции того периода. Туган-Барановский, без сомнения, был фигурой противоречивой. Будучи марксистом и высоко ценя критику капитализма, данную Марксом, и социологию Маркса, он выступил с критикой многих базисных положений марксизма. Туган-Барановский выступал против «безграничного» материализма и претензии на абсолютную объективность и истину, свойственных марксизму. Признавая важность нового канона в экономической науке, Туган-Барановский в то же время отказался согласиться с требованием этической нейтральности науки. Он принимал методологический индивидуализм, но не как аналитический принцип, а как следствие признания важности человеческой личности, при этом считал необходимым учитывать интересы общества. Ученый понимал полезность использования маржиналистских расчетов, но не придавал им особого значения. Наконец, соглашаясь с субъективной теорией ценности, он не отказывался от трудовой теории.

Очевидно, что подобная многогранность, если не сказать, эклектичность, не вписывается в рационалистическую традицию современной экономической науки. Не случайно, на Западе историки экономической мысли знают Туган-Барановского как исследователя циклов и кризисов и отчасти экономического историка, т.е. по его ранним работам. А некоторые ученые считают остальную и большую часть его творчества чем-то вреде досадного недоразумения [7]. Но именно в этой части творчества он предстает перед нами как участник процесса интеллектуального поиска, характерного

для России конца XIX - начала XX вв. Нравственная опора общества и этическая основа экономической науки – вот, что волновало Туган-Барановского на протяжении всей жизни. И он нашел эту опору в кантианском императиве, утверждающем верховную ценность и потому равноценность человеческой личности.

Основной вопрос для экономиста состоит в том, каким образом можно соединить рационалистический подход с этическим идеалом, а методологический индивидуализм с идеей блага общества, наконец, как объединить две столь различные теории ценности. Туган-Барановский считал, что это возможно, и связывал подобную возможность с теорией социалистической экономики. Набросок этой теории в виде некоторой «модели» представлен в его последней работе «Социализм как положительное учение» [5].

Стилистически работа принадлежит скорее XIX в., о чем свидетельствует в частности то большое место, которое в ней уделено утопическому социализму. Под влиянием рационалистической тенденции в XX в. вопрос о социализме в экономической науке стал рассматриваться исключительно сквозь призму проблемы эффективной аллокации ресурсов. Основу анализа составила теория общего равновесия Л.Вальраса, а позже теория общественного благосостоянии В.Парето. Истоки теории социалистической экономики на Западе обычно связывают с работами Э.Бароне, прежде всего с его знаменитой статьей «Министерство производства в коллективистском государстве» [8], в которой показана возможность эффективной аллокации ресурсов в системе с государственной собственностью на средства производства. Позднее подобная линия рассуждений была продолжена А.Лернером, О. Ланге и др.

Впервые Туган-Барановский обратился к проблеме оптимального использования ресурсов в статье «Ученье о предельной полезности хозяйственных благ как причине их ценности». Это была его первая опубликованная работа, и в ней молодой ученый сформулировал условие максимизации полезности для индивидуального хозяйства, имеющего один ресурс - труд [4]. Уже в этой работе автор на простом числовом примере в духе австрийской школы показывал, что максимум полезности достигается, когда отношение полезностей двух благ равны отношению издержек (в данном случае – затрат труда). Позднее ученик Туган-Барановского дал формальное обобщение этого результата применительно к экономике в целом, в которой производится много товаров с помощью одного ресурса [3]. Заметим, что хотя Туган-Барановский вполне мог быть знаком с работами Бароне и других западных ученых, занимавшихся проблемой социалистической экономики, мы не находим у него подобных ссылок. Отсюда можно сделать вывод, что он совершенно независимо от них, но опираясь на идеи австрийских экономистов, пришел к некоторым выводам относительно возможности эффективной аллокации ресурсов в плановой экономике.

В работе «Социализм как положительное учение» Туган-Барановский предложил модель общественного устройства, экономически эффективного и в высшей степени гуманного. Эта модель основывалась на следующих предположениях:

- хозяйственная деятельность направлена на достижение максимальной пользы той общественной группы, которая ведет хозяйство;
- при социализме такой общественной группой является общество в целом;
- социалистическое хозяйство с методологической точки зрения подобно индивидуальному (натуральному) хозяйству, поскольку оба функционируют по плану;
- к анализу социалистического хозяйства можно применять понятия ценности и стоимости.

Определив цель хозяйствования как достижение максимальной пользы для общества, Туган-Барановский не углубился в проблему определения этой пользы, ему было важно показать, что в плановом хозяйстве можно обеспечить эффективную аллокацию ресурсов, и одновременно - это особенно важно, кантианский императив будет реализован в хозяйственном механизме.

Модель предполагает, что некий планирующий орган с помощью механизма цен и, действуя аналогично аукционисту Вальраса (ни аукционист, ни сам Вальрас не упоминаются), может выявить индивидуальные предпочтения, а руководствуясь этим знанием и учитывая затраты труда, распределять ресурсы оптимально. Здесь важно то, что объем совокупного предложения определяется затратами труда, которые, по мнению ученого, следует учитывать не через заработную плату, а непосредственно, т.е. в часах использованного общественно необходимого труда. И это требование, по мнению Туган-Барановского, прямо соотносит аллокацию ресурсов с принципом верховной ценности человеческой личности, поскольку затраты труда – это расходование энергии человека, его творческого потенциала. Этому же принципу отвечает и механизм определения спроса: ценность благ определяется людьми – субъективно в соответствии с принципом индивидуальной полезности. Таким образом, как считал Туган-Барановский, на основе принципа верховной ценности

человеческой личности объединяются две теории ценности, а «весь строй общества подчиняется интересам личности» [5, стр. 265].

Равенство спроса и предложения Туган-Барановский рассматривал как достаточное условие максимального удовлетворения потребностей. Он считал, что при социализме цены (имеются в виду, конечно, относительные цены, или цены, выраженные в абстрактных счетных единицах, напоминающих numaraire у Вальраса) выполняют ту же функцию (аллокационную), что и при капитализме. При этом цены являются монопольными в том смысле, что они определяются государством (планирующим органом) из решения задачи максимизации функции общественной пользы.

Конечно, конструкция Тугана-Барановского весьма уязвима во многих отношениях. Предположение, что общественная функция полезности полностью соответствует предпочтениям потребителей, как известно, выполняется лишь в крайнем случае – если индивидуальные функции полезности одинаковы для всех индивидов. Сомнительна и его идея непосредственно учитывать затраты труда, не говоря уже о представлении о функционировании планирующего органа. Учитывая это, можно прийти к выводу, что «модель» Тугана-Барановского не более, чем «недоделанная» модель рыночного социализма. Тем более, что когда экономисты строго придерживаются принципа этической нейтральности экономической теории, попытка «натянуть» на нее этический идеал не может не вызвать протеста.

Однако «модель» социализма, представленную в работе «Социализм как положительное учение», нельзя рассматривать просто как слабую работу в области теории рыночного социализма, поскольку в ней проблема эффективности ставится в ином, нежели у западных теоретиков этого направления контексте – в широком этическом контексте. И сегодня, несмотря на впечатляющие достижения, приходится признать, что строгая и этически нейтральная экономическая наука не может в полной мере удовлетворить ни экономистов, ни общество. В наши дни в рамках научного анализа весьма часто возникают вопросы этического характера, причем порой в связи с такими, казалось бы, далекими от экономики сюжетами, как функционирование финансового сектора (заметим, действующего в духе максимизации прибыли) или государства. В этом контексте стремление Туган-Барановского «накинуть» этику на экономическую науку может восприниматься уже не как анахронизм, а как некоторое провидческое предупреждение против чрезмерного увлечения формальными методами и, более того, против «безграничного» рационализма современной экономической науки.

Литература:

1. Дмитриев В.К. Экономические очерки. М.: ГУ ВШЭ, [1904]2001. – 580 с.
2. Макашева Н.А. Как маржинализм приходил в Россию. Два эпизода из истории // Terra Economicus. 2009, Вып 3. – Т. 7. – С. 29 - 41.
3. Столяров Н.А. Аналитическое доказательство предложенной г. М.И.Туган-Барановским политэкономической формулы: предельные полезности свободно произведенных продуктов пропорциональны их трудовым стоимостям. Киев: Изд. С.В. Кульженко, 1902. – 20 с.
4. Туган-Барановский М.И. Ученье о предельной полезности хозяйственных благ как причине их ценности//Юридический вестник. 1890, N 10. – Т. 2. – С. 192-230.
5. Туган-Барановский М.И. Социализм как положительное учение// Туган-Барановский М.И. К лучшему будущему. М.: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЕН), [1918]1996. – С. 257-437.
6. Франк Л. Теория ценности Маркса и ее значение. СПб.: Изд. М.И.Водовозовой, 1900. –370 с.
7. Цвайнерт Й. История экономической мысли в России. 1805-1905. М.: Издательский дом ВШЭ, 2007. – 410 с.
8. Barone E. The Ministry of Production in the Collectivist State // Collectivist Economic Planning / Transl. from Italian. Ed. by F.A. Hayek. L.: Routledge , [1908]1935. – P. 245-290.

Logic Error or Prophetic Warning: On M.Tugan-Baranovsky's Attempt to Unify Rational Accounting and the Kantian Imperative

N.A.Makasheva

Summary

Tugan-Baranovsky believed that economics should be based on the Kantian imperative as the only ethical principle appropriate for civilized society. His "model" of a planned economy ensured optimal allocation of resources and implementation of the Kantian ethical principle. From the perspective of rational approach the idea of unification ethics and rational accounting seems deeply flawed, but nowadays it can be seen as a warning against too much enthusiasm for the formal methods.

საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა და ტენდენციები ემბარგოს შემდეგ

ქეთევან მარშავა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია ძებისაური,
ეკონომიკის დოქტორი,
საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების
სტატისტიკის სამმართველოს უფროსი (საქსტატი)

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩამოყალიბებული ტენდენციები, სასაქონლო ნაკადების მოძრაობა და სტრუქტურა, ისტორიული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ბიზნესსექტორის, სამეცნიერო წრეების და ანალიტიკოსების მუდმივი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

ჩრდილოეთის ბაზრის მნიშვნელობა ნათლად იგრძნო ქართულმა წარმოებამ 2006 წელს რუსეთის მხირდან დაწესებული ემბარგოს შედეგად, რომელიც იყო ბიძგი საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ აქტიურად დაეწყოთ მოქმედება ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების და ათვისების მიმართულებით. ემბარგოს გაუქმების შემდეგ, ქართული ღვინისთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა ილუზიიდან კვლავ რეალობად იქცა. საწინააღმდეგო მდგომაროეობა გამოვლინდა სპირტიანი სასმელების ექსპორტის მიმართულებით. რუსეთში სპირტიანი სასმელების ექსპორტის გაზრდაზე დიდი იმედები არ უნდა დავამყაროთ. ჩრდილოეთის ბაზრის მიმზიდველობა კიდევ ერთხელ დადასტურდა მინერალური წყლების, ფეროშენაბდნობების, ქართული თხილის და განსაკუთრებით ციტრუსისთვის, რომლის წარმოებაში საქართველო რუსეთთან შედარებით აბსოლუტურ უპირატესობას ფლობს.

ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველომ უნდა გააააქტიუროს ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა. თუმცა, თანამედროვე გამოწვევები საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში მეტ დივერსიფიკაციას მოითხოვს, რათა რუსეთის ბაზარზე ზედმეტმა მიჯაჭვულობამ მომავალში კვლავაც არ შექმნას პოტენციური საფრთხის წინაპირობა.

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, იმპორტი, ემბარგო, სტატისტიკა, ანალიზი, ბაზარი, ტენდენცია, საექსპორტო პროდუქტი.*

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, მისი სტატისტიკური ანალიზი, დროთა განმავლობაში, არათუ კარგავს აქტუალურობას, არამედ პერმანენტული ცვლილებებისა და განვითარების სპეციფიკური ტენდენციების ფონზე, სულ უფრო საინტერესო ელფერს იძენს. ამ ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა, ბუნებრივია, შესაბამისად აისახება ეკონომიკურ ურთიერთობებზეც.

კარგად გვახსოვს, 2006 წლის გაზაფხულზე, რუსეთის მხრიდან ქართული წარმოების ღვინოზე, მინერალურ წყლებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე დაწესებული ემბარგო და მისი მძიმე შედეგები ჩვენი ქვეყნისთვის. იმ დროისთვის საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს და ყველაზე მიმზიდველ საგარეო ბაზარს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ეფექტიანი რეალიზებისთვის, სწორედ რუსეთი წარმოადგენდა. თუმცა, ერთ დროს პირველი საექსპორტო ქვეყანა, 2011-2012 წლებში, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების ათეულიდან საერთოდ გაქრა. ამიტომ იყო მძიმე დარტყმა ქართველი ექსპორტისთვის რუსეთის მხრიდან მოულოდნელი ემბარგო. როგორც ხელისუფლება, ასევე ექსპორტიორები მოუმზადებლები შეხვდნენ ამ გარემოებას. ამის შედეგად, ყველაზე მეტი ღვინის ექსპორტიორებმა იზარალეს.

ემბარგო იყო ბიძგი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისათვის, რომ აქტიურად დაეწყოთ მოქმედება ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების და ათვისების მიმართულებით. ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მიღწევა, რაც ამავე დროს უზრუნველყოფდა ემბარგოს დაწესებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის მინიმიზაციას.

რა თქმა უნდა, მოკლევადიან პერსპექტივაში, ეროვნული წარმოების საქონლის ექსპორტის სწრაფი განახლების საშუალება ექსპორტიორებისთვის კვლავ რუსეთის "ბაზრის დაბრუნება" იყო, თუმცა, არსებობდა განსხვავებული მოსაზრებები ემბარგოს მოხსნის შედეგების შესახებ. ერთ-ერთის მიხედვით: "რუსეთის ბაზრის გახსნით საქართველოს ეკონომიკის გადარჩენა ლეგენდაა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს" [2].

რამდენიმე წლის წინ ჩვენ დავსვით კითხვა: რუსეთის ბაზრის პერსპექტივა - ილუზია თუ რეალობა? [1, გვ. 56-57]. მაშინ, 2013 წლის შემოდგომაზე, ემბარგო ახალი გაუქმებული იყო და პერსპექტივა ცხადად იკვეთებოდა. დღეს, უფრო მეტად საინტერესოა, რუსეთის ბაზარზე რამდენიმეწლიანი დაბრუნების შემდეგ რა მდგომარეობაა ორი ქვეყნის საექსპორტო ურთიერთობებში და გამართლდა თუ არა ექსპორტიორების მოლოდინი ძველი კავშირების აღდგენით.

თუ გრძელვადიან პერიოდში დავაკვირდებით საქართველოს საექსპორტო პარტნიორებში რუსეთის წილის და ადგილის დინამიკას, ვნახავთ, რომ 2000-2006 წლებში რუსეთი საქართველოს პირველ საექსპორტო სამეულში ადგილს მყარად იკავებდა და ხშირ შემთხვევაში სათავეშიც იმყოფებოდა. ემბარგოს შემოღებამ მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. 2007 წელს მან მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ცალკეულ წლებში საექსპორტო ათეულის მიღმა რჩებოდა. ემბარგოს გაუქმების შემდეგ რუსეთი პირველ ხუთეულში აღმოჩნდა, მაგრამ მისი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია და 2015 წლის მონაცემებით მხოლოდ 7.4% შეადგინა. საქართველოს მთლიანი ექსპორტის შემცირების ფონზე, მცირდება რუსეთში ექსპორტის აბსოლუტური მონაცემებიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, რუსეთმა 9%-იანი წილით, ათეულში, მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა [5].

საინტერესოა, როგორ შეიცვალა რუსეთში ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა ემბარგოს გაუქმების შემდეგ: მოხდა თუ არა ქართული წარმოების პროდუქციისთვის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, თუ ემბარგოს გაუქმებამ რუსეთს კვლავ დაუბრუნა პერსპექტიული საექსპორტო ბაზრის სტატუსი?

ემბარგოს გაუქმების შემდეგ, რუსეთში უმსხვილესი საექსპორტო საქონელი ასე გამოიყურება (ცხრილი1):

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი რუსეთში ემბარგოს შემდეგ (მლნ. აშშ დოლარი) [5]

ცხრილი 1.

საქონლის დასახელება	2013	2014	2015	2016* წ. იანვარი-აგვისტო
სულ	**190.8**	**274.8**	**162.9**	**118.2**
მათ შორის:				
ყურძნის ნატურალური ღვინოები	56.8	111.4	43.3	31.8
მინერალური და მტკნარი წყლები	33.8	66.4	33.0	24.2
ფეროშენადნობები	13.2	16.9	22.6	19.5
თხილი და კაკალი	0.0	4.0	10.7	4.5
ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები	4.7	17.6	10.6	6.6
ციტრუსი	7.7	9.1	9.6	0.7
დანარჩენი საქონელი	75.1	49.5	33.1	31.0

* წინასწარი მონაცემები.

ცხრილში წარმოდგენილი უმსხვილესი საქონლის წარმოებისათვის საქართველოს შეფარდებითი უპირატესობა და რეალური პოტენციალი გააჩნია. ქართული წარმოების უმსხვილესი საქონლის ექსპორტის დინამიკას რუსეთში კარგად აჩვენებს დიაგრამა 1:

დიაგრამა 1.



* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილეს სასაქონლო პოზიციებში პირველ ადგილს, ტრადიციულად, კვლავ ღვინო იკავებს. მეორე ადგილზე მინერალური წყლებია, ხოლო მესამეზე ფეროშენადნობები. უმსხვილეს საქონელში გვხვდება ასევე, თხილი, სპირტიანი სასმელები და ციტრუსი.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტში ღვინო ლიდერობს, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოცულობა მკვეთრად არის შემცირებული. რაც შეეხება 1 ლიტრის საშუალო საექსპორტო ფასებს ემბარგომდე 1.7 აშშ დოლარიდან ემბარგოს შემდგომ პერიოდში 3.4 აშშ დოლარამდე არის გაზრდილი. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ 7-წლიანი პაუზის შემდეგ, 2013 წლის ივნისიდან, ქართული ღვინო კვლავ დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე, უდავოდ დადებითი შეფასების ღირსია.

2000 წლიდან დღემდე არსებულ დინამიკაში, ქართული ღვინის უმსხვილესი საექსპორტო ბაზრების ხუთეულში, 2007-2012 წლებში ჩავარდნის მიუხედავად, წამყვან ადგილს კვლავ რუსეთი იკავებს. აღნიშნული მაჩვენებლის განვითარების ტენდენციას უფრო თვალსაჩინოდ ასახავს ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა (დიაგრამა 2):

დიაგრამა 2.



* წინასწარი მონაცემები.
**რუსეთში განხორციელდა ფრანგული ღვინის რეექსპორტი.

ღვინის ექსპორტის მხრივ, საქართველოსთვის ყოველთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი და გახსნილი რუსეთის ბაზარი იყო. 2000-2006 წლებში საქართველოსთვის ღვინის საექსპორტო ქვეყნების

ნუსხა ტრადიციულად რუსეთით იწყებოდა. 2006 წლამდე ქართულ ღვინოს რუსეთის ღვინის ბაზრის 10%-ზე მეტი ეკავა, რაც საქართველოს ღვინის მთელი ექსპორტის 74-80%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2005 წელს საქართველოდან ექსპორტირებულ იქნა 81 მლნ აშშ დოლარის ღვინო, რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ, ეს მონაცემი ჯერ განახევრდა, 2007 წელს კი ღვინის ექსპორტი 29 მილიონ აშშ დოლარამდე დაეცა. 2010 წლიდან, ახალი ბაზრების ათვისების ხარჯზე, ექსპორტი გაიზარდა.

რაც შეეხება მდგომარეობას ემბარგოს გაუქმების შემდეგ, 2013 წელს ღვინის ექსპორტმა 128 მლნ აშშ დოლარს მიაღწია და მასში რუსეთის წილმა 44%-ს გადააჭარბა. ამ მხრივ, რეკორდული მაჩვენებლები დაფიქსირდა 2014 წელს. ღვინის ექსპორტმა საქართველოდან 180 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან, მხოლოდ რუსეთში 111 მლნ აშშ დოლარის ღვინის ექსპორტი განხორციელდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ორი ფაქტი. პირველი - ასეთი მაღალი მაჩვენებლები ნაწილობრივ გამოწვეული იყო ღვინოზე საექსპორტო ფასის გაზრდით და მეორე - მიუხედავად რეკორდული ღირებულებისა, რუსეთის წილი ღვინის ექსპორტში (62%) არ წარმოადგენდა ისტორიულ მაქსიმუმს, რომელიც დაფიქსირდა 2005 წელს - 77%.

სამწუხაროდ, 2015 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოდან ღვინის ექსპორტი თითქმის განახევრდა და რუსეთის წილი 45%-მდე შემცირდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2015 წლიდან ექსპორტის საერთო დონის შემცირებასაც ჰქონდა ადგილი. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, საქართველოდან მხოლოდ 66 მლნ აშშ დოლარის ღვინო იქნა ექსპორტირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეისათვის რუსეთი საქართველოდან ღვინის ექსპორტის 48%-იანი წილის მფლობელია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს „ჩრდილოეთის ბაზრის“ მნიშვნელობას ქართული ტრადიციული დარგის აღორძინების სტიმულირებისათვის.

ფაქტია, რომ ქართული ღვინისთვის რუსეთის ბაზრის პერსპექტივა ილუზიიდან კვლავ რეალობად იქცა. თუმცა, საინტერესოა, რამდენად არის იმპორტირებულ ღვინოზე მოთხოვნა რუსეთის ბაზარზე და რამდენად მაღალია ამით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. ამის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტატისტიკური მონაცემები რუსეთის ფედერაციის ღვინის ბალანსის შესახებ [4] (ცხრილი 2). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ინფორმაცია 2011 წლის პერიოდს ეკუთვნის, ზოგადი ტენდენციების გამოვლენაში ეს მონაცემები, მაინც დიდ დახმარებას გაგვიწევს.

ღვინის ბალანსი რუსეთში [4]				**ცხრილი 2.**
	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი
	მლნ ლიტრი			%
2011	696	726	1	49
2010	761	735	2	51
2009	501	509	1	50
2008	503	470	2	52
2007	513	446	4	54
2006	474	402	23	56

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ რუსეთში ღვინით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არც თუ ისე მაღალია და მეტიც, 2006 წლიდან ეს მაჩვენებელი თანაბრადკლებადი ტენდენციით ხასიათდება. 2011 წლის მონაცემებით ის მხოლოდ 49%-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ღვინოზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება 51%-ით იმპორტის ხარჯზე ხორციელდება.

ასეთ პირობებში ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული საქართველოს შესაძლებლობა, საკუთარი წარმოების ღვინით რამდენად შეუძლია დააკმაყოფილოს როგორც ქვეყნის შიდა მოთხოვნა, ასევე, განახორციელოს მისი ექსპორტიც. ამის გარკვევის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს ყურძნის ბალანსის მონაცემები, რომელის თანახმად, 2014 წელს საქართველოში ყურძნით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 141%-ია და დინამიკაც ცხადყოფს, რომ ეს მაჩვენებელი ტრადიციულად საკმაოდ მაღალია. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს ქართული ღვინის საკმაოდ მაღალ შანსს თავი დაიმკვიდროს არა მხოლოდ რუსეთის ბაზარზე, არამედ მაღალი ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეძლოს ახალი ბაზრების ათვისებაც.

მეორე პოზიციას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მინერალური წყლები იკავებს, რომლის საწარმოებლად საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია. ჩვენი ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, ამასთან, ეს რესურსი საკმაოდ კარგი ხარისხისაა და მაღალი მინერალიზაციით ხასიათდება.

მინერალური წყლის ექსპორტის დინამიკა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ამ საქონლის ექსპორტმა მაქსიმალურ ნიშნულს 2014 წელს მიაღწია და 137.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთის წილი მინერალური წყლების ექსპორტში ემბარგომდე 70%-ს აჭარბებდა. ემბარგოს მოხსნის შემდეგ, 2014 წელს, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 48%-ით განისაზღვრა. ისევე, როგორც ღვინის შემთხვევაში, ექსპორტის კლების საერთო ტენდენციის ფონზე, მინერალური წყლების ექსპორტის მოცულობაც შემცირებულია. 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, რუსეთის წილი მინერალური წყლების ექსპორტში 45%-ს აღწევს.

დიაგრამა 3.



* წინასწარი მონაცემები.

მინერალური წყლების ექსპორტის დინამიკას, უმსხვილესი ქვეყნების ჭრილით, კარგად ასახავს დიაგრამა 3. საექსპორტო ქვეყნების პირველ ხუთეულს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ემბარგოს შემდეგ, 2006 წელთან შედარებით მინერალური წყლების ექსპორტი საქართველოდან კვლავ გაიზარდა და ემბარგოს მოქმედების პერიოდში უკრაინამ, ფაქტობრივად, ჩაანაცვლა რუსეთის ბაზარი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემბარგოს მოხსნის შემდეგ რუსეთმა კვლავ აღიდგინა ლიდერის პოზიცია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ბაზარი ამ დარგისთვისაც საკმაოდ მიმზიდველია.

ბოლო წლების ინფორმაციით, რუსეთთან ექსპორტში მესამე პოზიციას მყარად იკავებს ფეროშენადნობები. რუსეთის მხრიდან ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტზე ემბარგოს დაწესებამ, ამ სამრეწველო საქონელზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, თუმცა მისი გაუქმების შემდეგ აშკარა პოზიტიური ძვრები შეიმჩნევა ფეროშენადნობების ექსპორტში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წილობრივი მონაცემები 2000-2006 წლებში საშუალოდ 27% იყო, ხოლო 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით მხოლოდ 17%-ს შეადგენს, ზრდის ტენდენცია უდავოდ იმედის მომცემია.

უმსხვილეს საექსპორტო საქონელში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ თხილს. საქართველოსთვის თხილი სტრატეგიული საექსპორტო დარგია. ჩვენი ქვეყანა თხილის მწარმოებელი მსოფლიოს უმსხვილესი ქვეყნების ხუთეულში შედის და არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროკავშირის ბაზარზეც ერთ-ერთ მსხვილ მიმწოდებლად ითვლება.

კაკლოვანი კულტურებისა და მშრალი ხილის მსოფლიო კონგრესის (World Nuts and Dried Fruit Congress) ანგარიშის [3] თანახმად, 2012 წელს საქართველოს თხილის მწარმოებელ ქვეყანათა რეიტინგში მეხუთე ადგილი ეკავა (თურქეთის, იტალიის, აშშ-სა და აზერბაიჯანის შემდეგ). 2013 წლისათვის,

ერთი ადგილით წინ გადაინაცვლა და მეოთხე ადგილი დაიკავა (ჩამოიტოვა აზერბაიჯანი). რაც შეეხება ექსპორტს, საქართველო რეიტინგით მესამე ექსპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში თურქეთის და იტალიის შემდეგ. როგორც ვხედავთ, თხილის წარმოებისა და ექსპორტის კუთხით საქართველო მსოფლიო ბაზარზე წინ მიიწევს და საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს.

თხილის ექსპორტმა რუსეთში რეკორდულ მაჩვენებელს 2005 წელს მიაღწია და 13.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ პერიოდში რუსეთის წილი თხილის ექსპორტში 20%-ს უდრიდა. ემბარგოს შემოღების შემდეგ, 2010-2013 წლებში, თხილის გატანა მეზობელ ქვეყანაში საერთოდ შეწყდა. ემბარგოს გაუქმების შემდეგ, 2015 წლის მონაცემებით, თხილის ექსპორტმა რუსეთთან მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა და მისი ექსპორტის მოცულობაც საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა რუსეთის წილი მხოლოდ 6%-ით შემოიფარგლა. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით რუსეთის წილი10%-მდე გაიზარდა.

ქართული თხილის ექსპორტიორ ქვეყნებში ტრადიციულად ლიდერობს გერმანია, იტალია და ესპანეთი (დიაგრამა 4).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თხილის ექსპორტში რუსეთის წილი საკმაოდ არის შემცირებული, თუმცა არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, მაღალია არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან ჩრდილოეთის მიმართულებით თხილის გატანის ალბათობა. რაც შეეხება თხილით რუსეთის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს, FAO-ს მონაცემებით [4], მისი სიდიდეც მცირეა და ტენდენციაც კლებადი. შედარებისთვის, 2011 წელს საქართველოში თხილის წარმოებამ 31.1 ათასი ტონა შეადგინა, მაშინ როცა იმავე პერიოდის მაჩვენებელი რუსეთში 13 ათას ტონას აღწევს.

ასე, რომ საქართველოს თხილის წარმოების პოტენციალის და პროდუქციის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლოა რუსეთის ბაზარი კვლავ დაინტერესდეს ქართული თხილის იმპორტის გაზრდით, რაც ისედაც მზარდ დარგს მომავლის უკეთეს პერსპექტივას შეუქმნის.

დიაგრამა 4.



* წინასწარი მონაცემები

რუსეთთან ექსპორტში მეხუთე პოზიციაზე მყოფი სპირტიანი სასმელების ექსპორტში, ზოგადად ქვეყნის მასშტაბით, ბოლო წლების მანძილზე კლება შეინიშნება, თუმცა სპირტიანი სასმელები ათეულში მუდმივად ფიგურირებს. 2015 წლის მონაცემებით, რუსეთის წილი 16%-ს შეადგენდა. მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული იყო 2000-2005 წლებში, როცა რუსეთი ლიდერის პოზიციას იკავებდა. ამ პერიოდში მისი წილი სპირტიანი სასმელების მთლიან ექსპორტში 64-87%-ის ფარგლებში მერყეობდა.

რუსეთში სპირტიანი სასმელების ექსპორტის დინამიკას თვალსაჩინოდ ასახავს დიაგრამა 5. უნდა აღინიშნოს, რომ ემბარგოს გაუქმების შემდგომ პერიოდში, სპირტიანი სასმელების ექსპორტის ზრდა ძირითადად ფასების მატებით არის გამოწვეული.

საინტერესოა, აქვს თუ არა მეხუთე უმსხვილეს პროდუქციას რუსეთის ბაზრის კვლავ ათვისების შანსი?

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ინფორმაციით [4], რუსეთში სპირტიანი სასმელებით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დინამიკაში საკმაოდ მაღალია და 2011

წელს 92%-ს შეადგენდა. ამგვარად, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული სპირტიანი სასმელების მოცულობის დინამიკის და ამ პროდუქტის წარმოებაში ჩრდილოელი მეზობლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, რუსეთის მიმართულებით სპირტიანი სასმელების ექსპორტის გაზრდაზე დიდი იმედები არ უნდა დავამყაროთ.

დიაგრამა 5.



* წინასწარი მონაცემები.

განსხვავებული ტენდენცია იკვეთება ციტრუსის ექსპორტში. ემბარგოს მოხსნის შემდეგ, რუსულ ბაზარზე ქართული ციტრუსის ექსპორტის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა და 2015 წელს რუსეთის წილმა 72% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2014-2015 წლებში, საქართველოდან ციტრუსის ექსპორტის კლების ფონზე, რუსეთში ექსპორტის მაჩვენებლები პირიქით, იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ციტრუსის წარმოებაში რუსეთთან შედარებით აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია [4], 2009-2012 წლებში რუსეთის ბაზარი ქართული ციტრუსისთვის საფუძვლიანად იყო დაკეტილი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქართველ ფერმერებს.

ტერიტორიული სიახლოვის გამო მცირე სატრანსპორტო დანახარჯების და საქონლის გზაში გაფუჭების დაბალი რისკის, ასევე, საგემოვნო სპეციფიკაციის და საქართველოში ციტრუსის მოყვანის პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოს რუსეთის ბაზარზე დამკვიდრების უზარმაზარი შანსი გააჩნია, რასაც ჩვენი ქვეყანა წარმატებით იყენებს კიდეც.

ზემოაღნიშნული დასკვნებისა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე ქვეყანამ კვლავაც უნდა გაატაროს ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა. 2012 წლის შემდეგ "ნორმალიზაციის" პროცესისა და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების თანდათანობით აღდგენის შედეგად, ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები საგრძნობლად გაღრმავდა.

საქართველოს მთავრობა, რომელიც დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია რუსეთსა და ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ურთიერთშეთავსება, არ ელის რაიმე "დრამატულ ცვლილებებს" ქართულ-რუსულ ეკონომიკურ ურთიერთობებში. თუმცა, თანამედროვე გამოწვევები საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში მეტ დივერსიფიკაციას მოითხოვს, რათა რუსეთის ბაზარზე ზედმეტმა მიჯაჭვულობამ მომავალში კვლავაც არ შექმნას პოტენციური საფრთხის წინაპირობა.

უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ასევე, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების გაძლიერება-განვითარებას, ეროვნული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და მის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან.ამის შედეგად გაიზრდება ქართული საქონლის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რაც თავის მხრივ, მეტად წაახალისებს ექსპორტს და შექმნის ეროვნული წარმოების საქონლის მხრიდან არა მხოლოდ ჩრდილოეთის, არამედ მსოფლიოს წამყვან ბაზრებშე შეღწევის და დამკვიდრების პერსპექტივას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარშავა ქ., ძებისაური ლ., რუსეთის ბაზრის პერსპექტივა – ილუზია თუ რეალობა?, ჟ. "ეკონომიკა", თბ., 2013 წ.,№11-12
2. http://topnews.mediamall.ge/?id=63178
3. http://forbes.ge/blog/127/qarTuli-Txilis-bazris-analizi
4. http://faostat3.fao.org/faostat-gateway/go/to/download/FB/*/E
5. Geostat.ge

Perspective and Tendencies of Russian Market for Georgia after Embargo

K. Marshava
L. Dzebisauri

Summary

Georgian-Russian trade-economic relations always were and still remain to be the centre of interest of the government, business entities, scientist and analysts.

The years after Russian embargo were hard for Georgian production, but it played significant role to push government exploring new markets for the export of national products.

Following a six-year ban from Russia, Georgian wine was facing an uphill battle in the market and experts were thinking that it was unlikely to regain its former glory. But after embargo the situation turned from "myth" into reality not only for Georgian wine, but for many other domestic products like mineral waters, nuts and citruses as well.

It is obvious, that Georgian government has to keep export-oriented trade policy. Modern challenges require greater diversification in trade relations. Also it's extremely important to move trade-economic relations between Georgia and Russia to a new level to avoid potential danger prerequisite in future.

Key words: *Exports, imports, embargo, statistics, analysis, market, tendency, exported product.*

ინფორმაციული ნაკადების ოპტიმიზაცია და სრულყოფა ორგანიზაციაში სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მაგალითზე

მიხეილ მაჩიტიძე,
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა,
SCADA-ს სერვერების ადმინისტრირების
განყოფილების უფროსი

შორენა დავითაია
პროფესორის ასისტენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიის მიზანია წარმოაჩინოს თუ რამდენად აუცილებელია კომუნიკაციური ტექნოლოგიების ოპტიმიზაცია და განვითარება კომპანიებში. სტატიაში ჩამოყალიბებულია კომუნიკაციის არსი, მისი როლი ორგანიზაციის განვითარებაში, განხილულია კომუნიკაციის ნაკადები და შემოთავაზებულია მათი ოპტიმიზაციისთვის საჭირო ტექნოლოგია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის " მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: *კომუნიკაცია, კომუნიკანტები, კომუნიკაციური ნაკადი, კომუნიკაციური ნაკადების სახეობები, ოპტიმიზაცია და სრულყოფა, ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგია.*

ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ აზრს, ცოდნას, გამოცდილებას, თავიანთი საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს შესახებ. ეს ყველაფერი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ინფორმაცია, ხოლო თვითონ კომუნიკაცია - როგორც ინფორმაციის გაცვლის პროცესი. ვინაიდან ინფორმაციის გაცვლის პროცესი აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში, კომუნიკაციას ხშირად უწოდებენ თანამედროვე მართვის სისტემების მთავარ დამაკავშირებელ რგოლს. ნებისმიიერი მმართველის მთავარი ინსტრუმენტი არის ინფორმაცია, რომელსაც ის ფლობს. მისი საშუალებით იგი ორგანიზებულად მართავს თავის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციულ სტრუქტურებს, ასევე ამაღლებს მოტივაციას თავის თანამშრომლებს შორის. მენეჯერმა ინფორმაციის გადაცემისას, უნდა გამოიყენოს ისეთი კომუნიკაციის არხები, რომ ინფორმაცია მარტივად აღწევდეს ადრესატამდე და იყოს ადვილი აღსათქმელი. თუ კომპანიაში არ არსებობს კომუნიკაციის დალაგებული სისტემა, შეუძლებელია ამ კომპანიის თანამშრომლებმა გუნდური სამუშაო შეასრულონ და მიაღწიონ დასახულ მიზნებს[3, გვ.35].

კომუნიკაცია იძლევა საშუალებას ორგანიზაციაში შექმნილი სიტუაციის მიხედვით მიღებული იქნეს საჭირო გადაწყვეტილებები, განხორციელდეს ცვლილებები კომპანიის მიმდინარე გეგმებში, ასევე - ინფორმაციის გაცვლა მმართველ გუნდსა და კომპანიის თანამშრომლებს შორის. აქედან გამომდინარე, მენეჯერებმა და თანამშრომლებმაც უნდა იცოდნენ კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების კონცეფციები, რომ შეძლონ საჭირო დროს მიიღონ კომპანიის განვითარებისთვის აუცილებელი გადაწყვეტილებები მათი პასუხისმგებლობის საზღვრებში[5, გვ.109].

თანამედროვე მენეჯმენტში კომუნიკაცია ავტორებთან განისაზღვრება სხვადასხვანაირად. თუმცა, არსებობს კომუნიკაციის განსაზღვრების სამი ძირითადი ინტერპრეტაცია:

1. კომუნიკაცია წარმოადგენს ობიექტებს შორის კავშირის საშუალებას, ანუ - წინასწარ განსაზღვრულ სტრუქტურას;
2. კომუნიკაცია არის ურთიერთობა, რომლის პროცესში ინდივიდები ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას;
3. კომუნიკაციაში იგულისხმება დიდი მასის ინფორმაციის გადაცემა/გავრცელება საზოგადოებაში, მის კომპონენტებზე ზემოქმედების მიზნით[6, გვ.78].

ამგვარად, თეორიულ კვლევებში, კომუნიკაცია განიხილება, როგორც ერთჯერადი მოქმედება ან ურთიერთქმედება, ან როგორც პროცესი, რომელშიც კომუნიკანტები, რიგრიგობით და უწყვეტად გამოდიან ინფორმაციის გადამცემ და მიმღებ ობიექტებად.

ფართო გაგებით, კომუნიკაციის მიზანია კომპანიის განვითარებისთვის აუცილებელ საქმიანობაზე ორიენტირება და ცვლილებების განხორციელება წარმატებისათვის. აქედან გამომდინარე არსებობს კომუნიკაციის ორი ფუნქცია: ინფორმაციული და პირადული. პირველი ახორციელებს ინფორმაციის მოძრაობის პროცესს, მეორე - პიროვნებების ურთიერთქმედებას. ეს ორი ფუნქცია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ვინაიდან ობიექტების ურთიერთქმედება დიდწილად დამოკიდებულია ინფორმაციის მოძრაობაზე, თუმცა კომუნიკაციის პროცესის წარმოქმნა დამოკიდებულია არამხოლოდ ინფორმაციის გაცვლაზე, არამედ პიროვნულ შეფასებებსა და ინდივიდუალურ ინტერპრეტაციებზე.

უფრო ვიწრო გაგებით, კომუნიკაციის მიზანი ორგანიზაციებში შემდეგია:

1. ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება მმართველ სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის;
2. ემოციური და ინტელექტუალური იფორმაციის გაცვლის პროცესის დამყარება;
3. ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის კავშირის დამყარება;
4. საერთო მიზნების, ამოცანების და გეგმების ჩამოყალიბება;
5. გუნდური მუშაობის პრინციპების ჩამოყალიბება.

მენეჯერი მთლიან ინფორმაციას გადასცემს კომუნიკაციური ნაკადებით (საინფორმაციო არხებით), რაც არსებობს ორგანიზაციაში, როგორც შიგა (სტრუქტურის შიგნით), ასევე გარე სამყაროსთან ურთიერთობისთვის.

კომუნიკაციურ ნაკადებს მართვის სისტემაში აქვს შემდეგი კლასიფიკაცია:

1.მართვის სისტემასთან მიმართებით:

- შიგა;
- გარე;

2.მიმართულების მიხედვით:

- ვერტიკალური:

- ქვემოდან-ზევით;
- ზევიდან-ქვემოთ;

- ჰორიზონტალური:

- სტრუქტურის შიგნით (განყოფილებების, სამსახურებს შორის);
- კონკრეტული ერთეული სტრუქტურული ნაწილის შიგნით (განყოფილების, სამსახურის შიგნით);

3.გადაცემის მიხედვით:

- ფორმალური ;
- არაფორმალური [7, გვ.76].

განვიხილოთ თითოელი კლასიფიკაცია:

1. კომუნიკაციური ნაკადი მართვის სისტემასთან მიმართებით.

გარე კომუნიკაციები. გარე კომუნიკაციური ნაკადებია - ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები და საშუალებები კომპანიასა და გარე სამყაროს შორის. თითეულ ორგანიზაციას გააჩნია თავისი გარე სამყარო, რომელთანაც ის ურთიერთქმედებს. ასეთი კომუნიკაციური პროცესის დროს ხდება ინფორმაციის გაცვლა, მყარდება კავშირი სხვა ორგანიზაციებთან, საზოგადოებასთან, მომხმარებლებთან, დისტრიბუტორებთან. ასევე ყალიბდება კომპანიის იმიჯი და წყდება ზოგიერთი მარკეტინგული საკითხი.

შიგა კომუნიკაციებში იგულისხმება ინფორმაციული, ანალიტიკური, კომუნიკაციური და ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციის ეფექტიან მუშაობაზე.

2. კომუნიკაციური ნაკადების კლასიფიკაცია მიმართულების მიხედვით.

ვერტიკალური კომუნიკაციური ნაკადები - განსაზღვრავს ურთიერთობებს ინფორმციის გაცვლას მმართველ გუნდსა და თანამშრომლებს შორის. იგი იყოფა ორ ნაწილად: ზევიდან-ქვევით და ქვევიდან-ზევით (უკუკავშირი).

ნაკადები ზევიდან-ქვევით შეიცავს ბრძანებებს, დავალებებს, მიზნებს და დირექტივებს, რომელსაც იძლევა მმართველი გუნდი და განკუთვნილია თანამშრომლებისთვის.

ნაკადები ქვევიდან - ზევით - არის ინფორმაცია, რომელსაც ღებულობს მმართველი გუნდი ქვედა ეშელონებიდან, რათა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება, მიზნების კორექტირება და ახალი საქმიანობის დაგეგმვა.

ჰორიზონტალური კომუნიკაციური ნაკადების საშუალებით ურთიერთმედებენ სტრუქტურულად თანაბარ დონეზე მდგომი სუბიექტები, ერთ ან რამდენიმე სტრუქტურული დანაყოფის შიგნით.

3.კომუნიკაციური ნაკადები გადაცემის მიხედვით ორი სახეობისაა:

- ფორმალური;
- არაფორმალური.

ფორმალური ეწოდება ნაკადებს, რომელთა გადაცემა ხორციელდება წინასწარ, სტრუქტურულად განსაზღვრული რეგლამენტის მიხედვით ან სუბორდინაციის დაცვით. მაგალითად, ფორმალური კომუნიკაციური ნაკადი არის ურთიერთობა კომპანიის შიგნით მენეჯერსა და მის დაქვემდებარებაში მყოფებს შორის.

არაფორმალური კომუნიკაციები წარმოიქმნება სპონტანურად. ისინი დამოკიდებულია პიროვნულ ურთიერთობებზე. ის შეიძლება წარმოიქმნას, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ისე მის გარეთ არაფორმალურ გარემოში[5,გვ. 97].

კომუნიკაციის დღევანდელი მოდელი არის უფრო სრულყოფილი, ვინაიდან ასახავს კომუნიკაციას როგორც პროცესს. განსახვავება მდგომარეობს მხოლოდ სახაზო და ცირკულირებადი კავშირების არარსებობაში, ხოლო თანხვედრა მდგომარეობს ინფორმაციის გადამცემის და მიმღების არსებობაში. კომუნიკაციის პროცესის მთავარი მიზანია უზრუნველყოს ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიტანა მიმღებამდე. თუმცა ინფორმაციის გაცვლა არ იძლევა ეფექტურ ურთიერთქმედებას ინფორმაციის გამცვლელ პიროვნებებს შორის. უკეთესად რომ გავიგოთ ინფორმაციის გაცვლის პროცესი და ამ პროცესის ეფექტურობა, უნდა გვქონდეს წარმოდგენა პროცესის ეტაპებზე, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი სუბიექტი.

ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიის სრულყოფისთვის იყენებენ შემდეგ მეთოდებს:

1. ინფორმაციის შეგროვება;
2. დიაგნოსტიკა;
3. აღმოჩენილი პრობლემების ანალიზი.

ინფორმაციის შეგროვების მეთოდი ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

გამოკითხვა - ინფორმაცის შეგროვების მეთოდია კომპანიაში არსებული პრობლემების შესახებ. ის შეიძლება ჩატარდეს, როგორც ანკეტების საშუალებით, ასევე ინტერვიუს სახით. გამოკითხვის დროს, ვარაუდის დონეზე, ინფორმციის გადაცემისას ორგანიზაციაში ვლინდება პრობლემები [4, გვ. 123].

სისტემის დიაგნოსტიკის მეთოდი მოიცავს ცდების ჩატარებას, რომლის პროცესშიც გამოვლინდება პრაქტიკული პრობლემები ინფორმაციის გაცვლაში.

ანალიზის მეთოდი ეს არის გამოვლენილი პრობლემების დამუშავება, რომელიც აღმოჩენილია გამოკითხვებისა და ცდების ჩატარების შემდგომ. მოცემული მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ პრობლემების წარმოქმნის მიზეზები ინფორმაციის გადაცემის პროცესში და შემდგომში შემუშავდეს გეგმა ამ ხარვეზების აღმოფხვრისთვის ან გადაცემის სრულყოფისათვის.

ოპტიმალური ვარიანტის ამოსარჩევად, ცდების შედეგების გარდა, ყურადღება ექცევა ასევე შემდეგ ფაქტორებს:

1. არჩეული ვარიანტი რამდენად შეესაბამება ორგანიზაციის სტრუქტურას;
2. სამუშაოს უკეთესად შესრულება რამდენად შეუწყობს ხელს თანამშრომლების მოტივაციას;
3. რა პროგრამული უზრუნველყოფაა საჭიროა მისი ეფექტური მუშაობისთვის;
4. ეკონომიკური გათვლები მოცემული პროექტის დანერგვის და ექსპლუტაციისთვის.

ვარიანტის არჩევის შემდგომ, კომუნიკაციური ნაკადების სრულყოფისთვის, ხორციელდება მისი რეალიზაცია, ანუ მოცემული პროექტის დანერგვა ორგანიზაციის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ხდება მისი მონიტორინგი, დაკვირვების გზით:

- რამდენად გაუმჯობესდა კომუნიკაციური ნაკადები ორგანიზაციაში;
- რამდენად უფრო სწრაფი გახდა ინფორმაციის მიმოცვლა;
- რამდენად გაიზარდა თანამშრომლების ეფექტურობა ინფორმაციის გაცვლის, გადაცემის ან დოკუმენტების მოძიების დროის შემცირების შემდეგ;
- რამდენად იმოქმედა მოცემულმა პროექტმა პიროვნულ ურთიერთობებზე თანამშრომლებს შორის;
- რამდენად დაიხვეწა კომუნიკაციური ნაკადები გარე სამყაროსთან ურთიერთობისას.

მოცემული ვარიანტის რეალიზაციის ბოლო ეტაპი არის მონიტორინგის შედეგების ანალიზი. თუ აღმოჩენილ იქნა რაიმე ხარვეზები, აუცილებელია მიღებული ვარიანტის გადამუშავება, რადგან ავიცილოთ უფრო დიდი პრობლემები მომავალში.

ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის, აუცილებელია ზუსტი წარმოდგენა გვქონდეს ორგანიზაციის სტრუქტურაზე, მის საქმიანობასა და გარემოზე. ზემოთ აღწერილი მეთოდებიდან თუ ვიყენებთ სამ კომპონენტს: ვარიანტების ანალიზს, დიაგნოსტიკასა და დამუშავებას, კომუნიკაციური ნაკადების სრულყოფისთვის, მაშინ ორგანიზაციაში კომუნიკაციის ეფექტურობა გაიზრდება ძალზე სწრაფად[7, გვ. 212].

ს.ს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (სსე) არის სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სააქციო საზოგადოება, რომელიც ჩამოყალიბდა 2002 წელს შპს "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და სს "ელექტროგადაცემის" შერწყმის საფუძველზე. სსე უზრუნველყოფს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის გადაცემას (ტრანსპორტირებას, ტრანზიტს) და ამავდროულად წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ერთადერთ ლიცენზიანტს. სსე საქართველოში მოხმარებულ ელექტროენერგიაზე გადაცემა-დისპეტჩერიზაციის მომსახურებას უწევს დაახლოებით 60-მდე სხვადასხვა პროფილის მქონე კვალიფიციურ საწარმოს. [8]

ს.ს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (სსე) მართველობის სტილი შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ლიბერალური. ინფორმაციის გაცვლის კულტურა მთლიანად დამყარებულია საერთო მიზნებსა და მათი მიღწევისთვის აუცილებელ ურთიერთქმედებაზე. კომპანიის სტრატეგიული მიზნები არის მასშტაბური და ამბიციური. სსე-ს გააჩნია ყველა აუცილებელი ტექნიკური საშუალებები საკუთარი კომუნიკაციური სტარტეგიის განვითარებისა და სრულყოფისთვის: შიგა სატელეფონო კავშირი, კომპიუტერული ქსელი, ელექტრონული ფოსტა შიგა და გარე ურთიერთობებისთვის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა და ა.შ.

ეფექტური კომუნიკაციის პროცესის მისაღწევად, კომპანიის მიზანია:

- კომპანიის საერთო სამუშაო წარმადობის გაზრდა მჭიდრო თანამშრომლობის ხარჯზე და ინფორმაციის უწყვეტი გაცვლა, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ნაკადებით;
- კონტროლის გაზრდა სამუშაოს შესრულებისას კომპანიის მმართველი გუნდის მხრიდან;
- მმართველის გუნდისთვის სწრაფად და ეფექტურად ინფორმაციის მიწოდების დონის ამაღლება.

სსე-ს კომუნიკაციური სტრატეგია ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- კომპანიის თანამშრომლებს შორის ურთიერთნდობის მაღალ დონეზე განვითარება;
- ინფორმაციის სწრაფი გაცვლა როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ნაკადებით;
- თითოეული თანამშრომლის კმაყოფილებაზე ზრუნვა;
- ერთიანი გუნდური სულის ჩამოყალიბება;
- სამუშაოს შესრულება კონფლიქტების გარეშე;
- ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა;
- ელექტრონული კომუნიკაციების სრულყოფა.

კვლევების ჩატარების შედეგად სსე-ში აღმოჩენილ იქნა ინფორმაციის გაცვლის პროცესში დროსთან დაკავშირებული რამდენიმე ხარვეზი :

- მაღალი რანგის და სახაზო მენეჯერებს შორის ინფორმციის გადაცემა-მიღებაში დროის პრობლემა;
- საერთო ელექტრონული არქივის არარსებობა, რაც ზრდის საჭირო ინფორმაციისთვის დროის მოძიებას;
- სათაო ოფისსა და რეგიონებს შორის არაეფექტურად და ნელი ტემპით ინფორმაციის მიმოცვლა.

კომუნიკაციური პროცესის სრულყოფისთვის მაღალი რანგის და სახაზო მენეჯერების დანარჩენ თანამშრომლებთან ურთიერთობისთვის აუცილებელია ხშირი თათბირების გამართვა, სადაც მოხდება განხილვა ამ თუ იმ პროექტის მიმდინარეობაზე, ჯამდება გასული წლის ან კვარტლის შედეგები და ასევე მოსმენილი იქნება სხვა თანამშრომლების იდეები, რაც გაზრდის მათ მოტივაციას და კმაყოფილებას, რაც ასევე გამოადგება კომპანიას განვითარებისთვის. ასევე შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით იგზავნებოდეს შემაჯამებელი ანგარიშები, სადღესასწაულო და დაბადების დღის მილოცვები, ასევე ინფორმაცია დაგეგმილი პროექტების შესახებ. აგრეთვე აუცილებელია არაფორმალური ურთიერთობების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლებს შორის პიროვნული ურთიერთობების გაღრმავებას, ერთმანეთისადმი ნდობას და საშუალებას მისცემს ერთობლივი ძალისხმევით მიაღწიონ კომპანიის მიერ დასახულ მიზნებს.

კომუნიკაციის პროცესის სრულყოფისთვის აუცილებელია ერთიანი ელექტრონული არქივის შექმნა, სადაც შეინახება ყველა ნორმატიული აქტი, წესდება, დებულება, კონტრაქტი თუ ინფორმცია პრო-

ექტების შესახებ. ეს საშუალებას მისცემს თანამშრომლებს ზედმეტი დროის დახარჯვის გარეშე იპოვოს საჭირო დოკუმენტაცია და ერთი-ორად შეამცირებს დროში სამუშაოს შესრულება.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გაზრდის სამუშაოს ეფექტურობას, არის ვიდეოკონფერენციების ჩატარება რეგიონებში არსებულ ოფისების მენეჯერებთან. ეს ერთი-ორად გაზრდის მმართველი გუნდის ინფორმირებას რეგიონებში არსებული მდგომარეობების შესახებ, ასევე მიიღებენ ინფორმაციას არსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ პირველი წყაროდან, რაც საშუალებას მისცემს მათ სწრაფად მოახდინონ რეაგირება ხარვეზებზე და შეიტანონ ცვლილებები არსებულ გეგმებში.

ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში გაიზრდება თანამშრომლების კმაყოფილება, მათ მიერ შესრულებული სამუშაო კი იქნება უფრო ეფექტური და დროში ოპტიმიზირებული, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კომპანიის განვითარებას.

ამგვარად, კომუნიკაცია წარმოადგენს მძლავრ იარაღს მენეჯერის ხელში, რის საშუალებითაც ის ახორციელებს კომპანიის მართვას, შეაქვს კორექტივები პროექტებსა და გეგმებში. სწორად წარმოებული კომუნიკაციური პროცესი სრულყოფილს ხდის კომპანიის მმართველობას და ხელს უწყობს მის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бардиер Т.Л. Бизнес-психология.– М.: Генезис, 2012.-412с.
2. Джей Р., Темплер Р. Энциклопедия менеджера: Алгоритм эффективной работы. Пер. с англ. 2-ое изд.–М.: Альпина, Бизнес Букс, 2009. -676с.
3. Кнорринг В.И. Теория, практика и искусство управления: Учебник.– М.: Норма, 2009.-544с.
4. Кузнецов Ю.В. Проблемы теории и практики менеджмента.– СПб.: СПбГУ, 2011.-418с.
5. Коммуникационный менеджмент: Учебное пособие/Под ред. В.М. Шепеля.– М.: Гардарики, 2011.-352 с.
6. Спивак В. А. Корпоративная культура: Ключевые вопросы.– СПб.: Питер, 2011. -352с.
7. Технологии корпоративного менеджмента: Учебное пособие. Под ред. И.В. Мишуровой, Н.Ф. Новоселской.– М.: ИКЦ МарТ, 2011.-418с.
8. Маслоу Абрахам. Мотивация и личность 3-е изд.– СПб.: Евразия, 2009.-352с.
9. www.gse.com.ge - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კორპორატიული საიტი.

Optimization and Improvement of Information Flow in the Organization (the Example of "Georgian State Elektrosystem" jsc)

M. Machitidze
Sh.Davitaia

Summary

I consider the aims and plans of the approach of the GSE are chosen the right way.

For the Future it's possible some practical recommendations to be taken into considering which will decrease time and to reduce the vulnerabilities of data transfer and will make it more flexible and promote the development of company:

- Frequent meetings of senior and line managers, as well as a regular meetings with stuff;
- Creation of single electronic archive;
- Meetings with managers of regional offices via videoconferencing.

Communication process must be assessed in advance as a potential problem, for which it must be made an action plan and recourses to solve/absorb the problem, which will guarantee business continuity of the organization.

At present Communication process is a priority to any organization, as increased competition on the World market in Economical Globalization terms causes appropriation of the informational actives.

Key words: *communication, komunikantebi, communication flow, communication flows species, optimize and improve the flow of information technology.*

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება

გოჩა მენაფირე,
დოქტორანტი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სტატიაში მოყვანილია თეზის მნიშვნელობა და მისთვის დამახასიათებელი ფაქტორები, აღწერილია მსოფლიოში არსებული სხვადასხვა მაგალითები. ასევე, საკმაოდ ვრცლად არის განხილული თავისუფალი ზონების ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით, როგორც საქართველოში არსებული მდგომარეობა, ისე საერთაშორისო გამოცდილება, მათ შორის გავლებულია პარალელები, გაკეთებულია შედარებითი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, თავისუფალი ნავსადგური, ინვესტიციური შიმშილი.*

თავისუფალი ეკონომიკური ზონით (თეზ) დაინტერესებამ მთელ მსოფლიოში იმატა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ქვეყნები გამოყოფდნენ ისეთ ტერიტორიებს, სადაც მოქმედებდა სპეციალური შეღავათები, ისინი, რა თქმა უნდა, ინვესტიციების მოზიდვისთვის იყო გამიზნული. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან თითქოს დაკარგა აქტუალურობა, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოდან კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში. დღეისათვის ასეთი ზონა არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, არის როგორც ეფექტიანი, ასევე ნაკლებად წარმატებულიც. თეზების მნიშვნელობა და მათდამი ყურადღება განსხვავებულია ქვეყნების განვითარების დონიდან გამომდინარე. განვითარებულ ქვეყნებში მათი უმთავრესი დანიშნულებაა ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების "გამოცოცხლება", ხოლო რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ზონა არის ინვესტიციების მოზიდვის, ახალი ტექნოლოგიების შემოდინებისა და წარმოების განვითარების ინსტრუმენტი. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თეზს ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის მოუტანია კარგი შედეგები, რაც საბოლოოდ გამხდარა კიდეც ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარების საწინდარი. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია თეზის ჩამოყალიბების წესები, ისე მისი ხელმძღვანელობა, ფუნქციონირება, შეზღუდვები, კონტროლი, ვადები და სხვა. ზოგ ქვეყნებში განსაზღვრულია ჩასადები ინვესტიციის ქვედა ზღვარი: რუსეთში - 350 მლნ რუბლი, კოსტა–რიკაში - 150000 აშშ დოლარი და ა.შ. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ზოგგან სახელმწიფო სრულად იღებს თავის თავზე, ზოგან – ნაწილობრივ. მსგავსებები, რაც ზონების უმეტესობას ახასიათებს, არის: ტერიტორიის შემოსაზღვრა, ვადის დაწესება, საგადასახადო ტვირთის მნიშვნელოვნად შემსუბუქება ან საერთოდ გაუქმება. თეზების ისტორია გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა დროს იგი ჩამოყალიბდა მრავალ ქვეყანაში: ირანი, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი, პოლონეთი, აშშ, ბულგარეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები და ასე შემდეგ. ბრაზილიაში 1967 წელს შეიქმნა თავისუფალი სამრეწველო ზონა, რომლის მთავარი საქმიანობის სფერო იყო სათბობ–ენერგეტიკული დარგები. დაწესებული შეღავათების წყალობით, ზონა სწრაფად განვითარდა და გახდა "გამაჯანსაღებელი ინექცია" მთელი ეკონომიკისათვის. უმეტესწილად ეს განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ იქ დასაქმებული კომპანიები ორიენტირებული იყვნენ შიგა ბაზარზე. ნაწარმოები პროდუქციის მხოლოდ 3–5% იყო საექსპორტო. აშშ-ში თავისუფალი ზონების დაარსება დაიწყო 1930-იან წლებში. მთლიანობაში იქ საქმიანობს დაახლოებით 30000 ფირმა. მხოლოდ ნიუ-ორლეანის თეზში ირიცხება 40 ქვეყნის 120 საწარმო. იქაური პორტი ახერხებს მთელი ქვეყნის მომარაგებას ნავთობითა და ტროპიკული ხილით. ნიუ-იორკი-ნიუჯერსის თავისუფალ სავაჭრო ზონაში, რომელიც დაფუძნდა 1979 წელს, საქმიანობს 2500-ზე მეტი კომპანია და დასაქმებულია 34000-მდე ადამიანი. ზონა სპეციალიზებულია ქიმიური და ნავთობპროდუქტების წარმოებაზე, ციტრუსების ექსპორ-იმპორტზე და სხვა. ამით ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთელი ქვეყნის ეკონომიკაში. აშშ-ში ზონების შექმნისა და განვითარების ხარჯებს უზრუნველყოფს ფედერალური პროგრამა. ეს ინსტრუმენტი კარგად მუშაობს ადგილობრივი მეურნეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რითაც, ბუნებრივია, მთელი ეკონომიკა სარგებლობს. 2008 წელს, მთლიანობაში, ასეთი ზონებიდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა იყო 40 მლრდ დოლარი. დასავლეთი ევროპის ქვეყნებში, ბევრია თავისუფალი სავაჭრო ზონა. ისინი უმეტესად განლაგებულნი არიან, როგორც საზღვაო ასევე სამდინარო პორტებთან ახლოს და სარკინიგზო კვანძებზე. ამის მაგალითებია დანიაში - კოპენჰაგენი, ფინეთში - ტურკუ და ჰელსინკი, გერმანიაში - ბრემენი და ჰამბურგი, ავსტრიაში - ლინცი და გრაცი და ასე შემდეგ. რაც შეეხება აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებს - სინგაპურსა და ჰონკონგს, მათ თავისუფა-

ლი ზონების საშუალებით განავითარეს ახალი ტექნოლოგიები და შექმნეს ტექნოპოლისები, ამას მოჰყვა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, ფინანსური საშუალებების შედინება ქვეყანაში და სახელმწიფოს კარგი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ძალიან წარმატებული და პროდუქტიული თეზის მაგალითი აჩვენა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. ეს განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, მათგან შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი: მრავალრიცხოვანი, იაფი, ადვილად მართვადი მუშახელი. ტერიტორიის სიდიდე, რაც გამოყენებული იქნა გასაღების ბაზრად, მასთან სიახლოვე კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ზონის წარმატებას. პირველი თეზის ჩამოყალიბებამდე (1979 წელი) ჩინეთი ძალიან ღარიბი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა. თავისთავად ცხადია იქ არსებული მდგომარეობის „გამოყენება“ და ინვესტიციის დაბანდება მრავალ კომპანიას სურდა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაცია ამის საშუალებას არ იძლეოდა, ვინაიდან სახელმწიფო დღესაც არსებითად კომუნისტურია, მრავალი წლის განმავლობაში მას ერთი პარტია მართავს. თავისთავად ცხადია კონტროლი და ბარიერები საკმაოდ მაღალია, რაც ხელს უშლიდა ინვესტორს კაპიტალდაბანდებაში. ამის ფონზე, როგორც კი გაჩნდა „ეკონომიკური თავისუფლების კუნძულები“ თავისუფალი ზონების სახით, ფირმებმა მიიღეს რა გარკვეული შეღავათები და ბიზნესუსაფრთხოების გარანტია, დაიწყეს იქ საქმიანობა. ამაში მთავრობის როლი ძალიან დიდია, რადგან თეზებზე ზრუნვა მხოლოდ ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით არ დასრულებულა. მისი წარმატებისთვის ბიუჯეტიდან გაღებულ იქნა საკმაოდ სოლიდური ხარჯები. თუმცა, პირველ ეტაპზე ხდებოდა ისევ ჩინური წარმოშობის ფინანსური სახსრების აკუმულირება. დიდი ინვესტიციები შევიდა ჰონ–კონგიდან და ტაივანიდან, ამას მოჰყვა ინვესტორების მოზიდვა დანარჩენი სამყაროდან, რომლებიც კარგად იყენებდნენ ქვეყნის ზემოთ ნახსენებ უპირატესობებს: იაფი სამუშაო ძალა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, დიდი შიგა ბაზარი. ამით თვითონაც ხეირობდნენ და მთელი ეკონომიკის სწრაფად განვითარებასაც ხელს უწყობდნენ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ყველაფერმა გამოიწვია ქვეყნის უთანასწორო სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. თუ თეზებში ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი 28% აჭარბებს, ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი (800 მლნ) დღესაც სოფლად ცხოვრობს და სიღარიბის მსხვერპლია. ჩინეთის თეზის ეფექტიანობაზე კარგად მეტყველებს სტატისტიკური მაჩვენებლები. წარმატებულ თეზებზე მსჯელობისას შეუძლებელია არ ვახსენოთ არაბეთის გაერთიანებული სამეფო. “დუბაის სასწაულის“ სახელით ცნობილი, „ჯებელ ალი“. ის ერთ–ერთი საუკეთესო, მსოფლიო მნიშვნელობის თავისუფალი ზონაა. იგი დაარსდა XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. დღეისათვის იქ ფუნქციონირებს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი კომპანია. ამ კუთხით, ამხელა დადებითი შედეგები, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, გამოიწვია ნავთობის მარაგის ნაკლებობამ. (დუბაის სამეფოს გაცილებით მცირე ნავთობი გააჩნია სხვა საემირატოებთან შედარებით) ამ პირობებში ქვეყნის ხელმძღვანელობამ დაიწყო ფიქრი რესპუბლიკის სხვა კუთხით განვითარებასა და ეკონომიკაში ნავთობის წილის ჩანაცვლებაზე. როგორც ზონის, ასევე დუბაის პორტის 100% ეკუთვნის მთავრობას. მათ ფირმებს შესთავაზეს თავისთან დარეგისტრირება და საქმიანობა, რა თქმა უნდა ხელსაყრელი პირობების შექმნისა და საგადასახადო შეღავათების ფონზე. გამოიყენეს რა გეოგრაფიული მდებარეობა და ფინანსური რესურსი, შექმნეს სავაჭრო ცენტრი, რომლის უმთავრესი მიზანი თავდაპირველად იყო სპარსეთის ყურის ქვეყნებთან სასარგებლო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ანუ ძირითადად გათვლილი იყო რეგიონზე, მაგრამ იდეა გამართლებული და მომგებიანი აღმოჩნდა, ზონის მნიშვნელობა და საზღვრები გაფართოვდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა საოცრად წარმატებული თეზი. განვიხილოთ რა ვითარებაა ამ კუთხით ჩვენ მეზობელ თურქეთში. იქ თეზებმა ფუნქციონირება დაიწყეს 1987 წელს (იმ დროისთვის ჩვენი ეკონომიკა კვლავ საბჭოთა რეჟიმის მარწუხებში იყო მოქცეული) და დღეისათვის უკვე 21 ასეთი ზონა მოქმედებს. თურქული თავისუფალი ზონების დაარსების დეკლარირებული მიზნები იყო უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვა, რაც ორიენტირებული იქნებოდა წარმოების ამაღლებასა და ექსპორტის გაზრდაზე, რის შედეგადაც გაიზრდებოდა შემოსავლები მთელი ქვეყნის ეკონომიკაში. გამოიყოფა ორი სახის ზონები. ერთ შემთხვევაში სახელმწიფო თვითონ დებს ინვესტიციას ზონაში და იჯარით გადასცემს ზონის ადმინისტრატორ კომპანიებს, ხოლო მეორე ვარინტში თეზის მომწყობი ფირმები შეისყიდიან გარკვეულ ტერიტორიას და თვითონ უზრუნველყოფენ საჭირო ინფრასტუქტურას. ყველა ზონას ჰყავს თავისი დირექტორატი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ზონის შიგნით სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაზე, მაგალითად: პოლიცია, საბაჟო და სხვა. ადმინისტრაცია არ ერევა ზონის საქმიანობის პროფილის განსაზღრასა და სამუშაო პროცესის წარმართვაში. თითოეული კომპანია საკუთარ შესაძლებლობებსა და უპირატესობებზე დაყრდნობით წყვეტს რა ტიპის ლიცენზია მოიპოვოს. რაც შეეხება ვადებს, წარმოების შემთხვევაში ლიცენზიის ვადები მერყეობს 15-დან 30 წლამდე. საკუთარი ობიექტების მშენებლობის შემთხვევაში მაქსიმალური ვადაა 20 წელი, ხოლო უბრალოდ დაქირავებულ ფირ-

მებს პერიოდი განესაზღვრებათ 10 წლით. ზონის შიგნით არ არსებობს კონტროლი საქონლის ხარისხსა და ფასზე. გასაღების მიზნით, გამოშვებული პროდუქციის გატანა, შეიძლება როგორც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე, ასევე ნებისმიერ ქვეყანაში. იქ მიღებული მოგების გადარიცხვა ნებადართულია მსოფილიოს ნებისმიერ ქვეყანაში. არ არსებობს შეზღუდვები ვალუტაზე და ასევე დაშვებულია ბარტერული ოპერაციებიც. ორგანიზაციები, რომლებმაც საქმიანობა დაიწყეს 2004 წლის შემდეგ, შეღავათებით სარგებლობენ იმ საანგარიშო წლის ბოლომდე როდესაც თურქეთი გახდება ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მთავრობის ჩარევა და ბიუროკრატია უკიდურესად არის შემცირებული. თეზებმა, თურქეთში მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულეს საერთო ეკონომიკურ წინსვლაში. მხოლოდ 1988–1994 წლებში, ქვეყნის ბიუჯეტმა ზონებიდან მიიღო 400 მლნ აშშ დოლარი. თეზების ფორმირებისთვის დახარჯული თანხების ამოღება მოხერხდა პირველ 4 წელიწადში, ხოლო უკვე გახსნიდან 7 წლის შემდეგ შემოსავლები 4–5 ჯერ აჭარბებს ხარჯებს. გაუმჯობესდა, როგორც ქვეყანაში შექმნილი პროდუქციის ხარისხი, ასევე ექსპორტის მაჩვენებელი.

წარმატებული თეზების განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამართლებულ პროექტებთან ერთად, უამრავი წარუმატებელი ზონა არსებობს. ამის თვალსაჩინო მაგალითია ინდოეთის თავისუფალი ზონა „კანდლა“. ქვეყნების გარკვეული მსგავსებიდან გამომდინარე, ალბათ უპრიანი იქნება მისი შედარება ჩინურ ანალოგთან. მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთშიც არის იაფი და მრავალრიცხოვანი მუშახელი, მისი შრომისუნარიანობა გაცილებით დაბალია. თუმცა, მიზეზი „სათავეში“ უნდა ვეძებოთ - „კანდლას“ არ გააჩნია არც სტრატეგიული მდებარეობა, არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა, არც საკმარისი ეკონომიკური სტიმულები და არც გასაღების საერთაშორისო ბაზრები. მისი ექსპორტი მშპ-ს 10%-ს არ აღემატება, ჩინეთის იგივე მაჩვენებელი 60%–ია. ჩამოთვლილი ფაქტორები სრულიად საკმარისი არის წარუმატებლობისთვის, მაგრამ „ხელმოცარულობის“ მიზეზების ახსნა ამით არ მთავრდება. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა მოუმზადებლობამ. არ მოხდა არსებული სიტუაციის საფუძვლიანად შესწავლა და გაანალიზება, შესაბამისად არ გაიწერა კონკრეტული მიზნები და მათი სისრულეში მოყვანის სტრატეგია. ამავე დროს, როდესაც კანდლას თეზი იქმნებოდა, მისი ჩინური ანალოგი უკვე საკმაოდ ძლიერი და კონკურენტუნაირიანი იყო. ამან გარკვეული გავლენა იქონია და დაჩრდილა ინდოეთის შეღავათიანი ზონა. ზემოთ განხილული ასპექტების გამო, ინდოეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა ვერც რეგიონისთვის და ვერც მთელი ეკონომიკისთვის გახდა სარგებლის მომტანი. დღესდღეობით თავისუფალ ზონაში მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი ფირმა საქმიანობს.

ყოფილ სოციალისტურ და მითუფრო საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ამ კუთხით თავისებური, რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა. ვინაიდან თეზი არის კაპიტალიზმის ელემენტი, გეგმური და ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში მისი არსებობა შეუძლებელია. ამიტომ ის წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეფექტიან მექანიზმს. რუსეთში თავისუფალი ზონების შექმნა აქტიურად 1990–იანი წლებიდან დაიწყო. მათგან გამორჩეულია კალინინგრადის თეზი. ერთი შეხედვით იგი ახლოს არის ევროპულ ბაზართან, მაგრამ მხოლოდ სიახლოვე საკმარისი არ არის წარმატებისთვის. მითუმეტეს, რომ განსაკუთრებულ ზონას, ჩინეთისგან განსხვავებით, „ზურგს ვერ უმაგრებს“ იაფი და მრავალრიცხოვანი კადრები. წარუმატებლობის მთავარ გამომწვევ ფაქტორად მაინც მიიჩნევა, შეღავათების განსაკუთრებით დიდ ტერიტორიაზე გავრცელება და მიზნების ბუნდოვანება. ამის გამო ადმინისტრირება ძალიან რთულია, თითქმის შეუძლებელიც კი. ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ ხდება შეღავათების „ბოროტად“ გამოყენება და ადგილი აქვს როგორც კონტროლს მიღმა დარჩენილ მოქმედებებს, ასევე ფინანსურ მაქინაციებს. შეიძლება ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში განსაკუთრებული ზონები უმეტესწილად ვერ ამართლებს. ამას მოწმობს 2011 წელს ბელორუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ გაცემული განკარგულება, რომლითაც მოითხოვა თავისუფალი ეკონომიკური ზონების დახურვა. ბუნებრივია, ეს წარუმატებლობის აღიარებაა, რადგან როგორც წესი ეფექტიანი პროექტების ფუნქციონირების აღკვეთა არ ხდება, პირიქით, ისინი უფრო მრავლდება და ხანგრძლივდება. ამის საწინააღმდეგოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თავისუფალი ზონები საკმაოდ ყაირათიანად მუშაობს და მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს ეკონომიკისათვის. დასტურად მოვიყვანთ პოლონეთში არსებულ 14 თეზს. რაც შეეხება უშუალოდ რეზულტატს, ვარმია მაზურის სპეციალური ეკონომიკური ზონა (სეზ) შეიქმნა 1997 წელს, ინვესტიციების მოცულობა არის 423.7 მლნ ევრო, რომლის განხორციელების შედეგად დასაქმდება 5550 ადამიანი. ტანობრზეგის თავისუფალი ზონა დაარსდა 1997 წელს, მისი ვადა განისაზღვრა 20 წლით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 9000-ია. კატოვაიას თეზის ფორმირება მოხდა 1996 წელს, უშუალოდ დასაქმების გაზრდის მიზნით, რაც საკმაოდ კარგად შესრულდა, რადგან იქ მომუშავეთა რიცხვი არის 21690. ვალბრზიჩისის სპეციალურ ზონას გააჩნია ერთ-ერთი მოწინავე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და შექმნილია 18788 სამუშაო ადგილი. რაც შეეხება ევროპარკ მაილეცის ზონას, იგი

პირველი პრეცედენტი იყო პოლონეთში, დაფუძნდა 1995 წელს, გამორჩეულად მიმზიდველი და პოლულარულია ინვესტორებისთვის, რადგან იქ არსებობს ბიზნესისთვის წამახალისებელი, ხელსაყრელი პირობები. ამან გამოიწვია 11000 ადამიანის დასაქმება. შედეგები უდავოდ კარგია. ზემოთნახსენები მიღწევებით და არამარტო, ეს ქვეყანა უკვე გახლავთ ევროკავშირის წევრი. საქართველოსთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათი გამოცდილების გაზიარება. პირობები მეტნაკლებად მსგავსი და შესადარისია (არცერთ ქვეყანას გააჩნია რაიმე განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსი). მართალია, როდესაც პოლონეთში თეზების ჩამოყალიბებისა და აღმავლობის პროცესი მიმდინარეობდა, მაშინ ჩვენ ძალიან მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური სურათი გვქონდა (ცნობილი 90-იანი წლები, რამაც საგრძნობლად დააზარალა და უკან დაწია ეკონომიკა), მაგრამ დღეისათვის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და უკვე თამამად შეგვიძლია წარმატებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზე ფიქრი და მუშაობა.

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზი), მხოლოდ ეხლახანს (რამდენიმე წლის წინ) არ გამხდარა დაინტერესების საგანი. მისი ერთ–ერთი სახესხვაობა, კერძოდ, თავისუფალი ნავსადგური (პორტო ფრანკო), ბათუმში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში (1878–1886 წლებში) ფუნქციონირებდა. მოვაჭრე გემებს შეეძლოთ საფასურის გარეშე შემოსვლა, თუმცა, იმ დროისათვის, ქვეყნის შიგნით მისდამი დამოკიდებულება არასახარბიელო იყო. მაგრამ ეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა და დღევანდელი სიტუაციის საპირწონედ ვერ გამოდგება. თავისთავად ცხადია, განსხვავება დღევანდელსა და მაშინდელ მდგომარეობას შორის საკმაოდ დიდია. მას შემდეგ ვითარება, როგორც ქვეყნის ცხოვრებაში, ისე მთელს კავკასიის რეგიონში საგრძნობლად შეიცვალა. ჩვენ ქვეყანაში, უკანასკნელი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წელი), თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბების არაერთი მცდელობა იყო, თუმცა უშედეგოდ. ყოველთვის თავს იჩენდა შემაფერხებელი გარემოება. მიუხედავად ამისა, 2007 წელს მოხდა თეზების ლეგიტიმაცია საკანონმდებლო დონეზე, ცოტა მოგვიანებით კი – მისი ეკონომიკური გააქტიურება. აღნიშნულ სფეროში „პირველი მერცხალი“ იყო არაბული კომპანია, რაკ ინვესტმენტი, რომელმაც 90 მლნ დოლარად შეიძინა, ფოთის პორტის აქციების 51%. ამავე ხელშეკრულებით მის მფლობელობაში გადავიდა ნავსადგურთან ახლოს მდებარე 300ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა–ნაგებობებით. მოგვიანებით, დარჩენილი აქციების, 49%–ის მესაკუთრეც თვითონვე გახდა, რაშიც კიდევ 65 მლნ დოლარი გადაიხადა. ამის შემდეგ მოიპოვა ნებართვა და ფოთში შექმნა პირველი ქართული თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზი), რომელიც წარმოადგენს თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნაირსახეობას. შემდგომში კომპანია ფრეშ–ჯორჯიამ იგივე გააკეთა ქუთაისში. ქუთაისური თიზი განლაგებულია ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე, მას უკავია 27ჰა ფართობი. ეს მხოლოდ დასაწყისისთვის, რადგან საზღვრები არ არის მკაცრად მარკირებული და მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გაზრდა. მიზნები საკმაოდ მომხიბვლელი და სოლიდური იყო. ამ ზონებში უნდა ჩადებულიყო დიდი ინვესტიცია, განხორციელებულიყო მრავალმილიონიანი პროექტები, რის შედეგადაც რეგიონში მოწესრიგდებოდა ინფრასტრუქტურა, გაიზრდებოდა ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე, შემოვიდოდა უახლესი საწარმოო ტექნოლოგიები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დასაქმდებოდა ათეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე. ამასთანავე, ქართული სპეციალური ზონები უნდა გამხდარიყო მსოფლიო მნიშვნელობის და კონკურენცია გაეწია წარმატებული თეზებისთვის. სახარბიელო შედეგების გამო, სინგაპური არაერთხელ გამხდარა ჩვენი მიბაძვის ობიექტი. მთავრობის წარმომადგენლებს მრავალჯერ დაუფიქსირებიათ საკუთარი სურვილი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ქვეყანაშიც უნდა შეიქმნას მსგავსი მოდელი, თუმცა მისგან განსხვავებით ჩვენთან ზონის მმართველი არის ინვესტორი (სინგაპურში თეზი მთავრობის დაქვემდებარებაშია). საქართველოს მთავრობა მეწარმეებს სთავაზობს მხოლოდ ხელსაყრელ ადგილს, მართვის დამოუკიდებლობას, გარკვეულ შეღავათებსა და მხარდაჭერას, ხოლო სხვა დანარჩენი: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინვესტორების მოზიდვა, წარმოების განვითარება, ადამიანების დასაქმება, ორგანიზატორის საზრუნავია. აქედან გამომდინარე, უცნობია რა პროფილის საწარმოები დაინტერესდებიან ჩვენთან საქმიანობის დაწყებით და რა „გამორჩენას“ ნახავს ამ პროექტიდან რეგიონი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ხშირი რეფორმების გატარება თუ სხვადასხვა ეკონომიკური ინსტრუმენტის მოსინჯვა, ნაწილობრივ გამოწვეულია არასახარბიელო ეკონომიკური ფონით. ამ მხრივ აღსანიშნავია რეგიონების ძალიან დაბალი განვითარება და ნაკლები ჩართვა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნამ არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია. მთავრობის წარმომადგენლები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და საკმაოდ კარგი მოლოდინები ჰქონდათ. თუმცა, განსხვავებულად უყურებს ამ საკითხს ექსპერტთა გარკვეული ნაწილი, ვინაიდან ქვეყანაში არის ”ინვესტიციური შიმშილი”, ანუ უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა. ასეთ დროს თავისუფალი (შეღავათიანი) ზონის ჩამოყალიბება ნიშნავს, რომ ბიზნესმენები არჩევანს სწორედ მსგავს ტე-

რიტორიებზე შეაჩერებენ. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს კონკრეტული რეგიონების ეკონომიკურ გააქტიურებას, მაგრამ დანარჩენ ტერიტორიაზე ინვესტიციური დეფიციტი კიდევ უფრო მწვავე გახდება. ესე იგი თიზის რეგიონები განვითარდება სხვა რეგიონების ხარჯზე, ხოლო მთელი ქვეყნის შეღავათიან ზონად გადაქცევა შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ვერ ხდება გადასახადების ამოღება, ამის გარეშე კი საერთოდ სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. სხვა მოსაზრებით, ზონების არაეფექტიანობის უმთავრესი მიზეზია არის ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის დახშულობა და ევროპულ ბაზრებზე ნაკლები წვდომა. ზოგადად თიზები კარგი საშუალებაა ინვესტიციების მოზიდვისათვის, მაგრამ აუცილებელი პირობაა დიდი გასაღების ბაზრების ხელმისაწვდომობა. ამის გარეშე რთულია სასურველი შედეგის მიღწევა. აქედან გამომდინარე სიტუაციას საგრძნობლად გააუმჯობესებს ევროკავშირსა და აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების პროცესის დაჩქარება და დადებითად გადაწყვეტა.

დღესდღეობით ორივე თეზში არის გარკვეული აქტივობა, მაგრამ ამ დრომდე წარმოების რეალურად განვითარება ვერ ხერხდება (განსაკუთრებით ფოთის თიზში). საინტერესოა ამის გამომწვევი მიზეზების გამოაშკარავება და იმის დადგენა, რა ღონისძიებები იგეგმება შემაფერხებელი პირობების აღმოსაფხვრელად. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შევძლებთ გავარკვიოთ, წაადგება თუ არა თავისუფალი ზონა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასპექტით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა, ლ (2007) - თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - ”უკვდავი” იდეა. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
2. დოლბაია, თ. (2010) - თავისუფალი ეკონომიკური ზონების მსოფლიო გამოცდილება და საქართველო
3. არველაძე, ნ. (2007) - როდის და როგორ შეიქმნება ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონა. საქართველოს ეკონომიკა № 1
4. ჯგერენაია, ე. (2002) – საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები. თბილისი. ინტელექტი.
5. ჩიკვაიძე, დ. (2007) – ადრე დაწუნებული "თავისუფალი ზონების" იდეა დღევანდელმა ხელისუფლებამ მისაღებად მიიჩნია, ჟურნალი ბიზნესი და მენეჯმენტი #2(14)
6. ჭიტაძე, თ. (2011) – თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოში. (GFSIS)
7. http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/112/id/260/print/true
8. http://ebookbrowse.com/free-economic-zones-law-pdf-d146008234
9. http://www.onlinenews.ge/index.php?id=10994&lang=geo

Free Economic Zones in Georgia and the International Experience

G. Menaphire

Summary

Free economic zone (FEZ) as an economic instrument, is used in many countries around the world, with different regulations and specializations. Typically, its formation is related with attracting investments, infrastructure improvement, increasing employment, implementation new technologies and management system. There are profit and non-profit cases. In the article, there is explained the meaning of FEZ and its characteristic factors, described world different examples. Also there is extensive review about formation and development of free zones, the situation in Georgia as well as international experience, including them, there are parallels and comparative analysis. Therefore, it is possible to make useful conclusions and based on them, make correct development strategy, what may use in our country for successful FEZ formation and significantly help this process.

Key Words: *Free industrial zones, Free Port, Investment hunger.*

საგარეო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და მისი შეფასება ტრანსფორმაციის პროცესში ჩართული ქვეყნებისთვის

თამთა მესხორაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია თანამედროვე მსოფლიოს პრაქტიკის შესაბამისად, თუ როგორ ზემოქმედებს საგარეო ვალი ეკონომიკურ ზრდაზე ტრანსფორმაციულ ქვეყნებში. შეჯამებულია ის ფაქტორები, რომელთაც ხელი შეუწყვეს გარდამავალ ეკონომიკებში ვალის აფეთქებას. ახსნილია ორი ძირითადი თეორია – „ჭარბი ვალის თეორია“ (Debt Overhang Theory) და „ლიკვიდურობის შეზღუდვის ჰიპოთეზა, იგივე გამოდევნის ეფექტი“ (Crowding-out Effect),- რაზეც აქცენტი გააკეთა ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული კვლევების უმეტესობამ აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვალი, ეკონომიკური ზრდა, ჭარბი ვალის თეორია, ლიკვიდურობის შეზღუდვის ჰიპოთეზა – გამოდევნის ეფექტი.*

მდგრადი ეკონომიკური ზრდა ყველა ეკონომიკისთვის მთავარი საზრუნავია, განსაკუთრებით, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფთათვის, რომელთაც მაღალი ფისკალური დისბალანსის გამო, უძნელდებათ საინვესტიციო შესაძლებლობების გენერირება, რაც მათ დაეხმარება წინსვლაში. აქედან გამომდინარე, იზრდება ამ ეკონომიკების დამოკიდებულება უცხოურ სესხებზე, რაც იწვევს არსებითი საგარეო ვალის მოცულობის დაგროვებას დროთა განმავლობაში. ამ კონტექსტით, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო საგარეო დავალიანების ზრდის გავლენამ. საგარეო ვალი, თუკი იგი არაა მდგრადი, ეკონომიკურ კეთილდღეობას რისკის ქვეშ აყენებს, რადგან მისმა მომსახურებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ქვეყანაში ჭარბი ვალის პრობლემა. ამგვარად, ღია ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკისას, ტრანსფორმაციული ქვეყნების ხელისუფლებებმა უნდა გაითვალისწინონ საგარეო ვალის გამოყენების ღირებულება და განახორციელონ დაბალანსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკები, ასევე საგადასხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში.

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა დიდი მოცულობის თანხები ისესხეს. ზოგადად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და სხვა ტრანსფორმაციულ ქვეყნებში სტრუქტურული რეფორმისტული ეკონომიკური პოლიტიკა, გარედან სესხებით, მიზნად ისახავდა მდგრადი ზრდის შენარჩუნებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. საგარეო ვალის გონივრული დონე, რომელიც ხელს უწყობს პროდუქტიული ინვესტიციების დაფინანსებას, მოსალოდნელია, განაპირობოს ეკონომიკური ზრდა, მაგრამ, გარკვეული დონის მიღმა დამატებით დავალიანებას შეუძლია შეამციროს ზრდა. ბევრი კვლევის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც ეწევიან სესხებას ზომიერ დონეებზე, სავარაუდოდ, უნდა მიაღწიონ გაუმჯობესებას ეკონომიკურ ზრდაში. ითვლება, რომ ამგვარი გაუმჯობესება უნდა მოხდეს კაპიტალის ფორმირებისა და გამოშვების გაზრდის მეშვეობით [7, გვ. 132]. ტრანსფორმაციულ ქვეყნებს, როგორც წესი, გააჩნიათ შეზღუდული წყაროები შემოსავლების გამოსამუშავებლად. თუკი ისინი ვერ შეძლებენ გარედან მიღებული სახსრების მიმართვას პროდუქტიულობის გაზრდაზე და ახალი დასაქმების შესაძლებლობების შექმნაზე, მაშინ ისინი საბოლოოდ მიიღებენ უფრო დაბალ საგადასახადო შემოსავლებს და უფრო მაღალ ვალის მომსახურების ხარჯებს, რაც გამოიწვევს გაზრდილ დეფიციტებს. უფრო მეტიც, ვალის დროულად მომსახურების უუნაროობა არა მხოლოდ ართულებს ამ ქვეყნებისთვის, დახმარება მიიღონ შეღავათიან განაკვეთებში დონორი სააგენტოებისგან ნაკლები პირობების წამოყენებით, არამედ ეს ასევე ზრდის სუვერენულ რისკს.

ითვლება, რომ 1970-1980-იანი წლების მსოფლიო მოვლენებმა, კერძოდ, ნავთობის ფასის შოკებმა, გაზრდილმა საპროცენტო განაკვეთებმა და განვითარებულ ქვეყნებში რეცესიებმა, ამის შემდეგ კი სუსტმა პირველადმა სასაქონლო ფასებმა, ხელი შეუწყვეს განვითარებად ქვეყნებში ვალის აფეთქებას [5, გვ. 2]. ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული კვლევების უმეტესობის შესწავლის შედეგად, ეს ფაქტორები ამგვარად შეჯამდა:

(1) ეგზოგენური ფაქტორები, როგორიცაა ვაჭრობის შოკის არასასურველი პირობები;

(2) მდგრადი რეგულირების პოლიტიკის არარსებობა, განსაკუთრებით, ეგზოგენური შოკების პრობლემის წინაშე მდგარი პოლიტიკის, რომელმაც ვერ შეძლო ვალის მომსახურების შესაძლებლობების გაძლიერება; ეს მოიცავს არაადეკვატურ პროგრესს უმეტეს შემთხვევაში სტრუქტურულ რეფორმაში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გამოშვებისა და ექსპორტის მდგრად ზრდას;

(3) საკრედიტო და რეფინანსირების პოლიტიკის კრედიტორების გავლენა, განსაკუთრებით, გვიან 1970-1980-იან წლებში მათი უმეტესობის მიერ დაკრედიტებით კომერციულ პირობებზე მოკლე დაფარვის ვადებით და არაკონცესიური რესტრუქტურიზაციის პირობებით;

(4) მოვალე ქვეყნების მიერ სესხების არაგონივრული მართვა, რაც ნაწილობრივ გამომდინარეობს ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ზრდასა და ამის საშუალებით ვალის მომსახურების მოცულობის შექმნის პერსპექტივების შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გადაჭარბებული ოპტიმიზმიდან;

(5) ვალის სავალუტო შემადგენლობის ფრთხილად მართვის ნაკლებობა;

(6) პოლიტიკური ფაქტორები, მაგალითად, სამოქალაქო ომი და კონფლიქტი [6, გვ. 25].

როგორიც არ უნდა იყოს ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს ვალის მოცულობის უპრეცედენტო ტალღის აგორება, გარდამავალი ქვეყნები დგანან ზრდადი ვალის პრობლემის წინაშე, რომელსაც შეუძლია, მკვეთრად შეზღუდოს ამ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. მითუმეტეს, რომ ზოგიერთი ღარიბი ქვეყანა უფრო და უფრო მეტად მიმართავს ახალი სესხების აღებას ვალის მომსახურებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკონომიკები იბრძვიან უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდისთვის, ზრდადი მიმდინარე დეფიციტი და დაბალი კაპიტალის ფორმირება სულ უფრო ნაკლებ სივრცეს ტოვებს ეკონომიკური ზრდისთვის. მწირე ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ვალის მომსახურებისთვის შეზღუდული ფისკალური სივრცის გამო კი დონორი სააგენტოების უმეტესობა უზრუნველყოფს თანხებს გარკვეული პირობებით. აღნიშნული პირობები, ჩვეულებრივ, მოიცავს ფისკალურ სიმშვიდეს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ჯანმრთელ საბანკო სისტემას, ბიზნესის კეთების სიმარტივეს და ჯანსაღ საინვესტიციო გარემოს, შემდგომი დახმარების უზრუნველსაყოფად.

მძიმე საგარეო ვალი არ განაპირობებს აუცილებლად ნელ ეკონომიკურ ზრდას. ესაა ქვეყნის უუნარობა, შეასრულოს თავისი სავალო ვალდებულებები, რაც გაღრმავებულია საგარეო ვალის ბუნებაზე, სტრუქტურასა და მასშტაბზე ინფორმაციის ნაკლებობით [3, გვ. 27]. ქვეყნებს შესაძლოა, ჰქონდეთ მძიმე საგარეო ვალი ექსპორტის შედარებით მაღალ დონესთან ერთად, რაც მათ დაეხმარებათ თავიანთი საგარეო ვალის დონეების შენარჩუნებაში. მაგრამ საგარეო ვალი, თუკი არ იქნება მდგრადი, ეკონომიკურ კეთილდღეობას დააკისრებს უფრო მაღალ რისკს, რადგან მისმა მომსახურებამ, რომელიც ასევე არის მიმდინარე ანგარიშის უფრო მაღალი დეფიციტის მაჩვენებელი, შესაძლოა, გამოიწვიოს ქვეყანაში ვალზე დამოკიდებულება. ნებისმიერი ეკონომიკისთვის სახელმწიფო ვალი გადამწყვეტ როლს თამაშობს საერთო ეკონომიკურ პროგრესთან მიმართებაში.

იმ არხების შესწავლის დროს, რომელთა გავლითაც საგარეო ვალმა შეიძლება, რომ გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, ლიტერატურამ ფართოდ გააკეთა აქცენტი ორ თეორიაზე, ესენია: **ჭარბი ვალის თეორია (Debt Overhang)** და **ლიკვიდურობის შეზღუდვის ჰიპოთეზა - გამოდევნის ეფექტი (Crowding-out Effect)**, რომელთაგან პირველი აცხადებს, რომ საგარეო ვალის მიმდინარე მოცულობა შეანელებს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მეორე ორიენტირებულია კერძო სექტორის კერძო კრედიტორების გამოდევნაზე.

საგარეო ვალისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების ხაზგასასმელად, კვლევებში არსებობს უამრავი განმარტება, თუმცა ყველაზე გავრცელებული არის „ჭარბი ვალის თეორია“ (Debt Overhang Theory). ბევრი უწოდებდა მას ჭარბი ვალის პარადოქსსაც. თეორია პირველად განიხილა Myers-მა 1977 წელს. მისი კონცეფცია ეფუძნებოდა კომპანიის გადაწყვეტილებას სესხებაზე. [12, გვ. 147] მოგვიანებით, Krugman-მა (1988) და Sachs-მა (1989), მოიწონეს იგი ქვეყნის ვალის სიტუაციასთან მიმართებაში. ისინი ამბობდნენ, რომ ჭარბი ვალის პრობლემა მაშინ დგება, თუკი საგარეო ვალის მოცულობა ქვეყანაში აჭარბებს ქვეყნის მიერ მისი დაფარვის უნარს, ისევე როგორც, მოსალოდნელი ვალის მომსახურება უფრო მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის გამოშვების დონეზე. [13, გვ. 7] მათ ასევე განაცხადეს, რომ ჭარბი ვალის პრობლემა მაშინ არსებობს, როცა ქვეყნის ვალის მომსახურების ტვირთი ისეთი მძიმეა, რომ მიმდინარე გამოშვების დიდი ნაწილი გროვდება საგარეო კრედიტორების მიმართ და წარმოქმნის ინვესტირებისთვის სტიმულების არარსებობას. ვალის მომსახურება ამიტომ ითვლება, როგორც პირობითი გადასახადი, რითაც ხელი ეშლება ინვესტირებასა და ეკონომიკურ ზრდას, რაც ართულებს ქვეყნებისთვის სიღარიბიდან თავის დაღწევას [8, გვ. 2]. ჰიპოთეზა ვარაუდობს, რომ თუკი მომავალში არსებობს რაიმე ალბათობა იმისა, რომ საგარეო ვალი იქნება უფრო დიდი, ვიდრე ქვეყნის მიერ მისი დაფარვის უნარი, მაშინ მოსალოდნელი ვალის მომსახურების ხარჯები ხელს შეუშლიან ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს და ზიანს მიაყენებენ ეკონომიკურ ზრდას [1, გვ. 5].

ვალისგან გათავისუფლების მთავარი მოტივაცია ჩნდება იმ მოსაზრებიდან, რომ საზიანო ურთიერთქმედება არსებობს მძიმე ვალის ტვირთსა და ეკონომიკურ ზრდას შორის [11, გვ. 17]. შესაბამისად, ფართოდ განხილული „ჭარბი ვალის თეორია“ ვარაუდობს, რომ მძიმე ვალის ტვირთი ქმნის სტიმულების

არარსებობას კერძო ინვესტირებისთვის მომავალი გადასახადების და/ან ვალით გამოწვეული კრიზისების შიშის გამო. ეს ამცირებს საინვესტიციო ხარჯვას, რაც იწვევს ეკონომიკური ზრდის შენელებას. ციკლი გრძელდება ინვესტიციების მომდევნო შემცირებით ეკონომიკური ზრდის შენელების, ვალი-შემოსავლის თანაფარდობის გაზრდის, და დამაბრკოლებელი გავლენის გაძლიერების პარალელურად, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სტაგნაციას.

უფრო დაწვრილებით კი, იმ ეკონომიკებში, რომელთაც მძიმე დავალიანება აქვთ, „ჭარბი ვალი“ ითვლება ეკონომიკური ზრდის დამახინჯებისა და შენელების წამყვან მიზეზად [11, გვ. 255]. ეკონომიკური ზრდა ნელდება იმიტომ, რომ ეს ქვეყნები კარგავენ გავლენას კერძო ინვესტორებზე [2, გვ. 95]. ისინი ვარაუდობდნენ, რომ სტრუქტურული კორექტირების პროგრამებიც კი რომ გატარდეს ამ ქვეყნების მთავრობების მიერ, ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე შეიძლება, მაინც იგრძნობოდეს გვერდითი მოვლენები. უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბი ვალის პრობლემა არ დგას მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანა აგროვებს ძალიან დიდ ვალს, იგი ასევე შეიძლება წარმოიქმნას მაშინ, როცა შეიცვლება ქვეყნის გარემოებები, რომლებიც ართულებენ ვალის მოცულობების მართვასა და გადახდას. ამგვარი პირობები შეიძლება წარმოიშვას უარყოფითი ეკონომიკური შოკების ან ცუდი ეკონომიკური პოლიტიკის გამო [10, გვ. 7]; და ამ არასახარბიელო ვითარებაში, კრედიტორების სასესხო პორტფელები მძიმე რისკების წინაშე აღმოჩნდებიან. ამგვარ სიტუაციაში შედეგი იქნებოდა პანიკა კრედიტორებს შორის, რომლებიც ჩქარობენ თავიანთი მოთხოვნების განაღდებას, და პოტენციური ახალი კრედიტებიდან სარგებლის მიღებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგარეო ვალის მომსახურებას შეუძლია, ასევე გავლენა მოახდინოს ზრდაზე „გამოდევნის ეფექტის“ (კერძო ინვესტიციების გამოდევნის) გზით. ვალის ნაკადებს შეუძლიათ, დაანგრიონ მოვალეთა ეკონომიკური მდგომარეობა. Chowdhury, 2004; Clements, Bhattacharya & Nguyen, 2003; Elbadawi, Benno, & Njuguna Ndung'u, 1997, თავიანთ კვლევებში აჩვენებენ, რომ ვალის კოეფიციენტების მაღალ დონეს შეუძლია, გამოდევნოს ეკონომიკური ზრდა წმინდა აქტივების გადინების გამო [9, გვ. 49; 4, გვ. 203].

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოდევნის ეფექტის კონცეფციის ფილოსოფია გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალები ხარჯავს ინვესტიციებისთვის განკუთვნილი ეროვნული დანაზოგების დიდ ნაწილს დანაზოგებზე მოთხოვნის გაზრდის გამო მაშინ, როცა მიწოდება უცვლელი რჩება, შესაბამისად, ფულის ფასი იმატებს. გამოდევნის ეფექტი მაშინ ფუნქციონირებს, როცა მხოლოდ ხელისუფლება და მისი საagენტოები შეძლებდნენ სესხებას გადაჭარბებული საინვესტიციო ხარჯების გამო. ინდივიდუალურ მეწარმეებსა და ფირმებს არ შეუძლიათ კონკურენციის გაწევა და, აქედან გამომდინარე, გამოიდევნებიან ბაზრიდან. ეკონომიკური ზრდას, შესაბამისად, აღარ შესწევს იმის უნარი, რომ მოახდინოს საკმარისი კაპიტალის გენერირება ინვესტირებისთვის.

"გამოდევნის ეფექტი" მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებისას. "გამოდევნის ეფექტი" ნიშნავს, რომ თუ სახელმწიფომ ინვესტიციები ჩადო რომელიმე სექტორში, კერძო ბიზნესს ამ სექტორში ინვესტიციების ჩადება აღარ შეეძლება/სტიმული არ ექნება. საჭიროა, რომ კერძო ინვესტიციების დაბანდება მოხდეს სხვადასხვა დარგებში, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციები იმ მიმართულებით წარიმართოს, სადაც კერძოს ინტერესები არ გააჩნია. ამით ორმაგად მოხდება ეკონომიკის სტიმულირება. გამოდევნის ეფექტის დადგომის შემთხვევაში, კერძო ინვესტიციები შეიძლება ჩანაცვლდეს სახელმწიფოთი და იგი შეიძლება საერთოდ არც კი განხორციელდეს. ეს შემთხვევა კიდევ უფრო ხშირად ხდება კერძო უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში, ვინაიდან უცხოური ინვესტიციების გამოდევნის შემდეგ, უცხოური კაპიტალი შეიძლება საერთოდ არ შემოვიდეს ქვეყანაში და სხვაგან მიემართოს.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალს, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 10,333.78 მლნ ლარს, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის 78.5%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან და პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საკონტრაქტო საშუალო შეწონილი ვადიანობა შეადგენს 23.4 წელს, საშუალო შეწონილი დარჩენილი ვადიანობა შეადგენს დაახლოებით 10.7 წელს, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.94%-ს (იხ. გრაფიკი).

საქართველოს სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2015 წლის 31 დეკემბრისათვის [17, გვ. 31]



როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები განვითარების საწყის ეტაპზე, საგარეო ვალს ეკონომიკური ზრდის დასაფინანსებლად იღებენ. შესაბამისად, საწყის ეტაპზე ვალის ზრდის ტემპი შესაძლებელია მშპ-ის ზრდის ტემპზე მაღალიც იყოს. საგარეო ვალის ზრდა არ შეიძლება, ცალსახად უარყოფითად შეფასდეს, რადგან საგარეო ვალი მოიცავს როგორც სამთავრობო ვალს, ასევე კერძო სექტორის მიერ აღებულ ფინანსურ ვალდებულებებს და შესაბამისად, უცხოელების მიერ ჩვენს ქვეყანაში ინვესტირებული თანხების ნაწილსაც. კერძო სექტორში საგარეო ვალის ზრდა ნიშნავს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა იზრდება, რაც დადებითად მოქმედებს ეკონომიკაზე. მთავარია, სახელმწიფო ვალი იმ დონეზე არ გაიზარდოს, რომ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა საფრთხის ქვეშ დადგეს.

სახელმწიფო ვალის ეკონომიკაზე გავლენის შესაფასებლად, მხოლოდ სახელმწიფო ვალის მოცულობის და ზრდის დინამიკის ცოდნა არაა საკმარისი. დამატებით, ასევე საჭიროა ვიცოდეთ სახელმწიფო ვალის ოდენობა ნომინალურ მშპ-სთან მიმართებაში, ასევე სახელმწიფო ვალის ზრდის მიმართება მშპ-ს ზრდის ტემპთან, რაც ქვეყნის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად გამოიყენება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, განვითარებადი ქვეყნებისთვის სახელმწიფო ვალის ნომინალურ მშპ-სთან თანაფარდობა 50%-ს არ უნდა აცდეს. საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებული ლიმიტი მასზეც ვრცელდება. 2011 წელს მთავრობამ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონი მიიღო, სადაც ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის ძირითადი პარამეტრები დადგინდა. აღნიშნულის მიხედვით, ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ქვემოთ მოცემული სქემა გვიჩვენებს საქართველოს სახელმწიფო ვალის ნომინალურ მშპ-სთან შეფარდების დინამიკას.

საქართველოს სახელმწიფო ვალი და სახელმწიფო საგარეო ვალი ნომინალურ მშპ-თან მიმართებით (2003-2015 წწ.) [17, გვ. 34]



როგორც სქემიდან ჩანს, საქართველოს სახელმწიფო ვალი მშპ-ის მიმართ 2003 წლიდან მცირდებოდა. 2008 წლიდან კი ზრდა დაიწყო, რაც ნაწილობრივ საქართველოს მთავრობის მიერ ევრობონდების გამოშვებით იყო განპირობებული. საქართველოს სახელმწიფო ვალის ნომინალურ მშპ-თან ფარდობა 2010 წლიდან 2014 წლამდე შემცირდა და 37-35%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო 2015 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა ისევ მოიმატა 41.5%-მდე. მიუხედავად ამისა, იგი არც საერთაშორისო სავალუტო

ფონდის და არც საქართველოს კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ განსაზღვრულ ლიმიტს არ აჭარბებს. მთავარია, რომ ვალის ასეთი ზრდის ტემპი მომავალშიც არ შენარჩუნდეს. ვალის სიდიდე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე პირდაპირ არ არის დამოკიდებული; მისი მოცულობა ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას განსაზღვრავს – მაკროეკონომიკური სტაბილურობის ინდიკატორს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზეგავლენას ირიბად ახდენს. ამიტომ, ვალის მშპ-სთან გარკვეული პროცენტული თანაფარდობის შენარჩუნება ვალის მდგრადობისთვის არის მნიშვნელოვანი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის ერთ–ერთი მთავარი ძლიერი მხარეა, რაც აღიარებულია ბოლო წლებში საქართველოსთან მომუშავე სარეიტინგო სააგენტოების „Standard & Poor's“-ის, „Fitch“ –ის და „Moody's“-ის მიერ. აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული და კონსერვატიული მართვის შედეგად, აგრეთვე ქვეყნის მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად გამოყენების მეშვეობით.

თუ ვიმსჯელებთ ქვეყნის გადახდისუნარიანობაზე, გასული წლების განმავლობაში ქვეყანა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს უმეტესწილად ასრულებდა და ვალებს დროულად იხდიდა. რაც შეეხება მომავალში მის გადახდისუნარიანობას, ის ქვეყნის მიერ ფინანსური სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და მათ ეფექტიან მენეჯმენტზე იქნება დამოკიდებული.

იმისათვის, რომ ეკონომიკური სისტემა შეიცვალოს ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს სჭირდებათ გარედან მიღებული წყაროები. ამასთან ერთად, წარმოება-გასაღებასა და შემოსავალი-დაზოგვას შორის კავშირმაც გაზარდა გარედან მიღებული წყაროების საჭიროება. თუმცაღა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საგარეო ვალი, თუკი იგი არ არის მდგრადი, შეიძლება, უარყოფითად აისახოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რაც საბოლოოდ, შეაკავებს ძირითადი კაპიტალის ფორმირებას ეკონომიკური აგენტების მიერ, კერძო სექტორის ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაციულმა ქვეყნებმა აუცილებლად უნდა მიმართონ თავიანთი საგარეო რესურსები მწარმოებლურობის გაზრდაზე ისე, რომ ამით შეძლონ მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და რაც შეიძლება მეტი ინვესტორის მოზიდვა.

ღია ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შესრულებისას, ტრანსფორმაციული ქვეყნების ხელისუფლებებმა უნდა გაითვალისწინონ საგარეო ვალის გამოყენების ღირებულება. საგარეო ვალს დადებითი გავლენა აქვს განვითარებადი ქვეყნების ზრდის ტემპზე მხოლოდ დროებით. საგარეო დავალიანებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულება ძალიან ჰგავს ლაფერის მრუდის შემთხვევას, ანუ დამატებითი სახსრების მოზიდვა ხელს უწყობს ინვესტირებასა და ზრდას მხოლოდ დასაწყისში და გარკვეულ ზღვრამდე, ამ ზღვრის გადალახვის შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს უკუეფექტთან.

ამასთან, საგარეო ვალით მიღებული ფული არის ძვირადღირებული ფინანსური რესურსი, რაც ზრდის ქვეყნის გადასახადის გადამხდელების, მათ შორის მომავალი თაობების ფისკალურ ტვირთს. ამიტომ, მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს ვალის მდგრადობა. ამასთან, უნდა არსებობდეს მონიტორინგის სისტემა და ვალის მართვის თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს იმისათვის, რომ შემცირდეს საგარეო ვალის არაპროდუქტიული გამოყენება. ვალის მართვის ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Catherine Pattilo, Helene Poirson, Luca Antonio Ricci., Fall 2011** “External Debt and Growth”. Review of Economics and Institutions. Vol. 2 – No. 3.
2. **Abdur R. Chowdhury., 2001,** “External Debt and Growth in Developing Countries”. UNU World Institute for Development Economics Research (UNU/WIDER). Discussion Paper No. 2001/95.
3. **Di Andrea F. Presbitero., Dicembre 2006**, “The DebT-GrowTh Nexus: a DyNamic PaNel DaTa estimation”. RIVISTA ITALIANA DEGLI ECONOMISTI / a. XI, n. 3.
4. **Delano P. Villanueva and Roberto S. Mariano., 2007,** “External Debt, Adjustment, and Growth”, in Fiscal Policy and Management in East Asia, eds. Takatoshi Ito and Andrew K. Rose (United States of America: The University of Chicago Press, 2007), pp. 203-204.
5. **IMF Working Paper, 2002**, "External Debt and Growth," 02/69 (Washington, 2002).
6. **Afxentiou, Panos and Apostolos Serletis., 1996,** “Growth and Foreign Indebtedness in Developing Countries: An Empirical Study Using Long-term Cross-Country Data,” Journal of Developing Areas 31 (Fall): 25-39.

7. **A Hameed, H Ashraf, MA Chaudhary., 2008,** “External debt and its impact on economic and business growth in Pakistan”. International Research Journal of Finance and Economics 20, 132-140.
8. **Clements, B., R. Bhattacharya, T.Q. Nguyen., 2005,** “Can Debt Relief Boost Growth in Poor Countries?” (http://www.imf.org).
9. **Elbadawi, Ibrahim, Benno Ndulu, & Njuguna Ndung’u.,** 1997, “Debt Overhang and Economic Growth in Sub-Saharan Africa,” in Extrenal Finance for Low-Income Countries, ed. by Iqbal, Zubair and Ravi Kanbur (Washington: IMF Institute), p. 49-76.
10. **Serkan Arslanalp, Peter Blair Henry.,** January 2004, “Is Debt Relief Efficient?”, NBER Working Paper No. 10217.
11. **Jeffrey D. Sachs,** 1987, “Conditionality, Debt Relief, and the Developing Country Debt Crisis“. University of Chicago Press, ISBN: 0-226-73332-7, p. 255 – 296.
12. **Myers, S.** (1977). "Determinants of Corporate Borrowing". *Journal of Financial Economics*. **5** (2): 147–175.
13. **Krugman, Paul R.** (1988). "Market-Based Debt-Reduction Schemes". *NBER Working Paper No. W2587*.
14. http://www.transparency.ge/node/5444
15. http://geostat.ge/?action=page&p_id=121&lang=geo
16. https://www.imf.org/external/country/geo/index.htm?type=33
17. http://www.mof.ge/images/File/debt-bulletin/Public-Sector-Debt-Statistical-Bulletin-N5.pdf

External Debt Effect on Economic Growth and Its Assessment for Transitional Countries

T . Meskhoradze

Summary

This is a conceptual analysis of the relationship between indebtedness and growth rate of transition countries. The paper aims to enhance the existing literature on the debt-growth nexus. According to the economic literature, this paper has summarized the factors that are usually reffered as the major contributors to debt explosion in transitional countries. While exploring the channels through which external debt might affect economic growth, literature has broadly focused on two theories, i.e., **“debt overhang theory”** and **“Liquidity constraint hypothesis – Crowding-out Effect”**. This paper tries to determine each of these two theories.

Keywords: *External Debt, Economic Growth, Debt Overhang Theory, Crowding-out Effect.*

მოდერნიზაციული ავტორიტარიზმის ეკონომიკური შინაარსი: საქართველოს გამოცდილება

ელგუჯა მექვაბიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში მოცემულია მოდერნიზაციის ვიწრო და ფართო შინაარსი. განხილულია მოდერნიზაციის მსოფლიო გამოცდილება, მოდერნიზაციის ეტაპები და ფორმები. გამოყოფილია ეკონომიკური მოდერნიზაციის პოლიტიკური უზრუნველყოფის ფორმები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ავტორიტარული მოდერნიზმის ფენომენზე. საქართველოში „ვარდების ხელისუფლების“ საქმიანობა დახასიათებულია როგორც ავტორიტარული მმართველობა და გაანალიზებულია ეკონომიკაში მის მიერ გატარებული რეფორმები. ნაჩვენებია მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი და შესწავლილია საქართველოში ავტორიტარული მოდერნიზმის მარცხის მიზეზები და სავარაუდო შედეგები ქვეყნის პერსპექტიული განვითარების კონტექსტით.

საკვანძო სიტყვები: *მოდერნიზაცია, მოდერნიზაციის ეკონომიკური მდგენელი, ეკონომიკური მოდერნიზაციის ეტაპები და მოდელები, „განათლებული“ („რბილი“) ავტორიტარიზმი, „მკაცრი“ ავტორიტარიზმი, „კონსტიტუციური გადატრიალება“, სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობა, ეკონომიკური რეფორმები.*

„მოდერნიზაცია“ ლათინური „modernus”-ისგან წარმოდგება და „თანამედროვეს“-ს ნიშნავს. ეს ცნება პირველად ადრექრისტიალული სამღვდელოების წარმომადგენლებმა გამოიყენეს V საუკუნეში ახალი ისტორიული ეპოქის ხმელთაშუაზღვისპირა ცივილიზაციის (modernus) ძველი ანტიკური საზოგადოებისგან (anticus) განსხვავების მიზნით [1, გვ.22].

მოდერნიზაციის ვიწრო და ფართო გაგება არსებობს. პირველი თვალსაზრისით, მოდერნიზაცია ნიშნავს ტრადიციული აგრარული საზოგადოებიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლას. ფართო გაგებით, მოდერნიზაციაში იგულისხმება საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ, კულტურულ, სამართლებრივ სფეროებში ასინქრონულად მიმდინარე თუ განხორციელებული ცვლილებები. ზოგადი კონტექსტით მოდერნიზაცია გულისხმობს გათანამედროვებას, განახლებას და იგი საზოგადოებრივი პროგრესის სინონიმად აღიქმება. თეორიულ-მეთოდოლიგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მოდერნიზაციის ეტაპებისა და მოდელების მოკლე რეტროსპექტული მიმოხილვა. მოდერნიოზაციის პირველი ეტაპი ევროპაში დაიწყო XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, ანუ მოდერნიზაციის ცნების გაჩენიდან თითქმის თორმეტი საუკუნის შემდეგ და ჯერ დიდი ბრიტანეთი, ხოლო შემდეგ საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია მოიცვა, რასაც მოჰყვა მოდერნიზაცია გერმანიაში, იტალიაში და ა.შ. ჩამოთვლილ ქვეყნებში მოდერნიზაციას ცალკეულ თავისებურებასთან ერთად, ბევრი საერთო ნიშანი გააჩნდა. მოდერნიზაციის მეორე ეტაპმა მოიცვა ევროპის პერიფერიული ქვეყნები - რუსეთი, თურქეთი, აგრეთვე ლათინური ამერიკის დიდი ქვეყნები. მესამე ეტაპი შეეხო აზიის, აფრიკის ყოფილ კოლონიურ და სამხრეთ ამერიკის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.

მოდერნიზაციის პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან და წარიმართებოდა სამი მოდელის საფუძველზე. პირველი, ე.წ. „წრფივი მოდელი“ (lineak model) აღმოცენდა 1940-1950-იანი წლების მიჯნაზე და მოდერნიზაციას განვითარების სწორხაზოვანი პროცესის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა [2a), გვ.40; 3b), გვ.70-71 და სხვ.]. აღნიშნულ მოდელს საფუძვლად დაედო თეორიული პოსტულატი, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი პროგრესი სწორხაზოვანია და გულისხმობს ქვეყნების მიერ განვითარების თანმიმდევრული ეტაპების გავლას - აგრარულიდან ჯერ ინდუსტრიულ, შემდეგ კი პოსტინდუსტრიულ მდგომარეობაში. ასევე იგულისხმებოდა ტექნოლოგიური ინოვაციებისა და ინსტიტუტების გადატანა „ცენტრიდან“ „პერიფერიაში“, გამოირიცხებოდა განვითარებადი ქვეყნების მიერ მოდერნიზაციის საკუთარი მოდელის შექმნის შესაძლებლობა. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, აღნიშნული მოდელი ინტეგრირდა განვითარების ეკონომიკური თეორიის მიმართულებაში, რომელსაც ეწოდება „დამწევი განვითარების სტრატეგია“[3, 4]. მოდერნიზაციის „წრფივი მოდელის“ პრაქტიკული განხორციელება აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა, რამაც 1960-1970-იან წლებში განაპირობა ე.წ. „ფრაგმენტული მოდერნიზაციის“ (partial modernization) ახალი მოდელის წარმოშობა. იგი შესაძლებლად მიიჩნევ-

და „დამწევი მოდერნიზაციის“ ქვეყნების განვითარების გარკვეულ „აცდენას“ ინდუსტრიულად განვითარებული და პოსტინდუსტრიული ქვეყნების მიერ გავლილი გზისგან. 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში აღმოცენდა მესამე ე.წ. „ნეომოდერნიზაციული მოდელი“, რომელიც ნაკლებ ეფექტიანად მიიჩნევდა მოდერნიზაციის უნივერსალური მოდელის გამოყენებას და განვითარებადი ქვეყნების ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციოკულტურულ თავისებურებებზე ამახვილებდა მთავარ ყურადღებას.

ეკონომიკური მოდერნიზაცია არის მოდერნიზაციის ერთიანი პროცესის შემადგენელი ნაწილი და მისი სხვა მიმართულებების საფუძველი. ეკონომიკურ მოდერნიზაციას ახასიათებს: თანამედროვე ეკონომიკური ზრდის („ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობა“, „ეკოლოგიურად დეტერმინირებული ეკონომიკური ზრდა“ და ა.შ.) მექანიზმის შექმნა-ამოქმედება; ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტში სასოფლო-სამეურნეო წარმოების წილის შემცირება და მრეწველობის, განსაკუთრებით გადამამუშავებელი დარგის, ასევე მომსახურების წილის ზრდა; ინდუსტრიული ეკონომიკის ინსტიტუციური კარკასის ფორმირება, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება და შერეულ ეკონომიკურ სისტემაზე კონცენტრირება.

ეკონომიკური მოდერნიზაცია ყოველთვის საჭიროებს განსაზღვრულ პოლიტიკურ კონტექსტს, რომლის ორი ტიპი გამოიყოფა: დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და ავტორიტარული მმართველობა ანუ ავტორიტარული მოდერნიზმი. ცალკე დგას „ტოტალიტარული მოდერნიზმი“ ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სახით. ეკონომიკის დემოკრატიული მოდერნიზაცია ძირითადად ევროპის ქვეყნებში განხორციელდა და დიდი ბრიტანეთი გვევლინება წარმომადგენლობითი დემოკრატიის კლასიკურ ნიმუშად. ამასთანავე, დემოკრატიული მოდერნიზაცია მნიშვნელოვან სახეცვლილებას განიცდის, მიმდინარეობს მისი განახლების პროცესი და როგორც ცნობილი ბრიტანელი პოლიტოლოგი ჯ. კინი შენიშნავს: „დგება „მონიტორინგული დემოკრატიის“ დრო“ [4, გვ.131].

მოდერნიზაციული ავტორიტარიზმი, ანუ ავტორიტარული მოდერნიზმი ძირითადად დამახასიათებელი იყო განვითარებადი სამყაროს და ე.წ. „სწრაფად მზარდი ბაზრის“ (emergency market) ქვეყნებისთვის. შესაძლებელია გამოვყოთ მისი რამდენიმე სახეობა: „განათლებული“, ანუ „რბილი“ ავტორიტარიზმი - სინგაპურში, ტაივანზე, სამხრ. კორეაში... „მკაცრი“ ავტორიტარული მოდერნიზმი - ჩილეში გენერალ ა. პინოჩეტის მმართველობის პერიოდში; პროსოციალისტური ავტორიტარული მოდერნიზმი - ინდონეზიაში პრეზიდენტ სუკარნოს მმართველობის დროს და პროკაპიტალისტური - იმავე ინდონეზიაში გენერალ სუხარტოს პრეზინდენტობის პერიოდში; „პარტიული ავტორიტარული მოდერნიზმი“ - ჩინეთში და „საპარლამენტო ავტორიტარული მოდერნიზმი - ინდოეთში, იაპონიაში.

მკვლევარებს შორის დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზე, არის თუ არა ავტორიტარიზმი განვითარებად ქვეყნებში მოდერნიზაციის უნივერსალური (საყოველთაოდ გავრცელებული) ფორმა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „მოდერნიზციის წარმატებას განსაზღვრავდა არა პოლიტიკური სისტემის ხასიათი, არამედ საზოგადოებისა და ადამიანური რესურსის ხარისხობრივი პარამეტრები, რომელთა განვითარებისთვის არ არის აუცილებელი დემოკრატიის არსებობა“ [5; გვ.99]. აქდან გამომდინარე, ბევრი ქვეყნისთვის „არსებობს არჩევანის თავისუფლება დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის“(იგივე წყარო). ზოგიერთი მეცნიერი, მაგალითად, ვ. სუმსკი კიდევ უფრო კატეგორიულია ამ საკითხში და წერს: „მოდერნიზაცია მოითხოვს ავტორიტარულ პოლიტიკურ უზრუნველყოფას. დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ მის დამათავრებელ ეტაპზე“ და ეს კანონზომიერება გარდამავალი ეპოქებისთვისაა დამხასიათებელი. ვინაიდან, სუმსკის აზრით, კაცობრიობა ამჟამად სწორედ ამ ეტაპზე იმყოფება, „უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს ათწლეულში ვერ მოხერხდება დემოკრატიის გლობალური ზეიმი და მსოფლიო ერთგვარად „გამოეკიდება“ ავტორიტარიზმსა და დემოკრატიას შორის“ (იგივე წყარო). ავტორიტარული მოდერნიზმის გარდუვალობაზე მიუთითებს „სინგაპურული სასწაულის“ შემქმნელი, ამჟამად სინგაპურის „დამრიგებელი მინისტრი ლი კუან იუ; „საზოგადოების გარდამავალ ეტაპზე ობიექტური აუცილებლობაა არჩევანის გაკეთება - ან დემოკრატია ან ეკონომიკური პროგრესი“[6]. მისივე აზრით, დემოკრატიაზე გადასვლა უნდა იყოს „კონტროლირებადი“ და ეტაპობრივი, რათა მან არ წარმოშვას ქაოსი და კატასტროფა (იგივე წყარო).

სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია მკვლევარ ვ. შეინისს, რომლის აზრით, „ჩვენ დროში მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა შეუძლებელია“. [5, გვ.102].

როგორი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს დემოკრატიულ და ავტორიტარულ მოდერნიზაციას შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში? დემოკრატიული მოდერნიზაციის რა ხელსაყრელი და ხელშემშლელი პირობები არსებობს აქ? რამ შეიძლება წარმოშვას ავტორიტარული მოდერნიზაციის აუცილებლობა და შესაძლებლობა? რა გამოწვევებსა და საფრთხეებთან შესაძლებელია იყოს დაკავშირებული

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ავტორიტარული მოდერნიზმის მოდელის პრაქტიკული რეალიზაცია? ხომ არ არსებობს აქ ავტორიტარულ მექანიზმსა და „მმართველობითი დისფუნქციით“ გამოწვეულ ქაოსს შორის საზოგადოების „ჩამოკიდების“ საფრთხე? აღნიშნულ საკითხებზე პასუხის გასაცემად, ჩვენი აზრით, აქტუალურია საქართველოში „ვარდების ხელისუფლების“ ცხრაწლიანი გამოცდილების ანალიზი, რომელსაც ამ ნაშრომის მომდევნო ნაწილი ეძღვნება.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ობიექტურმა სიძნელეებმა და ეკონომიკის რეფორმების პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, ე. შევარდნაძის მმართველობა უძრაობის „ღრმა ჭაობში“ შეიყვანა და „ვარდების“ ხავერდოვანი რევოლუცია გამოიწვია. ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ჯგუფი, რომელიც გამოირჩეოდა გადაწყვეტილებათა მიღების გაბედული სტილით, ეფექტიანი მოქმედებით. ამასთანავე, ეს ჯგუფი მართავდა სისტემას, რომელსაც აკლდა „საშინაო შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმი“[7, გვ.3].

2004 წლის თებერვალში საქართველოში მოხდა “კონსტიტუციური გადატრიალება“ : მ. სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ახალმა პარლამენტმა ნაწილობრივ „ძველი“ შემადგენლობით (ანუ ძველი მაჟორიტარი დეპუტატებით) სასწრაფოდ მიიღო კონსტიტუციური ცვლილება, რომლითაც პრეზიდენტს მიეცა პარლამენტის დათხოვნის და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის უფლება. ამგვარად, პარლამენტი დამოკიდებული გახდა პრეზიდენტზე და შესუსტდა მისი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი, რაც, ფაქტობრივად, პირველი ნაბიჯი იყო ავტორიტარული მმართველობის დამყარების გზაზე. მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების პრეზიდენტის ხელში თავმოყრამ სამინისტროების ფუნქციების დასუსტება და ერთმანეთში აღრევა გამოიწვია.* [9]

„ვარდების ხელისუფლების“ მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში ჩამოყალიბდა შეუზღუდავი და უკონტროლო ძალაუფლების მქონე პრეზიდენტის პირდაპირ დაქვემდებარებაში მყოფი, მკაცრად სტრუქტურიზებულ სახელმწიფო აპარატი, რომელიც ძალოვანი სტრუქტურების (შსს, პროკურატურა, ფინანსური პოლიცია) გამოყენებით რეპრესიულ-ადმინისტრაციულ კონტროლს ახორციელებდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

ზოგიერთი მკვლევარი, ჩვენი აზრით, არც თუ უსაფუძვლოდ, სააკაშვილის მმართველობის მოდერნიზაციულ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას. კარნების დემოკრატიის ინსტიტუტის (აშშ) თანამშრომელი თ. დე ვაალი წერს: „ახალი ქართული პოლიტიკური ელიტა პოსტსაბჭოთა მეზობლებისგან განსხვავებულ გზას დაადგა და ... სახელმწიფოს მშენებლობისა და მოდერნიზაციის გამორჩეული პროექტის განხორციელება დაიწყო [10, გვ.1]. იგი ასევე აღნიშნავს, რომ „სააკაშვილის პრეზიდენტობისას უდავოდ მოხდა საქართველოს მოდერნიზაცია, მაგრამ ასე გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანა მეტად დემოკრატიული გახდა“[იგივე ნაშრომი, გვ.20].

<u>ქვეყნის მოდერნიზაცია, ჩვენი აზრით, პირველ რიგში გამოიხატა „ფუნქციონირებადი სახელმწიფოს“ შექმნასა და საზოგადოებისთვის ეფექტიანი მომსახურების ახალი სისიტემის დანერგვაში.</u> შეიქმნა იუსტიციის სახლები, დაინერგა „ერთი ფანჯრით მომსახურების“ პრაქტიკა, ჩამოყალიბდა სხვადასხვა მომსახურების ცენტრი - მაგალითად, რეესტრის ბიურო, ავტომობილების მართვის მოწმობის გაცემის სამსახური და ა.შ. მომსახურების გამარტივებამ და ახალგაზრდა, ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე პირებით დაკომპლექტებამ, ძველი სტრუქტურების გაუქმებ*[10] გამოიწვია ე.წ. საყოფაცხოვრებო კორუფციის აღმოფხვრა, რაც მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის მოდერნიზაციის გზაზე.

პრეზიდენტის ავტორიტარულმა მმართველობამ ეკონომიკაზეც იქონია ძლიერი ზეგავლენა. ფისკალური წესრიგის დამყარებამ, ადმინისტრირების გამკაცრების გზით ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდამ და მწვავე საბიუჯეტო კრიზისის დაძლევამ, საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა სახელფასო და აგრეთვე საპენსიო დავალიანების დაფარვა უზრუნველყო.

---

[9] * 2006 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტმა თავდაცვის მინისტრს დაავალა ქართული ღვინის ექსპორტისთვის საგარეო ბაზრების მოძიება და ამ მიზნით ღვინის ექპორტის დეპარტამენტიც კი შეიქმნა თავდაცვის სამინისტროსთან(?!). 2007 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალა მარილის ბაზარზე არსებული მაღალი ფასების დარეგულირება და, რეალურად, უკვე გაუქმებული ანტიმონოპოლური სამსახურის ფუნქცია დააკისრა.

[10]* 2004 წლის ზაფხულში დაითხოვეს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული სტრუქტურის - საგზაო პოლიციის 13 000 თანამშრომელი და შექმნეს გაცილებით უფრო პატარა, კარგად ანაზღაურებადი თანამშრომლებიდან შემდგარი ახალი ორგანო. მთლიანად შეცვალეს ასევე კორუფციის მაღალი ხარისხით გამორჩეული საბაჟო სამსახურის სტრუქტურა და პირადი შემდგენლობა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბიზნესთან მიმართებით. 2005 წლიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი და გადასახადების რაოდენობა 27-იდან 7-მდე შემცირდა, საგადასახადო ტვირთი კი შემსუბუქდა. გაუქმდა იმპორტის გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და სამშენებლო მასალებზე, საგრძნობლად გამარტივდა, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ გაუქმდა ბიზნესის დაწყებისთვის ლიცენზიებისა და სხვადასხვა ტიპის ნებართვის აუცილებლობა, ასევე, საგრძნობლად გამარტივდა საკუთრების უფლების სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურები. საქართველომ მსოფლიო ბანკის რეიტინგში - „ბიზნესის კეთების სიადვილე“ - სწრაფად წაიწია წინ და 2009 წელს პირველ ათეულშიც შევიდა. კერძო ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნამ უცხოური ინვესტიციების საგრძნობი ზრდა გამოიწვია და 2004 წელს დაწყებულმა ამ პროცესმა თავის მაქსიმუმს 2007 წელს მიაღწია, 2 მლრდ დოლარიზე მეტი შეადგინა. ამასთანავე, ინვესტიციების ზრდის ტემპი საგრძნობლად აჭარბებდა ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ის ძირითადად თავმოყრილი იყო უძრავი ქონებით ვაჭრობის სფეროში და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის იმპორტის დაფინანსებას ხმარდებოდა.

“ვარდების ხელისუფლების“ მიერ დეკლარირებული ლიბერტარიანული იდეები, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მის მიერ ეკონომიკაში გატარებულ ღონისძიებებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა პრივატიზებასთან და კერძო საკუთრების უფლების დაცვასთან მიმართებაში.*[11] “ვარდების ხელისუფლებამ“ მოსვლისთანავე დაიწყო დეპრივატიზების პროცესი. კერძო საკუთრებაში მყოფი ბევრი ობიექტი, წინა ხელისუფლების პირობებში პრივატიზების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამოსწორების საბაბით, ჩამოერთვა მათ მფლობელებს და სახელმწიფოს გადაეცა მათი ხელახალი პრივატიზების მიზნით. აღსანიშნავია, პრივატიზების გაუმჭირვალე პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით მსხვილ ობიექტებს შეეხო და კორუფციული გარიგებების არსებობის ეჭვის საფუძველი გახდა. რამდენჯერმე დაფიქსირდა გაცხადებულზე ნაკლები თანხის გადახდის შემთხვევა. არც თუ იშვიათად, სპეციალურად, ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზებაში მონაწილეობის მისაღებად, აუქციონის წინა დღეებში საეჭვო დამფუძნებლებით და კაპიტალით იქმნებოდა ფირმები, რომლებიც შემდეგ იმარჯვებდნენ აუქციონებსა და კონკურსებში [8, 132]. ხშირი იყო ბიზნესმენებზე სახელმწიფოს მხრიდან ძალადობა, რომელიც რამდენიმე მიმართულებით გამოვლინდა:

- ხელისუფლება სხვადასხვა საბაბით, ძალოვანი სტრუქტურების გამოყენებით, ბიზნესმენებს აიძულებდა არაპროპორციული ფასების გადახდას სხვადასხვა ობიექტის შესყიდვაში.*[12]
- მთავრობა ბიზნესმენებს აიძულებდა სოლიდური თანხების გადახდას როგორც ბიუჯეტში, ასევე სხვადასხვა ფონდში, რომელთა მეტი ნაწილი ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან კონტროლდებოდა. მოქმედებდა შემდეგი აპრობირებული სქემა: ფინანსური პოლიცია ან საგადასახადო სამსახური შედიოდა ორგანიზაციაში ფინანსური დარღვევის არსებობის საბაბით, აპატიმრებდა რამდენიმე თანამშრომელს, აჩერებდა საწარმოს ფუნქციონირებას შემოწმების დასრულებამდე, რომლის თარიღი არავინ უწყოდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეეძლო მხოლოდ ბიუჯეტში სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ.*[13]
- ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა უშუალო მითითებით ან ჩარევით ხდებოდა ხელისუფლებისთვის არასასურველი ბიზნესმენებიდან ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებზე ქონების იძულებით გადაფორმება ანუ მისი წართმევა.

---

[11]* მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის ანაგარიშში საქართველოზე ეწერა: „შეშფოთებას იწვევს ისეთი სფეროები, როგორიცაა დემოკრატიული ინსტიტუტები. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლება და ელიტარული კორუფცია Human Rights Report on Georgia 2010. www.state.gov/grd/hrrpt/2010/eur/154425html/ . [9].

[12]* ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ისრაელის მოქალაქის ეფრაიმ გურის ისტორია, რომელსაც საქართველოს პროკურატურამ 2010 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტატანისში 412 000 ლარად აყიდინა 162 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული კულტურის სახლის ნახევრად დანგრეული შენობა, მის შვილზე - რონენ გურზე სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის სანაცვლოდ [http:/pirveli.com.ge/rus/?menuid=5591].

[13]* ასე მოხდა ღვინის კომპანია „ბადაგონის“ შემთხვევაში, რომელიც აიძულეს ასობით ლიტრი ხარისხიანი ღვინო კანალიზაციაში ჩაეღვარა. მთელი პროდუქციის განადგურების თავიდან ასაცილებლად კომპანია იძულებული გახდა მოთხოვნილი თანხა „ხარკის“ სახით გადაეხადა - „ბიზნესის „გაწეწვის“ ანატომია, ანუ „ვიკილიკსი“ ქართულად“ – „კვირის პალიტრა“. 2012, 25 დეკემბერი [10].

- ბიზნესის დაუბრკოლებელი და უსაფრთხო წარმოება შეეძლო მხოლოდ მმართველ ელიტასთან ახლო ნათესაურ კავშირში მყოფ პირებს, მეგობრებს ან მმართველი პარტიის დამფინანსებელ ბიზნესმენებს.*[14]

ქვეყნის განვითარებაში მიღწეული გარკვეული პოზიტიური ცვლილებების და დინამიზმის მიუხედავად, 2012 წლის ოქტომბერში „ვარდების ხელისუფლება“ დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში და ძალაუფლება პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ხელში გადავიდა. სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის მარცხის გასაგებად, ჩვენი აზრით, უპრიანია „ავტორიტარული მოდერნიზმის ქართული მოდელის“ შედარება მსოფლიოში აპრობირებულ მოდელებთან. სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გამოყენებულ ავტორიტარულ მოდერნიზმს რიგი საერთო ნიშანი გააჩნდა. კერძოდ:

- პოლიტიკურ ელიტაში მოდერნიზაციაზე ორიენტირებული, საერთო იდეოლოგიის მქონე თანამოაზრეთა ჯგუფის არსებობა, რომელიც საზოგადოების მნიშვნელოვნი ნაწილის ნდობით და მხარდაჭერით სარგებლობს;
- ქარიზმატული ლიდერისა და პატიოსანი ტექნოკრატებისგან შემდგარი გუნდის მიერ კორუფციისგან თავისუფალი სახელმწიფო აპარატის ფორმირება;
- მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ ქვეყნის განვითარების სტრატეგიასა და საზოგადოების მოდერნიზაციის მეგაპროექტის არსებობა;
- ქვეყნის მოსახლეობის მაქსიმალურად დიდი ნაწილის დაინტერესება და ჩაბმა მოდერნიზაციის პროცესში, ადამიანებში სოციალური პასიურობისა და აპათიის დაძლევა.
- წინა ამოცანიდან გამომდინარე, საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკის გატარება. მაგალითად, ტაივანზე განხორციელდა „თანაბარზომიერად მდიდარი საზოგადოების“ შექმნის დოქტრინა, სამხრ. კორეაში პოპულარული იყო „საზოგადოების ჰარმონიზაციისა და თანამშრომლობის“ ლოზუნგი. სინგაპურში ლი კუან იუ-ს და მისი მემკვიდრის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული იყო ამ ქვეყნის უკლებლივ ყველა მოქალაქისთვის კარგ განათლებასა და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე, ხელოვნების დახმარებაზე, ანუ „საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფაზე;
- საშუალო კლასის ჩამოყალიბებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომლის მიღწევის საუკეთესო საშუალებად მიჩნეული იყო სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის აქტიური მხარდაჭერა;
- ხელისუფლებისა და საკუთრების სიმბიოზის დარღვევა, როგორც წარმატებული მოდერნიზაციის აუცილებელი პირობა. იგი გულისხმობდა სახელმწიფო ადმინისტრირების მკვეთრ გამიჯვნას ბიზნესის წარმოებისგან, ბიზნესის ინტერესთა ინსტიტუციონალიზაციას და მისი ლობირების ლეგალური მექანიზმის შექმნას;
- მოდერნიზაციისათვის ხელსაყრელი საგარეო პირობების არსებობა.

როგორ შეესაბამებოდა „ავტორიტარული მოდერნიზმის ქართული მოდელი“ ზემოთ ჩამოყალიბებულ პირობებს? მივყვეთ თანმიმდევრობით:

- „ვარდების რევოლუციით“ მოსული, ახალგაზრდებით დაკომპლექტებული მმართველი ელიტა წარმოადგენდა თანამოაზრეთა ჯგუფს და ნამდვილად სარგებლობდა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით, განსაკუთრებით ხელისუფლებაში ყოფნის პირველ ეტაპზე;
- პრეზიდენტი მ. სააკაშვილი აშკარად გამოირჩეოდა ქარიზმატულობით, მისმა ხელისუფლებამ წარმატებით დაძლია საყოფაცხოვრებო კორუფცია, თუმცა დაამკვიდრა ელიტარული კორუფცია;
- „ვარდების ხელისუფლებას“ არ შეუმუშავებია საზოგადოების მოდერნიზაციის კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რის გამოც აღნიშნული მიმართულებით გატარებული ღონისძიებები არათანმიმდევრული და ფრაგმენტული ხასიათის იყო;

---

[14]* გამოცემა - „საქართველო დღეს“ წერდა: „ბევრი საწარმო - „ჭიათურმარგანეციდან“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამდე მოქცეულია პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის ხელში. მხოლოდ ლოიალურ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან მოგების გარკვეული ნაწილი გაიღონ სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური საჭიროებისთვის, შეუძლიათ ბიზნესის უსაფრთხო წარმართვა“ - //http://www.georgiatimes.info/articles/45278/html//; აგრეთვე: //http:www.dela.su.gruzia/5956-biznes/materi/prezidenta.html; http:/transparency.ge/en/blog/who-has-bougth-property-ge/-1-adjara; http://www.georgiatimes.info/video/2309.html და სხვ. [11].

- პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრებისთვის დამახასიათებელი იყო მკვეთრად გამოხატული პოპულიზმი და სოციალური თემებით მანიპულირება. ასე, მაგალითად, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი ლოზუნგი იყო „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. ამავე სახელწოდებით იქნა დამტკიცებული მთავრობის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სოციალური პაკეტის მიმღები ბენეფიციარების, ანუ სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ნაწილის 50%-ით შემცირებას. ამასთანავე, მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე დეკლარირებულ ამოცანებს [7ბ, გვ.];
- ლიბერტარიანული ლოზუნგებით განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, პრაქტიკულად, მოსპო საქართველოში მოდერნიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალის - საშუალო კლასისის - ჩამოყალიბების პერსპექტივა. პირიქით, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა უფსკრული მდიდარი მოსახლეობის უმცირესობასა და ღარიბი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შორის. აღნიშნულმა გარემოებამ საგრძნობლად შეასუსტა მოდერნიზაციის საზოგადოებრივი მხარდაჭერა;
- ხელისუფლებისა და საკუთრების ძველი სიმბიოზი დაირღვა, მაგრამ მის ადგილას ახალი სიმბიოზი დამკვიდრდა, რომელიც უმთავრესად ელიტარული კორუფციით გამოვლინდა.
- საქართველოსთან მიმართებით, არსებობდა მოდერნიზაციის ხელსაყრელი საგარეო პირობები, რომელიც გამოიხატებოდა დასავლეთის ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა აშშ-ის საქართველოს მთავრობისადმი აქტიურ მხარდაჭერაში. ამასთანავე, მ. სააკაშვილის კონფრონტაციულმა პოლიტიკამ რუსეთის მიმართ განაპირობა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების მინიმუმამდე დაყვანა, სეპარატისტულ რეგიონებთან(აფხაზეთი, სამხრეთი ოსეთი) ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება, 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და ზოგადად ქართულ სახელმწიფოებრიობას.

ამრიგად, ავტორიტარული მოდერნიზმის და მისი ქართული ნაისახეობის შედარებითი ანალიზი რამდენიმე შემაჯამებელი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

პირველი, ბევრი განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე ავტორიტარული ხელისუფლების არსებობა შესაძლებელია წარმოადგენდეს ეკონომიკური მოდერნიზაციის პირობას, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველ ავტორიტარულ რეჟიმს აუცილებლად შეუძლია წარმატებული მოდერნიზაცია;

მეორე, მსოფლიო გამოცდილება „მკაცრი“ ავტორიტარული რეჟიმის თანმხლებით წარმატებული ეკონომიკური მოდერნიზაციის მხოლოდ ერთ შემთხვევას იცნობს - ჩილეს 1970-იან-1980-იან წლებში გენერალ პინოჩეტის მმართველობის დროს.

- მსოფლიო გამოცდილება ასევე გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური მოდერნიზაცია შედარებით წარმატებით ხორციელდებოდა ე.წ „რბილი“, ანუ „განათლებული“ ავტორიტარული მმართველობის ქვეყნებში - ტაივანზე, სამხრ. კორეაში, სინაგპურში და აშ. ეს ავტორიტარული რეჟიმები არ გამორიცხავდა გარკვეულ პოლიტიკურ პლურალიზმს და ორიენტირებული იყო საბაზრო ეკონომიკის, კერძო ბიზნესის აქტიურ სახელმწიფო მხარდაჭერაზე;
- „ვარდების რევოლუციის“ გზით, 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ჩამოყალიბდა მ.სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობა, რომელიც ეფუძნებოდა პოლიტიკური ლიდერის ქარიზმას, ქმედუნარიან და ფართო უფლებების მქონე ძალოვან სტრუქტურებს, მმართველ პოლიტიკურ პარტიას - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და ამ მმართველობას გარკვეული პერიოდის მანძილზე ჰქონდა აქტიური საზოგადოებრივი მხარდაჭერა;
- მ. სააკაშვილის ავტორიტარულმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ე.შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლების მიერ სტაგნაციაში შეყვანილი ქვეყნის დინამიური განვითარების რელსებზე გადაყვანაში, სწრაფი და სისტემური ცვლილებები გაატარა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საბოლოო ანგარიშით, ავტორიტარულმა მოდერნიზმმა საქართველოში მარცხი განიცადა, რომელიც, ჩვენი აზრით, რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული:

1. პოლიტიკური ელიტა სათანადო სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა, რაც უპირატესად გამოიხატა მისი არასაკმარისი კომპეტენტურობით და „ელიტარულ კორუფციაში“ ჩართულობით;

2. მმართველობის უმაღლესი დონიდან მომდინარე, მოდერნიზაციის იმპულსების სათანადო რეალიზება ვერ მოხერხდა, პირველ რიგში, საზოგადოებაში ადეკვატური ინსტიტუტების სისუსტის ან რიგ შემთხვევაში საერთოდ არარსებობის გამო;
3. ეკონომიკურ მოდერნიზაციას წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული ხასიათი ჰქონდა. კომპლექსური მოდერნიზაციის ნაცვლად მივიღეთ ფრაგმენტული მოდერნიზაცია;
4. მოდერნიზაციის გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს თან სდევდა ადამიანის თავისუფლების სივრცის შეზღუდვა, რაც არსებითად ამცირებდა მოდრნიზაციის პოზიტიური პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას;
5. სააკაშვილის ავტორიტარულმა მმართველობამ ქვეყნის შემდგომი განვითარების გარკვეული რესურსი შექმნა, თუმცა, პოსტავტორიტარული პერიოდის საქართველოში არაფომალური მმართველობის პრაქტიკა არ შეიძლ;ება ჩაითვალოს ამ რესურსის ეფექტიანი ათვისების საუკეთესო მექანიზმად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Piterse J. N. Development Theory: Deconstructions – Reconstructions. L., 2010.
2. a) Coetee J.K. Development: Theory, Policy and Practice. Oxford, 2001;
   b) Delanty G. Social Theory in a Changing World: Conteptions of Modernity. Cambridge, 1999.
3. მექვაბიშვილი ე. „დამწევი განვითარების“ სტრატეგია და საქართველოს ეკონომიკის მომავალი - ეკონომიკა და ბიზნესი. 2012, №1.
4. Kean J. Life and Death of Democracy. L., 2009,
5. M E u MO. 2010, №1.
6. artishev.com|html|
7. თომას დე ვაალი, საქართველოს არჩევანი, მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პირობებში, თბ., 2011.
8. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ანტირეფორმები. თბ., 2015.
9. Human Rights Report of Georgia 2010. www.state.gove|rls|hrrpt|2010|eur|154425html|
10. http:||pirveli.com.ge|rus|?menuid+5591
11. ბიზნესის „გაწეწვის“ ანატომია, ანუ „ვიკილიკსი“ ქართულად. „კვირის პალიტრა“ 2012, 25 დეკემბერი.
12. ა) ||http:||www.georgiatimes.info|articles|45278|html| ;
    ბ) ||http:||www.dela.su|gruzia|5956-biznesmateriprezidenta.html
    გ) ||http:|transparency.ge|en|b|og|who-has-bought-property-ge|-1-adjara
    დ) ||http:||www.georgiatimes.info|video|2309.html

Economic Content of Modernized Authoritarianism: Georgia's Experience

E. Mekvabishvili

Summary

The article deals with the essence of modernization and component parts. There are characterized the stages and models of economic modernization in different countries of the world. The author has outlined the democratic and authoritarian forms of political provision for economic modernization. President M. Saakashvili's nine-year rule is evaluated as an authoritarian model of socio-economic modernization in the post-communist transition period in Georgia. There is analyzed its content, positive and negative sides. The main focus is on the objective and subjective reasons for the failure of authoritarian modernization of the Georgian version.

Keywords: *modernization, models and stages of economic modernization, soft authoritarianism, strict authoritarianism, constitutional coup, authoritarian rule of M. Saakashvili, Economic reforms.*

გლობალიზაცია სტატისტიკის თვალთახედვით

მარინე მინდორაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაციამ ახალი და კონკურენტუნარიანი შესაძლებლობები შექმნა ფინანსური ბაზრების, სავაჭრო ტრანსაქციებისა და მწარმოებლებისთვის. თუმცა, პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ის დაფარულ რისკებსაც მოიცავს. სახელდობრ, ეკონომიკური ოპერაციებისა და შეთანხმებების სულ უფრო გაზრდილი გლობალური ხასიათი სტატისტიკოსებისთვის ართულებს შიგა ეკონომიკის გასაზომად ეროვნული ანგარიშების, მონაცემების შეგროვებისა და კომპილაციის არსებული სისტემების გამოყენებას. აღნიშნულმა უბიძგა სტატისტიკოსებს გადაეხედათ თავიანთი მონაცემთა წყაროების, გაზომვის მეთოდებისა და ინდიკატორებისათვის, რათა მომხმარებლის საჭიროებები მაღალი ხარისხის სტატისტიკით დაკმაყოფილდეს.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ეას, ექსპორტი, პუი, ვაჭრობა დამატებული ღირებულებით.*

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო იზრდება და ღრმავდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირები, რაც ტრადიციულ სფეროებთან ერთად, როგორიცაა ფინანსური ბაზრები და გაცვლითი ოპერაციები, საწარმოო პროცესებსაც შეეხო. თითქმის ქრესტომატიულად იქცა დედრიკისა[2] და მისი თანაავტორების მიერ განხილული გლობალიზაციის საილუსტრაციო მაგალითი ეფლ აიპოდის (Apple iPod) შესახებ. როგორც ჩანს, ჩინეთს, რომელიც აიპოდის მწარმოებელი ქვეყანაა, მის ფასში დამატებული ღირებულების მხოლოდ 10% შეაქვს 144 დოლარის სახით. ამასთან, კომპონენტების უმეტესობის (დაახლოებით 100 დოლარი) იმპორტირება იაპონიიდან ხდება, ხოლო დარჩენილი ნაწილის - აშშ-სა და სამხრეთ კორეიდან. ფაქტობრივად, ეს პროდუქტი შეიქმნა და განვითარდა აშშ-ში, მისი მაკომპლექტებელი ნახევარფაბრიკატები დამზადდა სხვადასხვა ქვეყანაში და ბოლოს ააწყვეს ჩინეთში, რომ არაფერი ვთქვათ სარეკლამო კამპანიების შესახებ, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ხორციელდება. რა თქმა უნდა, ეს არ არის გამონაკლისი. უკვე არავინ კამათობს გლობალიზაციის დადებით ეფექტებზე, რაც გაზრდილ შემოსავალსა და მწარმოებლურობაში აისახება, თუმცა, არც რისკების გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რაც არაერთხელ დადასტურდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისშივე. სახელდობრ, აშშ-დან დაწყებული ფინანსური კრიზისით, ან თუნდაც ფუკუსიმას კატასტროფით, რასაც ლოკალური კი არა, მსოფლიო მასშტაბის ჯაჭვური დამანგრეველი რეაქცია მოჰყვა.

გლობალიზაცია სტატისტიკის თვალთახედვის არეში, უპირველეს ყოვლისა, მისი გაზომვის პრობლემებით ხვდება. თუ ვთანხმდებით, რომ გლობალიზაცია ქვეყნებს შორის გაზრდილ ეკონომიკურ ურთიერთ-კავშირებთან ასოცირდება, მაშინ რომელი მაჩვენებლით ან მაჩვენებელთა სისტემით უნდა დავახასიათოთ ეს მოვლენა? უჩენს თუ არა თავისი „საერთაშორისო“ ბუნებით გლობალიზაცია პრობლემებს ეროვნულ ანგარიშთა ცვლადებს, ხომ არ მოძველდა „ეროვნული“ ანგარიშები? რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია უკვე არსებულ სოციალ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაზე? აჩენს თუ არა ბიზნესის საერთაშორისო ხასიათი პრობლემებს ეროვნული სტატისტიკის კომპილაციისა და წარმოების პროცესში? ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ის საკითხებია, რომლებიც მოცემული ეტაპის გამოწვევებს უკავშირდება და სამომავლოდ ეს ნუსხა, სავარაუდოდ, კვლავ გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ ამ ფენომენის მთავარი ტენდენციების დასახასიათებლად ევროსტატმა სპეციალურად შეიმუშავა ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორები, რომელიც საკმაოდ ინფორმაციულია მიმდინარე ეტაპისთვის. ეს ინდიკატორები ეფუძნება ევროსტატის მონაცემთა ბაზას და ისეა აგებული, რომ მოხდეს მათი მრავალმხრივი შედარება ქვეყნების მიხედვით. პირველი გამოქვეყნებისას, 2014 წლის ივნისში, გლობალიზაციის თორმეტი ინდიკატორი ხუთ ჯგუფში გადანაწილდა:

1.საერთაშორისო ვაჭრობა: საქონლისა და მომსახურების იმპორტის წილი(%) მშპ-ში, საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი(%) მშპ-ში, ექსპორტის ფარდობა იმპორტთან;

2.პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი): ქვეყანაში შემოსული პუი-ს მარაგების წილი(%) მშპ-ში, ქვეყნიდან გასული პუი-ს მარაგების წილი(%) მშპ-ში, პუი-ს ნაკადების ინტენსივობა - ბაზრების ინტეგრაცია;

3.დასაქმება: უცხოეთის მიერ კონტროლირებად საწარმოებში დასაქმებულთა წილი(%) მთლიან შიგა დასაქმებაში, დასაქმების დინამიკა უცხოეთის მიერ კონტროლირებად საწარმოებში, დასაქმების განვითარება შიგა საწარმოების უცხოურ ფილიალებში.

4.მეცნიერული კვლევები და დამუშავებები (R&D): უცხოეთის მიერ კონტროლირებად საწარმოებში მეცნიერული კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯების წილი(%) კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეულ მთლიან ხარჯებში.

5.დამატებული ღირებულება: უცხოეთის მიერ კონტროლირებად საწარმოებში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი(%) მთლიან დამატებულ ღირებულებაში, დამატებული ღირებულების დინამიკა უცხოეთის მიერ კონტროლირებად საწარმოებში.

2014 წელს ყველა ეს ინდიკატორი ქვეყნის დონეზე იყო გაანგარიშებული. 2015 წლის მაისში ევროსტატმა გამოაქვეყნა მეორე მიმოხილვა, სადაც ინდიკატორები ეკონომიკური საქმიანობისა და პარტნიორი ქვეყნის მიხედვით (ევროკავშირის შიგნით და ევროკავშირის გარეთ - (intra-EU/extra-EU)) არის ჩაშლილი. მომავალში გათვალისწინებულია ამ ინდიკატორებისთვის ევროკავშირის გარე ნაწილის ჩაშლა მთავარი სავაჭრო პარტნიორის (აშშ, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი და ბრაზილია) მიხედვით. 2018 წლისთვის ევროკავშირი აპირებს მიკრომონაცემებზე დაფუძნებული ექსპერიმენტული ინდიკატორების გამოქვეყნებას [3].

მსოფლიო ბანკის პუბლიკაციაში - Globalization and International Trade [4] აღნიშნულია, რომ რისკების მიუხედავად, მრავალი ქვეყანა ირჩევს ეკონომიკის გლობალიზების გაზრდილ მასშტაბებს. ამ მასშტაბის დასახასიათებლად ერთ-ერთი გზაა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის (ექსპორტს პლუს იმპორტი) ფარდობა მშპ-ს ან მთლიან ეროვნულ პროდუქტთან (მეშ-ის ანალოგი 1993 წლამდე). ამ საზომით, 1950 წელთან შედარებით, XX საუკუნის დასასრულისთვის გლობალიზაციის მასშტაბები დაახლოებით გაორმაგდა. 1965-96 წლებში მსოფლიო ექსპორტი მეპ-თან შედარებით ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, შედეგად, 1996 წლისთვის მსოფლიო ვაჭრობის დონემ მსოფლიო მშპ-სთან (მყიდველობითუნარიანობის პარიტეტებით) 30%-ს მიაღწია, მათ შორის 40%-ს განვითარებულ და 15%-ს - განვითარებად ქვეყნებში.

აღნიშნული ინდიკატორის გარდა, მსოფლიო სტატისტიკის პრაქტიკაში, გლობალიზაციის დამახასიათებელი ეროვნული ეკონომიკების ურთიერთ-კავშირის ასახვისთვის, უფრო ხშირად გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი მშპ-ში. მაგალითად, 1995-2012 წლებში ეთგო-ს ქვეყნების ექსპორტის წილი მშპ-ში 20.1-დან 29.0%-მდე გაიზარდა [5], ხოლო მთელი მსოფლიოს მასშტაბით 1960-2015 წლების პერიოდში ეს ინდიკატორი 12.3-დან 29.3%-მდე გაიზარდა, ანუ 2000 წლისთვის მსოფლიო ექსპორტის წილი მსოფლიო მშპ-ში გაორმაგდა და შემდგომ ხუთ წელიწადში კიდევ თითქმის 0.5-ჯერ გაიზარდა [6]. მაგალითად მოვიყვანთ ექსპორტის წილს მშპ-ში 2015 წელს შერჩეული ქვეყნების მიხედვით:

50-60%-ის ფარგლებში: უკრაინა (52.8%), დანია (53.3%), ავსტრია (53.4%), ისლანდია (53.7), ყატარი (55.4%), ლიბანი (56.9%), ლატვია (58.8%).

60-70%-ის ფარგლებში: ბელარუსი (60.1%), ფიჯი (64.2%), ბულგარეთი (66.5%), კამბოჯა (67.6%), კონგო (69.3%).

70-100%-ის ფარგლებში: ლიტვა (77.3%), სლოვენია (77.8%), ესტონეთი (79.8%), ნიდერლანდები (82.8%), ბელგია (84.4%), ჩეხეთი (84.5%), ვიეტნამი (89.8%), სლოვაკეთი (93.8%), ეკვატორული გვინეა (98.0%),

100%-ის ზევით (ძალიან მაღალი წილი): მალდივის კუნძულები (104.9), ირლანდია (121.4%), სინგაპური (176.5%), ჰონ-კონგი (201.2%), ლუქსემბურგი (213.8%).

საქართველოში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილი მშპ-ში 45%-ია, რაც 1995 წელს 25.5%-ს შეადგენდა, ანუ ბოლო 20 წლის განმავლობაში ეს ინდიკატორი თითქმის გაორმაგდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჯგუფში (40-50%) ხვდება აგრეთვე გერმანია, მონღოლეთი, გაბონი, ბუტანი, ანტიგუა და ბარბუდა. შედარებისთვის საინტერესოა, რომ მეზობელ სომხეთში ეს ინდიკატორი 29.7%-ია, აზერბაიჯანში - 37.8%, ხოლო რუსეთში - 29.5%.

პატარა და ღია ეკონომიკის ქვეყანა ლუქსემბურგში ექსპორტის წილი მშპ-ს ორჯერ და მეტად აღემატება; 2015 წლამდე მისი პიკი, 182%, ზუსტად ფინანსური კრიზისის წინ დაფიქსირდა. თუმცა კრიზისამდე ექსპორტის მაღალი წილი სხვა ქვეყნებშიც აღინიშნა: ბელგია, ესტონეთი, უნგრეთი, ირლანდია, ნიდერლანდები და სლოვაკეთის რესპუბლიკა. თუ დინამიკაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ გრძელვადიანი განვითარების გზიდან მთავარი ამოვარდნა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია, თუმცა, ტრენდის გასწორება მალევე მოხდა კრიზისამდელზე უფრო მაღალი ექსპორტის წილებით, რაზეც მეტყველებს 2015 წლის მონაცემები.

მეორე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც ეროვნულ ეკონომიკებს შორის მზარდი ურთიერთკავშირების ტენდენციას გვიჩვენებს, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) წილი მშპ-ში. პუი ძირითადად დაკავშირებულია ტრანსნაციონალური საწარმოების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან მის საზღვარგარეთულ ფილიალებში. თუ 1990 წელს ეთგო-ს ქვეყნებიდან გასული პუი-ს მარაგების საშუალო პოზიცია 9.7% იყო, 2013 წელს ის უკვე 42.6%-მდე გაიზარდა [7]. აქაც, ექსპორტის წილების მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა. უკანასკნელ წლებში ლუქსემბურგიდან და ირლანდიიდან გამავალმა ინვესტიციებმა 200%-ს გადააჭარბა და მას ფეხდაფეხ მიყვებოდა ბელგია და შვეიცარია - 190%-ით. მსოფლიოს მასშტაბით, 1970 წლიდან დაწყებული (0.5%), ქვეყნებიდან გასული პუი-ს ნაკადების პირველი პიკი 2000 წელს (4.17%) დაფიქსირდა, ხოლო მეორე - 2007 წელს (5.44%). აღსანიშნავია, რომ 2003 წელს შესამჩნევი ვარდნა დაფიქსირდა 1997 წლის დონემდე (1.88%), მცირე მატება შეინიშნებოდა 2014 წელს (1.98%), თუმცა, 2015 წელს უკვე 2.27% დაფიქსირდა.

ასევე შეიძლება დავაკვირდეთ უცხოური კორპორაციების კონტროლქვეშ მყოფი საწარმოების შიგა გამოშვებასა და დასაქმებას. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ნიდერლანდების ქეისი. მონაცემებიდან ჩანს, რომ არაფინანსურ საქმიანობაში საზღვარგარეთული კორპორაციების მიერ კონტროლირებადი საწარმოების წილი 1995 წლიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელ პერიოდში. 2009-11 წლებში ასეთი საწარმოების წილი დამატებულ ღირებულებაში 19%-იდან (1995წ.) დაახლოებით 30%-მდე გაიზარდა, ხოლო ამავე პერიოდში მომუშავეთა ანაზღაურებაში მათი წილი 16.5%-დან 25%-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი მატება კრიზისის პირველ წლებში შეინიშნებოდა, რაც სავარაუდოდ იმაზე მეტყველებს, რომ უცხოეთის მიერ კონტროლირებადი კორპორაციები კრიზისისადმი უფრო მედეგი აღმოჩნდა.

ყოველივე ეს ნათლად მიანიშნებს ეროვნული ეკონომიკების მზარდ ურთიერთკავშირებზე. ასეთივე მაგალითების მოძიება შესაძლებელია ფინანსური კაპიტალის გაზრდილ დღიურ ტრანსაქციებში მსოფლიო მასშტაბით.

ამავე ტიპის სტატისტიკური ინფორმაცია იმ სახით, როგორც ეს ინდიკატორების ჩამონათვალშია მოცემული, კვლევებისა და დამუშავებების მიხედვით არსებობს მხოლოდ 2009 და 2011 წლებისთვის და ამასთან არასრულია[8], რაც შეეხება ინფორმაციას დამატებული ღირებულების ხვედრითი წილების შესახებ, უკანასკნელი მონაცემები 2011 წლისაა, ხოლო უფრო ადრინდელი - 2008, 9 და 10 წლებისაა სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით[9].

როგორც ლოკიე და ბლეიდსი[1] აღნიშნავენ ეროვნულ ანგარიშთა სახელმძღვანელოში, გლობალიზებული სამყაროს მთავარი მოთამაშეები ტრანსნაციონალური საწარმოები არიან. სულ უფრო მეტი საწარმო ერთვება გლობალურ საწარმოო საქმიანობაში, რაც ხშირად მთელ მსოფლიოს მოიცავს. საწარმოო პროცესები დანაწილებულია და იმ ქვეყნებშია განთავსებული, სადაც ეს ყველაზე ეფექტურია. ეს პირდაპირ გავლენას ახდენს დამატებული ღირებულებისა და დასაქმების ფორმირებაზე ამ ქვეყნებში, აგრეთვე საზღვრის მკვეთი სავაჭრო ნაკადების ინტენსივობასა და იმ კონკურენტულ უპირატესობებზე, რაც გლობალიზებული სამყაროსთვის არის დამახასიათებელი. მსოფლიო სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული გახდა და ამიტომ ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების გაგება მხოლოდ ტრადიციული მიდგომებითა და ეროვნული სტატისტიკით შეუძლებელია. დარგობრივი პოლიტიკების შექმნისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სულ უფრო მეტად ხდება საჭირო ეკონომიკის მთლიანობაში დანახვა.

გლობალიზაციის, როგორც ფენომენის შესასწავლად მრავალი ინიციატივა გაჩნდა. მათ შორისაა მონაცემებისა და ანალიზის გაუმჯობესება ახალი ხერხის გამოყენებით, რომელსაც ეწოდება ვაჭრობა დამატებული ღირებულებით (დამატებული ღირებულების ტერმინებით, თვალთახედვით) (TiVA), რომელიც ეთგო-სა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ერთობლივი წამოწყებაა. ამ ინიციატივაში განიხილება ორმაგი აღრიცხვის საკითხი, რაც ვაჭრობის მიმდინარე მთლიანი ნაკადებისთვის არის დამახასიათებელი და შემოთავაზებულია ღირებულების იმ ნაკადების გაზომვა (მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, სხვა გადასახადები წარმოებაზე და მთლიანი საოპერაციო მოგება, ან შემოსავალი), რისი დამატებაც ხდება ქვეყნის მიერ წარმოებულ ნებისმიერ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც ექსპორტში უშვებს[10]. ის, რაც ადრე მხოლოდ ვაჭრობის სტატისტიკოსების თავის ტკივილად ითვლებოდა, უკვე იქცა პოლიტიკოსების დებატების საგნად. როგორც პასკალ ლამი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, აღნიშნავდა: „სტატისტიკური გადახრა, რომელიც დაკავშირებულია სავაჭრო ღირებულების მიწერასთან უკანასკნელი წარმოშობის ქვეყანაზე, ამახინჯებს ორმხრივი ვაჭრობის დისბალანსის ნამდვილ ეკონომიკურ ასპექტს. ეს გავლენას ახდენს პოლიტიკურ დებატებზე და იწვევს არასწორ აღქმას“[11]. 2011 წელს საფრანგეთის სენატმა სპეციალური სემინარი მიუძღვნა ამ საკითხის სტატისტიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. არსებობს რამდენიმე სფერო, რომელშიც აღნიშნული ინდიკატო-

რი ახალ პერსპექტივებს შექმნის და სავარაუდოდ გავლენას მოახდენს პოლიტიკის მიმართულებებზე, კერძოდ: ვაჭრობა, ზრდა და კონკურენტუნარიანობა, გლობალური დისბალანსი, მაკროეკონომიკური შოკების გავლენა, ვაჭრობა და დასაქმება, ვაჭრობა და გარემო.[12]

2015 წლისთვის, TiVA-ს მონაცემთა ბაზაში[13] 61 ეკონომიკაა გაერთიანებული, რომელიც მოიცავს ეთგო-ს, EU28, G20-სა და აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმსავლეთ აზიის უმეტეს ეკონომიკებს და სამხრეთ ამერიკის შერჩეულ ქვეყნებს. საქმიანობის სახეების სია გაფართოვდა და 34 სექტორს მოიცავს, რომელთა შორის 16 წარმოების და 14 მომსახურების დარგია. ამ ბაზაში წარმოდგენილი ინდიკატორები სხვადასხვა ჭრილით წარმოადგენს ვაჭრობას დამატებული ღირებულების თვალთახედვით, კერძოდ:

- შიგა და უცხოური დამატებული ღირებულების წილი საექსპორტო დარგის მთლიან ექსპორტში;
- მომსახურების წილი საექსპორტო დარგის მთლიან ექსპორტში მომსახურების სახისა და დამატებული ღირებულების წარმოშობის მიხედვით;
- მონაწილეობა ღირებულების გლობალურ ქსელებში(GVCs) შუალედური იმპორტის გზით, რომელიც ექსპორტშია განხორციელებული (უკუკავშირი) და შიდა დამატებული ღირებულებით პარტნიორის ექსპორტში(წინკავშირი);
- საწარმოო საქმიანობის „გლობალური ორიენტაცია“, ანუ მრეწველობის დამატებული ღირებულების წილი საზღვარგარეთის საბოლოო მოთხოვნაში;
- საბოლოო მოთხოვნაში დამატებული ღირებულების წარმოშობის წყარო - წარმოშობის ქვეყნისა და დარგის მიხედვით - საბოლოო მოხმარებაში (შინამეურნეებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების) და ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში (ინვესტირება ბიზნესში) დამატებული ღირებულების წარმოშობის წყაროს მითითებით;
- ორმხრივი სავაჭრო კავშირები, რომლებიც ემყარება შიდა საბოლოო მოთხოვნაში ასახულ დამატებული ღირებულების ნაკადებს;
- ინტერრეგიონული და ინტრარეგიონული ურთიერთკავშირები.

ჯერჯერობით ზემოაღნიშნული მონაცემები არსებობს 1995, 2000, 2005 და 2008-დან 2011-ის ჩათვლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. მეორე გამოცემა (თსუ, ქართული თარგმანი), ეთგო, 2015, გვ. 564-585. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/SNA%20-%2025.11.2015.pdf
2. Dedrick, J., Kraemer, K.L., Linden, G. (2010) “Who profits from innovation in global value chains? A study of the iPod and notebook PCs.” Industrial and Corporate Change 19(1), 81- 116. Dedrick, J., Kraemer, K.L., Linden, G. (2011) “The Distribution of Value in the Mobile Phone Supply Chain.” Telecommunications Policy 35(6): 505-521.
3. http://ec.europa.eu/eurostat/web/economic-globalisation-indicators/indicators
4. http://www.worldbank.org/depweb/beyond/beyondco/beg_12.pdf
5. doi: http://dx.doi.org/10.1787/na_glance-2014-en.
6. http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?end=2015&start=1995&view=chart
7. http://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=FDI_BOP_IIP ; http://www.oecd.org/investment/statistics.htm.
8. http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&plugin=1&language=en&pcode=tsc00026
9. http://ec.europa.eu/eurostat/data/database
10. Financial times, 24 January 2011
11. https://www.wto.org/english/forums_e/public_forum11_e/globalization_industrial_production.pdf
12. Guide to Measuring Global Production. UNITED NATIONS. NEW YORK AND GENEVA, 2015, p.106-107. http://www.unece.org:8080/index.php?id=42106&L=0
13. https://stats.oecd.org/index.aspx?queryid=66237; https://www.wto.org/english/res_e/statis_e/miwi_e/countryprofiles_e.htm

Globalization from the Point of View of Statistics

M. Mindorashvili

Summary

Globalization has created new advantages and competitive opportunities for financial markets, trade transactions and manufacturers. However, albeit positive changes, globalization comprises implicit risks and challenging impacts. Namely, for statisticians the increasingly global nature of economic transactions and arrangements presents a challenge to the application of national accounts concepts and the use of data collection and compilation systems for measuring developments in the domestic economy. This has driven statisticians to review their data sources for compilation, methods for measuring and indicators for high quality statistics to meet user's needs. OECD and World Trade Organization (WTO) work on developing a database of Trade in Value Added (TiVA) indicators. There are a number of areas where measuring trade in value added terms brings a new perspective and is likely to impact on policies: Trade, growth and competitiveness, Global imbalances, The impact of macro-economic shocks, Trade and employment, Trade and the environment.

Key words: *Globalization, SNA, Export, FDI, TiVA.*

მიგრაციული პროცესების მოდელირების საკითხისთვის

ნინო მიქიაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკურ განვითარებაზე. შრომის ბაზრის შესწავლა უკვე შეუძლებელია შიგა თუ გარე მიგრაციული ნაკადების გაუთვალისწინებლად. მათზე მოქმედი ფაქტორები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ქვეყნისა და რეგიონისთვის ყოველთვის აქტუალურია მიგრაციის პროცესზე დაკვირვება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და სამომავლო პერსპექტივების გამოვლენა. მიგრაციის შესწავლა სისტემურ მიდგომას მოითხოვს და პროცესის სირთულიდან გამომდინარე, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდის გამოყენება სრულიად ლოგიკური და კანონზომიერია. ნაშრომში განხილულია მოდელების გარკვეული ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: *მიგრაციული პროცესი, შრომის ბაზარი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, მიგრაციის ფაქტორები.*

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კეთილდღეობა წარმოუდგენელია შრომის ბაზრის გამართული ფუნქციონირების გარეშე. თანამედროვე პირობებში მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ გარემოზე. შრომის ბაზრის ფორმირება მიგრაციული ნაკადების გარეშე წარმოუდგენელიც კი ხდება. შესაბამისად, შრომის ბაზრის სტაბილიზაციისთვის ამ ნაკადების მართვა საკმაოდ აქტუალურია. ერთი მხრივ, საჭიროა ქვეყნისა თუ რეგიონისთვის აუცილებელი შრომითი რესურსების რაოდენობის განსაზღვრა და მეორე მხრივ, მიგრაციული ნაკადების რეგულირებისთვის ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის შემუშავება, ასევე გასათვალისწინებელია ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებიც, რადგან მიგრაცია კომპლექსურად, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმართულებებით მოქმედებს.

მოსახლეობის მიგრაცია პირდაპირ გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე, შრომითი რესურსების რაოდენობასა და პროფესიულ შემადგენლობაზე. შრომის ბაზრის სტაბილიზაციის მექანიზმის ნაწილად შეიძლება მოვიაზროთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების გამოყენება შრომითი მიგრაციის მართვის პროცესში, რათა მმართველობითი გადაწყვეტილების მიმღებთ საშუალება მიეცეთ ადეკვატურად შეაფასონ მიგრაციული სიტუაცია და მისი გავლენა შრომითი პოტენციალის ფორმირებაზე. შრომის ბაზრის რაოდენობრივი და თვისობრივი ოპტიმიზაციისთვის, წონასწორული და დაბალანსებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციისთვის ჯერ უმუშევართა კატეგორიის შემცირებას, შემდეგ შიგა, ხოლო ბოლოს გარე მიგრაციის რესურსის გამოყენებაა რეკომენდებული.

თანამედროვე მსოფლიოში შრომითი რესურსების მოძრაობა საკმაოდ ინტენსიურია. ტერიტორიული, შიგადარგობრივი, დარგთაშორისი, პროფესიათშორისი გადანაცვლებები მუდმივად ხდება. მიგრაციულ ნაკადებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, კერძოდ: ეკონომიკური, ტერიტორიული, გენდერული, ასაკობრივი, ასევე ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი, ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო ძვრები და სხვ.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების საშუალებით მიგრაციული პრობლემების შესწავლის სპექტრი საკმაოდ ფართოა დაწყებული ეკონომიკური ანალიზით და დამთავრებული პროგნოზირებითა თუ კონკრეტული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებით. მიგრაციული პოლიტიკის რაციონალურად გასატარებლად მნიშვნელოვანია ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატის გამოყენება. იგი განსაკუთრებით სასარგებლო ინფორმაციას იძლევა, თუ პროცესს დინამიკაში დავაკვირდებით.

მიგრაციული პროცესები განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება, რაც ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების გამოყენების აუცილებლობას სადავოს არ ხდის. რეალობის გასამარტივებლად მრავალი შეზღუდვისა და დაშვების გამოყენებაა საჭირო. მიგრაციული პროცესების უმეტესობა ცხადი სახით მოცემული არაა. შესაბამისად, სწორხაზოვანი მიდგომების გამოყენება სასურველი და მიზანშეწონილი არაა. მოდელირების წარმატებით განხორციელება ბევრწილადაა დამოკიდებული ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდებზე, მის საიმედოობაზე. ასევე მრავალფეროვანია თეორიული მიდგომები, რაც მიგრაციის მოდელირების დროს მათემატიკური ანალიზის სხვადასხვა საშუალების გა-

მოყენებას გულისხმობს. ეკონომიკური განვითარების დინამიკურობიდან და განუზღვრელობიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია მიგრაციული პროცესების მახასიათებლების არჩევა. დროითი ლაგის არსებობა კი კიდევ უფრო ართულებს მოდელის ადეკვატურობის შემოწმებას.

მოდელირების ობიექტის განსაზღვრის ძირითადი პრინციპი ტერიტორიულ მიდგომას უკავშირდება. მსხვილი რეგიონის შესწავლისას მიზანშეწონილია მისი დაყოფა შედარებით მცირე ნაწილებად გეოგრაფიული რაიონისა და დასახლების ტიპის გათვალისწინებით. აუცილებელია პირდაპირ თუ ირიბად აქცენტი გაკეთდეს ქვეყნის თუ რეგიონის განვითრების სტრატეგიაზე, მიგრაციის სამართლებრივ საფუძვლებზე, დასაქმების სოციალურ პრობლემებზე, სამუშაო ძალის მოთხოვნაზე, საცხოვრებელი ბინების ბაზრის სოციალურ-დემოგრაფიულ თავისებურებებზე, რეგიონის ცხოვრების დონეზე, ეროვნებათშორის, რეგიონათშორის და საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ა.შ. მიგრაციის მოდელირების მეთოდების კლასიფიკაცია წარმატებით ხორციელდება მათემატიკური სტატისტიკისა და მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური მეთოდების საფუძველზე.

მიგრაციულ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენისა და მოდელირების მცდელობები სათავეს XIX საუკუნის ბოლოდან იღებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია რევენშტეინის [11, გვ.241-305] ნაშრომი, რომელსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. 1920-იანი წლების ბოლოდან ქვეყნდება ნაშრომები [7; 10; 13; 14; 18; 19 და სხვ.], რომლებიც მიგრაციული პროცესების მოდელირებაში საეტაპოდ მიიჩნევა.

მიგრაციული ნაკადების ანალიზისთვის საკმაოდ მოსახერხებელი გამოდგა გრავიტაციული მოდელი და მისი გაფართოებები [1; 2; 16], თუმცა, ასევე წარმატებით გამოიყენება სხვა ისეთი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, როგორებიცაა: ეკონომიკური ზრდის, პირობითი ბეტა და სიგმა კონვერგენციის [5, გვ.223-251], პანელური მონაცემების [4, გვ.103-111], საბალანსო და სხვა მოდელები. რაც შეეხება მეთოდებს, კოეფიფიციენტებისა და განტოლების ტრადიციული ეკონომეტრიკული შეფასების პარალელურად, პანელური მონაცემებისთვის ასევე გამოიყენება რეგრესიული მოდელების შეფასების არაპარამეტრული [4], არაწრფივი [8, გვ.345-368], სივრცობრივი ეფექტის [3, გვ.277-297; 6, გვ.115-143] მეთოდები.

მიგრაცია ადამიანების თავისუფალი არჩევანია და იმიგრაციის ხარჯიც საკმაოდ მაღალია. მიგრანტები ძირითადად ისეთ რეგიონებში გადაადგილდებიან, სადაც უკეთესი შემოსავლის მიღების პერსპექტივა ესახებათ. შემოსავლის ნაზრდის სიდიდე ცალკეული მიგრანტებისთვის დამოკიდებულია მიგრაციის მიზეზებსა და მზადყოფნაზე. ასაკის, ინფორმაციის ხელმისაწვდომლობის, შემოსავლით მიღებული პოტენციური სარგებლისა და მანძილის გავლენა ძირითად ფაქტორებად მიიჩნება, პირადი დისკონტირების ნორმასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ადამიან-კაპიტალის თეორიის თანახმად, მიგრაციის დანახარჯის ზრდასთან ერთად მიგრანტთა ნაკადი მცირდება. ადგილმონაცვლეობის დანახარჯი კი მანძილთან ერთად ორი მიზეზის გამო იზრდება: სანდო ინფორმაციის მოპოვება სამუშაო პერსპექტივების შესახებ მცირდება, ხოლო ადგილმონაცვლეობის ფინანსური, დროითი და მორალური დანახარჯი იზრდება (მაგალითად, ამერიკელთა დაახლოებით 60% საკუთარი საცხოვრებლიდან 500 მილზე ნაკლებ მანძილზე გადაადგილდა, ხოლო მათი უმეტესობა (საერთო რაოდენობის 35%) 200 და ნაკლებ მილზე დაშორდა საცხოვრებელს [17]. სხვა ფაქტორების უცვლელობისას განთლების დაბალი დონე ასაკთან შედარებით უფრო მეტად აბრკოლებს დიდ მანძილზე მიგრაციას. ნაკლები განათლების დროს ინფორმაციის მოპოვების დანახარჯს მორალურ დანახარჯთან შედარებით შეიძლება უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს მიგრაციასა და მანძილს შორის არსებულ კავშირზე [12, გვ.1153–1167].

მოსახლეობის მიგრაციის მოდელირების რამდენიმე ძირითადი მიმართულება განიხილება, კერძოდ: იმიტაციური მოდელი, განსახლების რეგიონული სისტემების მოდელი, მიგრაციული ნაკადების სტრუქტურისა და რაოდენობის პროგნოზირება და ა.შ. ასევე პოპულარულია მრავალფაქტორული კორელაციური, ფაქტორული ანალიზის, გრავიტაციული მოდელები, ავტოკორელაციური ფუნქციები, სტოხასტური მოდელები, რომლებიც მარკოვის ჯაჭვს იყენებენ, მატრიცული მოდელები, აგებულნი შრომითი რესურსების ბალანსისა და მიგრაციის სალდოს საფუძველზე [20; 21].

მიგრაციის პირველი მათემატიკური მოდელი [18] სოფლიდან ქალაქში მიგრაციის საკითხებს სივრცითი ურთიერთკავშირებით იკვლევდა. 40-იან წლებში შემოთავაზებულია გრავიტაციული კანონი ორ რეგიონს შორის „დემოგრაფიული“ მიზიდულობის შესახებ, ასევე გრავიტაციული მოდელი [19], რომლის ძირითადი კომპონენტებია რეგიონში მოსახლეობის შესვლის, რეგიონიდან გამოსვლისა და მათ შორის მანძილის მაჩვენებლები. ზოგადად გრავიტაციული მოდელი ასე ჩაიწერება:

$$M_{ij} = G\frac{P_i P_j}{D_{ij}^2},$$

სადაც: i და j ტერიტორიული ერთეულებია; M_{ij} - ტერიტორიულ ერთელებს შორის მიგრაციული ნაკადის ინტენსიობა; P_i და P_j - მოსახლეობის რაოდენობა შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში; D_{ij}^2 - ტერიტორიულ ერთეულებს შორის მანძილის კვადრატი; G - სტატისტიკური მეთოდით გათვლილი „გრავიტაცია“.

გრავიტაციული მოდელი და ასევე პარეტოს ტიპის სხვა მოდელები „სოციალური ფიზიკის“ პრინციპს ეფუძნებიან, რომელიც რეალურ სინამდვილეს მნიშვნელოვნად ამარტივებს და ურთიერთქმედების წესის კერძო შემთხვევას წარმოადგენს. აღნიშნული მოდელის სიმარტივის მიღმა ნაკლოვანებებიც იმალებოდა. კერძოდ იგულისხმება, რომ მიგრაციული ნაკადები სიმეტრიულია, რაც სინამდვილეს სულაც არ შეეფერება. გარდა ამისა, მიგრაციულ ნაკადებზე მოქმედებს არა სამი, არამედ გაცილებით მეტი ძირითადი ფაქტორი და მანძილის გაზომვის საკითხიც მეტ დაზუსტებას მოითხოვს. ასევე შემოთავაზებულია მიგრაციის ფაქტორების ე.წ. „მიზიდვა-განზიდვის თეორია, რომლის მიხედვითაც ყოველი მიგრაციული ნაკადი ხასიათდება მიმღები და დატოვებული რეგიონის დამაბრკოლებელი და ინდივიდუალური ხასიათის ფაქტორებით. ამ თეორიამ სტიმული მისცა მიგრაციის ფაქტორების მოდელის ჩამოყალიბებას, რომელსაც სხვაგვარად გრავიტაციის გაფართოებულ მოდელსაც უწოდებენ [9, გვ.47-57]. შემდგომში გრავიტაციული მოდელი დასაბუთდა ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის თეორიული მოდელის საფუძველზე.

გრავიტაციული მოდელის ალტერნატივად მოიაზრება შუალედური შესაძლებლობების მოდელი [14, გვ.845-867]. აღნიშნული მოდელის ფარგლებში იგულისხმება, რომ მიგრციულ ნაკადებსა და გეოგრაფიულ მანძილს შორის ყოველთვის არ ფიქსირდება ურთიერთკავშირი. „შუალედური შესაძლებლობის“ საზომად შემოთავაზებულია მოცემულ ტერიტორიაზე შემოსულ მიგრანტთა რაოდენობა, ტერიტორიად კი მოიაზრება წრე, რომლის ცენტრი რეგიონია, ხოლო რადიუსი რეგიონებს შორის დაშორება. მიგრაციული ფაქტორების საკმაოდ ცნობილი მოდელი [10, გვ.118] შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$M_{ij} = k\left(\frac{U_i}{U_j}.\frac{W_i}{W_J}.\frac{L_i L_j}{d_{IJ}}\right).e_{ij}$$

სადაც: M_{ij} არის i-ური ტერიტორიული ერთეულიდან j-ურ ტერიტორიულ ერთეულში მიგრანტთა რაოდენობა; k-პროპორციულობის კოეფიციენტი; U_i, U_j-უმუშევარობის დონე პროცენტებში შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში; W_i, W_J-საშუალო საათობრივი ანაზღაურება შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში; L_i, L_j-სამუშაო ძალის რაოდენობა არასასოფლოსამეურნეო სექტორში ტერიტორიული ერთეულის მიხედვით; d_{IJ}-უმოკლესი დაშორება საჰაერო ტრანსპორტით ტერიტორიული ერთეულების ცენტრებს შორის; e_{ij}-რეგრესიული ნარჩენი.

მიგრაციული სიტუაციის სტატისტიკური ანალიზისას უმეტესად ცალკეული მახასიათებლისთვის რეგრესიული განტოლება იზოლირებულად აიგება. მოდელში წლიდან წლამდე, ანუ დროით ჭრილში ამ მახასიათებლების გავლენა მიგრაციულ პროცესებზე, ასევე გავლენის ხარისხისა თუ მიმართულებების ცვლილება არ გაითვლისწინება. სხვადასხვა წლის მონაცემების გაერთიანება და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა მიგრაციული ნაკადების მხრივ სტაბილური და თითქმის უცვლელი მდგომარეობაა. მკვეთრი ეკონომიკური ძვრების დროს კი, რომელიც, ცხადია, მიგრაციულ ნაკადებზეც უშუალო გავლენას ახდენს, აუცილებელია მოდელში ამ თავისებურების გათვალისწინება.

მიგრაციულ პროცესების რთული და მრავალმხრივი ხასიათიდან გამომდინარე, მასზე არა ერთი, არამედ რამდენიმე (ზოგჯერ ათეული) ფაქტორი ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ უპრიანია მრავლობითი რეგრესიული მოდელების საშუალებით მათი აღწერა.

საწყისი მონაცემების მოძიება ზოგ შემთხვევაში პრობლემურია, თუმცა, მისი გადაჭრის შემთხვევაში რეგრესიული მოდელის სპეციფიკაციის საკითხი დგება. სწორი სპეციფიკაცია ეკონომეტრიკული კვლევის საწინდარია. აქვე აღსანიშნავია, რომ მიგრაციული სიტუაციების ანალიზის დროს სხვადასხვა კვლევებში ყველაზე ხშირად რეგრესიის წრფივი მოდელები გვხვდება. მიგრაციული სიტუაციის აღმწერი მონაცემები უპირატესად დროითი მწკრივის სახითაა წარმოდგენილი. ენდოგენური და ეგზოგენური

ფაქტორების სიმრავლის გამო საკმაოდ რთულია მიგრაციული ტენდენციების განსაზღვრა, თუმცა არსებობს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის განსაზღვრის მცდელობები გეომეტრიული პროგრესიის ან ლოგისტიკური მრუდის [21, გვ.357] სახით.

დროითი მწკრივების ტრადიციული ანალიზის დროს მწკრივის შემდგენელი ნაწილები დროის ფუნქციის სახითაა წარმოდგენილი. მიგრაციულ კვლევებში თანდათან ვითარდება სპექტრული ანალიზი, რომელშიც დაკვირვების ობიექტი არის რომელიღაც უცვლელი (საშუალო) ან ცვალებადი დონის ირგვლივ მნიშვნელობების რხევის სიხშირე.

აღსანიშნავია მიგრაციული პროცესების სეზონური კომპონენტი. ამ მხრივ ყველაზე ხშირად სეზონური ძვრების გამოვლენის ისეთი ხერხები გამოიყენება, როგორებიცაა: თითოეული თვის მაჩვენებლის საშუალოწლიურ მაჩვენებელთან შედარება, ყოველი წლის სეზონურობის ინდექსისა და მათი საშუალოარითმეტიკულის, სეზონურობის კოეფიციენტების და ა.შ. გამოთვლა. შედარებით იშვიათად გამოიყენება უფრო რთული, შერეული მოდელები, რომლებიც ტრენდს, სეზონურ და შემთხვევით კომპონენტებს ერთდროულად შეიცავენ, ასევე ავტორეგრესიული სეზონური მოდელები მცოცავი საშუალოთი. მიგრაციული პროცესების მოდელირების სირთულიდან გამომდინარე, მოდელში უნდა აისახოს სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები, ასევე შემთხვევითი შემადგენელიც, რომელშიც მეტ-ნაკლებად პოლიტიკური თუ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები აისახება. შრომითი რესურსების მოძრაობის მოდელირება უპირატესად დეტერმინირებული და სტოხასტური მოდელებით ხორციელდება.

მრავალფაქტორული კორელაციური მოდელისა და ფაქტორული ანალიზის მოდელის საფუძველზე დგინდება კავშირი მიგრაციული ნაკადების შემოთავაზებულ სიდიდეებსა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის. მოდელი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$M = f(x_i) + u_i,$$

სადაც: M არის მიგრაციული ნაკადი; x_i - i-ური ფაქტორის მნიშვნელობა, $i = 1,2,...,n$; n - ფაქტორთა რაოდენობა, u_i-შემთხვევითი კომპონენტი. ამ შემთხვევაში მოდელირების ეტაპებს შორის ყველაზე რთული ფაქტორების შერჩევაა, რადგან განსახილველია ეკონომიკური (განვითარების დონე, საწარმოო ძალების განლაგება, შრომის ანაზღაურება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, განათლება, სამედიცინო მომსახურება და სხვ.), პოლიტიკური, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ა.შ. ფაქტორთა კომპექსი. მოდელის სიზუსტე და რეალობასთან შესაბამისობა ბევრწილადაა დამოკიდებული შერჩეულ ფაქტორებაზე, ამიტომაც სხვადასხვა ექსპერტისა თუ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული მოდელები შეიძლება მნიშვნელოვნადაც კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

მიგრაციული მოდელის განსაკუთრებული სახეა დემოგრაფიული ცხრილები, რაც ასაკობრივ სტრუქტურას ასახავს და შესაძლებელს ხდის იმ ჯგუფის განსაზღვრას, რომელსაც ერთი ადგილიდან მეორეზე მიგრაცია შეუძლია. ასევე პირსონის მრუდებისა და პუასონის განაწილების მიხედვით მუშავდება მიგრაციის ცხრილები. ამ ცხრილებისა და მარკოვის ჯაჭვის (ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლის ვარაუდით) საფუძველზე ხდება მარკოვის მოდელების აგება. მოდელი რამდენიმე ტოლობას შეიცავს.

ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის ალბათობა P_{ij}, როგორც წესი, ერთის ტოლი: $\sum_{j=1}^{k} P_{ij} = 1$. ზოგჯერ აღნიშნული პირობა არ სრულდება, რადგან ღია ეკონომიკში გადაადგილებები შესაძლებელია გარკვეულ საზღვრებს გასცდეს, ანუ: $\sum_{j=1}^{k} P_{ij} < 1$. i-ური ჯგუფის დანაკარგი T მომენტში აღვნიშნოთ P_{ijk+1}-თი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება: $P_{ijk+1} = 1 - \sum_{j=1}^{k} P_{ij}$. მარკოვის მოდელის აღწერა სრულდება შემდეგი ტოლობით: $\sum_{j=1}^{k} P_{0j} = 1$. იგი გვიჩვენებს ჯგუფებს შორის მიგრანტთა ახალი ნაკადის განაწილებას. აღნიშნული ტოლობებთან ერთად შედარებით მაღალი სიზუსტის მისაღწევად საჭიროა წინასწარი გამოკითხვების ჩატარება.

მიგრაციული პროცესების კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიგრაციული ნაზრდის სტრუქტურის ანალიზი. მოსახლეობის ზრდის ორ ძირითად წყაროს განიხილავენ ბუნებრივი მატებასა და მიგრაციულ სალდოს. ტერიტორიული ნიშნით მოსახლეობის ფორმირების საქმეში მიგრაციის როლის განსაზღვრისთვის ამ ფაქტორებს შორის პროპორციის გამოსავლენად დემოგრაფიული ბა-

ლანსის სხვადასხვა სახე გამოიყენება. მოსახლეობის შიდაწლიური ბრუნვის საბალანსო მოდელი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$S_E = S_B + (N - M) + (V^+ - V^-)$$

სადაც: S_E არის მოსახლეობის რაოდენობა წლის ბოლოს; S_B - მოსახლეობის რაოდენობა წლის დასაწყისში; N - გარდაცვლილთა რაოდენობა; M - დაბადებულთა რაოდენობა; V^+ - წლის განმავლობაში მოცემულ ტერიტორიულ ერთეულში ჩამოსულთა რაოდენობა; V^- - წლის განმავლობაში მოცემული ტერიტორიული ერთეულიდან წასულთა რაოდენობა;

თუ i-ურ პერიოდს განვიხილავთ, აღნიშნული მოდელი ასე ჩაიწერება:

$$S_E = S_B + (\sum_{i=1}^{n} N - \sum_{i=1}^{n} M) + (\sum_{i=1}^{n} V^+ - \sum_{i=1}^{n} V^-)$$

აღნიშნული მოდელი მოსახლეობის აბსოლუტური ნაზრდის შემადგენელი ნაწილების, მათ შორის არსებული პროპორციის განსაზღვრისა და მოსახლეობის ზრდის თვალსაზრისით თითოეული დროითი პერიოდის როლის შეფასების საშუალებას იძლევა. თუმცა დემოგრაფიული ბალანსის მოდელის ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით ვერ ხერხდება დროში მოსახლეობის ნაზრდის სტრუქტურაზე დაკვირვება.

მიგრაციული მოდელები, არცთუ იშვიათად, უფრო დიდი ზომის სისტემური მოდელებით გამოიყენება, სადაც მიგრაციული ნაკადები სისტემის შევსების გარე ფაქტორად გვევლინება, შიგა ფაქტორებად კი იგულისხმება შრომის ბაზარი, საცხოვრებელი ფონდის ბაზარი და სხვ. თავის მხრივ შიგა ფაქტორები მიგრაციული ნაკადების სიდიდეზე, მიმართულებებსა და შემადგენლობაზე ახდენს გავლენას. აქვე აღსანიშნავია, რომ მოდელის ადეკვატურობის შემოწმებისას გასათვალისწინებელია არარაოდენობრივი, ჰუმანიტარული ფასეულობები, რასაც ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრია მიგრაციული ნაკადების შეფასებასა და პროგნოზირებაში. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა დამოკიდებული არ არის მხოლოდ შობადობაზე, არამედ წარმოების განვითარებასა და სამუშაო ადგილების რაოდენობაზე. ამიტომ, წარმოების სხვადასხვა დარგის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხელს უწყობს გარე მიგრაციის შემცირებას და შრომითი პოტენციალის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anderson J.E. The Gravity Model. *Annual Review of Economics*, 3. 2011.
2. Anderson J. E. The Gravity Model of Economic Interaction. Boston College and NBER. August 17, 2016, at https://www2.bc.edu/james-anderson/GravityModel.pdf
3. Arellano M., Bond S. Some tests of specification for panel data: Monte carlo evidence and an application to employment equations. *The Review of Economic Studies*, 58(2). 1991. p. 277–297.
4. Baltagi B. H., Li D. Series Estimation of Partially Linear Panel Data Models with Fixed Effects.Annals of Economics and Finance, 3(1). 2002. p. 103-116.
5. Barro R.J., Sala-i-Martin X. Convergence. *Journal of Political Economy*, 100(2). 1992. p. 223–251.
6. Blundell R., Bond S. Initial conditions and moment restrictions in dynamic panel data morels. *Journal of Econometrics*, 87. 1998. p. 115-143.
7. Greenwood M. An Analysis of the Determinants of Geographic Labour Mobility in the United States. *Economics and Statistics, 51(2).* 1969. p. 189-194.
8. Hansen B.E. Threshold effects in non-dynamic panels: estimation, testing, and inference. *Journal of Econometrics*, 93. 1999. p. 345-368.
9. Lee E.S. A Theory of Migration. *Demography,* Vol. 3, No. 1. 1966. p. 47-57.
10. Lowry I.S. Migration and metropolitan growth: two analytical models. San Francisco. Chandler Publishing Company. 1966. p. 118.
11. Ravenstein E. G. 1889. The Laws of Migration. *Journal of the Royal Statistical Society*, Vol. 52, No. 2. June. 1889, p. 241-305.
12. Schwartz A. Interpreting the Effect of Distance on Migration, *Journal of Political Economy* 81. September/October. 1973. p. 1153–1167.
13. Stewart J.Q. An Inverse Distance Variation for Certain Social Influences. Science. New Series. Vol. 93, No. 2404. 1941. p. 89-90.
14. Stouffer S. A. Intervening Opportunities: A Theory Relating to Mobility and Distance. *American Sociological Review,* 5 (6). 1940. p. 845–867.

15. Svarc P. Modeling Migration Using Neural Networks. Charles University in Prague . 2005
16. Tinbergen J. Shaping the World Economy: Suggestions for an International Economic Policy. New York. The Twentieth Century Fund. 1962.
17. U.S. Census Bureau. Geographical Mobility: 2005-2010**:** Detailed Tables. Table 24.
18. Young E.C. The Movement of the Farm Population. Bulletin 426. Ithaca. New York Agricultural Experiment Station. 1924.
19. Zipf G.K. Human Behavior and the Principle of Least Effort. Addison-Wesley Press. Massachusetts. 1949.
20. Базаров М.К., Огородников П.И. Max информации при min сложности методов количественного анализа. Екатеринбург. Институт экономики УрО РАН. 2008. 357 с.
21. Методология и методы изучения миграционных процессов. Под ред. Ж. Зайончковской, И. Молодиковой, В. Мукомеля. Москва: Центр миграционных исследованийю 2007. 370 с.

Issues of Migration Process Modeling

N. Mikiashvili

Summary

Migration processes significantly affect the economic development. Investigation of labor market became quite impossible without foreseeing the internal and external migration flow. Factors affecting on them are numerous and diverse. Study of migration process needs complex and systematic approach and it is quite logical to use for this purpose the economic-mathematical modeling method. The paper deals with some group of methods that are used to achieve different goals. The work is mainly theoretical and dedicated to the issues of modeling of migration process. A variety of models are compared, showing their strengths and weaknesses. The levers through which the incoming and outgoing flows of migration can be economically stimulated are determined and also, defined the directions and magnitude of the migration. Existing modeling methods in the sphere of migration allows to asses adequately the situation of migration and its impact on the labor market.

Keywords: *Migratory process, Labor market, Economic-mathematical modeling, Factors of migration.*

SOME ASPECTS OF INTERNATIONAL INNOVATIVE FINANCIAL INSTRUMENTS

Zurab Mushkudiani,
Doctor of Business Administration,
Kutaisi AkakiTsereteli State University

Nana Shonia,
Doctor of Economies, Professor,
Kutaisi AkakiTsereteli State University

ევროკავშირსი დანერგილი ფინანსური ინსტრუმენტების განხორციელება რიგ შემთხვევებში რთულ პროცესად მიიჩნევა. პრობლემას ნაწილობრივ შეადგენს ის გარემოება რომ მოითხოვება ბევრნაირი განსხვავებული დოკუმენტის შესწავლა. ასეთი დოკუმენტების მაგალითია ფინანსური რეგულაციები, მათი გამოყენების წესები და ძირითადი პროგრამული რეგულაციები.

*რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: ფაქტიურად ძალიან მცირე „სახელმძღვანელო მითითება“ არსებობს **2014- 2020** წლების პერიოდთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდნენ ფინანსურ ინსტრუმენტებთან. პრობლემის გაგებასა და ახსნას ართულებს ის გარემოებაც , რომ გარკვეული წესების ინტერპრეტაცია საჭიროებს საკანონმდებლო დოკუმენტებთან ამ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების კავშირში მოყვანის აუცილებლობას.*

Key words:*Innovative, Financial instruments, EU, SME, Commercial banks.*

Start-ups and SMEs need access to finance for a number of reasons, such as to fund growth and expansion, to invest in research and innovation, to develop new products, processes and services and to facilitate internationalization. Many innovative start-ups and high-growth SMEs have however found it difficult to obtain access to finance. Among the practical difficulties that start-ups and SMEs face in accessing finance are lack of collateral and track record, and difficulties in persuading banks that they should lend in higher-risk, innovative sectors, or sectors where bank-lending is not yet conventional, such as the cultural and creative sectors.

Moreover, financing supply for SMEs has faced constraints in the context of the economic and financial crisis of 2007-2009. Although the situation has improved since then, and differs quite considerably between Member States, the European economic recovery remains fragile. Access to finance remains a problem for SMEs in some EU countries1, but not in others2. There continue to be difficulties in obtaining finance from conventional sources for start-ups and some types of SMEs (especially R&I-intensive and those in new / emerging sectors). EU financial instruments play an important counter-cyclical role, benefiting from the longer-term approach inherent in a 7 year multiannual programming approach (e.g. 2007-2013, 2014-2020).

Commercial banks and public banks may be reluctant to lend to start-ups and certain types of SMEs (e.g. R&I-focused, those with higher levels of financial and technical execution risks in the development of new products and services). There are also other potential obstacles to SME lending, such as higher transaction costs in managing an SME loan portfolio due to over-fragmentation, and restrictions on bank lending due to new EU regulations concerning capital adequacy. It is important to stress that start-ups and SMEs have different financing needs at different stages in their growth and development.[1,p. 35]

It can be noted that micro enterprises are more likely to make use of informal sources of funding, such as from friends and family, and to access start-up loans. Although some start-ups will benefit from venture capital, according to recent literature, this represents only a small percentage of total funding to start-ups and SMEs. It can also be observed that some forms of funding are relatively new, such as the rapid growth and development of crowd funding, whereas others are well-established. [2, p. 59]

It is worth noting that in the 2014-2020 period, there has been a general shift in EU funding approaches away from one-off grant finance towards the greater use of innovative financial instruments. The objective is to strengthen the longer-term availability of finance for SMEs by maximizing the sustainability of EU funds. This is facilitated by the revolving nature of EU financial instruments schemes (i.e. the funds can be recycled in the case of loan guarantees and in the case of equity, provided that successful exits are achieved). A further advantage is the opportunity to generate leverage on EU funds by attracting additional national public and private investment and co-financing.

For instance, within the Investment Plan for Europe, the EFSI4 will provide additional support to enable

funding for existing financial instruments to be expanded through risk finance for small businesses and in research and innovation ("R&I"), including through the use of equity and quasi-equity instruments. The concept of "crowding-in" private investment is also strongly emphasized in order to achieve greater leverage of EU funds. It should be emphasized however that whilst funds channeled through EFSI can be invested in financial instruments, EFSI itself is not a financial instrument (within the meaning of Title VIII of the EU Financial Regulation).

The Investment Plan for Europe also encourages more extensive use of financial instruments, instead of traditional grants in European Structural and Investment Funds (ESIF), in areas such as SME support, R&I, CO2 reduction, environmental and resource efficiency, ICT and sustainable transport. Funds committed to innovative financial instruments in the 2014-2020 period through ESIF are expected to have a direct leverage effect and generate additional investment of EUR 40bn–70bn, with a higher multiplier effect in the real economy by attracting private investment.

In order to encourage financial intermediaries to continue to lend to start-ups and SMEs, a number of EU funding programs are used to support EU financial instruments. These in turn enable financial intermediaries, including National and Regional Promotional Banks, to offer loan products and other types of financial instruments to SMEs either directly, or in an intermediary capacity through on lending to other commercial and public banks and others. In addition, some national governments also provide NPBs with state guarantees and with funding to lend to SMEs. However, it should be stressed that not all NPBs are involved in SME lending, some are focused on lending for other purposes, such as to local authorities to invest in infrastructure and through public-private partnerships.

The purpose of National Promotional Bank is to facilitate access to finance for start-ups and SMEs that face obstacles to raising financing from the market. The economic rationale for NPBs is that they improve the supply of investment finance in areas affected market failures. NPBs interviewed emphasized however that it is important that the concept of "market failures" is interpreted flexibly and not restrictively as a "static" concept that can be scientifically quantified at a particular point in time. Therefore, the concept of addressing sub-optimal investment situations may provide a more accurate description.

The term National Promotional Bank ("NPB") was defined in the November 2014 EC Communication on NPBs as: "legal entities carrying out financial activities on a professional basis which are given a mandate by a Member State or a Member State's entity at central, regional or local level, to carry out development or promotional activities". NPBs are public entities, whereby a substantial share of their equity is owned by the state.

To date, eight countries have announced that they will participate in the EFSI project via their NPBs (or similar institutions): Bulgaria, Slovakia, Poland, Luxembourg, France, Italy, Spain and Germany. At present, among the eight NPBs mentioned below, the only one classified inside government is the one of Luxembourg, while classification is being discussed at present in the case of the two Slovak units, the Bulgarian unit, the Spanish unit and Bpifrance.

In addition, the United Kingdom announced in July that it will make guarantees available to co-finance EFSI infrastructure projects in the UK (€8,5(£6bn)). The UK contribution is not via an NPB.

In detail, the amounts of the announced national contributions via National Promotional Banks are at present as follows:

NPB COOPERATION AND THE ROLE OF INVESTMENT PLATFORMS IN THE CONTEXT OF THE INVESTMENT PLAN FOR EUROPE

BOX 1:

1	Bulgaria	June 2015	€100 million	Bulgarian Development Bank
2	Slovakia	June 2015	€400 million	SlovenskýInvestičný Holding and SlovenskáZáručná a Rozvojová Banka,
3	Poland	April 2015	€8 billion EUR	Bank GospodarstwaKrajowego (BGK) and another public institution Polish Investments for Development (PIR),
4	Luxembourg,	April 2015	€80 million	via SociétéNationale de Crédit et d'Investissement (SNCI)
5	France	March 2015	€8 billion	via Caisse des Dépôts (CDC) and Bpifrance (BPI),
6	Italy	March 2015	€8 billion	via CassaDepositi e Prestiti (CDP)
7	Spain	February 2015	€1.5 billion	via Instituto de CréditoOficial (ICO),
8	Germany	February 2015	€8 billion	via KfW.

On the supply side, NPBs may step in to the SME lending space when commercial banks have partially or fully withdrawn from the SME lending space, for instance, due to the comparatively high transaction costs in administering SME loan portfolios. Since such institutions have a public mandate, they are arguably better placed than private operators to address structural problems within the market.

NPBs play an important role in spreading awareness among SMEs about their eligibility for relevant funding opportunities through EU-supported financial instruments and in implementing such instruments at national level. The research undertaken as part of a data collection exercise with NPBs in the preparation of this paper suggests that NPBs have a number of advantages, and complement the role in SME lending and on-lending of commercial and public banks and the EIB Group. In particular, the main advantages are there: Remit to address sub-optimal investment situations and market failures, such as lack of access to finance for SMEs, thereby serving as a public policy instrument; Role in the promotion of economic development and role in strengthening national and regional competitiveness; Countercyclical role during periods of economic and financial crisis and ability to catalyze long-term finance and provide a counterbalance to the decline in commercial banking activity following the global economic and financial crisis7; Their in-depth understanding of access to finance issues for start-ups and SMEs in the Member State concerned and of the economic situation more generally; Knowledge about national and regional SME finance policies and existing SME financial instruments schemes at national, regional and local levels, which can help the EIB Group to avoid duplication and maximize the value added and complementarily of EU financial instruments; In-depth understanding of the domestic operating context to help in prioritizing EU funding allocations at national, regional and local levels for financial instruments under shared management (e.g. ESIFs, EFSI);Financial intermediary role in 'crowding in' additional private sector co-investment through access to business and investor communities in the Member State(s) concerned; Significant leverage effect on EU investment, by co-investing together with the EIB Group (the EIB and the EIF)8, with important multiplier effects by attracting private investors at subsequent financing stages; Important role as intermediaries in the implementation of EU financial instruments and in spreading awareness among SMEs about funding opportunities through EU-supported SME financial instruments; and Catalytic role in pooling the resources of the EIB Group, NPBs and private investors, through strengthened coordination with the EIB Group through the establishment of a Working Group and the newly established Investment Platform structures within EFSI.

Since some countries have well-established networks of Regional Promotional Banks ("RPBs"), such as Germany, Spain and to a lesser degree Italy, their role should also be considered. The role of RPBs in implementing some EU financial instruments ("FIs"), especially those implemented under shared management, should also be stressed. For example, in Germany, because of the federalized system, RPBs at the Länder level are instead involved in implementing ESIFs together with Managing Authorities, rather than KfW (KfWFörderbank, the KfW promotional Bank is the largest business unit of the group). However, KfW is still active in SME financing more generally at national level using national funding (e.g. via the *Mittelstandsbank)*. This can be contrasted with countries such as France (Bpifrance) and Hungary (MDB), where the NPBs cooperate directly with MAs in delivering EU financial instruments schemes. [2, p. 75]

In some countries, such as Germany, and Austria, however NPBs do not directly market their products to SMEs but rather rely on another level of intermediation between EU financial instruments managed centrally by the EC/EIB Group i.e. commercial banks (including the important role of the savings banks / *Sparkassen*) and regional public banks at Länder level (*Landesbanken*).

National Promotional Banks (and their regional counterparts) have an important role to play in implementing EU financial instruments that benefit SMEs. The role that they play however varies depending on the financial instrument concerned and its management and implementation arrangements. In summary, the role of NPBs in relation to implementing EU financial instruments involves: **Shared management of some EU financial instruments** when EU funding instruments are implemented on a decentralized basis at national / regional level, such as the European Structural and Investment Funds (ESIFs), where loan guarantee and equity schemes have been supported in 2007-2013 and in 2014-2020;**Financial intermediary role** in implementing financial instruments managed directly by the EIB and the EIF on the basis of a Delegation Agreement from the EC e.g. the Horizon 2020 SME focused debt product, 'InnovFin SME Guarantee (SMEG)9. NPBs also play an important role in "on lending", whereby they offer refinancing or loan guarantees to commercial and public banks that in turn lend to SMEs.**Awareness-raising** among other commercial and private banks and among the SME target group about EU financial instruments for SMEs that can be accessed at national, regional and local levels; Helping the EC and EIB Group to achieve **multiplier and leverage effects** through co-investment by NPBs in EU financial instruments schemes and by promoting participation among private investors through Investor Networks and through geographic, thematic and sectoral investment platforms to be set up under the EFSI; and General**information and**

advisory role to assist SMEs in accessing relevant EU financial instruments. In addition, NPBs play an important **information and awareness-raising role** and help to draw the attention of SMEs at national level to the possibility of obtaining finance through different EU undoing schemes. They also help to raise awareness among private investors about the existence of EU SME financial instruments, and their characteristics as an investment opportunity (since some schemes seek to attract private sector co-investment alongside investment by public sector investors and EU institutions. [5, p.34-35]

More generally, it is worth recalling that NPBs are involved not only in implementing national EU FIs, but also in implementing national and regional instruments schemes. The role of NPBs in this area is useful in various ways, for instance in: Addressing market failures in financing supply at national and/ or regional level; Ensuringcomplementarily and avoiding duplication with EU funding instruments; Maintaining the supply of finance during the recent economic and financial crisis.

Counter-cyclical role of NPBs was particularly important during the recent economic and financial crisis, when NPBs were able to roll out off-the-shelf products quite quickly and flexibly. In some cases, such as with the KfW, this included the rapid resurrection of instruments that had been developed some time previously. Of course, the multiannual nature of EU FIs also plays an important counter-cyclical role in parallel.It is worth considering how the involvement of NPBs in implementing EU financial instruments schemes might be further strengthened. The value added of the involvement of NPBs could be further maximized by building on the steps being taken through EFSI to formalize institutional cooperation between the EC, EIB and NPBs. The recent establishment of an EFSI working group which has representation from NPBs appears to be a positive step in this regard. More formal cooperation could for instance help to ensure that EU SME FIs schemes do now crowd out existing national and regional SME-targeted FI schemes. The branding of EU FIs could be further strengthened so that the ultimate beneficiaries (SMEs) are aware that loan products (backed by guarantees for instance) are EU funded. The feedback suggests that SMEs currently choose from a portfolio of products, some of which are purely national, others of which have an EU funded component, but may be unaware that this is the case. [4, p.12]

The awareness-raising role of the NPBs in respect of EU financial instruments should be further enhanced by encouraging more NPBs to participate in the European Enterprise Network which uses COSME funding for awareness-raising activities. The rules for the implementation of some EU financial instruments were viewed by some NPBs as being too complex. Part of the problem was perceived as being that they are required to follow several different documents that set out the rules (e.g. the Financial Regulation and its Application Rules, the GBER), in addition to the core Program Regulation. However, according to several sources, the problem lies in the fact that there are quite a few "guidance notes" relating to the 2014-2020 period that deal with financial instruments. These were viewed as being difficult to understand, given the need to interpret these in conjunction with the legislation. [7, p.25]

References

1. Basel Committee on Banking Supervision (2010), “An Assessment of the long term economic impact of stronger capital and liquidity requirements”.
2. Cerutti, E. S Claessens, and L. Laeven (2015), “The Use and Effectiveness of Macro prudential Policies: New Evidence”, *IMF Working paper 15/61.*
3. Favara, G., and J. Imbs, (2015), “Credit supply and the price of housing,” *The American Economic Review*, *105(3), pp. 958-992.*
4. Krznar, Ivo and James Morsink (2014), “With Great Power Comes Great Responsibility: Macro-prudential Tools at Work in Canada”, IMF WP 14/83.
5. Jimnez, Gabriel, Steven Ongena, Jos-Luis Peydry, and JessSaurina. 2012."Credit Supply and Monetary Policy: Identifying the Bank Balance-Sheet Channel with Loan Applications." *American Economic Review*, 102(5): 2301-26.
6. Svensson, Lars (2015), “Cost Benefit Analysis of Leaning Against the Wind», manuscript,
7. Ubide, Angel (2014), “The European Central Bank Must Act Aggressively to restore Price Stability in the Euro Area”
8. Adam Posen and Angel Ubide (2014), “Rebuilding Europe’s Common Future: Combining Growth and Reform in the Euro Area”, PIIE14-5

Some Aspects of International Innovative Financial Instruments

Z. Mushkudiani
N. Shonia

Summary

A number of EU SME financial instruments relating to the 2014-2020 programming period are within the scope of the paper where NPBs are either involved in implementation or in promoting awareness about these instruments. Some EU financial instruments within scope are implemented under shared management such as the European Structural and Investment Funds ("ESIFs"). Others are implemented under the European Commission's direct or indirect management (e.g. "COSME" and "InnovFin" under H2020, the Cultural and Creative Sector Guarantee Facility ("CCS LGF") within the Creative Europe Program, the Private Finance for Energy Efficiency ("PF4EE") and the Natural Capital Financing Facility ("NCFF") under the LIFE program.It was prepared on the basis of desk research. Desk research includes a review of relevant documentation relating to the existence of NPBs and their recent establishment in some EU countries and documents to help assess the nature of their role in implementing EU SME financial instruments.

The rules for the implementation of some EU financial instruments were viewed by some NPBs as being too complex. Part of the problem was perceived as being that they are required to follow several different documents that set out the rules (e.g. the Financial Regulation and its Application Rules, the GBER), in addition to the core Program Regulation.

However, according to several sources, the problem lies in the fact that there are quite a few "guidance notes" relating to the 2014-2020 period that deal with financial instruments. These were viewed as being difficult to understand, given the need to interpret these in conjunction with the legislation.

Key words:*Innovative, Financial instruments, EU, SME, Commercial banks.*

აუდიტი: ახალი გამოწვევები საჯარო შესყიდვების სფეროში

მურად ნარსია,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სერტიფიცირებული აუდიტორი,
აუდიტორული კომპანია „პრიმა აუდიტი“,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)

სტატია ეხმიანება იმ გამოწვევებს, რომელებიც წარმოშვა ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში ევროდირექტივების მოთხოვნების შესაბამისად ხელისუფლების მიერ ინიცირებულმა და საქართველოს პარლამენტის მიერ 2016 წლის 8 ივნისს მიღებულმა კანონმა - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ავტორი, ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, აანალიზებს საჯარო სექტორში შემავალი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ აუდიტორული და ქონების შეფასების მომსახურების მიღებისას წარმოშობილ ფაქტებს, მოჰყავს მაგალითები მის მიერ ინიცირებულ შენიშვნებსა და მოსაზრებებზე და ამაზე დაყრდნობით აფასებს საჯარო სექტორის შემსყიდველების კონკრეტულ მოქმედებებს და იძლევა რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტი, კონკურენცია, დემპინგური ფასი, ელექტრონული ტენდერი, სახელმწიფო შესყიდვა, საშემფასებლო საქმიანობა.*

საქართველოში 2012 წელს მიღებულმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ ჩიხში შეიყვანა ბიზნესკომპანიები და აუდიტორები ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და აუდიტორული კომპანიების საქმიანობა მთელი რიგი გარემოებების გამო. სიტუაცია განმუხტა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე აღებულმა ვალდებულებებმა, რომელიც ითვალისწინებდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანას. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 8 ივნისს მიიღო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიზნესკომპანიების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების, აუდიტორული საქმიანობის რეგულირების მიმართ მოქმედება დაიწყო ახალმა, საკმაოდ არსებითი ხასიათის მოთხოვნებმა, რომლებსაც მყისიერად მხარი ვერ აუბეს სახელმწიფო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა 2016 წლის 24 ივნისიდან აუდიტორული მომსახურების მიღების მიზნით საჯარო სექტორში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. სამწუხაროდ, იგივე სიტუაციაა დღესაც. ჩვენ, როგორც აუდიტორულ ბაზარზე მოქმედმა კვალიფიციურმა სუბიექტმა, გავითვალისწინეთ რა, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 8 ივნისს მიღებული და 24 ივნისიდან მოქმედებაში შესული კანონის მოთხოვნები, აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი რიგი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები შეცდომებს უშვებდნენ ამ მომსახურების მიღების პროცედურებში, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ საჯარო სექტორში შემავალი შემსყიდველებისათვის გაგვეწია რეკომენდაცია მაღალკვალიფიციური მიმწოდებლის შერჩევის მიზნით. როგორც ცნობილია, აუდიტორულ კომპანიებს და აუდიტორებს აქვთ ვალდებულება ამ პერიოდში (ანუ დროის რეალურ რეჟიმში) მოქმედ ნორმებზე ადეკვატური ინფორმაცია მიაწოდონ ამ მომსახურების პოტენციური შემსყიდველებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგიერთ არსებით საკითხზე კითხვა-პასუხის რეჟიმით, მომზადებული კომენტარებიც;

ამ კანონის პრეზენტაციისას, ჩვენ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე, საკმაოდ ხშირად ისმებოდა კითხვა იმის შესახებ, რომ თითქოს ეს კანონი ითვალისწინებს მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობებს. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აღვნიშნოთ, რომ ეს ასე არ არის. ამ მოსაზრებას ადასტურებს კანონის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც მომსახურებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების გაწევისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნებით იხელმძღვანელოს“. პრეზენტაციებისას ამ საკითხებით დაინტერესებული პირები აღნიშნავდნენ, რომ თითქოს აუდიტორული და ქონების შეფასების (საშემფასებლო) მომსახურება კვლავ ერ-

თი და იგივეა. თუმცა, ეს ასე არ არის, რადგან ამ კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მოხდა აუდიტორული და საშემფასებლო პროფესიების გამიჯვნა, რომლის შედეგად საქართველოში საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლება მიეცა მხოლოდ იმ პირს, რომელიც დასაქმებულია აკრედიტებული შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი. შეფასების განხორციელების და შეფასების ანგარიშზე/დასკვნაზე ხელის მოწერის უფლება მიენიჭა აკრედიტებულ შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ საშემფასებლო საქმიანობის სახელმწიფო შესყიდვის CPV კოდიც 79200000-საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურება, შეიცვალა და ჩვენი აზრით, მან გადაინაცვლა სხვა CPV კოდში - 79410000 - ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურება. თუ საშემფასებლო მომსახურების მიღების აუცილებლობა შეექმნებათ შემსყიდველებს გასათვალისწინებელია, რომ სერტიფიცირებულ ქონების შემფასებელთა ვინაობა გამოქვეყნებულია (საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის მიერ, რომელიც არის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის წევრი ორგანიზაცია და აკრედიტებულია სსიპ „აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ) საიტზე [1].

სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ ხოლმე იმ რეკომენდაციებით, რომლებსაც იძლევა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ პრაქტიკული ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე შედგენილი შესაბამისი დოკუმენტები. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ „რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“[2] მიხედვით: „მიმწოდებელი ტექნიკურად მცოდნეა, თუ ის ფართოდ ფლობს საწარმოო პროცესების თანამედროვე მეთოდებს და გააჩნია პროექტის შესრულებისათვის საჭირო პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია და გამოცდილება. ობიექტურობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვა მოითხოვს იმ საჭირო ტექნიკური ცოდნის და გამოცდილების მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია კონკრეტული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისათვის. როგორც წესი, ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების მატარებელს წარმოადგენს არა საწარმო, არამედ საწარმოში დასაქმებული შესაბამისი კვალიფიკაციის/გამოცდილების მქონე პერსონალი. შესაბამისად, ტექნიკური ცოდნის შეფასებისათვის, საჭიროა მიმწოდებელს მოეთხოვოს ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების არსებობის დასაბუთება ტენდერით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან მიმართებაში“. აუდიტორის ან ქონების შემფასებლის, (რომელიც ეწევა და აქვს სურვილი შემსყიდველს მიაწოდოს ინტელექტუალური მომსახურება (რომელიც, ცხადია არ არის დაკავშირებული ბეტონმზიდის, კარიერის, კამაზების და სხვა აქტივების ფლობასთან)), საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადასტურებს მათზე ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით ან საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აუდიტორის/ქონების შემფასებლის შესაბამისი სერტიფიკატები (ამ შემთხვევაში სერთიფიკატი ადასტურებს/ანიჭებს მათ კვალიფიკაციას) და გამოცდილება (რომელშიც იგულისხმება ვთქვათ ამ პროფესიით დასაქმებისა ამ სფეროში საქმიანობის პერიოდი, იმ ორგანიზაციებისა და ბიზნესსუბიექტების ჩამონათვალი, რომელებსაც პრეტენდენტმა მიაწოდა შესაბამისი/ანალოგიური მომსახურება), აუდიტორის/შემფასებლის ან აუდიტორული კომპანიის (პრეტენდენტის) მისამართით (სასარგებლოდ) მომსახურების გაწევის შედეგად სტრატეგიული და მაღალი კორპორატიული კულტურის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გამოცემული სარეკომენდაციო წერილები და სხვ.

სახელმწიფო შემსყიდველებს აქვთ ვალდებულება გაითვალისწინონ, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 08.06.2016 წელს მიღებული კანონი 2016 წლიდან (1 ნოემბრიდან დაწყებული) აუდიტორულ კომპანიებს, მის აუდიტორებს ავალდებულებს დარეგისტრირდნენ ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, რომელზეც ინფორმაცია განთავსებული იქნება ამ სამსახურის საიტზე (ამდენად ამ ინფორმაციის შემსყიდველის სისტემაში ატვირთვის ვალდებულება არ იქნება, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა ტექნიკურ მოთხოვნებში უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველმა, რადგან არ არის გამორიცხული შესყიდვებში მონაწილეობის განზრახვა გაუჩნდეს ისეთ პრეტენდენტს, რომელსაც პრობლემები შეექმნა აუდიტორული მომსახურების რეესტრში რეგისტრაციისას. აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში დაურეგისტრირებლობა დადასტურება იქნება ასეთი პრეტენდენტის შეუსაბამობაზე შესყიდვის ობიექტთან). ასევეა ქონების შეფასების სფეროშიც.

გარდა ამისა, არც თუ იშვიათად, შემსყიდველები აუდიტორული და საშემფასებლო მომსახურების მიღების მიზნით, სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბებისას ცდილობენ მიუთითონ პრეტენდენტის მიერ გასულ წლებში მიწოდებული მომსახურების ბრუნვის სიდიდე (რომელიც არ თუ იშვიათად, შესაძლოა ემსახურება წინასწარ განსაზღვრული პრეტენდენტის შერჩევის მცდელობას სხვა კვალიფიციური პრეტენდენტების ამ ტენდერზე მონაწილეობის შეზღუდვის გზით), რომელიც არათავსებადია აუდიტორული და საშემფასებლო მომსახურების კატეგორიასთან, რადგან შესყიდვების სააგენტოს, ზემოაღნიშნული

რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მომსახურების წლიური ბრუნვის სიდიდე წარმოადგენს ზოგადი შესაძლებლობების ინდიკატორს.

ზემოაღნიშნულ „რეკომენდაციაში კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით“ სააგენტო აღნიშნავს: „გაითვალისწინეთ: ტიპურ ობიექტებს, რომელთა შესყიდვისას საჭიროა შეფასდეს მიმწოდებლის ზოგადი შესაძლებლობა, განეკუთვნება, მაგალითად, ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები“. მიუხედავად ამ და მსგავსი ხასიათის რეკომენდაციისა, აღნიშნულ მომსახურებათა მიღების განზრახვისას სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი ორგანიზაციები, არც თუ იშვიათად, ტექნიკურ მოთხოვნებში ითვალისწინებენ კომპანიის წლიური ბრუნვის სიდიდეს (პრეტენდენტის ზოგადი შესაძლებლობების შეფასება თავისუფალი რესურსის გათვალისწინების გარეშე, რადგან თავადაც კარგად იციან, რომ ეს ინდიკატორი არავითარ კავშირში არ არის აუდიტორული და ქონების შეფასების მომსახურებასთან), რომელიც გზას უკეტავს ახლადშექმნილ კომპანიებს, სადაც არც თუ ისე იშვიათად დასაქმებული არიან აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი მაღალკვალიფიციური და გამოცდილი აუდიტორები და ქონების შემფასებლები. გარდა ამისა, დისკვალიფიკაციის, პროფესიული რეპუტაციის შელახვისა და პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკის კოდექსის დარღვევის შესაძლო ფაქტისაგან თავის არიდების გამო, ასეთ ტენდერებში არ იღებენ მონაწილეობას მაღალი კვალიფიკაციისა და რეპუტაციის, აუდიტორულ და საშემფასებლო ბაზარზე საქმიანობის 15-20 -წლიანი პრაქტიკის მქონე კვალიფიციური პოტენციური მიმწოდებლები. რიგი შემსყიდველის მიერ, მათი ბაზრიდან განდევნის მიზნით წლიური ბრუნვის ინდიკატორის გამოყენება იწვევს მათ დისკრიმინაციასა და კონკურენციის შეზღუდვას. გარდა ამისა, ასეთი ქმედებები გამო, პირდაპირ იკვეთება მაღალი პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილი საშუალო და მცირე აუდიტორული კომპანიების დისკრიმინაციის ფაქტები და მცდელობები, რომლის უფლება სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს მოქმედი კანონმდებლობის ნორმების მიხედვით არა აქვთ. ამის მაგალითად მოგვყავს ქალაქ თბილისის მერიის მიერ აუდიტორული შემოწმების მიზნით გამოცხადებული ტენდერები (SPA 160020184, SPA 160020187, SPA 160020188, SPA 160020185), სადაც შემსყიდველის გამარჯვებულ აუდიტორულ კომპანიას პრაქტიკულად კონკურენტი არ ჰყავდა.

მთელი რიგი შემსყიდველი, აუდიტორული და ქონების შეფასების (საშემფასებლო) მომსახურებაზე ტექნიკური დავალების ფორმირებისას, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ითვალისწინებს გასულ წლებში გაწეული მომსახურების მოცულობის სიდიდეს და აღნიშნულის დასადასტურებლად მიმწოდებლისგან ითხოვს ყველა ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის სისტემაში ატვირთვას(?!), რომელიც ხშირად ქმნის კომიკურ სიტუაციებს (იხ. SPA 160020184, SPA 160020187, SPA 160020188, SPA 160020185 ტენდერებისას სისტემაში ატვირთული დოკუმენტების სიმრავლე), აგრეთვე უხერხულ გარემოებებს კონფიდენციალობის დაცვის ნაწილში (რადგან ყველა ხელშეკრულება, მით უმეტეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან გაფორმებული, შეიცავს კონფიდენციალობის რეჟიმის უზრუნველმყოფელ ნორმებს, რის გამოც მათი ლეგალიზება ითხოვს შესაბამის კონტრაქტორებთან დამატებითი შეთანხმების პროცედურებს, რომელიც მთლიანობაში, გარდა იმისა, რომ ითხოვს დიდ დროს, ქმნის უხერხულ სიტუაციებს, მით უფრო ისეთ ორგანიზაციებთან მიმართებით, რომელთა ფინანსური ანგარიშის დადასტურებაზე უარი აქვს გამოხატული აუდიტორულ კომპანიებს ან გამოცემული აქვს პირობითი აუდიტორული დასკვნა).

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოაცხადა რა ტენდერი (SPA160023668) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოვხატეთ მოსაზრება/შენიშვნა ამ ტენდერის ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული მიმწოდებლის ტექნიკური ცოდნა/გამოცდილებასთან დაკავშირებით, რომელიც ახლაც განთავსებულია საიტზე. ჩვენ მიერ სატენდერო კომისიას განემარტა, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 24 ივნისს მოქმედებაში შესული კანონის 28-ე მუხლის საფუძველზე, გაიმიჯნა აუდიტორული და საშემფასებლო საქმიანობა. ამის გამო, სატენდერო კომისიას მიეცა რეკომენდაცია, ამ ტენდერის ტექნიკური დავალების მოთხოვნებში, კერძოდ, ტექნიკური დავალების „დ“ პუნქტის ჩანაწერში („შესაბამისი აუდიტორული სერტიფიკატისა“) ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ასეთი ცვლილება სატენდერო კომისიას არ განუხორციელებია, თუმცა, სისტემის მეშვეობით მათმა წარმომადგენელმა ილია ზურიკაშვილმა განმარტა: „შესაბამისი აუდიტორული სერტიფიკატის წარმოდგენა ნიშნავს, რომ სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად“, რომელიც თავისი შინაარსით შეუსაბამობაში იყო ჩვენ მიერ განთავსებულ შენიშვნებთან.

ვაჭრობის შედეგად, მიუხედავად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექ-

ტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებისა, სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად სცნო ყველაზე დაბალი ღირებულების შემომთავაზებელი პრეტენდენტი - აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტი", რომლის მიერ სისტემაში ატვირთული იყო საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის სერტიფიკატი „ზოგად აუდიტში". ეს იმას ნიშნავს, რომ შემსყიდველმა უპირატესობა მიანიჭა აუდიტორულ კომპანიას, რომლის ექსპერტს არ ჰქონდა უფლებამოსილება განახორციელებინა შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების, ასევე გადმოცემული სამედიცინო ინვენტარის ღირებულებითი შეფასება. აღნიშნულს ადასტურებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" კანონის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

უფრო მეტიც, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული ზემოაღნიშნული აუდიტორის სერტიფიკატის მფლობელი 2016 წლის 24 ივნისიდან დღემდე ითვლება მხოლოდ სერტიფიცირებულ ბუღალტრად და არა აუდიტორად (მას არა აქვს საშემფასებლო საქმიანობის განხორციელების კვალიფიკაცია).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შემსყიდველმა-დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სატენდერო კომისიამ მიიღო მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო გადაწყვეტილება, რითაც არაუფლებამოსილ პრეტენდენტს იმ მომსახურების მიწოდების უფლება მიანიჭა, რომლის შესაბამისობა დოკუმენტურად არ დასტურდება შესყიდვის ობიექტთან.

სატენდერო კომისიის მიერ გამოჩენილი იყო გულგრილობა და მოქმედი კანონმდებლობის უგულებელყოფის ფაქტი, რომლის განხილვის შედეგად სატენდერო კომისიას უნდა გაეუქმებინა თავისი გადაწყვეტილება. შემდგომ გაირკვა, რომ გამარჯვებულად გამოვლინდა ის კომპანია და აუდიტორი, რომელსაც ადრეც ჰქონდა ამ შემსყიდველისთვის ანალოგიური მომსახურების მიწოდების გამოცდილება (ანუ დემპინგურ ფასად შეარჩიეს „ნაცნობი"), რომელიც სხვა კითხვებსაც ბადებს(!!).

ზემოაღნიშნული, აგრეთვე სხვა გარემოებებიც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ახალი კანონით შექმნილმა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ორგანომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გაატაროს ადეკვატური ღონისძიებები და მიიღოს შესაბამისი ზომები იმ მიზნით, რათა სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე აუდიტორებმა არ დაუშვან მსგავსი გადაცდომები. ადაპტაცია ამ კანონით შექმნილ ახალ მოთხოვნებს და გარემოსთან, ობიექტურად აუცილებელია, მათ შორის შესაბამისი ნორმატიული აქტის შექმნისა და გამოცემის საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.asset-ge.org/page.php?pg_symbol=CAT-6B851F75
2. http://procurement.gov.ge/
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

Audit: New Challenges in the Field of Public Procurement

M. Narsia

Summary

The article is devoted to challenges caused in the field of accounting and audit by the law "On accounting, reporting and audit" initiated by the government in compliance with the requirements of the European directives and adopted by the Parliament of Georgia on the 8th of June 2016. Based on the actual materials, the author analyzed the facts arisen in the course of rendition audit and property assessment services to public sector buyer state organizations and enterprises, provides examples on the initiated by him notes and opinions, considers certain acts performed by public sector buyers and gives recommendations.

Keywords: *Audit, Competition, Demping Price, Electronic Tender, Public Procurement, Appraisal Activities.*

საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები გლობალური გამოწვევების ფონზე

მარინა ნაცვალაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური თეორიის კომპონენტია და ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მისი პრინციპების დანერგვა უზრუნველყოფს მდგრად განვითარებას და პირდაპირ უკავშირდება სიღარიბის აღმოფხვრის საკითხებს. კლასიკური ეკონომიკური თეორიის თანახმად, მწვანე ეკონომიკა არ განიხილება დამოუკიდებლად, მას, მეცნიერების კომპონენტად ისე განიხილავენ.

მწვანე ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორს. მაგრამ მწვანე ეკონომიკის რეგულირებას და მართვას უნდა ახორციელებდეს არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესი, არამედ თვით საზოგადოება.

ეკონომიკის ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისკენ გულისხმობს პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით განახლებად ენერგიაზე გადასვლას, მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების დანერგვას, მდგრადი სოფლის მეურნეობისა და ბიოწარმოების მხარდაჭერას, გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის (ნაგავსაყრელები, სასმელი წყალი და ა.შ) გაუმჯობესებას. გლობალური გამოწვევების ფონზე, მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და რესურსების დეფიციტის პირობებში, ის ქვეყნები, რომლებიც უფრო სწრაფად დანერგავენ მწვანე ეკონომიკის პრინციპებს, უფრო კონკურენტუნარიანი და სოციალურად თანასწორნი იქნებიან.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ეკონომიკა, მწვანე ბიზნესი, მწვანე შენობები, მდგრადი განვითარება.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გარემოს პროგრამის თანახმად, მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური დანაკლისები [1. გვ.3]. მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება.

მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. კლასიკური ეკონომიკის თანახმად, იგი არ განიხილება დამოუკიდებლად, რადგან ისინი მას როგორც მეცნიერების კომპონენტს ისე განიხილავენ. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ ტრადიციულად მიწა როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი, მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს და დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან, შრომასთან.

რაც შეეხება მწვანე ეკონომიკის განსაზღვრებას, აქ ორი მიდგომა არსებობს: ერთი მხრივ, ,,მწვანე ეკონომიკა“, როგორც ტერმინი განსაზღვრავს პროცესს (,,ეკონომიკის გამწვანება“, ,,მწვანე ზრდა“), მეორე მხრივ - ეს ტერმინი დაკავშირებულია შედეგთან - გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკომონიკურ ინიციატივის განმარტებით ,,მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს“. [2.გვ.41]

მწვანე ეკონომიკა არის XXI საუკუნის ბიზნეს შესაძლებლობა. ის სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. მწვანე ეკონომიკის მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო ან კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება, რომელიც ირჩევს და თავად მართავს მას.

ეკონომისტთსა ნაწილი მსოფლიოს ქვეყნებს მოუწოდებს მუდმივი ტრადიციული ეკონომიკური ზრდისკენ, რომელმაც შესაძლებელი გახადა საკვებით მომარაგებისა და ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, ხელი შეწყო არაერთი სასარგებლო პროდუქციისა და მომსახურების მასობრივ წარმოებას. ეკონომისტთა ეს ნაწილი ამგვარ ზრდას სიღარიბის დაძლევის საშუალებად განიხილავს. ეკონომისტების მეორე ნაწილი პრიორიტეტულად, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას თვლის, რაც გულისხმობს პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, ეკონომიკური ზრდის იმ გარემოსდამაზიანებელი და არამდგრადი ფორმების შესუსტებას, რაც იწვევს

ბუნებრივი კაპიტალის დეგრადირებას და პირიქით, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები ისეთი მდგრადი ფორმების წახალისებას, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას [2.გვ.16].

გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროების მეცნიერების დასკვნებით, გარემოსთან დაკავშირებული ამ და სხვა პრობლემების ხუთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არსებობს, ესენია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

არსებობს მეცნიერული მტკიცებულებები, კაცობრიობას აქვს 50-100 წელი იმისათვის, რომ გაატაროს გადამწყვეტი კულტურული ცვლილებები. თუ ეს მართლია, ამ საუკუნის განმავლობაში, ჩვენ შესაძლოა აღმოვჩნდეთ გზაჯვარედინზე, სადაც უნდა ავირჩიოთ გზა ან მდგრადი განვითარებისკენ, ან გავაგრძლოთ ამჟამინდელი არამდგრადი განვითარების კურსი. ყველაფერი - ჩვენი მოქმედებაც და უმოქმედობაც - წვლილს შეიტანს გზის არჩევაზე საერთო გადაწვეტილების მიღებაში [2.გვ. 23].

მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების ამოწურვის საშიშროებას.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე, გაეროს გლობალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფოებს რეკომენდაცია გაეწიათ განეხორციელებინათ ეკონომიკური ტრანსფორმაცია მწვანე ეკონომიკისაკენ. შეიქმნა ეკონომიკური სტიმულირების პაკეტები, რაც რამდენიმე კომპონენტს ითვალისწინებს:

- განახლებად ენერგიაზე გადასვლა;
- მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების გაზრდა;
- მდგრადი სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების მხარდაჭერა;
- ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მწვანე ეკონომიკის სექტორები



მეცნიერთა აზრით, მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს (იხ.სქემა). საქართველოსთვის მწვანე ეკონომიკის ყველა სექტორის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია, მაგრამ სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მწვანე შენობებს.

მწვანე ეკონომიკის აქტუალურობიდან გამომდინარე, საჭიროა მოხდეს:

- მწვანე ეკონომიკის ცალკეულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების შედეგების გავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკაზე, მდგრად განვითარებასა და სიღარიბის შემცირებაზე;
- კვლევების ჩატარება, სადაც ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული მხარე - ბიზნესი, სახელმწიფო, არასამთავრობო სექტორი და მთლიანად საზოგადოება, ყველა დაინტერესებული პირი;

- საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება (ცოდნის გადაცემა) მწვანე ეკონომიკის ცალკეული სექტორების ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით.

მწვანე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, ამასთანავე გამოიწვევს სამუშაო ადგილების შექმნას, სოციალური უთანასწორობისა დაძლევას და გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ გლობალური გამოწვევების ფონზე მის გაუმჯობესებას. სუფთა ენერგიის გეგმის შემუშავებისას, აშშ-ში, კერძოდ კალიფორნიის შტატში 500,000 ახალი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა[3. გვ. 4].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამაში სახელმწიფოს როლი გამოკვეთილია არა მარტო ფინანსური, არამედ ინფრასტრუქტურული და პოლიტიკური მხარდაჭერა კუთხით.

გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორც მიმდინარე ტენდენციები აჩვენებს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად მიისწრაფვის მწვანე ეკონომიკის დანერგვისაკენ. აშშ-სთან ერთად, ევროკავშირი და ჩინეთი აქტიურად ახორციელებენ ამ პროცესს, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 2009 წელს მათ აშშ-ზე გაცილებით მეტი ინვესტიციები გაიღეს. ევროკავშირმა ბიუჯეტი 300%-ით გაზარდა კვლევასა და განვითარებაზე. ჩინეთში 2010 წელს 34 მილიარდი აშშ დოლარი ჩაიდო სუფთა ენერგიის დასაფინანსებლად. შესაბამისად, ჩინეთმა გაუსწრო აშშ-ს განახლებად ენერგოტექნოლოგიებში ინვესტიციების მოცულობით და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ინვესტიციების მოცულობით დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა მესამე ადგილზე, შემდეგ არის ესპანეთი და ბრაზილია[3.გვ.5].

მნიშვნელოვანია, რომ ახალი გლობალური მწვანე შეთანხმება არ იყოს გამოყენებული იმგვარად რომ ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში ეროვნული სუვერენიტეტის შესუსტებისას, ე.წ. მწვანე კომპანიების ინვაზიას ამ ქვეყნებში და ახალი ეკონომიკური ექსპანსიას პრივატიზაციისა და ბუნებრივი რესურსების მონეტარიზაციის გზით, პროტექციონიზმს13 და ნაციონალიზმის აყვავებას.[3.გვ.13]

საერთაშორისო ექსპერტების თვალსაზრისით, მწვანე ეკონომიკის განვითარება არ არის გამოსავალი, თუ ის საფუძველს არ ჩაუყრის მდგრად ეკონომიკურ და სოციალურ მოდელს, თუ არ მოიცავს არსებული კაპიტალისტური მოდელის სრულ გარდაქმნას, მსოფლიოში თანასწორობის დამკვიდრებასა და სიღარიბის აღმოფხვრას. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნების მთავრობებმა ეკონომიკური კრიზისის დაძლევა დაიწყონ მწვანე ტექნოლოგიების დანერგვით. ეს პროცესი მჭიდროდ უკავშირდება ინვესტირებას განათლებასა და პროფესიულ გადამზადებაში.

მიმდინარე გლობალურ გამოწვევებზე რეაგირებისათვის მწვანე ბიზნესის საკითხების პრიორიტეტულობა და მწვანე ბიზნესის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება მეტად აქტუალური ხდება. თუმცა, ეკონომიკის მწვანე ეკონომიკად ტრანსფორმაციის პროცესი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ერთ-ერთი კონცეფცია მწვანე რეაბილიტაციისათვის ცნობილია, როგორც ,,გლობალური მწვანე ახალი შეთანხმების" (GGND-გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება, გაერთიანებული ერების გარემოსდაცვის პროგრამა) სახელით. ეს ცნება ორიენტირებულია სამ ამოცანაზე:

1. მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის, სამუშაო ადგილების შექმნისა და დაუცველი ჯგუფების სოციალური დაცვის საკითხებში წვლილის შეტანა;
2. ინკლუზიური და მდგრადი ზრდის ხელშეწყობა;
3. ნახშირბადზე დამოკიდებულების შემცირება და ეკოსისტემის დეგრადაცია, რაც მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის მთავარ რისკებს წარმოადგენს [4, გვ.12].

,,მწვანე ეკონომიკისა" და ,,მწვანე ბიზნესის" ცნებები ერთმანეთთანა მჭიდროდ დაკავშირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვანე ბიზნესი მნიშვნელოვანი ელემენტია მწვანე ეკონომიკის მისაღწევად. ,,მწვანე ბიზნესი" განისაზღვრება, როგორც ისეთი ბიზნესი, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს მთელს ეკონომიკაში დაენერგა ნახშირბადის დაბალი შემცველობა, რესურსების ეფექტურობა, და / ან ხელახლა შეექმნა პროდუქცია, პროცესები, მომსახურება და ბიზნეს მოდელები, რაც უზრუნველყოფს კონკურენტებთან შედარებით ბევრად მდგრად ფუნქციონირებას და შედეგებს"[5,გვ.6].

GGND-ს ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგოეფექტური შენობები, მდგრადი ენერგეტიკა, მდგრადი ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მტკნარი წყალი, ტურიზმი, რესურსების ეფექტიანი გამოყენება/ნარჩენების მართვა წარმოადგენენ იმ სექტორებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური, დასაქმების და გარემოდაცვითი თვალსაზრისით და შეუძლია შედეგად მოგვცეს სწრაფი წარმატება. [5, გვ. 21].

საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების აზრით, ტრადიციულ ენერგეტიკაში თანხების მოძიების გარდა, საქართველოსთვის აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარება როგორიცაა, ენერგოეფექტურობა და განახლდებადი ენერგიები. საქართველოში ენერგიის მოხმარების პროცესში დაახლოებით 40 პროცენტი მოდის გათბობასა და შენობების განათებაზე. საქართველო 400-

500 პროცენტით მეტ ენერგიას იყენებს გათბობისთვის კვადრატულ მეტრზე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნები, რომლებსაც იგივე კლიმატი აქვთ [5, გვ. 22].

შეფასებულია, რომ ეკონომიკურად მომგებიანი ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებით (ვარვარის ნათურის ენერგოეფექტური ნათურით შეცვლა, შენობების დათბუნება, ავტოტრანსპორტის ბუნებრივ გაზზე გადაყვანა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სეზონური დროის შემოღება) შესაძლებელია ქვეყნის საერთო ენერგომოხმარების დაახლოებით 25%-ით შემცირება, ენერგოუსაფრთხოების დონის გაზრდა, ათეული და ასეული მლნ დოლარი ენერგიისა და ინფრასტრუქტურის ხარჯის დაზოგვა.

ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარება მომგებიანია არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც. მაგალითად, დღეს საქართველოს სამშენებლო სექტორი ორიენტირებულია სამშენებლო თბო-ტექნიკის ძველ საბჭოთა ნორმებზე, რომლებიც საერთოდ არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და ხშირად, ეს ნორმებიც არ არის დაცული, შესაბამისად, ძალზე დიდია თბო-დანაკარგები (დღეს შენობებში ენერგიის 82%-ი იხარჯება ბეტონის და რკინაბეტონის გათბობაზე, გარე ჰაერის გათბობა-დაბინძურებაზე) [6, გვ. 1].

საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 17 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“. სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინოვაციისა და ტექნოლოგიური დონის განვითარების პოლიტიკას - მწვანე ეკონომიკას.

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, განსაკუთრებით, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარება იქნება [7, გვ 39].

მწვანე ზრდის ძირითადი იდეის განხორციელება ხელს შეუწყობს სიღარიბესა და უმუშევრობასთან ბრძოლას, საერთო რესურსების დაცვას (მაგ. კლიმატი). მწვანე ზრდა უნდა განხორციელდეს არსებული სახელმწიფო პროგრამებსა და პოლიტიკის ჩარჩოებში. საქართველოს მრავალფეროვანი რესურსების პირობებში მწვანე ეკონომიკა უნდა განვითარდეს ქარის, მზის, ბიომასის და გეოთერმული ენერგიის ათვისების ხარჯზე, რაც გარემოს სიჯანსაღის აუცილებელი პირობაა. ეს კი მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი გახდება საქართველოს ეკონომიკური მდგრადობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. UNEP, GREEN economy Developing Countries Success Stories, United Nations Environment Programme, 2010
   http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf
2. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
   http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf
3. ბიზნესის და ეკონომიკის ცენტრი, მწვანე ეკონომიკის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში,
   http://www.bec.ge/images/doc/green%20economy.pdf
4. ,,გლობალური მწვანე ახალი შეთანხმება”, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა. 2009 წელი, მარტი
   www.unep.org/pdf/A_Global_Green_New_Deal_Policy_Brief.pdf
5. მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის, UBCCE – GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, UBCCE შავი და კასპიის ზღვების ბიზნეს კონფედერაციების კავშირი, თბილისი 2011
   http://www.bec.ge/images/doc/georgia_report_tobeprinted_geo_last%20edited.pdf
6. მწვანე ალტერნატივა, მდგრადი ენერგეტიკა
   http://greenalt.org/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/
7. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა
   http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

Opportunities of Development of Green Economics and Global Challenges

M. Natsvaladze

Summary

Green Economics is part of Economic theory and is considered as a part of Ecosystem. Implementation of the principles of Green Economics is an essential part of sustainable development process and is closely related to the problems of elimination of poverty. According to the classic economic theory Green economics is not an independent discipline, but a component of Economics.

Green Economics is intertwined with State and private sectors, but regulation and management should be in hands of society.

Development of Green Economics in Georgia requires: 1. restructuring production models in accordance with requirement of energy and resource efficiency (Eco-innovation, Eco-design, Green Buildings, etc.); 2. Changing the consumption model by increasing the share of environment friendly products and services; also reducing the consumption (setting consumption limits).

One of the most important components of Green Economics is Green Business. The main aim of Green Business just like general Business is maximizing the profit, but it has advantages - is oriented on long term profit schemes, implementing innovative modern sustainable methods of production.

Transformation of Economics toward Green economics needs transferring to reproducible energy sources, implementation of sustainable transportation; supporting the sustainable agriculture and bio-production. In light of global challenges like rapid increase of global population, deficit of resources, only those countries will achieve the social equity and competitiveness on the global level that will be able to implement the principles of Green Economics.

Key words: *Green Economics, Green Business, Green Buildings, Sustainable Development.*

ევროკავშირის ქვეყნებში საოჯახო ფერმერული მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის

ია ნაცვლიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში კაბინეტური კვლევის (ე.წ. სამაგიდო კვლევის) მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია ევროკავშირის ქვეყნებში საოჯახო ფერმერული მეურნეობების შესაძლებლობები და შეზღუდვები. დასაბუთებულია, რომ ევროკავშირში საოჯახო ფერმერული მეურნეობები მიჩნეულია სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელის საკვანძო ელემენტად, რომელსაც მრავალფეროვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირში სასოფლო დასახლებების ეკონომიკაში. საქართველოში აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრისა და ფერმერული მეურნეობებისთვის პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციების შეთავაზებისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

საკვანძო სიტყვები: *საოჯახო ფერმერული მეურნეობა, ფერმერული მეურნეობა, აგრარული პოლიტიკა.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2014 წლის საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა საერთაშორისო წლად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ევროპული კომისიის კომისრის კიოლოშის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნულია, რომ „საოჯახო ფერმერული მეურნეობები ის საფუძველია, რასაც დაეფუძნა ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკა. ის რჩება ევროპული სოფლის მეურნეობის ცენტრში როგორც კონკურენტუნარიანობის, ზრდის და დასაქმების, დინამიკური და მდგრადი სასოფლო დასახლებების ეკონომიკის მძლავრი გენერატორები. ევროპაში ფერმერული მეურნეობების (ჰოლდინგების) 95%-ზე მეტი საოჯახო ფერმერული მეურნეობებია. თავისი მრავალფეროვნებით ისინი ერთდროულად აწარმოებენ კერძო და საზოგადოებრივ საქონელს: ისინი უზრუნველყოფენ ჯანსაღი სურსათის წარმოებას და, ასევე, ქმნიან სამუშაო ადგილებს, ინახავენ სასოფლო ცხოვრების წესს და სასოფლო თემებს, ბუნებრივ რესურსებს და ბიომრავალფეროვნებას. ევროკავშირი, თავისი ახალი ერთიანი აგრარული პოლიტიკით გააგრძელებს ხელი შეუწყოს მდგრადი და კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის წახალისებას, განითარებას და გაძლიერებას. გულითადად მივესალმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2014 წლის საოჯახო ფერმერული წარმოების საერთაშორისო წლის დაწყებას და მის მიზანს, ხელი შეუწყოს და გააძლიეროს **სოციალურად ღირებულ, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან და გარემოსდაცვის თვალსაზრისით მდგრად მოდელს“** [3].

მკვლევარები განიხილავენ საოჯახო ფერმერული მეურნეობის განსაზღვრებას, გამოწვევებსა და მომავალ პერსპექტივებს ევროკავშირში [1]. ევროკავშირში საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა გამოწვევებს შორის ზოგიერთი გამოწვევა სპეციფიკურია მხოლოდ საოჯახო ფერმერული მეურნეობისათვის, ზოგიერთი კი საერთოდ დამახასიათებელია ყველა ფერმერული მეურნეობისთვის: მცირე ზომა, საწარმოო ფაქტორებზე (ძირითადად, მიწა და კაპიტალი) წვდომის შეზღუდულობა, სურსათის მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში მოლაპარაკების ძალაუფლების უქონლობა, ფერმერული მეურნეობის თაობათაშორისი მემკვიდრეობითობა, კონკურენცია არა მხოლოდ ეფექტიანობისა და მასშტაბის მიხედვით, არამედ ინოვაციებსა და მეწარმეობაში, კლიმატის ცვლილებები, ახალი ტექნოლოგიების (მაგ. გენეტიკური ინჟინერიის მიღწევების) დანერგვა.

ევროკავშირში არსებობს არასაოჯახო და მსხვილი საოჯახო ფერმერული მეურნეობების როლის გაზრდის ტენდენცია. ამის მიუხედავად, საოჯახო ფერმერული მეურნეობა, ხშირად, პლურალური საქმიანობით ან/და დივერსიფიცირებული საოჯახო მეურნეობის სახით, პროგნოზის მიხედვით, უახლოეს მომავალში კვლავ დომინანტური იქნება ევროკავშირში არსებულ ფერმერულ მეურნეობათა სტრუქტურაში. ღონისძიებებს როგორც ევროკავშირის, ასევე ეროვნული პოლიტიკის დონეზე შეუძლია დახმარების გაწევა უფრო მდგრადი და მოქნილი საოჯახო ფერმერული მეურნეობების სექტორისათვის. საოჯახო ფერმერულ მეურნეობას ევროკავშიორში ეწევა მსხვილი, მცირე და ძალიან მცირე (ნახევრად „საარსებო საშუალებათა მწარმოებელ“ ან ე.წ. „ცხოვრების სტილის მქონე“(ე.წ. semi-subsistence, or “lifestyle”)) ფერმერული მეურნეობები, რომლებსაც მართავენ აგრარულ მეურნეობაში მთლიანად ან არასრული დროით (part-time) დაკავებული ფერმერები. შემოსავლის

მომტან სხვა საქმიანობასთან ერთად ზოგიერთი დაკავებულია სოფლის მეურნეობით და დამოკიდებულია შემოსავლის დივერსიფიცირებულ წყაროებზე.

ლუქსემბურგში, 1997 წლის დეკემბერში, ევროპული საბჭოს მიერ საოჯახო ფერმერული მეურნეობები მიჩნეულ იქნა სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელის საკვანძო ელემენტად. ეს მოდელი უნდა მოიცავდეს წარმოების სხვადასხვა ტიპის ერთობლიობას. **საოჯახო ფერმერული მეურნეობის განსაზღვრებები და მნიშვნელობა, საოჯახო ფერმერული მეურნეობა ან „საოჯახო ფერმერი“ შესაძლებელია განისაზღვროს სხვადასხვანაირად როგორც ევროკავშირში, ასევე მსოფლიოში. დეფინიცია შესაძლებელია ეფუძნებოდეს ფერმერულ მეურნეობაში სამუშაო ძალის წილს, საკუთრებასა და კონტროლს (თაობათაშორისი მემკვიდრეობითობა), იურიდიულ სტატუსს (ერთპიროვნული მფლობელი) ან ბიზნესის რისკის საკუთარ თავზე აღებას** [1]. **2010 წელს ერთპიროვნულ მფლობელობაში მყოფი** (sole-holder) **საოჯახო ფერმერული მეურნეობები შეადგენდა ევროკავშირის საერთო ფერმერულ მეურნეობათა 85%-ს, მთლიანად გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო მიწების** -გსსმ (UAA) - **68%-ს და მთლიანი სტანდარტული გამოშვების**-სგ (SO)- 71%-ს. თუმცა, მათი მნიშვნელობა განსხვავებულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. არა საოჯახო ფერმერული მეურნეობები იყენებდნენ გსსმ-ს ნახევარზე მეტს ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთში, ბულგარეთში, საფრანგეთში, ესტონეთში და აწარმოებდნენ სგ-ს ოთხ-მეხუთედს ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში. ერთპიროვნულ მფლობელობის ფერმერული მეურნეობები გსსმ-ს მიხედვით ძირითადად 5 ჰა-ზე ნაკლებია ევროკავშირის სამხრეთის 15 ქვეყანასა და ახალი წევრების 13 ქვეყანაში. ასეთი ტიპის ფერმერული საოჯახო მეურნეობები უფრო მეტად არათანაბრადაა განაწილებული ზომის მიხედვით (გსსმ-ს მიხედვით 100 ჰა-ზე მეტი) ევროკავშირის ჩრდილოეთის 15 ქვეყანაში. საოჯახო ფერმერული მეურნეობები ევროპაში უმეტესად სულაც არ არის „გლეხური“ მეურნეობები.

საოჯახო სამუშაო ძალა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს საოჯახო ფერმერული მეურნეობის მოქნილობისა და ელასტიკურობისთვის. მისი წილი ფერმერული მეურნეობის მთლიან სამუშაო ძალაში დამოკიდებულია ფერმერული მეურნეობის ზომაზე, მემცენარეობასა და მეცხოველეობას შორის არჩევანზე, არის თუ არა ფერმერული მეურნეობა ორგანული თუ ჩვეულებრივი მეურნეობა. **საოჯახო ფერმერული მეურნეობები ხშირად სოფლის მეურნეობაში არასრულად დაკავებული, პლურალური საქმიანობის და/ან დივერსიფიცირებული ფერმერული მეურნეობებია.** ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შინამეურნეობათა მთლიან შემოსავალში დიდად განსხვავებულია და იცვლება შემოსავლის ერთადერთი წყაროდან მთლიან შემოსავალში უმნიშვნელო მცირე კომპონენტამდე. **საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს მრავალფეროვანი წვლილი შეაქვთ ევროკავშირსა და მის სასოფლო ტერიტორიების ეკონომიკაში. ისინი არიან სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კონტრიბუტორები, უზრუნველყოფენ რა მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი პროდუქციის უწყვეტად მიწოდებას. ისინი აძლიერებენ სასოფლო დასახლებების და აქვთ გრძელვადიანი ბუნებისდაცვითი თვალსაზრისით მიწის მოვლის ინტერესი. არასაოჯახო ფერმერულ მეურნეობებსაც შეაქვთ თავისი წვლილი ამ მიმართულებებით, მაგრამ საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა აბსოლუტურად დიდი რიცხვის და მათი მცირე ზომის გამო, ხშირად საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა წვლილი უფრო შესამჩნევია.**

საოჯახო ფერმერულ მეურნეობებისთვის საჭიროა ერთმანეთთან თანამშრომლობა საწამოო ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმის, მაგალითად, კოოპერატივების მეშვეობით, რათა ისარგებლონ მასშტაბის ეკონომიის უპირატესობით და მოიპოვონ ძალაუფლება მოლაპარაკებების პროცესში ბაზრებსა და სურსათის მიწოდების ჯაჭვში, თუმცა, ევროკავშირის ბევრ ახალ წევ-სახელმწიფოში შეიმჩნეოდა კოოპერაციისადმი ძლიერი წინააღმდეგობა და ადგილი ჰქონდა კოოპერატივების გაკოტრების შემთხვევებს. ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და გარემოსდაცვითი მდგრადი მენეჯმენტი წარმოშობს საოჯახო ფერმერული მეურნეობებისათვის კომპლექსურ გამოწვევას. საოჯახო ფერმერული მეურნეობების რამდენიმე გამოწვევა ტერიტორიული განლაგებიდან გამომდინარეობს, მაგალითად, ბაზრებიდან შორს მდებარე მთიანი რეგიონები ან ნაკლებად განვითარებული რეგიონები დასაქმების მწირი შესაძლებლობებით.

განსხვავებით არასაოჯახო ფერმერულ მეურნეობათა სექტორისაგან, საოჯახო ფერმერულ მეურნეობებათა სექტორში მომავალი ცვლილებების მთავარი მამოძრავებელი ეკონომიკური ძალა იქნება ფერმერულ მეურნეობათა შემოსავლებსა და ეკონომიკის სხვა დანარჩენ სექტორებში შინამეურნეობათა შემოსავალების განსხვავება. ტექნოლოგიური პროგრესი და სტრუქტურული ცვლილებები დააბალანსებს ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა, საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა ეფექტიანობის ნაკლოვანებებს [1].

მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა გაქრობისა და მსხვილ საოჯახო ფერმერულ მეურნეობათა ზრდის პროცესი არათანაბრი იქნება ევროკავშირის ტერიტორიაზე. იგი დამოკიდებული

იქნება ადგილობრივ ეკონომიკურ და ბიოფიზიკურ პირობებზე. უფრო მეტად განვითარებულ სასოფლო ტერიტორიებზე შედარებით მეტი დასაქმების შესაძლებლობებით საოჯახო ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება შესაძლებელია შენარჩუნებულ იქნეს პლურალური საქმიანობით და დივერსიფიკაციით. ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ადგილობრივი მიწის ბაზრის რეგულაციები კვლავაც გააგრძელებენ მოიჯარე ფერმერებისა და ადგილობრივი მიწის მესაკუთრეების დაცვას, გააკონტროლებენ ან აკრძალავენ ე.წ. „მიწის ხელში ჩაგდებას“- მიწის მსხვილმასშტაბიან შენაძენებს, რაც ზღუდავს მომავალში საოჯახო ფერმერულ მეურნეობების ზრდისათვის ხელმისაწვდომი მიწის ფართობებს.

ევროკავშირის დონეზე ერთიანი აგრარული პოლიტიკის (Common Agricultural Policy, CAP) ინსტრუმენტები, განსაკუთრებით კი მისი ე.წ. პირველი მდგენელი (Pillar 1), არ შეიძლება გაანალიზდეს საოჯახო და არასაოჯახო ფერმერული მეურნეობების ჭრილში, არამედ უნდა განხილულ იქნეს მსხვილი და მცირე ფერმერული მეურნეობების ჭრილით. სწორედ მცირე ფერმერული მეურნეობების უდიდესი ნაწილი არის საოჯახო მეურნეობების ფარგლებში. რამდენადაც პირველი მდგენელის შესაბამისად განხორციელებული ტრანსფერები წარმოადგენს შემოსავლის შედარებით უფრო მეტად გარანტირებულ ნაკადს, იგი ხელს უწყობს კრედიტზე ხელმისაწვდომობას. საჭიროა მცირე საოჯახო ფერმერული მეურნეობების მხარდაჭერის სქემების განხორციელება [1]. როგორც აღნიშნულია ევროპარლამენტის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების კომიტეტის (COMAGRI) 2013 წლის 14 ოქტომბრის ანგარიშში „მცირე აგრარული ჰოლდინგების მომავლის შესახებ“ (მომხსენებელი Czesław Adam Siekierski), მცირე საოჯახო ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს ევროპის სასოფლო დასახლებების არსებით ნაწილს. ისინი აწარმოებენ მრავალ საზოგადოებრივ საქონელს, ხელს უწყობენ ლანდშაფტის მრავალფეროვნების დაცვას, ხშირად წარმოადგენენ მილიონობით ადამიანის საარსებო წყაროს, ასაზრდოებენ სოფლად მრავალსაუკუნოვან სახალხო ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს. ხშირად, ოჯახების მრავალი თაობა ეწევა ასეთ მცირე საოჯახო ფერმერულ მეურნეობას [2]. ამიტომ ევროკავშირის ფონდებისა და წევრი სახელმწიფოების მხრიდან საჭიროა ქმედითი ღონისძიებები მცირე და საოჯახო ფერმერული მეურნეობების ინტერესების მხარდასაჭერად.

ევროპარლამენტის საშინაო პოლიტიკის გენერალური დირექტორატის პოლიტიკის დეპარტამენტის დავალებით შესრულებულ ერთ-ერთ ნაშრომში, ავტორები აანალიზებენ ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს. მათი დასკვნით [4]: ერთიანი აგრარული პოლიტიკის პირველი ინსტრუმენტის ე.წ პირველი მდგენელის მეშვეობით, უაღრესად მნიშვნელოვანი მოცულობის ტრანსფერები განხორციელდა საოჯახო ფერმერული მეურნეობების მხარდასაჭერად, რამაც უზრუნველყო მრავალი საოჯახო ფერმერული მეურნეობის გადარჩენა და მათი ბიზნესში დარჩენა. თუმცა, უფრო მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელსაც მოიცავს CAP-ის მეორე ინსტრუმენტი ე. წ. მეორე მდგენელი, ევროკავშირში ფერმერული საოჯახო მეურნეობების სპეციფიკური გამოწვევების დასაძლევად იყო და არის უფრო შედეგიანი. **ევროპის ფერმერული მეურნეობების 97% საოჯახო ფერმერული მეურნეობებია, რომლებიც მოიცავს მსხვილ და მცირე, სრული და არასრული დატვირთვით მომუშავე ფერმერულ მეურნეობებს. მათთვის დამახასიათებელი გამოწვევები განსხვავებულია წევრი სახელმწიფოების, ფერმერული მეურნეობის ზომისა თუ სტრუქტურის მიხედვით. შესაბამისად, მთლიანად ევროკავშირის დონეზე ერთიანი პოლიტიკის შემუშავება საკმაოდ რთულია.**

CAP-ის პირველი ინსტრუმენტის ე.წ პირველი მდგენელის მეშვეობით განხორციელებული ტრანსფერები ხშირად გაკრიტიკებულია, რადგან მიჩნეულია, რომ იგი უპირტესობას ანიჭებს მსხვილ და პროდუქტიულ ფერმერულ მეურნეობებს, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მსხვილი ფერმერული მეურნეობაც საოჯახო მეურნეობაა. CAP-ის პირველი ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელებული ტრანსფერები მიწის ფართობის ოდენობაზე დაფუძნებული ტრანსფერებია. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ იგი იწვევს მიწის ფასის ზრდას. ამის შედეგად კი მცირდება საოჯახო მეურნეობებისათვის და აგრარულ სექტორში სხვა დამწყებთათვის მიწაზე ხელმისაწვდომობა. CAP - ის მეორე ინსტრუმენტი ე.წ. მეორე მდგენელი იყო და არის უფრო შედეგიანი ევროკავშირში ფერმერული საოჯახო მეურნეობების სპეციფიკური გამოწვევების დასაძლევად. მისი მეშვეობით ხორციელდება სასოფლო ტერიტორიებზე დასაქმებისა და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება, რაც ხელს უწყობს მრავალი საოჯახო ფერმერული მეურნეობის დივერსიფიკაციას და პლურალური აქტივობების განხორციელებას. CAP-ის მეორე ინსტრუმენტის სქემებს აქვს დამხმარე ხასიათი, რაც განაპირობებს იმას, რომ საოჯახო ფერმერულ მეურნეობაზე მათი საბოლოო გავლენა დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. კვლავ დისკუსიის საგნად რჩება მცირე ფერმერული მეურნეობის განსაზღვრა და მხარდაჭერის სქემით სარგებლობის უფლების კრიტერიუმები. ახალი CAP-ის ე.წ. მეორე ინსტრუმენტი - მეორე მდგენელი განსაკუთრებულ ფოკუ-

სირებას ახდენს საოჯახო ფერმერული მეურნეობებისათვის ცოდნისა და ინოვაციების ტრანსფერზე. ეს საშუალებას მისცემს საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს სწრაფად დანერგონ ახალი ცოდნა, მეცნიერების უახლესი მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები საკუთარ ფერმებში და შედეგად, მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.

აღსანიშნავია, რომ დებატებში მკვლევარები და პოლიტიკოსები ხშირად საოჯახო ფერმერული მეურნეობების ცნებაში სხვადასხვა მნიშვნელობას მოიაზრებენ. ზოგჯერ საოჯახო ფერმერულ მეურნეობად მოიაზრებენ მცირე ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც წარმოადგენს მთლიანი ფერმერული მეურნეობების დაახლოებით სამ მეოთხედს, მაგრამ მოიცავს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ ორ მეხუთედს [5]. ევროკავშირის აგრარულმა სექტორმა ბოლო ათწლეულებში განიცადა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაცია. მცირე ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობებიდან იგი მოძრაობდა მსხვილ, კაპიტალინტენსიურ, სრულად მექანიზებულ, სპეციალიზებულ და ინდუსტრიალიზებულ ფერმერული მეურნეობის მიმართულებით. კორპორაციული აგრარული ბიზნესი აღმავლობას განიცდიდა მაშინ, როცა მცირე და საშუალო ზომის აგრარული კომპანიები ბაზრიდან გადიოდნენ.

2010 წლის მონაცემებით [5], ევროკავშირში საშუალოდ 14,2 ჰა-ს მიწის ფართობის მქონე დაახლოებით 12 მლნ ფერმერული მეურნეობა/ჰოლდინგი არსებოდა. მათი უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა საოჯახო ფერმერულ მეურნეობებს, რომლებიც ფუნქციონირებდა როგორც ოჯახური მმართველობის მქონე ბიზნესები და ფერმერული მეურნეობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. საოჯახო ფერმერული მეურნეობის მნიშვნელობის ერთ-ერთი ინდიკატორია ის ფაქტი, რომ 2010 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დაახლოებით სამი მეოთხედი (77.8 %) იყო საოჯახო ფერმერული მეურნეობის მფლობელი ან მისი ოჯახის წევრი. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ირლანდიასა და პოლონეთში მათი წილი შეადგენდა 90%-ზე მეტს. მსხვილი კორპორაციული ფერმერული მეურნეობები ძირითადად ფუნქციონირებდა დაქირავებული შრომის გამოყენებით მეცხოველეობაში, ყოფილი სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების გარდაქმნის შედეგად შექმნილ საწარმოებში ძირითადად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ცალკეული მცირე რაოდენობის წევრი სახელმწიფოების გამოკლებით, მსხვილი კოპროპაციული ფერმერული მეურნეობები მოიცავს დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწების და აგრარული წარმოების შედარებით მცირე წილს.

ევროკავშირის მასშტაბით განსხვავებული ზომის საოჯახო ფერმერული მეურნეობები ფუნქციონირებს. 2010 წლის მონაცემებით, ერთი მხრივ, არსებობდა ძალიან მცირე (მიწის 2 ჰა-ზე ნაკლები ფართობით) ფერმერული მეურნეობების დიდი რაოდენობა (5,7 მლნ, ანუ ფერმერულ მეურნეობათა /ჰოლდინგების დაახლოებით ნახევარი), რომლებიც ამუშავებდა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწის მცირე (2.5%) ნაწილს. მეორე მხრივ, არსებობდა ძალიან მსხვილი (მიწის 100 ჰა ფართობით) ფერმერული მეურნეობების მცირე რაოდენობა (მთლიან ფერმერულ მეურნეობათა/ჰოლდინგების 2.7%), რომლებიც ამუშავებდა ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნახევარს (50.2%) [5]. გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ ცალკეულ კვლევებსა და პოლიტიკურ დებატებში საოჯახო ფერმერული მეურნეობების ცნება გამოყენებულია მცირე ფერმერული მეურნეობის სინონიმად და არ არის გათვალისწინებული ფერმერული მეურნეობის ლეგალური სტატუსი. მონაცემები მოწმობს, რომ თითქმის ყველა მცირე ფერმერული მეურნეობა არის საოჯახო მეურნეობა, მაგრამ ყველა საოჯახო ფერმერული მეურნეობა არ არის მცირე ფერმერული მეურნეობა.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სოფლისა და აგრარული წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაციის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტით. ევროკავშირი ENPARD-ის (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის) და CIB-ის (ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება) პროექტების განხორციელებით საქართველოში ფერმერული მეურნეობების წახალისებასა და სოფლად დასაქმების გაუმჯობესებას, მაღალხარისხიანი აგრარული პროდუქციის წარმოებასა და ევროპულ ბაზარზე გატანას ასტიმულირებს. ევროკავშირის მსგავსად, საქართველოშიც, სოფლის მეურნეობის ქართული მოდელის საკვანძო ელემენტად უნდა განვიხილოთ საოჯახო ფერმერული მეურნეობები, რომლებიც, ხშირად, სოფლის მეურნეობაში არასრულად დაკავებული, პლურალური საქმიანობის განმახორციელებელი დივერსიფიცირებული ფერმერული მეურნეობებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Davidova Sophia., Thomson Keneth., (2014) *Family Farming in Europe: Challenges and Prospects, In-Depth Analysis.* Directorate-General For Internal Policies., Policy Department B: Structural and Cohesion Policies, Agricultural and Rural Development.; [on-line] available at http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2014/529047/IPOL-AGRI_NT(2014)529047_EN.pdf
2. European Parliament. Committee on Agriculture and Rural Development. Draft Report on the future of small agricultural holdings (2013/2096(INI)) Rapporteur: Czesław Adam Siekierski. ; 14.10.2013. [on-line] available at (http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2009_2014/documents/agri/pr/941/941772/941772en.pdf)
3. European Commission., Agriculture and Rural Development., (22/11/2013) Commissioner Cioloș welcomes launching of the UN's International Year of Family Farming 2014 [on-line].; available at http://ec.europa.eu/agriculture/newsroom/147_en.htm Last update: 22/04/2015
4. Hennessy Teagasc, Dr. Thia., (2014) CAP 2014-2020 Tools To Enhance Family Farming: Opportunities and Limits, In-Depth Analysis. Directorate-General For Internal Policies., Policy Department B: Structural and Cohesion Policies, Agricultural and Rural Development.; [on-line] available at http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2014/529051/IPOL-AGRI_NT(2014)529051_EN.pdf
5. Matthews Alan, (2013) *Family Farming And The Role of Policy In The EU.,* [on-line] available at http://capreform.eu/family-farming-and-the-role-of-policy-in-the-eu/

Modern Practice of Family Farming in European Union and Its Implication for Georgia

I. Natsvlishvili

Summery

In the given article applying desk-research method opportunities and limits of family farming in the European Union are analyzed. The article argues that in the European Union family farms are considered as a key element of the European model of agriculture. Family farms make multifarious contribution to the European Union and to its rural economy. In Europe around 97% of farms are family farms. The European Union through its agricultural policy continues to stimulate sustainable and competitive agriculture. Family farms, often as diversified and pluriactive farms, should be consider as key element of Georgian model of agriculture. Investigation of experience of different countries with best agricultural practice plays significant role in identification of agricultural policy priorities in Georgia and in elaboration of practical recommendations for farmers.

Keywords: *Family Farming, farm, Agricultural Policy.*

კონსტრუქციული ქცევის სტიმულირება კონფლიქტურ სიტუაციაში

მაია ნიკვაშვილი,
სტუ-ის დოქტორანტი

ძალზე არსებითია სოციალური სისტემის შიგა წინააღმდეგობრიობის აღიარება და, მაშასადამე, კონფლიქტების წარმოქმნის რეალურობა. კონფლიქტების მართვის პროცესი, რომელიც კონფლიქტოლოგიას და მენეჯმენტს ემყარება, კომპლექსური ხასიათისაა და ჰუმანიტარული განათლების გაღრმავების დინებას მიჰყვება. მისი შესწავლა უეჭველად აფართოებს ადამიანისა და საზოგადოების შესახებ ცოდნის წრეს და ხელს უწყობს როგორც სოციალური ურთიერთქმედების პრობლემების გაგებას, ასევე მათი გადაწყვეტის ეფექტიანი ხერხების გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი, ორგანიზაციის სიჯანსაღე, მწარმოებლურობა.*

არ არსებობს ეპოქა კონფლიქტების გარეშე. დროისა და საზოგადოების ცვლილებამ კონფლიქტებს აქტუალურობა არ დაუკარგა. დღევანდელ რეალობაში წარმატებული ორგანიზაციების პერსონალის მართვის სამსახურები, ბევრ ფუნქციასთან ერთად, ატარებენ პერსონალის სოციალურ-ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას, რის საფუძველზეც ხორციელდება ხელმძღვანელებს, ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის ურთიერთობების ანალიზი და შესაბამისად, კონკრეტული სიტუაციის რეგულირებისათვის დაისახება ღონისძიებები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ურთიერთშეუთავსებელი მოთხოვნილებების, ინტერესებისა და ფასეულობების წინააღმდეგობრიობა განაპირობებს კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას სუბიექტებს შორის. რეალური ხდება სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენება კონფლიქტების შესუსტების მიზნით, თუმცა ყველა კონფლიქტის თავიდან აცილება შეუძლებელია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მთელი რიგი მეცნიერთა შეხედულებებით კონფლიქტის არარსებობა გაიგივებულია ორგანიზაციის, ჯგუფის ან გაერთიანების ნელ ან არარსებულ განვითარებასთან. თუმცა, ცალსახაა რომ ორგანიზაციის სიჯანსაღეზე არა კონფლიქტების რაოდენობა, არამედ მათი მოგვარებისა და გადაჭრის ეფექტური გზების შერჩევა და მათი რეალიზება ახდენს დადებით ზემოქმედებას.

არსებობს მოსაზრება, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება. კვლევებიდან ჩანს, რომ ის ორგანიზაციები, სადაც არ არის აზრთა სხვაობა და მცირეა უთანხმოება მთელ რიგ საკითხთან დაკავშირებით, ვერ აღწევენ წარმატებას. სრულმა უკონფლიქტობამ ადვილი შესაძლებელია აპათია და უმოძრაობა გამოიწვიოს. ზოგიერთმა კონფლიქტმა კი შესაძლოა წაახალისოს ახალი იდეები, ჯანსაღი კონკურენცია და მოქმედებებს შემატოს ენერგია. თუმცა უნდა აღინიშნის ის გარემოება, რომ როგორც კონფლიქტის უქონლობა, ასევე ზედმეტად ბევრი კონფლიქტი იწვევს დაბალ პროდუქტიულობას, კონფლიქტის ზომიერ დონეს კი მაღალ მწარმოებლურობამდე მივყავართ.

აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 80 წლის წინ სოციალურმა მუშაკმა და პოლიტიკურ მეცნიერებათა მკვლევარმა მერი პარკერ ფოლეტმა გამოთქვა განსხვავებული და იმ დროისათვის რადიკალური მოსაზრება, რომ კონფლიქტი შეიძლება ყოფილიყო სასარგებლო. მისმა იდეებმა მხარდაჭერა ძლიან გვიან მოიპოვა, უკვე 1970 წლისთვის „კონფლიქტი არის ,,ცუდი“ პერსპექტივა ჩაანაცვლა ოპტიმალური კონფლიქტის პერსპექტივამ, რომლის თანახმადაც ორგანიზაციები ყველაზე მეტად ეფექტიანია, მაშინ როდესაც თანამშრომლები განიცდიან კონფლიქტს დისკუსიებისას, მაგრამ იმავე ორგანიზაციები ხდებიან ნაკლებ მწარმოებლური, როდესაც მათ თანამშრომლებს აქვთ კონფლიქტები უფრო მაღალ იერარქიულ დონეზე. რწმენა, რომ კონფლიქტებს უნდა ჰქონდეთ არც ძალიან დაბალი და არც ძალიან მაღალი დონე, კვლავაც პოპულარულია დღესდღეობით. მრავალი მკვლევარი უჭერს მხარს ფოლტერის თეზისს, რომ კონფლიქტის ზომიერი დონე კარგია. კონფლიქტი ენერგიას აძლევს ადამიანებს იმისთვის, რომ განიხილონ სხვადასხვა საკითხები და ალტერნატივები უფრო დეტალურად შეაფასონ.

ორგანიზაციებში კონფლიქტი ხშირად აღმოჩნდება არა მარტო გარდაუვალი, არამედ მისაღები „გამოსავალი“ პროცესი შექმნილი სიტუაციიდან. ის ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ადამიანთა შორის ერთობლივ საქმიანობაში დარღვეული ურთიერთობის აღდგენის საშუალება, ასევე კერძო და საერთო ინტერესებში, ქცევის ნორმებში შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაც. ლოგიკური არგუმენტების მეშვეობით დებატები ხელს უწყობს მონაწილეებს ხელახლა გამოსცადონ მათი ძირითადი დაშვებები პრობლემასა და მისი შესაძლო გადაწყვეტის შესახებ. აშკარა სარგებელი ზომიერი კონფლიქტის დონიდან არის ის, რომ ზომიერი კონფლიქტი ხელს უშლის ორგანიზაციების სტაგნაციას და მათი გარემოსაგან სრულ იზოლირებას. ზომიერი კონფლიქტის სარგებელი არის ისიც, რომ გუნდის

არაწევრ ხალხთან კონფლიქტი ზრდის ერთიანობას გუნდის შიგნით, ისინი ბევრად უფრო მოტივირებულნი არიან იმუშაონ ერთად, როდესაც გარე საფრთხის წინაშე დგანან.

ამასთანავე, ხელმძღვანელობის ყურადღების ქვეშ ექცევა კონსტრუქციული ქცევის სტიმულირება კონფლიქტურ სიტუაციაში. იმის გათვალისწინებით, პიროვნულია თუ საქმიანი კონფლიქტი, დგება მიზანი მიეცეს კონფლიქტს ან პოზიტიური მიმართულება ან აღმოიფხვრას მისი საფუძველი. ამასთან, გამოიყენება სხვადასხვა საშუალება: ხელის შეწყობა, დარწმუნება, ასევე საყვედური. მსგავსი ქცევები ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას საერთო საქმიანობაში [1].

კონფლიქტის მართვის დროს, მისი გადაჭრის მცდელობისას და შესაბამისი სტილის შერჩევისას გასათვალისწინებელია ის ფაქტორები, რომელშიც ფუნქციონირებს კონფლიქტი. ასეთ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ორგანიზაციის სტრუქტურა, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში წარმოქმნილი ფუნქციების, უფლებების, პასუხისმგებლობების არასწორი განაწილება, არასამართლიანი სტიმულირების მეთოდებით და სხვა. კონფლიქტების გადასაჭრელად მენეჯერი შეიძლება დაეყრდნოს ორგანიზაციული სტრუქტურის ელემენტებსაც. ასეთ ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ იერარქია, წესები და პროცედურები, მაკავშირებელი როლები და დავალებათა ძალები.

ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ იერარქიას კონფლიქტების დასარეგულირებლად, კონფლიქტის დროს ირჩევენ ერთ ადამიანს როგორც სხვა ადამიანებზე, ჯგუფებსა თუ დეპარტამენტზე პასუხისმგებელს. რუტინული კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება შეიძლება გარკვეული წესებისა და პროცედურების მეშვეობით. მაკავშირებელი როლის მორგება როგორც მენეჯერებს, ასევე პიროვნებებს ფორმალური ავტორიტეტის გარეშე. ამ გზით ხდება დაპირისპირებულ მხარეებთან კავშირი შემდგომში აგრესიის განეიტრალების მიზნით. კონფლიქტის დასარეგულირებლად შეიძლება პიროვნებათაშორისი მექანიზმების გამოყენებაც.

კონფლიქტის მართვისას ასევე მნიშვნელოვანია, პოტენციური კონფლიქტისადმი ძირეული სტრუქტურული მიდგომები. მთავარი სტრუქტურული მიდგომები ხაზს უსვამს უმთავრეს მიზნებს, ამცირებს დიფერენციაციას, აუმჯობესებს ურთიერთგაგებას და კომუნიკაციას, ამცირებს ურთიერთდამოუკიდებელ ამოცანებს, ზრდის რესურსების რაციონალურად გამოყენების საშუალებას და უფრო ნათელს ხდის მართვის წესებსა და პროცედურებს. კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობისგან ისეთი ორგანიზაციებიც კი არ არიან დაზღვეული, სადაც მმართველობითი საქმიანობა სანიმუშოდ სრულდება. მენეჯერის უმთავრესი ამოცანაა კონფლიქტური სიტუაციებისას დროულად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და ისე მოახდინოს კონფლიქტური სიტუაციის მართვა, რომ თავიდან იქნას აცილებული დამატებითი ხარჯები და პრობლემის არასასურველი განვითარება, არც ორგანიზაციული მიზნის მიღწევა შეფერხდეს და არც თანამშრომლებს შორის წარმოიქმნას დაძაბული ურთიერთობები [4].

კონფლიქტის მიმდინარეობისას გასათვალისწინებელია, ასევე, კულტურის ელემენტები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუშაკთა სამუშაო პირობების ჰარმონიულ გარემოს ფორმირებაში. ჰოფსტიდმა კულტურათა შორის განსხვავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზომად გამოყო ძალაუფლებრივი დაშორება, რის მიხედვითაც ზოგ კულტურაში მნიშვნელოვანია იერარქიულობა, ძალაუფლებებს შორის განსხვავება და სხვა. ერთ ორგაბიზაციაში სხვადასხვა კულტურის მქონე პერსონალის მიმართ ერთი მიდგომის გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია განვითარდეს ღია ან ფარული კონფლიქტი, რომლის მოსაგვარებლად არაერთი სტრატეგიის გამოყენება შეიძლება. ერთერთი მნიშვნელოვანი პროცესია მოლაპარაკება, რომელშიც ორი ან მეტი მხარე (ადამიანები ან ჯგუფი) აღწევს შეთანხმებას კონკრეტულ საკითხზე მიუხედავად იმისა, რომ მათი პრიორიტეტები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სრულიად განსხვავებული შეიძლება იყოს. მოლაპარაკების წარმოებისათვის აუცილებელია პრობლემის ანალიზი, საუბრის თემის განსაზღვრა, შესაძლო პარტნიორებზე ინფორმაციის მოძიება, ალტერნატივების შემუშავება ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. უნდა მოხდეს პრობლემისა და პიროვნების გამიჯვნა, ფოკუსირება ინტერესზე და არა პოზიციაზე, კონფლიქტურ სიტუაციაში ყოველთვის არსებობს ორივე მხარისათვის მისაღები შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

მოლაპარაკებისას ინტერესზე ფოკუსირება ეხმარება ორივე მხარეს გაიგონ ერთმანეთის არამხოლოდ რეაქციები და პოზიციები, არამედ პერსპექტივებიც. ორმხრივი სარგებლობის მიღებისათვის აუცილებელია მოლაპარაკებების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე სხვადასხვა ალტერნატივის განხილვა, ობიექტური კრიტერიუმების გამოყენება, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს არა ემოციაზე, არამედ პრინციპებსა და შედეგებზე.

ორგანიზაციაში, მენეჯერის მხრიდან კონფლიქტის სტიმულირება შესაძლებელია გახდეს კონსტრუქციული კონფლიქტის წინაპირობა, რომელიც მრავალი გზით შეიძლება განხორციელდეს. მწირი რესურსებით გამოწვეული კონფლიქტის შემცირება შესაძლებელია არსებულ რესურსებზე ხელმისაწ-

ვდომობის გაზრდით. თუმცა, კორპორატიული გადაწყვეტილებების მიმღებებმა ეს გამოსავალი შეიძლება უარყონ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს საჭიროებს გაზრდილ ფინანსურ რესურსებს. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებამდე მათ აუცილებლად უნდა შეადარონ გაზრდილი ფინანსური რესურსების ხარჯები იმ ხარჯებს, რომლებსაც გამოიწვევს მწირი რესურსების გამო შექმნილი დისფუნქციური კონფლიქტები [3].

კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო საშუალებაა საერთო მიზნის მოძებნის სურვილი. ორგანიზაციულ პარამეტრებში, ეს, როგორც წესი, იღებს განსაკუთრებულად კოორდინირებული მიზნის სახეს, რაც კონფლიქტის ორივე მხარისთვის დასაფასებელია და რომლის მიღწევაც არ მოხერხდება მხოლოდ ერთი მხარის რესურსების გამოყენებით და ძალისხმევით. ჯგუფის წევრების ქცევისა და გარემოსთან დამოკიდებულების ერთიანი წესების მიღება უზრუნველყოფს არაფორმალური ჯგუფის ჩამოყალიბებისა და განვითარების მექანიზმებს. ჯგუფის ფორმირების პირველ სტადიაზე, როდესაც მისი წევრები კარგად არ იცნობენ ერთმანეთს, ისინი ხელმძღვანელობენ ინდივიდუალურად მიღებული საკუთარი გამოცდილებით. დროთა განმავლობაში ჯგუფის წევრები ეცნობიან ერთმანეთის ინდივიდუალურ სტანდარტებს, თუკი ეს ნორმები თანხვედრაში მოვა ერთმანეთთან მაშინ იწყება დაახლოების პროცესი, რადგან ინდივიდუალური ნორმების მსგავსება იწვევს ორმხრივ თანაგრძნობას.

ჯგუფის სტანდარტების ფორმირებასთან ერთად იზრდება ჯგუფური სინერგია. ჯგუფის წევრები ნეგატიურ სანქციებს ატარებენ ჯგუფის იმ წევრების მიმართ, რომლებიც არ ითვალისწინებენ და არღვევენ ჯგუფის სტანდარტებს. ყოველივეს გათვალისწინებით, შეგვიძლია შევჯერდეთ, რომ ორგანიზაციის არსებობა და ფუნქციონირება კონფლიქტის გარეშე წარმოუდგენელია. კონფლიქტები ისევე, როგორც ნებისმიერი სოციალური წინააღმდეგობა, რეალური საზოგადოებრივი კავშირების ფორმაა, რომელიც გამოხატავს პიროვნებათა ურთიერთქმედებას, სოციალური ჯგუფებისა და გაერთიანებების ურთიერთობებს მათი მოთხოვნების, მოტივებისა და როლების განსხვავებულობისა და შეუთავსებლობის პირობებში.

დიდი მნიშვნელობა აქვს კონფლიქტების წარმატებით მართვას სოციალური სისტემის ამა თუ იმ ორგანიზაციის მდგრადობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. კონფლიქტური უმოქმედება, თუკი იგი შემოქმედებითი ფორმისაა და არა დამანგრეველი - კონსტრუქციული, პროდუქტიული საწყისის შემცვლელია. ასეთი კონფლიქტი კი ხელს უწყობს პროგრესულ ცვლილებებს, დინამიზმს ანიჭებს ამა თუ იმ სოციალური სისტემის განვითარებას, რაც საბოლოოდ გონივრული კომპრომისის საფუძველზე მიდის თანამშრომლობამდე [2].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინო ფარესაშვილი, კონფლიქტის, როგორც კონსტრუქციული და პროდუქტიული საწყისის შემცველი პროცესის შესახებ, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2014 წ.
2. ნინო ფარესაშვილი, კონფლიქტების მართვა, თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2012 წ.
3. Mcshane/Von Glinow, Organizational Behaviour, 2010 , 341
4. Christopher W. Moore,he Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict;APR 21, 2014
5. William K. Roche,Paul Teague and Alexcander J.S.Colvin; The Oxford Handbook of Conflict Management in Organizations (Oxford Handbooks in Business and Management)
6. Скотт Дж. Конфликты Рути их преодоления – Киев, Внешторгиздат, 2010

Stimulation of Constructive Behavior in Conflict Situations

M. Nikvashvili

Summary

Organizations in conflict often turns out not only inevitable, but also an acceptable solution "of the situation. We can consider it as a joint activity between people of the opportunity to restore broken relationships, as well as private and common interests, the behavior of the possibility of reaching an agreement.

To ensure the stability and sustainability of the organizations is very important ability to successful manage conflict situations. Changes in the structure of the organization and co-operation are the most radical method of conflict resolution, while the decisions are long-term oriented.

Key words: *conflict, health organization, productivity.*

SMART TERRITORIAL DEVELOPMENT INDEX: THE CASE OF LATVIA

Inta Ostrowska,
Associate Professor,
Doctor of Pedagogy Daugavpils University

Dmitry Olehnovich
Lecturer,
Master of History Daugavpils University

The framework of the National research programme EKOSOC-LV envisages a research on the current public developments in economy, demography, management, law, regional development, environmental protection and other areas, which would particularly focus on the areas of economic transformation, innovation processes and environmental preservation.

The challenges and the course of the implementation of the project 5.2.3. “Latvian rural and regional development processes and opportunities in the context of knowledge economy” are:

- combining several scientific disciplines (economics, sociology, management) in order to elaborate a smart strategy for Latvian rural and regional development.
- developing a balanced and sustainable model of rural and regional development as an instrument for the elaboration of scientifically grounded propositions in the area of rural and regional policy that would promote the understanding of rural areas as a system, the progress towards the establishment and development of smart regions and the increasing of innovative capacity in the regions.
- Distribution of the research findings in the society and to come up with business-like proposals for the contacts with politicians and local governments.

Methodology

- Partial application of the EDORA cube principles (Copus and Noguera, 2010), mainly in rural regions. The new typology is based on the process of regional development.
- Municipalities are divided into groups by using the data on economically active statistical units: market sectors and individual enterprises.
- Location-based approach is tested using the data on infrastructure and expenditures related to the territories.
- AHP method; experts selected are the representatives of various activity areas in each region.
- Mathematical and statistical methods: correlation analysis, regression analysis, which reveal the link between the dynamics of regional population (the dependent variable) and the key variables in different combinations within municipalities depending on the data concerning the process of regional development.

In the end of the study the SMART DEVELOPMENT INDEX of Latvian regions is developed that consists of the following components:

- Resources
- Population
- Economy
- Management.

აგროსასურსათო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში და საქართველოში

ნანული ოქრუაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მაია სეთური,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის უზრუნველყოფას სათანადო რაოდენობისა და ხარისხის აგროსასურსათო პროდუქციით. გლობალიზაციის პირობებში ცალკეული ქვეყნის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის, ადგილობრივი ბაზრის მდგომარეობაზე უშუალოდ აისახება მსოფლიო აგროსასურსათო ბაზრის თანამედროვე რეალობა. გლობალიზაცია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს, ერთ-ერთ გადამწყვეტ ძალას, რომელიც უკავშირდება პლანეტის არსებობის შენარჩუნების უმთავრეს პირობას - ადამიანთა საკვებით უზრუნველყოფის აუცილებლობას. მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალის გამოყენებას. სტატია ეძღვნება აღნიშნული მწვავე, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური თეორიულ-პრაქტიკული საკითხების კვლევას.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარი, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, ქვეყნის აგროსასურსათო პოტენციალი, ფასების ინდექსი აგროსასურსათო საქონელზე, ორგანული სურსათის წარმოება.*

საქართველოს აგროსასურსათო პოტენციალის მიზნობრივ გამოყენებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე პირობებში არ არის მიზანშეწონილი, რომ საქართველო გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისაგან იყოს გამიჯნული. მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, კლიმატის გლობალური ცვლილებები ქმნის გამოწვევებს მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად სათანადო რაოდენობის და ხარისხის აგროსასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში მწვავედ დგას სიღარიბის და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა.

გლობალიზაცია, როგორც ადამიანური ცივილიზაციის ახალი მდგომარეობა, სულ უფრო მზარდ ასახვას ჰპოვებს ფინანსური, ტექნოლოგიური, შრომითი და სასაქონლო, მათ შორის სამომხმარებლო ბაზრების ფუნქციონირებაზე. სამომხმარებლო ბაზრის საბაზისო შემადგენელ ნაწილს აგროსასურსათო ბაზარი წარმოადგენს. სწორედ პროგრესირებადი გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო აგროსასურსათო ბაზრის დამახასიათებელ უმთავრეს თავისებურებას, რაც აგრარული სექტორის ინტერნაციონალიზაციის განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპს უკავშირდება.

მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარი წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც ცალკეული ქვეყნის აგროსასურსათო პროდუქციის კონკურენტული უპირატესობა წარმოჩინდება ისეთი სტატისტიკურ და დინამიკურ მაჩვენებელთა სისტემით, როგორიცაა: აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების ფაქტორთა ეფექტიანი გამოყენებისათვის პირობების შექმნა, აგროსასურსათო საქონლის ასორტიმენტის გაფართოების შესაძლებლობა, გლობალიზაციის პირობებში ამა თუ იმ ქვეყნის აგროწარმოების პრიორიტეტულობა. აგროსასურსათო ბაზარზე სუბიექტთა შეღწევისას არსებობს როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული ბარიერები გარკვეულ დარგთა სუბსიდირების, ეკოლოგიური ნორმების, გლობალური სისტემის მონაწილეთა შორის არაფორმალური კავშირების სახით.

თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნების სურსათით უზრუნველყოფა უკავშირდება ისეთი ამოცანების გადაჭრას, როგორიცაა, ერთი მხრივ, სასურსათო საქონლის მოხმარების მინიმალური ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისი დონის მიღწევა და, მეორე მხრივ, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების აგროსასურსათო საქონლის მოხმარების ნორმების მიღწევა.

დღეისათვის სულ უფრო მეტი მეცნიერი და ავტორიტეტული ორგანიზაცია გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე მოსალოდნელია დეფიციტი. 2016 წლისსექტემბრისათვის მსოფლიოს მოსახლეობამ 7, 452 მილიარდი ადამიანი შეადგინა[1]. მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით მსოფლიოში აგროსასურსათო წარმოების შესახებ გამაფრთხილებელი პროგნოზი გამოაქვეყნა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO). აღნიშნული

პროგნოზის მიხედვით თუ მოსახლეობის ზრდის არსებული ტემპი შენარჩუნდება, მაშინ მსოფლიო მოსახლეობა 2050 წლისათვის მიაღწევს 9.1 მლრდ-ს. აღნიშნული რაოდენობის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა მოითხოვს მსოფლიოში სურსათის წარმოების 70%-ით გაზრდას, განვითარებად ქვეყნებში კი - სურსათის წარმოების გაორმაგებას. FAO- ს შეფასებით, სურსათის წარმოების აღნიშნული ტემპებით განვითარებას მსოფლიოში დასჭირდება საშუალო წლიური წმინდა ინვესტიციების გაზრდა 83 მილიარდი აშშ დოლარით [2].

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება ჩვენი ქვეყნის ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4 % ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად. საქართველო გამოირჩევა ეკოლოგიური და კლიმატური ზონების მრავალფეროვნებით. ამიტომ შესაძლებელია ზომიერი და სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობის მოყვანა. ეს კულტურები მოიცავს: მარცვლეულს, საადრეო და საგვიანო ბოსტნეულს, ბაღჩეულს, კარტოფილს, ტექნიკურ კულტურებს, ყურძენს, სუბტროპიკულ კულტურებს, ხილის ნაირსახეობას და სხვ. [3, გვ.10].

საქართველოს აგროსასურსათო ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტირებული პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის აგროსასურსათო პროდუქცია წარმოდგენილია საერთაშორისო ბაზარზეც. 2014 წელს საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მიხედვით, სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 80 ქვეყანასთან. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 6.7%-ით. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 825.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნის მთლიან ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წონა 29%-ს შეადგენს. ძირითადად ექსპორტირებულია შემდეგი სახის პროდუქტები: თხილი (22%), ღვინო (22%), მინერალური და მტკნარი წყლები (17%), სპირტიანი სასმელები (12%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (4%), უალკოჰოლო გაზიანი სასმელები (3%), ცოცხალი ცხვარი (3%) და სხვა [4; გვ. 34].

რაც შეეხება იმპორტს, 2014 წელს, საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მიხედვით სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 110 ქვეყანასთან. 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 1.1 %-ით. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში იმპორტირებულია 1.3 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითი წონა 15.2%-ს შეადგენს. ძირითადად იმპორტირებულია შემდეგი სახის პროდუქტები: ხორბალი (12%), თამბაქო (9%), შინაური ფრინველის ხორცი (6%), შაქარი (5%), სპირტიანი სასმელები (5%), ღორის ხორცი (3%), ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი (3%), საკვები დანამატები (3%), მცენარეული ზეთი (3%), თევზი (2%), და სხვ. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციის საგარეო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, უარყოფითი სავაჭრო სალდო შემცირდა 7,3 %-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 37 %-ით [4; გვ. 34].

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების შესახებ 2008-2014 წლებში წარმოდგენას გვაძლევს პირველი ცხრილი:

ცხრილი 1

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარე ფასებში; მლნ ლარი)

	2008 წ.	2009 წ.	2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება _ სულ	2202.9	2072.2	2241.8	2674.0	2807.2	3210.0	3378.1
მათ შორის: მემცენარეობა	918.1	868.3	932.1	1237.9	1087.0	1405.2	1485.7
მეცხოველეობა	1227.6	1140.5	1240.3	1336.8	1610.3	1665.8	1731.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2015,
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2015.pdf,გვ. 157

საქართველოში გამოშვებული საკვები პროდუქციის მოცულობა 2010-2014 წლებში მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

საქართველოში გამოშვებული საკვები პროდუქციის მოცულობა, სასმელების ჩათვლით (მოქმედ ფასებში; მლნ ლარი)

2010 წ.	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.
1462.7	2072.6	2182.6	2612.2	3101.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2015, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2015.pdf, გვ. 144

რაც შეეხება საქართველოში ერთწლიანი კულტურების წარმოებას, 2015 წელს, საბაზისო 2006 წელთან შედარებით, საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა შემდეგი კულტურების წარმოება: ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდის მარცვალი, კარტოფილი, ბაღჩეული კულტურები. ხოლო შემცირდა შემდეგი კულტურების წარმოება: ლობიო და ბოსტნეული. საუკეთესო მდგომარეობა საქართველოში კარტოფილის, სიმინდის და ბოსტნეულის წარმოების თვალსაზრისით ფიქსირდება 2013 წელს, ხოლო შემდგომ 2014 და 2015 წლებში აღნიშნული კულტურების წარმოება საგრძნობლად შემცირდა. ხორბლის წარმოება ყველაზე უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდება 2015 წელს. თუ ხორბლის წარმოების 2015 წლის მონაცემებს შევადარებთ 2008 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან, დავინახავთ, რომ საქართველოში ხორბლის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, კერძოდ, შეადგინა 66% [5, გვ.1].

საქართველოში ყურძნის წარმოებაში საუკეთესო მდგომარეობა დაფიქსირდა 2015 წელს. თუ აღნიშნული კულტურის წარმოებას 2015 წელს შევადარებთ 2008 წლის მაჩვენებელს, დავინახავთ, რომ ყურძნის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, კერძოდ, 52%-ით. ხოლო ციტრუსის (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) წარმოება ყველაზე უკეთესი მონაცემებით ხასიათდებოდა 2013 წელს, როდესაც შეადგინა 110,4 ათასი ტონა. შემდგომ წლებში ციტრუსის წარმოება შემცირდა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში 2015 წელს, 2008 წელთან შედარებით, ციტრუსის წარმოება მაინც გაზრდილია მნიშვნელოვნად, კერძოდ, 55%-ით.

რაც შეეხება საქართველოში ხორცის წარმოებას, 2008-2012 წლებში მას შემცირების ტენდენცია ჰქონდა. 2012 წელს, 2008 წელთან შედარებით, ხორცის წარმოება საქართველოში შემცირდა 26%-ით. ხოლო 2013 წლიდან მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესდა. ხორცის წარმოების ზრდამ 2015 წელს, 2013 წელთან შედარებით, შეადგინა 46%.

თანამედროვე მსოფლიო აგროსასურსათო ბაზრის დამახასიათებელი თავისებურებაა მისი გლობალური რეგულირების საკმაოდ ღრმა ხასიათი. აგროსასურსათო საქონლის გლობალურ ბაზარზე ზემოქმედების აუცილებლობას განსაზღვრავს მსოფლიოში მწვავედ არსებული სასურსათო უსაფრთხოებისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, კერძოდ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OESD), აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო აგრარული ბაზრების რეგულირების პოლიტიკის შემუშავებაში, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს თანამედროვეობის გლობალური აგროსასურსათო პრობლემების გადაჭრას.

გლობალური აგროსასურსათო ბაზრის რეგულირების აუცილებლობის საფუძველი გახდა 2006-2011 წლის გლობალური აგროსასურსათო კრიზისი, რომლის ინტენსივობაც გაიზარდა საფინანსო კრიზისის შედეგად. რის გამოც მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები საბაზისო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, გაუარესდა მოსახლეობის ნაკლებადუზრუნველყოფილი ფენების სურსათის ხელმისაწვდომობის ხარისხი, გაიზარდა საკვების ფიზიოლოგიური ნორმებით დაუკმაყოფილებელ ადამიანთა რაოდენობა, კონკურენციის გაძლიერების შედეგად კი ადგილი ჰქონდა წვრილმწარმოებელთა და ფერმერთა გაკოტრებას, ეკონომიკის სასიცოცხლოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მწარმოებლურ სექტორში ინვესტიციების შემცირებას. ასეთ პირობებში მსოფლიო საზოგადოებრიობისა და, შესაბამისად, ზემოღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოხდა ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება.

აღნიშნული ორგანიზაციების აქტიური ზემოქმედების და მათი მხრიდან ეფექტიანი რეგულირების შედეგად გაიზარდა აგროსასურსათო პროდუქციის მიწოდება, ეს მნიშვნელოვნად განაპირობა ხელსაყრელმა კლიმატურმა ფაქტორებმა. ყოველივე ამან კი განსაზღვრა ფასების შემცირების ტენდენცია.

აგროსასურსათო პროდუქციით მსოფლიო ვაჭრობა სწრაფი ტემპებით იზრდება. ამასთან, საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციასა და მის სტრუქტურაში არსებული განსხვავება მნიშვნელოვანია

როგორც სასაქონლო ჯგუფებთან, ისე ცალკეულ ქვეყნებთან მიმართებაში. FAO -ს 2016 წლის მოხსენების მიხედვით, უახლოეს პერიოდში გლობალურ სასურსათო ბაზრებზე შეიმჩნევა შედარებით მეტი სტაბილურობა, ვიდრე ეს იყო რამდენიმე წლის წინ. გლობალურ დონეზე სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების ექსპორტი განუხრელად იზრდება. 2012 წელს, 2000 წელთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა თითქმის 3-ჯერ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიმდინარე ათწლეულში მოთხოვნა აგროსასურსათო პროდუქციაზე იქნება მაღალი, მოსალოდნელია, რომ მომავალშიც შენარჩუნდეს ექსპორტის ზრდის მაღალი ტემპები. ამასთან, FAO-ს პროგნოზით აგროსურსათის მსოფლიო მოხმარების ზრდის 95% განვითარებად ქვეყნებზე მოდის [6].

მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე არსებულფასების სტაბილურობას ცალეკეულ აგროსასურსათო საქონელთან მიმართებაში, გამოხატავს ფასების ინდექსის ცხრილი (იხ.ცხრილი 3).

ფასების კიდევ უფრო მეტი სტაბილურობა გამოვლინდა აგროსასურსათო პროდუქტების უმრავლესობაზე 2016 წლისათვის. მიმდინარე წელს მსოფლიო ბაზარზე ცალკეულ სასურსათო საქონლზე ფასების შემცირება დაფიქსირდა. სურსათზე ფასების ინდექსის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 161,9 პუნქტი, რაც 1,4%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან. მიუხედავად სასურსათო საქონელზე ფასების ინდექსის საშუალო მაჩვენებლის შემცირებისა, გარკვეულ სასაქონლო ჯგუფებთან ადგილი ჰქონდა შემცირებას, გარკვეულ სასაქონლო ჯგუფებთან მიმართებაში კი ადგილი ჰქონდა ფასების ინდექსის უმნიშვნელო ზრდას. კლების ტენდენცია გამოიხატა მარცვლეულთან და მცენარეულ ზეთთან მიმართებაში. კერძოდ, 2016 წლის ივლისისათვის მარცვლეულზე ფასების ინდექსის საშუალო მაჩვენებელმა შეადგინა 148,1 პუნქტი, რაც 11%-ით ნაკლებია წინა წლის ივლისის მაჩვენებელზე[6]. აღნიშნული შემცირება დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ 2016 წელს მარცვლეულის ყველა სახეობის წარმოებამ ისტორიულ მაქსიმუმს - 2069 მლნ ტონას მიაღწია, რაც 3%-ით მაღალია წინა წლის მაჩვენებელზე. განსკუთრებული ზრდა გამოიხატა სიმინდზე. ზრდა განსაკუთებით აშშ-სა და „დსთ“-ში გამოვლინდა, რაც დაკავშირებული იყო ხელსაყრელ კლიმატურ პირობებთან და რამაც გარკვეულწილად მოახდინა ევროკავშირის მარცვლეულის წარმოების კლების კომპენსაცია. წარმოების ისტორიულ მაქსიმუმს - 325 მილიონ ტონას - მიაღწია მსოფლიოში სოიოს წარმოებამ. გაიზარდა ასევე ბრინჯის წარმოებაც. მარცვლეულის საერთაშორისო საბჭოს პროგნოზით კიდევ უფრო გაიზრდება მარცვლეულის ყველა სახეობის წარმოება 2016 და 2017 წლებში და გადააჭარბებს 2,5 მლრდ ტონას [7].

მსოფლიო აგრარულ ბაზარზე არსებული ფასების სტაბილურობის ტენდეციისაგან განსხვავებით, საქართველოში მიმდინარე პერიოდში ადგილი ჰქონდა ფასების ზრდას სამომხმარებლო პროდუქციაზე და, მათ შორის, სასურსათო პროდუქციაზე, რაც უარყოფითად აისახება საქართველოში მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრაზე და, შესაბამისად, ცხოვრების დონეზე. ასე, მაგალითად, 2015 წლის დეკემბერში საქართველოში სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 3,8% შეადგინა. ხოლო ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში იმავე პერიოდში ფასები გაიზარდა 11,0%-ით. საქართველოში სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე 2015 წელს ფასების ზრდის (წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აგვისტოს თვეში _ 6,3 % [7].

ცხრილი 3

აგროსასურსათო საქონლის ფასების ინდექსი FAO-ს მიხედვით

წელი	ფასების ინდექსი აგრო-სასურსათო საქონელზე	ფასების ინდექსი ხორცზე	ფასების ინდექსი რძის პროდუქტებზე	ფასების ინდექსი მარცვლეულზე	ფასების ინდექსი მცენარეულ ზეთზე	ფასების ინდექსი შაქარზე
2000	91.1	96.5	95.3	85.8	69.5	116.1
2001	94.6	100.1	105.5	86.8	67.2	122.6
2002	89.9	89.9	80.9	93.7	87.4	97.8
2003	97.7	95.9	95.6	99.2	100.6	100.6
2004	112.7	114.2	123.5	107.1	111.9	101.7
2005	118	123.7	135.2	101.3	102.7	140.3
2006	127.2	120.9	129.7	118.9	112.7	209.6
2007	161.4	130.8	219.1	163.4	172	143
2008	201.4	160.7	223.1	232.1	227.1	181.6

2009	160.3	141.3	148.6	170.2	152.8	257.3
2010	188	158.3	206.6	179.2	197.4	302
2011	229.9	183.3	229.5	240.9	254.5	368.9
2012	213.3	182	193.6	236.1	223.9	305.7
2013	209.8	184.1	242.7	219.3	193	251
2014	201.8	198.3	224.1	191.9	181.1	241.2
2015	164	168.1	160.3	162.4	147	190.7

წყარო: http://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/ru/

2016 წლის აგვისტოში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 0,9 პროცენტი შეადგინა. 2010 წლის საშუალოსთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 16,2 პროცენტით გაიზარდა. ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 11,9 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,73 პროცენტული პუნქტით აისახა [8, გვ.2].

რაც შეეხება სურსათის პროდუქტებზე ფასების ზრდას, უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის იანვარში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ფასების ინდექსის განსაკუთრებულ ზრდას ჰქონდა ადგილი შემდეგ პროდუქტებზე: წიწიბურა (32,60 %), ბრინჯი (12,24 %), ბავშვის საკვები (12,93 %),ღორის ხორცი (12, 52), გაყინული ქათმის ხორცი (26,56 %), ნიგოზი (51,33 %), მანდარინი (47, 93 %) [9].

ამდენად, აგროსასურსათო პროდუქციის მსოფლიო და ქართულ ბაზარზე ფასების ანალიზი გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ დღეისათვის მსოფლიოში აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასების სტაბილურობის ტენდეციის პირობებში საქართველოში ფასების ზრდას ადგილი ჰქონდა სასურსათო პროდუქტების უმრავლეს სახეებზე, ამასთან ისეთ პროდუქტებზე, რომელთა მოხმარებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ადამიანის ყოველდღიური კვების რაციონში. ცხადია, ფასების ასეთი ზრდა უარყოფითად აისახება მომხმარებელთა სურსათით უზრუნველყოფაზე, რაც თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა, რადგან მასზეა დამოკიდებული საზოგადოების წევრთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

თანამედროვე პერიოდში შეუძლებელია ზოგადად აგრარული სექტორისა და, შესაბამისად, მსოფლიო აგროსასურსათო ბაზრის განხილვა მასზე აგრარული ბიოტექნოლოგიის - გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) ზემოქმედების განხილვის გარეშე. გენური ინჟინერიის გზით პროდუქციის მასობრივი წარმოება დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში და დღეს უკვე არნახული მასშტაბები მიიღო. მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება და, შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე მატულობს გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების რაოდენობა, გმო-საგან მიღებული ფერმენტებით საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვა ბოლო 10 წლის განმავლობაში, 68 მლნ აშშ დოლარიდან 24 მილიარდამდე გაიზარდა [10].

გლობალურ ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტების ექსპორტი განუხრელად იზრდება. 2012 წელს, 2000 წელთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიმდინარე ათწლეულში მოთხოვნა აგროსასურსათო პროდუქციაზე შენარჩუნდება მაღალ დონეზე, მოსალოდნელია რომ მომავალშიც დაფიქსირდება ზრდის მაღალი ტემპები. ამასთან, FAO-ს პროგნოზით, აგროსურსათის მსოფლიო მოხმარების ზრდის 95% განვითარებად ქვეყნებს უკავშირდება [11].

დღეისათვის მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, მომხმარებლების მხრიდან სულ უფრო იზრდება შეშფოთება გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების მიმართ. მრავალმა სახელმწიფომ კი საკუთარ ტერიტორიაზე სრულად აკრძალა გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოყვანა და წარმოება. დღეისათვის მსოფლიოს 55 ქვეყანა შეერთებულია არასანქცირებული გენმოდიფიცირებული კულტურებისამი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკასთან. ამგვარი უარყოფითი განწყობა გახდა გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე მოთხოვნის შემცირების მიზეზი[12]. შესაბამისად, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ორგანულ პროდუქტებზე. სწორედ ორგანულ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა წარმოადგენს დღეისათვის აგროსასურსათო სექტორში მიმდინარე გლობალური მასშტაბის ტენდენციას. თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესი. სწორედ აღნიშნული გარემოების გამოძახილს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობასა და კვების ინდუსტრიაში გაჩნდა ახალი მიმართულება ბიოპროდუქტების წარმოება. დღეისათვის ,,ბიოპროდუქტები“, ,,ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“, ,,ეკოპროდუქტი“, ,,ორგანული პროდუქტი“ გამოიყენება, როგორც სინონონიმები.

მათი წარმოება თანამედროვე პირობებში წარმოადგენს აგროინდუსტრიის პერსპექტიულ მიმართულებას, რომლის განვითარების ტემპები დღეისათვის ნათლადაა გამოხატული.

ორგანული პროდუქტების მსოფლიო ბაზარი აქტიურად ვითარდება უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ამასთან, ყოველწლიური ზრდა 15-30%-ს შეადგენს[13]. მართალია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, აგროსასურსათო ბაზრის ე. წ. ,,ბიო" სეგმენტი ახლა იწყებს ჩამოყალიბებას, თუმცა, სხვადასხვა ექსპერტული შეფასებით დასავლური ცხოვრების წესისა და მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მოსალოდნელია ,,ბიო" სეგმენტის შემდგომი გაფართოება არა მხოლოდ მაღალგანვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც.

თანამედროვე მსოფლიოში ბიოპროდუქტების წარმოება გახდა ფართოდ გავრცელებული ტენდენცია. IFOAM (International Federation of Organic Agriculture Movements) -ის მონაცემებით, ეკოპროდუქტების ბაზარი 2012 წელს შეადგენდა 65-67 მლრდ დოლარს, 2014 წლისათვის _ 80 მლრდ დოლარს, ხოლო 2020 წლისათვის შეიძლება მიაღწიოს 200-250 მლრდ დოლარს [14].

გლობალიზაცია განაპირობებს ეროვნულ ეკონომიკათა ურთიერთდამოკიდებულების ხარისხსა და მასშტაბებს. გლობალიზაცია აგროწარმოების სფეროში მნიშვნელოვნად ამწვავებს კონკურენციას. კონკურენციის გამწვავების მნიშვნელოვანი გარემოებაა აგროსასურსათო პროდუქციის ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რაც აძლიერებს მსოფლიო აგროსასურსათო ბაზრების არასტაბილურობას. ზემოაღნიშნულმა გარემოებამ მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზარდა ბიოპროდუქტების მიმართ ინტერესი. თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად იზრდება იმ ქვეყნების წილი, რომლებიც ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას მისდევენ. ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნული გლობალური გამოწვევა უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტი. ჩვენი ქვეყნის მსოფლიო აგრარულ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბუნებრივად უკავშირდება ქვეყნის აგროეკოლოგიურ საქმიანობას. ,,ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის" ანუ ორგანული პროდუქტის წარმოება უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და კვების ინდუსტრიის პერსპექტიული მიმართულება. სწორედ აღნიშნული გზით იქნება შესაძლებელი საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ღირსეული ადგილის დაკავება და მისი აგროპროდუქციის კონკურენტიანობის ამაღლება მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე. აგროეკოლოგიური საქმიანობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ჩვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას. ყოველივე ეს კი უნდა მივიჩნიოთ როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გრძელვადიანი სტრატეგიის ნაწილად, ასევე, მთელს ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სოფლად, სოციალური პრობლემების გადაჭრის უმთავრეს საშუალებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.worldometers.info/world-population/
2. http://www.fao.org/docrep/014/i2280e/i2280e.pdf
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ; 2015 წ. www.moa.gov.ge/Download/Files/91
4. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, წლიური ანგარიში 2014, www.moa.gov.ge/Download/Files/8, pdf
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი. სოფლის მეურნეობა, გარემო და სასურსათო უსაფრთხოება. სოფლის მეურნეობა 2016, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo
6. http://www.igc.int/downloads/gmrsummary/gmrsummr.pdf.
7. ttp://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/ru/
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ინფლაცია საქართველოში, 2016 წ., აგვისტო, 02.09. 2016. www.geostat.ge
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015 წლის სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდარი, იანვარი, samomxmareblo fasebis indeqsi (2015 wlis ianvari), http://www.geostat.ge/index.php/cms/site_images/_files/archive/quarterly/siteimg_new/GeoStat.apk?action=page&p_id=2095&lang=geo
10. https://www.isaaa.org/
11. http://www.fao.org/3/a-i5003e.pdf
12. http://gmoobzor.com/stati/gm-kultury-10-osnovopolagayushhix-faktov-i-cifr.html.
13. .http://www.organic-world.net/yearbook/yearbook-2016.html
14. http://www.statista.com/statistics/196962/organic-food-sales-growth-in-the-us-since-2000/

Current Condition of Agro Food Market in Georgia and in the World

N. Okruashvili
M. Seturi

Summary

The paper discusses the current condition of agro food market in the world and in Georgia and reveals the ongoing processes in the field. It depicts and evaluates the export and import issues and agricultural potential of our country. The paper discusses the ongoing processes on the world agro food market, current global challenges and their effective usage for the development and future competitiveness of Georgia in the global market. Research reveals characteristics and modern tendencies in global agro food market which is obligatory to be taken into account for using the agricultural potential and for the future development of agriculture in the country. The papers proves that correct regulations from the government will make the country more attractive for investors in this field. All mentioned above is a part of long-term strategy concerning agro food safety of the country. It is a way of solving problems existing in Georgian villages.

Key words: *the world agricultural market, Food security of the population, The country's agricultural potential, Price index of agricultural commodities, Organic food production.*

რეტროეკონომიკა - ნეკროეკონომიკის გლობალიზაციის წინაპირობა

ვლადიმერ პაპავა,
აკადემიკოსი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში შემოთავაზებულია ახალი ხედვა ნეკროეკონომიკის გლობალიზაციის შესახებ. კვლევის მიზანია ახსნას თუ რა არის იმის მიზეზი, რომ ბევრ (უმთავრესად ღარიბ) ქვეყნის ეკონომიკაში მოძველებული ტექნოლოგიები გამოიყენება. შედეგად ყველა ამ ქვეყანას აქვს რეტროეკონომიკა. ეკონომიკის ზომბიფიცირების პროცესი მის ტექნოლოგიურ განახლებას უქმნის ბარიერებს. სახელმწიფოს როლი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში ძალზედ მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: *რეტროეკონომიკა, ნეკროეკონომიკა, ზომბიეკონომიკა, გლობალიზაცია, ეკონომიკური განვითარება.*

თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხეს ნეკროეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს.

ნეკროეკონომიკა, ანუ "მკვდარი ეკონომიკა" თავისი არსით არის მოძველებული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქციის მიწოდება, რომელზეც რეალურად არ არსებობს მოთხოვნა ამ პროდუქციის დაბალი ხარისხის (ან სულაც უხარისხობის) ან/და წარმოების მაღალი დანახარჯების გამო, თუმცა ამ მოთხოვნას ხელოვნურად ქმნის სახელმწიფო [7, გვ.202]. კონკურენციის არ არსებობა არის ნეკროეკონომიკის შექმნის წინაპირობა.

იმ ტიპის ეკონომიკას, სადაც ფუნქციონირებენ მსოფლიოს თანამედროვე მიღწევებთან შედარებით ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი ფირმები (ანუ რეტრო-ფირმები), მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მაინც არსებობს, ვუწოდოთ ***რეტროეკონომიკა*** (ლათინური "retro" ნიშნავს "უკან", "წარსულისკენ მიპყრობილს").

მსგავსება ნეკროეკონომიკასა და რეტროეკონომიკას შორის ისაა, რომ ორივე ტიპის ეკონომიკაში გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიები; განსხვავება კი ისაა, რომ ნეკროეკონომიკის პირობებში ამ საწარმოებში გამოიყენება იმდენად მოძველებული ტექნოლოგიები, რომ მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე რეალურად არ არსებობს მოთხოვნა და ამდენად ეს საწარმოები ფუნქციონირებენ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს დახმარებით, ხოლო რეტროეკონომიკის პირობებში ამ საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე მოთხოვნა არსებობს, რაც მიიღწევა სახელმწიფოს მხრიდან ზომიერი მხარდაჭერით.

რეტროეკონომიკის შექმნის ფაქტორებია:

I. *ინტელექტუალური საკუთრების დაცვა*, რაც ზღუდავს ახალი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელებას, მის ხელმისაწვდომობას, და, შესაბამისად, ზრდის ამ ტექნოლოგიების არასანქციონირებული კოპირების და ასევე არასანქციონირებული რეინჟინირინგის საფრთხეს [12, c. 120]. შედეგად, ამ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება შედარებით მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებას;
II. *ეკონომიკის მონოპოლიზაცია*, როცა მონოპოლიები შეისყიდიან პატენტებს ახალ ტექნოლოგიებზე არა იმ მიზნით, რომ მეტ-ნაკლებად ოპერატიული რეჟიმით გამოიყენონ, არამედ იმისათვის, რომ სხვამ არ გამოიყენოს;
III. *საერთაშორისო კონკურენციის ლიდერების ქცევა*, რომლებიც, როგორც წესი, არ ყიდიან მსოფლიოს საუკეთესო ბოლო თაობის ტექნოლოგიებს [14, c. 590];
IV. *განათლების დაბალი დონე*, როცა სათანადო განათლებული კადრების არარსებობის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია ინფორმაციის, თუნდაც ღია არხებით (რომ არაფერი ვთქვათ, კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხზე) მიღებული ცოდნის გამოყენება, და ეს პრობლემა დაკავშირებულია არა მარტო უმაღლეს და პროფესიულ, არამედ საშუალო განათლების არადამაკმაყოფილებელ დონესთან [12, c. 118];
V. *ზომბიეკონომიკა*, ანუ ფინანსური კრიზისის შედეგად გადახდისუუნარო ფირმების (და მათთან დაკავშირებული ბანკების) ერთობლიობა, რომლებიც განაგრძობენ ფუნქციონირებას სახელწიფოს მიერ გაცემული სამთავრობო გარანტიის საფუძველზე აღებული საბანკო კრედიტებით (მაგალითად, Ahearne, Shinada, 2005; Hoshi, 2006). ბუნებრივია, რომ ზომბი-ფირმებს არ აქვთ ინ-

ტერესი ტექნოლოგიურად განაახლონ წარმოება ან/და შეცვალონ მენეჯმენტი, რადგანაც სახელმწიფოს მხრიდან მათი მხარდაჭერის გამო, ისინი ამ ტიპის ქმედებათა გარეშეც ახერებენ საქმიანობის გაგრძელებას, რასაც ადასტურებს იაპონიის გამოცდილება. გასაგებია, რომ ფაქტობრივად ზომბიეკონომიკა უშუალოდ უწყობს ხელს რეტროეკონომიკის შექმნას.

საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილი ხუთი ფაქტორიდან პირველი ოთხი ხელს უწყობს რეტროეკონომიკის ჩამოყალიბებას ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო მეხუთე ფაქტორი მოქმედებს არა მარტო ამ (ნაკლებად განვითარებულ), არამედ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც.

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გარკვეული უპირატესობაც კი აქვთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით.

"ჩამორჩენილობის უპირატესობაზე" აქცენტის გაკეთებისას, როგორც წესი, იქიდან გამოდიან, რომ ამ ქვეყნებს ინოვაციების ნაცვლად შეუძლიათ ორიენტაცია აიღონ იმიტაციებზე, ანუ უკვე ცნობილი ტექნოლოგიების კოპირებაზე, [11, c. 448-449], რის შედეგადაც ჩამორჩენილ ქვეყნებს შეუძლიათ შეამცირონ მოწინავე ქვეყნებთან არსებული ჩამორჩენა [3, 1993].

მართალია, იმიტაციური პოლიტიკის ხარჯზე ჩამორჩენილ ქვეყნებში შექმნილი რეტროეკონომიკა უზრუნველყოფს ამ ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ იმიტატორ ქვეყნებს ემუქრება განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალი მწარმოებლურობის დონის ხანგრძლივი შენარჩუნება [5, 2000]. ქვეყნების მიხედვით მწარმოებლურობის დიფერენცირების მთავარი მიზეზი კი არის განსხვავება იმაში, თუ რომელ ქვეყანაში რა ცოდნა და თანაც როგორ გამოიყენება.

შედარებით მოძველებული უცხოური ტექნოლოგიების კოპირებაზე აქცენტის გაკეთება, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის იძულებითი ნაბიჯია, რაც ხელს უწყობს სწორედ ამ ჩამორჩენილობის, ანუ რეტროეკონომიკის შენარჩუნებას და ტექნოლოგიურად სხვის კმაყოფაზე ყოფნის მახეში მოქცევას [13, 2006].

"ტექნოლოგიური მახე" ეწოდება ისეთ მდგომარეობას, როცა ფირმა უპირატესობას ანიჭებს ძველ, ნაკლებად ეფექტიან ტექნოლოგიებს, მაშინაც კი, როცა არსებობს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლის შესაძლებელობა [9, 2003]. ითვლება, რომ ტექნოლოგიური მახის წარმოქმნის მიზეზი არის ის გარემოება, ფირმები უპირატესობას ანიჭებენ მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას გრძელვადიანთან შედარებით; მოკლევადიანი ინტერესების დომინირება გრძელვადიანზე კი, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობით [10, c. 56-57).

თუ სახელმწიფომ არ გაატარა საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული პოლიტიკა, მოძველებული ტექნოლოგიით აღჭურვილი ფირმები ვერ შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საერთაშორისო კონკურენციის ლიდერებს. ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიის თანახმად [6, 1982] რეტრო-ფირმებში შექმნილი ე.წ. "რუტინა" (ანუ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული წესები და ხერხები, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებენ) არის იმის საფუძველი, რომ რეტრო-ფირმებმა უმთავრესად იფიქრონ არა იმდენად საერთაშორისო კონკურენციაში ჩასართავად მომზადებისათვის, რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული ზომების გახანგრძლივებაზე, რის შედეგადაც არ გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად და ეს ფირმები ექცევიან ტექნოლოგიურ მახეში.

მაშასადამე, ტექნოლოგიურ მახესა და რეტროეკონომიკას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი: ერთი მხრივ, აშკარაა, რომ *ტექნოლოგიური მახეში მყოფი ფირმა იგივე რეტრო-ფირმაა*, მეორე მხრივ კი, *რეტრო-ფირმა თავის მხრივ ხელს უწყობს ტექნოლოგიური მახის შენარჩუნებას.*

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს რეტროეკონომიკიდან გამოსვლა, ანუ ტექნოლოგიური მახედან თავის დაღწევა, აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიების კომპოლექსურად გატარება.

რეტროეკონომიკიდან გამოსვლისათვის, ანუ უშუალოდ ტექნოლოგიური ნახტომის განსახორციელებლად, სახელმწიფოს მხრიდან არსებითი აქცენტი უნდა გაკეთდეს საბანკო პროცენტის შემცირებაზე იმ შემთხვევაში, თუ საბანკო სესხი გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად. ასევე მიგვაჩნია, რომ საბანკო სესხის განაკვეთის შემცირებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო შეღავათების გამოყენებას იმ ფირმებისათვის, რომლებიც ორიენტირებულები იქნებიან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა რეტროეკონომიკის შენარჩუნების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, განსაკუთრებით ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ჩვენი აზრით, სახელმწიფომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ორიენტირების განსაზღვრის და ახალი ტექნოლოგიებით დაინტერესებული ფირმების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე,

უნდა შეისყიდოს პატენტები ამ ტექნოლოგიებზე ეკონომიკის შესაბამისი სექტორების მიხედვით, მათი შეღავათიან ფასად მიწოდებისათვის დაინტერესებული ფირმებისათვის. ამით შეიქმნება კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხი, მაგრამ ის ვერ იქნება შედეგიანი, თუ ქვეყანაში მას არ დახვდა სათანადო ცოდნის მაღალკვალიფიკაციური კადრები.

მარტო კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხის გამოყენება არ მოგვცემს სათანადო შედეგს, თუ მოსახლეობის საერთო განათლების დონე ვერ უზრუნველყოფს ცოდნის გავრცელების ღია ინფორმაციული არხის გამოყენების მაღალ ეფექტიანობას. მაშასადამე, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მთლიანად განათლების ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას სათანადო კვალიფიკაციის კადრებით უზრუნველყოფს. ეს მოიცავს არა მარტო საუნივერსიტეტო და პროფესიულ, არამედ ზოგად განათლებასაც.

ტექნოლოგიური მახიდან თავის დასაღწევად, განათლების სისტემის განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას, რადგანაც ახალი ტექნოლოგიების ათვისება-გამოყენება დიდად გაადვილებულია, როცა ქვეყანას გააჩნია ცოდნის წარმოების საუთარი სისტემა [13, 2006].

რეტროეკონომიკის შენარჩუნება ძირშივე ეწინააღმდეგება კაპიტალიზმის არსს, რადგანაც კაპიტალიზმი, იოზეფ შუმპეტერის თანახმად, არის ეკონომიკურ ცვლილებათა ფორმა და მეთოდი [15, c. 126]. როგორც ცნობილია, შუმპეტერმა შექმნა ეკონომიკური დინამიკის თეორია, რომლის თანახმადაც კაპიტალიზმის არსი არის "კრეატიული ნგრევის" პროცესი, ანუ ეკონომიკური მუტაციის პროცესი, რომელიც პრაქტიკულად უწყვეტად შიგნიდანვე ანგრევს ძველ სტრუქტურას და ქმნის ახალს [15, c. 127].

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნებას აქტიურად მხარს უჭერს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფი, მაშინ როცა ჯერ არ შექმნილი ახალი დარგებისა თუ ფირმების ინტერესების გამომხატველი ჯგუფები, სწორედაც იმის გამო, რომ ეს დარგები და ფირმები ჯერ არ არის შექმნილი, არ არსებობენ [1, p. 199].

ზომბირებული რეტრო-ფირმების მიმართ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაკოტრების პროცედურების ამოქმედებას. ცნობილია, რომ გაკოტრების უნივერსალური კანონონმდებლობა არ არსებობს და მთავარი პრინციპი, რომელიც გაკოტრების რეჟიმისთვის არის დამახასიათებელი, არის ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, სიცოცხლისუნარიანი ფირმების ვადაზე ადრე ლიკვიდაციის თავიდან აცილებას შორის [8, p.3]. ჩვენი აზრით, ეს პრინციპი სრულად ვერ ასახავს იმ სირთულეებს რის წინაშეც დგას თანამედროვე ეკონომიკა, განსაკუთრებით ეკონომიკურად ჩამორჩენილ, ღარიბ ქვეყნებში. კერძოდ, პრობლემის არსია, რომ არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნებას აქტიურად მხარს უჭერს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფი, მაშინ ნათელი ხდება, რომ ბაზარზე ადგილს ზომბირებული რეტრო-ფირმები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ზომბირებული ნეკრო-ფირმებიც კი, ინარჩუნებენ.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რეტროეკონომიკის ზომბირების თავიდან აცილებისათვის, ანუ კრეატიული ნგრევის პროცესის ხელშეწყობისათვის უნდა შეიცვალოს გაკოტრების კანონონმდებლობის მთავარი პრინციპი, და ნაცვლად ზემოხსენებულისა, უნდა იყოს ბალანსის შენარჩუნება, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესების დაცვასა და, მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რეტროეკონომიკის დაძლევის მიზნით განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ერთგანზომილებიანი. კერძოდ,:

1. სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს განათლების სისტემის განვითარებაში;
2. სახელმწიფომ საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფის უმთავრეს კომპონენტად უნდა აქციოს სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა;
3. სახელმწიფომ უნდა შექმნას კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხი;
4. თანამედროვე ტექნოლოგიების მოსაზიდად სახელმწიფო ამ მიზნით შესაბამის ფირმებს უნდა დაეხმაროს საბანკო პროცენტის ნაწილის დაფარვაში და ასევე შესთავაზოს საგადასახადო შეღავათები;
5. კრეატიული ნგრევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ის, რომ ბაზარზე არ დარჩეს არასიცოცხლისუნარიანი საწარმოები. ამისათვის გაკოტრების ეროვნული კანონონმდებლობა უნდა დაეყრდნოს ამოსავალ პრინციპს, რომლის თანახმადაც დაცული უნდა იყოს ბალანსი, ერთი მხრივ, კრედიტორების ინტერესებსა და, მეორე მხრივ, არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულად ლიკვიდაციას შორის;

6. მიზანშეწონილია, რომ გადახდისუუნარო ფირმის სიცოცხლისუნარიანობის საკითხი გადაწყდეს უშუალოდ კრედიტორებსა და ამ ფირმის მესაკუთრეებს შორის შეთანხმების გზით;
7. სახელმწიფომ ბაზარზე უნდა შექმნას ჯანსაღი სამართლებრივი სივრცე, რაც გამორიცხავს გაკოტრების კანონმდებლობის ეფექტიანად მოქმედების შემაფერხებელ სხვა კანონებს თუ რეგულაციებს.

რეტროეკონომიკის ფენომენი, უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულია მთელ მსოფლიოში და აუცილებელია, რომ ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა ყურადღება მაქსიმალურად იქნეს კონცეტრირებული იმ საფრთხის წინაშე, რათა არ მოხდეს რეტროეკონომიკის ზომბირება, რომ არაფერი ვთქვათ მის ნეკროეკონომიკაში გადაზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anderson R. E. (2004) Get Out of the Way: How Government Can Help Business in Poor Countries. Washington, D.C.: CATO Institute. 2004, 275 p.
2. Ahearne A. G., Shinada N. (2005) "Zombie Firms and Economic Stagnation in Japan." International Economics and Economic Policy, 2005, Vol. 2, No. 4, pp. 363-381.
3. Bresis E., Krugman P., Tsiddon D. (1993) "Leapfrogging in international Competition: A Theory of Cycles in National Technological Leadership." American Economic Review, 1993, Vol. 83, No. 5, pp. 1211–1219, <http://econ.biu.ac.il/files/economics/shared/staff/u46/brezis-aer-1993.pdf>.
4. Hoshi T. (2006) "Economics of the Living Dead." The Japanese Economic Review, 2006, Vol. 57, No. 1, pp. 30-49.
5. Howitt P. (2000) "Endogenous Growth and Cross-Country Income Differences." The American Economic Review, 2000, Vol. 90, No. 4, pp. 829-846, <http://www.fadep.org/documentosfadep_archivos/D-27_ENDOGENOUS_GROWTH_AND_CROSS-COUNTRY_INCOME_DIFFERENCES.pdf>.
6. Nelson R. R., Winter S. G. (1982) An Evolutionary Theory of Economic Change. Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 1982, 437 p.
7. Papava V. (2002) "Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy." International Journal of Social Economics, 2002, Vol. 29, No. 9-10, pp. 796-805.
8. Stiglitz J. E. (2001) "Bankruptcy Laws: Basic Economic Principles." In Claessens S., Djankov S., Mody A., eds. Resolution of Financial Distress: An International Perspective on the Design of Bankruptcy Laws. Washington, D.C.: The World Bank, 2001, pp. 1-23.
9. Балацкий Е. В. (2003) «Экономический рост и технологические ловушки». Общество и экономика, 2003, № 11, сс. 53-76.
10. Балацкий Е. В. (2012) «Институциональные и технологические ловушки». Журнал экономической теории, 2012, № 2, сс. 48-63.
11. Барро Р. Дж., Сала-и-Мартин Х. (2010) Экономический рост. Москва: БИНОМ. Лаборатория знаний, 2010, 824 с.
12. Голиченко О. (2012) «Модели развития, основанного на диффузии технологий». Вопросы экономики, 2012, № 4, сс. 117-131.
13. Дементьев В. Е. (2006) «Ловушка технологических заимствований и условия ее преодоления в двухсекторной модели экономики». Экономика и математические методы, 2006, Том 42, Вып, 4, сс. 17-32.
14. Портер М. (1993) Международная конкуренция. Москва: Международные отношения, 1993, 896 с.
15. Шумпетер Й. (1995) Капитализм, социализм и демократия. Москва: Экономика, 1995, 540 с.

Retroeconomy – Pre-Condition for Globalization of the Necroeconomy

V. Papava

Summary

The paper offers a new view of the process of globalization of the necroeconomy. The goal of the research is to set out the main reasons why in many (and mostly in poor) countries the economies used obsolete technologies. As a result all these countries have retroeconomy. The process of zombification of economy creates barriers for its technological updating. The role of the government is very important to resolve the problem of the technological backwardness.

Keywords: *Retroeconomy, Necroeconomy, Zombie-economy, Globalization, Economic Development.*

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეფექტი მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო ბიზნესის მაგალითზე)

თინათინ ჟორჟოლიანი,
თსუ-ის დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც სულ უფრო გლობალიზებული ხდება, მნიშვნელოვანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი) როლი და მნიშვნელობა. უპი - არის ნაკადები კაპიტალის, ტექნოლოგიის, ადამიანური რესურსების ერთი ქვეყნიდან მეორეში. ნაშრომში კვლევის მიზანს წარმოადგენს მასპინძელ ქვეყანაში უპი შემოდინების შედეგად ეკონომიკის ზრდაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირების თეორიული მიმოხილვა. ასევე, განხილულია უპი-ის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები და მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ყურადღება ეთმობა იმ გამოწვევებსა და პრობლემებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკაში, რასაც ადგილი აქვს უპი-ს შემოდინებას.

ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, რეგიონული საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფას, რაც ბიზნესის წარმატებული განვითარების და როგორც რეგიონის, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა.

საკვანძო სიტყვები: *უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (უპი), ინოვაციის პროცესი, მულტინაციონალური კორპორაციები, კონკურენცია, ეკონომიკის ზრდა.*

ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც თავის მხრივ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის და დასაქმების უზრუნველყოფის საფუძველია. ქართული ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს უპი-ის მოზიდვა. უპი-ები არ არის უბრალოდ საერთაშორისო კაპიტალის ტრანსფერი, ეს არის საწარმოს გაფართოვება თავისი ქვეყნიდან საზღვარგარეთ მასპინძელ ქვეყანაში, რომელიც მოიცავს კაპიტალის ნაკადებს, თანამედროვე ტექნოლოგიას, სამეწარმეო უნარს და მენეჯერულ პრაქტიკას მასპინძელ ეკონომიკაში, სადაც ადგილობრივ ფაქტორებთან კომბინირებულად იწარმოება საქონელი და მომსახურება. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მასპინძელი ქვეყნისთვის უპი-დან მაქსიმალური სარგებელი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, ის რეციპიენტ ქვეყანას გადასცემს თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ახორციელებს ადამიან-კაპიტალის ფორმირების მხარდაჭერას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებითა და ბუნებრივი რესურსებით, ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყობს პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო ინტეგრაციას. უპი ეხმარება მასპინძელ ქვეყანას გააუმჯობესოს ეკონომიკური გარემო და სოციალური მდგომარეობა ე. წ. „სუფთა“ ტექნოლოგიების შემოდინებითა და სოციალური პასუხისმგებლობის კორპორატიული პოლიტიკის ხელმძღვანელობით რეციფიენტი ქვეყნები აუმჯობესებენ გარემოსა და სოციალურ პირობებს.

საქართველოში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის ქვეყანას მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. სტაბილური ეკონომიკური განვიტარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და სწრაფად განვითარებადი ეკონომიკით, საერთაშორისო ბაზარს სთავაზობს მზარდ და ათვისებად პოტენციალს. ის მდებარეობს საქართველოს სამხრეთ დასავლეთ და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და საქართველოს შავი ზღვისპირეთის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. ადმინისტრაციული ცენტრი: ბათუმი, ფართობი; 2,9 ათასი კვ.კმ (საქართველოს ტერიტორი-

ის 4,2%), მოსახლეობა 400 ათასი. ხუთი ადმინისტრაციული რაიონი: ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი. რეგიონში ეკონომიკური რეფორმები წარმატებით ხორციელდება, რაც ინფრასტრუქტურის დინამიკურ ზრდას განაპირობებს. რეგიონის ინვესტიციების პოტენციალი შეიძლება შეფასდეს რამდენიმე მლრდ დოლარით. რეგიონი გეოეკონომიკური მდებარეობით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სისტემით, საერთაშორისო ზრდით საკმაოდ მიმზიდველია უცხოელთათვის. აჭარის რეგიონში ინვესტიციების ზრდა აისახება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიბერალური რეფორმებით.

ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის მიერ როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოშობის ინვესტიციების განხორციელებას და სტაბილურ/მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს. 2015 წელს აჭარის ა/რ ტერიტორიაზე ჯამურად განხორციელდა 366 მლნ დოლარის ოდენობის კერძო ინვესტიცია, რომლის 76% შეადგინა მთლიანმა უცხოურმა ინვესტიციებმა (იხ.გრაფიკი 1).

გარფიკი 1



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

საინვეტიციო საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება ასევე განხორციელებული ინვეტიციების მოცულობა რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ინვესტიციების მოცულობა ნომინალურ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 15-25%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერძო ინვესტიციების ოდენობამ 2015 წელს შეადგინა 1 087 დოლარი (იხ.ცხრილი1).

ცხრილი 1

საინვესტიციო მაკროპარამეტრები (აჭარის ა.რ.)

	2011	2012	2013	2014	2015
ინვესტიციების ცვლილების ტემპი (%)	1.4	2.0	28.3	41.8	32.6
ინვესტიციები მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით (%)	15.5	15.0	18.0	23.9	-
ინვესტიციები მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	381	386	495	697	1 087

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვანია გაანალიზებულიიქნეს: ა) ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ბ) ქვეყნების მიხედვით; 2015 წელს განხორციელებული კერძო ინვესტიციები ეკონომიკის

სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ.გრაფიკი 2):

გრაფიკი 2

კერძო ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით
(აჭარის ა.რ. / 2015 წ.)



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

2015 წლის მონაცემებით რეგიონში ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიციები მოდის ნორვეგია/ინდოეთსა (39%) და თურქეთზე (39%) (იხ.ცხრილი 2).

ცხრილი 2

კერძო უცხოური ინვესტიციების განაწილება ქვეყნების მიხედვით
(აჭარის ა.რ. / 2015 წ.)

ქვეყანა	ხვედრითი წონა (%)
ნორვეგია/ინდოეთი	39
თურქეთი	39
ავსტრია	7
დიდი ბრიტანეთი	5
აზერბაიჯანი	4
რუსეთი	3
ესტონეთი	2
სხვა ქვეყნები	1

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

რეგიონში ინვესტიციების მსხვილ მაშტაბებზე მეტყველებს თანამედროვე სასტუმრო კომპლექსისა და გასართობი ინფრასტრუქტურის ინტენსიური მშენებლობები მთელი რეგიონის ფარგლებში. აღსანიშნავია ასევე მსხვილმაშტაბიანი ინვესტიციები მშენებლობის სექტორში. აჭარაში ნამდვილი სამშენებლო ბუმია, ერთდროულად შენდება უამრავი მსხვილი მსხვილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი. ბათუმში ბევრი მსოფლიო სტანდარტის სასტუმრო აშენდა. ბოლო პერიოდში აჭარის პოპულარიზაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებულად გაიზარდა მოთხოვნა ზღვისპირა ტერიტორიებზე. აქ მიწის ნაკვეთებს სააგარაკეზე მეტად ბიზნეს-ინტერესებისათვის ყიდულობენ. ამიტომ ზღვისპირა ქალაქში მიწის ნაკვეთებზე ფასები იზრდება, რაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ინვესტორტა გააქტიურებისა და შესაბამისად გაზრდილი მოთხოვნის ლოგიკური შედეგია. უკანასკნელი წლების განმავლობაში აჭარის არ-ის ტერიტორიაზე პრივატიზებულია დაახლოებით 500 მლნ. ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება, რაც თავის მხრივ, იწვევს დამატებით კაპიტალდაბანდებათა განხორციელებას ინვესტორებისაგან. იქმნება ახალი და ფართოვდება არსებული ბიზნესები.

აჭარის არ-ში მშენებლობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალო ზრდის ტემპი 2010-2014 წლებში 23,4% შეადგინა (იხ.გრაფიკი 3)

გრაფიკი 3



2014 წ. მშენებლობის სექტორში ბრუნვამ შეადგინა 662,1 მლნ. ლარი ხოლო პროდუქციის გამოშვებამ 740,4 მლნ. ლარი (იხ.გრაფიკი 4).

გრაფიკი 4



რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა კერძო სექტორი. დაახლოებით 40 სასტუმრო აშენდა სანაპირო ზოლში, მათ შორის ისეთი ცნობილი ბრენდები როგორიცაა „შერატონი“, „რედისონი“, ასევე სამომავლო პროექტებს წარმოადგენს „ჰილტონი“ „ჰაიტი“ და „კემპინკსი“. რეგიონში სამშენებლო ბუმია, სამშენებლო ტერიტორია 1400 000კვ. კმ-ს წმოიცავს, რაშიც აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი სამსენებლო-დეველოპერი კომპანიები.

უპი გავლენას ახდენს ადგილობრივ კომპანიებზე, მას შეუძლია შეცვალოს, როგორც კომპანიების ბიზნესის კეთების გზის, ასევე ადგილობრივი ფირმების ქცევის მიმართულება, გავლენა შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. მკვლევარი ჩარლზ ჰილის [1,გვ.5-703] თეორიის თანახმად უპი გავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის რესურსების გადაცემის შედეგებზე, დასაქმებაზე, კონკურენციაზე, პროდუქტების და პროცესების ინოვაციაზე. შეიძლება გამოვყოთ უპის დადებითი შედეგები: რესურსების ტრანსფერის ეფექტი; კონკურენციისა და ეკონომიკის ზრდის ეფექტი; დასაქმების ეფექტი; ინოვაციის პროცესი და პროდუქტიულობა.

რაც შეეხება რესურსების ტრანსფერის ეფექტს, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ - ზემოქმედების ეფექტი კაპიტალზე, ტექნოლოგიასა და მენეჯმენტზე. მულტინაციონალური კორპორაციებისათვის მარტივია კაპიტალის ბაზრიდან მიიღონ ფული, აღნიშნული რესურსი მიუწვდომელია ადგილობრივი ფირმებისათვის. უცხოური კომპანია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას გვევლინება მაგალითად, რომელსაც შეიძლება მიბაძოს სხვა ადგილობრივმა და უცხოურმა კომპანიებმა (ანუ მოახდინონ ინვესტირება, რომ აჯობონ კონკურენტებს). ეკონომიკურ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ უპი შეიძლება იყოს მომგებიანი ბევრი თვალსაზრისით: ასტიმულირებს კაპიტალის დაგროვებას შიდა დანაზოგების გზით და ზრდის მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობას რესურსების განაწილების გაუმჯობესების, კონკურენციის გარღმავების, ადამიანური რესურსების კაპიტალის გაუმჯობესების, შიდა ფინანსური ბაზრების გარღმავებისა და ადგილობრივი კაპიტალის ხარჯების შემცირების გზით, პორტფელის დივერსიფიკაციით და რისკების თანაბრად გადანაწილებით კაპიტალის ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის. უპი-ით მასპინძელმა ქვეყანამ შეიძლება მიიღოს სარგებელი ისეთი დადებითი გვერდითი მოვლენებისაგან, როგორიცაა ახალი იდეები, უნარები და ტექნოლოგია. მ. ბლომსტრომისა და ა. კოკკოს კვლევაში [2,გვ.247-277] აღნიშნულია, რომ კაპიტალისა და ტექნოლოგიების

ინექცია, რა თქმა უნდა ხელს უწყობს კონკურენციის გამწვავებას ადგილობრივ ბაზარზე. აჭარის არ-ში არსებული ადგილობრივი სამშენებლო კომპანიები, უპის შესახებ არსებული თეორიების შესაბამისად, ისარგებლებენ უპი-ს შემოდინებით. კაპიტალის პირდაპირი ეფექტი დიდ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე: ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსები, რომელიც ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს უკეთეს პოზიციაში ჩააყენებს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბევრი მათგანისათვის გამარტივდება ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და გაიზრდება კონკურენცია. აღნიშნული კი აიძულებს სამსენებლო კომპანიებს გახდნენ უფრო პროდუქტიული და ეფექტიანი, უპი-ის შესახებ არსებული თეორიებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ აჭარის არ-ში ადგილობრივ სამშენებლო ფირმებს სამშენებლო სფეროში შეუძლიათ ისარგებლონ მზარდი რაოდენობის მულტინაციონალური კორპორაციების თანამედროვე ტექნოლოგიებით. თანამედროვე ტექნოლოგიებით შეიძლება გაუმჯობესდეს საწარმოს პროდუქტიულობა და ეფექტურობა. რეგიონში ადგილი ექნება აგრეთვე ცოდნის ფორმალურ გადაცემას. მულტინაციონალური კორპორაციები ადგილობრივ ფირმებთან დაიწყებს ერთობლივი საწარმოს შექმნას (ვენჩურული კაპიტალი), რადგან ადგილობრივ კომპანიებს აქვთ ცოდნა ადგილობრივი ბაზრის, მომხმარებლის ქცევის (პრეფერენციების) და ბიზნესის პრაქტიკის შესახებ. რეგიონში ტექნიკის შემოდინება მოხდება აგრეთვე არაფორმალური არხებით, კავშირი ადგილობრივ მიმწოდებლებთან, ასევე მულტიეროვნული კორპორაციების ტექნოლოგიების გადაცემის პასიური როლით, როგორიცაა ტექნიკური პუბლიკაციები და საზღვარგარეთ განათლების მიღება. ასევე თემატური კვლევები აცვენებს, რომ მულტინაციონალურ კორპორაციებს შეუძლია დაეხმაროს: ა) მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ ფირმებს გაზარდონ მენეჯერული ძალისხმევა, ან მიიღონ მარკეტინგული ტექნიკის გამოყენება მულტინაციონალური კორპორაციებისაგან, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ბ) შექმნან ახალი ნოუ-ჰაუ ახალი ტექნოლოგიების დემონსტრირებით და დატრენინგებული თანამშრომლებით, რომლებიც მოგვიანებით დასაქმდებიან ადგილობრივ ფირმებში.

კონკურენციისა და ეკონომიკის ზრდის ეფექტი - უპი და მულტინაციონალური კორპორაციების არსებობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მასპინძელი ქვეყნის ბაზარზე კონკურენციის განვითარებაში. მაგრამ, რადგანაც არ არსებობს კონკურენციის ხარისხის ერთიანი საზომი, რამდენიმე დასკვნის საფუძველზე შეიძლება იმის ემპირიული მტკიცება, რომ მულტინაციონალური კორპორაციები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შიდა კონკურენციისა და ეკონომიკის განვითარებას და ამით საბოლოოდ მიიღწევა მაღალი პროდუქტიულობა, დაბალი ფასები და რესურსების უფრო ეფექტიანი განაწილება, და პირიქით, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლა ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის ბაზარზე კონცენტრაციის ტენდენციის ზრდას, რამაც შეიძლება დათრგუნოს კონკურენცია. აღნიშნულ რისკს ამძაფრებს რამდენიმე ფაქტორი: თუ მასპინძელი ქვეყანა წარმოადგენს ცალკე გეოგრაფიულ ბაზარს, ბაზარზე შესვლის ბარიერები მაღალია, მასპინძელი ქვეყანა პატარაა, შემსვლელს აქვს მნიშვნელოვანი პოზიცია საერთაშორისო ბაზარზე, ან მასპინძელი ქვეყანა კონკურენციის კანონის ფარგლებში სუსტია ან სუსტად რეალიზდება.

ბაზრის კოცენტრაცია მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1990-იან წლებში ადგილი ქონდა შერწყმისა და შთანთქმის ტალღას, რომელმაც შეცვალა გლობალური კორპორაციული ლანდშაპტი. ამავე დროს სტრატეგიული ალიანსების რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ შეცვალა ფორმალურად დამოუკიდებელი კორპორაციული პირების შერჩევის გზა. ალიანსები ზოგადად ზღუდავს პირდაპირ კონკურენციას ეფექტიანობის მიღწევებს გენერაციით, მაგრამ აღნიშნული მტკიცებულება არ არის გამყარებული. არსებობს აგრეთვე პრივატიზაციის ტალღა, რომელიც იზიდავს ქვეყანაში უპი-ს და ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონკურენციაზე. ეკონომიკურად სასურველია, რომ ძლიერმა უცხოურმა კონკურენტებმა ჩაანაცვლონ ნაკლებად პროდუქტიული შიგა საწარმოები, რათა ადგილი ჰქონდეს ჯანსაღ კონკურენციას. თუმცა, მასპინძელი ქვეყნები ყოველთვის ვერ იღებენ სარგებელს მულტინაციონალური კორპორაციებისაგან, როდესაც განსხვავება დიდია უცხოური და ადგილობრივი ფირმების ტექნოლოგიათა შორის და ადამიან-კაპიტალი ღარიბია, უცხოური ფირმა ახრჩობს ადგილობრივ არაპროდუქტიულ კონკურენტებს. ეს არის ე. წ. „ბაზრის ქურდობის ეფექტი“ [4, გვ.517-530], რასაც ადგილი აქვს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, როდესაც უცხოური კომპანია შემოდის ბაზარზე, ადგილობრივი კომპანიები ვერ სარგებლობენ აღნიშნული თეორიის თანახმად. თუმცა, დროთა განმავლობაში, ე. წ. „ტექნოლოგიური უფსკრული“ უფრო ზომიერი ხდება, ხოლო ადამიან-კაპიტალი უფრო ძლიერი, ძლიერმა კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობის გაზრდა. ზოგჯერ, როდესაც მულტინაციონალური კორპორაციებს ადგილობრივი ფირმები უწევს ძლიერ კონკურენციას მულტინაციონალური კორპორაციებს შემოაქვთ მოწინავე ტექნოლოგიები მშობელი ქვეყნიდან, რათა შიენარჩუნონ საბაზრო წილი, „ტექნოლოგიური უფსკრული“ იზრდება და უცხოური

კომპანიები ინარჩუნებენ უპირატესობას ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით. კონკურენციის ეფექტი დამოკიდებულია ადგილობრივი კომპანიების შესაძლებლობაზე. აჭარის არ-ში სამშენებლო სექტორში ადგილობრივ ფირმებს აქვს ტექნოლოგიური ცოდნის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, პროდუქტიულობისა და თანამედროვე ტექნიკის გვერდითი მოვლენები გამოიწვევს კონკურენციის გაძლიერებას, რაც გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკის ზრდას.

დასაქმების ეფექტი - უპი შემოედინება სხვადასხვა რეჟიმებით, თითოეულ რეჟიმს აქვს განსხვავებული ეფექტი დასაქმების მიმართ. სამუშაო ადგილები იქმნება, როდესაც მულტინაციონალური კორპორაციები ქმნის ახალ შვილობილ კომპანიას და აქვს დადებითი (პოზიტიური) გავლენა დასაქმებაზე. როცა უპი შემოედინება ასევე შერწყმისა და შთანთქმის გზით, მაშინ სავარაუდოა, რომ ადგილი ექნება სამუშაო ადგილების დაკარგვას, რადგან გაფართოებულ კომპანიას სურს იმუშაობს უფრო ეფექტიანად და უცხოურმა კომპანიებმა ეკონომიის მიზნით, შეიძლება შეამციროს თანამშრომლები. დასაქმების პირდაპირი ეფექტი იზრდება, როდესაც უცხოური კომპანიები ადგილობრივ მოსახლეობას ასაქმებენ (ქირაოებენ). ირიბი ეფექტის იდენტიფიცირება რთულია, რადგან ასეთი ეფექტებია შრომის პროდუქტიულობის სწრაფი ზრდა უცხოურ და ადგილობრივ კომპანიებში, სამუშაო ადგილები, რომლებიც იქმნება ადგილობრივი მომწოდებლების მიერ უპი შემოდინების შედეგად და სამუშაო ადგილები, რომლებიც იქმნება მულტინაციონალური კორპორაციებს მიერ თანამშრომლების ხარჯების გაზრდით. არაპირდაპირი ეფექტები ხშირად უფრო დიდია, ვიდრე პირდაპირი. OECD კვლევების შედეგად აღმოჩნდა [16 *http//www.ons.gov.uk/statbullettin.*], რომ უცხოური ფირმები ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს უფრო სწრაფად, ვიდრე ადგილობრივი ფირმები. შემცირების პერიოდს ხშირად მოსდევს ახალი ინვესტიციები და დასაქმება კვლავ იზრდება. მიგვაჩნია, რომ აჭარის არ-ში სამშენებლო სექტორში მულტინაციონალური კორპორაციების შემოსვლის შემდეგ ადგილი ექნება სამუშაო ადგილების დანაკარგებს. სავარაუდოა, რომ მულტინაციონალური კორპორაციები დაიწყებს ერთობლივი საწარმოების შექმნას და ადგილობრივი ფირმების შესყიდვას. აღნიშნული მოვლენები შეამცირებს სამუშაო ადგილებს, რადგან მულტინაციონალური კორპორაციები მოახდენს გარკვეული ოპერაციების რესტრუქტურიზაციას. გარდა ამისა, კორპორაციების შემოსვლით გაიზრდება კონკურენცია აღნიშნულ სექტორში, რაც გამოიწვევს პირველ ეტაპზე სამუშაო ადგილების დანაკარგებს, ხოლო შემდეგ სამუშაო ადგილების შექმნას.

ინოვაციის პროცესი და პროდუქტიულობა, როდესაც უცხოური მწარმოებელი კომპანია ინვესტირებას ახორციელებს განვითარებად ბაზარზე, ეს ხელს უწყობს, ანუ ასტიმულირებს ადგილობრივ ბაზარზე ისეთ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას, როგორიცაა, მაგალითად, სამშენებლო მასალები და აიძულებს ადგილობრივ მიმწოდებლებს უმაღლესი ხარისხის რესურსების წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი მომწოდებელი ფირმები იძულებულია მოახდინოს დამატებითი ინვესტირება, რათა აწაარმოონ უმაღლესი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად. მკვლევარი ბლომსტრომი ამტკიცებს, რომ არსებული არაეფექტიანი ადგილობრივი ფირმები, უცხოურ ფირმებთან კონკურენციის შედეგად, შეიძლება გახდეს უფრო პროდუქტიულები საწარმოო რესურსებსა და ადამიან-კაპიტალში იძულებით ინვესტირებით, ან უბრალოთ მეტი ყურადღება დაუთმონ პროდუქტიულობის შესაძლებლობების ამაღლებას. აღნიშნულის შედეგად ადგილობრივი ფირმები, რომლებიც შეიძლება გამოძევებულ იქნენ ბიზნესიდან, გამოათავისუფლებენ რესურსებს უფრო პროდუქტიული კომპანიისათვის. ადგილობრივი ფირმები ცდილობენ საწარმოო რესურსები მიაწოდონ უცხოურ კომპანიებს, რადგან ისინი სარგებლობენ კარგი გადამხდელის რეპუტაციით და ხშირად უცხოური ფირმა ეხმარება და ასტიმულირებს ადგილობრივ მომწოდებელ ფირმებს, რომ გახდნენ უმაღლესი ხარისხის საწარმოო სასუალებების მიმწოდებლები. შედეგად იზრდება პროდუქტიულობა და კონკურენტუნარიანობა. მკვლევარები მ. ბლომსტრომი და ა. კოკკო [2,გვ.247-277] მტკიცებით ძირითადად არსებობს პროდუქტიულობის სამი სახეობის გვერდითი ეფექტები:

- როდესაც ადგილობრივი ფირმა აუმჯობესებს პროდუქტიულობას რამდენიმე თანამედროვე ტექნოლოგიების გადმოღებით, რასაც იყენებენ ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი მულტინაციონალური კორპორაციები;
- როდესაც მულტინაციონალური კორპორაცია ზრდის კონკურენციას მასპინძელ ბაზარზე, ადგილობრივი ფირმები იძულებულია გამოიყენოს ტექნიკა და სხვა რესურსები უფრო ეფექტიანად;
- როდესაც ადგილობრივი ფირმები ერთვებიან ინოვაციურ საქმიანობაში, რათა ისევ დაიბრუნონ მულტინაციონალური კორპორაციების შვილობილი საწარმოებისა და ფილიალების მიერ წართმეული ბაზრის წილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ავღნიშნოთ, რომ უპი სასარგებლო იქნება აჭარის არ-ში არსებული ადგილობრივი სამშენებლო ფირმებისათვის, რადგან მულტიეროვნული კორპო-

რაციების შემოსვლით აჭარის არ-ში არსებულ ადგილობრივ სამშენებლო კომპანიებს გაუადვილდებათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა; უპი შემოდინების შედეგად ცოდნა გადაეცემათ მულტიეროვნული კორპორაციებიდან აჭარის არ-ის სამშენებლო სექტორში არსებულ ფირმებს რაც გაზრდის ადგილობრივი ფირმების ეფექტურობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hill, C.H.L (2003) International business:Competing in the Global Marketplace (4th edn). New York: McGraw-Hill/Irwin.
2. Blomström, M., and Kokko. A (1996) Multinational Corporations and Spillovers. C.E.P.R., Working paper No.1365
3. Fransman, M. (1986) Tecnology and economic development. Brighton: Wheatsheaf Books LTD.
4. Kokko, A., (1996)Productivity spillovers from competition between local firms and foreign affiliates, Journal of international Development, Vol.8, No. 4,
5. Blomström, M., Sjöholm, F. (1998) Tecnology transferand Spillovers: Working paper No. 6816.
6. Leahy, D., & Neary, J., P., (1997) R&D Spillovers and case for Industrial policy in an open economy. C.E.P.R. Working paper No. 1671
7. Kager, M., Bruckbauer, S., Holzhacker, H., Perrin, L., Pudschetl, W. &Rieger, P. (2004) http://www.ba-ca.com/en/index.html
8. Worldbank (2004), World Bank EU-8 Quarterly Economic Report July 2004. http://www. siteresources. worldbank. org.
9. ყამარაული ს. „უნივერსალური ბიზნეს ლექსიკონი“ თბილისი 2002
10. შენგელია თ. „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ თბილისის 2011
11. შენგელია თ. „გლობალური ბიზნესი“
12. http://www.worldbank.org/html/dec/Publications/Workpapers/WPS17
13. Reise, H., (2001) – “Durable flows, durable benefits” from www.oecdobserver.org/news/fullstory.php
14. https://www.nbg.gov.ge/index.php?m .საქართველოს ეროვნული ბანკი
15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
16. OECD. (2002). Foreign direct investment for development and maximising benefits. Office for national statistic. Retrieved 26thFebruary, 2010 from http//www.ons.gov.uk/statbullettin..

The effects of Foreign Direct Investment inflows on Host Country (a case of Construction Business in Ajara Autonomous Republic)

T. Zhorzholiani

Summary

In this paper, we investigate the impact of foreign direct investment (FDI) on construction sector with a view to identifying the challenges to the flow of foreign direct investment and a resultant effect of increase flow of FDI and FDI construction projects in Adjara. This paper adds to the literature by analyzing the existence and nature of these relationships.

Georgia offers attractive investment opportunities for foreign investors and has adopted a number of policies to attract foreign direct investment into the country. Georgia is characterized as an open economy, which is actively integrating into the global market. The study focuses on the FDI-led growth hypothesis in the case of Adjara and based on time series data from 2010 to 2015. The main problems in the Adjara construction sector are currently: a lack of financial resources, insufficient management skills, and outdated equipment. The number of jobs in the sector is decreasing and the competition is fierce. To describe the influence of Foreign Direct Investment to the Adjara construction sector I divided the possible effects of FDI in: employment, competition, process innovation and resource-transfer effects. The influence of FDI on the Adjara construction sector is tested by applying multiple regression models, the data collected were analyzed using percentile, graphs, mean score. The estimation results show, that the overall model is significant and FDI are positively related to the Adjara construction sector. However, in the short term, FDI will not be beneficial for all local companies in the construction sector. In the long term, the construction sector will be more efficient and more productive.

Key words: *Foreign direct investment (FDI), Economic Growth, Competition, Process Innovation, Multinational corporations.*

ბიზნესის ვირტუალიზაციის გლობალური ტენდენცია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული პრობლემები

ბადრი რამიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მსოფლიოში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს ვირტუალიზაციის ტენდენცია, რაც ფუნდამენტურად ცვლის ბიზნესის გლობალურ გარემოს. ეს პროცესი რადიკალურად აახლებს მენეჯმენტის ტრადიციულ პარადიგმას. ამის დასადასტურებლად სტატიაში გაანალიზებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა: ვირტუალური რეალობა, ვირტუალური ორგანიზაცია, ვირტუალური საწარმო, ვირტუალური ოფისი და ვირტუალური გუნდი, რითაც ნაჩვენებია ახალი ორგანიზაციული ტენდენციები. სტატიის უკანასკნელი ნაწილში, ვირტუალიზაციის კონტექსტით, განხილულია ადამიანური ფაქტორის როლი ორგანიზაციებში.

საკვანძო სიტყვები: *ვირტუალური ორგანიზაცია, ბიზნესის ვირტუალიზაცია, ინტერნეტი, ბიზნესის გლობალური გარემო, ვირტუალური ოფისი, ვირტუალური საწარმო, ვირტუალური გუნდი.*

ვირტუალიზაცია ვირტუალური რეალობის, ანუ რაიმეს ვირტუალური ვერსიის შექმნაა და ამ ტერმინის წარმოშობა საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთანაცაა დაკავშირებული. თავის მხრივ, „ვირტუალური რეალობა განცდაა, რომლის მიხედვითაც ელექტრონული ხმა და გამოსახულება ძალიან წააგავს რეალურს“ [1]. ცხადია, ის სხვადასხვა მიმართულებით ჰპოვებს გამოყენებას, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი სფერო, სადაც ფართოდ მკვიდრდება - ბიზნესია. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესურთიერთობების ვირტუალიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუციის უახლესი ფაზაა, რაშიც უდიდეს როლს მსოფლიო საინფორმაციო ქსელი - ინტერნეტი ასრულებს.

თავად ბიზნესის ინფორმატიზაციის პროცესი, რამდენიმე ათწლეულია, რაც მიმდინარეობს და ამ რევოლუციურ მოვლენას სხვადასხვა მდგენელი აქვს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ინტერნეტი; რომელიც „ცვლის შესაძლებლობებისა და საფრთხეების არსს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ცვლილების, დისტრიბუციის სისწრაფის ზრდის, ახალი პროდუქციისა და სერვისის შექმნის, ტრადიციული გეოგრაფიული ბაზრების შეზღუდვების გაუქმების და პროდუქციის სტანდარტიზაციასა და მოქნილობას შორის ისტორიული კომპრომისის შეცვლის მეშვეობით. ინტერნეტი ამცირებს შესვლის ბარიერებს და თავიდან ადგენს დარგსა და მიმწოდებლებს, კრედიტორებს, მყიდველებსა და კონკურენტებს შორის ურთიერთობებს“ [2,გვ.236].

მსოფლიოს გაერთიანება გლობალური საინფორმაციო ქსელის მეშვეობით დაახლოებით 25 წლის წინ დაიწყო და, მიუხედავად განვითარების არცთუ დიდი დროისა, მან უდიდესი ნახტომი გააკეთა. მაგალითად, 2016 წლის 30 ივნისისთვის ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობამ 3.6 მლრდ-ს გადააჭარბა, რაც მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარია. 2000 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 900%-ითაა [3] გაზრდილი. თუ გავითვალისწინებთ ბავშვების, მოხუცების და იმ დანარჩენი ადამიანების რაოდენობას, რომელთაც თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების მოხმარების შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ, ცხადი ხდება, რომ ინტერნეტის განვითარება, რაოდენობრივი თვალსაზრისით, პიკს მიუახლოვდა. შესაბამისად, მალე დასრულდება საინფორმაციო ტექნოლოგიების ზესწრაფი განვითარების ერა, მას გამოაკლდება შეღწევის მდგენელი, ანუ მოსახლეობის სულ ახალ ჯგუფებში ინტერნეტის გავრცელების ტრენდი და გლობალური ქსელის გავრცელება მხოლოდ მოსახლეობის ფიზიკურ მატებასა და ტექნოლოგიურ პროგრესზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, ცხადია, რომ არც ესაა ცოტა. აქ განსაკუთრებით ტექნოლოგიურ განვითარებას ვგულისხმობთ.

უახლოეს მომავალში მსოფლიო მასშტაბით იქნება ხელმისაწვდომი ინტერნეტ2-ის ტექნოლოგია, რაც არნახულად გაზრდის გლობალური საინფორმაციო ქსელის შესაძლებლობებს. ეს მომსახურება ამჟამად ძირითადად ხელმისაწვდომია აშშ-ში სამეცნიერო, სამთავრობო, საზოგადოებრივი თუ ბიზნეს-წრეებისთვის, რომელთაც ამავე სახელწოდების არამომგებიანი ორგანიზაციაც აქვთ დაფუძნებული. ინტერნეტ2 მისი წევრების საკუთრებაში მყოფი თანამედროვე ტექნოლოგიების საზოგადოებაა, რომელიც 1996 წელს აშშ-ის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების მიერ დაფუძნდა. ის ოპერირებს აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ სანაპირომდე გადაჭიმული უდიდესი და უსწრაფესი სასწავლო-სამეცნიერო ქსელით. ინტერნეტ2 ემსახურება 90,000 არამომგებიან საზოგადოებრივ ინსტიტუტს, აშშ-ის 305

უნივერსიტეტს, 70 სამთავრობო სააგენტოს, 42 რეგიონალურ და შტატის საგანმანათლებლო ქსელს, 84 ლიდერ კორპორაციას და 65 სასწავლო-სამეცნიერო ქსელურ პარტნიორს, რომლებიც 100-ზე მეტ ქვეყანას წარმოადგენენ [4], მაგრამ ინტერნეტ2-თან დაკავშირებული ყველაზე საინტერესო მოვლენა არის ის, რომ, იგი მომხმარებელს 100გბ/წმ[4] სიჩქარის ტრაფიკს სთავაზობს. შედარებისთვის, საქართველოში ინტერნეტის საშუალო სიჩქარე 6.7მბ/წმ-ია. რეიტინგის პირველ ხუთეულში არიან: სამხრეთ კორეა (36,56 მბ/წმ), ლიტვა (30,34მბ/წმ), ლატვია (26,40მბ/წმ), შვედეთი (25,14მბ/წმ) და ნიდერლანდები (24,51მბ/წმ)[5].

ინტერნეტ2 უზარმაზარ პერსპექტივებს სწორედ ბიზნესურთიერთობების ვირტუალიზაციის მიმართულებით ქმნის. ამ სერვისით შესაძლებელი იქნება არამარტო რთული სამეცნიერო-ტექნოლოგიური ან ბიზნესინფორმაციის, არამედ მაღალი ხარისხის გამოსახულების გადაცემაც, რაც ვირტუალური ორგანიზაციების, ვირტუალური ოფისების, ვირტუალური საწარმოების და ა.შ. ფორმირებისთვის საუკეთესო საფუძველი იქნება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება ბიზნესმა, უპირველეს ყოვლისა, პროდუქციის წინ წაწევისთვის, მომხმარებელთან კომუნიკაციისთვის, მონაცემთა ბაზების შექმნისა და დამუშავებისთვის გამოიყენა. რევოლუციურია ის ფაქტიც, რომ იცვლება მანძილის, როგორც კომუნიკაციური და ლოგისტიკური ურთიერთობების შემაფერხებლის, ტრადიციული აღქმა. სადღეისოდ ინფორმაციის გადაცემა მყისიერად ხდება ნებისმიერ მანძილზე და ეს იმდენად იაფი ჯდება, რომ შეიძლება კომუნიკაციისადმი საყოველთაო ხელმისაწვდომობის ერის დადგომაზე ვისაუბროთ. ეკონომიკური განვითარების პოსტიდინდუსტრიულ ეტაპზე ინფორმაცია თავად იქცა უმნიშვნელოვანეს პროდუქტად, ხოლო მისი გადატანა ყველაზე უფრო იაფი ჯდება საქონლის ღირებულების ერთეულზე გადაანგარიშებით; ეს კი ნიშნავს, რომ იმ დარგებს, რომელთა საბოლოო პროდუქცია ინფორმაციაა, ვირტუალიზაციის დიდი პოტენციალი აქვთ, რადგან, როგორც წესი, მათი საწარმოების ძირითადი რესურსი ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი კვალიფიციური პერსონალია და, ამავე დროს, პროდუქციის უიაფესი მიწოდება დიდ მანძილებზე მყისიერადაა შესაძლებელი. ეს ტენდენცია ძირეულად ცვლის ბაზრის, როგორც მომხმარებელთა ლოკალიზებული ერთობის, ტრადიციულ აღქმას. ვირტუალიზაციის ტექნოლოგიების მეშვეობით, კლიენტმა შეიძლება დიდი მანძილიდან მიიღოს ის მომსახურება, რასაც ადრე მისი და სერვისკომპანიის ერთ გეოგრაფიულ წერტილში კონტაქტი ესაჭიროებოდა. შესაბამისად, დედამიწის სხვადასხვა ნაწილში მყოფმა მომხმარებლებმა შეიძლება სულ სხვა ადგილზე განლაგებული კომპანიების საგანმანათლებლო, საკონსულტაციო, სამედიცინო და ა.შ. მომსახურებით ისარგებლონ. ყოველივე ამან, ცხადია, კომპანიების ორგანიზაციულ სტრუქტურებზეც მოახდინა გავლენა. „ელექტრონული კომერციიდან“ სარგებლის ეფექტიანი მიღებისთვის, ორგანიზაციების გარკვეული რაოდენობა საკუთარ ფირმებში ორ ახალ პოზიციას ქმნის, ესენია: უფროსი საინფორმაციო ოფიცერი და ტექნოლოგიის უფროსი ოფიცერი. ეს ტენდენცია, სტრატეგიული მართვის თვალსაზრისით, საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდ მნიშვნელობასაც ასახავს. უფროსი საინფორმაციო ოფიცერი და ტექნოლოგიის უფროსი ოფიცერი ერთობლივად საქმიანობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტრატეგიის ფორმულირების, იმპლემენტაციისა და შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება იქ და იმ დროს, სადაც ის იქნება საჭირო. ეს ინდივიდები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მონაცემთა ბაზის შექმნაზე, დაცვასა და განახლებაზე. პირველი მათგანი უფრო მენეჯერია, რომელიც დაინტერესებულ მხარეებთან ფირმის ურთიერთობებს მართავს; მეორე კი უფრო მეტად ტექნიკური პერსონალია, რომელიც ისეთ საკითხებზეა ფოკუსირებული, როგორებიცაა მონაცემების მოპოვება, დამუშავება, გადაწყვეტილების მიღების დამხმარე სისტემების მომსახურება და პროგრამული უზრუნველყოფისა და საინფორმაციო ტექნიკის შეძენა“ [2,გვ.236]. ცხადია, რომ მხოლოდ ამ ორი პოზიციით არ შემოიფარგლება ის სტრუქტურული ცვლილებები, რაც კომერციულ (და არამარტო) ორგანიზაციებში მიმდინარეობს. ჩვენ ეს მაგალითი მოვიტანეთ, როგორც მნიშვნელოვანი ტრენდის დასაწყისი.

საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიების რევოლუციური განვითარება კარდინალურად ცვლის ბიზნესს. უპირველესად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „თვალსაჩინო“, პირისპირ ანუ ე.წ. „face to face“ ორგანიზაციული ურთიერთობები თანდათანობით სულ უფრო განიწოვება კიბერსივრცეში, რაც რადიკალურად აახლებს მენეჯმენტის ტრადიციულ პარადიგმას. წინამდებარე სტატიის შეზღუდული ფორმატის გამო ფართოდ ვერ შევეხებით მოცემულ საკითხს, თუმცა, ჩვენი აზრით, ვითარების საილუსტრაციოდ ზოგიერთი იმ ტერმინის ანალიზიც კმარა, რაც სადღეისოდაა დამკვიდრებული ბიზნესში. მაგალითად, მოცემული კონტექსტით, საკვანძოა ვირტუალური ორგანიზაციის ცნება. ერთ-ერთი განმარტებით, ის არის „ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური გამოვლინება და ელექტრონული ფორმით (ვირტუალურად) ინტერნეტში არსებობს, არ არის კომპანიის სამართლებრივი განსაზღვრებით შეზ-

ღუდული ან იქმნება არაოფიციალურად, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირების კავშირი“ [6]. საინტერესოა აგრეთვე შემდეგი დეფინიციაც: „ვირტუალური ორგანიზაცია ახალი სტრუქტურული წარმონაქმნია, რომელშიც საინფორმაციო ტექნოლოგიები ადამიანების, აქტივებისა და იდეების დინამიკური კავშირის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება“ [7,გვ.18].

ერთი შეხედვით, თითქოს ტრადიციულ და ვირტუალურ კომერციულ ორგანიზაციებს შორის განსხვავება კარდინალურია. ეს ვიზუალურად მართლაც ასეა, თუმცა „ვირტუალური კომპანია წააგავს ნორმალურ, ტრადიციულ კომპანიას შემსვლელი და გამომსვლელი ფაქტორების მიხედვით. ის განსხვავდება იმით, თუ როგორ ხდება მასში შემსვლელი ფაქტორისთვის ფასეულობის დამატება. ვირტუალურ ორგანიზაციას სტრუქტურის თითქმის უსასრულო ვარიანტები აქვს, რომლებიც, თავის მხრივ, ცვალებადობის მეტად დიდი უნარით ხასიათდებიან. ბევრი მათგანი პრაქტიკულად არ საჭიროებს თანამშრომლებს“ [1]. ამ მოსაზრებაში მითითებულია განსხვავებები, თუმცა ხაზგასმულია მსგავსებაც. ამავე დროს, განსაკუთრებით საინტერესო ციტატის ბოლო წინადადებაა, რომელიც მეტად აკნინებს ადამიანური ფაქტორის როლს ვირტუალურ ორგანიზაციაში, არადა, ტრადიციული ორგანიზაციის განმარტებით, ის „ადამიანების მიზანმიმართული შეთანხმებაა რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის“ [9, გვ. 7], ანუ ადამიანური ფაქტორი მისი ფორმირების საფუძველია. სწორედ ამგვარ მიმართებასაც ვგულისხმობდით ფრაზაში - „მენეჯმენტის ტრადიციული პარადიგმის მსხვრევა“. თუმცა, ამით ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ ტრადიციულ ურთიერთობებს ბიზნესში თუ ორგანიზაციების მართვისას მთლიანად ჩაანაცვლებს რაღაც ახალი, რომელიც აბსოლუტურად, დიამეტრალურად განსხვავებული იქნება არსებულისგან. რადიკალური ცვლილებები გარდაუვალია, მაგრამ მის დანერგვას მაინც დასჭირდება არსებულთან გარკვეული კონსენსუსი. მაგალითად, ზემოთ მოტანილ ციტატას რომ დავუბრუნდეთ, ჩვენი აზრით, ადამიანური ფაქტორი მნიშვნელოვანი იქნება ვირტუალური ორგანიზაციებისთვისაც, მაგრამ მისი როლი არსებითად შეიცვლება. გაიზრდება ლიდერის, როგორც ორგანიზაციულ ერთეულებს შორის კავშირების დამამყარებლისა და კოორდინატორის, დანიშნულება, ხოლო ორგანიზაციული ურთიერთობები, ნაცვლად ტრადიციული ადმინისტრაციულ-დირექტიული მიდგომისა, ძირითადად, ნდობასა და სამართლებრივ საფუძველზე ორგანიზებულ ხელშეკრულებით კავშირებს დაემყარება, რის უდიდესი ნაწილიც „აუთსორსინგის“ ტიპის შეთანხმებების ფორმით ჩამოყალიბდება.

ავტომატიზაცია, ინფორმატიზაცია და მსგავსი პროცესები ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, ორგანიზაციების ვირტუალიზაციის ფორსირებას მოახდენს. ვირტუალურ სტრუქტურულ წარმონაქმნებში მინიმუმამდე (შესაძლებელია, ერთ ადამიანამდე) შემცირდება ერთ ადგილზე, კონკრეტულ სივრცეში მობილიზებული პერსონალის რაოდენობა, რაც შეცვლის ტრადიციული ოფისის გაგებას და კიდევ უფრო გააღრმავებს ორგანიზაციების კიბერსივრცეში გაწოვის შთაბეჭდილებას.

ადამიანი, რომელსაც პროფესიული შეხება არ აქვს მენეჯმენტსა და ბიზნესთან, ორგანიზაციას უპირველესად მისი ოფისის მეშვეობით აღიქვამს. ტრადიციული გაგებით, კომპანიის ოფისი სპეციფიკური ინფრასტრუქტურა, საგანგებოდ განაწილებული სივრცეა, რომელიც ფირმის საქმიანობის განხორციელებას უზრუნველყოფს. დიდწილად სწორედ იქ ურთიერთობენ ორგანიზაციის თანამშრომლები, პარტნიორები და კლიენტები. ცხადია, როდესაც ვმსჯელობთ ვირტუალიზაციის ტენდენციაზე, ის ვერც ორგანიზაციის ოფისს ასცდება. „სადღეისოდ სამუშაო ადგილი, ტრადიციულ სტრუქტურულ ერთეულში განთავსებული ოფისი, სადაც პერსონალი დილის 8-9 საათიდან 5-მდე მუშაობდა, ფიზიკურად კარდინალურად იცვლება. ამჟამად ოფისი რამდენიმე სხვადასხვა - ვირტუალური ოფისის, მობილური ოფისის თუ საშინაო ოფისის ფორმით არსებობს. ვირტუალურ ოფისს არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და საშუალებას გაძლევთ, შეასრულოთ სამუშაო სხვადასხვა ადგილიდან, სახლიდან, საკუთარი ავტომობილიდან, მაღაზიიდან, ანდა ქალაქგარეთ მდებარე სასტუმროდან. მობილური ოფისი, როგორც წესი, დროებითი ოფისია, რომელიც ნებისმიერ ადგილზე, აეროპორტების ტერმინალებში, სასტუმროებში ან მაღაზიებში განთავსდება. ეს ოფისები განსაკუთრებით მოსახერხებელია ადამიანებისთვის, როდესაც ისინი მოგზაურობენ და საჭიროებენ მშობლიურ ორგანიზაციაში თანამშრომლებთან კომუნიკაციას. საშინაო ოფისი, როგორც დასახელება გვეუბნება, მშრომელს საშუალებას აძლევს საკუთარ სახლში იმუშაოს. მიუხედავად იმისა, რომ სახლში მომუშავეთა გარკვეული რაოდენობა თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნება, მათი დიდი ნაწილი დაქირავებულია იმ კომპანიებისა თუ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მათ სრული ან ნაწილობრივი განაკვეთით სახლში შრომის უფლებას აძლევენ“ [9, გვ.6-7]. ეს ტენდენციები, ამავე დროს, თვით საცხოვრებელი სახლის ფუნქციონალური დატვირთვის გადახედვასაც გამოიწვევს. სადღეისოდ უკვე შემოდის მრავალფუნქციური სახლების კონცეფცია, რაც ამგვარი მოვლენების გამოძახილიცაა და საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის გარკვეულ შერწყმასაც გულისხმობს.

ოფისის ძირითადი დანიშნულებაა მენეჯმენტის, პერსონალის და ორგანიზაციის სხვა დაინტერესებული მხარეების კომუნიკაციის უზრუნველყოფა და, აგრეთვე, ის ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის (ხშირად მოპოვებისაც) ადგილიცაა. ამჟამად ეს ყველაფერი ვირტუალურ სივრცეში გადადის, ანუ განიწოვება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. მაგალითად, სადღეისოდ სულ უფრო ნაკლები სივრცე გამოიყოფა ოფისებში ქაღალდზე არსებული ინფორმაციის არქივის შესაქმნელად და ინფორმაციის სულ უფრო მეტი მოცულობა ელექტრონულ მატარებლებზე გადაიტანება, ანუ ის ხდება ვირტუალური ან თითქმის ვირტუალური. ბევრი სამსახურებრივი პოზიცია, რომლებიც ინფორმაციის მოპოვებასთან, შექმნასა ან დამუშავებასთანაა დაკავშირებული, აღარ არის აუცილებელი, რომ ერთ სივრცეში განთავსდეს. სწორედ ამას უკავშირდება ვირტუალური, მობილური თუ საშინაო ოფისების აქტუალობაც. მაგალითად, ბუღალტრები, ზოგიერთი სხვა საფინანსო მუშაკები, მეცნიერები და ა.შ. სულ უფრო ხშირად ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს შინ ან მათთვის მოსახერხებელ სხვა ადგილას, მაგრამ არა სამსახურებრივ ოფისებში. სწრაფი ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება უფრო არაორდინარული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასაც წარმოშობს. მაგალითად, აშშ-ში უკვე ხშირია შემთხვევები, როდესაც ისეთ პოზიციაზე, როგორიცაა მდივნის თანამდებობა, დისტანციურად ხდება მოვალეობის შესრულება და ხშირად ეს დისტანცია შტატებს შორის მანძილითაც გამოიხატება. თანამედროვე ინტერნეტი, ვიდეო- და აუდიოინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის სისტემები სრულად იძლევა დაშორებული მანძილიდან კონკრეტული სივრცის კონტროლის შესაძლებლობას. საკუთარი სახლის კომფორტი და სამსახურებრივი მოვალეობისთვის საჭირო საქმიანი ატმოსფერო სულ უფრო ერწყმის ერთმანეთს და ხშირია ისეთი შემთხვევები, როგორიც სლოუნის მენეჯმენტის სკოლის ყოფილ დეკანს ლესტერ სეროვს აქვს აღწერილი: „თქვენ შედიხართ შენობაში, სადაც წააწყდებით ელექტრონულ დაფას, რომელიც გატყობინებთ, რომ ოთახი 1021 ცარიელია, შედიხართ 1021-ში. თქვენ გაქვთ პირადი ტელეფონი. კრეფთ კომპიუტერულ კოდს, აჭერთ ღილაკს და თქვენი ოჯახის გამოსახულება ჩნდება კედელზე ჩამოკიდებული ტელევიზორის ბრტყელ ეკრანზე. და ეს არის თქვენი ოფისი, სანამ იქ იმყოფებით. რა წუთიდანაც თქვენ მას დატოვებთ, ის აღარ იქნება თქვენი ოფისი“ [1].

სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმოქცევაში დამკვიდრდა ვირტუალური საწარმოს ცნებაც, რომელიც „განსაკუთრებული ბიზნესშესაძლებლობის გამოყენებისთვის გაერთიანებულ დამოუკიდებელ ექსპერტთა ედჰოკრატიული ალიანსია. ვირტუალურ საწარმოს აქვს უმნიშვნელო ფიზიკური ინფრასტრუქტურული გამოვლინება ან საერთოდ არ გააჩნია ის. იგი დიდწილად ეყრდნობა ტელეკომუნიკაციებს და ინტერნეტის მსგავს ქსელებს და, მიზნის მიღწევის ან განსაკუთრებული შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, როგორც წესი, ხდება მათი გაუქმება. მიზანმიმართული, მოქნილი, ადაპტირებადი, ინვესტიციებზე, საწყის კაპიტალზე და ზედნადებ ხარჯებზე მცირე მოთხოვნილების მქონე, ის განსაკუთრებით ფოკუსირებულია დასახული მიზნების მყისიერად შესრულებასა და წარმატების მიღწევაზე“ [6]. სადღეისოდ სულ უფრო იზრდება იმ სფეროების რაოდენობა სადაც ვირტუალური საწარმოების თუ ვირტუალური ორგანიზაციების აქტიურად გამოყენებაა შესაძლებელი. ამას უსწრაფესი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესიც განაპირობებს. მაგალითად, ინერნეტ2-ის ტექნოლოგიის გლობალური გავრცელების შედეგად სულ უფრო მიღწევადი და ეფექტიანი გახდება ვირტუალური თანამშრომლობისთვის გამიზნული ე.წ. სინქრონული საშუალებების გამოყენება. იგი „მონაწილეთა ურთიერთქმედებას დროის კონკრეტული მომენტისთვის უზრუნველყოფს და აერთიანებს ვირტუალური შეხვედრების ოთახს (ჯგუფური მხარდაჭერის სისტემები), ერთობლივ სააპლიკაციო და ელექტრონულ დაფებს, ვიდეო- და აუდიოკონფერენციებს“ [10, გვ.110]. გარდა ამისა, შექმნილია მოქმედების დისტანციაზე გადაცემის ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს შეუძლია გარკვეული მანძილით დაშორებულ გეოგრაფიულ წერტილებში შეასრულოს მოქმედებები. ამის მაგალითია ქირურგების მიერ დისტანციურად ჩატარებული ოპერაციები, სამხედრო საქმეში ტექნიკის დისტანციური მართვა, როდესაც ამა თუ იმ საბრძოლო მანქანის ეკიპაჟი ბრძოლის ველიდან გაცილებით შორს, უსაფრთხო ადგილას იმყოფება და იქიდან მართავს საბრძოლო მანქანას და ა.შ. მსგავსი, სულ რამდენიმე ათწლეულის წინ წარმოუდგენელი შესაძლებლობები, სადღეისოდ არათუ სამეცნიერო-ტექნოლოგიური თვალსაზრისითაა დაძლეული, არამედ ისინი უკვე პრაქტიკაშიც ინერგება და, ამიტომაა, რომ უკვე არსებობს დისტანციური განათლების, დისტანციური მედიცინის, სხვადასხვა სახის დისტანციური კონსალტინგის და ა.შ. ბიზნესწარმოქმნები, რომლებიც რევოლუციურად ცვლიან შესაბამის დარგებს.

ზემოთ მოყვანილი ვირტუალური წარმონაქმნების, ვირტუალური ორგანიზაციისა და ვირტუალური საწარმოს უმნიშვნელოვანესი მდგენელია ვირტუალური გუნდი, უფრო მეტიც, მათი ვირტუალიზაცია სწორედ ვირტუალური გუნდების ფორმირების შედეგია. ვირტუალური ოფისის არსებობაც ადამიანთა შორის დისტანციური საქმიანი ურთიერთობების შესაძლებლობას ეფუძნება. ჩვენი აზრით, გუნდთან მი-

მართებაში ცნება „ვირტუალურის“ გამოყენება ერთგვარად პირობით ხასიათს ატარებს, რადგან ამ შემთხვევაშიც კოლექტივის წევრები სრულიად რეალური, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მთავარი აქ ის არის, რომ ვირტუალური გუნდის, ანუ ერთი მიზნის შესრულებისთვის ორგანიზებული ინდივიდების, ერთ სივრცეში, დროის რომელიმე კონკრეტულ მომენტში მოხელთებაა შეუძლებელი, რადგან ის ადამიანთა ერთობაა, „რომლის წევრებიც ძირითადად კავშირგაბმულობის ელექტრონული საშუალებების მეშვეობით ურთიერთქმედებენ. ვირტუალური გუნდის წევრები შეიძლება იყვნენ ერთსა და იმავე შენობაში ან სხვადასხვა კონტინენტზე“ [6].

ვირტუალურ ორგანიზაციაში დამატებითი ფასეულობის შექმნაში სულ უფრო დიდ როლს არამატერიალური აქტივები შეასრულებს. მიუხედავად ამისა, ის შეინარჩუნებს მატერიალურ აქტივებსაც, თუმცა, მათი წილი საერთო ბალანსში შემცირდება. სულ უფრო კრიტიკული გახდება ცოდნა, კვალიფიკაცია, უნარები, განათლება, პიროვნული და ორგანიზაციული კომპეტენციები, რაც კიდევ უფრო გაზრდის ვირტუალიზაციის შეგრძნებას. „ორგანიზაციები რამდენადაც აღრმავებენ საკუთარ საკვანძო კომპეტენციებს მით უფრო ვირტუალურნი ხდებიან. მათ შეუძლიათ ამ კომპეტენციების გამოყენება ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სექტორში“ [1]. ორგანიზაციული კულტურა ნებისმიერი ტრადიციული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი აქტივია, მაგრამ ეს სათუო ხდება ვირტუალური ორგანიზაციის შემთხვევაში, სადაც იმისთვის, რომ ეს მოვლენა სრულფასოვნად იყოს წარმოდგენილი, რამდენიმე პირობა, მაგალითად, პერსონალს შორის აქტიური ურთიერთობები, თანამშრომლებისა და ორგანიზაციის მდგრადი კავშირები, ინსტიტუციონალური მახსოვრობა და ა.შ. არ არსებობს. „ვირტუალური ორგანიზაცია ცალსახად ეფემერულია, რადგან მას არ გააჩნია გრძელვადიანი ინსტიტუციონალური მახსოვრობა, ვინაიდან არ არსებობენ ინდივიდები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ერთსა და იმავე ორგანიზაციაში. ის ასევე არაა ხანგრძლივად დაკავშირებული ამა თუ იმ გეოგრაფიულ არეალთან ან ლოკალურ საზოგადოებასთან, რომელსაც ემახსოვრება ის“ [1]. ამ დანაკლისის გამო ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა შეიქმნას ორგანიზაციაში მითები, ჩამოყალიბდეს დამახასიათებელი ქცევის ნორმები, წარმოიშვას რიტუალები და შემდეგ ეს ყველაფერი, სიმბოლოებთან ერთად, ზეპირი ფორმით, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება, გადაეცეს ყოველ მის წევრს. ვირტუალურ ორგანიზაციებში ერთიანი კორპორაციული კულტურის ფორმირებისა და შემდეგ მისი კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირების პრობლემა კიდევ უფრო რთულად წარმოჩნდება, თუ საკითხს გლობალური კომპანიის კონტექსტით განვიხილავთ. მრავალეროვნული საწარმოების პერსონალი თავიდანვე კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან იმ კულტურული ფასეულობებით, რაც მათ მშობლიური გარემოდან აქვთ შეთვისებული, ეს კი დამატებითი შემაფერხებელია ერთიანი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისთვის.

ადამიანურ ფაქტორზე მსჯელობის დროს აუცილებელია იმ პრობლემების შესახებ მითითებაც, რასაც უშუალო, ე.წ. „face to face“ ურთიერთობების ვირტუალურით ჩანაცვლებას მოჰყვება. პრობლემის სათავე „ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში ცალსახად დადასტურდა ადამიანისთვის სოციალური მოთხოვნილებების მნიშვნელობა. ჯგუფური ურთიერთობების როლზე აღარავინ დავობს „ჰოთორნას“ ექსპერიმენტის შემდეგ. სოციალიზაციისადმი ლტოლვა შრომისადმი მოტივაციის მძლავრ ფაქტორადაც გვევლინება. სწორედ ამიტომ, „საოფისე“ ცხოვრებას გააჩნია თავისი ხიბლი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზოგიერთისთვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ადამიანის კონსერვატიული ბუნება. ამჟამად მცხოვრებნი იმ თაობებს მივეკუთვნებით, ვისთვისაც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები რევოლუციურ სიახლედ დარჩება და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩვენგანი უპრობლემოდ სარგებლობს აღნიშნულით, ადამიანისათვის დამახასიათებელი სიახლისადმი შიშის გამო, სრული ფსიქოლოგიური თავსებადობა მათდამი ჯერ კიდევ არ არის. გამომდინარე აქედან, პირადი უშუალო ურთიერთობები ნაკლებად საეჭვო და უფრო კომფორტულია დიდი უმრავლესობისთვის, ვიდრე „ელექტრონული შუამავლების“ მეშვეობით“ [10, გვ.116].

წარმოდგენილი მოკლე ანალიზიც ცხადყოფს იმ რევოლუციურ ცვლილებებს, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას მოაქვს გლობალურ ბიზნესში. რადიკალურად იცვლება ბევრი სფერო და განსაკუთრებით კი ორგანიზაციული ურთიერთობები, რის საფუძველზეც ჩნდება სრულიად ახალი სტრუქტურული წარმონაქმნები. ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, ჩვენი აზრით, მტკიცებას მენეჯმენტის პარადიგმის მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, აქვს საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. The virtual organisation - http://www.economist.com/node/14301746
2. Fred R. David *and* Forest R. David - Strategic Management Concepts and Cases GLOBAL edition, published by Pearson Education © *2015.* 432 pp.
3. Top 20 Countries with the highest number of internet users- http://www.internetworldstats.com/top20.htm
4. http://www.internet2.edu/
5. https://csmcom3.wordpress.com/tag/
6. http://www.businessdictionary.com/
7. Marco Mazzeschi – The Virtual Organization, 7th International Conference on Concurrent Enterprising Bremen Germany, 27-29 June 2001 - http://freepdfdb.org/pdf/the-virtual-organisation-41946563.html
8. Stephen P. Robbins, Mary Coulter – Management, Twelfth Edition Pearson Education 2014 694 pp.
9. Patsy Fulton-Calkins, Karin Stulz - Procedures & Theory for Administrative Professionals, 6th Edition 2009 South-Western Cengage Learning 544 pp.
10. რამიშვილი ბ., - ვირტუალური ორგანიზაციები - გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ბიზნესის სწრაფად ინტეგრირების შესაძლებლობა, „ეკონომიკა და ბიზნესი“ თბილისი, 2013 №4, 101-118 გვ.

The Global Trend of Virtualization of Business and Organizational Issues Associated with It

B. Ramishvili

summary

The trend of virtualization have been going on in the world in recent decades, that fundamentally change the global business environment. The process of virtualization of business breaks the traditional paradigm of management. In this connection the article analyzed several new definitions, such as: virtual reality, virtual organization, virtual enterprise, virtual office and virtual team which show new organizational tendencies. The final part of the article, in the context of virtualization, discusses the role of the human factor in organizations.

Key words: *virtual organization, business virtualization, Internet, global business environment, the virtual office, virtual enterprise, virtual teams.*

ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა და ფინანსური ანგარიშგების ფორმირება ფასს-ისა და გასს-ის გათვალისწინებით

ლევან საბაური,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

ანჟელი ხორავა,
უფროსი მასწავლებელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2016 წლიდან ძალაში შევიდა ახალი ფასს (IFRS) 14 "გადავადებული სატარიფო ანგარიშების განსხვავებები" და ასევე, რიგი ცვლილება განხორციელდა არსებულ სტანდარტებში. სტატიაში განხილულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც შეტანილია მოქმედ ფასს-ში საბჭოს მიერ International Accounting Standards Board (IASB, შემდგომში - ფასსს) და რომლებიც აქტუალურია ფასს-ით მოსარგებლე კომპანიებისათვის. სტატიაში დეტალურად არის განხილული და წარმოდგენილი ის ცვლილებები, რომელთა გათვალისწინება არსებითი იქნება კომპანიების რეალური ფინანსური მდგომარეობის წარმოჩენისა და ფინანსური ანგარიშგების სწორად ფორმირებისათვის. წარმოდგენილი ცვლილებები მოცემულია 2016 წლის 01 მდგომარეობით.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური ანგარიშგება, აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება, დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები, სოფლის მეურნეობა.*

აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება მარეგულირებელ დარგებში (ფასს 14)

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გარკვეული დარგები (მაგალითად, კომუნალური ან სატრანსპორტო მომსახურება) ექვემდებარება სახელმწიფოს ან მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან სატარიფო რეგულირებას. ისინი უწესებენ ასეთი დარგის კომპანიებს შეზღუდვებს მიწოდების მოცულობასა და მომხმარებლებისათვის დასაწესებელ ფასებზე.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების შემდგენლებს არაერთხელ გასჩენიათ კითხვა, პასუხობენ თუ არა ანგარიშგებაში მოცემული აქტივები და ვალდებულებები შესაბამის განსაზღვრებას ფასს კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით? პასუხი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების პრობლემა დაბრკოლებას წარმოადგენდა ფასს-ის გამოყენებისათვის.

მოცემული პრობლემის აღმოფხვრისათვის შემოღებულია ფასს (IFRS) 14, რომელმაც საშუალება მისცა გარკვეული რაოდენობისა და კონკრეტული დარგების კომპანიებს გამოეყენებინათ ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნულ სტანდარტებზე დაფუძნებული სააღრიცხვო პოლიტიკა სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების, შეფასებისა და გაუფასურების ნაწილში. ფასს (IFRS) 14-ის მოქმედების სფერო ვიწროა და მოიცავს მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც:

- პირველად იყენებენ ფასს;
- ახორციელებენ საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას;
- აღიარებენ თანხებს, რომლებიც ადრე საყოველთაოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისად შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში კვალიფიცირებულია, როგორც ნაშთი გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშზე.

ფასს (IFRS) 14-ის გამოყენების შემთხვევაში კომპანიამ ცალკე უნდა აღრიცხოს აქტივები და ვალდებულებები „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშებზე". ამასთან, „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშები", ასევე შესაბამისი ზეგავლენა მოგებასა და ზარალზე, აისახება ფინანსური ანგარიშგების სხვა მაჩვენებლებისგან განცალკევებულად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული აღრიცხვის წესი ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ კომპანიებისათვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს. ხდება მათი ფინანსური ანგარიშგების შედარება სხვა ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებასთან იმ მიზნით, რომ ყველა მაჩვენებელი და შუალედური შედეგი გამორიცხავს გადავადებული სატარიფო განსხვავებების ზეგავლენას.

ინფორმაცია ფასს (IFRS) 14-ის შესაძლო კავშირის შესახებ მისი გამოყენების შედეგად ზოგიერთ სხვა სტანდარტთან წარმოდგენილია ფასს (IFRS) 14-ის მე-16–მე-17 პუნქტებში (დანართი "ბ") და შეეხება სააღრიცხვო პოლიტიკაში ადაპტაციას ეროვნული სტანდარტების მიხედვით.

ფასს (IFRS) 14 შეიცავს გარკვეულ მოთხოვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის განმარტებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ტარიფების რეგულირების ხასიათზე, რომელიც ადგენს შეზღუდვებს ფასებზე მომხმარებლებისათვის და მასთან დაკავშირებულ რისკებზე;
- ტარიფების რეგულირების გავლენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაზე და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების დროს უნდა მოხდეს აღიარებული თანხების დეტალური ახსნა. ასე, მაგალითად, „გადავადებული სატარიფო განსხვავებების" თითოეულ ანგარიშზე უნდა განიმარტოს თავდაპირველი და შემდგომი აღიარებისა და შეფასების საფუძვლები გაუფასურების ინფორმაციის ჩათვლით. სატარიფო რეგულირებასთან დაკავშირებული საქმიანობის თითოეული სახისათვის „გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშების" ნაშთების თითოეულ კლასზე განმარტებითი შენიშვნების სახით წარგენილი უნდა იყოს:

- საბალანსო ღირებულების შეჯერება პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის (სასურველია ცხრილის სახით);
- შემოსავლიანობის ნორმა ან დისკონტირების განაკვეთი;
- დარჩენილი პერიოდები, რომელთა განმავლობაში კომპანია ელოდება გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშის ყოველ ჯგუფზე საბალანსო ღირებულების ანაზღაურებას (ან ამორტიზებას), ან გადავადებული სატარიფო განსხვავებების ანგარიშზე საკრედიტო ნაშთების ყოველი ჯგუფის აღდგენას.

აღსანიშნავია, რომ ფასს (IFRS) 14 არ შეიცავს გარდამავალი პერიოდის სპეციფიკურ მოთხოვნებს. კომპანიებისათვის, რომლებიც პირველად იყენებენ ფასს, ხელმისაწვდომი იქნება ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება" (შემდგომში – ფასს (IFRS) 1) მოთხოვნებისაგან გათავისუფლება, კერძოდ, ადრე გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული წესების მიხედვით ფორმირებული მიმდინარე სალდოს, როგორც ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების პირობითი ღირებულების, გამოყენების ჩათვლით.

განმარტებულია აღრიცხვის წესი ფასს (IFRS) 5-ის მიხედვით აქტივების რეკლასიფიკაციის დროს.

ცვლილებები გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივების რეკლასიფიკაციაში (ფასს 5)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ყოველწლიური სრულყოფის ფარგლებში, რომელიც გამოცემულია ფასს საბჭოს მიერ 2014 წლის 25 სექტემბერს, ფასს (IFRS) 5-ში „გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები" (შემდგომში (ფასს (IFRS) 5) შეტანილ იქნა შესწორებები, რომლებითაც განმარტებული იყო, რომ აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფის) რეკლასიფიკაცია „გასაყიდად განკუთვნილის" კატეგორიიდან „მესაკუთრეთათვის გადასანაწილებლად განკუთვნილის" კატეგორიაში ან პირიქით, არ ცვლის გასვლის თავდაპირველ გეგმას. შესაბამისად, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ სტანდარტის ყველა მოთხოვნა (კლასიფიკაციასთან, წარდგენასა და შეფასებასთან დაკავშირებით), რომლებიც შესაბამისი იქნება „გასაყიდად განკუთვნილის" კატეგორიისათვის. მაგალითად, თუ აქტივი უკვე არ განეკუთვნება „მესაკუთრეთათვის გადასანაწილებლად განკუთვნილის" კატეგორიას, მათ მიმართ გამოიყენება ფასს (IFRS) 5-ის მოთხოვნები აქტივებისადმი, რომლებიც უკვე არ განეკუთვნებიან „გასაყიდად განკუთვნილის" კატეგორიას.

შესწორება გამოიყენება პერსპექტიულად ბასს (IAS) 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" (შემდგომში – ფასს (IFRS) 8), ანუ კომპანიას შეუძლია:

- გამოიყენოს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა იმ ოპერაციების, მოვლენების ან პირობების მიმართ, რომლებიც მოხდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების თარიღის შემდეგ (01.01.2016-დან);
- აღიაროს ცვლილებების ზეგავლენა ბუღალტრულ შეფასებებში მიმდინარე და მომავალ პერიოდებში, რომლებსაც შეეხო ცვლილებები (ანუ, წინა პერიოდების გარდა).

ცვლილებები მონაწილეობის უფლების აღრიცხვის განმარტებებში (ფასს 7)

ყოველწლიური სრულყოფის (2012-2014წ.წ.) ფარგლებში ფასს (IFRS) 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" შეტანილი იქნა შესწორებები, სადაც განმარტებულია ის გარემოე-

ბები, რომელთა დროსაც კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის მომსახურების უფლებას (უწყვეტი მონაწილეობა). მიღებული განმარტებები აუცილებელია ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (შემდგომში – ფასს (IFRS) 9) აღიარების შეწყვეტის მოთხოვნათა აღრიცხვის დროს.

უწყვეტი მონაწილეობა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აგრძელებს გადაცემული ფინანსური აქტივის მომსახურებას და ინარჩუნებს გრძელვადიან პერსპექტივაში ინტერესს მისგან სავარაუდოდ მისაღები ფინანსური შედეგების მიმართ. უწყვეტი მონაწილეობა ფინანსურ აქტივებში ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივის გადამცემი კომპანიის ანაზღაურება:

- ცვალებადია და დამოკიდებულია გადაცემული ფინანსური აქტივისაგან მიღებული ფულადი ნაკადების თანხის ოდენობაზე;
- ან წარმოადგენს ფიქსირებულს, მაგრამ არ ხდება სრული მოცულობით გადახდა, თუ გადაცემული აქტივი ცუდი ფინანსური შედეგების მქონეა.

შესწორება გამოიყენება რეტროსპექტულად ბასს (IAS) 8-ის შესაბამისად, იმ პერიოდების გარდა, რომლებიც იწყებოდა კომპანიის მიერ მისი პირველად გამოყენების წლიურ პერიოდამდე. შესაბამისი შესწორება ფასს (IFRS) 1-ში შეტანილია ორგანიზაციებისათვის, რომლებიც პირველად იყენებდნენ ფასს. შესაბამისად, კომპანიებს არ წარმოექმნებათ აუცილებლობა განსაზღვრონ წინა პერიოდების მომსახურების რეალური ღირებულება.

შესწორებები დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების აღრიცხვაში (ბასს 19)

ბასს (IAS) 19-ში „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ შეტანილი შესწორებები ეხება აქტუარულ ვარაუდებს დისკონტირების განაკვეთზე და განმარტავს, რომ მაღალხარისხიანი კორპორატიული ობლიგაციები, რომლებიც გამოიყენება დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრისათვის (რომელთა სიდიდეც საჭიროა თანამშრომელთა ანაზღაურების აღრიცხვისათვის), გამოხატული უნდა იქნეს იმავე ვალუტაში, რომელშიც მათ მიერ დაქირავებულ მომუშავეთა ანაზღაურებაა. რომელიმე იურისდიქციაში განსაზღვრულ ვალუტაში მაღალხარისხიანი კორპორატიული ობლიგაციების საკმაოდ განვითარებული ბაზრის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება მოცემულ ვალუტაში გამოხატული სახელმწიფო ობლიგაციების ბაზრის შემოსავალი (საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის).

შესწორება გამოიყენება რეტროსპექტულად (ბასს (IAS) 8-ის შესაბამისად) ადრეული შესადარებელი პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც წარმოდგენილია პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც კომპანიამ გამოიყენა მოცემული შესწორება.

ცვლილებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წილობრივი მონაწილეობის მეთოდთან დაკავშირებით (ბასს 27)

შესწორებები (ბასს (IAS) 27-ში „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება” (შემდგომში _ ფასს (IAS) 27) გამოწვეული იყო დაინტერესებულ პირთა მოთხოვნებით იმ ქვეყნებიდან, სადაც ეროვნული სტანდარტებით აუცილებელ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ფასს-ის მიხედვით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას შორის ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს კაპიტალ-მეთოდის გამოყენება.

შეტანილი ცვლილებები საშუალებას იძლევა აღირიცხოს ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით (როგორც აღწერილია ბასს (IAS) 28-ში „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში”) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც თავის მხრივ, ამცირებს ასეთი ქვეყნების კომპანიებისათვის ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადების ხარჯებს.

სტანდარტი დღესაც არ ითხოვს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენას. მაგრამ, შესწორებების გამოყენების დროს მათში მითითებული მიდგომა გამოიყენება ყველა სახის ინვესტიციისათვის. ადრე კომპანიას შეეძლო გაეთვალისწინებინა (აღერიცხა) ასეთი ინვესტიციები მხოლოდ ფაქტობრივი ღირებულებით ან ფასს (IFRS) 9 (ფასს (IAS) 39) შესაბამისად.

შესწორება გამოიყენება რეტროსპექტულად ფასს (IAS) 8-ის შესაბამისად. მისი გამოყენება, ასევე, შესაძლებელია ვადაზე ადრე.

განმარტებითი შენიშვნები შუალედური ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში (ფასს 34)

ფასს (IAS) 34 „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ ცვლილებების თანახმად განმარტებითი შენიშვნები მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ოპერაციების შესახებ შეიძლება წარმოდგენილი იყოს შუალედური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ან შუალედური ფინანსური ანგარიშის სხვა განყოფილებაში. ამასთან, საჭიროა დამატებითი მითითებები, თუ განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების სხვა განყოფილებაში (მაგალითად, ხელმძღვანელობის კომენტარებში, ანგარიშში რისკების შესახებ).

თუ განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია სხვა ანგარიშში, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის იმავე პირობებით და იმავე ვადებში, როგორც შუალე-

დური ფინანსური ანგარიშგება. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპლექტი არასრულია. შესწორება გამოიყენება რეტროსპექტულად ფასს (IAS) 8-ის შესაბამისად.

ერთობლივ ოპერაციაში მონაწილეობის წილის შეძენის აღრიცხვა, რომლის საქმიანობა წარმოადგენს ბიზნესს (ფასს 11)

ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა" (შემდგომში ფასს (IFRS) 11) დღეისათვის არა აქვს ერთობლივ ოპერაციაში მონაწილეობის წილის შეძენის აღრიცხვის სახელმძღვანელო, როცა ასეთ ოპერაციაში საქმიანობა წარმოადგენს ბიზნესს მოცემული ტერმინის განმარტების თანახმად, რომელიც მითითებულია ფასს (IFRS) 3-ში „საწარმოთა გაერთიანება" (შემდგომში ფასს (IFRS 3).

ბიზნესი - ეს სხვადასხვა სახეობის საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირებული ერთობლიობაა, რომელთა განხორციელებას და რომელთა მართვასაც შეუძლია შემოსავლის მოტანა დივიდენდების, ხარჯების შემცირების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით უშუალოდ ინვესტორების ან სხვა მესაკუთრეების, მონაწილეების ან წევრების მიერ.

შედეგად, პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა მიდგომა ერთობლივად კონტროლირებად ოპერაციებში მონაწილეობის წილის შესყიდვის აღრიცხვისადმი, რომლებიც აკმაყოფილებენ ბიზნესის განსაზღვრებას, მათ შორის:

- იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ფასის ჭარბი გადახდის აღიარება ხდება ან ცალკე სტრიქონით, როგორც გუდვილი, ან ნაწილდება პროპორციულად სხვა იდენტიფიცირებად აქტივებზე;
- გადავადებულ გადასახადებს აღიარებენ ან არ აღიარებენ;
- ხდება შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზება ან ხარჯებში აღიარება.

ერთობლივ ოპერაციაში, რომელიც, ფასს (IFRS) 3 განმარტების თანახმად, ბიზნესს წარმოადგენს, მონაწილეობის წილის შეძენის შემთხვევაში ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს მოცემული სტანდარტის პრინციპები შენაძენის აღრიცხვის მიმართ, ასევე, განმარტებითი შენიშვნების სახით წარმოადგინოს შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, ფასს (IFRS) 11-ის გამოყენების სახელმძღვანელოში დამატებულია ახალი პარაგრაფები B33A-B33D, რომლებიც განმარტავენ შემდეგ მომენტებს:

1. საწარმოთა გაერთიანების გარიგებების აღრიცხვის ზოგიერთი პრინციპი, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთობლივ ოპერაციაში, რომელიც წარმოადგენს ბიზნესს, მონაწილეობის წილის შეძენის აღრიცხვისათვის, კერძოდ:
   - იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასება იმ მუხლებისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც ფასს (IFRS) 3-ით და სხვა ფასს დაშვებულია გამონაკლისები;
   - წილის შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება;
   - ხარჯების ასახვა იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რომლებშიც გაწეული იყო ეს ხარჯები და მიღებული იყო შესაბამისი მომსახურება (იმ გამონაკლისით, რომ სავალო ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხარჯები აღიარებულია ბასს (IAS) 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" და ფასს (IFRS) 9);
   - იმ გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, რომლებიც წარმოიქმნება აქტივების ან ვალდებულებების აღიარების დროს (იმ გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გარდა, რომლებიც წარმოქმნილია გუდვილის თავდაპირველი აღიარების დროს;
   - გუდვილის აღიარება;
   - ტესტირების ჩატარება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულის გაუფასურებაზე, რომელზეც გამოიყო გუდვილი (ყოველწლიურად, როგორც ამას მოითხოვს ფასს (IAS) 36 „აქტივების გაუფასურება");
2. ფასს (IFRS) 3-ის პრინციპები გამოიყენება ერთობლივი ოპერაციის ფორმირებისას, თუ, მოცემული სტანდარტის შესაბამისად, არსებული საწარმო - მინიმუმ ერთი მხარის (ერთობლივი ოპერაციის მონაწილის) მიერ შეტანილი წვლილია;
3. ფასს (IFRS) 3-ის პრინციპები გამოყენებული ვერ იქნება, თუ ერთობლივი ოპერაციის მონაწილე (რომლის საქმიანობაც, ფასს (IFRS) 3 განმარტების თანახმად, ბიზნესს წარმოადგენს) ზრდის მასში თავისი მონაწილეობის წილს და თუ მონაწილე ინარჩუნებს მასზე ერთობლივ კონტროლს;

4. ფასს (IFRS) 3-ის მოთხოვნები გამოყენებული ვერ იქნება, თუ ერთობლივი ოპერაციის მონაწილეები იმყოფებიან ერთი და იმავე მხარის (მხარეების) საერთო კონტროლის ქვეშ, რომელიც საბოლოო მაკონტროლებელია წილის შეძენამდე და შეძენის შემდეგ, და ასეთ კონტროლს მუდმივი ხასიათი აქვს.

ფასს (IFRS) 11-ის შესწორებები გამოიყენება პერსპექტიულად, ე.ი. მათი გამოყენება შესაძლებელია მონაწილეობის წილის შესაძენად ერთობლივ ოპერაციაში, რომელიც ფასს (IFRS) 3-ის განმარტების თანახმად, ბიზნესს წარმოადგენს, თუ შეძენის თარიღი _ პირველი წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისის თარიღია ან მოგვიანებით (სადაც საანგარიშგებო პერიოდი იწყება 01.01.2016 ან გვიან). ასევე ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, რაც მითითებული უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

განმარტებები ცვეთისა და ამორტიზაციის მეთოდთან დაკავშირებით

2011 წელს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტმა (International Financial Reporting Interpretation Committee (IFRIC) (შემდგომში - ფასსიკ)) მიიღო თხოვნა განემარტათ ტერმინი „აქტივებში განხორციელებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის გამოყენება“ ბასს (IAS) 38-დან „არამატერიალური აქტივები“(შემდგომში _ ბასს (IAS) 38) ამორტიზაციის მეთოდის განსაზღვრის შემთხვევის გათვალისწინებით. თავის მხრივ, ფასს საბჭომ შეიტანა ცვლილებები ბასს (IAS) 16-ში “ძირითადი საშუალებები” (შემდგომში - ბასს (IAS) 16) და ბასს (IAS) 38-ში.

ცვლილებებით ბასს (IAS) 16-ში განმარტებულია, რომ შემოსავლების მიხედვით ამორტიზაციის მეთოდის გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან იმ საქმიანობის შედეგად გამომუშავებული შემოსავალი, რომელშიც გამოყენებულია აქტივი, როგორც წესი, ასახავს მოცემულ აქტივში განხორციელებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენების განსხვავებულ ფაქტორებს. მაგალითად, შემოსავალზე მოქმედებს:

- სხვა გამოყენებადი რესურსები და პროცესები;
- გაყიდვის საქმიანობა;
- გაყიდვების მოცულობისა და ფასის ცვლილება;
- ინფლაცია.

ცვლილებები ბასს (IAS) 38-ში ნერგავს საწინააღმდეგო დაშვებას, რომ არამატერიალური აქტივის შემოსავალზე დაფუძნებული ამორტიზაციის მეთოდის გამოყენება დაუშვებელია და შეიძლება გაბათილდეს მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში, კერძოდ:

- თუ არამატერიალური აქტივი გამოხატულია, როგორც შემოსავლის (ამონაგების) შეფასება;
- ან როდესაც შეიძლება დემონსტრირება იმისა, რომ შემოსავალი და არამატერიალური აქტივისგან მიღებული ეკონომიკური სარგებლის გამოყენება მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

მაგალითად, კომპანიას შეიძლება ჰქონდეს ლიცენზია ხიდით სარგებლობის მოსაკრებლების მიღებაზე. ამასთან, ლიცენზიით დაშვებულია მოსაკრებლის მიღება ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური თანხის მიღწევამდე.

შესწორებების შედეგად ბასს (IAS) 38-ში, ასევე შესულია სახელმძღვანელო იმის შესახებ, რომ ამორტიზაციის მართებული მეთოდი შეიძლება განისაზღვროს აქტივის გამოყენების „დომინანტური შემზღუდველი ფაქტორის“ საფუძველზე. ასეთი ფაქტორებია:

1. ხელშეკრულების პირობები, რომლითაც შეზღუდულია აქტივის გამოყენების უფლების ვადები (მაგალითად, ხელშეკრულებაში, რომელიც ადგენს კომპანიის უფლებას არამატერიალური აქტივის გამოყენების თაობაზე, ეს უკანასკნელი შეიძლება გამოხატული იქნეს, როგორც წლების გარკვეული რაოდენობა (ანუ დრო), წარმოებული ერთეულების რაოდენობა ან შემოსავლის ერთიანი ფიქსირებული თანხა, რომელიც მიღებულია აქტივის გენერირებით). ასეთი დომინანტური შემზღუდველი ფაქტორის განსაზღვრება შეიძლება გახდეს ამოსავალი წერტილი ამორტიზაციის დასაშვები ბაზის განსაზღვრისათვის. თუმცა, ამ დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა საფუძველიც, თუ იგი უფრო ნათლად ასახავს ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელ ხასიათს;
2. ერთეულთა რაოდენობა, რომლის წარმოებაც ნებადართულია;
3. ამონაგების ერთიანი ფიქსირებული თანხა, რომლის გენერირებაც ნებადართულია. მაგალითად, შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მოპოვების ლიცენზია ან ექსპლოატაციის უფლება.

შესწორებები ორივე სტანდარტის მიხედვით გამოიყენება პერსპექტიულად. ამასთან, დასაშვებია მათი ვადამდელი გამოყენება.

ცვეთის ან ამორტიზაციის მიმდინარე მეთოდის ცვლილება შესწორებების შედეგად გამოიყენება აქტივების მიმდინარე თანხების მიმართ, ხოლო ცვლილების შედეგი აისახება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში ბასს (IAS) 8-ის შესაბამისად თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან (წლიური პერიოდის დასაწყისი, რომელიც იწყება 01.01.2016 ან ამ თარიღის შემდეგ). ეს მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას ცვლილებების ხასიათისა და თანხის შესახებ ბუღალტრულ შეფასებებში ფასს (IAS) 8-ის 39-ე პუნქტის შესაბამისად, ან იმ ცვლილებების ხასიათისა და თანხის შესახებ, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, გავლენას მოახდენენ მომავალ პერიოდებში (თუ ეს შესაძლებელია).

ცვლილებები ხეხილის კულტურების აღრიცხვაში (ბასს 41)

ბასს (IAS) 16-ში შეტანილ შესწორებებამდე, ხეხილის კულტურების აღრიცხვა ხორციელდებოდა ბასს (IAS) 41-ის „სოფლის მეურნეობა“ შესაბამისად. ყველა ბიოლოგიური აქტივის შეფასება ხდებოდა რალური ღირებულებით მათი გაყიდვის ხარჯების გამოკლებით (გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულებით საიმედოდ შეფასება). შეფასების პრინციპი დაფუძნებული იყო ვარაუდზე, რომ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაცია საუკეთესოდ შეიძლება იქნეს გამოხატული რეალური ღირებულებით შეფასებაში.

მაგრამ, საჯარო განხილვისას, ფასს საბჭოს მიმართ დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან გაგზავნილი იყო განცხადებები ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასების მიზანშეწონილობის შესახებ. განხილვის ბევრი მონაწილე ამტკიცებდა, რომ საწარმოო პროცესში ბიოლოგიური აქტივების გამოყენება ძირითადი საშუალებების გამოყენების მსგავსია და, შესაბამისად, ბიოლოგიური აქტივებისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამორტიზებული ღირებულების მოდელის გამოყენება ფასს (IAS) 16-დან. გარდა ამისა, ზოგიერთ კომპანიას ბიოლოგიური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით ძვირი უჯდებოდა და მისი გამოყენება რთული იყო, ვინაიდან ბიოლოგიური აქტივების ზოგიერთი სახეობისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

დამატებების შედეგად, ხეხილის კულტურები უნდა აღირიცხოს ფასს (IAS) 16-ის მიხედვით, როგორც ძირითადი საშუალებები, კერძოდ კი:

- ფაქტობრივი დანახარჯებით, ან
- გადაფასებული ღირებულებით.

ამდენად, ბასს (IAS) 16-ის გამოყენების სფერო გაფართოვდა. მასში შეიტანეს ხეხილის კულტურები (შედეგად, ისინი გამოირიცხა ბასს (IAS) 41-ის სფეროდან) და დაემატა მათი განსაზღვრება.

ბასს (IAS) 16-ის თანახმად, ხეხილის კულტურა - ეს ცოცხალი მცენარეა, რომელიც:

- გამოიყენება სოფლის-მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა ან მიღებისათვის;
- სავარაუდოდ, ნაყოფის მომცემი იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში;
- გაიყიდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით (გარდა ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვისა).

ფასს (IAS) 41-ში ჩამოთვლილია ზოგიერთი მცენარე, რომელიც ხეხილის კულტურის განსაზღვრებას არ მიესადაგება და წარმოადგენენ გამოყენებად ბიოლოგიურ აქტივებს:

- მცენარეები, რომლებიც მიღებული (შეგროვებული) იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით (მაგალითად, ხე-ტყის დამზადებისათვის გაზრდილი ხეები);
- მცენარეები, რომლებსაც ზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღების (შეგროვების) მიზნით მაშინ, როდესაც იმის ალბათობა, რომ კომპანია შორეულ მომავალში ასევე შეძლებს მიიღოს (შეაგროვოს) და გაყიდოს მცენარეები (გარდა ნარჩენების გაყიდვისა), მეტისმეტად დაბალია;
- ერთწლიანი კულტურები (მაგალითად, სიმინდი და ხორბალი).

ხეხილის კულტურები ნაყოფის მოცემამდე ანუ ზრდასრულობის მიღწევამდე აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებები დამოუკიდებლად შექმნილი ობიექტებისა. ამასთან, ბასს (IAS) 16 გამოყენებული არ იქნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ბიოლოგიური აქტივებისა და ხეხილის კულტურების პროდუქციის მიმართ. სოფლის მეურნეობის პროდუქცია დარჩა ბასს (IAS) 41 გამოყენების სფეროში და აღირიცხება რეალური ღირებულებით.

დამატებები ბასს (IAS) 16-ში გამოყენებული უნდა იქნეს რეტროსპექტულად. ამასთან დასაშვებია მათი ვადამდელი გამოყენება(01.01.2016).

გარდამავალი პერიოდის გათავისუფლება ფასს პირველი გამოყენების მიზნით (ფასს (IFRS) 1) ეხება ბასს (IAS) 16-ის შესწორებებსაც, სახელდობრ: მოქმედებს გამონაკლისი პირობით ღირებულებაზე. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ხეხილის კულტურების რეალური ღირებულება ფინანსურ ანგარიშგებაში ყველაზე ადრე წარმოდგენილი პერიოდების დასაწყისისათვის ამ თარიღისათვის პირობითი

თავდაპირველი ღირებულების სახით. მოცემული გამონაკლისის გამოყენება შეიძლება ხეხილის კულტურების მიმართ, ვინაიდან ისინი, ბასს (IAS) 16-ის განსაზღვრებით, წარმოადგენენ ძირითადი საშუალებების ობიექტებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული ცვლილებები

დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნების შედეგად და ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენასა და განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებულ მოთხოვნათა სრულყოფის მიზნით, ფასს-ის კონცეპტუალური საფუძვლების გადახედვის შესავსებად, გამოიცა დოკუმენტი - "ინიციატივა ინფორმაციის გამჟღავნების სფეროში (შესწორებები ბასს (IAS) 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა")

შესწორებების ძირითადი მიზანია უბიძგოს კომპანიებს (და სხვა მხარეებს, რომლებიც ჩართული არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და განხილვაში) იმისაკენ, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარმოდგენასა და განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული მოთხოვნები ყურადღებით იქნეს განხილული პროფესიული მსჯელობის გამოყენების მეშვეობით (მათ შორის არსებითობის, აღქმადობისა და შესადარისობის პრინციპების დაცვის გათვალისწინებით).

ცვლილებები შემდეგია:

1. ინფორმაციის აგრეგირების დროს არ უნდა დავუშვათ ფინანსური ანგარიშგების აღქმადობის შემცირება არსებითი ინფორმაციის არაარსებითი მონაცემებით შებურვის (შეფარვის) ან ხასიათითა და ფუნქციებით განსხვავებული არსებითი მუხლების აგრეგაციის გზით. არსებითობის პრინციპი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების ოთხივე ფორმის (ფინანსური მდგომარეობის ანგარიში პერიოდის დასრულების თარიღისათვის, პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალისა და ერთობლივი ფინანსური შედეგის სხვა კომპონენტების ანგარიში, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში პერიოდის განმავლობაში, ფულადი ნაკადების ანგარიში პერიოდის განმავლობაში) და მათი შენიშვნების მიმართ;
2. განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული რომელიმე ფასს-ის კონკრეტული მოთხოვნის შესრულება აუცილებელი არ არის, თუ აღნიშნული ინფორმაცია არსებითს არ წარმოადგენს. ეს წესები განხილული უნდა იყოს ბასს (IAS) 1-ის მე-7 პუნქტში მითითებულ არსებითობის განსაზღვრებასთან ერთად, რომელიც მოითხოვს მუხლების აღრიცხვას ცალ-ცალკე და ერთობლივად, რადგან არაარსებითი მუხლების ჯგუფი მათი გაერთიანების შედეგად შეიძლება არსებითად გადაიქცეს;
3. განხილული უნდა იქნეს განმარტებითი შენიშვნების აუცილებლობა, თუ ფასს-ის კონკრეტულ მოთხოვნათა შესრულება არასაკმარისია ფინანსური ანგარიშგების აღქმისათვის;
4. შუალედური ჯამური თანხების წარმოდგენის შემთხვევაში (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მოგება-ზარალის და სხვა ერთობლივი შემოსავლების ანგარიშში) ასეთი თანხები უნდა შეიცავდეს მუხლებს, რომლებიც შედგება ფასს-ის შესაბამისად აღიარებული და შეფასებული თანხებისაგან;
5. წილი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების სხვა ერთობლივ შემოსავალში, რომლებიც აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით მუხლებში წილის ცალკე წარმოდგენით, რომლებიც შეესაბამება სხვა ფასს:
   - შემდგომში არ იქნება რეკლასიფიცირებული მოგების ან ზარალის შემადგენლობაში;
   - შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგების ან ზარალის შემადგენლობაში გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში;
6. ფინანსური ანგარიშგების აღქმადობისა და შესადარისობის მიზნის დასაცავად შეტანილია შენიშვნების თანმიმდევრული წარმოდგენის ან დაჯგუფების მაგალითები.

შესწორებების შედეგად ბასს (IAS) 1-ის 120-ე პუნქტიდან ამოღებულია მოგების გადასახადისა და საკურსო სხვაობის სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნების მაგალითები, ვინაიდან გაუგებარი იყო, რატომ ელოდება ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლე მუდამ ამ სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებას.

გარდა ამისა, ფირმებმა შეიძლება განიხილონ აუდიტორებთან და აქციონერებთან ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებისათვის კონკრეტული საანგარიშო პერიოდის მიმართ არსებითი და მართებული ინფორმაციის განსაზღვრის პროცესში.

შესწორებების გამოყენება შესაძლებელია ვადამდე. ამასთან, კომპანიები ვალდებული არ არიან განმარტებითი შენიშვნები წარადგინონ ბასს (IAS) 8 (პ.პ. 28-30) მიხედვით. მიუხედავად ამისა, თუ კომპანიამ გადაწყვიტა შეცვალოს შენიშვნების წესი (თანმიმდევრობა) ან წინა პერიოდთან შედარებით წარ-

მოდგენილი ან გამჟღავნებული ინფორმაცია, ბასს (IAS) 1-ის 38-ე პუნქტის შესაბამისად, მან ასევე უნდა შეიტანოს კორექტირება შესადარებელ ინფორმაციაში ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარმოდგენის ან გამჟღავნების მიმდინარე პერიოდთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დამატებების შეტანა საინვესტიციო ორგანიზაციების აღრიცხვაში

ფასს (IFRS) 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ (შემდგომში ფასს (IFRS) 10) მე-4 (ა) პუნქტი შეიცავს გამონაკლისს, რომელიც საშუალებას იძლევა არ იქნეს წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ დაცული იქნება მოცემული სტანდარტის გარკვეული სპეციფიკური კრიტერიუმები. კერძოდ, საინვესტიციო კომპანია გარკვეული კრიტერიუმების დაცვის შემთხვევაში არ არის ვალდებული წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თუ მას მოუწევს ყველა საკუთარი შვილობილი საწარმოს შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით.. ამ გამონაკლისის გამოყენებამ მთელი რიგი შეკითხვა გაუჩინა დაინტერესებულ მხარეებს.

ფასს საბჭოს მიერ შეტანილმა შესწორებებმა განმარტა ფასს (IFRS) 10, ფასს (IFRS) 12 “განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ (შემდგომში ფასს (IFRS) 12) და ბასს (IAS) 28 “ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ (შემდგომში ფასს (IAS) 28) გამოყენების ზოგიერთი ასპექტი, რომლებიც დაკავშირებული იყო საინვესტიციო ორგანიზაციების ზოგადი ხასიათის გამონაკლისთან. განვიხილოთ ეს ასპექტები.

1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს რა სახით უნდა გამოიყენოს სათავო საწარმომ ფასს (IFRS) 10-ის ზოგადი ხასიათის გამონაკლისი საინვესტიციო ორგანიზაციებისათვის, კონსოლიდირებული ანგარიშგების წარმოდგენის აუცილებლობის არარსებობის დროს, თუ საინვესტიციო ორგანიზაცია - ეს სათავო საწარმოა?

ფასს (IFRS) 10-ს დაემატა განმარტება იმის თაობაზე, რომ სათავო საწარმომ, რომელიც საინვესტიციო ორგანიზაციას წარმოადგენს, არ უნდა წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. მან უნდა შეაფასოს ყველა თავისი შვილობილი საწარმო მოგებასა ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად (იმ გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როდესაც ასეთი საწარმო არ წარმოადგენს საინვესტიციო ორგანიზაციას, მაგრამ მისი საქმიანობის მთავარი მიზანია ინვესტირების განსახორციელებლად საინვესტიციო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა). ადრე ფასს (IFRS) 10 შეიცავდა მოთხოვნას იმის შესახებ, რომ საინვესტიციო ორგანიზაციას უნდა მოეხდინა თავისი შვილობილი საწარმოების კონსოლიდირება, რომლებიც უზრუნველყოფენ საინვესტიციო ორგანიზაციის საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ვინაიდან ეს საქმიანობა მხოლოდ თავად საინვესტიციო ორგანიზაციის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. ეს განცხადება იქცა პრეტენზიების საბაბად დაინტერესებულ პირთა მხრიდან, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა სტანდარტის სხვა მოთხოვნებს. ფასს (IFRS) 10-ის 32-პარაგრაფის შესწორება განმარტავს, რომ საინვესტიციო ორგანიზაცია ახდენს მხოლოდ იმ შვილობილი საწარმოების კონსოლიდირებას, რომლებიც ერთდროულად ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებენ:

- შვილობილი საწარმო არ წარმოადგენს საინვესტიციო ორგანიზაციას;
- შვილობილი საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიზანია _ საინვესტიციო ორგანიზაციის საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა.

2. როგორ უნდა აღრიცხოს საკუთარი წილები მეკავშირე კომპანიებში ან საინვესტიციო ორგანიზაციების ერთობლივ საქმიანობაში კომპანიამ, რომელიც არ წარმოაგენს საინვესტიციოს?

პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევები, როდესაც კომპანიას, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციოს, ინვესტიცია აქვს ჩადებული შვილობილ კომპანიაში, რომელიც საინვესტიციო ორგანიზაციაა და, შესაბამისად, ეს შვილობილი კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებაში აფასებს წილებს თავის შვილობილ კომპანიებში რეალური ღირებულებით. ფასს (IFRS) 10 ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიამ, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციოს, არ უნდა მოახდინოს თავისი შვილობილი კომპანიის, რომელიც საინვესტიციო ორგანიზაციას წარმოადგენს, ფინანსური შედეგების კონსოლიდირება და შეინარჩუნოს კონსოლიდირებული საინვესტიციო ორგანიზაციის შვილობილი კომპანიების რეალური ღირებულებით შეფასება. ასეთ ვითარებაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიამ, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციოს, უნდა მოახდინოს თავისი საინვესტიციო შვილობილი კომპანიის შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია შესაბამისი თანმიმდევრობით, შემდეგ კი მოახდინოს თავისი საინვესტიციო შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია თავის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესწორებები ბასს (IAS) 28-ში განმარტავს, რომ თუ კომპანიას, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციო ორგანიზაციას, აქვს წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც საინვესტიციო ორგანიზაციას წარმოადგენს, მაშინ ასეთ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში თავისი წილების აღრიც-

ხვისათვის კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, შეუძლია შეინარჩუნოს ასეთი მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შვილობილი საწარმოების შეფასება რეალური ღირებულებით (ანუ უშუალოდ მისი ფინანსური ანგარიშგებიდან).

ამდენად, სათავო საწარმოს ინვესტირებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციო ორგანიზაციას, საჭირო იქნება შვილობილი საწარმოების, რომლებიც საინვესტიციო ორგანიზაციებს წარმოადგენენ, თუ მათ აქვთ რეალური ღირებულებით აღრიცხული თავისი შვილობილი საწარმოები, ფინანსურ ანარიშგებაში კორექტირება, ხოლო მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს ფინანსურ ანარიშგებაში - საჭირო არ იქნება.

3. ფასს (IFRS) 12 „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ“ (შემდგომში ფასს (IFRS) 12) გამოყენება საინვესტიციო ორგანიზაციების მიერ.

ცვლილებები ფასს (IFRS) 10-ში განმარტავს, რომ საინვესტიციო ორგანიზაციამ ფინანსური ანარიშგების შედგენის დროს, რომელშიც ყველა მისი შვილობილი საწარმო შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით (ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად), უნდა გაამჟღავნოს საინვესტიციო ორგანიზაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია ფასს (IFRS) 12-ის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს მოთხოვნებს, ასევე შეიცავს ბასს (IAS) 27.

შესწორებების ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტულად ბასს (IAS) 8-ის შესაბამისად. თუმცა, ფასს-ის პირველად გამოყენების შემთხვევაში, კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ მხოლოდ კორექტირების თანხა ბასს (IAS) 8-ის 28-ე პუნქტის თანახმად შედარებით გვიანი შესადარებელი პერიოდისათვის, და არა მიმდინარე და ყველა შესადარებელი პერიოდისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასს (IAS) 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“
2. ბასს (IAS) 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“
3. ბასს (IAS) 10 „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები”
4. ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები”
5. ბასს (IAS) 16 „ძირითადი საშუალებები” ბასს (IAS) 33 „შემოსავალი აქციაზე”
6. ბასს (IAS) 19 „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“
7. ბასს (IAS) 36 „აქტივების გაუფასურება”
8. ბასს (IAS) 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება”
9. ბასს (IAS) 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“
10. ბასს (IAS) 32 „ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა”
11. ბასს (IAS) 34 „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“
12. ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“
13. ბასს (IAS) 41 „სოფლის მეურნეობა”
14. ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება”
15. ფასს (IFRS) 5 „გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები”
16. ფასს (IFRS) 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“
17. ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“
18. ფასს (IFRS) 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება”
19. ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა”
20. ფასს (IFRS) 12 „განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ”
21. ფასს (IFRS) 14 „გადავადებული სატარიფო ანგარიშების განსხვავებები“
22. http://www.iaesb.org/
23. http://www.ifac.org/
24. http://www.iasplus.com/en/standards/effective-dates/effective-ifrs
25. http://www.iasplus.com/en/othernews/new-and-revised/march-2016
26. http://www.seeitmarket.com/financial-accounting-standards-ias-and-ifrs-changes-2013-2014/
27. http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/IFRS_Update_of_standards_and_interpretations_in_issue_at_31_March_2016/$File/IFRS%20Update-March2016.pdf
28. http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/IFRS_Update_of_standards_and_interpretations_in_issue_at_31_March_2015./$File/CTools-Update-March2015.pdf
29. http://www.pwc.com/us/en/cfodirect/standard-setters/iasb.html

Improvement of Business Accounting and Formation of Financial Accounting by Taking into Consideration IFRS and IAS

L. Sabauri
A. Khorava

Summary

From 2016 took an effect new IFRS 14 “Differences of Delayed Tarriff Accounts“ and also the whole number of changes were made in existed standard. In the Article there are examined important changes which are made by International Accounting Standards Board (hereinafter referred to as IASB) and which are actual for companies that use IFRS. In this article there are examined in detail and presented those changes consideration of which will be essential for demonstration of real financial condition of the companies and correct formation of financial accounting. Presented changes are given as of 01 2016.

Key Words: *Financial Reporting, Assesments uf the Assets and Liabilities, Employee Benefits, Agriculture*

მრავალვექტორიანობა-საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი

უშანგი სამადაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში დასაბუთებულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოსვლისათვის ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ობიექტური აუცილებლობა. ხაზგასმულია რომ, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვანია ზრდადი მოთხოვნა. საქრთველოს კი აქვს შეზღუდული საშინაო მოთხოვნა, რაც აფერხებს საშინაო წარმოებასა და ნაკლებ იზიდავს უცხოურ ინვესტორებს.

სწორედ ამიტომ, ავტორის აზრით, საჭიროა (თავისუფალი ვაჭრობის შესახებ არსებული და მომავალი შეთანხმებების საფუძველზე) საქართველოს საშინაო მოთხოვნას დაემატოს საგარეო მოთხოვნა, რათა გაიზარდოს ბაზრის მასშტაბი და ქვეყანა გახდეს უფრო მიმზიდველი უცხოურ ინვესტორთათვის. ხაზგასმულია, რომ ქვეყნის გარესამყაროსთან ეკონომიკური ინტეგრაციის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, თუ ევრაზიული საბაჟო კავშირი ეს არის, საბოლოო ანგარიშში, გზა მიმართული ჩიხისაკენ! ნათქვამის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულება უნდა იყოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელება და დივერსიფიცირებული საერთაშორისო ბაზრები ანუ გარე სამყაროსთან ეკონომიკური ინტეგრაციის მრავალვექტორიანობა.

შემოთავაზებულია ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებები, რომელთა სამეურნეო ცხოვრებაში გატარება, ავტორის აზრით, ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს განვითარების მრავალვექტორიანობაზე, ევროკავშირთან და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის გაფართოებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და, საბოლოო ანგარიშში, მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდრეობაზე, რაც წარმოშობს თითოეულ მოქალაქეში კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტიზმის გრძნობას.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ზრდა, საგარეო ეკონომიკური ლიბერალიზაცია, საგარეო ეკონომიკური ორიენტაცია, დივერსიფიცირებული საერთაშორისო ბაზრები, დაბალანსებული ინტეგრაცია, ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი.*

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკის ღიაობა (გახსნილობა). ამასთან, რაც უფრო მცირეა ქვეყანა, მით უფრო აშკარად ვლინდება აღნიშნული კანონზომიერება. სწორედ ამიტომ, საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გახსნილობა, ლიბერალიზაცია. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს ძლიერი კორელაცია (ურთიერთდამოკიდებულება) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის. ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტების მიერ ჩატარებულმა გამოთვლებმა აჩვენა, რომ იქ, სადაც ბოლო 25 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკის (პროტექციონისტული) პოლიტიკა, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 0,7%, ხოლო იქ, სადაც ატარებდნენ ღია ეკონომიკის (ლიბერალურ) პოლიტიკას, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ გაიზარდა ხუთჯერ მეტად, ანუ 3,5%-ით **[1,გვ.63].**

ზემოთქმულთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ თუ ღიაობის (კარგახსნილობის) პირობებში საით უნდა მიმართოს საქართველომ საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის ვექტორი? ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია: პოლიტიკოსების, მეცნიერ-ეკონომისტებისა და მეწარმეების **ერთი ჯგუფი** მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებას; **მეორე -** საქართველოს ევრაზიულ საბაჟო კავშირში ინტეგრაციას; **მესამე ჯგუფი** მიიჩნევს, რომ საქართველომ ინტეგრაცია უნდა მოახდინოს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ცხადია, თითოეულ ამ მიმართულებას, დამაჯერებელი არგუმენტების შემთხვევაში, აქვს არსებობის უფლება. თუმცა, მთავარია იმის გათვალისწინება თითოეული ვარიანტის შემთხვევაში როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკური სარგებელი და დანაკარგები.

სწორედ ამიტომ, როცა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის საკითხი დგება, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ: საქართველოს არა ჰყავს მუდმივად კარგი და მუდმივად ცუდი ეკონომიკური პარტნიორი, საქართველოს აქვს მუდმივი ეკონომიკური ინტერესი. შესაბამისად, მისი საგარეო ეკონომკური ორიენტაციის ვექტორი იქით უნდა გადაიხაროს, საითაც მეტი ეკონომიკური სარგებელი ექნება. აქედან გამომდინარე, **საქართველოს გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ერთადერთი გზა, იქნება ეს ევროკავშირი, ევრაზიული საბაჟო კავშირი, თუ აშშ, ეს არის გზა არსაით! სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და რისკების შემცირების მიზნით ქვეყანამ ნებაყოფლობითი, ურთიერთხელსაყრელი და დაბალანსებული ინტეგრაცია უნდა მოახდინოს არა მხოლოდ ხსენებულ სამ მხარესთან, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

ნათქვამის დამადასტურებელია ქვემოთ მოხმობლი სტატისტიკური მონაცემები. თუ რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებულ ემბარგომდე და რუსეთ-საქართველოს ომამდე საგარეო ვაჭრობაში ნომერ პირველი პარტნიორი რუსეთი იყო, მერე მას თურქეთი ჩაენაცვლა. მართალია, 2006 წლის ემბარგოს შემდეგ ქართულმა ღვინომ და წყალმა ბაზრების დივერსიფიკაცია მოახდინა, მაგრამ როგორც კი გასული 2013 წლის ზაფხულში რუსეთის ბაზარი გაიხსნა, რუსეთში მოთხოვნა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ნავარაუდევი 10 მლნ ბოთლის ნაცვლად, მარტო 6 თვეში 21-22 მლნ ბოთლი შევიდა, რაც ღვინის მთლიანი ექსპორტის უკვე 40%-ს შეადგენს. ქართული ღვინის ექსპორტში რუსეთის წილი გაიზარდა უკრაინაში დაძაბულობის გამო. **სწორედ ამიტომ, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ღვინის საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაცია.**

რუსეთისა და უკრაინაში ღვინის ექსპორტის ბაზრის ალტერნატიული ბაზრების ძიებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი, ალბათ, ასეთ ალტერნატივად ვერ გამოდგება. იმიტომ, რომ ევროკავშირის ბაზარზე ქართულ ღვინოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი კონკურენტები პორტუგალიის, იტალიის, საფრანგეთის, თურქეთის, ჩეხეთის, ავსტრალიის და სამხრეთ აფრიკის ღვინოების სახით. ქართული ნაწარმის ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრება გართულებულია იმის გამოც, რომ ამ ბაზარზე ჩეხეთის ღვინო 6-ჯერ უფრო იაფია**.**

სამაგიეროდ, ღვინის ბაზრის საკმაოდ დიდი პოტენციალია ჩინეთში, რომელიც თავად ღვინის უმსხვილესი მწარმოებლების ხუთეულშია. აქ წელიწადში 3 მლრდი ლიტრი ღვინოზეა მოთხოვნა. Aაქედან საქართველომ 1%-იც რომ მოიპოვოს ეს არის 30 მლნ ლიტრი ღვინო. თუმცა, გასათვალისწინებელია, ისიც რომ ჩინეთში ღვინის შეტანაზე მაღალია საბაჟო ტარიფი, ასევე დაბალია ქართული ღვინის ცნობადობა **[2, გვ. 3]. სწორედ ამიტომ, საჭიროა ჩინეთთან მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით და პარალერულად ჩინელი მოსახლეობის ცნობირებაში ქართული ღვინისა და საქართველოს პოზიტიური პოზიციონირება ანუ ბრენდირება.**

დღეის მდგომარეობით, რუსეთის წილი ქართულ ექსპორტში 9.4% შეადგენს, რაც მცირედით ჩამორჩება საქართველოს საექსპორტო ბაზრის ლიდერის - უკრაინის 10.4%-იან წილს. ამავდროულად, 2014 წლის იანვრის მონაცემებით, მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 6.7%-იანი წილით, რუსეთმა უკვე გადაასწრო უკრაინის 6.3%-ს და საქართველოს ნომერ მეოთხე სავაჭრო პარტნიორად ირიცხება უკრაინაზე წინ, რომელმაც მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ნათქვამზე მეტყველებს, ასევე ბოლო წლებში საქართველოს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის სისტემატიური ცვლა **[3].**

არც ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაა უცვლელი. ასე მაგალითად, არც ისე შორეულ წარსულში საქართველოს ექსპორტულ პროდუქციაში №1 მუხლი იყო “გაჭირვების ექსპორტი”- ანუ “ჯართის ექსპორტი”. როგორც იქნა იგი აღარ არის უპირველესი მუხლი. იგი ჩაანაცვლა შედარებით ნაკლებად “გაჭირვების ექსპორტმა” - მსუბუქი ავტომანქანების რეექსპორტმა, რომელმაც, ასევე, დაკარგა პოზიცია პარტნიორ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი) ახალი რეგულაციების შემოღების გამო.

ხაზგასასმელია, რომ თვით ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით, არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან სუვერენულად გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად მოახდინონ საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. **საქართველოს შეუძლია საკუთარი ნებასურვილის მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდავეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ყაზახეთთან, ირანთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან, ან სხვა ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.**

ევრაზიული საბაჟო კავშირის საპირისპიროდ, თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ ითხოვს პარტინიორებისგან თავიანთი საიმპორტო და საექსპორტო მოსაკრებელი სხვა სავაჭრო პარტნიორების ასეთივე

მოსაკრებელს გაუთანაბრონ, ასევე, არ ავალდებულებს მათ, იქონიონ ასეთივე სავაჭრო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს მიმართ.

თვით პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილებაც ცხადყოფს, რომ ამ ქვეყებმა ევროკავშირში გაწევრიანების პირობებშიც კი შეინარჩუნეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, როგორც გეოგრაფიულად და ისტორიულად ახლომყოფ რუსეთთან, ასევე დსთ-ს სხვა ქვეყნებთან. ასე მაგალითად, პოლონეთის გამოცდილება უარყოფს იმ აზრს, რომ ევროკავშირის წევრობა ავტომატურად გამოიწვევს აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების "გაგრილებას". პირიქით, პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ექსპორტი აღმოსავლეთის რეგიონში, კერძოდ რუსეთში, რაც გამოიწვია პოლონეთის ეკონომიკის საერთო კონკურენტუნარიანობის ზრდამ. თუ 2004 წელს აღმოსავლეთის ქვეყნების წილი პოლონეთის ექსპორტსა და იმპორტში შეადგენდა 7.0 და 9.7%-ს შესაბამისად (რუსეთზე მოდიოდა 1.7 და 2.1%), 2012 წელს იგი გაიზარდა 10.0 და 16.3%-მდე (რუსეთის წილი შესაბამისად გაიზარდა 5.4 და 14.3%-ით). ვფიქრობთ, ეს სავსებით ნორმალურია**.**

ის, რომ ევროკავშირის თავისუფალი სავაჭრო სივრცე ასოცირებულ და, მით უფრო, სრულფასოვან წევრებს უნარჩუნებს სუვერენულ უფლებას არაწევრ - ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში, ვფიქრობ, ერთდროულად კარგიც არის და ცუდიც.

მოკლევადიან პერიოდში კარგია, რადგან ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა, ხარისხი, უვნებლობა და უსაფრთხოება ერთბაშად ევროსტანდარტებზე ვერ გავა. აქ აჩქარება არ ეგების. არ უნდა გავიმეოროთ პოლონეთისა თუ ბალტიისპირეთის ქვეყნების უარყოფითი გამოცდილება**.** ასე, მაგალითად, ექსპერტების აზრით, **უმუშევრობის პრობლემა არის პოლონეთის ევროკავშირში გაერთიანების ნეგატიური ეფექტის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი.** უმუშევრობის მაღალ დონეს კი ხსნიან ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობის დემონტაჟის მცდარი პოლიტიკით, რაც, თავის მხრივ, გახდა მიზეზი მძიმე მანქანათმშენებლობის დაცემისა, რომელიც ორიენტირებულია დასახელებულ ინდუსტრიაზე. ეს გამოიწვია ევროკავშირის მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტების ზეწოლამ, რომელმაც მოქმედება დაიწყო რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. პოლონეთის ხელისუფლებამ მიზანშეუწონლად და ეკონომიკურად არარენტაბელურად ჩათვალა ამ საწარმოების ეკოლოგიურობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების დაბანდება. ეს მაშინ, როცა აღნიშნული დარგები ქმნიან სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელთა ლიკვიდაციის კომპენსირებას ვერ მოახდენს მაღალტექნოლოგიური წარმოების და მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის დინამიური განვითარებაც კი. უკრაინაში კი, მძლავრი სამრეწველო საწარმოების (თუმცა, ეკოლოგიურად მავნე საწარმოების) შენარჩუნების წყალობით, მნიშვნელოვნად დაბალია უმუშევრობის დონე. უკრაინის ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი უპირატესობა არის უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე**.** ან კიდევ, ბალტიისპირეთის ქვეყნები უცებ გადავიდნენრა ევროკავშირის სტანდარტებზე, წვრილი ფერმერების 70% გაკოტრდა, რადგანაც ისინი სწრაფად ვერ მოერგნენ ევროკავშირის სტანდარტებს და ევროპულ აკრედიტებულ სახელმწიფო კონტროლის ეფექტიან სისტემას **[4,გვ.2]** . სწორედ ამიტომ, **საქართველომ აუჩქარებლად და თანმიმდევრულად უნდა გადახედოს და შეცვალოს ეკონომიკური კავშირები დსთ-ან. აქ გრძელვადიანი მიზნები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. დივერსიფიცირების ანუ რისკების შემცირების მიზნით არც ერთ ქვეყანაზე (მით უფრო გარკვეული რისკების შემცველი დსთ-ს სივრცის ქვეყნებზე) არ უნდა მოდიოდეს საქართველოს ექსპორტისა თუ იმპორტის 25%-ზე მეტი და ამავდროულად ჩამოყალიბდეს საგარეო ვაჭრობის უფრო თანამედროვე, მოქნილი სტრუქტურა. საქართველოს ჰყავს მოსახლეობითა და ტერიტორიით დიდი და ეკონომიკურად სუსტი მეზობლები (რუსეთი,უკრაინა, თურქეთი) და ეკონომიკურად ძლიერი ევროკავშირი. საქართველო სუსტებზეა ორიენტირებული. საქართველომ ეტაპობრივად, უმტკივნეულოდ უნდა მოახდინოს სუსტებიდან ძლირებზე გადასვლა, გადამისამართება.**

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, გრძელვადიან პერიოდში ყველაზე ცუდი, რაც შესაძლებელია მოჰყვეს დსთ-ან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას (რასაკვირველია, იმ შემთვევაში თუ არ ამაღლდება ამ სივრცეში პროდუქციის სტანდარტები და თუ კვლავ მოხდება ეკონომიკის პოლიტიზაცია!) არის საქონლის დაბალი ხარისხი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დსთ-ს ბაზრების დაბალი მომთხოვნელობა საქონლის ხარისხისადმი სამამულო საწარმოებს უბიძგებს მაგრად ჩაებღაუჭონ ამ ბაზრებს, ვინაიდან იქ შედარებით იოლია პროდუქციის გასაღება, ვიდრე ევროკავშირისა თუ სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე.

გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყნების საფუძველზე ჩამოყალიბებული რეგიონული სავაჭრო შეთანხმების სიკეთეების მიუხედავად, სამწუხაროდ, რუსეთი ვერ იქცა საქართველოს საიმედო სავაჭრო პარტნიორად, რადგან მის დამოკიდებულებაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ტრადიციულად პოლიტიკური

მოტივი დომინირებს, რისი ნათელი დადასტურებაა 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ ემბარგოს შემოღება **(5,გვ. 45)** და 1994 წელს საქართველოსთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაუქმების მცდელობები**.**

აქსიომატურია, რომ **ადამიანებსა თუ ქვეყნებს ყველაზე მძლავრად ადუღაბებს საერთო ეკონომიკური ინტერესები, მაგრამ რატომღაც ევროპასაც საქართველო უფრო პოლიტიკურად აინტერესებს, ვიდრე ეკონომიკურად და ის ამას არც მალავს:** "ევროკავშირი შეთანხმებას დებს საქართველოსთან, რადგან მიაჩნია, რომ საქართველო ადგას ევროპულ გზას და მისი სურვილი ევროპული მართვის მოდელის დამკვიდრებაა. **საქართველო ევროკავშირისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პარტნიორია, თუმცა, ეკონომიკურად ნაკლებმნიშვნელოვანი.** სწორედა მიტომ ამბობს დამოუკიდებელი კვლევა, რომ შეთანხმების საერთო გავლენა ევროკავშირზე – საქართველოს სიდიდისა და დანარჩენ მსოფლიოსთან ევროკავშირის ვაჭრობაში საქართველოს წილის (0.1%) გათვალისწინებით – უმნიშვნელო იქნება. ამის საპირისპიროდ მოსალოდნელია, რომ ყოველწლიურად საქართველო დამატებითი შემოსავლის სახით თითქმის 300 მლნევროს, ანუმშპ–ს 4.3% მიიღებს, თუკი რეფორმები განხორციელდება. **ასე რომ, საქართველოს მიერ შეთანხმებიდან მიღებული სარგებელი რეფორმების პროცესზეა დამოკიდებული." [6,გვ.3].** გამოდის, რომ სამამულო ეკონომიკის განვითარების მოძრაობა და ლოგიკა ყოველთვის არ არის განპირობებული მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით. ეს კი, ჩემი აზრით, საქართველოს ეკონომიკურ პერსპექტივას ნაკლებ ოპტიმისტურსა და პოზიტიურს ხდის.

ცხადია, სტაბილური, უსაფრთხო და 28 ქვეყნისაგან შემდგარი 500 მილიონიანი და მაღალი მყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე - 32000 აშშ დოლარი) ევროკავშირის ბაზარი უფრო მიმზიდველია, ვიდრე სამი ქვეყნისაგან შემდგარი 170 მილიონიანი და შედარებით დაბალი მყიდველობითუნარიანი (რეალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე-დაახლოებით - 16000 აშშ დოლარი) ევრაზიული საბაჟო კავშირი, სადაც ხშირია ეკონომიკის პოლიტიკური მიზნით გამოყენების ფაქტები. დიახ, ევროკავშირის ბაზარი ერთობ მიმზიდველია, მაგრამ ამავდროულად მაღალი მომთხოვნიც. სწორედ ამიტომ, საქართველოს სავაჭრო კავშირები ამ ბიზნეს-სამყაროსათან უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს იმ ზომით, რა ზომითაც გაიზრდება საქართველოს პროდუქციის კონურენტუნარიანობა - ხარისხი, უვნებლობა, უსაფრთხოება და კანონმდებლობა, სახელმწიფო აკრედიტაციის სისტემა, ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი კადრების კვალიფიცაცია დაუახლოვდება ევროპულს. გონიერ და ფხიზელ ევროპელ ბიზნესმენს ვერ შეიყვან შეცდომაში დაპირებებით, განსაკუთრებული და შეღავათიანი პირობებით, რომლითაც იგი ისარგებლებს პრივილიგირებული წესით. ის დაიჯერებს და ენდობა მხოლოდ იმ პირობებს, რომელიც ვრცელდება მთელს ქვეყანაში.

ყველა ნორმალური, საღად და სტრატეგიულად მოზროვნე ხელისუფლება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეყნობრივ (გეოგრაფიულ) და პროდუქტიულ დივერსიფიკაციას ახდენს, ბაზარზე გასვლის ახალ-ახალ, მოკლე, უსაფრთხო და ეკონომიურ გზებს ეძებს, ანუ ახორციელებს დაახლოების და არა გაუცხოების პოლიტიკას. ქვეყნისთვის ერთი და ორი საგარეო ბაზარი 25%-ზე მეტი წილით დივერსიფიკაციას არ ნიშნავს. რაც მარავლფეროვანია, დივერსიფიცირებულია ბაზარი, მით მცირეა რისკები და მით მაღალია გრძელვადიანი წარმატებების შესაძლებლობა და პირიქით. მაგალითად, **უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდ ქვეყნებს, სადაც როგორც მოსახლეობა, ასევე ეკონომიკა იზრდება, უმეტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან. ესაა**: სამხრეთკორეა, სინგაპური, ტაილანდი, იაპონია, ჩინეთი, ინდონეზია**.** საყურადღებოა, თუ რა საერთო მახასიათებლები ჰქონდა ამქვეყნები სეკონომიკურ განვითარებას. **ზემოთ ჩამოთვლილი სწრაფად მზარდი ქვეყნების მთავარი საერთო თავისებურება წარმოების დივერსიფიკაციის მაღალი მაჩვენებელია.** მართლაც, სამხრეთ კორეას რომ არ აერჩია დივერსიფიცირების გზა და ტრადიციულ კონკურენტულუპირატესობას გაჰყოლოდა, დღეს ის კვლავ ბრინჯის მწარმოებელი ქვეყანა იქნებოდა და არა მსოფლიო ლიდერი ავტომობილების, ელექტოტექნიკისა და ე.წ. „სმარტფონების" წარმოებაში.მაშასადამე, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ საქართველოში შესაძლოა წარმოების სრულიად ახალი დარგები აღმოცენდეს და განვითარდეს.

დიახ, საქართველოს მცირე საექსპორტო ბაზრის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება უფრო ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნას შეუწყობს ხელს, ვიდრე არსებულის გაფართოებას. ეს ვარაუდი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც არსებული საექსპორტო კალათა თითქმის არანაირ გადამუშავებულ პროდუქტს არ მოიცავს. ჯერჯერობით საქართველოს მრეწველობის რამდენიმე სექტორი შრომის საერთაშორისო დანაწილების მიღმაა. საექსპორტო პოტენციალი კვლავ გამოუყენებელია. რეალური ეკონომიკური ზრდის არსებითი მატება, სავარაუდოდ, საქართველოს საექსპორტო კალათის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს დაემთხვევა. ამიტომ, ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკის მიზანი იმავე პროდუქტის მოცულობის გაზრდა კი არ უნდა იყოს,

არამედ იმ ახალი საექსპორტო პროდუქტების აღმოჩენა და გამოყენება, რომელთა კონკურენტული წარმოება შესაძლებელია შედარებით დაბალი სავაჭრო ბარიერებისა და ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებით **[7.გვ.20-21].**

საქართველოს საექსპორტო პროდუქციაში რესურსების უპირატესი წილი მართლაც იმას მოწმობს, რომ ქვეყნის გადამამუშავებელი მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ ჩაწნულა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს უდავოდ პრობლემაა, მაგრამ, ამავდროულად, ექსპორტის ზრდის ერთგავრი ახალი შესაძლებლობა და რეზერვი. საქართველოში სამრეწველო ინდუსტრიას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ისეთი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში, რომელიც "სასტუმროებისა და რესტორნების" ეკონომიკაზე დიდად უფრო მნიშვნელოვანი იქნება. მრეწველობის აღორძინების გარეშე, საქართველოს გაუჭირდება ყველაზე კვალიფიციური მოქალაქეების შენარჩუნება. თუ საქართველო უგულებელყოფს მრეწველობის ფაქტორს და "სასტუმროებისა და რესტორნების" ეკონომიკად დარჩება, რატომ უნდა შეიწუხონ თავი საქართველოს ახალგაზრდებმა საზღვარგარეთ სწავლით, რომელიც საკმაოდ რთული და ძვირია? ან რატომ უნდა დარჩნენ ისინი საქართველოში, სადაც ცოდნისა და ნიჭის გამოყენების საშუალება არ მიეცემათ? ან საერთოდ რატომ უნდა მომზადდეს ბიზნესის მართვის სპეციალისტები? **(8,გვ.52).**

თუ არ გვექნება ელექტროენერგია, ვერანაირ საწარმოზე პრეტენზიას ვერ განვაცხადებთ იმიტომ, რომ საწარმოებს სჭირდებათ ელექტროენერგია. საწარმოები ეს არის ერთ-ერთი საშუალება ხალხის დასაქმების, მით უმეტეს შეგვიძლია ეს ქალაქებში იყოს განლაგებული. **ამიტომაცაა, რომ დღეს საქართველოს ეკონომიკური ზრდა პირდაპირ უკავშირდება სამრეწველო ინდუსტრიის შექმნას, რაც, თავის მხრივ, ენერგეტიკის განვითარებას მოითხოვს.** წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო დარჩება ჩამორჩენილი ქვეყანა. ენერგო დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, საჭიროა სერიოზული გაძლიერება. ამისთვის კი საჭიროა დამატებითი შემოსავლები და ინვესტიციები. საქართველო შეზღუდული რესურსების ქვეყანაა და ყველა სახის ნედლეული არ გვაქვს. ამიტომ აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მდიდარი ჰიდრორესურსების ეფექტიანი გამოყენება. ცხადია, ეს უნდა მოხდეს ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. რისკები და ზიანი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი. ამ მიმართებით სახელმწიფოს მიდგომა უნდა იყოს ასეთი: **მოუსმინოს სამამულო და უცხოელ ექსპერტებს, სპეციალისტებსა და მოსახლეობას და შემდეგ მიიღოს ინტერესების დამბალანსებელი ოპტიმალური გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ალტერნატიული ენერგეტიკაც უნდა განვითარდეს.**

მრეწველობის, კერძოდ, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარების სტიმულირებისათვის კი აუცილებელია სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის ამაღლება. თუ სოფლის მეურნეობაში წვრილი გლეხური მეურნეობების კოოპერირებით, შრომის კაპიტალაღჭურვილობისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებით არ ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, არ გამოთავისუფლდა აქედან სამუშაო ძალა მეორეული და მესამეული დარგებისათვის, ვერ განვითარდება მასთან დაკავშირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობა, ასევე, ტურიზმი, სადაც სამრეწველო პროდუქციისა და მომსახურების 50-60% იწარმოება და სადაც გაბატონებულია მცირე და საშუალო ბიზნესი.

ამის გამოა, რომ სოფლის მეურნეობა არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მიზანშეწონილია არა უბრალოდ გლეხური ნატურალური მეურნეობა, არამედ საშინაო და საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული, ინდუსტრიული ფერმერული მეურნეობა (კოოპერატივი), რომელიც დაფუძნებული იქნება სასოფლო სამეურნეო მუშაკებისათვის მომზადება-გადამზადების, მარცვლეულის ახალი სახეობების, სათესლე მასალის, გენეტიკურად პროდუქტიული ცხოველთა ჯიშების, წარმოების პროგრესული ტექნოლოგიების, აგრო-ტექნიკის, შხამქიმიკატების, სასუქების, საირიგაციო სისტემის, საიმედო სადისტრიბუციო არხების, ბაზრებისა და ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. სოფლის მეურნეს, ასევე, უნდა მიეცეს თანამედროვე ცოდნა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ აწარმოოს უფრო ეფექტიანად მოთხოვნადი პროდუქცია მისაღები სტანდარტებით; სად მოახდინოს უკვე მოყვანილი პროდუქტის რეალიზება. წელიწადის ნებისმიერ დროს ქართულ პროდუქციაზე ტურისტთა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სასაწყობო მეურნეობა და შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები. სოფლად ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეუნეო წარმოებას, არამედ საერთოდ, სოფლის კომპლექსურ განვითარებას, სოფლის მეურნეობისათვის ბაზრის მოძიებას და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად სოფლის მეურნეობის სტრუქტურის გარდაქმნას.

ახალი, ქართული ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით ევროპულ კომპანიებს აქვთ ალტერნატივა: ან გაზარდონ მზა პროდუქციის ექსპორტი და ინვესტიციები ლოგისტიკაში, ან გააფართოონ კაპიტალის ექსპორტი საქართველოში, მოაწყონ აქ საკუთარი თუ ერთობლივი საწარმოები. **მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყანა ეკონომიკურ ინტეგრაციას იწყებს ექსპორტ-იმპორტით და არა ინ-**

ვესტიციებით. ამიტომ, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გარდამავალ ეტაპზე (ანუ ღრმა და ყოვლის მომცველი სავაჭრო რეჟიმის პირობებში) ევროპული პარტნიორი საწარმოები აქ, ალბათ, გაიფართოებენ, პირველ რიგში, საქონლის ექსპორტს და არა ინვესტიციებს და ტექნოლოგიებს. ასევე, ზედმეტად არ უნდა იქნეს შეფასებული ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობა. „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე“ ქართველ მეწარმეებს დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა, **შეთანხმების ხელმოწერისთანავე ანუ მოკლევადიან პერიოდში ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი ვერ დაფიქსირდება,** რადგან ქართული საექსპორტო პროდუქციისათვის უტარიფო დაშვება არ წარმოადგენს ძირითად ბარიერს. პროდუქციის ხარისხთან ერთად სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემაც გარანტირებული უნდა იყოს. მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ამოქმედების შემდეგ არის შესაძლებელი, რომ ევროკავშირმა მაღალი რისკის შემცველ პროდუტებზე (ხორცპროდუქტები, რძისპროდუქტები, თაფლი და სხვა) საქართველოდან ექსპორტი დაუშვას. მეწარმემ უნდა უზრუნველყოს, რომ პროდუქციის ხარისხი ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. სპეციალური მომზადება სჭირდებათ სახელმწიფო ორგანოებსაც. მაგალითად, სურსათის უვნებლობის სააგენტო უნდა იყოს იმ დონეზე, რომ მან შესაბამისი ინსპექტირების ჩატარება შეძლოს. როდესაც ქვეყანა განაცხადებს მზადყოფნას და იტყვის, რომ მაგ. ხორცპროდუქტების წარმოების სისტემა ევროკავშირის სტანდარტებს შეესაბამება, მაშინ ჩამოვა მისია და ამ სისტემას შეამოწმებს **[9,გვ1]. გარადამავალი პერიოდის გასვლის, ანუ დაახლოებით რვა წლის, შემდეგ ევროპული ხარისხის მოთხოვნები სავალდებულო გახდება როგორც ექსპორტიორებისთვის, ისე ადგილობრივი ბაზრის რეალიზატორებისთვის.**

საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გაზრდის სამამულო და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ხელს შეუწყობს ახალი კომპანიების შექმნას და ეკონომიკის რამდენიმე სექტორის მოდერნიზებას რეფორმების საშუალებით, რაშიც საქართველოს ევროკავშირიც დაეხმარება. ინვეტიციების მოსალოდნელი ზრდის ხარჯზე შეიქმნება სამუშაო ადგილები, რაც დადებითად აისახება ხელფასების ზრდაზე. ჰარმონიზებული წესების შემუშავება მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის მეტად გამჭვირვალე გახდება და უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობიდან. თუმცა, ევროკავშირის წევრი თუ არაწევრი ქვეყნების ინვესტიორების საქართველოში მოზიდვაში დიდ კონკურენციას გვიწევს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი თურქეთი, რომელსაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 1963 წლიდან და რომელიც მოსახლეობის რაოდენობით საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს დაახლოებით თხუთმეტჯერ, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ით დაახლოებით სამჯერ აღემატება **[10.გვ.241];** ე.ი. ქვეყნის ხელისუფლებამ ისე მიმზიდველად უნდა “შესთავაზოს” საქართველო უცხოელ ინვესტიორებს, რომ იგი გააცნოს, მოაწონოს, მოანდომოს და არჩიონ თურქეთს.

სამართლიანობიდან გამომდინარე, ასოცირების შეთანხმება გარკვეულწილად არათანაბარ პირობებაში აყენებს მხარეებს. მაგალითად. შეთანხმების **თანახმად, 28 სატარიფო ხაზზე (ხილი, ბოსტნეული, ყურძენი ანუ რაც საქართველოსთვის სტრატეგიულია) იმოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“ - Entry Price, ანუ იმპორტის ფიქსირებული ფასი.** ეს ნიშნავს, რომ თუ საქართველოში შექმნილი პროდუქციის გასაყიდი ფასი (საინვოისო ფასი) ევროკავშირის დადგენილ ფიქსირებულ ფასზე დაბალი იქნება, იმპორტიორს ამ ფასთა სხვაობის დაფარვა მოუწევს, ხოლო თუ გასაყიდი ფასი ევროკავშირის „ფასის“ ტოლი ან მასზე მეტი იქნება, პროდუქცია საბაჟო გადასახადისგან სრულად გათავისუფლდება. **ევროკავშირიდან საქართველოში კი ძირითადი 28 პროდუქტი შემოვა დაუბეგრავად.**

ისიც უნდა ითქვას, რომ ეკონომიკა მოძრაობაში მოჰყავს ენერგომატარებლებს. არადა, ევროპას არც ნავთობისა და არც გაზის დიდი მარაგები არა აქვს. ამჟამად ევროკავშირი ახდენს ნედლ ნავთობზე მოთხოვნის 70%-ის იმპორტს, ხოლო 2030 წლისათვის იგი 90%-მდე გაიზრდება. დღეს ბუნებრივი აირის 40%-მდე იმპორტირებულია, 2030 წლისათვის პროგნოზის თანახმად ეს ციფრი თითქმის 70-%მდე გაიზრდება **[11,გვ. 24-25]. ე. ი. ამ მიმართებით ევროკავშირში არ იკვეთება ოპტიმისტური პერსპექტივა.**

მთლიანობაში, სამამულო ეკონომიკისთვის ევროპული ინტეგრაციის ვექტორის პოტენციური სარგებელი ძალიან მიმზიდველია, თუმცა, საფრთხეც ბევრია. ამ მიმართულებით წარმატების მიღწევა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის ხელმძღვანელობის, სამამულო მეწარმეთა ფენისა და ევროკავშირის ერთობლივ ძალისხმევასა და მათ კოორდინირებულ მოქმედებაზე. თუმცა, მთავარი მაინც ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნებაა ეს მოძრაობა მიიყვანოს ევროკავშირთან სრულფასოვან ინტეგრაციამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველო დარჩება მხოლოდ ასოციაციისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონის ეტაპზე, იგი დაკარგავს ჩრდილოეთის ვექტორის შესაძლებლობებს და ამავდროულად ვერ

მიიღებს საგრძნობ დივიდენდებს დასავლეთის მიმართულებითაც. საქართველო დარჩება ცივილიზებული ევროპის სანედლეულო და მდარე ხარისხის საქონლის გასაღების ერთგავრ დანამატად, გარკვეულწილად დაკარგავს სუვერენულობას, რადგანაც რიგ საკითხებში (როგორიცაა კანონმდებლობის ჰარმონიზება, ტექნიკური რეგლამენტაციების შემუშავება, საერთაშორისო აკრედიტაცია და მისი დაცვა, წარმოებული პროდუქციის მიერ ეკოლოგიური, ფიტოსანიტარული მოთხოვნების დაცვა და სხვა), მართვას დაექვემდებარება ბრიუსელიდან. ევროკავშირთან ინტეგრაციის საბოლოო ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოხდება შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ქართულ რეალობაში განხორციელება. საჭიროა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა.

ევროკავშირთან, ევრაზიულ საბაჟო კავშირთან და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის საფუძველზე საქართველოს კომპანიების საშინაო და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია:

ევროკავშირთან ინტეგრაცია გულისხმობს არა ტერიტრიული, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონითა და ფასეულობების (დემოკრატიული, კულტურული, საგანმანათლრბლო და სხვა) მიხედვით დაახლოებას.

- საქართველოს საშინაო მოთხოვნას დაემატოს საგარეო მოთხოვნა და წახლისადეს ექსპორტი და არარაციონალური იმპორტის ჩანაცვლება. ყოველივე ამისათვის აუცილებელია გრძელვადიანი ინვესტიციები;
- გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის კი აუცილებელია **ქვეყანაში არა არასტაბილურობის სტაბილურობა (რასაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს ჰქონდა ადგილი კოაბიტაციის სახით და დღეს გრძელდება პოლიტიკური კინკლაობის სახით) ან არა უბრალოდ მდგრადი, არამედ პროგნოზირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა.** ამ უკანასკნელის გარეშე ინვესტიციებზე საერთოდ და, მით უფრო, გრძელვადიან უცხოურ ინვესტიციებზე და მის თანმდევ დადებით ეფექტებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არადა, ინვესტიცია ეკონომიკისთვის იგივეა, რაც საწვავი ავტომობილისთვის. როგორც საწვავის გარეშე ვერ მოძრაობს ავტომობილი, ისე ინვესტიციების გარეშე. თავის მხრივ, ინვესტორი არის ე. წ. ლაკმუსის ქაღალდი, რომლითაც ფასდება ქვეყანაში საინვესტიციო გარემო (კლიმატი). **საჭიროა ერის ერთობა და არა დაპირისპირება და გათიშულობა. ინვესტორთათვის ქვეყანა უნდა იყოს უსაფრთხო, კომფორტული და ამავდროულად არსებობდეს აქ წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გატანის მოკლე, ეკონომიური და უსაფრთხო გზები;**
- არა მხოლოდ დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო ფუნქციაზე, გარედან მიღებულ შემოსავლებსა და იმპორტზე ორიენტაცია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, საშინაო წარმოების გაჩაღება, საშინაო და საგარეო კონკურენტუნარიანობის ამაღლება და დაკარგულ ტერიტორიებთან და სამხრეთ კავკასიის უშუალო მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი და სომხეთი), მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიით დიდ, მაგრამ ჯერ კიდევ ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებთან (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი და სხვა), ევროკავშირთან და განვითარებულ ქვეყნებთან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იაპონია და სხვა) სულ უფრო სრული, ფართო, ორმხრივი ინტეგრაცია. **საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთავარი ვექტორი უნდა იყოს დივერსიფიცირებული საერთაშორისო ბაზრები და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტიანი განხოციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჰარმონიზაციის ვადები გახანგრძლივდება. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ საქართველო არის არა მხოლოდ გლობალური ეკონომიკის, არამედ რეგიონული ეკონომიკის ნაწილიც და საჭიროა ამ მიმართებით ინტერესთა დაბალანსება;**
- **ევროკავშირთან და მსოფლიოსთან ინტეგრაციის გაფართოება-გაღრმავებისათვის საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს ეროვნული მეურნეობის მოდერნიზაცია და დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება, რომ არც ერთ ქვეყანაზე, მით უფრო გარკვეული რისკების შემცველი დსთ-ს სივრცის ქვეყნებზე, არ მოდიოდეს საქართველოს ექსპორტისა თუ იმპორტის 25%-ზე მეტი).** მოდერნიაზცია გულისხმობს პოსტსაბჭოური ეროვნული ეკონომიკის, ტექნიკისა და ტექნოლოგიების თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად განახლებას, ანუ მის გათანამედროვეობას. ეს მოითხოვს ჰიდროენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, ტურიზმისა და საქართველოს, როგორც რეგიონის საერთაშორისო მნიშვნელობის ლოგისტიკური ჰაბის (ცენტრის) ფორმირებას;
- **საგარეო ვაჭრობის ბალანსის უარყოფითი სალდოს მინიმიზება. ამ მიმართებით საჭიროა ეკონომიკური ზრდის სტიმულირება ექსპორტის ზრდით, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციი-**

თა და დივერსიფიკაციით (ექსპორტზე ორიენტაცია პირველ რიგში შეეხება მსხვილ საწარმოებსა და უცხოურ ინვესტიციებს. ამგვარი ორიენტაცია უფრო მეტ ხარჯებთან არის დაკავშირებული). ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა, მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ივესტიციების მოზიდვის ხელშეწყობასაც ითვალისწინებს. განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ივესტიციები ისეთ დარგებში იდება, სადაც იაფი ადგილობრივი რესურსები საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენება. **საქართველოსთვის, ასევე, მნიშვნელოვანია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან და ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულების დაურღვევლად იმპორტჩანაცვლების ანუ იმპორტული პროდუქციის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლების პოლიტიკა,** რომელიც პირველ რიგში წაახალისებს უპირატესად ადგილობრივ რესურსებზე და მომხმარებლებზე მომუშავე მცირე და საშუალო ბიზნესს, შეამცირებს არარაციონალურ იმპორტს, ქვეყნიდან ვალუტის გადინებას და გაზრდის სამუშაო ადგილებსა და შემოსავლებს. ქართველმა მეწარმეებმა ჯერ უნდა აითვისონ შინა ბაზარი და მერე ეცადონ მსოფლიო ბაზარზე გასვლა-დამკვიდრებას. სხვაგვარად, თუ არა გაქვს შესაძლებლობა სხვა ქვეყანაში შექმნა "მეორე ეკონომიკა", უნდა შექმნა საკუთარი საშინაო ბაზარი და შეამცირო სხვა ქვეყნების "მეორე ეკონომიკები". სწორედ ამისათვის არის აუცილებელი იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ქართულ თქმასთან: "ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო!";

- **იმგვარი რეგულაციების შემოღება რომელშიც დაბალანსდება ქვეყნის, ბიზნეს-სექტორისა და ევროკავშირის ინტერესები.** ბოლო პერიოდში მთავრობის მხრიდან ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი რეგულაციების მიღება განაპირობა იმან, რომ ბიზნეს-ასოციაცია არ იყო ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში. ახლა ეს შეცდომები მთავრობამ აღიარა, გაითვალისწინა და შეუდგა მათ გამოსწორებას. სწორედ ამიტომ საჭიროა **მუდმივი, დროული დიალოგი (კომუნიკაცია), მეცნიერებას, კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის, რათა გამოირიცხოს, ან მინიმუმამდე დავიდეს ბიზნეს-გარემოს გამაუარესებელი სამთავრობო გადაწყვეტილებები**. მაგალითად ისეთები, როგორიცაა: ინვესტიციების შემაკავებელი შრომითი მიგრაციის კანონი, შრომის ინსპექცია, ტურისტთა ნაკადების შემამცირებელი სავიზო რეჟიმი, მიწებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის შემზღუდველი კანონები და სხვა, რაც ამცირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ექსპორტს, ტურისტთა ნაკადებს, დოლარის შემოდინაბას, ხელს უწყობს ლარის დოლარის მიმართ გაუფასურებასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას. **არადა, სწორედ სახელმწიფოს პრეროგატივაა დაიცვას ეროვნული ფულის (ლარის) სიმტკიცე, ისე როგორც ამას აკეთებენ მესაზღვრეები ქვეყნის საზღვრების მიმართ;**
- ეკონომიკის განვითარებაში მემკვიდრეობითობის დამკვიდრებისათვის მთავარ რეფორმატორად უნდა გამოვიდეს არა რომელიმე პოლიტიკური პარტია (პოლიტიკური პარტია შეიძლება დაიშალოს, სახელმწიფოს დაშლა კი მიუღებელია. პოლიტიკურ პარტიას არა აქვს გრძელვადიანი პროგრამა, ის ოთხი წლით მოდის და მიდის, სახელმწიფო კი რჩება), არასამთავრობო ორგანიზაცია თუ რელიგიური ორგანიზაცია, არამედ სახელმწიფო, რათა ახალმა ხელისუფლებამ წინას იგნორირება არ მოახდინოს. მაგალითად "ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემუშავებული და 2011 წლიდან ამოქმედებული საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა საშემოსავლო გადასახადის ეტაპობრივად 20%-დან 15%-მდე შემცირებას. კერძოდ, კანონით განსაზღვრული გრაფიკის თანახმად, 2013 წლამდე საშემოსავლო გადასახადი 20%, 2014 წლამდე – 18%, ხოლო შემდგომ 15% უნდა გამხდარიყო. ე.ი. მოგების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი უნდა გამოთანაბრებულიყო, ანუ საგადასახადო ტვირთი დამქირავებელზე და დაქირავებულზე თანაბრად უნდა განაწილებულიყო. „ნაციონალური მოძრაობის" შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება" და მემკვიდრეობის განხორციელებაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ შემოიღო არაეფექტიანი, ლარის დევალვაციისა და ინფლაციის მასტიმულირებელი, ე.წ. „დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების პრაქტიკა", რომელზეც, საბოლოო ანგარიშში, თავადვე განაცხადა უარი;
- პოლიტიკას მართავს ეკონომიკა, ხოლო ეკონომიკას – ფული. ეროვნული ფული აღნიშნულ ფუნქციას ჯეროვნად ასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მყარია, სტაბილურია ანუ ასრულებს ღირებულების საზომის, მიმოქცევისა და დაგროვების ფუნქციას და ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ საზღვრებს ერთმანეთს ამთხვევს. მაშასადამე, ეროვნული ფულის (ლარის) მკვეთრი რყევებისაგან დაცვა სწორედ სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა იყოს;
- ცხოვრების ყველა სფეროში ყველაზე მაღლა უნდა იდგეს კანონი და გამოირიცხოს შერჩევითი სამართლიანობა. კანონის უზენაესობა საიმედოთ დაიცავს კერძო საკუთრებას. თუ შეილახა

კერძო საკუთრების უფლება, ან წარმოიშვა სამეუნეო დავა, უნდა არსებოდეს ობიექტური, მიუკერძოებელი სასამართლო, რომელიც დაიცავს სამართლიანობას;

- ევროპასთან ჰარმონიზებული ინსტიტუციონალური გარემო. ევროპული ინსტიტუციონალური გარემო კი გულისხმობს არა მხოლოდ ცივილიზებულ კანონებს, სამართლებრივ ნორმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც მიიღებენ და დაიცავენ კანონებს, არამედ მოსახლეობის მართლშეგნების, კანონისადმი მორჩილების, პატივცემლური დამოკიდებულების გამომუშავებას, ე.ი. მართლშეგნების მდიდარ ტრადიციასაც. ცხადია, ყოველივე ამას გარკვეული დრო სჭირდება. მით უფრო საქართველოში, სადაც, დიდი ილიას თქმით, "კანონი გზაზე გადებული თოკია, რომელსაც დიდი კაცი ზემოდან გადააბიჯებს, პატარა კაცი კი ქვემოდან ძვრება";
- ევროპის ბაზარზე შესვლისა და იქ დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სატარიფო და არასატარიფო (ტექნიკური) ბარიერების მოხსნა, არამედ პროდუქციის ხარისხის ევროპული სტანდარტები, უვნებლობა, უსაფრთხოება და გონივრული საერთაშორისო მარკეტინგიც. ამ მიმართებით საჭიროა ჩვენი მეწარმეების საერთაშორისო კონურენტუნარიანობისათვის მარკეტინგული ცნობიერების ამაღლება, რათა მათ შეძლონ მიზნობრივი უცხოური ბაზრიდან გამომდინარე სტრატეგიის (დიფერენციაციის, ხარჯებით ლიდერობის, ფოკუსირების) და მარკეტინგული მიდგომის (ეთნოცენტრისტული, პოლიცენტრისტული, გეოცენტრისტული) სწორად განსაზღვრა. უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირი ერთი ქვეყნის ბაზარი არ არის. მაგალითად, ისეთი, როგორიცაა აშშ-ის ბაზარი. ეს არის 28 ქვეყნის გაერთიანებული ბაზარი. სწორედ ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც საქართველოს ნაკლები ცნობადობაა, საჭიროა უცხოელ მომხმარებელთა ცნობიერებაში ქართული პროდუქციისა და მათი მწარმოებელი კომპანიების პოზიტიური პოზიციონირება, ასევე, მეტი ინფორმაცია და რეკლამა საქართველოს შესახებ და მისი ბრენდირება;
- **მძლავრი საშუალო კლასის ფორმირება, რადგანაც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობის გარანტი სწორედ საშუალო ფენაა (კლასია),** რომელიც მოიცავს მოსახლეობის 50-60%-ს. დღეს საქართველოში საშუალო ფენა შეადგენს დაახლოებით 25%-ს. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება მხოლოდ ღარიბების უდიდესი და მდიდრების უმცირესი რაოდენობით არის წარმოდგენილი, საგანგებო შემოსავლებრივი უთანაბრობის გამო არსებობს დაპირისპირებული მხარეების შეჯახების დიდი ალბათობა ანუ რევოლუციური საშიშროება და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის საფრთხე. ამასთან, მხოლოდ მდიდრებისა და ღარიბების სტრუქტურით წარმოდგენილ საზოგადოებაში ეფექტიან, ინოვაციურ ეკონომიკაზე და დემოკრატიულ, მიუკერძოებელ, თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია;
- მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" - ფარგლებში აფხაზებს და ოსებს საშუალება უნდა მიეცეთ საქართველოს შეღავათებით ისარგებლონ ევროკავშირის ბაზარზე (ამასთან დაკავშირებით ლოგიკურია გავიხსენოთ, რომ იაპონიამ ჩრდილო ამერიკისა და ევროკავშირის ბაზარზე შესვლისათვის ადგილობრივი საწარმოები გახსნა მექსიკაში და დიდ ბრიტანეთში!);
- რეგიონულ და დარგობრივ ჭრილში ბიზნესის ასიმეტრიული განვითარების გამო აუცილებელია რეგიონებში სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის წახალისების პოლიტიკის გატარება (ფინანსური დახმარება, უფასოდ ინფორმაციის მიწოდება და ბიზნესის მართვის ცოდნის გაუმჯობესება და სხვა), რომლითაც მოხდება ადგილობრივი მეწარმეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, შემცირდება რეგიონის მკვიდრთა დედაქალაქში მიგრაცია, რეგიონში ჩამოყალიბდება თანამედროვე ბიზნესპრაქტიკა, ადგილებზე მოხდება შემოსავლების გამომუშავება და ათვისება და რამდენადმე შერბილდება რეგიონებსა და ცენტრს შორის შემოსავლებრივი უთანაბრობა;
- საქართველოს სოფლის მეუნეობის განვითარება სამი მიმართულებით: 1) საექსპორტო ანუ ვალუტის შემომტანი (ციტრუსები და ციტრუსების პროდუქცია, ღვინო და ღვინის პროდუქცია, ხილი და ხილის პროდუქცია, ბოსტნეული და ბოსტნეულის პროდუქცია და სხვა) დარგები; 2)ვალუტის შემომტანი საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის მომსახურება; 3)ქვეყნისთვის სტრატეგიული ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მემცენარეობა, მეცხოველობა და მეფრინველეობა. **სოფლად ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეუნეო წარმოებას, არამედ საერთოდ, სოფლის ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას;**
- სოფლის მეურნეობის ბუნებრივ კატაკლიზმებზე (გვალვა, ჭარბნალექიანობა და სხვა) დიდად დამოკიდებულებისა და მაღალრისკიანობის გამო საჭიროა გამართული აგროდაზღვევის სის-

ტემა სახელმწიფოს თანამონაწილეობით, რათა პოტენციურ მეწარმეებს არ დაეკარგოთ აგრარული ბიზნესის წარმოების აპეტიტი და საშიშროება არ შეექმნას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებასა და სოფლის მეურნეობაზე მიბმული დარგების განითარებას;

– წვრილი გლეხური მეურნეობების გაერთიანება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. სასოფლო სამეურნეო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლების უმთავრესი გზაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. შესაბამისად საჭიროა კოოპერაციის ფართოთ განვითარება სოფლად. წახალისდეს მსხვილი ფერმერული და არა წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც უპირატესად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ პროდუქციას. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ევროპისაგან დაცილების მანძილს, აქცენტი უნდა გადავიტანოთ არა ნედლ, მალფუჭად, არამედ გადამუშავებულ, მაღალი დამატებული ღირებულების შემცველ სამრეწველო პროდუქციაზე.

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების გატარება ძლიერ გავლენას მოახდენს საქართველოს ევროკავშირთან და მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის გაფართოებაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და, საბოლოო ანგარიშში, მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციულ კეთილდღეობაზე. ყველაფერი ეს კი მოსახლეობაში წარმოშობს კანონზომიერი სიამაყისა და პატრიოტიზმის გრძნობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Экономика. Под редакцией профессора А.С. Булатова. М., 2005 г.стр.63;
2. ქართული ღვინო - ჩინეთის მილიონიანი ქალაქებისთვის. კვირის პალიტრა. 23 დეკემბერი 2014;
3. http://www.geostat.ge/
4. Интеграция в ЕС: опыт Польши и вызовы для Украины. «Зеркало недели. Украина» №35,27 сентября 2013;
5. გ. ღაღანიძე. საქართველოს ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტაციის პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2007წ. ოქტომბერი;
6. ევროკავშირი და საქართველო: მითები და რეალობა. www.netgazeti.ge*;*
7. ოთარ ნადარაია, ოთარ გორგოძე, დავით უტიაშვილი, ნინო შარუმაშვილი. ეკონომიკური ზრდა დ ასტრუქტურული ტრანსფორმაცია. ჟურნ. ეკონომიკა და საბანკო საქმე. 2013წ. ტომი 1, №2. გვ. 20-21;
8. ვ. ვინსენტზი. სავაჭრო პოლიტიკა და საქართველოს ექსპორტი. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2006წ. ოქტომბერი გვ.79;
9. მ. გაბუნია. www. Eugeorgia. Info ;
10. ჩვენ ევროპელები. პოლონურიდან თარგმნა ა. გრიშიკაშვილმა. თბ. 2006წ.
11. ბიულეტენი №13. 1998 წ. ივლისი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;

Multivectorness - the Catalyst for the Economic Growth of Georgia

U. samadashvili

sammary

The paper describes the current poor state of the economy Georgia, is justified in the circumstances outlined in his speech, and the necessity of realizing the objective of economic growth the role highlights its role in the implementation of foreign economic orientation of the vector.

It is emphasized that the country's trade with the outside world - the only way economic relations, be it the EU Customs Union and Eurasia, it is a road to nowhere! That is why the voluntary, mutually beneficial and balanced integration should not only these two sides, but also around the world.

Key words: *Economic growth, foreign economic liberalization, foreign economic orientation, diversified international markets, balanced integration, the European Union, the Eurasian Customs Union.*

კლასტერების როლი და მნიშვნელობა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

ნინო სამჭკუაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)

ფართო გავრცელება სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინმა „კლასტერმა“, როგორც სამეურნეო ერთეულების ერთობლიობამ, ჰპოვა კლასტერული პოლიტიკის აქტიური გავრცელებით, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ მაიკლ პორტერის განმარტებით, კლასტერი არის გეოგრაფიულად ახლო მდებარე, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფის და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების ერთობა, რომელთაც აერთიანებს საერთო ნიშნები **[1]**. დღეს მთელ მსოფლიოში განვითარების კლასტერული სტრატეგია მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია რეგიონების განვითარების დაგეგმვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *კლასტერი, კლასტერის სტრუქტურა, კლასტერი და კონკურენტუნარიანობა, კლასტერის მოდელები.*

კლასტერის კლასიკური განმარტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია მისი შემდეგნაირად იდენტიფიცირება: კლასტერი ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფია, რომლებიც კონცენტრირებულია განსაზღვრულ რეგიონში, მასში ჩართულნი არიან ნედლეულის, მაკომპლექტებელების, საქონლისა და მომსახურების სპეციალიზებული მომწოდებლები, ასევე კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სპეციალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურებამდე).

ამრიგად კლასტერი, პირველ რიგში, არის სოციალური ცნება. იგი ადამიანების ან ორგანიზაციების ერთობაა, რომლებსაც გააჩნიათ ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ინტერესები. ამასთან, რეგიონები, რომელთა ტერიტორიაზეც იქმნება კლასტერები, ხდებიან ეკონომიკური განვითარების ლიდერები. ისინი განსაზღვრავენ ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. რეგიონებს, სადაც არ არის კლასტერები, აქვთ არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო უარეს შემთხვევაში, ხდებიან დეპრესიული ტერიტორიები.

კლასტერი ხელს უწყობს კონკრეტული სამეურნეო ეფექტის მიღებას და აძლიერებს ცალკეული კომპანიების კონკურენტუნარიანობას, რის შედეგადაც მაღლდება მთლიანად კლასტერის კონკურენტუნარიანობა. კლასტერი მოიცავს მნიშვნელოვან კავშირებს, უზრუნველყოფს დარგების ურთიერთშევსებას, ხელს უწყობს ტექნოლოგიებისა და ჩვევების განვითარებას, ასევე ინფორმაციის გავრცელებას, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა ბიზნესის განხორციელებისათვის. ორგანიზაციის სტრატეგიული მართვისათვის ეს კავშირები წარმოადგენს ძირითად ფაქტორს კონკურენტულ ბრძოლაში, ბიზნესის განვითარების მიმართულების განსაზღვრაში, ინოვაციების დანერგვაში, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში, საწარმოო დანახარჯების შემცირებაში და ა.შ.

როგორც წესი, კლასტერები იქმნება შემდეგი მიზნების მისაღწევად **[2]**:

1. კლასტერის მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე;
2. მეცნიერებატევადი პროდუქციასა და მომსახურებაზე დანახარჯების შემცირება და მისი ხარისხის გაზრდა, ხარისხისადმი მიდგომების, ლოგისტიკის, ინჟინერინგის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და სხვათა სინერგიისა და უნიფიცირების ხარჯზე;
3. დასაქმების უზრუნველყოფა მსხვილი კომპანიების რეფორმირებისა და აუტოსორსინგის პირობებში;
4. კლასტერის მონაწილეთა ინტერესების კონსოლიდირებული ლობირება ხელისუფლების ორგანოებში. საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებეს, რომ კლასტერები ასტიმულირებს მწარმოებლურობის ამაღლებას და ინოვაციების დანერგვას. კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია მოახდინონ დადებითი გამოცდილების გაცვლა და შეამცირონ დანახარჯები, იყენებენ რა ამისათვის ერთი და იმავე მომსახურებასა და მომწოდებლებს.

ფაქტორებს შორის, რომლებიც დარგობრივ კლასტერში ახდენს სხვადასხვა ორგანიზაციის ინტეგრირების მოტივირებას, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი **[2]**:

- სათაო ამწყობი ქარხნების მოთხოვნილებების მომწოდებლებსა და დილერებთან შეთანხმება;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე დანახარჯების შემცირება მასშტაბის ეფექტის ხარჯზე;
- ვერტიკალური ინტეგრაციისა და ჰორიზონტალური კოოპერაციის დროს მეცნიერებატევად დარგებში კოლექტიური ინოვაციების დანერგვის უფრო ეფექტიანი ხასიათი;
- ინჟინერინგისა და კონსალტინგური მომსახურების პოტენციური ბაზრის გაზრდა, მათ შორის მცირე საწარმოებისათვის, კომპლექსური პროექტებისა და პროგრამების განხორციელების პროცესში სუბკონტრაქტორული სისტემის დანერგვის ხარჯზე;
- სამომხმარებლო ბაზრის შესახებ ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და მცირე ბიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების გაყვანა მსხვილი კომპანიების ბაზარზე;
- ინვესტიციებისა და გრანტების მოზიდვის სეგმენტში კომპანიების შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის მცირე საწარმოების;
- უცხოელ პარტნიორებსა და ახალ ბაზრებზე გასვლის უფრო ეფექტიანი სისტემა.

კლასტერის ისტორიულ ტიპს წარმოადგენს სამრეწველო კლასტერი, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოში სიტუაცია თანდათანობით იცვლება. შედარებით ხშირად გვხვდება საწარმოო-ინოვაციური კლასტერის ტიპი, აქტიურად ყალიბდება სუფთა ინოვაციური კლასტერებიც.

ტერიტორიული და ინოვაციური განვითარებისადმი კლასტერულმა მიდგომამ მიიღო ფართო გავრცელება მრავალ ქვეყანაში. ექსპერტების შეფასებით, წამყვანი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების 50% უკავია კლასტერებს. ქვეყნები, რომლებმაც თავიანთ ეკონომიკებში დაამკვიდრეს კლასტერული მიდგომა, უზრუნველყოფენ მშპ-ს ნამატს 75- 90%-ის ფარგლებში **[3].** კლასტერების განაწილებას ქვეყნების მიხედვით აქვს შემდეგი სახე: აშშ - 380, იტალია - 206, დიდი ბრიტანეთი - 168, ინდოეთი - 106, საფრანგეთი 96, პოლონეთი - 61, დანია - 34, გერმანია - 32, ნიდერლანდები-20 **[4].**

საერთაშორისო პრაქტიკაში კლასტერების ყველაზე გავრცელებულ მოდელს წარმოადგენს ინოვაციური კლასტერები. ისინი ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს განთავსებული კომპანიებია, მათი მომწოდებლების, მსხვილი კვლევითი ცენტრებისა და უნივერსიტეტების ერთობლიობით. ასეთი კლასტერების შექმნის პიონერები იყვნენ სილიკონის ველის შემქმნელები აშშ-ში. მის ტერიტორიაზე განლაგებულია დაახლოებით 87 000 კომპანია, რამდენიმე ათეული კვლევითი ცენტრი და მსხვილი უნივერსიტეტი. სილიკონის ველი ეს არის აკადემიური მეცნიერებისა და ბიზნესის ნაყოფიერი თანამშრომლობის, ასევე სამეცნიერო ცენტრებსა და ბიზნესსექტორს შორის კადრების გაცვლის საუკეთესო მაგალითი. სილიკონის ველის ტერიტორიაზე მომსახურება ეწევა 180 ვენჩურული ფირმა და დაახლოებით 700 ბანკი, რომლებიც აფინანსებენ ცალკეული კომპანიების საქმიანობას **[5,6]**.

ინოვაციურ ტერიტორიულ კლასტერში სრულად გამოიყენება ინოვაციური ჯაჭვი: მეცნიერული ცოდნის გენერაციიდან და მის საფუძველზე ბიზნეს-იდეის ჩამოყალიბებიდან პროდუქციის რეალიზაციამდე ტრადიციულ ან ახალ ბაზრებზე. ასეთი კლასტერის თავისებურებას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ მასში ძირითადად იწარმოება ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია და ტექნოლოგია. ინოვაციურ კლასტერში, რომელიც ეფექტიანად ფუნქციონირებს, ჩქარდება სიახლეების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი, ხოლო მისი მონაწილეები გამოიმუშავებენ ისეთ უპირატესობებს, როგორიცაა ინოვაციებისადმი მგრძნობელობა, ბიზნესის რაციონალიზაციის უნარი, ახალი მიმართულებების წინმსწრებად დანახვის უნარი. შედარებით უფრო წარმატებული ინოვაციური კლასტერები იქმნება იმ დარგებში, რომლებშიც მოსალოდნელია წარმოების ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სფეროში გარღვევა შემდგომში ბაზრის ახალ სეგმენტზე გასვლით. მართვის მოქნილი სისტემის არსებობა საშუალებას იძლევა სწრაფად იქნეს რეალიზებული ინოვაციური იდეები.

ინოვაციური კლასტერების განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მათი მხარდაჭერის პროგრამების რეალიზაციაზე. ევროკავშირის ქვეყნებში იგი ხორციელდება რეგიონული, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების და საწარმოო პოლიტიკის ჩარჩოებში. ინოვაციური პოლიტიკა ეფუძნება მოწინავე, მაღალი პოტენციალის მქონე დარგების მხარდაჭერას. ამავდროულად, კლასტერიზაცია მოიცავს მოქნილ სამეწარმეო სტრუქტურებს - მცირე საწარმოებს, რომლებსაც კონკრეტული წარმოებების მომსახურებისას, შესწევთ ზრდის ინოვაციური წერტილების ფორმირების უნარი მაღალი ხარისხის სპეციალიზაციის ხარჯზე.

მთლიანობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრავალი ევროპული კლასტერის ინოვაციური მიმართულება საშუალებას აძლევს მათ იყვნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდში და აწარმოებდნენ წარმატებულ ბრძოლას თავის კონკურენტებთან ბაზარზე. რასაც აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობს მოთხოვნილების შექმნას იმ პროდუქციაზე ან მომსახურებაზე, რომელ-

საც აწარმოებენ კლასტერები. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკით სახელმწიფო, შესაბამისი პროგრამებით, განსაზღვრავს კლასტერების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში კლასტერული პოლიტიკის განხორციელების მეთოდების განხილვისას, ყურადღებას იქცევს ამ პროცესისადმი სხვადასხვა მიდგომა - ლიბერალური და დირიჟისტული. პირველ შემთხვევაში კლასტერს განიხილავენ, როგორც საბაზრო მექანიზმს. სახელმწიფო რეგულირება აქ მინიმალურია და დადის უპირატესად კლასტერის ბუნებრივი განვითარებისათვის წინააღმდეგობების აღმოფხვრაზე. ასეთ მიდგომას იყენებენ ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა). ხოლო ქვეყნებში, სადაც გამოიყენება დირიჟისტული პოლიტიკა (საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, იაპონია, შვეცია, ფინეთი) სახელმწიფო თამაშობს უფრო აქტიურ როლს კლასტერების განვითარების პროცესში. იგი გულისხმობს ღონისძიებების კომპლექს პრიორიტეტული მიმართულებების არჩევიდან და პროგრამების დაფინანსებიდან დაწყებული, საკვანძო ფაქტორების მიზნობრივ შექმნამდე და მათ წარმატებით განვითარებამდე.

მსოფლიო გამოცდილებიდან ნათლად ჩანს, რომ კლასტერული პოლიტიკა წარმატებით ხორციელდება, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში (ავეჯის, ფეხსაცმლის, კვების პროდუქტების და სხვათა წარმოება), ახევე მსხვილი სამრეწველო წარმოების სფეროშიც (მაგ. მანქანათმშენებლობაში).

კლასტერები, დარგების მიხედვით, ვარირებენ ზომების, განვითარების დონის მიხედვით. კლასტერების ბუნება საშუალებას იძლევა შეიცვალოს მათი საზღვრები მათში ახალი კომპანიებისა და დარგების ჩართვის მიხედვით. უფრო განვითარებულ კლასტერებს გააჩნიათ მომწოდებლების სპეციალიზებული ბაზები, განშტოებული ურთიერთდაკავშირებული დარგების ქსელი, დამხმარე საწარმოების დიდი რაოდენობა, მომხმარებელთან სტაბილური კავშირი.

ნებისმიერი დარგის ევოლუციის პროცესმა შესაძლოა გამოიწვიოს კლასტერის ჩამოყალიბება ან გაფართოება, რაც შესაძლოა გამოვიდეს დარგის ჩარჩოებიდან და წარმოადგენდეს ეკონომიკური განვითარების ძლიერ ძალას. ეს პროცესი დამოკიდებულია საბაზრო ურთიერთობების განვითარებაზე, სამეწარმეო გარემოს ნაირფეროვნებაზე, კონკურენციის დონეზე და ასევე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებზე. გარემო პირობებისა და საბაზრო კონიუქტურის ცვლილებიდან გამომდინარე, კლასტერები იქმნებიან, ფართოვდებიან და იზრდებიან, ხოლო არახელსაყრელი პირობების შემთხვევაში, შესაძლოა შემცირდნენ და დაიშალონ კიდეც. კლასტერების ასეთნაირი დინამიკურობა და მოქნილობა წარმოადგენს მათ კიდევ ერთ უპირატესობას, ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით.

ჩვენის აზრით საქართველოში კლასტერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზრდება რეგიონების კონკურენტუნარიანობა, საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს ინოვაციური კლასტერების მხარდაჭერის პროგრამა. სახელმწიფო პროგრამის არ არსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პირველ რიგში ფინანსური და რესურსული ხარჯები და მიღებულ იქნეს მინიმალური ეფექტი. იმისათვის, რომ კლასტერულმა პოლიტიკამ გამოიღოს სასურველი შედეგი, მასში გათვალისწინებული უნდა იყოს ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

პირველ რიგში, აუცილებელია სინქრონიზებულ იქნეს კლასტერის ყველა მონაწილის ქმედებები ფედერალურ, რეგიონულ, ადგილობრივ და ცალკეული კომპანიებისა და ინსტიტუტების დონეზე. ვინაიდან საქმე გვაქვს რთული კომპლექსური პროექტების მართვასთან. ყოველ მის მონაწილეს გააჩნია საკუთარი ინტერესები, რომელიც აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნას კლასტერის ინტერესებთან. კოორდინატორის როლი შესაძლოა შეასრულოს სტრუქტურამ, რომელსაც შექმნის რეგიონში მისი მონაწილეები მართველობის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან ერთად. ეს იქნება თავისებური მართველი კომპანია. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა შეიქმნას მმართველი კომპანიების ბაზარი. წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონში შექმნილი მაკოორდინირებელი ორგანო შესაძლოა გადაიქცეს კიდევ ერთ დირექტიულ სტრუქტურად.

ინოვაციური კლასტერების განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აქტიური შემოქმედებითი ჯგუფების შექმნა, რომელთაც უნარი შესწევთ წამოაყენონ ახალი ინიციატივები. აქ მსჯელობაა ინოვაციური კლასტერების კადრებით უზრუნველყოფაზე. მოყვანილი პრობლემის გადაწყვეტა კლასტერების განვითარების შიგა ფაქტორების თვალსაზრისით, გამოდის პირველ პლანზე. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის კლასტერებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ დარგობრივ უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებთან. ასევე სასარგებლო იქნებოდა კონსულტაციების გავლა კლასტერების ორგანიზაციის სფეროს უცხოელ სპეციალისტებთან.

ინოვაციური კლასტერების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინფრასტრუქტურასა და ფინანსირებას. ამ პრობლემას გააჩნია ორი ასპექტი: ინფრასტრუქტურის ფორმირების აუცილებლობა და მისი ფინანსური მხარდაჭერა ფედერალურ და რეგიონულ დონეზე.

ასევე აუცილებელია სხვა გადაწყვეტილებების მიღებაც, როგორიცაა: აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების სისტემურობისა და თანამიმდევრულობის მიღწევა, კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი კავშირების ქსელის ფორმირება, მართველი კომპანიის მუშაობისათვის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფაში ფედერალური და რეგიონული ინსტიტუტების როლის გაძლიერება, ახალი ტექნოლოგიური კომპანიების შექმნისათვის ფინანსურ რესურსებთან თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. თანამედროვე ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ინოვაციური კლასტერები არ იქცეს მოკლევადიან პროგრამებად, არამედ იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული და ქმედითი მექანიზმი.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, რეგიონის კონკურენტუნარიანობა მეტწილად დამოკიდებულია კლასტერების განვითარების დონეზე. ამიტომ, კლასტერული მიდგომის რეალიზაციის პროცესში, კლასტერების თეორიული ასპექტების გააზრება, ხელს უწყობს მათი მიზნებისა და მიმართულებების დეტალიზაციას. კლასტერული მექანიზმების გამოყენება ცხადყოფს ისეთ ეკონომიკაზე გადასვლას, რომელიც ითვალისწინებს კომპანიებისა და ტერიტორიების ევოლუციური განვითარების თავისებურებებს. კლასტერული მიდგომა კომპანიის მაღალტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების წინაპირობაა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს რეგიონის ინოვაციურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Портер Майкл. Конкуренция.- М.: Изд.дом «Вильямс».1993. , с. 896.
2. Хасаев Г.Р. Кластеры - современные инструменты повышения конкурентоспособности региона (через партнерство к будущему) **https://www.google.ru/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0ahUKEwib5uTY67PPAhXBtRQKHRPYAegQFggcMAA&url=http%3A%2F%2Fwww.poria.ru%2Ffiles%2F236.doc&usg=AFQjCNH__drOL3HCA63qjrg4JX_AlOyUeA&bvm=bv.134052249,d.bGs**
3. Иоффе О. Кластерный подход.- Губернский деловой журнал. 2009, №11.
4. Инновационно-технологические кластеры стран-членов МЦНТИ (информационный материал). – http://www.icsti.ru/uploaded/201304/cluster.pdf
5. М.И. Рыхтик, Е.В. Корсунская. Национальная инновационная система США: история формирования, политическая практика, стратегия развития, М, 2012. file:///C:/Users/tsamchkuashvili/Downloads/natsionalnaya-innovatsionnaya-sistema-ssha-istoriya-formirovaniya-politicheskaya-praktika-strategii-razvitiya.pdf
6. Etzkowitz H., Leydesdorff L. The Dynamics of Innovation: from National Systems and “Mode 2” to a Triple Helix of University-Industry-Government Relations // Research Policy. 2000. vol. 29. N. 2-3.

The Role and Importance of Clusters in Increasing the Competitiveness of the Company

Nino Samchkuashvili.

Summary

Prevalence in economy of clusters, but not isolated companies and branches is important for economy to the country where high geographical concentration of the interconnected branches is observed. A key factor of success during the developing and implementation of strategies of development for clusters is the active position of leaders of business and positive partnership between interests of various enterprise groups in the region. One of conditions of formation of a cluster in the region is existence of specialization of branches. Specialization is understood as a form of public labor division which reflects process of concentration of production of separate types of production or its parts in independent branches, productions and at the specialized enterprises.

Key words: *cluster, Cluster structure, Clusters and competitiveness, Cluster models.*

საბაჟოს მართვის ეფექტიანობის ამაღლება რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით

რუსუდან სეთურიძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის როლი საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფაში. სისტემაში არსებული სხვადასხვა რისკის პროფილი წინასწარ განსაზღვრული რისკის ინდიკატორების კომბინაციაა, რომლის შინაარსიც განისაზღვრება მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და კლასიფიცირების საფუძველზე და რომლის თანხვედრაც დეკლარირებული საქონლის მონაცემებთან იძლევა საბაჟო კონტროლის გამოსაყენებელი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

რისკის მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვამ საბაჟო გაფორმების დროის შემცირება, რესურსების ეფექტიანი განაწილება და, რაც მთავარია, გაფორმების პროცესში სუბიექტივიზმის მინიმალურ დონეზე შემცირება გამოიწვია. აუცილებელია საბაჟო სისტემაში მუდმივად ჩატარდეს რისკების მართვის სისტემის მონიტორინგის, ანალიზის, განახლებისა და სრულყოფის სამუშაოები. ამასთან, ერთის მხრივ, ევროკავშირსა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ჩატარებული სხვადასხვა შეხვედრები ხელს შეუწყობს გაზიარებული იქნეს უცხო ქვეყნების გამოცდილება რისკების მართვის სრულყოფის კუთხით, რაც საბაჟოს მართვის ეფექტიანობის ამაღლების გარანტია.

საკვანძო სიტყვები: *საბაჟოს მართვის ეფექტიანობა, რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემა.*

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკის გატარება, სამართლიანი ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება, რათა ქვეყანა იყოს საიმედო პარტნიორი საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული და პროგრესული წევრი, რომელიც სისტემატურად ამარტივებს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ პროცედურებს [1, გვ.101].

რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვამ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა საბაჟო სისტემის სრულყოფის საქმეში. აქ რისკი განიხილება, როგორც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ალბათობა. რისკის პროფილი კი წინასწარ განსაზღვრული რისკის ინდიკატორების კომბინაციაა, რომლის შინაარსიც განისაზღვრება მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და კლასიფიცირების საფუძველზე და რომლის თანხვედრაც დეკლარირებული საქონლის მონაცემებთან იძლევა საბაჟო კონტროლის გამოსაყენებელი ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

საბაჟო სისტემაში 1998 წლამდე არ არსებობდა საინფორმაციო სისტემები და საქართველოში შემოსატან და გასატან საქონელზე საბაჟო დეკლარაციის შევსება ხდებოდა ხელით ან საბეჭდი მანქანით [3, გვ.51]. 1998 წელს დაინერგა საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა **ASYCUDA (A**utomated **SY**stem for **CU**stoms **DA**ta) [6, გვ.22]**,** რომელიც შეიქმნა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის UNCTAD (United Nations Conference on Trade and Development) ფარგლებში [12]. იგი მოიცავდა ყველა იმ პროცედურის კომპიუტერიზაციას, რომელიც საბაჟო ორგანოებში სრულდებოდა [7, გვ.93]. ესენია: დეკლარირება, წინასწარი დეკლარირება, ტვირთებზე აღრიცხვის მოწმობის გამოწერა და მათი კონტროლიდან მოხსნა, TIR გადაზიდვების აღრიცხვა, მონაცემთა დამუშავება და სხვა. სისტემა "ASYCUDA"-ს დანერგვით შესაძლებელი გახდა საბაჟო სისტემაში იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის სრული აღრიცხვა [9].

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში ავტომატიზებული სისტემა "ASYCUDA"-ს მეშვეობით რისკების მართვის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება 2007 წლიდან დაიწყო. ამ მიზნით შემოსავლების სამსახური აწარმოებდა კონსულტაციებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ბიზნეს გარემოს რეფორმის პროექტისა და გაეროს ექსპერტებთან. საინფორმაციო სისტემა ‚ASYCUDA"-ს მნიშვნელობა საბაჟო რეფორმაში საკვანძოა და პროცესის სწორედ კომპიუტერული პროგრამით რეგულირებაა გარანტი მებაჟეების მიუკერძოებლობისა და პატიოსნების. თუ აქამდე საბაჟოს მუშაობის პრინციპი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მებაჟეს საკუთარი

სურვილით შეემოწმებინა, ან არ შეემოწმებინა, ან ზედაპირულად გადამოწმებით სურვილისამებ დაეშვა, ან არ დაეშვა ტვირთი, ახლა კომპიუტერული პროგრამა განსაზღვრავს, თუ რომელი და რა კატეგორიის ტვირთი რა ხარისხით უნდა შემოწმდეს [7, გვ.94]. 2008 წელს კი გადაიდგა პირველი ნაბიჯები ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისი რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის მექანიზმების შემოღების მიმართულებით [8, გვ.669]. ეტაპობრივად მოხდა რისკის მართვის ავტომატიზებული სისტემის მაქსიმალურად ეფექტიანი და მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება და მისი დახვეწა. შეიქმნა რისკის ისეთი პროფილები, როგორიცაა: ორმაგი დანიშნულების საქონლის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების, ნარკოტიკული ნივთიერებების, ფლორისა და ფაუნის, ბირთვული და რადიაციული საქონლის და ა.შ.[5] ბრუნვის მაქსიმალური კონტროლის კუთხით. თუ ადრე გაფორმების პროცედურის დროის ხანგრძლივობა 2-10 დღე გრძელდებოდა, დღეისთვის გაფორმების პროცედურის ხანგრძლივობა 2 საათამდე შემცირდა. ეს ძირითადად გამოიწვია იმან, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური დეკლარირებული საქონლის მიმართ სახელმწიფო კონტროლს რისკების მართვის სისტემით ახორციელებს [2, გვ.188]. რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემა გამორიცხავს საბაჟო მოხელესა და იმპორტიორს შორის რაიმე სახის გარიგების შესაძლებლობას, რაც კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ეფექტური მექანიზმია.

რისკების მართვის სისტემის მიზანია: საბაჟო გაფორმების პროცედურების გამარტივება; საბაჟო გაფორმებისას ყურადღების კონცენტრირება მაღალი რისკის შემცველ ტვირთებზე; საბაჟო რესურსების ოპტიმალური გამოყენება; არადეკლარირებული, აღურიცხავი (კონტრაბანდა) საქონლის შემოტანის აღკვეთა; საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი ტვირთების გამოვლენა და კონტროლი; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა კონტრაფაქციული საქონლის გამოვლენის გზით და სხვა.

სასაქონლო დეკლარაციის გაფორმებისას, სისტემა ადარებს დეკლარაციის და პროგრამაში არსებული რისკის პროფილების მონაცემებს, მათი თანხვედრის შემთხვევაში კი დეკლარაცია გადაჰყავს შესაბამისი ფერის დერეფანში. დერეფნის ფერი ისაზღვრება რისკის პროფილის შინაარსით და ასევე შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით. თავდაპირველად მუშაობდა მხოლოდ ყვითელი (საქონლის გაფორმება დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების კამერალური შემოწმებით, საქონლის დათვალიერების გარეშე) და წითელი ფერის (საქონლის გაფორმება დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების კამერალური შემოწმებით, აგრეთვე დეკლარირებული საქონლის დათვალიერებით) დერეფანი, შემდგომში კი დაემატა მწვანე (საქონლის გაფორმება დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე) და ლურჯი (საქონლის გაშვება შემდგომ პერიოდში დოკუმენტების უტყუარობისა და გადასახადების დარიცხვის სისწორის შემოწმების პირობით). ამან განაპირობა საბაჟო გაფორმების დროის შემცირება, რესურსების ეფექტიანი განაწილება და რაც მთავარია გაფორმების პროცესში სუბიექტივიზმი მინიმალურ დონეზე შეამცირა [1, გვ.107].

დეკლარაციისთვის დერეფნის განსაზღვრასთან ერთად, საბაჟო დამუშავების ოპერაციის განმახორციელებელი საბაჟო ორგანოს მოხელე “ASYCUDA”-ს მეშვეობით ელექტრონულად იღებს შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება საბაჟო კონტროლის დამატებით გამოსაყენებელი ღონისძიების შესახებ. დეკლარირებული საქონლის მიმართ დერეფნის შესაბამისად გატარებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შედეგები ასევე სავალდებულოა აისახოს ელექტრონულად საინფორმაციო სისტემა „ASYCUDA“-ში.

რისკის კრიტერიუმები შესაძლოა იყოს: ექსპორტიორი/იმპორტიორი ქვეყანა; საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ კონკრეტულ პროდუქციაზე მინიჭებული კონკრეტული სესსნ (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა) კოდი [4]; იურიდიული ან ფიზიკური პირის საიდენტიფიკაციო კოდი; საქონლის შეფუთვის სახე; საქონლის რაოდენობა და სხვა.

რისკის პროფილები იქმნება „ASYCUDA“-ს მონაცემთა დამუშავების, საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების შესახებ არსებული მასალების, საერთაშორისო კონვენციების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის, რისკების მართვის სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. რისკის პროფილები იქმნება გარკვეული ვადით ან უვადოდ და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. არსებული რისკის პროფილების შეცვლა ან გაუქმება პერიოდულად ხორციელდება შემოსავლების სამსახურში არსებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე.

შემოსავლების სამსახურის რისკების მართვის სამმართველოში ხორციელდება დეკლარირებული საქონლის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოსაყენებელი რისკების მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე მუშაობა; პოსტაუდიტის განხორციელებისათვის, გადამხდელის ან/და დეკლარირებული საქონლის შესახებ წინასწარი ინფორმაციის დამუშავება/ანალიზი, გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა, სისტემაში რისკების მართვის შესაბამისი ელემენტების ინტეგრირება და მონიტორინგი; კომპეტენციის ფარგლებში, უცხო სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე დეკლარირებული საქონლის მიმართ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა ,,ASYCUDA“-ს მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემის და სხვა ხელმისაწვდომი ბაზების მუშაობის მონიტორინგი; მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა ,,ASYCUDA“-ში რისკის პროფილების და შემთხვევითი შერჩევის პარამეტრების ინტეგრირება; არსებული რისკის პროფილების და შემთხვევითი შერჩევის პარამეტრების შეცვლა ან გაუქმება და სხვა. ეტაპობრივად მუშავდება რისკების ახალი მოდულები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამსახურის რისკების სისტემის ეფექტიან მუშაობას [10].

2014 წელს მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრმა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC), გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასთან (UNCTAD) თანამშრომლობით დაიწყო საბაჟო ინფორმაციის ინტეგრირებული სისტემის განახლების სამუშაოები. სისტემის მოდერნიზება და გაუმჯობესება კი გამოიწვევს საბაჟო პროცედურების კიდევ უფრო დახვეწას და გამარტივებას [11].

თანამედროვე ეტაპზე ტარდება სხვადასხვა შეხვედრები, ერთის მხრივ, ევროკავშირსა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, სადაც იხილება საბაჟო სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო-ფორმატი; ევროკავშირსა და საქართველოს შორის საბაჟო კანონმდებლობის დაახლოების პროცესი; ტრანზიტის საერთო კონვენცია; რისკების მართვა; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა საზღვარზე; საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარება; წარმოშობის წესები და სხვა.

ჩატარებული ანალიზი გვაძლევს გარკვეული დასკვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის საშუალებას:

- რისკის პროფილების დანერგვამ საბაჟო გაფორმების დროის შემცირება, რესურსების ეფექტიანი განაწილება და, რაც მთავარია, გაფორმების პროცესში სუბიექტივიზმი მინიმალურ დონეზე შეამცირა;
- “ASYCUDA World” საინფორმაციო სისტემა ემსახურება საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობას ამაღლებას. მას საფუძვლად უდევს თანამედროვე ტექნოლოგიები, რომლებიც აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალ ერაში საბაჟოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის;
- რისკებზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლი ხელს უწყობს ტვირთების გატარების დროის მაქსიმალურად შემცირებას.
- სასურველია, რომ საბაჟო სისტემაში შეიქმნას მარტივი და ეფექტიანი რეგულირების მექანიზმები და ამავე დროს დაცული იყოს საზოგადოებრივი ინტერესები;
- აუცილებელია საბაჟო სისტემაში მუდმივად ჩატარდეს რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის მონიტორინგის, ანალიზის, განახლებისა და სრულყოფის სამუშაოები;
- სასურველია შემოსავლების სამსახურში საბაჟო რისკების მართვის საკითხებზე ეტაპობრივად ჩატარდეს ტრენინგები და გაზიარებული იქნეს უცხო ქვეყნის გამოცდილებები (მაგალითად, გაეროსა და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ მოწვეული ექსპერტების და სხვათა);
- საბაჟო სამსახურში რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების დროს მიღებული გამოცდილება შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ნებისმიერი სფეროს მართვის სრულყოფის საქმეში.

ამგვარად, საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფის საქმეში რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვამ განსაკუთრებული როლი შეასრულა. რისკის პროფილების ფუნქციონირებამ საბა-

ჟო გაფორმების დროის შემცირება, რესურსების ეფექტიანი განაწილება და, რაც მთავარია, გაფორმების პროცესში სუბიექტივიზმის მინიმალურ დონეზე შემცირება გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სეთურიძე რ., "საინფორმაციო სისტემები – საქართველოს საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი". ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", N6, 2014.
2. Seturidze R., Paresashvili N. ” Role of Information Technologies in Operational Risk Management", IX KIMEP International Research Conference (KIRC -2012), Almaty 2012
3. Seturidze R., New trendz in development of GEORGIA’S Economic border Information Systems, III International Internet conference “New trends of development of V4 Countries & Ukraine” Volyn Institute for Economics and Management, Book Reports, Ukraine, 2011
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
5. სეთურიძე რ., ტიკიშვილი მ., „რისკის ანალიზზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის განხორციელება საქართველოში“, ჟ.“საქართველოს ეკონომიკა“,#7-8, თბილისი, 2009 http://geoeconomics.ge/?p=4068
6. სეთურიძე რ. "ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემაში", დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა "უნივერსალი", 2012
7. სეთურიძე რ., საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებში: პრობლე მები, პერსპექტივები, II საუნივერსიტეტათაშორისო, “უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო სისტემაში”, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოხსენებათა კრებული, 2011
8. Seturidze R., "The Reforms Realized in the Customs System of Georgia and Contradictions", XVI IRSPM Internationale Conference “Contradictions in public management.. Managing in volatile times. Rome Italy. 2012
9. sabaJos monacemTa avtomatizebuli sistema www.asycuda.org/
10. საქართველოს შემოსავლების სამსახური www.rs.ge
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge
12. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია www.unctad.org

Improving Customs Control Efficiency through the Automated Risk Control System

R. Seturidze

Summary

The article considers the role of the automated risk control system in improving the customs system. Different risk profiles of the system are the combination of pre-determined risk indicators with its content gained through the analysis and classification of the obtained information and whose coincidence with the declared commodity data allows making a decision about the relevant measures of customs control.

Introduction of the automated risk control system has led to the reduction of the customs registration time, efficient distribution of resources and most importantly, minimization of the subjectivism in the process of registration. In addition, permanent works to monitor, analyze, update and improve the risk control are needed. In addition, various meetings between the European Union and its member states on the one hand and Georgia on the other hand will help to share the experience of foreign countries in improving the risk control systems what is the guarantee for the improved efficiency of the customs management.

Keywords: *Customs management efficiency, Automated risk control system.*

ტურიზმის განვითარება საქართველოში გლობალიზაციის ასპექტით

რუსუდან სირბილაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომი ეხება ტურიზმის განვითარებას საქართველოში გლობალიზაციის ასპექტით. თანამედროვე განვითრებული საბაზრო ეკონომიკა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. გლობალიზაციის პროცესი მსოფლიოში აუცილებელ გარდაუვალობას წარმოადგენს. ამიტომ საქართველომ უნდა შეინარჩუნოს ის ღირებულებები, რომელიც წინაპრების მიერ სასოებით იქნა დაცული. ეს არის მიწა-წყალი, სარწმუნოება, კულტურა, ტრადიციები. ასევე გლობალიზაციის პროცესისგან უნდა გამოვიყენოთ მისთვის დამახასიათებელი დადებითი შედეგები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარება, რამდენადაც ის უხილავი ექსპორტია, მისგან მიღებულ შემოსავლებს შეუძლია ქვეყნის განვითარება და გლობალიზაციის პროცესისგან გამომდინარე ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილება. კვლევაში განხილულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ინტეგრაცია, ტურიზმი, განვითარება, ეკონომიკა, ვაჭრობა, უთანასწორობა, ეკოტურიზმი, შემოსავლები.*

გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტი არსებობს და ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დღევანდელ მსოფლიოში ადგილი აქვს უპრეცედენტო ინტეგრაციას, რასაც მოჰყვება თანმხლები ეფექტები და წინააღმდეგობები. გამოკვეთილია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გლობალიზაცია. ეს ერთი მოვლენის სხვადასხვა ვარიაციაა. მრავალ ქვეყანაში გლობალიზაცია დიდ წინააღმდეგობებს აწყდება. ყოველი ქვეყნის კულტურა გამოირჩევა საკუთარი ბუნებით, სპეციფიკით, თვითმყობადობით, ისტორიით, რელიგიით, ტრადიციებით, თვისებებით და ფასეულობებით, რომლებიც რეალურად აფერხებენ გლობალიზაციის პროცესს. გლობალიზაციისგან თავდაცვას მეტ-ნაკლებად იყენებენ ქვეყნები. მაგალითად, ჩვენ კარგად ვიცით, რომ გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია, მაგრამ ქართული ტრადიციები, მიწა-წყალი, რელიგია, კულტურა და სხვა ფასეულობები ხელშეუხებელია და ქართველი ადამიანი თავისი ბუნებით ვერ დათმობს თავის წარსულს და იმ ფასეულობებს, რაც თავისი მხრებით მოგვიტანეს წინაპრებმა. გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. აუცილებელია საქართველომ არ მიიღოს გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი უარყოფითი შედეგები და ფართოდ გაუღოს კარი მის დადებით შედეგებს, რამაც შესაძლოა საქართველოს წარმატებები მოუტანოს. გლობალიზაციის თანამედროვე განმარტება მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის შეცვლას, საერთაშორისო ვაჭრობის გაზრდას, თავისუფალ ვაჭრობას, ის ფართო მნიშვნელობით გულისხმობს: ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებულობის თანდათანობით მოშლას, საზღვრების და შეზღუდვების გაუქმებას. გლობალიზაციას ძირითადად ახასიათებს სხვადასხვა შინაარსობრივი დატვირთვა: ინტერნაციონალიზაცია, ლიბერალიზაცია, უნივერსალიზაცია, ვესტერნიზაცია, დეტერიტორიზაცია. ევრაზიის ინსტიტუტმა განიხილა და დაადგინა, რომ გლობალიზაცია მიუხედავად თავისი აბსტრაქტულობისა, აქტუალურია საქართველოსთანა მცირე ქვეყნებისთვის. ქართველ საზოგადოებას გაუჩნდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეძლებს მცირერიცხოვანი ერი თავისი იდენტობის შენარჩუნებას „გლობალიზებულ“ სამყაროში. დიდი ცივილიზაციის ჭიდილის პირობებში რამდენად იქნება დაცული რელიგიური, კულტურული და ეროვნული თვითმყობადობა იმ პირობებში, როდესაც საზღვრებიც კი არ გვაქვს მეზობლებთან დემარკირებული, მაგრამ ასეც რომ იყოს, შეუძლებელია გლობალიზაციას საზღვრებით აღუდგე წინ. იქნებ არც არის საჭირო გლობალიზაციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და იგი უფრო მეტი სიკეთეების მომტანია ვიდრე ვნების. ეკონომიკას გლობალიზაციასთან მრავალი რამ აკავშირებს. ეკონომიკაში ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან - ზოგი აწარმოებს, ზოგი მოიხმარს და თითოეული მოგებისთვის იბრძვის. ეკონომიკური გლობალიზაცია, ანუ სამეურნეო და გაცვლითი თანამშრომლობა ქვეყნის გარეთ, მსოფლიოში დიდი ხანია დაიწყო. ვაჭრობა ამ თვალსაზრისით პროდუქტიულია, რადგან არც ერთი მხარე არ ფიქრობს, რომ მან რამე დაკარგა. ქვეყნები ცდილობენ მეტი სიმდიდრე შეიძინონ საკუთარი პროდუქტის გარეთ გატანით, და მის ნაცვლად იმ პროდუქტის შემოტანით, რომლის წარმოებაც თვითონ უფრო ძვირი დაუჯდებათ. გლობალიზაცია ქმნის პირობებს ინტენსიური თანამშრომლობისთვის. ბოლო 70 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 100-ჯერ გაიზარდა. ამ

მიზნით გლობალიზაციას დადებითი ეკონომიკური შედეგები მოაქვს. მეტ გლობალიზაციას მეტი განვითარება მოაქვს. განსაკუთრებით განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის. გლობალიზაცია ქვეყნებს აჩვევს მსოფლიო ვაჭრობის წესრიგს, კონკურენციას და წარმატების მიღწევას. გლობალიზაცია ამსხვრევს ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ბარიერებს და აძლევს მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას ჩვეულებრივ ადამიანებს საკუთარი ტალანტები და უნარები უკეთ გამოიყენონ. გლობალიზაცია მაინც საკამათო საკითხად რჩება, რადგან სახელმწიფოების მეთაურთა უმრავლესობა გლობალიზებული ეკონომიკის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს [1]. ყველაზე დიდ დაფიქრებას საჭიროებს გლობალიზაციის შედეგები, კერძოდ სიღატაკე და მკვეთრად გამოხატული უთანასწორობა. გლობალიზაციაში გამარჯვებული მხარე ჩაგრავს დამარცხებულს. გამარჯვებული, განვითარებული ქვეყნები და მრავალნაციონალური კორპორაციები არიან, ხოლო დამარცხებული - განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნები. როცა განვითარებული სამყარო უდიდეს პროგრესს აღწევს, ღარიბი ქვეყნების სტანდარტი, პირიქით, ძალიან დაბალია [2]. გლობალიზაციის პროცესში წარმოების ფაქტორები, საქონელი და მომსახურება ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან გადის განვითარებად ქვეყნებში, რადგან მსხვილი კორპორაციიების მშობელი კომპანიების დიდ ნაწილი ძირითადად განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი მიზეზია გლობალური და ეროვნული ინტერესების შეთანაწყობა. გლობალიზაციამ ეკონომიკაში სახელმწიფოს და საბაზრო ეკონომიკას შორის ურთიერთობების გარდაქმნა გამოიწვია. გლობალიზაციის პროცესში საგარეო-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები აქტიურდება. თანამედროვე გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია საზღვრების მოშლა ეროვნულ და მეზობელ ბაზრებს შორის. საქართველოსთვის გლობალური კრიზისის მთავარი საფრთხე საგარეო და შიგა პოლიტიკური არასტაბილურობაა [3]. მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესში საქართველოს სატრანზიტო როლი, რადგან ამით იზრდება საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის ხარისხი. XXI საუკუნეში გლობალიზაციამ, როგორც ეკონომიკის განვითარებულმა სისტემამ, სრულიად ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ხარისხი შეიძინა. თანამედროვე გლობალიზაცია მოიცავს მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და მოდერნიზაციას და ამასთან ერთად წარმოშობს ახალ წინააღმდეგობებს და პრობლემებს მსოფლიო ეკონომიკაში. გლობალიზაციის დროს ეროვნული პრობლემები გარდაიქმნება მსოფლიო პრობლემებად. გლობალურ სივრცეში ეკონომიკური კრიზისები სწრაფად ვრცელდება ერთი რეგიონიდან მეორეში. გლობალიზაციის პროცესს ასახავს ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები. თითქმის ყველა ქვეყანას მსოფლიოში საგარეო ვალი აქვს, მათ შორის საქართველოსაც. საქართველოს ვალი ყოველწლიურად იზრდება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქართველო არსებითად არის დამოკიდებული უცხო კაპიტალზე. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება გამოიწვია და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ გლობალური კონკურენტუნარიანობის განვითარება განაპირობა. ახლა ყველა ქვეყანა იბრძვის წარმატებისთვის. ეს აიძულებს ქვეყნებს შექმნან ისეთი ხარისხის საქონელი და მომსახურება ისეთ ფასში, რომ წარმატებით რეალიზდეს გლობალურ ბაზარზე. ამ პირობებში გათვალისწინებული უნდა იყოს აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის ცნება. ასევე აუცილებელია წარმოებული პროდუქცია იყოს ეკოლოგიურად სუფთა, რაც ყველაზე უკეთ პასუხობს გლობალიზაციის პირობებს. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება და მიწოდება მნიშვნელოვანია ტურისტებისთვისაც. საქართველოში ჩამოსულმა ტურისტმა უნდა იცოდეს, რომ პროდუქცია, რომელსაც მიირთმევს, არის ეკოლოგიურად სუფთა, ამით დაინტერესება იქნება მაღალი, რადგან ტურიზმი უხილავი ექსპორტია და რაც მეტს გადაიხდის ტურისტი, მით მეტად აისახება ეს ქვეყნის განვითარებაზე, ანუ ეკონომიკურ თავისუფლებაზე [4, გვ. 338-340]. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2015 წელს ქვეყანას 5 901 094 უცხოელი ეწვია [5]. ზრდა 2014 წელთან შედარებით 7%-ია. 2016 წლის პირველ კვარტალში 1 134 436 საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1



საერთაშორისო მოგზაურთა უდიდესი ნაწილი საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდანაა. ვიზიტიორთა რაოდენობა 2015 წელს 5 180 010 იყო. საშუალოდ ყოველწლიურად მეზობელი ქვეყვებიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა საერთაშორისო ტურისტების 80-90% შედაგენს. უცხოელი ტურისტების დანახარჯები დიდ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. სერვისის ექსპორტის დაახლოებით 59% სწორედ ტურიზმზე მოდის. 2014 წლის მონაცემებით, საერთაშორისო ტურისტებისგან მიღებული შემოსავალი დაახლოებით 1.79 მლრდ დოლარი იყო (2013 წელთან შედარებით 4%-ით მეტი), 2015 წელს კი შემოსავალმა დაახლოებით 8%-ით მოიმატა და 1.935 მლრდ შეადგინა [6] (იხ. გრაფიკი 2).

დანართი 2

საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლების მიხედვით ($1000)



ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშება ემყარება 10 მაჩვენებლის განსაზღვრას: ბიზნესის თავისუფლებას, ვაჭრობის თავისუფლებას, ფისკალურ თავისუფლებას, სახელმწიფოსგან თავისუფლებას, მონეტარულ თავისუფლებას, საინვესტიციო თავისუფლებას, ფინანსურ თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, კორუფციისგან განთავისუფლებას, შრომის თავისუფლებას. ეკონომიკური თავისუფლების მისაღწევად აუცილებელია ამ 10 მაჩვენებლის განვითარება, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად თავისუფალია ბიზნესი, რამდენად თავისუფალია მეწარმე ვაჭრობის არჩევაში, რამდენად დახვეწილია საგადასახადო სისტემა, რამდენად ათავისუფლებს ბიზნესს სახელმწიფო თავისი მარწუხებისგან, ინვესტორები რამდენად თავისუფლები არიან თავის საქმიანობაში, რამდენად დაცულია საკუთრების უფლება, როგორია კორუფციის მაჩვენებელი, რამდენად მარტივია ბიზნესის დაწყება, რამდენად თავისუფალია ადამიანი შრომის პროცესში ადმინისტრაციისგან და ა.შ. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს უჭირთ ერთმანეთისგან იზოლირებულად ყოფნა. გლობალიზაცია ახალ პერსპექტივებს გვთავაზობს სხვადასხვა ქვეყნების, ერების, ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისთვის და ეს პროცესი შეუქცევადია. გლობალიზაციის პროცესმა შესაძლოა შექმნას ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობა, რომელშიც ერთიანი ნორმების ინსტიტუტებისა და კულტურული ფასეულობების შექმნა შეიმჩნევა. გლობალიზაცია ქმნის არაჩვეულებრივ პირობებს მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის. ამის მისაღწევად აუცილებელია ზუსტი პოლიტიკური და საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ანალიზი და შეფასება. ეს მოგვცემს სწორ ორიენტირებს და შესაძლებლობას დავადგეთ განვითარების სწორ გზას. ანგარიში უნდა გაეწიოს ეროვნულ ვალუტასაც, რათა არ მოხდეს გლობალურ სივრცეში მისი დაკარგვა. ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების ვალუტა არ განიცდის ინფლაციას, რადგან ნაკლებად მგრძნობიარეა გლობალური პროცესების მიმართ. თუმცა, ეკონომიკის უახლეს ისტორიაში არის ფაქტები, როდესაც ეკონომიკური კრიზისი შეეხო ისეთი განვითარებული ქვეყნის ვალუტასაც, როგორიცაა აშშ დოლარი და ევროპის ქვეყნების ვალუტა ევრო. თანამედროვე პირობებში, ნებისმიერი სფერო გლობალიზაციათან ურთიერთკავშირით ვითარდება, ამ მხრივ არც ტურიზმია გამონაკლისი. ტურიზმის განვითარება მსოფლიოში მას შემდეგ უფრო შეინიშნება, რაც გლობალიზაციის პროცესი და ახლი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება. ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის შექმნას, და თუ პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა, ის ტურიზმის მდგრად განვითარებას განაპირობებს. საქართველო ჩართულია გლობალიზაციის პროცესში, და ბუნებრივია, საგარეო ვაჭრობაში ჩართულობა გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. სოფლის მეურნეობაში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი [7,გვ.58.] არ არის საკმარისი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რის გა-

მოც საქართველოს ბაზარზე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა შემოდის. ტურიზმი ახალ ეკონომიკურ ორიენტირებს და ღირებულებებს ქმნის, რაც განაპირობებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურისტულ სეზონზე ტურისტული შემოსავლების განსაზღვრას. ტურიზმის მეშვეობით შესაძლებელია ადგილობრივი წარმოებისთვის ახალი ბაზრების შექმნა, ასევე სწორად წარმოებული ტურისტული პოლიტიკა მოიცავს ტურიზმის ეკოლოგიზაციას, ანუ მომსახურების პროცესში ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენებას. ტურიზმი ხელს უწყობს აქტიურ სოციო-კულტურულ გარდაქმნებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ცხოვრების ტრადიციული წესიდან პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე ფორმებზე გადასასვლელად. ზოგადად, ტურისტული ბაზარი მგძნობიარეა. მსოფლიოში ტურისტულ პროდუქტზე ფასების ზრდის ტემპი თუ ჩამორჩება ინფლაციის ზრდის ტემპს, მაშინ ტურიზმი ვითარდება, ხოლო თუ ფასების ზრდის ტემპი ტურისტულ პროდუქტზე უფრო მაღალია ინფლაციის ზრდის ტემპზე, ეს ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას. მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოში მაღლდება მოსახლეობის კულტურის და განათლების დონე, რამაც გამოიწვია გლობალიზაციის პროცესის კიდევ მეტად გაძლიერება. კერძოდ, ქვეყნები განათლების და ცოდნის გაზიარების მიზნით მართავენ საერთაშორისო კონფერენციებს, კონგრესებს, უცვლიან ერთმანეთს გამოცდილებას, სწორად წარმოებული ეკოტურიზმი გლობალიზაციის პროცესის ძირითადი და მდგრადი სეგმენტია, რადგან მსოფლიოში ყოველწლიურად 700 მლნ-ზე მეტი ადამიანი მოგზაურობს და მათგან 25% ეკოტურიზმზე აკეთებს არჩევანს. ეკოტურიზმი ტურიზმის ის სახეობაა, რომელიც დიდ სიამოვნებას ანიჭებს ტურისტს, განსაკუთრებით თუ ის მოგზაურობს ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთდროულად შესაძლებელია მოინახულო მთა, ბარი, ზღვა, მიიღო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, გაეცნო ტრადიციებს, რელიგიას, კულტურას, მოინახულო ძეგლები და კულტურული ღირსშესანიშნაობები. ამ ყოველივეს გათვალისწინებით საქართველოს ყველა რეგიონში უნდა გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა, უნდა განისაზღვროს რეგიონების პრიორიტეტები, სწორად დაიგეგმოს ეკოლოგიური ტურები, რამაც შესაძლოა აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის შემოსავლებზე. აუცილებელია განვითარება ორიენტირებული იყოს ნოვაციებზე, ახალი პროდუქტის შექმნასა და შეთავაზებაზე, რამაც რეალურად უნდა შექმნას პირობები ბაზარზე ტურიზმის ხანგრძლივი, სტაბილური, და მდგრადი დამკვიდრებისთვის. ტურიზმში ოპტიმალური ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მისაღებად საწარმოში პერსპექტიული მენეჯერების მომზადების ოპტიმალური გარემოს შექმნაა აუცილებელი [8, გვ. 296]. ადამიანთა რესურსების კვალიფიკაცია ტურიზმში არსებულ შრომის ბაზარზე გადამზადებას მოითხოვს. მნიშვნელოვანია ე.წ. მცირე პროფესიების ათვისება პროფესიული არეალის გაუმჯობესების მიზნით. ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ასევე აუცილებელია ტერიტორიების ბრენდინგი. საქართველოს ტერიტორიის წინ წაწევის სტრატეგია, როგორც რელიგიური, ასევე საერო, რათა რესურსების მოზიდვის სასრგებლო პირობების მიღწევა მოხდეს. ტერიტორიის ბრენდინგის მიზანია საერთაშორისო ბაზრების დაპყრობა, ინვესტორების, ტურისტების და კვალიფიციური მიგრანტების მოზიდვა, ტერიტორიის ბრენდინგის ძირითადი არსია ფართო საზოგადოებამდე ტერიტორიის უნიკალობაზე წარმოდგენის შექმნა. ტერიტორიების მარკეტინგი და მენეჯმენტი, მომსახურების ბაზრების ზრდის ტენდენცია და სხვა. ამან დიდი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობაში ტურიზმის სფეროში. აუცილებელია არსებობდეს ადეკვატური კომუნიკაციები, რადგან ერთი წყაროდან მეორე წყარომდე ინფორმაციის დაყვანას შეუძლია გაზარდოს ტურისტული ნაკადები, რამაც ქვეყანა ეკონომიკურ ზრდამდე და ცხოვრების დონის არსებით გაუმჯობესებამდე უნდა მიიყვანოს. ეს დასაქმებულთა რიცხოვნობის გადიდებას, შემოსავლების გათანაბრებას და მოსახლეობის სოციალურ დაცვას გულისხმობს. ხელი უნდა შეეწყოს უმუშევართა მასობრივი მიგრაციის აღკვეთას და სოციალური სფეროს მსოფლიოში დამკვიდრებულ ნორმებსა და სტანდარტებთან მისადაგებას. სამსახურებში უნდა დამკვიდრდეს გუნდური მუშაობის პრინციპი. მენეჯერის ხედვა არ უნდა იყოს რადიკალური და განსხვავებული პერსონალის ინტერესებისაგან. უნდა მოხდეს მათი დაახლოება და თანხვედრა. მენეჯერსა და პერსონალს შორის განსხვავებული მიდგომები და დაპირისპირებულობა, აუცილებლად ადრე თუ გვიან, გამოიწვევს საწარმოს ბაზრიდან განდევნას და არა - ეფექტიან ფუნქციონირებას. გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქნილ და ეფექტიან ფისკალურ პოლიტიკას, რათა შესაძლებელი გახდეს XXI საუკუნის გლობალურ ეკონომიკურ კრიზისებთან გამკლავება. გლობალური ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფისკალური არასტაბილურობაა [8, გვ.262]. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური კრიზისების უწყვეტობამ, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მისმა გადანაცვლებამ ბევრ განვითარებულ ქვეყანას მიაყენა ფინანსური ზარალი, განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ. გლობალიზაციის მონაპოვრების ეკონომიკური შესაძლებლობების გა-

მოყენება ეკონომიკურ განვითარებას გულისხმობს ავტომატურად, რადგან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარება ხასიათდება გლობალიზაციის პროცესის განვითარებასთან ურთიერთკავშირით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანდიერი გ. გლობალიზაცია, სტატია მომზადდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის დაკვეთით და დაიბეჭდა მათ ბუკლეტში. 2006.
2. კეკელიძე თ. გლობალიზაციის სტუდენტ-მაგისტრანტთა ინტერნეტ გვერდი სტატიების კატალოგი 2011.
3. არევაძე ნ. „გლობალიზაციის გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. პრ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. 2012წ. ტ, 1. გვ. 204.
4. შენგელია თ. „გლობალიზაციის ზეგავლენა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაზე.“ პრ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. 2012წ. ტ, 1. გვ. 338-340.
5. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. 2015 წლის სტატისტიკური ანგარიში.
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
7. ყორღანაშვილი ლ. „გლობალიზაციის პროცესები საერთაშორისო ტურიზმში“. პრ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. 2012წ. ტ. 2. გვ.58.
8. სირბილაძე რ.ო. ეკონომიკის გლობალიზაცია და ტურიზმის განვითარება. პრ. გიორგი წერეთლის დაბადების მ-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია. 2012. ტომი 2. გვ. 262

Tourism Development in Georgia in the Aspects of Globalization

R. Sirbiladze

Summary

The work considers the development of tourism in Georgia from the globalization standpoint. Modern developed market economy faces many challenges. The globalization process all over the world is the inevitable process. It is important for Georgia to maintain its values, kept so thoroughly through the centuries by the ancestors. Those are our native land, religion, culture, traditions. Out of the globalization we should take the useful positive characteristics and results. Especially significant is the development of tourism, because it is the intangible export, the incomes from it can affect the development of the country and proceeding from the globalization process we can avoid the economic crisis. We have discussed also the necessity of ecologically pure food products manufacturing.

Key words: *globalization, integration, tourism, development, economy, trade, inequality, ecotourism revenues.*

ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის არსი, თავისებურებანი და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

დემურ სიჭინავა,
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი,

თეიმურაზ გოგნაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ინფორმაციული სისტემების პროგრამული და აპარატურული კომპონენტების ვირტუალიზაციის ასპექტები, დახასიათებულია ვირტუალიზაციის ძირითადი უპირატესობები და ნაკლოვანებები, ასევე განხილულია ვირტუალიზაციის თანამედროვე პროგრამული საშუალებები. დასაბუთებულია ვირტუალიზაციის დანერგვის პერსპექტივები საქართველოს განათლების სფეროში.

საკვანძო სიტყვები: *ვირტუალიზაცია, ტექნოლოგია, ჰიპერვიზორი, ემულაცია, სერვერი.*

მსოფლიო საზოგადოების ცივილიზაციის პროცესს საფუძვლად უდევს სამეცნიერო-ფუნდამენტური კვლევები და გარკვეულ დონეზე მიღებული განათლება. ამ პროცესისათვის აუცილებელია უწყვეტობა, რადგან მეცნიერებაც და განათლების განვითარებაც წყვეტას ვერ იტანს. ამ პრობლემაზე მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პროფესიონალი სპეციალისტები. აღნიშნული პროცესი უფრო გაამძაფრა მსოფლიოში ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარებამ და საზოგადოების მზარდმა მოთხოვნამ უახლეს ეკონომიკურად ეფექტიან ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. შესაბამისად, მსგავსი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებისთვის მსოფლიოს მეცნიერები, ინჟინრები, პრაქტიკოსები ერთობლივად მუშაობენ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნაზე. ამიტომ, დღეისათვის მსოფლიოში აშკარად გამოიკვეთა მომხმარებლებისთვის ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შეთავაზების ტენდენცია.

ერთ-ერთ ასეთ ინფორმაციულ ტექნოლოგიას მიეკუთვნება ვირტუალიზაცია.

რა არის ვირტუალური ტექნოლოგია? არსებობს კი საერთოდ ასეთი ტექნოლოგია და რა დადებითი ეფექტის მოცემა შეუძლია მის გამოყენებას სასწავლო პროცესში? _ სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება წინამდებარე სტატია.

ვირტუალური ტექნოლოგიის არსის სრულფასოვანი გააზრებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული საკითხის გარშემო გავაკეთოთ მოკლე ისტორიული ექსკურსი.

ვირტუალური ტექნოლოგია გულისხმობს ერთ კომპიუტერში რამდენიმე ოპერაციული სისტემის გაშვების შესაძლებლობას, სადაც თითოეული **სტუმარი ოპერაციული სისტემები** მუშაობს დამოუკიდებელი (საკუთარი) ლოგიკური ვირტუალური რესურსებით (პროცესორული, ოპერატიული მეხსიერება, შემნახველი მოწყობილობები), რომელსაც მართავს ფიზიკური ჰოსტის (სერვერის) ოპერაციული სისტემა - **ჰიპერვიზორი (Hypervisor).**

ფიზიკურმა ჰოსტმა რომ შეძლოს, თუნდაც ორი „ვირტუალური მანქანის“ (**virtual machine,** რომელმაც შეცვალა უფრო ადრინდელი ტერმინი „ფსევდო მანქანა“ - **pseudo machine**) გაშვება, საჭიროა აპარატურული რესურსების საკმარისი რაოდენობა.

ვირტუალიზაციის ისტორია იწყება XX საუკუნის 60-იან წლებიდან, როცა ფირმა **IBM**-ის მიერ კომპიუტერ **System/360 Model**-ის დამუშავებისას მისი საჭიროება წარმოიშვა და ნახსენები კომპიუტერის მთელი აპარატურული ინტერფეისი ვირტუალიზებული იქნა **VMM**-ტექნოლოგიის (**Virtual Machine Monitor)** საშუალებით [1]. ასევე, ვირტუალიზაციის ერთ-ერთ პირველ რეალიზაციას წარმოადგენდა XX საუკუნის 70-იან წლებში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შექმნილი კომპიუტერი **IBM** 704 და მანჩესტერის უნივერსიტეტის (სადაც ერთ-ერთი პირველი სუპერკომპიუტერი იქნა შექმნილი) პროექტი **Atlas**.

გარკვეული არსებითი ხასიათის მიზეზების გამო, 1990 წლამდე, ვირტუალიზაციის ტექნოლოგიების განვითარების პროცესი მსოფლიოს უმეტესი კომპანიებისთვის იდეების დონეზე დარჩა. ამ პერიოდში მხოლოდ კომპანია **IBM**-მა შეინარჩუნა ვირტუალური ტექნოლოგია.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება რიგი კომპანიის დაინტერესება ვირტუალური ტექნოლოგიებით, რაც ნათლად ჩანს **Google Trends**-ის სტატისტიკურ მონაცემებში [2] (იხ. სურათი).

ვირტუალიზაციის ტრენდის სტატისტიკა



მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ამიტომ, მათი კომპიუტერული სასწავლო რესურსცენტრები ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტების მომსახურებას კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არადამაკმაყოფილებელი შესაძლებლობის გამო.

მსგავსი მდგომარეობაა საქართველოშიც. თითქმის ყველა სასწავლებელს გააჩნია კომპიუტერული რესურსცენტრები, სადაც სტუდენტებმა უნდა შეასრულონ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სამუშაოები. მაგრამ, აღნიშნული რესურსცენტრების უმეტესობა, ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების დაკმაყოფილებას კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის უკმარისობის გამო. ამიტომ, დღის წესრიგში მძაფრად დგას ვირტუალური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა.

ვირტუალიზაცია საშუალებას გვაძლევს ოპტიმალურად გამოვიყენოთ არსებული რესურსები. ამ ტექნოლოგიის დანერგვით, ხშირ შემთხვევაში (მცირე ბიზნესისთვის, ოჯახისთვის), ტექნიკური ბაზის შეცვლა საჭირო არაა.

ვირტუალიზაციის დანერგვით ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია არსებული რესურსების ეკონომიურად გადანაწილება.

ვირტუალიზაციის განვითარების დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, გამოიყოფა ორი კონკურენტული კონცეფცია [3]:

1. **VMware** ტექნოლოგია, რომელიც წარმოადგენს სრულიად ახალ, თანამედროვე აპარატურულ-პროგრამულ არქიტექტურას. მის გარემოში შექმნილი ე. წ. მეგა-ოპერაციული სისტემის დაქვემდებარებაში პრაქტიკულად ყველა ტრადიციული ოპერაციული სისტემა მუშაობს;

2. **Microsoft**-ის მიდგომით არავითარი ახალი მეგა-ოპერაციული სისტემის საჭიროება არ დგას დღის წესრიგში. ვირტუალიზაციის მაღალი დონის უზრუნველყოფა ტრადიციული ოპერაციული სისტემების ევოლუციური განვითარებით უნდა განხორციელდეს [4].

ბოლო წლებში ვირტუალიზაციამ მიმართულება სერვერული გამოთვლების ეფექტიანობის ამაღლებისაკენ აიღო. ამისათვის კი საჭირო გახდა ვირტუალური სერვერების შექმნა.

ვირტუალური სერვერები წარმოადგენს პროგრამებს, რომლებიც ეშვება ფიზიკური, ე.წ. მასპინძელი (**Host**) ოპერაციული სისტემის ფარგლებში, ხოლო სტუმარი (**Guest**), მასზე განთავსებული ერთი ან მეტი ვირტუალური მანქანაა, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელ ოპერაციულ სისტემას საკუთარი პროგრამებითა და სერვისებით. ასეთი მარტივი სტრუქტურა გამოსადეგია მხოლოდ დესკტოპ-სისტემებისთვის, სადაც მომხმარებელს სულ რამდენიმე ოპერაციული სისტემის გამოყენება სჭირდება. უფრო რთულ, სერვერულ სისტემებში იქმნება ე. წ. ვირტუალური სისტემების კლასტერი, მაღალი ხელმისაწვდომობით (**High Availability**) და საიმედობით (**Reliability**).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვირტუალური ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურის ფარგლებში წარმოიშობა შემდეგი სახეობის ამოცანები:

- სტუმარ-სისტემათა შაბლონების აგება-პროცედურა, რომელსაც ვირტუალური სისტემის ასაგებად საჭირო დროითი დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირება შეუძლია. ყოველი სტუმარ-ოპერაციული სისტემისთვის (**Windows, Linux** და სხვ.) იქმნება საბაზისო კონფიგურაცია, რომელიც ფართოვდება ყოველი შემდეგი მოთხოვნის მიხედვით;
- ვირტუალური სისტემების კოპირება ან კლონირება, რომელიც გულისხმობს ვირტუალური სისტემის ჩვეულებრივი ასლის აგებას. იგი ნაკლებ ეფექტიანია მასპინძელ-სისტემის გარე მეხსიერების სწრაფი გავსების გამო. სრული კლონირებისას იქმნება ვირტუალური მანქანის სრული და დამოუკიდებელი ასლი, ხოლო ბმული (ლინკირებული) კლონირება ეყრდნობა საწყის ვირტუალურ მანქანას (წარმოადგენს მის მოდიფიკაციას) და მინიმალურ მეხსიერებას მოიხმარს;
- სკრინშოტების შექმნა. სკრინშოტი ეწოდება ვირტუალური სისტემის მიმდინარე მდგომარეობას და საჭიროების მიხედვით, სისტემის მოცემული მდგომარეობის აღდგენას განაპირობებს;
- ფიზიკური მანქანის ვირტუალიზაცია, რაც გულისხმობს არსებული ფიზიკური სისტემების ვირტუალურ ინფრასტრუქტურაში მიგრაციას ვირტუალური მანქანების სახით;
- რესურსების განაწილება მასპინძელ და სტუმარ სისტემებს შორის, რაც ნიშნავს მასპინძელი-სისტემის რესურსების სტუმარ-სისტემებზე გადანაწილებას. პირველ რიგში იგი ეხება ქსელურ რესურსებს.

დღეისათვის ვირტუალიზაციის პროგრამული პაკეტებიდან რამდენიმე ფირმის პროგრამული უზრუნველყოფა დაწინაურდა. ესენია: **VMware vSphere, Microsoft Hyper-V, Xen, KVM, Oracle VirtualBox** და სხვები. უპირობო ლიდერია ფირმა **VMware**, რომლის ვირტუალიზაციის პროგრამული პროდუქტების ნაწილი უფასოა (მაგალითად: **VMware Server**), ხოლო საკმაოდ ძვირადღირებული **vSphere** უაღრესად საიმედო ვირტუალური გარემოს შექმნას სთავაზობს მომხმარებელს. საიმედოობის ასევე მაღალი დონეს უზრუნველყოფენ ფირმა **Microsoft**-ის პროდუქტი **Hyper-V** და ღია კოდის (**Open Source**) საფუძველზე შექმნილი ვირტუალური სისტემების ჰიპერვიზორი **Xen** [5].

როგორც ყველა ინფორმაციულ ტექნოლოგიას ვირტუალურ ტექნოლოგიასაც გააჩნია უარყოფითი და დადებითი მხარები.

ვირტუალიზაციის ტექნოლოგიების უპირატესობებია:

- ამარტივებს **IT**-მენეჯმენტს;
- აუმჯობესებს კრიტიკული **IT**-სერვისების ხელმისაწვდომობას;
- ახდენს არსებული **IT** ტექნიკის გამოყენების ოპტიმიზაციას;
- ამცირებს ფლობის საერთო ღირებულებას (**TCO – Total Cost of Ownership**);
- ზოგავს ფინანსებს ტექნიკაზე, სივრცესა და ელექტროენერგიაზე;
- შესაძლებელი ხდება სტუმარი ოპერატიული სისტემის თავისუფალი არჩევანი;
- იზრდება ინფრასტრუქტურის სანდოობა დაახლოებით 50%-ით;
- ადვილია არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება.

აღნიშნულ უპირატესობებთან ერთად, ვირტუალური ტექნოლოგიების ნაკლოვანებებია:

- **შეუძლებელია ყველა მოწყობილობის ემულაცია**. იმიტომ, რომ დღეისათვის აპარატურული პლატფორმების ძირითად მოწყობილობებს გააჩნიათ ვირტუალური სისტემების ვენდორების (ვენდორი არის აპარატურული პლატფორმების ძირითადი მოწყობილობების მომწოდებელი კომპანია) მხარდაჭერა. ვენდორების მხარდაჭერის გარეშე ვირტუალიზაციის განხორციელება შეუძლებელია;
- **მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნილებების შემთხვევაში, ვირტუალიზაციის განსახორციელებლად, საჭიროა აპარატურული და პროგრამული რესურსების დამატება**, რადგანაც აუცილებელია ვირტუალური მანქანების სწრაფქმედების მიახლოება რეალურთან. აქედან გამომდინარე, ფიზიკურმა ჰოსტმა რომ შეძლოს, თუნდაც ორი ვირტუალური მანქანის გაშვება, საჭიროა აპარატურული და პროგრამული რესურსების შესაბამისი რაოდენობა;
- **ვირტუალიზაციის ზოგიერთი პლატფორმა მოითხოვს კონკრეტულ აპარატურულ უზრუნველყოფას.** მაგალითად, **VMware** და **ESX Server** კომპანიების პლატფორმებს აქვთ აპარატურულ უზრუნველყოფაზე მკაცრი მოთხოვნა [6];
- **ვირტუალიზაციის კარგი პლატფორმები ძვირია**, რამდენადაც ერთი მძლავრი ვირტუალური მანქანის გამართვა, ფიზიკური მანქანის ფასს უახლოვდება.

მიუხედავად ვირტუალური ტექნოლოგიის აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მეცნიერთა კვლევების მიხედვით, მისი დანერგვა ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, მათ შორის, განათლების სფეროშიც, ეფექტიანი და მომგებიანია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უახლოეს მომავალში საქართველოში განხორციელდეს სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ლოკალური ქსელების ფუნქციონირების გადასვლა ვირტუალურ სერვისზე.

განათლების სფეროში ვირტუალური ტექნოლოგიების დანერგვას ექნება შემდეგი დადებითი ეფექტები:

- მოსწავლეებსა და სტუდენტებს ექნებათ უწყვეტი წვდომის საშუალება საგანმანათლებლო რესურსებთან;
- შემცირდება განათლების სფეროში შემავალი დაწესებულებების მიერ გასაწევი ხარჯები კომპიუტერული ტექნიკისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად;
- შესაძლებელი გახდება სწავლების ერთიანი სტანდარტებით სარგებლობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეები და სტუდენტები განათლებას მიიღებენ დისტანციურად;
- განათლებისა და მეცნიერების სფეროში დაკავებულ ადამიანებს ექნებათ ინფორმაციული ურთიერთობების დამყარების საშუალება;

დღეისათვის, საქართველოში არსებობს დასმული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა, ვინაიდან ოჯახების უმეტესობას გააჩნია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა (ნოუთბუქები, პლანშეტები, მობილური ტელეფონები და სხვ.), რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ვირტუალური ტექნოლოგიებით სარგებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.intuit.ru/department/hardware/adibm/.
2. http://www.ixbt.com/cm/virtualization.shtml.
3. Колесов А. Технологии виртуализации - что это такое / А. Колесов. [Электронный ресурс]. Режим доступа: http://www.bytemag.ru/articles/detail.php?ID=14808
4. http://www.microsoft.com/germany/virtualisierung/?WT.srch=1.
5. http://xen.org.
6. http://www.vmware.com.

The Essence, Features and Application of Virtualization Technology in Georgia

D. Sichinava
T. Gognadze

Summary

In this paper issues associated with virtualization of software and hardware components of information systems are discussed. Main positive and negative sides of virtualization are presented. Short review of modern virtualization software is made and prospects of deployment of virtualization methods and software in field of education in Georgia are justified.

Key words: *Virtualization, Technology, Hypervisor, Emulate, Server.*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)

დავით სიხარულიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მნიშვნელობა განისაზღვრება მისი შესაძლო გავლენით მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. პუი-ებისა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის ანალიზი განსაკუთრებით აღსანიშნავია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორიცაა საქართველო. შესაბამისად, კვლევის მიზანია პუი-ების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის შესწავლა. კვლევა მოიცავს პერიოდს 1996-2015 წწ. ემპირული ანალიზი განხორციელდა დროითი მწკრივის მაკროეკონომიკური მონაცემებისა და მრავლობითი რეგრესიის გამოყენებით. ანალიზმა გამოავლინა რომ პუი-ები და შიგა ინვესტიციების როლი მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკაში, ხოლო ადამიანთა რესურსების დადებითი გავლენა - ნაკლებად მნიშვნელოვანი.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, შიგა ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, ადამიან-კაპიტალი.*

პუი-ების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე მრავალი მკლევარის ყურადღების ცენტრში მოექცა უანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. ეკონომიკური ზრდის ახალ თეორიებში პუი-ები წარმოადგნს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომლის წვლილი განისაზღვრება ისეთი უნიკალური აქტივების შემოდინებით, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, მართველობითი უნარები, ნოუ-ჰაუ და ა.შ. [4, გვ.115-135].

მეცნიერთა ერთინაწილიმიიჩნევს, რომ პუი-ებს შეუძლია უზრუნველყოს დადებითი მწარმოებლურობითი ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში,მაშინ როდესაც მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ პუი-ების ეგზოგენური პოზიტიური ეფექტი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე სუსტია, რაც აიხსნება ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობით, განპირობებული ადგილობრივი პირობებით, გამოიყენოს პუი-ების განხორციელებით გამოწვეული უპირატესობა. კავშირი პუი-ებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის შესწავლილია მრავალ ემპირიულ ლიტერატურაში, რომლებიც ფოკუსირებას ახდენენ როგორც ინსუტრიულ, ასევე განვითარებად ქვეყნებზე. ზრდის ნეოკლასიკურ მოდელები, ისევე როგორც ზრდის ენდოგენურ მოდელები, წარმოადგენს ძირითად საფუძვლებს მრავალი ემპირიული კვლევისათვის, პუი-ებსა და ეკონომიკრ ზრდას შორის კავშირის გამოსავლენად. თუმცა, ემპირიული კვლევები ასევე გვიჩვენებს, რომ პუი-ების დადებითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზე, როგორიცაა ადმიანკაპიტალის დონე, სახელწმიფო პოლიტიკა, განვითარებული ფინანსური ბაზრები, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე [2, გვ. 92-105].პუი-ების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე აიხსნება ისეთი მექანიზმით, როგორიცაა მასშტაბის, კომპეტენციების და ტენოლოგიების გადაცემის და სტრუქტურული ეფექტი.

მასშტაბის ეფექტი გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წვლილს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის აკუმულაციით, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ბაზის ზრდის ტემპზე [5, გვ. 143-169]. თუმცა, უცხოური კაპიტალის არაპირდაპირი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე განისაზღვრება ტექნოლოგიებისა და მმართველობითი უნარების ტრენსფერით. [3, გვ. 21-55]. ზოგადად მულტინაციონალური საწარმოები კონცენტრაციას ახდენენ ტექნოლოგია-ინტენსიურ დარგებზე [6, გვ. 169189]. ტექნოლოგიებს, რაც მიმღებ ქვეყანაში ინერგება პუი-ების განხორციელებით,შეუძლია ეკონომიკური გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ფირმებზე დემონსტრაციის ეფექტის, სამუშაო ძალის გადინების ან ადგილობრივ მომხარებლებსა და მომწოდებლებთან კავშირების საშუალებით.

სტრუქტურული ეფექტიგამოწვეულია მულტინაციონალურ საწარმოების მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში ოპერაციებით, რომელიც მოიცავს ჰორიზონტალურ (კონკურენცია) და ვერტიკალურ (კავშირი ადგილობრივ მყიდველებსა და მომწოდებლებთან) ცვლილებებს. მიმღებ ქვეყაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეიძლება ასტიმულიროს კონკურენცია და უზრუნველყოს რესურსების ალოკაცია, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, სადაც მაღალი შეღწევის ბარიერი ზღუდავს შიგა კონკურენციის ხარისხს. ამ მხრივ მულტინაციონალურ საწარმოებს შეუძლიათ შეიტანონ გარკვეული წვლილი ბაზრის დინამიკურობასა და ინოვაციების ამაღლებაში და უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა. თუმცა, მულტინაციონა-

ლურმასაწარმოებმა, ისეთი უპირტესობის გამოყენებით, როგორიცაა მასშტაბის ეფექტი და მსხვილი ფინანსური რესურსები, შეიძლება გამოდევნონ ადგილობრივი ფირმები[1, გვ.146]. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილობრივ ინვესტიციებზე გავლენის შესწავლისას საქართველოში დაფიქსირდა გამოდევნის ეფექტი [8, გვ. 35-40]

კავშირების ფორმირება უცხოურ ფილიალებსა და ადგილობრივ მომწოდებლებს შორის არის კიდევ ერთი მნიშნელოვანი მექანიზმი, რომლის საშუალებით მულტინაციონალურ საწარმოებს შეუძლიათ დადებითი ეკონომიკური გავლენა მოახდინონ ადგილობრივ ფირმებზე. კერძოდ უცხოური ფირმები ქმნიანარაპირდაპირ და პირდაპირ კავშირებს ადგილობრივ ფირმებთან, რომელთა მეშვეობითაც შეუძლიათ მათ ზემოქმედება მოახდინონ ადგილობრივი დარგის მოდერნიზაციაზე [7, გვ.105-137].

რაც შეეხება პუი-ები ზეგავლენას უშუალოდ საქართველოს ეკონომიკაზე (1996-2015 წწ.), ანალიზი გაკეთებული გვაქვს წლიური დროითი მწკრივის საფუძველზე.

კვლევაში მონაცემთა სხვადახვა წყაროებია გამოყენებული: პუი-ების მოდინების ნაკადების შესახებ მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან [11]. მშპ-ის ზრდის ტემპის, მშპ-ის, დასაქმების, შიგა ინვესტიციების და ექსპორტის შესახებ მონაცემები აღებულია მშოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან [9]. რაც შეეხება ადამიან-კაპიტალს, მის შესახებ მონაცემები აღებულია UNESCO-ს მონაცემთა ბაზიდან [11].

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ემპირიული ტესტირებისათვის გამოყენებულია შემდეგი მოდელი:

$$Gr(Y) = a_0 + a_1(I/Y) + a_2(FDI/Y) + a_3 Gr(L) + a_4 Gr(X) + t$$

მოდელში გამოყენებული ცვლადებია:

$Gr(Y)$ - რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპი;

I/Y - შიგა ინვესტიციების წილი მშპ-ში;

FDI/Y - პუი-ებისწილიმშპ-ში;

$Gr(L)$ - დასაქმების ზრდის ტემპი;

$Gr(X)$ - ექსპორტის ზრდის ტემპი;

მოცემულ კვლევაშიყურადღებას ვამახვილებთ a_2-ის მოცულობასა და სტატისტიკურ მნიშვნელობაზე. მოდელში კოეფიციენტების შეფასება შესაძლოა იყოს ტენდენციური, განსაკუთრებით $Gr(Y)$ და $Gr(Y)$ და $Gr(X)$ შორის კავშირიშესაძლოაიყო ორი მიმართულების.

ჩამოყალიბებულია ჰიპოტეზები, რომლისტესტირების მიზანია გავარკვიოთ თუ როგორი იქნება FDI/Y დადებითი ეფექტი $Gr(Y)$-ზე, ასევე, თანაბრად შესაძლებელია, რომ ზრდადი ეკონომიკა იზიდავდესუფრო მეტ უცხოურ კაპიტალს, შესაბამისად, მეორე მოდელი შემდეგნაირად ფორმულირდება:

$$\frac{FDI}{Y} = b_0 + b_1 Gr(Y) + b_2(Y/N) + b_3 Gr(P_w) + t$$

სადაც

Y/N - მშპ მოსახლეობის ერთ სულზე;

$Gr(P_w)$ - რეალური ხელფასის ზრდის ტემპი;

ტესტირებისათვის შემდეგი ჰიპოტეზება შემოთავაზებული:

$\frac{\partial Gr(Y)}{\partial FDI} > 0$ $\frac{\partial Gr(Y)}{\partial I} > 0$ ამ შემთხვევაში კვლევაშივვარაუდობთ, რომ პუი-ებსა და შიგა ინვესტიციებს გააჩნია დადებითი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე;

$\frac{\partial Gr(Y)}{\partial H} > 0$ მაღალ კვალიფიციურმა სამუშაო ძალამ უნდა აწარმოოს მეტი პროდუქტი არსებული რესურსებით;

$\frac{\partial Gr(Y)}{\partial X} > 0$ ვაჭრობის განვითარებას მოჰყვება სპეციალიზაცია და პოტენციური ბაზრების გაფართოება,რაც საშუალებას მისცემს ფირმებს გამოიყენონ მასშტაბის ეკონომია და გახდნენ მეტიკონკურენტუნარიანი.

პუი-ების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მოცემულია შემდეგი ეკონომეტრიკული გათვლებით:

Gr(Y) = 0.1964*I_Y + 0.2248*FDI_Y + 3.6483*GrL + 0.5129*GrX - 0.5097
(0,29)(0,23) (6,98) (4,54) (6,65)

FDI_Y = 0.551*G r(Y)+ 0.0009*Y_N - 3.6955*GrP$_w$ + 3.37100
(0,26) (0,00) (2,51) (2,40)

გათვლები გვიჩვენებს, რომ პუი-ების, შიგა ინვესტიციების, ექსპორტისა და ადამიან-კაპიტალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დადებითია. თუმცა, ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პუი-ებსა და შიგა ინვესტიციებს. რაც შეეხება ადამიან-კაპიტალს მისი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უმნიშვნელოა, რაც აიხსნება ქვეყანაში კვალიფიციური კადრების უკმარისობით. ამგვარად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც ქვეყანამ დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა პუი-ების ნაკადებმა საქართველოში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. თუმცა, მათი როლი ექსპორტის კონკურენტუნარიანობასა და დარგების მოდერნიზებაში უმნიშვნელოა. ასევე ადგილი აქვს პუი-ების მიერ ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის ეფექტს [8, გვ. 35-40].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Agosin, M. and R. Mayer (2000). “Foreign investment in developing countries: does it crowd in domestic investment?”, UNCTAD Discussion Paper no 146.
2. Balasubramanyam, V.N., Salisu, M. and Sapsford, D. (1996) “Foreign Direct Investment and Growth in EP and ISCountries”. Economic Journal, 106: 92-105.
3. Baldwin, Richard, H. Braconier and R. Forslid (1999). “Multinationals, endogenous growth and technological spillovers: theory and evidence”, CEPR Discussion Paper, 2155.
4. Borensztein, E., Gregorio, J.D. and Lee, J.W. (1998). “How Does Foreign Direct Investment Affect Economic Growth”? Journal of International Economics, 4: 115-35.
5. Bosworth, B. and Collins, S. (1999). “Capital flows to developing economies: implications for saving and investment”, Brookings Papers on Economic Activity, 1: 143-169.
6. Markusen, J. (1995). “The boundaries of multinational enterprises and thetheory of international trade”, Journal of Economic Perspectives, 9: 169189.
7. Scott-Kennel, J., &Enderwick, P. (2005). Foreign direct investment and inter-firm linkages: Exploring the black box of the investment development path. Transnational Corporations, 14(1), 105-137.
8. Sikharulidze David. The Impacts of FDI on Domestic Investment (in case of Georgia) Social and Economic Revue; Faculty of Social and Economic Relations; Volume 13, March 2015, no. 1
9. The World Bank http://data.worldbank.org/
10. UNESCO institute for statistics http://www.uis.unesco.org/DataCentre/Pages/BrowseEducation.aspx
11. საქართველოსსტატისტიკისეროვნულისამსახური http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

The Impact or Foreign Direct Investment on Economic Growth: a Case Study of Georgia

D. Sikharulidze

Summary

The importance of FDI is determined by its impact on the host countries. The study of the relationship between FDI and economic growth particularly important for such transition economy as Georgia. Therefore the purpose of this paper is to explore the impact of Foreign Direct Investment (FDI) on economic growth in Georgia. This study covers the time period from 1996-2016. This study attempts to determine empirical impact of FDI on the economy of Georgia using macroeconomic annual time series data. FDI, domestic investment, employment, export and human capital are considered as the endogenous variables for economic growth. The multiple regressions are employed in this study. This study finds that there is a strong and positive impact of FDI on Georgia’s economic growth. Furthermore, the study indicates that human capital, employment and export also have positive and but not significant impact

Key words: *Foreign direct investment, Domestic investment, Economic growth, Human capital development.*

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება გლობალურ ბიზნესში

დალი სოლოღაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაცია ეკონომიკასა და ბიზნესში საფუძველი გახდა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარშგების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა. 1973 წლის 29 ივნისს დაფუძნდა არასამთავრობო, დამოუკიდებელი კერძო პროფესიული ორგანიზაცია –ბუღალლტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ), რომლის მიზანიც დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე ბუღალტრული აღრიცხვისა საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება და მათი პრაქტიკულად რეალიზაცია იყო.

ფინანსური ანგარიშგების საერათშორისო სტანდარტების საფუძველზე მომზადებული გამჭირვალე და შესადარისი ინფორმაცია, საფუძველია ინვესტორების, მსოფლიო კაპიტალის ბაზრების სხვა მონაწილეებისა და ფინანსური ინფორმაციის სხვა მომხმარებლებისათის ფინანსური რისკების შემცირებისა.

***საკვანძო სიტყვები**: ფინანსური ანგარიშგება, სტანდარტები, ინფორმაცია, გამჭირვალე, შესადარისი.*

გლობალიზაცია ობიექტური, შეუქცევადი და ისტორიულ-ლოგიკური პროცესია, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს ეხება. ტერმინ-გლობალიზაციას თავდაპირველად ეკონომიკური მნიშვნელობა ქონდა და გლობალიზაციის პროცესიც ყველაზე მეტად ეკონომიკას შეეხო. სწორედ გლობალიზაციის პროცესი განაპირობებს ბიზნესში ერთგვარი ,,კარჩაკეტილობის" მოხსნასა და საერთაშორისო ბიზნესო პერაციების განხორციელებას. საერთაშორისო ბიზნესი კი, თავის მხრივ, არის სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების ფინანსურ ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც ხელს უწყობს სწორედ გლობალიზაცია. გლობალიზაციის პროცესი და თანამედროვე კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა საერთაშორისო მასშტაბით, მინიმალური დანახარჯებით, პარტნიორ კომპანიებთან გაღრმავდეს სამეურნეო კონტაქტები. სწორედ ბიზნესის გლობალიზაცია აძლევს კომპანიებს საშუალებას საკუთარი პროდუქციიის წარმოება თუ ცალკეული საწარმოო პროცესი, განახორციელონ იმ ტერიტორიაზე, სადაც მინიმალური დანახარჯებით მეტ მოგებას მიიღებენ. ამის არაერთი მაგალითია როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოს მასშტაბით.

კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესი სრულყოფს კაპიტალის გასვლის თავისუფლებას ერთი ქვეყნიდან მეორეში. კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესის დაჩქარება, საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობის უპრეცენდენტო ზრდა, საკრედიტო-სავალუტო ურთიერთობები და ა.შ., კიდევ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

სწორედ საქონლი და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ფაქტორი გახდა საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) დამკვიდრებისა. მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები აღრიცხისა და აუდიტის სისტემის რეგულირების თავისებურებისა და რეგლამენტაციის ხარისხის მიუხედავად, ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს). გასათვალისწინებებლია ისიც, რომ ცალკეული ქვეყნების აღრიცხვის სისტემა მეტნაკლები დონით ამ სტამდარტებთან არის დაკავშიებული. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები არის ძლიერი ბაზრის, ანგარშვალდებული მთავრობის, ეკონომიკური სტიმულირებისა და ზრდის, გამჭვირვალე ანგარშგების საფუძველი.

საბაზრო ეკონომიკის სისტემა გამოირჩევა სხვა სისტემებთან შედარებით თავისი სირთულით. კონკურენციის პირობებში კომპანიის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია მისი მართვის ორგანიზაციის დონესა და სტრუქტურაზე, მართვის ფუნქციებისა და მეთოდების ოპტიმალურ რეალიზაციაზე, გარე მომხმარებელთათვის მიწოდებული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გამჭირვალობასა და სანდოობის ხარისხზე, რომლის უზრუნველყოფა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გარეშე შეუძლებებლია. ბუღალტრული აღრიცხვა ხომ ,,სამეურნეო სუბიექტის საქმიანობისა და რესურსებზე გავლენის მომხდენი, ფულადი ერთეულით შეფასებადი ეკონომიკური მოვლენების ამსახველი ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციის, შეფასების, განზოგადების და შესაბამისი ანგარიშგების მწყობრი და უწყვეტი სისტემაა [1,მუხლი2.1.ა]. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა თუ წარდგენის მიზანი ხომ ინფორმაციის მიწოდებაა, როგორც ძირითადი (ინვეს-

ტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები. რომელთა საინფორმაციო მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება), ასევე დანარჩენი (საწარმოს მმართველობა და საზოგადოება) მომხმარებლებისათვის, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახრებისა და კაპიტალის მოძრაობის შესახებ, რომელიც გამოადგებათ მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

მსოფლიო მასშტაბით გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების აღიარება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებისათვის, რაც მსოფლიო კაპიტალის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას ქმნის. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე ინვესტორებსა და კრედიტორებს ხელი მიუწვდებათ დროულ დასანდო ინფორმაციაზე. ,,სტანდარტების ჰარმონიზაციის მიზანია, ნებისმიერი ქვეყნის ინვესტორმა შეძლოს ნებისმიერ სხვა ქვეყნაში მოქმედი კომპანიის მიერ შედგენილი და გამოქვეყნებული ფინანსური ინფორმაციის აღქმა, ინტერპრეტაცია, შედარება და გამოყენება“ [3. გვ.21].

საქართველოს კანონი ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, რომელიც მიღებულია 2016 წლის 8 ივნისს, ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ,,საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგებისა და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს“ [1,მუხლი 1.1]. მისი მიზანია ,,ფინანსური გამჭირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით“ [1,მუხლი 1.2.1].

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო მეტი და მეტი კომპანია ერთვება საერთაშორისო ბიზნესში, რაც თავისთავად ზრდის თითოული მათგანის ეკონომიკურ რისკს. სწორედ საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება უწყობს ხელს საერთაშორისო, გლობალური ბიზნესის წარმართვის ნორმალურ პროცესს. გამჭირვალე და შესადარისი ინფორმაციის მიწოდება

ხომ ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების საფუძველზე მზადდება, რაც ფინანსური რისკების შემცირების საფუძველია ინვესტორების, მსოფლიო კაპიტალის ბაზრების სხვა მონაწილეებისა და ასევე ფინანსური ინფორმაციის სხვა მომხმარებლების მხრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიზანიც ხომ საზოგადოების ინტერესებისათვის მაღალი ხარისხის, გასაგები და პრაქტიკულად განხორციელებადი ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური სტანდარტების ერთი კომპლექტის შექმნაა, რომელიც მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებასა და სხვა ფინანსურ ანგარიშებში მაღალი ხარისხის, გამჭირვალე და შესადარისი ინფორმაციის ასახვას, მთელ მსოფლიოში ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა ბაზრის მონაწილეთათვის და სხვა მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარების მიზნით, ამავდროულად უზრუნველყოსეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მაღალხარისხიანი კონვერგენცია.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასსს), რომელიც დაფუძნებულია 2001 წელს და წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) ფონდის ნაწილს, მიზნად ისახავს საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ შექმნას მაღალი ხარისხის, გასაგები, პრაქტიკულად განხორციელებადი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც მოითხოვს გამჭირვალე და შესადარისი ინფორმაციის წარდგენას საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) წევრობის ძირითად პირობად პროფესიონალური კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილებაა. ნდობით აღჭურვილ მეთვალყურეებს წარმოადგენენ პიროვნებები, რომელთაც გააჩნიათ ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება აუდიტორობის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებულობის, მომხმარებლობისა და მეცნიერული მუშაობის, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესებს (2. გვ.5).

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები არ არის მუდმივი, იგი სისტემატურად დამუშავებისა და განახლების რეჟიმშია. ამის ნათელი დადასტურებაა ის გამოცემები, რომელიც დღემდე რამდენიმეჯერ არის გადამუშავებლი და სამოქმედოდ შემოღებული. ბასსს-ი თავის სტანდარტებს აქვეყნებს ოფიციალური დოკუმენტების სახით, რომელსაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტან-

დარტები (ფასს) ეწოდება. ბასსს-ი აღიარებს მისი წინამორბედი ორგანოს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოცემულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. ტერმინი - ,,ფინანსური ანგარიშგების საერთაშორის სტანდარტები ((IFRS) მოიცავს ფასსებს, ბასს-ებსა და ინტერპრეტაციებს, რომელიც შემუშავებულია ახლანდელი ინტერპრეტაციების კომიტეტის, ან ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივ მოქმედი კომიტეტის მიერ. დღეისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ნათრგმნია 40-ზე მეტ ენაზე.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) მიზანია ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესს, გააძლიეროს ბუღალტრული პროფესია მსოფლიო მასშტაბით და მაღალი ხარისხის პროფესიული სტანდარტების შემუშავების და გავრცელების გზით, ხელი შეუწყოს ძლიერი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებას, დაეხმაროს ასეთი სტანდარტების დაახლოებას და თავისუფლად გამოხატოს აზრი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იქ, სადაც პროფესიული ინტერესი ყველაზე მნიშვნელოვანია.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგება რეგულირდება საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება კი ამავე კანონის თანახმად უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ამრიგად, გლობალურ ბიზნესში ფინანსური ინფორმაცია არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ინფორმაციისა, რომელსაც ეყრდნობა ინვესტორი საინვესტიციო კაპიტალის დაბანდებისას, რამეთუ ფინანსური ანგარშგების საერთაშორისო სტანდარტებით დამუშავებული და წარდგენილი ინფორმაციააცნობს მას ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ხასიათსა და სიდიდეს, ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესაძლებლობებს, ეხმარება წარსული საქმიანობის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგების, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და შეფასებაში.

სწორედ ამიტომ, ბიზნესის გლობალიზაცია ფინანსური ინფორმაციის დამუშავებას ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი წესებითა და სტანდარტებით საჭიროებს. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ხელს უწყობს ინვესტორების მხრიდან ეკონომიკური გადაწყვეტილებების რისკის შემცირებას, მსოფლიო ბაზრებზე კაპიტალის ეფექტიან გადაადგილებას, გლობალური ეკონომიკის განვითარებასა და მსოფლიო მასშტაბით ფინანსურ სტაბილურობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. ქუთაისი, 8 ივნისი 2016 წ.
2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ნაწილი I. თბ., 2014 წ. გვ. 994
3. ჭუმბურიძე ლ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება. თბ., 2014 წ. გვ. 274
4. http://www.ifrs.org

Accounting and Reporting in Global Business

D. SologaShvili

Summary

Globalization in economy and business became the basis for the development of international standards of accounting and financial reporting. In 1973 on the 29th of June was established a non-independent non-professional organization International Accounting Standards Committee (IASC), the aim of which in accordance with time requirements were creating the international accounting standards and their practical realization.

Transparent and comparable information prepared on the basis of International Standards of Financial Statement is the foundation of financial risk reduction for investors, world's capital markets participants and other users of financial information.

Key words: *Financial statements, Standards, Information, Transparent, Comparative.*

სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის თავისებურებები

ნანა სრესელი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო გრანტი არის ორგანიზაციისთვის გაწეული დახმარება რესურსის გადაცემის სახით, საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი პირობების სანაცვლოდ. ფასს (ბასს) 20 განმარტავს, რომ გრანტი შეიძლება იყოს აქტივთან ან შემოსავალთან დაკავშირებული, ან ნაპატიები ვალდებულება. გრანტების აღრიცხვის მეთოდები -კაპიტალ-მეთოდი და შემოსავალ მეთოდი განსაზღვრავენ გრანტის აღიარების ძირითად პრინციპებს. შრომაში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ინტერპრეტაციების საფუძველზე განხილულია სახელმწიფო გრანტის შეფასების, აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მეთოდები გრანტის სახეების მიხედვით, ასევე სახელმწიფო გრანტის დაბრუნების ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები; სახელმწიფო გრანტისა და სახელმწიფო დახმარების განმსაზღვრელი კრიტერიუმები. ნაშრომში თეორიულ ასპექტში განიხილება მსს ფასს-ით სახელმწიფო გრანტების შეფასების, აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო გრანტი, რეალური ღირებულება, კაპიტალ-მეთოდი, შემოსავალ-მეთოდი, გადავადებული შემოსავალი, ხარჯების ასახვის ალტერნატიული მეთოდი.*

სახელმწიფო დახმარება არის სახელმწიფოს - სახელისუფლებო ორგანოების ქმედება, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური სარგებელის გადაცემას იმ კონკრეტული კომპანიის ან კომპანიათა ჯგუფისათვის, რომლებიც სათანადო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. სახელწიფოს მიერ გაწეული დახმარების სახეობაა გრანტი, ანუ სუბსიდია, რაც ხორციელდება საწარმოსათვის ეკონომიკური რესურსების გადაცემის ფორმით, საწარმოს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული პირობების წარსულსა ან მომავალში შესრულების სანაცვლოდ. სახელმწიფო გრანტი შეიძლება მოხსენიებული იყოს შემდეგი ტერმინებით: სუბსიდია, დოტაცია ან სახელმწიფო პრემია. სახელმწიფო გრანტები გაიცემა როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ფორმით. კერძოდ, გრანტი შეიძლება მიღებული იქნეს შემდეგი ფორმით:

- ✓ გრანტები, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან;
- ✓ გრანტები, რომელიც დაკავშირებულია შემოსავლებთან;
- ✓ ნაპატიები სესხები.

აქტივებთან დაკავშირებულ გრანტებს საწარმო იღებს იმ მიზნით, რომ შეიძინოს, შექმნას, ააშენოს ან სხვა გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქტივები. ასეთი გრანტი შეიძლება ითვალისწინებდეს აქტივების სახეობის, განლაგების, მათი შეძენის ან ფლობის შესახებ დამატებით პირობებს.

შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტი კი განსხვავებულია აქტივებთან დაკავშირებული გრანტისგან.

ნაპატიები სესხები არის სესხები, როდესაც კრედიტორი იღებს ვალდებულებას ნებაყოფლობით თქვას უარი მის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებაზე.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი ფორმით იქნება გრანტი მიღებული, არ იცვლება მისი აღრიცხვის მეთოდი. იგი აღირიცხება იდენტურად, იმის მიუხედავად მიღებულია ფულადი ფორმით, თუ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების შემცირების ფორმით. სახელმწიფო გრანტების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესს ფასს (ბასს) 20 არეგულირებს. სახელმწიფო გრანტი აღიარდება **რეალური ღირებულებით** და ემყარება შემდეგ კრიტერიუმებს: უნდა არსებობდეს დამაჯერებელი რწმენა, იმისა, რომ საწარმო შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს და რომ გრანტი იქნება მიღებული.

სუბსიდიის მიღება თავისთავად არ ნიშნავს, რომ მასთან დაკავშირებული პირობები შესრულებულია ან შესრულდება (იხ. სიტუაცია 1):

სიტუაცია 1

ორგანიზაციამ მიიღო სუბსიდია 25 000 ფულადი ერთეული ადგილობრივი წარმოების 7 დანადგარის შესაძენად. ხელმძღვანელობის ცვლილების შემდეგ ახალი მენეჯმენტი არ გეგმავს აქტივების ამ რაოდენობით შეძენას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას თანხა უნდა აისახოს „სასესხო ვალდებულებების მუხლით.“

მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, გრანტის პირობის შეუსრულებლობა ცვლის სუბსიდიის სახით მიღებული დაფინანსების ეკონომიკურ შინაარსს და ტრანსფორმირდება ვალდებულებად.

სახელმწიფო გრანტი მოგებასა ან ზარალში უნდა აღიარდეს სისტემატურ საფუძველზე იმ პერიოდებში, რომელშიც ორგანიზაცია ხარჯად აღიარებს გრანტით დაფინანსებულ დანახარჯებს:

სიტუაცია 2

ორგანიზაციამ სახელმწიფო გარანტი მიიღო შემდეგი პირობით: 3 წლის განმავლობაში სუბსიდირებული იქნებოდა იჯარის ყოველწლიური ხარჯების მხოლოდ 50% -ი. გრანტის მთლიანი მოცულობა კი განისაზღვრა 10 000 ფულადი ერთეულით (ფე).

პირველი წელის იჯარის ხარჯმა 15 000 ფე შეადგინა, შესაბამისად სუბსიდიის სახით მიღებული იქნა 7 500 (15 000*50%) ფე.

მეორე წლის იჯარის ხარჯმა შეადგინა 16 000 ფე, სუბსიდიის სახით მიღებულმა შემოსავალმა კი მხოლოდ 2 500 (10 000- 7 500) ფე.

მე-2 სიტუაციის მიხედვით სუბსიდირება არ გავრცელდება შემდგომ წელზე, ვინაიდან სუბსიდიის სახით გასაცემი თანხა სრულად არის გამოყენებული.

ფასს (ბასს) 20 განიხილავს სახელმწიფო გრანტების აღრიცხვის შემდეგ მეთოდებს:

- **კაპიტალ-მეთოდი**
- **შემოსავალ-მეთოდი**

კაპიტალ-მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გრანტი არ უნდა აისახოს მოგების - ზარალის შემადგენლობაში. შემოსავალ-მეთოდის შესაბამისად, გრანტი, ერთი ან რამოდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში უნდა მიეკუთვნებოდეს შემოსავლებს/ ხარჯებს. ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში სახელმწიფო გრანტის აღრიცხვის მეთოდების შესახებ ჩამოალიბებულია გარკვეული მოსაზრებები, კერძოდ:, **კაპიტალ -მეთოდის** დადებითი არგუმენტებია (მხარეებია):

1. სახელმწიფო გრანტები თავისი არსით დაფინანსების ერთ-ერთი საშუალებაა, ამიტომ მიზანშეწონილია მისი კაპიტალში და არა მოგება-ზარალში ასახვა. მოგება-ზარალიში ასახვის მიზანია იმ დანახარჯებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც მისგან ფინანსდება.
2. რამდენადაც გრანტი საწარმოს მიერ გამომუშავებული არაა, მისი მოგება-ზარალიში ასახვა არამართლზომიერია. იგი წახალისებაა, რომელსაც დანახარჯები არ უკავშირდება.

შემოსავალ-მეთოდის დადებითი არგუმენტებია (მხარეებია):

1. ვინაიდან სახელმწიფო გრანტი არის შემოსულობა ისეთი წყაროებიდან, რომელიც განსხვავდება აქციონერთა შენატანებისგან იგ უნდა აღიარდეს არა კაპიტალში, არამედ შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.
2. სახელმწიფო გრანტები უსასყიდლოდ იშვიათად გაიცემა. გრანტის მიღება დაკავშირებულია კონკრეტული ვალდებულებების შესრულებასთან. ამიტომ გრანტი უნდა აისახოს იმ პერიოდების მოგებაში ან ზარლში, როდესაც საწარმო დანახარჯებს აღიარებს ხარჯებად, რომლის დაფინანსებაც ხდება გრანტით.
3. სახელმწიფო გრანტები სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს, შესაბამისად შემოსავლების მიხედვით დარიცხული გადასახადები, სახელმწიფო გრანტებთან ერთად მოგება-ზარალში უნდა აისახებოდეს.

სახელმწიფო გრანტების აღიარება ძირითადად ხდება დარიცხვის მეთოდით, თუმცა სტანდარტი ცალკეული სიტუაციისათვის უშვებს საკასო მეთოდით გრანტის აღიარების შესაძლებლობას, მაგრამ მკაცრად მიანიშნებს, რომ საკასო მეთოდის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ გრანტი უნდა გადანაწილდეს სხვა საანგარიშგებო პერიოდებზე.

დარიცხვის მეთოდით გრანტით მისაღები ფულადი სახსრების შემოდინების გადავადება წარმოშობს მოთხოვნებს და შესაბამისად- დებიტორული დავალიანებას

სიტუაცია 3

სახელმწიფო სტრუქტურამ ორგანიზაციაზე 20 000 ფე. გრანტის გაცემის გადაწყვეტილება 2014 წლის 20 დეკემბერს მიიღო, ფაქტიურად კი გრანტი გასცა 2015 წლის 10 იანვარს.

გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების თარიღით ორგანიზაცია აღიარებს არასაოპერაციო შემოსავალს 20 000 ფე-ს, რაზედაც წარმოიშვება მოთხოვნა მისაღებ გრანტზე, რომელიც დაიფარება გრანტის მიღების თარიღით.

3-ე სიტუაციით -„გრანტის გაცემაზე განკარგულებით," აღიარდება „არასაოპერაციო შემოსავალი" და „გრანტზე მოთხოვნები", ხოლო „გრანტის მიღების" თარიღით -„გრანტზე მოთხოვნა" ტრანსფორმირდება გრანტის სახით მიღებულ აქტივად.

შემოსავალ-მეთოდის მიხედვით გრანტის მიმდინარე შემოსავლებში აღიარება უნდა მოხდეს იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოხდება გრანტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების აღიარება. მაგრამ, თუ სახელმწიფო გრანტი განკუთვნილია ორგანიზაციის გადაუდებელი ფინანსური დახმარებისათვის ან უკვე გაწეული სპეციფიკური დანახარჯების დასაფინანსებლად, გრანტი შემოსავალის სახით უნდა აღიარდეს იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც ორგანიზაცია განსაზღვრავს მის მიღებას.

სახელმწიფო სუბსიდია ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს წინა საანგარიშო პერიოდში მიღებული ზარალის კომპენსაციისა და დაუყოვნებლივი ფინანსური მხარდაჭერის მიზნით. ასეთი გრანტები შემოსავალში აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მოხდება მისი მიღება (იხ. სიტუაცია 4):

სიტუაცია 4.
ორგანიზაციამ ფინანსური მხარდაჭერის და რიგი წლების ზარალის დაფარვის მიზნით, 2015 წელს სახელმწიფოსგან მიიღო სუბსიდია 200 000ფე, შესაბამისად, მიღებული სუბსიდია აღიარდება ამავე პერიოდის შემოსავალში.

სახელმწიფო გრანტის სახით შეიძლება გაიცეს არამონეტარული (არაფულადი) აქტივები, როგორიცაა მიწის ნაკვეთი ან სხვა რესურსები. ასეთ შემთხვევაში, არაფულადი აქტივი და გრანტი (სუბსიდია) უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. ზოგჯერ გამოიყენება ალტერნატიული მიდგომა, როდესაც არაფულადი აქტივი და გრანტი (სუბსიდია) ფასდება ნომინალური ღირებულებით.

ფასს (ბასს) 20 განმარტავს, რომ აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი დაშვებული ალტერნატიული მეთოდით:

- ✓ გრანტი აღიარდეს გადავადებული შემოსავლის სახით,
- ✓ გრანტი გამოიქვითოს აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად.

გრანტის აღიარება გადავადებულ შემოსავლად გულისხმობს, რომ ის სისტემატურად და რაციონალურ საფუძველზე აღიარდება მოგება/ ზარალში, აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში.

მეორე მეთოდის თანახმად კი, ხდება გრანტის გამოქვითვა აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად. გრანტი აღიარდება მოგებასა / ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში, როგორც დარიცხული ცვეთის შემცირებული ხარჯი:

სიტუაცია 5.
ორგანიზაციამ მიიღო გრანტი 5 000 ფე; შეიძინა დანადგარი 12 000 ფე ;
სასარგებლო მომსახურების ვადა 6 წ; ნარჩენი ღირებულება 0; ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდთ;

1. გრანტი აღიარდება გადავადებული შემოსავლის სახით:

- ✓ აქტივთან დაკავშირებული გრანტი, 5 000 ფე, რომელიც აღირიცხება გადავადებული შემოსავალის სახით, შეძენილი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წილობრივად - 833 (5 000/6) ფე აღიარდება როგორც პერიოდის შემოსავალი.
- ✓ გრძელვადიანი აქტივის შეძენის ღირებულებიდან სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურად აღიარდება პერიოდის ხარჯებში -2 000 (12 000/6) ფე, ცვეთის დარიცხვის გზით.

2. გრანტი გამოიქვითება აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად:

- ✓ აქტივთან დაკავშირებული გრანტი გამოიქვითება აქტივის საბალანსო ღირებულების მისაღებად და აქტივი აღიარდება შესწორებული თანხით 7 000 (12 000-5 000)ფე.
- ✓ გრძელვადიანი აქტივის კორექტირებული ღირებულებიდან სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურად აღიარდება პერიოდის ხარჯებში - 1 167 (7 000/6) ფე, ცვეთის დარიცხვით.

ამრიგად, ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები შემოსავლების სახით აღიარდება იმ პერიოდებში და იმ პროპორციით, როდესაც მოცემულ აქტივს ერიცხება ცვეთა.შესაბამისად, გადავადებული შემოსავალის ჩამოწერა პერიოდის შემოსავალის სახით, უზრუნველყოფს გრანტით გაწეული ხარჯების დაფინანსებას.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება სისტემატურ საფუძველზე იმ პერიოდში, რომელშიც კომპანია ხარჯებად აღიარებს მოცემული გრანტით კომპენსირებად გასავლებს. მიღების მომენტში სუბსიდიის შემოსავალის სახით აღიარება ეწინააღმდეგება დარიცხვის პრინციპს და არღვევს ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენის“ მოთხოვნებს. როგორც უკვე აღინიშნა, საკასო მეთოდით გრანტის აღიარება შემოსავლებში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არ არსებობს პერიოდების მიხედვით მისი განაწილების ბაზა, გარდა იმ პერიოდის, როცა ის მიღებულია. უმეტეს შემთხვევაში პერიოდები, რომლის განმავლობაშიც ორგანიზაცია აღიარებს გრანტებთან დაკავშირებულ გასავლებს ან ხარჯებს, ადვილად დგინდება და ამგვარად კონკრეტული ხარჯების აღიარების მომენტშივე, გრანტიც აღიარდება როგორც იმ პერიოდების შემოსავალი, რომელშიც ხდება შესაბამისი ხარჯების აღიარება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების ასახვა დაშვებულია ორი მეთოდით:

- **მთლიანად**, საანგარიშგები პერიოდის შემოსავლების სახით - ცალკე მუხლად ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავლები“,
- **ალტერნატიულად** - როგორც შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვის შედეგი, ანუ შესაბამისი ხარჯებიდან გრანტის გამოიქვითვის გზით.

პირველი მეთოდის მიხედვით, შემოსავალთან დაკავშირებული გრანტები ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში აისახება სრულად, საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლების სახით.

მეორე მეთოდის თანახმად გრანტი აღიარდება, როგორც წმინდა შემოსავლებისა და/ან ხარჯების მუხლები. ამასთან, ურთიერთგადაფარვა არ აისახება ბუღალტრულ აღრიცხვაში (არ დგება ბუღალტრული გატარება), წმინდა შედეგი აისახება მხოლოდ უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სიტუაცია 6:

ისტორიულ თემებზე მოკლემეტრაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გადასაღებად, კომერციულმა კინოსტუდიამ მიიღო 2 წლიანი გრანტი 40 000 ფე.

გრანტის ფარგლებში პირველ წელს შესყიდულია: კინო - აპარატურა 10 000 ფე; კინო-ფირები და სხვა მასალები- 2 000 ფე; ხელფასის და ჰონორარის ხარჯებია- 8 000 ფე;

1. **აღიარება საანგარიშგები პერიოდის მთლიანი შემოსავლების სახით:**

პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებას ექვემდებარება:

- ხარჯები 15 000 ფე;

მ.შ.: მასალა -2 000 ფე

ხელფასი და ჰონორარი -8 000 ფე

ცვეთა - 5 000 ფე

- მიმდინარე პერიოდის შემოსავალი 15 000 ფე;
- გადავადებული შემოსავალი 5 000 (20 000-15 000) ფე; შემცირებული მიმდინარე პერიოდის შემოსავალის სახით აღიარებული თანხით.

2. **აღიარება ალტერნატიული მეთოდით, როგორც შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვის შედეგი:**

პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებას ექვემდებარება:

- შემოსავალისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვის შედეგი:

ხარჯებს 15 000 ფე - შემოსავალი

15 000 ფე = 0

- გადავადებული შემოსავალი 5 000 (20 000-15 000) ფე; შემცირებული პერიოდის შემოსავალის სახით აღიარებული თანხით.

გრანტებთან დაკავშირებული შემოსავლების ასახვა დასაშვებია ორივე მეთოდით.

ფასს (ბასს) 20-ი განსაზღვრავს სახელმწიფო გრანტების დაბრუნების კრიტერიუმებსაც. კერძოდ, შემოსავალთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება ამცირებს გადავადებული შემოსავალის ნებისმიერ დარჩენილ არაამორტიზებულ სიდიდეს, რომელიც ასახავს მოცემულ გრანტთან დამოკიდებულებას. თუ ამ უკანასკნელს არ ემატება დასაბრუნებელი თანხა, ან გადავადებული შემოსავალი არ არსებობს, მაშინ დასაბრუნებელი გრანტი აღიარდება როგორც გასავალი.

სიტუაცია 7:

კომპანიამ სახელმწიფოსგან სუბსიდიის სახით მიიღო 10 000 ფე ,იმ პირობით, რომ 5 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალის 70% უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან. იმ წელს, როდესაც დაკისრებული მოვალეობა ვერ შესრულდებოდა, გრანტი

ექვემდებარებოდა დაბრუნებას. შესაბამისად, თითოეული წლის სუბსიდია შეადგენს 2 000 ფე-ს, დისკონტირების ეფექტი არ გაითვალისწინება. ორგანიზაციამ პირობა ვერ შეასრულა მხოლოდ მეორე წელს. შესაბამისად:

- პირველ და ყველა შემდგომ წელს, გარდა მეორე წლისა, გადავადებული შემოსავალიდან 2 000 ფე. მიმდინარე შემოსავალში აღიარდება.
- გრანტის მეორე წლის წილს- 2 000 ფე გრანტის პირობის შეუსრულებლობის გამო, ორგანიზაცია დონორს უბრუნებს.

აქტივებთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნების პირობებში უნდა მოხდეს ან აქტივის ღირებულების ზრდა, ან გადავადებული შემოსავალის ნაშთის შემცირება დასაბრუნებელი თანხის სიდიდით. ერთდროულად, ცვეთის მლიანი დამატებითი თანხა, რომელიც გრანტის არარსებობის პირობებში აისახებოდა ხარჯებში, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დარიცხვას.

სიტუაცია 8: ა)სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით შეიძლება ეწეოდეს არაპირდაპირ დახმარებას ცალკეული ბიზნესისათვის, როგორიცა: ტარიფებისა და კვოტების შემცირება; განვითარებად რეგიონებში ინფრასტრუქტურის შექმნა; კონკურენტების შემზღუდავი სხვადასხვა ღონისძიების გატარება; მაგალითად, მარჯვენასაჭიანი ავტოტრანსპორტის იმპორტის აკრძალვა (შეზღუდვა) სახელმწიფო დახმარებად არ ჩაითლება მარცხენასაჭიანი ავტოტრანსპორტის იმპორტიორი საწარმოებისათვის.
ბ) ორგანიზაციისთვის, რომელიც საიჯარო ფართებს ფლობს, შენობის ერთი სართულის სახელმწიფო სტრუქტურაზე იჯარით გადაცემისთვის მიღებული იჯარის ქირა, არ ჩაითვლება სახელმწიფო დახმარებად.

ორგანიზაციები შეიძლება სახელმწიფო დახმარებებს სხვა ფორმებითაც ღებულობდნენ. მაგრამ, სახელმწიფო გრანტს (სუბსიდიას) არ შეიძლება გაუთანაბრდეს

სახელმწიფო დახმარების ის ფორმები, რომლებიც:

ა) არ ექვემდებარება დასაბუთებულ შეფასებას და

ბ) ერთობლივად განხორციელებული ისეთი ოპერაციები, რომელიც ორგანიზაციის ჩვეულებრივი კომერციული საქმიანობისგან არ განსხვავდება;

ზოგადად, სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარებები ერთმანეთისგან ხასიათით და პირობებით განსხვავდებიან.

ფასს სრული ვერსიის (პაკეტის) პარალელურად წარმატებით მოქმედებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს). უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტამდარტებმა (ფასს) აღრიცხვის მოთხოვნების გართულებისა და ინფორმაციის მეტი დეტალიზაციის კუთხით, რამდენიმეჯერ განიცადეს სერიოზული ცვლილება. ფასს-ების სრულად გამოყენება არსებითად ზრდის დატვირთვას მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთათვის. ამ მიზნით, ფასს საბჭომ მიიღო გდაწყვეტილება მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისათვის სტანდარტის გამარტივებული და ავტონომიური ნაკრების შემუშავების აუცილებლობის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ფასს-ის სრულ ვერსიაზე. 2009 წლის 9 ივლისს ოფიციალურად გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა მსს ფასს, როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი.

სახელმწიფო გრანტების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების საკითხებს არეგულირდებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) 24-ე განყოფილება „სახელმწიფო გრანტები“ (3;გვ.232). განვიხილეთ, რომ ფასს (ბასს) 20 სახელმწიფო გრანტს აღიარებს: გრანტით მიღებული აქტივის პირვანდელი ღირებულების შემცირების მეთოდით, შემოსავლად აღიარების მეთოდით ან სახელმწიფოს ვალდებულების შემცირების მეთოდით (1). მსს ფასს-ით კი ყველა სახელმწიფო გრანტის მიმართ ერთი, გამარტივებული სააღრიცხვო მეთოდი გამოყენება. კერძოდ, ყველა გრანტი აღიარდება, როგორც შემოსავალი, როდესაც დაკმაყოფილდება საქმიანობის გარკვეული პირობა, ან შემოსავლად აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ არ არსებობს რაიმე კონკრეტული პირობის შესრულების ვალდებულება (3). ამდენად, გრანტების აღიარების საკითხი გამარტივებულია მსს ფასს-ით, რადგან ნებადართული არ არის აღიარების სხვა მეთოდების გამოყენება.

მსს ფასს არეგულირებს ასევე სახელმწიფო გრანტების შეფასების საკითსაც რომლის თანახმად, ყველა გრანტი ფასდება მიღებული ან მისაღები აქტივის სამართლიანი ღირებულებით;

განხილული საკითხების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი დასკვნა:

- საკასო მეთოდით გრანტის აღიარება შემოსავლებში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ არ არსებობს გრანტის პერიოდების მიხედვით განაწილების ბაზა, გარდა მისი მიღების პერიოდისა;
- ამორტიზებად აქტივებთან დაკავშირებული გრანტები შემოსავლების სახით აღიარდება აქტივზე ცვეთის დარიცხვის პერიოდებში, დარიცხული ცვეთის პროპორციით;
- შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება იმ პერიოდში, რომელშიც მოცემული გრანტით კომპენსირებადი გასავლები ხარჯებად აღიარდება;
- აქტივებთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება აისახება, როგორც გადავადებული შემოსავალის ნაშთის შემცირება იმ თანხით, რომელიც დაბრუნებას ექვემდებარება ან, როგორც აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდა;
- მსს ფასს დაშვებულია სახელმწიფო გრანტის აღიარება მხოლოდ შემოსავალ- მეთოდით, იმის მიუხედავად გრანტი მიღებულია გარკვეული აქტივის შესაძენად თუ მშენებლობისათვის, ან როდესაც შესრულებულია გრანტის მიღების პირობები, ან უფრო ადრე, თუ პირობები არ იყო გათვალისწინებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფასს (ბასს) 20 - სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები (2014 წ 1 იანვრის მდგომარეობით).
2. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები (2014 წ 1 იანვრის მდგომარეობით).
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს), ივლისი, 2009.
4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს), დასკვნის საფუძვლები, ივლისი, 2009.
5. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) საილუსტრაციო ფინანსური ანგარიშგებები წარდგენისა და განმარტებების მითითებები (2009 წ მდგომარეობით).
6. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (2009) გამოყენების გზამკვლევი მიკროსაწარმოებისათვის. ივნისი, 2013.

Features of Accounting Government Grants

N. Sreseli

Summary

Government grants are assistance by government in the form of transfers of resources to an entity in return for past or future compliance with certain conditions relating to the operating activities of the entity.

A government grant is recognised only when there is reasonable assurance that (a) the entity will comply with any conditions attached to the grant and (b) the grant will be received.

According to IAS 20 –There are two broad approaches to the accounting for government grants: the capital approach, under which a grant is recognised outside profit or loss, and the income approach, under which a grant is recognised in profit or loss over one or more periods.

The article contains both theoretical and practical interpretation of evaluation, accounting of different type of grants. Also the basics for returning government grant. The definition criteria for evaluation government grant and government assistance.

Key words: *government grant, real value, Capital method, income method, deferred income, expense evaluation with alternative method.*

კონცესიები ტრანსპორტის სფეროში

იური სუხიტაშვილი,
ბიზნესის მართვის
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

გულნარა იმედაშვილი,
ბიზნესის მართვის
აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, მკვეთრად იჩინა თავი სახელმწიფო ობიექტების კომერციალიზაციისათვის ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობამ. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ხშირ შემთხვევაში მთავრობები პრივატიზების ნაცვლად იყენებენ კონცესიის შეთანხმებას.

კონცესიის ხელშეკრულება მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას ისეთი სახის სტრატეგიული დანიშნულების სატრანსპორტო ობიექტებზე, როგორიცაა პორტები და აეროპორტები.

კონცესიის შეთანხმების წარმატება დამოკიდებულია მთავრობის უნარზე შექმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და მოიზიდოს პოტენციური ინვესტორები. ამასთან, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს კონცესიის პირობებით ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ ბაზარზე შემოსავლების ეროვნულ ვალუტაში მიღებასთან, როდესაც არ არსებობს სავალუტო კურსის მერყეობისაგან დაცვის მექანიზმი.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში სწორედ ამ საკითხებზეა საუბარი, კერძოდ მოცემულია სხვადასხვა ქვეყნებში საკონცესიოდ გაცემული აეროპორტების მდგომარეობის ანალიზი, კონცესიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. და ბოლოს, დასკვნის სახით მოცემული გვაქვს პრობლემების გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

საკვანძო სიტყვები: *კონცესია, აეროპორტი, ბენჩმარკინგი, ინვესტიცია, მონოპოლია, კონკურენცია, ინფრასტრუქტურა.*

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში კონცესიების როლი თანდათან იზრდება. თუკი XX საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით იგი ძირითადად ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად გამოიყენებოდა, უკვე 90-იანი წლებიდან, კონცესიის პირობებით ექსპლოატაციაში გადაეცემა მრავალი სახეობის სახელმწიფო ქონება.

კონცენსიური შეთანხმების ობიექტებად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება ისეთი სოციალური მნიშვნელობის ობიექტები, რომელთა პრივატიზება არ შეიძლება. კერძოდ: აეროდრომები, რკინიგზა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემები, ინფრასტრუქტურის, განათლების, კულტურის და ჯანდაცვის ობიექტები. [1, გვ 51]

კონცესიების მთავარი მიზანია თავიდან აგვაცილოს ბუნებრივი მონოპოლიები. კონკურენტუნარიან ბაზრებზე პირდაპირი კონკურენცია კონცესიების გარეშეც შესაძლებელია. ამიტომ, კონცესიის გაცემამდე მთავრობამ უნდა განსაზღვროს შესაძლებელია თუ არა პირდაპირი კონკურენცია ამა თუ იმ სფეროში კონცესიის გარეშე და რისი მიღწევაა შესაძლებელი ბაზრის სტრუქტურის რეფორმირებით.

მთავრობა ხშირად აძლევს კონცესიონერს ექსკლუზიურ უფლებებს, რაც ხშირ შემთხვევაში, არასასურველია, რადგან ბაზარზე ახალი კონკურენტის გამოჩენა აძლიერებს პირდაპირ კონკურენციას. ამასთანავე, ექსკლუზიური უფლებების გაცემის ძირითადი მიზნები, როგორიცაა - კერძო ოპერატორისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზება ან სოციალ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა, შესაძლებელია სხვა ალტერნატიული საშუალებებითაც.

კონცესიის საგნის გადაცემისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს კონკურენციას კონკრეტულ ბაზარზე. ზოგ შემთხვევაში, მხარეთათვის მისაღებია წინასწარ შეთანხმებული ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა მაგალითად, ბენჩმარკინგი.

მნიშვნელოვანია ეკონომიკის იმ სეგმენტის სიღრმისეული ანალიზი, სადაც გამოიყენება კონცესია, ვინაიდან შესაძლოა სრული პრივატიზაცია იყოს უფრო მისაღები, ვიდრე საკონცესიო ხელშეკრულების დადება. ნებისმიერ შემთხვევაში მთავრობა ინარჩუნებს პოლიტიკის განსაზღვრის უფლებას.

მთავრობა, პრივატიზების ნაცვლად, კონცესიით გადასცემს აქტივებს, თუ ტექნოლოგიური ინოვაცია შექმნის ან ხელს შეუწყობს მონოპოლიის განვითარებას. აქედან გამომდინარე, თუ კონცესია საშუალებას აძლევს კონცესიონერს, მოიზიდოს ფინანსები, მაშინ ბაზრების დიდი ნაწილი შეიძლება კონ-

ცესიების საშუალებით ფუნქციონირებდეს. მიუხედავად ამისა, მომსახურების ზოგიერთი სახეობა კონცესირებას არ ექვემდებარება. ეს მოიცავს ინფრასტრუქტურას, რომელიც არ შეიძლება გადაეცეს კერძო ოპერატორს ექსკლუზიური უფლებით და ისეთ მომსახურებას, რომელიც მთავრობის სტრატეგიული, უშიშროებისა და უსაფრთხოების ინტერესებშია (მაგ., პორტებისა და აეროპორტების კონტროლი).

ხშირ შემთხვევაში, მომსახურება შესაძლოა გასწიოს კერძო კომპანიამ თავის საკუთრებაში მყოფი აქტივების ან კონცესიის მეშვეობით. ამავდროულად მთავრობა იტოვებს ამ საქმიანობის მარეგულირებლის როლს, რათა მართოს სატრანსპორტო პილიტიკა და შექმნას ყველასათვის ხელმისაწვდომი სატრანსპორტო ქსელი .

იმ ობიექტების ექსკლუზიური უფლებით გადაცემა, რომლებიც განკუთვნილია კონცესიონირებისათვის, როგორებიცაა აეროპორტები და პორტები, დამოკიდებულია მთავრობის უნარზე შექმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და მოიზიდოს პოტენციური ინვესტორები. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს კონცესიის პირობებით ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივ ბაზარზე შემოსავლების ეროვნულ ვალუტაში მიღებასთან იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სავალუტო კურსის მერყეობისაგან დაცვის მექანიზმი. [2, გვ 98]

განსხვავებულია დამოკიდებულება, როდესაც მთავრობა კონცესიით გასცემს ახალი ობიექტის მშენებლობისა და ოპერირების უფლებას ან ახალი სახეობის მომსახურებას. აქ თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს კონკურენცია ტრანსპორტისა და უძრავი ქონების ბაზრებზე. ეს შეიძლება ნაწილობრივ მიღწეულ იქნეს კონკურსანტებისადმი იმის მოთხოვნით, რომ მათ თავიანთ კონსორციუმებში შეიყვანონ სატრანსპორტო და უძრავი ქონების კომპანიები (ოპერატორები). კონცესიონერებისათვის მომგებიანი იქნება, თუ უძრავი ქონების ბიზნესის განვითარება განაპირობებს მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალებებზე. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ის საფრთხე, რომელიც წარმოიქმნება ტრანსპორტისა და უძრავი ქონების ერთ კონცესიაში გაერთიანებით, კერძოდ:

- თუ ტრანსპორტის განვითარება დაკავშირებულია მომგებიან უძრავ ქონებასთან, არასაკმარისი ყურადღება დაეთმობა სატრანსპორტო ობიექტს და კონცესიონერს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი მოტივაცია, ეფექტიანად და ხარისხიანად იმოქმედოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას აუნაზღაურდება განვითარებისა და მშენებლობის საფასური;
- ძნელია, განისაზღვროს კონცესიისათვის შესაფერისი ხანგრძლივობა, როდესაც ერთად ხდება მიწისა (ან საჰაერო სივრცის) და სატრანსპორტო ობიექტის კონცესირება;
- როდესაც კონცესია შეიცავს მიწას ან განვითარების უფლებებს, მაშინ კონცესიონერებს შეუძლიათ, დააწესონ მონოპოლიური საიჯარო გადასახადი კომერციულ საქმიანობაზე, ისეთზე როგორიცაა, მაგ. ბენზინის გასამართი სადგურები გზატკეცილებზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია სახელმწიფო სექტორის არაჯეროვანი ფუნქციონირების შედეგად მიღებული ისეთი შემაფერხებელი ფაქტორები, როგორიცაა: თანამშრომელთა ზედმეტი რაოდენობა, კადრების მომზადება, გარემოს დაბინძურების საკითხები და ა.შ., რომლებიც იზოლირებული უნდა იყოს კონცესიის სხვა ელემენტებისაგან. მათი გამიჯვნა საკუთარ თავზე უნდა აიღოს მთავრობამ ან კონცესიონერმა.

წარმატებული კონცესიის პროექტისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს ყოველ ელემენტს, რათა თავი ავარიდოთ საკანონმდებლო გართულებებს. საჭიროა ყველა ელემენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რადგან არ არსებობს ერთიანი წინასწარ განსაზღვრული სქემა წარმატებული კონცესიის მისაღწევად.

კონცესირების ერთ-ერთი მთავარი მიზანია სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური ჩარევის ალბათობის შემცირება, რაც შესაძლოა გამოიხატოს მთავრობის მიერ მომსახურების ტარიფების დაწესებით.

ბრიტანული და სხვა სამგზავრო ტრანსპორტის კონცესიების მაგალითი ცხადყოფს, რომ, რაც უფრო მეტ კანდიდატებს იზიდავენ კონცესიები, კონტრაქტის ფასიც უფრო კონკურენტულია. ზოგ შემთხვევაში, კონცესიის პრინციპების ჩამოყალიბებით მთავრობა პროექტის დეტალების გადმოცემის ნაცვლად, აღწერს გადასაჭრელ პრობლემებს და სთხოვს კონკურსანტებს, დეტალურად მოამზადონ თავიანთი შეთავაზება და წარმოადგინონ ის კონკურსის დროს. ზოგჯერ კი აქვეყნებენ დეტალურ მოთხოვნებს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს საკონკურსო წინადადება (მაგ. მაქსიმალური ხარჯი და მინიმალური მომსახურება). სხვა შემთხვევებში, პრობლემა გადმოცემულია ზოგადი პირობების სახით. ასეთ დროს მთავრობა მოითხოვს ყოველი წინადადების დეტალურ განხილვას ექსპერტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა ნაკლებად გამჭვირვალეა, ის საშუალებას აძლევს კონკურსანტებს მოძებნონ ინოვაციური გადაწყვეტილებები და არც ერთი მნიშვნელოვანი წინადადება არ იყოს უგულებელყოფილი ბიუროკრატიული შეზღუდვების გამო. საკონცესიო ხელშეკრულების ფორმატი უზრუნველყოფს მთავრობის მიერ საზოგადოების წინაშე თავისი ვალდებულებების ეფექტიანად განხორციელების საუკეთესო მექანიზმს.

კონცესიის პერიოდის ბოლო წლები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ის დროა, როდესაც კომპანია იღებს ინფრასტრუქტურაში თავის მიერ ჩადებული ინვესტიციის შედეგს, რომელიც კონცესიის პერიოდზე გაცილებით ხანგრძლივი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პუნქტებს, რომლებიც განსაზღვრავს, რომ თუ კომპანია ვერ შეძლებს ობიექტებისა და მომსახურების სათანადო დონეზე შენარჩუნებას კონცესიის ბოლო წლებში, მაშინ ეს ობიექტები მათ ჩამოერთმევათ მთავრობის მიერ და კონცესიონერები ვალდებულნი იქნებიან გადაიხადონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები.

კონცესია სახელმწიფოებისთვის მიმზიდველია იმდენად, რამდენადაც იგი საშუალებას იძლევა მოიზიდოს კერძო ინვესტორი ისე, რომ არ დაკარგოს ინფრასტრუქტურაზე კონტროლი და ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ დაიბრუნოს საკუთრება ამ ობიექტებზე სქემის-"BOT: Built-Operate-Transfer" შესაბამისად.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 1990 წლიდან დღემდე, მსოფლიოში ხელმოწერილ იქნა 80-ზე მეტი საკონცესიო შეთანხმება აეროდრომებისა და აეროპორტების ინფრასტრუქტურული ობიექტების (ძირითადად ახალი სამგზავრო ტერმინალების) მშენებლობის, მოდერნიზაციისა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვის მიზნით. დღეისათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მსხვილი კონცესიური პროექტები განხორციელდა ტირანას (ალბანეთი), სკოპიეს (მაკედონია), ვარნისა და ბურგასის (ბულგარეთი), ერევნის (სომხეთი), თბილისისა და ბათუმის აეროპორტებში. [3, http://ppi.worldbank.org]

დსთ-ის ზოგიერთი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შედარებით მცირე ზომის (ევროპული პარამეტრებით) აეროპორტებიც შესაძლებელია იყოს მიმზიდველი კონცესიონერისთვის.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნების მთავრობებმა გაითავისონ უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ეკისრებათ საკონცესიო ხელშეკრულების გაფორმებისას ისეთი სახეობის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე, როგორიცაა საჰაერო ტრანსპორტის მიწისზედა ინფრასტრუქტურა, რომ არ განმეორდეს ისეთივე გაუგებრობანი, რაც დაშვებული იყო თურქულ „ტავ და ურბანი" კომპანიასა და საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რის გამოც აუცილებელი გახდა მრავალი წლის განმავლობაში ხელშეკრულების პირობების რამდენიმეჯერ გადახედვა და მათი შეცვლა-დაზუსტება.

როგორც ცნობილია, თურქული „ტავ და ურბანი", რომელიც "ტავ ჯორჯიას" დამფუძნებელი კომპანიაა, **თბილისის** საერთაშორისო აეროპორტში 15– წლიანი მართვის უფლებით 2005 წელს შემოვიდა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი სამგზავრო ტერმინალის აშენებაზე თურქულმა კომპანიამ 62 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა და გადასცა ექსპლოატაციაში 2007 წელს. კომპანიამ ასევე 15 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციაზე. „ტავ და ურბანმა" საქართველოში სულ 95 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიცია უნდა განახორციელოს. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კომპანია ,,ტავ ჯორჯიას" ახალი ასაფრენი ზოლის რეკონსტრუქცია უნდა განეხორციელებინა 2012 წლის სექტემბრიდან, რისთვისაც 64 მილიონი დოლარის ინვესტირება იყო დაგეგმილი. ამ ინვესტიციის სანაცვლოდ, ,,ტავ ჯორჯიას" თბილისის აეროპორტის მართვის უფლება 2037 წლის ნოემბრამდე გაუხანგრძლივდა.

მართვის უფლების 10 წლითა და 9 თვით გაგრძელებასთან დაკავშირებით, ,,ტავ ჯორჯიასა" და სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფ ,,საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას" შორის, ხელშეკრულება გაფორმდა. მოლაპარაკებები ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის თაობაზე გრძელდებოდა და 2013 წელს ახალი ხელშეკრულება გაფორმდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ,,ტავ ჯორჯიას" შორის, რომლის თანახმად „ტავი" 2015 წლის ბოლომდე, „იკაოს" რეკომენდაციების შესაბამისად, განახორციელებდა არსებული ასაფრენი ზოლისა და სამართავი ბილიკების სრულ რეაბილიტაციას და საჰაერო ხომალდების სადგომების დამატებას.

ბოლო პერიოდში ,,ტავ-ჯორჯიას" მიმართ უკმაყოფილების გამძაფრება თბილისის აეროპორტში ამორტიზებულ ასაფრენ-დასაფრენ ზოლს უკავშირდება. დაახლოებით ორწლიანი მოლაპარაკების შემდეგ, მთავრობასა და თბილისის აეროპორტის მმართველ კომპანიას შორის, 2015 წლის მაისის ბოლოს განახლებული ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად,,ტავ ჯორჯიას'' თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მართვაში 2037 წლის ნაცვლად 2027 წლამდე გადაეცემა. ხელშეკრულების ახალი ვერსია მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს და აღსრულების მექანიზმებს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და მოვლა-პატრონობის თაობაზე. ახალი ხელშეკრულებით, „ტავს" განესაზღვრა ისეთი ვალდებულებები, რაც 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო.

მსგავსი სიტუაციაა მოლდოვაში. **კიშინიოვის** საერთაშორისო აეროპორტი, საკონცესიო შეთანხმებით, 2013 წელს გადაეცა ტენდერის შედეგების მიხედვით (5 ევროპული კომპანია გამოეთიშა ტენდერს) რუსულ კომპანია ,,ავია-ინვესტს'' 49 წლის ვადით. ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიამ თა-

ვის თავზე აიღო ვალდებულება განეხორციელებინა 240 მლნ ევროს მოცულობის ინვესტიცია აეროპორტის განვითარებისათვის. მოლდავეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით აღნიშნული აეროპორტის საკონცესიო შეთანხმება შესაძლებელია შეწყდეს, რადგან კონცენსიონერის მიერ არაჯეროვნადაა შესრულებული აეროპორტის მოდერნიზაციის ვალდებულება .

2001 წელს სომხეთის მთავრობამ კორპორაციასთან - ,,**Corporation America''**, გააფორმა საკონცესიო ხელშეკრულება **ერევნის** აეროპორტის ,,ზვარტნოცის'' 30 წლით კონცესიის ხელშეკრულებით გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, კონცესიონერს 2031 წლამდე აეროპორტის მოდერნიზაციისათვის უნდა მოეხდინა 100 მლნ დოლარის ინვესტირება. აეროპორტის განვითარების გეგმის შესაბამისად კორპორაციის მიერ განხორციელდა მთელი რიგი სამუშაო, რამაც აეროპორტის მწარმოებლურობა გაზარდა და 2015 წლისათვის მიაღწია 3.8 მლნ მგზავრს.

ხელშეკრულებით, სომხეთის ხელისუფლება 30 წლით გათავისუფლდა აეროპორტის ინფრასტრუქტურის დაფინანსების ვალდებულებისაგან, რაც მთლიანად თავის თავზე აიღო კონცესიონერმა, რომელიც პირნათლად ასრულებს შეთანხმების პირობებს.

2009 წლის ოქტომმბერში ხელმოწერილი საკონცესიო შეთანხმება სანკტ-პეტერბურგის ადმინისტრაციასა და ინვესტორთა კონსორციუმს ,,ჩრდილოეთის დედაქალაქის საჰაერო ჭიშკარი''-ს შორის, წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ასეთი ტიპის შეთანხმების პირველ მცდელობას საჰაერო ტრანსპორტის სფეროში, თუმცა, რა შედეგით დასრულდება ეს შეთანხმება, ჯერჯერობით უცნობია.

ტირანას ,,Rinas'' აეროპორტი შესაძლებელია კონცესიის სანიმუშო მაგალითად ჩაითვალოს. ალბანეთში ტირანას Rinas აეროპორტი 20 - წლიანი ,,BOOT'' კონცესიით აიღო კონსორციუმმა, რომელსაც უძღვება Hochtief (AviAlliance). ამ პროექტს თან ახლდა გარკვეული რისკები. ალბანეთი იმ მომენტისთვის, კერძოდ 2005 წლისათვის, ჯერ კიდევ პოლიტიკურად და ეკონომიკურად გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა. საკონცესიო ხელშეკრულებამ აეროპორტს დიდი წარმატებები მოუტანა. 2005 წელს, როდესაც ,,TIA''-მ გადაიბარა ,,Rinas'' აეროპორტი, მაშინ ის 600,000 მგზავრს ემსახურებოდა წელიწადში და უკვე 2014 წლისთვის მგზავრთა რიცხვმა 1.8 მლნ-ს მიაღწია.

ბულგარეთის მთავრობამ 2015 წელს მხარი დაუჭირა სოფიის აეროპორტის კონცესიის აუცილებლობას იმის გამო, რომ აეროპორტის ინფრასტრუქტურა საჭიროებდა კომპლექსურ მოდერნიზაციას, რაც უნდა განხორციელებულიყო ევროკავშირის და ევროპის ცენტრალური ბანკის ერთობლივი ძალისხმევით.

ლიტვა, ბალტიის სამი ქვეყნიდან, ერთ-ერთი სახელმწიფოა, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური წარმატებები აქვს, თუმცა, პოლიტიკურად სენსიტიურ ზონაში იმყოფება. სამივე სახელწიფოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია 2008-09 წლების ფინანსურმა კრიზისმა, თუმცა ლიტვამ მოახერხა მისი დაძლევა და ევროკავშირის ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკად გადაიქცა. დღეისათვის ლიტვა ტენდერს აცხადებს საოპერაციო კონცესიის ხელშეკრულებაზე ქვეყნის სამ აეროპორტზე (ვილნიუსი, კაუნასი და პალანგა), რომლებიც 2014 წელს გაერთიანდა და ერთ სტრუქტურად ჩამოყალიბდა (ლიტვური აეროპორტები).

ბელგრადის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა ნაკადმა 2015 წლისათვის მიაღწია 5,5 მლნ-ს, რაც 31%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მთავრობა გეგმავს მომდევნო ორი წლის განმავლობაში 20 მლნ ევროს ინვესტირებას იმისათვის, რომ სახელმწიფომ მოიზიდოს პოტენციური ინვესტორი აეროპორტის კონცესიის პირობებით ამუშავებაზე. [5, გვ 193]

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

- ✓ წარმატებული კონცესიის საფუძველს წარმოადგენს იმის ცოდნა, თუ რა კავშირია გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებსა და მათ ერთობლიობას შორის (მაგ. მოკლევადიანი და დაბალი ტარიფის კონცესია წარმატებული ვერ იქნება);
- ✓ კრიტერიუმების გამჭვირვალობა აუცილებელია. ხშირად შესაძლებელია კრიტერიუმების მინიმუმამდე დაყვანა. ეს ხდება კონცესიის ზოგიერთი მიზნის როგორც სტანდარტის ან კონტრაქტის ერთ-ერთი პირობის სახით წარმოდგენით. თუ კრიტერიუმების შემცირება არ ხერხდება, მაშინ მათ უნდა მიესადაგოს მათი ფულადი სახის განმსაზრვრელი გარკვეული წილი;
- ✓ მთავრობამ მუდმივად უნდა შეამოწმოს კრიტერიუმები კონცესიის შექმნისას დასახული არასასურველი მოტივაციების მოსასპობად. ტრანსპორტის კონცესიის სირთულის გამო, განსაკუთრებით ტარიფის სტრუქტურასა და მშენებლობისა და მომსახურების სფეროებში, პრობლემები შეიძლება თვალსაჩინო არ იყოს, სანამ ყველა დეტალი არ დაიხვეწება;
- ✓ თანამედროვე ეტაპზე აეროპორტების კომერციულ საქმიანობაში შემოსავლების ძირითადი წყაროა არასაავიაციო საქმიანობა და აეროსანავიგაციო მომსახურება, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საკონცესიო ხელშეკრულების დადებისას;

- ✓ ჩვენი აზრით, აეროპორტების მოდერნიზაციის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გრძელლვადიანი დაფინანსების (15-25 წელი) მოზიდვა. მსოფლიო პრაქტიკაში, კონცესიის მექანიზმის გამოყენება, ხშირად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურულ ობლიგაციებთან. აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურულ ობლიგაციებს უშვებენ როგორც სახელისუფლებო ორგანოები, ასევე კერძო ინვესტორები. ის მაღალი საიმედოობით გამოირჩევა და ინვესტორებისთვის მოაქვს გარანტირებული შემოსავალი. მიგვაჩნია, რომ საქართველოშიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო და კერძო ობლიგაციები, როგორც დიდი საინვესტიციო-საკონცესიო პროექტების დაფინანსების დამატებითი წყარო

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Albers, S, et al. (2005), Strategicalliances betveen airlines and airports-theoretikal assesmentand praqtical evidence, Journal of AirTransport Management,11(2),49-58
2. Concessions in Transport L.Nicola Shaw Kenneth M. Gwilliam Louis S. Thompson Discussion Paper November 2006
3. World Bank s Private Participation in infrastructure (PPI) Project Database (электронный ресурс). Режим доступа:http//ppi.worldbank.org.
4. Francis, G.et al(2004), Airports perspeqtives on the growth of lovcost airlines and the remodeling of the airport-airline relationship, Tourizm Menagment, 25(4), 507-514.
5. Freathy, P. (2004),The commercialisacion of European airports: successful strategies iin a deqade of turbulence?, Journal of Air Transport Management, 10(3), 191-197
6. Graham, A, (2007) Managing Airports-An international perspective; Elsevier LTD., Butterworth-Heinemann.
7. Geuens, M. et al (2004), Deeloping a typology of air shoppers, Tourism Management, 25(5), 615-622..
8. Еремин В.Л., Крамаренко А.В ,,Концессионный механизм как эффективное средство модернизации аэропортовой инфраструктуры''. журнал "ЭТАП: экономическая теория, анализ, практика", №4 2010г

Concessions in the Transport Sector

I. Sukhitashvili
G. Imedashvili

Summary

The role of concession in the world economy gradually grows. The subjects of concession are primarily those objects that have social significance and must not be privatized, namely: aerodromes, railway, public transport systems and infrastructure. To the government the concession in aviation is very appealingwhile it gives theopportunity to attract the private investment and at the same time maintain control in infrastructure. In addition, after the concession expires government returns the ownership right at this very object according to the scheme BOT (build-operate-transfer).

During concession, the priority shall be given to those mechanisms that support the competitive environment in the specific market. There are cases when parties preliminarily agree to use such mechanisms as benchmarking and involving other companies during project implementation process.

It is vital to analyze the economy segment where concession is used, because there can be cases when privatization may be more appropriate than concession agreement. In any case, the government retains the right to define the policy.

According to the World Bank statistics, since 1990 there are more than 80 concession agreements made for building and modernization of aerodrome and airport infrastructure (mainly new passenger terminals). For the time beinglarge-scale concession projects have been implemented in central and Eastern Europe namely in Tirana (Albania), Skopje (Macedonia), Varna and Burgas (Bulgaria), Erevan (Armenia), Tbilisi and Batumi airports.

In our article, we discuss the very same topics, namely we present the analysis of the airports' state that are under concession, also we point out advantages and drawbacks of concession. As a concussion, we provide our opinion on how to solve the existing problems.

Key words: *concession, airport benchmarking, investment, monopoly, competition, infrastructure.*

სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში

მარინა ტაბატაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები არასტაბილური განვითარების დროს, კრიზისების პრევენციის სამთავრობო სტრატეგიები, სახელმწიფო მართვის სიტემის ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმები, საზოგადოების როლი განვითარების პროცესში და მისი მენტალური ტრანსფორმაციები ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში. გაანალიზებულია ხელისუფლების ანტიკრიზისული პოლიტიკის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფოს როლი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო რეგულირება, ანტიკრიზისული მართვა, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, მთავრობის ქცევის რაციონალიზაცია, ეფექტური სახელმწიფო მართვა, ხელისუფლების საზოგადოებრივი ფუნქცია.*

პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მართვის თანამედროვე ტენდენციები მმართველობითი პრინციპების ფორმირების ხანგრძლივი ისტორიული პროცესებიდან, პოლიტიკური გარემოსა და ცალკეული ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარეობს, ეს განსხვავებულ პოლიტიკურ იდეოლოგიას და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას აყალიბებს, შესაბამისი თეორიებით და სახელმწიფო მართვის ინდივიდუალური მიდგომებით.

ქვეყნის მართვა სამთავრობო ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობაა ხელისუფლების პოლიტიკური კურსის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით. მართვის პრინციპებს სამართლებრივი, პოლიტიკური და მენეჯერული მიდგომები განსაზღვრავს. პირველის მიხედვით, სახელმწიფო მოხელის იდეოლოგიური წარმმართველი და ქცევის ფაქტორი კანონის უზენაესობა, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, თანასწორული ურთიერთობებისა და არადისკრიმინაციული სისტემის ფორმირებაა. პოლიტიკური მიდგომა გულისხმობს, რომ უმაღლესი დონის მმართველი უნდა იყოს ხალხის ნების აღმსრულებელი და პოლიტიკურად პასუხისმგებელი მის წინაშე, ხელისუფლების მენეჯერული არსი კი, ქვეყნის ეფექტურ მართვასა და მისი ძირითადი ფასეულებებისა და ღირებულებების რეალიზაციაში მდგომარეობს.

განვითარების პროცესს ობიექტურად ახასიათებს ეკონომიკური რყევები, რომლის პროგნოზირება, რეგულირება და პრევენცია სახელმწიფოს პრეროგატივა და მისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციაა. თანამედროვე ინტეგრაციულმა პროცესებმა და ეკონომიკის ლიბერალიზაციამ მსოფლიო ბაზრების დაბალანსებული განვითარების პროცესი შეასუსტა, მისი დეფორმაციები გამოიწვია და განვითარების ტემპები შეანელა, რამაც გაამწვავა ამ პროცესების ოპტიმალური მართვის, ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავების და კონფლიქტურ გარემოში ხელისუფლების რაციონალური ფუნქციონირების პრობლემები.

კრიზისების რეგულირებაში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა ხანგრძლივი ევოლუციური პროცესია, განსხვავებული პრიორიტეტებით და მექანიზმებით, დღეისათვის იგი ჩამოყალიბებულია ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების, გარკვეულწილად, უნიფიცირებული სისტემის სახით. კრიზისების რეგულირება სწორედ ტრანსნაციონალური ხასიათის მმართველობითი საქმიანობის ფორმაა, რაზეც გავლენას მსოფლიო განვითარების ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებები ახდენს, თანამედროვე ინტეგრაციული პროცესებიც კრიზისების ზოგადი სქემის და მათი სახელმწიფო რეგულირების ტიპური მოდელის შექმნას უწყობს ხელს.

ხელისუფლების მრავალფუნქციურობა მის საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო წესრიგის და ადამიანების დაცვაში მდგომარეობს. პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის, სახელმწიფო საქმეების გაძღოლის ხელოვნება და ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის არსია. „სახელმწიფო მართვა პოლიტიკურ შინაარსს ატარებს, თუკი იგი მოიცავს სოციალური ჯგუფების, კლასების, ერების, მასების ინტერესებს. პოლიტიკა მუდამ ასახავს გარკვეულ ინტერესებს, რასაც განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა და ითვლება ეფექტიანად, თუკი შეესაბამება განვითარების ინტერესებს“ **[4.გვ.186].** ყველა სოციალურ ჯგუფს თავისი მიზნები გააჩნია, ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკით მათ შორის კონსენსუსს უნდა მიაღწიოს, მან ხელი უნდა

შეუწყოს ყველა სოციალური ფენის მოთხოვნების დაცვას, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დომინირების პირობებში.

„ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნებისათვის /მათ შორის მოიაზრება საქართველოც/ უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური სახელმწიფო მართვის არსებობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლების საქმიანობასა და სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე, ქვეყანაში კონფლიქტების წარმოშობასა და მათი სიმწვავის ხარისხზე, საზოგადოების მმართველობით ცნობიერებაზე, სახელმწიფო პროცესებში მათ ჩართულობასა და, ზოგადად, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაზე.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სამოქალაქო თანხმობის მნიშვნელოვანი დეფიციტია, რასაც პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების რადიკალიზაცია იწვევს, ეს კი ართულებს მთავრობის ქცევის რაციონალიზმს და, შესაბამისად, ხელს უშლის სისტემის ოპტიმალური მოდელის ფუნქციონირებასაც. ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორიენტირება მატერიალურ კეთილდღეობაზე და, მეორე მხრივ, ხელისუფლების ინტერესთა კონცენტრაცია საზოგადოების პოლიტიკური შეკვეთების შესრულებაზე, რადიკალურ განსხვავებას იწვევს მათ სამოქმედო პოზიციებში **[2.გვ.25].** ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიების ასეთი დაპირისპირება ასუსტებს ხელისუფლების სისტემურ ერთობას და ამწვავებს სოციალური სუბიექტების საბაზრო პოზიციონირებაში არსებულ დისპროპორციებს.

საზოგადოება მთავრობას საკუთარი ინტერესების დაცვის და მისი მასშტაბების ზრდის გარანტად მიიჩნევს, რაც განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის ხარისხს. ადამიანებში, მატერიალურთან ერთად, დიდია ფსიქოლოგიური კომფორტის მოთხოვნაც, რაც ცხოვრების დონის ამაღლების გარდა, ხელისუფლების მიერ პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას მოითხოვს, ეს საკითხები სამოქალაქო თანხმობის მიღწევის და პოლიტიკური არასტაბილურობის პრევენციის სამთავრობო სტრატეგიაში აისახება, ეს არის მიზნობრივი აუდიტორიისათვის ხელისუფლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შეთავაზება, რომლის რეალიზაციაც მის მიმართ საზოგადოების ლოიალურ დამოკიდებულებას იწვევს და ამით, გარკვეულწილად, ასუსტებს ქვეყანაში დაძაბულობას.

ხელისუფლება სახელმწიფოს განვითარების უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს, პოლიტიკურ სტაბილურობასთან ერთად, მან ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება უნდა უზრუნველყოს, გლობალური ეკონომიკის თავისებურებების და შიგა რესურსული ფაქტორების გათვალისწინებით, საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრით და შესაბამისი სტრატეგიის მიღებით. მთავრობის ფუნქცია მკვეთრი რყევებისაგან ეკონომიკის დაცვა და, ამ გზით, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს სრულყოფას, პრიორიტეტული დარგების უპირატესი განვითარების მხარდაჭერას, დემოკრატიული და თავისუფალი სამეწარმეო გარემოს შექმნას და სხვა ასპექტს აერთიანებს. სახელმწიფო მართვის სპეციფიკას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ, მისი მკაცრი რეგლამენტირება, გადაწყვეტილების მიღების და რეალიზაციის საკანონმდებლო შეზღუდვებით გამოწვეული მართვის პროცესის ნაკლებად ოპერატიულობა, მართვის შედეგების შეფასების კრიტერიუმების არარსებობა, ამ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების სიმრავლე და სხვ.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ეკონომიკური ფუნქცია ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავებაა, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აქტივობის შესუსტებაზე ხელისუფლების რეაქციას ასახავს და ცხოვრების დონის დაქვეითების პრევენციას ემსახურება. ანტიკრიზისულმა სტრატეგიამ საზოგადოებრივი კვლავწარმოების წონასწორობა და სისტემის ელემენტების ჰარმონიულობა უნდა უზრუნველყოს, იგი პოლიტიკური პროცესების სტაბილურობასაც უწყობს ხელს, რამდენადაც, რაც უფრო მდგრადია ეკონომიკა, როგორც სამეურნეო ერთეულების ინტეგრირებული ერთობის ფორმა, მით უფრო სტაბილურია საზოგადოებრივი სისტემის ზედნაშენიც, ეს პროცესი პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონალურ დაბალანსებაში, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვადობის ხარისხის ამაღლებაში, პოლიტიკური კონფლიქტებისა და მასების კრიტიკული აქტივობის შესუსტებაში ვლინდება.

ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრა კრიზისის პროგნოზირების და მისი დაძლევის მართვადი პროცესია, რომელიც სისტემის მიზნებს და მისი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს შეესაბამება. განვითარება ციკლური პროცესია და მისი ცვლილებები ლოგიკური კანონზომიერებების მიხედვით მიმდინარეობს. ეს შეიძლება იყოს წონასწორობის მოსალოდნელი რღვევის საფრთხე, მართვად და უმართავ ფაქტორებს შორის თანაფარდობის ცვლილება, ინტერესთა შეცვლის ხარჯზე, სოციუმის ახალი მოთხოვნილებების გაჩენის შესაძლებლობები და ა.შ. საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელი, სწორედ, ადამიანთა მოთხოვნების ზრდა და მისი დაკმაყოფილების სურვილია, თუმცა, ინტერესთა განსხვავება და მათი ცვლილების უთანაბრობა, ობიექტურად განაპირობებს მმართველობითი კრიზისების შესაძლებლობას, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დისფუნქციას იწვევს. თანამედროვე ან-

ტიკრიზისულ მართვაში დომინანტი ადამიანური ფაქტორი ხდება, მას შეუძლია განვითარების დისპროპორციების პროგნოზირება, მოსალოდნელი კრიზისების შეცნობა და პროცესების ოპტიმალური მართვა. „სახელმწიფო მოხელე მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი მენეჯერი, თუ იგი შეწყობილია პოლიტიკური ხელისუფლების არსებული შეზღუდვების სისტემასთან და ამ შეზღუდვების გათვალისწინებით აქვს შემუშავებული მოქმედების სტრატეგია“ **[1. გვ.124].**

„სახელისუფლებო კრიზისი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საგანგებო მდგომარეობაა, რომელიც მმართველობითი ინსტიტუტების საქმიანობის დაუბალანსებლობით, მიმდინარე პროცესების მართვადობის დონის შესუსტებით, პოლიტიკური კონფლიქტების გამწვავებით და მასების კრიტიკული აქტივობის გაძლიერებით გამოიხატება" **[3.გვ.33].** ამ დროს სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს იძენს, რაც სახელისუფლებო სტრუქტურების, მათი პოლიტიკური სტრატეგიის და მართვის მეთოდების ცვლილების მოთხოვნას აჩენს, მცირდება ტრადიციული, სტანდარტული მეთოდებით კონფლიქტების სახელმწიფო მართვის შესაძლებლობა, ძლიერდება ხელისუფლების მართვის სისტემასა და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის სტრუქტურულ-ფუნქციონალური დისბალანსი. პლურალისტურ საზოგადოებაში კრიზისები ძალთა და ინტერესთა ახლებურ თანაფარდობებს აყალიბებს, რითაც მასტაბილიზებელ - მაკორექტირებელ ფუნქციას ასრულებს და საზოგადოებრივ პროგრესს ასტიმულირებს, რიგიდნული სისტემის პირობებში კი კონფლიქტები აფერხებენ განვითარების პროცესს და აღრმავებენ პოლიტიკურ კრიზისს, ამ დროს იწყება ხელისუფლების და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციური მოშლა, რთულდება წინააღმდეგობების გადაჭრა კომპრომისების გზით და აუცილებელი ხდება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან მართვის სტრუქტურების, ფორმების და მეთოდების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კონფლიქტი ურთიერთობების ობიექტური კომპონენტია, იგი სხვადასხა ფორმით მუდმივად არსებობს და მისი სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, ეს სისტემის არსებობის იმპერატიული მოცემულობაა. ხელისუფლების როლი ამ ურთიერთობათა განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ინტერესთა დაპირისპირების პრევენციაა, იგი არსებული სტერეოტიპების რღვევას და მათ ნაცვლად, ახალი ინსტიტუციური სტრუქტურების, პოლიტიკური ქცევის ახალი წესებისა და ნორმების დამკვიდრებას უნდა უწყობდეს ხელს, ეს ხელისუფლების უალტერნატივო მისიაა და მის მარეგულირებელ ფუნქციას შეადგენს. ეფექტური ანტიკრიზისული მართვა კრიზისის ნიშნების გამოვლენას პრობლემის წარმოშობის საწყის ეტაპზე და შემდგომ მის ეფექტურ მართვას ითვალისწინებს, რასაც ხელს უწყობს ხელისუფლების საკანონმდებლო ფუნქცია და ადმინისტრაციული ბერკეტების ფლობა, ანუ ყოველივე ის, რაც ფუნდამენტალურ საფუძველს ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს და ცივილიზებული მართლწესრიგის ფორმირებისათვის.

განვითარებადი ქვეყნების მმართველობითი სისტემისათვის ხშირად დამახასიათებელია ხელისუფლებისადმი მოსახლეობის გაუცხოება, რასაც სხვა ქვეყნების მიმართ ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების ზრდა და, შესაბამისად, საკუთარი სახელმწიფო პოლიტიკისადმი უნდობლობის გაღრმავება იწვევს. პოლიტიკური კონფლიქტები, მათი წარმატებული მართვის პირობებში, შეიძლება პოზიტიური ცვლილებების და განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი გახდეს. თუკი ხელისუფლება მიმდინარე პროცესებს არაადექვატურად აღიქვამს და მისი რეაქციაც არ შეესაბამება ობიექტურ რეალობას, კონფლიქტი შეიძლება უფრო მწვავე სახელისუფლებო კრიზისში გადაიზარდოს, როდესაც მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით შეუძლებელი ხდება არსებული პრობლემების გადაჭრა, ამ დროს მოსალოდნელია ძლიერი სოციალური რყევები, თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ხელისუფლების მაღალი ლეგიტიმაციის და ნდობის გარკვეული ვოტუმის არსებობის პირობებში, საზოგადოება სირთულეებს დროებით მოვლენად აღიქვამს და მას პოზიტიური ცვლილებების შესაძლო პერსპექტივას უკავშირებს.

ზოგადად, კრიზისიდან გამოსვლა ხელისუფლების მიერ რეფორმების ეფექტიან გატარებაზე და მოსალოდნელი შედეგების სწორ პროგნოზირებაზეა დამოკიდებული. კრიზისული სიტუაციების სახელმწიფო რეგულირება არასტაბილურობის მიზეზების გამოვლენას და პრიორიტეტების განსაზღვრას ითვალისწინებს, ამით მან ზრდის ოპტიმიზაციას და განვითარების ეფექტიანობას უნდა შეუწყოს ხელი, რისთვისაც მიმდინარე მოხმარებას და ინვესტიციებს შორის საშუალებების ოპტიმალური გადანაწილებაა საჭირო. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ამ პროცესებისათვის სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის საფუძველზე ოპტიმალური ბიზნეს-გარემოს შექმნაში მდგომარეობს. რეფორმები უნდა შეეხოს სახელმწიფოს, სამეურნეო სტრუქტურებს და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს, ფუნქციათა დელეგირების ოპტიმიზაციის მექანიზმებს. კრიზისიდან გამოსვლის დინამიკა განისაზღვრება სახელმწიფოს უნარით, ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ ცვლილებებს, ახალი სტრუქტურების ფორმირებას, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას, მმართველობის დეცენტრალიზაციის, ანტიმონოპოლიური

საქმიანობის და მართვის დემოკრატიული მეთოდების გამოყენებას. რეფორმების სტრატეგია მის სოციალურ შედეგებს უნდა ითვალისწინებდეს. მან უნდა უზრუნველყოს სოციალური დაძაბულობის შესუსტება, ეკონომიკური უსაფრთხოების და პიროვნების სამართლებრივი დაცვა და, შედეგად, განვითარების პროცესის სტაბილიზაცია. სოციალური ფაქტორების გაძლიერება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განვითარებას და კანონზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებას მოითხოვს, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური აღმავლობის და ცხოვრების დონის სტაბილიზაციის მასტიმულირებელ ფაქტორად იქცევა. ყოველივე ეს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი ახლებურ მიდგომებს და თანამედროვე, სოციუმზე ორიენტირებული სამართლებრივი გარემოს ფორმირებას მოითხოვს.

ეკონომიკის სოციალიზაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების სტაბილიზაცია. ნორმატიული სტანდარტების სრულყოფასთან ერთად, საფინანსო სექტორის რეგულირებას, შემოსავლების განაწილების ოპტიმიზაციას, ფულის მიწოდების, შემოსავლების წყაროების, სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ვალის, სავაჭრო ბალანსის და სისტემის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტის რეგულირებას, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას და ანტიკრიზისული სტრატეგიის ძირითადი პარამეტრების დადგენას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები მიიღწევა რესურსების ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე კონცენტრირებით, რეალური სექტორის კონკურენტუნარიანი სეგმენტის პრიორიტეტული ინვესტირებით და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ორიენტირებით. სახელმწიფოს ეკონომიკური აქტიურობა მთლიანად მიმართული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ადგილობრივი წარმოების უპირატესი განვითარების მხარდაჭერაზე და ეკონომიკური აღმავლობისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებაზე.

სახელმწიფო, ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრასთან ერთად, მისი მართვის მექანიზმების დადგენასა და მონიტორინგის განხორციელებაზე, ქვეყნის ფინანსურ გაჯანსაღებასა და სწორი ურთიერთობების ფორმირებაზეა პასუხისმგებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა, ეკონომიკური თავისუფლების ზრდა, რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა და ა.შ., სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა საბაზრო ძალების რეგულირებას უნდა ითვალისწინებდეს, მან ხელი უნდა შეუწყოს შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, სიღარიბის დაძლევას, სოციალური დაზღვევის და შემოსავლების გამოთანაბრების საფუძველზე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებას, მინიმალური დონის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილის მინიმუმამდე შემცირებას. თუკი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების გამოთანაბრებას, იქმნება უარყოფითი ტენდენციები ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში. ცხოვრების დონის არსებითი დაცემა სოციალურ-ფსიქოლოგიურ დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას და კრიტიკულად განაწყობს ხელისუფლების რეფორმატორული სტრატეგიის მიმართ.

„სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილიბრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე“

[3. გვ.70]. ანტიკრიზისული სოციალური პროექტების წარმატება, სამთავრობო პოლიტიკასთან ერთად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არასამთავრობო სტრუქტურების სოციალური პროექტების განხორციელებაზე, საზოგადოების პოლიტიკური აქტიობების ზრდასა და კონფლიქტების მართვაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე. მასები გაგებით უნდა შეხვდნენ და საკუთარი ინიციატივებით გაამდიდრონ რეფორმირების სახელისუფლებო სტრატეგია, ორიენტირებული ეკონომიკის სტაბილიზაციასა და საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბაღათურია გ.,ბაღათურია ო.** სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. თბილისი, 2009;
2. **ტაბატაძე მ.** საარჩევნო სტრატეგია - სოციუმის პოლიტიკური შეთავაზება ჟურ.“ხელისუფლება და საზოგადოება“ N1(17), 2011;
3. **ტაბატაძე მ., ცანავა ნ.** სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვა, თბილისი, 2009;
4. **Пикулькин А.В.** Система государственного уцравления. ЮНИТИ. М.2004.

Political Strategy of the Country during the Unstable Economic Environment

M. Tabatadze

Summary

In this article we've discussed the economical functions of the state during the unstable development, governmental strategies of crisis prevention, economical mechanism of coountry's control system, role of society in the process of development and its' mental transformations during the economical liberalisation. There's also discussed the influence of state's antirecessionary policy on the process of social-economic functioning, role of the country in the process of forecastiong and achieving the stable economical and political environment.

Key words: *State regulation, Crisis management, Political and economic system, Government to rationalize the behavior, Effective management, The public function.*

დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის პერსპექტივები საქართველოში

ირმა ტყემალაძე,
თსუ-ის დოქტორანტი,

*სტატიაში დასაბუთებულია სოლიდარული საპენსიო სისტემის არაეფექტინი ფუნქციონირება და მისი რეფორმირების აუცილებლობა. **კვლევის მიზანია** საპენსიო სისტემის რეფორმირების და კერძოდ, დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვის პესპექტივების განსაზღვრა საქართველოში, ასევე არსებული სოციალური-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს საპენსიო რეფორმის ოპტიმალური მიმართულებების დადგენა.*

საკვანძო სიტყვები: *საპენსიო რეფორმა, სოლიდარული საპენსიო სისტემა, დაგროვებითი საპენსიო სისტემა, ჩანაცვლების კოეფიციენტი.*

საპენსიო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სტაბილურობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. უკანასკნელი წლების განმავლობაში გლობალური მასშტაბით მიმდინარე პროცესებმა - დემოგრაფიული ცვლილებები, ფინანსური კრიზისი და ა.შ., ნათელი გახადა საპენსიო სისტემის რეფორმის საჭიროება თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.

საქართველოს საპენსიო სისტემა ორ ნაწილად არის წარმოდგენილი, ძირითადია სახელმწიფო საპენსიო სისტემა, ანუ სოლიდარული საპენსიო სიტემა, ხოლო კერძო სახელმწიფო ფონდებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავს და განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება.

სოლიდარული საპენსიო სისტემით (Pay-As-You-Go) საპენსიო ასაკს მიღწეული პირების სრულფასოვანი სოციალური უზრუნველყოფა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მიზეზი მრავალგვარია:

- პროგნოზები მიუთითებს, რომ იმ ადამიანთა რიცხოვნობა, ვისი კონტრიბუციაც ეკონომიკის განვითარებაში სულ უფრო ნაკლებია, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება. დაახლოებით 30 წელიწადში მოსალოდნელია პენსიონერთა რიცხოვნობის გაორმაგება [10];
- სოციალურ პენსიას არ შეუძლია ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის უზრუნველყოფა, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი იზრდებოდა, თუმცა, ზრდას უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდა და თავის მაქსიმუმს 18%-ს, 2015 წლისათვის მიაღწია, რაც განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ძალიან დაბალია;
- საპენსიო უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები მუდმივად ზრდადია, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან საბიუჯეტო დანახარჯებში 14%-ული პუნქტით (19,8%-დან 34%-მდე) გაიზარდა[3]. შესაბამისად, საპენსიო უზრუნველყოფის საბიუჯეტო წნეხი მატულობს, შედეგად დიდია ალბათობა, რომ სახელმწიფო ფინანსების სისტემა კრიზისის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. პენსიონერთა უზრუნველყოფის დასაფინანსებლად საჭირო გახდება საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. ფისკალური წნეხის გაზრდა ნეგატიურად აისახება სხვა სახელმწიფო პროექტებსა და ვალდებულებებზე;
- სახელმწიფო საპენსიო ფონდები მხოლოდ ფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების საშემოსავლო გადასახადის გადახდების ჯამით ფორმირდება. ფაქტობრივად, შრომისუნარიანი მოსახლეობის ეს ნაწილი უზრუნველყოფს ამავე პერიოდის პენსიონერებს პენსიით;
- არსებული სისტემის პირობებში, ყველა საპენსიო ასაკის პირი უზრუნველყოფილია თანაბარი რაოდენობის პენსიით. ეს, ერთი მხრივ, მოქნილი სისტემაა მთავრობისათვის და შემოსავლების თანაბრად გადანაწილებას წინაპირობაა საპენსიო ასაკში მყოფი პირებისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის მიმართ სამართლიანობის პრინციპი ირღვევა და ა.შ.

ქვეყნის „ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში 2016-2019 წლებისათვის“, აღნიშნულია, რომ 2017 წლიდან მოქმედებას დაიწყებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის ძირითადი პრინციპები. კერძო საპენსიო სისტემა „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნება (Defined Contribution). სისტემის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებული იქნება ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებსა და დასაქმების ხანგრძლივობაზე [1].

რეფორმის საწყის ეტაპზე, დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩაერთვება ყველა დასაქმებული პირი, რომელთაც ექნებათ 6-თვიანი პერიოდი იმისათვის, რათა უარი თქვან დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობაზე. რეფორმა გულისხმობს ნახევრად სავალდებულო ტიპის (ჰიბრიდული) საპენსიო სისტემის შემოღებას დასაქმებულთათვის, თუმცა, იგი სრულად სავალდებულოა დამსაქმებლისათვის.

ახალი მოდელი გულისხმობს სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით 20%-ის გადახდას, აქედან 2% მიემართება დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე. დამსაქმებელი და სახელმწიფო, თავის მხრივ, 2-2%-ს ამატებს. ჯამში თითოეული მონაწილის ანგარიშზე ყოველთვიურად აკუმულირდება ხელფასის 6%. აღნიშნული კოეფიციენტი და საპენსიო შენატანების შესაბამისი პროპორციები აღებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან შესაბამისობით. პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორმულა საპენსიო სისტემაში შენატანების კოეფიციენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა, შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-იდან 9%-მდე [8], ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%-იდან 16%-ის ფარგლებშია[7]. რეფორმის ინიციატორები საქართველოში რეკომენდაციას უწევენ საშუალოვადიან პერიოდში საპენსიო შენატანების 8%-მდე გაზრდას და აღნიშნავენ, რომ 2%-ით მეტი შენატანის შემთხვევაში, განსაკუთრებით მათთვის, ვინც 20 წლის განმავლობაში მაინც ახორციელებს შენატანებს, საპენსიო სარგებელი გაცილებით მაღალი იქნება.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის ფუნქციონირების საბაზისო სცენარი ეყრდნობა ინფლაციის 3-4,5%-იან ზრდას, ხელფასის 6-8 %-იან ზრდას და 3,5 5%-იანი რეალური ამონაგების დაშვებას. საბაზისო სცენარის მიხედვით, მაგალითად, 1000-ლარიანი საშუალო ხელფასის პირობებში 20-წლიანი დაგროვების შემთხვევაში, ყოველთვიური პენსია, რეალური გამოხატულებით 177 ლარი იქნება.

6%-იანი კონტრიბუციის პირობებში რეალური და ნომინალური პენსიის ოდენობა [11]

ყოველთვიური პენსია (ლარი, რეალური), 6%-იანი კონტრიბუციის შემთხვევაში						
	ხელფასი	500	1000	1500	2000	2500
სამუშაო წლები	10	**33**	**66**	**98**	**123**	**145**
	20	**89**	**177**	**251**	**315**	**374**
	30	**179**	**345**	**485**	**611**	**731**
	20	**319**	**597**	**839**	**1062**	**1276**
ყოველთვიური პენსია (ლარი, ნომინალური), 6%-იანი კონტრიბუციის შემთხვევაში						
	ხელფასი	500	1000	1500	2000	2500
სამუშაო წლები	10	**51**	**103**	**152**	**192**	**226**
	20	**186**	**371**	**526**	**661**	**785**
	30	**506**	**973**	**1368**	**1723**	**2061**
	20	**1 211**	**2 263**	**3 179**	**4 024**	**4 838**

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ გრძელვადიან პერიოდში დაგროვებითი პენსია, სოციალურ პენსიასთან ერთად, ორჯერ გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს, კონკრეტულად 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მონაწილეობის პირობებში ჩანაცვლების კოეფიციენტი 30%-ს გადააჭარბებს.

შემოთავაზებული საპენსიო მოდელის მიხედვით საპენსიო სისტემაში როგორც შენატანები, ასევე ამონაგები და გასაცემი საპენსიო თანხები დაბეგვრისგან გათავისუფლებული იქნება. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით საპენსიო სარგებელი, უმეტეს შემთხვევაში, დასაბეგრი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს [6,2016].

რეფორმის პრინციპები - შენატანების წილობრივ გადანაწილებასთან დაკავშირებით, სრულად გავრცელდება ყველა სექტორის და ყველა ტიპის საკუთრების მქონე კომპანიებზე. შეზღუდვები არ წეს-

დება ასევე არც მინიმალურ შემოსავალთან და არც სისტემაში მონაწილეობის ვადასთან დაკავშირებით. მცირე დანაზოგებისა და სისტემაში 10 წელზე ნაკლები ვადით მონაწილეობის შემთხვევაში, საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე, პირს უფლება ექნება ერთჯერადად გაიტანოს მის ანგარიშზე დაგროვებული თანხები.

რეფორმით შესაძლებელი იქნება საპენსიო ანგარიშზე არსებული დანაზოგების გადაცემა მემკვიდრეობით და დაგროვებული თანხების დროზე ადრე გატანა ავადმყოფობის (დაინვალიდება, მძიმე სენით დაავადება) შემთხვევში. სისტემაში ჩართვის ასაკობრივი ცენზი სავარაუდოდ არ დაწესდება [2].

არასრული სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის მქონე მოქალაქეებს დაენიშნებათ (ან შეევსებათ) სოციალური პენსია. რაც შეეხება იმ პენსიონერებს, რომლებიც რეფორმის საწყის ეტაპზე იმყოფებიან ან მიაღწევენ საპენსიო ასაკს, სახელმწიფოსგან მიიღებენ სოციალურ პენსიას არანაკლებ საარსებო მინიმუმისა [3].

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაგროვებითი საპენსიო სისტემაში დასაქმებულთა 40-50% ჩაერთვება (როგორც კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტი ვარაუდობს), დროის შედარებით მოკლე პერიოდში დიდი რაოდენობით აქტივების აკუმულირება იქნება შესაძლებელი (იხ. დიაგრამა1). საპენსიო დანაზოგები პარლამენტის მიერ დაარსებულ არაკომერციულ საპენსიო ფონდში იქნება მიმართული.

დიაგრამა 1.

საპენსიო ფონდში აკუმულირებული შენატანების რაოდენობა 2018-2035 წლებში (მლნ ლარი) [4;11]



აკუმულირებული სახსრების პარალელურად, მნიშვნელოვანია ფისკალური ხარჯების შეფასება რეფორმის განხორციელების შემდგომ პერიოდში (იხ. დიაგრამა 2). საჯარო ფინანსებზე დატვირთვა რეფორმის დასაწყისში გაიზრდება, რადგან მას მოუწევს 2%-იანი კონტრიბუციის გაწევა დასაქმებულის საპენსიო ფონდის სასარგებლოდ, დამსაქმებლის ასევე 2%-იანი შენატანის გათავისუფლება 20%-იანი საშემოსავლო გადასახადისგან და ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული პირებისათვის 2%-იანი შენატანის განხორციელება.

დიაგრამა 2.

საპენსიო რეფორმის მთლიანი ხარჯი 2018-2035 წლებში (მლნ ლარი)[4;11]



სახელმწიფოს ექნება გამოკვეთილი მარეგულირებელი ფუნქცია, რათა სისტემამ შეინარჩუნოს სტაბილურობა. საინვესტიციო სტრატეგია დაეფუძნება ასაკობრივი ალოკაციის (life –circle approach)

მართვის მიდგომას, ანუ ასაკიდან გამომდინარე ხდება საინვესტიციო პორტფელის შერჩევა მოქალაქისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის განხორციელების ყველა სცენარი გათვალისწინებულია, რეფორმის პროცესში დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვის მონაწილეობის მსურველთათვის შეღავათებიც იმაზე მეტია, ვიდრე ეს იყო სხვა ქვეყნებში მსგავსი რეფორმის განხორციელებისას, სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მაინც არსებობს გარკვეული კითხვები.

პირველ რიგში ეს ეხება ფინანსური ბაზრების განვითარების დონეს ქვეყანაში. 2015 წლისათვის 2 414 სააქციო საზოგადოებიდან საქართველოს საფონდო ბირჟაზე დაშვებულია 124 სააქციო საზოგადოება, რომელთაგან ბოლო 2 წლის განმავლობაში მსოლოდ 50 სს-ის აქციებით მიმდინარეობს ვაჭრობა. საქართველოს ტიპის ქვეყნები, როგორც წესი, იყენებენ დეპოზიტებისა და სახაზინო ობილგაციების მიმართულებას, რადგან ყველაზე დაბალრისკიანია. აუცილებელია, რომ საპენსიო რეფორმას წინ უძღოდეს საფონდო ბაზრის განვითარება და ქვეყანაში არსებობდეს ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, მათ შორის იმ კატეგორიის, რომელიც შესაძლოა განხილულ იქნეს საპენსიო დანაზოგების ინვესტირების მიზნებისათვის [4].

გამოწვევად რჩება დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვის დაბალი კოეფიციენტი. სისტემის ფუნქციონიორებაში, სავალდებულო 6-თვიან პერიოდშიც კი, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 30%-ის ჩართულობაა მოსალოდნელი, დანარჩენი 70%-ის ბედი გაურკვევლია.

ყურადსაღებია მოსახლეობის განწყობა და ნდობა ახალი სისტემისადმი. რეფორმის საწყის ეტაპზე დასაქმებულ პირებს უწევთ მიმდინარე პერიოდის მომხმარების შეზღუდვა სამომავლოდ მოთხოვნილებების უკეთესად დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში ორი ფაქტორი იწყებს მოქმედებას, ერთი, კერძო დანაზოგების განსახორციელებლად ქვეყანაში არსებული არც თუ ისე ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკურ პირობები და მეორე, ინდივიდის ფსიქოლოგია დაზოგვასთან დამოკიდებულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასურველია დაიგეგმოს მეტი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და ღონისძიებები.

გარკვეული რისკების მატარებელია დამქირავებლისათვის დაგროვებით პრინციპზე გადასვლის შემთხვევაში სისტემაში ჩართვის სავალდებულო ხასიათი, არაფორმალური დასაქმების ზრდის ან ხელფასების შემცირების სტიმულირების კუთხით.

გასათვალისწინებელია რეფორმის დასაწყისში საჯარო ფინანსებზე დატვირთვის ზრდა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო ბიუჯეტს მოუწევს 2%-იანი კონტრიბუციის გაწევა დასაქმებულის სასარგებლოდ, დამსაქმებლის ასევე 2%-იანი შენატანის გათავისუფლება 20%-იანი საშემოსავლო გადასახადისგან და ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული პირებისთვის 2%-იანი შენატანის განხორციელება.

მნიშვნელოვანი საკითხია, შექმნილი საპენსიო ფონდების საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, დაგეგმილი რეფორმის მიხედვით საპენსიო დაზღვევაზე დაგროვებული სახსრები აკუმულირდება პარლამენტის მიერ შექმნილი კერძო საპენსიო ფონდის (ფონდების) ხელში. უნდა არსებობდეს გარკვეული გარანტიები, რათა ფონდში აკუმულირებული სახსრები მიზნობრივად იქნეს გამოყენებული და ქვეყანაში შექმნილი ფისკალური პრობლემების გამო, სახსრები არ იქნეს მიმართული პრობლემის გადასაწყვეტად, როგორც ეს მოხდა არგენტინაში 2008 წელს [5] და უნგრეთში 2010 წელს [9], სადაც ბიუჯეტის დეფიციტის და ვალის შესამცირებლად განახორციელეს კერძო საპენსიო ფონდების ნაციონალიზაცია. ფონდის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონკრეტული სანქციები უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასევე, ფონდის არაეფექტიანი ფუნქციონირებისას მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პენსიონერების წინაშე ვალდებულებების შესრულებაზე პასუხიმგებელი ორგანიზაცია და წყარო, საიდანაც მოხდება ვალდებულებების დაფარვა. ვფიქრობთ, გადაზღვევის სისტემის ამოქმედება ნაწილობრივ მაინც შეამცირებს ამ სფეროში არსებულ რისკებს.

პოლიტიკური რისკების თავიდან ასაცილებლად, საპენსიო სისტემის განვითარების სტრატეგია, შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების კონცეფციასთან.

საპენსიო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია საპენსიო ასაკის ეტაპობრივი მატების დაგეგმვა, მაქსიმუმ სამი წლით როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. თუმცა, ასაკის მატებით შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი (წლიურად დაახლოებით 15-16 მლნ ლარი) იმ სოციალურ ეფექტთან შედარებით, რაც ამ პროცესს მოყვება, მცირეა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საშუალოვადიან პერიოდში სოლიდარული საპენსიო სისტემის ფუნქციონირება გამართლებულია, გარდაუვალია დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა უნდა წარიმართოს, რათა ახალ სისტემაზე გადასვლის მთელი სიმძიმე ერთ თაობას არ დააწვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2016-2019 წლებისათვის;*
2. *informaciis Tavisuflebisa daa ganviTarebis instituti (IDFI) /https://idfigeorgia2020.wordpress.com/2015/*
3. *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge*
4. *საქართველოს საფონდო ბირჟა http://www.gse.ge*
5. *Rafael Rofman., The Pension System and the Crisis in Argentina: Learning the Lessons"*
6. *La fiscalité des retraites /http://ec.europa.eu/taxation_customs/taxation/personal_tax/pensions/index_fr.htm/*
7. *http://www.oecd.org/els/public-pensions/*
8. *http://www.contrepoints.org/2013/09/07/138242-ofe-pologne*
9. *Polone: main basse de l'État sur le fonds de pensions prives., /http://www.contrepoints.org/2013/09/07/138242-ofe-pologne/*
10. *გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) /http://www.un.org/en/index.html*
11. *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის მასალები*

Prospects for Introduction of Accumulative Pension System in Georgia

I. Tkemaladze

Summary

The document demonstrates the solidarity of the pension system and reform of Not cost-effective functionality.

The aim of reforming the pension system and in particular, to determine the prospects of retirement savings system in Georgia, as well as the social-economic situation of the pension reform in the optimal directions.

Key words: *Pension reform, Solidary pension system, Accumulative pension system, Replacement ratio.*

ევროპული ინტეგრაციის ისტორიული ასპექტები

რამაზ ფუტკარაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ევროკავშირში ინტეგრაციაა, შესაბამისად ევროპული ინტეგრაციის ისტორიული ასპექტების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. სტატიაში განხილულია ევროპული ინტეგრაციის ისტორიული საკითხები. ევროკავშირი XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე განვითარებულ ინტეგრაციულ რეგიონს წარმოადგენს თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალით. განხილულია ევროპული ინტეგრაციის წინაპირობები და გამოწვევები. ხაზგასმულია ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი შედეგები, როგორც ევროკავშირის წევრი, ასევე არაწევრი ქვეყნებისათვის. ევროკავშირი აქტიურად იღწვის ევროპასა და მსოფლიოში მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის მიმართულებით, მნიშვნელოვანია მისი როლი საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ევროკავშირსა და საქართველოს აქვთ მჭიდრო და მზარდი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა, რაც აუცილებელია რომ გაღრმავდეს.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური ისტორია, ევროპული ინტეგრაცია, ეკონომიკური ინტეგრაცია, გლობალიზაცია, ევროკავშირი, საქართველო.*

ინტეგრაცია და გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელი თავისებურებაა. ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ქვეყნების ეკონომიკის დაახლოების პროცესს. XX საუკუნის ბოლოს ის გახდა რეგიონული ეკონომიკების დაჩქარებული განვითარების და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მძლავრი ინსტრუმენტი ინტეგრაციული დაჯგუფების წევრი ქვეყნებისათვის.

ეკონომიკური ინტეგრაცია არის ეკონომიკური საზღვრების აღმოფხვრა ორ ან მეტ ეკონომიკას შორის [1, გვ. 12]. XX საუკუნის მე-2 ნახევარში სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია გახდა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის განვითარების მთავარ ფაქტორი. მსოფლიო მეურნეობის გლობალური ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ტენდენციას წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ან მეტწილად განვითარებული ქვეყნების ფართო გავლენის სფეროების ფორმირება, როგორც შრომის საერთაშორისო განაწილებისა და წარმოების საერთაშორისო კოოპერაციის შედეგი. ეს ქვეყნები ხდებიან მიზიდულობის ცენტრები სხვა ქვეყნებისათვის, წარმოქმნიან რა კუნძულებს მსოფლიო გლობალური კავშირების სისტემაში.

ევროპის ქვეყნების გაერთიანების იდეა წლების განმავლობაში არაერთი ევროპელი მწერლის, ფილოსოფოსისა თუ მოაზროვნის ერთ-ერთ მთავარ იდეალს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ავგუსტუს კეისარმა გააერთიანა რომის იმპერია. ნაპოლეონი, ჰიტლერი და სხვებიც ცდილობდნენ შეექმნათ ევროპის დიდი იმპერია, მაგრამ ძალითა და სისხლით. პროფ. დიკ ლეონარდი სწორედ ჰიტლერს მიიჩნევს ევროპული გაერთიანების მთავარ კატალიზატორად. ,,თუმცა ამ გაერთიანების არც ერთ ლიდერს აზრადაც არ მოუვა აღიაროს ის დამფუძნებლად. მსგავსად შარლემისა და ნაპოლეონისა მან მახვილით გააერთიანა ევროკავშირის ფაქტიურად მთელი ტერიტორია [2, გვ. 7].

ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო ჯერ კიდევ 1849 წელს წერდა: ,,დადგება დღე, როდესაც ამ კონტინენტის ყველა ერი, საკუთარი ინდივიდუალურობის დათმობის გარეშე, მჭიდრო გაერთიანებად შეიკვრება და დიდ ევროპულ ძმობას დაუდებს საფუძველს. დადგება დღე, როდესაც აღარ იარსებებს საბრძოლო ველი, გარდა ბაზრისა (რომელიც იხსნება ვაჭრობისათვის) და სულიერებისა (რომელიც იხსნება იდეებისათვის). დადგება დღე, როდესაც ტყვიებსა და ბომბებს შეცვლის ხმის მისაცემად გამზადებული ბიულეტინის ქაღალდები" [3, გვ. 4; 11, გვ. 11] .

მეორე მსოფლიო ომმა აჩვენა, რომ ევროპის ქვეყანათა და ხალხთა გაერთიანება საჭიროება, რაც მომავალში მსგავსი ბრძოლების თავიდან აცილებას გახდიდა შესაძლებელს. ევროპელი ლიდერებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობა, მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შეუძლია უზრუნველყოს. დიდი ბრიტანეთის ლიდერი უ. ჩერჩილი (1874-1965) წინასწარმეტყველებდა ,,ევროპის შეერთებული შტატების" იდეას [4]. ჟან მონე (1888-1979) და რობერტ შუმანი (1886-1963) ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ რომ აუცილებელია დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის რესურსების გაერთიანება და ერთიანი მმართველობის ქვეშ მოქცევა, რადგან ეს იყო ძირითადი

მიზეზი გერმანიასა და საფრანგეთის დიდი დაპირისპირებისა. ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, რომ 1946 წელს ჩერჩილმა თავის სიტყვაში ,,ევროპის შეერთებული შტატები" წამოაყენა მოსაზრება გაერთიანებული და დემოკრატიული ,,დიდი ევროპის" შესახებ.

სწორედ შემდგომი შესაძლო პრობლემების აცილების მიზნით, ფრანგი ჟან მონე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ომის საწარმოებლად ქვეყანას ძირითადად სჭირდებოდა ორი რამ: რკინა ფოლადის საწარმოებლად და ქვანახშირი ქარხნებისა და რკინიგზის ენერგიით უზრუნველსაყოფად. მისი აზრით ევროპაში დიდი რაოდენობით ქვანახშირი და ფოლადი მოიპოვებოდა, ამიტომაც შეძლეს ევროპის ქვეყნებმა იარაღის ასე იოლად წარმოება და ბრძოლის დაწყება.

ჟან მონემ წამოაყენა წინადადება, რომ გერმანიისა და საფრანგეთის (შესაძლოა სხვა ევროპულ ქვეყნებს) დამოუკიდებლად აღარ ეწარმოებინათ ქვანახშირი და ფოლადი. მისივე აზრით ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ ყველა დაინტერესებული ქვეყნის წარმომადგენლებს. ჟან მონეს აზრით, გეგმა მაშინ იქნებოდა წარმატებული, თუკი ევროპელი ლიდერები მის განხორციელებას გაბედავდნენ. ჟან მონემ საკუთარი გეგმა ფრანგ მინისტრს რობერტ შუმანს გაანდო, რომელიც მას ძალიან მოიწონა და 1950 წლის 9 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში გაამჟღავნა ჟან მონეს გეგმა.

შუმანმა არა მხოლოდ გერმანიისა და საფრანგეთის, არამედ ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების დარწმუნება შეძლო. მათ გადაწყვიტეს გააერთიანებინათ ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება და დაეარსებინათ ,,ევროპის ქვანახშირის და ფოლადის გაერთიანება".

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა (მინისტრი 1948-1952 წლებში, ევროპარლამენტის პრეზიდენტი 1958-1960 წლებში), წამოაყენა დასავლეთი ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების ინტეგრაციის წინადადება, რამაც შედეგად გამოიღო ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის შექმნა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, 1950 წლის 9 მაისს წარმოადგინა მოხსენება ერთიანი ევროპის შექმნის თაობაზე, ევროპულ ქვეყნებს შორის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

თავდაპირველად ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმართული ღონისძიებები მიმდინარეობდა ექვს დამფუძნებელ ქვეყანას შორის ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის შექმნით. კავშირი კი ითვლებოდა მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად.

სხვადასხვა დროს იყო გადადგმული არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპული ინტეგრაცული მშენებლობის გაღრმავების და გაფართოებისათვის [5, გვ. 412]. 1951 წლის 18 აპრილს, 50 წლით მოეწერა ხელი ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნა ექვსი ხელისმომწერი ქვეყნის (ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ფედერაციული გერმანია და საფრანგეთი) მიერ და 1952 წლის 10 აგვისტოს უმაღლესმა ორგანომ ჟან მონეს ხელმძღვანელობით ბინა დაიდო ლუქსემბურგში.

1957 წლის 25 მარტს, აღნიშნულმა ექვსმა სახელმწიფომ რომში მოაწერა ხელი ორ ახალ შეთანხმებას, რითაც ჩამოაყალიბდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის გაერთიანება ატომურ ენერგეტიკაში. რომის ხელშეკრულება იმ ერთ-ერთი ხელშეკრულებათაგანია, რომელმაც ჩამოაყალიბა გაერთიანება, რომელიც დღეს ევროკავშირის სახელითაა ცნობილი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპული გაერთიანების შექმნას, რომლის ამოცანაც იყო წევრი ქვეყნების საბაჟო კავშირის დაარსება. მოლაპარაკება ითვალისწინებდა საერთო აგრარული და სავაჭრო პოლიტიკის წარმოებას. ეკონომიკის სხვა სფეროების პოლიტიკის კოორდინირებას და დამატებით ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იყო ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისკენ. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნამ საბოლოოდ განსაზღვრა ინტეგრაციის განვითარების სტრატეგია. მისი მიღების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენდა მუშახელის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების გაადვილება. 1968 წლის 1 ივლისს მთლიანად გაუქმდა საბაჟო გადასახადი დამფუძნებელ ექვს ქვეყანას შორის, ხოლო შემდეგ შემოღებულ იქნა ერთიანი პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროში.

დაარსებიდან დღემდე ევროკავშირმა შვიდი წარმატებული გაფართოება განიცადა და მისი წევრების რაოდენობა 6-დან 28 მდე გაიზარდა...

ევროკავშირში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 7%, მასზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 20%, ხოლო დაახლოებით ორი მესამედი წევრი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოდის ევროკავშირის სხვა წევრებზე [6, გვ. 6; 7]. ევროკავშირი წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკას, მასზე მოდის მსოფლიო მშპ-ის 20%ზე მეტი [8, გვ. 3].

ევროკავშირი შედგება განსხვავებული ქვეყანებისაგან. ასე მაგალითად, მოსახლეობით გერმანია უდიდესია - 82 მლნ და პატარა მალტა - 400 ათასი. ფინეთი და იტალია არიან კავშირის ისეთივე წევრები, როგორც პორტუგალია და პოლონეთი. ევროკავშირში ხალხი საუბრობს სხვადასხვა ენაზე, განსხვავებულია დამწერლობა. ასევე განხვავდება ტრადიციები, კულტურა, სამზარეულო. რამდენიმე ევროკავშირის წევრ ქვეყანას წარსულში აქვს სხვა წევრი ქვეყნისათვის ტერიტორიაც წართმეული [9, გვ. 14].

გაერთიანების წევრმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს გაეძლიერებინათ კავშირი და მოილაპარაკეს ახალი ხელშეკრულების შესახებ, რომლის მთავარ საკითხებზე შეთანხმება 1991 წლის დეკემბრის მაასტრიხტის ევროპის საბჭოს სხდომაზე მოხდა. 1992 წლის 7 თებერვალს ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (მაასტრიხტის ხელშეკრულება), რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს. ამ ხელშეკრულებამ სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაცია მნიშვნელოვნად წინ წასწია, რასაც შემდგომში ერთიანი სავალუტო სივრცის ჩამოყალიბება მოჰყვა. ევროკავშირის ხელშეკრულება აყალიბებდა წევრი ქვეყნებისათვის ამბიციურ პროგრამას: სავალუტო კავშირი 1999 წლისათვის, ახალი საერთო პოლიტიკა, ევროპის მოქალაქეობა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, 1997 წლის 2 ოქტომბერს ამსტერდამში, ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის მაისში. ამ ხელშეკრულებით გაღრმავებული და გაძლიერებულ იქნა კავშირის პოლიტიკური კურსი და ძალაუფლება, განსაკუთრებით სამართლებლივი თანამშრომლობის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საგარეო პოლიტიკისა და ჯანდაცვის საკითხებში. ევროპარლამენტს, როგორც გაერთიანების უპირველეს დემოკრატიულ ხმას, მიეცა დამატებითი ძალაუფლება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა მისი, როგორც ერთიანი კანონმდებლის მნიშვნელობას.

ნიცას ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2001 წლის 26 თებერვალს, ხოლო ძალაში შევიდა 2003 წლის თებერვალს. მისი ძირითადი მიზანი იყო კავშირის გაფართოვების ახალი ტალღისათვის ინსტიტუციონალური საფუძვლის მომზადება [10, გვ. 211-212]. ნიცას სამიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის ერთსულოვანი მიღება. ეს იყო 50 პუნქტისაგან შემდგარი კრებული ევროპის სამართალში ადამიანის თავისუფლების, ეკონომიკური და სოციალური უფლებების შესახებ.

ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საერთო ბაზრის შექმნა, რომელმაც ინტეგრაცია აიყვანა შემდგომ საფეხურზე. საერთო ბაზრის შექმნა ევროკავშირის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა და გამოწვევაა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობაში არსებული შეზღუდვების თანდათანობითმა გაუქმებამ ქვეყანათა ურთიერთვაჭრობა და შესაბამისად ურთიერთდამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაზარდა.

XX საუკუნის 90-იან წლებში ინტეგრაცი ევროპაში ავიდა სულ სხვა დონეზე. გადადგმული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინტეგრაცული მშენებლობის გაღრმავების და გაფართოების გზაზე. მათ შორის აღსანიშნავია, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, ერთიანი ვალუტის ,,ევროს'' შემოღება და ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით. ევროკავშირში ჯერ არასოდეს არ დასახულა ასეთი მასშტაბური ამოცანები. შესაბამისად ევროპულმა ინტეგრაციამ მიიღო თვისობრივად სხვა განზომილება.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაზრდა 6-დან 28 ქვეყნამდე, შეიძლება ჩაითვალოს ინტეგრაციის დიდ მიღწევად. პროცესი მიმდინარეობდა წარმატებით და დიდი ხნის განმავლობაში, მას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. ამასთან, ბოლო გაფართოება წარმატებით განხორციელდა და უფო მეტი დადებითი შედეგი იქონია, ვიდრე უარყოფითი, როგორც ახალი ქვეყნების, ასევე ძველი წევრებისათვის და მთლიანად ევროპისათვის.

ევროკავშირის განვითარების ერთ-ერთი პოზიტიური მომენტია ის, რომ მისი წევრების ეკონომიკამ მიაღწია ინტეგრირების მაღალ ხარისხს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანათაშორისი ვაჭრობის წილი ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობაში. ეს მაჩვენებელი ასევე სწრაფად იზრდება ახალ წევრ ქვეყნებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია: საქონლისა და მომსახურების საერთო ბაზარი, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება, წევრი ქვეყნების შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა, ერთობლივი ვალუტა, სავალუტო პოლიტიკა და სხვა [11, გვ.21].

გაფართოება 28 წევრ ქვეყნამდე ევროკავშირს ხდის უფრო მრავალმხრივს, რაც ბუნებრივია, ართულებს ამა თუ იმ საკითხში კონსენსუსის მიღწევას. უფრო დაბალი ეკონომიკური განვითარების გამო ევროკავშირის რიგი წევრი ქვეყანა უახლოეს წლებში დარჩება სავალუტო კავშირის ფარგლებს გარეთ. იზრდება კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება, ფართოვდება ეროვნული ინტერესებისა და საგარეო პოლიტიკის ორიენტირების სპექტრი. ასეთ პირობებში ევროკავშირის მმართველობას უფრო ხშირად უხდება დაეყრდნოს სხვადასხვა სიჩქარიან ევროპის პრინციპს. ასევე ევროკავშირისათვის არასა-

ხარბიელო ფაქტორია დემოგრაფიული სიტუაცია. ევროკავშირის ლიდერი წევრი ქვეყნების ერთ ნაწილში (და არა მხოლოდ) მოსახლეობის რიცხოვნობა მომავალში არ გაიზრდება და პირიქით შემცირდება. შობადობის დონის კლება, ცხოვრების ხანგრძლივობის გაზრდა იწვევს ასაკოვანი მოსახლეობის წილის გაზრდას და აუცილებელს ხდის საპენსიო რეფორმების განხორციელებას ევროპის უმეტეს ქვეყანაში.

ბოლო პერიოდში ევროკავშირი უდავოდ გადაიქცა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად, რომლის პოზიციაც აშკარად ანგარიშგასაწევია საერთაშორისო თანამეგობრობაში. აღსანიშნავია, რომ ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ძველი წევრების მაჩვენებლებს. მხოლოდ ევროკავშირის 4 ქვეყენაზე (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და იტალია) მოდის ევროკავშირის მშპ-ის 64%, როცა ბოლო ორი გაფართოების შედეგად გაწევრიანებულ 12 ქვეყანაზე ერთად მოდის ევროკავშირის მშპ-ის 5%.

ევროკავშირის მეხუთე გაფართოება მოწმობს არა მხოლოდს ევროპული ინტეგრაციის პროცესის ახალ ეტაპზე, არამედ სხვა სერიოზულ ცვლილებებზეც, რაც ასე თუ ისე შეეხება და უკვე შეეხო საერთაშორისო ურთიერთობების მთელ სისტემას. მეხუთე გაფართოება თვისობრივად განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან. მანამდე ევროკავშირში ერთიანდებოდა ერთდროულად არა უმეტეს სამი ქვეყანა. 2004 წლის მაისში კი ევროკავშირში გაწევრიანდა ათი ახალი ქვეყანა. ერთად ასეთი რაოდენობის ახალი ქვეყნების მიღება ართულებს გაერთიანების ფუნქციონირებას, პირველ რიგში, რთულდება გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ის ხდება უფრო ხარგრძლივი. მეორე მხრივ, უფრო აშკარაა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავება.

ევროკავშირის გაფართოება, ახალი წევრების მიღება უდიდესი მნიშვნელობისაა ევროკავშირის პოზიციის გამყარებისთვის მსოფლიო ეკონომიკაში. ევროკავშირი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სავაჭრო-ეკონომიკური სივრცეა. მიუხედავად ამისა, კავშირის ფარგლებში არსებობს ბევრი უთანასწორობა, როგორც წევრ ქვეყნებს, ასევე რეგიონებს შორის.

უნდა აღვნიშნოთ რომ, ახალი წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. ევროკავშირის წევრი ქვეყნები უმუშევრობის დონის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება.ევროკავშირის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ერთიანი ვალუტის შემოღებაა. ევრო - მსოფლიოში პირველი ფულადი ერთეულია, რომელიც ერთდროულად გახდა ჯერ 11, შემდეგ 19 სახელმწიფოს ვალუტა. ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფუნქციონირება და რეფორმირება ბოლო წლების განმავლობაში შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. ბოლო 20 წლის განმავლობაში ევროკავშირმა მიაღწია ძალიან ბევრს. ზოგიერთმა მოვლენა (ერთიანი ვალუტის შემოღება) უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს უპრეცენდენტოდ. ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის თვით ფაქტს აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობაც. ასეთ მასშტაბურ მიზანს დროის მოკლე პერიოდში ჯერ ვერც ერთმა ინტეგრაციულმა დაჯგუფებამ ვერ მიაღწია. ამასთან, მიუხედავად განვითარების დონის გათანაბრებისა და კონვერგენციის განსაზღვრული წარმატებისა, ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასევე განსხვავებულია მათი ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკაც.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე რთული ფორმაა ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, რომელიც გულისხმობს მაღალგანვითარებულ, მჭიდრო და გრძელვადიან სავაჭრო, ეკონომიკურ და საფინანსო კავშირებს. ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფუნქციონირების პრაქტიკული გამოცდილება ძალიან მცირეა, ამიტომ, აქტუალურია ევროკავშირის გამოცდილების შესწავლა და იმ პროცესების ანალიზი, რამაც განაპირობა ევროს შემოღება. ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა შედგება ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროკავშირის ქვეყნების ცენტრალური ბანკებისაგან. ევროსისტემა კი მოიცავს ევროპის ცენტრალურ ბანკს და იმ ქვეყნების ეროვნულ ბანკებს, რომლებიც შედიან ევროზონაში. იმ ქვეყნების ეროვნული ბანკები, რომლებიც არ არიან ევროზონის წევრები, განსაკუთრებული სტატუსით შედიან ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემაში: მათ შეუძლიათ გაატარონ საკუთარი მონეტარული პოლიტიკა, მაგრამ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც ეხება ევროს და ერთიან სავალუტო პოლიტიკას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში არსებულ ეროვნულ ვალუტები და მათ შორის კურსების ცვლილებები, ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად ითვლებოდა. ევროს შემოღებით ეს პრობლემები მოიხსნა და ხელი შეეწყობა ექსპორტის განვითარებას, ქვეყანათა შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბების გაზრდას და რაც მთავარია ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებას.

ევრო, აშშ-ის დოლარის გვერდით ახალი გლობალური ვალუტაა. ევრო, როგორც სარეზერვო ვალუტა, დოლარს სერიოზულ კონკურენციასაც უწევს. ევროს, როგორც სავაჭრო და სარეზერვო ვალუტის როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. მსოფლიო ვაჭრობის ერთი ნაწილი ევროში ხორციელ-

დება, ასევე ევროს წილი ცენტრალური ბანკებისა და ტნბ-ის რეზერვებში მნიშვნელოვნად იზრდება. რაც მთავარია ევროზონას აქვს გაფართოების რეალური საფუძველი და პერსპექტივა.

ევროს, როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის უპირატესობა გამოიხატება მისი შიგა მდგრადობის მაღალი პოტენციალით: ევრო ემყარება ევროკავშირის ქვეყნების დივერსიფიცირებულ ეკონომიკას (დღეს უკვე 19 ქვეყნის ეკონომიკა, ევროზონის გაფართოების რელური პერსპექტივა) აშშ-სგან განსხვავებით და ასევე კაპიტალის უზარმაზარ ევროპულ ბაზარს, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება აშშ-ის ბაზარს. ამასთან, ევროზონის ქვეყნების ეკონომიკა სტრუქტურული სიძნელეების მიუხედავად, უფრო მეტად დაბალანსებულია აშშ-სა და იაპონიასთან შედარებით. ევროპის სავალუტო სისტემის წევრ სახელმწიფოებში აშშ-სთან შედარებით ინფლაციის დაბალი დონეა, რაც ხელს უწყობს საფონდო ბაზრის შემდგომ განვითარებას. შესაბამისად, ევროს შემოღება მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროკავშირის ისტორიაში, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში.

ამრიგად, ევროკავშირში მიმდინარეობს რთული, მრავალმხრივი განვითარების პროცესები. ერთი რამ უდავოა, XXI საუკუნეში არ არსებობს არანაირი საფუძველი ვიმსჯელოთ ევროკავშირის როლის შესუსტებაზე საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საერთოდ მსოფლიო თანამეგობრობაში, უფრო მეტიც, ეს როლი ეტაპობრივად, მაგრამ მაინც გაიზრდება.

ცნობილია, რომ გაერთიანებული სამეფო ტოვებს ევროკავშირს. . . . ჩვენ ვეთანხმებით ეკონომისტთა იმ ნაწილს, რომელიც ფიქრობს გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გამოსვლა ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობას ეტაპობრივად შეამცირებს, რაც მთლიანობაში ქვეყნის პოზიციების შესუსტებას გამოიწვევს გლობალურ ურთიერთობებში. თავის მხრივ გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გამოსვლა ევროკავშირისათვის, მისი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, მიუხედავად იმისა, იგი არ იყო ევროზონაში. საქართველომ უნდა დაიწყოს და გააღმავოს ორმხრივი მოლაპარაკებები და გაერთიანებულ სამეფოსთან გააფორმოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.

თანამედროვე ეტაპზე ყველაზე განვითარებული, ევროპული ინტეგრაციაა. მისი მამოძრავებელი ძალა ყოველთვის იყო ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და მსოფლიო თანამეგობრობაში პოზიციის გამყარებას.

კვლევიდან ჩანს რომ ევროპულმა ინტეგრაციამ წეევრი წვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა გააუჯობესა და იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია. არაერთი ევროპული ქვეყანა ცდილობს დაუახლოვდეს ევროკავშირს და გახდეს მისი წევრი. თავის მხრივ, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები ვერ შეჩერდება, იგი გაგრძელდება და გაღრმავდება.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნით, ევროკავშირის ქვეყნები მსოფლიო ეკონომიკის ისტორიაში, პირველად გადავიდნენ ინტეგრაციის უმაღლეს სტადიაში, რომელიც დღემდე განიხილებოდა მხოლოდ როგორც თეორიული შესაძლებლობა. არც ერთ სხვა რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებას მსოფლიოში ჯერ არა აქვს რაიმე წინაპირობა, და შესაბამისად, სავალუტო კავშირის შემუშავებული სტრატეგია. ევროპულმა ინტეგრაციამ მიიღო თვისობრივად სხვა განზომილება. ევროს შემოღებით კი ინტეგრაცია ავიდა სულ სხვა საფეხურზე. ევრო – მსოფლიოში პირველი ფულადი ერთეულია, რომელიც თავისი წარმოშობით ინტერნაციონალურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pelkmans J. European Integration, Methods and Economic Analysis, Third Edition. Pearson Education Limited, 2006
2. ლეონარდი დ. ევროკავშირის სახელმძღვანელო. თბილისი, ,,ჯისიაი“, 2002.
3. Reding V.Why we need a United States of Europe now. European Commission, Centrum für Europarecht an der University Passau / Passau , 2012.
4. Winston Churchill: calling for a United States of Europe. European Commission. https://europa.eu/european-union/sites/europaeu/files/docs/body/winston_churchill_en.pdf
5. მსოფლიო ეკონომიკა. პროფ. გრ. თოდუასა და შ. ვეშაპიძეს რედაქციით. თბილისი, 2001.
6. The European Union. Trade Policy 2014, European Commission, 2014.
7. https://europa.eu/european-union/about-eu/figures/economy_en
8. European Union. Europe: What's it all about? Luxembourg: Publications Office of the European Union, 2013
9. European Union. European Union trade and Investment. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2014

10. Thomas Läufer (Hrsg.) Vertrag von Nizza. Bundeszentrale für politische Bildung. Europa Union Verlag, Bonn, 2002.
11. ფუტკარაძე რ. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი, „უნივერსალი“, 2010.

Historical Aspects of European Integration

R. Putkaradze

Summary

Integration in the European Union is one of the priorities of economic policy of Georgia. Therefore, the study of historical aspects of European integration is of great importance. The paper discusses historical issues of European integration. In the beginning of the 21st century the European Union represents one of the most developed regional integration with its trade, economic and political potential.

Preconditions and challenges of European integration, its member states, Eurozone and others are discussed. Positive outcomes of economic integration for both member and non-member states are emphasized. It's outlined that the EU is committed to the activities promoting peace, stability and welfare in Europe and in the whole world. Its role on international arena is very important. The EU and Georgia have close and increasing trade and economic relations, which need to deepen.

Keywords: *Economic History, European and economic Integration, globalization,The European Union, Georgia.*

ბუნებრივი რესურსები - ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორი

ლეილა ქადაგიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუნებრივი რესურსები ეროვნული სიმდიდრეა, რომელიც ქვეყნის განვითარების მატერიალურ საფუძველს ქმნის. მათ რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური თვითდამკვიდრება და ადამიანთა კეთილდღეობის დონის ამაღლება. სხვადასხვა სახის ბუნებრივი რესურსის არსებობა ქვეყანას აძლევს დამატებით კონკურენტულ უპირატესობას. ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები, ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ჩანჩქერები, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები, ტყეები, მინერალური წყლები, ქარისა და მზის ენერგია, და სხვა რესურსები მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ აქტივს წარმოადგენს ქვეყნისათვის. ნაშრომში, სამეცნიერო ლიტერატურასა და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილია საქართველოს ბუნებრივი რესურსები, როგორც ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: *ტექნოლოგიური გარემო, ბუნებრივი რესურსები, კლიმატი, ენერგეტიკული რესურსები.*

XX საუკუნის 50-იანი წლების შუა წლებიდან იწყება მეცნიერულ – ტექნიკური რევოლუციის ეპოქა. ტექნოლოგიამ დაიწყო არსებითი როლის შესრულება ბიზნესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც გლობალური კონკურენტუნარიანობის განმამტკიცებელ საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნებიან [1, გვ.83]. ტექნოლოგიური გარემოს ცვლადებზე მსჯელობისას რ. გრიფინი და მ. პასტეი სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს საფუძველია მის განკარგულებაში არსებული რესურსები [2, გვ.139]. რესურსების არსებობა პირდაპირ განსაზღვრავს თუ წარმოების რომელი ტექნოლოგიები შეიძლება იყოს გამოყენებული მოცემულ ქვეყანაში, და ბუნებრივია ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ამ მოსაზრების გასამყარებლად შეგვიძლია საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიებიც მოვიშველიოთ, რომელთა მიხედვით, ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა პირდაპირ განისაზღვრება მისი რესურსებით უზრუნველყოფის დონით [3 გვ.119].

ბუნებრივი რესურსები, რომლებიც წარმოების ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება, თანამედროვე საერთაშორისო კონკურენციაში ამა თუ იმ ქვეყნის უპირატესობას უზრუნველყოფს. ეკონომიკის განვითარებაში რესურსული საშუალების როლი მუდმივად იცვლებოდა. საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე გადამწყვეტ როლს აგროკლიმატური რესურსი ასრულებდა. სწორედ ნიადაგის ნაყოფიერებამ და თბილმა კლიმატმა შეუწყო ხელი ჩინეთისა და შუამდინარეთის ხალხებს სხვებზე ადრე გადასულიყვნენ მარტივიდან გაფართოებულ კვლავწარმოებაზე და შეექმნათ წამყვანი სახელმწიფოები. შუა საუკუნეებში აგროკლიმატური რესურსი შეცვალა სასარგებლო წიაღისეულმა. სამრეწველო რევოლუციამ და ინდუსტრიალიზაციამ მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართო მინერალური რესურსების ახალი სახეები. მეტალურგია და მანქანათმშენებლობა განვითარდა იმ ქვეყნებში, რომლებიც მდიდარი იყო ქვანახშირისა და რკინის საბადოებით. ამ რესურსებმა განაპირობა XVII-XVIII საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის ეკონომიკური სიძლიერე. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს სივრცით რესურსებს, კერძოდ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა თავის დროზე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (საბერძნეთი, იტალია) განვითარება [4, გვ. 459].

XX საუკუნის დასარულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ვითარება შეიცვალა. მეცნიერებმა ეკონომიკა დაყვეს ტრადიციულ, ე. ი. „ძველ“ და „ახალ“, ანუ ინფორმაციულ, მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკად. ტერმინ „ახალ ეკონომიკასთან“ შინაარსობრივად ძალზე ახლოსაა ბოლო პერიოდში გავრცელებული ტერმინი „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა [5, გვ. 428]. ტრადიციულ ეკონომიკას განვითარების იმპულსს ბუნებრივი ნედლეულის რესურსები აძლევდა, ახალ ეკონომიკას კი – ცოდნა. ასე რომ, XXI საუკუნის დასაწყისში მოხდა ბუნებრივი ნედლეულის რესურსების უკანა პლანზე გადაწევა. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს მისი როლის გაუბრალოებას. რაც არ უნდა წინა პლანზე წამოიწიოს ცოდნამ, სიახლეებმა, მეცნიერულმა მიგნებებმა, თითოეული ცალ-ცალკე ყველგან და ყოველთვის ვერ შეცვლის ბუნებრივ რესურსებს. ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობენ.

ბუნებრივი რესურსების კომპონენტს – მიწის რესურსებს, ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიწა ყველა ქვეყნის მთავარი ეროვნული სიმდიდრეა. ნიადაგის წილად მოდის საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის თითქმის ნახევარი. საქართველოს მიწის ფონდი 7628. 4 ათასი ჰა, აქედან სასოფლო სამეურნეო სავარგულები – 3025, 8 ათასი ჰა, არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი – 4602, 6 ათასი ჰა. საქართველოში ინტენსიურია ნიადაგის, წყლისა და ქარისმიერი ეროზია. ეროზიის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას მთიან რეგიონებში, სადაც ამის მთავარი მიზეზია არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მთის კალთებზე ტყის ჩეხა და გადაჭარბებული ძოვება [6, გვ.11]. XX საუკუნის 90-იან წლებში ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერა ქარისმიერი ეროზია. ქვეყანაში შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა ხელს შეუწყობს სწორ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მიწის ფონდის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

საქართველოში ჩამოყალიბებულია სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის თითქმის ყველა ტიპი. აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატი არის მშრალი და კონტინენტური, ცხელი ზაფხულით და ზომიერი ზამთრით, დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე თბილი სუბტროპიკული კლიმატი აღინიშნება. ასეთი კლიმატი განპირობებულია ქვეყნის ბუნებრივი ბარიერების კავკასიონის და სამხრეთ მთიანეთის არსებობით და შავი ზღვის გავლენით [7, გვ.2]. რბილი კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქვეყანაში ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, „ საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს მოყვანილი წელიწადში ორი მოსავალი და დაინერგოს შუალედური და სანაწვერალო კულტურები“ [8, გვ.104].

საქართველო თავისი მცირე ტერიტორიის მიუხედავად, ბუნებისაგან დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ფლორით და ფაუნით. ტურისტული თვალთახედვით საქართველო უნიკალური ქვეყანაა. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია 103 კურორტი, 2000-ე მეტი მინერალური წყარო, 1300-ზე მეტი კარკასული მღვიმე, 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 58 957 კმ-ია, 860 ტბა, 688 მყინვარი (მყინვარები საქართველოს ფარგლებში არათანაბრადაა განაწილებული. მათი უმრავლესობა ოთხი მდინარის: კოდორის, ენგურის, რიონისა და თერგის აუზებშია თავმოყრილი). ჩანჩქერები, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები და ტყეები მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ აქტივს წარმოადგენს ქვეყნისათვის.

საქართველო წარმოადგენს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთ უმდიდრეს ქვეყანას არა მარტო კავკასიაში არამედ მსოფლიოში. მიწისქვეშა მინერალური წყლის მარაგი საქართველოში გიგანტურია: მტკნარი წყლის მარაგია 6503,64 ათ.მ3/დღ.ღ, სასმელი წყლის – 38,76 ათ. მ3/დღ.ღ, სამკურნალო – სასმელის – 5,86 ათ.მ 3/დღ.ღ და სამკურნალო 29,7 ათ.მ3/ დღ.ღ [6, გვ.42]. საქართველოს მინერალური წყლები ცნობილია უხსოვარი დროიდან, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა და წარმატებით სარგებლობს ბორჯომის, წყალტუბოს, თბილისის, ნაბეღლავის, ლუგელას, სქურის, ლებარდეს, უწერას, საირმეს, ზვარეს, ვაჟას წყაროს, ვარძია-ნაქალაქევის, ყაზბეგის, ჯავის, მახინჯაურის, სულორის, ავადჰარას, ბოლნისის, ლაში ჭალას და სხვ. საბადოები. მინერალური წყლების გამოყენება ძირითადად ხდება სამელი და ბალნეოლოგიური მიზნებისათვის [9, გვ.15]. როგორც პროფ. ე. მექვაბიშვილი მიუთითებს, დიდი მრავაფეროვნებით გამორჩეული მინერალური წყლები საქართველოში სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს [10, გვ. 18].

მთელ სამყაროში საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა წყლის რესურსებით, რომელსაც მდინარეები, ტბები, ჭაობები, მყინვარები და მიწისქვეშა წყლები შეადგენენ. მტკნარი სასმელი წყალი ჩვენი ათასწლეულის ყველაზე ძვირი და დეფიციტური ნედლეული იქნება. გაეროს მონაცემებით [11, გვ.56], დღეს დაახლოებით 2.8 მლრდ ადამიანი მოკლებულია კარგი ხარისხის სასმელ წყალს. ევროპაც ასევე წააწყდა ამ ურთულეს პრობლემას, რომელიც განპირობებულია სასმელი წყლის მარაგების თანმიმდევრული გამოფიტვით. „საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების, (მოძიებული), საერთო მარაგი შეადგენს 573 მ3/წმ—ში, ხოლო საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების რაოდენობა – 301 მ3/ წმ-ში (დღე–ღამეში 26 მლრდ ლიტრი). აღნიშნული რესურსი საშუალებას იძლევა ადამიანის დღიური ფიზიოლოგიური ნორმის გათვალისწინებით, დააკმაყოფილოს მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილება 17,5 მლრდ ლიტრი მტკნარი სამელი წყლით, ყოველდღიურად, დაფასებისა და ტრანსპორტირების რეალური შესაძლებლობის შემთხვევაში ისე, რომ არავითარი საფრთხე არ შეექმნას მის ბიოეკონომიკურ გარემოს“ [12].

საქართველოში წყლის ბიზნესი ძნელად ვითარდება, ვინაიდან წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილის რეალიზაცია მცირე გამონაკლისის გარდა, ხდება ადგილობრივ ბაზარზე. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობას კი, მცირე შემოსავლები აქვს და ტრადიციულად მოიხმარს ონკანის წყალს. საერთაშორისო ბაზრზე გასვლა და ბაზრის გარკვეული სეგმენტის მოპოვება დაკავშირებულია უდიდეს სიძნელეებთან. წყლის საერთაშორისო ბაზარს აკონტროლებს გარკვეული ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ნორვეგია, ფინეთი და სხვ.) ბიზნესსრეები, რომლებიც არ თმობენ პოზიციას [9, გვ. 15]. შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება მონახა ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, რომელ-

საც ხელმძღვანელობს პროფესორი პაატა გიორგაძე. იდეა მდგომარეობს საქართველოს მიწისქვეშა წყლის რესურსების კაპიტალიზაციაში, რომელიც საქართველოს მთავრობის თანადგომით განხორციელდება. როგორც მეცნიერთა აღნიშნული ჯგუფი მიუთითებს [12]: საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, წყლის ინდუსტრიული მშენებლობის საპროექტო ღირებულების პარალელურად, ძვირადღირებული სარეკლამო პიარკომპანიებისა და აქციების წარმართვას, რომელიც მსოფლიო წყლის ბაზრებზე გარკვეული სეგმენტით, ადგილის მოპოვებისა და აქ ადგილის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა. მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნის შემთხვევაში, იძლევა დარგობრივი ეკონომიკის განვითარების შიდა პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიულ მოდელს, რომელიც გარდუვალი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. საქართველოს შეუძლია მაღალხარისხიანი ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს.

საქართველოს ტყე არის ეროვნული საგანძური. საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს მის მოქალაქეებს დაიცვან, გაუფრთხილდნენ და იზრუნონ ბუნებაზე. ევროკავშირის მთავარი მოთხოვნა საქართველოს ტყის მდგრადი მართვის დაწყებას ავალდებულებს. ამასთანავე, დაბალანსებული უნდა იყოს ტყის მდგრადი მართვის სამივე პრინციპი [13]: ეკოლოგიური – არ უნდა მოიჭრას იმაზე მეტი, ვიდრე ბუნებრივი შემატება გვაქვს, ბალანსი აუცილებლად უნდა იყოს დაცული; ეკონომიკური – პრიორიტეტული იქნება საქართველოში მოპოვებული მერქნის ადგილზე გადამუშავებისა და საბოლოო პროდუქტის შექმნის მიმართულება, რამაც უნდა წაახალისოს ეკონომიკა, შექმნას სამუშაო ადგილი მოსახლეობისთვის და დადებითად აისახოს ადგილობრივ წარმოებაზე; სოციალური – სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება უნდა ჰქონდეს ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების, დასაქმების პროცესში; ასევე, აქტიურად მონაწილეობდეს სატყეო მეურნეობის საქმიანობაში.

2012 წელთან შედარებით, 2013 წელს საქართველოში ტყის ფართობი 2,3%-ით შემცირდა და ქვეყნის საერთო ტერიტორიის 38,2%-ს, 2,66 მლნ ჰექტარს შეადგენდა. (2000, 2005, 20010, 2011 წლებში ტყეზე მოდიოდა ქვეყნის საერთო ტერიტორიის 39,9%). საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ამიტომ აქ ტყეები თითქმის მთლიანად (97,7%) მთის ფერდობებზეა განლაგებული. ტყის საერთო ფართობი 2005,6 ათასი ჰა, მერქნის მარაგი 451700,12 ათას მ3-ს შეადგენს. მერქნის ამ მარაგიდან გადამუშავებისათვის ხელმისაწვდომია მისი 38-40% [6]. ტყე იძლევა მრავალი სახის ძვირფას პროდუქტს და ნედლეულს (მერქანი, ქერქი, ტოტები, მაყვლის ფოთოლი, სოჭი, გირჩი, ასკილი, ქაცვი, ჭინჭარი, ძირტკბილა, თეთრყვავილას ბოლქვები, ყოჩივარდას გორგლები, სოკო და სხვ.). ტყემ ფართო გამოყენება ჰპოვა მერქნის დამზადების, ქიმიური, კვების, ფარმაცევტულ, საფეიქრო მრეწველობასა და სხვა დარგებში. იგი ასრულებს პლანეტურ ბიოგეოქიმიურ ფუნქციას, მონაწილეობს მრავალფეროვანი ლანდშაფტის შექმნაში. ის არის მრავალფეროვანი ფაუნის ადგილსამყოფელი და აქვს ძალზე დიდი წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი და სანიტარული მნიშვნელობა. ტყეს აქვს წყლის ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების მნიშვნელოვანი ფუნქცია. დიდია ტყის რეკრეაციული-სამკურნალო და ტურისტული მნიშვნელობა.

ტყის არამერქნული რესურსებით მდიდარია საქართველოს ტყეები. აღნიშნული რესურსები გამოუყენებელი რესურსებია, რომლის თაობაზეც საქართველოს მოქალაქეებს ინფორმაციაც კი არა აქვთ. საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოება და გადამუშავება პოტენციურად უმნიშვნელოვანესი ნიშური საექსპორტო დარგია, რაც ქვეყანას დიდი მოცულობის სავალუტო შემოსავლებს მოუტანს და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამ პროდუქტების უმსხვილეს ბაზარს ევროკავშირი წარმოადგენს; იგი ყოველწლიურად 8-10 პროცენტით იზრდება და მისი ჯამური მოცულობა ფულად გამოხატულებაში დღესდღეისობით წელიწადში დაახლოებით 50 მლრდ ევროს შეადგენს [14]. ამ სახის პროდუქციაზე ყოველწლიურად მზარდი საერთაშორისო მოთხოვნილებისა და საქართველოში არსებული ამ სახის პროდუქტების უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად დღეისთვის ეს დარგი სრულიად განუვითარებელია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ დარგის ხელშეწყობა ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ბრენდული ღირებულების პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნის რეპუტაციის დამკვიდრებას. ტყის არამერქნული რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ცვლილებები სატყეო კოდექსში და შემუშავდება რესურსების მოპოვების სამომავლო პროგრამა.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსები საქართველოში წარმოდგენილია ნავთობით, აირით, ნახშირით, ტორფითა და თერმული წყლებით. ნავთობის მთლიანი მარაგი შეადგენს 169660 ათას ტონას, აირის — 5157000 ათას მ3-ს, თერმული წყლებისა 129594 მ3/დღ.ღ-ს, ნახშირის 484248 ათას ტონას და ტორფის 99099 ათას მ3-ს. ნავთობის საბადოებიდან აღსანიშნავია: მირზაანის, ტარიბანის, შირაქის, ნორიო-მარტყოფის, საცხენისის და სუფსის. დღეისათვის პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის საბადო, სადაც წინასწარი გათვლებით ერთი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგია. ბუნებრივი აირის მოპოვება ხდება სამგორი-პატარძეულის, სამგორის სამხრეთ გუმბათის და თელეთის ნავთობის საბადოებზე. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა საძიებო სამუშაოებმა ცხადყო [15], რომ შავი შელფის საქართველოს სექტორში ბუნებ-

რივი აირის მარაგის მთლიანი მწარმოებლურობაა 1,8 მლრდ მ3 წელიწადში. ნახშირის ყველაზე დიდი საბადოა ტყიბულ-შაორის, ტორფის საბადო ძირითადად კოლხეთის დაბლობზეა წარმოდგენილი (იმნათი, ფიჩორა, მალთაყვა). ტორფი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქიმიურ მრეწველობაში და საწვავად. საქართველოში ტორფს სოფლის მეურნეობაში სასუქად იყენებენ. „მინერალური რესურსების მარაგი ნედლეულის ძირითადი ტიპების მიხედვით შეფასებულია 90 მლრდ აშშ დოლარად. ამ რესურსების გამოყენების ხარჯზე საქართველოში წლიურად შესაძლებელია 30 მლრდ აშშ დოლარზე მეტი პროდუქციის წარმოება“ [16, გვ.107].

იმ დროს, როდესაც მსოფლიოში მწვავედ დგას ენერგორესურსების პრობლემა, საქართველოს მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს ეგზოგენური ენერგორესურსები, კერძოდ, ჰიდრო, მზის და ქარის ენერგია. საქართველო ჰიდროენერგორესურსების სიმძლავრით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში და უმდიდრესია რესპუბლიკებს შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე [17]. ჰიდროენერგია (საშუალოწლიური) — 135 მლრდ კვტ. სთ-ად არის შეფასებული. საქართველოს ჰელიორესურსები ძალიან მნიშვნელოვანია და არსებული მონაცემებით 1014 კვტ/წ-ს უდრის. საქართველო იდეალური ქვეყანაა ქარის ენერგიის განვითარებისათვის. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოში აღსანიშნავია ქ. ფოთის, დაბა სურამის, ქ. ქუთაისის, შიგა აჭარის მიდამოები. დღესდღეობით ქვეყანაში ქარის მხოლოდ რამდენიმე მცირე დანადგარი მუშაობს. საქართველო 2009 წლიდან „განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს“ **(IRENA)** წევრია, იმედია, ამ სააგენტოს წევრობა ხელს შეუწყობს ქვეყნის განახლებადი ენერგეტიკის განვითარებას.

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის და საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის შვილობილმა კომპანიამ (შპს “ქართლის ქარის ელექტროსადგური“) 2016 წელს განახორციელა შიდა ქართლის რეგიონში, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგურის „ქართლის“ მშენებლობა [17], რომლის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20.7 მეგავატია, ხოლო გამომუშავებული ელექტრო ენერგია კი 88 მლნ. კვტ/საათი. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო. დეტალური პროექტის მომზადებაში ჩაერთო ბელგიური საკონსულტაციო კომპანია „Tractebel Engineering”. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 34,3 მლნ.აშშ დოლარია. ქარის ელექტროსადგურისათვის საჭირო მოწყობილობების შეძენა და სამშენებლო სამუშაოები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დააფინანსებით განხორციელდა. „ქართლი“ მისი სპეციფიკიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რომ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სადგურად დასახელდეს.

რაც შეეხება ლითონებსა და იშვიათ ლითონებს, საქართველო არ არის მდიდარი მადნიანი საბადოებით, მაგრამ იგი მაინც ფლობს ზოგიერთი ლითონის საკმაოდ დიდ საბადოს. საქართველოს წიაღისეულიდან პრიორიტეტულ ნედლეულად კვლავ რჩება მანგანუმი, რომლის საბადოთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს ჭიათურის მანგანუმის საბადო (მარაგი 176000 მლნ/ტ). აღსანიშნავია აგრეთვე ჩხარ-აჯამეთის მადნიანი ზოლი; პერსპექტიულობის თვალსაზრისით, საყურადღებოა, ყვირილის მანგანუმიანი ზოლები. საქართველოში არსებობს მსოფლიო მნიშვნელობის იშვიათი ლითონებისა და ელემენტების (სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, დარიშხანის, ტყვიის, თუთიის, გოგირდის, თიხის, ანთიმონიუმის) საბადოები. სპილენძის საბადოებიდან მნიშვნელოვანია მადნეულის სპილენძი-ტყვია-თუთიის საბადო (ბოლნისის რაიონი), რომლის ბაზაზეც მუშაობს სს ,,მადნეული“. საიუველირო სანაკეთო წარმოებისათვის საქართველოში არსებობს აქატის, მარმარილოს, გიშრის, იასპინის, დეკორატიული დოლერიტის საბადოები. ქვეყანაში მეტალურგიული , ინერტული და სამშენებლო რესურსების (საცემენტე კირქვა, ქვიშა, ხრეში, სილა, წიდა, თაბაშირი, გაჯი , ცარცი, საკირე კირქვა და სხვ.) მნიშვნელოვანი მარაგებია.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ბუნებრივი რესურსების მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური მნიშვნელობით ყველაზე საყურადღებო რესურსია მიწისქვეშა მინერალური წყლები, მას მოსდევს ტყეები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ლითონები და იშვითი ლითონები, საერთაშორისო მნიშვნელობის ამ რესურსებს ემატება ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსები: საიუველირო და სანაკეთო წარმოების და მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსები და სხვ. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენება უზრუნველყოფს ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებას, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას, მოსახლეობის დასაქმებას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქადაგიშვილი ლ, ქეშელაშვილი გ. როგორ მოქმედებს გარემო ბიზნესზე, ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, თბ. 2007,# 18.
2. Гриффин Р. Пастей М. Международный бизнес, 4-ое изд. Питер - 2006.

3. Meskhia I., Shaburishvili S., Basics of research of the technological environment of business, Scientific Journal of the University of Natural Sciences and Humanities. Series: Administration and Management. N 107, Siedlce, 2015 გვ. 268.
4. ქადაგიშვილი ლ., საქართველოს ბუნებრივი რესურსები მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, საერთაშორისო სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცის მასალები, თსუ, თბ. 2012. გვ. 581
5. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ. 2002 . გვ. 526.
6. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2013, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/Garemo_2013.pdf; ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 20.08.2016. გვ. 63.
7. კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება, საქართველოს ანგარიში. კლიმატური ფორუმი აღმოსავლეთში და საქართველოს ქსელი, 2014, http://climateforumeast.org/uploads/other/0/781.pdf ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.08.2016. გვ. 57.
8. ქეშელაშვილი ო., ბიზნესური ეკონომიკა, თბ. 2010. გვ. 438
9. მიქაძე ი., საქართველოს ჰიდროსფერო და მისი რესურსები, თბ. 2014. გვ. 63
10. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ. 2009.
11. The Millennium development goals report. United Nations, New York, Published by the United Netions Department of Economic and Social Affairs, 2008., ნაშრომში თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ, გეგია დ. საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ.2011. გვ. 312
12. დარგობრივი ეკონომიკის, ინოვაციებისა და ურბანული განვითარების მიმართულება, კონცეფცია–პროგრამა, ავტორი და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგაძე პ., commersant.ge/?m=5&news_id=22659&cat_id=7
13. ტყის ახალი კოდექსის გამოწვევები და რეგულაციები, http://bpi.ge/index.php/tyis-akhali-kodeqsis-gamowvevebi-da-regulaciebi/, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22. 09. 2016.
14. საქართველოს ტყის არამერქნული რესურსების ფორუმი, http://srca.gov.ge/news/2070, ვებ. გვერდი ბოლოს ნანახია 25.09. 2016
15. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. http://www.gogc.ge/ge/projects ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.09.2016.
16. სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., ეკონომიკა, თბ. 2005.
17. ქარის ელექტროსადგური „ ქართლი“, http://gedf.com.ge/zu, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22. 09. 2016.

Natural Resources as a Contributor to the Formation of TechnologicalEnvironment of Business

L. Kadagishvili

Summary

Based on scientific literature and statistical information the paper studies natural resources of Georgia, as a factor contributing to the formation of technological environment of business. It's noted thatthe most important resource, from economic point of view, is underground mineral waters, followed by forests, fuel and energy resources, metals and rare metals. These resources of international importance are added by resources of local importance, such as jewelry production and metallurgical, inert and other construction resources, etc. The paper concludes that rational and complex use of natural resources ensures formation of technological environment of business, improving competitiveness of the country, employment of population and improving social conditions.

Key word: *technological environment, natural resources, climate, energy resources.*

ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები იმერეთის რეგიონში

ნარგიზა ქარქაშაძე,
ეკონომიკის დოქტორი

ნ. კაკაურიძე,
მოწვეული მასწავლებელი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ეკოლოგიური ტურიზმის არსისა და როლის შესახებ, როგორც ქვეყნის ისე რეგიონის განვითარებაში. დახასიატებულია იმერეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალი. განხილულია ის ნაკლოვანი მხარეები, რომელიც ხელს უშლის ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას.

სტატიაში გადმოცემულია ასევე კვლევის შედეგები, რომელშიც ასახულია მომხმარებელთა დამოკიდებულება ტურიზმის და კონკრეტულად ეკოტურიზმისადმი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სტატიაში მოცემულია რიგი რეკომენდაცია, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც.

საკვანძო სიტყვები: *ეკოტურიზმი, ტურიზმის ინფრასტრუქტურა, ტურიზმის განვითარების პროგრამა, ტურიზმის ინდუსტრია.*

დღეისათვის ეკოლოგიური ტურიზმი მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთ დინამიკურად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს, რომელზეც, სხვადასხვა შეფასებით, ტურისტულ ბიზნესში კაპიტალის მსოფლიო ბრუნვის 7-8% მოდის. ეკოტურიზმი განისაზღვრება, როგორც „საპასუხისმგებლო მოგზაურობა ბუნებრივ ტერიტორიებზე, რომელიც იცავს გარემოს და აუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას“. [1,გვ.2–3] ამჟამად ეკოტურიზმის ოთხ ძირითად სახეობას გამოყოფენ:

1. სამეცნიერო ტურიზმი;
2. ბუნების ისტორიის ტურები;
3. სათავგადასავლო;
4. მოგზაურობა ბუნებრივ ნაკრძალებში.

ეკოლოგიური ტურიზმის მზარდი პოპულარობა დიდ ინტერესს იწვევს ბუნებრივი გარემოს მიმართ, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოში ადამიანების ეკოლოგიური შემეცნების მაღალ დონეს. ეს თავისთავად ქმნის მოცემული სახეობის განვითარების სტრატეგიული მიდგომების ფორმირების აუცილებლობას.

ეკოლოგიური ტურიზმის ძირითადი მიზანია ჯერ ერთიადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა ბუნებრივ გარემოში დასვენების დროს და მეორე, ეკოლოგიური განათლება, ბუნებასთან ურთიერთობის კულტურის ამაღლება, ბუნებრივ გარემოში ქცევის ეთიკური ნორმების გამომუშავება და ამ მიმართულებით პირადი პასუხისმგებლობის გაზრდა.

ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება ზრდის შემოსავლებს, რაც მნიშვნელოვანია რეგიონული ბიუჯეტის ფორმირებისათვის, რაც თავის მხრივ, ქმნის ეკოლოგიური ტურიზმის შემდგომი განვითარების სტრატეგიების ფორმირებისა და რეალიზაციის შესაძლებლობას.

იმერეთის რეგიონს, რომელსაც გააჩნია უნიკალური ტურისტული რესურსები, ეკოტურიზმს არ მიუღწევია პოტენციური შესაძლებლობების ადეკვატური დონისათვის. თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სირთულე და არასტაბილურობა, არსებით გავლენას ახდენს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე. ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფო რეგულირების არასრულყოფილი მექანიზმი, მოცემული მიმართულებით კერძო ინვესტირების მოტივაციის ნაკლებობა, ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო მოთხოვნის ნაკლებობა, ტურიზმის სამეცნიერო შესწავლის არასაკმარისი დონე, ტერიტორიების დონეზე ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა.

ეკოლოგიური ტურიზმი, რომელსაც გარდა წმინდა გარემოსდაცვითი ფუნქციებისა, ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს, ვერ განვითარდება, თუ არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

როდესაც ინფრასტრუქტურაზე მსჯელობენ, როგორც წესი, გულისხმობენ საწარმოო ინფრასტრუქტურას, სოციალურ ინფრასტრუქტურას კი განიხილავენ როგორც მის შემადგენელ ნაწილს. თუმცა ეკოლოგიური ტურიზმისათვის ორივე მათგანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

რა ფაქტორებზეა დამოკიდებული ეკოლოგიური ტურიზმის ბიზნესის განვითარება? განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. ძირითადი ფაქტორია ეკოლოგიური ტურისტული რესურსების არსებობა. აქ უნდა გამოვყოთ რეკრეაციული რესურსები, ,,რაცწარმოადგენს ბუნებრივ და ანთროპოგენურ გეოსისტემებს, სხეულებს, ბუნებრივ მოვლენებს, არტეფაქტებს (ხელოვნურად შექმნილი), რომელთაც გააჩნია სასარგებლო თვისებები და სამომხმარებლო ღირებულება რეკრეაციული საქმიანობისთვის.[4, გვ.106]

იმერეთს წამყვანი ადგილი უჭირავს რეკრეაციულ სისტემაში, უნიკალური ბუნებრივი და ჰიდრომინერალური რესურსების, მინერალური წყლების სახით. სამკურნალო წყლებიდან გამოირჩევა წყალტუბო, საირმე ბაღდათის რაიონში, ნუნისი ხარაგაულში, სულორი ვანში, აგრეთვე საჩხერის სხვადასხვა მინერალური წყაროები. დიდი რაოდენობითაა თერმული წყლების მარაგი.

დიაგრამა 1



მთისა და ტყის მასივებს 250000 ჰა ფართობი უჭირავს. რეკრეაციული რესურსებია სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეოტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე. იმერეთის ტურისტული პროდუქციის ერთ-ერთ უპირატესი მიმართულება კურორტები და გამაჯანსაღებელი ზონებია. რეგიონის ლანდშაფტი, სამკურნალო მინერალური წყლები ბალნეოლოგიურ კურორტებს მიმზიდველს ხდის დამსვენებლთათვის.[2,გვ.25] დღეისათვის იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა, მათ შორის აღსანიშნავია წყალტუბო, საირმე, ნუნისი, სიმონეთი, სულორი, საწირე, ჭითურის ხრეითი, სამტრედია, ზვარე, ამაღლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია სათაფლიის ნაკრძალი წყალტუბოს ტერიტორიაზე (345 ჰა), კარსტული გამოქვაბულითა და დინოზავრის ნაკვალევით.[7,გვ.13]

იმისათვის, რომ გაგვერკვია მომხმარებელთა დამოკიდებულება ტურიზმისადმი და კონკრეტულად ეკოტურიზმისადმი, ჩატარებული იქნა მარკეტინგულ კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 151 რესპონდენტი. აქედან მდედრობითი სქესის იყო 92,7%, მამრობითი 7,3%. ასაკის მიხედვით ისინი შემდეგნაირად განაწილდა: 18-25 წელი-53%, 26-45 წელი-42,4%, 46-60 წელი -4,4%. როგორც ცნობილია, ტურისტულ მომსახურეობისას საკმაოდ მნიშვნელოვანია თუ რა შემოსავალი აქვთ მომხმარებლებს, ჩვენი რესპოდენტების 60,4% შემოსავალი მერყეობს 100-500 ლარამდე, 20,1%-500-1000 ლარამდე, 6,3% -1000-ზე ზევით, ყველაზე დაბალი შემოსავალი - 100 ლარიანი ხელფასით აქვს რესპონდენტების 9,7%-ს.

ტურისტული მომსახურების სააგენტოებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რომელ ტურიზმს ანიჭებენ უპირატესობას. როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, ყველაზე მეტ უპირატესობას მომხმარებელები ანიჭებენ კულტურულ ტურიზმს, შემდეგ მოდის ისტორიული - 22,6%, სამკურნალოს-13,7%, ეკოტურიზმის-10,3% (იხ.დიაგრამა 3). ამ კუთხით აუცილებელია ჩატარებული იქნეს რიგი ღონისძიება, რაც მომავალში მკვეთრად აამაღლებს მოთხოვნებს შესაბამისი ტიპის ტურიზმზე.

ტურისტული მომსახურების გაუმჯობესება ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, ამიტომ, აუცილებელია გავიგოთ თუ რამდენად კმაყოფილია მომხმარებელი გაწეული ტურისტული მომსახურებით. კვლევის ეს შედეგები მოცემულია დიაგრამა 3-ზე. როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიანად კმაყოფილია რესპონდენტების 31,3%, არაა კმაყოფილი -4,5%, ხოლო მომხმარებელთა უმეტესობა-56% ნაწილობრივ კმაყოფილია. ეს მაჩვენებელი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ კუთხით ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობა.

გარდა ამისა, მომსახურების სფეროში ასევე მნიშვნელოვანია თუ რამდენად შეესაბამება მომსახურების ფასი გაწეულ მომსახურებას. ამ კითხვაზე რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: მთლიანად შეესაბამება-8,1%, ნაწილობრივ შეესაბამება-88,2%, საერთოდ შეუსაბამოა-3,7%.

დიაგრამა 2



ეს მონაცემები მიგვანიშნებს იმაზე,თუ რამდენი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა სწორად იქნეს შერჩეული ფასწარმოქმნის სტრატეგიები და ფასი დაწესებული იქნეს მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გატარებული იქნეს რიგი ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს დარგის, კერძოდ, ეკოტურიზმის განვითარებას. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანია უშუალოდ იმ მომხმარებელთა აზრი, რომლებიც სარგებლობენ ტურისტული მომსახურებით. ამასთან დაკავშირებით რესპოდენტების გამოკითხვის შედეგები შემდეგნაირად განაწილდა:გაუმჯობესდეს მომსახურება-16,6%, გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა -25,5%, ფასები გახდეს მისაღები ტურისტებისათვის-43,4%, მომზადდეს კვალიფიციური სპეციალისტები -13,8%.



იმერეთის რეგიონს გააჩნია კოლოსალური პოტენციალი ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის რადგან, მას მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონები, ესთეტიკურად მიმზიდველი ლანდშაფტები, ურბანიზაციისა და გაკულტურების პროცესებისაგან ხელუხლებელი უნიკალური ფლორა და ფაუნა, ქართულ და საერთაშორისო წითელ წიგნში შეყვანილი არცთუ ცოტა რაოდენობის რელიქტური და ენდემური სახეობები, ბუნებრივი ტერიტორიების დაცული და განვითარებული ქსელები გააჩნია.

სარეკლამო სტრატეგია ეკოტურისტული ბიზნესის განვითარების ერთიანი სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ეკოტურიზმის სტრატეგიის ფარგლებში რეალიზებული სარეკლამო სტრატეგია ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ჩარჩოებში უნდა ხორციელდებოდეს;

გარემოს დაცვა ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. მას ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. ეკოტურიზმში ეს მაშინ ხდება, როდესაც ჯანსაღია გარემოც და ბიზნესიც. ზოგჯერ გარემოს დაცვას მოსახლეობის ინტერესები ეწირება.შეუძლებელია მთავარი აქცენტის გაკეთება მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე, ეკოლოგიაზე ზრუნვის გარეშე. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფაა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია: განვითარების მდგრადობა, ეკონომიკური სარგებლიანობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ადგილობრივი კულტურის ინტეგრაცია და საგანმანათლებლო კომპონენტი.

თანამედროვე საქართველოში ეკოტურიზმის გადარჩენასა და განვითარებასაფერხებს შემდეგი გადაუჭრელი პრობლემები:

- ეკოლოგიურმა ტურიზმმა ვერ მიიღო რეგიონში არსებული ტურისტული რესურსების შესაბამისი განვითარება;
- სახელმწიფო ფორმალურად აღიარებს ეკოტურიზმს პრიორიტეტულ სფეროდ და არ უწევს მას ფინანსურ დახმარებას;
- შიგა ეკოტურისტული პოტენციალი დიდია, მაგრამ ძალიან მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მისი მომსახურებით სარგებლობს, ამიტომ ხდება მისი სოციალური ფუნქციის რეალიზაცია;
- არასაკმარისია ხარისხიანი სარეკლამო–საინფორმაციო მასალები და საშუალებები ეკოტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად;
- არ არსებობს ერთიანი ცივილური სტანდარტები იმ ფასებისა და მომსახურების ფორმირებისათვის, რომლებსაც განსაკუთრებულად დაცული ბუნებრივი ტერიტორიები შეთავაზებენ ეკოტურისტებს. არც თუ იშვიათად, შემოთავაზებული მომსახურება არ შეესაბამება ფასებს, რაც კვლევის შედეგებმაც დაადასტურა.

კვლევის შედეგად ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაცია, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს რეგიონის დონეზე ეკოტურიზმის განვითარების პროგრამული ღონისძიებების სისტემების შექმნისას:

- რეგიონის ქალაქებისა და სოფლების გზებზე და მაგისტრალ –ტრასებზე, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, საინფორმაციო დაფების, ტრანსპორტის გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის აღმნიშვნელი მინიმუმ ორენოვანი ფირნიშების და აბრების დამონტაჟება;

- ტურისტული ინფორმაციის გავრცელების წერტილების შექმნა ყველა ტურისტულ ღირშესანიშნაობასთან, გაჩერების ადგილებთან, სატრანსპორტო კვანძთან და ა.შ.;
- განთავსების ადგილებისა და კვების ობიექტების რაოდენობის გაზრდისა და მათი მომსახურების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა;
- ტურიზმის სექტორში დასაქმების პერსპექტივებისა და რეგიონის შესაძლებლობების შეფასება, დასაქმებული პერსონალის მომზადება–გადამზადების ხელშეწყობა;
- ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი რეგიონული და მუნიციპალური პროექტების განხორციელება და ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამებში ტურიზმის სექტორის ადგილობრივი წარმომადგენლების მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და რეგიონის ტურისტული ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტრესურსების, ტურისტული რუკების, გზამკვლევების, ხმოვანი გიდების, სარეკლამო რგოლების და სხვა საინფორმაციო საშუალებებით სხვადასხვა ენაზე;
- კულტურული, სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, სასოფლო, ეკო, სპორტული და სხვა ტურისტული მარშუტების ორგანიზების ხელშეწყობა, ახალი ტურისტული მარშუტების შექმნა;
- ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოებისა და გაყიდვების რეგიონული ქსელის განვითარება, მათი წარმოებისას ტრადიციისა და თანამედროვე მოთხოვნების შერწყმა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წინადადებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას იმერეთის რეგიონში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი რაჯებაშვილი ტურიზმის განვითარება საქართველოში გვ.2-3.
2. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წწ...გვ.25.
3. http://mastsavlebeli.ge
4. http://bsu.edu.ge
5. http://ka.wikipedia.org/wiki
6. კვლევის შედეგები
7. იმერეთის რეგიონის განვითარების 2012–2017 წლების სტრატეგია

The Prospects of the Development of Eco-tourism in the Region

N. Karkashadze
N.Kakauridze

Summary

In the article "The Prospects of the Development of Eco-tourism in the Region," the nature and role of ecological tourism examined, as well as the development. The tourizm potentiad of region is characterized. The shortcomings, which hinder the development of ecological tourism are studied.

There are also given the research results, which are refected in the attitude of consumers towards the eco-tourism and tourism in general. According to the survey, the article gives number of recommendations, which will support the economic development of the region.

Keywords: *Ecotourism, tourism infrastructure, tourism development program, tourism industry.*

მართვის ხარისხი და მისი გავლენა საქართველოს საჯარო სექტორზე

გიული ქეშელაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია მართვის ხარისხის არსი და გაანალიზებულია საჯარო სექტორის რეფორმირებისა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის სისტემის შექმნის საკითხები. კვლევა ჩატარებულია საქართველოს საჯარო სექტორის მაგალითზე და შეფასებულია მართვის ხარისხზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: სტრატეგიის შემუშავება; მისიის მიხედვით მიზნებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება; სტრატეგიის შემუშავებაში თანამშრომელთა ჩართულობა; ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, კომპეტენციებისა და ფუნქციების გამიჯვნის პროცესი.

საკვანძო სიტყვები: *მართვის ხარისხი, ადამიანური რესურსი, საჯარო სექტორი, კვალიფიკაციის დონე, ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრატეგიის შემუშავება.*

ორგანიზაციათა წარმატებული ფუნქციონირება მათი ეკონომიკური ზრდის საფუძველია, ანუ ეკონომიკური ზრდის ხარისხი განისაზღვრება მართვის ხარისხით, მმართველობითი იერარქიის სხვადასხვა დონეზე. მართვის ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე საინტერესო შრომებია გამოქვეყნებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ეკონომისტ-მკვლევარების მიერ [1;4;5;6]. აღნიშნული პრობლემის სირთულისა და დროში მუდმივი ცვალებადობიდან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა კვლავაც აქტუალურია. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპერატიულობასა და მართვის პროცესების გამჭვირვალობაზე მოქმედ ფაქტორებზე. ზემოაღნიშნული საკითხების კვლევა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რამდენიმე პროექტში განხორციელდა (ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმართველობის რეფორმების ექსპერტიზის ცენტრის მიერ 2006-2007 წლებში განხორციელდა პროექტი _ „მუნიციპალურ დონეზე ადამიანური რესურსების მართვა“, 2007-2008 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში შეიქმნა ეფექტიანი მმართველობის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმების ცენტრის ვებგვერდი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, 2008 წელს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)-ს მიერ განხორციელდა პროექტი „თვითმართველობის მიმართულებით მომუშავე სასწავლებლებისა და სასწავლო პროგრამების კვლევა”, 2014 წლის ივლისში USAID-ის მიერ პროექტის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში G3“-ის ფარგლებში გამოიცა „თანამშრომელთა შერჩევის სახელმძღვანელო და ჩატარდა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსები“ და სხვ.). კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის საერთო დონე ვერ აკმაყოფილებს მათთვის საჭირო აუცილებელ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მართვის ხარისხთან დაკავშირებული საკითხები კვლავ პრობლემატურია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხების გაანალიზება და შეფასება ხელს შეუწყობს საქართველოს საჯარო სექტორში არსებული პრობლემების აღმოფხვრისათვის სწორი მეცნიერული გადაწყვეტილებების მიღებას.

თანამედროვე მენეჯმენტში მართვის ხარისხის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. პრაქტიკაში მართვის ხარისხის შეფასება ხდება ირიბად – საქმიანობის შედეგების მიხედვით, ამიტომ, მართვის ხარისხი გავაიგივეთ მართვის ეფექტიანობასთან. ამ ცნების განსაზღვრისას გამოვიყენეთ შემდეგი დებულებები: 1.ჰეგელის მიხედვით ხარისხი ნიშნავს საგნის არსებით განსაზღვრულობას, რომლითაც ის გამოირჩევა სხვა საგნებისაგან; 2. ხარისხის აღქმა სუბიექტურია; 3.საგნის განსაზღვრულობა სხვადასხვაგვარად ვლინდება, ის დამოკიდებულია რეალურად არსებულ სიტუაციებზე. ამ ცნებების შინაარსი მიესადაგება არა მხოლოდ საგნებს, არამედ საქმიანობის სფეროებს, მართვის სისტემის ელემენტებს და საქმიანობის შედეგებს. ამ დებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მართვის ხარისხს ორმაგი ბუნება აქვს: ერთი მხრივ, იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის ფუნქციონირების რეჟიმებსა და მიმდინარე პროცესების ეფექტიანობას და შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მრავალი სხვადასხვა შიგა ფაქტორის ფუნქცია, როგორიცაა მენეჯერთა პროფესიონალიზმი, კომუნიკაციების ეფექტიანობა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სისტემა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღ-

ჭურვა. მეორე მხრივ, ის ვლინდება მიზნის მიღწევის ხარისხში და დამოკიდებულია საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

მართვის ხარისხი დაკავშირებულია ისეთ ცნებასთან, როგორიცაა მმართველობითი პოტენციალი. მართვის სათანადო ხარისხის მიღწევა შეუძლებელია საფუძვლიანი ცოდნისა და უნარების გარეშე. მართვის მთავარი მოთხოვნა კი მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ორგანიზებაა. მართვის ხარისხის უზრუნველყოფა საკმაოდ რთული პრობლემაა, რადგან იგი მოითხოვს მრავალი ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციული მიზნებისა და რესურსების მოცულობის განსაზღვრასთან, მათ კომბინირებასთან რიგი მაკროეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით. მართვის ფუნქციების ხარისხიანი შესრულება მოითხოვს მუშაკთა სათანადო კვალიფიკაციას, მართვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამის მდგომარეობასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. თუ განვიხილავთ ტექნოლოგიურ მხარეს, შესაბამისობა ნიშნავს ბალანსის შენარჩუნებას ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებს, პოტენციალს და იმ გარე ფაქტორებს შორის, რომლებიც ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე ზემოქმედებს. ბალანსის შენარჩუნება ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებს, პოტენციალსა და გარე ფაქტორებს შორის სხვადასხვა ხარისხით ხორციელდება და შესაბამისად მართვის ხარისხიც განსხვავებულია.

მართვის ხარისხი, _ მართვის სისტემაში მიმდინარე ინფორმაციული, შრომითი და სხვა პროცესების ხარისხთან ერთად, იმის გამოვლენაცაა, თუ რამდენად შედეგიანია ორგანიზაციის ფუნქციონირება. აღნიშნულიდან ცხადია, რომ მართვის ხარისხი იმ თვისებების ერთობლიობაა, რომელიც მართვისთვისაა დამახასიათებელი და განსაზღვრავს ორგანიზაციის მდგომარეობას, სათანადო პირობებს ქმნის შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედების ინტეგრირების პირობებში მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

მართვის ხარისხის ამაღლების მიღწევა შესაძლებელია ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებით, რაც შესაძლებელია შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: 1.არსებული მმართველობითი პოტენციალის ფარგლებში რაოდენობრივი ცვლილებების განხორციელება, რაც გულისხმობს რესურსების უკეთ გამოყენებას; 2.სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება საქმიანობების მიხედვით; 3.ინოვაციების გამოყენება და მართვის ტექნოლოგიის სრულყოფა; 4.მართვის სისტემის ელემენტების ურთიერთქმედება და გარემოს ზემოქმედება მართვის სისტემის ელემენტებზე.

მართვის ხარისხი მართვის დინამიკის მახასიათებელია. დროში მისი ცვლილება განპირობებულია როგორც გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებით, ასევე შიგა გარემოს ცვლილებით. მართვის ხარისხი უკავშირდება როგორც მთლიანად ორგანიზაციის მართვას, ისე ორგანიზაციის ადამიანური რესურსის ფორმირებასა და განვითარებას, რომელსაც შედეგად მოსდევს ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლება.

XXI საუკუნეში თანამშრომელთა ინტელექტი, ცოდნა და უნარები განსაკუთრებული რესურსის სახეს იძენს. „ორგანიზაციის განვითარება ადვილი ამოცანა არ არის. მის მისაღწევად, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელია, შრომითი კოლექტივი ორგანიზაციულად კარგად იყოს შეკრული და ადამიანებს შორის არსებობდეს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ნორმალური და ცივილიზებული ურთიერთობა. ასეთ კოლექტივებში უფრო ხშირად იბადება ახალი იდეები, შესამჩნევად მცირდება დანახარჯები და, საბოლოო ანგარიშით, ვითარდება ორგანიზაცია” [1, გვ. 135].

ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტა მენეჯმენტის იმ საშუალებებისა და მექანიზმების გამოყენებას მოითხოვს, რომელთა გამოყენებაც ადრე არ ხდებოდა. ეს საშუალებები და მექანიზმებია: ორგანიზაციული კულტურა, საქმიანი ეთიკა, მოტივაცია, მმართველი კადრების შერჩევა აზროვნებითა და საზრიანობით გამორჩეული ადამიანებისაგან, მათი გადამზადება. მენეჯერები უმეტეს შემთხვევაში კარგად ართმევენ თავს ორგანიზაციის ფუნქციონირების მიმდინარე ამოცანებს, მაგრამ ხშირად მათ არასაკმარისი მომზადება აქვთ იმისათვის, რომ გადაწყვიტონ განვითარების სტრატეგიული ამოცანები.

სწორედ ამგვარი მოუმზადებლობაა მმართველობითი კრიზისის მთავარი მიზეზი საქართველოს საჯარო სექტორში, რომლის მუშაობის ხარვეზები ქმნის დამატებით რისკებს, ზრდის დანახარჯებს და ამცირებს მართვის ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს. საჯარო სექტორში მენეჯმენტის ძალისხმევა ძირითადად „შეთანხმებითი“ სფეროსკენაა გადანაცვლებული, ამიტომ იგი მმართველ გუნდებს სპეციფიკურ მოთხოვნებს უყენებს.

კვლევისას ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც წარიმართა პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირებისათვის. თითოეული რესპოდენტისათვის წინასწარ განისაზღვრა მიზნები, რის საფუძველზეც მომზადდა კითხვარი, კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად. ინტერვიუები ჩატარდა საჯარო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (მაღალი, საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერებთან).

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს საჯარო სექტორში სამუშაოთა ორგანიზების მნიშვნელოვანი ხარვეზები ფუნქციათა დუბლირება, თანამშრომელთა არათანაბარი დატვირთვა და ორგანიზაციულ ქვედანაყოფებს შორის სუსტი ურთიერთკავშირებია. საჭიროა არასრულად დატვირთული და დუბლირებული სამუშაო ადგილების გამოვლენა, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის ჩატარება და ახალი, რაციონალური სამუშაო ადგილების რაოდენობის განსაზღვრა. ასევე, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპერატიულობაზე, კომპეტენტურობასა და მართვის პროცესის გამჭვირვალობაზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ძირითადად დაემთხვა წყაროებში [8;10;11] მოცემულ ინფორმაციას და საჯარო დაწესებულებათა უმეტეს ნაწილში მენეჯმენტის ერთ-ერთ პრობლემურ ფუნქციად სტრატეგიული დაგეგმვა გამოიკვეთა. საქმიანობები უმეტესად ყოველდღიური პრობლემების მიხედვით იგეგმება და სათანადო ყურადღება არ ექცევა სტრატეგიის შემუშავებას. იგი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასევე არ ხდება თანამშრომლებისათვის სტრატეგიის გაცნობა და ხშირად იცვლება პრიორიტეტები. კვალიფიციური კადრების დეფიციტი შეინიშნება მართვის როგორც მაღალ და საშუალო, ასევე დაბალ დონეებზე. სათანადო ყურადღება არ ეთმობა კადრების აყვანის, სწავლებისა და კარიერული განვითარების პროცესებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ არ არსებობს სისტემატიზებული მიდგომა თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებასთან დაკავშირებით. თანამშრომელთა გადამზადებაზე ზრუნვა ხშირად დამოკიდებულია კონკრეტული უწყების შესაძლებლობებზე. ტრენინგები ტარდება, მაგრამ არასაკმარისი ინტენსივობით, რაც განაპირობებს საჯარო სამსახურის არაეფექტიან ფუნქციონირებას და ხელს უშლის განვითარებას. როგორც საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის წ/კორ., პროფ. ლეო ჩიქავა აღნიშნავდა, რომ ,,ყოველი განათლებული ადამიანი ერის სიმდიდრედ მოიაზრება და უახლოეს მომავალში ეს უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაში პრიორიტეტი. განათლება განვითარების მხოლოდ პოტენციური ფაქტორია, ზრდის წყარო იგი მაშინ გახდება, თუ მოხდება მისი მწარმოებლურად გამოყენება” [2, გვ.225]. საქართველოს ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს სწავლების უფრო მოქნილი მეთოდები, რაც მორგებული იქნება საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

საჯარო სექტორის ფუნქციონირების არსებითი ხარვეზია კომპეტენციებისა და ფუნქციების გაუმიჯნაობა, რაც გამოწვეულია შიგა ორგანიზაციული პროცედურების არარსებობით. ეს პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნიკაციის პროცესთან. ფუნქციების სწორ განაწილებას ხელს უშლის საკვალიფიკაციო ჩარჩოში არსებული ხარვეზები. კომპეტენციების გამიჯვნას აფერხებს ბრძანებათა გაუმართავი ჯაჭვი, როდესაც ერთი თანამშრომელი რამდენიმე ხელმძღვანელისგან იღებს სხვადასხვა ტიპის დავალებას.

საქართველოს საჯარო სტრუქტურებში სხვადასხვა სამოტივაციო სისტემა მოქმედებს: პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კორპორაციული დაზღვევა, ორგანიზაციული ღონისძიებები და წლიური ნომინაციები, ბონუსებისა და პენსიების სქემები, დაწინაურების ციკლი, მადლობის წერილი, საჩუქრები და ჯილდოები [6, გვ. 80].

საკმაოდ მწვავე პრობლემაა გადაწყვეტილების მიღების დელეგირების ეფექტიანი ქსელის არსებობის საკითხი. თანამშრომლები პრაქტიკულად მონაწილეობას არ იღებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხშირად მიღებული გადაწყვეტილებები ერთპიროვნულია, თუმცა, მათზე პასუხისმგებლობას აღებას ერიდებიან. დამკვიდრებულია ზემოდან ქვემოთ გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებული წესი. აუცილებლია, განხორციელდეს დაბალანსებული მიდგომა ცენტრალიზებასა და დეცენტრალიზებას, ვერტიკალურ დელეგირებასა და ჰორიზონტალურად ფუნქციების განაწილებას შორის. ეს თანამშრომელთა ინდივიდუალიზმს, პროდუქტიულობასა და პროფესიულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს საჯარო სექტორის მართვის ხარისხის სრულყოფის აუცილებელი მოთხოვნა ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს როგორც კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები, ასევე საჯარო დაწესებულების სპეციფიკა. სტრუქტურის აგების პროცესი რამდენიმე ეტაპად უნდა დაიყოს: სტრუქტურის მიზნებისა და მისი შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრა და ამ მიმართულებების მიხედვით ფუნქციებისა და ამოცანების დაჯგუფება; ფუნქციების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და სტრუქტურის ძირითადი რგოლების განსაზღვრა; სტრუქტურაში თითოეული ქვედანაყოფის ადგილის, შიგა სტრუქტურისა და საშტატო ოდენობის განსაზღვრა; ორგანიზაციული სტრუქტურის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების მომზადება. ფუნქციათა შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ძირითადი პრინციპები, ასევე მართვის დიაპაზო-

ნი, სტრუქტურულ რგოლებს შორის ურთიერთკავშირები, საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმები და ცვლილებებზე სისტემის რეაგირების შესაძლებლობა.

სტრუქტურის აგებისას უნდა განხორციელდეს ერთგვაროვანი ფუნქციების ერთად დაჯგუფება. საჯარო სამსახურის მართვის ფუნქციის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოხდეს ფუნქციათა გადანაწილება ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ძირითადი პრინციპების მიხედვით. სასურველია მმართველობით საქმიანობაში იმ რგოლების როლის ამაღლება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვასა და უწყვეტ სწავლებას, მუშაკთა სათანადო კვალიფიკაციასა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაიჭაძე ნ., თანამშრომლებთან უკონფლიქტოდ მუშაობის ხელოვნება, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2012.
2. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი,, 2003.
3. Strategy & Leadership//2003, № 31(3)
4. Алексеевский В.С. Социокультурная концепция общей теории менеджмента//Менеджмент в России и за рубежом, 2004, № 2.
5. Приходько В., Иванова Т. О смене управленческих парадигм// Проблемы теории и практики управления, 2004, № 6.
6. Paichadze N., Chokheli E., Keshelashvili G., Kharkheli M., Tielidze Sh., Tchuradze G., Issues of Improvement of HR Management in Public Sector of Georgia, p.75-82. http://www.iises.net/proceedings/24th-international-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=issues-of-improvement-of-hr-management-in-public-sector-of-georgia
7. 2014-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბილისი, 2015. http://sao.ge/files/chvens_shesaxeb/strategia2014-2017.pdf
8. საქართველოს საჯარო სამსახური-პრობლემები და გამოწვევები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), თბილისი, 2014 https://gipa.ge/uploads/files/kvleva_sajaro%20samsaxuri.pdf
9. სსიპ "კიბერუსაფრთხოების ბიურო"-ს პერსონალის მართვის სისტემის განვითარების სტრატეგია 2014-2016. http://csbd.gov.ge/doc/kiberusafrtxoebis_biuros_strategia.pdf
10. ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის მიმოხილვა საჯარო სამსახურებში: ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, გერმანია და საქართველო, თბილისი, 2013. http://www.csb.gov.ge/uploads/HRM_Systems_in_Civil_Service._geo.pdf
11. ადამიანური რესურსების მართვის სისტემები საქართველოს საჯარო სტრუქტურებში, თბილისი, 2011. http://www.csb.gov.ge/uploads/HRM_Systems_in_Civil_Service._geo.pdf

Management Quality and its Impact on Public Sector of Georgia

G. Keshelashvili

Summary

The work provides discussion of the substance of management quality and analysis of such questions as the quality of organization's managerial activities and quality of human resources therein. In Georgia's public sector there were identified such factors as strategies development; formulation of the mission goals and priorities; strategies implementation, staff involvement in development of key strategic and political documents; effective organizational structure formation, process of differentiation of the competences and functions; effective communication perception etc. Work offers the ways for improvement of the discussed problems.

Key words: *Management Quality, human resources, Public Sector, qualification level, organizational structure, strategies development.*

მიგრაციული პროცესების ინფორმაციული წყაროები და მიგრაციის მაჩვენებლები

რუსუდან ქინქლაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

გულიკო ყურაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოსახლეობის მიგრაციის აღრიცხვა ბუნებრივ მოძრაობასთან შედარებით მეტად რთულია, რადგან მიგრაციის დროს აღრიცხვას ექვემდებარება გადაადგილება, რომლის შედეგიც მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის ცვლილებაა. ასევე, სირთულე განპირობებულია თავად მიგრაციული პროცესების მრავალფეროვანებით, მისი ტიპების, სახეობებისა და მიგრანტთა კატეგორიების სხვადასხვაობით.

მონაცემთა წყაროების მიხედვით შეიძლება გამოიყოს პირდაპირი და ირიბი მეთოდები. პირდაპირი - ეს მიგრაციული პროცესების მიმდინარე რეგისტრაციაა. მოსახლეობის მიგრაციის მასშტაბების, ინტენსივობისა და სხვა პარამეტრების დახასიათება შეუძლებელია მხოლოდ ერთი კონკრეტული მაჩვენებლით. საჭიროა ისეთი მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მოგვცემს სხვადასხვა ეტაპზე დროის განსაზღვრულ პერიოდში მოსახლეობის გადაადგილების ტერიტორიის, მასშტაბების, სტრუქტურისა და მიგრაციული ნაკადების მიმართულებისა და შედეგების შესახებ მოსახლეობის მიგრაციული პროცესების აბსოლუტურ და შეფარდებით რაოდენობრივი მახასიათებლებს. რაც შეეხება არაპირდაპირ (ირიბ) მეთოდებს - ის გაანგარიშებითი ხასიათისაა და ეყრდნობა აღწერისა და შერჩევითი გამოკვლევის მასალებს.

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობის მიგრაცია, ინფორმაციული წყაროები, მაჩვენებლთა სისტემა.*

მიგრანტების რაოდენობისა და სტრუქტურის, მიმართულებებისა და მიგრაციის სხვა პარამეტების შესახებ მონაცემთა ძირითად წყაროებს წარმოადგენს:

- მიმდინარე აღრიცხვა;
- მოსახლეობის აღწერები;
- სოციოლოგიური კვლევები.

მონაცემთა წყაროების შესაბამისად კი შეიძლება გამოყოფილ იქნეს მეთოდთა ორი ჯგუფი: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი მეთოდები - ეს მიგრაციული პროცესების მიმდინარე რეგისტრაციაა. მიმდინარე რეგისტრაციის მეთოდი გულისხმობს გადაადგილების ყოველი შემთხვევის რეგისტრაციას, როგორც რეგიონიდან გასვლის, ასევე შემოსვლის კუთხით. რაც შეეხება არაპირდაპირ (ირიბ) მეთოდებს - ის გაანგარიშებითი ხასიათისაა და ეყრდნობა აღწერისა და შერჩევითი გამოკვლევის მასალებს. ამასთან, ინფორმაციული წყაროების როლი იცვლება ისტორიული პერიოდებისა და სახელმწიფოების მიხედვით: პირველ ადგილს ხან მიმდინარე აღრიცხვა (ძირითადად პერიოდი, როცა არსებობდა საყოველთაო პასპორტიზაცია და ჩაწერის ინსტიტუტი), ხან აღწერები, ხანაც შერჩევითი კვლევები (თანამედროვე საქართველოში) იკავებენ, რაც იმაზეა დამოკიდებული თუ ამა თუ იმ პერიოდში, რომელი ინფორმაციული წყაროა უფრო სანდო.

დღეისათვის გამოიყოფა ინფორმაციული წყაროების ორ ჯგუფი:

1. ადმინისტრაციული (მოსახლეობის რეგისტრაცია, უცხოელთა რეგისტრაცია, სასაზღვრო კონტროლის, იმიგრაციული კონტროლის, ვიზების მომსახურებიდან მიღებული ინფორმაცია, ცხოვრებისა და მუშაობის უფლებები და ა.შ.);
2. გამოკვლევების შედეგად მიღებული (აღწერები და სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკვლევები მაგ., არალეგალური იმიგრაციის შესახებ).

მეტად საინტერესოა შერჩევითი სოციოლოგიური კვლევები, რადგან ისინი პრაქტიკაში უფო ფართოდ გამოიყენება, ძირითადად მაშინ, როცა დაბალია სტატისტიკური აღრიცხვის შედგად მიღებული მონაცემების საიმედოობის ხარისხი. იგი ერთადერთი წყაროა მიგრაციის პარამეტრების, მოტივაციის, გადაწყვეტილებისა და მისი განხორციელების ეტაპზე მოსახლეობის სხვადასხვა სოციო-დემოგრაფიული ჯგუფების ტერიტორიული გადაადგილების ფაქტორებისა და მიზეზების გამოსავლენად.

მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვისგან განსხვავებით, შერჩევითი კვლევები იძლევა ინფორმაციას არა მარტო ფაქტობრივი, არამედ პოტენციური (სამომავლო) მიგრაციის შესახებ. მაგრამ აღწერები და შერჩევითი კვლევები უფრო იშვიათად ტარდება, ხოლო მოსახლეობის მიგრაცია - ძალიან დინამიური პროცესია, ამიტომ გამოიყენება მიმდინარე აღრიცხვის შედეგად მიღებული მონაცემები.

ხშირად მიგრაციის შესწავლისათვის იყენებენ ექსპერტების გამოკითხვას (საექსპერტო გამოკითხვის მეთოდი). ისინი არიან სახელმწიფო ორგანოების ან მიგრანტთა სათვისტომოების წარმოადგენლები და ფლობენ ისეთ ინფორმაციებს მიგრანტების რიცხვის, მიგრაციის ხასიათისა და სხვა პარამეტრების შესახებ, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკისთვის მიუწვდომელია.

მიგრაციული პროცესების ანალიზისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე შემდეგი ინფორმაციული წყაროები [3, გვ.25]:

1. ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მონაცემები.თანამედროვე საგადამხდელო ბალანსშიმიგრაციულ გადაადგილებათა შედეგები აისახება შემდეგ მუხლებში:

-„დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება“(compensation of employees),შეიცავს გამომუშავებულ ანაზღაურებას,ჯამაგირს და სხვა გადახდებს,ხელზე თუ ნატურალური ფორმით.

- „მომუშავეთა ფულადი გზავნილები“(workers' remittancis)- ახალ ქვეყანაში მცხოვრებ და მომუშავე მიგრანტთა მიერ განხორციელებული სახსრების მიმდინარე ტრანსფერები თავისი წინანდელი ქვეყნის რეზიდენტებისთვის ერთი წლის მანძილზე მაინც. მიმდინარე ტრანსფერებს ემატება ის სახსრები, რომლებიც იგზავნება როგორც ფულად, ისე ნატურალურ ფორმაში;

- მიგრაციასთან დაკავშირებული ტრანსფერები(migrants' transfers) წარმოდგენილია, როგორც მიგრანტთა ქონების ღირებულების შეფასების ფულადი ეკვივალენტი, რომელსაც ისინი (მიგრანტები) გადაიტანენ სხვა ქვეყანაში (ან დატოვებენ სამშობლოში) სხვა ქვეყანაში გადაადგილების დროს. ამ გაგებით, ეს მუხლი არ წარმოადგენს ორ კონტრაგენტს შორის ოპერაციის შედეგს, არამედ წარმოადგენს მაკომპენსირებელ კომპონენტს მიგრაციის შედეგად წარმოშობილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებასა და საქონელბრუნვის მიმართ (1 წლის მაძილზე მაინც);

2. შრომითი რესურსების ბალანსის მონაცემები. შრომითი რესურსების ბალანსის ანალიზი ხელს უწყობს მოსახლეობის და შრომითი რესურსების განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებათა გამოვლენას.შრომითი რესურსების ბალანსიდან გამომდინარე ყალიბდება წინადადებები დასაქმების სტრუქტურათა სრულყოფისათვისცალკეულ დარგებში და რეგიონებში მომუშავეთა მოზიდვის ან გამონთავისუფლების გათვალისწინებით. ამასთანავე განისაზღრება უცხოური მუშახელის მოზიდვა ეკონომიკის ცალკეულ სექტორში;

3. მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე შიგა მიგრაციული გადაადგილებები, ქვეყნიდან გასვლის და ქვეყანაში შემოსვლა მუდმივ საცხოვრებლად, დროებითი შრომითი მიგრაციის რიცხობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები;

4. სხვადასხვა მიგრაციული ნაკადების, მათ შორის არალეგალური შრომითი გადაადგილებანი და იმიგრანტთა ჩრდილოვანი დასაქმების მასშტაბების ექსპერტთა შეფასება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით საქართველოს სტატისტიკური ორგანოები რეგულარულად ვერ აღრიცხავენ მიგრაციულ პროცესებს [1, გვ. 9]. ამას ობიექტური მიზეზები აქვს: საყოველთაო კრიზისისა და ახალი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების ურთულეს პირობებში სავსებით მოიშალა მიგრაციის სტატისტიკა. ადრე დამკვიდრებული მიგრანტის ჩაწერისა და ამოწერის სავალდებულო წესის შეცვლამ და მიგრანტთა რეგისტრაციის ახალი სისტემის შემოღებამ ჯერჯერობით დადებითი შედეგი ვერ გამოიღო. არასტაბილურ ვითარებაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით მიგრაციის მასშტაბების დადგენა მრავალ კითხვას ბადებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული მიგრაციის აღრიცხვა ე.წ. საზღვრის გადამკვეთთა აღრიცხვის გზით, ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევა რეალური მიგრაციის ძირითადი პარამეტრების შესახებ. ვერც მცირე მასშტაბის შერჩევითი გამოკვლევები გვაწვდიან აუცილებელ ინფორმაციას მიგრაციის მართვისათვის. ამას ობიექტური მიზეზები აქვს. არსებობს ექსპერტთა შეფასებანი და ცალკეული ვარაუდები შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობის შესახებ. ზოგი მათგანი, ნაწილობრივ, სტატისტიკაში ცნობილ მეთოდებს ეყრდნობა, ხოლო ზოგიც - ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა არის შრომითი ემიგრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენის რამდენიმე ხერხი.

რთულია იმ ადამიანების ზუსტი რაოდენობის დადგენა, რომლებიც საქართველოდან მიგრირებენ; სხვადასხვა ექსპერტის მიერ მოწოდებულ რიცხვები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად გასხვავდება.

მოსახლეობის მიგრაციის მასშტაბების, ინტენსივობისა და სხვა პარამეტრების დახასიათება შეუძლებელია მხოლოდ ერთი კონკრეტული მაჩვენებლით. ამისათვის საჭიროა ისეთ მაჩვენებელთა სისტემა,

რომელიც მოგვცემს სხვადასხვა ეტაპზე დროის განსაზღვრულ პერიოდში მოსახლეობის გადაადგილების ტერიტორიის, მასშტაბების, სტრუქტურისა და მიგრაციული ნაკადების მიმართულებისა და შედეგების შესახებ მოსახლეობის მიგრაციული პროცესების აბსოლუტურ და შეფარდებით რაოდენობრივ მახასიათებლებს [2, გვ. 3].

მიგრაციული პროცესების დამახასიათებელი შეფარდებითი მაჩვენებლები უპირატესად გაანგარიშებითი მაჩვენებლებია, რაც განისაზღვრება მიგრაციის აბსოლუტური მაჩვენებლების (ემიგრნტებისა და იმიგრანტების რიცხოვნობა, მიგრაციის სალდო და სხვ.) შეფარდებით განსაზღვრულ პერიოდში მოსახლეობის (სოციალ-დემოგრაფიული ჯგუფების ან მოცემულ ტერიტორიაზე დასახლების მიხედვით) საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან.

გარდა ამისა, კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა [4; 5]:

- პოტენციური მიგრაციის საერთო მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს პოტენციური (პირები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ, მაგრამ ჯერ არ წასულან მოცემული დასახლებული პუნქტიდან) მიგრანტების წილს როგორც მთელი მოსახლეობის, ასევე ცალკეული სოციო-დემოგრაფიული ჯგუფების (სქესის, ასაკის, ეროვნების, პროფესიის, განათლების, დაბადების ადგილი, სოციალური სტატუსის და ა.შ.) მიხედვით;
- მიგრაციული გაადგილებათა დონის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება ამა თუ იმ სოციო-დემოგრაფიული ან საერთოდ მოსახლეობის მიერ ცხოვრების მანძილზე გადასახლების რაოდენობას [4, გვ. 24];
- იძულებითი მიგრაციის დატვირთვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება როგორც დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტური რიცხოვნობის რეგიონის ან ქვეყნის მუდმივ მოსახლეობასთან შეფარდებით და 10 ათასზე (პროდეცილი) ან 100 ათასზე გამრავლებით;
- ა) აღიარების კოეფიციენტი, რაც განისაზღვრება, როგორც აღნიშნულ პირთა სტატუსის მქონე მიგრანტების აბსოლუტური რიცხოვნობის ამ სტატუსის მქონე მსურვლთა აბსოლუტურ რიცხოვნებასთან პროცენტული შეფარდებით, ბ) ტერიტორიული სტრუქტურა - განისაზღვრება ცალკეული ქვეყნიდან დევნილ და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტურ რიცხოვნობასა და დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა საერთო რიცხოვნობას შორის პროცენტული შეფარდებით, გ) ასაკობრივი სტრუქტურა - ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით დევნილ და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტურ რიცხოვნობასა და დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა საერთო რიცხოვნობას შორის პროცენტული შეფარდებით, დ) ეთნიკური (ეროვნული) სტრუქტურა - ცალკეული ეთნიკური ჯგუფის მიხედვით დევნილ და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტურ რიცხოვნობასა და დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა საერთო რიცხოვნობას შორის პროცენტული შეფარდებით, ე) განათლების მიხედვით სტრუქტურა - ცალკეული განათლების მქონე ჯგუფის დევნილ და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტურ რიცხოვნობასა და დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა საერთო რიცხოვნობას შორის პროცენტული შეფარდებით, ვ) არსებობის საშუალების (სამუშაო, პენსია (დახმარება), სტიპენდია, სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი) მიხედვით სტრუქტურა - ცალკეული საარსებო საშუალების მქონე ჯგუფის მიხედვით დევნილ და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტურ რიცხოვნობასა და დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა საერთო რიცხოვნობას შორის პროცენტული შეფარდებით;
- სოციალურად დაუცველ დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა (მარტოხელა პენსიონერები, მარტოხელა ინვალიდები, 18 წლამდე ასაკის შვილის მარტოხელა მშობელი, მრავალშვილიანი ოჯახები 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილით) სტრუქტურა - ცალკეული ასეთი ჯგუფის მიხედვით დევნილ და იძულებით გადაადგილბულ პირთა აბსოლუტურ რიცხოვნობასა და დევნილთა და იძულებით გადაადგილბულ პირთა საერთო რიცხოვნობას შორის პროცენტული შეფარდებით.

მიგრაციის პრობლემების შესწავლის მიზნით ჩატარებული ყოველი სამეცნიერო კვლევა ახალი მაჩვენებლის აღმოჩენის საშუალებას იძლევა, რომელიც ასახავს მიგრაციული და სხვადასხვა სახეობის სოციალური და ეკონომიკური პროცესების ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭელიძე ნ. მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. თსუ: „ცოდნის წყარო“, 2000, გვ. 26;
2. Рыбаковский Л.Л. Практическая демография: http://www.i-u.ru/biblio/archive/ribakovskiy_prakticheskaja/05.aspx
3. Миграция населения: Терия и практика. Учебное пособие, Под редакцией О.Д. Воробьевой,доктора А.В. Топилина. М.: Издательство „Эономическое бразование“, 2012, с. 360;
4. Юдина Т.Н. Миграция: словарь основных терминов: Учеб пособие. – М.: Издательство РГСУ; „Академический проект“, 2007, http://yanko.lib.ru/books/cultur/yudina-migraciya-slov-term-2007-a.htm6
5. Воробьева О.Д. Миграция населения. Вып. 6: Миграционная политика. (Приложение к журналу «Миграция в России».) М., 2001. С. 38-40.

Informational Sources of Migration Processes and Indicators of Migration

R. Kinkladze
G. Kurashvili

Summary

Accounting of population’s migration is very complex compared to natural movement, because in the case of migration, movement with the result of alteration of dwelling place is subject to accounting. Besides, complexity is related to diversity of migration processes, its types, specifications and difference of migrants’ categories.

Two types of techniques can be separated according to data sources: direct and non-direct. Direct source is current registration of migration processes. Scale, intensity and other parameters of population’s migration can’t be described with one particular indicator. It is necessary to use a of indicators that will give absolute and relative quantitative specifications of population’s migration processes about territory, scale, design and direction of population’s movement in certain period and at different stages.

Key words: *migration, informational sources, system, indicator system.*

საქართველოს ინოვაციური განვითარების სტარატეგია

რუსუდან ქუთათელაძე,
ტექნიკისა და ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი,

ქეთევან ქუთათელაძე,
ტექნიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საზოგადოება დაინტერესებულია მიაღწიონ მაღალ შედეგებს წარმოების ფაქტორთა აქტივიზაციის გზით, რათა უზრუნველოყოს მოთხოვნილებათა ფართო სპექტრის რაოდენობრივ-ხარისხობრივი დაკმაყოფილება. საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური დონის შენახვისა და ზრდის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას საფუძვლად დაედოს: მეცნიერული პოლიტიკა;ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოლიტიკა;ფუნდამეტური და გამოყენებითი გამოკვლევებისა და დამუშავების პრიორიტეტების განსაზღვრის პოლიტიკა.ინოვაციური პოლიტიკა;ნაციონალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა. სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შესაბამისად უნდა შედგეს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც უნდა აირჩნენ ალტერნატიულ საფუძველზე. ექსპერტული შეფასებითა და საკონკურსო განხილვის წესით, რის შემდგომ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა ყველა დონეზე და მათი ეფექტიანად გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაცია, ალტერნატივა, რესურსები, კაპიტალი, ინვესტიცია.*

წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება ადამიანთა საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ის განისაზღვრება ფართო სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ინოვაციურ პროცესებთან.

ინოვაცია არის ადამიანთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობიდან წამოშობილი და მიღებული გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ეფექტის მქონე ყოველგვარი სიახლე, თუმცა ყველა სფეროში ინოვაციას სრულიად განსაზღვრული კონკრეტული ხასიათი გააჩნია]. ასე, რომ ინოვაციაში იგულისხმება ახალი იდეა, სიახლეთა დამუშავება, შემოღება, დანეგვა, წარმოება, გავრცელება, მენეჯმენტის არსებული სისტემის სრულყოფა და ა.შ. [1.35]. საზოგადოება დაინტერესებულია მიაღწიონ მაღალ შედეგებს წარმოების ფაქტორთა (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეურნეო უნარით და სახელმწიფოს სამართლებრივ-ეკონომიკური საქმიანობა.) აქტივიზაციის გზით, რადგან უზრუნველოყოს მოთხოვნილებათა ფართო სპექტრის რაოდენობრივ-ხარისხობრივი დაკმაყოფილება. ამისთვის საჭიროა წარმოების ეფექტიანობის დონის ამაღლება, რასაც განაპირობებს წარმოების მეცნიერულ ტექნიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და საზოგადოების სოციალური განვითარების დონეების ურთიერთგანსაზღვრულობა და ურთიერთზემოქმედების ხარისხი.

ადამიანთა საზოგადოება ემყარება უფრო ხანგრძლივ მეცნიერულ იდეებს, ცოდნას, გამოცდილების მარაგს, რომელთაგან ზოგიერთი მარადიულიცაა, მათი ინფორმაციული არამატერიალური ნაწილი არ იხარჯება, არ ცვდება და მისი მატარებელი ადამიანი უფრო ხანგრძლივად ინახავს მიღწეულ დონეს, ვიდრე ტექნიკური საშუალებები. ამ რესურსთა გადიდების გზები გაცილებით უფრო ინტენსიურია, ვიდრე წარმოების რესურსები, რის გამოც უზრუნველყოფენ მიღწეული დონის შენარჩუნებას.მიღებული შეფასების საფუძველზე ყალიბდება სათანადო მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ინოვაციური და ინვესტიციური პოლიტიკა, ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობები, მართვის სტრატეგია, მათი რაციონალური ინტეგრირებისა და სტიმულირების ფორმები. Uუნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებობს საკმაოდ მაღალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალი. მიუხედეავად იმის, რომ საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო სტანდარტებთან მიმართებაში არ არის მაღალგანვითარებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციალი. მასში შედარებით მაღალია მეცნიერულ გამოკვლევათა და დამუშავებათა მოცულობა, ხოლო წარმოების მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციული დონე ჩამორჩება ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს.. 1990-იან წლებში რესპუბლიკაში არსებობდა 250-მდე სამეცნიერო ორგანიზაცია, უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით, მათგან 115 გამოდიოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილით, სადაც მთელი სამეცნიერო კადრების 58% იყო და-

საქმებული.მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიურიკადრების ჩათვლით შეადგენდა 29350-ს. მ.შ. 1526 იყო მეცნიერებათა დოქტორი და 12100 მეცნიერებათა კანდიდატი [2, 16].

სამეცნიერო ორგანიზაციების საცდელ ბაზებში კონცენტრირებული იყო 12,7 მლნ მანეთის მანქანადანადგარები. რესბუბლიკის მრეწველობაში მუშაობდა 2406 მექანიზებული ნაკადური და 380 ავტომატური ხაზი.

საქართველოში მეცნიერულ-ტექნიკური დონის შენახვისა და ზრდის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებას საფუძვლად დაედოს: მეცნიერული პოლიტიკა;ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოლიტიკა;ფუნდამეტური და გამოყენებითი გამოკვლევებისა და დამუშავების პრიორიტეტების განსაზღვრის პოლიტიკა. ინოვაციური პოლიტიკა; ნაციონალური პასუხისმგებლობის პოლიტიკა.

სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის შესაბამისად უნდა შედგეს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც უნდა აირჩნენ ალტერნატიულ საფუძველზე. ექსპერტული შეფასებითა და საკონკურსო განხილვის წესით, რის შემდგომ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა ყველა დონეზე და მათი ეფექტიანად გამოყენება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლსა და ფუნქციაზე არსებობს სხვადასხვა მიდგომა. თუმცა როგორც ვიცით განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია ორი ძირითადი მიდგომა.: „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“, და „შერეული ეკონომიკა“, სადაც არსებობს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორიც. სახელმწიფო შიგადაშიგ მარეგულირებელ ღონისძიებებს ატარებს ბაზრის მიმართ.. თუმცა ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელი, სადაც შერწყმული იქნება საკუთრების ფორმათა მრავალგვაროვნება და თანასწორუფლებიანობა. ეკონომიკური დემოკრატია, საზოგაოების მორალი სოციალრი პასუხისმგებლობა და აქედან გამომდინარე პიროვნული თავისუფლება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის სოციალურად უზრუნველყოფას, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, განათლებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების სისტემის რეფორმირებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, მძლავრი სატრანსპორტო და ინფორმაციული ინფრასტუქტურის შექმნას და ა.შ.

სახელმწიფოს და მართვის უმნიშვნელოვანესი ობიექტია ინოვაციური სფერო. ეკონომიკურ აღმავლობას საფუძვლად უნდა დაედოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური ინოვაციათა ფართოდ დანერგვა და გამოყენება საბაზრო სტიმულირების მეშვეობით, რასაც ალტერნეტივა არ გააჩნია. ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის საჭიროა საჭიროა საბაზრო მექანიზმების სრულად ამოქმედება. ამავე დროს იგი უნდა იყოს სახელმწიფოს რეგულირებისა და მართვის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ამგვარად, ინოვაციური სფეროს სახელმწიფო რეგულირებსის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება უნდა განხორციელდეს საბაზრო მექანიზმების ფორმებისა და ფუნქციონირების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ფარგლებში. საბაზრო ფირობებში ინოვაციური სფეროს სახელმწიფოს რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა ზოგადად გულისხმობს ინოვაციური და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რაციონალურად შერწყმას. (იხ. ნახ.1.)

სახელმწიფო რეგულირებამ უნდა განახორციელოს ორი ძირითადი ფუნქცია: ინდიკატორული და მასტიმულიზებელი, რომელთაც სრულად განსაზღვრული როლი აკისრიათ. ინოვაციური განვითარების ცალკეულ ეტაპებზე - პირველი ემსახურება ინოვაციური განვითარების სტრატეგიულ და ტაქტიკური გეგმების ფორმირებას, ხოლო მეორე კი ინოვაციურ პოლიტიკის რეალიზაციას, სიახლეთა შექმნის, დანერგვის, წარმოებისა და მოხმარების ყველა სტადიაზე. ზოგიერთი განვითარებული და ასევე ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინოვაციური პოლიტიკის განსახორციელებლად ეფექტიანად უნდა იქნეს გამოყენებული საბაზრო ურთიერთობათა შესაბამისი სახელმწიფო რეგულირების პირდაპირი და ირიბი მეთოდები, რომლებიც მოიცავენ შემდეგ ორ ძირითად ეტაპს:

1. ინოვაციური განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებას.
2. სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაცია.

მათი ფორმირება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს. ინდიკატორული მეთოდებით უნდა განისაზღვროს ინოვაციური განვითარების ორიენტირები და რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის მეურნეობის დარგობრივ და ტერიტორიულ ინტერესებთან, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსურ შესაძლებლობებთან.



ცხრილი.1. ინოვაციური სფეროს სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ზოგადი მოდელი.

სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციისას უმთავრესი უნდა იყოს მასტიმულირებელი ფუნქცია ინოვაციური ციკლის ყველა სტადიაზე. მისი ყველა მონაწილისთვის მასტიმულირებელ ღონისძიებათა შორის ძირითადი და მნიშვნელოვანია საგადასახადო-საკრედიტო და ინვესტიციური პოლიტიკა. საკრედიტო პოლიტიკად უპირველესად უნდა ვიგულისხმოთ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეებზე ორიენტირებული ფირმებისა და საწარმოებისათვის შეღავათიანი (დაბალპროცენტიანი და უპროცენტო) სესხების მიცემა. ასეთივეა დღეს საინვესტიციო პოლიტიკაც, დღეს მთავრობა საკმაოდ აქტიურად და დიდ შეღავათებს აკეთებს ინვესტორებისათვის და ინვესტიციების მოსაზიდად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში უამრავი უცხოური, საერთაშორისო საკრედიტო, საინვესტიციო ფონდი და ბანკია ჩართული.

ბაზარი კონიუქტურასთან ერთად ინოვაციური სფეროს ერთ-ერთი სტიმულატორი უნდა იყოს. სახელმწიფო დაკვეთები, სადაც მათი მოცულობა გასათვალისწინებელია, არ უნედა აღემეტებოდეს დაახლოებით 25-30%-ს. ისინი უნდა იქცნენ ერთდროულად წარმოების გამოცოცხლებისა და მათზე კონტროლის განხორციელების საშუალებად. მათი გაცემა კი ძირითადად უნდა ხდებოდეს საკონკურსო წესით, ტენდერებით, გრანტებით და ა.შ. რაც შეეხება სახელმწიფო რეგულირებას ინოვაციურ სფეროში ერთდროულად უნდა იყოს მიმართული როგორც მისი სტიმულირებისაკენ, ისე ბაზრებზე სასაქონლო დეფიციტის აღმოფხვრისაკენ, იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოებისაკენ, საექსპორტო პოტენციალის გადიდებისაკენ, რაც ხელს შეუწყობს საწარმოთა და ორგანიზაციათა აქტიურად შემობრუნებას სიახლეთა შექმნის, დანერგვის, წარმოების და გამოყენებისაკენ. როგორც ვიცით ინოვაციური პროცესის გაგება შესაბამისი ორგანიზაციული და ეკონომიკური სისტემის ფორმირებასაც განსაზღვრავს. ამიტომ ორგანიზაციული კონსერვატიზმი ინოვაციური პროცესის ერთ-ერთი სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. მისი დაძლევისთვის აუცილებელია სათანადო მამოძრავებელი მოტივები შექმნილ სიტუაციაში.

ინოვაციური პროცესისა და ორგანიზაციული კონსერვატიზმის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა ზოგადად მოიცავს წინააღმდეგობებს ძველსა და ახალს შორის, მაგრამ იგი სრულებითაც არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც წარსულის უარყოფა, თვითმიზანი განსხვავებულის შექმნისა. ჩვენ იგი წარმოგვიდგენია, როგორც შემოქმედებითი პროცესი, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ ასევე თავისი შემოქმედებითი საქმიანობით. Oორგანიზაციული კონსერვატიზმის სრულად დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელი. შეიძლება ვიფიქროთ, მის რამდენადმე შესუსტება ან ნეიტრალიზებაზე და ეს დამოკიდებულია ძირითადად იმაზე თუ რამდენად ეფექტიანად იქნება გამოყენებული მტპ-ის სახელმწიფო რეგულირების და მართვის მექანიზმები.

ინოვაციების განხორციელების აუცილებლობას იწვევს არა მარტო კონკურენციის არსებობა, არამედ გლობალიზაციური პროცესებიც. ამ უკანასკნელის პირობებში ქვეყნის ინოვაციური განვითარების პრესპექტივებს ფაქტორთა ორ დონიანი სისტემა განსაზღვრავს. Pპირველი მოიცავს იმ სტრატეგიბს და ხერხებს, რომლებსაც ფირმები მიმართავენ ინოვაციების გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის. მეორე დონეზე გადამწყვეტია სახელმწიფო, რომელიც ანხორციელებს

ადგილობრივი ინოვაციური საწარმოების პირდაპირ ან ირიბ მხარდაჭერას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამართლებრივ, ფინანსურ, საგადასახადო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემების ეფექტურობას.

სამწუხაროდ საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა გვაიძულებს გავაკეთოთ ორი არასახარბიელო დასკვანა:

1. ეკონომიკური განვითარების ქართული მოდელი არ შეესაბამება მოწინავე ქვეყნებისას. სამწუხაროდ საქართველოს არ გააჩნია არც ერთი ნიშა ინოვაციური პროდუქციისა მსოფლიო ბაზარზე.
2. ქართული ეკონომიკის ინოვაციური აქტივობა დაბალია, რაც აფერხებს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევასა და შენარჩუნებას. თანამედროვე დროში ინოვაციები არის არა უბრალოდ რაღაც მოვლენა, რომელიც იწვევს ეკონომიკის ზრდას, განვითარებას და მის სტრუქტურულ ცვლილებას, არამედ ინოვაციები იქცნენ ეკონომიკის ყველა სფეროს, განვითარების მამოძრავებელ ძალად. მაღალი ინფორმაციული და ინოვაციური ტექნოლოგიები გვევლინება ეკონომიკური სფეროს გლობალიზაციის ძირითად ნაწილად. აქტიურად ფორმირებულ გლობალურ ეკონომიკურ სისტემას მივყავართ გლობალურ კონკურენციამდე. შედეგად ეროვნული ეკონომიკისათვის ყალიბდება საქმიანობის პრინციპულად ახალი შიდა გარემო.

აღნიშნულის მიუხედავად, ეკონომიკური განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასავლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ საქართველო ინტელექტუალური კაპიტალით მდიდარი ქვეყანაა. მას გააჩნია ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი, რომლის გონივრული გამოყენებით შესაძლებელია სერიოზული აღმავლობა. უკვე დღეს საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ქვეყნის გრძელადიანი განვითარების ვექტორი ადამიანური კაპიტალით უნდა განისაზღვროს. საქართველოს სჭირდება ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას [3, 26].

საქართველოში გარკვეულწილად ინოვაციების დანერგვის გამოცოცხლება XXI საუკუნეში შეინიშნება სხვადასხვა დარგებში: საბანკო, სადაზღვეო, სამეწარმეო და ა.შ. ყველაზე მეტად კი ინოვაციური პროდუქტების დანერგვა საბანკო სფეროში შეინიშნება და მეტი სიცხადისთვის კი შევეცადოთ მეტნაკლებად განვიხილოთ საბანკო სფეროში მიმდინარე სიტუაცია და ინოვაციური პროდუქტების დანერგვის მდგომარეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია". თბილისი 2005, გვ. 250
2. ბაბუაძე ნ. პაპაშვილი მ. ბარათაშვილი ე. კვესელავა ი. "ეკონომიკური დიპომლატია". თბილისი 2011.. გვ. 72
3. ხარბედია ლ., მსოფლიო ეკონომიკის განვითარების გეოპოლიტიკური კონცეფციები, კონფერენციის მასალები, პ. გუგუშვილის ინსტიტუტი, თბ., 2014
4. www.globalizatios.kof.ethz.ch
5. www.bog.ge; www.basisbank.ge;www.bta.ge;www.cartu.ge

The Strategy of Innovative Development of Georgia

R. Kutateladze
K. Kutateladze,

Summary

Society is interested to reach good results by means of activation of factors of entrepreneurship. The aim is to guarantee quantitative and qualitative satisfaction of wide range of demands. In Georgia, for formation of state's scientific and technical policy should be based on the following factors: scientific policy; technical and technologic policy; policy of determination of priorities of fundamental and applied research; innovative policy and policy of national responsibility. All these factors are necessary to retain the level of Georgia's scientific and technical development and to solve the problems of growth. Purposeful programs should be developed according to state's scientific and technical policy and these programs should be selected from the alternatives, on the basis of expert estimations and competitions.

Key words: *Innovation, alternative, resources, investment.*

საქართველოს 2015 წლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი: შესაძლებლობები და გამოწვევები

გიორგი ღაღანიძე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატია საქართველოს 2015 წლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზია. ძირითადი აქცენტი გადატანილია საქონლით საგარეო ვაჭრობაზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ასევე გაანალიზებულია საქართველოსათვის მნიშვნელოვანი საგარეო პარტნიორის - ირანის პოტენციალი, რაც ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის დაწესებული საგარეო ეკონომიკური სანქციების მოხსნის შემდეგ საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდება.

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, იმპორტი, საგარეო ვაჭრობის სალდო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი).*

2015 წლის ეკონომიკური შედეგების შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველ რიგში, ესაა მსოფლიოში მიმდინარე პროცესები; მეორე, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა; მესამე, 2016 წლის არჩევნები და ამდენად შეფასებების პოლიტიკური ინტერპრეტაციების შესაძლებლობა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკა ახალ ტურბულენტური განვითარების ფაზაში შევიდა. მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების სიჩქარე პრაქტიკულად არღვევს ყველა დადგენილ წესს, კონკურენტული ბრძოლა ყველგან მძაფრდება და ამ რეალობაში საქართველო ვერ იქნება გამონაკლისი. ასევე უნდა ითქვას, რომ ახალი შესაძლებლობები,ისევე როგორც საფრთხეები, ძალიან სწრაფად წარმოიქმნება. უახლოეს სამეზობლოში წარმოქმნილი პრობლემები შეუძლებელია არ აისახოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე და ამდენად საერთო ფონი აშკარად გაუარესებულია. განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის დინამიკა და შესაბამისად შევეცადოთ გამოვიტანოთ რელევანტური დასკვნები (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები ათასი აშშ დოლარი [ცხრილი 1]
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (1)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
2016 (I,II კვარტალი)	**948**	**4757**	**-3809**
2015	2204	7728	-5524
2014	2861	8596	-5735
2013	2908	8026	-5117
2012	2375	8049	-5674
2011	2189	7065	-4876
2010	1677	5257	-3580

სამწუხაროდ ექსპორტის კლების ტენდენცია, რომელიც აღინიშნება 2014 წლიდან, 2015 წელსაც გაგრძელდა, თუმცა, იმპორტის კლებამ ასევე გამოიწვია უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა არ შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ცალსახად დადებითი, ვინაიდან ქართული ექსპორტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა საიმპორტო მდგენელის მაღალი წილი საექსპორტო პროდუქციის შექმნაში.

ექსპორტის იმპორტთან შედარებით წინმსწრები კლება შეიმჩნევა 2016 წლის I და II კვარტალშიც, კერძოდ ექსპორტი 2015 წლის I და II კვარტალთან შედარებით შემცირდა 12%-ით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 30%-ით. მსოფლიოსა და ჩვენ უახლოეს სამეზობლოში მიმდინარე მოვლენები, დაძაბული პოლიტიკური ბატალიები და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, სამწუხაროდ, არ ქმნისს ექსპორტის ზრდის პოზიტიურ მოლოდინს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიულ ასპექტებს. კერძოდ, მიზანშეწონილია განვიხილოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ორი ძირითადი მიმართულების განვითარება. ევროკავშირთან ღრმა და ვოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის ფორმირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ბევრი სკეპტიკოსის მიერ მიჩნეული იქნა, როგორც სა-

ქართველოს ეკონომიკური განვითარების არასწორი ვექტორი. კრიტიკოსები თავიანთ არგუმენტებად იხილავდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ბაზრების გეოგრაფიულ და მენტალურ სიახლოვეს, ადრე არსებულ ეკონომიკურ კავშირებს და ამდენად მიიჩნევდნენ რომ სწორედ ეს მიმართულებაა გადამწყვეტი. ვნახოთ სწორედ ამ ორი მიმართულებით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2014 და 2015 წელს.

ვინაიდან ვიხილავთ გეოგრაფიულ ასპექტებს მიზანშეწონილია საქართველოსათვის ასევე სამი მნიშვნელოვანი საგარეო სავაჭრო პარტნიორის, კერძოდ კი თურქეთის, ჩინეთის და აშშ-ის მაჩვენებლების განხილვაც (იხ. ცხრილი 2).

ექსპორტის გეოგრაფია ათასი დოლარი [ცხრილი 2]
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (1)

	2014 წელი	**2015 წელი**
ექსპორტი სულ	2,860,670.6	2,203,630.8
ექსპორტი ევროკავშირში	624,085.6	646,426.6
ექსპორტი დსთ-ში	1,465,184.9	839,514.0
ექსპორტი თურქეთში	239,295.9	186,011.2
ექსპორტი აშშ-ში	207,332.6	104,810.0
ექსპორტი ჩინეთში	90,392.8	125,800.2

ექსპორტის შემცირება 2015 წელს 650 მლნ დოლარით ძალიან უსიამოვნო მოვლენაა, რომელიც, ერთი მხრივ, მიანიშნებს კონკურენტული პოზიციების დაკარგვაზე, მეორე მხრივ კი, კონკურენტული ბრძოლების გამძაფრებაზე. ცხადია, რომ პირველ რიგში კლება მოხდა დსთ ბაზრებზე, რაც ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ძალიან მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების მქონე. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დსთ ბაზრებზე ხანგრძლივადიანი ორიენტაცია. საქართველომ გარკვეული ზომით გაზარდა ექსპორტი ევროკავშირში, თუმცა, ეს ზრდა არ წარმოადგენდა იმ მაჩვენებელს, რომელზეც ორიენტირებული იყო საქართველო. სამწუხაროდ, მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ვერ შეცვლის ფუმდამენტურ პრობლემას, რომელიც მდგომარეობს საექსპორტო სასაქონლო ჯგუფების მცირე რაოდენობაში. ამდენად, ქართული ექსპორტის "აქილევსის ქუსლი" - მცირე რაოდენობით საექსპორტო პროდუქცია კვლავ რჩება ყველაზე მწვავე პრობლემად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კვლევა თავიდანვე ახდენდა ამ პრობლემის იდენტიფიცირებას. კერძოდ, ხაზგასმული იყო ის გარემოება, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ვერ გაზრდიდა ექსპორტს მნიშვნელოვნად. აუცილებელი იყო ახალი პუი-ები, რაც შექმნიდა ახალ საექსპორტო პროდუქტებს და შემდეგ განხორციელდებოდა მისი ექსპორტირება ევროკავშირში. ამ პროცესს სჭირდება გარკვეული დრო და ძალიან კარგად გათვლილი ექსპორტის ხელშეწყობის სექტორალური სტრატეგიები. დადებით ფაქტორებს ასევე უნდა მივაკუთვნოთ ექსპორტის ზრდა ჩინეთში, თუმცა, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ჩინეთის ბაზარზე მხოლოდ ცალკეულ საექსპორტო პროდუქტებს გააჩნია საკმარისი პოტენციალი. ღვინის ექსპორტი ჩინეთში ობიექტურად შეზღუდული იქნება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ღვინის ბაზრის ზომა ჩინეთში (ეს ძალიან დიდი ბაზარია ქართული ღვინისათვის), მძაფრი კონკურენცია და ქართული ღვინის დაბალი ცნობადობა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით მიზანშეწონილია კარგად გათვლილი სექტორალური სტრატეგიის ფორმირება, სადაც აქცენტი გადატანილი იქნება მაღალი ფასის მქონე ღვინოების სეგმენტზე.

სამწუხაროდ, თურქეთის მიმართულებით ექსპორტის შემცირება ის ლოგიკური პროცესია, როდესაც ერთი და იგივე ქართული საექსპორტო პროდუქცია აღწევს გარკვეულ ზღვრულ რეალიზაციას და ექსპორტის შემდგომი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნის ხარჯზე (იხ. ცხრილი 3).

იმპორტის გეოგრაფია (ათასი დოლარი) [ცხრილი 3]
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (1)

	2014 წელი	**2015 წელი**
იმპორტი სულ	8,593,325.4	7,727,961.6
იმპორტი ევროკავშიდან	2,369,695.5	2,518,617.3
იმპორტი დსთ-დან	2,124,317.1	1,968,586.0
იმსპორტი თურქეთიდან	1,727,390.6	1,330,834.0
იმპორტი აშშ-დან	287,091.5	252,267.4
იმპორტი ჩინეთიდან	732,996.7	586,988.7

იმპორტის ანალიზისას თვალში საცემია ძირითადი ტენდენცია - იმპორტი მცირდება ყველა სავაჭრო პარტნიორის მხრიდან და იზრდება მხოლოდ ევროკავშირიდან. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების კვალობაზე. ფაქტობრივად, საქართველოში მიმდინარეობს ორი პროცესი, ერთი უკავშირდება იმპორტის მოცულობის შემცირებას, ძირითადად იმპორტის გაძვირების ხარჯზე (ლარის გაცვლითი კურსის ვარდნის გამო) და მეორე, როდესაც გაიაფებული იმპორტი ევროკავშირიდან ანაცვლებს იმპორტს სხვა გეოგრაფიული არეალებიდან. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებული იქნება სამომავლოდაც და ამდენად ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ტენდენცია შეიცვალოს.

ანალიზი არ იქნება სრული ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუტურის გაანალიზების გარეშე. ექსპორტის სტრუქტურაში პრაქტიკულად რაიმე სიახლე არ შეინიშნება, როგორც წესი, წარმოდგენილია ნედლეული, მარტივი პროდუქცია, ტრადიციული ალკოჰოლიანი სასმელები, მინერალური წყლები და რასაკვირველია, რე-ექსპორტი. ტრადიციულ მსუბუქ ავტომობილებს, როგორც რეექსპორტის ძირითად სასაქონლო ჯგუფს, დაემატა სამკურნალო საშუალებები. საერთოდ რეექსპორტის ზრდა მცირე ზომის ქვეყნებისათვის წარმოადგენს საექსპორტო პოტენციალის ზრდის რეალურ მიმართულებას. ამ სასაქონლო ჯგუფისათვის ძირითად საექსპორტო ბაზრად ყალიბდება უზბეკეთი, სწორედ ამით აიხსნება 2014 და 2015 წლებში უზბეკეთის მოხვედრა საქართველოსათვის ძირითად საექსპორტო ქვეყნებში. სამკურნალო საშუალებებთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის რეექსპორტის ზრდა მისასალმებელია რამდენიმე გარემოების გამო. პირველი ესაა, მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის რეექსპორტი, მეორე - მდგრადი სამუშაო ადგილების ფორმირება. უნდა აღინიშნოს, რომ სამკურნალო საშუალებების რეექსპორტი აუცილებლად მოიცავს გარკვეული საწარმოო ოპერაციების შესრულებას: დაფასოება, მარკირება და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ოპერაციების წარმოების კვალობაზე შესაძლებელია უფრო მნიშვნელოვანი საწარმოო ოპერაციების ჩატარებაც. სამკურნალო საშუალებების წარმოება და ექსპორტი უნდა გახდეს პრიორიტეტული მიმართულება საქართველოს ექსპორტის განვითარებაში. აუცილებელია დეტალურად იქნეს შესწავლილი ამ დარგის საექსპორტო პოტენციალის წახალისების კონკრეტული მიმართულებები. ექსპორტის წახალისებაზე მსჯელობისას აუცილებელია კიდევ ერთხელ გავიაზროთ, რომ დარგობრივი საექსპორტო სტრატეგიების ფორმირებასთან ერთად, აუცილებელია გაგრძელდეს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ფორმირება. თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები ქმნიან საექსპორტო პოტენციალის განვითარების საერთო ფონს, ხოლო დეტალიზებული დარგობრივი სტრატეგიები ახდენს კონკრეტული მიმართულებებით საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

განვიხილოთ საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების სტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ აქ შეინიშნება გარკვეული ცვლილებები, კერძოდ კვლავ ჩნდება წმინდა სამომხმარებლო პროდუქცია, როგორიცაა სატელეფონო აპარატები, სიგარეტი. ცხადია, რეექსპორტის გათვალისწინებით კვლავ გვხვდება ისეთი სასაქონლო ჯგუფები, როგორიცაა ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები, ნავთობი და ნავთობის აირები. შესამჩნევია საინვესტიციო სასაქონლო პროდუქციის შემცირება, რაც ცხადია, წარმოადგენს ექსპორტის შემცირების შედეგს. ბოლო პერიოდში ხშირად გაისმის მოსაზრებები, რომ საქართველოში უნდა განხორციელდეს იმპორტჩანაცვლების ღონისძიებები. მიზანშეწონილია ამ მიმართულებით ჩატარდეს სერიოზული კვლევა, რათა ერთი მხრივ, ზუსტად განისაზღვროს იმპორტჩანაცვლების ეკონომიკური ეფექტი, ხოლო მეორე მხრივ, უნდა განისაზღვროს ღონისძიებათა კომპლექსი, რაც არ მოვა წინააღმდეგობაში საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, პირველ რიგში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან.

საქართველოს საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები მჭიდროდ უკავშირდება პუის დინამიკას. განვიხილოთ ეს უკანასკნელი (იხ.ცხრილი 4).

პირდაპირი უცხოური ინვესტივიები ათასი დოლარი [ცხრილი 4]
წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (1)

	2014 წელი	2015 წელი
პუი სულ	**1,758,422.9**	**1,351,053.9**
პუი ევროკავშირიდან	**820,016.8**	**508,974.9**
პუი დსთ-დან	**448,431.9**	**582,807.3**
პუი თურქეთიდან	**63,110.1**	**77,294.0**
პუი აშშ-დან	**181,866.7**	**35,173.1**
პუი ჩინეთიდან	**217,944.4**	**57,616.5**

ევროკავშირიდან განხორციელებულ ინვესტიციებში ლიდერობენ: ლუქსემბურგი 109.6 და 86.6 მლნ დოლარი 2014 და 2015 წლებში; ნიდერლანდები 373.7 და 111.0 მლნ დოლარი; გაერთიანებული სამეფო 107.6 და 198.4 მლნ დოლარი. ამ სამ ქვეყანაზე მოდის 2014 წელს ევროკავშირიდან განხორციელებული პუი-ს 72%, ხოლო 2015 წელს ევროკავშირიდან განხორციელებული პუი-ს 78%.

დსთ-დან განხორციელებულ პუი-ში უპირობო ლიდერია ზერბაიჯანი, რომელზეც მოდის 2014 წელს დსთ-დან განხორციელებული ინვესტიციების 76%, ხოლო 2015 წელს - 93%. აზერბაიჯანული პუი ძირითადად უკავშირდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ამდენად მათი გაგრძელება 2016 წელსაცაა მოსალოდნელი. სხვა მხრივ, 2016 წელს ინვესტიციები დსთ-დან კიდევ უფრო შემცირდება. ამას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ დსთ სახელმწიფოები თვითონ არიან პუი-ს მაძიებელი სახელმწიფოები, მეორე გართულებული პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გამო ინვესტიციების ნაკადი ამ ქვეყნებიდან კლებადი იქნება.

საკმაოდ სამწუხაროა, რომ აშშ-ისა და ჩინეთის საინვესტიციო აქტივობა 2014 წელს არ გაგრძელდა 2015-ში და ამ სახელმწიფოებიდან პუი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ მოვლენის ახსნა უნდა ვეძებოთ აშშ-დან და ჩინეთიდან განხორციელებული პუი-ს საპროექტო ხასიათში, ანუ ხდება კონკრეტული პროექტის დაფინანსება, რომლის დასრულების შემდეგ ინვესტიციები წყდება. აშშ-დან და ჩინეთიდან პუი-ს მდგრადი ხასიათის მისაღწევად აუცილებელი იქნება ისეთი მექანიზმი, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ორივე ქვეყანასთან. ამდენად საქართველოს მიერ აღებული კურსი - გააფორმოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ორივე სახელმწიფოსთან, აბსოლუტურად სწორია და აუცილებელია პროცესის დაჩქარება.

თურქეთიდან განხორციელებულ ინვესტიციებში შეინიშნება გარკვეული ზრდა, თუმცა ის საკმაოდ უმნიშვნელოა. თურქეთისა და რუსეთის ფედერაციის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების გაუარესების ფონზე ჩნდება გარკვეული შესაძლებლობები, რომ თურქული ინვესტიციების საფუძველზე შეიქმნას საქართველოში ახალი საექსპორტო პროდუქცია და დამღით - "დამზადებულია საქართველოში", მოხდეს მათი ექსპორტირება რუსეთის ფედერაციაში.

საინტერესოა ასევე განვიხილოთ ინვესტიციების დარგობრივი ჭრილი. (იხ.ცხრილი 5)

პუი დარგობრივი ჭრილი [ცხრილი 5]

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (1)

პუი	1,758,422.9	1,351,053.9
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	12,290.3	28,774.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა	42,781.5	42,665.2
დამამუშავებელი მრეწველობა	205,417.4	90,708.6
ენერგეტიკა	189,945.0	89,881.4
მშენებლობა	316,588.1	129,058.6
სასტუმროები და რესტორნები	124,851.8	60,982.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	433,654.7	593,972.6
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-9,507.6	66,366.1
უძრავი ქონება	138,654.8	47,840.1
საფინანსო სექტორი	115,322.6	191,207.9
დანარჩენი სექტორები	188,424.2	9,596.5

პუი-ს დარგობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015 წელს პრაქტიკულად ყველა დარგმა დაკარგა საინვესტიციო მიმზიდველობა, გარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა. ამ სფეროში განხორციელებული ინვესტიციები ყოველთვის ინარჩუნებდნენ ძლიერ პოზიციებს რაც უკავშირდებოდა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას. სამწუხაროდ 2016 წელს არ უნდა ველოდოთ პუი-ს მნიშვნელოვან ზრდას, რაც, ერთი მხრივ, უკავშირდება რეგიონში გართულებულ პოლიტიკურ ვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ საქართველოში ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებს.[15]

აუცილებელია განვიხილოთ საქართველოს წინაშე არსებული ახალი შესაძლებლობები გეორაფიული ჭრილით. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან საგარეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების ინტენსიფიკაცია. ეს მოსაზრება ეფუძნება რამდენიმე საინტერესო ფაქტს: პირველი, ირანის ისლამური რესპუბლიკა რეგიონალური ლიდერი სახელმწიფოა საკმაოდ

[15] სტატია დაიწერა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე. ავტ. შენიშვნა

დიდი ეკონომიკით, საერთაშორისო სანქციების მოხსნა ირანის ისლამურ რესპუბლიკას აძლევს შესაძლებლობას მკვეთრად გაზარდოს შესყიდვები, ისტორიული კავშირების არსებობა და გეოგრაფიული სიახლოვე ამარტივებს ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციას. განვიხილოთ ამ ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტები (იხ. ცხრილი 6).

საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები [ცხრილი 6]

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (1)

	2010	2011	2012	2013	2014	2015
ექსპორტი	14,958.1	16,209.8	18,519.6	46,946.2	28,198.5	35,782.4
იმპორტი	55,079.5	64,880.6	100,366.1	129,718.6	122,665.5	91,933.0
პუი	**1,083.9**	**1,059.1**	**889.0**	**1,867.8**	**1,367.4**	**149.7**

საინტერესოა საქართველოდან ირანში ექსპორტირებული და ირანიდან საქართველოში იმპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფები.

ექსპორტში გამოიყოფა შემდეგი საქონლის ჰარმონიზებული სისტემის მიხედვით შემდეგი სასაქონლო ჯგუფები:

კოდი 4407 - ხე-ტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, სისქით 6 მმ-ზე მეტი

კოდი 8528 - აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის

კოდი 7202 - ფეროშენადნობები

კოდი 8421 - ცენტრიფუგები; აგრეგატები სითხის ან აირის საფილტრავი ან გასაწმენდი

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოდან ექსპორტირებული სასაქონლო ჯგუფების არამდგრადი ხასიათი. ექსპორტი საქართველოდან უფრო წააგავს კონკრეტულ საბაზრო მოთხოვნაზე რეაგირებას და არა მდგრად, რეგულარულ მიწოდებებს. ალბათ, უნდა ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ საქართველოს ტრადიციული სასაქონლო ჯგუფებიდან ირანში ექსპორტირებულია ფეროშენადნობები. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს ექსპორტის ზრდის შემდგომი გზები.

ირანიდან იმპორტირებული საქონლის ჰამონიზებული სისტემის მიხედვით შემდეგი სასაქონლო ჯგუფები:

კოდი 2713 - ნავთობის კოქსი, ნავთობის ბიტუმი და ნავთობის გადამუშავების სხვა ნარჩენები

კოდი 6908 - მოსაპირკეთებელი ფილები კერამიკული, მოჭიქურებული

კოდი 3901 - პოლიმერები ეთილენისა, პირველადი ფორმებით

კოდი 7005 - მინა თერმულად გაპრიალებული და მინა მქრქალი ან გაპრიალებული ზედაპირით.

ირანიდან იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს ახასიათებთ მდრადობა და საკმაოდ ძლიერი კონკურენტული პოზიციები საქართველოს ბაზარზე.

ასევე საინტერესოა განვიხილოთ ირანის ისლამური რესპუბლიკის მთლიანი იმპორტის მონაცემები, რაც წლიურად შეადგენს დაახლოებით 55 მლრდ დოლარს. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ძირითადი საიმპორტო ჯგუფებია (ჰარმონიზებული სასაქონლო სისტემის ორნიშნა კოდების მიხედვით): 84 - მოწყობილობები, ატომური რეაქტორები, ბოილერები; 10 - მარცვლოვანი პროდუქტები; 85 - ელექტრული და ელექტრონული დანადგარები; 87 - მსუბუქი ავტომობილები; 72 - რკინა და ფოლადი; 39 - პლასტიკური მასალები; 30 - ფარმაცევტული პროდუქცია; 23 - კვების პროდუქტების ნარჩენები;15 -ცხოველური, ბოსტნეულის ცხიმები. (მონაცემები აღებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრიდან (2).

რა პრინციპებზე უნდა მოხდეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ინტენსიფიკაცია საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის? პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ ის სფეროები სადაც იკვეთება საერთო ინტერესები. უწინარეს ყოვლისა, ესაა ევროკავშირის ბაზარზე ირანული პროდუქციის ექსპორტი, სადაც საქართველოს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება იძლევა კარგ პოტენციურ შესაძლებლობას. ამდენად, მიზანშეწონილი იქნება დამატებით იქნას შესწავლილი ირანიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და დამატებითი დაცვითი მექანიზმების ფორმირების შესაძლებლობა.

ასევე, მიზანშეწონილი იქნება შესწავლილი იქნეს სომხეთსა და აზერბაიჯანთან კოოპერირების შესაძლებლობები, რათა ერთობლივი ძალებით წარმოებულ იქნეს ახალი საექსპორტო პროდუქტები ირანის ბაზარზე მათი ექსპორტირების მიზნით. მიზანშეწონილია საწყის ეტაპზე მრგვალი მაგიდების ორგანიზება ქართული და ირანული ბიზნესწრეების წარმომადგენლებისაგან, რათა გამოიკ-

ვეთოს საერთო ინტერესის სფეროები, დადგინდეს ხელშემშლელი ფაქტორები. მიზანშეწონილია ირანელ ბიზნესმენთა დელეგაციების მოწვევა და ქართული საექსპორტო პოტენციალის დემონ-სტრირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია. http://www.geostat.ge/
2. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემები. http://www.intracen.org/

Analyses of the Results of the Foreign-Economic Activities of Georgia in 2015:Opportunities and Challenges

G. Gaganidze

summary

Author analyzed the results of the foreign economic activities of Georgia for the 2015 year. Major interest is to evaluate utilization of export potential and the flows of Foreign Direct Investments. Special interest is focused on the intensification of the economic relations with the Iran Islamic Republic.

Key words: *export, imports, foreign trade balance, foreign direct investments (FDI).*

აგრობიზნესის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და ფინანსური უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში

თამარ ღუტიძე,
თსუ-ის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია აგრარულის სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმი; წარმოჩენილია აგრობიზნესის ხელშეწყობის მიმდინარე პროექტები; ევროკავშირის გამოცდილებისა და საქართველოს არსებული მდგომარეობის ურთიერთშედარების საფუძველზე გამოვლენილია ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პერსპექტივები და საფრთხეები; შემუშავებულია ძირითადი რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: *აგრობიზნესი, ფინანსური უზრუნველყოფა, დაკრედიტება, ევროკავშირი.*

აგრარულ სექტორს უძველესი პერიოდიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო დონეზე და მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიმართულება (მოდელი) შეიქმნა: 1) რესურსების მოხმარების; 2) კონსერვაციული; 3) ლოკაციის; 4) დიფუზიისა და 5) მაღალი ანაზღაურების (10, გვ. 14). თითოეული მათგანი განსხვავებულ პირობებსა და მიდგომებს ქმნიდა აგრარული სექტორისადმი, თუმცა სახელმწიფოს როლი ყოველთვის გადამწყვეტი იყო. განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებას, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმების განსაზღვრას და ასევე, ეროვნული ბაზრის პროტექციონისტული დაცვის მეთოდებს.

განვითარების მაკროეკონომიკურ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრარული სექტორის ტრანსფორმირებასა და განვითარებას. ამ მიმართულებით გამოყოფენ: ზრდის სტადიების თეორიებს (ლისტი, მარქსი); დუალისტური ეკონომიკის მოდელებს; სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიებს; დამოკიდებულების თეორიას [11, გვ. 1].

ვოლტ როსტოუმ XX საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკური ზრდის ეტაპების მოდელი განიხილა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა 5 ეტაპს გადის: 1) ტრადიციული საზოგადოება; 2) გარდამავალი სტადია; 3) ნახტომის სტადია; 4) სიმწიფისკენ მოძრაობა და 5) მასობრივი მოხმარების სტადია. თეორიის თანახმად ყველა ქვეყანას სხვადასხვა სტადიაზე ყოფნის სხვადასხვა პერიოდი სჭირდება, თუმცა, პირველი სტადიიდან ბოლო სტადიამდე გადასასვლელად შუალედურ გარდამავალ სტადიებში უნდა განისაზღვროს რამდენიმე სექტორი, რომელიც ზრდის საშუალებას მისცემს ქვეყანას და ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი იქნება. გარდამავალ ეტაპზე ეს არის აგრარული სექტორი [9, გვ. 56], ხოლო განვითარებულ სტადიაზე მრეწველობა იკავებს მოწინავე პოზიციებს. მცირდება აგრარული სექტორის წილი, თუმცა ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

აქვე უნდა შევეხოთ ფიზიოკრატების ეკონომიკურ მოძღვრებასაც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სიმდიდრე არ იქმნება მიმოქცევაში, იგი იქმნება წარმოებაში და მის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (ფრანსუა კენე). ფრანსუა კენე მე-18 საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებას მწარმოებელ და უნაყოფო კლასებად ჰყოფდა. პირველს მიაკუთვნებდა სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და ფერმერებს, რომლებიც წმინდა პროდუქტს ქმნიდნენ, ხოლო უნაყოფო კლასში აერთიანებდა მეურნეობის სხვა დარგში დასაქმებულთ. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების საკითხის განხილვა სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხორციელდებოდეს. სოფლის მეურნეობა გადაჯაჭვულია მრეწველობასთან. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფა ზრდის საერთო პროდუქტიულობასა და შემოსავლებს.

თავისთავად უნდა გავითვალისწინოთ ქართველი მეცნიერების მიდგომები აგრარული სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მეცნიერთა დიდი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე ორიენტირება, თანამედროვე ინდუსტრიის უგულებელყოფის შემთხვევაში, განაპირობებს ქვეყნის ჩამორჩენას, ასევე, არც მხოლოდ მრეწველობის პრიორიტეტულად შეფასება არის მართებული და აუცილებელია დარგებს შორის ბალანსის დაცვა, რადგან ეს ორი ურთიერთშემავსებელი სექტორია და ერთად ქმნის ქვეყნის ხერხემალს. მეცნიერები გადამწყვეტ როლს სექტორის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს ანიჭებენ (დ. ბაიდაური [2, გვ. 16], ნ. სამჭკუაშვილი [5, გვ. 31], ზ. ბერიძე [3, გვ. 51], ლ. გაგვიშვილი [4, გვ. 20]) და ასაბუთებენ მის აუცილებელ მონაწილეობას აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში. როგორც ვხედავთ, არაერთი მეცნიერი აგრარულ სექტორს ქვეყნის განვითარების რელსებზე დაყენების მნიშვნელოვან ამო-

სავალ წერტილად განიხილავს, მაგრამ, სექტორს არ შეუძლია ეს თვითდინებით განახორციელოს, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა და სწორად გათვლილი სტრატეგია.

საქართველო, სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე, მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დგას. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში 2013 წლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი მთავრობის მიერ მიტოვებული იყო, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად იგი მხოლოდ სიტყვიერად ჰქონდა გამოცხადებული. მოცემულ მიდგომას თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება და იმპორტზე დამოკიდებულების ზრდა. 2013 წელს შემუშავდა სახელმწიფოს ახალი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის მიმართულებით და მრავალი ახალი საკანონმდებლო ინიციატივა იქნა წარმოდგენილი. ამავე წელს ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დაფინანსება 61.8%-ით გაიზარდა. თუმცა, შედეგი ცალსახად დადებითი ტენდენციებით არ ხასიათდება, მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა. მშპ-ში სექტორის წილი და სოფლად მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლებში შემცირებით გამოირჩევა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული ძირითადი პროექტების შედეგები ასე გამოიყურება:

1. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“. პროექტი 2013 წელს დაიწყო და დღესაც წარმატებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში 2013-2014 წლებში გაცემული იქნა 27 177 კრედიტი, გაცემული სესხის ოდენობამ შეადგინა 722,766,960 ლარი, მათ შორის, 2014 წელს გაცემული იყო 480,416,394 ლარი [1, გვ. 28]. პროექტის ფარგლებში გაიხსნა 89 ახალი საწარმო.

2. აწარმოე საქართველოში - აგრო ნაწილი. პროექტი 2014 წლიდან ხორციელდება და 2014 წელს პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაფორმდა 9 შეთანხმება [1, გვ. 29] და დამტკიცებული სესხების ჯამური ოდენობა შეადგენს 14,670,000 აშშ დოლარს.

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება. 2014 წელს დამტკიცებულია 16 სესხი, ჯამური ღირებულებით 11,703,238 დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს - 4,681,295 დოლარს [1, გვ. 30]; 2014 წელს სულ გრანტის სახით გაცემულია 1,108,120 დოლარის ეკვივალენტი ლარში.

<u>სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.</u> ერთწლიანი კულტურების წარმოებისა და ნათესი ფართობის მონაცემების განზოგადებისას 2011-2015 წლებში, შეგვიძლია გამოვკვეთოთ გარკვეული ტენდენციები: კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის საკმაოდ სუსტია და 0.2 შეადგინა, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ შემდეგი - ნათესი ფართობების ზრდა ან შემცირება პირდაპირპროპორციულად არ განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ცვლილებებს; 2) მიუხედავად სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის ზრდისა, შედეგი სულ სხვა მივიღეთ, ეფექტი ძირითადად მომენტალურად აისახა 2013 წლის შედეგებზე, მაგრამ არა შემდგომ წლებში, მოცემული ფაქტორი მეორე არსებითი საკითხის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს - სახელმწიფოს დაფინანსების ზრდა ან სუბსიდირება, რომელიც გამოსაშვები პროდუქციის ერთეულზე იქნება მიმართული, ვერ უზრუნველყოფს რამდენიმეწლიან პერიოდში გრძელვადიან ზრდას. ზრდა უნდა შეეხებოდეს ინფრასტრუქტურული და ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხებს, სხვა შემთხვევაში დაფინანსება გაღებული კონკრეტულ წელს მხოლოდ კონკრეტული წლის შედეგებში აისახება. თუ ჩვენ გრძელვადიანი ზრდა და აგრარული სექტორის ხელშეწყობა გვჭირდება, აქ მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოს აგრარული მიმართულებით ცოდნის განახლებასა და ახალი კადრების გადამზადებას, ასევე, თანამედროვე ინოვაციების დანერგვას წარმოებაში.

ასევე, როგორც კვლევიდან ჩანს, სამაცივრე მეურნეობების, სასაკლაოებისა და ელევატორების ყველაზე დიდი პრობლემა თანამედროვე ტექნოლიგიისა და აღჭურვილობის არქონაა, რაც განპირობებულია ფინანსების უქონლობით. მათ უმეტესობას აღებული აქვს სესხი ტექნოლოგიური და კაპიტალური გადაიარაღებისთვის. სამაცივრე მეურნეობა და ელევატორი 70-80%-ით გამოიყენება იმპორტირებული პროდუქტისთვის, რისი 20-30%-ის რეალიზებაც ხდება უცხოურ ბაზრებზე. მოცემული, ყველაფერთან ერთად, ხაზს უსვამს საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებს და ხელშეწყობის აუცილებლობას არა მარტო ფინანსური კუთხით, არამედ ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო სისტემების შექმნით.

რაც შეეხება სასურსათო უზრუნველყოფას, ადგილობრივი წარმოება ძირითადად მიმართულია თვითმოხმარებისაკენ. ზოგიერთი სასურსათო კატეგორიის შემთხვევაში იმპორტს საკმაოდ დიდი წილი უკავია, მაგალითად, ხორბალს. მოცემული მიანიშნებს, რომ სახელმწიფოს ფინანსური ხელშეწყობის პროგრამების ძირითადი ნაწილი მხოლოდ მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას უზრუნველყოფს ამ ეტაპზე, რაც ძირითადად მიმართულია თვითუზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და არა კომერციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

თავისთავად, აუცილებელია ამ მხრივ ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება. ევროკავშირში

დღეისათვის მოქმედებს 1962 წელს შემუშავებული საყოველთაო აგრარული პოლიტიკა - Common Agricultural policy (CAP), რომელიც საერთოა ყველა წევრი ქვეყნისთვის. პოლიტიკამ 1962 წლიდან დღემდე რამდენმჯერმე განიცადა სახეცვლილება და იგი საკუთარი წარმატების მსხვერპლიც კი გახდა – საბაზრო მოთხოვნაზე მიწოდების სიჭარბე შეიქმნა, რამაც "სასურსათო მთების" ფორმირება განაპირობა [7, გვ. 5]. ევროკავშირს მოუწია რამდენიმე ღონისძიების შემუშავება, რათა საბაზრო წონასწორობის დაცვისთვის ხელი შეეწყო. ევროკავშირმა აქცენტი საბაზრო მხარდაჭერის ნაცვლად საწარმოო მხარდაჭერაზე გააკეთა და დღეს პოლიტიკა მიმართულია ფერმერთა გარემოსადმი მეგობრული დამოკიდებულების წახალისებისაკენ - ფერმერები იღებენ საშემოსავლო დახმარებას იმის მიხედვით, თუ როგორ უვლიან მიწებს, ზრუნავენ გარემოზე, ცხოველთა კეთილდღეობასა და სასურსათო სტანდარტების დაცვაზე; რეფორმა მოწოდებულია სექტორის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის ზრდისაკენ, რათა ხელი შეუწყოს ინოვაციებისა და სასოფლო რეგიონის განვითარებას.

მოცემული მიმართულებით მთლიანად ევროკავშირი თავისი ბიუჯეტის 38%-ს ხარჯავს (50 მლრდ ევრო) [6, გვ. 2]. აგრარული პოლიტიკა სამი მიმართულებისგან შედგება, რომლებიც შემდეგნაირად ფორმირდება 2 ძირითად სვეტად - "The First Pillar" – აერთიანებს პირდაპირ გადახდებსა (70%) და საბაზრო ღონისძიებებს (10%); "The Second Pillar" - მოიცავს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას (20%).

ევროკავშირი სურსათის ყველაზე მსხვილი იმპორტიორია მსოფლიოში, ყოველ წელიწადს საშუალოდ 60 მლრდ ევროს ღირებულების პროდუქტის იმპორტირება ხორციელდება. მთელი 50-წლიანი პოლიტიკის მანძილზე ევროკავშირმა ბოლო 5 წლიან პერიოდში შეძლო ექსპორტის მძლავრი ზრდა. სწორედ ამ პერიოდში შეწყვიტა ექსპორტის სუბსიდირება და პირდაპირი დახმარების მოცულობა საგრძნობლად შეამცირა (თითქმის 8-ჯერ).

2010 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა განვითარების სტრატეგია "ევროპა 2020", რომელიც ორიენტირებულია ნათელ, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. ამავე დოკუმენტში გამოყოფილი იქნა ევროკავშირის სისუსტეები და საფრთხეები. აღნიშნულმა, გარკვეულწილად, განაპირობა CAP-ის სრულიად ახალ რელსებზე გადასვლა და ფოკუსირება აგრარულ სექტორში ინოვაციებზე, ცოდნის გადაცემასა და ტექნოლოგიების მასშტაბურობაზე, ასევე ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებაზე ამ მიმართულებით. განსაკუთრებით კი ახალი წევრი ქვეყნების ხელშეწყობა გახდა აქტუალური. ასევე, ევროკავშირი აქცენტის გადატანას ახდენს „საგრანტო პროექტების" დაფინანსებიდან „სასესხო პროექტების" ხელშეწყობისაკენ, რომლებიც გრძელვადიანი ზრდის პირობებში მომავალში თავად შეძლებენ ფინანსური რესურსებით თვითუზრუნველყოფას. ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით ევროკავშირის ძირითადი რეკომენდაცია წევრი ქვეყნებისათვის გულისხმობს პროექტებში სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის ჩართვას (სესხი, გარანტია, კაპიტალში მონაწილეობა და სხვა) და ბენეფიციარის ხელშეწყობას ფინანსური ინსტიტუტების მოშუამავლობით.

ევროპის ბევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში, სხვადასხვა მაჩვენებლისა და ინდიკატორის შეფასების კუთხით, სიტუაცია საქართველოს მსგავსია. ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში დაბალია აგრარული სექტორის პროდუქტიულობა, ძალიან ბევრი წვრილი საოჯახო ფერმაა, რომელიც ამუშავებს ძალიან ფრაგმენტირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს და ჰყავს ძალიან ცოტა დასაქმებული (5 პერსონაზე ნაკლები) და პირუტყვი (5 ერთეულზე ნაკლები). მოცემული, ერთი მხრივ განპირობებულია გარდამავალ ეტაპზე ძველი სისტემის მოშლით, ეკონომიკური კრიზისებით, პოლიტიკური არასტაბილურობით. მეორე მხრივ, ამას ემატება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიმწირე, აგრარულ სექტორში მომუშავეთა და უშუალოდ ფერმერთა არასათანადო დონეზე გადამზადების ტენდენციები. თავისთავად, ამ ქვეყნებს გაცილებითი დიდი ზრდის პოტენციალი აქვთ უკვე განვითარებულ წამყვან ქვეყნებთან შედარებით, რაც საჭიროებს მეტ ფინანსურ უზრუნველყოფას. თუმცა, მოცემული ქვეყნები ინტეგრაციის შემდგომ სრულიად სხვა პროპორციით იღებენ დაფინანსებას ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ვიდრე მანამდე წამყვანი წევრი ქვეყნები ღებულობდნენ. სექტორში ინვესტიციების ოდენობაც საკმაოდ მცირეა ამ ქვეყნებში, რაც ზრდის პოტენციალის გამოყენების შანსებს ამცირებს.

მოცემული საკითხის კვლევისას გამოვლინდა სექტორის განვითარებისა და ფინანსური უზრუნველყოფის არაერთი პრობლემა, რაც საჭიროებს ქმედით ნაბიჯებსა და სისტემურ მიდგომას მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის:

1. საქართველოში აგრარულ სექტორთან მიმართებით შემდგომი კვლევებისა და განვითარების სურათის უკეთ დანახვის მიზნით, ასევე საერთო სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების, დანერგვისა და შედეგების შეფასებისათვის, აუცილებელია ევროკავშირის მიერ შემუშავებული სპეციალური ინდიკატორების დანერგვა და გამოყენება (მსჯელობაა ევროკავშირის CAP პოლიტიკის მთავარ 45 ინდიკა-

ტორზე). მოცემული ასევე გაადვილებს საქართველოს ამ სექტორში განვითარების ტენდენციების ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებთან ურთიერთშედარებას;

2. მიუხედავად ინტეგრაციისა, ევროპის დასავლურ ნაწილსა და ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა აგრარული სექტორის განვითარების კუთხით. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ნამდვილად დიდი წარმატებით დაძლიეს ბევრი წინააღმდეგობა, რაც საქართველოსთვის ასე ნაცნობია. თუმცა, სხვაობა ძველ და ახალ წევრებს შორის კვლავ რჩება, რაც ძირითადად განპირობებულია სექტორის დაფინანსების დისპროპორციებით. თუ გავითვალისწინებთ EU15-ისა (2004 წლამდე ევროკავშირის წევრი ქვეყნები) და EU13-ის (2004 წლის შემდგომ ევროკავშირში ინტეგრირებული ქვეყნები) ფერმერების საწყის ათვლის წერტილს, ახალი წევრი ქვეყნების აგრარული სექტორი არამომგებიან პირობებში იმყოფება. მიუხედავად ზრდის დიდი პოტენციალისა, დაფინანსების სიმცირე ძველ წევრ ქვეყნებთან შედარებით ზრდის იმ მასშტაბებს ვერ აღწევს, რაც შესაძლებელია ჩამორჩენილობის გასათანაბრებლად. მოცემული საქართველოსთვის გასათვალისწინებელი პირობაა სახელმწიფოს მიერ სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობისა და ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის სურვილიდან გამომდინარე;

3. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება სტრატეგიის განხორციელებისას. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის სისუსტე – "საბაზრო პრინციპების იგნორირება". მასშტაბის ეკონომიისა და პროდუქციის რაოდენობის მიხედვით სუბსიდირებამ გამოიწვია ბაზარზე მიწოდების სიჭარბის ფორმირება და შეიქმნა ე.წ. "სურსათის მთები". ანალოგიურად, სურსათის ექსპორტი გაიზარდა მას შემდეგ, რაც შემცირდა სურსათის ექსპორტის პირდაპირი სუბსიდირება; მოცემული ცხადჰყოფს, რომ აუცილებელია სამოქმედო გეგმის შესაბამის მომენტში დროული ცვლილება და სიტუაციასთან ადაპტირება საბაზრო ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად;

4. აქვე აუცილებელია შევეხოთ კონვერგენციის ფაქტორს, როგორც კვლევამ აჩვენა დიდია EU13-ის კონვერგენცია EU15-თან მიახლოების. განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის მიერ მოცემული სხვაობის დაფარვის პერიოდებს შორის საკმაოდ ვარირებს 8-33 წლებში [8, გვ. 3]. თუკი საქართველოს დღევანდელ პოზიციას განვიხილავთ ბულგარეთთან მიმართებით, პერიოდი ერთი-ორად გაიზრდება და შესაძლოა EU15-თან მიმართებით სხვაობის დასაფარად საკმაო დროც კი დასჭირდეს. მოცემული თავისთავად ეხება აგრარული სექტორის ევროკავშირის ბაზართან ჰარმონიზაციის თემატიკასაც. ამ ეტაპზე აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;

5. აგროკრედიტების მიღების მსურველთა ნაწილი, სახელმწიფოს პროგრამის „შეღავათიანი აგროკრედიტის" ფარგლებში სესხს, როგორც საჩუქარს ისე აღიქვამს, ამიტომ საფინანსო ინსტიტუტები პროექტის ფარგლებში „სტარტ–აპების" დიდი ნაწილის დაფინანსებაზე უარს ამბობენ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღეს რეგიონებში განათლების პრობლემაცაა, ფერმერებს არ შეუძლიათ შესაბამისი გათვლების წარმოება და არც შემოსავლების აღრიცხვას აწარმოებენ. ასევე, თანამედროვე აგრო-ტექნოლოგიური პროცესებისა და აგრო-რისკების მართვის არასრულყოფილმა ცოდნამ კი შესაძლოა ხელი შეუშალოთ სესხის მიმღებ ფერმერებს ოპტიმალური მოსავლის მიღებაში, რაც შეამცირებს მათ შემოსავლებს და გაზრდის სესხის დაფარვის რისკს. ცოდნის მხრივ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა პირობებთან ერთად, EU13-სა და EU15-ში ფერმერთა და დასაქმებულთა ცოდნის დონეს შორის სხვაობა სექტორის პროდუქტიულობას შორის დიდ დისპროპორციებს განაპირობებს;

მაგალითად, ევროკავშირი დღეისათვის სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სწავლება-დანერგვაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური შედეგი მცირე რესურსების პირობებში (Horizon 2020 - ის ინოვაციებისა და კვლევების ბიუჯეტიდან 2014-2020 წლებისათვის სოფლის მეურნეობის მიმართულებით გათვალისწინებულია 4 მლრდ ევრო);

6. მიზანშეწონილი იქნება, თუ დაუყოვნებლივ დაიწყება მზადება მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ ფერმერთა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და ჩართვისათვის ამ პროცესებში, რომლებიც აგრარული საქმიანობის თანამონაწილეებიც იქნებიან და რომლებთანაც ფერმერებს გაცილებით კორპორატიული ურთიერთობები ექნებათ (თუნდაც უკვე აპრობირებული სასოფლო-საკრედიტო კავშირების სახით). ასეთმა ორგანიზაციებმა დაკრედიტების პროცესში თანდათანობით უნდა ჩაანაცვლონ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;

7. ბევრ ფერმერს უჭირს აგროსესხის საგარანტიო უზრუნველყოფის მოძიება, რის გამოც მისი ბიზნესისათვის საჭირო რაოდენობის კრედიტს ვერ იღებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას ჩვენს ქვეყანაში დაბალი ფასი აქვს. გამოსავალი მიწის იჯარით გაცემაა;

8. სადაზღვევო კომპანიებისათვის აგრარული სექტორის დაზღვევა ძალიან სარისკო და ზარალიანია. უდავოა, რომ სახელმწიფოს თანამონაწილეობამ ხელი შეუწყო ამ მხრივ საქმის დაძვრას. თუმცა

თავდაპირველ ეტაპზე პროგრამა ბევრი ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემის წინაშე დადგა, რაც მოუმზადებლობით იყო გამოწვეული. აუცილებელია ამ კუთხით როგორც სააგენტოს, ასევე სადაზღვევო კომპანიების შეთანხმებული მუშაობა;

9. მეწარმეების ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრება ან საექსპორტო ბაზრების მოძიება. მაღალი კონკურენციისა და მონოპოლიებისაგან ბაზრის დაუცველობის გამო, ბევრი თავს არიდებს კრედიტის აღებას, რადგან დიდია გაკოტრების რისკი. კრედიტის აღებამდე კი კრედიტ-ოფიცრებმა კარგად უნდა განუმარტონ, თუ რა რისკებზე მიდიან. ასევე, მცირი ფერმერებისთვის კოოპერირება გასაღების მიმართულებით იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ერთიანი ძალებით დაძლიონ მსგავსი წინააღმდეგობა.

საჭიროა აგრარული ბაზრის დარეგულირება, ჯანსაღი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ადგილობრივ პრაქტიკაზე, გამოცდილებასა და სამართლიანი ვაჭრობის საერთაშორისო პრინციპებზე იქნება დაფუძნებული და არა მხოლოდ უცხოურ რეკომენდაციებზე. აუცილებელია ამ ყველა საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა და ერთიანი ჭრილით გადაწყვეტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, 54 გვ;
2. ბაიდაური დ. სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები საქართველოს აგრარულ სექტორში. სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2006, 163 გვ.;
3. ბერიძე ზ. ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში. დისერტაცია, თბ., 2011, 199 გვ.;
4. გაგვიშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების რეზერვები (იმერეთის მაგალითზე). დისერტაცია, თბ., 2006, 112 გვ.;
5. სამჭკუაშვილი ნ. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის მაგალითზე). დისერტაცია, თბ., 2013, 210 გვ.;
6. EU agriculture spending – Focused on results, European Commission, Brussels, 2015, 8 pp;
7. THE EUROPEAN UNION EXPLAINED A partnership between Europe and farmers Agriculture – “The EU’s common agricultural policy (CAP): for our food, for our countryside, for our environment”, EUROPEAN COMMISSION, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2014, 16 pp;
8. Rapacki R. and Próchnia M. – “The EU Enlargement and Economic Growth In the CEE New Member Countries”; Economic Papers 367, European Communities, Brussels, march 2009, 24 pp;
9. Rostow W. W. - The Stages of Economic Growth: A Non - Communist Manifesto third edition, Cambridge, Cambridge University Press, 1990, 272 pp;
10. RUTTAN V. W. – Lectures on Technical and Institutional Change In Agricultural Development with comments by Syed Nawab Haider Naqvi, PAKISTAN INSTITUTE OF DEVELOPMENT ECONOMICS, Lectures in development economics, ISLAMABAD, 1987, No 6, 147 pp;
11. RUTTAN V. W. - Growth Stage Theories and Agricultural Development Policy, THE ECONOMIC AND POLITICAL WEEKLY, Mumbai, 07 Aug, 1965, Vol. 17, Issue No. 32, 56 pp.

The Main Tendencies of the Functioning of Agribusiness and Financial System in Georgia

T. Ghutidze

Summary

Food supply maintenance of the population belongs to the problem of global issues and it’s successful solution is the foundation of development any national economic. Georgia's an agricultural country, but the country's food potential is used only partially. The main determining factor of the problems of the current situation is the provision of financial resources problems. Crediting of a given sector, lending prospects and problems today are vital issues for the agriculture as well as for the economy and employment.

The article discusses the performance of the agricultural sector in the economy - and its legal aspects of financial mechanism; There is presented current promotion projects of agribusiness. On the basis of Comparative analysis of experiences and the current states of The European Union and Georgia has been detected financial system development prospects and dangers. Also, the essential recommendations have been designed to eliminate them.

Keywords: *Agribusiness, financial mechanism, lending, the European Union.*

საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში

ლარისა ყორღანაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაციისა და ღია ეკონომიკის პირობებში ქვეყნის მდგრადი განვითარება და მისი წარმატება მსოფლიო ბაზარზე გლობალურ კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში განსაკუთრებულ როლს ექსპორტი თამაშობს, ამიტომ მისი სტიმულირება ნებისმიერი სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანია. ნაშრომში განხილულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები, გაანალიზებულია ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ფარდობითი უპირატესობები.

საკვანძო სიტყვები: *ექსპორტი, კონკურენტუნარიანობა, დივერსიფიკაცია, ფარდობითი უპირატესობები.*

კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა და მისი ამაღლების საკითხი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა გლობალიზაციის პირობებში, რადგან იგი საბაზრო ეკონომიკისა და ღია საზოგადოების უპირატესობათა გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მართალია, ღია ეკონომიკის პირობებში ფორმალურად ყველა ქვეყანა, როგორც მსოფლიო ბაზრის სუბიექტი, თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, მაგრამ ქვეყანათა განვითარების ასიმეტრიულობის გამო, რეალური სურათი სულ სხვანაირად გამოიყურება. პოლიტიკურად გავლენიანი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ სტრატეგიული ლიდერობისა და ბაზრების მონოპოლიზაციის ხარჯზე. თავის მხრივ, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და რეგიონები იხდიან "ჩამორჩენილობის რენტას" თავიანთი ბუნებრივი რესურსებით, ადამიანისეული კაპიტალით, ეკოლოგიური კვოტებით და ა. შ. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული დისპროპორციები (განსაკუთრებით კი მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისა და გამოყენების უნარში) გლობალური კონკურენტუნარიანობის არსებითად განსხვავებულ დონეებში გამოიხატება.

ისტორიულად, კონკურენტუნარიანობის კონცეფცია ეფუძნება ეროვნული ეკონომიკების ფარდობით უპირატესობებს, რაც მათ წარმოექმნებათ იაფი მუშახელით, უხვი ბუნებრივი რესურსებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებით, ინფრასტრუქტურით და ა. შ. წარმოების ფაქტორებითა და რესურსებით განპირობებული უპირატესობები დამახასიათებელი იყო ინდუსტრიული საზოგადოებისათვის, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კი კონკურენტუნარიანობის ძირითადი განმსაზღვრელია უახლესი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ინოვაციები და "ნოუ-ჰაუ", რაც მთლიანობაში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოსათვისაა დამახასიათებელი.

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების და მისი გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების ტრადიციული ფაქტორია საგარეო ვაჭრობა. გლობალური კონკურენტუნარიანობა ასახავს ქვეყნის როლს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში, კერძოდ, მსოფლიო ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის უნარს. ექსპორტი იძლევა ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას და ამიტომ მისი სტიმულირება ნებისმიერი სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვია საგანია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ლიბერალური პოლიტიკის გზას დაადგა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არეალის გაფართოებას ცდილობს. 2015 წელს მისმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9,934.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტზე მოდის 2,204.7 მლნ აშშ დოლარი (22.2%), იმპორტზე – 7,730.1 მლნ აშშ დოლარი (77.8%). 2014 წელთან შედარებით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13.3%-ით შემცირდა, ექსპორტი – 22.9 %-ით და იმპორტი – 10.1 %-ით [1]. იმპორტის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ლარის კურსის გაუფასურებამ მოახდინა: უცხოური პროდუქცია საქართველოს მოსახლეობისთვის გაძვირდა და ამიტომ იმპორტზე მოთხოვნაც შემცირდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- საგარეო სავაჭრო ბრუნვის განვითარების დაბალი ტემპები და ციკლური ხასიათი - ზრდისა და შემცირების პერიოდების კომბინაცია.

- მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება. 2015 წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5,525.4 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55.6% შეადგინა, ხოლო იმპორტი 3.5-ჯერ აღემატება ექსპორტს [1].
- გეოგრაფიული სტრუქტურის კონცენტრაციის მაღალი დონე: 2015 წელს 10 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 64.1 %, 10 უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნის წილად - მთლიანი ექსპორტის 66.4% და 10 უმსხვილეს საიმპორტო ქვეყანაზე - მთლიანი იმპორტის 65.9% [1].
- ექსპორტის დივერსიფიკაციის დაბალი დონე: 10 სასაქონლო ჯგუფზე მოდის ექსპორტის 63.5% [1].
- ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა. 2015 წელს 1999 წელთან შედარებით, საშუალო ტარიფები საქართველოში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ქვეყნების ყველა საქონლის მიმართ 9.29%-დან 0.87%-მდე შემცირდა (საშუალო მაჩვენებელმა 0.72% შეადგინა), მათ შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე - 11.99%-დან 7.1%-მდე (საშუალოა 5.88%) და არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე - 9.1%-დან 0.46%-მდე (საშუალოა 0.38%) [2].

საქართველოს ექსპორტის 45.71%-სა და იმპორტის 55.51%-ს საყოფაცხოვრებო საქონელი შეადგენს, ნედლეულზე შესაბამისად მოდის 22.40 და 9.39 %, ნახევარფაბრიკატებზე - 26.66 და 14.73%. საქართველოს როგორც ექსპორტში, ისე იმპორტში მცირე წილითაა წარმოდგენილი წარმოების საშუალებები - შესაბამისად, 4.75 და 18.47 %, რაც, რა თქმა უნდა, არ იძლევა ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარებისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობას [3].

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის დასახასიათებლად გამოიყენება დივერსიფიკაციის დონე. მისი მაღალი სიდიდე ქვეყანაზე გარე შოკების ნაკლებ ზეგავლენაზე მიუთითებს. პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაფასებლად გამოიყენება ორი მაჩვენებელი:

1. ერთნაირი მნიშვნელობის ექსპორტირებული საქონლის ეკვივალენტური რაოდენობა. რაც უფრო მაღალია ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია ექსპორტის დივერსიფიკაცია.
2. კონცენტრაციის ინდექსი (სპრედი), რომლითაც იზომება დისპერსიის ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მნიშვნელობებს შორის მოცემულ სტატისტიკურ რიგში და მას ადარებენ საშუალო მაჩვენებელს. რაც უფრო მაღალია ინდექსის მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია დივერსიფიკაცია.

საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი განსაზღვრავს სავაჭრო ეფექტიანობის ინდექსებს სექტორების მიხედვით. საქართველოსათვის ეს ანალიზი განხორციელებულია 13 სექტორის მიხედვით: ახალი საკვები, დამუშავებული საკვები, ხის პროდუქცია, ქიმიური საქონელი, ტყავის პროდუქცია, ძირითადი მანუფაქტურა, ტანსაცმელი, არაელექტრონული აპარატურა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო ელექტრონიკა, ელექტრონული კომპონენტები, სატრანსპორტო მოწყობილობა, სხვადასხვა წარმოების საქონელი და სასარგებლო წიაღისეული (მინერალები). ეროვნულ ექსპორტსა და იმპორტში ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია სატრანსპორტო მოწყობილობა - შესაბამისად 20 და 10%, ხოლო მსოფლიო ბაზარზე მაღალი წილი აქვს ახალ საკვებს - 0.07 %, თუმცა დივერსიფიკაციის დონით იგი მხოლოდ 147 ადგილზეა 177 ქვეყანას შორის. დივერსიფიკაციის დაბალი დონე ახასიათებს, აგრეთვე, ძირითად მანუფაქტურას (132-ე ადგილი 153 ქვეყანას შორის), ქიმიურ საქონელს (116-ე ადგილი 159 ქვეყანას შორის) და ა. შ. საქართველოს ექსპორტის ყველაზე დივერსიფიცირებულ საქონელს მიეკუთვნება სხვადასხვა წარმოების საქონელი (41-ე ადგილი 158 ქვეყანას შორის), ელექტრონული კომპონენტები (45-ე ადგილი 135 ქვეყანას შორის) და ტყავის პროდუქცია (58-ე ადგილი 125 ქვეყანას შორის). კონკურენტუნარიანობის ეფექტის თვალსაზრისით ცამეტივე საქონელი დადებითი მნიშვნელობით ხასიათდება [4].

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორია ადაპტაციის ეფექტი. დადებითი ეფექტის შემთხვევაში იზრდება ქვეყნის წილი ბაზარზე, ხოლო უარყოფითის დროს კი პირიქით - მცირდება. საქართველოს ადაპტაციის დადებითი ეფექტი აქვს შემდეგ საქონელზე: ახალი საკვები, დამუშავებული საკვები, ძირითადი მანუფაქტურა და ტანსაცმელი [4].

ექსპორტის დივერსიფიკაცია უშუალო კავშირშია ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციასთან. ამიტომ უპირველესად, აუცილებელია ამ უკანასკნელის პროგრესული დივერსიფიკაცია: მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს დამატებული ღირებულების მაღალი წილის მქონე დარგებისა და წარმოებების განვითარებაზე. ამასთან, მაღალი დამატებული ღირებულების საქონლის ექსპორტის ზრდა არ უნდა შეიოფარგლოს მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი საქონლის ექსპორტით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მომსახურებითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობას. დივერსიფიკაციას ამ მიმართულე-

ბით აქვს დიდი მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისათვის, რომლის მშპ-ში მომსახურების წილი დაახლოებით 2/3-ს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს საქონლისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. პროდუქციის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია მწარმოებელთა მიერ საბაზრო ფაქტორების გათვალისწინება ხარისხის კონტროლის ადმინისტრაციული ბერკეტებიდან მისი მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ზომებზე გადასვლა; სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ისეთი მოქნილი სისტემის გამოყენება, რომელიც მწარმოებლებს მისცემს საშინაო და საგარეო ბაზრებზე საქონლის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე არსებით გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო. 2016 წელს ბიზნესის წარმოების სიმარტივით საქართველოს 24-ე ადგილი უკავია 189 ქვეყანას შორის, საკუთრების რეგისტრაციით - მე-3, კომპანიის დაფუძნებით - მე-6, კრედიტების მიღებით - მე-7, დაბეგვრით - მე-40 და ა. შ. ბიზნესგარემოს პარამეტრებიდან საქართველოს ყველაზე ცუდი მდგომარეობა აქვს გადახდისუუნარობის გადაწყვეტის საკითხსა (101-ე ადგილი) და საერთაშორისო ვაჭრობაში (78-ე ადგილი) [5].

საერთაშორისო ვაჭრობის ინდიკატორების მიხედვით საქართველოს უპირატესობა აქვს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, აგრეთვე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მაჩვენებლებთან შედარებით. ექსპორტის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საქართველოს სჭირდება 14 სთ, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში შესაბამისად საჭიროა 28 და 15 სთ. იმპორტის დროს სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საქართველოში იხარჯება 14 სთ, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში შესაბამისად 23 და 4 სთ. სხვა დანარჩენი ინდიკატორებით საქართველო ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებს [6]. აღნიშნული სიტუაცია უარყოფითად აისახება საქართველოს საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობაზე.

ექსპორტის ზრდაზე გავლენას ახდენს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ფარდობითი უპირატესობები. საქართველოს ფარდობითი უპირატესობები ზოგიერთი საქონლის მიხედვით შეფასებულია ბალასას ინდექსით [7, გვ. 99-123], რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$RCA_{ij} = (X_{ij} : X_{it}) / (X_{wj} : X_{wt}),$$

სადაც RCA_{ij} გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობების ინდექსია, X_{ij} და X_{it} შემოსავლის მოცულობა საქონლის ექსპორტისაგან საანალიზო ქვეყანასა და მსოფლიოში; X_{wj} და X_{wt} – ექსპორტის მთლიანი მოცულობა საანალიზო ქვეყანასა და მსოფლიოში.

ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ზოგიერთი საექსპორტო საქონლის ფარდობითი უპირატესობები. როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ყველაზე მაღალი ფარდობითი უპირატესობები აქვს მინერალების, კვების პროდუქტების, ლითონებისა და ბოსტნეულის მიხედვით. შესაბამისად, ექსპორტის დივერსიფიკაციის დონისა და მისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა რიგი ღონისძიების გატარება. მაგალითად, საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი ინფრასტრუქტურული სექტორების ეფექტიანობის ამაღლება. დადგენილია, რომ ექსპორტიორს, რომელსაც ტრანსპორტირების ხარჯები კონკურენტის ხარჯებზე 1%-ზე ნაკლები აქვს, პროდუქციის წილი მისი პროდუქტების ბაზარზე 5-8%-ით ეზრდება [10]. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების ზრდას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოცირების შეთანხმება (AA), რომელიც ხელმოწერილია 2014 წლის 27 ივნისს [11]. ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) შეთანხმება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DC FTA), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DC FTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან [11].

საქართველოს საექსპორტო საქონლის ფარდობითი უპირატესობები

საქონლის დასახელება	საქართველო X_{ij} : X_{it}	მსოფლიო X_{wj} : X_{wt}	RCA_{ij}
ცხოველური	2.15	2.20	0.98
ბოსტნეული	9.20	3.44	2.67
კვების პროდუქტები	17.52	3.40	5.15
მინერალები	9.36	1.52	6.16
საწვავი	2.70	11.01	0.25
ქიმიური საქონელი	10.17	9.14	1.11
პლასტმასის და რეზინის ნაწარმი	1.24	4.34	0.29
ტყავი	0.26	0.73	0.36
ხის ნაწარმი	0.95	2.47	0.38
ტექსტილი და ტანსაცმელი	3.18	4.50	0.71
ფეხსაცმელი	0.15	0.92	0.16
ქვის და მინის ნაწარმი	2.20	4.94	0.45
ლითონები	16.85	6.91	2.44
მანქანები და ელექტრონიკა	2.50	25.11	0.10
ტრანსპორტი	20.56	10.13	2.03
სხვადასხვა	1.02	9.25	0.11
გაანგარიშებულია ავტორის მიერ წყაროების [8, 9] გამოყენებით.			

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი. DC FTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და მისი კონურენტუნარიანობის ამაღლებას, საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DC FTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოოდ, პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და კონურენტუნარიანობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/External%20Merchandise%20Trade%202015_publication%202016.pdf
2. ITC, Market Access Map. http://www.macmap.org/CountryAnalysis/AverageTariffResult.aspx?country=SCC268%7cGeorgia&bysection=0
3. Trade Competitiveness Map. Analyse country and product competitiveness with trade flows http://wits.worldbank.org/countrysnapshot/en/GEO
4. Trade Competitiveness Map. Trade Performance Index http://legacy.intracen.org/appli1/tradecom/TPIC.aspx
5. Doing Business http://www.doingbusiness.org/rankings
6. Doing Business http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia/#trading-across-borders
7. Balassa Bela (1965). Trade Liberalisation and Revealed Comparative Advantage. The Manchester School of Economic and Social Studies, 33: 99-123.
8. WITS http://wits.worldbank.org/CountryProfile/en/GEO,
9. WITS http://wits.worldbank.org/CountryProfile/en/Country/WLD/Year/2014/TradeFlow/Export/Partner/all/Product/90-99_Miscellan

10. Hummels D. Toward a Geography of Trade Costs, GTAP Working Papers 1162, Center for Global Trade Analysis, Department of Agricultural Economics, Purdue University. 1999 [Electronic resource]. - Access: https://www.gtap.agecon. purdue.edu/resources/ download/2876.pdf.
11. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) http://www.economy.ge/ge/dcfta

PROBLEMS OF COMPETITIVENESS OF GEORGIA'S EXPORTS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

L. Korganashvili

Summary

In the conditions of globalization and open economy, sustainable economic growth of the country and its success in world markets depends on global competitiveness. Export plays a special role in improvement of the global competitiveness, so its stimulation is a constant concern of any country. The article considers the main trends in the development of Georgia's foreign trade, analyzed the factors affecting the competitiveness of exports and the comparative advantages of the country's export potential.

Keywords: *export, competitiveness, diversification, comparative advantages.*

ტრანსნაციონალური კორპორაციები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი

შოთა შაბურიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობების განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის და ტექნოლოგიური ტრანფერის უმნიშვნელოვანეს სუბიექტებს. ინოვაციური პროცესი გვევლინება კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ძირითად წყაროა, როგორც ცალკეული კომპანიების, ისე ეროვნული ეკონომიკის დონეზე. ინოვაციური პროცესების გახორციელების ეფექტიანობა განისაზღვრება მისი შედეგების ტრასფერის ინტესივობითა და ხარისხით. ტექნოლოგიების ტრასფერი უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ამაღლებას ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში, კონკურენტუნარიანობის ზრდას და საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოებას.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსნაციონალური კორპორაციები, ინოვაციები, ტექნოლოგიების ტრანსფერი.*

ტრანსნაციონალური კორპორაციები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო ბიზნესში, გვევლინებიან ძირითად სუბიექტად და მრავალმხრივ გავლენას ახდენს მის ფუნქციონირებაზე. მათი რაოდენობა გამუდმებით იზრდება: თუ 70-იან წლებში 7000 დედა-კომპანია იყო, თანამედროვე ეტაპზე 64000–ს აღემატება 830 ათასი უცხოური ფილიალით მთელის მსოფლიოს მასშთაბით[1]. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაზე დაფუძნებულმა უწყვეტმა და პროგრესულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა საყოველთაო სახე მიიღო. ეს უკანასკნელი თანდათანობით სპობს ტრადიციულ განსხვავებას დაბალ და მაღალტექნოლოგიურ დარგებს შორის და ქვეყნის განვითარების საერთო ვექტორს სტატიკური, დროებითი შეფარდებითი უპირატესობიდან ინოვაციებზე დაფუძნებულ, დინამიკურ, კონკურენტული უპირატესობისაკენ მიმართავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის ტექნოლოგიური გარემო, მისი კონკურენტული უპირატესობის გამსაზღვრელი მნიშვნელოვანი რესურსი ხდება, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების კეთილდღეობის არსებითად და მაღალი ტემპებით ზრდა [2, გვ. 117].

ეკონომიკური თვალსაზრისით ტექნოლოგიების ტრასფერი ინოვაციური საქმიანობის შედეგების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში წარმოქმნილ ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოში ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ტრანსნაციონალური კორპორაციები დომინირებენ, მათზე მოდის მსოფლიო ტექნოლოგიური ნაკადების 4/5 [3, გვ. 220].

ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრასფერი ტრანსნაციონალურ კორპორაციებს საშუალებას აძლევს წარმატებით აითვისონ ახალი მეთოდები და მიიღონ შემოსავლები მათი გამოყენებით. ტექნოლგიური ტრასფერის სუბიექტებად გვევლინებიან არა მხოლოდ ტრანსნაციონალური კორპორაციები, არამედ ინოვაციურად აქტიური ფირმები, საინჟინრო და აუთსორსინგული კომპანიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ტრანსფერის ობიექტად გვევლინება საწარმოო ტექნოლოგიები, საინჟინრო-ტექნიკური, საინფორმაციო მომსახურება, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები, სასაქონლო ნიშნები, პროგრამული უზრუნველყოფა ან თავად კომპანია, რომელსაც დაუგროვდა საწარმოო გამოცდილება და ფლობს სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს.

ტექნოლოგიების გადაცემისას ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიის საფუძველს მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც შეიძლება ხანგძლივ პერიოდში. კონკრეტული საბაზრო პირობებიდან გამომდინარე, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგებზე კონტროლის გახანგრძლივებით. შეიძლება გამოვყოთ ტექნოლოგიური ნაკადების რამდენიმე არხი:

1. მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მიწოდება/შესყიდვა მსოფლიო ბაზარზე;
2. მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შიგასაფირმო ბრუნვა ტრანსნაციონალური კორპორაციის საზღვრებში ტრასფერტული ფასებით;
3. მაღალტექნოლოგიური მომსახურების (ინჟინირინგი) მიწოდება/შესყიდვა მსოფლიო ბაზარზე;

4. ლეცენზირება, დაპატენტებული ინოვაციების კომერციული გადაცემა;
5. ინოვაციების შიგასაფირმო გადადინება კორპორაციული არხებით;
6. ტექნოლოგიებზე ორინტირებული პირდაპირი ინვესტიციები ქალიშვილ საწარმოებში;
7. სამეცნიერო-ტექნიკური სტრატეგიული ალიანსების ფორმირება;
8. კომბინირებული არხები, რაც გულისხმობს ერთროულად რამდენიმე არხის გამოყენებას (მაგალითად, ლიცენზიას დამატებული კონცენტრანტების, ძირითადი ტექნოლოგიური კვანძების მიწოდება).

ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ საწარმოო კომპლექსებს ბაზირების ქვეყნის საზღვრებს გარეთ და იკავებენ წამყვან პოზიციებს სხვადასხვა პროდუქტის წარმოებასა და რეალიზაციაში. საკვანძო კომპეტენციების რეალიზაცის გზით ისინი გვევლინებიან მაღალტექნოლოგიური საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის ლიდერებად. აქტიური საექსპორტო პოზიცია ითვალისწინებს ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან კვლევასა და განვითარებაზე დანახარჯების ზრდას. აშშ-ის, იაპონიის და დასავლეთ ევროპის კომპანიათა დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე მათ მთლიან შემოსავალთან მიმართებით 2-6%-ის ფარგლებში მერყეობს. მაღალტექნოლოგიური სფეროს წარმომადგენელი ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის – 4-6%, მანქანათმშენებლობაში 2-4%, მომსახურების სფეროში 2-3% [4].

ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად შიგასაფირმო ვაჭრობა გვევლინება. ტრანსნაციონალური კორპორაციების შიგა ბაზარი წარმოადგენს ცალკეული ფილიალებისა და ქალიშვილი კომპანიების მიერ განხორციელებულ გარიგებებს ტრანსნაციონალური კორპორაციის საზღვრებში, რომელიც ტრანსფერტული ფასებით ხორციელდება. შიგასაფირმო ბაზარი უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კორპორაციის მოგების მაქსიმიზაციას და მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას, იმავდროულად წარმოადგენს ტექნოლოგიების გადაცემის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს [5].

იმ არხებს შორის, რომელსაც ტრანსნაციონალური კორპორაციები მიმართავენ ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრასფერისას, უმნიშვნელოვანესია ლიცენზიების გაყიდვა. ამ მეთოდს უპირატესად მიმართავენ საქონლის სასიცოცხლო ციკლის საწყის ფაზებში, რათა ამოიღონ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები. ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ შეიძლება მიმართოს პატენტით დაცულ პროდუქციაზე მონოპოლიურად მაღალი ფასების დადებას და ლიცენზიების შემძენებისათვის ახალი პროდუქციის წარმოების მოცულობაზე შეზღუდვების დაწესებას. აქტიურად გამოიყენება ასევე საერთო სალიცენზიო პოლიტიკის გატარება ტრანსნაციონალური კორპორაციის საზღვრებში, რაც ქალიშვილი კომპანიებისათვის ტექნიკის და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი არჩევანის შეზღუდვაში ვლინდება. ხშირია ტრანსნაციონალური კორპორაციის მხრიდან ქალიშვილ კომპანიებზე ლიცენზიების გადაცემა არაკომერციულ საფუძვლებზე, რაც მათ ბაზარზე არსებით უპირატესობას უქმნის და ზრდის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სტრატეგიული ალიანსები. თანამშრომლობის ეს ფორმა აძლიერებს მასში შემავალ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და უქმნის დამატებით შესაძლებლობებს, რაც გამოიხატება საგარეო ბაზარზე გასვლის გამარტივებაში, რისკების განაწილებაში, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაში, სინერგიული ეფექტის მიღებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. სტრატეგიული ალიანსის წევრების თანამშრომლობა შეიძლება სხვადასვა მიმართულებით ვითარდებოდეს, გააჩდეს კომპლექსური ხასიათი ან კონცენტრირებული იყოს მხოლოდ სამეცნიერო კვლებით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. თანამშრომლობის სიღრმე ბუნებრივია დამოკიდებულია წევრების მიზნებზე.

მაღალტექნოლოგიური დარგებისათვის დამახასიათებელი სწრაფი პროგრესი ტრანსნაციონალური კორპორაციებისაგან საჭიროებს დიდ დანახარჯებს სამეცნიერო კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური სტრატეგიული ალიანსების რიცხვის ზრდას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი ალიანსის ფარგლებში, როგორც წესი, მყარი ორგანიზაციული სტრუქტურა არ ყალიბდება, ტექნოლოგიური ტრანსფერის ძირითად არხებად შეიძლება მოგვევლინოს პარტნიორების შეთანხმება ახალი პროდუქტის შესაქმნელად კვლევების ერთობლივ განხორციელებაზე, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, სამეცნიერო ნაშრომების გაცვლა, ერთმანეთის ლაბორატორიების სტუმრობა. პარტნიორი ტრანსნაციონალური კორპორაციები სამეცნიერო-ტექნიკური ალიანსის ფარგლებსი თანხმდებიან საკუთარ ლაბორატორიებში შექმნილ სიახლეზე ლიცენზიების გაცვლაზე, რაც ხელმისაწვდომს ხდის ალიანსის ფარგლებში შექმნილ ინოვაციებს [6, გვ. 661].

ტრანსნაციონალური კორპორაციების განთავსების ძირითად ცენტრებად კვლავ განვითარებული ქვეყნები გვევლინება, ამასთან, გამოიკვეთა განვითარებად ქვეყნებში მათი გადანაცვლების ტენდენცია. ასევე იცვლება ინოვაციური საქმიანობის ხასიათი, რომელსაც ტრანსნაციონალური კორპორაციები ახორციელებენ. თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრასფეფერში ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ამაღლებას ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

- ინოვაციური პროდუქტების ბაზრის გლობალიზაცია;
- მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების ბაზრის ინტენსიური განვითარება;
- საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება, ინოვაციები გვევლინება კონკურენტული ბრძოლის მთავარ ფაქტორად;
- ინოვეციების კომერციალიზაციის დაჩქარებული ტემპები;
- ვენჩურული დაფინანსების სწრაფი განვითარება;
- დონორი ქვეყნების მხრიდან რეციპიენტი ქვეყნებისათვის ტექნოლოგიურ სფეროში დახმარების მასშტაბების ზრდა;
- ინოვაციურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმების განვითარება და გაფართოება;
- ქვეყანათა ინტეგრაციული გაერთიანებების ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება;
- სახელმციფოს როლის ამაღლება ინოვაციების დაფინანსების და ტექნოლოგიური მიღწევების საერთაშორისო ტრანსფერის ხელშეწყობაში;
- ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება: ტექნოპარკები, ტექნოპოლისები და ა.შ.

ტექნოლოგიების საერათაშორისო ტრასფერის განვითარება და ამ პროცესის მართვის ტექნოლოგიების გაუმჯობესება განპირობებულია დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს განსხვავებას ტრანსნაციონალური კორპორაციების ტექნიკურ დონეში. დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში უახლესი ტექნოლოგიები კონცენტრირებულია განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში, რომლებსაც მეტი რესურსი გააჩნია გაწიონ დიდი დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე. მაგალითად, აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის ტრანსნაციონალური კორპორაციების დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე რამდენჯერმე აღემატება დანარჩენ ქვეყნებში ბაზირებული კომპანიებისას. განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად იძულებულნი არიან საკუთარი ტექნოლოგიური ბაზა განავითარონ თანამედროვე ტექნოლოგიების საზღვარგარეთ შეძენის ხარჯზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად გვევლინება, შედეგად ყველა ქვეყანა უნდა ცდილობდეს მათი პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება პირდაპირაა დამოკიდებული უნიკალური და პროგრესული ტექნოლოგიების ტრანსფერზე. ამასთან, ახალი პროდუქტების შექმნისა და კომერციალიზაციის პროცესში აუცილებელია ორიანტაცია ავიღოთ ბაზრის მოთხოვნებზე, ინვესტორების, საქონლის და მომსახურების კონკრეტული მყიდველების პრიორიტეტებზე.

ამრიგად, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერში უმნიშვნელოვანესია. ტექნოლოგიური ტრანსფერი როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებს საშუალებას აძლევს უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი ტრანსნაციონალურ კომპანიებს საშუალებას აძლევს აითვისონ ახალი მეთოდები, პროცესები და მიიღონ მოგება მათი გამოყენებით. მიუხედავად ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების მაღალი დონისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე მყარი პოზიციებისა, ბევრი ქყვეყანა ასევე ორიენტირებულია უცხოური ტექნოლოგიების მოზიდვაზე, როგორც პირდაპირი იმპორტის, ასევე უცხოურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან თანამშრობლობის გზით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Конференция ООН по торговле и развитию, Доклад о торговле и развитии. http://un.org›ru/ga/unctad/
2. Meskhia I., Shaburishvili S., Basics of research of the technological environment of business, Scientific Journal of the University of Natural Sciences and Humanities. Series: Administration and Management. N107, Siedlce, 2015.
3. Конкурентоспособность национальных экономик и регионов в контексте глобальных вызовов мировой экономики: монография / под. ред. Т.В. Воро-ниной, Ростов-на-Дону 2016.
4. Global 500: http://fortune.com/global500.
5. Титов В.В. Трансфер технологий: учебное пособие. http://www.innovbusiness.ru/ content/ мdocument _r_EC7F75A5-70D7-4421-84C1-1E6B08ACA8AD.html.
6. Гриффин Р. Пастей М, Международный бизнес, 4-е изд.Пер. с англ., Питер, 2006.

Transnational Corporations and International Transfer of Technology

Sh. Shaburishvili

Summary

Modern transnational corporations play a decisive role in the development of international economic relations. They represent the most important players in innovative activities and transfer of technology. Innovative processes are the main source for ensuring competitiveness both on company and national economy level. Effectiveness of innovative processes is determined by the quality and intensiveness of transfer of their outcomes. Transfer of technologies ensuresincreased productivity in various sectors of national economy as well as increase of competitiveness and expanding export possibilities.

Keywords: *transnational corporations, innovations, transfer of technologies.*

კულტურა, როგორც „ცოდნის პერცეპცია“ და მისი ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესზე

თეიმურაზ შენგელია,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორო, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქროს-კულტურული მენეჯმენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს კულტურული განსხვავებისა და მრავალფეროვნების ფანომენის შესწავლა და ზემოქმედების დადგენა საერთაშორისო ბიზნესის ეფექტიანობაზე. უკანასკნელ პერიოდებში ამ პრობლემის შესწავლას არაერთი მეცნიერის გამოკვლევა მიეძღვნა, რომლებიც ძირითადში განიხილავდნენ კულტურული დეტერმინანტების ზემოქმედებას საერთაშორისო ბიზნესზე.

მოცემულ გამოკვლევაში, ქროს-კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ბიზნესზე ზეგავლენის გაზომვის დარგში არსებული თეორიული მიდგომების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, არგუმენტირებულია კულტურის სტატიკური გაზომვებიდან, დინამიკურ კონსტრუქციაზე - რეალობის ამსახველ „ცოდნის პერცეპციაზე“ გადასვლის აუცილებლობა. ნაშრომში წარმოდგენილი ახალი კონცეპტუალური მოდელი, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომის თეორიული რელევანტობა და პრაქტიკული გამოყენებადობა.

საკვანძო სიტყვები: *ქროს-კულტურა, კონცეფცია, ცოდნა, პერცეპცია, გაზომვა, შედეგები.*

XX საუკუნის 50 -იანი წლებიდან ცნობილი მეცნიერების მიერ, ქროს-კულტურულ მენეჯმენტში ჩამოყალიბდა კულტურის, როგორც „ცოდნის პერცეპციის“ კონცეფცია (ე. ლოურენსი, მ. მიდი, ე. საპირა და სხვ.) [17, გვ. 97]. კულტურის აღნიშნულმა კონცეფციამ, იმთავითვე მიიპყრო მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება. როგორც წესი, ქროს-კულტურული მენეჯმენტის თეორიები ახდენდნენ თავიანთი ყურადღების ფოკუსირებას სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის პრობლემებზე. ქროს-კულტურული მენეჯმენტის ზოგიერთი კარგად ცნობილი თეორიის გარდა [იხ.: 16, გვ. 20], ამ ხასიათის გამოკვლევებში არ განიხილება მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი: კულტურის ფენომენის ტრანსფორმაციის პროცესი ცოდნაში და მისი ზეგავლენა საერთაშორისო ბიზნესზე. არსებული დანაკლისის შევსების მიზნით, მოცემულ გამოკვლევაში შევეცადეთ განგვეხილა „ცოდნის პერცეპციის“ კონცეფციის საფუძველზე, კულტურის, როგორც თანამედროვე ფირმის კონკურენტული უპირატესობის ახლებური გაგება. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტის შესწავლას მიეძღვნა არა ერთი ცნობილი მეცნიერის ნაშრომი [იხ., 17, გვ. 44].

საერთაშორისო ბიზნესისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმის სწორ აღქმას, თუ როგორ მიმდინარეობს მენეჯერების კულტურული თავისებურებების ცოდნაში ტრანსფორმაცია და კომპანიის კონკურენტულ უპირატესობად გადაქცევას. ამ პროცესის ადეკვატური გაგების მიზნით ქროს-კულტურული მენეჯმენტის არსებულ თეორიაში აუცილებელია შევიტანოთ ზოგიერთი ახალი ელემენტი. ამ ელემენტებმა უნდა მოგვცენ შესაძლებლობა გადავიდეთ კულტურის გაზომვების სტატიკურიდან დინამიკურ მოდელზე.

1960-იანი წლების დასაწყისში ქროს-კულტურული ურთიერთობების პრობლემაზე თავიანთი ემპირიული კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს ცნობილმა მეცნიერებმა: ფ. კლუხონმა და ფ. სტროდტბეკმა, 1980 წლების დასაწყისში კი - ტ. დილმა და ა. კენედიმ და სხვ. [6, გვ. 62], მიუხედავად ამისა, ამ სფეროში კვლავინდებურად უმნიშვნელოვანესია გ. ჰოფსტიდის მიდგომა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ „კულტურა - ეს ცნობიერების კოლექტიური დაპროგრამებაა, რომელიც ადამიანთა ერთ ჯგუფს ან კატეგორიას განასხვავებს მეორისაგან“ [15, p. 92]. გ. ჰოფსტიდმა თვისობრივად ახალი საფუძველი ჩაუყარა კროს-კულტურული მენეჯმენტის განვითარებას, მას ეკუთვნის ის კულტურის ხუთი ბიპოლარული საზომი, რომელმაც ძირეულად შეცვალა ქროს-კულტურული მენეჯმენტისადმი არსებული მიდგომები. მეცნიერს მიაჩნდა, რომ ეროვნულ-კულტურული საზღვრები უდიდეს გავლენას ახდენენ მენეჯმენტში არსებული თეორიების რეალურ გამოყენებაზე, ხოლო მეცნიერთა იდეები, ისევე, როგორც მენეჯერების პრაქტიკა, ასახავენ იმ გარემოსა და საზოგადოების შეზღუდვებს, რომელთა ზეგავლენის ქვეშ ისინი იმყოფებოდნენ დროის გარკვეულ პერიოდში. თავისი მეცნიერული არგუმენტაციის გასაძლიერებლად გ. ჰოფსტიდი ეყრდნობა ცნობილი მეცნიერის გ. საიმონის აზრს იმის შესახებ, რომ „მენეჯერებისთვის არ არის უცხო რაიმე ადამიანური“, აგრეთვე, „შეზღუდული რაციონალობის“ ცნებას, რომელიც მეცნიერის მიერ შემოღებულ იქნა

1940 წელს და შემდგომი განვითარება ჰპოვა რ. საიერტისა და ჯ. მერჩის ნაშრომში „ფირმის ქცევითი თეორია“ (1963) [15, გვ. 72]. გ. ჰოფსტიდმა ემპირიული ანალიზის საფუძველზე, გამოყო ერებს შორის არსებული კულტურული სხვადასხვაობის ოთხი ძირითადი საზომი. მოგვიანებით, მ. ბონდთან თანაავტორობით, ამ სიას დაუმატა მეხუთე საზომი “ხანგრძლივი / ხანმოკლე ორიენტაცია“, რომელიც თავისი ფესვებით მიდის „კონფუციურ დინამიზმამდე“. 1991 წელს ჰოფსტიდმა გამოაქვეყნა ქროს-კულტურული პროგრამირების ერთგანზომილებიანი მრავალდონიანი მოდელი, რომელიც მოიცავს ადამიანის ბუნებასა და კულტურას [14, გვ. 95].

XX საუკუნის 90-იანი წლებში კროს-კულტურული მენეჯმენტის პრობლემისადმი ინტერესის ზრდამ, განაპირობა ამ სფეროში მეცნიერული გამოკვლევების გაფართოება. ამ მხრივ საყურადღებოა ფ. ტრომპენაარსის მიერ შემოთავაზებული მენეჯმენტზე ქროს-კულტურული ზეგავლენის დადგენის ახალი მოდელი. მიუხედავად იმისა, რომ ე. შეინის მოდელი ათწლეულობით უსწრებდა ფ. ტრომპერნაარსის კულტურის მოდელს (იხ., ე. შაინის „ორგანიზაციული კულტურა და ლიდერობა [8, გვ. 29]). ფ. ტრომპერნაარსმა სრულიად ახლებურად შეძლო მისი გააზრება. მისი მოდელის საყრდენად გამოდიან უხილავი არტეფაქტები, ხოლო გარეთა ფენას წარმოადგენს ნორმები და ფასეულობები [21, გვ. 24]. კულტურის არსი, ტრომპენაარსის აზრით, მდგომარეობს სამყაროს გაგებისა და ინტერპრეტაციის ხერხებში, რომლებსაც იზიარებენ ადამიანთა ჯგუფები, მათ შემეცნებაში ასახულ პერცეპციაში. მეცნიერს მიაჩნია, რომ კულტურა - ეს ჯგუფის მიერ გაზიარებული გადაწყვეტილებათა მიღების თავისებური სქემაა [24, გვ. 99]. აქ ავტორი ახდენს მ. კროზიერის ციტირებას, რომელმაც შემოიღო კულტურის განმარტება 1964 წელს [15, გვ. 45]. ხამპდენ-ტურნერთან თანაავტორობით გამოცემულ წიგნში ფ. ტრომპენაარსმა შემოგვთავაზა ქროს-კულტურული კომპეტენტურობის ქცევითი ასპექტების, როგორც ბიპოლარულიკულტურული ფასეულობების საფუძველზე გამოყვანილი მაჩვენებლების გაზომვის მეთოდიკა [13, გვ. 63].

ცნობილმა მეცნიერმა ე. ჰოლმა [10, გვ 67], გააღრმავა კულტურის კვლევის არეალი და შეავსო ის კულტურათაშორისი კომუნიკაციური ფაქტორებით, ხოლო მ. სინგერმა [18, გვ. 92], მის ნაშრომებში ყურადღება გაამახვილა კულტურის პერცეპციულ ასპექტზე. კულტურა, როგორც მენტალური მექანიზმი, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს პიროვნების შემეცნებაზე, წარმოადგენს თავისებურ „ცოდნის პერცეპციას“, რომელის მეშვეობითაც ადამიანი შეიცნობს გარემომცველ სამყაროსა და ობიექტურ რეალობას. ამ მიდგომის კონტექსტში [5, გვ. 24] ყველაზე რაციონალურად გვევლინება კულტურის ის განმარტება, რომელიც ხსნის მენეჯერების მიერ ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის მენტალურ უნარს, რითაც საფუძველს უყრის ეკონომიკურად ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამრიგად, ცოდნის მართვის ამ კონცეფციის საფუძველზე კულტურა იძენს სრულიად ახალ ფუნქციას, ის ხდება რეალობის ამსახველი „ცოდნის პერცეპციის“ სისტემა და ამ კონტექსტში მისი გამოყენება მნიშვნელოვანი ხდება ეფექტიანი მენეჯმენტის პრაქტიკაში. ნ. ჰოლდენი [16, გვ. 99] მიიჩნევს, რომ კულტურები წარმოადგენენ ადამიანის ცნობიერებაში დაგროვილი ზოგადი ცოდნის ვარიაციებს, ამიტომ, მათ შორის არსებული განსხვავებების სათავეები ამ „ზოგადში“ უნდა ვეძებოთ.

2014-2015 წლებში საქართველოში ჩატარებული კროს-კულტურული თავისებურებების კვლევის პროცესში, ჩატარდა 80 მენეჯერის ინტერვიურება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 40 უცხოელმა და 40 ქართველმა მენეჯერმა. ჩატარებული ემპირიული კვლევის მიზანი იყო მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით, მმართველობითი სიტუაციების აღქმაში ქროს-კულტურული განსხვავებების თავისებურებათა დადგენა. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სენს-მეიქინგისა [9, გვ 52] და ფენომენოლოგიურ ინტერვიუს [7, გვ. 48] მეთოდოლოგია. კვლევის პირველი ასპექტი მოიცავდა მენეჯერების შერჩევას. უცხოელ მენეჯერთა არჩევანი სქესის მიხედვით იყო ჰომოგენური (40 მამაკაცი), ხოლო სამამულო მენეჯერების დაბალანსებული (20 მამაკაცი და 20 ქალი). კვლევა გამოირჩეოდა რესპონდენტთა ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: სამშობლო, ასაკი, მუშაობის საერთო სტაჟი, საქართველოში მუშაობის სტაჟი. ცხრილ 1-ში წარმოდგენილი უცხოელი, ხოლო ცხრილ 2-ში კი - საქართველოდან მენეჯერების შერჩევის მახასიათებლები, დაჯგუფებულია კომპანიების ტიპის მიხედვით. კვლევის მეორე ასპექტს წარმოადგენდა - კომპანიების შერჩევის მახასიათებლების დადგენა. საქართველოში მოქმედი ყველა უცხოური და ერთობლივი კომპანია ორ ტიპად დაჯგუფდა: „ა“ -კომპანიები კორპორაციული კულტურის დამტკიცებული სტანდარტით, „ბ“ - კომპანიები შესაბამისი სტანდარტის გარეშე. იმ კომპანიების ჩამონათვალში, რომლებშიც მუშაობდნენ რესპონდენტები, შევიდნენ: „ა“ ტიპის უცხოური და ერთობლივი საწარმოები : Hualing International (ჩინეთი); CBD Development; (ნიდერლანდები); APM Terminals (დანია); Coca-Cola Bottlers Georgia (აშშ-საქართველო), რომლებიც წარმოადგენენ მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების ინტერესებს საქართველოში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა შე-

ადგენს 150-დან 300-მდე ადამიანს და „B“ ტიპის უცხოური საწარმოები, რომლებშიც მომუშავეთა საშუალო რიცხვი 40 კაცამდეა: BP group Georgia (დიდი ბრიტანეთი); Old. city Development (პანამა).

ცხრილი 1.

უცხოელი მენეჯერების შერჩევის მახასიათებლები

მენეჯერების მახასიათებლები	რაოდენობა	შერჩევის პროცენტი	მენეჯერების მახასიათებლები	რაოდენობა	შერჩევის პროცენტი
„ა“ ტიპის კომპანიები შეადგენენ საერთო რაოდენობის 47,8%			„ბ“ ტიპის კომპანიები შეადგენენ საერთო რაოდენობის 54,2%		
წარმოშობის ქვეყანა: აშშ ნიდერლანდები ჩინეთი დანია	10 2 3 3	65,3 8,1 14,3 14,3	წარმოშობის ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი პანამა	11 5	62,5 37,5 37.5
ასაკი: 36 წელზე ნაკლები 36-45 წელი 45-წელზე მეტი	7 4 6	43,8 22,5 35,8	ასაკი: 36-ზე ნაკლები 36-45 45-ზე მეტი	1 8 8	12,6 43,7 43,7
მუშაობის სტაჟი კომპანიაში: 1-3 წელი 3 წელზე მეტი	5 13	14,4 85,6	მუშაობის სტაჟი კომპანიაში: 3 წელზე მეტი	16	100
მუშაობის სტაჟი საქართველოში: 1-3 წელი	18	100	მუშაობის სტაჟი საქართველოში: 1-3 წელი 3 წელზე მეტი	5 13	25,6 75,1
განათლება: უმაღლესი საშუალო სპეციალური უმაღლესი	4 14	7,3 81,9	განათლება: უმაღლესი	16	100

ცხრილი 2

საქართველოდან მენეჯერების შერჩევის მახასიათებლები

მენეჯერების მახასიათებლები	რაოდენობა	შერჩევის პროცენტი	მენეჯერების მახასიათებლები	რაოდენობა	შერჩევის პროცენტი
„ა“ ტიპის კომპანიები შეადგენენ საერთო რაოდენობის 64,3%			„ბ“ ტიპის კომპანიები შეადგენენ საერთო რაოდენობის 37,7%		
წარმოშობის ქვეყანა: აშშ ნიდერლანდები ჩინეთი დანია	8 8 5 2	36,9 36,9 21,5 6,3	წარმოშობის ქვეყანა: აშშ ნიდერლანდეი ჩინეთი პანამა	6 4 3 2	46,4 28,3 19,2 9,9
ასაკი: 36წელზე ნაკლები 36-45 წელი	20 3	99,6 10,6	ასაკი: 36-ზე ნაკლები 36-45	10 5	72,7 27,3

მუშაობის სტა-ჟი კომპანიაში: 1-3 წელი 3 წელზე მეტი	 10 13	 48,3 53,6	მუშაობის სტა-ჟი კომპანიაში: 1-3 წელი 3 წელზე მეტი	 5 10	 45,4 50,5
საზღვარგა-რეთ სტაჟირე-ბა: 1-2 წელი არ აქვს	 23	 100	საზღვარგარეთ სტაჟირება 1-2 წელი არ აქვს	 3 12	 25,5 75,0
განათლება: უმაღლესი საშუალო სპე-ციალური	 18 5	 79,1 21,9	განათლება: უმაღლე-სი	 15	 100

როგორც ცხრილ 1-ის მონაცემებიდან ჩანს, უცხოელი მენეჯერების ძირითადი ნაწილის ასაკი 36 წელს ზემოთაა. მათგან უმრავლესობა კომპანიაში 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობს. ამასთანავე, B ტიპის კომპანიის მენეჯერთა 25%-ს საქართველოში მუშაობის 3 - ზე მეტი წლის გამოცდილება აქვთ. ყველა მენეჯერს აქვს უმაღლესი განათლება. ქართველ მენეჯერთა ძირითადი ნაწილის ასაკი 36 წელზე ნაკლებია. A ტიპის კომპანიებში ყველა მენეჯერი სტაჟირებას გადიოდა საზღვარგარეთ 1-დან 2 წლამდე, ხოლო B ტიპის კომპანიებში ასეთი გამოცდილების მქონე მენეჯერი მხოლოდ 25,5 %. MBA - ს ხარისხი აქვს A ტიპის კომპანიის მენეჯერთა 41,1%-ს.

კვლევის მეთოდოლოგია. ინტერვიუს ჩამორთმევა წარმოებდა იმ კომპანიაში, სადაც მენეჯერი მუშაობდა.

თითოეულ რესპონდენთან საუბრის დასაწყისში გამოიყენებოდა სენს-მეიქინგის პროცედურა. რესპონდენტს ვთავაზობდით თავი წარმოედგინა მმართველობით სიტუაციებში მისთვის წინასწარ მიცემული ნუსხიდან. მოცემული ნუსხა შედგენილ იქნა პ. სმიტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მეცნიერის მიერ ქროს-კულტურული რაოდენობრივი კვლევისათვის შემუშავებული ანკეტის [19, გვ 102] საფუძველზე. კერძოდ, კონკრეტიზირებულ იქნა ხუთი მმართველობითი სიტუაცია, რომლებსაც აწყდებიან ერთობლივი საწარმოების მენეჯერები საქართველოში:

- *გადაწყვეტილებების მიღების წესი:* როგორ იღებს მენეჯერი გადაწყვეტილებებს;
- *შრომითი ვალდებულებები:* ვინ უნდა აგოს პასუხი სამუშაოს შესრულებაზე - ინდივიდმა თუ გუნდმა?
- *პრემიების განაწილება:* ფულადი პრემია ნაწილდება გუნდის ყველა წევრზე თანაბრად თუ ინდივიდუალურად, თითოეულის წვლილის შესაბამისად;
- *ახალ თანამდებობაზე დანიშვნა:* რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს მენეჯერი (კანდიდატის უნარი/მიღწევები, ორგანიზაციაში დასაქმებული ზემდგომი თანამშრომლების ან მეგობრების რეკომენდაციები და ა.შ.);
- *წუნდებული სამუშაოს შეფასება:* როგორ რეაგირებენ მენეჯერები ქვეშევრდომების შრომითი ვალდებულებების უხარისხო შესრულების ფაქტზე.

მას შემდეგ, რაც რესპონდენტი შეჩერდა კონკრეტულ მმართველობით სიტუაციაზე, მას მიეცა წინადადება მოკლედ აღეწერა ის. წარსულში მომხდარ გარემოებებზე მსჯელობისას რესპონდენტი აღწერდა სხვა კულტურის მატარებელი კოლეგის მიდგომებს კონკრეტული საკითხისადმი, (მის ცოდნას, განცდებს). რესპონდენტის სენს-მეიქინგი მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვედგინა თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ის ამ მიდგომებს.

შემდეგი ეტაპი მოიცავდა ფენომენოლოგიური ინტერვიუს, რომლის მიზანი იყო გაგვეგო თითოეული რესპონდენტის განცდები კონკრეტულ მმართველობით სიტუაციასთან მიმართებაში. კერძოდ, რესპონდენტთან დიალოგი მიმდინარეობდა ტიპიური კითხვებით: „რას გრძნობდით, როდესაც ეს მოხდა?“: „რას მოგაგონებთ ეს?“. ფენომენოლოგიური ინტერვიუს პროცესში აუცილებელი იყო ჩამოგვეყალიბებინა კითხვა ისე, რომ ის გასაგები ყოფილიყო რესპონდენტისთვის. ამ მიზნით ვეყრდნობოდით იმ ინფორმაციას , რომელიც მიღებული იყო სენს-მეიქინგის შედეგად.

კონკრეტული სიტუაციების განხილვის პროცესში თითოეულ რესპონდენტს ვუსვამდით სამ კითხვას, რომელიც გვეხმარებოდა, პასუხების შედარებაში, ინფორმაციის დამუშავების შემდგომ სტადიაზე მის კოდირებასა და ინტერპრეტაციაში: 1.რამდენად ხშირად აწყდებოდით მოცემულ სიტუაციას? 2. იყო

თუ არა მისი წარმატებული გადაწყვეტის პრობლემა? 3. როგორ შეაფასებდით გამოყენებული მიდგომის მნიშვნელობას კომპანიის პრობლემის გადაწყვეტაში ?

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სამკომეტაპიანი პროცედურა: წინასწარ ჩამოყალიბებულ იქნა სამუშაო კატეგორიები კონკრეტული შემთხვევებისაგან აბსტრაგირების, მონაცემთა შედარებისა და კოდირების საფუძველზე [Strauss, 1987]; შემდეგ ისინი ინტერპრეტირებულ და რეკონსტრუირებულ იქნენ და ბოლოს, მოხდა მათი ინტეგრირება მენეჯმენტის რელევანტურ კონცეფციებში.

რესპონდენტების ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე, დადგენილ იქნა მენეჯერების მიერ მმართველობითი სიტუაციების აღქმაში კროს-კულტურული განსხვავებების ორი ნიუანსი. პირველი, მენეჯერების მსჯელობა შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფისათვის კომუნიკაციის მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ კულტურათაშორისი ურთიერთქმედების პროცესში ისინი ავლენდნენ ახალ „ჭეშმარიტებებს“ ქართველი ან უცხოელი მენეჯერების (ტიპიური ქცევის, რეაქციებისა და ა.შ.) შესახებ. მეორე ჯგუფისათვის - *კომუნიკაციის მნიშვნელობა* მდგომარეობდა თვით კომუნიკაციის აქტში, რადგან კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთქმედების პროცესში, ისინი აფართოებდნენ თავიანთ თვალთახედვას და ხედავდნენ პრობლემას ახალ ჭრილში. მეორე კატეგორიის, მენეჯერების პასუხებში, რომლებიც მნიშვნელობას ხედავდნენ თვით კომუნიკაციის აქტში, აღმოჩენილ იქნა *ზოგადი ინფორმაცია,* რომელიც ცხადი იყო სხვა კულტურული გარემოს წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ჩვენ აღმოვაჩინეთ ერთი კულტურული დონის წარმომადგენლებს შორის პასუხების მსგავსება : B ტიპის კომპანიის უცხოელ მენეჯერებს, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში 3-ზე მეტი წლის განმავლობაში, და A ტიპის კომპანიების უცხოელ მენეჯერებს შორის, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში 3-ზე ნაკლები წლის განმავლობაში, მაგრამ ჰქონდათ კომპანიაში მუშაობის 3-ზე მეტი წლის სტაჟი და საკმარისი გამოცდილება იმისათვის, რომ ადექვატურად შეეფასებინათ კომპანიისთვის მათ მიერ გამოყენებული მიდგომის მნიშვნელობა). თავიანთი კომპანიებისთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აზრთა გაზიარების მნიშვნელობის საკითხს, მენეჯერები დადებითად აფასებენ, რადგანაც ისინი იძლევიან სხვადასხვა კულტურის მატარებელ მენეჯერთა ცოდნისა და გამოცდილების გაერთიანების შესაძლებლობას. მენეჯერების პასუხებში არსებული ინფორმაცია ამდიდრებს მოცემულ დარგში მენეჯერების ცოდნას და ამით ხელს უწყობს მის სრულყოფილ გამოყენებას.

ამრიგად, ორი ზემოთ აღწერილი ნიუანსის აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ პირობითი კატეგორია, რომელსაც ვუწოდეთ „ცოდნის პერცეპცია“, რომლის მიხედვითაც „სრული ინფორმაციის“ დანახვის უპირატესობა გააჩნიათ მენეჯერებს, რომლებიც თანამშრომლებს აღიქვამენ როგორც მნიშვნელოვანი ცოდნისა და გამოცდილების მატარებლებს და ურთიერთქმედებენ მათთან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტის პროცესში, სხვადასხვა კულტურების ინტელექტუალურად შეთანხმებული წარმომადგენლების ურთიერთქმედება, სხვადასხვა გამოცდილებისა და მიდგომების კომბინირების საფუძველზე, იძლევა ახალი ცოდნის მიღებისა და მენეჯმენტის სრულყოფის საშუალებას.

კულტურის, როგორც „ცოდნის პერცეპციის“ კონცეფცია, შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთობლივი ცოდნის კოდიფიკაციისთვის. ის იძლევა ქროს-კულტურული განსხვავებების ტრადიციულ კვლევათა ახლებური ინტერპრეტირების საშუალებას, რადგან „ცოდნის პერცეფცია“ წარმოადგენს დინამიურ კონსტრუქციას, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორ გარდაქმნიან მენეჯერები კულტურის დარგში დაგროვილ ცოდნას კომპანიის კონკურენტულ უპირატესობად.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, თუ როგორ შეუძლია მენეჯერებს შეავსონ ცოდნა კულტურის სპეციფიკურ სფეროში, და გამოიყენონ ის მენეჯმენტის პრაქტიკაში. ამ დინამიური კონცეფციის გამოყენების შედეგად, ინფორმაციის ახლებური აღქმის საფუძველზე, იზრდება მენეჯერების ქროს-კულტურული კომპეტენტურობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კორშია. კულტურა და ანტროპოლოგია 2006. თბ., „ინტელექტი“. 341 გვ.
2. უცხო ენათა ლექსიკონი, თბილისი, 1999, 468 გვ.
3. შენგელია თ. მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი.თბილისი, „უნივერსალი“, 2016. 448 გვ.
4. Каган М. (1996) Философия культуры Петербург, „Знание“,1996. 654 с.
5. Когут В. Зандер У. Знание фирмы, комбинационные способности и репликация технологии. Журнал менеджмент., Т. 2. № 1. 2004. 543 с.

6. Солтицкая Т. Кросс-культурные аспекты управления персоналом. Вестн. С. Петерб. ун-та, Сер. Менеджмент, Вып. 3. 2002. 211 с.
7. Янчук В. Методология теория и социального исследования. Минск, 2000. 432 с.
8. Shein E.(2014) Organizacion Culture and Leadership. Cambridge University Press. 2014
9. Dervin B. From the Mind's Eye of the User: The Sense-Making Qualitative-Quantitative Methodology // Qualitative Research in Information Management / Eds. J. D. Glazier, R. R. Powell. Eaglewood, CO: Libraries Unlimited. 1992
10. Hall E. Beyond Culture. N. Y.: Doubleday. 1996
11. Hall E. T. The Hidden Dimension. N. Y.: Anchor Books. 1966
12. Hall E. The Silent Language. N. Y.: Doubleday.1959
13. Hampden-Turner Ñ., Trompenaars F. Building Cross-Cultural Competence: How to Create Wealth from Conflicting Values. Chichester: Wiley. 2000
14. Hoecklin L. Managing Cultural Differences. Woking-ham: Addison-Wesley. 1995
15. Hofstede G. Cultural Constraints in Management Theories // International Management Behavior / Eds. H. W. Lane, J. DiStefano, M. Maznevski. 4th ed. Cambridge, MA: Blackwell. 2000
16. Holden N. Cross-Cultural Management: A Knowledge Management Perspective. Harlow: Financial Times, Prentice Hall. 2002
17. Moore J. Visions of Culture: An Introduction to Anthropological Theories and Theo-rists. Walnut Creek, CA: AltaMira Press.1997
18. Singer M.The Role of Culture and Perception in Communication // Culture, Commu-nication and Conflict: Readings in Intercultural Relations / Ed. by G. R. Weaver. Needham Heights, MA: Simon & Schuster Custom. P. 28–53. 2001
19. Smith P., Peterson M., Schwartz S. and 37 co-authors. Cultural Values, Sources of Guidance and Their Relevance to Managerial Behavior: A 47-nation Study // Jour-nal of Cross-Cultural Psychology. Vol. 33. P. 2002
20. Strauss A. Qualitative Analysis for Social Scientists. Cambridge: Cambridge University Press.1987
21. Trompenaars F. Riding the Waves of Culture: Understanding Diversity in Global Business. Chicago: Irwin. 1994

Culture, as a „Perception of Knowledge“ and its Role in International Business

T. Shengelia

Summary

Conception of culture, as of „Knowledge perceptions”, can be used for codification of joint knowledge. It gives a possibility for a new interpretation of traditional studies of the cross-cultural differences, because „the perceptual prism” is a dynamic construction, enabling us to understand how the managers transform the knowledge accumulated in the sphere of culture into the competitive advantage of the company.

The results of studies show how the managers can fill in knowledge in the specific sphere of culture and use it in the practice of management. In result of using a dynamic conception of „Knowledge perceptions”, on the basis of new apprehension of information, cross-cultural competence of managers increases. Traditional static models of culture cannot be used for the formation of this skill in a practical aspect.

Keywords: *Cross-Culture, concept, knowledge, perception, measurement results.*

თვითმენეჯმენტის თეორიიდან პრაქტიკისაკენ: კარიერის დაგეგმვისა და შექმნის პრინციპები

გიორგი შიხაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე საზოგადოებისთვის მეტად აქტუალურია მსჯელობა პრაქტიკული თვითმენეჯმენტის ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაზე, როგორიცაა კარიერის დაგეგმვისა და შექმნის საკითხები.

სტატიაში გადმოცემული თანამედროვე დასავლური სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარება ფართო საზოგადოებას და ზრდასრულ ადამიანებს, აღმოაჩინონ და აკეთონ საყვარელი საქმე და იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებენ.

საკვანძო სიტყვები: *ვინ ხართ თქვენ, ღრმად ჩაწვდით და მართეთ საკუთარი თავი, სამუშაო ბაზრის ტენდენციები, მცირე ბიზნესის დაწყება.*

თანამედროვე დასავლური სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარება ფართო საზოგადოებას და ცალკეულ ადამიანებს აღმოაჩინონ და აკეთონ საყვარელი საქმე და იცხოვრონ ისეთი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებენ [1; 2; 3; 4; 5; 6].

უნდა გვახსოვდეს, რომ როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა და ასაკი, არასდროს არის ძალზე ადრე ან გვიან - აღმოვაჩინოთ ჩვენთვის საუკეთესო კარიერა.

ქვემოთ ვიმსჯელებთ კარიერის დაგეგმვისა და შექმნის აქტუალურ საკითხებზე და დავსახავთ დასახული მიზნების მიღწევის პრაქტიკული გზებს.

I. ვინ ხართ თქვენ?

კითხვა – „ვინ ვარ მე?“ - ხშირად ჩნდება ჩვენს ცხოვრებაში, უკვე 20-30 წლის ასაკში გარკვეულად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გაგვაჩნია ამის შესახებ. როდესაც მივაღწევთ 40, 50 და 60 წელს, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ კითხვას კვლავ ვუსვამთ საკუთარ თავს.

ეს არის კითხვა, რომელიც საჭიროა ხშირად გავუმეოროთ საკუთარ თავს, რაც ჩვენთვის სასურველი კარიერის ძიების პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ხომ მართალია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობას 10 წლის მანძილზე უყურადღებოდ არ დატოვებთ? იგივე დამოკიდებულება გვმართებს კარიერითა და ცხოვრების სტილით დაკმაყოფილების დონის მიმართ, ვინაიდან ჯანმრთელობა, ცხოვრებისეული ბედნიერება და კარიერული წარმატება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ცხოვრების მანძილზე გავდივართ ზრდისა და განვითარების ეტაპებს. ყოველი ეტაპი წარმოგვიდგენს ახალ სფეროს, რომლებზე ფოკუსირების საშუალებითაც განვსაზღვრავთ, თუ როგორი ტიპის ინდივიდები, პიროვნებები, მეგობრები, პარტნიორები, მშობლები ვართ ჩვენ კარიერის დაწყების, კარიერის პიკისა და პენსიაზე გასვლის სტადიებში. ყოველივე ამის გამო აუცილებელია მუდმივად ვიზრუნოთ წარმატებული კარიერის მიღწევის გზების დასახვა-განხორციელებისათვის.

ჩაუტარეთ ანალიზი საკუთარ თავს, დაიწყეთ თითოეული ასპექტის შესწავლით და ჩამოწერეთ თქვენი მოსაზრებები ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების მიხედვით.

1) რა არის ჩემი ფასეულობები?

ფასეულობები – ეს არის დამოკიდებულება და რწმენა ყოველივე იმისადმი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მათი დემონსტრირება ხდება შესაბამისი ქცევების საშუალებით აღნიშნულ ფასეულობებთან მიმართებით. ფასეულობები ძირითად როლს ასრულებს ჩვენ მიერ სამუშაოს ტიპის, სამუშაო გარემოს, ცხოვრების სტილის შერჩევის საქმეში, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და შესრულებადია.

2) რისი გაკეთება მომწონს?

ეს თქვენი ინტერესებია და ყოველივე ისაა, რისი გაკეთებაც მოგწონთ, გსიამოვნებთ და გეხერხებათ. გაიხსენეთ ბოლო სამი თვე და ჩამოწერეთ ის, რასაც აკეთებდით ამ პერიოდის განმავლობაში და რისი გაკეთებაც გსიამოვნებდათ.

3) ყველაზე უკეთ რა გამომდის?

ის, რისი გაკეთებაც საუკეთესოდ გამოგვდის, სავარაუდოდ, ჩვენი ნიჭია ან უნარები, რომელთა გაკეთება უკეთესად შეგვიძლია. გაიაზრეთ, თუ რა გამოგდით ყველაზე კარგად.

4) სად მინდა ვცხოვრობდე?

ბევრი ადამიანისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი კითხვაა მათი კარიერული და ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოგწონთ სხვადასხვა კულტურის მქონე ადგილებში ცხოვრება? გჭირდებათ გარკვეული კლიმატი ჯანმრთელობის თვალსაზრისით? ფიქრობთ, რომ თქვენი საქმიანობა უფრო მომგებიანი იქნება გარკვეულ ადგილებში ან კლიმატური პირობების გამო? ამჟამად, სად გსურთ იცხოვროთ და რატომ?

5) რა რაოდენობის თანხა მსურს მქონდეს?

კარგად უნდა გესმოდეთ, რომ ფული მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია თქვენთვის კარიერის შერჩევისას ან იმაში უნდა იყოთ დარწმუნებულნი, რომ თქვენ მიერ გაკეთებული საქმის გამორჩეულობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და ფული ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. გაიაზრეთ, თუ რა რაოდენობის თანხის გამომუშავება გსურთ ყოველწლიურად. რა რაოდენობის თანხა გსურთ იქონიოთ და რატომ?

მინიმუმი, რომელიც საჭიროა იცოდე:

1. გამორიცხეთ ის სამუშაოები, რომლებიც ნამდვილად არ მოგწონთ - ამით ოპტიმალურად შეამცირებთ გასააზრებელ არეალს;
2. გაიაზრეთ თქვენი ფასეულობები, ვინაიდან სწორედ ის გამოძრავებთ კარიერის დაგეგმვის საკითხში გადაწყვეტილებების მიღებისას;
3. გაითვალისწინეთ, რომ კარიერასთან დაკავშირებით გაკეთებული არჩევანი შეგეცვლებათ ცხოვრებისეული და სამუშაო გამოცდილების კვალობაზე.

II. ღრმად ჩაწვდით საკუთარ თავს, გაიაზრეთ სამუშაო ბაზრის ტენდენციები

თქვენთვის საოცნებო და ბედნიერების მომტანი კარიერის აღმოჩენა იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე იმის გაგება, თუ რა გსურთ თქვენ. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის იმის მკაფიოდ დადგენა, თუ რა გეხერხებათ კარგად და რომელი ტიპის სამუშაო შეესაბამება ყველაზე უკეთ თქვენს ფასეულობებს, ტემპერამენტსა და ინტერესებს.

იმის დადგენაში, თუ ვინ ხართ და რა გსურთ, საუკეთესო სამსახურს გაგიწევთ თვითშეფასება. თვითშეფასება - ეს არის თქვენი პიროვნული ღირსებებისა და თვისებების გამოვლენა, რაც გეხმარებათ საკუთარი ძლიერი მხარეების დადგენაში.თვითშეფასებას შეუძლია უზრუნველგყოთ საჭირო ინფორმაციით თქვენი ფარული ტალანტების, პიროვნული თვისებებისა და ინტერესების შესახებ, რის შედეგად თქვენ შეიტყობთ ბევრ მნიშვნელოვან რამეს მთლიანად საკუთარი თავის შესახებ და აღმოაჩენთ თქვენი საოცნებო კარიერისკენ მიმავალ გზას.

ოცნებები. ოცნებები ინფორმაციის წყაროა. გაიხსენეთ ის ოცნებები, რომლებიც გაგაჩნდათ ახალგაზრდობაში და კვლავ მიილტვით მათკენ. ეს ოცნებები შეიძლება იყოს იმ ელემენტთა ძირითადი გასაღები, რომლებიც განსაზღვრავს იმას, თუ ნამდვილად რას ნიშნავს თქვენთვის შესანიშნავი კარიერა. ოცნებების გადამოწმებასთან ერთად, თვალი მოავლეთ თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს და განსაზღვრეთ, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ ახლა.

იმის გაანალიზება, თუ რამდენად გაკმაყოფილებთ თქვენი სამსახური, ფინანსური შემოსავალი, ოჯახი და სამეგობრო წრე, ჯანმრთელობა, გონება, სულიერი მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი გარემო, გართობა და რეკრეაცია, თქვენ მოგცემთ უფრო მეტ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გსურთ გქონდეთ მომავალში ნაცვლად დღევანდელისა. ეს არის გარკვეულწილად შემდგომი ნაბიჯი ოცნებების დროში წინსვლის წანამძღვრების შესაქმნელად.

ფასეულობები არის დამოკიდებულებები და რწმენები, რაც გავლენას ახდენს თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებზე. იმის მიუხედავად, თუ რისი სწამთ სხვებს, შესაძლებელია იპოვოთ კარიერა, რომელიც შეათავსებს სამუშაოს თქვენს ფასეულობებთან.

პიროვნული თვისებები. თქვენი პიროვნება იმაზე უფრო მეტია, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ. იგი თქვენი ყველა თვისებისა და მახასიათებლების საერთო ჯამია. ეს კომპლექსური სისტემა მოიცავს ემოციურ მახასიათებლებს, ტემპერამენტს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ქცევებს, რომლებიც თქვენ განუმეორებელს გხდიან. თქვენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომელსაც შეუძლია დაგეხმაროთ თქვენთვის საოცნებო კარიერის მოძიებაში, შეიძლება არ იყოს ის თვისება, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ.

მოტივაცია. გაქვთ თუ არა წარმოდგენა თქვენი მოტივაციების შესახებ? რა გაძლევთ ენთუზიაზმით დღის დაწყების საფუძველს? ზოგი მოტივაცია ეფუძნება საჭიროებებს და კომუნიკაციებს, რაც დროთა განმავლობაში იცვლება (მაგალითად, ფული; აღიარებული და დაფასებული ურთიერთობები, რომელთაც საზოგადოების და სულიერების განვითარებაში შეაქვს წვლილი).

სხვა მოტივაციები უფრო სიღრმისეულია, მაგალითად, რეალურად რას ვაფასებთ ჩვენს კარიერაში:

- *ცხოვრების ტიპის შეფასების ოთხი კოლოფი* დაგაფიქრებთ და დაგეხმარებათ განსაზღვროთ პრიორიტეტები თქვენი მოტივაციის ოთხი ძირითადი სფეროს მიმართულებით: უსაფრთხოება, ურთიერთობები, აღიარება და ანაზღაურება.
- *კარიერის ღუზები, რეალური ფასეულობების განსაზღვრა.*

მაგალითად:

1. საკუთარი თავის ექსპერტად ხედვა;
2. სხვათა მართვისა და ხელმძღვანელობის სურვილი;
3. დამოუკიდებლად მუშაობა;
4. მიმდინარე უსაფრთხოებით სარგებლობა;
5. მეწარმედ ყოფნა;
6. მომსახურების უზრუველყოფა;
7. გამოწვევების მიღება;
8. ცხოვრების სპეციფიკური სტილით სარგებლობა.

ინტერესები. ინტერესების გათვალისწინება ხშირად ბევრს ავიწყდება. ათეული წლების განმავლობაში, ადამიანები ირჩევენ კარიერას თავიანთი ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინების გარეშე. ამიტომ, ბევრი პროფესიონალი ვერასოდეს განიცდის სამუშაოსგან მიღებულ სიამოვნებას.

უნარები. თვითშეფასებას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს თქვენი უნარები. ამ უნარებში შედის ის გამოცდილებაც, რაც თქვენ სამსახურებრივი და ცხოვრებისეული პრაქტიკიდან მიიღეთ.

ასეთი უნარები სამ ძირითად კატეგორიად იყოფა:

- *გადაცემადი ან ფუნქციონალური უნარები:* უნარები, რომელთა გადაცემა მარტივია ერთი სამუშაოდან მეორეზე, მაგალითად, ბეჭდვა ან კომპიუტერული პროგრამის ცოდნა;
- *ადაპტირებადი უნარების თვითმართვა:* ქცევითი უნარები, რომლებიც შესრულებული სამსახურებრივი და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან შეიძინეთ. მაგალითად, თქვენ შესანიშნავად ახერხებთ დაძაბულ გარემოში მუშაობას ან კარგი კომუნიკატორი ბრძანდებით;
- *ტექნიკური ან სამუშაო შემცველობის უნარები:* უნარები, რომლებიც სპეციფიკური განათლების შედეგად მიიღეთ, მაგალითად, მასწავლებლის ან ბუღალტრის დიპლომი.

ცხოვრებისეული სტილი. ნათელი წარმოდგენის შექმნა ცხოვრების ისეთი სტილის შესახებ, რომელსაც უპირატესობას ანიჭებთ, მოიცავს იმის აღქმას, თუ რა ოდენობის ფინანსური სახსრები გესაჭიროებათ იმისათვის, რათა უზრუნველყოთ საჭირო ბალანსი კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის. როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სამუშაო საათების შემდეგ ან დასვენების დღეებში? რა არის თქვენს ცხოვრებაში თქვენთვის მნიშვნელოვანი - ურთიერთობები, დასვენება, გართობა თუ საზოგადოებრივ საქმიანობებში მონაწილეობის მიღება? შეფასების მოცემული არე არსებითი მნიშვნელობისაა თქვენი კარიერის არჩევანის გაკეთებისას.

იდეალური სამუშაო გარემო. რა ტიპის სამუშაო გარემო მოგწონთ? მაგალითად, მოგწონთ თუ არა მარტო მუშაობა? ვერ იტანთ ოფისზე მიჯაჭვულობას? იქიდან გამომდინარე, თუ როგორ უპასუხებთ მსგავსი ტიპის კითხვებს, შეგიძლიათ განსაზღვროთ კარიერის სფეროები, სადაც თქვენ უფრო კომფორტულად და ბედნიერად იგრძნობთ თავს. ეს, აგრეთვე, დაგეხმარებათ უფრო დაკონკრეტდეთ ისეთი ორგანიზაციის მოძიების პროცესში, რომელიც თქვენთვის კარგი სამუშაოს ცნებას ყველაზე მეტად შეესაბამება.

სამუშაო ბაზრის ტენდენციები. სამუშაო ბაზრის ცვლილებათა ტენდენციების გაცნობიერება დაგეხმარებათ გამოიყენოთ შესაძლებლობები ახლა და მომავალში. აუცილებლად უნდა იყოთ საქმის კურსში, თუ რომელი სამუშაოს ტიპებია დღეს ყველაზე მოთხოვნადი. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე შესაძლებლობაზე ერთად ფიქრობთ და ერთ-ერთი მოთხოვნა ძალზედ მაღალია, შეგიძლიათ დაიწყოთ აღნიშნული ტიპის სამუშაოს განხილვით.

შრომის ბაზარზე საუკეთესო სამუშაოებად ითვლება დაბალი სტრესის, კარგი სამუშაო პირობების და სერიოზული ანაზღაურების მქონე სამსახურები.

სამუშაო ბაზარზე მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ თქვენი ყველა მოთხოვნის შესატყვისი კარიერის განსაზღვრაში.

სამუშაო ბაზრის ტენდენციების საშუალებით შესაძლებელია განსაზღვროთ ყველაზე მოთხოვნადი სამუშაო როგორც ამჟამინდელი მდგომარეობით, ისე ახლო მომავლის თვალსაზრისით.

ბაზრის ტენდენციების შესწავლით შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია ისეთი ახალი სამუშაო სფე-

როების გამოჩენის შესახებ, სადაც აქცენტი კეთდება განათლებასა და ტრენინგზე. ამიტომ აუცილებელია საკუთარ თავზე მუშაობა, რათა გახდეთ სასურველი კადრი მთელი ჩვენი ცხოვრების პერიოდში.

III. მცირე ბიზნესის დაწყება - წარმატებული თვითდასაქმების საწინდარი

საკუთარი ბიზნესის დაწყებისას აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინება:

- რა ბიზნესს ირჩევთ და რას მოგიტანთ იგი თქვენ? რა პრობლემების ან საკითხების გადაჭრას უზრუნველყოფს იგი სხვებისთვის? რა პროდუქციას ან მომსახურებას მიაწვდით ბაზარს? სად და როგორ იპოვით საკუთარ ადგილს ბაზარზე?
- ვინ არიან თქვენი იდეალური დამკვეთები ან კლიენტები? რა ბაზრებზე აპირებთ ორიენტაციას?
- როგორ აცნობთ მომხმარებელს საკუთარ საქმიანობას და რას სთავაზობთ მას? კონკრეტულად სად არის თქვენი ბიზნესისთვის გათვლილი ბაზარი? როგორ შედიხართ ბაზარზე და როგორ ქმნით ქსელს, რომელიც ბაზარზე თქვენთვის და თქვენთან ერთად იმუშავებს? რა ტიპის მარკეტინგული ინსტრუმენტები გესაჭიროებათ? გჭირდებათ თუ არა ვებგვერდი?
- რა ტიპის და ოდენობის ფინანსური ინვესტიცია გჭირდებათ ბიზნესის დასაწყებად? როგორ და საიდან იზიდავთ ფინანსებს ბიზნესის დასაწყებად? როგორია თქვენი კრედიტუნარიანობა? როგორ აწარმოებთ ფინანსურ ანგარიშებს? გჭირდებათ თუ არა ბუღალტერი? რა ტიპის ჩანაწერების წარმოება მოგიწევთ? რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებთ?
- რომელი იურიდიული მომენტების გათვალისწინება დაგჭირდებათ თქვენს ბიზნესთან დაკავშირებით? რა სახის მოვალეობები და პასუხისმგებლობა გეკისრებათ თანამშრომლების დაქირავების შემთხვევაში?
- როგორ შეადგენთ ბიზნესგეგმას, რომელშიც უნდა აისახოს პასუხები და ანგარიშები ყველა ზემოჩამოთვლილ კითხვაზე?

თქვენს ბიზნესში წარმატების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია სათანადო დონის ოფისის მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენი ბიზნესის განვითარებას.

ოფისში საჭიროა უზრუნველყოთ შემდეგი:

- *კარგი განათება.* ყველაფერს უნდა ხედავდეთ ნათლად და განათებამ უნდა შექმნას გამახალისებელი და არა ძილის მომგვრელი გარემო;
- *ჰაერის კარგი დენადობა.* აუცილებელია ფანჯრიანი ოთახი და კონდიციონერი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ მიიღოთ სათანადო ტემპერატურის ჰაერი წლის ნებისმიერ დროს;
- *ავეჯი და სამუშაო ტექნიკა;*
- *საკომუნიკაციო საშუალებები* და *საკანცელარიო ინვენტარი.*

ფარული რეალობები. საჭიროა მოემზადოთ ზოგიერთი ფარული რეალობისთვის, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეთ საკუთარი ბიზნესის წარმოების დროს.

ამ მხრივ, სავარაუდოდ, მოსალოდნელია შემდეგი:

- *საბაზრო სიტუაცია.* ბაზარზე თქვენი პროდუქციის ან მომსახურების გატანისათვის ჩაატარეთ წინასწარი მარკეტინგული კვლევა. შეისწავლეთ ფასები. გაითვალისწინეთ სარეკლამო ხარჯები, ამასთან, მოიძიეთ რეკლამირების უფასო საშუალებები (მაგალითად, ღონისძიებებზე გამოდით სიტყვით, ან მიეცით ინტერვიუ ადგილობრივ გაზეთს);
- *ცხოვრება ხელფასის გარეშე.* ბიზნესი არის ცხოვრების სრულიად განსხვავებული გზა. თქვენ, ალბათ, მიჩვეული იყავით და იცოდით, თუ რა თანხას აიღებდით ხელფასის სახით ყოველ კვირას ან ყოველ თვეს. ახლა თქვენ გადახვედით თქვენი პროდუქციის ან მომსახურების გაყიდვაზე და ზოგჯერ მაშინვე არ იღებთ თქვენს კუთვნილ ფულს. ხშირად თქვენ მოგიწევთ საქონლის გაცემა ნისიად, გარკვეული განვადებით. ასეთი გარემოების დასაძლევად საჭიროა იქონიოთ კრედიტი და ნაღდი სარეზერვო ფული გადასახადების გადახდისას პრობლემებისგან დაზღვევის მიზნით. აწარმოო საკუთარი ბიზნესი - ნიშნავს იყო საკუთარი თავის კრედიტორი.

მართე საკუთარი თავი.

მცირე ბიზნესში წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს თვითმენეჯმენტი.

მიზნების მისაღწევად თქვენ მოგეთხოვებათ შემდეგი:

- აწარმოეთ ჩანაწერები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში;
- წარმოიდგინეთ, თუ როგორ განახორციელებთ დაგეგმილ ქმედებებს;

- შექმენით კვლევისა და განვითარების ჯგუფი, რომელიც იმუშავებს მარკეტინგის, იდეების შეფასების, ახალი პროდუქციისა და განფასების კვლევის საკითხებზე;
- შექმენით ანგარიშგების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყოველდღიურად ვინმე ახლობელს (ტრენერს, მეგობარს, პარტნიორს) საკონსულტაციოდ წარუდგენთ ანგარიშს შესრულებული საქმიანობის შესახებ;
- აუცილებლად წაახალისეთ და დაარწმუნეთ საკუთარი თავი რაიმე ღონისძიების, პროექტის დასრულებისას; აწარმოეთ ჩანაწერები თქვენი წარმატებების, სწავლებისა და იდეების შესახებ, რათა სიამოვნებით და დარწმუნებით გაიხსენოთ და გაიაზროთ მიღწევები. დღის განმავლობაში მშვიდად ყოფნის პერიოდში დარწმუნებით გაუმეორეთ საკუთარ თავს, თუ ვინ ხართ და ვინ გსურთ გახდეთ;
- ვარჯიში და ჯანსაღი კვება;
- იცნობდეთ თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებს. აიყვანეთ დამხმარე (მაგალითად, ასისტენტი, ვებ-გვერდის დიზაინერი, ბუღალტერი, მარკეტინგის სპეციალისტი და სხვ.) ისეთი საქმეების შესრულებისთვის, რომლებიც თქვენ კარგად არ გამოგდით.
- მიაქციეთ ყურადღება საკუთარ ინტუიციას, გრძნობებსა და ფიქრებს. გამოიყენეთ ისინი სახელმძღვანელო პრინციპებად, ფოკუსირება მოახდინეთ იმაზე, თუ რა გსურთ და იმოქმედეთ შესაბამისად;
- იმუშავეთ საკუთარი შესაძლებლობების, ცოდნის გაუმჯობესებაზე და ყოველთვის ინფორმირებული იყავით თქვენს სპეციფიკურ დარგში. შეიძინეთ ახალი უნარები, გაიარეთ ტრენინგების კურსები.

დაბოლოს, რწმენას გამოვთქვამთ, რომ სტატიაში გადმოცემული თანამედროვე დასავლური სამეცნიერო და საგანმანათლებლო მეთოდოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები დაეხმარება ფართო საზოგადოებას და ზრდასრულ ადამიანებს, აღმოაჩინონ და აკეთონ საყვარელი საქმე და იცხოვრონ ისეთი პროფესიული და პირადი ცხოვრებით, როგორსაც იმსახურებენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკუდოვიჩიუტე ა., ფორცაგი ც. და სხვ. მართე შენი კარიერა. თბილისი, „ერა-2008“, 2014. 324 გვ.
2. პროფესიული ორიენტაცია, საკუთარი ბიზნესის დაწყება და მართვა. შემდგენლები: გ. შიხაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ც. დალაქიშვილი. თბილისი, „მერიდიანი“, 2012. 160 გვ.
3. ღუდუშაური ზ. თვითმენეჯმენტი. თბილისი, „საჩინო“, 2015. 320 გვ.
4. Ali M., Brookson S., Bruce A. and others. Managing for Excellence. USA, DK, 2009. 864 p.
5. Baron E., Benoliel M. and others. The Book of Management. USA, DK, 2010. 720 p.
6. Carew R. Discovering Your Perfect Career. USA, Alpha, 2005. 324 p.

From Self-Management Theory to Practice: Career Planning and Setting up Principles

G. Shikhashvili

Summary

For modern society, it is very actual to discuss the practical self-management theory in important areas, such as planning and creating career.

Practical recommendations, developed on the basis of western scientific and educational methods given in the article, will help the wider community and adult people to discover and do the job they love, and live the life they deserve.

Key words: *Who are you, deeply familiar with and manage themselves, labor market trends, small business.*

ფერმერული მეურნეობების მასშტაბების ზრდის პოტენციური შესაძლებლობები საქართველოში

მარინა ჩავლეიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში წარმოდგენილია ფერმერული მეურნეობების განვითარების ტენდენციები, შეფასებულია ფერმერულ მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბები, გაანალიზებულია როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება. განხილულია მცირე და მსხვილი ფერმერული მეურნეობების უპირატესობები, შედარებულია ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების შესაბამისობა ადგილობრივ რეალობასთან. მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *ფერმერული მეურნეობების მასშტაბი, სოფლის მეურნეობა, ფერმერი, საოჯახო მეურნეობა, მცირე და მსხვილი ფერმა.*

აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და განვითარება. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, ამასთან, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. წარმოდგენილი კვლევის მიზანია ფერმერულ მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბების განსაზღვრა, მეურნეობათა დივერსიფიკაციის შესაძლებლობების ანალიზი საქართველოში და მიღებული შედეგების საფუძველზე გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

ფერმერული მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო ტიპის საწარმოა, ხასიათდება მასშტაბით, მდგრადობით, ორიენტირებულია ბაზარზე და ბაზრის ნებისმიერ ტენდენციაზე სწრაფად რეაგირებს. საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სტრატეგიული მიმართულება უნდა გახდეს. ქვეყანა მცირემიწიანია, მისი რელიეფი შეზღუდულია, ფართობის ნახევარზე მეტი მთაგორიანი და დანაწევრებულია. შესაბამისად, ფერმერული მეურნეობების მასშტაბებიც განსხვავებულია. ამდენად, ცალკეული რეგიონების მიხედვით, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება დიფერენცირებულ მიდგომას ითხოვს.

თანამედროვე პირობებში, სოფლის მეურნეობა ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება ისეთ ქვეყანაში, სადაც მიწები არარენტაბელურ მცირე ნაკვეთებადაა (ფერმებად) დანაწევრებული. მცირე მეწარმეებს საშიშროებას უქმნის ბაზრის ზრდადი უსაფრთხოების სტანდარტები, ბაზრებზე ხელმისაწვდომობა.

წარმოების მასშტაბების შეფასება მნიშვნელოვანია დანახარჯი-ამონაგების ანალიზის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საშუალებათა გამოყენება ზრდის წარმოების მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობას, ამცირებს დანახარჯებს პროდუქტის ერთეულზე, ყოველივე ეს, საეჭვოს ხდის მცირე მეურნეობების ფუნქციონირების ეფექტიანობას. თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მცირემიწიან ქვეყნებში საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა, კერძოდ, იქმნება იმის საშიშროება, რომ მიწის დიდი მასივები ცალკეული პირების მფლობელობაში არ აღმოჩნდეს[8].

თანამედროვე ეტაპზე, ვაჭრობის ლიბერალიზაცია და გლობალიზაცია ფერმერებს მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის, რაც მცირე ფერმერების კონცენტრაციის, ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის საკითხებთანაა დაკავშირებული. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონკურენციის მიმართ ფერმების მდგრადობა. ამ ვითარებაში, რისკის ქვეშ დგება ინვესტორთა ინტერესები. აზრი იმის შესახებ, რომ ინვესტირება მსხვილ და ბაზარზე ორიენტირებულ ფერმებზე უნდა გაკეთდეს, არ არის უსაფუძვლო. შესაბამისად, მრავალი მკვლევარი ასაბუთებს, რომ პოლიტიკა არა ,,მცირე ფერმების გადარჩენის" საჭიროებებზე უნდა აიგოს, არამედ, აუცილებელად მიიჩნევენ მცირე ფერმებისაგან გათავისუფლებას[9].

საწინააღმდეგო მოსაზრებები გააჩნიათ მეცნიერ-ანალიტიკოსებს, რომლებიც მცირე ფერმების განვითარების მომხრეებია. ისინი არგუმენტებად განიხილავენ, მსხვილ ფერმებთან შეადარებით, მცირე ფერმებში ერთეულ პროდუქტზე დაბალი მოგების მიღებას. მათი მოსაზრებით, მცირე ფერმები უფრო მგრძნობიარენი, მოქნილნი არიან ტრანზაქციულ დანახარჯებთან მიმართებაში, ვიდრე მსხვილი ფერმე-

ბი. ამასთან, ასაბუთებენ, რომ მცირე ფერმების ეფექტიანობა არ არის მსხვილი ფერმების ეფექტიანობაზე დაბალი, რაც განპირობებულია სამუშაო ძალის დაბალი ღირებულებით და გარე ეფექტებით [6,გვ.9]. მცირე ფერმების წარმოება უფრო ეფექტიანია, მაგრამ კვების პროდუქტების უსაფრთხოებისა და ხარისხის პრობლემები მათ განვითარებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს [10].

ქვეყნები, სადაც სოფლის მეურნეობში მცირე ფერმები დომინირებს, დივერსიფიკაციის და საექსპორტო შესაძლებლობების შედარებით დაბალი, ხოლო უმუშევრობის მაღალი დონე გააჩნიათ. განვითარებულ ქვეყნებში, ფერმერების განვითარებისა და დივერსიფიცირების მეტი შესაძლებლობებია, სადაც ეკონომიკის ზრდა კაპიტალინტენსიური დარგების განვითარების საფუძველზე მიმდინარეობს.

მეცნიერების მსჯელობის საგანია მცირე, თუ მსხვილი ფერმერული მეურნეობებია უპირატესი? ცალკეული ექსპერტების მოსაზრებების ანალიზის გარდა, [11] მკვლევართა დიდი ნაწილი ვერ ამტკიცებს საქართველოში მსხვილი მეურნეობის სტრატეგიულ მნიშვნელობას. თუმცა, არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ მხოლოდ მცირე მეურნეობების განვითარება სოფლის მეურნეობის განვითარებაში ყველაზე უმთავრესი, მით უფრო, რომ დღეს აუცილებელია მეურნეობების ინტეგრაციისა და ღირებულების ზრდის ერთიან ჯაჭვში მათი კონსოლიდაცია [6,გვ.10]. სოფლის მეურნეობის ეფქტიანი ფუნქციონირება მასთან დაკავშირებული სხვა დარგების განვითარებაზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვების პროდუქტების მწარმოებელი დარგები, რომელთა განვითარების საფუძველია, როგორც მსხვილი, ისე, მცირე ფერმერული მეურნეობები.

იმ ქვეყნები, სადაც ჭარბი სამუშაო ძალაა, მცირე ფერმები შეიძლება ეფექტიანი გახდეს. მაგრამ, მიწისა და კაპიტალის შეზღუდულობა წარმოებულ პროდუქტს აძვირებს. თუ ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკა მიმართულია საბაზრო განვითარების ხელშეწყობისაკენ, მაშინ მცირე ფერმები სიღარიბის დაძლევიდან თანდათანობით კომერციულ მნიშვნელობას იძენენ. აგრარული სექტორის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება, მოსავლიანობა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები, შესაბამისად, დაბალია პროდუქტების კონკურენტუნარიანობა.

საკითხი განსაკუთრებით აქუალურია საქართველოს პირობებში. 2015 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 52% [7]. მშპ-ში სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, ნადირობა, თევზჭერას 9,2 %-ი უკავია. სოფლის მეურნეობა აწარმოებს პროდუქტის დაახლოებით 16,7%-ს. სოფლის მეურნეობაში მსხვილი საწარმოები პროდუქტის 69,3%-ს, საშუალო - 15,3%-ს, მცირე - 15,3%-ს უშვებს. სოფლის მეურნეობაში კერძო მსხვილი საწარმოები აწარმოებენ ქვეყანაში წარმოებული მთლიანი პროდუქტის 0,87%-ს, საშალო -1,85%-ს, ხოლო მცირე 1,72%-ს [4].

2015 წლის 1 მაისის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 800 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. 2015 წლის მონაცემებით ნათესი ფართობი იყო 308 ათასი ჰექტარი [12]. 2015 წელს 2013 წლის მონაცემებთან შედარებით უმნიშვნელოდ, 1%-ით არის შემცირებული [13]. მაღალია გამოუყენებელი მიწის ფართობები. ამ პირობებში, ძალზე აქტუალური ხდება მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის ეფექტიანად გამოყენება, რასაც თავის მხრივ (გარკვეული ხარისხით), მასშტაბის ეკონომია უზრუნველყოფს.

საქართველოში მიწის ნაკვეთების წვრილკონტურიანობა ნაკლებად იძლევა ბაზარზე ორიენტირებული წარმოების შესაძლებლობას. მიწის მთლიან ფონდში მცირე ნაკვეთების ფარდობითი სიხშირე მაღალია. მიწის ფრაგმენტაციის მაჩვენებლების შესწავლით ირკვევა, რომ მრავალწლიანი და ერთწლიანი ნაკვეთების ფრაგმენტაცია თითქმის მსგავსია. ერთი ნაკვეთის საშუალო ფართობის აბსოლუტური უმრავლესობა 5 ჰეაქტარზე ნაკლებია და ეს კანონზომიერება სათიბ-საძოვრებზეც ვრცელდება [5,გვ.5-6]. ამგვარად, მიწის რესურსის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ გამოუყენებელია, რაც აგრო ბიზნესის განვითარებას აფერხებს.

თნამედროვე საბაზრო გარემოში, ქვეყნები, თავიანთ პრობლემებს განსხვავებულად წყვეტენ, ამასთან, სოფლად არსებით ცვლილებებს განიცდის საკუთრებითი ურთიერთობები, ფერმების მენეჯმენტი, მასშტაბი, რენტის სიდიდე და ფორმები. აღნიშნული საკითხები, სულ უფრო მეტად ხდება საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი, იგი სახელმწიფო და გლობალური პრობლემების გადაჭრის ინტერესებში შედის. საინტერესოა ფერმერული მეურნეობების მასშტაბების კვლევა და ამ მიმართულებით როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის ქვეყნებებში არსებული მდგომარეობის შედარებითი ანალიზის წარმოდგენა.

ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის (EUROSTAT) მონაცემებით, ევროგაერთიანების ქვეყნებში ერთი ფერმერული მეურნეობის სარგებლობაში არსებული სავარგულების საშუალო სიდიდე 17,4 ჰექტარია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი კი 5%. საქართველოში ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული საშუალო სიდიდე ქვეყნის მას-

შტაბით 1,5-2 ჰექტარია, ხოლო დასაქმებულია 50%-ზე მეტი, ეს მაშინ, როდესაც აშშ-ში, გერმანიაში აღნიშნული მაჩვენებელი 2-3%-ს არ აღემატება. ევროგაერთიანების ქვეყნებში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 51 მაცხოვრებელს, აღნიშნული მაჩვენებელი აშშ-ში - 126, ხოლო გერმანიაში - 144 მაცხოვრებელს შეადგენს [1,გვ.36]. საქართველოში არსებული ფერმერული მეურნეობათა უმრავლესობა ძირითადად ფერმის ან ოჯახის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული.

ფერმერული მეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ზომების დაჯგუფებით შედეგად ჩატარებული ანალიზის სურათი შემდეგია [1,გვ.37]: 1 ჰექტარიდან 5 ჰექტარამდე სავარგულით განვითარებულ ქვეყნებში სარგებლობს ფერმერული მეურნეობების ძალზედ მცირე რაოდენობა, კერძოდ, გერმანიაში - 31,2%, ევროგაერთიანების ქვეყნებში - 56,4 %, საქართველოში კი - 98,4%; 5 ჰექტარიდან 50 ჰექტარამდე სავარგულით აშშ-ში სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 60,4 %, გერმანიაში - 55,7%, ევროგაერთიანების ქვეყნებში -35,1 %, საქართველოში კი -1,5-2%; 50 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით აშშ-ში სარგებლობს ფერმერული მეურნეობათა -39,6 %, გერმანიაში -12,6%, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ -7,9%, ხოლო საქართველოში -0,14%. 100 ჰექტარამდე ფართობით საქართველოში ფერმერთა მხოლოდ 5% -ია და ისინი ძირითადად ბაზარზეა ორიენტირებულია [2, გვ.102].

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარება საწყის სტადიაზეა და საბაზრო ურთიერთობებში სრულყოფილად არ არიან ჩართულნი. არსებული სტატისტიკით, საქართველოში ფერმერული მეურნეობათა უმრავლეოსობა მცირე მასშტაბიანია. გამომდინარე აქედან, მათი შემდგომი განვითარების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ფერმერული მეურნეობების კოოპერირებასა და გაერთიანება-გამსხვილებაზე. იგი უნდა დაეფუძნოს მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას, წარმოების ინტენსიფიკაციასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას.

საქართველოში მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბების დადგენით ფერმერები შეძლებენ იმ დარგებში შეღწევას, რომელთანაც დღეს არ აქვთ პირდაპირი საწარმოო კავშირები ან ფუნქციური დამოკიდებულება. პროდუქტებისა და შემოთავაზებული მომსახურების სახეობების გაფართოებით კი მათი საქმიანობა ახალ სფეროებზე გავრცელდება. ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ზრდა გამოიწვევს ეროვნულ აგროსასურსათო პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებას, შექმნის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის მდგრად საფუძვლებს, ასევე, იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის ტერიტორიების განვითარების სტიმულირებაში [3, გვ.66].

ექსპერტული ანალიზის საფუძველზე არსებული ფერმერულ-გლეხური მეურნეობების გამსხვილება, გამოიწვევს მათი რაოდენობის 6-ჯერ შემცირებას. ბუნებრივია, აღნიშნული რაოდენობა პირობითია. მისი საბოლოო განსაზღვრა, ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დამატებით ანალიზს მოითხოვს შესაბამისი სფეროს სპეციალისტებისა და მეცნიერების აქტიური მონაწილეობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში 1 ჰექტარიდან 5 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით საშუალოდ ფერმერულ მეურნეობათა 98,4% სარგებლობს (სავარაუდოდ-64860 მეურნეობა), ე.ი. მათი რიცხვი 11-ჯერ უნდა შემცირდეს, ხოლო 5 ჰექტარიდან 50 ჰექტარამდე სავარგულით ფერმერთა (1,5-2%) 35,1 %-მდე სარგებლობს, ხოლო 50 ჰექტარზე მეტი სავარგულით მოსარგებლე ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ შეიძლება 7,9%-მდე გაიზარდოს [1, გვ. 38]. მეურნეობების გამსხვილების პროცესი მნიშვნელოვანია ისეთ რეგიონებში, სადაც ქვეყნის სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების 80%-ზე მეტია თავმოყრილი.

ქვეყანაში, სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის გაჯანსაღებისთვის, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, მნიშვნელოვანია სოფლად ორგანიზაციულ-სამართლერბრივი ფორმების სწორად განსაზღვრა. საქართველოში სოფლად ფუნქციონირებს საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმო. 2016 წლის 1 ივნისის მონაცემებით ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით რეგისტრირებულია 638555 საწარმო, მათ შორის, კერძო საკუთრებაშია 98,4%. საწარმოთა 46,6% თბილისშია განთავსებული. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობაში 5542 ერთეული საწარმოა ე.ი. საერთო საწარმოთა 0,99% [13]. საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსი გააჩნია, ბევრი მათგანი რეალურად ფერმერული მეურნეობაა, მაგრამ მათ შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნიათ. საკითხი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ წამყვან ქვეყნებში, სადაც იურიდიულად დარეგისტრირებულია და ფუნქციონირებს ფერმერულ მეურნეობები, მათ სახელმწიფო გარკვეულ შეღავათებს უწესებს.

ქვეყანაში, ბოლო წლებში, მიმდინარე რეფორმებმა გარკვეული შედეგი გამოიღო, რეალურად რეგიონებში შეიქმნა ფერმერული მეურნეობები, მაგრამ მათი ფორმირება ზოგჯერ არამიზნობრივია და უმეტეს შემთხვევებში, ისინი პოტენციურ შესაძლებლობებს ვერ ავლენენ. მიუხედვად ამისა, მნიშვნელო-

ვანი ის, რომ სოფლად ჩამოყალიბდა კერძო მეწარმეთა ფენა - ფერმერები, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების საფუძველზე მოხდა კოოპერირება, იქმნება ახალი ფერმერული სტრუქტურები. დღეისათვის აქტუალურია მათი ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალურ სიდიდედ, ფერმერულ მეურნეობათა მიხედვით, დარგების შესაბამისად სხვადასხვა დონეებია მიჩნეული, მაგალითად, მარცვლეულის მწარმოებელ მეურნეთათვის 200-250 ჰექტარიანი მიწის ფართობი, მეხილეობაში - 20-25 ჰექტარი ფართობი; მეჩაიეობა 30-35 ჰექტარი, მეღორეობის 10-15 ნეზვიანი ფერმა, მათ საკუთრებაში უნდა ჰქონდეთ საჭირო საკვების წარმოებისათვის სულ ცოტა 15 ჰექტარი სახნავი. ხოლო მსხვილი რქოსან პირუტყვისათვის (სადაც იქნება 40-45 სული ფური) 50 ჰექტარი სახნავი [1, გვ.41-42].

საქართველოში დღემდე დიდი პრობლემაა მიწის ეფექტიანად გამოყენების საკითხი. მთიანი რელიეფის გამო ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დანაწევრებულია, რაც მათ გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეულ სირთულეებს ქმნის. არსებული სტატისტიკით, საქართველოში 700 000 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია, მათ შორის, მათი 99% კლასიფიცირებულია როგორც საოჯახო ფერმა. უმეტეს წილად დომინირებს მცირე კერძო ფერმები, კერძოდ, ფერმერთა 93%-ს 2 ჰექტარზე ნაკლები მიწის ნაკვეთები გააჩნიათ. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, დღეისათვის პროდუქტების უდიდესი ნაწილი საოჯახო მეურნეობებში იწარმოება. ნათესი ფართობების 97,3% ოჯახურ მეურნეობებზეა განაწილებული და მთლიან წარმოებაშიც მათი წლი მაღალია და 93%-ს შეადგენს. ბუნებრივია, საქართველოში ფერმის მცირე მასშტაბები მნიშვნელოვნად აძვირებს სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებას, აფერხებს ბაზარზე ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას.

წარმატებული ფერმერული მეურნეობების განვითარება საჭიროებს აგროსერვისის, მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის სრულყოფასა სხვა საკითხების გადაჭრას. მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი პუნქტების შექმნა, ასევე, მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის სწორი განსაზღვრა და დარგთა შეთანაწყობა, დივერსიფიკაცია. ფერმერებმა კონცენტრაცია უნდა მოახდინონ ეკონომიკურად ეფექტიანი პროდუქტების წარმოებაზე.

ამჟამად, საქართველოში არსებული ფერმერულ მეურნეობათა უმეტესობა წვრილმასშტაბურია, რაც ქმნის შეფერხებებ ბაზარზე პროდუქტების მიწოდებასთან მიმართებაში. წარმოების მასშტაბების ზრდისათვის აუცილებელია ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ფერმერთა კოოპერატივების განვითარებამ, რითაც მოხდება ბაზარზე გაერთიანებული რესურსებით ორიენტირება, რომელიც მნიშვნელოვანია ბაზარზე მდგრადობის შენარჩუნებისთვის.

საქართველოში მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბების დადგენით ფერმერები შეძლებენ იმ დარგებში შეღწევას, რომელთანაც დღეს არ აქვთ პირდაპირი საწარმოო კავშირები ან ფუნქციური დამოკიდებულება. ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების გაზრდა გამოიწვევს ეროვნულ აგროსასურსათო პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებას, შექმნის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის მყარ საფუძველს, ასევე, იგი მნიშვნელოვან როლს შესრულებს სოფლის ტერიტორიების განვითარების სტიმულირებაში [3, გვ.66].

აგრარულ სფეროში დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების, მისი სრულყოფის კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ ადრეულ ეტაპზე განხორციელებულმა რეფორმებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე უარყოფითი გავლენა იქონია. აღნიშნულმა უარყოფითმა ტენდენციებმა ხელი შეუშალა სოფლად სხვადასხვა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმების განვითარებას. სწორედ, ამის შედეგია ის, რომ არსებული ფრემერული მეურნეობები დარგობრივი ნიშნით ძირითადად მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის და მეცხოველეობის პროდუქტის მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობებს მიეკუთვნება. ფერმერულ მეურნეობებში საწარმოო პროცესი სუსტი მენეჯმენტის პირობებში მიმდინარეობს. მეწარმეები განიცდიან ბიზნესისთვის აუცილებელი ცოდნისა და ინფორმაციის დეფიციტს, სრულყოფილად არ ფლობენ ინფორმაციას სესხების, გრანტების გამცემი და სხვა ინსტიტუტების არსებობის შესახებ. ამისათვის, საჭიროა შეიქმნას აგრარული სექტორის კოორდინირებული მართვის ერთიანი სამსახური. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს აგრარულ სექტორს შეუძლია მომავალში მიაღწიოს ეკონომიკურ გაჯანსაღებას, თუ სწორად იქნება გამოყენებული არსებული ეკონომიკური, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

საქართველოში არსებული მდგომარეობიდან, ექსპერტული ანალიზისა და ევროკავშირის მიერ გაწეული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ფერმერული მეურნეობების განვითარებისათის პირობების შექმნა და ხელშეწყობა. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა გასულ წელს მიღებული კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“(2013 წელი). კოო-

პერატივების შექმნა ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის გამსხვილებას. მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ ფერმერული კოოპერატივებისთვის დაწესებული საშეღავათო პირობები, კერძოდ, კოოპერატივში ჩართული ფერმერების ქონება 2017 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებული იქნება ქონების გადასახადისაგან, ასევე, სასოფლო სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი მოგების გადასახადით არ დაიბეგრება. თუ კოოპერატივი მიიღებს გრანტს, ამ შემთხვევაში არც ეს ფინანსური რესურსი დაიბეგრება.

საქართველო 2013-2016 წლებში ევროპის სამეზობლო პროგრამის - სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ENPARD-ის ფარგლებში 40 მილიონ ევროა გათვალისწინებული. 18 მილიონი ევრო საბიუჯეტო დახმარების სახით გადაეცემა საქართველოს მთავრობას, 15 მილიონი ევრო გაიცემა გრანტების სახით მცირე ფერმერულ ბიზნესზე ორიენტირებული ორგანიზაციების შესაქმნელად, ხოლო 3 მილიონი ევრო - ეს იქნება ევროკავშირის თანამონაწილეობა აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორის დასახმარებლად, UNDP-თან ერთობლივი მენეჯმენტის გზით.

ENPARD-ის პროგრამა განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიას, რომელიც შემდეგი ძირითადი მიზნის მიღწევას ითვალისწინებს[14]: მცირე მეწარმეთა შორის უფრო მტკიცე თანამშრომლობა; ფერმერებისთვის უფრო ხელმისაწვდომი მომსახურების გაწევა; გეოგრაფიული დასახელებების რეგულირება და დახვეწა; სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დაწესებულებების უკეთ ფუნქციონირება.

სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში, 2013-2015 წლებში და მიმდინარე ეტაპზე, განხორციელებული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიზანი მცირემიწიანი ფერმერებისთვის ხელშეწყობაა. პროგრამის მიზანი იყო ქართული სოფლების გამოცოცხლება, დამუშავებული ნაკვეთების რაოდენობისა და სოფლის მეურნეობაში წარმოების გაზრდა.

ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ანალიზისა და კვლევის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- დარგის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება უნდა გახდეს. ამდენად, მცირემიწიანი ქვეყნისთვის იგი იძლევა მიწისა და შრომის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობას, სადაც დაქირავებულ შრომასთან ერთად, შესაძლებელია ოჯახის წევრთა შრომის ეფექტიანი გამოყენება;
- ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ზრდა გამოიწვევს ეროვნულ აგროსასურსათო პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებას, შექმნის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის მდგრად საფუძვლებს, ასევე, იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის ტერიტორიების განვითარების სტიმულირებაში;
- ფერმერულ მეურნეობებში წარმოების ზრდისათვის აუცილებელია შესაბამისი ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მთავრობამ დახმარება უნდა გაუწიოს ფერმერთა კოოპერატივების განვითარებას, აგრარულ სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამების განხორციელებას და სხვა. აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს ფერმერთა საქმიანობის გაფართოებას, ბაზარზე ორიენტირებული მეურნეობების განვითარებას;
- წარმატებული ფერმერული მეურნეობების განვითარება საჭიროებს აგროსერვისის, მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის სრულყოფასა სხვა საკითხების გადაჭრას. ასევე, მნიშვნელოვანია მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის სწორი განსაზღვრა და დარგთა შეთანაწყობა, დივერსიფიკაცია. ფერმერებმა კონცენტრაცია უნდა მოახდინონ ეკონომიკურად ეფექტიანი პროდუქტების წარმოებაზე;
- წარმოების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს მიწების ფრაგმენტაცია; ფრაგმენტაციის მოწესრიგებასა და ფერმერული მეურნეობების მასშტაბების ზრდაში დიდი როლის შეასრულება შეუძლია მიწის ბაზრის ფორმირებას;
- დარგის შემდგომი განვითარების პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ფერმერული მეურნეობების კოოპერირებასა და გაერთიანება-გამსხვილებაზე. იგი უნდა დაეფუძნოს მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას, წარმოების ინტენსიფიკაციასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას. ამასთან, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული მასშტაბით უნდა შევნარჩნდეს და განვითარდეს მცირე ფერმერული მეურნეობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე ზ., ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში, თბილისი, 2011. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000453/Beridzei.pdf.
2. ხარაიშვილი ე., კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
3. ხარაიშვილი ე., ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები საქართველოში, საერაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ,,ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, შრომათა კრებული, თბილისი, 2015.
4. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2014, 2015.
5. მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები, თბილისი, 2013.
6. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: USAID, თბილისი, 2012.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2013, 2014,2015.
8. Frank Ellis & Stephen Biggs. 2001. Evolving Themes in Rural Development 1950s-2000s. Development Policy Review. 2001. http://www.geo.unizh.ch/~backhaus/asien_texte/8_Ellis etal 2001.pdf.
9. Tsegaye Tegenu. Miss Conceptualizing Growth Role of Small Farms. www.fao.org/WAIRDOCS/LEAD/X6170E/x6170e36.html
10. VII. Profitability and Efficiency of Indian Dairy Farms. www.fao.org/WAIRDOCS/LEAD/X6170E/x6170e36.ht
11. http://www.tabula.ge/article-20135.htm
12. http://topnews.mediamall.ge/?id=74632
13. www.geostat.ge
14. http://www.enpard.ge

Farming Potential Growth Opportunities in Georgia

M. Chavleishvili

Summary

The article presents the development trends in farming, there is estimated the optimal scale of farming, it analyzes both experiences of the local as well as the foreign countries. This paper discusses the advantages of small and large scale farming, it compares the farmer scale compliance to the local reality. On the basis of the obtained results there are made the conclusions and developed some recommendations.

Keywords: *Farming scale, agriculture, farmer, household, small and large scale farm.*

სკოლამდელი განათლება - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხური

ლია ჩარქიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
საქსტატი, განყოფილების უფროსი

სკოლამდელი განათლება, რომელიც განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი დონეა, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრების ფორმირებაში. ადამიანის ცხოვრებაში ეს არის ის ეტაპი, როდესაც იწყება პიროვნებად ჩამოყალიბება და რომლის ზეგავლენა შესაძლოა მთელი ცხოვრება მიყვებოდეს.

წარმოჩენილია საქართველოს კანონპროექტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ დადებითი ასპექტები სფეროში მიმდინარე პროცესებზე.

გაანალიზებულია სკოლამდელი დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: *კლასიფიკატორი, კანონმდებლობა, სტატისტიკა.*

სკოლამდელი განათლება, რომელიც განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი დონეა, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის პიროვნების ფორმირებაში. ადამიანის ცხოვრებაში ეს არის ის ეტაპი, როდესაც იწყება პიროვნებად ჩამოყალიბება და რომლის ზეგავლენა შესაძლოა მთელი ცხოვრება მიყვებოდეს.

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს ეხმიანება და საზოგადოების ფართო წრისთვის არის შექმნილი [1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია მშობლის როლი ადრეული განათლების პროცესში, რომელიც ბავშვის განვითარების პროცესში ყურადღებას გაამახვილებს იმ თავისებურებებზე, თუ რომელი მიმართულებით აქვს ბავშვს განვითარებული უნარები.

ყოველი ბავშვი არის ინდივიდუალური და ამიტომ თითოეულ მათგანს სპეციფიკური მიდგომა ესაჭიროება. ზოგადად, ყველა ბავშვს უნდა შეექმნას საკუთარი იდეების, გრძნობების, ემოციების სხვადასხვა საშუალებით გამოხატვის საშუალება, მოხდეს ბავშვის, როგორც ინდივიდის შემეცნებითი უნარების განვითარება. სწავლების მეთოდები და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

სკოლამდელი დაწესებულება უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით და ინვენტარით, რაც საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, ბავშვის ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის, კეთილდღეობის და სხვა პირობების ხელშეწყობისათვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის პასუხისმგებლობა საკმაოდ მაღალია, რამდენადაც თითოეულ ბავშვს თავისი განვითარების ინდივიდუალურობის შესაბამისი მიდგომა ესაჭიროება.

როგორია სამართლებრივი ბაზა ამ მიმართულებით? - არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს. არსებობს მხოლოდ ჩანაწერი ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში (მე-16 მუხლი), რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, სხვა უფლებამოსილებებს შორის, არის ,,მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა“ [2].

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და შემუშავდა საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ [3], რომლის მიზანია საქართველოში ყველა ბავშვისათვის მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, გამჭვირვალე, ინკლუზიური, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ადრეული აღზრდისა და განათლების სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული კანონით შეიქმნა მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის 28 და 29 მუხლების მოთხოვნები, რომელიც წევრ ქვეყნებს ავალდებულებს ხარისხიან განათლებაზე ბავშვთა ხელმისაწვდომობის უფლების აღიარებას და მისი თანასწორობის პრინციპით განხორციელებას ამ სფეროში საბაზისო სტანდარტების დანერგვის გზით.

კანონის შესაბამისად გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა:

- ადრეული აღზრდა და განათლება (დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის;
- სკოლამდელი განათლება (2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე).

დაწესებულებებში ჯგუფები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით:

- ✓ 2–დან 3 წლამდე - სკოლამდელი განათლების პირველი წელი;
- ✓ 3-დან 4 წლამდე - სკოლამდელი განათლების მე-2 წელი;
- ✓ 4–დან 5 წლამდე - სკოლამდელი განათლების მე-3 წელი;
- ✓ 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე;
- ✓ სკოლამდელი განათლების მე-4 წელს ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონით დაწესებულებაში აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ფიზიკური დასჯა, უგულებელყოფა, შეურაცხმყოფელი ან/და დამამცირებელი მოპყრობა.

სტატისტიკური საქმიანობის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება, რომ დაწესებულებამ დაფუძნების შემდეგ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე, სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად, ვალდებულია, გაიაროს ავტორიზაცია:

- დაწესებულების ავტორიზაციის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით;
- დაწესებულების ავტორიზაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური;
- მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური დაწესებულების ავტორიზაციის მიზნით ამოწმებს მის შესაბამისობას ამ კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ სტატისტიკური მონაცემები 2007 წლიდან არ მოიპოვება. ათასწლეულის განვითარების მიზნების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი - სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელების ჩაბმის გაანგარიშება, სწორედ ამ პერიოდიდან შეუძლებელია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 2012 წელს საქსტატმა იუნისეფის დაკვეთით განახორციელა სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების კვლევა.

სკოლამდელი დაწესებულებების გამოკვლევამ აჩვენა, რომ 2011 წლის მონაცემებით, 1260 სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებაა საქართველოში, აქედან ყველაზე მეტი არის იმერეთის რეგიონში - 239, ანუ სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების 19,0 %. შემდეგ მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი - 226 (17,9 %), კახეთი - 205 (16,3 %), ქ. თბილისი - 157 (12,5%), შიდა ქართლი - 97 (7,7 %), ქვემო ქართლი - 84 (6,7 %), გურია - 70 (5,6 %), აჭარის არ - 57 (4,5 %), მცხეთა-მთიანეთი - 55 (4,4 %), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 36 (2,9 %), სამცხე-ჯავახეთი - 34 (2,7 %).

სკოლამდელი დაწესებულებების გაანალიზების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ადგილების რაოდენობა, ანუ რამდენი ბავშვის მიღების შესაძლებლობა აქვთ დაწესებულებებს თავისი ინფრასტრუქტურით, პერსონალით, ფინანსური სახსრებით და ა. შ. 2011 წლის მონაცემებით, 1260 სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებაში აღირიცხა 120,2 ათასი ადგილი, რომელიც თითქმის იმავე პროპორციით ნაწილდება საქართველოს სკოლამდელ დაწესებულებებს შორის, როგორც დაწესებულებების რაოდენობა.

რაც შეეხება აღსაზრდელების რაოდენობას სკოლამდელ დაწესებულებებში, რეგიონების მიხედვით ბევრად განსხვავებული სურათია, ვიდრე დაწესებულებებისა და მათში ადგილების ანალიზი იძლევა. კერძოდ, აღსაზრდელების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის ქ. თბილისზე (43,8 ათასი ბავშვი), შემდეგ იმერეთის რეგიონში - 17,6 ათასი, კახეთი - 9,6 ათასი, ქვემო ქართლი - 9,5 ათასი, სამეგრელო-ზემო სვანეთი 9,1 ათასი, აჭარის არ - 8,4 ათასი, შიდა ქართლი - 6,7 ათასი, გურია - 3,0 ათასი, სამცხე-ჯავახეთი - 2,8 ათასი, მცხეთა-მთიანეთი - 2,6 ათასი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0,7 ათასი (იხ.გრაფიკი 1).

აღსაზრდელების 20,1% 3 წლამდე ასაკისაა, რომელთაგან 48,1% გოგონაა და 51,9% - ბიჭი. 3 წლის და უფროსი ასაკის აღსაზრდელები შეადგენს 79,9%-ს, რომელთაგან 48,0% გოგონაა. თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებით 2002 წლის მონაცემებს, ვნახავთ, რომ 3 წლამდე ასაკის იყო აღსაზრდელების მხოლოდ 11,4 %, ხოლო 3 წლის და უფროსი ასაკის - 88,6%.

თუ განვიხილავთ დინამიკაში რამდენი აღსაზრდელი მოდის სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულების 100 ადგილზე, ვნახავთ, რომ 2002 წელს მოდიოდა 60 აღსაზრდელი, 2006 წელს - 51, ხოლო 2012

წელს - 95. რეგიონების მიხედვით 2012 წლის მაჩვენებლები შემდეგ სურათს გვაძლევს: აჭარის არ სკოლამდელი დაწესებულების 100 ადგილზე მოდიოდა 109 აღსაზრდელი, თბილისში - 99, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - 98, იმერეთში - 95, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში - 91, ყველაზე მცირე რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია - 67.

2012/2013 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, საქართველოს სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებში ჩართული იყო სპეციალური საჭიროების მქონე 459 აღსაზრდელი, ანუ სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელების საერთო რაოდენობის 0,4%, მათ შორის 13733 (12,1%) - სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და 3848 (3,4%) - მზრუნველობამოკლებული ბავშვები მრავალშვილიანი ოჯახებიდან, მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, ბავშვები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებიდან. აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი საქართველოს რეგიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს: თბილისში სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებში ჩართულია სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელების 56,0%, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან აღსაზრდელების 37,6% და მზრუნველობამოკლებული, მრავალშვილიანი ოჯახებიდან, მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, ბავშვები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებიდან - 15,7%; აჭარის არ - შესაბამისად: 8,3%, 8,2 % და 10,2 %; იმერეთში- 8,5%, 9,8% და 24,5%; კახეთში- 9,6%, 8,0% და 4,9% და ა. შ.

გრაფიკი 1

აღსაზრდელების განაწილება
სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებებში, %



საქართველოს რეგიონებიდან სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელების მაღალი წილი მოდის კახეთის რეგიონზე (9,6%,), აღსაზრდელები სოციალურად დაუცველი ოჯახიდან - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონზე (12,7%) და მზრუნველობამოკლებული, ბავშვები მრავალშვილიანი ოჯახებიდან, მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, ბავშვები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებიდან - იმერეთის რეგიონზე (24,5%).

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქ. თბილისის 8 სკოლამდელ დაწესებულებაში სწავლის ყოველთვიური (მშობლის) გადასახადი ერთ ბავშვზე 2011/2012 სასწავლო წელს შედაგენდა 80 ლარს. ყველაზე მცირე გადასახადი, რაც თბილისის მასშტაბით იყო 11 სკოლამდელ დაწესებულებაში - 30 ლარია. შემდეგი მოდის ქვემო ქართლის, აჭარის არ რეგიონები, სადაც ყველაზე მაღალი გადასახადი იყო 35 ლარი (ორივე რეგიონის 25 დაწესებულებაში).

10 ლარზე ნაკლებია გადასახადი აჭარის არ, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის და შიდა ქართლის რეგიონების 93 სკოლამდელ დაწესებულებაში, ხოლო 40 სკოლამდელ დაწესებულებაში გადასახადი საერთოდ არ არის (სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, გურიის, იმერეთის, აჭარის არ).

რაც შეეხება საშუალოთვიურ ხარჯებს, ერთი შინამეურნეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა 2012 წელს, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 4,3% (21,9 ლარი) შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2001-2012 წლებში 2,8 %-დან 4,3%-მდე მერყეობს. თუ გავაანალიზებთ ინდიკატორს შინამეურნეო-

ბის ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილით, 2012 წელს ქალაქად განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 5,5% (10,2 ლარი) და სოფლად 2,2% (2,3 ლარი) შეადგინა.

გრაფიკი 2-დან კარგად ჩანს შეუსაბამობა სკოლამდელ დაწესებულებებში მშობლების მიერ გადახდილ თანახასა და შინამეურნეობის მიერ განათლებაზე გაწეულ საშუალოთვიურ ხარჯებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ მშობლების მიერ სკოლამდელ დაწესებულებებში საშუალო გადასახადმა შეადგინა 19,0 ლარი.

თუ შევადარებთ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შინამეურნეობების მიერ გაწეულ საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურას, ერთი შინამეურნეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა 2012 წელს, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 1,9 % შეადგინა აზერბაიჯანში, ხოლო მოლდოვაში - 1,0 %.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, მაგალითად ბულგარეთის შინამეურნეობების მიერ გაწეულ საშუალოთვიური ხარჯების სტრუქტურაში ერთი შინამეურნეობის მიერ განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე გაწეული ხარჯი 2012 წელს შეადგენდა 4,1%-ს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში ბულგარეთში აღნიშნული მაჩვენებელი სტაბილურად მერყეობს 3,3-4,1%შორის.

გრაფიკი 2

საშუალოთვიური ხარჯების განაწილება შინამეურნეობის ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილით (ლარი)



საქართველოს სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებში აღსაზრდელების ჩაბმის საერთო მაჩვენებელი, 2012 წლის ბოლოსათვის, დაახლოებით 40,0 %-ია. ავსტრალიის, 2011 წლის მონაცემებით, სკოლამდელ დაწესებულებში აღსაზრდელების ჩაბმის საერთო მაჩვენებელი 95,0 %-ია, გაერთიანებულ სამეფოში, ამავე პერიოდში - 85,0 %, ფინეთში - 70,0%, სომხეთში - 48,0 %, აზერბაიჯანში - 28,0 % და ა. შ.

დასკვნის სახით უნდა ავღნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა დადებითად იმოქმედებს სკოლამდელი განათლების სტატისტიკის წარმოებაზე, რომელიც განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხურია (ISCED 2011). ამოქმედდება სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხი, შეიქმნება დაწესებულებების რეესტრი და შესაძლებელი გახდება ათასწლეულის განვითარების მიზნების მაჩვენებლის სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელების ჩაბმის გაანგარიშება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაწესებულებების ბაზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo
2. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
3. (http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/adreuli-agzrdisa-da-ganatlebis-shesaxeb-kanonproeqtis-prezentacia.page
4. www.geostat.ge

Pre-school education - Zero level of the International Standard Classification of Education

L. Charekishvili

Summary

Preschool education is very important in person's life. Children who go to preschool Establishments have improved social skills, less or no need for special education instruction during subsequent school years, better grades, and enhanced attention spans. Early childhood education consists of any number of activities and experiences designed to aid in the cognitive and social development of preschoolers before they enter elementary school.

The process for implementation of the Law on Early and Preschool Education has started and requires the effective systems for teacher training and monitoring of pre-school standards.

Analyzed is the statistical data reflecting the preschool education.

Key words: *classification, legislation, statistics.*

საქართველოს საჯარო ფინანსები და მაკროეკონომიკა

მიხეილ ჩიკვილაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში „საქართველოს საჯარო ფინანსები და მაკროეკონომიკა“, განხილული და გაანალიზებულია მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მიმდინარე წლის ცალკეული თვეების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრების, როგორც საშემოსავლო ისე ხარჯვითი ნაწილის შესრულებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. აქცენტები გადატანილია იმ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზე (ინფლაცია, ლარის დევალვაცია დოლართან და ევროსთან მიმართებაში, ეკონომიკური ზრდა, ექსპორტ-იმპორტი და სხვა), რომლებმაც ძირითადში განაპირობა 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია 2016 წლის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები იანვარ-აგვისტოს პერიოდში და წინა წლის ხარვეზების გათვალისწინებით შემოთავაზებულია წინადადებები 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ არსებული პრობლემების დაძლევა, მეტწილად მთავრობის მიერ სახელმწიფოს მართვის პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო ფინანსები, ექსპორტი, ბიუჯეტი, სადაზღვევო სისტემა.*

საქართველოს საჯარო ფინანსების მართვა ორიენტირებულია სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა-ანალიზისადმი, როგორიცაა სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძვლები, საზოგადოებრივი პროდუქტი, ფინანსური და საგადასახადო სისტემა, სადაზღვეო სისტემა, საბანკო საქმე, შემოსავლების განაწილება, ლარის კურსი, ინფლაცია და სხვა.

საჯარო ფინანსურ ურთიერთობათა ჩარჩოებში განიხილება სახელმწიფო ფინანსების მართვის პრაქტიკული ასპექტები, სადაც ძირითადი ყურადღება კონცენტრირებულია სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ფუნქციებზე, ფინანსური რესურსების გამოყენებასა და შემოსავლების სწორ, რაციონალურ განაწილებაზე. როდესაც ვაანალიზებთ 2016 წლის ეკონომიკურ მაჩვენებლებს, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული არა მარტო ის ხარვეზები და უარყოფითი მოვლენები, რომლებიც გასული წლების საქართველოს ეკონომიკისათვის იყო თანმხლები, არამედ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის გათვლები და პროგნოზები საქართველოს ეკონომიკის განვითარების შესახებ.

საქართველოსათვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა - სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადა, უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენული გარემო, გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირები იმ ნეგატიური ფაქტორების მცირე ჩამონათვალია, რომელსაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში უპრეცენდენტო ეკონომიკური დაცემა, ჰიპერინფლაცია, უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა. ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, თუმცა, საქართველოში გატარებულმა გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. დღემდე მიუღწეველი რჩება სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვანი შემცირების პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია, აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ 2015-2016 წლების მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, 2015 წელს, ისევე როგორც წინა წლებში საქართველოს ეკონომიკა ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა - ეროვნული ვალუტის დევალვაცია, გაზრდილი ინფლაცია, 2-ჯერ კორექტირებული სახელმწიფო ბიუჯეტი, შემცირებული ეკონომიკური ზრდის ტემპი და სხვა. 2015 წლის მანძილზე ლარის კურსის 40%-ით დევალვაცია უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე, ამას დაემატა ფასების ზრდის გამო გაძვირებული იმპორტი, ასევე ინფლაციის მაღალი დონე.

2015 წლის ბიუჯეტი მშპ-ის 5%-იან ზრდაზე დაიგეგმა. 2015 წლის 8 თვეში ეკონომიკის საშუალო რეალურმა ზრდამ 2.8%-ს მიაღწია, მაშინ როდესაც 2014 წლის ამავე პერიოდში მშპ-ის 6.1%-იანი ზრდა აღინიშნა. 2015 წლის შემცირებული მშპ-ის მაჩვენებელმა ასახვა ჰპოვა 2016 წლის პროგნოზზეც, შედეგად 2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრები 3%-იან ეკონომიკურ ზრდაზეა გათვლილი. 2015 წლის მოვლენების გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ მთავრობას ბიუჯეტის კორექტირება ორჯერ მოუწია, შესაბამი-

სად ეკონომიკური ზრდის 5%-დან 2%-მდე კლებასთან ერთად, განხორციელდა საგადასახადო შემოსავლების 200 მლნ. ლარით შემცირება. რაც შეეხება 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, მისი შემოსავლები 2 მლნ. ლარით არის გაზრდილი და 8.555 მლრდ-ს შეადგენს, ხოლო ხარჯები 170 მლნ. ლარით არის გაზრდილი და 8.543 მლრდ. ლარია. 2016 წლის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სახით 7.980 მლრდ. ლარის მობილიზებაა დაგეგმილი, რაც დაახლოებით 200 მლნ. ლარით აღემატება თავდაპირველ პროგნოზს, ხოლო 460 მლნ. ლარით 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 5 მლრდ. 653 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 504 მლნ. ლარით (9.8%), აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მონაცემებს. მიუხედავად აღნიშნულისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მოგების გადასახადიდან მობილიზებულია 705.4 მლნ. ლარი, რაც 2.0 %-ით (14.2 მლნ. ლარით) ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, კლების ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე დღგ-სა და იმპორტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები კერძოდ, დღგ-დან მობილიზებულია 2.118.0 მლნ. ლარი, რაც 6.5%-ით (146.8 მლნ. ლარით) ნაკლებია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე, ხოლო იმპორტის გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 270.1 მლნ. ლარი, რაც 1.1%-ით (0.5 მლნ. ლარით) ნაკლებია. არსებული მდგომარეობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აღრიცხვის ახალი სისტემის დანერგვით ხსნის. წინასწარი მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვამ 2016 წლის იანვარ-აგვისტოში შეადგინა 6 მლრდ. 400 მლნ. ლარი, რაც 9 თვის გეგმის 83.9%-ია, ხოლო წლიური გეგმის 63.1%-ი. 2016 წლის პირველ 8 თვეში დახარჯულია 384 მლნ. ლარით (6.4%) მეტი, 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ნათელია, რომ შემოსულობები ბიუჯეტში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ფინანსური სახსრების შემოდინებას გვიჩვენებს, თუმცა, ამ წყაროებიდან ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას ყველაზე რეალურად საგადასახადო შემოსავლები ასახავს. აქედან გამომდინარე, როგორც საგადასახადო შემოსავლების დიდი ოდენობაა ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი, ამის საპირისპიროდ, ვალდებულებების ზრდის სიმცირეა ეკონომიკისათვის უფრო სასარგებლო.

რაც შეეხება ექსპორტ-იმპორტს, 2016 წლის იანვარ-ივლისში საქონლის ექსპორტმა 1 მლრდ. 121.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ცვლილება -11.5%-ია.

საქონლის იმპორტმა 5 მლრდ. 426 მლნ. დოლარი შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან ცვლილება 25.3%-ია. 2016 წლის იანვარ-ივლისის მონაცემებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 6 მლრდ. 48 მლნ. დოლარი იყო. წინა წლის შესაბამის პერიოდთან ცვლილება 16.9%. ანალიზიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ექსპორტი შემცირებულია, როგორც ევროკავშირის (25%), ასევე დსთ-ის ქვეყნებში (27%-ით). ყურადსაღებია, რომ 2016 წლის პირველ 7 თვეში, საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო ბრუნვა კანადასთან ჰქონდა, რომელიც დაწინაურდა „C-ჰეპატიტის“ სამკურნალო საშუალების დიდი მოცულობის იმპორტით, საქართველოდან კი სანაცვლოდ, დიდი ოდენობით დაუმუშავებელი ოქროს ექსპორტია განხორციელებული. კანადის შემდეგ, საქართველოს ყველაზე მსხვილი პარტნიორები თურქეთი და რუსეთია. დამაფიქრებელია ისიც, რომ უმსხვილესი საექსპორტო პროდუქციიდან შემცირებულია ფეროშენადნობების, მსუბუქი ავტომობილების, სამკურნალო საშუალებების ექსპორტი, სანაცვლოდ გაზრდილია სპილენძის მადნისა და კონსტრუქციების, თხილის, ყურძნის, ნატურალური ღვინოების, სპირტის და ოქროს ექსპორტი. მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლების შედეგები და ტენდენცია, ექსპორტის შემცირებაზე მიგვანიშნებს, რაც ანალიზსა და განსჯას საჭიროებს, კერძოდ, განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის თვალსაზრისით, უმნიშვნელოა ექსპორტის დივერსიფიცირება, იმპორტის მოცულობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ექსპორტის მოცულობის ზრდას და გამოიწვია უარყოფითი სავაჭრო სალდოს გადიდება, რაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური რისკის მატარებელია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება განსაკუთრებული კონტროლით უნდა წარიმართოს და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი გადაჭარბებით უნდა შესრულდეს, თუმცა როგორც სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ჩანს, 2016 წელი საქართველოს ეკონომიკამ შენელებით დაიწყო, მიმდინარე წლის იანვრის ეკონომიკური ზრდა 0.8 %-ი იყო, თებერვალში ეს მაჩვენებელი 2.6%-ით გაიზარდა, რაც მთავრობის მიერ დაგეგმილი 3%-იან ზრდის ტემპთან შედარებით ნაკლებია. ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად იმოქმედა 13%-ით შემცირებულმა საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელმა, რის გამო წელს საქართველო უფრო ნაკლებად არის ჩართული საქონლის საერთაშორისო ბრუნვაში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. 2016 წელს საქართველოს ბიუჯეტი გათვლილია 3%-იან ეკონომიკურ ზრდაზე, თუკი ეკონომიკური ზრდა დაგეგმილზე ნაკლები იქნება, მაშინ მოსალოდნელია საფრთხე, რომ მთავრობამ დაგეგმილი მოცულობის გადასახადები ვერ შეაგროვოს, რის გამო მას ხარჯების დაფინანსება ბიუჯეტის დეფიციტით

მოუწევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2016 წლის 2 თვეში მთავრობის ხარჯები მის შემოსავლებს აღემატებოდა იანვარში ბიუჯეტის ხარჯი 598 მლნ., მისი შემოსავლები კი 578 მლნ. იყო, ასეთივე ტენდენცია გაგრძელდა თებერვალშიც, როდესაც ხარჯებმა 535 მლნ. შეადგინა, შემოსავლები კი 571 მლნ. იყო. მთავრობამ ამ გაზრდილი ხარჯის დასაფინანსებლად ბიუჯეტში არსებული თანხები გამოიყენა. ანალოგიური პრობლემები დამახასიათეელია ცალკეული სამინისტროებისა და უწყებებისთვისაც, რომლებშიც საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები არ იძლევა საიმედო სურათს:

- საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის გეგმა 56 მლნ. ლარით გაიზარდა, ჯანდაცვის პროგრამის ხარჯის ზრდა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის, დაგეგმილზე მეტმა ხარჯმა განაპირობა. მესამე კვარტალის გეგმა 509.3 მლნ. ლარამდე გაიზარდა, როცა წლიური გეგმა 570 მლნ. ლარია.
- ყურადღებას იქცევს მხარჯავი დაწესებულებების 2016 წლის 8 თვის შესრულების მონაცემები კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2016 მდგომარეობით) შეადგენს 138.2 მლნ. ლარს მაშინ, როდესაც დღეის მდგომარეობით გახარჯულია 137.7 მლნ. ლარი (99.6%).
- სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტზე (01.09.2016 მდგომარეობით) დაზუსტებული გეგმით გამოყოფილი 300.0 ათ. ლარიდან 8 თვის ფაქტიური მდგომარეობით არც ერთი თეთრი არაა გახარჯული.

2016 წლის ცალკეული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის გათვალისწინებით, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას აუცილებლად უნდა იქნეს გაანალიზებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის (გლობალური ეკონომიკის პრობლემები) პროგნოზები.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიმდინარე წელს საქართველოში 2.5%-იან, მომდევნო წელს კი 4.5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს, ეს მაშინ, როდესაც წინა პროგნოზით სავალუტო ფონდი საქართველოსი 2016 წელს 3%-იან, ხოლო მომდევნო წელს კი 5%-იან ეკონომიკურ ზრდას ვარაუდობდა, თუმც მიმდინარე წლისათვის საქართველოს ეკონომიკური ზრდა 3%-ზეა დაგეგმილი. რაც შეეხება ინფლაციას, სავალუტო ფონდი მიმდინარე წელს საქართველოში 4.3%-იან ინფლაციას ვარაუდობს, 2017 წელს კი 4.5%-იანს, ეროვნული ბანკის 2016 წლის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი კი 5%-ია. ვფიქრობთ არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის გათვალისწინება რეგიონის ქვეყნებში არსებულ ვითარებაზე. საერთაშორისო სავალუო ფონდი, მიმდინარე წელს სომხეთში ეკონომიკის 1.9%-იან ზრდას, მომავალი წლისთვის კი აღნიშნული ციფრის 2.5%-იან ზრდას ვარაუდობს. სავალუტო ფონდის პროგნოზით 2016 წელს 1.5%-ით გაიზრდება უკრაინის ეკონომიკა, მომავალ წელს კი 2.5%-ით.

ძალზე დამაფიქრებელია მეზობელი აზერბაიჯანის ეკონომიკის პროგნოზი, სადაც სავალუტო ფონდი ეკონომიკურ რეცესიას პროგნოზირებს და რომლის ეკონომიკა 3%-ით შემცირდება. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ნავარაუდევი მეზობელი თურქეთის ეკონომიკაში, სადაც მიმდინარე წელს 3.8%-იანი, ხოლო მომავალ წელს 3.4%-იანი ზრდაა ნავარაუდევი.

არანაკლებ საინტერესოა მსოფლიო ბანკის აზრი საქართველოს ეკონომიკის შესახებ. მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის (გლობალური ეკონომიკის პერსპექტივები) თანახმად, მსოფლიოში არასახარბიელოდ გამოიყურება 2015 წლის ეკონომიკის ზრდის ტემპი, რაც განვითარებადი მსხვილი ქვეყნების ეკონომიკის უკუსვლით არის განპირობებული, ამ ფონზე მსოფლიო ბანკი უახლოეს წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის 5%-მდე ზრდას პროგნოზირებს, მაშინ როდესაც საქართველოში 2014 წელს ეკონომიკის 4%-იან ზრდას, 2015 წელს მნიშვნელოვანი ვარდნა მოჰყვა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 2.5% შეადგინა. მსოფლიო ბანკის აზრით, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3% იქნება, 2017 წელს 4.5%, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 5%-საც მიაღწევს, რაც დიდ წილად არის დამოკიდებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ახალი საწარმოების ამოქმედებაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა ძალზე არასახარბიელოა და განსაკუთრებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას საჭიროებს, კერძოდ:

- საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა (საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, უნივერსალობა, სამართლიანობა, სრულყოფილება და საგადასახადო განაკვეთების დონე).
- მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა.
- ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველყოფა.
- ფისკალური დისციპლინის განმტკიცება.

- უმუშევრობის შემცირება.
- ფასების სტაბილურობის მიღწევა.
- მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა.
- საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება.
- ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება.
- რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარება გრძელვადიან პერიოდში.
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სრულყოფა.
- საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობის შეცვლა, საინვესტიციო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, მომავალში ეკონომიკის გაჯანსაღება, ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება მეტწილად მთავრობის მიერ სახელმწიფოს მართვის პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბელაია ა. *ფინანსები.* თბილისი: შპს "კვარი", 2011.
2. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. *გადასახადები და დაბეგვრა.* თბილისი, 2011.
3. ყუფარაძე გ. *საგადასახაო პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციები საქართველოში.* ჟურნალი „ეკონომიკა", 2013.
4. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ. *საჯარო ფინანსები.* თბილისი, 2009.
5. ჟურნალი "ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)". http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi (18.09.2016)
6. ჟურნალი „ფორბს" 2014, 2016 http://forbes.ge/news/ (18.09.2016)
7. გაზეთი „ბანკები და ფინანსები", 28.12.2015
8. გაზეთი „ბანკები და ფინანსები", 27.09.2016
9. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo (18.09.2016)
10. ფინანსთა სამინისტრო http://mof.ge/GovBudget (18.09.2016)
11. საქართველოს პარლამენტი http://www.parliament.ge/ge/ (18.09.2016)
12. მსოფლიო ბანკი - *„გლობალური ეკონომიკის პერსპექტივები",* 2016
13. სავალუტო ფონდი: *„საქართველოს ეკონომიკა",* 2016

Public Finance of Georgia and Macroeconomics

M. Chikviladze

Summary

In the article "Georgia public finances and macroeconomic" there is macro-economic indicators of the country according particular months of the year discussed and analyzed. Special attention is paid to the problems related to the performance of the 2015 budget parameters, revenue as well as expenditure parts. It is focused on the subjective and objective factors (inflation, currency devaluation against the dollar and euro, economic growth, export-import, etc.), that became reason of revision of 2015 budget. Based on these findings, financial-economic indicators in the period of January-August 2016 is analyzed and particular recommendations regarding performance of 2016 budget is proposed taking into consideration shortcomings of the previous year.

Ultimately, it is considered that the economic recovery, performance of the state budget, to a greater extent will depend on the state management policy.

Key words: *Public Finance, Export; Budget, Insurance System.*

საქართველოს ტურისტული პოტენციალის გამოყენების თანამედროვე ტენდენციები

ქეთევან ჩიტალაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში დეტალურადაა განხილული ტურიზმის სტატისტიკის ძირითადი ინდიკატორები, მოცემულია მათი კომპლექსური ანალიზი, რის საფუძველზეც გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები. გამოკვეთილია ტურიზმის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები და შეთავაზებულია მათი გადაჭრის კონკრეტული გზები.

აკვანძო სიტყვები: *ტურისტული პოტენციალი, ვიზიტორი, სტატისტიკა, მატების ტემპი, ტურისტული პროდუქტები.*

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია, რომლის განვითარება ადეკვატურად აისახება მთელი ქვეყნისა და ცალკეული რეგიონის ეკონომიკის ისეთ დარგებზე როგორიცაა: ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ვაჭრობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და სხვა. ამიტომ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნისათვის ტურისტული ინდუსტრიის ფართო ქსელის შექმნა უმნიშვნელოვანესი მომენტია. ტურისტული რესურსების არსებობა და ხარისხი განსაზღვრავს ტურისტული საქმიანობის წარმართვისათვის გამოყენებული ეკონომიკური რესურსების მოცულობასა და სტრუქტურას. ტურისტული რესურსები რაოდენობრივად შეზღუდულია და თვისობრივად დიფერენცირებული.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, უცხოელი მოგზაურები უფრო ხანგრძლივად მოგზაურობენ და მეტ ფულს ხარჯავენ, ვიდრე ადგილობრივი მოგზაურები. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების თანახმად, ოპერატორების უმრავლესობა პირველად თავისი ტურისტული პროდუქტით ცდილობს ადგილობრივი ბაზრის ათვისებას და მხოლოდ ამის შემდეგ გადის საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა აღნიშნული გამოცდილება შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული ქვეყნისთვის [3, გვ.11]. ტურისტული რესურსების სიმრავლის იდენტიფიკაციისადმი ამგვარი მიდგომა საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად და კომპლექსურად შევაფასოთ ტურისტული პროდუქტები და ტურისტული ტერიტორიების პოტენციალი სხვადასხვა დონეზე, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი დონეების მიხედვით.

შემომყვანი ტურიზმი ბაზრების დიფერენცირებისა და ახალი ბაზრების ათვისების შესაძლებლობას იძლევა, რაც შიდა უარყოფითი ეფექტების (შოკების) დარეგულირებას უწყობს ხელს. მაგალითად, ვალუტის გაუფასურება შეიძლება უარყოფითად აისახოს შიდა ვიზიტორებზე, ხოლო საერთაშორისო მოგზაურებზე დადებითი ან ნეიტრალური გავლენა იქონიოს. ამას შედეგად, ტურისტული ნაკადის დარეგულირება მოჰყვება. შემომყვანი ტურიზმისგან ბევრი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი, მათ შორის:

- საერთაშორისო მოგზაურობის ნაკადი არ არის კონცენტრირებული უქმე დღეების გარშემო და სეზონურობის დაძლევის კარგი საშუალებაა;
- სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე რისკების გადანაწილების საშუალებით შესაძლებელია უარყოფითი შედეგების შემცირება;
- შემომყვანი დისტრიბუციის ქსელში ჩართვა საშუალებას იძლევა ათვისებულ იქნას ახალი დისტრიბუციის ფორმები და ადგილობრივი პროდუქტი მსოფლიოს გარშემო მილიონობით პოტენციური მოგზაურისთვის ხელმისაწვდომი გახდეს;
- საერთაშორისო მოგზაურები საშუალოდ უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე შიდა მოგზაურები თითოეულ ვიზიტზე;
- წინასწარი დაჯავშნის პერიოდი ჩვეულებრივ უფრო გრძელია და უკეთესი ბიზნეს დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

საერთაშორისო ექსპერტები საქართველოში ტურიზმს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. არსებული პოტენციალის ანალიზის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში პერსპექტიული იქნება ტურიზმის ისეთი სახეების განვითარება, როგორიცაა: კულტურული, სამკურნალო, საკურორტო, სათავგადასავლო, ეკო და ა.შ. ამასთან შესაძლებელია წვრილმასშტაბიანი ტურიზმის სახეების განვითარებაც – ქვეითი და ველოტურები, ახალგაზრდული (ახალგაზრდების მოგზაურობა შემეცნებითი, სპორტუ-

ლი და რეკრეაციული თვალსაზრისით), ექსტრემალური ეთნიკური, ნოსტალგიური, და სხვ. ამ უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით მიუთითებენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან - ევროპასთან. 2010-2015 წწ. უშუალოდ საქართველოს საზღვარზე უცხოელ ვიზიტორთა ჩამოსვლების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს საზღვარზე უცხოელ ვიზიტორთა ჩამოსვლების რაოდენობა 2010-2015 წლებში [6]

ცხრილი 1.

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
ვიზიტორთა რაოდენობა (კაცი)	2 031 717	2 822 363	4 428221	5 392 303	5 515 559	5 901 094

როგორც ცხრილიდან ირკვევა, 2010-2015 წლებში საქართველოში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ამ პერიოდში საშუალოწლიური მატება 19 % დაფიქსირდა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების თანახმად, 2016 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვმა 1 134 436 შეადგინა, რაც 14.7%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ვიზიტორთა 47.4% ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა ქვეყანაში, ხოლო ტურისტების წილი 35.9%-ს შეადგენდა [3,გვ.11].

აღსანიშნავია, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ერთდღიანი შემოსვლების რიცხვი 24%-ით, ხოლო ტურისტების რაოდენობა 15.7%-ით გაიზარდა. რაც შეეხება ტრანზიტულ მგზავრებს, მათი რაოდენობა 14 310-ით (7%-ით) შემცირდა. წინა წლის მარტთან შედარებით, მიმდინარე წლის მარტში საერთაშორისო ვიზიტების რიცხვი 64.6 ათასით (16.7%-ით) გაიზარდა, საიდანაც ტურისტების რიცხვი 33.8 ათასითაა (24.8%-ით) გაზრდილი.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ძირითად ბაზარს მეზობელი ქვეყნები წარმოადგენს. 2014 წელს მათზე მთლიანი შემოსვლების 88% მოდიოდა. აქედან, თურქეთზე 26%, სომხეთზე 24%, აზერბაიჯანზე 23%, რუსეთზე კი 15%. ვიზიტორების წარმომავლობა რიგ ფაქტორებზე ახდენს გავლენას, მათ შორისაა:

- ვიზიტის ხანგრძლივობა;
- დანახარჯები, საკვები, საყიდლების როდენობა;
- აქტივობა და მონახულებული ღირსშესანიშნაობა;
- განთავსების საშუალებების ტიპი და ტურები.

ბოლო სამი წლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი ნაწილი ივლისსა და აგვისტოში სტუმრობს საქართველოს. სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი მოგზაურთა რაოდენობის მხრივ პირველ სამეულს წარმოადგენს (ცხრილი 2). ამ ქვეყნებზე საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების დაახლოებით 76% მოდის.

საქართველოში საერთაშორისო შემოსვლების მიხედვით ტოპ-ათეული ქვეყანა
(2014-2015 წწ)

ცხრილი 2.

ქვეყანა	წლები		ცვლილება (%)
	2014	2015	
სომხეთი	1 325 635	1 468 888	+ 10,8
აზერბაიჯანი	1 283 214	1 393 257	+8,6
თურქეთი	1 442 695	1 391 721	-. 3,5
რუსეთი	811 621	926 144	+ 14,1
უკრაინა	143 521	141 734	-1,2
ისრაელი	42 385	59 487	+40,3
პოლონეთი	46 314	41 425	-10,6
გერმანია	33 446	36 826	+10,1
ყაზახეთი	28 394	36 777	+29,5
აშშ	28 272	31 147	+10,2

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით, თურქეთიდან 3,5 და უკრაინიდან - 1,2 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული ვიზიტორთა რაოდენობა, ხოლო სომხეთიდან - 10,8, აზერბაიჯანიდან - 8,6 და რუსეთიდან - 14,1 პროცენტული პუნქტითაა გაზრდილი. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებიდან ჩამომსვლელების წილი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება, განსხვავება აშკარაა. ვფიქრობთ, რომ ეს არა მანძილით, არამედ მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის ნაკლები ცნობადობითაც შეიძლება იყოს გამოწვეული.

სასტუმროების ბაზარზე ამჟამად აჭარის ზღვისპირა რეგიონი და თბილისი დომინირებს. სულ საქართველოს ტერიტორიაზე 1051 განთავსების საშუალებაა 34 751 საწოლი ადგილით. საწოლების რაოდენობის მხრივ, პირველ ადგილზე აჭარის რეგიონია. მათი რაოდენობის 63% სასტუმროებზე მოდის. შემდეგ არის სასტუმრო სახლები (16%) და საოჯახო სასტუმროები (16%). ბოლო პერიოდში მოგზაურების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად, საშუალოვადიან პერსპექტივაში აღინიშნება განთავსების საშუალებებზე მოთხოვნის გადაჭარბება მიწოდებაზე, რაც პერსპექტივაში განთავსების საშუალებების რაოდენობის ზრდის საფუძველი შეიძლება გახდეს [4].

აღსანიშნავია, რომ ტურიზმი საქართველოში მსოფლიო ტურიზმთან შედარებით ზრდის სწრაფი ტემპით ხასიათდება. უკანასკნელ ხუთ წელიწადში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა საქართველოში გაცილებით უფრო მეტი იყო და 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, როცა მსოფლიო საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა 4%-ით დაეცა, მათი რიცხოვნობა 16%-ით გაიზარდა. ეს ტენდენცია მსოფლიო მოგზაურთა რაოდენობაში საქართველოს უცხოელი მოგზაურების წილის ცვლილებით აისახა, რომელიც 2008 წლიდან 2014 წლამდე 0,14%-დან 0,32%-მდე არის გაზრდილი (იხ. ნახ. 1).

აღნიშნული მონაცემები ცალსახად გვიჩვენებს, რომ საქართველოში არის სექტორები, რომელიც უფრო სწრაფ განვითარებას საჭიროებს. ეს ძირითადად საჰაერო მიმოსვლას ეხება, ასევე ძალზედ საინტერესო და პერსპექტიულია საზღვაო ტრანსპორტიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე გახსნილია ქუთაისის აეროპორტი, საჰაერო სივრციდან შემომსვლელი ტურისტების წილი მაინც ნაკლებია, რაც მსგავს მომსახურებაზე შესაძლოა მაღალი ფასებით იყოს გამოწვეული.

საქართველოს წილი საერთაშორისო მოგზაურობაში [6]

ნახ.1.



რაც შეეხება საქართველოში საერთაშორისო შემოსვლებს საზღვრების ტიპების მიხედვით, 86% უკავია სახმელეთო შემოსვლებს, 12 %- საჰაეროს, 1 % - რკინიგზას და 1 % საზღვაოს (იხ. ნახ 2.).

ჩამომსვლელი ტურისტები საზღვრის ტიპების მიხედვით [6]

ნახ.2.



საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2015 წელს 8.3%-ით გაიზარდა და 1.9 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში უცხოური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები 219 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 47 მილიონი ლარით მეტია. ამასთან, გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა, ასევე გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც [10].

როგორც ვხედავ, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდება (საშუალოდ 19,5%), მაგრამ შემცირებულია როგორც ვიზიტორთა, ასევე ტურიზმიდან შემოსავლების მატების ტემპები. კერძოდ, 2013 წელს 2012 წელთან შედარებით მატების ტემპი ორივე მიმართულებით 35 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით 19 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ნიშანდობლივია, რომ ვიზიტორების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან ირანთან გაუქმებულმა ვიზებმა. მარტში ირანიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 12-ჯერ გაიზარდა და 13 651 შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის სექტემბრიდან საქართველოს ხელისუფლებამ სავიზო რეგულაციების გამკაცრება დაიწყო. ამ რეგულაციებმა ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა და ტურისტთა რაოდენობაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამ ცვლილებებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომის შესახებ აღიარა და, მათ შორის კანონმდებლობაში შეტანილი რამდენიმე ცვლილების შედეგად რეგულაციების კვლავ გამარტივებით, სიტუაციის გამოსწორება დაიწყო.

ვიზიტორთა რაოდენობისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის დინამიკა 2010-2015 წლებში [6]



როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ტურისტული პოტენციალი ეჭვს არ იწვევს, თუმცა მისი მხოლოდ ძალზედ მცირე ნაწილია დღეისათვის ათვისებული. იმისათვის, რომ მოხდეს რეალური ძვრები ამ პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია იმ შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი, რაც ტურიზმის ინტენსიურ და ექსტენსიურ განვითარებას უშლის ხელს.

ნაწილი ამ ხელისშემშლელი ფაქტორებისა, ობიექტურად, ქვეყნის ზეგავლენის არეალის გარეთაა, თუმცა მათი მინიმიზაციაც არის შესაძლებელი, დანარჩენი პრობლემების გამოსწორება კი მთლიანად ქვეყნის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

ტურისტების შიში ოკუპირებულ, საომარ ვითარებაში მყოფ, არასტაბილური პოლიტიკური და სოციალური გარემოს მქონე ქვეყანაში სტუმრობისა – დღეისათვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ობიექტურად შემაფერხებელი ფაქტორია, თუმცა მისი ნიველირების შესაძლებლობა არსებობს. ის, რომ დღეს საერთაშორისო არენაზე აქტიურად მიმდინარეობს ზეწოლა რუსეთზე, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს 2008 წელს ნაკისრი ვალდებულებები, ქმნის გარკვეულ გარანტიებს თუნდაც არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნებისა და საომარი მოქმედებების არ განახლებისა. რაც შეეხება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე პოლიტიკურ სტაბილურობას, ამის ერთადერთი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება დემოკრატიზაციის ამაღლება, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. ყოველივე

ამის მსოფლიოსათვის სათანადო დონითა და სახით მიწოდება შეამცირებს საქართველოში ტურისტებისათვის რისკის შეგრძნებას და, თავისთავად, გაზრდის მსურველთა რაოდენობას.

ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციების პირობებში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხის ამაღლებასა და სათანადო ანალიზის განხორციელებას [1, გვ. 89]. ამისათვის კი საჭიროა საქსტატის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკის უწყებათშორისი კომისიის ინტენსიური მუშაობა, რომელიც შექმნილია სწორედ ტურიზმის სტატისტიკის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეისათვის მისი ძალზედ მცირე ნაწილია ათვისებული. რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ რეალური ძვრების, აქტიური და ქმედითი პოლიტიკის შემუშავების შედეგად მიღებული ღონისძიებების გატარებით, შევამციროთ ტურიზმის ინტენსიურ და ექსტენსიურ განვითარებაზე შემაფერხებელი ფაქტორების ზეგავლენა და მოვახდინოთ მათი შეძლებისდაგვარად მინიმიზაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწილი ამ ხელისშემშლელი ფაქტორებისა ობიექტურად ქვეყნის ზეგავლენის არეალის გარეთაა, დანარჩენი პრობლემების გამოსწორება კი მთლიანად ქვეყნის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. პირველ რიგში უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს ტურისტული ბაზრის სათანადო რეკლამირება. ამასთანავე უნდა შეიქმნას უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების უსაფრთხოების საგარანტიო სისტემა [2. გვ.319].

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ქვეყნის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის (აეროპორტები, გზები, სასაზღვრო-გამშვები პუნქტები, სასტუმროები, კვების ობიექტები, დაცული ტერიტორიები, ზამთრის კურორტები, საზღვაო კურორტები და სხვა). კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამაღლებისათვის მაინც მნიშვნელოვანი, მიზნობრივი, ინვესტიციებია საჭირო ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით. საქართველოს ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის გაძლიერების მიზნით, უნდა მოხდეს ტურისტული პოტენციალის კომპლექსური და სისტემური ანალიზის საფუძველზე შემუშავებული პოლიტიკის გატარება, რაც აამაღლებს ტურისტების მომსახურების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. აბესაძე, რ. ქინქლაძე, ქ. ჩიტალაძე - სტატისტიკა ტურიზმისთვის. გამომც. ,,უნივერსალი“, თბ., 2015
2. ნ. ფარესაშვილი, „ეკოტურიზმის მენეჯმენტის მარეგულირებელი მექანიზმები’’, IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი’’, შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის სკოლა, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბათუმი-ტრაპიზონი, 8-9 ივნისი, 2013 წ. 316-320 გვ.
3. სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად, პირველი გამოცემა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2015.
4. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა - საქარტველოს ტურიზმის ეროვნული ასოციაცია (2012წელი)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი www.Geostat.ge
6. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი www.gnta.ge
7. www.economy.ge
8. http://georgia.travel/
9. http://www.tourism-association.ge/
10. http://factcheck.ge/

Modern Tendencies in Applying of Tourism Potential in Georgia

K. Chitaladze

Summary

According to the analysis of tourism potential, we can conclude that today a very small part of it is assimilated. It gives us opportunities to reduce and minimize the hindrance factors' influencing on intensive and extensive development of tourism by making real changes and measures which are the result of an active and effective policy-making. In order to strengthen the impact of tourism on the economy there should be policy as a result of comprehensive and systematic analysis of the tourism potential. This will increase the quality of tourists' service.

Keywords: *Tourism potential, Visitors, Statistics, Growth rate, Tourism products.*

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შესაძლებლობები უარყოფითი საპროცენტო განაკვეთებით

მალხაზ ჩიქობავა,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

ნაზირა კაკულია,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში გაანალიზებულია უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის დაძლევის შესაძლებლობები განვითარებულ ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპების შემცირება განვითარებული ქვეყნების მონეტარულ ხელისუფლებებს აიძულებს დანერგონ ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ახალი ინსტრუმენტები.

ავტორთა დასკვნით, უარყოფითი სადეპოზიტო განაკვეთების გამოყენების შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე, მისი ეფექტიანობა საეჭვოა როგორც ეკონომიკური, ასევე ფსიქოლოგიური ასპექტით. ამასთან, თანამედროვე მსოფლიოს გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაცია სამომავლოდ ეკონომიკური სისტემის ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი პარადიგმების შემუშავებას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური კრიზისი, დეფლაცია, უარყოფითი პროცენტები, კლასიკური ეკონომიკური თეორია, კეინზიანური ეკონომიკური თეორია, რეალური და ფინანსური აქტივები, უარყოფითი პროცენტები დეპოზიტებზე, ცენტრალური ბანკები.*

ბოლო რამდენიმე ათწლეულის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების სერია და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპების შემცირება განვითარებული ქვეყნების მონეტარულ ხელისუფლებებს აიძულებს დანერგონ ეკონომიკური ზრდის სტიმულირების ახალი ინსტრუმენტები [2, გვ. 2]. ცალკეული ცენტრალური ბანკების ბოლო ნოვაციებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „რაოდენობრივი შერბილებისა“ (QE) და უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების პროგრამები. ეს უკანასკნელი პრაქტიკაში ახალი დანერგილია, რის გამოც ეკონომიკაზე ამ ინსტრუმენტის ზემოქმედების გრძელვადიანი შედეგები ჯერჯერობით უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ბანკების მიერ გამოყენებადი ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები გამიზნულია არა მხოლოდ საბანკო დაწესებულებების, არამედ ეკონომიკის ყველა სუბიექტის მიმართ, რომლებიც ბანკებთან მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი. აქედან გამომდინარე, უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის ფენომენი ინტენსიურად სცილდება საბანკო სფეროების ფარგლებს.

საკითხები, რომლებიც უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების სისტემაში, დღის წესრიგში აყენებს საპროცენტო განაკვეთზე ფულადი და „რეალური“ ფაქტორების გავლენის პრობლემას. სასესხო პროცენტის განაკვეთის ფორმირების საკითხებისადმი მიძღვნილ თეორიებს შორის ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა სასესხო კაპიტალის კლასიკურმა და ლიკვიდურობის უპირატესობის კეინზიანურმა თეორიებმა [4, გვ. 320; 14, გვ. 160]. კლასიკური თეორიის თანახმად, პროცენტი, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება კაპიტალის პროდუქტად, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე მოხმარებისგან თავის შეკავებისათვის პრემიას. ფულადი თეორიის მომხრეების მიერ პროცენტი განიხილება, როგორც ფულის ფასი და ერთგვარი „ჯილდო“ ლიკვიდურობაზე უარის თქმის გამო. თანამედროვე ეტაპზე, როცა საპროცენტო განაკვეთის რეგულირება სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი წონადი ინსტრუმენტია, საპროცენტო განაკვეთის ფორმირებაზე მოქმედ გრძელვადიან ფაქტორებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მონეტარული ხელისუფლების პოლიტიკის განსაზღვრაში.

უპირველეს ყოვლისა, როცა საქმე ეხება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ტენდენციას გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებელია რეალური ფაქტორების გათვალისწინება, რაც უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და განსაზღვრავს კაპიტალზე შემოსავლის სიდიდეს და მიმდინარე პერიოდში მოხმარებისადმი უპირატესობას. ეს, თავის მხრივ, აისახება დაზოგვის პოლიტიკაზე. რეალური ფაქტორების არასათანადოდ შეფასებამ, რომელიც გავლენას ახდენს პროცენტის ნორმაზე, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ფინანსური რყევები.

ეკონომიკის რეალური სექტორისა და ფინანსური კაპიტალის ინტერესებს შორის წინააღმდეგობის გამწვავების პროცესი რეალური სექტორის მიერ წარმოების მუდმივი განახლებისადმი (ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისადმი) სწრაფვაში გამოიხატება, რაც ამცირებს ფინანსური კაპიტალის ღირებულებას, რომელსაც ფლობს საკრედიტო დაწესებულება [3, გვ, 162]. წინააღმდეგობა ვლინდება იმაში, რომ ფინანსური ელიტა თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ღებულობს ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ფიქტიური კაპიტალით ოპერაციების ხარჯზე და არა წარმოების ეფექტიანობის ზრდით. ამ შემთხვევაში, ფორმირებადი გარღვევა ეკონომიკის რეალური სექტორის შემოსავლიანობასა და ფინანსურ კაპიტალზე შემოსავლიანობას შორის, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წარმოშობს ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისებს, რომელიც „ბუმერანგივით“ უბრუნდება რეალურ სექტორს, რაც ვლინდება წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და შემოსავლიანობის შემცირებაში.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის მომხრეები საპროცენტო განაკვეთს განიხილავდნენ, როგორც რეალური ეკონომიკის კატეგორიას. მათი თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საინვესტიციო საშუალებებზე მოთხოვნით და დანაზოგების მიწოდებით. მათი აზრით, დანაზოგების მიწოდებისა და საინვესტიციო მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილით განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ეკონომიკის რეალურ სექტორში არსებულ მდგომარეობას. ამგვარად, კლასიკური თეორიით, ფიზიკური და ფინანსური აქტივებიდან მოგების ნორმა მიისწრაფვის გამოთანაბრებისკენ, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს ერთიან საბაზრო საპროცენტო განაკვეთს.

კლასიკური თეორიის მომხრეებისგან განსხვავებით, კეინზიანური თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ საპროცენტო განაკვეთი ფულადი ფენომენია, რომელიც ასახავს ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის მდგომარეობას. კლასიკური ეკონომიკური თეორია მეტისმეტად მაღალ უმუშევრობას ხსნის ძალიან მაღალი რეალური ხელფასისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის არსებობით. ამ მიდგომის თანახმად, თუ ხელფასი შემცირდება, შემცირდება სამომხმარებლო ხარჯები, ხოლო დასაქმება გაიზრდება, რადგანაც საწარმოები გამოიყენებენ მეტ შრომას უფრო დაბალი ფასით და გაზრდილი დანაზოგები ხელს შეუწყობს ინვესტიციების ზრდას.

კეინზიანელები პირიქით, ამტკიცებენ, რომ ხელფასის შემცირება არ გაზრდის დასაქმებას, არამედ დათრგუნავს მოთხოვნას და გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას. ამ დროს საპროცენტო განაკვეთის შემცირება უმნიშვნელო გავლენას მოახდენს ინვესტიციების მოცულობაზე, განსაკუთრებით დეპრესიის დროს. უფრო ადრინდელი თეორიების თანახმად, ინვესტიციებმა ავტომატურად უნდა გამოიწვიოს სრული დასაქმება, რასაც საფუძვლად უდევს საპროცენტო განაკვეთის შემცირება. ეს უკანასკნელი განიხილებოდა, როგორც საკრედიტო რესურსების ფასი და როგორც ნებისმიერი ფასი, ის ისწრაფვის მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორებისკენ. პრაქტიკულად, ეს გულისხმობდა დანაზოგებისა (საკრედიტო რესურსების მიწოდებისა) და ინვესტიციების (მათზე მოთხოვნის) გათანაბრებას.

ჯ. მ. კეინზმა დაასაბუთა, რომ ინვესტიციების სიდიდე განისაზღვრება დამოუკიდებელი ფაქტორებით, უპირველეს ყოვლისა, აქტივებზე მოსალოდნელი ზღვრული შემოსავლებისა და წარმოების ზღვრული დანახარჯების თანაფარდობით, ე.ი., კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობით. საპროცენტო განაკვეთი, კეინზის თვალსაზრისით, მეორეხარისხოვან როლს თამაშობს ინვესტირებისადმი სტიმულების ფორმირებაში, ხოლო დანაზოგებისა და ინვესტიციების ტოლობა მიიღწევა ერთობლივი შემოსავლის და არა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით. კეინზისათვის საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მონეტარულ მოვლენას, რომელიც განისაზღვრება ფინანსურ აქტივებსა და ფულზე მოთხოვნითა და მათი მიწოდებით.

კეინზიანური თეორიით ფულზე მოთხოვნას სამი მოტივი განაპირობებს. პირველი, ინდივიდებს სჭირდებათ ფული საქონლისა და მომსახურების ყოველდღიური შეძენისათვის (ტრანზაქციული მოტივი). მეორე, ინდივიდებს ფული სჭირდებათ გაუთვალისწინებელი და არაპროგნოზირებადი ხარჯებისათვის (მოულოდნელი ხარჯებისათვის დაგროვების მოტივი). მესამე, ინდივიდებს სურთ ჰქონდეთ ფული სიმდიდრის შესანარჩუნებლად (სპეკულაციური მოტივი).

ასეთ ვითარებაში კეინზი ამტკიცებდა, რომ ფულის მიწოდება განისაზღვრება ეგზოგენურად, მაშინ, როცა ფულზე მოთხოვნა სპეკულაციურ საჭიროებებს ასახავს. ამ პირობებში, კეინზის აზრით, ობლიგაციის ბაზარზე სპეკულაციებმა შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო განაკვეთის სტაბილიზაცია და აქ ჩამოყალიბებული განაკვეთი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მოგების ნორმისგან ფიზიკურ აქტივებზე. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციების შემცირება და ერთობლივი მოთხოვნის ვარდნა.

ამგვარად, კეინზმა, კლასიკური დოქტრინისაგან განსხვავებით, გააერთიანა ეკონომიკის საწარმოო და ფინანსური სექტორები. ყველა ფინანსურ აქტივზე შემოსავლების ნორმა მიისწრაფვის გამოთა-

ნაბრებისკენ, ხოლო ამგვარად განსაზღვრული ერთიანი განაკვეთი წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს. შედეგად, კეინზიანურ სისტემაში, სადაც ფული განიხილება როგორც მხოლოდ ფინანსური აქტივების სუბსტიტუტი, ფულად საშუალებებზე მოთხოვნა დამოკიდებულია ფინანსური აქტივების მოგების ნორმაზე, ე.ი., საპროცენტო განაკვეთზე [3, გვ. 164].

განხილული ურთიერთკავშირი შეიძლება აღვწეროთ შემდეგნაირად: ინვესტიციებზე შემოსავლების ჩამოყალიბებული დონის შემთხვევაში, ბაზარზე პროცენტის ნორმა ფორმირდება ფულად საშუალებებზე მოთხოვნა-მიწოდების ზემოქმედებით. პროცენტის ნორმის უცვლელობასთან ერთად, ეკონომიკის რეალურ სექტორში შემოსავლების დონე განისაზღვრება დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობით. ფულადი სფერო და ეკონომიკის რეალური სექტორი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ფულადი საშუალებების მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაში ცვლილებები იწვევს პროცენტების ცვალებადობას, რომელიც, თავის მხრივ, ზემოქმედებს ინვესტიციებზე მოთხოვნის ფორმირებაზე და, საბოლოოდ, შემოსავლების დონეზე.

ეკონომიკის რეალურ სექტორში ჩამოყალიბებული სასესხო საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, განხორციელდება ყველა საინვესტიციო პროექტი, რომელთა წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა საპროცენტო განაკვეთზე მეტია. საპროცენტო განაკვეთების ზრდა გამოიწვევს ინვესტიციების სიდიდის შემცირებას და ფულადი საშუალებების გადადინებას რეალურიდან ფინანსურ სექტორში. პირიქით, განსახორციელებელი დაბანდებების შემოსავლიანობების ზრდა ან შემცირება განსაზღვრავს ფულად მოთხოვნას და შესაბამისად, სასესხო პროცენტის ნორმას.

საკრედიტო ურთიერთობების სფეროში საბაზრო მექანიზმების მოქმედების პირობებში, სასესხო საპროცენტო განაკვეთი მიისწრაფვის ეკონომიკაში მოგების საშუალო ნორმისკენ. კაპიტალის თავისუფალი გადადინების შემთხვევაში ის მიისწრაფვის იმ დარგისკენ, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მაღალი მოგების მიღებას. თუ ეკონომიკის საწარმოო სექტორში შემოსავლიანობის ნორმა აღემატება სასესხო საპროცენტო განაკვეთს, ადგილი ექნება ფულადი სფეროდან საწარმოო სექტორში ფულადი რესურსების გადადინებას, და პირიქით.

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების ჩამოყალიბების თაობაზე წინასწარმაუწყებელი იყო განაკვეთები, რომელიც ახლოს იმყოფებოდა ნულოვან მნიშვნელობასთან. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით დეფლაციის პირობებში, რომელიც იაპონიაში თითქმის 25 წელია არსებობს, იაპონიის ცენტრალური ბანკი (The Bank of Japan) აწესებს ე. წ. ოვერნაითის საპროცენტო განაკვეთს, რომელიც 2001 წლიდან 2006 წლამდე შეადგენდა 1%-ს, 2007 წლის 1 თებერვლიდან 2008 წლის ოქტომბრამდე - 0,5%-ს, 2008 წლის 1 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე - 0,3%-ს, 2008 წლის 19 დეკემბრიდან 2010 წლის 4 ოქტომბრამდე - 0,1%-ს, ხოლო 2010 წლის 5 ოქტომბრიდან დღემდე მისი სიდიდე შეადგენს – 0,1%-ს [3, გვ. 164].

2016 წლის 29 იანვარს იაპონიის ბანკმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 16 თებერვალს შემოიღებდა უარყოფით საპროცენტო განაკვეთს ჭარბ რეზერვებზე, უფრო კონკრეტულად, ახალ დეპოზიტებზე, რომლებსაც საკრედიტო დაწესებულებები ათავსებენ ცენტრალურ ბანკში. განაკვეთი, რომელიც შეადგენდა 0,1%-ს, შემცირებულ იქნა -0,1%-მდე [3, გვ. 165]. სადეპოზიტო განაკვეთების შემცირება უარყოფით მნიშვნელობამდე, ბანკებისათვის წამგებიანს ხდის სახსრების განთავსებას ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე: შემოსავლების მიღების ნაცვლად ისინი იძულებულნი ხდებიან გადაუხადონ მარეგულირებელს. ივარაუდება, რომ ასეთ შემთხვევაში ფულადი საშუალებები იაპონიის ცენტრალური ბანკის ანგარიშებზე თავმოყრის ნაცვლად ინვესტირებული იქნება ეკონომიკაში.

ჯერ კიდევ იაპონიის ცენტრალური ბანკის ზემოთ ნახსენებ ოპერაციამდე, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) 2014 წლის ივნისში, პირველად თავის ისტორიაში, შემოიღო უარყოფითი სადეპოზიტო განაკვეთები, შეამცირა რა მისი სიდიდე -0,1%-მდე, სექტემბერში ის დაიყვანა -0,2%-მდე, ხოლო 2016 წლის მარტისათვის - -0,4%-მდე. საბაზისო სააღრიცხვო განაკვეთი, რომლითაც ECB აკრედიტებს საბანკო დაწესებულებებს, 0,0%-ის ტოლია. მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრალურმა ბანკმა შემოიღო უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე, ევრო დოლართან მიმართებაში თითქმის 20%-ით გაუფასურდა. ECB, ამ თვალსაზრისით, სულაც არ არის ერთადერთი ევროპის კონტინენტზე: შვედურმა რიკს-ბანკმა (The Riksbank) შემოიღო უარყოფითი სადეპოზიტო განაკვეთი 2009 წლის ივლისიდან, რომელიც შეადგენს -0,35%-ს, 2012 წლის ივლისში უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიანი დეპოზიტების მიხედვით შემოიღო დანიის ბანკმა (Danmarks Nationalbank), რომლის სიდიდე შეადგენს -0,75%-ს [3, გვ. 166].

2014 წლის დეკემბერში შვეიცარიის ეროვნულმა ბანკმა (The Swiss National Bank) ასევე შემოიღო უარყოფითი განაკვეთები დეპოზიტებზე, რათა მაქსიმალურად შეეზღუდა ინვესტორების ფულადი საშუალებების მოდინება. კომერციული ბანკების უვადო ანაბრებზე განაკვეთი შვეიცარიის ბანკში -0,25%-ია.

დანიის ცენტრალურმა ბანკმა 2015 წლის იანვარში მესამედ შეამცირა დეპოზიტებზე განაკვეთი და ის -0,35%-მდე დაიყვანა. ადრე შვეიცარიის ცენტრალურმა ბანკმა განაკვეთი -0,75%-მდე შეამცირა, ხოლო ფინეთში ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენს -0,2%-ს [2, გვ. 75].

ზოგიერთი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ სადეპოზიტო ოპერაციებზე უარყოფით საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლა ნაჩვენებია ცხრილში №1 [1, გვ. 305].

ცხრილი №1

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები სადეპოზიტო ოპერაციებზე ქვეყნების მიხედვით

ცენტრალური ბანკი	უარყოფითი პროცენტების პირველად შემოღების თარიღი	მიმდინარე მიმდინარე პერიოდში, %
შვედური რიკსბანკი	2009 წლის ივლისი	-0,35
დანიის ეროვნული ბანკი	2012 წლის ივლისი	-0,75
შვეიცარიის ეროცნული ბანკი	2014 წლის დეკემბერი	-0,75
ევროპის ცენტრალური ბანკი	2014 წლის იავნისი	-0,30
იაპონიის ბანკი	2016 წლის თებერვალი	-0,10

უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების შემოღება, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ეკონომიკაში დეფლაციური პროცესების დასაძლევად. მაგრამ, მისი გამოყენება იმავდროულად მოიცავს როგორც ეკონომიკურ რისკებს, ასევე ფსიქოლოგიურად მიუღებლობას. თუ რამდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული საბანკო სექტორის საპროცენტო განაკვეთები და სასაქონლო ფასები ფულის მყიდველობითუნარიანობის მეშვეობით, ვნახოთ შემდეგი მაგალითით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში №2 [3, გვ. 164] წარმოდგენილი მატრიცა, რომელიც გვიჩვენებს სადეპოზიტო განაკვეთებისა და სასაქონლო ფასების ურთიერთკავშირს ფულის ერთეულის მყიდველობითუნარიანობის მეშვეობით [1, გვ, 76], საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

ცხრილი №2

სადეპოზიტო განაკვეთებისა და ფულადი ერთეულის მყიდველობითუნარიანობის მიხედვით სასაქონლო ფასების ურთიერთკავშირის მატრიცა

საწყისი მდგომარეობა M = P = 100	ვარიანტი 1	ვარიანტი 2	ვარიანტი 3
	R = 1	R = 0	R = -1
M	101	100	99
ვარიანტი A	I = 1		
P	101	101	101
M - P	0	-1	-2
ვარიანტი B	I = 0		
P	100	100	100
M - P	+1	0	-1
ვარიანტი C	I = -1		
P	99	99	99
M - P	+2	+1	0

შენიშვნა: M - ფულადი ერთეულის ამოსავალი რაოდენობაა; P - აქტივის (საქონლისა და მომსახურების) საწყისი ფასი; R - განაკვეთი დეპოზიტის მიხედვით, %-ში წლიურად; I - აქტივის (საქონლისა და მომსახურების) ფასების ინდექსი; 1, 2, 3 და A, B, C ვარიანტები - მდგომარეობა ერთი წლის შემდეგ.

ქვეყნის ეკონომიკაში სადეპოზიტო განაკვეთებისა და სასაქონლო ფასების ერთი და იმავე მიმართულებითა და ერთნაირი ტემპებით ცვლილებების შემთხვევაში (1A, 2B და 3C ვარიანტების კომბინაცია, რომელიც ყოფს მატრიცას წარმოსახვითი დიაგონალით, გავლებული მარცხენა ზედა კუთხიდან მარჯვენა ქვედა კუთხემდე) ფულადი ერთეულების მყიდველობითუნარიანობა უცვლელი რჩება და საშუალებას იძლევა შეძენილ იქნეს აქტივები საწყისი მდგომარეობის პროპორციულად ყოველგვარი დანაკარგის გარეშე. სადეპოზიტო განაკვეთებისა და სასაქონლო ფასების ცვლილებების ვარიანტების დანარჩენი კომბინაცია სხვადასხვა მიმართულებისაა და გადახრილია საწყისი მდგომარეობის პროპორციისგან ამა თუ იმ მიმართულებით. კერძოდ, 1B, 1C და 2C ვარიანტების კომბინაცია (ისინი თავმოყრილია

მატრიცის მარცხენა ქვედა კუთხეში წარმოსახვით დიაგონალთან მიმართებაში) საშუალებას იძლევა არა მარტო შეძენილ იქნეს აქტივები, არამედ ამ დროს დაიზოგოს ერთიდან ორამდე ფულადი ერთეული. 2A, 3A და 3B ვარიანტების კომბინაცია (ისინი თავმოყრილია მატრიცის მარჯვენა ზედა კუთხეში წარმოსახვით გავლებულ დიაგონალთან მიმართებაში) უკვე არ იძლევა საშუალებას შეძენილ იქნეს აქტივები, რადგანაც ამისათვის საჭირო ფულად ერთეულს აკლია ერთიდან ორამდე ფულადი ერთეული.

პრაქტიკაში, ეკონომიკური ურთიერთობების ცალკე აღებული სუბიექტებისათვის, 1A, 2B და 3C ვარიანტების კომბინაცია უკიდურესად იშვიათად გვხვდება. ეს, სულ მცირე, განპირობებულია ორი მიზეზით. ერთი მხრივ, სადეპოზიტო განაკვეთების სიდიდე შეიძლება იცვლებოდეს საბანკო დაწესებულების მიერ არჩეულ და ანაბრის მოცულობასა და ვადაზე დამოკიდებულებით სადეპოზიტო განაკვეთების მის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე. მეორე მხრივ, სხვადასხვა აქტივზე სასაქონლო ფასების დინამიკა არ გამოირჩევა სინქრონულობით და შეიძლება სხვადასხვა მიმართულებითაც კი იცვლებოდეს.

1B, 1C და 2C ვარიანტების კომბინაცია ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტისათვის ყველაზე წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის სასურველ აქტივებზე სასაქონლო ფასების ნულოვანი ან თვით უარყოფითი დინამიკის დროს, შესაძლებელია საკუთარი ფულადი დანაზოგების ზრდა დადებითი სადეპოზიტო განაკვეთების წყალობით.

2A, 3A და 3B ვარიანტების კომბინაცია იწვევს ყველაზე დიდ ინტერესს, რადგანაც ნულოვანი და უარყოფითი სადეპოზიტო განაკვეთები მთელ რიგ ქვეყნებში შეხამებულია სასაქონლო ფასების უარყოფით დინამიკასთან. კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის ფართო წრეზე ფასების ზრდის არარსებობის და მათი შემცირების დროსაც კი განვითარებულ ქვეყნებში ერთდროულად ფიქსირდება ბინების შეძენის, მათი იჯარისა და შენახვის, ასევე სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურების მდგრადი გაძვირება. ასეთ პირობებში, ამ უკანასკნელის მიმართ მოსახლეობის ხელმისაწვდომობა მცირდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის პრობლემის გამწვავება.

დეპოზიტების მიხედვით უარყოფითი განაკვეთები, ცენტრალური ბანკების ლოგიკით, მოწოდებულია ასტიმულიროს კომერციული ბანკები, რათა გასცენ კრედიტები ბიზნესისა და მომხმარებლების მიმართ. მაგრამ, მიმდინარე ეკონომიკურ პირობებში ეს თითქმის არ მოქმედებს. საქონელსა და მომსახურებაზე უმნიშვნელო საბოლოო მოთხოვნისა და სამომხმარებლო ფასების მუდმივი შემცირების გათვალისწინებით, ბიზნესი არ არის დაინტერესებული წარმოების ზრდით. გარდა ამისა, უარყოფითმა სადეპოზიტო განაკვეთებმა შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური არასტაბილურობა, რასაც მოყვება მრავალი ორგანიზაციის მოგების შემცირება, რომლებიც სახსრებს მიზნობრივი პროექტებისათვის ინახავენ [3, გვ. 166]. იმისათვის, რომ უარყოფითმა განაკვეთმა ეფექტიანად იმოქმედოს, საჭიროა პროცესების სტიმულირება მოთხოვნის აქტივიზაციითა და სამომხმარებლო აქტივობის სტიმულირებით.

როგორც აღვნიშნეთ, უარყოფითი განაკვეთების შემოღება ცენტრალური ბანკების მიერ უკვე განიხილება, როგორც ეფექტიანი საშუალება დეფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ, საეჭვოა ასეთი განაკვეთები პანაცეა აღმოჩნდეს ეკონომიკური აქტივობების აღსადგენად. მთავრობები დიდი ალბათობით სიამოვნებით ისესხებენ ფულს რაც შეიძლება იაფად, მაგრამ თუ მშპ მცირდება, ხოლო ვალი იზრდება და ამ დროს დაბალი ან თვით უარყოფითი საპროცენტო განაკვეთი ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, არსებული პრობლემის დაძლევას არ უნდა ველოდოთ. გარდა ამისა, უარყოფითმა სადეპოზიტო განაკვეთებმა შეიძლება აიძულოს ინვესტორები გაიტანონ კაპიტალი საზღვარგარეთ უფრო მაღალი შემოსავლების ძიების მიზნით. თუ დეპოზიტებზე უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ ხანგრძლივი დროით შენარჩუნდა, მას შეიძლება მოჰყვეს სადეპოზიტო რესურსების ბაზრის სრული კრახი.

ინვესტორები ამჟამად იძულებულნი არიან დათანხმდნენ უარყოფით შემოსავლიანობას ფულის შენახვის მოხერხებულობის გამო. მაგალითად, გერმანიაში ხუთ წლამდე ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები უარყოფითია და ის მცირედით დადებითი ხდება ამ ვადის ზრდის კვალობაზე, რაც ჯამში საშუალოდ ნულოვან განაკვეთს იძლევა [3, გვ, 167].

მაგრამ, მაინც რატომ თანხმდებიან ინვესტორები უარყოფით ნომინალურ შემოსავლიანობას სამწლიან, ხუთწლიან და ათწლიან სესხებზეც კი? ძალიან დაბალმა ან უარყოფითმა ნომინალურმა საპროცენტო განაკვეთმა შეიძლება მოუტანოს დადებითი რეალური შემოსავლები ინვესტორებს, თუ ფასები არსებითად შემცირდება. მაგალითად, იაპონელი მეანაბრეები ათ წელზე მეტია გარკვეულ სარგებელს ღებულობენ ამ მოვლენით და მათი რეალური შემოსავლები უფრო მაღალია, ვიდრე მათი კოლეგებისა აშშ-ში (მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთები იაპონიაში უფრო დაბალია, ვიდრე აშშ-ში).

ამგვარად, უარყოფითი საპროცენტო განაკვეთების გამოყენების პრაქტიკა, რომელიც წარმოშობილია იმ გამოუვალი მდგომარეობით, რომელშიც აღმოჩნდა განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკები, ფულად-საკრედიტო რეგულირების არა მარტო არატრადიციული ინსტრუმენტი გახდა, არამედ ის არ ჯდება ეკონომიკური რეალობის ფსიქოლოგიური ანომალიების აღქმის სტერეოტიპში. ამასთან

დაკავშირებით, არ გამოვრიცხავთ ფულად-საკრედიტო რეგულირების არსებული სისტემის შესაძლებლობების ამოწურვის აშკარა ნიშნებს.

გავიხსენოთ, რომ მას საფუძვლები ჩაეყარა ას წელზე მეტი ხნის წინათ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის შექმნასთან ერთად. ის ეპოქა ხასიათდებოდა ინდუსტრიული ეკონომიკის შექმნით, რომელიც სარგებლობდა საკრედიტო და ქაღალდის ფულით, გამყარებული ძვირფასი ლითონებით. თანამედროვე მსოფლიო განიცდის ახალ ტექნოლოგიურ ყაიდაზე გადასვლას [5, გვ, 382], რომელიც ეყრდნობა ფულის ახალ ფორმებს, მათ შორის, ელექტრონულს. ყველაზე მეტად ალბათ მოსალოდნელია, რომ ტექნოლოგიური ყაიდისა და ეკონომიკაში ფუნქციონირებადი ფულის ფორმის შეცვლა უთუოდ გამოიწვევს ფულად-საკრედიტო რეგულირების საფუძვლების გლობალური ტრანსფორმაციის აუცილებლობას.

მაშასადამე, განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ უარყოფითი სადეპოზიტო განაკვეთების გამოყენება, პირველ რიგში, მიმართულია დეფლაციური პროცესების აღმოსაფხვრელად, აგრეთვე რეალური სექტორის დაკრედიტების წასახალისებლად ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით. მათი შემოღების შესაძლო გრძელვადიანი შედეგებიდან შეიძლება გამოვყოთ: 1. ინვესტორების მიერ კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა უფრო მაღალი შემოსავლების მიღების მიზნით; 2. კომერციული ბანკების სადეპოზიტო რესურსების შემცირება; 3. იმ საქონელსა და მომსახურებაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირება, რომლებზეც ფასები მცირდება უფრო ნაკლები ტემპებით, ვიდრე მცირდება საპროცენტო განაკვეთები; 4. საზოგადოებაში ფინანსური და სოციალური არასტაბილურობის პროვოცირება.

უარყოფითი სადეპოზიტო განაკვეთების გამოყენების ჩამოთვლილი შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ეფექტიანობა საეჭვოა როგორც ეკონომიკური, ასევე ფსიქოლოგიური ასპექტით. ამასთან, თანამედროვე მსოფლიოს გლობალური ეკონომიკური ტრანსფორმაცია სამომავლოდ ეკონომიკური სისტემის ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი პარადიგმების შემუშავებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Катасонов В.Ю. Смерть денег. Куда ведут мир «хозяева денег». Метаморфозы долгового капитализма. – М.: Книжный мир, 2016.
2. Пшеничников В.В. Применение отрицательных процентных ставок как новая реальность в денежно-кредитном регулировании // Глобальные вызовы в экономике и развитие промышленности (INDUSTRY—2016): тр. науч.-практ. конф. с зарубежным участием / под ред. А.В. Бабкина. 2016.
3. Пшеничников В.В. Отрицательные процентные ставки как элемент глобальных трансформаций денежно-кредитной сферы, Научно-технические ведомости СПбГПУ. Экономические науки № 3(245) 2016 http://ntv.spbstu.ru/economics/article/ E3.245.2016_15/
4. Фишер И. Покупательная сила денег / сост., вступ. статья М.К. Бункина, А.М. Семенова. М.: Дело, 2001.
5. Яковец Ю.В. Глобальные экономические трансформации XXI века. М.: Экономика, 2011.

The possibility of Overcoming the Current Economic Crisis through the Use of Negative Interest R ates

M. Chikobava
N. Kakulia

Summary

The paper analyzed the possibility of overcoming the current economic crisis in the developed countries through the use of negative interest rates. A series of economic and financial crises of the last few decades, and the slowdown of the world economy forced the monetary authorities of many countries to introduce new tools to stimulate economic growth.

Applications negative deposit rates lead us to the following conclusion: the effectiveness of negative interest rates is questionable in both economic and psychological aspects; Global economic transformations of the modern world will require in the future to develop a new paradigm of monetary economic system.

Keywords: *Economic crisis, deflation, negative interest rates, the classical economic theory, Keynesian ecnomic theory, real and financial assests, negative interest on deposits, the central banks.*

საქართველოსმოსახლეობის დანაზოგების საინვესტიციო პოტენციალი

ავთანდილ ჩუთლაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საქართველოს მოსახლეობის დანაზოგების სტრუქტურა 2001-2015 წლებში. გაანალიზებულია მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები, ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური ხარჯები და საშუალოთვიური ხარჯები ერთ სულზე, დადგენილია მათ შორის არსებული დამოკიდებულებანი. მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღემატებოდა მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებს, რაც უარყოფითი ტენდერნციაა, რომელიც მხოლოდ 2009 წლიდან შეიცვალა.

შესწავლილი და გაანალიზებულია დანაზოგების ტრანსფორმაცის საკითხები და მოსახლეობის ინტერესი ალტერნატიული ინვესტირების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: *დანაზოგები, შემოსავლები, ხარჯები, დეპოზიტები, ინვესტიციები, ფინანსური ბაზარი.*

2015 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიურმა ხარჯებმა დაზოგვა/გასესხებაზე 180.5 მლნ ლარი (79.5 მლნ დოლარი), ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიურმა ხარჯებმა 177.4 ლარი (78.1 დოლარი), ხოლო ერთი პიროვნების (პერსონის) საშუალოთვიურმა ხარჯებმა 49.4 ლარი (21.8 დოლარი) შეადგინა [1]. შესაბამისად, ერთი წლის მაჩვენებლები შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ - დაზოგვა/გასესხებაზე მოსახლეობის ხარჯებმა 2 166.0 მლნ ლარი (954.2 მლნ დოლარი), ერთი შინამეურნეობის ხარჯებმა 2 128.8 ლარი (937.8 დოლარი), ხოლო ერთი პერსონის ხარჯებმა 592.8 ლარი (261.1 დოლარი) შეადგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამოცანად დავისახოთ საქართველოში დანაზოგების ყველა თავისებურების დადგენა. კერძოდ, გახდა თუ არა იგი მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებელი, თუ არის, რომელ წლიდან; გააჩნია თუ არა მას რაიმე მნიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი; თუ კი, როგორია იგი. შესაძლებელია თუ არა მისი გამოყენება ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებისას ან საპენსიო სისტემის რეფორმირებისას *(დაგროვებითი საპენსიო სისტემაზე გადასვლა)*, შეუძლია თუ არა მას სერიოზული გავლენა მოახდინოს ქვეყნის ფინანსურ მაჩვენებლებზე და ა.შ.

ყოველივე ამისათვის, კვლევას ვიწყებთ ზემოთ აღნიშნული სამი პარამეტრის (*მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები, ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური ხარჯები და ერთი პერსონის საშუალოთვიური ხარჯები*) ანალიზით *(2001-2015 წწ)*, როგორც ხარჯვით, ასევე შემოსავლების ჭრილით. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, როგორ იცვლება არსებული ინდიკატორები დროში, როდის და როგორ აღწევს იგი თავის ექსტრემუმებს *(მაქსიმალურ და მინიმალურ მაჩვენებლებს)* და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მოსახლეობის, ერთი შინამეურნეობისა და ერთი პიროვნების საშუალოთვიური ხარჯები წარმოდგენილი აქვს სამომხმარებლო (*სურსათი, ტანსაცმელი, განათლება, ტრანსპორტი და ა.შ.)* და არასამომხმარებლო ფულადი ხარჯების (*სასოფლო-სამეურნეო ხარჯები, ტრანსფერტები, დაზოგვა ან გასესხება, ქონების შეძენა*) მიხედვით [1].

ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ არასამომხამრებლო ფულადი ხარჯების სტრუქტურას და დინამიკას. მოსახლეობის საშუალოთვიურ არასამომხმარებლო ფულად ხარჯებში 2001/2002-2015 წლების მიხედვით დაზოგვა/გასესხებას ყველაზე მეტი წილი უკავია. ასე, მაგალითად, მისი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (64.5%) 2015 წელს დაფიქსირდა, ხოლო მინიმალური (36.0%) 2005 წელს. მეორე პოზიცია უკავია ხარჯებს ქონების შეძენაზე, რომლის პიკი 2002 (28.3%) და 2011 (28.1%) წლებზე, ხოლო მინიმუმი 2015 (11.5%) წელზე მოდის. მესამე ადგილი ტრანსფერტებზე მოდის, შესაბამისად, მაქსიმალური მაჩვენებელი (24.8%) 2005 წელს იქნა დაფიქსირებული, მინიმალური კი (11.3%) 2002 წელს.

არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები დაზოგვა/გასესხებაზე ბოლო რამდენიმე წელი იზრდებოდა როგორც აბსოლუტური, ასევე პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. Aასე, მაგალითად, თუ 2013 წელს მან 123.3 მლნ ლარი შეადგინა, 2014 წლისთვის იგი 147.6 მლნ ლარამდე *(19.7%)* გაიზარდა, ხოლო 2015 წლისათვის მან 180.5 მლნ ლარს მიაღწია *(წინა წელთან შედარებით ზრდამ 22.2% შეადგინა)*. აღნიშნულ პერიოდში ასევე იზრდებოდა არასამომხმარებლო ფულად ხარჯებში დაზოგვა/გასესხების ხვედრითი წილი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიური დინამიკაა ერთი შინამეურნეობისა და ერთი პერსონის საშუალოთვიურ არასამომხმარებლო ფულად ხარჯებში დაზოგვა/გასესხებაზე გაწეულ დაფინანსებაზეც. ორივე იზრდებოდა როგორც აბსოლუტური, ასევე წილის მიხედვით. მათი მაჩვენებლები ემთხვევა ერთმანეთს როგორც წლების, ასევე ზღვრული (მაქსიმუმი/მინიმუმი) პარამეტრების მიხედვით.

ამრიგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები, ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური ხარჯები და საშუალოთვიური ხარჯები ერთ სულზე, იზრდება და **მათ შორის პირდაპირი პროპორციული დამოკიდებულებაა,** ანუ თუ მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები "დაზოგვა/გასესხებაზე", ვთქვათ პირობითად 20 %-ით გაიზარდა, იგივე მოცულობით იზრდება ერთი შინამეურნეობის საშუალოთვიური ხარჯები და ერთი პიროვნების საშუალო თვიური "დაზოგვა/გასესხების" ხარჯები.

ანალოგიური დამოკიდებულებაა არასამომხმარებლო ფულად ხარჯებსა და საერთო ხარჯებს შორის [1].

საშუალოთვიური ხარჯების სტრუქტურისა და მოძრაობის სპეციფიკის დადგენის შემდეგ, კვლევა გავაგრძელეთ მოსახლეობის საშუალოთვიური, ერთი შინამეურნეობისა და ცალკეული პიროვნების საშუალოთვიური შემოსავლების ანალიზით, ხოლო შემდეგ ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკის შედარებას დავუთმოთ.

2015 წელს მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი (37.5%), დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს უკავია, მეორე ადგილი (14.6%) - პენსიებს, სტიპენდიებსა და დახმარებებს, ხოლო მესამე (11.2%-ით) - ფულის სესხებას ან დანაზოგის გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ დაქირავებული შრომით მიღებულმა შემოსავალმა წამყვანი პოზიცია *(I ადგილი)* 2005 წელს დაიკავა *(მანამადე იგი არაფულად შემოსავლებზე მოდოდა)*. რაც შეეხება ფულის სესხებას ან დანაზოგის გამოყენებას, როგორც შემოსავლის მიღების წყაროს, ყველაზე დიდი წილი 2011 წელზე (12.0%), ხოლო მინიმალური მაჩვენებელი 2009 წელზე (10.1%) მოდის. საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ ფულის სესხებით ან დანაზოგის გამოყენებით მიღებული შემოსავალი, 2011 წლიდან აბსოლუტური მონაცემების მიხედვით იზრდებოდა, ხოლო მისი წილი მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში მცირდებოდა. ასე, მაგალითად, თუ 2011 წელს მისი მოცულობა 85.2 მლნ ლარს შეადგენდა, 2015 წლისთვის იგი 31.3 მლნ ლარით (36.7%) გაიზარდა და 116.5 მლნ ლარს მიაღწია [1], მაშინ, როცა მისი წილი 12.0%-დან (2011 წელი) 11.2%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დინამიკაა ერთი შინამეურნეობისა და ერთი პერსონის საშუალოთვიურ შემოსავლებში - "ფულის სეხებისა ან დანაზოგის გამოყენების" კუთხითაც. ორივე იზრდებოდა როგორც აბსოლუტური, ასევე წილის მიხედვით. მათი პარამეტრები ემთხვევა ერთმანეთს როგორც წლების, ასევე ზღვრული (მაქსიმუმი/მინიმუმი) პარამეტრების მიხედვით [1].

ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღემატებოდა მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებს. ასე, მაგალითად, 2001 წელს ხარჯებმა 350.2 მლნ ლარი, ხოლო შემოსავლებმა 263.2 მლნ ლარი შეადგინა *(სხვაობა 87.0 მლნ ლარია)*. აღნიშნული დისბალანსის აღმოსაფხვრელად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიმართავდა ქონების გაყიდვას, ფულის სესხებას ან წინა წლების დანაზოგის გამოყენებას. ასეთი უარყოფითი ტენდერნცია შეიცვალა და **შემოსავლებმა გადააჭარბა ხარჯებს მხოლოდ 2009 წელს**. ამრიგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდიდან საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნული დანაზოგების ზრდის შესაძლებლობები. ასე, მაგალითად, 2009 წელს სხვაობამ მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის 14.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2015 წლისათვის იგი მხოლოდ 3.9 მლნ ლარით გაიზარდა და 17.9 მლნ ლარს მიაღწია. შესაძლებელი გახდა დანაზოგის გაკეთება.

საინტერესო შედეგებს მივიღებთ, თუ მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში - "ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენების" მუხლს შევადარებთ, მოსასხლეობის საშუალოთვიურ ხარჯებში - "დაზოგვა ან გასესხება" მუხლს.

საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად მზარდ შემოსავლებს იღებს ფულის გასესხებით ან დანაზოგის გამოყენებით. ასე, მაგალითად, თუ 2001 წელს მისი მოცულობა მხოლოდ 12.6 მლნ ლარს უდრიდა, 2015 წლისათვის იგი 116.5 მლნ ლარს გაუტოლდა. ასევე იზრდება საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები, რასაც ისინი მიმართავენ სესხად გასაცემად ან დანაზოგის გასაკეთებლად. მისი მოცულობა 22.4 მლნ ლარიდან (2001 წ.) 180.5 მლნ ლარამდე (2015 წ.) გაიზარდა. თანაფარდობა - "ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენების" მუხლით მიღებულ შემოსავლებსა და "დაზოგვა ან გასესხება"

მუხლით გაკეთებულ დაბანდებათა შორის არაერთგვაროვანია. ასე, მაგალითად, 2001 და 2012-2015 წლებში მოსახლეობამ დანაზოგებით უფრო მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე ამავე მიმართულებით დაბანდებანი იქნა გაკეთებული. კერძოდ, 2001 წელს მან 9.8 მლნ ლარი, ხოლო 2012-2015 წლებში, შესაბამისად, 3.3, 15.7, 32.4 და 64.0 მლნ ლარი შეადგინა. საპირისპიროდ, 2002-2011 წლებში მოსახლეობამ დანაზოგების გასაკეთებლად უფრო მეტი თანხა დააბანდა, ვიდრე ამავე მიმართულებით შემოსავალი იქნა მიღებული (შესაბამისად 13.3, 7.5, 10.9, 24.6, 20.7, 23.6, 30.6, 20.2, 33.6, 33.1 მლნ. ლარი).

მივუბრუნდეთ დანაზოგის მოცულობისა და მისი საინვესტიციო მიმზიდველობის საკითხს [1]. ანალიზს 2009 წლიდან დავიწყებთ, რადგანაც შემოსავლებმა ხარჯებს ამ პერიოდიდან გადააჭარბა.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 2009-2010 წლებში წმინდა დანაზოგის მოცულობას უარყოფითი ნიშნული ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საბოლოო მოხმარება სჭარბობდა ქვეყნის მშპ-ს და წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს. **აღნიშნული ტენდენცია მხოლოდ 2011 წლიდან შეიცვალა**, როდესაც წმინდა დანაზოგის მოცულობამ 697.5 მლნ. ლარი შეადგინა. მიღებული დანაზოგის არც აბსოლუტური და არც ფარდობითი პარამეტრი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სიდიდეს. ასე, მაგალითად, 2011 წელს წმინდა დანაზოგის მიმართება წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან, მხოლოდ 3.0 %-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში იგი, შესაბამისად, 50.1 [5] და 14.2 [6] %-ს უდრიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი ბოლო წლებში იზრდებოდა და 2015 წელს 10.3 %-ს გაუტოლდა.

რადგანაც წმინდა დანაზოგებმა თავის დადებით ნიშნულს 2011 წელს მიაღწია, ანალიზიც აქედან გავაგრძელოთ. ამ წელს დანაზოგების მოცულობა (697.5 მლნ ლარი) სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს (1540.9 მლნ ლარი) მხოლოდ 45.3 %-ით ფარავდა, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯებს (973.3 მლნ ლარი) - 71.7 %-ით. წმინდა დანაზოგებმა სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების შევსება (გადაფარვა) მხოლოდ 2012-2015 წლებში მოახერხა, რომელმაც შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების შემთხვევაში 2012წ. - 100.6%, 2013წ. - 110.3%, 2014წ. - 110.9%, 2015წ. - 113.9%, ხოლო საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების შემთხვევაში 2012წ. - 162.2%, 2013წ. - 200.0%, 2014წ. - 211.7%, 2015წ. - 228.2% შეადგინა [3].

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, **2012 წლიდან დაწყებული, დანაზოგის მოცულობა უკვე მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარამეტრს წარმოადგენს**, რომელსაც შესწევს საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების ფინანსური უზრუნველყოფის უნარი [3].

ახლა ვნახოთ, როგორ და რა მიმართულებით იცვლებოდა დანაზოგების სტრუქტურა, როგორი იყო მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებები. ამ მხრივ, ყურადღება გვინდა მივაქციოთ საქართველოს ზოგიერთი მონეტარული აგრეგატების, მათ შორის საბანკო დეპოზიტების, მოძრაობის დინამიკას [2].

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, 2012 წლიდან იზრდება, *(ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად)*, დეპოზიტების მოცულობა, როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ვალუტაში *(ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა, მიუხედავად ბოლო წლების ზრდისა, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 3 968.6 მლნ ლარიდან 3 780.9 მლნ ლარამდე (4.7 %-ით) შემცირდა).* ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა განიცადა. ასე, მაგალითად, თუ 2012 წელს მისი ოდენობა 3.8 მლრდ ლარს შეადგენდა, 2015 წლისათვის იგი გაორმაგდა და 7.8 მლრდ ლარს მიაღწია. ამავე პერიოდში 1.8-ჯერ მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობა და 1.7-ჯერ ვადიანი დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა. მთლიანობაში, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 6.3 მლრდ ლარიდან (2012 წ.) 2015 წლისათვის 11.4 მლრდ ლარს მიაღწია (1.9-ჯერადი ზრდა). ასევე გაიზარდა ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა. 2015 წლისათვის იგი 5 794.5 მლრდ. ლარს გაუტოლდა *(წინა 2014 წელთან შედარებით ზრდამ 26.8 % შეადგინა)*, რაც დეპოზიტების საერთო მოცულობის 51 %-ს შეადგენს.

ფიზიკური პირების დეპოზიტებში წილის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (2.2-ჯერ) მოთხოვნამდე დეპოზიტებზე მოდის, შემდეგი (1.9-ჯერადი ზრდა) - უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე, ხოლო ვადიანი დეპოზიტები 1.8-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება დეპოზიტების ფიზიკურ მოცულობასა და მის წილს, წამყვანი პოზიციები, 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ვადიან დეპოზიტებზე 4.3 მლრდ ლარი (75. 0%) და უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე 4.4 მლრდ ლარი (76. 1 %) მოდის.

საინტერესოა წმინდა დანაზოგებისა და ფიზიკური პირების დეპოზიტების შედარება. მონაცემების მიხედვით, დეპოზიტების ოდენობა საგრძნობლად აღემატება წმინდა დანაზოგების მოცულობას, ანუ მოსახლეობა თავისი დანაზოგების უმეტეს ნაწილს *(ზოგი მთელ ნაწილს)* კომერციულ ბანკებში ინახავს,

რადგანაც არ ენდობა ინვესტირების ალტერნატიულ შესაძლებლობებს *(განსაკუთრებით ფინანსური ბაზრების არასტაბილურობის პერიოდში),* ან ასეთი შესაძლებლობების არ არსებობის გამო.

	2011	2012	2013	2014	2015
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0)	**104,8**	**107,7**	**122,6**	**102,3**	**102,0**
ეროვნულ ვალუტაში განთავსებული მოთხოვნამდე დეპოზიტები	155,3	120,7	134,7	104,6	97,4
მათშორის					
ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფიზიკური პირების მოთხოვნამდე დეპოზიტები	111,4	477,1	134,6	116,2	111,0
მონეტარული აგრეგატი (M1)	**125,5**	**114,3**	**129,1**	**103,6**	**99,4**
ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ვადიანი დეპოზიტები	151,8	119,0	151,7	130,6	91,5
მათშორის					
ეროვნულ ვალუტაში განთავსებული ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	148,4	130,0	155,4	116,4	96,0
მონეტარული აგრეგატი (M2)	**129,5**	**114,7**	**133,2**	**109,1**	**97,5**
უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები	107,5	102,4	115,2	119,5	143,6
მათშორის					
უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები	116,8	97,6	117,2	121,5	136,9
მონეტარული აგრეგატი (M3)	**117,2**	**107,5**	**124,5**	**113,8**	**119,3**
ფიზიკური პირების ყველა დეპოზიტი	119,6	112,6	124,5	119,9	126,8
ყველა დეპოზიტი	120,7	108,8	124,9	116,5	122,9

შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით.

საერთოდ, საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა/როგორი ინტერესი არსებობს ალტერნატიული ინვესტირების მიმართ. თუ ფიზიკური პირების დეპოზიტები უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე ფულადი მასა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდისათვის მოსახლეობაში გაჩნდა გარკვეული ინტერესი ალტერნატიული ინვესტირების წყაროების მიმართ (ვთქვათ, ფასიანი ქარალდების შეძენა).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს, რომელშიც ასახულია ფულადი მასისა და ფიზიკური პირების დეპოზიტების დინამიკა.

ცხრილის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ფიზიკური პირების დეპოზიტები უფრო ნაკლებად იზრდება ფულად მასასთან (**M1** და **M2**) 2011-2013 წლებში, 2014-ში ფიზიკური პირების დეპოზიტები *(ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებული მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტები)* 19.9 %-ით გაიზარდა, ხოლო ფულადი მასა უფრო ნაკლებად (**M1**-3.6%, **M2**-9.1%, **M3-13**.8%). რაც შეეხება 2015 წელს, წინა წელთან შედარებით **M1** 25.2 მლნ ლარით, **M2** 148.4 მლნ ლარით შემცირდა, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები 1.2 მლრდ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში **M3,** მართალია, გაიზარდა 19.3%-ით, მაგრამ ფიზიკური პირების დეპოზიტების უფრო მაღალი ზრდა დაფიქსირდა (26.8%).

ამრიგად, 2011-2013 წლებში მოსახლეობას გააჩნდა არა მარტო ფინანსური რესურსი, არამედ ინტერესი ალტერნატიული ინვესტიციების განსახორციელებლად, მაგრამ მოკლებული იყო შესაძლებლობებს. რაც შეეხება 2014-2015 წლებს, ფინანსური რესურსის კვლავ არსებობისა და შესაძლებლობების უცვლელობის კვალობაზე, ინტერესი ალტერნატიული ინვესტიციების განსახორციელებლად მათ შეუნელდათ. აქედან კი ის დასკვნა გამოდის, რომ ქმედებანი ფინანსური ბაზრის ინსტიტუციონალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, ალტერნატიული ინვესტიციების მიმართ მოსახლეობის ინტერესის აღდგენისა და მათთვის საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოების ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, ნაჩქარევი და არაეფექტიანი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.geostate.ge/?action=page&p_id=184&lang=geo
2. www.nbg.gov.ge/index.php?m=349
3. www.mof.gov.ge
4. data.worldbank.org/indicator/NY.GNS.ICTR.ZS?locations=GE
5. www.stat.gov.az/source/system_nat_accounts/indexen.php
6. www.armstat.am/file/doc/99477463.pdf.

Investment Potential of the Savings of Georgian Population

A. Chutlashvili

Summary

This paper discusses the structure of savings the population of the Georgia since 2001 till 2015. During the research were analysed, expenses and incomes of the persons, households and population and was established that expenses exceeded the incomes in the period of 2001 till 2009.

The comparative analysis of GDP, consumption, expenses and saving is carried out. It is shown that only since 2012 savings became significant macroeconomic indicators.

The questions transforming savings in the investment and possibility of alternative investment are separately considered.

Key words: *savings, incomes, spending, investment, bank deposits, financial markets.*

გასტრონომიული კულტურა როგორც სისტემა და ქვეყნის საიმიჯო რესურსი

დალილა ცატავა,
თსუ-ის დოქტორანტი,
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის
GIPA ბიზნესის ფაკულტეტის ლექტორი

გასტრონომიული კულტურის თემა ბოლო დროს გლობალურ მსოფლიოში ძალიან აქტუალური გახდა, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ არის ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანი. თითქმის გამოუკვლეველია გასტრონომიული კულტურის კავშირი, სოციოკულტურულ, ეკონომიკურ, ისტორიულ, რელიგიურ, ტურისტულ და სხვა ფენომენთან. ამ სფეროსადმი ინტერესმა და რამდენიმე წლიანმა საგანმანათლებლო სისტემაში გამოცდილებამ გადაგვაწყვეტინა ამ საკითხის კვლევა. პრობლემის შესწავლა მოგვცემს გასტრონომიული კულტურისა და სხვადასხვა ერების არამატერიალური ფასეულობების შესახებ გაცნობიერებულ ცოდნას, მეცნიერული მიდგომების განვითარებას, რომელიც დაგვეხმარება, კიდევ უფრო კარგად მოვერგოთ მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ ტენდენციებს. ამ საკითხის კვლევა და შესწავლა საშუალებას იძლევა დადგინდეს ქართული არამატერიალური კულტურის ადგილი და როლი ზოგადად ქვეყნის და მსოფლიო კულტურაში. გამოიკვეთოს ამ სფეროს სამომავლო პერსპექტივები, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. საკითხის რეფლექსიური ნაწილის დახვეწა კი ხელს შეუწყობს მცირე ერების, მათი განსაკუთრებულობისა და თავისებურებების პოპულარიზებას, რაც მსოფლიო საგანძურის ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: *გასტრონომიული კულტურა, კულინარია, ტრაპეზი, კულინარიული ტურიზმი.*

გასტრონომიული კულტურა ერის თვითმყოფადობის გამოხატულებაა, გლობალიზაციის პროცესმა შეცვალა სამყარო, მასთან ერთად ამ სფეროშიც ბევრი რამ იცვლება და გაქრობის საშიშროების წინაშე დგას, იცვლება ტრაპეზის კულტურა და მასთან დამოკიდებულება, რაც ერის იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელია, კაცობრიობის დიდი ნაწილი გამუდმებით ებღაუჭება ამ კაუჭს. ამას შეიძლება მივაწეროთ ბოლოდროინდელი „გასტრონომიული ბუმი“. რას მოიცავს თავის თავში გასტრონომიული კულტურა როგორც სისტემა.

რატომ გახდა დღეისათვის გასტრონომიული კულტურის თემა ასეთი აქტუალური, როგორი ზეგავლენა მოახდინა კაცობრიობის განვითარებაში ტრაპეზის კულტურამ, როგორ შეუწყობს ხელს ამ საკითხების ცოდნა გასტრონომიული ტურიზმის, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი საიმიჯო რესურსის განვითარებას. ამ საკითხის შესწავლა, ხელს შეუწყობს, გასტრონომიული კულტურის განვითარებას, ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მასთან ერთად გასტრონომიული ტურიზმის ხელშეწყობას და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას, რომლის რესურსი ქართულ გასტრონომიულ კულტურას ნამდვიალად აქვს, თუნდაც ქართული ღვინის ფენომენის და ყველის კულტურის სახით.

2003 წლიდან ძალაში შევიდა იუნესკოს კონვენცია არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ - მის მფარველობაში შედის წეს-ჩვეულებები, ცეკვები, უძველესი ენები, მუსიკა, თეატრი, სიმღერა, დღესასწაულები და კულინარია. 2014 წლისთვის ორი ქართული ნომინაცია: „ქართული პოლიფონია“ და „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ იკავებენ საპატიო ადგილს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში[6]. გასტრონომიული კულტურებიდან იუნესკოს ნუსხაში მხოლოდ ფრანგული კულინარია იკავებს საპატიო ადგილს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ გასტრონომიულ კულტურას ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს.

დღეს ძალიან აქტუალური გახდა ეს საკითხი, საკვების მიღება სცილდება მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სფეროს და არ არის მხოლოდ შიმშილის დაკმაყოფილების წყარო არამედ კულტურის ფენომენი. დიდხანს საკვების ისტორიისა და კულინარიის მიმართ გულგრილი იყვნენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, ბოლო დროს კი ერთბაშად დაიწყო „კულინარიული ბუმი“, რის შედეგადაც ისტორიის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და ლინგვისტიკის სპეციალისტებმა მრავალი თვალსაჩინო და ბევრ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი ინტერდისციპლინარული ნაშრომები შექმნეს. ძალიან აქტუალური გახდა ეს თემა, მასთან კომპლექსური მიდგომა და სწორედ ამან განაპირობა ახალი ცნების - **გასტრონომიული კულტურა,** შე-

მოტანა. საკვების მომზადება კერძო რუტინული საქმიანობიდან საჯარო აქტი ხდება, რაც გამოიხატება მასტერ-კლასებში, სატელევიზიო კულინარიულ შოუებში, კულინარიულ დუელებში, და გასტრონომიულ ფესტივალებში, რაც ხელს უწყობს ტურიზმის ისეთი მიმართულების ბუმს, როგორიცაა „გასტრონომიული ტურიზმი“, რომლის მიზანია არა მარტო სამზარეულოს გაცნობა და საკვების დაგემოვნება, არამედ მისი მირთმევის და წამოშობის ისტორია და წესები. ასე რომ, ის უკვე ხდება კულტურის და ისტორიის ერის თვითმყოფადობის გამოხატვის ნაწილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობას მუდმივად აინტერესებდა ეს საკითხი, ამაზე მეტყველებს უძველესი ნაწერები და ტრაქტატები კვების შესახებ. ამ თემაზე აქცენტს აკეთებდნენ უცხოელი მოგზაურები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მაგალითად კნეინა ბარბარე ჯორჯაძის პირველი ქართული სამზარეულო წიგნი „სრული სამზარეულო“,(7) მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს უამრავ ისტორიულ, კულტურულ, გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ფაქტზე მიგვანიშნებს [8].

ყოველი ერის ტრადიციები დაკავშირებულია კვების კულტურასთან, ეროვნული სამზარეულო თვითმყოფადია და ერის ისტორიას, მის ნაციონალურ გემოს და ხასიათს ასახავს. მასზე დიდ ზეგავლენას ბუნებრივი პირობები, მდებარეობა, ისტორიული მოვლენები, სარწმუნოება [3]. გლობალიზაციის პროცესი უფრო მძაფრს ხდის ამ საკითხისადმი ინტერესს. როგორც ლევან ბერძენიშვილი თავის ესსეში(9) “იდენტობის კულინარიული დონე“ აღნიშნავს: „იდენტობის კულინარიული დონის მნიშვნელობის ნათელსაყოფად მხოლოდ ერთს ვიტყვი, მშობელ ეთნოსთან კავშირის გაწყვეტის მხოლოდ ბოლოსწინა საფეხური არის სრული ინდიფერენტულობა ეთნიკური წარმომავლობისადმი, ხოლო სულ ბოლოს კვების პროდუქტებისადმი ერთგულება კვდება“ [9].

თანამედროვე სამეცნიერო წრეებში ამ თემას უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მაგალითისათვის მოვიყვან ჰარვარდის უნივერსიტეტს, სადაც 2010 წელს გამოყენებითი მეცნიერებებისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე დაიწყეს საინტერესო საგნის სწავლება-მეცნერება და კულინარია, ლექტორები არიან, როგორც ჰარვარდის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორები, ასევე კულინარიის სფეროს ცნობილი სპეციალისტები, კონტექსტი არის რასაკვირველია მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის ურთიერთდამოკიდებულება კვების კულტურასთან. მეცნიერმა ჰაროლდ მაკ გიმ თავის სახელმძღვანელოში ასახა On Food and Cooking: The Science and Lore of the Kitchen by Harold McGee .

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გასტრონომიული კულტურის როგორც სისტემის დანახვა, მასთან მიმართებაში კულტურის, ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის და ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების მნიშვნელობის წარმოჩენა, როგორც ქვეყნის იმიჯის განმსაზღვრელი ფაქტორი. რაც ტურიზმის აღორძინებას უწყობს ხელს, თანამედროვე ტურისტს მხოლოდ დანახვა უკვე აღარ აკმაყოფილებს, ის ცდილობს, რომ ქვეყანა „შეიგრძნოს.“ საკვები ხელს უწყობს, რომ ქვეყნის კულტურაში შეაღწიო და იგრძნო ის „სხვა“ არა მარტო ინტელექტუალურ დონეზე, არამედ გრძნობების დონეზეც [1]. გლობალიზაციამ და ყველაფრისადმი ხელმისაწვდომობამ საკვების როლის და მნიშვნელობის წინ წამოწევამ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახადა ტურისტული მარშრუტები, განსაკუთრებით კი გურმეებისათვის, ისტორიკოსებისა და ანთროპოლოგებისათვის. ისინი იკვლევენ ამა თუ იმ კერძის ფესვებს, ერის ინტერესებს, ყოფას და ადათებს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მეცნიერებაში კომპლექსურად განიხილავენ სწორედ ცნებას **გასტრონომიული კულტურა** [1;5]

ბერძნული მითის თანახმად ათენში მედიცინის მფარველის ასკლეპიოსის ქანდაკება ქალიშვილ ჰიგიასა და მის მზარეულ კულინასთან ერთად იდგა, რაც იმის ნიშანია რომ ჯანმრთელობის საწყისი ჰიგიენა და სწორი კვებაა, რომ საკვებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისუნარიანობისა და არა მარტო. აქედან მოდის სიტყვა **კულინარიაც** – კულინა – სამზარეულო – კულინარია კი ხელოვნება სამზარეულოსა და საკვები პროდუქტების შესახებ. ასე, რომ ადამიანებს ოდითგანვე აინტერესებდათ კვების კულტურის საკითხი გასტრონომია, რაც ბერძნულად gastros-კუჭი და nomos-წესი - სწავლებას კულინარიასა და კულტურას შორის არსებული კავშირების შესახებ ნიშნავს.

გასტრონომიული კულტურის ისტორიულ და ეკონომიკურ ჭრილში ანალიზის პირველი ცდა „ანალების სკოლის“ წარმომადგენლებს ჰქონდათ. კვების, როგორც კულტურული ფენომენის თეორიულ შესწავლას უკვე სტრუქტურალისტების კვლევებში ვხვდებით, კლოდ ლევი-სტროსი ცნობილი ანთროპოლოგი და ფილოსოფოსი, თავის ნაშრომებში ხაზს უსვამს თუ როგორ გააკულტურა „ხორბალმა“ ადამიანი, ის აღნიშნავს, რომ საკვები უნდა იყოს „არამარტო სასარგებლო საჭმელად, არამედ საფიქრელადაც” [10]. სტრუქტურალისტებმა ასე ვთქვათ, ბიძგი მისცეს ამ მიმართულების მეცნიერულ ხედვას, რაც დღეისათვის ძალიან ფართე კვლევის საგნად არის გადაქცეული, სადაც ჩართულია როგორც მეცნიერება, კულტურა, ასევე ბიზნესი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ტერმინის გასტრონომიული კულტურა არაერთგვაროვანი დეფინიციები, რადგან ის ძალიან ფართო სპექტრში განიხილება. გასტრონომიული კულ-

ტურის მკვლევარების გრეგ რიჩარდსის, ანნე მეტე ჰიალაგერის, მ.ვ. კაპკანის ნაშრომებიდან [1;5] შეიძლება დავასკვნათ, რომ გასტრონომიული კულტურა არის სისტემა, რომელიც თავის თავში მოიცავს სამ ძირითად ელემენტს:

- **საკვების მომზადების კულტურა, კულინარიის ხელოვნება.** გასტრონომიული

კულტურის ცნებაში ეს ნიშნავს: საკვები პროდუქტების შერჩევას, მათ შეხამებას, ტრადიციული მეთოდების დაცვას ნაციონალური გემოს შესანარჩუნებლად.

- **საჭმლის მიღების-ტრაპეზის კულტურა**, დღესასწაულები, რიტუალები, წესჩვეულებები, რესტორნები, დუქნები. გასტრონომიული კულტურის ცნებაში ეს ნიშნავს: საკვების მიღების-ტრაპეზის წესების, რიტუალების წეს-ჩვეულებების დაცვას, ტრაპეზის ორგანიზებას, სტუმრის მიღების და სუფრასთან ქცევის წესებს.
- **მომზადების და საკვების მიღების პროცესებზე** რეფლექსია გასტრონიმიული კულტურის უფრო შემდგომი ეტაპია. ის ხელს უწყობს ტრადიციული კულინარიული ხელოვნების განვითარებას და შენარჩუნებას, მის შეთვისებას და პოპულარიზაციას, მის დახვეწას და მოდერნიზებას. რეფლექსიის ეს ფორმები შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგალითად წიგნები სამეცნიერო კვლევები, სტატიები, სატელევიზიო გადაცემები, ხელოვნების ნიმუშები, კულინარიული ენციკლოპედიები, კულინარიული ლექსიკონები, რეცეპტებით ნაბიჯ-ნაბიჯ და ა.შ.

აქედან გამომდინარე ვხედავთ, რომ გასტრონომიული კულტურა არის სპეციფიური ნორმების, ადათების სისტემა, გამოხატული საკვების მომზადების ტრადიციების და ტექნოლოგიების შერწყმაში და შემდეგ ამ პროცესებზე რეფლექსიაში ასახული. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული სამზარეულოები, მასთან დაკავშირებული ყველა კომპონენტი ქვეყნის და ერის ტრადიციების იმიჯია, მათი იდენტობის ერთ-ერთი გამოხატულებაა თანამედროვე გლობალურ სამყაროში.

რამდენნაირიცაა ცხოვრების წესი, იმდენნაირი შეიძლება იყოს ტრაპეზის და მასთან დაკავშირებული თავისებურებების აქტი. **ტრაპეზი** - ეწოდება ტაძარში ყველაზე მეტად განათებულ ოთხკუთხა მაგიდას, რომელიც მოთავსებულია საკურთხევლის შუაგულში და რომელსაც თეთრი ტილოთი და ძვირფასი ქსოვილით მოსავენ. ტრაპეზზე უხილავად სუფევს უფალი, როგორც მეუფე და მბრძანებელი ტაძრისა. მასთან მიახლება და ამბორი მხოლოდ ღვთისმსახურებისთვისაა დასაშვები. **ტრაპეზი** ეწოდებოდა ასევე ბერძნულ სამკუთხა ტაბლას, რომელზეც სანოვაგე ელაგა ანტიკური საბერძნეთის სიმპოზიუმში, ანუ ადგილი სადაც იკვებებოდნენ, უფრო მოგვიანებით კი თვით კვების პროცესს ეწოდა ტრაპეზობა [4].

ასე რომ ტრაპეზის კულტურა, რომელიც გასტრონომიული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, არის პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანების სოციო-კულტურულ ფენომენთან, მათ ქცევასთან, წეს-ჩვეულებებთან სამგლოვიარო, რელიგიურ და სხვა რიტუალებთან. საინტერესოა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სათუთად იცავენ ტრადიციებს, და უფრთხილდებიან კულტურას, კვებას, ტრაპეზის კულტურას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად იაპონურ, ჩინურ, ფრანგული კვების ცერემონიალები. კლოდ ლევი-სტროსი თავის ესეში „ანთროპოლოგი თანამედროვე სამყაროს პრობლემების პირისპირ“, ამ თემას ეხება და იაპონიის შესახებ წერს: „იაპონია გაბედულად და მტკიცედ შევიდა თანამედროვე ცივილიზაციში და ამის გაკეთება დღემდე ინდივიდუალობის, მისი თავისებურებების დაკარგვის გარეშე შეძლო. ... კულტურა თავისი თავის ერთგული უნდა იყოს, ამის საფასური კი ერთგვარი სიყრუეა მათი ღირებულებებისგან განსხვავებული ღირებულებების მიმართ, უგრძნობლობა მათთან მიმართებაში“ [10].

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ჩადის, ეჯახება გასტრონომიულ კულტურას და ამით მნიშვნელოვან წარმოდგენას იქმნის ზოგადად ქვეყნის შესახებ და საერთოდ ნაციის შესახებ. გლობალიზაციამ თანამედროვე სამყაროში ყველა ეს პრობლემა თითქმის უკვე გადაჭრა, სუპერმარკეტში შესაძლებელი გახდა ნებისმიერი მსოფლიო პროდუქტის ყიდვა, ტრაპეზი კი მაკდონალდიზაციის პროცესმა თითქმის ერთიანი და ერთნაირი გახადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტურისტების დიდი ნაწილი სწორედ გასტრონომიულ ტურებში მიემგზავრება იმ მიზნით, რომ დააგემოვნოს ნაციონალური სამზარეულო და გაიგოს ნაციის ავთენტური გემო ადგილზე, სადაც ესა თუ ის კერძი თუ ღვინო წარმოიშვა და დღესაც ძველი წესით მზადდება. ამიტომაც არის, რომ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო მზარდ ტენდენციად მიიჩნევს კულინარიულ ტურებს.

ტერმინი **„კულინარიული ტურიზმი“** პირველად შემოიტანა ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორმა **ლუსი ლონგმა.** დღეისათვის კი ეს ტერმინი უკვე ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვანი გამოხატულება გახდა მთელს მსოფლიოში. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ტერმინის შემადგენელი ნაწილია ასევე ღვინისა და ლუდის თემატური ტურები, ფესტივალები, რომლებიც ცხადად გვაცნობენ ამა თუ იმ ქვეყნის ვაზის, ღვინის, და სხვადასხვა სასმელების კულტურას. როგორც ამ ბიზნესის და

კულტურის სფეროს წარმომადგენლები ვარაუდობენ, ტურიზმის ეს ნიშა ბევრი რამის მიზეზი გახდება სამომავლოდ. **კულინარიული ტურიზმი** საშუალებას აძლევს ქვეყანას, რომ ტურისტს მთელი ეროვნული არამატერიალური თუ მატერიალური ფასეულობები, რიტუალები, ტრადიციები, ფოლკლორი, მუსიკა, ცხოვრების სტილი, სარეწაო საქმიანობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ეროვნული განსაკუთრებული ტექნოლოგიური პროცესები ადგილზე ავთენტურ სიტუაციაში გააცნოს. კიდევ უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ეროვნული სამზარეულო ასევე შანსს აძლევს ტურისტს თვითონ მიიღოს ამა თუ იმ ეროვნული, ნაციისათვის განსაკუთრებული კერძის მომზადებაში მონაწილეობა [2;1].

ასე რომ ყველა ტურისტი არ მიდის მუზეუმში და გამოფენებზე, მაგრამ ყველა ტურისტი აგემოვნებს ქვეყნის საკვებს, ზოგი კი მიზანმიმართულად, რათა სწორედ ამ კუთხიდან გაიცნოს ესა თუ ის ეთნოკულტურა, რომლის ბუმიც XXI საუკუნეში დადგა. ტურისტი აცნობიერებს თუ რა რადიკალური განსხვავება და რა საერთოა იმ ქვეყნის, თუ რეგიონის წარმამადგენლებს და მას შორის. ადგილობრივად ფესტვალებში მონაწილეობა და ტრადიციის თუ კულტურის ნაწილად ქცევის პროცესი კიდევ უფრო შთმბეჭდავს ხდის ტურისტის შთაბეჭდილებებს და სწორედ ამას იყენებს ტურიზმი, როგორც დიდი ბიზნესი.

ამრიგად, გასტრონომიული კულტურა არის სისტემა, რომელიც სამ ძირითად ელემენტს შეიცავს, კულინარიის ხელოვნება, ტრაპეზის კულტურა და ყველაფერ ამაზე რეფლექსია. ეს ისეთი სისტემაა, რომელიც არის მრავლისმომცველი და მრავალფეროვანი, ასეთი ფუნქციების ფართო სპექტრის გამო მისი რომელიმე კონკრეტული სფეროსადმი მიკუთვნება ძალიან გაჭირდება. გასტრონომიული კულტურა მენტალობას, ერის ისტორიას მის განვითარებას და ახალი ეპოქის გამოძახილებს ეხმაურება და ახალ ფორმებს იძენს, ისტორიის, ადათ - წესების, ტრადიციების ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე, რაც გამოიხატება სამზარეულოში, ტრაპეზის წესებში, კულინარიულ ლიტერატურაში და სხვადასხვა გასტრონომიულ ღონისძიებებში. გასტრონომიული კულტურის როგორც სისტემის ანალიზი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმა გლობალური საკითხების განსახილველად, როგორებიცაა იდენტობის ფორმულირება, ადათების, ტრადიციების, ფასეულობების ტრანსლირება, კულტურული თავისებურებების დანახვა, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შეფასება თანამედროვე გლობალიური მსოფლიო გამოწვევების ფონზე. ამიტომაც არის უპრიანი, რომ ამ საკითხის ფართო მასშტაბით პოპულარიზება და რეფლექსიური ასპექტის დახვეწა.

აღნიშნული კვლევა მხოლოდ პირველი ცდაა კომპლექსურ ჭრილში განგვეხილა გასტრონომიული კულტურა და მისი რეპრეზენტირების ფორმები. სამომავლოდ ჩვენს მიზანს ამ ფენომენის უფრო ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა წარმოადგენს. კვლევის მიმართულება დაკავშირებული იქნება ერთის მხრივ თეორიული ცოდნის გაღრმავებასთან, როგორც მსოფლიო, ასევე ქართული გასტრონომიული კულტურის საკითხებისადმი. ასევე ქართული გასტრონომიული კულტურის თანამედროვე სიტუაციის ანალიზი გლობალური პერსპექტივების ფონზე. გასტრონომიული კულტურის მედიატიზაცია ახალ გამოწვევებს გვთავაზობს, ამაზე პასუხი გასტრონომიული კულტურის რეპრეზენტირების ახალმა რელევანტურმა ფორმებმა უნდა გასცეს. საქართველოს გასტრონომიულ კულტურას კი აქვს იმის პოტენციალი რომ ამ გამოწვევებს უპასუხოს. ამ საკითხების გადაწყვეტა გასტრონომიული კულტურის პრობლემების მოგვარების საფუძველი გახდება, რომელიც ხელს შეუწყობს, გასტრონომიული ბიზნესის განვითარებას, ადამიანების მიერ საკუთარი იდენტობის, სხვადასხვა კულტურების და ცივლიზაციებისადმი დამოკიდებულების გაცნობიერებას, მცირე და დიდი ერების ადათების ფორმირების და მულტიკულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების, ტოლერანტულობის სწავლას გლობალიზაციის პირობებში.

გამოყენებული წყაროები:

1. Tourism and Gastronomy – by Anne-Mette Hjalager and Greg Richards, Routledge (UK), 2001. [3, 21, 36, 51, 55];
2. Culinary Tourism, Lucy M.Long, [15, 20, 31]. University of Kentuky 2004;
3. Dalila Tsatava “Gergian Gastronomic Culture” Georgia to see, main Magazine about Georgia, March, 2016;
4. Виктор Бурлачук –Трапеза, как предмет социологического исследования [184, 185]2010;
5. Капкан, Мария Владимировна „Феномен гастрономической культуры“, [7, 8, 9, 37,38]2010;
6. UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. გზამკვლევი. [45] 2014;

7. კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა „სრული სამზარეულო“, გამოცემა შორაპნისა 1914;
8. დალილა ცატავა, „რა დაგვიტოვა კნეინა ბარბარე ჯორჯაძემ“ გასტრონომიული კულტურის ისტორია, ჟურნალი კულინART, [72-78], აგვისტო/სექტემბერი 2016;
9. ლ.ბერძენიშვილი „იდენტობის კულინარიული დონე“ [2] 2005;
10. კლოდ ლევი-სტროსი „ანთროპოლოგი თანამედროვე სამყაროს პრობლემების პირისპირ“, [2] პარიზი 2011წ. თარგმანი გ. მარჯანიშვილი.

Gastronomic Culture as a System and the Country's image Resource

D. Tsatava

Summary

Introduction and aim: Gastronomic culture is an expression of the nation's identity, globalization has changed the world, with him in this area, too many things are changing, and the disappearance of the threat, changing meal culture and attitude, which is the nation's identity - one of the tenants, a large part of humanity constantly cling to the hook. This can be attributed to the recent "gastronomic boom." What involves gastronomic culture as a system, why it was such a topical issue at present gastronomic culture, the impact on the development of culture in the development of mankind meal, how they contribute to the knowledge of the gastronomic tourism in the country - one of the image resource development.

Research methodology: The theoretical and methodological foundations of the gastronomic culture of the modern scientific papers, gastronomic tourism at the international conference materials and other supplies. The survey used a logical, factual analysis and research methods.

Results and implications: Gastronomic culture as a system of research, we have studied the situation in this regard. This concept is new and is generally associated with the Soviet gastronom, reflective moment in the system - one of the essential items, weakly developed, working in this field for people with bad, or do not understand the importance of gastronomic culture, tourism, economy, culture domain.

Conclusion: Thus, gastronomic culture, as a system of understanding and in the global world events study, promote, gastronomic culture, the nation's identity preservation, with gastronomic tourism promotion and the country's economy, whose resources Georgian gastronomic culture really have to have, even if Georgian wine phenomenon and culture in the form of cheese.

Keywords: *Gastronomic Culture, Cuisine, The process of eating meals (Trapeza), Culinary Tourism.*

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა საჯარო საქონელთან მიმართებაში

ციცინო ძოწენიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი იაკობიძე,
მაგისტრანტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონკურენტული ბაზრები აღწევენ ეფექტიანობას კერძო საქონლის საშუალებით, ანუ, იმ საქონლით, რომელსაც მოაქვს სარგებელი ცალკეული პირისთვის. საჯარო საქონლისგან, რასაც მოაქვს სარგებელი ერთდროულად ბევრი ადამიანისთვის, არ ველოდებით ბაზრებისგან ეფექტიანი მიწოდების ორგანიზებას. ადამიანებს სარგებლის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობენ კონკრეტული გადამხდელები.

საჯარო საქონელი იგივე კოლექტიური საქონელია და სარგებელს იღებს ერთდროულად ბევრი ადამიანი, კოლექტიური სარგებელი ბადებს კოლექტიური გადაწყვეტილებების საჭიროებას. აქედან გამომდინარე საჯარო საქონელი საფუძველს უყრის სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას ადეკვატური ინსტიტუტების მეშვეობით. შედეგად ვიღებთ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენტული ბაზარი, ეფექტიანობა, საჯარო საქონელი, ეკონომიკური პოლიტიკა.*

კონკურენტული ბაზრები აღწევენ ეფექტიანობას კერძო საქონლის საშუალებით, ანუ იმ საქონლის, რომელსაც მოაქვს სარგებელი ცალკეული პირისთვის. საჯარო საქონლისგან, რასაც მოაქვს სარგებელი ერთდროულად ბევრი ადამიანისთვის, არ ველოდებით ბაზრებისგან ეფექტიანი მიწოდების ორგანიზებას. ადამიანებს სარგებლის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობენ კონკრეტული გადამხდელები.

საჯარო საქონელი იგივე კოლექტიური საქონელია და იმის გამო, რომ მისგან სარგებელს იღებს ერთდროულად ბევრი ადამიანი, იგი ბადებს კოლექტიური გადაწყვეტილებების საჭიროებას. აქედან გამომდინარე, საჯარო საქონელი საფუძველს უყრის სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით. შედეგად ვიღებთ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

მთავრობების ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს მისი ინსტიტუტების მახასიათებლები. პოლიტიკური და ბიუროკრატული პრობლემები თავის დაღს ასვამს მთავრობების მიერ პასუხისმგებლობის აღების უნარს.

ჩვენ გამოვყოფთ ცალკე ამ პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ პრობლემებს. ვსვამთ ნორმატიული ხასიათის კითხვებს მთავრობის სასურველი როლის შესახებ იმ პირობის დაშვებით, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ბიუროკრატიული აპარატი შეძლებდა ამომრჩევლების და გადასახადების გადამხდელების ერთგული წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. ამრიგად, ისმის შემდეგი კითხვა: პოლიტიკური და ბიუროკრატიული გადაწყვეტილებების მიმღებებმა რა უნდა გააკეთონ ან რა შეუძლიათ გააკეთონ, რომ უზრუნველყონ საზოგადოებრივი საქონლის არსებობა. ჩვენი აზრით, მთავრობების მთავარი პრობლემა საჭირო ინფორმაციის ნაკლებობაში, ანუ ასიმეტრიულ ინფორმაციაში მდგომარეობს.

საჯარო საქონლის შესწავლის დასაწყისში უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან საჯარო მიწოდება და საჯარო ფინანსები. საქონელი საჯაროა არა იმის გამო, რომ მიწოდებას საჯარო სექტორი ან მთავრობა უზრუნველყოფს, მაგ. განათლება წარმოადგენს საჯარო საქონელს, ანუ უზრუნველყოფს კოლექტიურ სარგებელს. მიუხედავად ამისა, განათლება შესაძლებელია იყოს კერძო სახელმწიფო სკოლებშიც და პირიქით, განათლება კერძო სკოლებშიც შესაძლოა საჯაროდ ფინანსდებოდეს სამთავრობო სუბსიდიების სახით. ამრიგად, მართალია, საჯარო საქონელი ხშირად საჯაროდ მიეწოდება და საჯაროდვე ფინანსირდება, მაინც არსებობს განსხვავება საჯარო მიწოდებასა და საჯარო ფინანსებს შორის.

საჯარო მიწოდება ასახავს საჯარო საქონლის მიწოდებას მთავრობის მიერ, როგორც ეს ხდება სახელმწიფო სკოლაში განათლების შემთხვევაში; **საჯარო ფინანსები** აღწერს საჯარო დანახარჯებს საჯარო საქონელზე, რომელიც შესაძლოა კერძოდაც მიეწოდებოდეს.

საჯარო საქონლის თვისებაა კერძო სარგებლის კოლექტიურ სარგებლად გარდაქმნის უნარი.

კერძო საქონლის დროს, საქონლის იმ რაოდენობით, რომელიც ხელმისაწვდომია ერთი პირისათვის, სხვა ვერ ისარგებლებს. ამდენად, კერძო საქონელი დაყოფილი და განაწილებულია ადამიანთა შორის. საჯარო საქონლის დროს მსგავს დაყოფას და განაწილებას ადგილი არა აქვს.

საჯარო საქონლის ის რაოდენობა, რომელიც ხელმისაწვდომია ერთი ადამიანისთვის, აგრეთვე ხელმისაწვდომია ყველასათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქონლის რაოდენობა ერთი და იგივეა ყველასათვის, ადამიანები განსხვავდებიან საჯარო საქონლის თავიანთი შეფასებებით. მაგ. როდესაც მოცარტის სიმფონიას უკრავენ, ზოგ ადამიანს შესაძლოა ის ძალიან მოსწონდეს, ხოლო ზოგისთვის არამიმზიდველი აღმოჩნდეს და მოცარტის მოსმენას ჯაზის ან ჰარდ როკის მოსმენა ერჩიოს. ადამიანები, რომლებსაც სიამოვნებთ მოცარტის მოსმენა, პრინციპში მზად არიან გადაიხადონ მოსმენის საფასური. ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ მოცარტის მუსიკა არაა მიმზიდველი, პირიქით, გადაიხდიდნენ იმის გამო, რომ ვინმეს შეეწყვიტა ამ მუსიკის დაკვრა, მიეღოთ კონცერტის დატოვების უფლება ან მოეთხოვათ კომპენსაცია, თუ მაინც მოუწევდათ მოცარტის მოსმენა.

როდესაც მხოლოდ ერთ ადამიანთან გვაქვს საქმე, საქონელი, რომელიც პოტენციურად შესაძლებელი იყო ყოფილიყო საჯარო საქონელი, მაინც გვევლინება კერძო საქონლად. ამის კარგი მაგალითია დანიელ დეფოს რომან - „რობინზონ კრუზოს“ გმირი. ნაწარმოები, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1719 წელს, მოგვითხრობს რობინზონ კრუზოზე, რომელიც ცხოვრობდა იზოლიაციაში უკაცრიელ კუნძულზე. კრუზოსთვის, ყველა საქონელი, რომელიც არსებობდა კუნძულზე, კერძო საქონელს წარმოადგენს. საქონელი გარდაიქმნება საჯარო, ანუ საზოგადოებრივ საქონლად, როდესაც სხვა მაცხოვრებლებიც ჩნდებიან კუნძულზე. საქონელი იწყებს საზოგადოებრივი სარგებლის მოცემას. პარალელურად, კრუზოს უჩნდება მოლოდინი, რომ ხარჯებს გაინაწილებენ სხვები. იქ ბილიკებია შესაკეთებელი. იქ აუზებში მალარიის და სხვა დაავადებების გამავრცელებელი კოღოები მომრავლდენ. საჭიროა შუქურა და სათვალთვალო კოშკის აგება. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ბილიკები გადაიქცა გზებად და ტრასებად. ჩნდება მოთხოვნილება ხიდებზე. მოსახლეობას შესაძლებელია მოუნდეს ადგილობრივი და ეროვნული პარკები. კუნძულის სანაპიროებზე ჩნდება მაშველების არსებობის საჭიროება. მეტეოროლოგიური სამსახურები ქმნიან საზოგადოებრივ სარგებელს ამინდის წინასწარმეტყველების გზით.

განათლება უზრუნველყოფს საჯარო საქონლის არსებობას განათლებული თანაქალაქელების არსებობიდან გამომდინარე. მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ზოოპარკიც ასევე უზრუნველყოფს კოლექტიურ სარგებელს კუნძულის მაცხოვრებელთათვის. საელჩოები და საკონსულოები შეიძლება შეიქმნას შორეულ ადგილებში. ტურისტული სააგენტოები იწყებენ ღირშესანიშნაობების რეკლამირებას.. ჩნდება მოთხოვნა ისეთ სამსახურებზე როგორიცაა: სახანძრო, პოლიცია, სასწრაფო დახმარება, თავდაცვა. ბევრი ადამიანი იღებს ერთდროულად სარგებებლს ამ სერვისების გამოყენებით, თუმცა, თითოებულს ჰგონია, რომ ფაქტობრივად გამოყენება არ მოუწევს. კრუზოსა და მასთან შემდგომში შეერთებული მოსახლეობის წინაშე დგება ნორმატიული კითხვები“:

(1) განსხვავებული საჯარო საქონლის რა რაოდენობა უნდა მიეწოდებოდეს?

(2) როგორ უნდა დაფინანსდეს საჯარო საქონელი?

ამ კითხვებზე პასუხები განსხვავებულია სუფთა და გადატვირთული (congestible) საჯარო საქონლისთვის.

როდესაც სუფთა საჯარო საქონელთან გვაქვს საქმე, ინდივიდუალური სარგებელი არ არის დამოკიდებული მომხმარებელთა რაოდენობაზე. რაღაც წერტილიდან, მომხმარებელთა რაოდენობა აღწევს იმ ზღვარს, რომლის შემდეგაც, ის ხდება გაჯერებული (ზედმეტად დატვირთული). ამის შემდეგ იწყება ინდივიდუალური სარგებლის შემცირება. მაგალითად, რაც მეტი მანქანაა გადატვირთულ გზატკეცილზე, ადამიანები უფრო გამოხატავენ იმის მზაობას, რომ გადაიხადონ ამ გზაზე მოძრაობის თავის არიდებაში, თუ მაინც უწევთ ამ გზით სარგებლობა. ისინი აგრეთვე მზად არიან იმისთვისაც, რომ სხვებს დაატოვებინონ ეს გზა და გადაიხადონ ამისთვის.

როგორც წესი, შესაძლებელია გაჯერებული საჯარო საქონლის გაორმაგება. მთავრობებს არ აქვთ სავალდებულო წესით აღებული პასუხისმგებლობა გაჯერებული საჯარო საქონლის მიწოდებისას. მიწოდება შეიძლება იყოს პირადი, როგორც მაგ. სპორტული დარბაზები, კინო-თეატრები, კონცერტები, სპორტული ღონისძიებები, ტრანსპორტი, კერძო სკოლები, კერძო საავადმყოფოები, კერძო გზები, გვირაბები და ხიდები. მიწოდება შესაძლებელია იყოს კონკურენტული, თუ არსებობს მრავალი კერძო მიმწოდებელი. ამრიგად, ძირითადად:

გაჯერებული საჯარო საქონელი შესაძლებელია მიეწოდებოდეს კერძო და კონკურენტული მიმწოდებლების მიერ.

მონოპოლია (ანუ ერთი მიმწოდებელი) არის „ბუნებრივი“ როდესაც არსებობს მიწოდება ფიქსირებული დანახარჯებით: შუქურა წარმოადგენს სუფთა საჯარო საქონლის ყველაზე ხშირად გამოყენებად მაგალითს. შუქურის გამოყენებიდან სარგებელი არის კოლექტიური ხასიათის. არსებობს ფიქსირებული დანახარჯი რომელიც საჭიროა შუქურის ასაშენებლად. არარაციონალური და ზედმეტია მსგავსი და ანალოგიური შუქურის აგება უკვე არსებულის მახლობლად. ერთდროულად შუქურა წარმოადგენს სუფთა სახის საჯარო საქონელსაც და ბუნებრივ მონოპოლიასაც.

უფრო ზოგადად, შუქურის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ყველა საჯარო საქონელი იმავე დროს წარმოადგენს ბუნებრივ მონოპოლიასაც. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ვინ შეიძლება იყოს მონოპოლიური მიმწოდებელი?

ხშირად, მონოპოლისტ მიმწოდებლად გვევლინება მთავრობა - მაგალითად, სამართალდამცველები ან ბუნებრივი უსაფრთხოება. სამართლებრივ იძულებაზე მონოპოლიას მთავრობა დელეგირებას უკეთებს ხოლმე კერძო პირებზე, რომლებსაც ამავედროულად გადაეცემათ მოქალაქეებისთვის თავისუფლების შეზღუდვის უფლება. სამართალდამცველების პირადი სარგებლით მოტივირებას შესაძლებელია მოჰყვეს მოქალაქეებისთვის გაყალბებული, შეთითხნილი დანაშაული და დარღვევები. ამას კი თავის მხრივ მოჰყვება გამომძალველობის შემთხვევები.

საჯარო საქონლის მიწოდებაზე მონოპოლისტი შესაძლებელია იმავდროულად იყოს მონოპსონისტიც[16] საჯარო საქონლის მიწოდებისთვის საჭირო რესურსების შეძენისას. როდესაც არ არსებობს სხვა მყიდველი, გარდა მთავრობისა, კერძო მიმწოდებელი, რომელმაც აწარმოა, მაგალითად სამხედრო ტექნიკა, დამოკიდებულია მთავრობაზე, რომ იგი გადაიხდის წინასწარ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფასს. კერძო მიმწოდებელი დგება პოტენციური“ძარცვის“ წინაშე შემდეგ შემთხვევაში: მას შემდეგ, რაც სამხედრო დანადგარი დამზადდა, მთავრობა უარს ამბობს სახელშეკრულები ფასზე დ სთავაზობს მიმწოდებელს განსხვავებულ, უფრო დაბალ ფასს. შეიძლება ეს „ძარცვა„ მოხდეს საპირისპირო მიმართულებითაც: კერძო მიმწოდებელმა შეიძლება განაცხადოს, რომ გაუთვალისწინებელი ხარჯების გამო, ადგილი ქონდა გადახარჯვებს, რომელიც შეუძლებელს ხდის საწყისი კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული ფასის გამოყენებას. ის გადამხდელს (მთავრობას) სთავაზობს ახალ, უფრო მაღალ ფასს. სხვა მწარმოებლებს არ ჩაუდევთ ინვესტიციები ამ დანადგარის წარმოებასა და მიწოდებაზე, ანუ სხვა მიმწოდებელი ამ საქონელზე არ არსებობს. ამრიგად, ორმხრივი ნდობა აუცილებელი ფაქტორია კერძო წესით მიწიდების შემთხვევაში.

საჯარო საქონელი ხშირად იმავდროულად საჯარო რესურსსაც წარმოადგენს. მაგალითად, კანონის უზენაესობა, ეს არის საზოგადოებრივი რესურსი, რომელიც იძლევა საწარმოო აქტივობის და ბაზრების არსებობის საშუალებას; თავდაცვის მოწყობილობები რესურსია ეროვნული თავდაცვისთვის; გზები და ხიდები საზოგადოებრივი რესურსებია ტრანსპორტის დარგში. საჯარო საქონელთან დაკავშირებული დასკვნები ეხება და ვრცელდება საზოგადოებრივ რესურსებზეც.

კოლექტიური ზიანი: საჯარო საქონელს, ისევე როგორც საზოგადოებრივი რესურსს, შეუძლია აგრეთვე ზიანის მოტანაც; მაგალითად, გარემოს დაბინძურება კოლექტიურად ვნებს ყველას. ჩვენ განვიხილავთ საჯარო საქონელს, რომელიც მოიცავს ორივეს - კოლექტიურ სარგებელსა და კოლექტიურ ზიანს. შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ საჯარო საქონელი სარგებლის მომტანი იყოს ზოგისთვის და ზოგისთვის კი დისკომფორტის, როგორც ეს მუსიკის შემთხვევაში, რომელიც ზოგს მოწონდა, ზოგს არა.

როდესაც ადამიანები ინდივიდუალურად იხდიან საჯარო საქონლისთვის, ისინი ცდილობენ სარგებლის მოპოვებას საკუთარი თავისთვის, მაგრამ უნებლიედ მოაქვთ სარგებელი სხვებისთვისაც. როდესაც მშობლები გამოთქვამენ პრეტენზიას არაეფექტური მასწავლებლის გამო, მშობლის მოტივაცია ისაზღვრება მათი ბავშვის ინტერესებით, მაგრამ იმავდროულად განაპირობებს საჯარო საქონლის სარგებელს ყველა დანარჩენის ბავშვის მშობელისთვის კლასში. საჯარო საქონლის საფასურის გადახდა წინააღმდეგობაში მოდის ალტრუისტულ ქცევასთან. საჯარო საქონლეში ფულის ფადახდისას მოტივი პირადი სარგებლის მიღება, მაშინ როდესაც ალტრუისტული ქცევის დროს სხვებისთვის დახმარების ფაქტი ხდება უანგაროდ.

გამონაკლისი: ადამიანებს ყოველთვის არ შეუძლიათ თავისი თავის გამორიცხვა სუფთა სახის საჯარო საქონლისგან. მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სარგებელი მიიღება კანონის უზენაესობისგან, კონკურენტული ბაზრებისგან, ეროვნული თავდაცვისგან და ა.შ. მიუხედავად ამისა, როდესაც გამორიცხვა შესაძლებელია, გამონაკლისი საჯარო საქონლისგან არაეფექტიანია.

[16] მონოპსონისტი - როდესაც არსებობს ერთი მყიდველი, ანუ მოთხოვნის მხარე.

საჯარო საქონლის სახეობები: საჯარო საქონლის მიწოდების ხარჯები განსხვავდება სარგებლობის ხარჯებისაგან. ხიდი მოითხოვს ხარჯებს მისი აშენების დროს. როდესაც ერთხელ გაიწევა ამ ხიდის ასაშენებლად გარკვეული, ფიქსირებული ხარჯები და ხიდი უკვე არსებობს, გადაუტვირთავი ხიდით სარგებლობის ხარჯები ნულის ტოლია. შესაბამისად, ნულის ტოლია ხიდით სარგებლობის ეფექტიანი ფასიც. ეფექტიანი სარგებლობა მოითხოვს, რომ საჯარო საქონელთან წვდომა იყოს თავისუფალი.

საბაზრო კორექტირებები, გარეშე ფაქტორები (ექსტერნელიები), შესაბამისად არ მიიღება მხედველობაში მყიდველებისა და გამყიდველების საბაზრო გადაწყვეტილებებში.

გარე ფაქტორები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანების ქცევა ან გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე. აქედან გამომდინარე, პატერნალისტური საჯარო პოლიტიკა არის რეაქცია იმაზე, თუ ადამინები თავიანთი გადაწყვეტილებებისს მიღებისას როგორ აზიანებენ საკუთარ თავს ან ვერ იღებენ სარგებლის მომტან გადაწყვეტილებებს.

პატერნალიზმი შესაძლებელია გაჩნდეს იმის გათვალისწინებითაც, ზოგჯერ ადამიანები რას აკათებენ სხვა ადამიანებისთვის.

გარეშე ფაქტორები (ექსტერნალიები) და კერძო გადაწყვეტილებების გარკვევამდე ჯერ დავახასიათოთ ექსტერნალიების თვისებები და გამოვიკვლიოთ ეს ფაქტორები პირადი კერძო ნებაყოფლობითი გადაწყვეტილებების ფონზე. ისევ მივმართოთ რობინზონ კრუზოს ილუსტრაციისთვის.

გარე ფაქტორების ატრიბუტებია: რობინზონ კრუზო კუნძულზე მდინარეში მარტო თევზაობს. კრუზოს არა აქვს ფორმალური საკუთრების უფლება მდინარეში. საკუთრების უფლების არარსებობას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, იმიტომ რომ კრუზო მარტო არის კუნძულზე. შემდეგ, სხვა ადამიანი მოდის კუნძულზე, აშენებს ქარხანას მდინარის ნაკადის ზედა ნაწილში. ქარხანა აბინძურებს მდინარის წყალს, სადაც კრუზო თევზაობს. მდინარე ვეღარ უზრუნველყოფს თევზის წინანდელ რაოდენობას და კრუზო განიცდის ზარალს. ქარხნის მეპატრონემ წარმოქმნა უარყოფითი ექსტერნალიები (გარეფაქტორები) კრუზოსთვის. ექსტერნალიები პირიქით, იქნებოდა დადებითი იმ შემთხვევაში, თუკი ქარხანა მდინარეს მიაწოდებდა საკვებ ნივთიერებებს თევზებისთვის.

ქარხნის არსებობა რასაც არ უნდა განაპირობებდეს - დადებით თუ უარყოფით ექსტერნალიებს, ქარხნის მეპატრონე იქცევა „უხილავი ხელის“ კანონის მოთხოვნის შესაბამისად - მისი განზრხვაა პირადი მოხმარების ან პირადი სარგებლის მაქსიმიზაცია. ქარხნის მეპატრონე აწარმოებს პროდუქციას გასაყიდად ბაზარზე, იგი არ ითვალისწინებს (არ ახდენს ინტერნალიზებას) კრუზოს მიერ გაწეულ ხარჯს (ისევე როგორც არც კრუზოს მიერ მიღებულ სარგებელს). საბაზრო შედეგი ყოველთვის დამოკიდებულია პირად სარგებლობაზე დამყარებულ სარგებლიანობაზე. შედეგად ის არაეფექტიანია.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს დამატებითი ხარჯები, რაც არაა ინტერნალიზებული (გათავისებულლი) კერძო მწარმოებლების მიერ; ესაა გარე ფაქტორებთან (ექსტერნალიებთან) დაკავშირებული ხარჯები. მწარმოებლები არ იხდიან ამ ხარჯებს. მაგალითად, გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რასაც ქარხნის მეპატრონე იშვიათად თუ იხდის.

ექსტერნალიები საჯარო საქონელს შემდეგნაირად უკავშირდება: მდინარის დინების ზედა ნაწილში არსებული ქარხანა გავლენას ახდენს კრუზოს თევზჭერაზე და ქმნის გარე ფაქტორს (ექსტერნალიას). თუ მდინარის დაბინძურება ეხება ბევრ ადამიანს, ის ეხება ორივეს - საჯარო საქონელსაც, და გარე ფაქტორსაც (ექსტერნალიას). **ეფექტიანობა იზრდება მხოლოდ გარე ფაქტორების (ექსტერნალიების) პრობლემის გადაწყვეტით.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Buchanan, J. M., 1968. The Demand and Supply of Public Goods. Rand-McNalley, Chicago.
2. Coase, R. H., 1974. The lighthouse in economics. Journal of Law and Economics 17:357– 76.
3. Lindahl, E., 1919. Positive Losung: Die Gerechtigkeit der Besteuerung ¨ . Lund. Reprinted as: Just taxation – A positive solution. In R. A. Musgrave and A. T. Peacock (Eds.), 1967. Classics in the Theory of Public Finance, St. Martin's Press, New York, pp. 168– 76.
4. Samuelson, P. A., 1954. The pure theory of public expenditure. Review of Economics and Statistics 36:387–9.
5. Samuelson, P. A., 1955. Diagrammatic exposition of a pure theory of public expenditure. Review of Economics and Statistics 37:350–6.
6. Wicksell, K., 1896. A New Principle of Just Taxation. Finanztheoretische Untersuchnung, Jena. Reprinted in R. A. Musgrave and A. T. Peacock (Eds.), 1967

State Economic Policy with Respect to Public Goods

Ts. Dzotsenidze
I.Iakobidze

Summary

We began with one person living alone and considered how increases in the population give rise to goods that provide collective benefit. Public goods can be pure or congested. Exclusion from the benefits of public goods may be possible, technically impossible, or impossible at reasonable cost. For pure public goods, exclusion is inefficient. We saw how dilemmas arise when people refuse to contribute to paying for public goods. The competitive market outcome for a public good is efficient, as for a private good, but the public-good market equilibrium cannot be implemented because of asymmetric information. The consensus Lindahl voluntary-payments equilibrium, which is the efficient solution for financing public goods, likewise cannot be implemented.

Key words: *Competitive market, Efficiency, Public goods, Economic policy.*

ეკონომიკური ზრდის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები ღია ეკონომიკის პირობებში

მაია ჭანია,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში წარმოდგენილია ეკონომიკური ზრდის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებელთა სისტემა. ხაზგასმულია მათი როლი ღია ეკონომიკის პირობებში. ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასითებლების ცვლილების პროცესია. აქედან გამომდინარე, იგი მოიცავს ეკონომიკურ ზრდას მეურნეობის სტრუქტურაში, წარმოების ეფექტიანობაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და ხარისხში მიმდინარე ცვლილებებს. ეკონომიკური ზრდის შეფასებისას, რა-საკვირველია, მთლიანი შინა პროდუქტი კვლავ ინარჩუნებს არსებითობას, მაგრამ მნიშვნელოვანია სხვა მაჩვენებლებიც. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ კაპიტალს. ნაშრომში შემოთა-ვაზებულია წმინდა კეთილდღეობის ინდექსი, ადამიანის განვითარების ინდექსი, ეკონომიკური ზრდის ხარისხის მაჩვენებელი. შემუშავებულია ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კონცეფცია განვითარების კომპლექსური სტრატეგიის სახით.

საკვანძო სიტყვები: *მაჩვენებელი, ხარისხი, გლობალიზაცია, ტექნოლოგია, კაპიტალუკუგება.*

საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევაა, რაც ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორია. ეკონომიკური ზრდის სტაბილური ტემპების უზრუნველყოფა ავტონომიური რეჟიმით მოქ-მედ საბაზრო ძალებს არ შეუძლიათ, ამიტომ საჭირო ხდება მისი რეგულირება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში.

ბუნებრივია, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივა უკავშირ-დება გლობალიზაციის პროცესს. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი მდგომარეობს ეკონომიკის ლიბე-რალიზაციასა და ქვეყნების ჩაბმაში მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, ვაჭრობის, ინვესტიციე-ბის, მომსახურების ბაზრების და სხვა სფეროებში.[1. გვ.84] მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა მიისწრაფ-ვის გაწევრიანდეს საერთაშორისო და რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში, შეიმუშავოს გლობა-ლიზაციის პროცესის შესაბამისი სტრატეგია და პოლიტიკა. საქართველო განვითარების დონით, სამწუ-ხაროდ, არაა მოწოდების იმ სიმაღლეზე, რომ აქტიურად განახორციელოს თანამშრომლობა ბევრ საერ-თაშორისო ორგანიზაციასთან და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან სტაბილურ პარტნიორულ საწყი-სებზე. მათთან კავშირი ხორციელდება მიღებული დახმარების სახით. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მსოფლიო წამყვანი ქვეყნები არჩევენ მოლოდინის პოზიციას და თვალყურს ადევნებენ მოვლენების განვითარებას ქვეყანაში. ბევრი მათგანის აზრით საქართველო ცხელი წერტილია, რომელიც პოლიტიკურად ნაკლებად სტაბილურია იმისათვის, რომ მან აქტიურად მოიზიდოს მსხვილი ეკონომიკური პარტნიორები.

გლობალიზაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციის პროცესმა შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება. მისი ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.[3. გვ 116].

დადებითი ეფექტი უპირველეს ყოვლისა გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. გლო-ბალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს გააფართოვოს შიდა და გარე ბაზა-რი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება გადამწვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. თუკი საქართველოს ბაზარი გაფართოვდება გლობალი-ზაციის შედეგად, ამით მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, შემოიტანს ჩვენს ქვეყანაში ახალ ტექნოლო-გიებს, გამოიყენებენ საქართველოს შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. ეს კი საშუალებას მოგვცემს წარმოებული პროდუქცია გატანილ იქნეს რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც შემოსავალს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპი საქართველოში ხასიათდება მეტად წინააღმდეგობ-რივი ნიშან-თვისებებით. მართალია, არსებითია ბიუჯეტის შემოსავლის მატება, კონტრაბანდის შემცი-რება და კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ აღინიშნება ფასების დონის მნიშვნე-ლოვანი მატება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება და უმუშევართა რაოდენობის ზრდა, მოსახლე-

ობის დაბალშემოსავლიანი ფენების რეალური შემოსავლების კლება, რაც იწვევს უთანაბრობის გაღრმავებას შემოსავლების გადანაწილებაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესებასა და მიგრაციული პროცესების გაძლიერებას. შრომისუნარიანი მოსახლეობის, მათ შორის ახალგაზრდობისა და მაღალკვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ გადინება, თავის მხრივ, უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამჟამად საქართველოს დაკარგული აქვს ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა და მისი ეკონომიკური განვითარება წარმოების საშუალებათა შემოტანაზეა დამოკიდებული იმ სხვა ქვეყნებიდან და ტნკდან რომლებიც თავიანთ პირობებს სთავაზობენ მსოფლიო ბაზარს. ტექნოლოგიურად ჩამორჩენის გამო, ქვეყანა სულ უფრო მზარდი მასშტაბებით განიცდის სამეცნიერო-ტექნიკურ ზარალს. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავაცაა შენარჩუნებული ეკონომიკური ზრდა-განვითარების ტექნოლოგიური წანამძღვრები. კერძოდ, ფართო და მრავალფეროვანი სამეცნიერო-ტექნიკური მარაგი, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ახალი ტქნოლოგიური წყობის მთელ რიგ მიმართულებათა ფორმირებას. გარდა ამისა, ტექნოლოგიური გარღვევის კიდევ ერთი წანამძღვარია მრავალი მიმართულებით განხორციელებული და კვლავაც მიმდინარე მეცნიერული კვლევები და დამუშავებები, რომლებიც პრიორიტეტულად შეიძლება მივიჩნიოთ.

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდისა და აღმავალი განვითარებისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა არსებული ბერკეტი და საშუალებები (როგორც საშინაო, ასევე საგარეო პირობები), რომლებიც ეკონომიკის შემდგომი გაჯანსაღების საშუალებას მოგვცემს. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მეწარმეობის ხელშეწყობა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად გამოყენება, უმუშევართა გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მოწესრიგება და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მისაღწევად კომპლექსური ქმედითი ღონისძიებების შემუშავება და პრაქტიკულად რეალიზება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას.[2. gv.56] ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება არსებული ძირითადი კაპიტალის ეფექტიან გამოყენებაზე, იგი შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად უნდა გახდეს ეკონომიკის ინტენსიური ზრდის საფუძველი. ზემოთაღნიშნულთან ერთად გადამწყვეტი რეალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქვეყანაში და საერთოდ ეკონომიკაში წესრიგის დამყარებისათვის, რაც ნიშნავს მუშაობის გაძლიერებას კორუფციის, კრიმინალური საქმიანობის აღმოფხრვის, ჩრდილოვანი არაკრიმინალური ეკონომიკის სრული ლეგალიზაციისათვის, ყველა სფეროში აღრიცხვის მოწესრიგებისათვის. უნდა გასწორდეს კანონმდებლობის ხარვეზები, რაც აუცილებელია ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებისათვის, ინვესტიციური გარემოს უზრუნველყოფისათვის.

თანამედროვე პერიოდში თეორიასა და პრაქტიკაში წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური განვითარების პრობლემა. მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი დებულებებია: ადამიანზე ზრუნვას მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის ძალისხმევაში ცენტრალური ადგილი ენიჭება; ყველა სახელმწიფო და ყველა ხალხი თანამშრომლობს სიღარიბის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანეს ამოცანაში, რომელიც მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა, ცხოვრების დონის მიხედვით სხვაობის შემცირებისა და მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილებების უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილების მიზნით. [2. გვ.31] გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში ეკონომიკური განვითარება ცივილიზაციური, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული განვითარების ჩარჩოებში განიხილება, როგორც მათი ორგანული ნაწილი. ამიტომ, ბუნებრივია, ახლებურად დგება ეკონომიკური ზრდისა და მისი გაზომვის საკითხებიც. კერძოდ, აუცილებელია ვაღიაროთ ეკონომიკური განვითარების პრიმატი ეკონომიკური ზრდისადმი, რაც თავისთავად იწვევს მათი გაზომვისა და შეფასების საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას. გაზომვა რაოდენობრივ შეფასებას გამოხატავს, ხოლო ეკონომიკური ზრდის გაზომვა ქვეყნის მასშტაბით წარმოებული საქონლისა და მომსახურეობის რაოდენობრივი, ღირებულებითი, მოცულობითი და ნატურალური მახასიათებლების გამომხატველია. შეფასება კი, რაოდენობრივ გაზომვასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის სპეციფიკურ თვისებებს, ხარისხობრივ მხარეს გამოხატავს. ამიტომ, გაზომვისა და შეფასების განხორციელებისათვის აუცილებელია, ჯერ ერთი, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური ზრდის ხარისხი და ეკონომიკური განვითარება; მეორე, განვსაზღვროთ ეკონომიკური ზრდის შეფასების ძირითადი პრინციპები, კრიტერიუმები, მაჩვენებელთა სისტემა.

ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლის ცვლილების პროცესია. აქედან გამომდინარე, იგი მოიცავს ეკონომიკურ ზრდას მეურნეობის სტრუქტურაში, წარმოების ეფექტიანობაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და ხარისხში მიმდინარე ცვლილებებს. ეკონომიკური ზრდა კი ეკონომიკური განვითარების მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს გამოხატავს, რაც წარმოებული საქონლისა და მომსახურეობის მოცულობის დინამიკით გამოიხატება. თუმცა, რაოდენობა

და თვისებრიობა ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. არა მარტო განვითარებას აქვს თავისი რაოდენობრივი მხარე, არამედ ზრდასაც აქვს თავისი თვისებრივი მხარე.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შეფასება გულისხმობს ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების შედეგიანობის დინამიკაში განსაზღვრას შესაბამისი კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე. [2. გვ.62] სამწუხაროდ, დღემდე ასეთი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემის შესახებ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი შეხედულებები, რადგანაც განვითარება ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად დაჩქარდა, რაც ეკონომიკური ზრდის ფაქტორების შესახებ შეხედულებების სწრაფ ცვლილებას იწვევს. სხვა მიზეზი ის, რომ ეკონომიკური ზრდის ხარისხის და ეკონომიკური განვითარების კონცეფციები ბოლო პერიოდებში პოულობს ძლიერ მხარდაჭერას, მაგრამ მაინც კვლავაც გავრცელებულია კონცეფციები, რომლებიც სოციალურ ან ინსტიტუციურ განვითარებას არ მიიჩნევენ ეკონომიკური განვითარების ორგანულ ნაწილად, რის გამოც სოციალური განვითარების კრიტერიუმები და მაჩვენებლები, ფაქტობრივად, ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების დანამატად განიხილება. თუმცა ამავე დროს აღიარებულია, რომ ეკონომიკა თავისი არსით სოციალური მოვლენაა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ხარისხის კვლევა, ასევე, ეკონომიკის სოციალური არსის კვლევა უდავოდ წინა პლანზე გამოდის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია 5 ძირითადი კრიტერიუმის გამოყოფა ეკონომიკურ ზრდაში, რაც სოციალური, ინტელექტუალური, ეკონომიკური, ინსტიტუციური და სტრუქტურული განვითარების მნიშვნელობას წარმოაჩენს (იხ. ცხრ.1)

სოციალური კრიტერიუმის გადამწყვეტ პრიორიტეტად ჩამოყალიბება დღეისათვის უკვე კარგად არის ეკონომიკურ ლიტერატურაში დასაბუთებული. პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის არსი იმით გამოიხატება, რომ ეკონომიკური ზრდა და განვითარება პირველ რიგში ადამიანურ კაპიტალზე, ცოდნაზე, ინტელექტზე, მოსახლეობის მოხმარების დონეზე და სტრუქტურაზეა დამოკიდებული.

მომდევნო ადგილზეა ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმი. მართალია, ადამიანისეული, ინტელექტუალური რესურსების პრიორიტეტულობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ ტენდენციამ არ უნდა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ფაქტორებისათვის მატერიალურ-ნივთობრივი და ფინანსური ფაქტორების უგულვებელყოფა. ადამიანისეული ფაქტორის წინ წამოწევა თავისთავად არ ხდება. ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მშპ-ის გარკვეული კრიტიკული მასა არის დაგროვილი. საქართველოსათვისაც შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვა, საექსპორტო პოტენციალის გაზრდის პრიორიტეტულობა უდავოდ ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა კი ეკონომიკის ზრდასთან არის დაკავშირებული. გასათვალისწინებელია ფასწარმოქმნის და ინფლაციის დონის უდიდესი მნიშვნელობა, ირკვევა, რომ შრომის მწარმოებლურობა და კაპიტალუკუგების ზრდა იწვევს ხელფასისა და მოგების გადიდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასები საქონელსა და მომსახურებაზე უცვლელია, ან მცირედ მაინც მაღლდება. მაგრამ, რადგანაც გლობალური კონკურენცია ზემოქმედებს მხოლოდ სტანდარტული საქონლის ფასებზე, რომლის წილი მკვეთრად მცირდება, ბაზრებზე უპირატესად ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული პროდუქციის გაბატონებასთან დაკავშირებით, ეფექტიანობა თავისთავად უკვე ვერ წყვეტს პრობლემებს ფასწარმოქმნასთან კავშირის გარეშე. მეორე მხრივ, ფინანსური გლობალიზაციისას ეკონომიკური და ფინანსური გარემოს გაუმჯობესება, ახალი ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრება, ეკონომიკური რისკის მართვა წარმატებული განვითარების ერთ-ერთი უპირველესი პირობაა. აქედან ჩანს, რომ მატერიალური და ფინანსური დოვლათის საჭირო მოცულობით დაგროვებამდე, ეკონომიკური ზრდის როლის დაკნინება არ შეიძლება.

ცხრილი 1

ეკონომიკური ზრდის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემა

#	კრიტერიუმები	მაჩვენებელთა სისტემა
1	სოციალური განვითარება	1. ადამიანის განვითარების ინდექსი 2. სიღარიბის დონე 3. რეალური ხელფასი 4. ქალთა საშუალო ხელფასის შეფარდება მამაკაცთა საშუალო ხელფასთან 5. უმუშევრობის დონე
2	ინტელექუალური განვითარება	1. განათლებაზე გაწეული დანახარჯების წილი მშპ-ში 2. მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების წილი მშპ-ში

		3. უმაღლეს სკოლადამთავრებულთა წილი მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 4. მეცნიერების წილი დასაქმებულთა რიცხოვნობაში 5. ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი 6. ინტერნეტიზაცია მოსახლეობის 1000 სულზე
3	ეკონომიკური განვითარება	1. მშპ--ის მოცულობა და ზრდის ტემპი 2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა 3. შრომის მწარმოებლურობა 4. საგარეო ვალი მოსახლეობის 1 სულზე 5. დოლარიზაციის ხარისხი 6. ინფლაციის დონე 7. დანაზოგების წილი მშპ-ში
4	ინსტიტუციური განვითარება	1. ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე 2. დამნაშავეობის ინდექსი 3. თავისუფლების ინდექსი
5	სტრუქტურული განვითარება	1. ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში 2. საღვარგარეთული ინვესტიციების წილი მშპ-ში 3. კერძო და სახელმწიფო სექტორების წილი მშპ-ში 4. ტრანსნაციონალური კომპანიების წილი მშპ-ში

ასევე მაღალია ინსტიტუციური და სტრუქტურული განვითარების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე. ეკონომიკური ზრდისათვის, განსაკუთრებით გრძელვადიან პერიოდში, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ინვესტიციებს, რამდენადაც ბიზნესისათვის ხელშემწყობ გარემოს, ეფექტიანი სახელმწიფოს არსებობას, ჯანსაღ კონკურენტულ ურთიერთობებს, მთავრობის სწორ პოლიტიკას, საერთოდ ინსტიტუციურ პირობებს. იგივე უნდა ითქვას სტრუქტურული განვითარების შესახებ: თუ ქვეყანა სექტორული და დარგობრივი, ტექნოლოგიური, კვლავწარმოებითი სტრუქტურებით ვერ პასუხობს ინფორმაციული საზოგადოების მოთხოვნებს, მობილური ქსელური ინფორმაციულ-კომუნიკაციური სტრუქტურების განვითარების ამოცანებს, ცხადია ჩამორჩენილი დარჩება.

ამ კრიტერიუმების მიხედვით, ცხრილ 2-ში მოცემულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთა სისტემა. მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ეკონომიკური ზრდის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, ცალკეული კრიტერიუმების შესაბამისად.

ძირითადი მაჩვენებლების ჩვენ მიერ განსაზღვრული სისტემის უპირატესობა ის არის, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის სისტემური შეფასება. ეკონომიკური ზრდის შეფასების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ადამიანის განვითარების ინდექსი, რაც სამ მაჩვენებელს მოიცავს: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; აკადემიურ მიღწევა, ანუ განათლების დონე;

ცხრილი 2

ეკონომიკური ზრდის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები

#	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი
1	ადამიანის განვითარების ინდექსი
2	სიღარიბის დონე და მოსახლეობის ზრდის ტემპი
3	განათლებაზე და მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების მშპ-ში
4	ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი
5	მშპ-ის მოცულობა და ზრდის ტემპი
6	ქვეყნის კონკურენტუნარიანობა
7	შრომის მწარმოებლურობა
8	დანაზოგების წილი შპ-ში
9	თავისუფლების ინდექსი
10	ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში

ეკონომიკური ზრდის და განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად მშპ-ის ზრდის ტემპს, არამედ იმას, თუ რა შედეგებს იძლევა იგი, იწვევს ადამიანის განვითარების ინდექსის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას თუ არა. ეკონომიკური ზრდასა და ამ ინდექსს შორის ურთიერთკავშირის მიხედ-

ვით გამოიყოფა ქვეყნების შემდეგი ჯგუფები: 1. ძლიერი კავშირის ქვეყნები; 2. სუსტი კავშირის ქვეყნები; 3. დაუბალანსებელი კავშირის ქვეყნები. პირველ ჯგუფში შედიან განვითარებული ქვეყნები, აგრეთვე აზიის ახალი ინუსტრიული ქვეყნები, XX ს. 90-იანი წლებიდან ასევე ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც ეკონომიკური ზდრისა და ჰუმანური განვითარების ენერგიულობით ხასიათდებიან. მეორე ჯგუფის ქვეყნებში კავშირი ზრდასა და ჰუმანურ განვითარებას შორის სუსტი ან უარყოფითია (ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნები). მესამე ჯგუფის ქვეყნებში (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, ეგვიპტე, პაკისტანი) განვითარება ცალმხრივია: ეკონომიკური ზრდა ძალიან სუსტად ემსახურება ადამიანის განვითარებას და პერიოდულად ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს დაბალი ტემპები ენაცვლება. აქ უნდა დავასახელოთ, აგრეთვე, პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებიც დღეს ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით საშუალოდ განვითარებული ქვეყნების ჯგუფში შედიან, თუმცა მათ XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში სერიოზული ეკონომიკური ვარდნა დაუშვეს და ამდენად ზოგი მათგანი კვლავაც ეკონომიკური ზრდის დაპალი ტემპებით, სიღარიბისა და სოციალური დაძაბულობის მაღალი დონით ხასიათდებიან.

ეკონომიკური ზრდის და ჰუმანური განვითარების ურთიერთკავშირის ანალიზი ბოლო ათწლეულებში გვიჩვენებს, რომ პირველი და მეორე ჯგუფის ქვეყნებში მდგომარეობა გრძელვადიან პერიოდში შედარებით სტაბილურია და მათ შორის ქვეყნების გადაადგილება ან მესამე ჯგუფში გადასვლა, ხშირად არ ხდება. უფრო ხშირია მესამე ჯგუფიდან სხვა ჯგუფებში გადასვლის შემთხვევა. მაგალითად, პირველ ჯგუფში მუდმივად რჩებიან განვითარებული ქვეყნები, რადგანაც მათ გადალახული აქვთ ადამიანის განვითარების ინდექსის ზღვრული მიჯნა, ხოლო მეორე ჯგუფის უკიდურესად ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნები, ვერ ახერხებენ აღნიშნული მიჯნის გადალახვას. ასეთ ზღვრულ საბაზო სიდიდეს წარმოადგენს ადამიანის განვითარები ინდექსის დონე 0,500, რადგანაც იგი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განათლების იმ მიჯნას უზრუნველყოფს, რომელიც შემდგომი ეკონომიკური ზრდისა და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუ ქვეყანა ამ მიჯნას ვერ გადაცდა, იგი ვერასოდეს გადავა საშუალო და მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში. ბოლო 3-4 ათწლეულის განმავლობაში მესამე ჯგუფიდან პირველ ჯგუფში გადასვლა მოახერხეს ესპანეთმა, პორტუგალიამ. ისრაელმა, საბერძნეთმა, მექსიკამ, არგენტინამ, აზიის ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, ჩინეთმა, ინდოეთმა, რომლებმაც მოახერხეს ზრდისა და ჰუმანური განვითარების შეთავსება, სხვა ქვეყნები კი კვლავაც მესამე ჯგუფში რჩებიან, რადგან ასეთ შეთავსებას ვერ აღწევენ. ნიშანდობლივია პოსტსოციალისტური ქვეყნების მაგალითიც. სლოვენიამ, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, პოლონეთმა, უნგრეთმა, ესტონეთმა შეძლეს პირველ ჯგუფში გადასვლა ეკონომიკური ზრდის ადამიანის განვითარებისათვის წარმართვის შედეგად, მაგრამ რუსეთმა, უკრაინამ, საქართველომ, აზერბაიჯანმა, სომხეთმა და სხვა ქვეყნებმა ვერ უზრუნველყვეს ეკონომიკური ზრდისა და ადამიანის განვითარების ურთიერთკავშირი და კვლავ დაუბალანსებელი ზრდის ჯგუფში რჩებიან.

მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის შეფასებისათვის ამოსავალი მნიშვნელობა აქვს მის კავშირს ადამიანის პოტენციალის განვითარებასთან. სიღარიბე არა მხოლოდ განვითარებას უშლის ხელს, არამედ ხშირ შემთხვევაში კონფლიქტების უპირველესი წყაროა, რაც დამანგრეველი შედეგების მომტანია. მაგრამ ამისათვის მარტო განათლება არაა საკმარისი. აუცილებელია მეცნიერებისა და ტექნოლოგიური დონის განვითარების ინტენსიფიკაცია, რაც გაეროს მიერ შემოღებული მაჩვენებლის – ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის დინამიკით გამოიხატება. იგი მოიცავს 4 კომპონენტს: 1. ტექნოლოგიების შექმნას, ეს კომპონენტი ვლინდება ისეთი მაჩვენებლით, როგორიც არის: მოსახლეობის ერთ სულზე საპატენტო განცხადების რაოდენობა და ჰონორარებიდან და ლიცენზიების გაყიდვიდან შემოსავლები; 2. ახალი გამოგონებების გავრცელება. იგი ვლინდება შემდეგი მაჩვენებლებით: მოსახლეობის ერთ სულზე ინტერნეტკვანძების რაოდენობით, მაღალი და საშუალო ტექნოლოგიების ექსპორტის წილით ექსპორტის საერთო მოცულობაში; 3. ძველი ტექნოლოგიების გავრცელებით. აქ შედის ჩვეულებრივი მაგისტრალური სატელეფონო ხაზებისა და ფიჭური ტელეფონების რაოდენობა; 4. მოსახლეობის ჩვევები, რაც 15 წელს ზემოთ მოსწავლეთა სწავლების წლების რაოდენობასა და სწავლების მეორე და მესამე საფეხურებზე საბუნებისმეტყველო, მატემატიკური და გამოყენებით მეცნიერებათა სწავლებით მოცული მოსწავლეების კოეფიციენტს მოიცავს.

ამ ინდექსის მიხედვით გამოიყოფა ქვეყნების 4 ჯგუფი. პირველია ლიდერების ჯგუფი, სადაც ამ ინდექსის სიდიდე 0,5-ზე მაღალია. აქ არის 22 განვითარებული ქვეყანა, მათ შორის 2 ახალი ინდუსტრიული ქვეყანა. სამხრეთ კორეა და სინგაპური, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების მწარმოებელ მნიშვნელოვან ცენტრებად გადაიქნენ. მეორე პოტენციური ლიდერების ჯგუფი, სადაც 19 ქვეყანაა, მათ შორის განვითარებული ქვეყნებიდან ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია; ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან – მალაიზია, მექსიკა, არგენტინა; პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან – ჩინეთი, უნგრეთი, სლოვენია, ბულგარეთი, პოლონეთი, ხორვატია, რუმინე, რომელთა ინდექსი 0.35-0.49-ის ფარგლებშია.

აქ არის ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, სამხრეთი აფრიკა, ეგვიპტე, სირია, ირანი და ა. შ. ისინი გამოირჩევიან მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი ცენტრების არსებობით, თუმცა ამავდროულად ტექნოლოგიების გავრცელების შედარებით ნელი ტემპებითაც ხასიათდებიან. მეოთხე, მარჟინალური ჯგუფია (0,20 ქვემოთ), რომელიც ტექნოლოგიების წარმოებისა და გავრცელების ძალიან სუსტი მაჩვენებლებით გამოირჩევიან. მათი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობს თანამედროვე ცოდნასა და ჩვევებს, ამიტომ, ამ ჯგუფის ქვეყნებს ესაჭიროება ხანგრძლივი და ძლიერი ძალისხმევა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დასაძლევად.

ნიშანდობლივია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მართალია, ზოგიერთი ტრადიციული ტექნოლოგიების ფლობით, არცთუ ისე ცუდად გამოიყურებიან, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების წარმოებისა და გავრცელების სფეროში ისინი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან, რაც მათი განვითარების დონეზე უშუალოდ ზემოქმედებს. ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ ქვეყნები ძლიერ ჩამორჩებიან განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სფეროში.

ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციური შეფასებისათვის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია თავისუფლების ინდექსი, რომელიც ქვეყნების სხვადასხვა ტემპით განვითარების ახსნის მთავარი ინსტრუმენტია. ინსტიტუციური წესრიგით გამორჩეული ქვეყნები, როგორც წესი, ზრდის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, ხოლო არათავისუფალი, მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკის ქვეყნები, განვითარების დაბალ დონეზე რჩებიან.

ეკონომიკური ზრდისათვის ასევე მეტად მნიშვნელოვანია სტრუქტურული გარდაქმნების ფაქტორებიც. გამოკვეთილად ჩანს ტენდენცია, რომ ეკონომიკური ზრდისა და ხარისხის ამაღლების დაჩქარებით გამოირჩევიან ქვეყნები, რომლებშიც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის წილი დასაქმებასა და მშპ-ში მცირდება, ხოლო მომსახურების წილი იზრდება.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის შეფასებისათვის მშპ-ში, რა თქმა უნდა, კვლავ ინარჩუნებს განმსაზღვრელ მნიშვნელობას, როგორც მისი ყველაზე უფრო განმაზოგადებული მაჩვენებელი, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ხარისხის შეფასებისათვის საჭიროა სხვა მაჩვენებლებიც, რომლებიც უკვე დიდი ხანია ეკონომიკურ მეცნიერებაში განიხილება. სულ უფრო მეტად გამოიყენება ზრდის მოდელები, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიან-კაპიტალს ენიჭება. შემოთავაზებულია წმინდა კეთილდღეობის მაჩვენებელი, ადამიანის განვითარების ინდექსი, ეკონომიკური ზრდის ხარისხის მაჩვენებელი. შემუშავებულია ეკონომიკური პოლიტიკის ახალი კონცეფცია განვითარების კომპლექსური სტრატეგიის სახით. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური ზრდის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებელთა სისტემა მეტ-ნაკლები ზომით სწორედ ასეთი კომპლექსური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების საშუალებას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. “ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია”. თბილისი. უნივერსალი. 2005. 155გვ.
2. ჭანია მ. „ეკონომიკური ზრდისა და საგადასახდელო ბალანსის პრობლემები პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში“ თბილისი. უნივერსალი. 2004. 200გვ.
3. ჭანია მ. “ეკონომიკური გარდაქმნები, სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა” კულტურათაშორისი კომუნიკაციები, საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. თბილისი. 2011, NN

Criteria and Indicators of the rate of Economic Growth in Open Economy

M. Chania

Summary

For the rate of Economic Growth the Gross Domestic Product remains the defining importance, as its most general indicator, but to rate the quality of Economic Growth we need another indicators, which already have been considered for a long time in Economic Science. Economic Grouth Models are getting increasingly used where human capital is all-important. The indicator of economic well-being, human development Index, an indicator of the quality of economic growth are suggested. A new concept of an Economic policy as the complect development strategy has been developed. We are suggesting criterias of economical grouth and system of indicators, which helpes us to develop and realise exsact complect strategy.

Keywords: *Indicator, Quality, Globalization, Technology, Equity.*

საკრედიტო რისკის მართვის შესახებ

მედეა ჭელიძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გოგა გელიტაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკრედიტო რისკები ყველაზე გავრცელებულ და სახიფათო რისკებს მიეკუთვნება, რამდენადაც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე აღებული ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შესაძლებლობასთან, ხოლო ბანკების გაკოტრება დიდწილად არის განპირობებული სწორედ მსესხებლების მიერ სესხების დაუბრუნებლობით და ბანკის არათანმიმდევრული პოლიტიკით რისკების სფეროში. ამიტომ, საბანკო-საკრედიტო რისკის მართვის საკითხი, რომლის დროულ გადაჭრაზე დამოკიდებულია კონკრეტული ბანკის ეფექტიანი საქმიანობა და ქვეყნის მთელი საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს.

საკვანძო სიტყვები: *საბანკო რისკები, საკრედიტო რისკი, საკრედიტო რისკის მართვა, რისკების მონიტორინგი, რისკების მინიმიზაცია.*

საბანკო რისკების მართვის სისტემა ბანკის პერსონალის მუშაობის მეთოდები და ხერხებია, რომელთა მეშვეობით მიიღწევა დადებითი ფინანსური შედეგი საქმიანობის პროცესში რაიმე გაურკვევლობის არსებობისას და საშუალებას იძლევა მოხდეს სარისკო მოვლენის დადგომის პროგნოზირება და გატარდეს ადეკვატური ღონისძიებები.

რისკების მართვის პროცესი კომერციულ ბანკში მოიცავს რისკების დადგენას, რისკების შეფასებას, ლიმიტების დადგენას თითოეული რისკის სახეობისთვის და მათ მონიტორინგს, რისკების მართვის საინფორმაციო სისტემებს, რისკების კონტროლს, აქტივების და ვალდებულებების მართვას, რისკების შეფასებას სტრესტესტების მოდელების გამოყენებით [2, გვ. 510].

საბანკო რისკების მართვის სისტემა, რისკების მართვის ტექნოლოგიის კრიტერიუმზე დაყრდნობით, შეიძლება დავახასიათოთ როგორც შემდეგი ელემენტების ერთობლიობა: რისკების მინიმიზაციის ხელშემწყობი საქმიანობის სტრატეგიის არჩევა; რისკებზე დაკვირვების სისტემა; ბანკის რისკებისგან დაცვის სისტემა.

ბანკის საქმიანობის სტრატეგია აირჩევა საბანკო მომსახურების ბაზრის და მისი ცალკეული სეგმენტის შესწავლის საფუძველზე. ყველაზე სარისკო სტრატეგიებს მიეკუთვნება ლიდერის სტრატეგია და ახალ ბაზარზე ახალი მომსახურების გაყიდვასთან დაკავშირებული სტრატეგია. ამ სტრატეგიების რისკიანობა მცირდება, თუ ბაზრის სხვა სეგმენტებში ბანკი აგრძელებს ძველ კლიენტურასთან მუშაობას და სთავაზობს მოსახურების ნაცად პაკეტს.

რისკებზე დაკვირვების სისტემა მოიცავს რისკის გამოვლენის (იდენტიფიკაციის) ხერხებს, რისკის შეფასების მეთოდებს, რისკის მონიტორინგის მექანიზმს.

ბანკის რისკისგან დაცვის მექანიზმი შედგება რისკის მიმდინარე რეგულირებისა და მინიმიზაციის მეთოდებისგან. ამასთან, რისკის მიმდინარე რეგულირებაში იგულისხმება კრიტიკულ მაჩვენებლებზე დაკვირვება და მის საფუძველზე ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება.

რისკის იდენტიფიცირება გულისხმობს არა მხოლოდ რისკის ზონების, არამედ პრაქტიკული სარგებლის და ბანკისთვის შესაძლო ნეგატიური შედეგების გამოვლენას, რაც დაკავშირებულია ამ ზონებთან. რისკის იდენტიფიცირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო ბაზას, რომელიც მოიცავს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას. საჭირო ინფორმაციის უქონლობა ნებისმიერი რისკის უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორია.

რისკის მონიტორინგი რისკის მაჩვენებლების რეგულარული ანალიზის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესია, რომელიც მიმართულია რისკის მინიმიზაციაზე მოგების აუცილებელი დონის შენარჩუნებით. რისკის მონიტორინგის პროცესი მოიცავს რისკის მონიტორინგის მიზნით ვალდებულებების განაწილებას, საკონტროლო მაჩვენებლების სისტემის განსაზღვრას და რისკის რეგულირების მეთოდებს.

რისკის ხარისხის შეფასებისთვის გამოიყენება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზი. რაოდენობრივი ანალიზის მიზანია რისკის ხარისხის რაოდენობრივი განსაზღვრა. ხარისხობრივი ანალიზი - ეს არის რისკის წყაროების და პოტენციური ზონების ანალიზი. ხარისხობრივი ანალიზი ეფუძნება ფაქტორების მკაფიო გამოყოფას, რომელთა ჩამონათვალი სპეციფიკურია საბანკო რისკის თითოეული სახეობისთვის [4, გვ. 76].

კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციები საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სახეობაა. დაკრედიტება ინარჩუნებს საკრედიტო ორგანიზაციების შემოსავლებში ყველაზე შემოსავლიანი, თუმცა ამავე დროს ერთ-ერთ სარისკო ოპერაციის სტატუსს. ამგვარად საკრედიტო რისკი იყო და რჩება საბანკო რისკის ძირითად სახეობად.

საკრედიტო რისკი, მესამე მხარის მიერ საკრედიტო ორგანიზაციის წინაშე საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკია, მის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დარღვევისას. ამ რისკის წარმოქმნის საშიშროება არსებობს სასესხო და მასთან გათანაბრებული ოპერაციების განხორციელების დროს.

საკრედიტო ორგანიზაციებში მსხვილ რისკებს და ფინანსურ დანაკარგებს იწვევს: მსესხებლის, სპონსორის და გარანტის საქმიანი, ფინანსური და საწარმოო რისკების არასწორი შეფასება; საკრედიტო ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი სამსახურების არარსებობა ან მუშაობის დაბალი ხარისხი; საერთაშორისო კრედიტებზე წვდომის შეუძლებლობა პოტენციური მსესხებლის ოფიციალურად აღიარებული საკრედიტო რეიტინგის არ არსებობის გამო; მსხვილი პროექტის დაკრედიტებისთვის გრძელვადიანი რესურსების უკმარისობა და საკრედიტო ორგანიზაციის სიფრთხილე არ დაარღვიოს ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები; არასწორად დასახული დარგობრივი და რეგიონალური პრიორიტეტები; საკრედიტო ორგანიზაციის ჭეშმარიტი მოთხოვნილებების გათვალისწინების გარეშე ნასესხები სახსრების ათვისების და გადახდის არასრულყოფილად შერჩეული გრაფიკები; კრედიტის ვადაში დაბრუნების ალბათობის არასრულყოფილი ანალიზი; მსესხებლის პროდუქციაზე მოთხოვნის არ არსებობის რისკის, ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენის, ასევე არალეგალური ბიზნესის წილის და მსესხებლის გაუთვალისწინებელი ხარჯების უხარისხო და არაპროფესიონალური ანალიზი [5, გვ. 93].

საკრედიტო რისკზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოთ როგორც შიგა და გარე. გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, ქვეყნის ფულად-საკრედიტო, საგარეო და საშინაო პოლიტიკა და მისი შესაძლო ცვლილება სახელმწიფო რეგულირების შედეგად და სხვა. გარე საკრედიტო რისკებს მიეკუთვნება: პოლიტიკური, მაკროეკონომიკური, სოციალური, ინფლაციური, დარგობრივი, რეგიონული, საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული რისკი, ასევე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი. საკრედიტო ორგანიზაციას არ შეუძლია ზუსტად გათვალოს პროცენტის დონე, მაგრამ შეუძლია საკრედიტო რისკების მართვისას გაითვალისწინოს დამატებითი რეზერვები როგორც პირდაპირი, ისე დაფარული და ირიბი ხასიათის შესაძლო დანაკლისის დასაფარავად [6, გვ. 183].

შიგა ფაქტორები შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც თვით ბანკი-კრედიტორის საქმიანობასთან, ისე მსესხებლის საქმიანობასთან [6, გვ. 55].

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება საკრედიტო რისკის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები: მსესხებლის რეპუტაცია, სახსრების სესხების შესაძლებლობა, მიმდინარე საქმიანობის პირობებში სესხის დაფარვისთვის სახსრების გამომუშავების შესაძლებლობა, მსესხებლის კაპიტალი, კრედიტის უზრუნველყოფა, საკრედიტო ოპერაციის პირობები და სხვა.

ბანკებს ხშირად არ გააჩნიათ საკრედიტო რისკის მართვის კარგად დამუშავებული პროცედურა. ეს ვლინდება საკრედიტო პორტფელის სისუსტეში და უმოქმედო კრედიტების პორტფელის სიდიდეში, გადახდის უუნარობაში და არალიკვიდურობაში. ბანკს უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია დებიტორთა რისკის კომპლექსური შეფასებისთვის.

საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკა შემდეგ ძირითად ფაქტორებს ითვალისწინებს: სესხის მიზნობრიობა და გადახდის წყარო; დებიტორის რისკის პროფილი და უზრუნველყოფა მიმდინარე თარიღისთვის და მგრძნობელობა საბაზრო პირობების ცვლილებებისადმი; წარსული და მომავალი გადახდისუნარიანობის ანალიზი მოვლენის სხვადასხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში; დებიტორის ბიზნესის მოცულობა, სტაბილურობა და ეკონომიკური სექტორის და მსესხებლის ბიზნესის მდგომარეობა,

ასევე მსესხებლის ადგილი კონკრეტულ სექტორში; კრედიტის პირობები, მათ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს დებიტორის მომავალ რისკთან [3, გვ. 195].

ვინაიდან საკრედიტო ორგანიზაციისთვის საკრედიტო რისკს განსაკუთრებით სახიფათო შედეგები შეიძლება ჰქონდეს, მნიშვნელოვანია რეგულარულად განხორციელდეს შეფასების, ადმინისტრირების, დაკვირვების, კონტროლის, კრედიტის დაბრუნების, გარანტიების და ა.შ. ყოველმხრივი ანალიზი. ამიტომ საკრედიტო რისკების მართვის პროცესი მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის პოლიტიკის და პრაქტიკის შეფასებას და ანალიზს და მის მიერ აუცილებელი ღონისძიებების გატარებას შემდეგი მიმართულებებით: საკრედიტო პორტფელის ერთობლივი რისკის მართვა; დაკრედიტების პროცესის და ოპერაციების ორგანიზების მართვა; უმოქმედო საკრედიტო პორტფელის მართვა; საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის შეფასება; ლიმიტების და საკრედიტო რისკების შეზღუდვის პოლიტიკის შეფასება; აქტივების კლასიფიკაციის და რეკლასიფიკაციის შეფასება; საკრედიტო რისკების მიხედვით შესაძლო დანაკარგების დარეზერვების პოლიტიკის შეფასება [7, გვ. 176-177].

საკრედიტო სისტემის და საბანკო საქმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დაკრედიტების პროცესის ძირითად ნაკლოვანებას მიეკუთვნება მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიური ბაზის და შიგასაბანკო მეთოდიკების ნაკლებობა იმისათვის, რომ განისაზღვროს: კლიენტის მოთხოვნილება დაკრედიტებაში; გარანტების, სპონსორების და თავდებების სახსრებით კრედიტების უზრუნველყოფის ოდენობა; უზრუნველყოფის მოცულობა და ლიკვიდობა; შემოსული ინფორმაციის სიზუსტის ხარისხი; დასაკრედიტებელი გარიგების საწარმოო რისკი; კლიენტის კომერციული რისკი; ფინანსური რისკი; კრედიტის უზრუნველყოფის არალიკვიდურობის რისკი; დაკრედიტების პირობების გადახედვის ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის რისკი; გარიგების ხარისხი.

ბანკის საქმიანობაში არსებით ნეგატიურ მომენტია დაკრედიტების განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის არასათანადო შემუშავება და გატარება, პროცესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, დაკრედიტების და რისკების მართვის ფორმების და მეთოდების, დაკრედიტების პროცესის საინფორმაციო, ანალიტიკური, ტექნიკური, საკადრო უზრუნველყოფის, პასუხისმგებლობის განაწილების, საკრედიტო რისკების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეზღუდვების, დაკრედიტების კორპორატიული კულტურის არასაკმარისი შემუშავება.

საკრედიტო რისკის შემცირების ან თავიდან აცილების საშუალებას იძლევა მსესხებლების სწორი შერჩევა, კრედიტის გაცემის პირობების ანალიზი, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, მისი უნარი და მზადყოფნა დაფაროს კრედიტი, საკრედიტო ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკაში ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების აუცილებელი გათვალისწინება, ყველა ბანკისთვის ერთიანი ნორმატიული ბაზის შექმნა და უზრუნველყოფა. ყველა ამ პირობის შესრულება იძლევა ბანკის უმთავრესი ოპერაციის - კრედიტის გაცემის წარმატების გარანტიას. მას მერე, რაც კრედიტები გაცემულია, ბანკმა უნდა მიიღოს ზომები მისი დაბრუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტებზე მეთვალყურეობა აუცილებელია იმისთვის, რომ ადრეულ სტადიებზე გამოაშკარავდეს იმის ნიშნები, რომ მსესხებელს შეიძლება გაუჩნდეს მნიშვნელოვანი სირთულე კრედიტის დაფარვის რომელიმე ეტაპზე [1, გვ. 89-90].

საკრედიტო რისკები ბანკების გაკოტრების ყველაზე გავრცელებული მიზეზია, რის გამოც მარეგულირებელი ორგანოები აწესებენ სტანდარტებს საკრედიტო რისკების მართვის კუთხით. საერთაშორისო ფინანსური ბაზრების დაცვისთვის ძირითადი სტანდარტები გაწერილია აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებში, რაც მიმართულია საკრედიტო რისკების მართვისადმი ადგილობრივი მიდგომების უნიფიკაციაში. ფინანსური მომსახურების სფეროში ინოვაციების დანერგვის მიუხედავად, საკრედიტო რისკი კვლად რჩება უდიდეს საბანკო პრობლემად.

შეიძლება ითქვას, რომ ბანკების წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანა - საკრედიტო რისკების მინიმიზაციაა. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება საკრედიტო რისკების შეფასების მრავალი მეთოდი, შესაბამისად ანალიტიკოსების წინაშე დგას რთული ამოცანა, რათა განსაზღვრონ, თუ რომელი მეთოდიკაა უკეთესი და როდის არის მიზანშეწონილი მისი გამოყენება საკრედიტო რისკების შეფასებისა და მართვისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდიაშვილი რ. საკრედიტო რისკი და მისი მართვის სირთულეები. ჟურნალი „ეკონომიკა“. თბილისი. 2008. №10, გვ. 89-90.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. თსუ გამომცემლობა, 2014. 548 გვ.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013. 415 გვ.
4. Кричесвкий М.Л. Финансовые риски. М.: КноРус, 2012. 248с.
5. Маренков Н.Л. Антикризисное управление. Контроль и риски коммерческих банков и фирм в России. М.: УРСС, 2002. 360с.
6. Никонов В. Управление рисками. Как больше зарабатывать и меньше терять. М.: Альпина Паблишер, 2009. 288с.
7. Шаталова Е.П. Оценка кредитоспособности в банковском риск-менеджменте. М.: КноРус, 2012. 168с.

Credit Risk Management

M. Chelidze
G. Gelitashvili

Summary

In modern conditions the main problems of the credit risk management process issues credit reporting system of all-round and in-depth, comprehensive methodological base and lack of wrong management decisions under imperfect information.

It is note, that the credit risk include to the most common and dangerous risks, because this is related to the borrower by the bank to face its financial obligations possibility, but bank failures is largely due to the return of loans to borrowers by the Bank and the risk of inconsistent policy in the field.

The problem is particularly doubly acute in local banks, because the portfolio of overdue and doubtful loans rate is much higher in developed countries banks in similar indicators. Therefore, the bank's credit risk management system, which depends on the timely resolution of the Bank's activities and effective functioning of the country's entire banking system is stable, gaining the primary importance.

Keywords: *Bank risk, Credit risk, Credit risk management, Monitoring of risk, Risk minimization.*

საწარმოს გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების შეფასების სადისკუსიო საკითხები

იზოლდა ჭილაძე,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში წარმოდგენილი მეთოდიკა საწარმოს გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასების შესახებ. საკითხს აქტუალურს ხდის ის გარემოება, რომ გრძლვადიანი აქტივების მცდარმა შეფასებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ პროდუქციის ფასებსა და საწარმოთა ფინანსურ სტაბილურობაზე.

სტატიაში გადმოცემულია გრძელვადიანი აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშების მეთოდიკის კრიტიკული განსჯა, რომელიც საწარმოებმა უნდა განსაზღვრონ აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით და გაკეთებულია დასკვნა, რომ წარმოდგენილი მეთოდიკა ზრდის ცდომილების ალბათობას და ეჭვქვეშ აყენებს ინფორმაციის საიმედოობის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: *გრძელვადიანი აქტივები, აქტივების გაუფასურება, გაუფასურების ზარალი, ანაზღაურებადი ღირებულება, დისკონტირებული ღირებულება.*

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში (ბასს) 36 – აქტივების გაუფასურება, გადმოცემულია საწარმოთა გრძელვადიანი აქტივების შესაძლო გაუფასურების ზარალის შეფასების მეთოდიკა. სტანდარტი მოითხოვს რომ საწარმოებმა ყოველწლიურად შეაფასონ ძირითადი საშუალებებისა და განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის არამატერიალური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს [1. გვ. 346].

საკვლევი საკითხების ანალიზის დაწყებამდე საჭიროდ ვთვლით იმ ცნებების განმარტებების წარმოდგენას, რომელთაც ბასს 36 - იყენებს დასმული საკითხების გადაწყვეტის დროს. ესენია:

საბალანსო ღირებულება - თანხა, რომლითაც აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში არის ასახული, დაგროვილი ცვეთის (ამორტიზაციის) და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით.

ცვეთადი ღირებულება - აქტივის თვითღირებულება, ან ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

გაუფასურების ზარალი - თანხა, რომლითაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის **ანაზღაურებად (ანუ აღდგენით) ღირებულებას.**

ანაზღაურებადი ღირებულება - აქტივის ან ფულადი სახსრების წამომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის **გამოყენების ღირებულება** - აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული - აქტივების უმცირესი იდენტიფიცირებადი ჯგუფი, რომელიც წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან (1. გვ. 351-352).

რეალური ღირებულება - ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებყოფლობით განხორციელებული ოპერაციების დროს (4. გვ. 639).

აღრიცხვის სტანდარტები მოითხოვს გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გარდა გუდვილისა) პერიოდულად უნდა გადაფასდეს, ხოლო ტესტირება გაუფასურებაზე ყოველწლიურად უნდა მოხდეს, გუდვილის ჩათვლით [2. გვ. 1112].

წინამდებარე სტატია შეეხება აქტივების მხოლოდ გაუფასურების საკითხებს და არა გადაფასების ოპერაციებს. თუმცა, გადაფასებული აქტივი შემდეგ შეიძლება გაუფასურებული აღმოჩნდეს.

აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ მისი საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად (აღდგენით) ღირებულებაზე მეტია. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ ასეთი არსებობს, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ამასთან, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად შეამოწმოს განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე და ჯერ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და ანაზღაურებადი ღირებულების შედარების გზით.

ამრიგად, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის აღდგენით ღირებულებამდე მხოლოდ იმ შემთვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი (ანუ აღდგენითი) ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

გაუფასურების ზარალის აღიარება, 36-ე სტანდარტის მოთხოვნით, ხარჯის სახით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებული ღირებულებითაა ასახული. მაგალითად, ძირითადი საშუალებების გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს, როგორც გადაფასების თანხის შემცირება. ასევე, უნდა მოხდეს ცვეთის თანხის კორექტირებაც. ერთ წელს აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება მომავალ წელს კომპენსირებულ იქნას. აქტივის შესაძლო გაუფასურების დადგენისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შიგა და გარე ფაქტორები.

შიგა ფაქტორებს მიეკუთვნება: მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის ღირებულების იმაზე მეტად შემცირება, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ჩვეულებრივი გამოყენების შედეგად; მოცემულ ან მომავალ პერიოდში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი; საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ან ინვესტიციებზე უკუგების საბაზრო ნორმები მოცემულ პერიოდში ისე გაიზარდა, რომ გავლენას მოახდენს დისკონტირების განაკვეთზე, რომელიც გამოყენებულ იქნება აქტივის დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშებისას და მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცემული აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას; ასევე, თუ ანგარიშვალდებული საწარმოს ნეტო აქტივების საბალანსო ღირებულება მეტია მის რეალურ ღირებულებაზე.

გაუფასურების შიგა ფაქტორებია: აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშნები; მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენენ აქტივის მიმდინარე ან შემდგომი გამოყენების ხარისხზე; აქტივის გამოყენების მაჩვენებლები მომავალში გაუარესდება თუ არა. კერძოდ, აქტივის შესაძენად ან აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ფულადი სახსრების ოდენობა თუ მნიშვნელოვნად აღემატება გეგმურ თანხებს; ფაქტობრივი წმინდა ფულადი ნაკადი ან საოპერაციო მოგება საგეგმო მაჩვენებელზე გაცილებით უარესია.

აღრიცხვის იგივე სტანდარტი აგრეთვე მოითხოვს გუდვილისა და განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ან ჯერ გამოუყენებადი არამატერიალური აქტივების ყოველწლიურ შემოწმებას გაუფასურებაზე. ამასთან აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების საჭიროების დადგენისთვის გამოყენება არსებითობის პრინციპი. მაგალითად, თუ წინა გამოთვლები მიანიშნებს, რომ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის საბალანსო ღირებულებას (ე.ი. აქტივი არ იყო გაუფასურებული) და შემდგომ პერიოდში ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რაც ამ სურათს შეცვლიდა ან გააბათილებდა, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშება საჭირო აღარაა. საწარმოს, აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება არ მოეთხოვება, თუ დისკონტირების განაკვეთის მნიშნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. თუმცა, რამდენი პუნქტი შეიძება იყოს „მნიშვნელოვანი“, ამის შესახებ სტანდარტში არაფერია მითითებული.

ამრიგად, **აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება** განისაზღვრება აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა (წმინდა რეალური ღირებულებას) და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. მაშასადამე, ანაზღაურებადი ღირებულების შემცირება არასასურველ მოვლენას წარმოადგენს.

სტანდარტში მითითებულია, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი განისაზღვროს ორივე სიდიდე: წმინდა რეალური ღირებულება და გამოყენების ღირებულება. თუ ერთ-ერთი მათგანი მეტია მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივი არ არის გაუფასურებული და აღარ არსებობს მეორე სიდიდის შეფასების აუცილებლობა.

სტანდარტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ აქტივის წმინდა რეალური ღირებულება განისაზღვროს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს იდენტური აქტივის აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი. თუმცა, ზოგჯერ შეუძლებელია ამ სიდიდის განსაზღვრა, რადგან არ არსებობს საფუძველი იმ ფასის საიმედოდ შეფასებისთვის, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვა ბაზრის მონაწილეებს შორის, ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციების საბაზრო პირობებში. ასეთ შემთხვევაში, აქტივის გამოყენების ღირებულება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებად.

მეორე მხრივ, თუ არ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ აქტივის გამოყენების ღირებულება, მნიშვნელოვნად აღემატება მის წმინდა რეალურ ღირებულებას, ეს უკანასკნელი შესაძლოა, მიჩნეულ იქნას აქტივის ანაზღაურებად ღირებულებად.

ამრიგად, გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით, საწარმოში გამოანგარიშებულ უნდა იქნას აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რომლის დასადგენად, თავის მხრივ, საჭიროა ამ აქტივის გამოყენების ანუ დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა.

ამა თუ იმ სახის აქტივის ან აქტივების ჯგუფის გამოყენების ანუ დისკონტირებული ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება შემდეგი ელემენტები:

- აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შეფასების პროგნოზები, მინიმუმ მომავალი ხუთი წლისათვის;
- მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შესაძლო ცვლილებების სავარაუდო შედეგები (მათემატიკური ლოდინები), დისკონტირების კოეფიციენტის კორექტირებით;
- ფულის დროითი ღირებულება, პროცენტის ურისკო მიმდინარე საბაზრო განაკვეთზე დაყრდნობით, დისკონტირების კოეფიციენტის კორექტირებით;
- აქტივთან დაკავშირებული თანდაყოლილი განუსაზღვრელობის არსებობის თანხობრივი გამოხატულება (ღირებლება, ფასი);
- სხვა ფაქტორები, მაგალითად: ლიკვიდობა, რომლებსაც ბაზრის მონაწილენი გაითვალისწინებდნენ აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას. (1. გვ.357).

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და მისი გასვლის შედეგად მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასება;

ბ) მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება.

ჩამოთვლილი ყველა ელემენტი შეიცავს შეფასებებში გარდაუვალი ცდომილებების და პირობითობის შესაძლებლობების მნიშვნელოვან ასპექტებს.

სტანდარტი მოითხოვს, რომ აქტივის გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას: ფულადი სახსრების შეფასება უნდა ეფუძნებოდეს „გონივრულ“ და დასაბუთებულ დაშვებებს, რომლებიც მოცემული აქტივის დარჩენილი სასარგებლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ეკონომიკური ვითარების საუკეთესო შეფასებას უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ახსნილი არაა რომელ საზღვრებში არსებობს „გონივრულობა“.

საწარმოს ხელმძღვანელობა უნდა დაეყრდნოს ბოლო პერიოდის ფინანსურ ბიუჯეტებს/პროგნოზებს, მაგრამ გამორიცხული უნდა იყოს წინასწარშეფასებული ის ფულადი ნაკადები, რომელიც მოსალოდნელია მომავალი რესტრუქტურიზაციის შედეგად, რომლის შესახებაც საწარმოს ჯერ არ მიუღია მტკიცე გადაწყვეტილება და მომავალი კაპიტალური დანახარჯებიდან, რომელიც გააუმჯობესებს ან გაზრდის აქტივის მწარმოებლურობას. მომავალი ფულადი ნაკადები აგრეთვე არ უნდა მოიცავდეს ფულის შემოსვლას ან გასვლას ფინანსური საქმიანობიდან და გადახდილი მოგების გადასახადს.

ფულადი ნაკადების პროგონოზირების დროს ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს მოცემული პროდუქციის, დარგის, იმ ქვეყნის ან ქვეყნების საშუალო ზრდის ტემპს, სადაც საწარმო საქმიანობას ეწევა, ან იმ ბაზრის გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს, სადაც ხდება აქტივის მოხმარება, თუ გამართლებული არაა უფრო მაღალი ტემპის გამოყენება.

ფულადი ნაკადების შეფასება, 36-ე სტანდარტში მოცემული მეტოდიკით, აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს იმ ფულადი სახსრების გასვლის პროგნოზს, რომელთა გასვლა აუცილებელია მოცემული აქტივის უწყვეტი გამოყენების შედეგად ფულადი ნაკადების შემოსვლისათვის (მათ შორის, აქტივის საექსპლოატაციო მოქმედებში მოყვანისათვის საჭირო ფულადი სახსრები). აგრეთვე, ფულის მოსალოდნელი შემოსვლა ან გასვლა აქტივის ექსპლოატაციიდან გასვლისას.

ხელმძღვანელობამ ასევე, უნდა შეაფასოს ფულადი ნაკადების პროგნოზის დროს გაკეთებული დაშვებების მართლზომიერება, გასული პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზირებულ და ფაქტობრივ ნაკადებს შორის განსხვავებების მიზეზების გამოკვლევის საფუძველზე. ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ფულადი ნაკადების მიმდინარე პროგნოზი გასული პერიოდების ფაქტობრივი ტენდენციის თანმიმდევრულია, იმ პირობით, რომ შემდგომი მოვლენები ან პირობები ასეთ მიდგომას შეესაბამება. პროგნოზული ზრდის ტემპები შეიძლება იყოს აღმავალი, დაღმავალი ან ნულოვანი. მომავალი ფულადი ნაკადები კი იმ უცხოური ვალუტით ფასდება, რომელშიც მათი წარმოქმნა მოხდება. დისკონტირება ხდება მოცემული ვალუტის შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით. მიღებული მიმდინარე ღირებულება გადაყვანილ იქნება ეროვნულ ვალუტაში იმ თარიღისთვის არსებული კურსით.

ჩამოთვლილი პროცედურების ანალიზის ლოგიკური და პროფესიული განსჯის გამოყენებით, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ **წარმოდგენილი მეთოდიკით აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასება მნიშვნელოვნად არარეალური და არასაიმედო იქნება.** ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ხშირად, შეუძლებელია გრძელვადიანი აქტივის რომელიმე ერთეულის ან ჯგუფის გამოყოფა, რომლის მიხედვითაც ფულადი შემოსავლები დანარჩენი აქტივებისგან დამოუკიდებლად მიიღება;

მეორე, ფაქტობრივი შედეგები თითქმის არასოდეს ემთხვევა პროგნოზებს ერთი წლის შიგნითაც

კი, არა თუ რამდენიმეწლიანი პერიოდისთვის. ამ მომენტს, როგორც ჩანს მოცემული მეთოდიკის ავტორები გრძნობენ, მაგრამ იღებენ კიდევ უფრო საალბათო გადაწყვეტილებას. კერძოდ, პროგნოზების შესაძლო ცვლილებების შეფასებისთვის, გამოყენებულ იქნას „მათემატიკური ლოდინების“ კოეფიციენტები. როგორც წესი, მათემატიკური ლოდინი არის სავარაუდო (მოსალოდნელი) შედეგების ნამრავლი მისი მოხდენის ალბათობის კოეფიციენტზე. ალბათობის კოეფიციენტების განსაზღვრა კი პირდაპირ დამოკიდებულია ხელმძღვანელობის პროფესიულ დონეს, ალღოსა და ინტუიციაზე. მაშასადამე, აქ სუბიექტური ფაქტორები კიდევ უფრო ძლიერია. ამდენად მომავალი ხუთი წლის ფულადი ნაკადების პროგნოზული სიდიდეები რეალობისგან შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს;

მესამე, დისკონტირების კოეფიციენტის შერჩევა მომავალი ხუთი წლისთვის, ასევე მეტად პრობლემატურია. ფულის ღირებულების დისკონტირების კოეფიციენტები ბანკთაშორის ბირჟაზე ერთი თვის შიგნითაც მერყეობს და მისი ხუთწლიანი პროგნოზირება იმ მიზნით, რომ მიმდინარე წლისთვის აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასებაში სასარგებლო იყოს, სრულიად არამეცნიერული და არარეალურია.

მეოთხე, სხვადასხვა საწარმოს მენეჯმენტმა ან შემფასებელმა, რომელსაც საწარმო დაიქირავებს, ადვილად შესაძლებელია დისკონიტირების კოეფიცენტები ერთსა და იმავე ვითარებაში, საკუთარი შეხედულების შესაბამისად განსხვავებულად შეარჩიოს. მაშასადამე, შედეგები არაშესადარისი იქნება.

დავუშვათ, გრძელვადიანი აქტივის გამოყენებიდან ყოველწლიურად მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზული სიდიდე მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 20000 ლარია. აქტივის საბალანსო ღირებულება კი 75000 ლარს შეადგენს. დისკონტირების სხვადასხვა სარპოცენტო განაკვეთისთვის აქტივის დისკონტირებული ღირებულება შემდეგნაირად გამოითვლება (იხ.ცხრილი).

გრძელვადიანი აქტივის გამოყენების (დისკონტირებული) ღირებულების გაანგარიშება

წლები	პროგნოზული ფულადი ნაკადი (ლ)	დისკონტირება 10%-ზე		დისკონტირება 15%-ზე		დისკონტირება 20%-ზე	
		დისკონტირების კოეფიციენტი	დისკონტირებული ღირებულ.	დისკონტირების კოეფიციენტი	დისკონტირებული ღირებ.	დისკონტირების კოეფიციენტი	დისკონტირებული ღირებ.
ა	1	2	3	4	5	6	7
2011	20 000	0,9091	18 182	0,8696	17 392	0,8333	16 666
2012	20 000	0,8264	16 528	0,7561	15 122	0.6944	13 888
2013	20 000	0,7513	15 026	0,6575	13 150	0,5787	11 574
2014	20 000	0,6830	13 670	0,5718	11 436	0,4823	9 646
2015	20 000	0,6209	12 418	0,4972	9 944	0,4019	8 038
გამოყენების ღირებულება	-	-	75 824	-	67 044	-	59 812
საბალანსო ღირებულ.	75 000	-	75 000	-	75 000	-	75 000
გაუფასურების ზარალი			-		7 956		15 188

ცხრილიდან ჩანს, რომ გრძელვადიანი აქტივის გამოყენების ღირებულება დისკონტირების სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთის მიხედვით შეცვლილია. თვით დისკონტირების კოეფიციენტი ფულის დროითი ღირებულების ცვლილებას ასახავს და არა საწარმოს გრძევადიანი აქტივის სიმძლავრის დონეს. ამდენად, ასეთი მეთოდიკის გამოყენებით, აქტივის გამოყენების ღირებულება შეიცვალა საწარმოზე დამოუკიდებელი ფაქტორების ზეგავლენით, რადგან, დისკონტირების კოეფიციენტის დონე საწარმოს საქმიანობის ხარისთან დაკავშირებული არაა.

მოტანილ მაგალითზე თუ დავუშვებთ, რომ გამოყენების ღირებულება უდიდესია აქტივის წმინდა რეალურ ფასთან შედარებით, მაშინ აქტივი გაუფასურებულად ჩაითვლება დისკონტირების 15% და 20% განაკვეთიების დროს. დისკონტირების განაკვეთის შერჩევა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, სუბიექტური მიდგომებით გამოწვეული ცდომილების ალბათობის საფრთხეს შეიცავს. ამასთან ერთად, ფულადი ნაკადების პროგნოზების შესაძლო ცვლილებების მათემატიკური ლოდინის (ალბათობის) კოეფიციენტების გამოყენება კიდევ უფრო გაზრდის გამოთვლის სიმძიმეს და პირობითობას.

ამდენად, აღრიცხვის 36-ე სტანდარატში მოცემული მეთოდიკის საფუძველზე გამოთვლილი აქტივების გაუფასურების შეფასების შედეგები ნაკლებად საიმედოა. ბუღალტრული აღრისცხვის სხვა სტანადარტებით, დაუშვებელია ისეთი ხარჯების აღრიცხვა, რომლის საიმედოდ შეფასება შეუძლებლია. აქედან გამომდინარე, 36-ე სტანდარტის მიერ დადგენილი მეთოდიკა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასების შესახებ, ეწინააღმედეგება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებით აღიარებულ მოთხოვნებს, რომ აღრიცხვის ინფორმაცია სასარგებლო და საიმედო უნდა იყოს რათა უზრუნველყოფილ იქნას სწორი გადაწყვეტილებების მიღება [5.გვ. 83].

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის 36-ე საერთაშორისო სტანდარტის („აქტივების გაუფასურება“) მიერ აღიარებულ მეთოდიკას საწარმოს გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასების შესახებ, გააჩნია შემდეგი არასასურველი მხარეები: მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშების დროს გამოყენებული მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზი ნაკლებად რეალურია; შეფასების შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დისკონტირების საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, რომელიც დიდი მერყეობით ხასიათდება; დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება კიდევ უფრო მძიმდება უცხოურ ვალუტაში მისაღები ფულადი ნაკადების მიხედვით; სტანდარტში დასაბუთებული არაა რითი უნდა ხელმძღვანელობდეს საწარმოს მენჯმენტი დისკონტირების საპროცენტო განაკვეთის შერჩევის დროს; წარმოდგენილ მეთოდიკას შეფასებების დროს ახასაითებს დიდი პირობითობა, აძლიერებს სუბიექტური მიდგომების ზეგავლენას და არასტაბილურობის ხარისხს; გაუფასურების ზარალის გამოთვლა ხდება გრძელვადიანი აქტივის მიერ დამზადებული პროდუქციის გაყიდვებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, მაშინ, როდესაც მზა პროდუქციის დამზადება მხოლოდ გრძელვადანი აქტივების მონაწილეობით არ ხდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვა გაუმართლებლად მიგვაჩნია. გაუფასურების შეფასების მოცემული მეთოდიკა შესაძლებელა გამოყენებულ იქნეს მენეჯმენტის მიერ მხოლოდ საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასს 36, აქტივების გაუფასურება, ფასს 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ნაწილი მესამე, თარგამანი ინგლისურიდან, თბ. ბაფ 2015. გვ: 341-492.
2. ბასს 16, ძირითადი საშუალებები, ფასს 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ნაწილი პირველი, თარგამანი ინგლისურიდან, თბ. ბაფ 2015. გვ. 1101-1131.
3. ბასს 18, ამონაგები, ფასს 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ნაწილი პირველი, თარგამანი ინგლისურიდან, თბ. ბაფ 2015, გვ.1159-1176.
4. ფასს 13, რეალური ღირებულების შეფასება, ფასს 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ნაწილი პირველი, თარგამანი ინგლისურიდან, თბ. ბაფ 2015. გვ: 546-670.
5. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. ფასს 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ნაწილი პირველი, თარგამანი ინგლისურიდან, თბ. ბაფ 2015. გვ: 19-70.

Discussion Aspects of Entity's Long-term Assets Impairment Loss Evaluation

I. Chiladze

Summary

In the Article is considered the methods described in IAS 36 – Impairment of Assets, that an entity`s assets are not carried at more than their recoverable amount. With the exception of goodwill and certain intangible assets for which an annual impairment test is required, entities are required to conduct impairment tests where there is an indication of impairment loss of an asset, and the test may be conducted for a` cash-generating unit` where an asset does not generate cash inflows that are largely independent f those from other assets.

By author's opinion the results of this methods are not reliable and assets impairment loss accounting is unwarrantable.

Key words: *long-term assets, impairment of assets, an impairment loss, the recoverable amount, discounted cost.*

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამები და მათი ეფექტიანობა

ეთერ ხარაიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო საღარეიშვილი,
თსუ-ის დოქტორანტი

ნაშრომში შეფასებულია საერთაშორისო ვაჭრობის როლი ქვეყნების განვითარებაში. ამ თვალსაზრისით განხილულია ორი ალტერნატიული სტრატეგია: 1. ექსპორტის სტიმულირება; 2. იმპორტის ჩანაცვლება.

სტატიაში გაანალიზებულია ექსპორტის სტიმულირების პროგრამები, შეფასებულია ამ პროგრამების დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმპორტის ჩანაცვლება განხილულია როგორც სახელმწიფოს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის ჩანაცვლებას ადგილობრივი წარმოების ზრდით. ადგილობრივი წარმოების ზრდა და ექსპორტის სტიმულირება შეფასებულია როგორც დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები, რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია ექსპორტის სტიმულირების პროგრამების ეფექტიანი გამოყენების გზები.

საკვანძო სიტყვები: *აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი, ექსპორტის სტიმულირება, იმპორტის ჩანაცვლება, სტიმულირების პროგრამების ეფექტიანობა.*

თანამედროვე მსოფლიოში ზოგიერთი ქვეყანა უფრო განვითარებულია, ვიდრე დანარჩენები. ქვეყნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობა. ამ კონტექსტით შესაძლებელია ორი ალტერნატიული სტრატეგიის განხილვა: 1. ექსპორტის სტიმულირება; 2. იმპორტის ჩანაცვლება [1, გვ. 1]. ამ ორი სტრატეგიიდან ქვეყნები ერთ-ერთზე უფრო მეტად კონცენტრირდებიან, თუმცა, შესაძლოა მათი ერთდროულად გამოყენებაც [2, გვ. 1].

ექსპორტის სტიმულირება, უპირველესად, ექსპორტის გაზრდის წახალისებას გულისხმობს. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ექსპორტის სტიმულირების ერთ-ერთი დადებითი მხარე არის ის, რომ იგი განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ სარგებელი მასშტაბის ეკონომიიდან [3]. იმპორტის ჩანაცვლება კი არის სახელმწიფოს სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის ჩანაცვლებას ადგილობრივი წარმოების ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში, იმპორტის ჩანაცვლება განიხილება როგორც ადგილობრივი წარმოების ზრდა ადგილობრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და არა საექსპორტო ბაზრების ასათვისებლად [4, გვ.1604-1617].

იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია ქვეყნისთვის სარგებლის მომტანია მხოლოდ გარკვეულ დრომდე. ადგილობრივი წარმოების შესაბამის დონემდე მიღწევის შემდეგ ვეღარ ხერხდება იმპორტის ჩანაცვლება [5, გვ. 4].

ექსპორტის სტიმულირებას ასეთი შეზღუდვა არ აქვს. თუმცა, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც ექსპორტის სტიმულირებას ეხება არის ის, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის რთულია საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ადგილობრივი წარმოება არ არის საკმარისად განვითარებული და ქვეყანაში აგროსასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ძირითადად იმპორტული პროდუქტებით ხდება [6, გვ.20].

რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელი სტრატეგია იქნება ქვეყნისთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანი, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობა საწყის ეტაპზე ყურადღებას ადგილობრივი წარმოების ზრდაზე ამახვილებს, რაც შემდგომ ეტაპზე ხელს უწყობს ექსპორტის ზრდას. ამით იცვლება ქვეყნის სავაჭრო ბალანსი და აღნიშნული დადებითად აისახება ეკონომიკურ განვითარებაზე.

კვლევის მიზანია საქართველოს აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის შეფასების საფუძველზე ექსპორტის სტიმულირების პროგრამების გავლენის დადგენა ადგილობრივი წარმოების ზრდის შესაძლებლობებზე.

კვლევის მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის კომპლექსური მეთოდები, ძირითადად სამაგიდე და თვისებრივ კვლევა. „სამაგიდე კვლევის“ მეთოდით განხორციელდა მეორადი მონაცემების მოპოვება, დახარისხება და ანალიზი. ფაქტობრივი მდგომარეობის შესაფასებლად დავეყრდენით თვისებრივი კვლევის მეთოდს - ჩაღრმავებულ ინტერვიუებს.

კვლევამ მოიცვა შემდეგი ეტაპები: 1. მოხდა აგროსასურსათო სექტორში მომუშავე და ამ დარგის გამოცდილი ექსპერტების შერჩევა, მათთან ჩატარდა ინტერვიუები შესაბამისი კითხვარის გამოყენებით. 2. განხორციელდა ინფორმაციის დაჯგუფება და გადამუშავება. 3. მოხდა აგროსასურსათო პროდუქტებისთვის ექსპორტის სტიმულირების პროგრამების შერჩევა და შეფასება. 4. გაანალიზდა ექსპერტების გამოთქმული მოლოდინები და რეალური სურათი. ჩატარდა შედარებითი ანალიზი. 5. შეფასდა ექსპორტის ზრდის პოზიტიური გავლენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დღეს საქართველოს მკვეთრად გამოხატული უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, მათ შორის აგროსასურსათო პროდუქტებზეც. ადგილობრივი წარმოების ზრდა და ექსპორტის სტიმულირება დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იქნება [7]. საქართველოში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების ანალიზი 2013-2015 წლებში გვიჩვენებს, რომ იმპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს და აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია თვეების მიხედვით დინამიკაში (იხ. დიაგრამა 1), [8, გვ.3].



დიაგრამა 1. ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 2013-2015წლებში თვეების მიხედვით (მლნ დოლარი)

აგროსასურსათო სექტორი საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 9.2%-ია [9, გვ.3], რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სექტორში დადებითი სავაჭრო ბალანსის შექმნა სარგებელს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას.

2015 წლის მონაცემებით საქართველოში საექსპორტო პროდუქტების ათეული მოცემულია დიაგრამაზე 2 (იხ. დიაგრამა 2), [10, გვ.7].



დიაგრამა 2. უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტის ათეული, 2015 (%)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, აგროსასურსათო პროდუქტებიდან მთავარ საექსპორტო პროდუქტებში მხოლოდ ღვინოა წარმოდგენილი. თუმცა, თუ მოხდება სხვა აგროსასურსათო პროდუქტების სა-

ექსპორტო პოტენციალის შეფასება და ამოქმედდება შესაბამისი სტიმულირების პროგრამები, მნიშვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი პროდუქტების წარმოება [11, გვ. 174].

ბოლო პერიოდში საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ მკვეთრად შემცირდა ავტომობილების რეექსპორტი, ხოლო 2015 წელს პრობლემები შეექმნა ფეროშენადნობ პროდუქტებსაც. ასეთი ცვლილები აისახა საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციის მაჩვენებელშიდაც (იხ. დიაგრამა 3), [12].



დიაგრამა 3. საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციის ხარისხი

2013 წლიდან მსხვილი საექსპორტო პროდუქტების შეფარდებითი მნიშვნელობა შემცირდა, შედეგად ექსპორტი გახდა უფრო დივერსიფიცირებული. ამასთან, შემცირება უმეტესად შეეხო ძირითად საექსპორტო პროდუქტებს (ავტომობილები, ფეროშენადნობი, ღვინო და სხვა). საექსპორტო პროდუქტების დივერსიფიკაციის ხარისხის ზრდის პარალელურად დივერსიფიცირებული გახდა საექსპორტო ბაზრებიც, ეს ძირითადად გამოწვეული იყო დსთ-ის სივრცის ბაზრებზე ექსპორტის მკვეთრი შემცირებით და ასევე ევროკავშირის და სხვა მიმართულებით ექსპორტის გააქტიურებით [12].

ექსპორტის დივერსიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს საექსპორტო ბაზრების ათვისებით, მათ შორის ევროკავშირის ბაზარზე. ექსპორტის დივერსიფიკაცია შესაფასებელია საქართველოს გეოგრაფიული ორიენტაციის თვალსაზრისითაც. მხედველობაში გვაქვს ექსპორტის გაზრდა იმ ბაზრებზე, სადაც მეტი ეკონომიკური შესაძლებლობებია. დღეს ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტი მცირე რაოდენობით ხდება. ამიტომ ქვეყანამ უნდა იზრუნოს დივერსიფიკაციის ზრდაზე პროდუქტისა და ბაზრის ნომენკლატურის გამრავალფეროვნებაზე [11, გვ. 166].

ექსპორტის ზრდა განვითარებად ქვეყნებს ადგილობრივი ბაზრის შეზღუდული შესაძლებლობების დაძლევის საშუალებას აძლევს, ამასთან აღნიშნული პროცესი პროდუქტიულობის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს. ამ მიზნების მისაღწევად სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიყენება, მათგან მნიშვნელოვანია: ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკა; სავაჭრო ბარიერების მოხსნა; გაცვლითი კურსების ეფექტიანი მართვა; ექსპორტის დაკრედიტება; ექსპორტის დაზღვევა; სპეციალური ფინანსური სერვისების შეთავაზება და სხვა [13].

საქართველოში ექსპორტის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია ექსპორტის სუბსიდირების პროგრამის განხორციელება, რაც გულისხმობს ადგილობრივი წარმოების ზრდის მხარდაჭერას. თავის მხრივ, ადგილობრივი წარმოების ზრდა დაკავშირებულია ექსპორტის ზრდასთან. თუმცა, ამ მხრივ, ბაზარზე ასიმეტრიული ინფორმაცია არსებობს. აღნიშნულის გამო შეზღუდულია უცხოელი და ადგილობრივი მწარმოებლების დაინტერესება ქართული აგროსასურსათო პროდუქტებით. როგორც „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ში არის აღნიშნული, საქართველოს მიერ ექსპორტის სტიმულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს შორის საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება პრიორიტეტული საკითხია [14].

ექსპორტის სტიმულირების ერთ-ერთი მთავარ საშუალებად სავაჭრო ბარიერების მოხსნა განიხილება. განვითარებადი, დაბალშემოსავლიანი ქვეყნები ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ ევროკავშირის პროტექციონისტული პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში ხელს უშლის მათი ექსპორტის ზრდას. თუმცა, სინამდვილეში, განვითარებადი ქვეყენებისთვის მთავარი ხელისშემშლელია არა სავაჭრო ბარიერები, არამედ მათი არასაკმარისი უნარი დაიცვან სტანდარტები და პროდუქტის ხარისხი [12].

ექსპორტის სტიმულირების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება იყოს გაცვლითი კურსის მერყეობა. საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი ხშირ მერყეობას განიცდის, რაც პირდაპირ აისახება ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ფასებზე. მნიშვნელოვანია, რომ აგროსასურსათო

პროდუქტების ფასებმა კონკურენცია გაუწიოს იმპორტული წარმოების პროდუქტის ფასებს და იგი სტაბილური გახდეს საერთაშორისო ბაზარზე.

ექსპორტის სტიმულირების პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ ექსპორტის დაკრედიტება და დაზღვევა. თუმცა, საქართველოში ამ სახეობების სერვისები ნაკლებად არის განვითარებული და შესაბამისად შეფერხებულია ექსპორტის სტიმულირების პროგრამების ეფექტიანი განხორციელება. დასკვნის სახით აღვნიშნავთ შემდეგს:

- საერთაშორისო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წილი საკმაოდ მცირეა და ნაკლებად კონკურენტული;
- ადგილობრივი წარმოების ზრდისთვის არასაკმარისად არის გამოყენებული რესურსული პოტენციალი;
- შეუსწავლელია ექსპორტის სტიმულირების პროგრამების სახეობები და განხორციელების ეტაპები;
- შეფასებული არ არის ექსპორტის სტიმულირების პროგრამების ეფექტიანობა.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის გაზრდა და ადგილობრივი წარმოების ზრდის წახალისება აუცილებელია დასაბუთებული, ეფექტიანი სტიმულირების პროგრამების განხორციელებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pahariya N. C. Import Substitution and Export Promotion as Development Strategies. Briefing paper. 25 Years CUTS International. 2008.
2. Neumann, Stefan. Supervisor: Dr. Thomas Fetzer. Import Substitution Industrialization and Its Conditionalities for Economic Development – a Comparative analysis of Brazil and South Korea. Submitted to Central European University. 2013.
3. Business Dictionary. http://www.businessdictionary.com/definition/import-substitution.html
4. Bruton, Henry. 1989. Import Substitution. Chapter 30. Williams College. pp.1602-1641
5. Hirschman, O. Albert.. The Political Economy of Import-Substituting Industrialization in Latin America. The Quarterly Journal of Economics. Vol. 82, No. 1 (Feb., 1968), 2009.
6. International Trade centre. Export Promotion and WTO. A brief guide. Geveva. 2009. pp.1-50.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. წლიური ანგარიში 2014. თბილისი 2014.
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015 წლის იანვარი-მარტი. 2015.
9. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წელს. 2016.
10. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015 წლის იანვარი. 2015.
11. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
12. https://idfi.ge/ge/problems-of-georgia-export
13. Belloc, M. Di Maio, M. 2011. “Survey of the Literature on the successful strategies and practices for export promotion by developing countries ” International Growth Centre, Working Paper.
14. „საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“.

Export Promotion Programs of Georgian Agricultural Products and their Effectivness

E. Kharaishvili

N. Sagareishvili

Summary

The role of international trade in countries’ development is estimated in the paper. In this context, there are discussed two alternative strategies: 1.Export promotion; 2.Import Substitution.

The paper analyzes export promotion programs and estimates its advantages and disadvantages. Import substitution is discussed as a government strategy, which takes into account import substitution of agricultural products with increasing amount of domestic production.Increasing amount of domestic production and export promotion are evaluated as the opportunity of getting positive trade balance.

Based on the conclusions given in the paper, effective ways of using export promotion programs are implemented.

Key words: *Export of Agricultural Products, Export Promotion, Import Substitution, Effectiveness of Promotion Programs.*

ფინანსური კრიზისების ფორმირება და მსოფლიოს ეკონომიკაზე მისი გავლენის ზოგიერთი საკითხი

მედეა ხარაიშვილი,
თსუ-ის დოქტორანტი

მსოფლიო ფინანსური კრიზისები, ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს აქტიურ განხილვის თემას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კრიზისებს ახასიათებს განმეორებადობა. თუ თვალს გადავავლებთ წარსულ გამოცდილებას, ნათლად დავინახავთ, რომ ყველაზე გლობალური კრიზისიდან, რომელიც ცნობილია ,,დიდი დეპრესიის“ სახელწოდებით, 1929 წლიდან დაწყებული 2008 წლის ჩათვლით, გარკვეული ინტერვალით თავს იჩენდა ხოლმე სხვადასხვა სახით ფინანსური, ეკონომიკური კრიზისები, რომელიც შემდგომ გლობალურ სახეს იღებდა.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური კრიზისი, გლობალური დისბალანსი, ფინანსური სისტემა, დანახარჯების გაზრდა, გადასახადების დარეგულირება.*

ეკონომიკური კრიზისი არის ეკონომიკური ციკლის შემადგენელი. ის წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელ თვისებას და შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელ ატრიბუტსაც, ვინაიდან მას ზოგჯერ პოზიტიური ეფექტებიც აქვს. იგი ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური გაჯანსაღების, ინოვაციური პროცესების აუცილებელი დაჩქარების, მაკროეკონომიკური მართვის ახალი მეთოდების შემუშავების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და სამუშაო ადგილების შექმნის საბიუჯეტო სტიმულირების, მართვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავების, თავისუფალი ფასწარმოქმნისა და კონკურენციის ხელშემწყობი პირობაა.

მსოფლიო ეკონომიკისთვის პირველი მნიშვნელოვანი გაკვეთილი იყო XX საუკუნის 30-ანი წლების ეკონომიკური კრიზისი. როგორც წესი, მსხვილი ეკონომიკური მასშტაბის მქონე განვითარებული ქვეყნები ამ მოვლენით უფრო ზარალდებოდნენ, ვიდრე - განვითარებადი ტემპის მქონენი. იმ დროისათვის აშშ წარმოადგენდა ეკონომიკურად წამყვან, განვითარებულ ქვეყანს და კრიზისმაც თავი მისი ეკონომიკის წიაღიდან იჩინა. ამის მიზეზად მიჩნეულია დაბალი მყიდველობითუნარიანობის გამო, წარმოებულ პროდუქციაზე, მოთხოვნის მნიშვნელოვანი ვარდნა, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით საქონლის გაუსაღებლობა. ამას მოჰყვა დიდი სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო კომპანიებისა და მსხვილი საბანკო სტრუქტურის მასობრივი გაკოტრება.

მსგავსი მასშტაბით არა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მსოფლიო ეკონომიკაზე სხვადასხვა სახის კრიზისები. თუმცა, 1929-1930 წლების ,,დიდი დეპრესის“ შემდეგ, 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი იყო ყველაზე მძიმე კრიზისი მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში [1, გვ. 1]. მსოფლიოს ბევრი ცნობილი ფინანსური ინსტიტუტი აღმოჩნდა კრიზისის მსხვერპლი, ხოლო არაერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ცენტრი დაზარალდა ისე, როგორც არასდროს. კრიზისის დასაწყისი დაკავშირებული იყო აშშ-ს უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. სუბსტანდარტული იპოთეკური დაკრედიტების კრიზისთან, რომელიც 2007 წლის ზაფხულის შემდეგ გავრცელდა რიგ სხვა ეკონომიკაზე, სუბსტანდარტულ აქტივებზე პირდაპირი დამოკიდებულების, აქტივების გარკვეული კლასის მიმართ ნდობის დაკარგვისა და ფინანსურ ბაზარზე ლიკვიდურობის ამოწურვის გამო, რასაც ამ ქვეყნებში ხელი შეუწყო ადგილობრივი ფინანსური დისბალანსის არსებობამ.

დღეისთვის ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის კონსესუსი იმის თაობაზე, თუ რა იყო გლობალური დისბალანსის წარმოშობის მიზეზი. თითქმის ყველა ავტორი თანხმდება, რომ იყო მნიშვნელოვანი პრობლემები რეგულირებასა და ზედამხედველობის სფეროში (ამჟამად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა ხდება სწორად ამ მხრივ - საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მესამე შეთანხმება. კაპიტალის ადეკვატურობის, სტრეს-ტესტირებისა და საბაზრო ლიკვიდურობის რისკების შესახებ შემუშავდა გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ამოსაფხვრელად). მეორე მხრივ, რაც შეეხება კრიზისის გამომწვევ მიზეზებს, ორი ძირითადი მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი.

- პირველი ინტერპრეტაცია არის ის, რომ 2001 წლიდან მოყოლებული ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ გატარებული შერბილებული მონეტარული პოლიტიკა იყო კრიზისის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორი;

- მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით, გლობალური ფინანსური დისბალანსი და მასთან დაკავშირებული კაპიტალის ნაკადების ინტენსივობის ზრდა იყო კრიზისის გამომწვევი მიზეზი და ამასთან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელების მნიშვნელოვანი ფაქტორი [2,გვ. 1].

ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ კრზისის სწრაფი და მწვავე გავრცელება ზემოხსენებული ორივე მიზეზის ერთობლივი შედეგია. თუმცა, პრაქტიკულად ზუსტად არცერთი კვლევა არ შეისწავლის ამ ფაქტორების წვლილს კრიზისის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ არსებული მონაცემები და კვლევის შედეგები გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიცაა.

ერთი შეხედვით, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, თითქმის ყველასთვის მოულოდნელი მოვლენა იყო. მოულოდნელობის ეფექტის მიუხედავად, ამ პერიოდში დაწყებული ეკონომიკური რყევები, სიღრმისეული მიზეზებით იყო გამოწვეული. კრიზისი, დიდი ხნის მანძილზე მწიფდებოდა და მას შემდეგ აფეთქდა, როდესაც უდიდესმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა ჩამოშლა დაიწყეს. სწორედ აქ გამოჩნდა გლობალიზაციის არსებული ხარისხი. პლანეტის ერთ ნახევარსფეროში დაწყებული ძვრები, მყისიერად აისახა მთელ ფინანსურ სისტემაზე.

მსოფლიოში ყველაზე მძიმე კრიზისს საფუძველი ჩაეყარა 1929 წელს და გაგრძელდა დაახლოებით ათი წლის განმავლობაში. კრიზისმა სათავე აიღო აშშ - ში და შემდგომ მოიცვა მრავალი ქვეყანა: ავსტრალია, კანადა, ჩილე, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ლათინური ამერიკის ქვეყნები, ნიდერლანდები, პორტუგალია, სამხრეთი აფრიკა, რუსეთი (საბჭოთა კავშირი), ესპანეთი, შვედეთი, ფინეთი, გაერთიანებული სამეფო და რათქმა უნდა, დიდი გავლენა ამ კრიზისმა იქონია აშშ -ზე.

1929 წლის ეკონომიკური დაღმასვლა დაიწყო 24 ოქტომბერს, როცა საფონდო ბაზარზე მოხდა მდგომარეობის გაუარესება და უკვე 29 ოქტომბერს, რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა როგორც შავი სამშაბათი, მაშინ როცა გაყიდულ იქნა 16,4 მლნ აქცია, ამას მოყვა ფასების დაცემა აქციებზე, ხოლო მოქალაქეებს, რომლებსაც ეს აქციები კრედიტებით ჰქონდათ ნაყიდი, აღმოჩნდნენ მილიონიან ვალებში. უკვე ნოემბრის შუა რიცხვებში ინვესტორებმა დაკარგეს 30 მლრ დოლარი. ამ ფინანსურმა კრიზისმა მილიონობით ადამიანი დააპანიკა. მათ საბანკო ანგარიშებიდან მოხსნეს თანხები, ხოლო ბანკებს, რომელთაც ინვესტიციები საფონდო ბაზარზე ჰქონდათ გაკეთებული, აღმოჩნდნენ დიდი პრობლემის წინაშე. მათ ფული ამ პერიოდში აღარ გააჩნდათ და უკვე 1929 წელს გაკოტრდა 600 - მდე ბანკი, ხოლო 1933 წლიდან - 25 000-მდე ბანკმა შეწყვიტა ფუნქციონირება [3,გვ, 1].

განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო ,,დიდ დეპრესიამდე“ მიიყვანა. 1928 -1932 წლებში მოსახლეობის 30 %-მდე სუიციდის მცდელობამდე მივიდა.

ქვეყნებში კრიზისიდან გამოსვლის საკითხის გადაჭრა სახელმწიფომ იტვირთა. ინდუსტრიულ პროცესებსა და ბანკების გაკოტრების საკითხში სახელმწიფო აქტიურად ჩაერია, რაც აუცილებელიც იყო ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობის აღსადგენად. საჭირო იყო შრომის ბაზარზე და ფასებზე კონტროლის დაწესება, ხალხის დასაქმება და ინფრასტრუქტურაში კაპიტალდაბანდებების მოზიდვა. 1933 წლიდან ამოქმედდა პროგრამა ,,New Deal” (ახალი კურსი), რაც გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში შემდეგი მიმართულებით:

- დანახარჯების გაზრდა, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო კაპიტალდაბანდებების და გასაღების ბაზრის ზრდისთვის;
- გადასახადების დარეგულირება, რასაც მოსახლეობის მყიდველუნარიანობა უნდა გაეზარდა [4, გვ. 2].

კაპიტალის ზრდა ხელს შეუწყობდა დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, დარეგულირდებოდა ფასები და მეწარმეები შეძლებდნენ პროდუქციის წარმოებას.

მშპ 1928-1932 წლებში აშშ-ში 50-% ით შემცირდა, ანუ 104 $ -დან 59-$ მლრ დოლარამდე, გაკოტრდა 90 000 ბიზნეს ერთეული, უმუშევართა რიცხვი 1929 წელს 3% - დან 1933 წლისათვის 25%-მდე გაიზარდა [5, გვ. 1].

როგორც აღვნიშნეთ, აშშ არ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დიდმა დეპრესიამ ჩაითრია. მას შემდეგ, რაც აშშ-მა შეიმუშავა პროექტი, რომელსაც ერქვა HAWLEY-SMOOT - ის ტარიფი. ეს ტარიფი მიღებულ იქნა აშშ-ის ინდუსტრიის დაცვის მიზნით. ყოველივე ამან გამოიწვია ყველა ქვეყანაში საკუთარი ტარიფის დაწესება, ხოლო მალევე, ამას მოყვა მსოფლიო ვაჭრობის 40 %– ით დაცემა.

ტარიფებმა, წარმოქმნილმა ვალებმა, მოთხოვნის შემცირებამ და მწარმოებლურობის ზრდამ, ფერმერული ბიზნესის კრიზისმა, მარტივმა კრედიტებმა და შემოსავლების არათანაბარმა გადანაწილებამ, სრული კოლაფსი გამოიწვია.

კრიზისი არა მარტო ინდუსტრიულ სფეროზე, არამედ სოფლის მეურნეობაზეც გავრცელდა. ბევრმა ფერმერმა მიწა დაკარგა, ხოლო ვინც შეინარჩუნა, დადებით მხარეს ის წარმოადგენდა, რომ გაუსაძლისი შიმშილობის პერიოდში, ფერმერებს ოჯახების გამოკვება შეეძლოთ.

ცნობისათვის: 1929-1932 წლებში ნახევარმა მლნ ფერმერმა მიწა დაკარგა იპოთეკურის სესხების გამო [6].

ფინანსური კრიზისის დასაწყისიც კი ყველაზე წარუმატებელი ნაწილია ინდუსტრიის განვითარებაში. ბანკირები და ფინანსისტები ადვილად თანხმდებიან, რომ ბიზნესსში ასეთი დიდი, გლობალური და კომპლექსური კრიზისები თავიდან უნდა იქნეს აცილებული. თუ ბოლო 40 წელიწადს გადავავლებთ თვალს, თვალსაჩინოა, რომ საზოგადოებას სჭირდება განვითარების მაღალი დონე.

კრიზისების გამოწვევის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებული დოვლათი, სახელმწიფო რეგულაციის სისუსტე, ჩრდილოვანი ბუღალტერია, დაბალი ინტელექტუალური დონე და ბევრ სფეროში-მცდარი თვითდაჯერებულობა.

ცნობილი ამრიკელი ბანკირი ვილიამ როდესი ჩართული იყო ინდუსტრიის სფეროში 50 წელზე მეტ ხანს, მან გამოიარა თითქმის ყველა თანამედროვე ფინანსური კრიზისი და ბევრი მათგანი დეტალურად არის აღწერილი მის წიგნში ,, Banker to the world". ამ წიგნში იკვეთება, რომ კრიზისის თემა საერთოა ყველა ქვეყნისთვის, თუმცა შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბაზრები არ ითვალისწინებენ, იმას, რომ ისინი არ არიან განსხვავებულები და რომ მჭიდროდ არიან დამოკიდებული მსოფლიოს ეკონომიკაზე. სწორედ აღნიშნულის გამო იყო, რომ ლათინური ამერიკის ვალების კრიზისი, რომელიც 1982 წელს დაიწყო, რამდენჯერმე იქნა განმეორებული მსოფლიო მასშტაბით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიზისმა გავლენა მოახდინა, როგორც ამჟამინდელ ევროპაზე, ასევე ევროპის ფარგლებს გარეთაც.

თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგენთ მსოფლიოს მნიშვნელოვან კრიზისებს და მათი გამომწვევი მიზეზებს ქორნოლოგიურად:

დიდი დეპრესიის წარმოშობის მიზეზები:

- საფონდო ბაზარზე აქციების ფასის დაცემა;
- ფულის მასის შემცირება;
- ტარიფების გაზრდა და საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი კლება;
- რეცესიის პერიოდში გადასახადების მკვეთრი ზრდა;

1973 წლის კრიზისის წარმოშობის მიზეზები:

- აშშ - ში ნავთობის მზრდი იმპორტის ეფექტი;
- ნავთობის იმპორტზე დაწესებული კვოტა;
- ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომი;
- ოპეკის მხრიდან ნავთობის მოპოვების მოცულობის შემცირება;
- ნავთობის ემბარგო.

1980 წლიდან 2000 წლამდე განვითარებული კრიზისები:

- 1980 იანი წლების დანაზოგებისა და სესხების კრიზისი;
- 1982 წლის ლათინური ამერიკის სუვერენული ვალების კრიზისი;
- 1987 წლის აქციების ბაზრის კრახი;
- 1989 წლის დაბალკრედიტუნარიანი ობლიგაციების კრახი;
- 1994 წლის ტეკილას კრიზისი;
- 1997-1998 წლების აზიის კრიზისი;
- 1999-2000 წლების ინტერნეტკომპანიების მოჩვენებითობა;

2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები:

- ბინათმშენებლობის სექტორის კრიზისი;
- იპოტეკაზე დამყარებული კომპლექსური ინვესტიციები;
- ბანკების მხრიდან კრედიტების გაცემის შეზღუდვა;
- მეორადი ფასიანი ქაღალდების ჭარბწარმოება აშშ-ში;
- აშშ-ს წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრება;
- აშშ-ს მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა;
- ევროპის იპოთეკის გამცემი ბანკების ნაციონალიზაცია;
- ნავთობის ფასის ზრდა.

რამდენიმე საერთაშორისო მაგალითიდან, როგორიც იყოს ბრაზილიაში 1994 წელს, სამხრეთ კორეაში - 1998 წელს და თურქეთში 2001 წელს, აშშ -ის ხელმძღვანელებმა და ფინანსთა მინისტრმა მათ მოქალაქეებს გააცნეს პროგარამა, სადაც ისინი ასაბუთებდნენ, რომ ქვეყანა იდგა საშიში მაჩვენებლების წინაშე. ამიტომ, მათ კარგად დაგეგმეს და უხელმძღვანელეს ეკონომიკურ ზრდას, შედეგმაც არ დააყოვნა. სწორედ ასეთი სახის მმართველობა აკლდა ევროპას და დანარჩენ მსოფლიოს.

აშკარაა, რომ კრიზისი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას შეეხო და ძალზე საყურადღებოა, ამიტომაც აშშ-ის და ევროპის წამყვანი ქვეყნის ლიდერები უკვე თანხმდებიან ერთიანი სამოქმედო პროგ-

რამის მიღებაზე, რომელიც იქნება შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი, მოცემული სიტუაციიდან თავის დასაღწევად კი აქტიური მუშაობაა ჩასატარებელი.

მსოფლიო ეკონომიკას დღეს ჰყავს ორი მთავარი მამოძრავებელი ძალა აშშ და ჩინეთი. ეს განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ეს ქვეყანები საკუთარი ეკონომიკის სიდიდით ლიდერები არიან, არამედ მათი ეკონომიკების შინაარსით, რომლებიც გლობალურ ეკონომიკაში ავსებენ და აბალანსებენ ერთმანეთს.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მთავარ აგრეგატს, უკვე ასი წელია წარმოადგენს გლობალური მსოფლიოს ფინანსური სისტემა, რომელიც მოქმედებს მკაცრად განსაზღვრული კანონებით და პრინციპებით. ამიტომ, ძირითად ყურადღებას ზუსტად ამ სეგმენტს ვუთმობ.

დღემდე მოქმედ ფინანსურ სისტემას და მისი ფუნქციონირების პრინციპებს, სათავე ჩაეყარა XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც შეიქმნა აშშ - ის ფედერალური სარეზერვო სისტემა. გლობალური ფინანსური და ეკონომიკური პროცესები, კიდევ უფრო გააქტიურდა XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როცა ისტორიაში პირველად დაიწყო მოთხოვნის საკრედიტო სტიმულირება. ანუ, კრედიტების მაქსიმალურად და მიზანმიმართულად გაცემა, რაც პირდაპირ ზრდიდა ბაზარზე მოთხოვნას და შესაბამისად ეკონომიკის სტიმულირებას. ამ სისტემის საბაზისო პირობა არის გარემოება, რომელიც სისტემის შეუფერხებლად მუშაობის პერიოდში თანმიმდევრულად ამცირებს კრედიტების ღირებულების. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება და გათვალისწინებული იქნეს. მაგალითისათვის: რომ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აშშ - ის ფედერალური სარეზერვო სისტემის რეფინანსირების განაკვეთი შეადგენდა 19%-ს, ხოლო 2008 წლის ბოლოსკენ, იგივე მაჩვენებელი 0%-ს გაუტოლდა. აი ზუსტად აქ გაუჩნდა ბზარი მოცემული სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობას. ანუ, სისტემამ ამოწურა საკუთარი რესურსი. მსოფლიო საფინანსო სისტემა დადგა ახალი რეალობის წინაშე, რასაც სჭირდება საფუძვლიანი სახეცვლილება.

ყველა განხილული კრიზისიდან იკვეთება, რომ ძლიერი მმართველობა კრიზისიდან თავის დაღწევისა და პრევენციის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.bpn.ge/ekonomika/6191-didi-depresia.html?lang=ka-GE
2. ბაქრაძე გ. 2007-2008;
3. www.basel.int;
4. Acharya V. and Richardson M., „Restoring Financial Stability: How to Repair a Failed System", 2009;
5. www.opec.org/opec_web/en/;
6. Anderson S., A history of the past 40 years in financial crises - IFR International Financial Review, 2015. All rights reserved, IFR 2000;
7. მექვაბიშვილი ე. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრაქტიკული რეცეპტები, 2009;
8. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, შუალედური ანგარიში, "ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი", © EI-LAT 2012;
9. საქართველოს ეროვნული ბანკი – ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, თბ. 2009;
10. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე, ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი", 2010, ნოემბერი-დეკემბერი, გვ. 31;
11. Anderson S., A history of the past 40 years in financial crises - IFR International Financial Review, 2015. All rights reserved, IFR 2000;
12. Bernanke Ben S. The Federal Reserve and the Financial Crisis, 2015, February 22;
13. Bernanke Ben S. The Courage to Act: A Memoir of a Crisis and Its Aftermath, 2015, October 5;
14. Blanchard O. Macroeconomics, global edition, 2013, November 6;
15. www.geostat.ge.

The Formation of Financial Crisis and some Issues about its Influence on World Economics

M. Kharaishvili

Summary

By year's end, all of the world's major economies were in recession or struggling to stay out of one. In the final four months of 2008, the U.S. lost nearly two million jobs. The unemployment rate shot up to 7.2% in December from its recent low of 4.4% in March 2007, and it was almost certain to continue rising into 2009. Economic output shrank by 0.5% in the third quarter, and annonced layoffs and severe cutbacks in consumer spending suggested that the fourth quarter saw a sharper contraction. It was doubtful that the worldwide economic picture would grow brighter anytime soon. Forecast after forecast showed lethargic global economic growth for at least 2009. "Virtually no country, developing or industrial, has escaped the impact of the widening crisis," the World Bank reported in a typical year-end assessment. It forecast an increase in global economic output of just 0.9% in 2009, the most tepid growth rate since records became available in 1970.

Measured by its impact on global economic output, the recession that had engulfed the world by the end of 2008 figured to be sharper than any other since the Great Depression. The two periods of hard times had little else in common, however; the Depression started in the manufacturing sector, while the current crisis had its origins in the financial sector. Perhaps a more apt comparison could be found in the Panic of 1873. Then, as in 2008, a real estate boom (in Paris, Berlin, and Vienna, rather than in the U.S.) went sour, loosing a cascade of misfortune. The ensuing collapse lasted four years.

Key words: *Financial Crisis, Global imbalance, Financial System, Cost increase, Tax Regulation.*

მაგისტრანტთა თვითმენეჯმენტის თავისებურებები საქართველოში

ნატალია ხარაძე,
ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,

ეკატერინე გულუა,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალგაზრდების პიროვნული განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს დროის ბიუჯეტის მართვის უნარ-ჩვევების ცოდნა. ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების ეკონომიკის და ბიზნესის მიმართულების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა დროის ბიუჯეტის გამოყენების შესწავლას. კვლევის შედეგად დადგენილია ძირითადი ტენდენციები, პრობლემური საკითხები, რაც ამ მიმართულებით არსებობს. შესწავლილია ძირითადი გამოწვევები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რათა ქვეყანამ მიიღოს სრულფასოვანი (ჯანსაღი), შრომისუნარიანი სამუშაო ძალა.

საკვანძო სიტყვები: *თვითმენეჯმენტი, დროის მენეჯმენტი, შრომითი რესურსი.*

ინდივიდუალური განვითარების კონცეფციებში არის ის სტრატეგიები, თუ როგორ არის შესაძლებელი პიროვნული განვითარება და სასურველი სტატუსის მოპოვება. **დენიელ გოლმენი** (Daniel Goleman) [6,გვ.48] თვითმენეჯმენტის ელემენტებს: თვითშემეცნებას, თვითკონტროლს, თვითრეგულაციას, თვითმოტივაციას, ემპათიას სოციალურ უნარ-ჩვევებთან ერთად განიხილავს როგორც ემოციური ინტელექტის საფუძველს. პიროვნების წარმატების დეტერმინანტად მიჩნეულია: ბაზისური ინტელექტი, ემოციური და სოციალური ინტელექტი. თვითმენეჯმენტი (Self Management) მენეჯმენტის და ლიდერობის თეორიებში აღიქმება, როგორც პიროვნების განვითარების ბაზისური უნარი [3,გვ.85].

ორგანიზაციების თანამედროვე კონკურენციულ სამყაროში სასურველი ადგილის დამკვიდრების აუცილებელ პირობად მიიჩნევა პერსონალის კომპეტენციის დონე და მისი მუდმივი ზრდა. კომპეტენციის ზრდა პირდაპირ კავშირშია დასაქმებულთა პირადი განვითარების გეგმებსა და თვითმენეჯმენტთან. თვითმენეჯმენტში მოიაზრება გარკვეული წესებისა და ხერხების გამოყენება. არსებული წესების საშუალებით შესაძლებელი ხდება შრომის მწარმოებლურობის ზრდა, დასახული მიზნების მიღწევა ნაკლები დანახარჯებით. მკვლევარები გვთავაზობენ თვითმენეჯმენტის სამ ძირითად კომპონენტს [9]: ცვლილების მართვა; უფლებებისა და პასუხისმგებლობის მართვა და ურთიერთობის მართვა. ასევე თვითმენეჯმენტს განმარტავენ, როგორც ემოციების, სამუშაოსა და პირადი ცხოვრების მართვის სინთეზს. თუმცა, შესაძლებელია დავამატოთ, რომ მართო საკუთარი თავი, ნიშნავს შეგეძლოს იმ განსაკუთრებული და ნორმირებული რესურსის მართვა, რასაც დრო ჰქვია. დროის სწორად მართვა კი გულისხმობს შეასრულო საკუთარი საქმიანობა ეფექტიანად და ნაკლები დანახარჯებით მიაღწიო მიზანს. დროის მართვის ცნობილი სისტემებიდან აღსანიშნავია[8]: ფრანკლინის (Franklin) პირამიდა, კოვის (Covey) დროის მართვის მატრიცა, დევიდ ალენის (David Allen) თეორია „Getting Things Done (GTD)“. მნიშვნელოვანია ამერიკელი პიტერ დრუკერის (Peter F. Drucker) კვლევები, რომელიც თავის წიგნში „The Effective Executive“ [7,გვ.18] აღნიშნავს, რომ დროის მენეჯმენტი და მენეჯმენტი მჭიდრო კავშირშია ერმანეთთან. ჩვენი მხრივ კი დავამატებთ, რომ ასევე მათთან კავშირში უნდა იქნეს განხილული თვითმენეჯმენტიც. თუ ვერ ახერხებ საკუთარი დროის მართვას, ვერ შეძლებ საკუთარი თავის მართვას და შესაბამისად - ვერაფრის და ვერავის მართვას.

დრუკერი მიიჩნევს, რომ ადამიანს 2-3 საათზე მეტი ხნით გადაბმულად, შესვენების გარეშე, ეფექტიანად მუშაობა არ შეუძლია. შემდეგ ორგანიზმი იღლება, ტვინი ითიშება და ფუნქციონირებს ნაკლებად ეფექტიანად. ამის გათვალისწინებით, პიროვნებამ უნდა შეძლოს სამუშაოების დაყოფა მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან ნაწილებად და შეასრულოს იგი დროის შესაბამის მონაკვეთში.

რამდენად ახერხებენ მაგისტრანტები თვითმენეჯმენტის სწორად წარმართვას, ამის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის კვლევა, რომელიც ჩატარდა საქართველოში. მაგისტრანტთა თვითმენეჯმენტის შესწავლა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს პოტენციური შრომითი რესურსის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.

დროის სწორი გამოყენება იმ ფაქტორთა შორისაა, რომელიც არა მხოლოდ დროის დანაკარგით განისაზღვრება, არამედ უამრავ თვალხილულ პრობლემას უქმნის სტუდენტს - პოტენციურ შრომით რესურსს, როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი ჩამოყალიბების კუთხით. ადამიანი საზოგადოების წევრია, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და სიჯანსაღის განმაპირობებელი. ადამიანი არ არის მხოლოდ ინდივიდი, რომელიც მოქცეულია პირად ჩარჩოებში. ის არსებობს და მოქმედებს დროის პერიოდში და უკავშირდება ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, პირველ რიგში კი იმ საზოგადოებას, რომლის წევრიც ის არის.

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ცოტაა ისეთი რესურსები, რომელთან მიმართებაშიც ისეთივე თანასწორუფლებიანები ვართ, როგორც დროსთან. ყოველ ჩვენგანს აქვს 24 საათი დღე-ღამეში და მისი სწორი გამოყენება პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის შრომის მწარმოებლურობასთან.

გარკვეული ამოცანის შესრულება და დასახული მიზნის მიღწევა ყოველთვის დროით არის შეზღუდული. ყოველი ადამიანისათვის დრო წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და მასთან ურთიერთობა უნდა იყოს კონკრეტული. დრო შესაძლოა იქცეს როგორც ადამიანის მოკავშირედ, ასევე მოწინააღმდეგედ. ორივე შემთხვევაში საჭიროა შეგვეძლოს მისი სწორი მართვა. სამწუხაროდ, ადამიანთა დიდი უმრავლესობა ივიწყებს დროის მართვის აუცილებლობას და ცდილობს დროის მოკლე მონაკვეთში ჩატიოს სამუშაოთა ის მოცულობა, რომლის შესრულებაც უბრალოდ შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ვქმნით დაძაბულ სიტუაციებს, ზიანს ვაყენებთ საკუთარ, ან სხვის ჯანმრთელობას და ვიწყებთ ჩივილს დროის სიმცირესა და გადაღლაზე [1,გვ.4].

დროის სწორად განაწილება და მისი რაციონალურად გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. სტუდენტობის წლები ხომ პროფესიული და ზნეობრივი ჩამოყალიბების, ახლის ძიების და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისათვის მზადების პერიოდია. აუცილებელია, ყველა სტუდენტმა გაითვალისწინოს დღესაც აქტუალური ფრაზა _ „დააგროვე ცოდნის მარაგი, ვიდრე ამის უნარი შეგწევს. დაე, მისი წილი ვერც გამოიყენო ცხოვრების თავაშვებულ წლებში, მაგრამ გავა დრო და აუცილებლად დაგჭირდება ეს ცოდნა. ცოდნა ეს არის ჩვენი მოხუცებულობის თავშესაფარი და ვიდრე ახალგაზრდები ვართ, თუ არ დავრგეთ ეს ხე, მზისგან მოსაჩრდილებელი არ გვექნება სიბერეში“ [გ. ჩესტერფილდი, წერილები ვაჟიშვილს თბ. 1983, გვ.70]. ასწლეულების გავლის შემდეგ ამ სიტყვებს არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

მომავალ სპეციალისტს მოეთხოვება სრულფასოვნად იცოდეს თავისი პროფესია. თანამედროვე პირობებში სპეციალისტის ღირსება ფასდება იმით, თუ როგორ გამოიყენებს უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას, შეუძლია თუ არა ამ ცოდნის შემოქმედებითი განვითარება და აქვს თუ არა უნარი დამოუკიდებლად და სისტემატურად შეივსოს ცოდნის მარაგი. ასე შეიძლება შეფასდეს სტუდენტობის წლების „ოქროს ხანის“ გამოყენების ეფექტიანობა. [1,გვ.6-8].

კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 წამყვან უნივერსიტეტში: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერიტეტი, თბილისის ტექნიკური უნივერიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კვლევა შეეხო მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების მაგისტრანტებს. რესპონდენტთა რაოდენობა იყო 523 მაგისტრი. ანკეტა მოიცავდა 37 კითხვას და პასუხის 117 ვარიანტს. მსგავსი მასშტაბის კვლევა, აღნიშნულ საკითხზე, საქართველოში ჩატარდა პირველად. კვლევამ საშუალება მოგვცა პასუხი გაგვეცა კითხვებზე:

1. როგორია თვითმენეჯმენტის კულტურა პოტენციურ და რეალურ შრომით რესურსში?
2. როგორ უთავსებენ სწავლასა და საქმიანობას?
3. რა რისკის წინაშე დგას ახალგაზრდა თაობა დროის არასწორი მართვიდან გამომდინარე?
4. რა შედეგები შეიძლება მოიტანოს არასწორად განაწილებულმა დრომ?
5. როგორ გეგმავენ საქმიანობას და როგორ განსაზღვრავენ პრიორიტეტებს?

მიღებული შედეგების მოკლე ანალიზით შევეცდებით დავინახოთ რეალური პრობლემები და დავსახოთ მათი გადაჭრის გზები. გამოკითხულ რესპონდენტთა 65,2% არის ქალი, ხოლო 34,8% - კაცი. დასაქმებულები შეადგენენ გამოკითხულ რესპონდენტთა 81,6%–ს. მათ შორის სრული განაკვეთით დასაქმებულია 75,0%. როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტთა 85,5% მიიჩნევს, რომ მათ ხელთ არსებული დროის რესურსი არ არის საკმარისი იმ საქმეების შესასრულებლად, რომლის გაკეთების სურვილიც აქვთ. საკმარისი დრო მხოლოდ 14,5% აქვს. დროისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ბუნებრივია, მთავარია მოხდეს იმის გააზრება, რომ დროის დეფიციტი ეს ის პრობლემაა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებთ ხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებს და ზოგადად ადამიანებს, როგორც ვოუტილაინენი (Voutilinen Kari) აღნიშნავდა: „დროის ფაქტორი რესურსია და რაც უფრო არაეფექტიანად ვიყენებთ მას, მით უფრო ძვირი გვიჯდება, იგი შეიძლება იყოს როგორც ჩვენი მოწინააღმდეგე, ისე – მოკავშირე“. ორივე შემთხვე-

ვაში უნდა შეგვეძლოს მისი სწორი მართვა. გარკვეული ამოცანის შესრულება და დასახული მიზნის მიღწევა ყოველთვის დაკავშირებულია დროის განსაზღვრულობასთან. სხვა რესურსული ფაქტორებისგან, დრო იმით განსხვავდება, რომ წინასწარ მისი მარაგის შექმნა შეუძლებელია, დრო იხარჯება განუწყვეტლივ, მისი უკან დაბრუნება არ შეიძლება, ის შეუქცევადი კატეგორიაა [4,გვ.20].

ცხადია, ნებისმიერი საქმიანობა დაგეგმვით უნდა დაიწყოს, სადაც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული მიზნები. ამ თვალსაზრისით დავინტერესდით როგორია დაგეგმვის მიმართ დამოკიდებულება და რამდენად გეგმავენ მაგისტრები დროის სხვადასხვა პერიოდს. ანალიზმა აჩვენა, რომ რესპოდენტთა 59,8% ხშირად გეგმავს დღეს, არასდროს და ზოგჯერ გეგმავს – 40,1%; დროის პერიოდის ზრდასთან ერთად, მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: კვირას გეგმავს ხშირად - 44,9%, თითქმის არასდროს და ზოგჯერ - 55,1%; თვეს გეგმავს ხშირად - 26,1%, თითქმის არასდროს და ზოგჯერ – 73,9%; წელს გეგმავს ხშირად - 20,3% და თითქმის არასდროს და ზოგჯერ – 79,7%;

დაგეგმვასთან დაკავშირებით მიღებული, არც თუ ისე სახარბიელო შედეგები, არ არის გასაკვირი, რადგან რესპონდენტების მხოლოდ 33.8% აანალიზებს დროის დანაკარგების მიზეზებს, ზოგჯერ და თითქმის არასდროს კი - 65,9%.

თვითმენეჯმენტი, სამუშაოს დაგემვასთან ერთად, თავისუფალი დროის დაგეგმვასაც გულისხმობს. სწორედ იგი ახდენს გავლენას ჯანმრთელი და მაღალმწარმებლური შრომითი რესურსის ჩამოყალიბებაზე. მაგისტრანტთა თავისუფალი დროის გამოყენების კულტურა, სპორტთან დამოკიდებულება, კვება და ძილის რეჟემი, აგრეთვე, მოექცა ჩვენი კვლევის ფოკუსში. აღნიშნული მიმართულებით მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ, დასასვენებლად დროის გამონახვას ხშირად ახერხებს რესპონდენტთა მხოლოდ 25,9%, ზოგჯერ და თითქმის არასდროს - 74,1%; უქმე დღეებში ხშირად დასვენების საშუალება მხოლოდ 33,5 %-ს აქვს, ზოგჯერ ან არასდროს – 66,5%-ს; სპორტული ცხოვრებით, თუნდაც საშოყვარულო დონეზე, დაკავებულია რესპოდენტთა მხოლოდ 17,8%; დროის ბიუჯეტიდან ერთ საათს ფიზიკურ აქტივობას 88,1% უთმობს, დანარჩენი – ერთ საათზე მეტს. სავარაუდოდ, ეს კატეგორია არის ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული რესპონდენტები. დღეში 4–ჯერადი კვება რესპონდენტთა მხოლოდ 2,6% აქვს, დღეში 3ჯერ იკვებება - 25,8%, 2ჯერ – 48,1% და ერთხელ – 23,5%. კვებასთან ერთად, არასახარბიელო შედეგებია ძილის რეჟიმის კვლევის თვალსაზრისითაც. რესპონდენტთა მხოლოდ 23,5%-ს აქვს სრულყოფილი ძილი, რაც ენერგიის აღდენისათვის არის საკმარისი. ამგვარი დაძაბულობის ფონზე მოსალოდნელი იყო, რომ მაგისტრნატთა დიდი ნაწილი არ არის ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო და კულტურულ ღონისძიებებში. ასეთების რაოდენობა მხოლოდ 5,9%-ია.

სტუდენტები, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითადად გონებრივი შრომით არიან დაკავებულნი, შეთავსებით ან პარალელური რეჟიმით მათი საქმიანობაც უმეტესწილად გონებრივ შრომას მოითხოვს. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ადამიანის გონებრივი დატვირთულობის ხარისხი სხვადასხვა საქმიანობის დროს განსხვავებულია. კერძოდ, დალაგებისა და იატაკის მორეცხვის დროს გონების დატვირთვის ხარისხი არის 9%, მშვიდ ტრასაზე ავტომობილის მართვისას – 35%, დიდ ქალაქში ავტომანქანის მართვისას – 59%, კითხვის დროს – 100% [2,გვ.40]. მოცემული ინფორმაციითაც კი საკმარისია წარმოვიდგინოთ სტუდენტის გონებრივი დაძაბულობის დონე. ადამიანის გონებას ნორმალური მუშაობა შეუძლია განსაზღვრული რაოდენობის ინფორმაციის მიღებისას, ინფორმაციის მოზღვავება კი იწვევს გონების გადაღლას.

როდესაც სტუდენტი განიცდის შრომის ნორმალურ დაძაბულობას, ბუნებრივია, ის იღლება. ამ შემთხვევაში დაღლილობა ადამიანის მუშაობის შედეგია, რისი გადალახვაც შესაძლებელია დასვენებით. არანორმირებული, ხანგრძლივი და დაძაბული გონებრივი და ფიზიკური შრომის შედეგად მიღებული დაღლილობის ხშირი შემთხვევა კი ადამიანში იწვევს ქრონიკულ დაღლილობას, რომლის მოხსნა შეუძლებელი ხდება ექიმის ჩარევის გარეშე. მნიშვნელოვანია მაგისტრანტებმა შეძლონ დროის „მტაცებლების“ განსაზღვრა და თუნდაც იმოქმედონ ეიზენჰაუერის დროის მატრიცის (Eisenhower Matrix) გათვალისწინებით [5, გვ.430].

არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა უამრავი სტუდენტი აიძულა სწავლის პარალელურად დაეწყო მუშაობა, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რათა დაფაროს სასწავლებლის ხარჯები, არჩინოს ოჯახი და მოახდინოს საკუთარი ენერგიის აღდგენა.

დასაქმებული მაგისტრის აქტივობა, სასწავლო პროცესში ჩართვის თვალსაზრისით, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება, ამას ადასტურებს ჩატარებული კვლევა. კერძოდ, სრულად ლექცია-სემინარებზე დასწრებას ახერხებს მხოლოდ მაგისტრანთთა 2.7%; 83% კი არ სარგებლობს ბიბლიოთეკითა და დამატებითი სახელმძღვანელოებით, რაც გავლენას ახდენს მათი მომზადების ხარისხზე.

უნივერიტეტის უმთავრეს მიზანს სტუდენტზე ზრუნვა წარმოადგენს. კვლევის შედეგად გამოვლინდა პრობლემები, შესაბამისად, აუცილებელია მათი გადაჭრის ღონისძიებების მოძიება და დანერგვა. სასურველია მოხდეს საბაკალავრო დონეზე თვითმენეჯმენტისა და დროის მენეჯმენტის საკითხების სიღრმისეული სწავლება, რათა სტუდენტებმა შეძლონ საკუთარი უნარებისა და მიზნების შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა, დროისა და ძალისხმევის მიმართვა მათთვის სასარგებლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. თუ დასაქმებულ მაგისტრებს მიეცემათ ნახევარ განაკვეთზე მუშაობის საშუალება, ისინი შეძლებენ გამოთავისუფლებული დროის გამოყენებას ინდივიდუალურ ჰარმონიულ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბადრიძე ვ; ხარაძე ნ; სტუდენტის დროის ბიუჯეტი; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი, 2004 წელი;
2. ბადრიძე ვ; გონებრივი შრომის ორგანიზაცია; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001წელი;
3. ეკატერინე გულუა, „ტალანტ–მენეჯმენტი“ – პოტენციალის მართვის აქტუალური მიმართულება, თსუ–ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო–პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N2, 2013 წელი;
4. ხარაძე ნ. მენეჯერთა შრომის ორგანიზაცია. სამეცნიერო დისერტაცია 1997წ.
5. როგორ ვმართოთ თანამშრომლები, რედაქტორი: ვ. გურგენიძე, ავტორთა კოლექტივი, მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო, გამომცემლობა კონსალტინგი; თბილისი, 2008 წელი;
6. Goleman Daniel, Emotional Intelligence, International Bestseller, Harvard Business School Press, Pg. 253; 2004;
7. Drucker Peter F. The Effective Executive: The Definitive Guide to Getting the Right Things Done (Harper business Essentials) pg.350; 1992;
8. https://4brain.ru/time/systems.php
9. http://ekonomika.snauka.ru/2013/12/3513

Self-Management Peculiarities of Masters' Students in Georgia

N. Kharadze,
E.Gulua

Summary

Time Management skills are important for personal development of youth. The paper examines the use of time management of the masters' students of the faculties of Economics and Business of the Universities of Georgia. The research defines the basic trends and problematic issues in this direction. It has been identified main challenges and provided the recommendations in order to have fully qualified labor force in the country.

Keywords: *Self Management, Time Management, Human Resource Management.*

ემოციური ინტელექტის განვითარების მნიშვნელობა ბიზნესში

მანანა ხარხელი,
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი მორჩილაძე,
თსუ-ის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია ემოციური ინტელექტის რაობა, მისი განვითარების მნიშვნელობა როგორც მენეჯერებისთვის, ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფი კადრებისთვის, ძირითადი კომპეტენციები, რომელთაც უნდა ფლობდეს მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ადამიანი და მათი განვითარების გზები. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი იძლევა ახალ ინფორმაციას, რომელიც საინტერესო იქნებ არაგორც ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის, ისე ზოგადად განათლებული ადამიანებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ემოციური ინტელექტი, მართვა, მოტივაცია, თვითრეგულირება, ემპათია.*

„დიდ შეცდომას უშვებს ის, ვისაც არ ესმის, რომ ამ ოკეანის მსგავს ქვეყანაზე, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ძლიერი დინებანი და თითქოს ათასობით ზვირთი აწყდება ერთმანეთს ადამიანთა ინტერესებისა და პატივმოყვარე მისწრაფებებისსახით, არ შეიძლება საკუთარ კეთილდღეობაში ჩაიკეტო და სტიქიის შმაგ ძალას წინააღმდეგობა გაუწიო. ასეთი ადამიანი დასაღუპავადაა განწირული. სხვისი ინტერესები ანგარიშში უნდა ჩავაგდოთ. ეს ერთადერთი საშუალებაა, რითაც ჩვენ შეგვიძლია მათზე ვიმოქმედოთ“ [1, გვ. 67]

ბალზაკი

ნებისმიერ კომპანიას, იმისთვის რომ იყოს მომგებიანი და შეძლოს ფუნქციონირება გრძელვადიან პერიოდში, აუცილებლად ესაჭიროება ძლიერ და გამართული პარტნიორული ურთიერთობები. პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და გამართვა კი ხელოვნებაა და დაკავშირებულია ადამიანის უნართან კარგად გაიგოს და ჩაწვდეს თანამოაზრის ემოციებს და აგრძნობინოს მხარდაჭერა. ადამიანს, რომელსაც კარგად შეუძლია სხვა ადამიანების აზრებისა და ემოციების გაგება, სწორი რეაგირება სხვა ადამიანების ქცევებზე და თავისი მხარდაჭერის ჩვენება, ამბობენ რომ აქვს მაღალი ემოციური ინტელექტი.

ხშირად არასწორად არის გაგებული ემოციური ინტელექტის რაობა და ის მიიჩნევა როგორც: „ტაქტი და მორიდებულობა“ ან როგორც „გახსნილობა“. სინამდვილეში ემოციური ინტელექტი არის სხვა რამ, რომელიც ბევრად უფრო კომპლექსურია. ემოციური ინტელექტი ეს არის ადამიანისუნარი შეიცნოს სხვა ადამიანების ემოციები, ესმოდეს მათი განზრახვები, მოტივაცია და სურვილები; ასევე, უნარი მართოს თავისი ემოციები და სხვა ადამიანების ემოციები, იმისთვის რომ გადაწყვეტილ იქნეს პრაქტიკული მიზნები [3, გვ. 50].

ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა, როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის გარეთაც არის ძალიან დიდი, რადგან იქნება ეს უკმაყოფილო კლიენტის დაწყნარება, პოტენციური ინვესტორის დაყოლიება თუ თანამშრომლის მოტივაცია, მოითხოვს მენეჯმენტისგან სხვა ადამიანის ანუ სოციალური არსების გარკვეული ქმედებებისკენ მომართვას.

ადამიანს წარმატების მიღწევისთვის ესაჭიროება: მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი (ე.წ., IQ), სპეციალიზებული ცოდნა და ემოციური ინტელექტი.

ინტელექტის კოეფიციენტის დაანგარიშება ჩვეულებრივ ხდება სპეციალიზებული და სტანდარტიზებული ტესტების საფუძველზე, რაც შედგება ლოგიკური კითხვებისგან. ადამიანებს, რომელთაც აქვთ მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი, კარგად აქვთ განვითარებული გონებრივი შესაძლებლობები, აქვთ ლოგიკური მსჯელობის უნარი და სხვ. თუმცა, მხოლოდ მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი არ არის გარანტი წარმატებისა პროფესიულ ცხოვრებაში, რასაც თითოეული ჩვენთაგანის გამოცდილება და მრავალი კვლევაც ადასტურებს.

სპეციალიზებული ცოდნა აუცილებელია აღებული დავალების კარგად შესრულებისთვის. კომპეტენტურობა წარმოადგენს ნარევს ჯანსაღი აზრის, სპეციალიზებული ცოდნისა და დახელოვნების, რომელიც უყალიბდება ადამიანს თავისი დავალების შესრულების პროცესში. იმისათვის, რომ ადამიანი

იყოს კომპეტენტური საჭიროა გამოცდილება, ცოდნა, დეტალებში ღრმად გარკვევა. კომპეტენტურობა ვლინდება ადამიანის უნარში იცოდეს და შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა ისე, როგორც საჭიროა. თუმცა, მხოლოდ მაღალი ინტელექტის კოეფიციენტის და სპეციალიზებული ცოდნის ფლობა, არ არის საკმარისი წარმატების მიღწევისთვის. დღეს, წარმოების, მომსახურების თუ ვაჭრობის სფეროში ნებისმიერი კონკრეტულ სეგმენტზე მრავალი კომპანიაა წარმოდგენილი, რომელთაც აქვთ სპეციალიზებული ცოდნა და დაგროვილი გამოცდილებაც, ხოლო ის თუ ვინ შეძლებს გამარჯვებას მოცემულ გარემოში დამოკიდებული ხდება ემოციურ ინტელექტზე. ამასთან ეს ეხება არამხოლოდ კომპანიას, არამედ ადამინებსაც, რადგან შეიძლება ადამიანი იყოს საქმის პროფესიონალი, მაგრამ ვერ მუშაობდეს სწორედ ზემოთ ნახსენები უნარების არ ქონის გამო.

სპეციალურ ცოდნასთან შედარებით, ემოციურ ინტელექტს აქვს უფრო დიდი მნიშვნელობა „ლიდერობის“ ფაქტორის გამო, კერძოდ კი: განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს ემოციური კომპეტენტურობა ასრულებს ლიდერობის განხორციელების პროცესში, რომლის არსიც მდგომარეობს უნარში მომართო სხვა ადამიანები შეასრულონ თავიანთი ფუნქცია უფრო ეფექტიანად. ეს პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული პიროვნებათშორის ურთიერთობებთან. ამასთან, შეუძლებელია ადამიანმა, რომელიც მენეჯერის პოზიციაზე მუშაობს, მიაღწიოს წარმატებას იმ შემთხვევაში, თუ არ აქვს განვითარებული სხვა ადმიანებთან სწორი კომუნიკაციის უნარი.

ადამიანებს, რომელთაც აქვთ მაღალი დონეზე განვითარებული ემოციური ინტელექტი, ფლობენ თავის თავს ძალიან კარგად. თავის ფლობა დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, როგორიც არის თვითრეგულირება და შინაგანი მამოძრავებელი ძალისა და პრინციპების შეცნობა.

იმისათვის რომ, ადამიანმა შეიცნოს ის თუ რა ამოძრავებს და რატომ, ძალიან მნიშნველოვანია ფლობდეს ინტუიციას [5, გვ.49].განვითარებული ინტუიცია ანუ იგივე „შინაგანიშეგრძნება“, მეტყველებს ადამიანის შესაძლებლობაზე აღიქვას სიგნალები, რომელიც მომდინარეობს შინაგანი ემოციური მეხსიერების საცავიდან - საკუთარი სიბრძნის წყაროდან და ადამიანის განსჯის უნარისგან. ეს უნარი თვითშეგრძნების ჭეშმარიტი არსია, რომელიც წარმოადგენს, თავის მხრივ ცხოვრებისეულად მნიშნველოვან ფუნდამენტს სამი სახეობის ემოციონალური კომპეტენციისთვის:

1) *ემოციონალური შემეცნება:* შეცნობა იმის, თუ რამდენად მოქმედებს ჩვენი ემოციები ჩვენ მიერ შესრულებულ დავალებებზე, უნარი გაითვალისწინო საკუთარ ემოციები შეფასებების განხორციელების პროცესში. ადამიანებს, რომელთაც კარგად შეუძლია საკუთარი ემოციებისა და მათი შედეგების შეფასება: იციან რა ემოციები და შეგრძნებები აქვთ და რატომ; შეუძლიათ წარმოიდგინონ კარგად კავშირი თავის შეგრძნებებს, ფიქრებსა, საუბარს და ქმედებას შორის.
2) *ზუსტი თვითშეფასება:* ადამიანებმა, რომელთაც განვითარებული აქვთ ემოციური ინტელექტის მოცემული კომპეტენცია, იციან კარგად თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, მიდრეკილნი არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაეყრდნონ თავის გამოცდილებას, უნარიანნი არიან მუდმივად განვითარდნენ და გაიზარდონ, აქვთ უნარი გამოავლინონ იუმორის გრძნობა საკუთარი თავის მიმართ და დაინახონ თავი ჭეშმარიტ ჭრილით.
3) *თავდაჯერებულობა:* მკაფიო შეგრძნება საკუთარი ღირსებებისა და შესაძლებლობის. თავდაჯერებულ ადამიანებს ახასიათებთ რწმენა საკუთარი ძალის, შეუძლიათ გამოთქვან „არაპოპულარული“ აზრები და წავიდნენ რისკზე იმ საქმის გამო, რომელიც მათ მიაჩნიათ სწორად და გამართლებულად. ასევე, თავდაჯერებული ადამიანები არიან კატეგორიულები და შეუძლიათ მიიღონ გონივრული გადაწყვეტილება მაშინ, როცა მასზე ახორციელებენ ზეწოლას.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ემოციური ინტელექტი დაკავშირებულია თვითრეგულირების უნართან. დღევანდელ სამყაროში ადამიანებს, გამძაფრებული კონკურენციის ფონზე, ხშირად უწევთ სტრესულ გარემოში მუშაობა, რაც ზრდის რეგულირებასთან დაკავშირებული უნარების განვითარების მნიშვნელობას.სტრესულ გარემოში მუშაობის პროცესში ემოციონალური ცენტრი ადამიანის ტვინში ხელსუშლის ტვინის აღმასრულებელ ცენტრს, რაც შეიძლება გახდეს მიზეზი ადამიანის უმოქმედობის, პანიკის და სხვა მრავალი არასასურველი ქმედების.

ადამიანისუნარი, შეძლოს სტრესულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, დამოკიდებულია მისი ემოციონალური ცენტრების წარმატებულ ტანდემზე აღმასრულებელ ცენტრებთან, რომელიც მდებარეობს შუბლის უკანა მხარეს. ნეგატიურ იმპულსებსა და იმედგაცრუებაზე სწორი რეაგირების უნარი დამყარებულია ქვემოთ მოყვანილ ხუთ ემოციონალურ კომპეტენციაზე:

- თვითკონტროლი: ეს არის უნარი ეფექტიანად მოთოკო წარმოშობილი ნეგატიური ემოციები და იმედგაცრუება. ადამიანები, რომელთაც განვითარებული აქვთ მოცემული კომპეტენცია, შეუძლიათ: სხვებთან შედარებით უფრო მარტივად გაუმკლავდნენ წარმოქმნილ ნეგატიურ იმ-

პულსებს და მტანჯველ ემოციებს; არ კარგავენ მხნეობას ძალიან რთულ სიტუაციებშიც კი; საღად აზროვნებენ და არიან მობილიზებული რთულ სიტუაციებში.

- პიროვნული ვალდებულებისმაღალი განცდა: ეს არის ადამიანის უნარი გამოავლინოს წესიერება და მორალური ხერხემალი რთულ სიტუაციებში. ადამიანები, რომლებიც ფლობენ მოცემულ უნარებს, არიან უზადო და იქცევიან ეთიკურად; იმსახურებენ ნდობას თავისი საიმედოობისა და გახსნილობის წყალობით; აღიარებენ თავის შეცდომებს და ეწინააღმდეგებიან სხვა ადამიანების არაეთიკურ ქცევას; იჭერენ მყარ პრინციპულ პოზიციას მაშინაც კი, როცა ამგვარი ქცევა არაპოპულარულია.
- კეთილსინდისიერება:მოცემული კომპეტენცია გულისხმობს საიმედოობასა და მაღალი პასუხისმგებლობის განცდას დავალების შესრულებისას. ადამიანები, რომლებიც არიან კეთილსინდისიერები, ასრულებენ დანაპირებსა დავალდებულებებს; მიაჩნიათ თავი პასუხისმგებლად დასახული მიზნების მიღწევისთვის; არიან ორგანიზებული და ყურადღებიანები დავალების შესრულების პროცესში.
- თადარიგიანობა: ადამიანები, რომლებიც ფლობენ მოცემულ კომპეტენციას, იჩენენ მოქნილობას ცვლილებების განხორციელების პროცესში წარმოშობილ წინააღმდეგობათა დასაძლევად.
- ნოვატორულობა: ადამიანებს, რომლებიც ფლობენ მოცემულ კომპეტენციას, ახასიათებთ გახსნილობა და პოზიტიური დამოკიდებულება სიახლეებთან, ახალ ინფორმაციასთან, გადაწყვეტილებებს და იდეებთან. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნა ზრდის ნახსენები კომპეტენციისმნიშვნელობას.

სამსახურში თანამშრომლის პროდუქტიულობა დამოკიდებულია მის შინაგან სამყაროზე, დამოკიდებულებებსა და ხედვებზე. ამის შეცნობა და სრულყოფილად გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მენეჯერისთვის, რადგან კადრის ქცევა არის მისი შინაარსის გამოვლინება.

ქვემოთ მოყვანილია რიგიფაქტორები, რომლებზე დაკვირვებაც მნიშნველოვანია კადრების სწორი შეფასებისთვის. ერთ - ერთი ესეთი ფაქტორი არის ე.წ. „ფსიქოლოგიური დასწრება“. ადამიანებს, რომლებიც ფსიქოლოგიურად ესწრებიან სამუშაო პროცესს, ახასიათებთ უფრო მაღალი ნაყოფიერება, არიან მომართულნი ბოლომდე დაიხარჯონ, ცდილობენ გააკეთონ მაქსიმალურად ბევრი და კარგი საქმე კომპანიისთვის. ის ადამიანები კი, რომლებიც „ფსიქოლოგიურად არ ესწრებიან“ მუშა პროცესს (რაც საკმაოდ ხშირია საქართველოში), აკეთებენ თავიანთ საქმეს მხოლოდ ხელფასისთვის და არანაირ დამატებით სიამოვნებას აღნიშნული პროცესისგან არ იღებენ. ნებისმიერი კადრი, იქნება ის მენეჯერულ პოზიციაზე თუ არა, უნდა ცდილობდეს რომ ჰქონდეს „ფსიქოლოგიური დასწრების“ განცდა და იღებდეს სიამოვნებას სამუშაო პროცესიდან.

ასევე თანამშრომელთა პროდუქტიულობაზე საუბრისას (ემოციურ ინტელექტთან მიმართებით), საჭიროა შევეხოთ მოტივაციის ნევროლოგიის თემას. ეფექტიანადამიანებსახასიათებთქვემოთმოყვანილიმოტივაციურიკომპეტენციები:

- მიზნისმიღწევისმწველისურვილი:პროდუქტიულიადამიანებიძალიან ცდილობენ შეასრულონ სამუშაო უმაღლესი ხარისხით.
- ერთგულება: მაღალ პროდუქტიულ ადამიანებს ახასიათებთ ის, რომ სრულადიზიარებენკომპანიისთუჯგუფისაზრებსადაემოციებს.
- ინიციატიურობადაოპტიმიზმი: ეფექტიანი კადრები ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა თუ კი არსებობს კომპანიის თუ ჯგუფის მიზნების სასიკეთოდ, და ამასთან ინარჩუნებენ იმედს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება.

ემოციური ინტელექტი მოიაზრებს თავის თავში ემპათიას. ემპათია არის სხვა ადამიანის თვალთახედვის, მისი ემოციური მდგომარეობის გაგებისა და გაზიარების უნარი. ქვემოთ მოყვანილია ჩიკაგოს ბიზნეს სკოლის (University of Chicago Booth School of Business) პროფესორის ნიკოლას ეპლის წიგნიდან ციტატა: „ეს უნარი ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტს, რომელიც აგებულია თანამშრომლობაზე. ზუსტად ამ მიზეზით ადამიანებს, რომელთაც აქვთ ამაღლებული სოციალური მგრძნობელობა, უფრო ძლიერი მეგობრული კავშირები და უფრო მყარი ქორწინებები გააჩნიათ, ზოგადად ისინი ცხოვრობენ უფრო ბედნიერად. ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ გრძნობა, რომელიც აძლევს მათ უნარს იცოდნენ - იგებენ თუ არა მის ინსტრუქციებს ხელქვეითები, აღწევენ უფრო მეტ წარმატებას. მენეჯერები, რომლებიც ”იჭერენ” მისი თანამშრომლების სურვილებსა და საჭიროებებს, არიან უნარიანნი მოტივირება გაუკეთონ პერსონალს. ვაჭრები, რომელთაც აქვთ უნარი გაიგონ კლიენტების სურვილები, დებენ უფრო მეტ ხელშეკრულებას. უმეტესობა ჩვენგანი გაურბის მუშტიკრივს და არ სურს გამოიყურებოდეს როგორც უკანასკნელი იდიოტი, რადგანაც ჩვენ გვაქვს გააზრებული წარმოდგენა სხვა ადამიანების შეგ-

რძნებების შესახებ, და ჩვენ მათი დახმარებით საკმაოდ წარმატებულად ვაგვარებთ საქმეებს. უნარი, გაუგო სხვა ადმიანებს, გვაძლევს საშუალებას ვიაროთ წინ ცხოვრებაში" .

უნარი ადამიანის, გაიგოს სხვაადამიანის განცდები მასზე დაკვირვებით, (მის საუბარზე, ხმაზე, ინტონაცია, სხეულის მოძრაობებზე და სხვ.) არის ძალიან მნიშვნელოვანი მოლაპარაკების პროცესში სასურველი შედეგის მიღწევისთვის. მითუმეტეს რომ, ხშირად „ემოციონალურ სიყრუვეს" ადამიანი მიყავს სოციალურ უხერხულობამდე, სხვა ადამიანზე ზეგავლენის მოხდენის უნარი მოითხოვს გარკვეულ ცოდნას. ასე, მაგალითად: უკონფლიქტობა ნებისმიერი სოციალური ურთიერთქმედების დიდ წილად დამოკიდებულია თვითნებურ მომართვაზე თავის თანამოსაუბრის რითმზე. როდესაც ორი ადამიანი იწყებს ერთმანეთთან საუბარს, ისინი მაშინვე ერთვებიან ძალიან ფაქიზ და მკრთალ რითმული ჰარმონიის შექმნისთამაშში, რომელიც სინქრონიზირებას ახდენს მათი მოძრაობისა და პოზის, ხმის ტემბრისა და სიმაღლის, სისწრაფისა და საუბრის დროს შესვენებებისაც კი. ნახსენები წესი: ეცადო და მომართო საკუთარი თავის თანამოსაუბრის რითმზე მნიშვნელოვანია მოლაპარაკებისას წარმატების მიღწევისთვის.

სხვა ადამიანებთან წარმატებული სოციალური ურთიერთობის აწყობა დამყარებულია ერთ მარტივ ფაქტზე: ჩვენ, ადამიანები ზეგავლენას ვახდენთ ერთმანეთის ემოციებზე. ჩვენ ვაკეთებთ ამას ყოველწამიერად, ვიჭერთ რა ერთმანეთის ემოციებს მუდმივად, თითქოს იყოს ეს სოციალური ვირუსი. ასე მაგალითად, როდესაც ვიღაც გვიღიმის, ჩვენც პოზიტიური განწყობა გვექმნება და პირიქით, როცა ვხედავთ რომ ვიღაც ტირის და უხასიათოდაა, ანალოგიურად ხდება.

იმისათვის რომ გონივრულად მოვეპყრათ სხვა ადამიანების ემოციებს, საჭიროა ვფლობდეთ შემდეგ ემოციონალურ კომპეტენციებს:

- ზეგავლენის მოხდენის უნარი - მოცემული კომპეტენცია გულისხმობ იმას, რომ ადამიანიფლობდეს ძალიან კარგად დარწმუნების ტაქტიკას. პირებს, რომელთაც აქვთ მოცემული კოპეტენცია, შეუძლიათ: მოიმხრონ გარშემომყოფები; მახვილგონივრულად მოარგონ თავიანთი გამოსასვლელი სიტყვა მსმენელებს; შეუძლიათ გამოიყენონ არაპირდაპირი, ფარული ზეგავლენის სტრატეგიები თანამოსაუბრის დარწმუნებისთვის.
- კომუნიკაციის უნარები. პირები რომელთაც განვითარებული აქვთ მოცემული კომპეტენცია შეუძლიათ ძალიან კარგად მოსმენა თანამოსაუბრის და საკუთარი აზრის მკაფიოდ გამოხატვა. ადამიანებს კარგი კომუნიკაციის უნარით შეუძლიათ: მოხერხებულად გამოძებნონ კომპრომისები, ეყრდნობიან რა ინფორმაციას თანამოსაუბრისგან მიღებული ემოციონალური სიგნალებზე დაყრდნობით. არ აარიდონ თავი კითხვებზე პასუხების გაცემას; ძალიან კარგად შეუძლიათ მოსმენა, მიილტვიან ურთიერთგაგებისკენ და ემხრობიან იდეას ინფომრაციის სრულად გაზიარებასთან დაკავშირებით; ხელს უწყობენ საუბრის ბოლომდე გახსნას და იღებენ უპრობლემოდ როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ინფორმაციას.
- კონფლიქტების მართვის უნარი. პირებს, რომელთაც განვითარებული აქვთ მოცემული უნარი, შეუძლიათ წარმართონ მოლაპარაკებები და ჩაახშონ გაუგებრობები. ადამიანები, რომლებიც ფლობენ მოცემულ უნარს, შეუძლიათ: დიპლომატიურად და ტაქტიანად მოეპყრონ „რთულ" ადამიანებს, უმკლავდებიან რა დაძაბულ სიტუაციებს; ამჩნევენ პოტენციურ კონფლიქტს და ირიდებენ მათ რთული მომენტების გადაწყვეტის გზით; წაახალისონ დებატები და ღია გარჩევები; პროცესს მიმართავენ იქითკენ, რომ პრობლემა გადაწყდეს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.
- ლიდერული უნარები: მოცემული უნარის მქონე პირებს შეუძლიათ შთააგონონ და აიყოლიონ სხვა ადამიანები თუ ადამიანთა ჯგუფები.
- ცვლილებების ინიცირების უნარი: პირები, რომელთაც აქვთ მოცემული უნარი შეუძლიათ გახდნენ ცვლილებების ინიციატორები და მართონ ის. მოცემული კომპეტენციის მქონე პირებს შეუძლიათ: დაინახონ ცვლილებების საჭიროება და ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მათი განხორციელების პროცესში; აკრიტიკებენ არსებულ სიტუაციას იმისთვის, რომ მკაფიოდ გამოაჩინონ ცვლილების საჭიროება; იზიდავენ ადამიანებს ცვლილებების განხორციელებისკენ და მოდელირებას უკეთებენ აღნიშნულ პროცესს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ემოციური ინტელექტის განვითარება არის ძალიან მნიშვნელოვანი როგორც მენეჯერებისთვის, ასევე მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირებისთვის, რადგან სხვა ადამიანების აზრებისა და ემოციების კარგად გაგების, საკუთარი თავის შემეცნებისა და თვითრეგულირების განვითარების უნარის გარეშე ძალიან რთულია შეძლოს ადამიანმა ახალი კლიენტის მოძიება, მომგებიანი ხელშეკრულების გაფორმება, უკმაყოფილო კლიენტების დაწყნარება, ინვესტიციების მოზიდვა და სხვ. ძალიან ბევრი მაღალი მნიშვნელობის მქონე პირთან საქმის მოგვარება. ემოციურ ინ-

ტელექტი კაცობრიობის არსებობის მანძილზე ყოველთვის რელევანტური იყო, თუმცა დღეს კიდევ უფრო გაზრდილია მისი მნიშვნელობა გამძაფრებული კონკურენციის გამო, რაც აძლიერებს მისი სიღრმისეულად შესწავლის მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. კინწურაშვილი, შეგონებანი, საქართველო, 2009
2. Epley, N. " Mindwise: Why We Misunderstand What Others Think, Believe, Feel, and Want" , New York City, Knopf , 2014
3. Howard E. Gardner, Multiple Intelligences: New Horizons in Theory and Practice, Basic Books 2006
4. Goleman D., Emotional Intelligence: Why It Can Matter More Than IQ, USA, Bantam Books, 2005
5. Goleman D.,Working with Emotional Intelligence, USA, Bantam Books, 2000, 400.
6. Kandel E. "In Search of Memory: The Emergence of a New Science of Mind", W. W. Norton & Company, New York City, 2007, 528.
7. Kruger, J., and J. Burrus, Egocentrism and focalism in unrealistic optimism (and pessimism). Journal of Experimental Social Psychology , 2004, 40: (332–340).
8. P. Kulesa, Diekman, A., and A. Eagly, Accuracy and bias in stereotypes about the social and political attitudes of women and men. Journal of Experimental Social Psychology, 2002, 38: (268–282).
9. Maslow, A. Motivation and personality. New York, NY: Harper. 1954. 411.
10. Pronin, E., and M. B. Kugler, People believe they have more free will than others. Proceedings of the National Academy of Sciences ,2010; 107: (22469–22474).
11. Ross, L., and A. Ward. Naive realism: Implications for social conflict and misunderstanding, Stanford Center on Conflict and Negotiation, Stanford University, 1996, (103–135).
12. Stepper, S., and F. Strack, Proprioceptive determinants of emotional and nonemotional feelings. Journal of Personality and Social Psychology, 1993, .64: (211–220).

Importance of development emotional intelligence

M. Kharkheli
G. Morchiladze

Summary

The article is related to the emotional intelligence, why is important it's improvementin modern globalized world andwhat should be taken into account during development. To answer above mentioned questions, we studied many monographs and scientific articles from the field of psychology as well as business administration. The research has big practical value for any human - in both – in business and personal life because to succeed in life is impossible without a strong social relationships.

Key words: *Emotional intelligence, Management, Motivation, Self-regulation, Empathy.*

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის ფორმირება

მერაბ ხმალაძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსახლეობის სქესობრივ შემადგენლობას მნიშვნელოვანი დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია. მოსახლეობის სქესობრივ შემადგენლობაზე გარკვეულად არის დამოკიდებული სქესთა შორის სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობები, ურთიერთობები საქორწინო ბაზარზე, დემოგრაფიული პროცესები, დასაქმების გენდერული ხასიათი და სხვა. ასაკობრივად, 0-24/29 წლის ასაკებში მამაკაცების რიცხვი ჭარბობს ქალებისას, რომელიც შემდგომ ასაკებში ქალების მეტობით იცვლება. განვითარებულ ქვეყნებში ქალების მეტობის მიუხედავად, 2016 წელს დედამიწაზე 66 მლნ-ით მეტი მამაკაცი დაფიქსირდა, რომელიც მოდის ჩინეთისა და ინდოეთის ხარჯზე. საქართველოს მოსახლეობა 2016 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 3,72 მლნ-ს, აქედან მამაკაცია - 1,78 მლნ, ხოლო ქალი - 1,94 მლნ.

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობა, სქესობრივი შემადგენლობა, მამაკაცების რიცხოვნობა, ქალების რიცხოვნობა, სოცოცხლის ხანგრძლივობა.*

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა დემოგრაფიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. სქესობრივი შემადგენლობის ფორმირება ხანგრძლივი განვითარების შედეგია. XIX საუკუნის დასასრულს, კერძოდ 1897 წლის აღწერით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2109,6 ათასს, რომელთაგან 1125,1 ათასი იყო მამაკაცი, 984,5 ათასი – ქალი. შესაბამისად მამაკაცები შეადგენდნენ მოსახლეობის 53,3%, ქალები – 46,7%, ყოველ 100 ქალზე მოდიოდა 114 მამაკაცი.

მოსახლეობის 1926 წლის აღწერით, საქართველოში შეიმჩნეოდა მამაკაცების მხოლოდ უმნიშვნელო მეტობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შეიცვალა ქალების უმნიშვნელო მეტობით. მეორე მსოფლიო ომში მამაკაცემის დიდმა დანაკარგებმა მკვეთრად დაარღვია მანამდე არსებული პროპორცია მამაკაცების და ქალების რიცხოვნობას შორის. მოსახლეობის 1959 წლის აღწერით საქართველოში აღირიცხა 314 ათასით, 1989 წლის აღწერით – 281 ათასით, 2002 წლის აღწერით 248,7 ათასით, ხოლო 2014 წლის აღწერით 168,7 ათასით მეტი ქალი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალების მეტობის შემცირება იმის შედეგია, რომ მოკვდაობის პროცესი სულ უფრო ძლიერად ვრცელდება ომში მონაწილე მამაკაცების თანატოლ ქალებზე და ამცირებს მათ რიცხოვნობას.

მსოფლიოს ქვეყნების დაახლოებით ნახევარში ქალების რიცხობრივი მეტობაა. ასეთები როგორც წესი, განვითარებული ქვეყნებია, სადაც ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 5-9 წლით აღემატება მამაკაცებისას. მათ მიეკუთვნება: ზოგიერთი სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკა, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები. **მამაკაცების და ქალების რიცხოვნობა დაახლოებით თანაბარია**: აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიასა და ოკეანეთში. **მამაკაცების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება ქალებისას** აზიაში (რუსეთის გარეშე). ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვანდ განაპირობა აზიაში ქალების ისტორიულად დამცირებულმა მდგომარეობამ ოჯახსა და საზოგადოებაში, რომელიც გამოიხატებოდა ნაადრევ ქორწინებასა და მრავალრიცხოვან და ნაადრევ მშობიარობაში, სიღატაკის, შიმშილის და ავადმყოფობის პირობებში, რაც იწვევს ქალების მაღალ მოკვდაობას. **მთლიანად მსოფლიოში მამაკაცების რიცხვი მცირედით, 65 მლნ-ით სჭარბობს ქალებისას**, რაც გამოწვეულია მამაკაცების მეტობით ჩინეთსა და ინდოეთში. საკმარისია ვუჩვენოთ, რომ 2016 წელს მსოფლიოს 7,4 მილიარდი მცხოვრებიდან 1,7 მლრდ (19,0%) მოდის ჩინეთზე, ხოლო 1,27 მლრდ (18,0%) ინდოეთზე. შედეგად დედამიწაზე 100 ქალზე მოდის 102 მამაკაცი. დედამიწის მოსახლეობიდან 3731,5 მლნ მამაკაცია და 3666,3 მლნ ქალი.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს. კერძოდ, ახალგაზრდა ასაკებში მამაკაცების რიცხვი სჭარბობს ქალებისას. შემდგომში მამაკაცების რიცხვი უთანაბრდება ან მცირედით ნაკლებია ქალების რიცხვზე, ხოლო გარკვეული ასაკის შემდეგ ქალების რიცხვი მეტი ხდება მამაკაცებისაზე და ეს განსხვავება ასაკის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება. საქართველოში, 2014 წლის აღწერით, 0-29 წლის მამაკაცების რიცხვი სჭარბობს ქალებისას; 30-34 წლის ასაკში ქალების რიცხვი უკვე უმნიშვნელოდ (2,2 ათასით), მეტია მამაკაცებზე და 100 მამაკაცზე მოდის 102 ქალი. ამის შემდეგ ასაკის

ზრდასთან ერთად სხვაობა იზრდება. 35-39 წლის ასაკში 100 მამაკაცზე მოდის 104 ქალი, 40-44 წლის ასაკში – 106, 45-49-ში – 110. ასაკობრივი დისპროპორცია მკვეთრადაა გამოხატული 50 წლის შემდეგ. მაგალითად, 50-54 წლის ასაკში 100 მამაკაცზე მოდის 115 ქალი, 55-59-ში – 120, 60-64-ში – 129, 65-69-ში – 142, 70-74-ში – 155, 75-79-ში – 173, 80-84-ში –186, 85 წლის და უფროს ასაკში –315.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ყალიბდება შემდეგი ფაქტორების გავლენით:

1. სქესთა პირველადი თანაფარდობა - წარმოადგენს თანაფარდობას მდედრობით და მამრობით ჩანასახს შორის. ვარაუდობენ, რომ 100 მდედრობითი სქესის ჩანასახზე მოდის 125-130 მამრობითი სქესის ჩანასახი.

2. სქესთა მეორეული თანაფარდობა – წარმოადგენს თანაფარდობას ცოცხლადდაბადებულებში. მამაკაცები ქალებთან შედარებით დაახლოებით 5,0%-ით მეტი იბადება, ე.ი. თანაფარდობაა დაახლოებით 105-106 დაბადებული ბიჭი 100 გოგონაზე. ცხადია, რომ სქესთა პირველადი თანაფარდობის (125-130/100-ზე) ასეთი შემცირება დაბადებისას გამოწვეულია მამრობითი სქესის ჩანასახების მაღალი მოკვდაობით მდედრობითთან შედარებით ჯერ კიდევ დაბადებამდე. **სქესთა მეორეული თანაფარდობა განაპირობებს მამაკაცების მეტობას ახალგაზრდა ასაკებში**.

სქესთა მეორეული თანაფარდობა შემჩნეული იქნა ფლორენციაში XIV საუკუნეში ცნობილი ფლოროენციელი მემატიანის **ჯოვანი ვილანის** მიერ. საქმე ისაა, რომ შუა საუკუნეების ფლორენციაში არსებობდა ჩვეულება: ტაძარში ბავშვების ნათლობისას განსაკუთრებულ ყუთში მუხუდოს მარცვლებს ყრიდნენ. გოგონას ნათლობისას ყუთში აგდებდნენ თეთრ მარცვალს, ბიჭის ნათლობისას – შავს. ვილანის აზრად მოუვიდა დაეთვალა თეთრი და შავი მარცვლების თანაფარდობა სხვადასხვა წლებისათვის. თანაფარდობა აღმოჩნდა მყარი – ყოველ 100 თეთრ მარცვალზე მოდიოდა 105-106 შავი მარცვალი. **ასე დადგინდა ფუნდამენტალური ფაქტი – ახალშობილებში სქესთა თანაფარდობის სიმყარე** [1, გვ.104-105]. აღნიშნული თანაფარდობა დაადგინა ჯონ გრაუნტმაც, რა თქმა უნდა დამოუკიდებლად, რამდენადაც ეჭვს გარეშეა, რომ ვილანის აღმოჩენაზე მას წარმოდგენა არ უნდა ჰქონოდა. სქესთა მეორეული თანაფარდობა საშუალოდ ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის უცვლელია, თუმცა გარკვეულ პირობებში ადგილი აქვს გარკვეულ გადახრებს. **აღნიშნული სქესთა მეორეული თანაფარდობა წარმოადგენს ნორმალურ დემოგრაფიულ მდგომარეობას. ანომალიურს წარმოადგენს მისგან შესამჩნევი გადახრა მეტობით ან ნაკლებობით**. ასეთად ითვლება 104-ზე ნაკლები და 107-ზე მეტი დაბადებული ბიჭი 100 დაბადებულ გოგონაზე.

სქესთა მეორეული თანაფარდობა ყალიბდება რიგი ფაქტორის გავლენით. **დადგენილია, რომ ბიჭების წილი ყველაზე მაღალია პირველ ბავშვებში,** შემდეგ კი, რიგითობის ზრდის კვალობაზე მცირდება. აღნიშნული ფაქტის უშუალო შედეგად ითვლება დიდი ომების შემდგომ დაბადებულებში მამრობითი სქესის ბავშვების ხვედრი წილის ზრდა, ვინაიდან ომების დამთავრების შემდეგ იქმნება მრავალი ახალი ოჯახი, რასაც მოსდევს დაბადებულებში პირველი ბავშვების ხვედრი წილის ზრდა. **შემჩნეულია სქესთა მეორეული თანაფარდობის დამოკიდებულება მშობლების ასაკთან**. კერძოდ, მამის ასაკის ზრდასთან ერთად პროპორციულად მცირდება დაბადებულებში ბიჭების ხვედრი წილი, ხოლო დედის ასაკის ზრდისას ის ნაკლებადაა გამოხატული. გაეროს დემოგრაფების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ **აფრიკული და ნეგროიდული წარმოშობის ხალხებში სქესთა მეორეული თანაფარდობა 104-ზე დაბალი იყო**, მაშინ, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობის 63 ჯგუფიდან 49-ში ის მერყეობდა 104 და 107-ს შორის. ვარაუდობენ, რომ ნეგროიდულ მოსახლეობაში სქესთა მეორეული თანაფარდობა **შეიძლება დაკავშირებული იყოს გენეტიკურ მიზეზებთან** [2, გვ. 757-759].

სქესთა მეორეული თანაფარდობა საქართველოში შემდეგნაირია: 1960-1992 წლებში თანაფარდობა ტრადიციულად ტოლია 105-106/100-ზე. 1993 წელს მან შეადგინა 107,5, 1994 წელს – 109,6. 1995 -2007 წ.წ. ის პრაქტიკულად 111-ის ტოლია. 2008 წლისთვის 100 გოგონაზე მოდიოდა 128 ბიჭი, 2009 წელს - 105, 2010 წელს - 108, 2011 წელს - 110, 2012 წელს - 110, 2013 წელს - 108, 2014 წელს - 107, 2015 წელს - 110. რიგი გამოკვლევებით დადგინდა, რომ 1994-1997 წლებში საქართველოში დარღვეული იყო სქესთა მეორადი თანაფრდობა დაბადებულების რიგითობის და დედის ასაკის მიხედვით და ტრადიციულთან შედარებით საპირისპირო ხასიათს ატარებდა. კერძოდ, დაბადებულებში ბიჭების ხვედრი წილი რიგითობის და დედის ასაკის ზრდის კვალობაზე, კი არ მცირდებოდა, არამედ იზრდებოდა [3, გვ.71,73,75; 4, გვ.45,48]. ანალოგიური სიტუაცია მივიღეთ 2004-2007 წლებში. თანაფარდობამ მთლიანად ქვეყანაში შეადგინა 111. მათ შორის დედის ასაკის მიხედვით: 15-19 წელი – 109; 20-24 წელი – 109; 25-29 წელი – 112; 30-34 წელი – 114; 35-39 წელი – 117; 40-44 წელი – 120; 45-49 წელი – 96 [5].

დაბადების რიგითობის მიხედვით 2004-2007 წლებში თანაფარდობა ტოლი იყო: პირველ ბავშვებში – 104; მეორეებში – 115; მესამეებში – 144;, მეოთხეებში – 146; მეხუთეებში – 116; მეექვსე და მეტი – 120 [5]. იმავდროულად, პირველი ბავშვების ხვედრი წილი დაბადებულებში 1990-2007 წლებში 44,5-დან 52,7%-მდე გაიზარდა, რასაც ბიჭების ხვედრი წილის ზრდა არ მოყოლია.

გარკვეულწილად სქესთა მეორეულ თანაფარდობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სქესთა ადრეული დიაგნოსტიკის მასობრივმა გავრცელებამ ორსულობის პერიოდში. ვარაუდობენ, რომ, ვინაიდან საქართველოში ბიჭის დაბადებას უპირატესობასანიჭებენ გოგონასთან შედარებით, ორსულობას გოგოს შემთხვევაში ხელოვნური აბორტით წყვეტენ. ამ მხრივ შეიძლება გასაგები იყოს მესამე და შემდგომი რიგითობის დაბადებულებში სქესთა მეორეული თანაფარდობის მნიშვნელოვანი მატება. მაგრამ, საეჭვოა აბორტების მასობრივი გავრცელება 40 წლის ასაკის ზემოთ და თანაც პირველი ორსულობისას [3, გვ.75-76]. **აღნიშნული მოვლენა თანამედროვე დემოგრაფიაში შეიძლება ჩაითვალოს თეთრ ლაქად**.

სქესთა მეორეულ თანაფარდობასთან დაკავშირებით განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა ჩინეთში. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის შეჩერების მიზნით ჩინეთში ტარდება პოლიტიკა – "ერთი ოჯახი, ერთი შვილი." ამასთან მეორე შვილის დაბადების შემთხვევაში მშობლები ვალდებულნი არიან გადაიხადონ დიდი ჯარიმები, რისი საშუალებაც ოჯახებს უბრალოდ არა აქვთ. ჩინელთა წარმოდგენით მშობლებზე სიბერეში იზრუნებს ვაჟიშვილი. **ამიტომ გოგონებს უკეთეს შემთხვევაში მალავენ ლეგალური ვაჟიშვილის დაბადებამდე**. შედეგად სქესთა მეორეული თანაფარდობა ჩინეთში შეადგენს 120 ბიჭს 100 გოგონაზე. ეს ნიშნავს, რომ **უკიდურესადაა დარღვეული ბუნებრივი დემოგრაფიული წონასწორობა**, რაც ბიჭებს უკვე დაბადებისას აყენებს უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობაში. მრავალ მილიონ ჩინელ მამაკაცს უკვე დაბადებისას აქვს წართმეული ჩინეთში დაქორწინების შანსი და მოუწევს საცოლეს ძებნა ჩინეთის გარეთ.

3. **მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოკვდაობა, მიგრაცია და ომები**. აღნიშნული ფაქტორები აყალიბებს სქესთა მესამეულ თანაფარდობას, ე.ი. თანაფარდობას მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობას შორის დაბადების შემდგომ ასაკებში.

მოკვდაობა, როგორც მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორი, მდგომარეობს მამაკაცების და ქალების მოკვდაობის დონეთა და შესაბამისად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თანაფარდობაში. განვითარებულ ქვეყნებში, მამაკაცების მოკვდაობა აღემატება ქალებისას. მამკაცების "ზემოკვდაობას" ადგილი აქვს დაბადების შემდეგ ყველა ასაკში, მაგრამ ის გაცილებით შესამჩნევია საშუალო და მაღალ ასაკებში. აღნიშნული მიზეზის გამო მამაკაცების მეტობა დაბადებულებში "ინახება" 20-24/29 წლამდე, რომელიც შემდგომ ნაკლებობით იცვლება. ამასთან, რაც უფრო მაღალია ასაკი, მით ნაკლებია მამაკაცების რიცხვი. იმავდროულად, მოკვდაობის დაბალი დონე ქალებში განაპირობებს მამაკაცებთან შედარებით სიცოცხლის მაღალ საშუალო ხანგრძლივობას, რაც სქესობრივი დისპროპორციის ფაქტორს წარმოადგენს. მაგალითად, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებისას დღეისათვის აღემატება: საქართველოში 9 წლით, კანადაში და აშშ – 5 წლით, მთლიანად ევროპაში – 8 წლით და ა.შ.

მართალია, დღეისათვის ჩინეთსა და ინდოეთში ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობამ 3 წლით გადააჭარბა მამაკაცებისას, მაგრამ ახლო და შორეულ წარსულში ქალების დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობით განპირობებული მამაკაცების მეტობა დღესაც შენარჩუნებულია და როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობებს მამაკაცების მეტობას მთელ მსოფლიოში. **მსოფლიოში დარჩენილია რამდენიმე სახელმწიფო, კერძოდ, მალი, ბოტცვანა და სვაზილენდი, სადაც ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა მამაკაცებისაზე ერთი წლით ნაკლებია** [6, გვ.324].

პროფესორ ბ.ც. ურლანისის გაანგარიშებით, სიცოცხლის საშუალო ბიოლოგიური ხანგრძლივობა ქალებისათვის შეადგენს 88, ხოლო მამაკაცებისათვის 86 წელს [7, გვ.251]. აქედან გამომდინარე, ბუნებამ იზრუნა იმისათვის, რომ აღნიშნული განსხვავება, – 2 წელი, კომპენსირდება დაბადებულებში მამრობითი სქესის მეტობით, სქესთა მეორეული თანაფარდობით. ორ წელზე მეტი სხვაობა მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობაში განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. **დღეისათვის სიცოცხლის ყველაზე მაღალი ხანგრძლივობა ქალებში**, 87 წელი, დაფიქსირებულია ჰონკონგში, 86 წელი - მაკაისა და იაპონიაში; 85 წელი - სამხრეთ კორეაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში; 84 წელი **-** ნორმანდიის კუნძულებზე, ფინეთში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, ლიხტენშტეინში, ლუქსემბურგში, იტალიაში, ავსტრალიაში. **მამაკაცებში ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა -** 81 წელი, დაფიქსირებულია ისლანდიაში; 80 წელი - ისრაელში, იაპონიაში, ლუქსემბურგში, შვეიცარიაში, იტალიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

საქართველოში, 2015 წელს, სიცოცხლის საშუალო ხანგრლივობა ახლადდაბადებულისთვის შეადგენს 72,9 წელს, მათ შორის მამაკაცებში - 68,6 , ხოლო ქალებში - 77,2 წელს.

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს სქესობრივ სტრუქტურაზე მოქმედ ფაქტორს. როგორც წესი, მამაკაცებში მიგრაციული აქტიურობა უფრო მაღალია, ამიტომ მიგრანტთა რეციპიენტ ქვეყნებში ჭარბობს მამაკაცების რიცხოვნობა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, სადაც მამრობითი სქესის სამუშაო ძალის ინტენსიური შემოდინების შედე-

გად მამაკაცების ხვედრი წილი 55-65% აღწევს, მათ შორის ქუვეითსა და ყატარში 61,4 – 66,2% , რაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის დაფიქსირებული.

ომები იწვევს მოსახლეობის მასობრივ განადგურებას, მაგრამ ძირითადად იღუპებიან მამაკაცები. ამის გამო ომში მონაწილე ქვეყნები მკვეთრად გამოხატული სქესობრივი დისპროპორციით გამოირჩევიან. მეორე მსოფლიო ომში მამაკაცების ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ. ამიტომ ომის შემდეგ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეინიშნებოდა მამაკაცების ისეთი დაბალი წილი, როგორც ამ ქვეყნებში. მაგალითად, 1950 წელს საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში მამაკაცები შეადგენდნენ 43,9%, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 44,4%, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 46,7%, მაშინ როდესაც 1950 წელს მსოფლიოში მამაკაცები მოსახლეობის 50,0% შეადგენდნენ [8,გვ. 236-238].

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობა მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომლის კვლევისათვის ერთი სტატია საკმარისი არ არის. თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის იმსახურებს უფრო ღრმა, მონოგრაფიულ გამოკვლევას, განსაკუთრებით მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობასთან კავშირით, რაც ჩვენი მომავალი კვლევის საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბილისი. გამომცებლობა სამშობლო, 1993, 287 გვ.
2. Детерминанты и последствия демографических тенденций. Том 1, Часть четвертая. ООН, Нью-Йорк, 1975, 181стр.
3. მელაძე გ. წულაძე გ. საქართველოსმოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბილისი,გამომცემლო პაკო, 1997, 102 გვ.
4. წულაძე გ., მელაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. 1997. თბილისი, გამომცემლობა პაკო, 1998, 72 გვ.
5. საქსტატის მასალები.
6. წულაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული. თბილისი, გაეროს გამომცემლობა, 2014, 332 გვ.
7. Урланис Б.Ц. Эволюция продолжительности жизни. Москва. Статистика, 1978. 308 стр.
8. Народонаселение стран мира. Москва, Финансы и статистика, 1984, 445 стр.

Formation of Gender Composition of Population

M. Khmaladze

Summary

Gender composition of population has an important demographic, social, economical and psychological loading. Social-psychological relations between genders, relations on marriage market, demographic processes, gender character of employment etc. specifically depend on gender composition of population. According to the age, in ages from 0-24/29 number of men exceeds number of women, and afterwards it is replaced by excess of women. Despite of women's excess in developed countries, in 2016 on the earth there was fixed that men exceed women in number by 66 million, and this basically on account of China and India. Population of Georgia for January 01, 2016 makes up 3.72 mln., hence men are 1.78 mln., and women – 1.94 mln.

Keywords: *Population, gender composition, number of men, number of women, duration of life*.

მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური ასპექტები (კონცეპტუალური მიმოხილვა)

ჩარიტა ჯაში,
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ჯანგულაშვილი,
თსუ-ის დოქტორანტი

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური ასპექტების კერძოდ, სოციალური მარკეტინგის, კორპორაციული სოციალური მარკეტინგისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების კონცეპტუალური მიმოხილვა, მათი მსგავსებისა და განსხვავების წარმოჩენა, მისი პრაქტიკული განხორციელების მნიშვნელობის გააზრება. მომხმარებელთან კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე ურთიერთობების ფორმირება და ეთიკური პრინციპების გათვალისწინება კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიისათვის სავალდებულო ხდება.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური მარკეტინგი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კეთილდღეობა, კომპანიის იმიჯი, მოთხოვნა.*

თანამედროვე გლობალურ სამყაროში გამწვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე ფოკუსირება და მისი გადაჭრის გზების ძიება ბიზნეს კომპანიების საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის გარეშე. აპრიორია, რომ კომპანიის ბიზნეს საქმიანობა უნდა შესაბამებოდეს საზოგადოების სამართლებრივ გარემოს, ტრადიციულ ეთიკურ და უსაფრთხოების ნორმებს. კომპანიის იმიჯი მხოლოდ ახალი პროდუქტის ფორმირებისა და დივერსიფაკაციის უნარით არ განისაზაღვრება, არამედ იმ სოციალურად ორიენტირებული პრინციპების გატარებით, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების უსაფრთხოებასა და მის სარგებლიანობას. კომპანიამ, ეკონომიკურ ფასეულობების შექმნასთან ერთად, უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივი სარგებლის მიწოდების გარანტიებს. ბიზნესს კომპანია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობს და სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება [1]. გაცილებით ხელსაყრელია კომპანიას ჰყავდეს გათვითცნობიერებული და შეძლებული მყიდველები, ვიდრე ღარიბი და ნაკლებად გავითცნობიერებული. ამიტომაც კომპანიამ სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალურ გაუმჯობესებაზე უნდა იზრუნოს, რათა საფრთხე არ შეექმნას კორპორაციების ინტერესებს. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ჩემბერლინი მართებულად აღნიშნავს, რომ „კორპორაციები მძლავრ დომინირებულ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ინდუსტრიულად განვითარებულ საზოგადოებაში, თუმცა, მათი ერთობლივი სიძლიერე არ არის მობილიზებული საზოგადოების საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტაზე. მსგავსი ქმედება შესაძლებელია მხოლოდ მთავრობის დახმარებით, რომელიც გარდაქმნის არსებულ წესებსა და შეზღუდვებს, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ყველა კორპორაცია.„[2] თითოეული კომპანიის საქმიანობის ეთიკური შედეგები წინასწარ უნდა იქნეს განისაზღვროს, ვიდრე მისი გამოყენება დაიწყებოდეს, რომ ნეგატიურ ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონდეს. მარკეტინგის სოციალური ასპექტები ორ დიდ კატეგორიად შეგვძლია განვიხილოთ: მარკეტინგის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა. ეთიკური ნორმების შესაბამისად მოქმედება ნიშნავს, რომ კომპანია ასრულებს დანაპირებს მომხმარებლებისა და ბიზნეს პარტნიორებადმი, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქცია მაღალი ხარისხისაა და მთლიანად არის გათვალისწინებული მომხმარებელთა მოთხოვნები და ინტერესები. საპასუხოდ კომპანია ღებულობს მომხმარებელთა კეთილგანწყობასა და ლოიალურ დამოკიდებულებას. მარკეტინგი მჭიდროდაა დაკავშირებული სხვადასხვა საზოგადოებრივ და სოციალურ პრობლემებთან, ისინი იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ მარკეტინგი ასრულებს კომპანიასა და საზოგადოებას შორის შემაკავშირებელი რგოლის ფუნქციას, პასუხისმგებლობის ნაწილი გარკვეულად ეკისრება სოციალური პრობლემებით დაკავებულ მარკეტოლოგებს [3; 4].

სოციალური მარკეტინგი და სოციალური პასუხისმგებლობა მარკეტინგის თანამედროვე მიმართულებებია. ორივე ბიზნესის ქცევის სტანდარტებსა და მორალურ ფასეულობებს განიხილავს. საზოგადოებაში ხშირად არსებობს კონფლიქტი არსებულ ცხოვრების სტილსა და შემოთავაზებულ სოციალური

ცვლილებებს შორის. თუ ეს კონფლიქტი დროულად არ იქნა აღმოფხვრილი პრობლემა შეექმნება კომპანიებსა და მთლიანად საზოგადოებას [5].

სოციალური მარკეტინგი მარკეტინგის ის მიმართულებაა, რომელიც უშუალო კავშირშია გარემოში მიმდინარე პროცესებთან, რაც აუცილებლად საჭიროებს შემდგომ ცვლილებებს. სოციალური მარკეტინგი მომხმარებელთა არა მარტო კერძო ჯგუფის ინტერესების გამტარებელია, არამედ საზოგადოების კეთილდღეობის ხელშემწყობია. ანდრესენი თავის ცნობილ წიგნში „ეთიკური პრობლემები სოციალურ მარკეტინგში„ აღნიშნავს, რომ სოციალური მარკეტინგი სთავაზობს საზოგადოებას მიიღოს ან არ მიიღოს ახალი ქცევა. სოციალური კამპანია თავისი შინაარსით ეფუძნება ეთიკური საკითხების კომპლექს [6].

სოციალური მარკეტინგის მიდგომა და დამოკიდებულება უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანთა კეთილდღეობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, ეკოლოგიური, ჯანრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, სრულფასოვანი ინფორმაციის მიღებას და მომხმარებლის უფლებების დაცვას. სოციალური ცვლილებების კამპანიის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საფუძვლიანი ინფორმაციის მიწოდებას, სრულ, დამაჯერებელ არგუმენტებს, თუ რატომ უნდა მოხდეს ცვლილებები. ამისათვის უნდა არსებობდეს სათანადო რესურსები, როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური [7].

მარკეტინგი საზოგადოებაზე ორიენტირებულ სტრატეგიას იყენებს მაშინ, როდესაც კარგად აქვს შესწავლილი მიზნობრივი აუდიტორია, საზოგადოებაში არსებული ცალკეულ ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნები. სოციალური მარკეტინგის სპეციალისტები პიროვნების თვითშეფასების ამაღლებას უწყობენ ხელს, ამავდროულად იზრდება საზოგადოების თვითშეფასების დონეც და მათი აქტიურობა. სოციალური მარკეტინგის საშუალებით ყოველგვარი კომერციული მიზნების გარეშე ხდება ზემოქმედება საზოგადოებრივ მოთხოვნაზე. იგი საზოგადოების უდიდესი მონაპოვარია, რომელიც ცდილობს მაღალი ფასეულობების დამკვიდრებას საზოგადოებაში და სარგებელით მათ უზრუნველყოფას [8].

სოციალური მარკეტინგი სოციალური ცვლილებების მართვის ახალი ტექნოლოგიაა. იგი არის ინსტიტუციური, სახელმწიფო დონეზე წარმართული პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ პროცესებზე, დამოკიდებულების ფორმირირებაზე. სოციალური მარკეტინგი თავის კონკრეტულ საქმიანობას იწყებს მიზნობრივი აუდიტორიის ქცევის ცვლილებების მოსახდენად. ცვლილებების კამპანიის მესვეურებს მიაჩნიათ, რომ მიზნობრივი აუდიტორიის ქცევა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებას ახალი, სასურველი ქცევის მიღებას. საჭიროა გარკვეული ძალების კონსოლიდაცია,რათა ნებაყოფლობით ცვლილებები მოხდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

სოციალური მარკეტინგის კამპანიის დროს ხშირია სკეპტიკური დამოკიდებულება, ეჭვის ქვეშ დგება სოციალური ინიციატივები, რომლებსაც სოციალური მარკეტინგი უჭერს მხარს. არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი კ. დევისი მიიჩნევს, რომ ბიზნესი არ შეიძლება განვითარდეს საზოგადოებისაგან იზოლირებულად. მისი აზრით ბიზნესი უნდა პასუხობდეს საზოგადოებრივ მოთხოვნებს. კომპანიის საქმიანობის მაჩვენებლები სწორედ ამ კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს.{9} კომპანიამ უნდა აღიაროს იმ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სარგებლის მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება როგორც თვისებრივი პარამეტრებით, ისე გაყიდვის, ამონაგებისა და მოგების რაოდენობრივი მაჩვენებლებით, რომლებითაც ტრადიციულად იზომება ბიზნეს-სტრუქტურის მარკეტინგული საქმიანობა. საზოგადოების დამოკიდებულება სოციალური ცვლილებების პროცესისადმი ძალიან მნიშვნელოვანია. მიზნობრივი აუდიტორიის დარწმუნებისა და სტიმულირების სხვადასხვა მეთოდით უნდა მოხდეს სოციალურ პროცესებზე ზემოქმედება. სოციალური იდეის მიმზიდველად წარმოჩენა და მისი ისეთი `შეფუთვა`, რომ გამოიწვიოს საზოგადოებრივი მომხმარებლის კეთილგანწყობა და მზადყოფნა ახალი სოციალური პროდუქტის მისაღებად. მნიშვნელოვანია საერთო ეთიკური პრინციპების ერთიანობა [10; 11; 12].

კორპორაციული სოციალური მარკეტინგი ქცევის ცვლილებებაზე მიმართული კამპანიების მხარდაჭერაა იმ შემთხვევაში, როდესაც ბიზნეს კომპანიები მონაწილეობას იღებენ მწვავე სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, როგორიცაა სოციალური კამპანიები შიდსის , ჰეპატიტის, მალარიის წინააღმდეგ , ეკოლოგიური და გარემოს დაცვის და ა.შ. კორპორაციული სოციალური მარკეტინგი იყენებს ბიზნეს რესურსებს ქცევის შეცვლის კამპანიის განსახორციელებლად, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოს გაუმჯობესება მომგებიანი ქცევის ცვლილება ყოველთვის აქცენტირდება კონკრეტულ სოციალურ შედეგზე [13]. კორპორაციული სოციალური მარკეტინგი დიდ გავლენას ახდენს კომპანიის ბიზნესს საქმიანობაზე,მის მენეჯმენტზე, კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის განმტკიცებაზე, რაც მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ლოიალურობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის ავტორიტეტს, მის სანდოობას და მომხმარებელთა ლოიალურობას კომპანიისადმი. კორპორაციული სოციალური ინიციატივების განხორციელება, ეთიკური პრინციპების

გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ საზოგადოებრივ სარგებელს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მომხმარებლის აღქმა კომპანიის კორპორატიული სანდოობის შესახებ.რაც კომპანიის კონკრეტული საქმიანობითაა განპირობებული, როგორიცაა: კომპანიის ინოვაციური ქმედება, გარემოს დაცვის მხარდაჭერა და საზოგადოების ჩართულობის დონე [14]. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ რამდენიმე ფაქტორი გავლენა ახდენს კომპანიის კორპორაციული სანდოობის აღქმაზე მომხმარებლის მხრიდან. სოციალური კორპორაციული მარკეტინგის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორია სანდოობის განსაზღვრის წინაპირობა.მომხმარებლის ქცევა დამოკიდებულია კომპანიის კორპორაციულ ავტორიტეტსა და სოციალური პრინციპების მხარდაჭერაზე, ანუ როგორია ნდობის წინაპირობა. კომპანიის კორპორატიული სანდოობა ზრდის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ეფექტიანობას, კომპანიის უნარს დაარწმუნოს მომხმარებელები, რომ სოციალურად ორიენტირებული ქცევა განახორციელონ და გახადონ ისინი, ლოიალურები. ფასეულობათა შესაბამისობა უდიდეს როლს თამაშობს კოპორატიული სოციალური მარკეტინგის სანდოობასა და სოციალური ქცევაზე [15]. კომერციული და სოციალური მარკეტინგის სპეციალისტები სოციალური ცვლილებების პროცესებში მონაწილეობისას ითვალისწინებენ ისეთ ეთიკურ სტანდარტებს, როგორიცაა:კომპეტენტურობა, კონფიდენციალობის დაცვა, მაღალი მორალური ზნეობა, პარტნიორობა და ნაკლები აგრესიულობა (იხ: ცხრილი1)

ცხრილი1

კორპორაციული სოციალური მარკეტინგის გამოყენების მაგალითები

ქცევის შეცვლა	**ბიზნესის ტიპი, რომელსაც სარგებლის მოტანა შეუძლია**	**სარგებლის მაგალითები**
ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა	**დაფასოებული საქონლის წარმოება მომხმარებლისათვის**	**სარგებელი ბიზნესისათვის** გაფართოება ჯანსაღი პროდუქტის ბაზრის
	რესტორნების ქსელი და კვების მომსახურების სხვა კომპანიები	**სარგებელი ინდივიდისათვის** ინდივიდისა და ოჯახის ჯანმრთელობის გაუმჯობესება
	სურსათის საცალოდ ვაჭრობა	**საზოგადოებრივი სარგებელი** ინდივიდის, ოჯახის, თემის, საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესება ნაკლები დანახარჯები ჯანმრთელობის მომსახურებაზე
მკურნალობის რეჟიმის დაცვა	**ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიები.**	**სარგებელი ბიზნესისათვის** წამლების გაყიდვების ზრდა მოთხოვნის შემცირება დაზღვევაზე , ინდივიდითა ჯანმრთელობისა და დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერების ზრდა
		ინდივიდთა სარგებელი დაავადების რიცხვის და სიკვდილიანობის შემცირება , ნაკლები დანახარჯები მომსახურებაზე
		საზოგადოებრივი სარგებელი ჯანმრთელი ინდივიდები, დასაქმებული ,საზოგადოება

წყარო: Bezingram B., Beall, T.,Wayman F. and Briggs M.(2012) From cause to change ,the red papers: Ogilvy &Mayer.p:60-61

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის მიდგომა, როდესაც კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეების კონტრიბუციას სასურველი ქცევის მისაღებად. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ფოკუსირდება საკუთარ თანამშრომლების ზრუნვაზე, გარემოს დაცვასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, სადაც კომპანიის კორპორაციული ინტერესებია წინწამოწეული. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრობლობა სამთავრობო სტრქუტურებთან, ისეთი მარკეტინგული სტრატეგიის დანერგვა, რომელიც არ შეუქმნის პრობლემებს სოციალურ ჯგუფებს და შესაბამისობაში იქნება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკური ინტერესებთან.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულებაა, გააუმჯობესოს კეთილდღეობა დისკრეციული ბიზნეს პრაქტიკისა და კორპორაციული რესურსების გამოყენებით. სოციალური პასუხისმგებლობის ცნობილი პირამიდა 1991 წელს შექმნა ამერიკელმა მეცნიერმა ა. კეროლმა. იგი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობას განიხილავს 4 დონეზე: საქველმოქმედო პასუხისმგებლობა, ეთიკური პასუხისმგებლობა, სამართლებრივი და ეკონომიკური პასუხისმგებლობა [15].კეროლი ოთხდონიან პირამიდის მოდელს დეტალურად წარმოადგენს, თუ რამდენად არსებითია კომპანიისათვის სხვადასხვა პასუხისმგებლობის გაზიარება და განხორციელება. იგი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის პირამიდა ერთიანობაში უნდა იყოს გააზრებული და მისი განხილვა ფრაგმენტულად დაუშვებელია. სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების მიღება გადამწყვეტია მომხმარებლისთვის, რომლისთვისაც ეთიკური ნორმები დაცვა სოციალური ვალდებულებაა.(იხ: ცხრილი 2.)

ცხრილი 2

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პირამიდის მოდელი

სოციალური პასუხისმგებლობის ეკონომიკური კომპონენტი
მოგების მაქსიმიზაცია
მომგებიანობის ზრდა შესაძლებლობების ფარგლებში
კონკრენტუნარიანობის შენარჩუნება
ეფექტიანობის შენარჩუნება
წარმატებული კომპანია მუდმივად მომგებიანია
სოციალური პასუხისმგებლობის საკანონმდებლო კომპონენტი
კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედება
ფედერალური, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი კანონების დაცვა
იყო კანონმორჩილი კორპორაციული მოქალაქე
წარმატებული კომპანია კანონვალდებულია
საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფა, რომელიც კანონმდებლობის მინიმალურ მოთხოვნებს მაინც აკამყოფილებს
სოციალური პასუხისმგებლობის ეთიკური კომპონენტი
საზოგადოების მოლოდინის გამართლება ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით
ახალი ეთიკური ნორმების აღიარება და პატივსცემა
კორპორაციული მიზნების მისაღწევად გარკვეულ კომპრომისებზე უარის თქმა
სოციალური პასუხისმგებლობის ფილანტროპული კომპონენტი
საზოგადოების აზრის გათვალისწინებით ქველმოქმედების განხორციელება
სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების მხარდაჭერა
თანამშრომლების ნებაყოფლობითი მონაწილეობა ქველმოქმედებაში
საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა
მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მხარდამჭერი პროექტების განხორციელება

წყარო: Carroll , A., B (1991), "The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders",Business Horizons/p:39-48

იმ შემთხვევში თუ კომპანიია კარგად ასრულებს ვალდებულებებს , რაც კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობის პრინციპით არის გათვალისწინებული, იგი საპასუხოდ მომხმარებელთა კარგ განწყობასა და ლოიალურობას იღებს [16] თუ როგორ აღიქვამენ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივებს მომხმარებლები საინტერესო კვლევა იქნა ჩატარებული ამერიკელი მეცნიერების მიერ, [17] მოცემულ ნაშრომში კარგად არის გაანალიზებული მომხმარებელთა პოზიტიური დამოკიდებულება იმ კომპანიებისადმი,რომლებიც ატარებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც კომპანიის კერძო ინტერესებს უსადაგებენ საზოგადოებრივ ინტერესებს. კორპორატიული სოციალური ინვესტიცია არის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ერთერთი ასპექტი, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი მოაქვს, როგორც საზოგადოებისათვის, ამავდროულად, თავად კომპანიისთვის [18]. ხშირია შემთხვევა, როდესაც მომხმარებელი ბოიკოტს უცხადებს იმ კომპანიებს, რომლებსაც სოციალური ანგარიშგების პრინციპი დამკვიდრებული არ აქვს. სოციალური პასუხისმგებლობის შემთხვევაში

მთავარი მონაწილე კომპანიაა, რომელიც საკუთარი ინტერესების შესაბამისად, გაცვლის საფუძველზე ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მომხმარებელზე, ცალკეული საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების მცდელობის ხარჯზე [19]. სოციალური მარკეტინგი განსხვავდება კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობისაგან. სოციალური მარკეტინგი მომხმარებლის ახალი ქცევის ადაპტაციაა გარემოსთან, რის შედეგაც იწყება გავლენის მოხდენა გარშემოყოფზე, რასაც სოციალური სარგებლობის მოტანა შეუძლია. სოციალური მარკეტინგი უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივ მომხმარებელთა მოთხოვნებს და მოთხოვნებიდან გამომდინარე განსაზღვრავს პროდუქციის ხარისხს, განაწილების ადგილსა და გავრცელების ფორმებს. მარკეტინგული გადაწყვეტილების საფუძველი ხდება ბიზნესის ურთიერთობების სოციალურ-ეთიკური ნორმები, კომერციული საქმიანობების საერთაშორისო კოდექსები და წესები, მომხმარებელთა და საზოგადოების მთლიანი ინტერესები [20]. კორპორაციის მიერ ნებაყოფლობით განხორციელებული საქმიანობა გარემოს დაცვის, პერსონალის განვითარების, შრომის უსაფრთხოებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი დაჯგუფებების ხელშეწყობის მიმართულებით კორპორაციის ბიზნესის განვითარების მიზნებსა და სტრატეგიასთან თანხვედრაში უნდა იყოს.

მარკეტინგის სოციალურ-ეთიკური ასპექტების კონცეპტუალური მიმოხილვა ნათლად წარმოაჩენს მის მნიშვნელობას საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფისათვის აუცილებელია მოქნილი კანონმდებლობის ფორმირება, რომელიც კარგ სტიმულს მისცემს ბიზნეს ქველმოქმედების განვითარებისთვის.მარკეტინგის სოციალურ ეთიკური პრობლემების გაზიარება, აქტიური სტრატეგია სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია ყველა კომპანიისათვის [21]. სოციალური მარკეტინგის ეფექტიანი ინტერვენცია კი საზოგადოებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა ნ. ჯაში ჩ.(2013) სოციალური მარკეტინგის გამოწვევები, თსუ მეცნიერება, 2013
2. Chamberlin E., The Theory of Monopolistic Competition: A Reorientation of the Theory of Value, (Cambridge, MA: Harvard University Press, 1962.
3. Danovan R.& Henley N. (2010)Principles and practice of social marketing, Cambridze Univer.Press, p:17-25
4. Jones, S. C. & Hall, D. V. (2006). Ethical issues in social marketing. Proceedings of the 3rd Australasian Non-profit and Social Marketing Conference Newcastle,10-11 August 2006
5. Levy, J. & Zaltman G . Marketing, society and conflict. Engle-wood Cliffs, New Jersey: Prentice Hall. 1975.p:24-35
6. Andreasen, A. (ed)Ethics in Social Marketing, Georgetown University Press, 2009, p: 229
7. Brenkert, G. (2002) Ethical challenges of social marketing. Journal of Public Policy & Marketing, 21 (1): 14-25.
8. Bates, D. (2009) Social marketing : strategies for changing public behavior/Social marketing; Promoting the causes of public and nonprofit agencies. Journal of Marketing, vol:55, no.1,
9. Davis, K. (1967),Understanding the social responsibility puzzle, Business Horizons, Vol.10, p:.45–50;
10. Dann, St.& Dann S. Insight and Overview of Social Marketing, 2009, p:2-42
11. Lee, N & Kotler, P.(2012). Social marketing: influencing behavior for good (4rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage.(P:132) The Handbook of Persuasion and Social Marketing [3 volumes] (2015) edited Stewarts D., Praeger p: 151-175
12. Kotler P(1982). Marketing for nonprofit organizations. 2nd Edition, New Jersey, .p: 33-45;
13. Inoue ,Y., & Kent A. (2014) Conceptual Framework for Understanding the Effects of Corporate Social Marketing on Consumer Behavior,Journal of Business Ethics, Volume 121, p: 621–633.
14. Hill, R. Becker-Olsen, K (2005) The Impact of Perceived Corporate Social Responsibility On Consumer Behavior,Center for Responsible Business, UC Berkeley.
15. Bezingram B., Beall, T.,Wayman F. & Briggs M.(2012) From cause to change ,the red papers: Ogilvy &Mayer.
16. Carroll , A.(1991), “The Pyramid of Corporate Social Responsibility: Toward the Moral Management of Organizational Stakeholders”,Business Horizons/p;39-48
17. Schwartz, M. S., & Carroll, A. B. (2003). Corporate social responsibility: A three-domain approach. *Business Ethics Quarterly*, 13,p: 503–530)
18. Piercy, N. F. & Lane, N. (2009). Corporate Social Responsibility: Impacts on Strategic Marketing and Customer Value. The Marketing Review, 2009, 4,p: 335-360.

19. Hill, R., Debra St., & Smith J. (2003), Corporate Social Responsibility:An Examination of Individual Firm Behavior, *Business and Society Review*, 108, (September), p:339-362.
20. Akbulit D., Fener T., & Elginler T.(2011)The Difference between Corporate Social Responsibility and Social Marketing: A Comparison between Two Examples Projects Conducted in Turkey, Research Gate.
21. კოტლერი,ფ. კელერი,კ. მარკეტინგის მენეჯმენტი, მე14 გამოცემა, თარგმნილი ქართულ ენაზე, (2016) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,გვ:833-834

Social-Ethic Aspects of Marketing (conceptual overview)

Ch. Jashi
T. Jangulashvili

Summary

The main goal of the work is to overview conceptual social and ethical aspects of marketing, identify the difference and similarity between social marketing, corporate social marketing and corporate social responsibility, highlight the importance of its practical implementations. The favorable agreements not always consider the specific requirements of customers. Fair and transparent relationships between partners became obligatory.

Key worlds: *social marketing, social responsible marketing, well-being, company image, demand best wishes.*

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი

მერაბ ჯიქია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

საწარმოთა ფინანსური კეთილდღეობის ერთ–ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ფულადი საშუალებების შემოდინება იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. ფულადი საშუალებების მინიმალურად აუცილებელი მარაგის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ფინანსური სიძნელეები. ფულადი საშუალებების ზედმეტობა კი მეტყველებს, რომ რეალურად საწარმო განიცდის ზარალს, რაც დაკავშირებულია, პირველ რიგში, ინფლაციასა და ფულის გაუფასურებასთან და მეორე – მათი სარგებლიანი განთავსებით შემოსავლების მიღების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებთან.

გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ საწარმო რა გზით, რა წყაროებიდან ღებულობს ფულად საშუალებებს და როგორია მისი ხარჯვის ძირითადი მიმართულებები. ასეთი ანალიზის ძირითადი მიზანია საწარმოს ფულადი საშუალებების გამომუშავების უნარიანობის შეფასება იმ ვადებში და იმ ოდენობით, რაც აუცილებელია დაგეგმილი ხარჯების გასაწევად. ყოველივე აღნიშნული ამაღლებს ფულადი რესურსების მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელობას საწარმოში.

საკვანძო სიტყვები: *ფულადი ნაკადები, თავისუფალი ფულადი ნაკადები, მიმდინარე საქმიანობა, საინვესტიციო საქმიანობა, ფინანსური საქმიანობა, პირდაპირი მეთოდი, არაპირდაპირი მეთოდი.*

საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაძლებელია საწარმომ საანგარიშგებო პერიოდი მნიშვნელოვანი მოგებით დაამთავროს, მაგრამ ფულადი საშუალებები ნაკლები ჰქონდეს. ფული სამეურნეო საქმიანობაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის საშუალებით ხდება რესურსების შეძენა, ხელფასების გაცემა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა, ხარჯების ანაზღაურება და სხვა. საწარმოს მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადები ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემოდინებას და გადინებას.

ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

წმინდა (ნეტო) ფულადი საშუალებები – ეს არის ფულადი საშუალებების ცვლილების შედეგი (განისაზღვრება, როგორც სხვაობა შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის, როგორც საქმიანობათა სახეობების, ასევე მთლიანად პერიოდის მიხედვით).

იმისათვის, რომ გამოვავლინოთ საწარმოში ფულადი საშუალებების რეალური მოძრაობა, შევაფასოთ მათი მიღებისა და ხარჯვის სინქრონულობა, მიღებული ფინანსური შედეგის სიდიდე დავუკავშიროთ ფულადი ნაკადების მდგომარეობას, საჭიროა გამოვყოთ და გავაანალიზოთ ფულის მიღების (შემოდინების) და გასვლის (გადინების) ყველა მიმართულება [1, გვ.470].

ფულადი საშუალებების მოძრაობაზე სრული ანგარიშგების შედგენისას გამოყოფენ სამ ძირითად სეგმენტს: ფულადი საშუალებების მოძრაობას მიმდინარე, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

ფულადი საშუალებების შემოდინება მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში, პირველ რიგში, დაკავშირებულია ამონაგების მიღებასთან პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების გაყიდვიდან, ასევე მყიდველებისა და დამკვეთებისაგან ავანსების მიღებასთან; გადინება კი დაკავშირებულია მომწოდებლებისა და სხვა კონტრაგენტების ანგარიშების ანაზღაურებასთან, მუშაკების ხელფასის ანაზღაურებასთან, ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორებასთან. ასევე საწარმოს მიმდინარე საქმიანობასთანაა დაკავშირებული პროცენტი ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის (იხილეთ სქემა 1).



სქემა 1. მიმდინარე საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები

ერთ-ერთ პირობას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ფულადი საშუალებების ესა თუ ის ოპერაცია მიეკუთვნოს მიმდინარე საქმიანობას, წარმოადგენს მისი მიკუთვნების შეუძლებლობა საინვესტიციო ან საფინანსო სფეროსათვის.

ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო ჭრილით გამოწვეულია გრძელვადიანი სარგებლობის ქონების შეძენითა (შექმნით) და რეალიზაციით. პირველ რიგში, ეს ეხება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების მიღებასა და გასვლას (იხილეთ სქემა 2).

ფინანსურ საქმიანობაში იგულისხმება ფულადი საშუალებების მოძრაობა, რაც დაკავშირებულია ცვლილებებთან საწარმოს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის შემადგენლობასა და სიდიდეში. მოცემული განაყოფის საკუთარ კაპიტალში ასახული ცვლილებები წარმოადგენს აქციების ემისიის ან სხვა ფულადი საშუალებებით საწესდებო კაპიტალის ზრდის შედეგს. ასევე, მასში აისახება მიღებული საემისიო შემოსავალი (იხილეთ სქემა 3).



- ასევე შეიძლება ასახული იყოს მიმდინარე საქმიანობაში.

სქემა 2. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები



- ასევე შეიძლება ასახული იყოს მიმდინარე საქმიანობაში.

სქემა 3. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები

საწარმოს უნარს, განახორციელოს ინვესტიციები მიმდინარე საქმიანობიდან ფულადი ნაკადების საფუძველზე, ე.ი. ჰქონდეს თვითდაფინანსების უნარი, ასევე გააჩნდეს სხვა სახეობის დაფინანსების წყაროებზე შესაძლო მოთხოვნა, ადასტურებს მაჩვენებელი, რომელმაც მიიღო თავისუფალი ფულადი ნაკადების სახელწოდება – **FCF (free cash flow)** [2, გვ.64].

აღნიშნული მაჩვენებელი ტოლია მიმდინარე (საოპერაციო) და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შედეგის (ჯამის) აბსოლუტურ თანხაში. მისი გაანგარიშება წარმოდგენილია ცხრილში 1.

საქმიანობათა სახეობების მიხედვით ფულად საშუალებათა საერთო ცვლილება

ცხრილი 1

საქმიანობის სახეობები	წმინდა ფულადი საშუალებები	
	გასული პერიოდი	საანალიზო პერიოდი
შემოსულობები:		
1. მიმდინარე საქმიანობა	230806	248065
2. საინვესტიციო საქმიანობა	– 608261	– 51663
3. თავისუფალი ფულადი საშუალებები (სტრ.1+სტრ.2)	– 377455	196402
4. ფინანსური საქმიანობა	408685	– 200540
5. ფულადი საშუალებების საერთო ცვლილება პერიოდის განმავლობაში (სტრ.1+სტრ.2+სტრ.4) ან (სტრ.3+სტრ.4)	31230	– 4138

ფულადი ნაკადების ანალიზის პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგების შედგენის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

პირდაპირი მეთოდი გულისხმობს ფულადი საშუალებების შემოსულობებისა და ხარჯვის შესახებ მონაცემების ასახვას ანგარიშგებაში.

არაპირდაპირი მეთოდი ეყრდნობა მიღებული ფინანსური შედეგების გადაანგარიშებას – წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდეში გარკვეული კორექტივების შეტანის გზით. მაშასადამე, არაპირდაპირი მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს ფინანსური შედეგების სიდიდიდან (მოგება ან ზარალი) გადავიდეთ წმინდა ფულადი საშუალებების მაჩვენებელზე (პერიოდის განმავლობაში ფულადი საშუალებების მთლიანი ცვლილება).

პირდაპირი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა ისაა, რომ შეფასდეს ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გადასახდელების მთლიანი თანხის სიდიდე, გამოვლინდეს ის მუხლები, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს შემოდინებისა და გადინების ფორმირებას განხილული სამივე საქმიანობის ჭრილით. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია, რომელიც ამ მეთოდის საფუძველზე მიიღება, გამოიყენება ფულადი საშუალებების ბიუჯეტის ფორმირებისთვის.

პირდაპირი მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შემოსულობები და გადასახდელები წარმოვადგინოთ სინქრონულად – დროის მიხედვით, რამდენადაც დეტალურად ასახავს ფულადი საშუალებების მოძრაობას ანგარიშებზე, რაც, თავის მხრივ, ოპერატიული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ფულადი საშუალებების საკმარისობის შესახებ მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად, საინვესტიციო საქმიანობისა და სხვა დამატებითი ანაზღაურების გასაწევად. ამასთან, აღნიშნული მეთოდისთვის დამახასიათებელია გარკვეული ნაკლოვანებაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი არ ხსნის ურთიერთკავშირს მიღებულ ფინანსურ შედეგსა და საწარმოს ანგარიშებზე ფულადი საშუალებების ცვლილებებს შორის [1.გვ.486].

როგორც ცნობილია, წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდე არსებითად განსხვავდება იმ თანხისგან, რომელიც მიღებულია, როგორც ფინანსური შედეგი, რასაც, ცხადია, აქვს რამდენიმე მიზეზი. მათ შორის ძირითადია:

1. მოგება (ზარალი) ან ფინანსური შედეგი, რომელიც ასახულია ანგარიშგებაში მოგებისა და ზარალის შესახებ, ფორმირდება დარიცხვის პრინციპის შესაბამისად, მაშინ როცა ფულადი საშუალებების ცვლილებების შედეგი განისაზღვრება საკასო მეთოდით:
   - ბუღალტრულად შემოსავლების აღიარებას შეიძლება თან არ სდევს ფულადი საშუალებების შემოსულობები;
   - იმ ხარჯების არსებობა, რომელსაც კავშირი აქვს მომავალ პერიოდთან, იმას იწვევს, რომ რეალური გადასახდელი თანხა განსხვავდება პროდუქციის თვითღირებულებისგან, რომელშიც შეიტანება მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯები;
   - გადავადებული გადასახდელების არსებობა (ე.ი. დარიცხულია, მაგრამ ხარჯი საანგარიშგებო პერიოდში გაწეული არ არის) ცხადია, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას აღნიშნული ხარჯის სიდიდით, მაშინ როცა ფულადი საშუალებების გადინება არ ხორციელდება;
   - მიმდინარე ხარჯები პირდაპირ მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულებას, კაპიტალური ხარჯები კი ნაზღაურდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საამორტიზაციო ანარიცხების გზით. თუმცა, ხშირად სწორედ კაპიტალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული ფულადი საშუალებების ყველაზე მეტი გადინება.

2. ფულადი საშუალებების ზრდის წყარო აუცილებელი არ არის იყოს მოგება (ასე მაგალითად, ფულადი საშუალებების შემოდინება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მისი მოზიდვით სესხების აღების საფუძველზე). ზუსტად ასევე, ფულადი საშუალებების გადინება ხშირად არ არის დაკავშირებული ფინანსური შედეგის შემცირებასთან.

3. გრძელვადიანი აქტივების შეძენა და მასთან დაკავშირებული ფულადი საშუალებების გადინება არ აისახება მოგების სიდიდეზე, ხოლო მისი რეალიზაცია მოცემული ოპერაციის შედეგით ცვლის ერთობლივ ფინანსურ შედეგს. ამასთან, ფულადი საშუალებების ცვლილება განისაზღვრება მიღებული ამონაგების სიდიდით.

4. იმ ფაქტზე, როცა ფინანსური შედეგი და მოგების სიდიდე ერთმანეთს არ ემთხვევა, უშუალო გავლენას ახდენს ცვლილება საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობაში. მიმდინარე აქტივების მუხლების ნაშთების ზრდა იწვევს ფულადი საშუალებების დამატებით გადინებას და მისი შემოდინების შემცირებას. საწარმოს საქმიანობას სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების მარაგების დაგროვებით თან სდევს ფულადი საშუალებების გადინება; თუმცა, ეს პროცესი გაგრძელდება იმ მომენტამდე, სანამ მარაგები არ იქნება ჩაშვებული წარმოებაში (რეალიზებული), ხოლო მანამდე კი – ფინანსური შედეგის სიდიდე არ შეიცვლება.

5. ფულადი საშუალებების გადინება, რაც დაკავშირებულია სასაქონლო–მატერიალური ფასეულობების შესყიდვასთან, განისაზღვრება კრედიტორებთან ანგარიშსწორების ხასიათით. კრედიტორული დავალიანების არსებობა საწარმოს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს მარაგები, რაც ჯერ კიდევ ანაზღაურებული არ არის. მაშასადამე, რაც უფრო დიდია კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი, მით უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება წარმოებაში ჩაშვებული მატერიალური ფასეულობის მოცულობასა და კრედიტორებისთვის გადასახდელების სიდიდეს შორის.

მიღებულ ფინანსურ შედეგსა და ფულადი საშუალებების სიდიდის ცვლილებას შორის ურთიერთკავშირის გამოსავლენად ტარდება ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი არაპირდაპირი მეთოდით.

პირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით, არაპირდაპირი მეთოდით ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგების შედგენა გულისხმობს არა მარტო ფულადი საშუალებების მუხლების ანალიზს, არამედ ბალანსის აქტივისა და პასივის ყველა მუხლის ანალიზს, რომელთა ცვლილებები გავლენას ახდენს საწარმოს ფულად ნაკადებზე.

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს ფინანსური შედეგი, რიგი მაკორექტირებელი პროცედურის ჩატარების შედეგად, გარდაიქმნება წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდედ მიმდინარე საქმიანობიდან. ფულადი ნაკადები საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან ჩვეულებრივ აისახება პირდაპირი მეთოდით.

შეიძლება გამოვყოთ მაკორექტირებელი პროცედურების განსაზღვრული თანმიმდევრობა.

პირველ რიგში, გამორიცხავენ ფინანსურ შედეგზე ამორტიზაციის დარიცხვის ოპერაციებს (როგორც ხარჯებს, რომელსაც თან არ სდევს ფულადი საშუალებების გადინება) და იმ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივების გასვლასთან.

რამდენადაც მოგების შემცირებას ამორტიზაციის დარიცხვის შედეგად თან არ სდევს ფულადი საშუალებების შემცირება, ამ უკანასკნელის რეალური სიდიდის გასაანგარიშებლად დარიცხული ამორტიზაციის თანხა უნდა დაემატოს ფინანსური შედეგის სიდიდეს [3, გვ.287].

ძირითადი საშუალებების ობიექტებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების გასვლა იწვევს ზარალს მისი ნარჩენი ღირებულების სიდიდით, რომელიც ჩამოიწერება და ამცირებს ფინანსურ შედეგს. სავსებით ცხადია, რომ ოპერაციები ქონების ნარჩენი ღირებულების ბალანსიდან ჩამოწერაზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს ფულადი საშუალებების სიდიდეზე. მაშასადამე, ზარალის თანხა ნარჩენი ღირებულების სიდიდით უნდა დაემატოს ფინანსური შედეგის სიდიდეს.

თუ გრძელვადიანი აქტივების გასვლის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს მოგება, მაშინ წარმოიქმნება სიტუაცია, რომლის შემთხვევაში მისი სიდიდე ორჯერ იქნება გათვალისწინებული: პირველად – წმინდა მოგების შემადგენლობაში და მეორედ – საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ანალიზისას, როგორც გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები.

ორმაგი ანგარიში გამოირიცხება შემდეგი მაკორექტირებელი პროცედურის ჩატარებით: მოგების სიდიდე გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით (გასვლით) გამოირიცხება ფინანსური შედეგიდან, ხოლო ზარალის თანხა დაემატება ფინანსურ შედეგს.

ფინანსურ შედეგსა და წმინდა ფულად საშუალებებს **(წფს)** შორის განსხვავებულობის ერთ–ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს გრძელვადიან აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა. შესაბამისად, საამორტიზაციო პოლიტიკა ფულადი ნაკადების მართვის უმთავრესი ფაქტორია. ამორტიზაციის დარიცხვის დაჩქარებული მეთოდები (აქტივების გამოყენებისა და ექსპლუატაციის პირველ წლებში) ხელს უწყობს ფულადი საშუალებების მეტად შემოდინების უზრუნველყოფას [5, გვ.205].

პროდუქციის (სამუშაოების) მოცულობის პროპორციულად ღირებულების ჩამოწერა შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთს დავუკავშიროთ დასარიცხი ამორტიზაციის თანხა და ძირითადი საშუალებების გამოყენების ინტენსივობა – რაც უფრო ინტენსიურად ხდება ძირითადი საშუალებების გამოყენება, მით უფრო მეტი ფულადი საშუალებების შემოდინების უზრუნველყოფაა აუცილებელი.

ცხრილი 2

ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ
(არაპირდაპირი მეთოდი)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	**თანხა, ლარი**
მიმდინარე საქმიანობა	
წმინდა მოგება	+ 105038
ამორტიზაცია	+ 122303
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლით	+ 54341
მარაგების შემცირება	+ 87073
შეძენილ ფასეულობებზე დღგ–ის გაზრდა	– 11718
დებიტორული დავალიანების გაზრდა	– 186148
მათ შორის:	
მყიდველები და დამკვეთები	– 43791
გაცემული ავანსები	– 51343

სხვა დებიტორები	– 91014
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	+ 79532
მათ შორის:	
მომწოდებლები და მოიჯარეები	+ 88581
შრომის ანაზღაურებაზე	– 12621
სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების წინაშე	+ 18491
ბიუჯეტის წინაშე	– 14692
სხვა კრედიტორები	– 227
მომავალი პერიოდის შემოსავლის შემცირება	– 10590
გადავადებული საგადასახადო აქტივების ზრდა	– 1946
გადავადებული საგადასახდელო ვალდებულებების ზრდა	+ 10180
სულ წმინდა ფულადი საშუალებები მიმდინარე საქმიანობიდან	+ 248065
საინვესტიციო საქმიანობა	
წმინდა ფულადი საშუალებები საინვესტიციო საქმიანობიდან	– 51663
ფინანსური საქმიანობა	
წმინდა ფულადი საშუალებები ფინანსური საქმიანობიდან	– 200540
ფულადი საშუალებების მთლიანი ცვლილება	– 4138
ცნობისთვის:	
ფულადი საშუალებები პერიოდის დასაწყისისთვის	77606
ფულადი საშუალებები პერიოდის ბოლოსთვის	73468

ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს იმ პირობით, რომ საწარმო დაინტერესებულია სტაბილური ფულადი ნაკადებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ მიმდინარე აქტივების ცვლილებების გამომწვევ მიზეზებსა და მის გავლენაზე ფულად ნაკადებზე. აუცილებელია, გვახსოვდეს შემდეგი წესი: საბრუნავი აქტივების მუხლების ზრდა (მაგალითად მარაგების ან დებიტორული დავალიანებების ზრდა) იწვევს იმას, რომ სხვა თანაბარ პირობებში ფინანსური შედეგის სიდიდე (ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ) ყოველთვის მეტი იქნება წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდეზე მიმდინარე საქმიანობიდან.

მიმდინარე აქტივების სიდიდის ცვლილების ერთ–ერთი მიზეზია მისი ბრუნვის სიჩქარის ცვლილება. თუ მიმდინარე აქტივების ზრდა უსწრებს ამონაგების ზრდას, ეს მოწმობს აქტივების ბრუნვადობის შენელებაზე და როგორც შედეგი, შესაძლო პრობლემების წარმოშობაზე ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაში [4.გვ.473].

თუ მიმდინარე აქტივების სიდიდე შემცირდა, აუცილებელია გავარკვიოთ ეს გაყიდვების მოცულობის დაცემის შედეგია, თუ საწარმოს ხელმძღვანელობის შეგნებული პოლიტიკის, რომლის მიზანია ბრუნვადობის დაჩქარება და საშუალებების გამონთავისუფლება.

თუ ანალიზის შედეგად დადგინდა მიმდინარე პასივების მუხლების ზრდა, აუცილებელია დავადგინოთ, დაკავშირებულია თუ არა იგი ამონაგების გადიდებასთან (ამონაგების ზრდას, როგორც წესი, თან სდევს მიმდინარე აქტივების ზრდა, რის შედაგადაც მატულობს კრედიტორული დავალიანების სიდიდე), თუ მოკლევადიანი ვალდებულებების გადიდება დაკავშირებულია საწარმოს გადახდისუნარიანობის პრობლემებთან.

ფულადი ნაკადების ანალიზისას საინვესტიციო საქმიანობიდან მთავარია დავადგინოთ საშუალებათა დაბანდების მიმართულებები: რეალურ აქტივებში, არამატერიალურ აქტივებში, გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს დაფინანსების წყაროების მოზიდვის მიმართულებები. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ შევაფასოთ, აქვს თუ არა საწარმოს უნარი მომავალში დაფაროს ვალდებულებები წარმოქმნილი მოზიდული სესხებითა და კრედიტით. ასევე საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ მიმდინარე და ფინანსური საქმიანობის შედეგები იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულებათა დაფარვის ძირითად სტაბილურ წყაროს წარმოადგენს საშუალებათა ნაზარდი მიმდინარე საქმიანობიდან.

ფულადი ნაკადების ანალიზის შედეგები შეიცავს ღირებულ მმართველობით ინფორმაციას, რაშიც დაინტერესებულია როგორც საწარმოს ხელმძღვანელები, ასევე მისი აქციონერები (ინვესტორები). მისი დახმარებით ხელმძღვანელობას შეუძლია აკონტროლოს საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა, მიიღოს ოპერატიული გადაწყვეტილება მისი სტაბილიზაციისთვის, შეაფასოს დამატებითი ინვესტიციე-

ბის შესაძლებლობა. საწარმოს კრედიტორებს შეუძლიათ შეადგინონ დასკვნა მევალე–საწარმოს საშუალებების საკმარისობისა და მისი უნარის შესახებ – გამოიმუშაოს ფულადი საშუალებები, დავალიანებათა დასაფარავად. აქციონერებს (ინვესტორებს), რომლებიც ფლობენ ინფორმაციას საწარმოში ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, შესაძლებლობა ეძლევათ უფრო დასაბუთებულად მიუდგნენ განაწილებისა და გამოყენების პოლიტიკის შემუშავებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Г.В. Савицкая, Экономический анализ, М, 2014, стр. 483 – 485;
2. А. И. Нечитайло, И. А. Нечитайло, Комплексныи экономический. Ростов – на - Дану, 2014 стр. 64 – 68;
3. Роберт С. Хиггине. Финансовый анализ: инструменти для приниятия бизнес-решенный, 8-е издание, М. 2008, стр. 275 – 280;
4. А. Ф. Ионова, Н. Н. Селезнёва. Финансовый анализ. М. 2008 стр. 472 – 483;
5. О. В. Ефимова, М. В. Мельник. Анализ финансовой отчётности. М. 2008, стр. 2008 - 212.

Cash flow analysis

M. Jikia

Summary

Financial analysis of cash flow accounts should reveal trends of drawing of financial sources. This is necessary for us to evaluate is there ability in an enterprise to fulfill obligations arising from drawn debts and credits. It is also necessary to compare results of current and financial activities providing that the essential stable source for coverage obligations is represented by an increment of means out of current activities.

Results of a cash flow analysis contains valuable governing information in which are interested leaders of an enterprise and the shareholders as well (investors). With its help leaders may supervise the current solvency of the company, to take efficient decision, for its stability, to evaluate possibility of additional investments. Creditors of the enterprise can compile the conclusion about recourses' sufficiency of a debtor enterprise and its ability – work out amounts to cover debts. Shareholders (investors), who have information about movements of cash flows, are given opportunity to undertake more soundly elaboration of policy of their distribution and usage.

Key words: *cash flow, free cash flows, current activities, investment activities, financial activities, direct method, the indirect method.*

გლობალური კონკურენცია და წარმატებული სტრატეგია

ემზარ ჯულაყიძე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის გლობალიზაციისა და მკაცრი კონკურენციის პირობებში, არც ერთ კომპანიას არ შეუძლია განვითარდეს წარმატებული სტრატეგიის გარეშე. კარგი სტრატეგიის ფორმირება მენეჯერის ერთგვარი გამოცდაა პროფესიულ თვისებებსა და იმ უნარ-ჩვევებში, თუ რამდენად შეუძლია მას შეიმუშაოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელშიც ზუსტად აისახება, ერთი მხრივ, საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და მეორე მხრივ, მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობასაც იძლევა. შესაბამისად, წარმატების მსურველ მენეჯერთა ამოცანაა ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მათზე სწორი რეაგირება და ბიზნეს-წარმატებისათვის გამოყენება. ფაქტია, რომ წარმატებულია მხოლოდ ის სტრატეგია, რომლის დროსაც მიღწეული იქნება სასურველი შედეგი. ასეთ სტრატეგიას, ჩვენი აზრით, უნდა ახასიათებდეს ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა: მთლიანობა, უწყვეტობა, სიზუსტე და მოქნილობა. რაც მათ წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში გამოადგებათ.

საკვანძო სიტყვები: *სტრატეგიული კურსი, პოტენციური საფრთხეები და შესაძლებლობები, ცვლილებებთან ადაპტირება, კონკურენტული უპირატესობა, ბიზნეს-წარმატება, პროგნოზირებადი სტრატეგია.*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ეკონომიკის გლობალიზაციისა და მკაცრი კონკურენციის პირობებში, არც ერთ კომპანიას არ შეუძლია იარსებოს განვითარების ზუსტად ფორმულირებული სტრატეგიის გარეშე. საქმე ისაა, რომ უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით ყველა ახლადშექმნილი კომპანია, უმალ ხდება მსოფლიო ბაზრის მონაწილე. შესაბამისად, ნებისმიერი კომპანია, მიუხედავად მათი სიძლიერისა, უცებ შეიძლება საფრთხის წინაშეც კი აღმოჩნდეს, თუ მისმა მენეჯმენტმა მუდმივად თვალყური არ ადევნა კონკურენტებს და სასურველი მიზნებისა და შესაბამისი სტრატეგიების ფორმირებისას არ გაითვალისწინა მათგან რეაგირების შედეგები.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში მცირე თუ მსხვილი კომპანიის გაკოტრების ძირითადი მიზეზი მეტ-ნაკლებად მაინც მენეჯერთა არასწორი სტრატეგიული კურსი იყო [2, გვ. 1]. საქმე იმაშია, რომ მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს როგორც მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის მართვა, ასევე მისი სწორი ხედვა კომპანიის სამომავლო პოზიციების შესახებ. ანუ, მისი განვითარების სწორი სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია.

წარმატების მომტანი, ეფექტიანი სტრატეგიის ფორმირება მენეჯერთა ერთგვარი გამოცდაა მათ პროფესიულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებში. კერძოდ, თუ რამდენად სწორად დაინახა მან საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და რამდენად ზუსტად ამოიცნო მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც უნდა შეძლოს სწორად დაგეგმოს ბიზნესი, ანუ შეიმუშაოს კარგად პროგნოზირებადი სტრატეგია. მხოლოდ თანმიმდევრული, კარგად პროგნოზირებადი, კონკურენტუნარიანი სტრატეგია წარმოადგენს ინდუსტრიაში წარმატების გარანტიას.

როგორც ცნობილია, სტრატეგიის ფორმირება იწყება მენეჯერის მიერ კომპანიის შიგა და გარე ფაქტორების გაანალიზებით, ყველა დასმული ამოცანისა და საერთოდ, იმ გარემოებების შესწავლით, რაც გავლენას ახდენს (ან შეიძლება მოახდინოს) მისი მიზნების განხორციელების უნარზე როგორც აწმყოში, ასევე - მომავალში. ანუ, გარემოს ანალიზი წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მენეჯმენტი აფასებს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებზე მოქმედ ცვლილებებს, განსაზღვრავს რომელი ცვლილებები წარმოადგენს საფრთხეს მათთვის და რომელი ცვლილებები იძლევა მისი განვითარების შესაძლებლობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოს სწორი ანალიზი წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც მენეჯერები ცდილობენ შეისწავლონ (წინასწარ განჭვრიტონ) კომპანიის პოტენციური საფრთხეები და მისი შესაძლებლობები ამ ბიზნესში. შესაბამისად, ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილება უნდა განიხილებოდეს, როგორც კომპანიის გრძელვადიანი განვითარების ძირითადი მიმართულება, რომელიც მოიცავს მისი საქმიანობის სფეროს, მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს, მის შიგა ურთიერთობებსა და მისსავე პოზიციას გარე სამყაროსადმი. ანუ, თუ მიზანი განსაზღვრავს საით მიისწრაფის კომპანია, რას უნდა მან მიაღწიოს გარკვეულ დროში, სტრატეგია პასუხობს კითხვაზე თუ როგორ, რომელი ხერხით მიაღწევს კომპანია თავის მიზანს ასეთ

ცვლად და კონკურენტულ გარემოში. უფრო კონკრეტულად კი, სტრატეგია - ეს არის მენეჯერთა სამოქმედო გეგმა კომპანიის კონკურენტული პოზიციების, კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და საქმიანობის მაღალი შედეგების მისაღწევად. შესაბამისად, წარმატებული სტრატეგია მოწოდებულია, გაზარდოს ცვლილებებისადმი კომპანიის ადაპტაციის უნარი.

როგორც აღინიშნა, ცვლილებები, ერთი მხრივ, ქმნის საფრთხეებს, მაგრამ ამავე დროს, ისინი ბიზნესისათვის ახალი შესაძლებლობების წარმოშობის მთავარი წყაროა. წარმატების მსურველ მენეჯერთა ამოცანა არის ამ ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მათზე სწორი რეაგირება და ბიზნეს-წარმატებისათვის გამოყენება [1, გვ. 5]. შესაბამისად, საჭიროა შემუშავებული გვქონდეს გარკვეული სისტემა, თუ როგორ მოვახდინოთ ჩვენს გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან სწორი ადაპტირება. თუმცა, თანამედროვე ბიზნეს-გარემოში მრავლად არის ისეთი უცაბედი ცვლილებები, რომელთა პროგნოზირება საკმაოდ ძნელია, ზოგიერთი მათგანის კი - შეუძლებელიც. მიუხედავად ამისა, წარმატებული სტრატეგია არის მხოლოდ ის, რომლის დროსაც მიღწეული იქნება სასურველი შედეგები, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი ცვლილებების არსებობის მიუხედავად [2, გვ. 2]. ამასთან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შემუშავებული სტრატეგიის ეფექტი დამოკიდებულია არა მარტო ალტერნატივის სწორ შერჩევაზე და არც იმაზეც, თუ როგორ მივიყვანთ მას ბოლომდე, არამედ იმაზეც, თუ რამდენადაა მასში გათვალისწინებული კომპანიის სტრატეგიული პრიმატი.

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ სასურველი მიზნის მისაღწევად სტრატეგიის ფორმირება მუდმივად განვითარებადი პროცესია. საქმე ისაა, რომ წარმატებული სტრატეგია, ერთი მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს მუდმივად ცვლად გარემო ფაქტორებს, მეორე მხრივ კი - მენეჯერთა ძალისხმევის ახალ შესაძლებლობებს, თუ როგორ გავხადოთ სტრატეგია უფრო სრულყოფილი და ქმედითუნარიანი, ანუ, გვინდა თუ არ გვინდა, სტრატეგიის გადასინჯვა მენეჯერთა მხრიდან სისტემატიურად უნდა ხდებოდეს და ამის საშუალებას თვით სტრატეგია უნდა იძლეოდეს, ანუ წარმატებული სტრატეგიული გადაწყვეტილების ფორმირება ერთჯერადი, მომენტალური მოქმედება ან მოვლენა კი არ არის, არამედ იგი ყოველთვის იმ გადაწყვეტილებების, ქმედებების და მოვლენების სერიაა, რაც კომპანიის მოქმედებათა მასშტაბებსა და მის სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება [3, გვ. 27].

ჩვენი აზრით, წარმატებულია ისეთი სტრატეგიული გადაწყვეტილებები, რომლებიც სულ მცირე ოთხი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებით ხასიათდება. ესენია: მთლიანობა, უწყვეტობა, სიზუსტე და მოქნილობა. კერძოდ, მთლიანობა ნიშნავს, რომ ნებისმიერ მომენტში, მოქმედებს მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო სტრატეგია, ანუ ერთზე მეტის ერთდროულად ამოქმედებამ შეიძლება არევ-დარევა და უწესრიგობა გამოიწვიოს; უწყვეტობა გულისხმობს, რომ ნებისმიერი სტრატეგიული გადაწყვეტილება არის არა რაიმე მომენტი, ის არის პროცესი, რომლის დროსაც მენეჯერები ამოწმებენ არსებულ გადაწყვეტილებებს, მუდმივად ასწორებენ და ქმნიან ახალ სტრატეგიულ გეგმებს ორგანიზაციის ყველა დონეზე; სიზუსტე ნიშნავს იმას, რომ მენეჯერებმა არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოსაძიებლად, რაც კი მათ წარმატებული სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოადგებათ; მოქნილობა კი ნიშნავს სტრატეგიული გადაწყვეტილების ისეთ შესაძლებლობას, რომ იოლად მოხდეს მისი გადაკეთება, თუკი ამას შეცვლილი სიტუაცია მოითხოვს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმატებული სტრატეგია - ეს არის ერთი მხრივ, კომპანიის განვითარების გრძელვადიანი, სწორად პროგნოზირებული მიმართულება, რომელსაც ის სასურველი მიზნების რეალიზაციამდე მიჰყავს და მეორე მხრივ, გარემო ცვლილებებისა და იქ შექმნილი ალტერნატივების ხარჯზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობასაც იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თავი I. სტრატეგიული მენეჯმენტის არსი და მნიშვნელობა, თბილისი, 2013 წ. old.press.tsu.ge/GEO/internet
2. ცომაია აკ., სტრატეგიული მენეჯმენტი. ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო. თბილისი, კავკასიის აკადემიური ცენტრი, 2008 წ.-153 გვ. http://www.nesgeorgia.org/publicationsa php.
3. ჯულაყიძე ე. სტრატეგიული მენეჯმენტი, ქუთაისი, აწსუ, 2016 წ. - 260 გვ.

Global Competition and a Successful Strategy

E. Julakidze

Summary

In the strict conditions of competition and globalization of economy, there is no company which can exist without an exact formulated development strategy. The experiences of many countries shows that the main reason of bankruptcy of a small or large company was the managers' wrong strategy. Formation of successful and effective strategy is like a task for the manager in their professional qualities and skills, which will bring success in the future. Managers who want to be succeed have to identify on the one hand, current events in society, on the other hand, the changes in the industry, and all this must be used for successful business. For this, it is necessary to be worked out a certain system how to adapt changed environment. In our view, such a strategy should be characterized by main features, such as: integrity, continuity, accuracy and flexibility. The effective usage of them creates a great opportunity of competitive advantage in the industry.

Key words: *strategy, potential threats and opportunities, to adapt to change, competitive advantage, business success, predictable strategy.*

THE IMPACT OF PROCUREMENT ON VALUE CREATION

Günter Hofbauer,
Prof. Dr.; Sangl, A., Dipl.-Betriebswirtin, Business School
Technische Hochschule Ingolstadt/Germany,
University of Applied Sciences

The main intention of this paper is to outline the development of purchasing over the last years and to determine whether procurement has considerable impact on value creation for a company. Therefore the present paper describes the evolution of procurement's tasks and derives the relevance of procurement for value creation on the basis of statistical data. The findings indicate that appropriate supplier selection is among the keys for value creation. The central question the following contribution will deal with is the optimal involvement of procurement in order to create value for a company.

Keywords: *value, procurement, innovation, integration.*

JEL Classification: L14, M10

1. Introduction

International fluctuating business and raw material markets, saturated customer markets, decreasing prices and margins as well as increasing competitive pressure enforce the turn away from classical purchasing towards a modern and more strategically oriented procurement management (Hofbauer, 2013; Kerkhoff, 2008).
There is no doubt that procurement already now plays a key role in the value chain of a company and even Porter's well-known and often cited value chain includes procurement. As Porter has noted, procurement is considered as a supporting activity. To be considered as one of the primary activities, an activity has to be involved in the physical creation of a product, its sales and transfer to the buyer or in the aftersales of a product and has to be clearly assigned (Porter, 2004). The research question we want to answer is, whether procurement should be better considered as a primary activity.
When examined critically, Porter's approach turns out to be too limited. If procurement is recognized in the classical sense of operational purchasing, Porter's definition will be justified. Integrating procurement activities right from the very early beginning into the value creation process suggests, however, that procurement takes over a significant role to a product's concept and physical development. Through careful selection of supplier (development), production materials, organization of innovations processes and technology transfer from suppliers, also the procurement department takes over a significant role to a product's concept and so to its physical creation and value generation.
Therefore the paper is divided into three sections. In chapter 2 we show the quantitative importance of procurement, section 3 describes the historical evolution in order to do on this basis a critical assessment of procurement's qualitative importance through integration management in chapter 4.

2. Statistical Trends of Procurement Activities

The enhanced importance of procurement for creating value becomes clear, if we take a deeper look into a typical cost structure. The following Figure **1**1 shows exemplarily the cost breakdown for the automotive industry. According to the German Federal Statistical Office (2013) the share of material costs in the automotive industry is nearly 50% of the gross production value. On top, there is a share of 18.8% for trading goods (Figure 1).



Figure 1: cost structure in the automotive industry in the year 2013

This means, that the share of sourced volume in the automotive industry even exceeded two- thirds of all costs. Cost reduction through material savings has therefore a far higher leverage effect on a company's cost and value position than wages, salaries and related expenses for example.



Figure 2: evolution of used trading goods in the automotive industry

Having subcontracted a lot of parts of their production to external suppliers, manufacturers increasingly become dependent on these suppliers with regard to developing and innovating their products. As



Figure **2** indicates, this number of interrelationships is considerably high and also increasing. From the year 2010 till 2013 the share increased from 14.1% up to 18.8% and is at present considerably larger than gross salaries, which where only at 12.3% in 2013.
But it is not only a matter of volume. Companies need innovations to create competitive advantage and value. In order to realize them in a quick and efficient way, they need to cooperate with and even integrate the suppliers.



Figure 3: evolution of patents granted (Schiele, 2010)

Two main points emerge from the data in **Error! Reference source not found.**. First, innovations are not only created by the OEMs, but also by suppliers. Second, the number of patents granted increased rapidly within only ten years.



Figure 4: percentage of supplier patents in 1992 and 2002 (Schiele 2010)

From the pie chart in Figure 4 it is apparent that the number of supplier innovations not only increased in total but also the proportion has shifted. In 1992 patents where created nearly at the same amount by suppliers and OEMs. The figures in 2002 show a different picture. There is a large difference between the number of innovations from suppliers and OEMs. Almost two-thirds (65%) of the patents granted came from suppliers. These results show a notable influence from supplier's side to the OEMs and demonstrate the high innovation power of procurement markets. These data further support the supposition, that procurement is more than a secondary activity, just buying at the lowest price. Therefore the main challenge for procurement managers is to identify and utilize innovative suppliers as well. Unfortunately in practice more attention has been placed on the cost reduction aspects of supply chain management so far (Tracey/Neuhaus, 2013, p. 98).

3. The Way from Purchasing towards Procurement

In former times the operational buying execution was recognized as an assisting activity for other managerial functions within the value chain of a company. Since the end of the 1980s, the meaning of procurement has become subject to constant change (Lingohr/Kruschel, 2011, p. 87).
This change is particularly due to the ongoing and increasing concentration on core competencies of the OEMs and as a consequence thereof the reduction of steps in the production process as well as on different research and development levels. Instead of producing all the necessary parts and components on their own, they are more and more sourced from suppliers, which can produce those parts and modules often more economically. These suppliers concentrate on their core competencies and combine volume on their relevant value-added step.
Figure **5**5 (Becker, 2003, p. 77) displays the most important steps of the development of procurement during the last 50 years.



Figure 5: Stages of development of procurement emphases

As detailed in Figure **5**5, we can see the subject matters of procurement along the time line. At the very beginning the purchasing department had to buy parts at the lowest price. The main task was cost optimization. The next step was the introduction of a structured process within the company in order to execute the buying process in the most efficient way. After this process optimization of procurement the suppliers were brought into focus. The scope was to combine the value chains of the suppliers with the company's own supply chain. The goal was to improve the performance of suppliers and to avoid discontinuities in the supply chains. The latest step was the integration management. Here we distinguish between vertical and horizontal integration.
It is therefore not surprising that the process of purchasing is currently referred to as procurement, sourcing, management of external resources and supply (chain) management.
According to the results of a recently done preliminary study the operational and administra- tive fields of purchasing will completely disappear (Pellengahr/Schulte/Richard/Berg, 2016).

4. The next step: Integration Management

Leading companies require a proactive and agile procurement department which is focused on value and innovation in addition to cost optimization and compliance activities (KPMG, 2010; Figure 6).



Figure 6: responsibilities of procurement

In interpreting these findings, we need to consider that the role of procurement will exceed the pure supplier management and proceed further on towards the management of a network. As a consequence of an increasing level of integration in creating value, tier structures (performance bundling) and outsourcing (solution bundling) will gain in importance and the selection of suppliers to be integrated will become a key success factor (Hofbauer/Sangl 2011, p. 479).
Based on a well-structured procurement management process, suppliers are more and more involved to improve their performance and quality of parts to be delivered. After having improved the capabilities of the suppliers, some of them are able and willing to take more responsibility. They are called Tier-1 suppliers and have a higher level of integration and value creation. Here we talk about performance bundling. In this case all steps of the processing depth and of total added value of a specific system or module are managed by the Tier-1 supplier. In the case of solution bundling, all the different modules and/or systems are delivered by different Tier-1 suppliers. The OEM has outsourced all upstream activities (research and development, logistics, manufacturing, testing), but the downstream activities (sales and marketing) are done under the OEM's own brand.
There is already a trend of OEMs and their subcontractors towards performance and solution bundling, especially in the automotive industry. OEMs are concentrating on their core competencies. Other activities are transferred to suppliers and their core competencies to the extent of performance and solution bundling. Large and complex supply chains arise as a result, which influence the company's success on a large scale. These activities shall be initiated, continued and controlled by procurement. Accordingly, the importance of an efficient and strategically aligned supplier management as a prerequisite rises.

New challenges for the procurement management are coming along with new business models. These business models combine products and services in the horizontal dimension as service providers. A car manufacturer for example does not only sell just cars anymore, but provides mobility services. These mobility services shall support the core business in selling and providing cars. To gain a competitive advantage, these mobility services include information about navigation, guidance, traffic warning, parking, hotels, restaurants, points of interest and even booking and payment services.

For this reason the role and meaning of the procurement management is changing again. A complete new dimension is provided in the space between a higher "level of supplier/partner integration" on the x-axis

and the “level of integration in value creation” on the y-axis. Suppliers become more and more partners in providing a specific bundle of benefit.

Error! Reference source not found. illustrates the aspired space of new business opportunities at a higher level of integration. There will be higher potential of business and a higher extent of differentiation towards the customers, but also requires higher investment.



Figure 7: Future challenge horizontal integration management (own graph)

Revolutionary innovations by singular inventors like Edison’s light bulb are quite rare nowadays. More than three-fourths of all innovations result from combining a variety of disciplines (Stadler, 2016). All these changes provide new possibilities for creating value, combining different contributions to a complete benefit bundle on the highest value-added level. All the different contributions of that bundle have to be identified, specified, analyzed and procured from the providers of the sourcing market. The principal methods of procurement have to be applied therefore to objects and services, just on a higher level of integration.

5. CONCLUSION

Procurement has the highest impact on cost position of a product as we demonstrated with statistical data in section 2. In conclusion a company’s value is strongly correlated with successful procurement activities. Furthermore we observed changes in business operations on a large scale. More and more companies define their purchasing function no longer as the operational buying execution only at the best price. In the sense of procurement the whole supply chain and value creation process have to be managed in an effective and efficient way. In doing so, there is a strong impact of the suppliers’ activities to the physical creation of parts, modules systems or products delivered to the original equipment manufacturer. Especially with innovation, design and manufacturing suppliers can influence the physical configuration and value creation of sourcing parts. These activities start at a very early stage in the product or service management with the definition of specifications based on market needs and ends with the delivery and use of the product or service by the end consumer. Procurement has changed into a value creator by integrating internal activities and combining them uninterruptedly with the value creating activities of the suppliers. Nowadays the value position is more driven by innovations coming from sourcing markets than by price reductions. New business models require more sophisticated procurement processes and integration activities. Therefore we postulate to consider procurement not any more as a secondary activity, but as a primary activity within the value chain of a company.

References

1. Becker, W.: The Network of Automotive Excellence as a Potential Response to Change in Development/Production and Brand Policy, in: P. Sachsenmeier & M. Schottenloher: Challenges between competition and collaboration, Berlin, Springer Verlag, 2003, p. 63-78, 326 pages.

2. Hofbauer, G.: Technisches Beschaffungsmanagement, Berlin, uni-edition, 2013, 268 pages.
3. Hofbauer, G., Mashhour, T., Fischer, M.: Lieferantenmanagement, Die wertorientierte Gestaltung der Lieferbeziehung, 3rd ed., Berlin, De Gruyter Oldenbourg, 2016, 139 pages.
4. Hofbauer, G., Sangl, A.: Professionelles Produktmanagement, Der prozessorientierte Ansatz, Rahmenbedingungen und Strategien, 2nd ed., Erlangen, publicis publishing, 2011, 578 pages.
5. Kerkhoff, G.: Milliardengrab Einkauf: Einkauf - die Top-Verantwortung des Unternehmers nicht nur in schwierigen Zeiten, 2nd ed., Weinheim, WILEY-VCH, 2011, 265 pages.
6. KPMG Advisory US: Procurement as a value lever, 2010, 12 pages.
7. Lingohr, T., Kruschel, M.: Best Practices im Value Management: Wie Sie durch Einkauf und Technik einen nachhaltigen Wertbeitrag leisten können, Wiesbaden, Gabler Springer Verlag, 2011, 308 pages.
8. Pellengahr, K., Schulte A., Richard, J., Berg, M.: Vorstudie Einkauf 4.0 – Digitalisierung des Einkaufs, 2016, Dortmund/Frankfurt, Fraunhofer-Institut für Materialfluss und Logistik IML/BME Bundesverband Materialwirtschaft Einkauf und Logistik, Frankfurt, 2016, 33 pages.
9. Porter, M. E.: Competitive advantage: Creating and sustaining superior performance, New York, NY Free Press, 2004, 557 pages.
10. Schiele, H.: Innovationsquelle Lieferant, Vortragsunterlagen, Ingolstadt, 2012, 24 pages.
11. Stadler, R.: Business Innovation in der Automobilindustrie in: C.P. Hoffmann, S. Lennerts, C. Schmitz, W. Stölzle, F. Uebernickel: Business Innovation: Das St. Galler Modell, Wiesbaden, Springer Verlag, 2016, 542 pages.
12. Tracey, M., Neuhaus, R:. Purchasing's role in global new product-process development projects, in: Journal of Purchasing and Supply Management, Amsterdam 2013, Issue 2, Volume 19, p. 98–105, 118 pages.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com